მამუკა წურწუმია

შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700)

ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება

თბილისი
2016

წინამდებარე მონოგრაფია ფეოდალური საქართველოს ლაშქრის ტაქტიკისა და შეიარაღების კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ნაშრომში თავმოყრილი და გაანალიზებულია 800 წლის მანძილზე არსებული ცნობები და მასალა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ან ახლებურად ინტერპრეტირებულია აქამდე უცნობი წყაროები თუ არტეფაქტები, დადგენილია იარაღის ტიპოლოგია და ტერმინოლოგია და მოცემულია მათი საერთო კლასიფიკაცია.

ყდის დიზაინი მამუკა გონგაძის.
გარეკანზე ერმიტაჟში დაცული ქართული სამკლავე.

© საავტორო უფლებები დაცულია

შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი (900-1700):
ორგანიზაცია, ტაქტიკა, შეიარაღება
ISBN 978-9941-0-9688-4

თბილისი 2016 Tbilisi

ქართველ რაინდებს,
შუბგამართული ძგერებით
ბევრჯერ რომ წაურევიათ მეტოქე მტვერში
ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა

წინათქმა

არაერთხელ უთქვამთ, რომ მკვლევარი არასდროსაა მარტო. ის წინამორბედთა მხრებს ეყრდნობა და სხვათა დახმარებით სარგებლობს. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც, წინამდებარე კვლევის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებისა და მრავალთა დახმარების გარეშე.

მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება მადლიერება გამოვხატო ყველა იმ პიროვნების მიმართ, ვინც ამა თუ იმ სახით ხელი შემიწყო და დამეხმარა კვლევის გასრულებაში.

უპირველესად, მსურს მადლობა გადავუხადო იმ მუზეუმებს, რომლებთანაც წლების განმავლობაში ნაყოფიერი და, ამასთანავე, სასიამოვნო თანამშრომლობა მქონდა.

მადლობა ეროვნული მუზეუმის კოლექტივს, მის დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს, მუზეუმის თანამშრომლებს ლუიზა გვრიტიშვილს, რუსუდან დოლაბერიძეს, აკაკი გოგიჩაიშვილს, გერმანე კაზალიკაშვილს და სხვ. მაინც, ამ კოლექტივიდანაც კი საგანგებოდ უნდა გამოვყო იარაღის ფონდის კურატორი მამუკა ქაფიანიძე, რომელიც მუდამ მზად იყო უანგარო დახმარება აღმოეჩინა ჩემთვის.

მადლობას მოვახსენებ ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ზაზა ბენდიანაშვილს და წამყვან მეცნიერ-მუშაკს გია ბერიშვილს, ცაგერის ვ. მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმის დირექტორს ნუგზარ კოპალიანს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორს რუსუდან ქოჩქიანს და ხელოვნების მუზეუმის კურატორს ელენე კავლელაშვილს.

მადლობა ეკუთვნის უცხოური მუზეუმების თანამშრომლებსაც, კრაკოვში, ვაველის სასახლის მუზეუმის სამხედრო დეპარტამენტის კურატორს კრჟიშტოფ ჩიჟევსკის და ამავე მუზეუმის ფოტოგრაფიის დეპარტამენტის თანამშრომელს მარტა გოლიკ-გრიგლასს, მათ მიერ გაწეული დახმარებისა და მოწოდებული ფოტოებისათვის, ისევე როგორც ერმიტაჟის თანამშრომლებს ტატიანა კირეევას, ვ. ობრაზცოვს და სხვ., რომელთაც სრულიად უსასყიდლოდ მოგვცეს მათი ექსპონატების გამოქვეყნების უფლება.

მადლობას ვუხდი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც ყოველთვის დაუბრკოლებლად მაძლევდნენ მათ უმდიდრეს კოლექციასთან მუშაობის საშუალებას, ძველი ქართული ხელნაწერებიდან ცნობების მოწოდებისა და განმარტებისათვის კი მადლობა სოფიო სარჯველაძესა და თემო ჯოჯუას.

ცალკე მადლობა ჩემ უცხოელ კოლეგებს ტაქსიარხის კოლიასს, რაფაელ დ'ამატოს, ანდრეა ბაბუინს, მიხალ ძივულსკის, ევგენი კრუგლოვს სხვადასხვა დროს გაწეული დახმარებისა და მასალის მოწოდებისათვის.

მადლობა მამუკა გონგაძესა და სოფო გოგოლაძეს დიზაინისა და გრაფიკული გაფორმებისათვის, ზაზა სხირტლაძეს იკონოგრაფიული მასალის მოძიებაში დახმარებისათვის, ჯემალ შარაშენიძეს და ზურაბ პაპასქირს ჩემი ნაშრომის რეცენზირებისათვის და განსაკუთრებული მადლობა გოჩა ჯაფარიძეს, რომელიც მუდამ გვერდში მედგა.

მამუკა წურწუმია
თბილისი, 2016

სარჩევი

წინათქმა 7

შესავალი 13

თავი I. სამხედრო ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში 27
ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია 27
ფეოდალთა წრე: დიდებული (თავადი) და აზნაური 30
მსახური 34
გლეხობა 46
აზნაურისა და გლეხის დამოკიდებულება სამხედრო საქმისადმი 54
სამხედრო სტრუქტურა 57
ლაშქრის მობილიზაცია („წვევა და შეყრა ლაშქართა“) 79
ვეტერანი ფეოდალურ საქართველოში 82

თავი II. ქართული ლაშქრის წვრთნა და დისციპლინა 84
სამხედრო სამართალი 87
ინდივიდუალური მზადება 89
მეაბჯრის ინსტიტუტი 91
აღლუმი 93
ნადირობა 94
ასპარეზობა 96
ცხენბურთი 97
ყაბახი 98
რაინდული ტურნირი საქართველოში 100
ხმლის სამართალი 104

თავი III. ქართული ლაშქრის ტაქტიკა შუა საუკუნეებში 108
ცხენოსანი ჯარის ტაქტიკა 108
ქვეითი ჯარის ტაქტიკა 146

თავი IV. საბრძოლო კამპანია: ქართული ლაშქარი ველზე 162
ლაშქრის გარეგნული მხარე 162
ჯარის მართვისა და კომუნიკაციის საშუალებები 163
დროშა 163
შტანდარტი 180
კომუნიკაციის ხმოვანი საშუალებები 183
სამხედრო ბანაკი 187
კარავი 192
ლოგისტიკა 199

თავი V. იარაღი შუა საუკუნეების საქართველოში 214
მეტალურგია და მჭედლობა 214
საჭურველი 221
საჭურვლის ღირებულება 223
იარაღი როგორც საკულტო საგანი 225

თავი VI. თავდაცვითი აღჭურვილობა 228
მუზარადი 229
მუზარადის მორთულობა 232
სეგმენტური მუზარადი 234
კონუსური მუზარადი 236
სფეროკონუსური მუზარადი 237
ყივჩაღური კვალი XII-XIV სს. ქართულ მუზარადებზე 259
კულახუდი 266
ზარადი 268
აჩხაბერი 272
ჩაბალახი 273
ჩაჩქანი 276
რკინის ქუდი 279
სხეულის აბჯარი 280
ქერცლოვანი, ლამელარული, ლამინარული აბჯარი 282
ქერცლოვანი აბჯარი 283
ლამელარული აბჯარი 287
ლამინარული აბჯარი 306
ჯაჭვის აბჯარი 308
ჯაჭვის აბჯრის გაძლიერების მეთოდები 317
პოლოტიკი 323
ბეგთარი 326
ჩარ-აინა 329
ორმაგი აბჯარი 335
ჯაჭვის გულსაფარი 336
ქსოვილისაგან დამზადებული დაცვითი საშუალებები 337
ქსოვილის აბჯარი 337
აბჯარქვეშ საცმელი 340
აბჯარზე ჩასაცმელი 341
კიდურების დაცვითი საშუალებები 344
კრემასმატა 345
საბარკული 347
სამუხლე (საყირმუზა) 350
საწვივე 351
მოგვი (ჩექმა) 353
ტოლაღები 356
ზედა კიდურების დამცავი საშუალებები 357

ქაფი 358
სამკლავე 361
ხელთათმანი 381
სარტყელი 382
ფარი 384

თავი VII: შეტევითი იარაღი 414
ხელჩართული ბრძოლის საშუალებები 414
საძგერებელი იარაღი 414
მკვეთელი იარაღი 426
მახვილი 431
ცალპირა სწორი ხმალი (პალაში) 442
მოხრილი ხმალი 444
მოკლეპირიანი იარაღი 457
სატევარი (ხანჯალი) 458
დანა, დაშნა 470
ქარქაში 471
ხმლის ტარების წესი 473
ცული 478
დასარტყმელი (საცემი) იარაღი 482
ფრთიანი ლახტი 489
ბიზანტიური ლახტი 489
მაღალფრთიანი ლახტი 493
ქართული ჭვირული ლახტი 502
დაბალფრთიანი ლახტი 506
გურზი 511
ორხელა ლახტი 515
ზოომორფული ლახტი 516
ლახტით ფარვა 517
ლახტის სროლა 518
ლახტის ტარება 518
ლახტი როგორც ძალაუფლების ნიშანი 520
კომბინირებული იარაღი 521
საბრძოლო ჩაქუჩი (ჩუგლუგი) 521
ცულისპირიანი ლახტი 522
დისტანციური ბრძოლის იარაღი 523
მშვილდი 523
ისარი 533
სამალი 542
მშვილდის ბუდე (ხილიფა) 544
კაპარჭი 546
შურდული 549

თავი VIII: ცხენი შუა საუკუნეების საქართველოში 552
ცხენის აკაზმულობა 559
ავშარა 560
მოსართავი ღვედები 561
ლაგამი 562
ცხენის მორთულობა 564
უნაგირი 568
უზანგი 575
დეზი 581
ნალი 585
ცხენის აბჯარი 588

თავი IX: საალყო ხელოვნება 602
საალყო ტექნიკა 605
ლოდსატყორცნი არტილერია 605
ბალისტა 617
გალავანზე ასვლა 619
გალავნის შენგრევა (შეხვრეტა) 622
მინისქვეშა გვირაბები 623
საალყო კოშკი 626
ალყა 627
შურის ციხე 629
ანტიპოლიორკეტიკა 632
ცეცხლგამჩენი იარაღი 638

თავი X: ქართული შეიარაღების კომპლექსი შუა საუკუნეებში 641
I პერიოდი (X ს. – XIII ს-ის პირველი მესამედი) 642
II პერიოდი (XIII ს-ის მეორე მესამედი – XIV საუკუნის I ნახევარი) 649
III პერიოდი (XIV საუკუნის II ნახევარი – XVI საუკუნის I ნახევარი) 652
IV პერიოდი (XVI საუკუნის II ნახევარი – XVII საუკუნე) 655

დანართი 1: ქართველი მხედრის ტიპური შეიარაღება
პერიოდების მიხედვით 662

დანართი 2: XII საუკუნის ქართველი მოყმე
(გრაფიკული რეკონსტრუქცია) 663

ლექსიკონი 664

Summary 672

შემოკლებები 698

ბიბლიოგრაფია 700

საძიებელი 763

შესავალი

შუა საუკუნეების სამხედრო საქმე ერთ-ერთი ყველაზე სუსტად შესწავლილი დარგია ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკმარისია ითქვას, რომ დღემდე არ არის გამოკვლეული ქართული ლაშქრის ბრძოლის სტილი და მისი ტრანსფორმაცია შუა საუკუნეების განმავლობაში; ცალკეული ცდების მიუხედავად, არ არის ფუნდამენტურად, მონოგრაფიულად შესწავლილი შუა საუკუნეების ქართველი მებრძოლის შეიარაღება და აღჭურვილობა; ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ არის დაწერილი სათანადო დონის საქართველოს სამხედრო ისტორია.[1] საქართველოში არ არის ნათარგმნი არცერთი მნიშვნელოვანი უცხოელი სამხედრო ისტორიკოსის ნაშრომი, დაწყებული ჰ. დელბრუკიდან და დამთავრებული ჯ. ვერბრუგენითა თუ ფ. კონტამინით; სამეცნიერო მიმოქცევაშიც მათ ნაკლებად ან პრაქტიკულად არ იყენებენ. ქართული ისტორიოგრაფიისათვის არ არის დამახასიათებელი წყაროების კრიტიკა სამხედრო ხელოვნებისა თუ თანამედროვე სამხედრო ისტორიის მიღწევების გათვალისწინებით, სამხედრო ანალიზი კი გამონაკლისის სახით თუ გვხვდება.[2] შედეგად, ქართველი ხალხი არ იცნობს თავის მებრძოლებს, არ იცის თუ როგორ გამოიყურებოდა ქართველი მოყმე განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რა ეცვა ან რითი იყო შეიარაღებული.[3]

შეიარაღებისა და სამხედრო ისტორიის კვლევის მხრივ საქართველოში არსებული სახარბიელო ვითარება კარგა ხანია აღიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში: „სამხედრო საქმის არაერთი საკითხის ჩაღრმავებული კვლევა ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა", წერდა ე. ხოშტარია-ბროსე 1990-იანი წლების დასაწყისში.[4] ათი წლის შემდეგ უკვე პ.

---

[1] ამ მხრივ, ი. ჯორჯაძის წიგნი აშკარად ვერ ართმევს თავს დასახულ ამოცანას. И.И. Джорджадзе, *История военного искусства Грузии* (Тбилиси, 1989). ამ ნაშრომის კრიტიკა იხ. სოსო მარგიშვილი, „შენიშვნები აკად. ი. ჯორჯაძის ნაშრომზე "История военного искусства Грузии"", *მნათობი*, 11 (1990); მამუკა წურწუმია, „ისტორია ჭეშმარიტებას მოითხოვს", *ერი*, 7 (1991).

[2] ჩამონათვლის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, მკითხველისათვის უკვე ცხადია, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ქართული ისტორიოგრაფია სამხედრო ისტორიასთან მიმართებაში.

[3] „კიდევ უფრო ამძაფრებს ინტერესს ის ფაქტიც, რომ ჩვენ არ ვიცით, როგორი ტიპის ხმლებით იბრძოდნენ XIII-XIV სს-მდე ჩვენი წინაპრები, არ ვიცით ვინ იყვნენ ოსტატები და რა დამღას ხმარობდნენ თავიანთ ნახელავ ნაკეთობებზე". კოტე ჩოლოყაშვილი, მამუკა ქაფიანიძე, „ქართული საჭურველი", *ეთნოლოგიური ძიებანი*, IV (2010), 56-7.

[4] ედიშერ ხოშტარია-ბროსე, „კვლავ შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო ორგანიზაციების ისტორიის შესწავლისათვის („მოლაშქრეობის" გამო)", *მიაები*, 4 (1991), 179.

ზაქარაია აღნიშნავდა, რომ „საქართველოში ათასი წლების განმავლობაში გამოყენებული საბრძოლო იარაღის ისტორია სპეციალურად არავის შეუსწავლია, მაგრამ არის ცალკეულ სახეობათა ნაწილობრივი წარმოდგენის ცდები".[5] ამავე პრობლემებზე გულახდილად წერს ი. გაგოშიძე თავის წინასიტყვაობაში: „რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ფაქტია, რომ დღეს სწორედ სამხედრო ხელოვნებისა და ომების ისტორიაა საქართველოს ისტორიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფერო".[6] ასეთ ვითარებაში, როდესაც სამხედრო საქმის კვლევა ისტორიოგრაფიულ პრობლემადაა ქცეული, აშკარაა საკვლევი **თემის აქტუალურობა**.

აღნიშნულ ვითარებას, სხვადასხვა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ისიც განაპირობებს, რომ სამხედრო ხელოვნებისა და შეიარაღების კვლევა თავისთავად რთული საქმეა, დარგთაშორისი დისციპლინის კატეგორიას მიეკუთვნება და მრავალი დარგის (მომიჯნავისა თუ დაშორებულის, ჰუმანიტარულისა თუ ტექნიკურის) მიღწევების გამოყენებას საჭიროებს. ბიზანტიური სამხედრო საქმის ცნობილი მკვლევარი ტ. კოლიასი მართებულად მიუთითებს, რომ შეიარაღების კვლევა მოითხოვს სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო ისტორიის შესწავლას, ისევე როგორც ზოგადად ისტორიის, არქეოლოგიის, ტექნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის ცოდნას.[7] როგორც ვხედავთ, სამხედრო ისტორია და მისი დარგი იარაღთმცოდნეობა არის სფერო, რომელიც ითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომებს და ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ლინგვისტიკის მიღწევების გათვალისწინებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღება ხელშესახები შედეგი და კვლევითი სიახლე.

სამხედრო საქმის შესწავლის პროცესში ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული შეიარაღების, ტაქტიკისა და სამხედრო ორგანიზაციის საკითხები. ტაქტიკისა და სამხედრო ხელოვნების სრულფასოვანი შესწავლა შეუძლებელია აღჭურვილობის შესწავლის გარეშე. იმისათვის, რომ გავარკვიოთ ომის წარმოების ხერხები, უპირველესად უნდა გამოვიკვლიოთ შეიარაღების ტექნიკური საკითხები, რადგანაც სამხედრო ხელოვნების

---

[5] პარმენ ზაქარაია, *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე* (თბილისი, 2002), 223.

[6] სოსო მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, ნაწ. I (თბილისი, 2008), 5.

[7] Taxiarchis G. Kolias, *Byzantinische Waffen* (Wien, 1988), 29. როგორც გერმანელი ისტორიკოსი იოჰან გუსტავ დროიზენი წერდა, მკვლევარისათვის „აუცილებელია დაეუფლოს სხვადასხვა მეცნიერებებს, რადგანაც ცალკეულ შემთხვევებში ყველა ისინი ისტორიკოსის დამხმარე ხდებიან". А.Н. Кулинский, *Атрибуция и описание холодного и некоторых видов ручного метательного оружия и штыков* (Санкт-Петербург, 2007), 6.

ისტორიაში ასეთი საკითხები უმნიშვნელოვანესია.[8] ცნობილია, რომ შეიარაღება განსაზღვრავს ტაქტიკას.[9] ტაქტიკა და შეიარაღება განუყრელია, შეიარაღების შესწავლა შეუძლებელია ბრძოლის ველისაგან მოწყვეტილად: ბრძოლის მეთოდების შესწავლის დროს უნდა ისწავლებოდეს ამ დროს გამოყენებული იარაღი და მათი ურთიერთგავლენა.[10] ასევე წარმოუდგენელია სამხედრო ორგანიზაციის განცალკევება საბრძოლო ტაქტიკისაგან, რადგანაც ბრძოლის საჭიროება დიდწილად განაპირობებს არმიის სტრუქტურას.[11]

იარაღი ერის კულტურის ნაწილია.[12] შეიარაღებისა და სამხედრო საქმის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ერის მატერიალურ ყოფაზე, სამჭედლო და საიუველირო ხელობის შესაძლებლობებზე, ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების დონეზე.[13] შეიარაღების კომპლექსის შესწავლა გვაწვდის ინფორმაციას სამხედრო საქმისა და სამხედრო ხელოვნების განვითარების დონის შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალით არის განპირობებული და დიდად განსაზღვრავს მისი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.[14]

საუკუნენახევრის წინ იოზეფ ლეპკოვსკი, იაგელონის უნივერსიტეტის რექტორი წერდა: „შეიარაღება შეიძლება იყოს გასაღები იმ ადამიანთა შემეცნების დონის გასარკვევად, რომლებიც მათ იყენებდა. აჩვენეთ სპეციალისტს რომელიმე ერის შეიარაღება და ის გეტყვით მისი განვითარების დონეს".[15]

არც ერთი ქვეყნის, მითუმეტეს ევროპა-აზიის შესაყარზე მდებარე საქართველოს სამხედრო საქმის კვლევა არ შეიძლება იზოლირებულად, მისი

---

[8] Malcolm Vale, *War and Chivalry* (London, 1981), 100.

[9] Richard Glover, "English Warfare in 1066," in *The Battle of Hastings: Sources and Interpretations*, edited and introduced by Stephen Morillo (Woodbridge, 1996), 177. თავის მხრივ, სტრატეგიულ საჭიროებას შეუძლია განაპირობოს ტაქტიკაცა და შეიარაღებაც. ასევე, ტაქტიკური აუცილებლობა ხშირად კარნახობს ცვლილებებს იარაღსა თუ სამხედრო ტექნოლოგიაში. John F. Guilmartin, Jr., *Gunpowder and Galleys: Changing Technology and Mediterranean Warfare at Sea in the 16th Century*, rev. ed. (London, 2003), 183n1.

[10] Geoffrey Tantum, "Muslim Warfare: A Study of a Medieval Muslim Treatise on the Art of War," in *Islamic Arms and Armour*, ed. by Robert Elgood (London, 1979), 188.

[11] C. Warren Hollister, *Anglo-Saxon Military Institutions on the Eve of the Conquest* (Oxford, 1962), 127.

[12] Влоджимеж Квасневич, *Польские сабли* (Санкт-Петербург, 2005), 18. იარაღი უძველესი ინსტრუმენტია, რომელიც ადამიანთან ერთად იცვლებოდა და მასაც ცვლიდა. Виталий Шлайфер, "Вступление к номеру," *История Оружия*, 5-6 (2012), 9.

[13] А.Н. Кирпичников, "Вооружение и военное дело средневековой Руси как исторический источник и культурный феномен," *Quaestiones Medii Aevi Novae*, vol. II, *Arms and Armour* (Warszawa, 2006), 42.

[14] В.В. Горбунов, *Военное дело населения Алтая в III-XIV вв.*, ч. I, *Оборонительное вооружение (доспех)* (Барнаул, 2003), 4.

[15] Jan Szymczak, "Introduction," *Quaestiones Medii Aevi Novae*, vol. II, *Arms and Armour* (Warszawa, 2006), 5.

გარემომცველი სამყაროს სამხედრო საქმის შესწავლის გარეშე. სამხედრო საქმე მგრძნობიარეა გარემომცველი სამყაროს მიმართ, იგი თავისებური ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც ყოველგვარ ცვლილებებზე რეაგირებს.[16] იშვიათად თუ ვრცელდებოდა რაიმე ისე სწრაფად, როგორც სიახლე სამხედრო საქმეში. სწრაფად ხდებოდა ტექნიკური სიახლეების დანერგვაც, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა ერთიანი ან მსგავსი შეიარაღების კომპლექსის ჩამოყალიბებას დიდ სივრცეებზე.[17] ეს კი საშუალებას გვაძლევს მეზობელი კულტურების მაგალითების მიხედვით ვიმსჯელოთ ეროვნულ შეიარაღების კომპლექსზე და შევავსოთ უცნობი დეტალები.

წინამდებარე ნაშრომი ფეოდალური საქართველოს ლაშქრის ტაქტიკისა და შეიარაღების კომპლექსური შესწავლის პირველი ცდაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაშიც გამოიხატება **ნაშრომის სიახლე**. ამ პროცესში ავტორის მიერ თავმოყრილი და გაანალიზებულია 800 წლის განმავლობაში არსებული ცნობები და მასალა, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოყვანილია ან ახლებურად ინტერპრეტირებულია აქამდე უცნობი წყაროები თუ არტეფაქტები, დადგენილია იარაღის ტიპოლოგია და ტერმინოლოგია და მოცემულია მათი საერთო კლასიფიკაცია.

კვლევის მიზანია შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის ორგანიზაციის, ტაქტიკისა და შეიარაღების შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გადასაწყვეტია შემდეგი **ამოცანები**: ქართული ლაშქრის ორგანიზაციისა და ტაქტიკის შესწავლა და საუკუნეების განმავლობაში მათი ტრანსფორმაციისათვის თვალის გადევნება; ქართული შეიარაღების კომპლექსის შესწავლა და მისი განვითარების პერიოდების დადგენა; ქართულ შეიარაღებაში გარეშე ზეგავლენებისა და ნასესხობების დადგენა; შესაბამისი მასალის არსებობის შემთხვევაში შეიარაღების ცალკეული ელემენტების ტიპოლოგიის დადგენა და ტიპოლოგიური სქემების შემუშავება.

კვლევის მიზნის მისაღწევად და დასახული ამოცანების გადასაწყვეტად შემდეგი სქემა არის არჩეული:[18] ჯერ შესწავლილია ფეოდალური საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია, შემდეგ – მის მიერ წარმოშობილი ლაშქარი

---

[16] В.Е. Медведев, "Общее и особенное в некоторых видах вооружения чжурчжэньской эпохи Приамурья и Приморья," *Военное дело древнего населения Северной Азии* (Новосибирск, 1987), 206.

[17] Вендален Бехайм, *Энциклопедия Оружия* (Санкт-Петербург, 1995), 6; А.И. Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири: Эпоха средневековья* (Новосибирск, 1987), 49-50. მეზობელ ქვეყნებში ახალი იარაღის გამოჩენა მეტნაკლებად დროის ერთ შუალედში ხდებოდა. Леонидэ Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре (Миниатюры батальной тематики в Джручской псалтыри)* (Тбилиси, 1964), 59.

[18] ი. ხუდიაკოვის მიხედვით, ყოველი ერისა თუ კულტურის სამხედრო საქმის შესწავლისას იკვლევენ მის იარაღს, შეიარაღების კომპლექსს, სამხედრო ორგანიზაციასა და სამხედრო ხელოვნებას. Ю.С. Худяков, *Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии* (Новосибирск, 1986), 7.

და ამ ლაშქრის საბრძოლო ტაქტიკა. ცალკე არის გარჩეული შუა საუკუნეების ქართველი მებრძოლის პანოპლია და მისი შემადგენელი ნაწილები. ყოველივე ეს განხილულია ისტორიზმის პრინციპების დაცვით, საუკუნეების განმავლობაში განცდილი ცვლილებების ასახვით. კვლევაში მოცემულია პერიოდიზაცია და ყოველი პერიოდის შეიარაღების კომპლექსი მთლიანობაში არის აღწერილი.

ნაშრომის **ქრონოლოგიური ჩარჩოები** მოსაზღვრულია იმ ხანგრძლივი პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მძიმე ცხენოსანთა დარტყმა პრიორიტეტული ტაქტიკაა საქართველოში. ეს პერიოდი იწყება X საუკუნეში, როდესაც საქართველოში ცხენოსანთა ბრძოლის ახალი წესი – *წაგრძელებული შუბით* ბრძოლა ინერგება, რასაც თან მოსდევს ახალი ტაქტიკის – *ცხენოსანთა ტარანული დარტყმის* დამკვიდრება. ზედა ქრონოლოგიური ზღვარი კი XVIII საუკუნეა, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღის ახალმა ტექნოლოგიებმა საუკუნეების განმავლობაში არსებული ბრძოლის წესი შეცვალა.

მართალია, ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოში XV საუკუნეში ჩნდება,[19] ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ შეიარაღებაშიც გვხვდება, მაგრამ ბრძოლის ველზე საგრძნობ როლს მხოლოდ XVIII საუკუნიდან თამაშობს, რის გამოც მას არც ვიკვლევთ ნაშრომის ფარგლებში და ცივი იარაღის შესწავლით ვიფარგლებით. შუბით ბრძოლა, რომელსაც შუასაუკუნეებში ყოველთვის იყენებდა ქართული ლაშქარი, მხოლოდ XVIII საუკუნის შუახანებისათვის კარგავს მნიშვნელობას.[20] XVII საუკუნის პირველ ნახევარშიც კი, მიუხედავად თოფის გავრცელებისა,[21] ქართველი აზნაური ანუ ლაშქრის ცხენოსანი შემადგენლობა მას პრაქტიკულად არც იყენებდა. გ. ანჩაბაძე სწორად აღნიშნავს, რომ კასტელის სურათებში არ გვხვდება თოფით აღჭურვილი დიდგვაროვანი.[22] ისიც გასათვალისწინებელია, რომ XVII საუკუნეშიც კი, დიდი გამანადგურებელი ძალის მიუხედავად, ცეცხლ-

---

[19] იხ. მამუკა წურწუმია, „საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის საკითხისათვის", *ქართველოლოგია*, 2 (2011), 65-88.

[20] Г.З. Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии* (Тбилиси, 1990), 204. პ. ზაქარაიასაც მიაჩნია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაში რადიკალური გარდატეხა, რის შემდეგაც ის გადამწყვეტი ფაქტორი ხდება, XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში მოხდა. ზაქარაია, *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე*, 233. პრაქტიკულად იგივე აზრისაა ვ. ელაშვილიც, რომელიც თვლის, რომ ცეცხლსასროლ იარაღს საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულიდან ენიჭება. ვასილ ელაშვილი, *მშვილდოსნობა* (თბილისი, 1959), 24.

[21] აქტიურად და შედეგიანად ქართული ჯარი ზარბაზნებს მხოლოდ XVIII საუკუნეში იყენებს, განსაკუთრებით ერეკლე II-ის ეპოქაში.

[22] გიორგი ანჩაბაძე, „იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი" როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო", *ქწ*, VI (1985), 69.

სასროლი იარაღი კვლავაც ჩამოუვარდებოდა მშვილდს სროლის სიშორესა და სისწრაფეში.[23]

რაც მთავარია, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მხოლოდ XVIII საუკუნეში ახდენს ძირეულ გავლენას ქართულ ბრძოლის წესზე და იწვევს ტაქტიკურ ცვლილებებს ბრძოლის ველზე. ამიტომაც, ცეცხლსასროლი იარაღის უფრო ადრეული გავრცელების მიუხედავად, XVIII საუკუნემდე ქართული სამხედრო ხელოვნებისა და შეიარაღების კომპლექსის განვითარება შესაძლებელია განვიხილოთ ერთი ტაქტიკური მონახაზის (ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის) ფარგლებში და ერთ ტექნოლოგიურ (ცივი იარაღის განვითარების) ჭრილში.

საკითხის ისტორიოგრაფია. ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ არსებობდა საგანგებო ნაშრომი, რომელიც ფეოდალური ქართული ლაშქრის ტაქტიკასა და შეიარაღებას განიხილავდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში ეს საკითხები საერთოდ შეუსწავლელია. ქართული საჭურველის შესახებ კვლევებიდან ყურადღების ღირსია ი. ჯავახიშვილის „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", რომლის მეოთხე ტომი საომარ საჭურველსა და სამხედრო საქმეს ეძღვნება. ქართველი მეომრის სამხედრო აღჭურვილობას თითო თავი აქვს დათმობილი ნ. ჩოფიკაშვილის, („ქართული კოსტიუმი") გ. აკოფაშვილის („რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში"), ს. მარგიშვილის („მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ") და ჯ. შარაშენიძის („ქართული სამხედრო ხელოვნება") შრომებში. ქართულ იარაღთმცოდნეობაში ყველაზე ვრცლად დღემდე მოღწეული ეთნოგრაფიული იარაღი არის შესწავლილი, რომელსაც ეძღვნება ვ. ელაშვილის, გ. გასიტაშვილის, კ. ჩოლოყაშვილის, მ. ქაფიანიძის შრომები. არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული შუა საუკუნეების საჭურვლის ცალკეული ასპექტებია განხილული ლ. ჭილაშვილის კვლევებში. შეიარაღების კვლევის კუთხით ქართული იკონოგრაფიული მასალა დავითნის მინიატურების მაგალითზე ყველაზე ფართოდ აქვს გამოყენებული ლ. შერვაშიძეს ("К Вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре (Миниатюры Батальной Тематики в Джручской Псалтыри").

შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის ტაქტიკა და ბრძოლის წესი სისტემატურად იყო განხილვის საკითხი გ. ანჩაბაძის შრომებში. ქართული სამხედრო საქმის სხვადასხვა ასპექტების შესახებ კვლევები აქვთ ლ. გარსიაშვილს, ი. გედევანიშვილს, ი. შაიშმელაშვილს, ქ. ჩხატარაიშვილს, ა. კლიმი-

[23] *War, Technology and Society in the Middle East*, ed. by V. J. Parry and M. E. Yapp (Oxford, 1975), 19.

აშვილს, კ. კახაძეს, ჯ. სამუშიას, ს. მარგიშვილს, ჯ. შარაშენიძეს. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესწავლისას სამხედრო ორგანიზაცია განხილულია მ. ბერძნიშვილის („საქართველო XI-XII საუკუნეებში"), ი. ანთელავას („საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში"), ჯ. სტეფნაძის („საქართველო XII და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში"), მ. ბახტაძის („ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში") შრომებში. სამხედრო საქმის სოციალური მხარეს იკვლევდა ნ. ბერძენიშვილი, ე. ხოშტარია-ბროსე, დ. გოგოლაძე, გ. აკოფაშვილი, გ. ჯამბურია, ზ. რატიანი, მ. სანაძე, ტ. ახალაია.

ყველა ეს კვლევა გამოყენებულია წარმოდგენილ ნაშრომში. ამასთან, გარდა ქართველი ავტორებისა, მასში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული საკვლევი თემის გარშემო არსებული უცხოელ ავტორთა პუბლიკაციები და მონოგრაფიები, რაც საშუალებას გვაძლევს ყოვლისმომცველად, თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში არსებული ცოდნისა და უახლესი მიღწევების გათვალისწინებით განვიხილოთ, შევაფასოთ და გადავწყვიტოთ კვლევისას წამოჭრილი საკითხები.

წერილობითი წყაროები. სამხედრო საქმის სრულყოფილი შესწავლა მხოლოდ ყველა სახის მონაცემთა კომპლექსური ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების – წერილობითი, გამომსახველობითი და არქეოლოგიური – რიგიდან ყველაზე დიდი და მრავალფეროვანი ინფორმაცია წერილობით წყაროებშია დაცული.

წერილობითი წყაროები გვაწვდიან შეუცვლელ ინფორმაციას სამხედრო ორგანიზაციის, ჯარების შემადგენლობის, ტაქტიკისა და სტრატეგიის შესახებ. შეიარაღების რეკონსტრუქციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილობით ინფორმაციას იარაღის კონსტრუქციული თავისებურებების შესახებ.[24] იარაღის ტაქტიკური დანიშნულების გამოსარკვევად მნიშვნელოვანია მისი ტიპოლოგიის დადგენა, რაც თავად ნიმუშის მიხედვით ხდება, თუმცა იარაღის გამოყენების შესახებ გადამწყვეტ ინფორმაციას წერილობით წყაროებში ვკითხულობთ. მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი წყაროების ცნობები ხშირად წყვეტილი და შემთხვევითი ხასიათისა,[25]

[24] В.В. Горбунов, "Методика реконструкции древнего оружия," *Снаряжение кочевников Евразии*, ред. А.А. Тишкин (Барнаул, 2005), 17.

[25] გ. ანჩაბაძის სამართლიანი შენიშვნით, „მიუხედავად იმისა, რომ საისტორიო წერილობით წყაროებში ხშირად იხსენიება ქართველთა ბრძოლები და ომები, ცნობები ქართული ლაშქრის მოქმედების სტრატეგიული და ტაქტიკური ფორმების შესახებ მაინც მწირია". გიორგი ანჩაბაძე, „ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღამის გაბაასების" მიხედვით", *მიაჭის*, 2 (1984), 93. ძუნწია ცნობები ქართული ლაშქრის რიცხოვნობის, შეიარაღებისა და ორგანიზაციის შესახებაც. Г.З. Анчабадзе, "Вопросы источниковедения военной истории феодальной Грузии," *Источниковедческие разыскания 1982* (Тбилиси, 1985), 93.

მათი სისტემაში მოყვანა და ტიპურის გამოკვეთა მნიშვნელოვან შედეგს იძლევა.[26]

წერილობითი წყაროების კომპლექსი მოიცავს ნარატიულ და დოკუმენტურ ძეგლებს. ნარატიულ წყაროებს მიეკუთვნება ისტორიული მატიანეები და ქრონიკები, რომელთაც თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ქართული ისტორიული პოემებიც („დიდმოურავიანი", „შაჰნავაზიანი", „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა"), აგიოგრაფიული მწერლობა, მხატვრული ლიტერატურა, ხალხური შემოქმედება (განსაკუთრებით, მთის ხალხების პოეზია), სამეცნიერო და ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (ვახუშტი ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი,[27] თეიმურაზ ბაგრატიონი). დოკუმენტურ წყაროებს შეადგენს ქართული ისტორიული საბუთები, სამეფო კარის რეგლამენტი, აღწერის წიგნები, ეპიგრაფიკული ძეგლები.[28] სამხედრო წყაროთმცოდნეობის საკითხები თავის დროზე საფუძვლიანად აქვს დამუშავებული გ. ანჩაბაძეს,[29] რაც გვათავისუფლებს მათი დაწვრილებითი განხილვისაგან. ქვემოთ მხოლოდ ცალკეული მომენტების აღნიშვნით დავკმაყოფილდები.

შუა საუკუნეების ნარატიული წყაროების განხილვის დროს შესამჩნევია, რომ ნაწარმოებების უმეტესობა სასულიერო პირებს ეკუთვნის,[30] რაც თავისებურ დაღს ასვამს თხრობას. ისინი იშვიათად თუ აქცევდნენ ყურადღებას ბრძოლისა და სამხედრო საქმის დეტალებს. ამ მხრივ, პირველხარისხოვან წყაროთა შორის სასიამოვნო გამონაკლისია თამარის პირველი ისტორიკოსი და ჟამთააღმწერელი.

კვლევისას ქართული წყაროების ფრაგმენტულობისა და სხვა ნაკლის კომპენსაციას შეძლებისდაგვარად ვახდენ უცხოური წყაროების გამოყენებით, სამხედრო ყოფის რეკონსტრუქციას კი ვცდილობ ბიზანტიური და ისლამური სამხედრო ტრაქტატების დახმარებით.

საგანგებოდ მინდა შევაჩერო ყურადღება მხატვრული ხასიათის ლიტერატურასა და მისი სანდოობის საკითხზე, რადგანაც ასეთ ცნობებს უხვად

---

[26] А.Н. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," *Археология СССР* (Ленинград, 1971), 62.

[27] სულხან–საბა ორბელიანის ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენისათვის, არამედ იარაღის ცალკეული ტიპების, მათი გავრცელების დროის, გამოყენების ხასიათისა და სხვ. საკითხების კვლევის საქმეში.

[28] Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 5-7.

[29] იხ. Анчабадзе, "Вопросы источниковедения военной истории феодальной Грузии," 90-5; მისივე, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 1-256.

[30] სულხან-საბა მწიგნობრულ ქართულს საერთოდ სამღვდელო ენას უწოდებს. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I (თბილისი, 1991), 321.

ვიყენებ კვლევაში. წყაროების მიმართ ისეთი კრიტიკულად განწყობილი ისტორიკოსიც კი, როგორიც იყო ივანე ჯავახიშვილი, თამამად იყენებდა ლიტერატურულ წყაროებს თანადროული სოციალურ-კულტურული რეალიების გადმოსაცემად. საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაზე მუშაობისას ის ეყრდნობოდა რუსთაველს, არჩილს, „ვისრამიანს" და სხვა მხატვრულ ძეგლებს. ერთგან, „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით შენიშნავს, რომ პოემაში აღწერილი უცხოქვეყნელები „აზროვნებენ, ცხოვრობენ, **იბრძვიან**", როგორც ქართველები.[31] სალიტერატურო წყაროებს მრავლად ვხვდებით ი. ჯავახიშვილის ნაშრომში „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის", რომლის ერთი ნაწილი სამხედრო საქმეს ეძღვნება.

ეპიკური და რაინდული ლიტერატურა სამხედრო წრისათვის იქმნებოდა, მათთვის, ვინც წინ უძღოდა და წამყვან როლს თამაშობდა შუა საუკუნეების არმიებში. ამ აუდიტორიისათვის მისაღები რომ ყოფილიყო, მათ გარკვეულწილად რეალისტურად უნდა აესახათ სამხედრო ყოფა. რადგანაც ეპიკური და რაინდული ლიტერატურა მშობლიურ ენაზე იწერებოდა, ისინი იყენებენ იმავე ლექსიკონს, რასაც მეომრები და გვაწვდიან აბჯრის, იარაღისა და არმიის ნაწილების სწორ დასახელებებს.[32] სწორედ ამიტომ დიდია „ვეფხისტყაოსნის", „ამირანდარეჯანიანის", „რუსუდანიანის", „ომაინიანის", „დიდმოურავიანის"[33] მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო საქმის კვლევასა და ტერმინოლოგიის დადგენაში.

სამხედრო ყოფა ასახულია ნათარგმნ ლიტერატურაშიც, სადაც ხშირად ძველი ამბებიც კი მთარგმნელის თანამედროვე რეალობას გადმოგვცემს.[34] ამავე დროს, ნათარგმნი ლიტერატურის გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ შეცდომით უცხო ქვეყნის რეალიები (ბრძოლის

---

[31] დავით სართანია, „ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი სიტყვაკაზმული მწერლობის საისტორიო წყაროდ გამოყენების თაობაზე", *საისტორიო შტუდიები*, V (2004), 166-7. „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობა სამხედრო ისტორიისათვის კარგად არის ცნობილი ქართველი ისტორიკოსებისათვის. ლ. გარსიაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსანი" სამხედრო ხელოვნების ისტორიისთვისაც მეტად საინტერესო და საგულისხმო მასალას გვაძლევს". ლევან გარსიაშვილი, *ვეფხისტყაოსანი: სამხედრო ხელოვნების ისტორიის მასალები* (ტფილისი, 1937), 4. მას კვერს უკრავს ი. გედევანიშვილი, რომლის მიხედვითაც „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი „ბრძოლების წარმოება, ტაქტიკა და სტრატეგია, სხვადასხვა საბრძოლო ხერხები და ილეთები და აგრეთვე შეიარაღება, წყობილება სინამდვილიდან არის აღებული და ისტორიულად სავსებით გამართლებული". იოსებ გედევანიშვილი, „სამხედრო ხელოვნება „ვეფხვისტყაოსანში", *მსკი*, 1 (1939), 16.

[32] Helen Nicholson, *Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500* (New York, 2004), 9.

[33] გ. ანჩაბაძის შეფასებით, იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი" „მრავლად შეიცავს სამხედრო-ისტორიულ ფაქტებს და ამიტომაც იგი XVII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს". ანჩაბაძე, „იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი" როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო", 68-9.

[34] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 62.

წესი, ტაქტიკა) ქართულში არ აგვერიოს. ამიტომ, საგანგებოდ ავარიდე თავი ნათარგმნი ლიტერატურის ფართოდ გამოყენებას და „შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებს მხოლოდ ტერმინოლოგიის დაზუსტების თვალსაზრისით ვიმოწმებ.

არქეოლოგიური მონაცემები. შეიარაღების დადგენისა და შესწავლის თვალსაზრისით ყველაზე რეალურ და ხელშესახებ მონაცემებს არქეოლოგიური აღმოჩენები იძლევა. სამწუხაროდ, იმ მონაცემებს შორის, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო საქმის რეკონსტრუირება, სწორედ არქეოლოგიური მასალა არის ყველაზე მწირად წარმოდგენილი.

საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის ადრეული (IV ს.) გავრცელებისა და დასაფლავების ქრისტიანული წესის დამკვიდრების გამო ფეოდალური ეპოქის სამარხების ინვენტარი საკმაოდ ღარიბია.[35] განსაკუთრებით ეს ეხება იარაღს, რომელსაც საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ მაღალი ფასისა[36] და სოციალური პრესტიჟის გამო.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიაში ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი შეტევითი თუ თავდაცვითი იარაღის მნიშვნელოვანი ნიმუშები (მაგ., სხვადასხვა ტიპის ხმლები, მუზარადი, აბჯარი), რაც მეტად ართულებს თანადროული ქართული შეიარაღების კვლევის საკითხს.

არქეოლოგიური მასალის ნაკლებობის დროს, აღჭურვილობისა და შეიარაღების რეკონსტრუქციისას, პარალელებსა და ანალოგიებს მეზობლად ეძიებენ,[37] რაღა თქმა უნდა, არსებული წერილობითი თუ იკონოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით. ასე მაგალითად, არქეოლოგიური მასალის სიმცირის გამო,[38] ადრეული პერიოდის ბიზანტიის შეიარაღების შესასწავლად მკვლევრები იძულებული არიან დაეყრდნონ იმპერიის გარშემო არსებული სხვადასხვა ხალხის წარმართული სამარხების მონაცემებს.[39] ასევე, ქართული აღჭურვილობის აღდგენისას, შესაძლებელია გამოვიყენოთ ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ხალხის (მომთაბარისა თუ ადგილობრივის) შესახებ არსებული არქეოლოგიური კვლევის შედეგები.

ამავე დროს, ბუნებრივია, რომ „მწირი არქეოლოგიური მასალის გამო, მკვლევარი მეტად უნდა დაეყრდნოს ხელოვნების ნიმუშების გამოსახულე-

---

[35] ცნობილი რუსი არქეოლოგი ა. არციხოვსკი პირდაპირ წერს, რომ უმეტეს შემთხვევებში ქრისტიანული სამარხები სრულიად უსარგებლოა არქეოლოგიისათვის. А.В. Арциховский, "Русское оружие X-XIII вв.," *Доклады и сообщения исторического факультета МГУ*, вып. 4 (Москва, 1946), 5.

[36] А.Ф. Медведев, "Оружие Новгорода Великого," *МИА*, 65 (1959), 121.

[37] Witold Sarnecki and David Nicolle, *Medieval Polish Armies 966-1500* (Oxford, 2008), 19.

[38] ბიზანტიაში ქრისტიან მეომრებს უიარაღოდ ასაფლავებდნენ. Kolias, *Byzantinische Waffen*, 134.

[39] John Haldon, "Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 65.

ბებსა და წერილობით წყაროებს".[40] არქეოლოგიური მასალისა და სხვადასხვა გამოსახულების შეჯერების დროს, ძალზე მნიშვნელოვანია „გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რისი გამოსახულებაც გვაქვს, არ არის ნაპოვნი არქეოლოგიურად, მაგრამ ყველაფერი რაც ნაპოვნია, უკვე წარმოდგენილია გამოსახულებებში".[41]

იკონოგრაფიული წყაროები. იკონოგრაფიული გამოსახულებების მიხედვით სამხედრო აღჭურვილობის რეკონსტრუქცია ნაცადი მეთოდია, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სხვა (პირველ რიგში, არქეოლოგიურ) მონაცემთა სიმცირის პირობებში.

მხატვრულ წყაროებს გამოარჩევს ის ფაქტი, რომ ცალკეული არტეფაქტის ნაცვლად, ისინი ჩაცმულობა-შეიარაღების ერთიან სურათს ასახავენ. ისინი გადმოგვცემენ ცალკეული საჯარისო სახეობების მიერ სხვადასხვა საბრძოლო საშუალებების გამოყენების მეთოდებსაც, რაც საბრძოლო კომპლექსის უფრო ზუსტი და დიფერენცირებული რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.[42]

რა თქმა უნდა, იკონოგრაფიული მასალის მიხედვით აღჭურვილობის რეკონსტრუქციისას გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ ზოგადად მართლმადიდებლური სამყაროსათვის დამახასიათებელი ნორმები და კანონები, ადგილობრივი, ქართული ხელოვნების მიმართება ბიზანტიურთან, უნდა გავარკვიოთ როდის მისდევს ის ბრმად ბიზანტიურ ტრადიციას და როდის არის დამოუკიდებელი, უნდა ვიცოდეთ რამდენად არის საეკლესიო მხატვრობა კონსერვატული და რა დოზით ასახავს ის რეალობას. თუკი შესაძლებელია, ყოველთვის უნდა ვცადოთ გამოსახულების შეჯერება არქეოლოგიურ არტეფაქტთან, რათა საბოლოოდ დავრწმუნდეთ მის სანდოობაში. ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს სამ-განზომილებიანი ობიექტის (აღჭურვილობის) გადმოცემასთან ორგანზომილებიან გამოსახულებაში (ფრესკა, მინიატურა, ილუსტრაცია).[43] გასათვალისწინებელია მხატვრის ტექნიკური შესაძლებლობებიც, თუ რა მასალაზე (ლითონზე, ქვაზე) უწევს მას მუშაობა და აქედან გამომდინარე, რა შეზღუდვების წინაშე დგას იგი.

დღესდღეობით, შეიარაღების რეკონსტრუქციის პროცესში იკონოგრაფიული წყაროების სანდოობის საკითხი ყველაზე ამომწურავად განხილული აქვს პ. გროტოვსკის.[44] მას საგანგებოდ აქვს გამოკვლეული ბიზანტიურ

---

[40] Ada Bruhn Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," *Gladius*, V (1966), 31.

[41] Valeri Yotov, "A New Byzantine Type of Swords (7th-11th Centuries)," *Niš and Byzantium*, IX (2011), 116.

[42] Горбунов, "Методика реконструкции древнего оружия," 17.

[43] Piotr Grotowski, "Military Attire of Warrior Saints – Between Iconography and Written sources," paper presented at the 21st International Congress of Byzantine Studies (London, 2006), 2.

[44] იხ. მისი წიგნი Piotr L. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261)* (Leiden, 2010).

სამყაროში წმინდა მხედართა აღჭურვილობა და მისი დასკვნები აქტუალურია ქართული იკონოგრაფიის მიმართაც, რომლის მონაცემებს თავადაც აქტიურად იყენებს. ავტორის დასკვნით, რომელსაც მეც ვეთანხმები, ბიზანტიელი მხატვრები მხოლოდ კლასიკურ იკონოგრაფიულ სქემებს კი არ იმეორებდნენ, არამედ აქტიურად ნერგავდნენ ახალ ელემენტებსაც, რაც თანადროულ რეალობას ეფუძნებოდა. პ. გროტოვსკი კარგად აჩვენებს იმ ცვლილებებს, რომელსაც ბიზანტიური იკონოგრაფია განიცდიდა შეიარაღებაში მომხდარი რეალური ცვლილებების კვალდაკვალ, აგრეთვე, იმას, თუ როდის და რამდენად უნდა ვენდოთ იკონოგრაფიას იმდროინდელი აღჭურვილობის აღდგენისას.[45] პ. გროტოვსკის შეფასებით, რაც უფრო დაშორებულია მხატვარი (ან სამხატვრო სკოლა) იმპერიის ცენტრს, მით უფრო ნაკლები კონსერვატიზმია მის შემოქმედებაში. ის მიუთითებს ქართული ხელოვნების მნიშვნელოვან დამოუკიდებლობაზე და შეიარაღების ცალკეული ელემენტებისა და კონსტრუქციის მიმართ ისეთ ყურადღებაზე, რაც მთელ რიგ შემთხვევებში რეკონსტრუქციის კარგ შესაძლებლობას გვაძლევს.[46]

კანონიკური იკონოგრაფიული გამოსახულებების (ხატები, ფრესკები) გარდა, ინფორმაციის დიდი მასივია შემონახული მინიატურებში, რომელთაც ა. არციხოვსკიმ მოხდენილად უწოდა „სარკმელი გამქრალ სამყაროში".[47] თუმცა, აქაც უნდა გვახსოვდეს, რომ შუა საუკუნეების მხატვარი სულაც არ ცდილობდა დოკუმენტური მოწმობის დატოვებას მომავალი თაობებისათვის და მას საკუთარი, ხშირად ჩვენთვის უცნობი, მიზანი ამოძრავებდა.[48] ასევე ხშირი იყო ასლის გადაღება, რომლის დროსაც დედანი მახინჯდებოდა.[49] ამის საუკეთესო მაგალითი ორი ქართული დასურათებული დავითნია – H1665 და H75. ეს უკანასკნელი პირველის შერყვნილი და უხეში ასლია. საბედნიეროდ, დედანი გადარჩენილია და პირველხარისხოვან ინფორმაციას გვაწვდის თანადროული ეპოქის შეიარაღებაზე.

სამწუხაროდ, არც შუა საუკუნეების საერო მხატვრობით ვართ განებივრებულნი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა უფრო მეტი სიზუსტით დაგვედგინა შეიარაღება. ქართულ ხელნაწერებში „XVI საუკ. დამლევამდე, თითქმის არ ჩანს (ე. ი. არ შემოგვრჩა) წმინდა საერო სიუჟეტების შემცველ ხელნაწერთა დასურათების ნიმუშები".[50]

---

[45] მისი ნიგნის შეფასება იხ. Mamuka Tsurtsumia, "Book review: Piotr L. Grotowski. Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261). Leiden, Boston: Brill, 2010," *Byzantina Symmeikta*, 22 (2012), 363-9.

[46] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 401-2.

[47] А.В. Арциховский, *Древнерусские миниатюры как исторический источник* (Москва, 1944), 4.

[48] Pamela Porter, *Medieval Warfare in Manuscripts* (London, 2000), 6, 18.

[49] იქვე, 18.

[50] იუზა ხუსკივაძე, *ქართული საერო მინიატურა, XVI-XVIII საუკუნეები* (თბილისი, 1976), 5-6.

საერო მინიატურული მხატვრობა საკმაო მასალას განსჯისათვის მხოლოდ XVII საუკუნეში იძლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა „როსტომიანის" (S1580 მანუსკრიპტი), თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანის" (H559 მანუსკრიპტი) და „უთრუთიან-საამიანის" (S1594 მანუსკრიპტი) მინიატურები. როგორც თავის დროზე შენიშნა ლ. შერვაშიძემ, „ვეფხისტყაოსნის" მინიატურების ავტორი ცდილობს ყოველთვის ზუსტად ასახოს აღჭურვილობა და მისი დეტალები, სწორად გადმოგვცეს მისი ტარებისა და გამოყენების წესები.[51] უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ავტორი, რომელიც საერო პირია, ზუსტად გადმოგვცემს შუბის ჭერისა და ბრძოლის მანერას.

ვრცელი ბატალური სცენებიც მხოლოდ სვანეთში შემოგვრჩა. ლაშთხვერის მთავარანგელოზთა და ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის გარეთა კედლებზე გამოსახული ამირანის ეპოსის ამსახველი სცენები ეკლესიის კედელზე გამოსახული საერო სიუჟეტის ერთადერთ მაგალითებად რჩება.[52]

ცალკე აღნიშვნის ღირსია იტალიელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის მიერ XVII საუკუნეში შესრულებული ჩანახატების ალბომი. მისი ჩანახატები თვითმხილველის მიერ გადმოცემული უნიკალური წყაროა იმდროინდელი საქართველოს შესახებ, რომლის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეაფასო.

საბოლოოდ რომ დავასკვნათ, არსებულ ვითარებაში ყველა ის იკონოგრაფიული წყარო, რომელთაც ჩვენამდე მოაღწია (ბარელიეფები, ხატები, ფრესკები, მინიატურები, ნუმიზმატიკური მასალა), ფასდაუდებელ და, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ მონაცემს გვაწვდის შუა საუკუნეების ქართველი მებრძოლის აღჭურვილობის რეკონსტრუქციის საქმეში.

ნაშრომში გამოყენებული საკვლევი **მეთოდოლოგია**, ზოგადისტორიულის გარდა, მოიცავს ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ხელოვნებათმცოდნეობითი და ლინგვისტური კვლევის მეთოდებს; კვლევისას დაცულია ქრონოლოგიური და ისტორიზმის პრინციპები. მონაცემები დამუშავებულია კომპლექსური სისტემური მიდგომის საფუძველზე, რომლის დროსაც ხდება

იშვიათი გამონაკლისია 1188 წლის „ასტრონომიული ტრაქტატი", მაგრამ მისი დასურათება ჩვენ საგანს ცოტას თუ მატებს.

[51] Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 131, 141.

[52] იქვე, 136. ჩვენამდე არ მოუღწევია ბატალურ სცენებს, რომლებითაც საქართველოს მეფეთა სასახლეები ყოფილა მოხატული. გიორგი III-ის გარდაცვალებისას მემატიანე აღწერს სასახლის კედლებს: „იხილეს კედლებიცა სრისა სავსე მეომართა, რაზმები, სპები, მონასპები, ქალაქები და ციხეები აწყუედილი და ოპერ-ქმნილი". „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 25. რუსი ელჩები ნ. ტოლოჩანოვი და ა. იევლევი, რომლებიც 1650-52 წლებში სტუმრობდნენ იმერეთს, აღწერენ ქუთაისის სასახლის კედლის მხატვრობას, რომელიც ძველ მეფეთა ბრძოლებს ასახავდა. მიხეილ რეხვიაშვილი, *დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში* (თბილისი, 1978), 202.

წერილობითი წყაროების მონაცემების შეჯერება იკონოგრაფიულ მასალასა და მატერიალურ ნიმუშებთან. შედარებით-ტიპოლოგიური ანალიზის შედეგად ხდება ტიპოლოგიის დადგენა და შესაბამისი სქემების შემუშავება. განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული შედარებით-ისტორიული კვლევის მეთოდი, როდესაც ქართული სამხედრო საქმე განიხილება გარემომცველი სამყაროს ტაქტიკური და ტექნოლოგიური ცვლილებების კონტექსტში.

კვლევის შედეგებს აქვს **პრაქტიკული მნიშვნელობა** ყველა ისტორიკოსისათვის, ვინც ქართულ სამხედრო საქმეს შეისწავლის. მას ხელთ აქვს შუა საუკუნეების ქართული შეიარაღებისა და ტაქტიკის სურათი, იცის ქართული ლაშქრის შესაძლებლობები, რომელთა გათვალისწინებით შეუძლია შეიწავლოს ქართველთა მიერ ჩატარებული სამხედრო კამპანიები თუ ბრძოლები და მოახდინოს წარსულის ობიექტური რეკონსტრუქცია. ნაშრომის მიხედვით შესაძლებელია თვალი გავადევნოთ სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის ზეგავლენას ქართულ მატერიალურ კულტურაზე; შევაფასოთ ქართული საზოგადოების განვითარების დონე სხვადასხვა ეპოქებში. ასევე, ნაშრომი შეიძლება გამოვიყენოთ აღჭურვილობის კონკრეტული ნიმუშების ატრიბუციისათვის, კატალოგების შესადგენად თუ გამოფენების მოსაწყობად, რაც განსაკუთრებით ფასეულია მუზეუმის თანამშრომელთათვის.

თავი I

სამხედრო ორგანიზაცია შუა საუკუნეების საქართველოში

ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობა და კომპლექტაცია

ყოველი ერის სამხედრო ორგანიზაცია მისივე სოციალურ წყობას ასახავს, ისე რომ, ერთის ცვლილების შემთხვევაში, მეორეც იცვლება: სოციალური ცვლილებები აისახება სამხედრო ორგანიზაციაზეც. სოციალური ორგანიზაცია განაპირობებს ერის სამხედრო კომპონენტის შემადგენლობას, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ტაქტიკას.[1]

ცხადია, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ორგანიზაციის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო საქმის კვლევისას. ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი წყობა ჰგავს დასავლეთევროპულ ფეოდალიზმს.[2] ამ დებულებას ყველა ქართველი ისტორიკოსი იზიარებს.[3]

ქართული ფეოდალიზმის ევროპულთან მსგავსება ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან მოყოლებული შენიშნეს ევროპელმა მოგზაურებმა და, შემდგომ,

---

[1] ტაქტიკას ასევე განაპირობებს შეიარაღება და მოწინააღმდეგე.

[2] გულჩინა აკოფაშვილი, „ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და ტიპოლოგიის საკითხები“, *სფხის*, VI (1990), 4; გივი ჯამბურია, *ქართული ფეოდალიზმის საკითხები* (თბილისი, 2007), 5. ქართული ფეოდალიზმის კვლევის დასაწყისის ისტორიოგრაფიული მიმოხილვა იხ. სიმონ ჯანაშია, „ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის (ისტორიოგრაფიული მიმოხილვა)“, *შრომები*, ტ. V (თბილისი, 1987), 276-309. ქართული პატრონყმობის კვლევის საკითხში, ს. ჯანაშია აკადემიკოს მარი ბროსეს ყველაზე დიდ დამსახურებად მიიჩნევდა, რომ მან პირველმა წარმოგვიდგინა საქართველოს სოციალური წყობა ფეოდალიზმის სახით და აღნიშნა მისი მსგავსება ევროპის ქვეყნებთან. იქვე, 283-4.

[3] ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ქართული პატრონყმობა გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალურს წესწყობილებას“. ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, *თხზულებანი*, ტ. VI (თბილისი, 1982), 249. მას ეთანხმება ს. ჯანაშიაც, რომელიც თვლის, რომ პატრონყმობა არის „ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამხედრო სამსახურის პირობით“. სიმონ ჯანაშია, „ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის“, *შრომები*, ტ. II (თბილისი, 1952), 434. გ. მამულიასა და ე. ხოშტარია-ბროსეს აზრით, ქართული *პატრონყმობის* ინსტიტუტი იგივე ევროპული *ვასალიტეტია*. გურამ მამულია, *პატრონყმობა* (თბილისი, 1987), 5; ედიშერ ხოშტარია-ბროსე, „ქართული „პატრონყმობა“-„ბატონყმობა“ (ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი)“, *შოთა მესხია 90* (თბილისი, 2006), 89-90. ი. ანთელავა ქართულ ფეოდალიზმს ტიპოლოგიურად დასავლეთევროპულის მსგავსად თვლიდა. ილია ანთელავა, „ერთიანი მონარქიის დაშლა და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა“, *მიაქის*, 2 (1978), 169-70.

რუსმა მოხელეებმა.[4] მკვლევარი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, რომელიც 1843 წელს იმყოფებოდა საქართველოში, წერდა, რომ „ქართველი ხალხის ორგანული დაყოფა და მთელი წყობა... ესაა ფეოდალური წყობა, მთლად გერმანულ-რომანულის ანალოგიური".[5]

რით ემსგავსება ქართული ფეოდალიზმი ევროპულს? მ. ბლოკის ფორმულირებით, საზოგადოებას მხოლოდ მაშინ შეიძლება ეწოდოს ფეოდალური, თუკი დადგინდება მისი მსგავსება ევროპული ფეოდალიზმის ძირითად ნიშნებთან.[6] ასეთ ნიშნებად ბლოკს მიაჩნდა დაქვემდებარებული გლეხობა, პროფესიონალ მეომართა კლასის ბატონობა, პირადი დამოკიდებულება მფარველობისა და მორჩილების პირობით (ვასალიტეტი), მიწა (ჯამაგირის ნაცვლად) მსახურების საზღაურად, ძალაუფლების ფრაგმენტაცია.[7]

უკლებლივ ყველა ეს ნიშანი სახეზეა ქართულ სინამდვილეში: ევროპის მსგავსად, შუა საუკუნეების საქართველოში ნატურალური მეურნეობა იყო გაბატონებული და მიწა საკუთრების უმთავრესი ფორმას წარმოადგენდა; მიწაზე მონოპოლიურ საკუთრებას ფეოდალები ფლობდნენ; დაყმევებული გლეხობა თავისი შრომით (ბეგარით) ინახავდა თავად-აზნაურთა კლასს, რომელიც პროფესიონალ მებრძოლებს წარმოადგენდნენ; ჩამოყალიბებული იყო საერო და სასულიერო მიწათმფლობელობის სენიორალური სისტემა;[8] ქვეყანა დაქსაქსული იყო ფეოდალურ სამფლობელოებად („სიმრავლე მთავართა"); ფეოდალი ფლობდა იმუნიტეტს („შეუვალობა") ანუ საგადასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციულ პრივილეგიებს;[9] საქართველოში არსებობდა მრავალსაფეხურიანი განვითარებული ვასალიტეტი.[10]

---

[4] გურამ ყორანაშვილი, „ქართული ფეოდალიზმის განვითარების ზოგიერთი თავისებურების შესახებ (IV-XII სს.)", *მიაები*, 4 (1981), 125.

[5] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი, *საქართველოს შესახებ: XIX საუკუნის პირველი ნახევარი*, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებელები დაურთო გია გელაშვილმა (თბილისი, 2011), 108.

[6] Marc Bloch, *Feudal Society* (Chicago, 1961), 441, 446.

[7] იქვე, 443-6.

[8] რისი უტყუარი ნიშანიც საქართველოს ტერიტორიაზე განფენილი ფეოდალური ციხესიმაგრეების ფართო ქსელია. დავით მუსხელიშვილი, „ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისათვის (IV-X საუკუნეები)", *მიაები*, 2 (1980), 157; მისივე, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემატიკა და მისი კვლევის მდგომარეობა", *მიაების*, 1 (1986), 171-2.

[9] ი. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ დასავლეთ ევროპასთან შედარებით ქართული იმუნიტეტი ნაკლები მასშტაბებისა და უფლებების იყო. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 252. იგივე აზრისაა მ. დუმბაძეც, რომლის მიხედვითაც, ევროპისაგან განსხვავებით, საქართველოში შეუვალობა ძირითადად საგადასახადო სფეროზე ვრცელდებოდა და მხოლოდ მოგვიანებით, სათავადოების გაჩენისა და გაძლიერების შემდეგ, გვხვდება ხანდახან სასამართლო შეუვალობაც. მალხაზ დუმბაძე, „ვასალიტეტი XI-XII საუკუნეების საქართველოში", *მიაების*, 4 (1980), 88-9. მათგან განსხვავებით, გ. ჯამბურიამ აჩვენა, რომ ქართული იმუნიტეტი თავისი შინაარსით ევროპულს უახლოვდებოდა. ჯამბურია, *ქართული ფეოდალიზმის საკითხები*, 46-64.

[10] ეს იერარქიული კიბე (კლდეკარის ერისთავი, აზნაური, მსახური) ერისთავთერისთავ

ფეოდალიზმის, როგორც სისტემის საფუძველი იყო პატრონსა და ქვეშევრდომს შორის პირად ურთიერთობებზე და მიწის ფლობაზე დაფუძნებული სამხედრო ვალდებულება.[11] ვასალიტეტი სენიორისა და ვასალის ურთიერთვალდებულებებს ემყარებოდა. მფარველობის წილ, სენიორი ვასალისაგან ერთგულებასა და სამსახურს ელოდა. სავსებით სწორად შენიშნავს მ. დუმბაძე, რომ ევროპის მსგავსად, საქართველოში ვასალიტეტი გამოიხატებოდა სენიორისადმი ერთგულ სამსახურში და, პირველ რიგში, მხედრულ სამსახურში: „ყოველი კარგი და „პატრონთაგან შეწყალებული" ყმა უნდა „მსახურებდეს... მონებით ყმებრივითა".[12]

ვასალური ხელშეკრულების გაფორმების (კომენდაციის) ქრესტომათიული აქტია IX საუკუნეში ლიპარიტ ბაღვაშის მიერ დავით I კურაპალატის პატრონად გამოცხადება: „შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე".[13] ლიპარიტი კურაპალატის ვასალი ხდება დაპყრობილი მიწით, ამ აქტში გაერთიანებულია ფიეფი (ფეოდი) და ვასალობა, რაც სწორედ ფეოდალიზმისათვისაა დამახასიათებელი და ჩანს ვასალური კავშირის ორი მთავარი ელემენტი: „პიროვნული" (ყმობის აღიარება) და „რეალური" (მიწა, ფიეფი).[14] ვასალის (ლიპარიტის) უპირველესი მოვალეობა პატრონის (დავით კურაპალატი) წინაშე სამხედრო სამსახურია, რასაც ის ასრულებს კიდეც, როდესაც დავითის მხარდამხარ იბრძვის ნასრას, გუარამ მამფლის ძის, წინააღმდეგ.[15]

ლიპარიტის ვასალების („ყოველნი ერთგულნი") მაგალითზე განხილული აქვს მ. ბერძნიშვილს. მამისა ბერძნიშვილი, *საქართველო XI-XII საუკუნეებში (სოციალურ-ეკონომიური ნარკვევი)* (თბილისი, 1970), 59, 95. 1047 წლით დათარიღებული ხელნაწერის მინაწერში ვკითხულობთ: „უფალო, შეიწყალენ ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და ყოველნი მსახურნი ერისთავთა ერისთვისა, მაკისტროზისა ლიპარიტისნი, და დაიცვენ". ასეთივე შინაარსის მინაწერია 1048 წლის ხელნაწერზეც: „უფალო იესუ ქრისტე, შეიწყალენ და დაიცვენ ყოველნი ერისთავნი და აზნაურნი, მღდელნი და დიაკონნი, მსახურნი და, რასაღა განვამრავლებდე სიტყუათა, ყოველნი ერთგულნი, ადიდენ ღმერთმან, ძლიერისა ერისთავთა ერისთვისა და მაგისტროზისა ლიპარიტისნი". ვალერი სილოგავა, „ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური ნიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები", *Dedicatio: ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი* (თბილისი, 2001), 265, 272. ლიპარიტის „ერთგულნი" მისი ვასალები არიან.

[11] Nicholson, *Medieval Warfare*, 46. ფეოდალიზმის თეორია დღეს მძაფრ კრიტიკას განიცდის ზოგიერთი ისტორიკოსის მხრიდან, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ასეთი მოდელი ძალიან მარტივია შუა საუკუნეების ევროპაში სამხედრო ვალდებულების ყველა ასპექტის ასახსნელად. მართლაც, მიწას ყოველთვის სამხედრო სამსახურის პირობით არ ფლობდნენ და ლაშქრად გამოსვლას, მიწის გარდა, თანამდებობაც განაპირობებდა. იქვე, 44-6. ფეოდალიზმის კონცეფციის ყველაზე მძაფრი კრიტიკისათვის იხ. Susan Reynolds, *Fiefs and Vassals: The Medieval Evidence Reinterpreted* (Oxford, 1994). მიუხედავად ამისა, მთელი რიგი დაშვებების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ფეოდალიზმის ტრადიციული თეორია მაინც რჩება ისტორიკოსის სამუშაო იარაღად.

[12] დუმბაძე, „ვასალიტეტი XI-XII საუკუნეების საქართველოში", 86.

[13] „მატიანე ქართლისა", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 258.

[14] ვასალური კავშირის კლასიკური გაგებისათვის იხ. Jean-Pierre Poly and Eric Bournazel, *The Feudal Transformation, 900-1200*, translated by Caroline Higgitt (New York, 1991), 47.

[15] „მატიანე ქართლისა", 258-9; ჯამბურია, *ქართული ფეოდალიზმის საკითხები*, 26.

შუა საუკუნეების საზოგადოებაში, სადაც სოფლის მეურნეობა დომინირებდა, მიწა იყო სიმდიდრისა და ძალაუფლების წყარო. მიწის, მამულის ფლობა კი პირდაპირ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურთან, რაც კარგად არის გადმოცემული XVII საუკუნის ერთ საბუთში: „მეფეს მამულიც ეძლია სადიდკაცო, რადგან მამულის მქონებელს ლაშქარი, პირობა და სამსახური მეფისა ქონიათ...“[16] მიწის ნაკვეთის მფლობელიდან იარაღით სამსახურს ელოდნენ, ამიტომაც, მიწის მიცემა-წყალობა უშუალოდ იყო დაკავშირებული ამირსპასალარის, უმაღლესი სამხედრო მოხელის, სახელოსთან: „ამირ-სპასალარი საბატიო ვეზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების“.[17] გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში ჩანს, რომ მამულის ფლობა დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან და ეს ვალდებულება მემკვიდრეს მამულთან ერთად გადაეცემოდა: თუ სიბერის გამო „მამას სამსახური არ შეეძლოს... შვილმან მამულით გუმსახუროს“.[18] იმავე სამართლის ნორმით, უპატრონოდ დარჩენილი მამულის („ბეითალმან პარტახტის“) მიმღებს „საჯარო და სალაშქრო“ სამსახური ეკისრებოდა.[19]

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ჯარის ფორმირების პრინციპი ფეოდალურ საზოგადოებაშიც არ იყო ერთგვაროვანი და მიწის ფლობის გარდა, სხვა ვალდებულებაზეც იყო დაფუძნებული. ასე მაგალითად, სამხედრო ვალდებულები იყვნენ და ომის დროს ლაშქარი გამოყავდათ ერთიანი ქართული მონარქიის დიდმოხელეებს – ერისთავებს, რომელთაც ეს ვალდებულება დაკავებული თანამდებობის კვალობაზე ჰქონდათ დაკისრებული.[20]

ფეოდალიზმისა და მასთან დაკავშირებული სამხედრო ვალდებულების ზოგადი პრინციპების მიმოხილვის შემდეგ, უკვე შეგვიძლია გადავიდეთ ქართული ფეოდალური ლაშქრის სოციალური შემადგენლობის განხილვაზე.

ფეოდალთა ნიჟ: დიდებული (თავადი) და აზნაური

სიტყვა „ერი“ ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ხალხსაც აღნიშნავდა და ჯარსაც.[21] ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ჯარი ხალხის ფართო მასებისაგან გამოდიოდა, სადაც ყოველი მამაკაცი სამხედროვალდებულად განიხილებოდა. შემდგომში, ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, „ერი“ ჯარის მნიშვნელობას ჰკარგავს და მის ნაცვლად „სპა“ და

---

[16] *ქსძ*, III, 527.

[17] „გარიგება ჯელმწიფის კარისა“, *ქსძ*, II, 96.

[18] „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ“, *ქსძ*, I, 409.

[19] იქვე, 413.

[20] შუა საუკუნეებში თანამდებობასთან დაკავშირებული სამხედრო ვალდებულება კაროლინგების მაგალითზე აღნიშნული აქვს ს. რეინოლდსს. Reynolds, *Fiefs and Vassals*, 111-4.

[21] ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, 192. „ერი“ ლაშქრის მნიშვნელობით მთელი ადრეული ფეოდალიზმის ხანაში ხმარებიდან არ გამოსულა“. ანრი ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში* (თბილისი, 1979), 202.

„ლაშქარი" შემოდის.[22] ა. ბოგვერაძე სამართლიანად მიიჩნევდა, რომ ახალი ტერმინების დამკვიდრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ღრმა ცვლილებებს ასახავდა და ერის ზედა ფენების სოციალური დაწინაურება მათ უკეთესი შეიარაღების საშუალებას აძლევდა, რაც სამხედრო ორგანიზაციაშიც იწვევდა ცვლილებებს.[23] ადრეფეოდალურ ხანაში თავისუფალი მიწისმოქმედნი შეიარაღებული ძალების საფუძველი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ნაწილი იყო. ფეოდალურ ურთიერთობათა გაღრმავებას მოყვა მათი დაყმევება და ცხენოსანი ლაშქრის როლის და რაოდენობის ზრდა. ცხენოსანი ბრძოლის ტაქტიკის განვითარება და შეიარაღების შემდგომი გაუმჯობესება ანუ სიმძიმის და, შესაბამისად, ფასის ზრდა საზოგადოების სულ უფრო მცირე ნაწილს აძლევდა მისი ფლობის საშუალებას. **მიწის ნაკვეთის სიდიდე პირდაპირ იყო დაკავშირებული მისი პატრონის აღჭურვილობის ხარისხთან**. საზოგადოების ზედა ფენა (დიდებულ-აზნაურები) უპირველესი მიწისმფლობელები იყვნენ, რაც განაპირობებდა მათ სამხედრო პოტენციალსა და ვალდებულებასაც. ამ წრისათვის სამხედრო საქმიანობა უკვე პროფესიას წარმოადგენს.[24]

შუა საუკუნეების ევროპას ხშირად უწოდებენ „საზოგადოებას ორგანიზებულს ომისათვის", რაც იმას ნიშნავდა, რომ იმდროინდელი საზოგადოებისა და მისი ელიტისათვის ომი იყო ჩვეული, ყოველდღიური საქმიანობა.[25] ეს სიტყვები თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან მიმართებაშიც. არისტოკრატიისათვის სამხედრო სამსახური, მოვალეობის გარდა, პრივილეგიაც იყო. არისტოკრატიის წევრი აზნაურნი, შერაცხილნი[26] სამეფო კარზე არიან წარმოდგენილნი და „მხედართა", მეომართა სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ეს კარგად ჩანს „მამათა სწავლანში", სადაც მხედართა წრეში ყოფნა აშკარა პრივილეგიაა, განსხვავებით იმათგან, „რომელი დივანსა მეფისასა არა დაწერილნ არნ და რიცხუსა მჴედართასა არა შერაცხილ არნ".[27] ლაშქარში ყოფნა, ევროპის მს-

---

[22] იქვე, 193. სიტყვა „ლაშქარი" X საუკუნეში უკვე დამკვიდრებულია ქართულ მეტყველებაში, რის გამოც ი. ჯავახიშვილი მის შემოსვლას IX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარაუდობს. ივანე ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, ტ. III-IV (თბილისი, 1962), 213-5. ეს დიფერენცირებული, ერისაგან გამოყოფილი სპა და ლაშქარი ი. ჯავახიშვილს დასავლეთევროპულ რაინდობას აგონებს. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 223.

[23] ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, 211.

[24] მებრძოლის, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბება იწყება მაშინ, როდესაც მისი აღჭურვილობის საფასური საგრძნობი ხდება. Richard Barber, "When is a Knight not a Knight?" in *Medieval Knighthood V: Papers from the Sixth Strawberry Hill Conference 1994*, ed. by S. Church and R. Harvey (Woodbridge, 1995), 4.

[25] Stephen Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings 1066-1135* (Woodbridge, 1994), 19-20.

[26] შერაცხილის სოციალური შინაარსისათვის იხ. ტარასი ახალაია, „შერაცხილის" სოციალური ისტორია", *მიაქხის*, 4 (1987), 68-73.

[27] *მამათა სწავლანი: X და XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით*, გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით (თბილისი, 1955), 107; ახალაია, „შერაცხილის" სოციალური ისტორია", 72.

გავსად, საქართველოშიც ყოველი კეთილშობილის საპატიო უფლება იყო. დასჯის მიზნით, დამნაშავეს ამ უფლებას ჩამოართმევდნენ ხოლმე. 1263 წლის საეკლესიო კრების ძეგლისწერის მიხედვით, შერისხული კაცი ხელისუფლების მიერ „ლაშქართა შიგან არ შეშუებულა".[28]

ერის დაწინაურებულ ფენას, არისტოკარტიას, საქართველოში აზნაური ერქვა. აზნაური ირანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ცნობილს, წარჩინებულს.[29] აზნაურის თავდაპირველი მნიშვნელობა „თავისუფალი" იყო, როგორც ეს ჩანს ქართული ოთხთავისა და ბიბლიის უძველეს ტექსტებში.[30] დროთა განმავლობაში აზნაური კეთილშობილის მნიშვნელობით მკვიდრდება. ლეონტი მროველის ცნობაში, იბერიის მეფე საურმაგის მიერ აზნაურთა წარჩინებულებად გახდომის შესახებ („წარჩინებულ ყვნა აზნაურნი"),[31] უთუოდ არეკლილია თავისუფალთა (აზატთა) ერთი ნაწილის გაკეთილშობილების პროცესი სამხედრო სამსახურის გზით.[32]

აზნაურის უპირველესი მოვალეობა სამხედრო სამსახური იყო; ამიტომაცაა, რომ ვახუშტი აზნაურობის მთავარ მახასიათებლად, ჩამომავლობის (გვარის) შემდეგ, ციხეს („სიმაგრე რაჲმე"), ცხენ-იარაღს („ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა") და კარავს („კარავითა და მათითა გაწყობილებითა") ასახელებს: „ხოლო აზნაურსა აქუნდა გუარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაჲმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა, კარავითა და მათითა გაწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად".[33] ვახუშტის მიხედვით, აზნაურს, სულ ცოტა, ორი ცხენი, საბრძოლო და სათადარიგო (მარქაფა), უნდა ჰყოლოდა. მას მესამე ცხენიც – სატვირთო (სატალახე), რომელიც აღჭურვილობა-კარვის საზიდად იყო აუცილებელი, ეყოლებოდა.

მძიმე აღჭურვილობა (ლითონის მუზარადი, აბჯარი და ა.შ.) აზნაურთა წრის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ტ. ახალაიამ ყურადღება მიაქცია, რომ ოშკის ბიბლიის (X ს.) ქართველმა მთარგმნელმა მეფეთა პირველი წიგნის ბერძნულ ტექსტში აღწერილ შეიარაღებულ გოლიათში აზნაური „ამოიცნო" და ასეც თარგმნა ეს მონაკვეთი: „სახელი მისი გოლიად... აზნაურად ჭურვილი ჯაჭუთ ჩაბალახითურთ" (I მეფეთა, 17.4-5). მკვლევრის სამართლიანი

---

[28] *ქსძ*, III, 163; ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 223-4.

[29] მზია ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან* (თბილისი, 1966), 220-1.

[30] სიმონ ჯანაშია, „აზნაური", *შრომები*, ტ. V (თბილისი, 1987), 310; ანრი ბოგვერაძე, *ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან* (თბილისი, 1961), 92-3.

[31] ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 27.

[32] ბოგვერაძე, *ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან*, 95.

[33] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 17-8.

განმარტებით, „ის გარემოება, რომ ქართველმა მთარგმნელმა „ჯაჭვ-ჩაბალახოსან“ მეომარში სოციალურად აზნაური შეიცნო, იმის უცილებელი მოწმობა უნდა იყოს, რომ „ჯაჭვ-ჩაბალახი“ ქართლის წარჩინებულთა სოციალური ფენის გარეგნული „მიუცილებელი“ ნიშანი იყო და რომ „ჯაჭვ-ჩაბალახში“ ჩაჯდომა „აზნაურული წესით“ შეჭურვას ნიშნავდა“.[34]

აზნაურთა ფენა IX-X საუკუნეებისათვის უკვე დიფერენცირებულია და მათში გამოირჩევა „დიდი აზნაური“.[35] „დიდი აზნაური“, „დიდებული აზნაური“ (დიდებული) მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიაა და ეკონომიკური შეძლებითა (დიდი მამული) და პოლიტიკური გავლენით (თანამდებობა, ციხეები, მრავალრიცხოვანი ყმა) ხასიათდება. *მემამულე*, შთამომავლობით აზნაურთა გვერდით არსებობდნენ *მოსაკარგავე* აზნაურებიც, რომლებიც სამეფო ხელისუფლებიდან დროებითი მფლობელობის ფორმით და სამსახურის პირობით იღებდნენ *საკარგავს* (უმრავლეს შემთხვევაში, მიწის ნაკვეთს).[36]

XV საუკუნეში საქართველოში დიდებულები თავადთა წოდების სახით ჩამოყალიბდნენ. XV საუკუნის შემდეგ სათავადოთა სისტემაში მოქცეული აზნაურთა ფენა განიცდის დამცრობას და კარგავს დამოუკიდებლობას. აზნაური აღარ არის თავისი მამულის ერთადერთი მესაკუთრე და იყოფს ამ უფლებას ბატონთან.[37] XVI-XVII საუკუნეებში აზნაურობა საბოლოოდ მოექცა მეფის, თავადისა და ეკლესიის დამოკიდებულებაში.[38] საქმე იქამდე მივიდა, რომ დასავლეთ საქართველოში, ზოგ შემთხვევაში, აზნაურები, მსახურთა მსგავსად, მსუბუქად დაიბეგრნენ კიდეც გამასპინძლებით („პურის ჭამით“).[39] ამ დროისათვის ვახტანგ VI-ის სამართალი სამი ხარისხის აზნაურს განარჩევს: დიდ, შუა და ცალმოგვ აზნაურს, რომელთა სისხლის ფასი ერთიორად აღემატება უფრო დაბალ საფეხურზე მდგომისას.[40]

ფეოდალურ საქართველოში აზნაურ-დიდებულთა ფენა მიწის ყველაზე დიდ ნაკვეთებს ფლობდა, რაც აპირობებდა მათ ფინანსურ კეთილდღეობას

---

[34] ტარასი ახალაია, „მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში“, *მიაჭხის*, 4 (1992), 54.

[35] მხოლოდ „შუშანიკის წამების“ XI ს. ხელნაწერის ცნობაზე დაყრდნობით, უფრო ადრე, V-VII საუკუნეებში, აზნაურთა დიფერენცირება უსაფუძვლო ჩანს. იხ. ბოგვერაძე, *ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან*, 97-101, 141-2.

[36] ჯანაშია, „აზნაური“, 310-1.

[37] გ. აკოფაშვილი თვლიდა, რომ კახეთის სამეფოში აზნაურებმა, გამონაკლისის სახით, ძირითადად მოახერხეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. გულჩინა აკოფაშვილი, „აზნაურთა ფენა XV-XVIII სს. კახეთში“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, 3 (1968), 89-103. საწინააღმდეგო აზრი გააჩნია ამ საკითხზე გ. ჯამბურიას, რომელმაც დაასაბუთა, რომ კახეთის სამეფოშიც აზნაურები თავადებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ჯამბურია, *ქართული ფეოდალიზმის საკითხები*, 153-61.

[38] ჯანაშია, „აზნაური“, 311-2.

[39] სარგის კაკაბაძე, „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის“, *საისტორიო კრებული*, I (1928), 13; მისივე, „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის“, *საისტორიო კრებული*, III (1928), 28; მანანა სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში* (თბილისი, 1979), 163.

[40] „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“, *ქსძ*, I, 489.

და, შესაბამისად, შეიარაღების მაღალ ხარისხს. შუა საუკუნეების საქართველოში აზნაურები და დიდებულები (თავადები) შეიარაღებული ძალების ელიტა და ქართული ლაშქრის ყველაზე კარგად აღჭურვილი მებრძოლები – მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები იყვნენ. საბრძოლო წყობაში ისინი არავის დაუთმობდნენ წინა ხაზზე ბრძოლის პრესტიჟს, რასაც ხელს უწყობდა მათი საუკეთესო თავდაცვითი აღჭურვილობაც.

მსახური

დიდებულ-აზნაურთა ფენა საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო და კარგი შეიარაღებისა და ელიტარულობის მიუხედავად, შეუძლებელია დამოუკიდებლად შეესრულებინათ სახელმწიფოს წინაშე მდგომი სამხედრო ამოცანების მთელი სპექტრი. მეტიც, ისინი საკმარისი არ იყვნენ არმიის, თუნდაც, მხოლოდ ცხენოსანი კომპონენტის სრულფასოვანი დაკომპლექტებისთვის. ამისათვის მათ დამხმარე ესაჭიროებოდათ. თავად-აზნაურთა გარდა, ვინ იყო მოლაშქრე საქართველოში, ვინ შეადგენდა ქართული ფეოდალური ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს?

ნ. ბერძენიშვილის აზრით, XII საუკუნემდე ქართული ფეოდალური ლაშქრის ძირითად ნაწილს ე.წ. მდაბიორ-მოლაშქრენი ქმნიდნენ, რომლებიც ერთის მხრივ, მატერიალური დოვლათის მწარმოებლები და პირადად თავისუფალნი იყვნენ, მეორეს მხრივ კი, ლაშქრობა ევალებოდათ: „მდაბიორ-მოლაშქრის ფეოდალური მოვალეობის შესრულების საფუძველი სრულფუძიანობა იყო". XII საუკუნეში გაღარიბებულ მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენა გაქრა, ის გლეხობაში გადავიდა.[41] მდაბიორ-მოლაშქრეთა შესახებ ამ შეხედულებას იზიარებდა მ. ბერძნიშვილი.[42]

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება გააკრიტიკა ქ. ჩხატარაიშვილმა, რომელმაც მდაბიორ-მოლაშქრეს ხელოვნური ტერმინი უწოდა და ევროპელ მინისტერიალებთან ასოციაციით, მსახური, ქვედა ფენებიდან დაწინაურებული ცხენზე ამხედრებული მებრძოლი, ჩათვალა ქართული „ლაშქრის ძირითად, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან მასად".[43] ჩხატარაიშვილის პოზიცია გაიზიარა გ. აკოფაშვილმა, რომელმაც მსახური მიიჩნია ფეოდალური საქართველოს მოლაშქრედ. მისი ლოგიკური არგუმენტით, მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენა, რომც არსებულიყო, XII საუკუნეში ვერ გაქრებოდა, რადგანაც ეს ეპოქა ხშირი და წარმატებული ლაშქრობების ხანაა, რაც პირიქით, ხელს შეუწყობდა მოლაშქრეთა აღმავლობას (რაც მოხდა კიდეც მსახურთა ფენასთან მიმართებაში).[44]

---

[41] ნიკო ბერძენიშვილი, „საქართველო XI-XVIII საუკუნეებში", *სის*, წ. VI (თბილისი, 1973), 55-60.

[42] ბერძნიშვილი, *საქართველო XI-XII საუკუნეებში*, 25, 83.

[43] ქველი ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში („ლაშქარ-ნადირობა" და მისი სოციალური არსი)* (თბილისი, 1979), 32, 107-19.

[44] გულჩინა აკოფაშვილი, *ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან XI-XII სს. საქართველოში* (თბილისი, 1984), 69-71.

მსახურთა შესახებ იგივე აზრის იყო ზ. რატიანი: „მსახურთა ინსტიტუტმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. სწორედ მსახურნი ... იყვნენ საქართველოს სამხედრო პოტენციალის მთავარი ძალა".[45]

ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია დაიცვა ე. ხოშტარია-ბროსემ. ქართული წყაროების „ერი", „წვრილი ერი" ანუ ადრეფეოდალური ხანის თავისუფალი მიწისმოქმედნი მან გააიგივა *მდაბიორ-მოლაშქრესთან* და უარყო ამ ტერმინის ხელოვნურობა. მისი აზრით, XII საუკუნემდე, „სწორედ „ერი" („წვრილი ერი") იყო ამ ხანის ქართული ლაშქრის, კერძოდ, მისი „არაფეოდალური" ნაწილის „ძირითადი მასა".[46] ე. ხოშტარია-ბროსემ ეჭვი შეიტანა მსახურთა წრის მრავალრიცხოვნობაში და ლაშქრის სოციალური შემადგენლობის განმსაზღვრელად რაოდენობრივი კრიტერიუმი შემოიტანა. მკვლევარი თვლიდა, რომ ევროპულისაგან განსხვავებით, ქართული ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო და ათეულობით ათას მეომარს მოითვლიდა: „ქართული ლაშქრის სოციალურ შემადგენლობაზე მსჯელობისას რაოდენობრივი მხარეც უნდა იქნეს გათვალისწინებული. მარტო მსახურები, ალბათ, ვერ შექმნიდნენ ამ ლაშქრის „ძირითად მასას".[47]

ბერძენიშვილისა და ჩხატარაიშვილის პოზიციების მორიგება სცადა დ. გოგოლაძემ. მისი აზრით, ბერძენიშვილის „მდაბიორ-მოლაშქრე" იგივე „მსახურ-მოლაშქრეა".[48]

პასუხად, ქ. ჩხატარაიშვილი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ საქართველოში ადრეფეოდალური ურთიერთობების პერიოდი VIII საუკუნეში დამთავრდა და უარყო თავისუფალთა ფართო ფენის არსებობა შემდგომ ხანაში.[49] საბოლოოდ, კამათის არსი დავიდა ტერმინების (მდაბიორ-მოლაშქრე, წვრილი ერი, თავისუფალი) და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის (თუ როდის დამყარდა განვითარებული ფეოდალიზმი საქართველოში) განხ-

---

[45] ზურაბ რატიანი, „მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის", *მიაჲხის*, 3 (1974), 152.

[46] ედიშერ ხოშტარია-ბროსე, „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის (ფეოდალური ლაშქრის სოციალური შედგენილობის შესახებ)", *მიაჲხის*, 4 (1981), 114, 118; მისივე, „ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში გამოყენებული ტემინების „ერის" და მისგან ნაწარმოები „ერისაგანის", „ერისკაცის" და „საეროს" სოციალურ-სამართლებრივი ასპექტები", *მიაჲხის*, 2 (1990), 123-4, 128.

[47] ხოშტარია-ბროსე, „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის", 114-5. ავტორის შეცდომის სათავე გახლავთ მოსაზრება, რომ აღმოსავლური არმიები ასობით ათას მეომარს ითვლიდა. იქვე, 115.

[48] დერმიშა გოგოლაძე, „სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში", *მიაჲხის*, 3 (1981), 161. მკვლევრის ეს მცდელობა არ ითვალისწინებდა ნ. ბერძენიშვილის მთავარ შეცდომას, რომელიც მოლაშქრეს მიწისმოქმედად მიიჩნევდა. ნიკო ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორია XIII-XIV სს.", *სის*, წ. II (თბილისი, 1965), 51.

[49] ქველი ჩხატარაიშვილი, *თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში* (თბილისი, 1991), 79-88. მან უარყო *ნიკორწმიდელის დაწერილში* თავისუფალთა მოხსენიება, თუმცა მისი არგუმენტები მ. ბერძნიშვილის მოსაზრებების კრიტიკას არ გასცდენია. იქვე, 79-82. *ნიკორწმიდელის დაწერილში* თავისუფალ მიწისმოქმედთა სახელობითი ჩამონათვალი და მათი განსაზღვრის კრიტერიუმები იხ. ბერძნიშვილი, *საქართველო XI-XII საუკუნეებში*, 26-8.

ილვამდე, იქამდე, იყვნენ თუ არა თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში XI-XII საუკუნეებში.[50]

როგორც ვხედავთ, ქართული ფეოდალური ლაშქრის შემადგენლობის დადგენისას, მთავარი პრობლემა, რასაც ქართული ისტორიოგრაფია აწყდება, გახლავთ მოლაშქრის სოციალური შინაარსის განსაზღვრა. ყველა თანხმდება უმაღლესი ეშელონის – დიდებულ-აზნაურთა შესახებ, მაგრამ დავას იწვევს მოლაშქრის (მსახური თუ ე.წ. მდაბიორ-მოლაშქრე) ვინაობა და ადგილი ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში. საკითხის გადასაწყვეტად ჯერ უნდა გავარკვიოთ კამათის საგანი – თუ რას წარმოადგენდა მოლაშქრე და შემდეგ ვიმსჯელოთ მის სოციალურ შემადგენელზე. ფეოდალურ საქართველოში მოლაშქრე იყო მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი მებრძოლი, რომელიც ძვირადღირებულ თავდაცვითა და შეტევით აღჭურვილობას, ცხენებსა და ბრძოლის სპეციფიკურ ხერხებს ფლობდა. ცხენზე ამხედრებული მძიმედ შეჭურვილი მებრძოლი კი შეუძლებელია მასობრივად გამოდიოდეს „ერისგან" ანუ თავისუფალი მიწისმოქმედებისგან, როგორც ეს მიაჩნდათ ნ. ბერძენიშვილსა და ე. ხოშტარია-ბროსეს. იმდროინდელი სამხედრო რეალიების გათვალისწინებით, თავისუფალი მიწისმოქმედის მიერ მოლაშქრედ გასვლა პრაქტიკულად გამორიცხული იყო ორი ძირითადი მიზეზის გამო:

ა) VIII საუკუნიდან, უზანგის მასობრივი გავრცელების შემდეგ, ცხენოსნის აღჭურვილობა დამძიმდა და გაძვირდა. შეირაღების დამძიმებამ და გაუმჯობესებამ გახადა ის ძვირი, და, ამავე დროს, ძნელად მოსახმარიც და კიდევ უფრო გააძნელა მისი ფლობა მათთვის, ვინც შეძლებული არ იყო.[51] საკმარისია ითქვას, რომ უკვე IX საუკუნის დასაწყისში მძიმედ შეჭურვილი მხედრის გამოსაყვანად საჭირო მიწის ოდენობა ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში 12 მანსს ანუ ადგილისდა მიხედვით, 120-216 ჰექტარს უდრიდა.[52] ყველაზე უფრო კარგად აღჭურვილობის სიძვირე ჩანს იმდროინდელ სასოფლო-სამეურნეო ფასებთან და რიგითი, თავისუფალი მიწათმოქმედის შესაძლებლობებთან შედარებით: რიპუარული კანონის (*Lex Ripuaria*) მიხედვით VIII საუკუნეში ფრანკთა სამეფოში ცხენოსნის აღჭურვილობის ფასი 45 სოლიდი იყო, რაც 45 ძროხას ან თითქმის 23 ხარს შეესაბამებოდა.[53] X საუკუნის ესპანეთში საშუალო ხარისხის შეიარაღების მქონე ცხენოსანიც კი 250 სოლიდის ღირებ-

---

[50] ამ დროს მეთოდოლოგიურად სწორია გ. ძიძიგური, როდესაც მიიჩნევს, რომ განვითარებული ფეოდალიზმი არ გამორიცხავს თავისუფალთა გარკვეული ნაწილის არსებობას და სულაც არ გულისხმობს ამ ფენის სრულ გაქრობას. გ. ძიძიგური, „ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში", *სფხის*, III (1980), 62-3. საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისს მკვლევარი XI საუკუნეში ვარაუდობს. იქვე, 64.

[51] Bloch, *Feudal Society*, 290-1.

[52] F. L. Ganshof, *Feudalism* (Toronto, 1996), 37.

[53] Ганс Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, т. 3 (Санкт-Петербург, 1996), 7; Франко Кардини, *Истоки Средневекового Рыцарства* (Сретенск, 2000), 298-9; J. F. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages: From the Eighth Century to 1340*, 2nd ed. (Woodbridge, 1997), 23.

ულების აღჭურვილობას ატარებდა, რაც 4 საშუალო სიდიდის მამულს ან 250 ცხვარს შეესაბამებოდა.[54] ეს მრავალრიცხოვანი მაგალითები იმიტომ მოვიხმეთ, რომ თვალნათლივ წარმოგვედგინა, თუ რა ძვირი ჯდებოდა ცხენოსანი მოლაშქრის აღჭურვა და როგორი წარმოუდგენელია ამ სიმდიდრის მატარებლად დავსახოთ XI-XII საუკუნეების თავისუფალი ქართველი მიწათმოქმედი, მეთემე, ჰეროვანი თუ წვრილი ერისგანი.[55] ქართველ მხედარს მოვალეობის სრულყოფილად შესასრულებლად ესაჭიროებოდა საბრძოლო და მარქაფა ცხენი, ხმალი, შუბი, ფარი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქაფზე, საბარკულზე, კარავზე და საბარგო ცხენებზე (კარავი და ცხენი „მათითა გაწყობილებითა").[56] ყოველივე ეს კი დიდ სახსრებს მოითხოვდა. მ. ბლოკის ლაკონური თქმით, „საბრძოლო ცხენის ყოლა და თავით ფეხებამდე აღჭურვა შესაძლებელი იყო მხოლოდ მდიდრებისათვის ან მდიდრის დახმარებით".[57] შეიარაღების სიძვირე ქართულ წყაროებშიც ჩანს. *ნიკორწმიდელის დაწერილიდან* ვიგებთ, რომ XI საუკუნეში მეომართა ფენა იძულებულია გაყიდოს მიწა, რათა შეიძინოს საჭირო აღჭურვილობა და შეინარჩუნოს პროფესიონალის სტატუსი: დებორიანის ძე ყიდის მიწასა და გლეხებს და ყიდულობს ცხენს, ჯაჭვის აბჯარს, ქაფსა და ჩაბალახს; ასევე, წორბელი და ვახტანგი მიწის სანაცვლოდ ორ ჯაჭვს ყიდულობენ; აბულათაძს ძე ვენახისა და ყანის ნაცვლად კარგ ანუ საბრძოლო ცხენს ყიდულობს; ფარსმანისძენი ყანას თმობენ ჯაჭვის აბჯრის სანაცვლოდ; აბულახტარი გლეხს ცვლის ცხენებში და რკინის ავშარაში; საწირეში ჯაჭვსა და ჩაბალახს ცვლიან ყანაში.[58] XI-XII საუკუნეებში მძიმედ შეიარაღებული ქართველი მოყმის აღჭურვილობა დაახლ. 37-44 ოქრო ღირდა, რაც ამავე რაოდენობის ძროხის ღირებულებას შეესაბამებოდა.[59] ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება თუკი გავითვალისწინებთ, რომ რაინდს უნდა შეძლებოდა დაღუპული ცხენების გამოცვლა, რომ მის საჭურველმტვირთველსაც ცხენი უნდა ჰყოლოდა, ხოლო ყველა ეს ცხენი საკმაო რაოდენობით მარცვლეულს მოიხმარდა.[60]

---

[54] Кардини, *Истоки Средневекового Рыцарства*, 302.

[55] აქ, რა თქმა უნდა, ცალკეული ინდივიდუალური გამონაკლისი არ იგულისხმება, რასაც ყველა ეპოქაში შეიძლება ჰქონოდა ადგილი.

[56] დამატებით, მოლაშქრეს უნდა ჰქონოდა ცხენის ნალები ლურსმნებით, საგზალი და სხვადასხვა სამზარეულო (ქვაბი და სხვ.) და სამეურნეო (ნაჯახი და სხვ.) მონყობილობა. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 26.

[57] Bloch, *Feudal Society*, 152; Allen R. Brown, "The Status of the Norman Knight," in *War and Government in the Middle Ages. Essays in Honour of J.O. Prestwich*, ed. by John Gillingham and J.C. Holt (Woodbridge, 1984), 28-9.

[58] „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა", *ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984), 40, 42-3.

[59] შეიარაღების ფასებისათვის იხ. მამუკა წურწუმია, „XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით)", *თსუსიიშ*, 8 (2013-2014), 156-9.

[60] Lynn White, Jr., "Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry," in *Medieval Technology and Social Change* (London, 1962), 29.

ბ) აღჭურვილობაზე უფრო ძვირი პროფესიონალიზმი ჯდებოდა. მხოლოდ იარაღისა და ცხენის ფლობა და მასზე ჯდომა არ იყო საკმარისი. მძიმე აღჭურვილობით დამძიმებულ მხედარს მუდმივად უნდა ევარჯიშა, რომ ბრძოლაში ცხენი ემართა და უნაგირიდან იარაღი ეფექტურად გამოეყენებინა.[61] ასეთ წვრთნასთან ერთად, ცხენოსანს მონაწილეობა უნდა მიეღო სხვადასხვა სპორტულ თამაშობებში, ნადირობაში და ა.შ. მძიმე აღჭურვილობის ქონასთან ერთად, კარგი წვრთნის გავლა შუა საუკუნეებში მმართველი კლასის სოციალურ მოვალეობადაც კი ითვლებოდა.[62] ცხენოსან მეომრად ყოფნა გულისხმობდა ადრეული ასაკიდანვე, მთელი ცხოვრების განმავლობაში შესაბამის წვრთნას, ცხენოსნობისა და იარაღის დაუფლებას და წყობაში ბრძოლის ათვისებას.[63] საზოგადოებაში, რომელსაც არ გააჩნდა ყაზარმები და სახელმწიფო წვრთნის სისტემა, ასეთ ინდივიდუალურ ვარჯიშს შესაბამისი სოციალური შედეგი მოსდევდა.[64] ცხენოსანი მებრძოლი თითქმის მთელ დროს პროფესიულ სრულყოფაზე ხარჯავდა და მას დრო არ რჩებოდა მიწის დასამუშავებლად. გამომდინარე, ის აუცილებლად საჭიროებდა სხვისი შრომის ექსპლუატაციას.[65]

როგორც ვხედავთ, თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენას არც შეეძლო ტიპური მოლაშქრის ანუ მძიმე ცხენოსნის გამოყვანა, ასე რომ, კამათი თავიდანვე საგანს იყო მოწყვეტილი: რომც დამტკიცდეს თავისუფალთა ფართო ფენების არსებობა XI-XII საუკუნეებში, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ მათ შეეძლოთ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმების (სულ მცირე – ჯაჭვით, მუზარადით, ფარით, ხმლით, შუბითა და მარქაფა ცხენით) დაკომპლექტება.[66] თავად ტერმინი „მდაბიორ-მოლაშქრე" შეიცავს თავის თავში წინააღმდეგობას: **მდაბიორი მოლაშქრე ვერ იქნებოდა, მას ამისათვის საჭირო მატერიალური შეძლება არ ჰქონდა**.

ამრიგად, საკითხის განხილვის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოლაშ-

---

[61] Bloch, *Feudal Society*, 152, 184.

[62] Maurice Keen, *Chivalry* (New Haven, 1984), 226.

[63] Brown, "The Status of the Norman Knight," 29.

[64] Keen, *Chivalry*, 25.

[65] ამიტომ არადამაკმაყოფილებელია ნ. ბერძენიშვილის პოზიციის ახსნის მცდელობა დ. გოგოლაძის მიერ, რომელიც მიიჩნევდა, რომ მსახური მშვიდობიანობის პერიოდში სახლში თავის მეურნეობას უვლიდა და როდესაც სალაშქროდ მიდიოდა, ამ საქმეს მისი ოჯახი აგრძელებდა. გოგოლაძე, „სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში", 159-60. აქ არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ პროფესიონალი მხედარი მშვიდობიანობის პერიოდშიც წვრთნას საჭიროებდა და, რაც მთავარია, მხოლოდ ერთი კომლის შემოსავალი საკმარისი არ იყო ცხენოსანი მეომრის შესანახად. ამისათვის, სულ ცოტა, 8 კომლის შემოსავალს თვლიდნენ საჭიროდ. სხვადასხვა ქვეყნებში 9 საგლეხო მეურნეობიდან ერთი მებრძოლის გამოყვანის შესახებ იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 19-21.

[66] აღსანიშნავია, რომ *ნიკორწმიდელის დაწერილის* თავისუფალ მიწისმოქმედებს საერთო არა აქვთ ომთან და შეიარაღებასთან, ისინი მხოლოდ სოფლის მეურნეობისათვის საჭირო საშუალებებს იძენენ.

ქრედ თავისუფალი ვერ გამოვიდოდა და ეს მოვალეობა მხოლოდ პატრონის მიერ აღჭურვილ მსახურს შეეძლო ეტვირთა.

ვინ იყო და რას წარმოადგენდა მსახური? *მსახური* ნაწარმოებია სიტყვიდან „სახ-ლ-ი": მ-სახ-ური ანუ სახლის კაცი და აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ფეოდალის კარზე სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სამხედრო-პოლიციურ საქმიანობას ეწევა.[67] ქართველი *მსახური* იგივეა, რაც ევროპელი *მინისტერიალი*, ორივე ეს ტერმინი – *მსახური* და *ministerialis* – ერთი შინაარსისა და წარმოშობისაა: *minister* ითარგმნება როგორც მსახური, თანაშემწე და ნიშნავს არათავისუფალ ან ნახევრად თავისუფალ ადამიანს, რომელიც სენიორის კარზე მსახურობს.[68]

მსახურები ადრეფეოდალურ ხანაშივე ჩანან დიფერენცირებულნი და მათგან „დაწინაურებულია სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის აღმასრულებელ „მსახურთა" ფენა".[69] ამ ხანაში მსახურთა კონტინგენტი ძირითადად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენიდან – „ერიდან" გამოდიოდა, შემდგომში კი დაწინაურებულ გლეხთა წრიდან.[70] 1084 წელს პეტრიწონის მონასტრისათვის შედგენილი გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის მიხედვით, მსახური ის პირია, ვინც თან ახლავს პატრონს ლაშქრობებში და ეხმარება მას ყოველდღიურ საქმიანობაში.[71]

აზნაურთა წოდება შევსებას მსახურებისგან იღებდა.[72] სამხედრო სარბიელზე თავის გამოჩენა მათ სოციალური დაწინაურების საშუალებას

---

[67] არნოლდ ჩიქობავა, *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში* (თბილისი, 1942), 147; გულჩინა აკოფაშვილი, „ყმა, მსახური, ტაძრეული (ისტორიულ-ტერმინოლოგიური ძიებანი)", *მიაების*, 2 (1981), 139. ბ. ლომინაძის საინტერესო შედარებით, მსახურის მოვალეობას ქრისტიანობაც მსგავსად განმარტავდა: „ზეცის იერარქიაში ანგელოზები ითვლებიან „მსახურებად", რომლებიც ღმერთის (პატრონის) „წინაშემდგომელნი" და მოლაშქრე-„მხედრები" არიან". ბაბილინა ლომინაძე, „ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს.", *სინ*, ტ. III (თბილისი, 1979), 765, შენ. 4.

[68] აკოფაშვილი, „ყმა, მსახური, ტაძრეული", 145. ქართულ ისტორიოგრაფიაში მსახურთა საკითხი შესწავლილი აქვს ქ. ჩხატარაიშვილს, იხ. მისი *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*. გერმანელი მინისტერიალების შესახებ იხ. Benjamin Arnold, *German Knighthood. 1050-1300* (Oxford, 1985). აშკარაა ქართველი მსახურებისა და ევროპული მინისტერიალიტეტის მსგავსება წარმოშობის, შესრულებული როლისა და ფუნქციების მიხედვით, რაშიც დ. გოგოლაძე ევროპული და ქართული ფეოდალიზმის სიახლოვის კიდევ ერთ დასტურს ხედავდა. გოგოლაძე, „სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში", 153. თუმცა, ისიც უნდა ითქვას რომ საქართველოში მსახურებს არასოდეს არ მიუღწევიათ ისეთი სიძლიერისა და სიმაღლისათვის, როგორც ეს შუა საუკუნეების გერმანიაში მოხდა.

[69] ალექსანდრე სარჯველაძე, „მფარველობა-ბატონობისა და დაქვემდებარების აღმნიშვნელი ადრეფეოდალური ხანის სოციალური ტერმინები", *მიაების*, 1 (1998), 102.

[70] ხოშტარია-ბროსე, „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის", 112.

[71] მამისა ბერძნიშვილი, „ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიიდან", *მიაების*, 1 (1977), 59.

[72] დერმიშა გოგოლაძე, „მსახურთა სოციალური ვინაობის საკითხისათვის", *სფხის*, VI (1990), 61; ლომინაძე, „ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს.", 766-7.

აძლევდა.[73] როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „საქართველოში ფეოდალური საზოგადოება კასტობამდის არასოდეს მისულა და აზნაურთა წოდებაში შესასვლელი არასოდეს დახშულა".[74]

თავისი პროფესიული მოვალეობის (მოლაშქრეობა) შესასრულებლად მსახური მძიმე და ძვირადღირებულ აღჭურვილობას საჭიროებდა. ის ან ბატონს უნდა აღეჭურვა და მუდმივ კმაყოფაზე ჰყოლოდა (სახლეული, ტაძრეული) ან თავისი პატრონისაგან მუდმივი შემოსავლის წყარო (მიწის ნაკვეთი) უნდა ჰქონოდა. საქართველოში ანაზღაურების ორივე მეთოდი ჩანს, თუმცა ნატურალური მეურნეობის სიჭარბის პირობებში, მიწის ნაკვეთით დაკმაყოფილება უფრო გავრცელებული იქნებოდა.[75]

მსახურთა ნაწილი როჭიკს (ფულად გასამრჯელოს) იღებდა, როგორც ამას „მამათა სწავლანის" X საუკუნის ტექსტში ვკითხულობთ: „მჴედარი, რომელმან დაიწერის თავი თჳსი დივანსა შინა მეფისასა და მიერითგან წამოიღებნ იგი განწესებულსა როჭიკსა ერის კაცთასა, ვერღა შემძლებელნ არნ იგი თავით თჳსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან". [76]

1782 წლის ვახტანგ ბატონიშვილის *განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა* გარკვევით ამბობს, რომ მსახურს მიწას სამსახურის სანაცვლოდ, ბენეფიციუმის სახით აძლევენ, რათა თავისი მოვალეობის შესრულება შეძლოს: „მსახური თავის მამულს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენის სამსახურის სანუქფოთა აქვს მიცემული".[77]

მსახურის მამულის შესახებ უნდა იყოს ცნობა დაცული დავით აღმაშენებლის XII საუკუნის სიგელშიც. საბუთის მიხედვით, არიშიანი დავით IV-სთან შუამდგომლობს ნიანია ნიანიასძეს, რომ მას მამული არ ჩამოერთვას: „გუეჰაჯა, რაითამცა გაუშუით და გავათავისუფლეთ ნიანია, გრიგოლ მაოჭრებელისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისჴევითა... ვინაითგან პირველცა ზითვად ჰქონებოდა და ჩუენიცა დიდად ნამსახური და ბერი კაცი იყო, ლაშქრობაი აღარ შეეძლო".[78] ნიანია ნიანიასძე სიბერის გამო („ბერი კაცი იყო") ვეღარ ლაშქრობს, ვერ ასრულებს მიწისმფლობელის ძირითად მოვალეობას

---

[73] ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 75; ედიშერ ხოშტარია-ბროსე, „თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები", *მიაეხის*, 3 (1988), 184.

[74] ნიკო ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", *სის*, წ. VII (თბილისი, 1974), 84.

[75] მ. სანაძის აზრით, მსახურის კარვოსნობა მამულის ქონაზე მიუთითებს. სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 34. მსახურის მამულისათვის იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 94.

[76] *მამათა სწავლანი*, 120; ბოგვერაძე, *ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან*, 103-4.

[77] *ქსძ*, II, 452.

[78] „სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანიასძისადმი", *ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984), 50-1.

და კარგავს უფლებას თავის მამულზე. გამონაკლისის სახით, მისი წარსული დამსახურების გამო („ჩუენიცა დიდად ნამსახური"), მას მამულს უტოვებენ.[79] ჩანს, ნიანია მართლაც მსახურია (ალბათ, დომენის მსახური), როგორც ეს ფრთხილად ივარაუდა ქ. ჩხატარაიშვილმა.[80] ასე რომ არ იყოს, რა ხელი აქვს მის ნამზითვ მამულთან მეფეს? სიბერის გამო ნამზითვ მამულს ვერ ჩამოართმევდნენ აზნაურს. სხვა საქმეა მსახური, რომელიც, არა მარტო მამულით, არამედ პიროვნულადაც, პატრონს ეკუთვნოდა.[81]

XV საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცემისა და სათავადოთა ჩამოყალიბების შემდეგ, მსახურთა ფენა დაქვეითებას განიცდის.[82] XVI საუკუნიდან მათ, ცხენით სამსახურის გარდა, გარკვეულ გლეხურ ვალდებულებებსაც აკისრებენ (ძირითადად მასპინძლობა, ხანდახან უფრო მძიმე ბეგარაც).[83] ეს ასახავს ქვეყნის გაუარესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას, როდესაც პატრონისათვის მხოლოდ სალაშქრო სამსახური არ იყო საკმარისი.[84] ცხადია, დაბეგრილი მსახური ნაკლებ დროს დაუთმობდა თავის პროფესიულ სრულყოფას და ნაკლებად ეფექტური იქნებოდა ბრძოლის ველზე. XVII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში მსახურთა ფენის დაკნინების გამო მნიშვნელობას კარგავს მსახურთუხუცესის თანამდებობაც. დასავლეთ საქართველოში ეს უფრო ადრე, XVI საუკუნეში ხდება. განსაკუთრებით სწრაფად ქვეითდება მსახურთა ფენა საქართველოში სათავადოების ჩამოყალიბების შემდეგ, როდესაც ისინი მეტად დამოკიდებულნი ხდებიან მიწის მეპატრონეზე, თავადზე.[85]

მიუხედავად ამისა, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ XV საუკუნის შემდგომ მსახურთა წოდება ქრება. ნ. ბერძენიშვილის დებულებებზე დაყრდნობით,[86] ბ. ლომინაძემ ჩათვალა, რომ გვიან შუასაუკუნეებში მსახ-

---

[79] ქველი ჩხატარაიშვილი, „ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან", *მიაეხის*, 1 (1991), 95-6.

[80] ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 76. ს. მარგიშვილი ცდებოდა, როდესაც ნიანიას დიდებულად თვლიდა. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 228.

[81] მსახურის არათავისუფალი ხასიათისა და უფლებებისათვის იხ. Arnold, *German Knighthood, 1050-1300*, 54, 142-5.

[82] მათ დამცრობაში აუცილებლად გასათვალისწინებელია შეიარაღების კიდევ უფრო გაზრდილი ფასი, როდესაც XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მებრძოლებს დამატებით საწვიეების, სამკლავეებისა და ფურცლოვანი ლითონისაგან (პოლოტიკი) დამზადებული აბჯრის სხვადასხვა დეტალების შეძენა უწევთ.

[83] დასავლეთ საქართველოს მაგალითისათვის იხ. სარგის კაკაბაძე, „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის", *საისტორიო კრებული*, III (1928), 12-3, 15, 20.

[84] ასეთ ეკონომიკურ ვითარებას უნდა მოწმობდეს გლეხთა გადიდებული ბეგარაც XVI საუკუნეში. კაკაბაძე, „მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის", 19.

[85] კახაბერ კახაძე, „მსახურთა ფენა ქართულ ფეოდალურ ლაშქარში", *კლიო*, 21 (2004), 27-31.

[86] ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ მსახურთა ვალდებულებები „უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიერეკებოდა" და, რომ „დაბეგრილი მსახურები, – ყველა ესენი „გლეხებია". ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორია XIII-XIV სს.", 51.

ურთა წოდება ქრება და მსახურის სალაშქრო მოვალეობას გლეხი ასრულებს: „XVI-XVIII სს. „მსახური" წოდებრივ-იურიდიული ცნება აღარ არის".[87] ასეთივე აზრისაა გ. აკოფაშვილიც, რომლის მიხედვით, მსახურთა წოდების დაშლა XIII-XIV საუკუნეში იწყება.[88] მსახურთა წოდების გაქრობის დებულებამ ასახვა ჰპოვა *საქართველოს ისტორიის ნარკვევების* მესამე ტომში, რაც ზედმეტად მკაცრ შეფასებად გვეჩვენება: მიუხედავად დაქვეითებისა, მსახურთა წოდება ბოლომდე შენარჩუნდა, რაშიც გვიანი შუასაუკუნეების დოკუმენტთა განხილვაც დაგვარწმუნებს.[89]

XV საუკუნეში მართლაც შეინიშნება მსახურის დაქვეითება, 1459 წლის სამთავისის სამწყსოს წიგნი განარჩევს „მართებულ" და „დაბალ" მსახურს, სადაც „დაბალი" მსახური უკვე მინათმოქმედად ჩანს (მას ხარის საწირავი ევალება), თუმცა „მართებული მსახური" აზნაურის მსგავსად ცხენსა და იარაღს ფლობს.[90] ამავე საუკუნის 70-იან წლებში შედგენილი „მცნებაჲ სასჯულოჲ" საერო პირთა ჩამონათვალში აზნაურებსა და გლეხებს შორის მსახურებს ასახელებს: „ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის შვილთა, ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა..."[91]

XVI საუკუნეში მსახურები ისევ ასრულებენ თავიანთ სალაშქრო მოვალეობას: 1570 წელს მუხათგვერდის ბრძოლაში მსახურებიც მოიხსენიება.[92] 1577 წლის ალექსანდრე II კახთა მეფის მალის ამოკვეთის წიგნი განასხვავებს მსახურსა და მოყალნეს (მებეგრეს).[93] მსახურსა და მოყალნეს შორის სხვაობა ჩანს მისივე 1593 წლის *ჭიაურის ულუფის წიგნშიც*.[94] ამავე საბუთში ჩანს, რომ საყდრის ყმას (ანუ მსახურს) მხოლოდ ლაშქარ-ნადირობა მოეთხოვება.[95]

XVII საუკუნის დასაწყისიდან (1616-21) ჩვენამდე მოაღწია კათალიკოს მალაქია გურიელის მოლაშქრე კაცთა ნუსხამ, სადაც საგანგებოდ არის აღნუსხული მხოლოდ აზნაურთა და მსახურთა რიცხვი.[96] აღნიშნული საბუთი ეჭვს არ ტოვებს იმის შესახებ, რომ XVII საუკუნეშიც მოლაშქრეთა წრეს,

---

[87] ლომინაძე, „ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს.", 763, 770-1. თუმცა, დ. გოგოლაძე აღნიშნავდა, რომ ნ. ბერძენიშვილის ამ სიტყვებში მსახურთა ფენის გაქრობა არ იგულისხმებაო. გოგოლაძე, „სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში", 159.

[88] აკოფაშვილი, „ყმა, მსახური, ტაძრეული", 147-8.

[89] ასევე, ამ საკითხისა და მსახურთა წოდებისა და გლეხთა კლასის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იხ. სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 66-87.

[90] *ქსძ*, III, 207; ბერძნიშვილი, *საქართველო XI-XII საუკუნეებში*, 101; ლომინაძე, „ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში XIII-XIV სს.", 770.

[91] *ქსძ*, III, 224.

[92] მუხათგვერდის ბრძოლაში „მოსწყდა თავადნი და აზნაურნი და მრავალნი მსახურნი". *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 367, 511.

[93] *ქსძ*, II, 196.

[94] იქვე, 208.

[95] იქვე.

[96] *ქსძ*, III, 480-2.

აზნაურების გარდა, კვლავინდებურად მსახურები მიეკუთვნებიან.[97] 1669 წლის წილკნის სამწყსოს წიგნის მიხედვით მსახური ცხენისა და იარაღის ფლობით განირჩევა:[98] მსახურები ცხენზე ამხედრებულნი ახლავენ თავიანთ სენიორს.[99] საბუთის შემდგენი „გამოჩენილი მსახურის" კატეგორიასაც კი აღნიშნავს: ისინი სამუხრანბატონოს, არაგვისა და ქსნის საერისთავოს ყველა სოფელში სახლობენ.[100] 1661-80 წლების აფხაზეთის კათალიკოსისადმი მიცემულ ფიცის წიგნში მსახური ცალკე წოდებადაა გამოყოფილი: „ან აზნაურის შვილი, ან მსახურისა, ან გლეხი..."[101]

იგივე ვითარება გვაქვს XVIII საუკუნეშიც: 1706 წლის ბიჭვინთის ღვთისმშობლისადმი აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულების სიგელში მსახური კვლავ წოდებების ჩამონათვალშია;[102] 1707-09 წლებში შედგენილი ვახტანგ VI-ის *დასტურლამალი* განარჩევს მსახურსა და გლეხს, მსახური და თარხანი ერთ კატეგორიაში გადიან და მალის, ღალისა და კულუხის გადახდისაგან არიან გათავისუფლებულნი;[103] 1720 წლის *მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნის* ჩამონათვალში კვლავ ვხვდებით მსახურებს, რომლებიც გლეხთაგან გამოირჩევიან: „დარბაისელ-აზნაურიშვილ-მსახურ-გლეხნი".[104] 1717-19 წწ. ბაქარ მეფის *განჩინება გივი თუმანიშვილისა და მისი ბიძაშვილების გაყრის საქმეზე* გვიჩვენებს, რომ ცხენ-იარაღი ისევ მსახურთან და მის მოვალეობასთანაა დაკავშირებული („ცხენი და იარაღი მსახურს... გაყოლოდეს").[105] 1721 წლის დავით II იმამყულიხანის *საწირავის გარიგების სიგელი ხარჭაშოსადმი* და 1722 წლის *ღმრთაების გუჯარი* კვლავ ადასტურებს, რომ მსახურის შესაწირავი ცხენია, მოყალნის კი – ხარი.[106] 1749 წლის ნიკოლოზ ალავერდელის განწესება განასხვავებს მსახურისა და მოყალნე (მებეგრე) გლეხის მოვალეობებს, რომელთაც გადასახადი თავიანთი წოდების მიხედვით ეკისრებათ: „და რაც გამოსაღები ედოს იმ მამულს, მსახური იყოს თუ მოყალნე, იმგვარი ყალანი გამოართოს მოხელემ".[107] 1749 წელს თეიმურაზ II-ის მიერ დამტკიცებულ

---

[97] საყურადღებოა, რომ გურიელის გლეხთა საბეგრო დავთრებში ჩანს მათი სალაშქრო ვალდებულება, მაგრამ გლეხები არ არიან შეყვანილნი მალაქიას მოლაშქრეთა ნუსხაში, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მსახური გლეხისაგან განსხვავებული სოციალური ჯგუფია. სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 70.

[98] *ქსძ*, III, 543-63.

[99] იქვე, 548.

[100] იქვე, 553. საინტერესოა ამ გუჯრის იერარქიაც: „რაც ამ გუჯარში დიდი კაცი, აზნაურშვილი, მსახური, ღვდელი, სოფლის კაცი დავწერო..." იქვე, 563.

[101] *საქართველოს სიძველენი*, რედ. ე. თაყაიშვილი, ტ. I (ტფილისი, 1899), 43.

[102] *ქსძ*, III, 650.

[103] *ქსძ*, II, 304, 313.

[104] იქვე, 334.

[105] *ქსძ*, IV, 283.

[106] *ქსძ*, II, 335, 364.

[107] *ქსძ*, III, 811. ქ. ჩხატარაიშვილი ამ ცნობაში მსახურისა და გლეხის გადასახადის მსგავსებას

მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნი, სადაც სვეტიცხოვლის ყველა ყმაა ჩამოთვლილი, მსახური კვლავ ცალკე წოდებადაა გამოყოფილი: „დარბაისელი, აზნაურშვილი, მსახური და გლეხნი".[108]

უფლებების დაქვეითებისა და მატერიალური მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, მსახური ბოლომდე ინარჩუნებდა გარკვეულ პრივილეგიებს, როგორიცაა მემკვიდრეობითობა, ორჯერ მეტი სისხლის საფასური გლეხთან შედარებით და ყმის ყოლის უფლება.[109] თავად-აზნაურთა მსგავსად, სასისხლო სიგელებს აძლევდნენ მსახურებსაც, როგორც ამას ადასტურებს XIII-XVI საუკუნეებში გაცემული სიგელები.[110] მსახური ამოწმებს იურიდიულ დოკუმენტსაც, როგორც ამას ვხვდებით 1661 წლის *ნასოფლარის ნასყიდობის წიგნში*, რომელიც პაპუნა ბარათაშვილმა მისცა მერაბ ყორღანაშვილს.[111] ქართული სამართალი რომ ბოლომდე განასხვავებდა მსახურსა და გლეხს, და რომ მსახური წოდებრივი ტერმინი იყო და არა მხოლოდ თანამდებობით განპირობებული, გლეხის დროებითი აღმნიშვნელი, კარგად ჩანს 1760 წლის *იესე ბარათაშვილის არზაში*, სადაც ის გაქცეული ყმების თაობაზე ჩივის: „ჩემი ნასყიდი კაცნი არიან კახეთს, არას მემსახურებიან, ზოგი მსახურია, ზოგი მსახლობელი გლეხი".[112] საგულისხმოა, რომ ბარათაშვილი გაქცეულ ყმებში ასხვავებს მსახურსა და გლეხს: მსახური, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია მოვალეობას აღარ ასრულებს მის კარზე, მაინც მსახურად რჩება.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად გარკვეული დაქვეითებისა, მსახურთა წოდება ქართული ფეოდალური წყობის ბოლომდე არსებობდა და, რაც მთავარია, ბოლომდე ინარჩუნებდა სამხედრო ფუნქციას, ასრულებდა რა პროფესიონალი მოლაშქრის მოვალეობას. რაც შეეხება მათ ადგილს ბრძოლის ველზე, ქართულ საბრძოლო წყობაში, გასათვალისწინებელია, რომ შუა საუკუნეებში „მებრძოლთა" კატეგორიას, სოციალური სტატუსის გარდა, მათ ხელთ არსებული იარაღისა და ცხენების რაოდენობაც განსაზღვრავდა.[113] ბექას სამართალი ადგენს მსახურის სისხლის ფასს და, ამავე დროს, აღწერს მის დამახასიათებელ ნიშნებს: „ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, და კარვოსნისა, და პატრონთან რომ ხელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი

ხედავდა. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 67-8. ჩემი აზრით, მათ შორის სხვაობა აშკარაა და ცნობა მსახურის სამასპინძლოსა და გლეხის ბეგარას შორის სხვაობას უნდა გულისხმობდეს.

[108] *ქსძ*, II, 398.

[109] სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 86.

[110] ამ გარემოებას, რომელიც თავის დროზე ს. კაკაბაძემ აღნიშნა, ყურადღება მიაქცია ქ. ჩხატარაიშვილმა. სარგის კაკაბაძე, „სასისხლო სიგელების შესახებ", *საისტორიო მოამბე*, 2 (1924), 3-6, 45-7, 105; ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 85.

[111] *ქსძ*, VIII, 843.

[112] *ქსძ*, VII, 42.

[113] Norman Housley, "European Warfare, c.1200-1320," in *Medieval Warfare: A History*, ed. by Maurice Keen (Oxford, 1999), 126.

თორმეტი ათასი თეთრი იყოს, ამად რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს, და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სჭირს, – ისრე სრულად".[114] ქოთლოსან-აბჯროსან-კარვოსანი მსახური აზნაურთა დარად მსახურებს ლაშქარში, იგი შეიარაღებული და აღჭურვილია (აბჯროსანი), სალაშქროდ კარავი მიაქვს და რამდენიმე ცხენი, მათ შორის *ქოთალი*, ჰყავს. ი. დოლიძისა და ქ. ჩხატარაიშვილის აზრით, *ქოთალი* მარქაფა ცხენია.[115] ეს ტერმინი გამოწვლილვით შეისწავლა დ. გოგოლაძემ, რომელმაც დაადგინა, რომ სომხურ და სპარსულ ენებში *ქოთალი* სატვირთო ცხენს ნიშნავს.[116] მკვლევარი სავსებით მართალია, როდესაც თვლის, რომ მძიმედ შეჭურვილ მსახურს კარვის, საჭურვლისა და სურსათის საზიდად სატვირთო ცხენი სჭირდებოდა.[117] მიუხედავად ამისა, მაინც მიგვაჩნია, რომ *ქოთალი* ქართულ ენაში სამარქაფო ცხენს ნიშნავდა, როგორც არის ის განმარტებული სულხან-საბას ლექსიკონში[118] და როგორი მნიშვნელობაც აქვს მას მონღოლურ ენაში, სადაც *kötöl* მარქაფა ცხენს შეესაბამება.[119] ეს მოსაზრება შუა საუკუნეების სამხედრო საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. საქმე იმაშია, რომ შუა საუკუნეებში სატვირთო ცხენის ფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მარქაფა ცხენის ფასს.[120] ცხადია, რომ ბექას სამართალში კანონმდებელი აქცენტს უფრო ძვირ ცხენზე გააკეთებდა, რადგანაც უბრალო სატვირთო („სატალახე") ცხენის ფლობა არ იყო ისეთი პრივილეგია, რომ ის საბრძოლო და სამხედრო აღჭურვილობის („აბჯროსნობის" და „კარვოსნობის") რიგში მოეხსენებინათ. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებს, რომ ტ. ახალაიას დაკვირვებით, ბექას სამართლის წიგნის *ქოთალი* ვახუშტი ბატონიშვილის *მარქაფას* შეესაბამება.[121] ასეთ მსახურს უკვე სამი ცხენი გამოუდის: საბრძოლო, სამარქაფო და სატვირთო (სატალახე).[122] გასაკვირი არ არის, რომ ფეოდალური

[114] „სამართალი ბექასი და აღბუღასი", *ქსძ*, I, 428. ფეოდალურ საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და პრივილეგიები გააჩნდა მეომარ ფენას. ეს კარგად ჩანს ბექა-აღბუღას სამართლის დიფერენცირებულ მიდგომაში სხვადასხვა ფუნქციების მქონე მსახურთა მიმართ: მსახურთა იმ ნაწილის, რომელიც მეომარი და მოლაშქრე იყო, სისხლის ფასი 6-12,000 თეთრია, სხვა საქმიანობით (ადმინისტრაციულ-პოლიციური) დაკავებულების კი – მხოლოდ 1,000 თეთრი. ახალაია, „მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში", 59.

[115] *ქსძ*, I, 768; ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 100-1.

[116] დერმიშა გოგოლაძე, „ქოთლოსნის" საკითხისათვის", *მიაჯხის*, 3 (1985), 142-3.

[117] იქვე, 142.

[118] ამ გარემოებაზე პირველად თავად დ. გოგოლაძემ მიუთითა. იხ. მისი, „სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში", 158.

[119] Benjamin Brosig, "Aspect, tense and evidentiality in Middle Mongol," *Урало-алтайские исследования*, 13 (2014), 25.

[120] *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით, მარქაფა ცხენი 3-ჯერ ძვირი იყო. წურწუმია, „XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით)", 143. კიდევ უფრო დიდი იყო ეს სხვაობა ევროპაში. R. H. C. Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment* (London, 1989), 67.

[121] ახალაია, „მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში", 55-6.

[122] დ. გოგოლაძე მიიჩნევს, რომ ასეთ მსახურს მხოლოდ ორი ცხენი – საბრძოლო და სატვირთო

საზოგადოებისათვის მისი მნიშვნელობა (სისხლის ფასი) აზნაურისას ეთანადება.

მსახურთა აღჭურვილობაში საგანგებოდაა ხაზგასმული კარვის ფლობა, რაც ლაშქრობაში აუცილებელი იყო და მისი მფლობელის პრივილეგირებულ მდგომარეობაზე მიუთითებს („კარვოსნობა აზნაურულია"). კარავი უკვე ნიშნავს, რომ მისი მფლობელი მარტო არ არის სალაშქროდ წასული, მას თან მხლებლებიც ახლავს.[123] ამ მხრივ, კარავი პიროვნების საბრძოლო შესაძლებლობების ერთგვარი ინდიკატორი იყო. ასეთივე სიტუაციაა XII საუკუნის ესპანეთში, სადაც ლეონის მეფეების ბრძანებით, სრულად აღჭურვილი და კარვიანი რაინდის ფისკალური პრივილეგიები 8 კაცზე ვრცელდებოდა, მაშინ როდესაც ფარით, შუბითა და მუზარადით აღჭურვილი, მაგრამ უკარვო რაინდის – მხოლოდ ორზე.[124]

რა თქმა უნდა, ყველა მსახურს ვერ ეყოლებოდა მხლებელი და არც მისი აღჭურვილობა იქნებოდა ყოველთვის დიდებულ-აზნაურთა აღჭურვილობის დარი სისრულითა თუ ხარისხით. მსახურები შეადგენდნენ ქართული ცხენოსანი ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს, მაგრამ ფეოდალებთან შედარებით ნაკლები შეძლება ჰქონდათ და, შესაბამისად, მათზე ნაკლებად იყვნენ შეჭურვილნი (თუმცა, გამონაკლისიც მრავლად იქნებოდა). ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ბრძოლის დროს მსახურები თავად-აზნაურთა უკან იქნებოდნენ დაწყობილნი და ცხენოსანთა მომდევნო რიგებს შექმნიდნენ.

გლეხობა

შუა საუკუნეების ცნობილი ფორმულა, – „სამღვდელოება ლოცულობს, რაინდები ომობენ, ერი მუშაობს", – რომელიც შემდგომ ასე აიტაცეს ლათინმა საეკლესიო მწერლებმა, პირველად, IX საუკუნის ბოლოს, უესექსის მეფე ალფრედ დიდმა ჩამოაყალიბა.[125] ალფრედ დიდი (871-99) ბოეციუსის თარგმანის კომენტარებში იხსენიებს იმ ინსტრუმენტებს, რომელთა საშუალებითაც მეფე მართავს: მათ ვინც ლოცულობს (*gebed-*

(ქოთალი) – ჰყავდა და არ გააჩნდა მარქაფა, რადგანაც მისი აზრით, სათადარიგო ცხენის ბრძოლაში გამოყენება მებრძოლს გაუჭირდებოდა. დერმიშა გოგოლაძე, „ქოთლოსნის" საკითხისათვის", 143-4. ამ აზრს ვერ გავიზიარებ, რადგანაც სამარქაფო ცხენის არქონა ნიშნავს, რომ მეომარი საბრძოლო ცხენზე ამხედრებული გადაადგილდებოდა და ბრძოლაში უკვე დაღლილი ცხენით შედიოდა, რაც ძნელი წარმოსადგენია. ამასთან, მარქაფა ცხენი ბრძოლაში თავად მეომარს კი არ მიჰყავდა, არამედ მის დამხმარეს. მარქაფას მიდევნების წესი აღწერილია ქართულ ცხენის კარაბადინშიც. იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 196.

[123] ველზე აღმართულ კარავს, როგორც კეთილშობილის დროებით სასახლეს, გარკვეული სოციალური ფუნქციაც ჰქონდა. უფრო ვრცლად იხ. ახალაია, „მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში", 52-3.

[124] Elena Lourie, "A Society Organized for War: Medieval Spain," *Past and Present*, 35 (1966), 57.

[125] Barber, "When is a Knight not a Knight?" 14.

men), ვინც იბრძვის (*fyrdmen*) და ვინც შრომობს (*weorcmen*).[126] ეს მოცემულობა, რომელიც სრულად ვერ ასახავს შუა საუკუნეების სინამდვილესა და კლასთა შორის რთულ ურთიერთობას, შემდგომში იდეალად იქნა მიჩნეული.[127] ამ ფორმულის სუფთა სახით განხორციელება შუა საუკუნეებში არასოდეს არ მომხდარა.[128] „სამი წოდების" სოციალური მოდელის თანახმად გლეხებს უნდა ეშრომათ და არ ებრძოლათ; მაგრამ, საკმაოდ ხშირად, ისინი იძულებულნი იყვნენ ებრძოლათ, თავიანთი პატრონის დაძახილზე ან თავის დასაცავად.[129]

განსხვავებული შეხედულება აქვს ამ საკითხზე ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილს, რომლებიც, სავსებით მართებულად, მიუთითებენ რა მოლაშქრეობის სოციალურ არსზე და მის პრივილეგირებულობაზე, თვლიან, რომ ასეთ ვითარებაში გლეხს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციაში და ეს კრიზისის ნიშნადაც კი მიაჩნიათ. გლეხის ლაშქარში მონაწილეობას ფეოდალიზმის თვალთახედვით „სიმახინჯეს" უწოდებს ქ. ჩხატარაიშვილი.[130] ის კატეგორიულად აცხადებდა, რომ გლეხი სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობას არ ღებულობდა.[131] ასეთივე შეხედულება აქვს ს. მარგიშვილსაც.[132] ქართული სამხედრო ორგანიზაციის კრიზისად მიიჩნევს ე. ხოშტარია-ბროსე „ერის" გაქრობასა და გლეხობის მონაწილეობას ომში.[133]

---

[126] Nicholson, *Medieval Warfare*, 24.

[127] საქართველოს სინამდვილეში ეს ფორმულა შოთა რუსთაველთან გვხვდება: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს". შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (თბილისი, 2009), სტრ. 11. ამ შედარებისათვის იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 19. მას იმეორებს ს. მარგიშვილი, რომელიც ასეთ სოციალურ დიფერენციაციას ფეოდალური სამყაროს ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლადაც კი მიიჩნევს. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 36. რუსთაველის ეს სტრიქონები, გარდა საზოგადოების წოდებებად დაყოფისა, მათი შენარჩუნების აუცილებლობაზეც მიუთითებს. აქ მოცემულია შუა საუკუნეებში მოქმედი კიდევ ერთი დებულება, რომელიც პავლე მოციქულის, ნეტარი ავგუსტინესა და ტერტულიანის იდეებს ეფუძნებოდა და ჩამოყალიბებული იყო შარლემანის კანონებში: „უკლებლივ ყოველი ადამიანი უნდა მიჰყვეს თავის ცხოვრებისეულ დანიშნულებასა და პროფესიას". Georges Duby, *The Three Orders* (New York, 2009), 70-1.

[128] ა. გურევიჩი აღიარებს, რომ „სამი წოდების" მწყობრი სქემა ძირეულად განსხვავდებოდა სოციალური ცხოვრების პროზისაგან. А.Я. Гуревич, "Феодальное Средневековье": что это такое?" *Избранные труды* (Санкт-Петербург, 2006), 357.

[129] Nicholson, *Medieval Warfare*, 59-60. ავტორის ხატოვანი ფორმულირებით, სოციალური თეორიის მიუხედავად, შუა საუკუნეებში „ომში ყველა და ყოველი იყო ჩაბმული". იქვე, 65.

[130] ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 23.

[131] ჩხატარაიშვილი, *თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში*, 12. მკვლევარი მიიჩნევს, რომ გლეხი სამხედრო საქმიანობაში იშვიათად, მხოლოდ უკიდურესი გასაჭირის, თავდაცვითი ომის დროს მონაწილეობდა. იქვე, 10-1.

[132] იხ. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 35-6.

[133] მკვლევარი თვლის, რომ ერიდან ცხენოსანი გამოდიოდა და მისმა გადაშენებამ ლაშქრის

ეს მოსაზრებები ზედმეტად მაქსიმალისტურია და არ ითვალისწინებს ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: ქვეითთა ფაქტორს შუა საუკუნეების არმიებში და, რაც მთავარია, ქართულ ჯარში ქვეითი ნაწილების არსებობასა და მათ სოციალურ შემადგენლობას. ჯარის დაყოფა ქვეითებად და ცხენოსნებად ასახავდა მათ, როგორც ფუნქციურ, ასევე, სოციალურ სხვაობას. აქ უნდა განვასხვაოთ გლეხის მოლაშქრეობა და ომში მონაწილეობა. მოლაშქრეობა ნიშნავდა ცხენზე ამხედრებულად ბრძოლას, ომში მონაწილეობა კი ქვეითადაც შეიძლებოდა. ქვეითის იარაღი საკმაოდ მარტივი იყო (შუბი ან მშვილდი), ძვირადღირებული ცხენი და აბჯარი არ იყო აუცილებელი (ფარი, დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი, შესაძლოა მუზარადიც, საკმარისი იყო), ამის შეძლება კი გლეხთა გარკვეულ კატეგორიას ყოველთვის ჰქონდა. რა თქმა უნდა, მცირემასშტაბიან ბრძოლებში, შეტაკებებსა თუ რეიდებში მონაწილე[134] მცირერიცხოვანი ფეოდალური რაზმების შემადგენლობაში, ძირითადად, სწორედ ცხენოსანი აზნაურ-მსახურებია საგულისხმო, მაგრამ ქვეითთა გარეშე შეუძლებელია ციხე-სიმაგრეთა ალყა, რომელიც შუა საუკუნეებში ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო.[135] საალყო მოქმედებების წარმოებისათვის, სხვადასხვა სახის სპეციალისტებთან (ინჟინრები, მესანგრეები) ერთად, საკმაო ოდენობით რიგითი ფეხოსნები იყო საჭირო. ასევე, მნიშვნელოვანი ბრძოლების დროს, როდესაც ბრძოლის ველზე მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოდიოდა, ჯარის ძირითად მასას ქვეითები ქმნიდნენ, რომლებიც მოსახლეობის დაბალი ფენის წარმომადგენლებით კომპლექტდებოდნენ (წვრილი ერი, გლეხობა).[136]

რიცხვი შეამცირა. ედიშერ ხოშტარია-ბროსე, „ძველი ქართული საისტორიო წყაროების ტერმინთა „ერის“ და „წურილი ერის“ მნიშვნელობისა და შესაბამისი სოციალური ფენების ადგილის შესახებ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში“, *სმამ*, ტ. 120, №2 (1985), 435; მისივე, „თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები“, 183.

[134] სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ფეოდალური ეპოქის სამხედრო მოქმედებები ხშირად ასეთი გახლდათ.

[135] ამისათვის იხ. მამუკა წურწუმია, „შუა საუკუნეების ქართული პოლიორკეტიკა“, *საისტორიო კრებული*, 2 (2012), 121.

[136] გ. ანჩაბაძის თეზისი, რომ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ცხენოსანი ჯარი რიცხობრივად აღემატებოდა ქვეითს (გიორგი ანჩაბაძე, „ძეგლი ერისთავთა“ როგორც წყარო სამხედრო საქმის ისტორიისათვის ქართლის მთიანეთში“, *ქწ*, VII (1987), 84), გარკვეულ კორექტივს მოითხოვს. რა თქმა უნდა, მცირერიცხოვან ფეოდალურ რაზმებს ცხენოსანი მებრძოლები შეადგენდნენ და თარეშის ტიპის საბრძოლო მოქმედებებში, ძირითადად ცხენოსანი რაზმები მონაწილეობდნენ, მაგრამ დიდ და მნიშვნელოვან ბრძოლებში ქვეითები აღემატებოდნენ მხედართა რიცხვს. ქვეითზე მრავალრიცხოვანი ცხენოსანი შუა საუკუნეებში მომთაბარეებს ჰყავდათ, ფეოდალურ ლაშქარში კი, როგორც წესი, ქვეითები ჭარბობდნენ. ეს გასაგებიცაა, რაინდთა და მათი ცხენოსან თანმხლებთა რიცხვი ყოველთვის შედარებით მცირე იყო. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმ მრავალრიცხოვანი ლაშქრის, რომლის მობილიზება საქართველოს ერთიან მონარქიას განსაკუთრებულ შემთხვევებში შეეძლო, უმრავლესობას მძიმედ აღჭურვილი აზნაურული და მსახურეული კავალერია შეადგენდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დაშლილობის ხანაში, მცირერიცხოვანი არმიების (3-4 ათასი) დროს ცხენოსანთა რიცხვი აღემატებოდა კიდეც ქვეითებისას. *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა

თვით დასავლეთ ევროპაში, რომელიც კლასიკური ფეოდალიზმის სამშობლოა, სენიორი ყოველთვის ინარჩუნებდა თეორიულ უფლებას გაეწვია 16-დან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი, მით უმეტეს, თუ ამას ადგილობრივი თავდაცვის საჭიროება მოითხოვდა. საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, რომელიც თავდაპირველად ყველგან (როგორც ევროპაში, ისე საქართველოში) მხოლოდ თავისუფალ ერს ეხებოდა, ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად გლეხებზეც გავრცელდა.[137] სენიორს შეეძლო მოეთხოვა მათი სამსახური, ადგილობრივის გარდა, ომის სხვა თეატრზეც. თუმცა, ეს სამსახური, მრავალი მიზეზის გამო, პრაქტიკაში ძალიან იყო გაძნელებული. უპირველესი ხელისშემშლელი ფაქტორი იარაღის ნაკლებობა ან სულაც უქონლობა იყო, რის გამოც რეკრუტთა რაოდენობა ბევრჯერ ნაკლები იყო სამობილიზაციო რიცხვთან შედარებით; გარდა ამისა, შუა საუკუნეების ეკონომიკა ვერ უძლებდა სამეურნეო ძალის დიდი ოდენობით მონაწილეობას საომარ მოქმედებებში, მითუმეტეს, რომ ეს მოქმედებები გაზაფხულ-შემოდგომაზე მიმდინარეობდა; თავის როლს თამაშობდა გლეხთა დაბალი საბრძოლო მომზადებაც. ყოველივე ამის გამო, გლეხთა მონაწილეობა ომებში საკმაოდ შეზღუდული იყო. თუმცა, ეს შეზღუდვები არ ნიშნავდა, რომ ისინი საერთოდ არ მონაწილეობდნენ ომებში, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიებზე, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. არავინ ელოდა მათგან პირველ ხაზში ბრძოლას, მაგრამ მეორეხარისხოვან როლებს ისინი ხშირად ასრულებდნენ, იქნებოდა ეს ადგილობრივი მცველებისა თუ ლაშქრის თანმხლები ქვეითების როლი.[138] ფეოდალურ საზოგადოებაში სენიორს ქვეითი ჯარი გლეხობიდან გამოჰყავდა;[139] შუა საუკუნეების არმიების ფეხოსნებს, ჩვეულებრივ, გლეხები შეადგენდნენ.[140] გლეხებზე ასეთი ვალდებულების დაკისრება საქართველოშიც მოხდებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან XII საუკუნის შემდეგ, ბატონყმობის გამარჯვებისა და დაბალი ფენების საბოლოო დაყმევების შემდეგ, ქვეითი ჯარის გამოსაყვან წყაროდ ბარის საქართველოში მხოლოდ გლეხი რჩება.[141] უფრო ადრე, XI-XII

(თბილისი, 1975), 125; *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი"*, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. 1 (თბილისი, 1971), 323, 332.

[137] როგორც ს. რეინოლდსი აღნიშნავს, თავდაცვისა თუ სამხედრო სამსახურისათვის, გლეხს იმაზე უფრო ხშირად აიარაღებდნენ, ვიდრე იარაღის ტარებას უკრძალავდნენ. Reynolds, *Fiefs and Vassals*, 41-2.

[138] Claude Gaier, "Analysis of Military Forces in the Principality of Liege and the County of Looz from the Twelfth to the Fifteenth Century," *Studies in Medieval and Renaissance History*, 2 (1965), 25, 30-1, 35-6.

[139] Bloch, *Feudal Society*, 290.

[140] Nicholson, *Medieval Warfare*, 60.

[141] აღბუღას სამართალი, რომელიც XIV საუკუნის ძეგლია, იცნობს შემთხვევებს, როდესაც გლეხის ოჯახში აბჯარი ინახება და მემკვიდრეობით გადაეცემა: დაქვრივებულის ქონების განაწილებისას „გლეხთა ესე ქნან: ...თუ ვაჟიცა დარჩეს, აბჯარი ვაჟსა, და საქონელი ქალსავე". „სამართალი ბექასი და აღბუღასი", 456-7. ბუნებრივია, სამართალი ზრუნავს, რომ აბჯარ-იარაღი გლეხის ვაჟს გადაეცეს, რათა მომავალში მანვე გამოიყენოს ომსა და ლაშქრობაში.

საუკუნეებში, შერეული იქნებოდა ქვეითთა დაკომპლექტება ფეოდალთა რაზმებში, სადაც წვრილი ერის გარდა, გლეხიც მოხვდებოდა. შესაძლოა, ეს პროცესი უფრო ადრეც იყო დაწყებული, X საუკუნიდან მაინც, როდესაც გლეხთა რიცხვი საგრძნობი გახდა.[142] სენიორის (პატრონის) მიერ მოსახლეობის ყველა ფენის (მათ შორის, გლეხების) გაწვევის უფლება გარკვევით ჩანს ჩვენამდე მოღწეულ სალაშქრო ვალდებულებებათა ამსახველ დავთრებში. სამწუხაროდ, ასეთი ადრეული წიგნები არ მოგვეპოვება, მაგრამ სენიორის ამ უფლებას ვხედავთ გელათისადმი ბაგრატ მეფის 1545 წლის შეწირულების წიგნში, სადაც მეფის მიერ ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებს ლაშქარ-ნადირობა მაინც ევალებათ.[143] გასაწვევთა სიაში გლეხი ჩანს XIV საუკუნეშიც. გიორგი V-ის 1339 წლის სიგელში შალვა მეაბჯრეთუხუცესისადმი ვკითხულობთ: „და ვინც ამისი ხართ აზნაურისშვილი, მსახური და გლეხი, ყუელაი მსახურებდით ერდგულად და თავდადებით. ვინც ლაშქარს წაგიტანოს, ლაშქარს წაჰყევით, ვინცა შინა დაგაგდოს, შინა მსახურებდით".[144]

ჩემი აზრით, გლეხი სამხედროვალდებული იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. სხვა საქმეა, რომ მისი გაწვევის უფლებას სხვადასხვა ინტენსივობით იყენებდნენ სხვადასხვა ეპოქაში: სანამ მსახურ-აზნაურთა რიცხვი საკმარისი იყო, გლეხების გაწვევას შედარებით შეზღუდული ხასიათი ჰქონდა. ვითარება იცვლება გვიან შუასაუკუნეებში: ომში გლეხების მონაწილეობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც საბრძოლო მოქმედებებმა საქართველოს მთელი ტერიტორია მოიცვა, დაქუცმაცებული ქართული სამეფო-სამთავროების მესვეურთა ხელთ კი მეტად შეზღუდული ადამიანური რესურსი აღმოჩნდა და ისინი იძულებულნი გახდნენ უფრო მეტად გამოეყენებინათ გლეხთა პოტენციალი.

---

[142] X-XI სს. ხელნაწერებში გლეხის ხსენებისა და მისი მნიშვნელობისათვის იხ. ილია აბულაძე, „ძველი ქართულის ლექსიკიდან", *ხიმ*, I (1959), 169-75; მამისა ბერძნიშვილი, „გლეხთა კატეგორიები XI-XII ს-ში", *იჯიიშ*, ტ. V, ნაკვ. I (1960), 139; ბოგვერაძე, *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, 220-4. ქართული სოფლის სოციალური სურათის შესწავლისას დ. გოგოლაძე იმ დასკვნამდე მიდის, რომ X საუკუნის შემდეგ, ანუ XI-XII საუკუნეებში მდაბიორთა მიწაზე მიმაგრება ძირითადად დასრულებულია და თავისუფალი მიწისმოქმედი უკვე გაგლეხებულია. X საუკუნიდან ტერმინ *გლეხის* გავრცელებაც ამ პროცესზე მიუთითებს. დერმიშა გოგოლაძე, *ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.): სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია* (თბილისი, 1992), 51-9.

[143] „შეწირულების სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი", *ქსძ*, II, 185. ამ საბუთში ასახული მებეგრე გლეხთა სალაშქრო ვალდებულებების შესახებ იხ. სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 149. გლეხების სალაშქრო ვალდებულება ჩანს ალექსანდრე II-ის 1579 წლის სიგელშიც, რომლითაც გლეხებს არაფერი არ ევალებათ „თვინიერ ლაშქარ-ნადირობისა". „მამულების მფლობელობის განახლების წიგნი ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოველისადმი", *ქსძ*, II, 201. სხვა ასეთი საბუთებისათვის იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 156.

[144] *ქართული ისტორიული საბუთები: XIV-XV საუკუნეები*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, ტ. II (თბილისი, 2013), 39.

გლეხების ომში მონაწილეობა სულაც არ ნიშნავდა ფეოდალური სისტემის კრიზისს: 1) ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, მათი მონაწილეობა ომში თითქმის ყოველთვის მოსალოდნელია შუა საუკუნეებში; 2) მეორეც, ქვეითი ჯარის გარეშე (რომელიც გლეხობისა და სხვა ქვედა ფენების წარმომადგენელთაგან დგებოდა) რაინდული ტიპის არმია (რომელსაც ქართული ფეოდალური ლაშქარიც მიეკუთვნებოდა) წარმატებულად ვერ იბრძოლებდა,[145] განსაკუთრებით, აღმოსავლური ტიპის მომთაბარული არმიების წინააღმდეგ (როგორიც იყვნენ, უმრავლეს შემთხვევაში, ქართველთა მოწინააღმდეგენი). ასეთ შემთხვევებში, რაინდული არმიის ცხენოსნებს ბრძოლის ველზე აუცილებლად სჭირდებოდათ ქვეითთა მხარდაჭერა შეტევისა თუ კონტრშეტევის მოსამზადებლად, წარუმატებელი შეტევის შემდეგ გადასაჯგუფებლად და მტრის ისრის წვიმისაგან დასაცავად.[146]

გლეხი ყოველთვის მონაწილეობდა შუა საუკუნეებში მიმდინარე ომებში, მხოლოდ მისი როლი და წილი მკვეთრად განსხვავდებოდა აზნაურისაგან. რა თქმა უნდა, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ომში გლეხთა ფართო ფენები მონაწილეობდნენ. **სამხედრო საქმიანობაში ჩართული იყო მათი მხოლოდ მცირე ნაწილი**, საერთო ჯამში, გლეხთა ფენის მეტად მცირე წილი.

მიუხედავად იმ უყურადღებობისა, რასაც, ჩვეულებრივ, მატიანეები იჩენენ გლეხთა მიმართ, მათში გაბნეული კანტი-კუნტი ცნობებიც ადასტურებს გლეხთა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დიდგორის ბრძოლაში გლეხებსაც კი დაუტყვევებიათ მუსლიმი დიდებულები: „და რამეთუ გლეხთა იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რადღა რამცა გჳნდოდა თქმად".[147] ამ ცნობის საფუძველზე გ. მელიქიშვილი უთითებდა სოციალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომთა (გლეხთა) მონაწილეობას სამხედრო ორგანიზაციაში („ზოგიერთ შემთხვევაში მაინც").[148] ტაშისკარის ბრძოლის ანალოგიით, როდესაც გაქცეულ თათრებს დედაკაცებიც კი იჭერდნენ, ამის უარყოფას შეეცადა ქ. ჩხატარაიშვილი და ჩათვალა, რომ „დავითის ისტორიკოსის ამ სიტყვებიდან ... არ

---

[145] ეს არ იყო მომთაბარული ტიპის არმია, რომელიც მხოლოდ ცხენოსანთა ხარჯზე აღწევდა წარმატებებს.

[146] დასავლეთევროპული ლაშქარი ძირითადად რაინდულ-მსახურეული ჰგონია ე. ხოშტარია-ბროსეს, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს მცდარ დასკვნას ევროპული და ქართული ლაშქრის შედარებისას. ხოშტარია-ბროსე, „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის", 115; მისივე, „თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები", 184-5.

[147] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაჳითისი", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 341-2.

[148] გიორგი მელიქიშვილი, *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი* (თბილისი, 1973), 74.

ჩანს, რომ გლეხები მოლაშქრეები იყვნენ..." თავისი მოსაზრების შესამაგრებლად, მკვლევარმა მეტად უცნაური და არარეალური ტაქტიკური ხერხი მიაწერა დავით აღმაშენებელს: „გამორიცხული არც ისაა, რომ... დავითმა ლაშქართან ერთად გლეხობაც („ქუდზე კაცი") გამოიყვანა და დიდგორის მიდამოებში რეზერვად დააყენა".[149] საუბარს აღარ გავაგრძელებ სამხედრო თვალსაზრისით „რეზერვად დაყენებული" გლეხთა მასის სრულ მიზანშეუწონელობაზე, მხოლოდ ვიტყვი, რომ წარმოდგენილი ანალოგია ვერ უარყოფს მემატიანის ცნობას ომში დაბალი ფენების მონაწილეობის თაობაზე: დავითის ისტორიკოსი გარკვევით (და სოციალური სტატუსის ერთგვარი დაპირისპირებით) ჩამოთვლის ქართული ჯარის წევრებს – გლეხებსა და გოლიათებს (რაინდებს). მემატიანის ეს ცნობა არავითარ ეჭვს არ იწვევს ნ. ბერძენიშვილში, რომელიც მასზე დაყრდნობით პირდაპირ აცხადებს: „აქედან ცხადია, გლეხი მეომართა რიგებში არის".[150] მეტიც, მკვლევარი იქვე განმარტავს, რომ ეს გლეხი არც თავისუფალი მიწისმოქმედია და არც მსახური, არამედ სოციალური კიბის უდაბლეს საფეხურზე მდგომი, დაბეგრილი და ომში მსუბუქი იარაღით გასული პირი.[151] ნ. ბერძენიშვილს კარგად ესმოდა, თუ რა ფორმით მონაწილეობდა გლეხი ომში: „გლეხის ლაშქრობა მარტივი იყო. ის **ქვეითი** იყო და ბატონის უშუალო მომსახურეობას ეწეოდა..."[152]

ქართულ ჯარში გლეხებს მოიხსენიებს არაბი ისტორიკოსი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბაღდადიც (1161/2-1231), რომელიც 1221 წელს მონღოლებთან ბრძოლაში ქართველთა დამარცხებაზე მოგვითხრობს: „და როცა [თათრებმა] ქართველთა ქვეყანას მიაღწიეს, ქართველებმა შეჰყარეს თავიანთი ჯარები და შეხვდნენ მათ, მაგრამ დამარცხდნენ. მოიკლა მათგან [ქართველთაგან] 8 ათასი რჩეული მეომარი და დიდძალი ქვეშევრდომი და **გლეხი** (*მინ ალ-ითბა ვა ლ-ფალლაჰინა*)".[153] *რჩეული მეომარი* აქ აზნაურს შეესატყვისება, *ქვეშევრდომში* (*ალ-ითბა*) აზნაურულად მსახური უნდა ვიგულისხმოთ, *ალ-ფალლაჰუნა* კი გლეხებია,[154] რომლებიც ბრძოლის ველზე დაცემულთა შორის მოიხსენიებიან.

---

[149] ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 18.

[150] ნიკო ბერძენიშვილი, „მასალები ავტორის არქივიდან", *სის*, წ. IX (თბილისი, 1979), 95.

[151] ბერძენიშვილი, „მასალები ავტორის არქივიდან", 96.

[152] იქვე, 186. მართალია, ნ. ბერძენიშვილი ბევრგან წერს, რომ გლეხი მოლაშქრე არ იყო და ლაშქრობა არ ევალებოდაო, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაცდინოს. მკვლევარი ერთმანეთისაგან ასხვავებდა მოლაშქრეობას (ცხენოსნად) და ომში მონაწილეობას (ქვეითად): „ომში გასვლას მოლაშქრეობა არ ეწოდებოდა. ომში ყველა შეეძლოთ გაეწვიათ. ამით ისინი მოლაშქრეები ვერ ხდებოდნენ... ლაშქარს წასვლა ან ლაშქრად წასვლა **მჭედრ** წასვლას გულისხმობდა. ცხადია, ლაშქრობა და ომში წასვლა ერთი და იგივე არაა. ლაშქრობა კი ნიშნავს ომში წასვლას, მაგრამ ყოველი მეომარი მოლაშქრე არაა". იქვე, 218.

[153] გოჩა ჯაფარიძე, „ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის", *ცისკარი*, 1 (1980), 135; მისივე, *ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში* (თბილისი, 2012), 237.

[154] შდრ. ზ. ბუნიატოვი, რომელიც ასევე თარგმნის ალ-ბაღდადის ცნობის ჩვენთვის საინტერესო ადგილს – крестьян. З.М. Буниятов, "Еще одна неизвестная страничка из истории средневековой Грузии," *Миаэбис*, 4 (1982), 162.

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს ერთ შემთხვევაზე, როდესაც მუსლიმთა უეცარი თავდასხმისაგან დამარცხებული გიორგი III-ის ჯარი მძიმე დანაკარგების გარეშე გადარჩენილა: „არა დიდებული, არა აზნაური, არა ვარგი და საცნაური აზნაურის ყმაცა დაკლებულ იქმნა მათ ლაშქართა შინა“.[155] ამ ცნობის საფუძველზე, ნ. ბერძენიშვილი ჩამოთვლის ომში მონაწილეებს: დიდებული, აზნაური და აზნაურის ყმები, რომლებიც ორი კატეგორიის იყვნენ („ვარგი და საცნაური“ და ჩვეულებრივი).[156] ჩემი აზრით, ეს აზნაურის ყმები მისი მსახურებია: 1) „ვარგი“ – ცხენოსანი და 2) ჩვეულებრივი – ქვეითი. ორივე ეს კატეგორია დაბალი ფენიდანაა გამოსული – პირველ კატეგორიას ცხენით „აზნაურულად“ სამსახური შეეძლო, მეორეს კი პატრონის სამსახური (კარვის გაშლა, ცხენების მოვლა, აღჭურვილობის მოვლა და შეკეთება, პატრონის შეჭურვა, საკვების მომზადება, ასევე, ბანაკის დაცემა, თხრილების („ხანდაკის“) გათხრა, მესერის („სხრტის“) შემოვლება, ბრძოლის ველის დათვალიერება, ტყვეთა მიხედვა, ნადავლის აკრეფა, დაჭრილი პატრონის მოვლა და ა.შ.[157] შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ყველა ამ „შავ სამუშაოს“ აზნაურულად მებრძოლი მსახური ასრულებდა. მართალია, რიგ შემთხვევებში აზნაურებს (რაინდებს) კეთილშობილთა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდა მეაბჯრე თუ საჭურველთმტვირთველი ემსახურებოდათ,[158] მაგრამ, ეს მხოლოდ რჩეულ და დიდგვაროვან აზნაურთა ხვედრი იქნებოდა. აზნაურ-რაინდთა ძირითად მასას, ისევე როგორც ევროპაში, მდაბიო წარმოშობის დამხმარე ეყოლებოდა.

ჩემი აზრით, თამარის ისტორიკოსის ფრაზაში, – „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი“,[159] – იგულისხმება გლეხები („ქუეყანისა მოქმედნი“), რომლებიც სამხედრო სამსახურის წყალობით გახდნენ აზნაურნი. ე. ხოშტარია-ბროსე, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ფრაზით მემატიანე სამხედრო დამსახურების შედეგად გარკვეული ფენის სოციალურ წინსვლას აღნიშნავს, „ქვეყნისმოქმედნში“ რატომღაც ძველი „ერის“ წარმომადგენლებს („მდაბიორ-მოლაშქრეებს“) ხედავს და არა გლეხებს,[160] რომლებზეც, როგორც საზოგადოების მწარმოებელ („ქვეყნისმოქმედ“) ნაწილზე,

---

[155] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 14.

[156] ბერძენიშვილი, „მასალები ავტორის არქივიდან“, 127.

[157] ასეთ მსახურებს „უჩინარ ადამიანებსაც“ კი უწოდებენ, რადგან გლეხი მოსამსახურეების პოვნა შუა საუკუნეების ლიტერატურაშიც და მხატვრობაშიც ძალიან ძნელია. Richard Brzezinski, *Polish Winged Hussar 1576-1775* (Oxford, 2006), 61.

[158] ასე მაგალითად, სამცხის ათაბაგის შვილი სარგისი „აღზრდილ იყო აბჯრისმტჯრთველად“. უამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1987), 207.

[159] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 34.

[160] ხოშტარია-ბროსე, „ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის“, 117.

პირდაპირ მიუთითებს წყარო. ი. ჯავახიშვილი გარკვევით ამბობდა, რომ „ქუეყანის-მოქმედი" გლეხი იყო: „რაკი გლეხები სოფლის მუდმივი მკვიდრნი იყვნენ და მათი ერთადერთი საცხოვრებელი და მარჩენალი მიწის-მოქმედება იყო, ამიტომაც არის, რომ ხშირად მათ მარტივად „ქუეყანისა მოქმედნი" ეწოდებოდათ".[161] როგორც ვხედავთ, ე. ხოშტარიას მცდარი დასკვნის მიზეზი ისაა, რომ მკვლევარი კატეგორიულად გამორიცხავდა XII საუკუნეში გლეხობის ომში მონაწილეობას, და შესაბამისად, გააზნაურების საშუალებას.

საყურადღებოა, რომ საბუთებში ხშირად მხოლოდ ცხენოსანი მოლაშქრენი გვხვდებიან და ქვეითად მებრძოლნი არ არიან ნახსენები, თითქოს ისინი არც არსებობდნენ.[162] ფეოდალური საზოგადოების დამოკიდებულება მდაბიო ქვეითებისადმი გასაკვირი არ არის,[163] მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ისინი ქართულ ჯარში საერთოდ არ არსებობდნენ. ქვეითი ჯარი ქართული ფეოდალური ლაშქრის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა და იგი ყველაზე დაბალი ფენიდან (წვრილი ერი, გლეხობა) გამოდიოდა. გლეხის სისხლის ფასი ოთხასი თეთრი იყო, მაგრამ თუ მას „პატრონნი იცნობდენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს".[164] ისეთი გლეხის სისხლი, რომელიც პატრონს ახლდა და „მსახურებდა", ჩვეულებრივ გლეხთან შედარებით ორნახევარჯერ ძვირი ღირდა.[165] „სიკეთეზედ ცნობა" პატრონის სასარგებლოდ გლეხის მრავალგვარ სამსახურს გულისხმობს და, ალბათ, ომში ხლებასაც.[166]

აზნაურისა და გლეხის დამოკიდებულება სამხედრო საქმისადმი

მიუხედავად გლეხის მონაწილეობისა ომში, სახელმწიფოს მიდგომა ფეოდალისა და გლეხის მიმართ განსხვავებული იყო. საქართველოში ყოველი აზნაური იყო ლაშქარვალდებული. საჭიროების შემთხვევაში, თავად-აზნაურებს „ტოტალურად" იწვევდნენ, გლეხებს კი „შეწერილის"

---

[161] ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 206.

[162] ქ. ჩხატარაიშვილმა ყურადღება მიაქცია ვახტანგ VI-ის ერთ საბუთს, სადაც „სამცხეთო ჯარში" მხოლოდ „მსახურ-აზნაურიშვილები" არიან მოხსენიებულნი, მაშინ როდესაც სალაშქრო დავთრები ზუსტად ასახავენ გლეხთა მასობრივ მონაწილეობას იმავე ჯარში. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 23.

[163] შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია, რომ საზოგადოებისა და არმიის მაღალ ფენებზე ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე უბრალო ჯარისკაცებზე. David Nicolle, *Saracen Faris 1050-1250 AD* (Oxford. 1994), 5.

[164] „სამართალი ბექასი და აღბუღასი", 429.

[165] დავით ფურცელაძე, „უხმარ გასრულისა" და „სისხლმცირე კაცის" საზოგადოებრივი სტატუსისათვის აღბუღას სამართალში", *ქართული სამართლის ისტორიის საკითხები*, III (1979), 40.

[166] საყურადღებოა, რომ მ. სანაძის შეხედულებით, „სიკეთეზედ ცნობილი" გლეხი, „თავისი ვალდებულებითა და მდგომარეობით, უახლოვდება მსახურს". სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 123. მსახურთან დაახლოება კი, პირველ რიგში, გლეხის სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობას ნიშნავდა.

მიხედვით: „შეჰკუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა – სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან – წარსლვად ლაშკარსა შინა, ხოლო გლეხთა მზგავსად შეწერილებისად".[167] აზნაურთა „ტოტალურ გაწვევას" ჯერ კიდევ ჟამთააღმწერელი ადასტურებს, რომლის თანახმადაც, მონღოლთა მხარდამხარ გილანში ბრძოლისას დამარცხებული ქართველები „ესრეთ მოსწყჳდეს, მრავალნი აზნაურნი უმკჳდრო გახდეს, რამეთუ მამა, შვილი და ძმა, ყოველნივე მუნ ახლდეს".[168] ასეთ ვითარებას აღწერს არქანჯელო ლამბერტიც სამეგრელოში: „თუმცა ჩვეულებრივ მთავარი თხოულობს, რომ კომლზე ერთი კაცი გამოვიდეს ლაშქრად, მაგრამ აზნაურობა უფრო თავის სურვილით, ვიდრე კანონით, სულ ერთიანად გამოდის, ისე რომ აზნაურს თუ ხუთი ან ექვსი ვაჟი ჰყავს, ესენი ყველანი გაჰყვებიან საომრად მთავარს, უკეთუ იმ ხანში არიან, რომ ცხენზე შეჯდომა შეუძლიათ".[169]

თავის მხრივ, ფეოდალსა და გლეხს სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ სამხედრო საქმის მიმართ. აზნაურისათვის სამხედრო სამსახური ჩვეული საქმიანობა, გლეხისთვის კი – მეორადი, თავს მოხვეული ვალდებულება იყო. ეს განსხვავებული დამოკიდებულება ომისადმი კარგად ჩანს ერთ საბუთში (მართალია, გვიანდელ, მაგრამ ეს არაფერს ცვლის). 1798 წელს გიორგი XII წერს ოთარ ამილახვარს, ზემო ქართლის სადროშოს სარდალს: „გლეხმა კაცებმა იციან, ვისაც ცხენი ყავს, რომ შინ დააგდებენდა შინ ცხენს ნურავინ დააგდებს, ვისაც ჰყვანდეს ცხენით წამოვიდნენ..."[170] დამახასიათებელია, რომ გლეხი ქონებას უფრო უფრთხილდება, ვიდრე საკუთარ თავს და ურჩევნია, მეურნეობისათვის საჭირო ცხენი შინ დატოვოს, მიუხედავად იმისა, რომ იმავე ცხენმა შეიძლება ომში სიკვდილისგანაც კი იხსნას.

ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები, ცხადია, ბარის საქართველოს ეხება, რომელიც ფეოდალური იყო. რაც შეეხება საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ თავისუფალ მეთემეებს („ჰეროვანი"), მათი მონაწილეობა ფეოდალურ ლაშქარში გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებოდა. საქართველოს მთაში ფეოდალიზმმა ბოლომდე ვერ შეაღწია (ე.წ. „პროტოფეოდალიზმი"),[171] სასოფლო

---

[167] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 31.

[168] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 214.

[169] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ, გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ილია ანთელავამ (თბილისი, 1991), 84.

[170] აკაკი კლიმიაშვილი, „მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის", *XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი* (თბილისი, 1964), 131.

[171] ამ ტერმინისათვის იხ. გიორგი მელიქიშვილი, „მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის", *ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, რედ. გ. მელიქიშვილი (თბილისი, 1976), 169-70.

თემები ვერ მოსპო, სოციალური დიფერენციაცია სუსტი იყო და მოსახლეობამ თავისუფლება მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა.[172] მთის ლაშქარი „სამხედრო დემოკრატიის" პრინციპებზე იყო აგებული, სადაც ყოველი მამაკაცი მოლაშქრე იყო. ეს განაპირობებდა მთიელთა ლაშქრის სახალხო ხასიათსა და შედარებით მრავალრიცხოვნობას და, ამავე დროს, ქვეით ხასიათსაც.

მთიელთა მონაწილეობამ ფეოდალური საქართველოს ლაშქარში მეტი მნიშვნელობა შეიძინა ერთიანი მონარქიის დაშლის შემდეგ, როდესაც ისინი აკომპლექტებდნენ აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს მეფეთა მცველ რაზმებს: „ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა... არღაცა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოჴევე-მთიულნი... ხოლო იმერთა – რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა – ქისიყი".[173]

ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობის განხილვის შემდეგ, თვალსაჩინოა გარკვეული სიახლოვე და პარალელები ევროპულ სამხედრო საქმესთან. ეს მოსალოდნელიცაა, რადგან მსგავსი სოციალური წყობა მსგავს სამხედრო ორგანიზაციას შობს: ჩანს, რომ აზნაური შეესაბამება რაინდს, ლაშქრად გამოსული აზნაურულად მსახური (ქოთლოსან-აბჯროსან-კარვოსანი) კი – სერჟანტს.[174] ბუნებრივია, საბრძოლო მოწყობისას პირველობას არავის დაუთმობდნენ და წინა რიგს შექმნიდნენ ყველაზე კარგად აღჭურვილი დიდებულ-აზნაურები, რომელთა უკან, მეორე რიგში, მასობრივად დაწყობილი მრავალრიცხოვანი მსახურები იდგებოდნენ.[175] ასეთ მოწყობაზე მიუთითებს ჟამთააღმწერელის ერთი ცნობა. 1281 წელს მამლუქებთან ჰომსის ბრძოლაში, სადაც მონღოლთა რიგებში 5 000 ქართველიც იბრძოდა დემეტრე II-ის მეთაურობით, ქართველ წინამბრძოლთა ორასკაციანი რაზმი

---

[172] მთიელთა სამხედრო ორგანიზაციის შესახებ იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 25-31; ე. ხოშტარია-ბროსე, *ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები* (თბილისი, 1984), 97-108, 124-6. თავის მხრივ, მთის კუთხეებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან სოციალური განვითარების დონით: მაგალითად, სვანეთში უფრო იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობები, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ხოშტარია-ბროსე, *ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები*, 122.

[173] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 31.

[174] ომში რაინდების დამხმარე, დაბალი წარმოშობის მებრძოლებს სერჟანტებს უწოდებენ, რაც სიტყვა-სიტყვით „მსახურს" ნიშნავს: ფრანგული *sergent* ლათინური *serviens*-დან მომდინარეობს. Helen Nicholson, *Knight Templar 1120-1312* (Oxford, 2004), 10.

[175] ევროპული კავალერიის მეორე რიგში მიმავალი სერჟანტები რეზერვს წარმოადგენდნენ, რომელთაც რაინდთა ნარმატებული შეტევის განვითარება შეეძლოთ ანდა, წარუმატებლობის დროს ბრძოლაში ჩაბმით, რაინდებს გადაწყობის დროსა და საშუალებას აძლევდნენ. Matthew Bennett, *"La Regle du Temple* as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge," in *The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar*, translated and introduced by J.M. Upton-Ward (Woodbridge, 1992), 186.

თითქმის მთლიანად განადგურდა: „იქმნა სასტიკობა ესევითარი, რომელ ორასი მჯედარი წინამბრძოლად განეწესნეს მეფესა და სრულიად მოისრნეს თჳნიერ მეფისა და სამთა კაცთასა და ცხენთასა".[176] ცხადია, ამ ორასკაციან წინამბრძოლს ყველაზე კარგად აღჭურვილი დიდებულ-აზნაურები შეადგენდნენ, რასაც ამ რაზმში თავად მეფის ყოფნა მოწმობს.

საბოლოოდ, შუა საუკუნეების საქართველოს სამხედრო მოწყობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1. წამყვან როლს თამაშობდნენ აზნაურ-დიდებულები, რომლებიც ცხენზე ამხედრებულნი, მძიმედ შეჭურვილები გადიოდნენ ბრძოლაში; 2. მათი რიცხვი საკმარისი არ იყო ომის საწარმოებლად და მათ რიგებს ავსებდნენ ქვედა ფენებიდან დაწინაურებული მსახურები, რომლებიც ასევე ცხენით (აზნაურული წესით) იბრძოდნენ; 3. პატრონ-აზნაურებს ომში თან ახლდნენ დაბალი ფენის წარმომადგენლები („წვრილი ერი", გლეხობა), რომლებიც პატრონს ემსახურებოდნენ და ქვეით ჯარს შეადგენდნენ; ქვეითი ჯარის რიცხვს ავსებდნენ მთის სხვადასხვა თემიდან გამოსული ქვეითი მოლაშქრეებიც.

სამხედრო სტრუქტურა

ჩვენამდე მოღწეული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია დეტალურად მივადევნოთ თვალი საუკუნეების განმავლობაში ქართული სამხედრო ორგანიზაციის ცვლილებებსა და ტრანსფორმაციას, თუმცა, ზოგადი სურათის წარმოჩენა სავსებით შესაძლებელია.

სამხედრო ორგანიზაციის სათავეში მეფე იდგა. მას ემორჩილებოდა სამხედრო აპარატი, რომლის უფროსი ერთიანი მონარქიის ხანაში ამირსპასალარი იყო. ამირსპასალარის ინსტიტუტს ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნდა და მისი წინამორბედი ადრეფეოდალურ ხანაში იყო სპასპეტი, შემდეგ კი, XI საუკუნეში მაინც, სპასალარი.[177] ამირსპასალარის თანამდებობის შემოღება XII საუკუნის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება.[178] ამირსპასალარი იყო „თავადი ლაშქართა" და მისი ფუნქცია-მოვალეობები სამხედრო მინისტრისა („ლაშქრობის ვეზირობა") და სარდლის („ლაშქრობაჲ") ერთგვარი ნაზავია: „ლაშქრობაჲ და ლაშქრობის ვეზირობა ამირ-სპასალარის ჴელთ არის".[179] სამეფო კარის რეგლამენტით სამხედრო საკითხებზე თათბირის დროს პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა: „მას წი-

[176] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 170.

[177] ილია ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში* (თბილისი, 1983), 127-9.

[178] შოთა მესხია, *ძლევაჲ საკვირველი* (თბილისი, 1972), 47; მისივე, *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში* (თბილისი, 1979), 18-20.

[179] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 86.

ნათ არავინ იტყჳს, რაჲ ვეზირობა იყოს".[180] როდესაც მეფე არ ლაშქრობდა,[181] მაშინ ჯარს ამირსპასალარი მიუძღოდა.[182] ამირსპასალარს ექვემდებარებოდნენ სპასალარები და ერისთავები. მას ემორჩილებოდა ამილახორი,[183] რომელიც უშუალოდ განაგებდა საჯინიბოს[184] და რომელსაც, თავის მხრივ, ემორჩილებოდა მეაბჯრეთუხუცესი თავისი მეაბჯრეებით,[185] ამირჩქარი – მალემსრბოლთა უფროსი და მერემეთუხუცესი, რომლის მოვალეობა ცხენების მოშენება-ხედნა იყო.[186]

სამეფო რეგლამენტის მიხედვით წელიწადში ერთხელ სამეფო არსენალი (ზარადხანა) ამილახორისა და მეაბჯრეთუხუცესის მეთვალყურეობით ზარადხანის უხუცესსა და მწიგნობარს უნდა აღეწერა.[187] სამეფო არსენალის შესაძლებლობები კარგად გამოჩნდა XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც დავით IV-მ საქართველოში გადმოყვანილი ყივჩაღთა ურდო „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა".[188] განსაკუთრებით დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდა მონასპის შემადგენლობაში შემავალ ყივჩაღთა აღჭურვას, რომელთა სრულფასოვნად შესაიარაღებლად შეტევითი და თავდაცვითი აღჭურვილობაც იყო საჭირო.

ომის საქმე მხოლოდ ამირსპასალარის უწყებას არ ეხებოდა. სამეფო კარის ვეზირები და მათდამი დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებები ქმნიდნენ იმ პირთა წრეს, რომელნიც ქვეყანას ომისათვის ამზადებდნენ. ფაქტობრივად ისინი წარმოადგენდნენ ქართულ „გენერალურ შტაბს", რომლის მოვალეობას შეადგენდა სათანადო ინფორმაციის შეკრება მშვიდობის დროს და მომავალი საბრძოლო ოპერაციების მომზადება და დაგეგმვა. ამისათვის სამეფო კარი აგროვებდა სადაზვერვო ცნობებს, აკონტროლებდა მონაპირეებს,[189] წესრიგში მოჰყავდა გზები და ხიდები და სხვ.[190] განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამეფო კარის ქმედებას ლაშქრის შეყრის დროს: მობილიზაციის სისტემის აწყობილად ქმედება,

---

[180] იქვე, 86.

[181] საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო მისი მეფეების ბრძოლაში მონაწილეობა, რისი მთავარი მიზეზიც ფეოდალური ორგანიზაციის ხასიათი იყო, სადაც წინამძღოლის (მეფის) პირად მაგალითს ყოველთვის მიესალმებოდნენ.

[182] ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 285; ჯემალ სტეფნაძე, *საქართველო XII და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში* (თბილისი, 1985), 168.

[183] „ამილახორი ვეზირი არის ამირ-სპასალარისა". „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 86.

[184] ამილახორისა და მეჯინიბეთუხუცესის იგივეობისათვის იხ. ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 59-64.

[185] „მეაბჯრეთ-უხუცესი და მეაბჯრენი, და მესარტყლენი, და საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ჴელისანი არიან". „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 86.

[186] ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 64-6.

[187] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 87.

[188] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 337.

[189] ვრცლად იხ. ქვემოთ *მონაპირეებთან.*

[190] შდრ. Bernard S. Bachrach, "Charlemagne and the Carolingian General Staff," *JMH*, vol. 66, no. 2 (2002), 313-57.

„წვევის წიგნების“ სწორად მომზადება და თავშეყრის ადგილისა და დროის ზუსტი ზუსტი გათვლა სათანადო ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა დამგეგმავისაგან.[191]

ქართული ფეოდალური ლაშქარი ორი ტიპის ნაწილებისაგან შედგებოდა – მცირერიცხოვანი მუდმივი ნაწილებისა (ტაძრეული, მონასპა) და საჭიროების შემთხვევაში შეკრებილი ფეოდალური რაზმებისაგან, რომელთაც ხშირად მოქირავნეებიც ემატებოდათ. ამათ გარდა, სამეფოს ციხე-ქალაქებს მათი გარნიზონები იცავდა.

1) მეფის ტაძრეული მცირერიცხოვანი, მაგრამ მუდამ მეფესთან მყოფი რჩეული რაზმი იყო.[192] ტაძრეული არ ემორჩილებოდა ამირსპასალარს და მას მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობდა.[193] ტაძრეულის საშუალებით მეფეს შეეძლო დამოუკიდებლად, სხვა ფეოდალთა რაზმების მოწვევის გარეშე, ჩაეტარებინა მცირე მასშტაბის სამხედრო მოქმედებები. ის ლაშქრის ბირთვი იყო, რომლის გარშემო იკრიბებოდა სხვადასხვა რაზმები.

ტაძრეული წარმოდგება სიტყვიდან ტაძარი და სიტყვასიტყვით „სასახლისეულს“ ნიშნავს.[194] ტაძრეული (ინგლისური ***houshold***, რუსული *дружина*, ქართული *სახლეული*) ფეოდალის (მეფის, დიდებულის) სამხედრო რაზმი იყო,[195] რომელიც შედგებოდა როგორც ფეოდალური სახლის წევრებისაგან, ასევე მსახურთაგან.[196] ტაძრეულის წევრები მცირემიწიანი ან უმიწო ფეოდალთა კლასის წარმომადგენლები იყვნენ, ასევე წარჩინებული გვარების ახალგაზრდა წევრები, რომელთაც ბრძოლებში მონაწილეობით დაწინაურების კარგი შანსი ეძლეოდათ.[197] ეს იყო პოლიტიკური ინსტიტუტი, რომლის

---

[191] ვრცლად იხ. ქვემოთ ქვეთავში *ლაშქრის მობილიზაცია*.

[192] „რჩეულნი ჭაბუკნი, რომელნი სამარადისოდ თანა ჰყვებოდეს მეფესა“. *ქართლის ცხოვრება*, II, 450; ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 50.

[193] ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 132, 143.

[194] მეფის (ფეოდალის) სასახლეს ძველად „ტაძარი“ ან „პალატი“ ეწოდებოდა. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 47; Г.А. Меликишвили, *К истории древней Грузии* (Тбилиси, 1959), 423-4; გოგოლაძე, *ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში*, 37. ამ ტიპის პროფესიონალ მებრძოლთა რაზმები, – *პალატინები* გავრცელებული იყო კაროლინგურ ევროპაში, სადაც მათ თავიანთი სახელიც კი დაუტოვეს გერმანიის ერთ მხარეს – პალატინატი ანუ პფალცი. David Nicolle, *The Age of Charlemagne* (Oxford, 1984), 7.

[195] გულჩინა აკოფაშვილი, „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში“, *სფხის*, V (1986), 65, 75.

[196] თენგიზ პაპუაშვილი, „დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხები“, *მიაეხის*, 3 (1989), 27.

[197] ვახუშტი აღწერს დიდგვაროვნის ძის მეფის ტაძრეულში მოხვედრის წესსა და პროცედურას: „რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჴელისუფალნი, ანუ აზნაურნი ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჴრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი... და ჴრმალსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხუათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ“. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 31-2.

წევრები ახლო ურთიერთობაში იყვნენ მეფესთან (სენიორთან);[198] სახლეულის მორალი და მოტივაცია მაღალი იყო და თავისი სენიორისა და მეფის უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჴელისუფალნი, ანუ აზნაურნი ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჴრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი... და ჴრმალსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხუათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ".[199] ჩანს, რომ მეფის ტაძრეულში უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც ირიცხებოდნენ, რომელთაც მეფესთან ახლოს ყოფნითა და მის წინაშე ბრძოლებში თავის გამოჩენით შემდგომი წინსვლის საშუალება ეძლეოდათ. ცხადია რომ, ტაძრეული ერთგვარი სამხედრო სკოლა იყო, სადაც ახალგაზრდა დიდებულ-აზნაურნი იწვრთნებოდნენ და სამხედრო ხელოვნებას ეუფლებოდნენ. ტაძრეული ჰყავდა მეფესა და დიდ ფეოდალებსაც. მაგალითად, მონღოლებთან ბრძოლაში დამარცხებულმა მურვან გურკლელმა ბევრი ტაძრეული დაკარგა: „შეიბნეს ძლიერად, სძლეს თათართა და მრავალი ტაძრეული აზნაური მოკლეს, და ივლტოდეს გურკლელი".[200] ყოველდღიურ ცხოვრებაში მათ ეკისრებოდათ წარმომადგენლობითი და დაცვითი ფუნქციები, კონფლიქტების დროს კი შეიარაღებული ძალების ბირთვს წარმოადგენდნენ.[201] მათი აღჭურვილობით უზრუნველყოფა თუ სრულყოფა, აგრეთვე, ყოველდღიური რჩენაც ფეოდალს ეკისრებოდა; სენიორის მოვალეობა იყო ბრძოლებში დანაკარგის (იარაღისა თუ ცხენების) ანაზღაურებაც.[202] ევროპაში მათ გარკვეულ საზღაურს უხდიდნენ და რეგულარულად ასაჩუქრებდნენ.[203] სახლეულში მიწით უზრუნველყოფილებიც მსახურობდნენ, რომლებიც პატრონისაგან სხვა სახის ჯილდოს (ცხენები, იარაღი, ძვირფასი ტანსაცმელი და სხვ.) ელოდნენ.[204] გარკვეულ ფულად სარგოს (როჭიკს) მათ საქართველოშიც უხდიდნენ, როგორც ამას „მა-

---

[198] ბექას სამართლის მიხედვით, რომელიც XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა დაწერილი, ტაძრეული აზნაურის სისხლის ფასი 20 000 თეთრია, რაც აღემატება ჩვეულებრივი აზნაურის სისხლის ფასს (12 000 თეთრი) და დიდებულის სისხლის ნახევარს შეადგენს. „სამართალი ბექასი და აღბუღასი", 426-7.

[199] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 31-2.

[200] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 138.

[201] Timothy Reuter, "The Recruitment of Armies in the Early Middle Ages: What Can We Know?," in *Military Aspects of Scandinavian Society in a European Perspective, AD 1-1300*, eds. A. N. Jorgensen and B. L. Clausen (Copenhagen, 1997), 32.

[202] Stephen D. B. Brown, "Military Service and Monetary Reward in the Eleventh and Twelfth Centuries," *History*, 74 (1989), 36.

[203] Reuter, "The Recruitment of Armies in the Early Middle Ages," 33. მაგალითად, გასამრჯელოს უხდიდნენ ჰუსკარლებს ანგლო-საქსურ ინგლისში. Nicholas Hooper, "The Housecarls in England in the Eleventh Century," in *Anglo-Norman Warfare*, ed. by Matthew Strickland (Woodbridge, 1992), 2. ჰუსკარლი (*housecarl*) მიიღება ძველნორვეგიული ორი სიტყვისაგან, რომლებიც სახლს და მსახურს ნიშნავენ. აქვე, 1.

[204] Bloch, *Feudal Society*, 169.

მათა სწავლანის“ X საუკუნის ტექსტში ვკითხულობთ: „მჴედარი, რომელმან დაიწერის თავი თჳსი დივანსა შინა მეფისასა და მიერითგან წამოიღებნ იგი განწესებულსა როჭიკსა ერის კაცთასა, ვერღა შემძლებელნ არნ იგი თავით თჳსით განთავისუფლებად მსახურებისა მისგან“.[205] ასეთი, „სამსახურისგან თავდაუღწეველი“ მხედრები მუდმივად მეფის კარზე არიან: „მარადის მდგომარე არნ იგი წინაშე მეფისა შეჭურვილი საჭურველითა და განმზადებული ბრძოლად მტერთა მეფისათა თავ-გაწირვით“.[206] მუდმივად მეფის რაზმში მომსახურე პირი ფეოდალურ საზოგადოებაში მხოლოდ მეფის ტაძრეულის წევრი შეიძლება იყოს.[207] ტაძრეულის ანაზღაურების რა ნაწილს შეადგენდა როჭიკი ან როდემდე გრძელდებოდა ეს პრაქტიკა, ცნობილი არ არის. ამავე დროს, ნათელია რომ, ტაძრეულში სამსახურის ერთ-ერთ მთავარი მოტივი სამსახურის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთის მიღების მოლოდინი იქნებოდა.

ტაძრეულის რიცხოვნობა საკმაოდ მცირე იყო. ქართული წყაროების მონაცემები ამ რიცხვის დადგენის საშუალებას იძლევა. მეფეთა და მთავართა სახლეულს ადრე შუასაუკუნეებშივე ვხედავთ საქართველოში.[208] VIII საუკუნეში არჩილ მეფე მიწებს ურიგებს და აზნაურობას ანიჭებს თავის ტაძრეულს.[209] VIII საუკუნის ბოლო მეოთხედში ხაზარეთში წასულ ნერსე ერისთავს თან ახლავს 300 მამაკაცი.[210] მართალია გ. აკოფაშვილი, როდესაც თვლის, რომ „ეს 300 კაცი ნერსეს მუდმივი სამხედრო რაზმია“.[211] IX საუკუნის დასაწყისში არაბებისგან ლტოლვილ აშოტ კურაპალატს „ერი თჳსი მცირედ ჰყვა თანა, მკჳდრნი მისნი“, რომელთა მეშვეობით ფარავნის ტბასთან ის ამარცხებს მდევარ ლაშქარს („კნინსა მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევაჲ მათ ზედა“).[212] აშოტის „მკვიდრთა“ რიცხოვნობა ნერსეს რაზმის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ.

1048 წელს კაპეტრუს ბრძოლის წინ ლიპარიტ ბაღვაშმა, რომელსაც „აქუნდა ძალი მეფობისა ნახევარ“, „აღრიცხა აზნაურნი და მონანი თვისნი და ახოვანნი... და განვლეს აღრიცხვათა შორის შვიდასთა დიდ-დიდთა აზნაურთა, რომელნი იყვნეს მკვიდრნი მისნი“.[213] ლიპარიტი სამეფოს ნახევარ

---

[205] *მამათა სწავლანი*, 120.

[206] იქვე, 120.

[207] როჭიკის (ჯამაგირის) ამღებ მხედრებს ტაძრეულად მიიჩნევს ა. ბოგვერაძე. იხ. მისი, *ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან*, 104.

[208] ისტორიულ წყაროებში *ტაძრეულის* მოხსენიებისათვის იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 50.

[209] *ქართლის ცხოვრება*, I, 243.

[210] იოვანე საბანისძე, „ჰაბოს წამება“, *ქართული პროზა*, წ. I (თბილისი, 1982), 127.

[211] აკოფაშვილი, „ყმა, მსახური, ტაძრეული“, 140.

[212] სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ (თბილისი, 1990), 44.

[213] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 32-3. ს. მარქარიანის აზრით, ლიპარიტის 700 მებრძოლი აზნაური კი არა, არამედ ვიკინგია (ქართული წყაროების „ვარანგი“), რომლებიც მან სასირეთის ბრძოლაში დაამარცხა, დაატყვევა და შემდეგ საკუთარ ლაშქარში ჩარიცხა. მისი ერთ-ერთი

ძალას ფლობს და მისი სახლეულიც („მკვიდრნი მისნი") შესაბამისად დიდია: ის 700 მხედარს შეადგენს.

ამ რაოდენობასთან კორელაციაში მოდის და ირიბად ადასტურებს კიდეც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა მეფის ტაძრეულის შესახებ. აღმაშენებელს, რომელიც მთელ სამეფოს აკონტროლებდა, ლიპარიტის სახლეულზე ორჯერ მეტი ტაძრეული ჰყავს. მის დროს ტაძრეული 1 500 კაცს მოითვლიდა.[214]

ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, ტაძრეულის შემადგენლობაში შედიოდნენ მეფის მცველები – „მეფის წინამწოლნი" (მესაწოლენი), რომლებიც 700 შუბოსანს შეადგენდნენ. მათგან 8 გლეხი იყო, დანარჩენი კი აზნაური („და შჳდასი სახლი მესაწოლე არის; და გლეხი რვა სახლია, და სხვა ყოველივე – აზნაური"), რომლებიც მსახურთუხუცესს ემოჩილებოდნენ.[215]

საინტერესოა ერისთავის ხელქვეით არსებული რაზმის რიცხოვნობაც. XIII-XIV სს. მიჯნაზე ცხრაზმისხევის ერისთავის შალვა ქვენიფნეველს სახლეული 72 შუბოსნისაგან შედგებოდა: „ამათ ჟამთა იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორმეტი შუბოსანი და ყოველნი მორჩილებასა ქუეშე ქუენიფნეველისა".[216]

2) ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში მონასპა დავით აღმაშენებლის მიერ არის შემოღებული და მისი არსებობა XII საუკუნეს არ სცილდება.[217] ქ.

ძირითადი არგუმენტი სტეფანოს ორბელიანის ცნობაა, სადაც აღნიშნულია რომ ეს 700 მებრძოლი ატარებდა „თავზარდამცემ, შიშის მომგვრელ მუზარადს". მკვლევარი მათ ვიკინგთა რქიან მუზარადებად მიიჩნევს. Самвел Маркарян, "Варанги" "Матиане Картлиса" в историческом произведении Степаноса Орбеляна," *თსუშ*, 338 (2001), 135-40. რა შეიძლება ითქვას ამ ჰიპოთეზის შესახებ? პირველ ყოვლისა, ის რომ, ვიკინგები არასოდეს არ იბრძოდნენ რქიანი თუ ფრთიანი მუზარადებით! William R. Short, *Viking Weapons and Combat Techniques* (Yardley, 2009), 49; H. B. Clarke, "The Vikings," in *Medieval Warfare: A History*, ed. by Maurice Keen (Oxford, 1999), 44. ვიკინგთა ეპოქის (500-1100) ოთხმოცამდე შემორჩენილი მუზარადიდან არცერთს არ აქვს რქები. არც გამომსახველობითი წყაროები გვაძლევს ამის ვარაუდის უფლებას. მეტიც, ნაკლებად სარწმუნოა რომ იმდროინდელ (და საქართველოში მოხვედრილ) ყველა ვიკინგს ლითონის მუზარადი ჰქონოდა. Paddy Griffith, *The Viking Art of War* (London, 1995), 168-9. მეორეს მხრივ, ჩვენ გვაქვს ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ შუა საუკუნეების სომეხი მემატიანეები „შემზარავ მუზარადს" სწორედაც რომ ქართველთა აღჭურვილობაში ხედავდნენ: იოანე დრასხანაკერტელის მიხედვით, X საუკუნეში აფხაზეთის სამეფოს მხედრობა აღჭურვილი იყო „შიშის მომგვრელი ჩაფხუტებით"! იოანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია (786-925 წწ.)*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1965), 257. ეს შემთხვევა ლამის კლასიკური მაგალითია, თუ რა შეცდომამდე შეიძლება მიიყვანოს ისტორიკოსი სამხედრო საკითხებზე წერისას სამხედრო საქმისა და მისი დეტალების არცოდნამ და პოპულარულ, მაგრამ მცდარ, შეხედულებებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობამ.

[214] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 332.

[215] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 83-4. მეფის *საწოლი* მის კაბინეტს წარმოადგენდა. ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 32.

[216] „ძეგლი ერისთავთა", *ქსძ*, II, 109.

[217] არ არის მართებული მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ მონასპა ტაძრეულში შედიოდა და მის ერთ ნაწილს შეადგენდა. ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", 49; გოგოლაძე, „სამხედრო საქმის სოციალური მხარის საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში", 156. ეს მოსაზრება თავის დროზე ქ. ჩხატარაიშვილმაც უარყო. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 62.

ჩხატარაიშვილს მიაჩნია, რომ მონასპა თამარის დროს ქრება.[218] მას ეთანხმება ჯ. შარაშენიძეც.[219] გ. ალასანია თვლის, რომ მონასპის ინსტიტუტი „ფაქტობრივად მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს არსებობდა".[220] წყაროებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, გიორგი III-ის მეფობაში მონასპის არსებობას აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი.[221] მართლაც, 1161 წელს ანისთან ბრძოლისას გიორგი III-ს თან ახლავს „ვაზირნი, სპასალარნი, ჴელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი".[222] მონები ჩანან მისი გლოვის დროსაც.[223]

ტაძრეულის მსგავსად, არც მონასპა ემორჩილებოდა ამირსპასალარს და მას მონათუხუცესი ხელმძღვანელობდა. ამ ტიტულს ვახუშტიც იცნობს, მაგრამ ის მხოლოდ „ვეფხისტყაოსანში" გვხვდება.[224] ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მონასპა სწორედ თამარის ეპოქაში უნდა იყოს გაუქმებული.

მონასპის შექმნა უნდა განვიხილოთ, როგორც დავით აღმაშენებლის მიერ გვარდიული ტიპის ნაწილის ჩამოყალიბების ცდა. არ ცდებოდა ნ. ბერძენიშვილი, როდესაც მონასპას გვარდია უწოდა.[225] მეფის ისტორიკოსი ასე ახასიათებს მონასპას: „მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა".[226] ერთ წინადადებაში მემატიანე ახერხებს ჩამოთვალოს ყველა ის თვისება, რაც გვარდიას ახასიათებს: მონასპა რჩეული მებრძოლებისაგან შედგება („რჩეულნი"), მათ კარგად იციან სამხედრო საქმე („განსწავლულნი ღუაწლსა"), არიან ბრძოლებში ნაცადნი („გამოცდილნი სიმჴნითა") და სანდონი („მისანდონი"). მათი ბრძოლისუნარიანობის დასტურად გამოდგება 1123 წლის შირვანში ლაშქრობა, როდესაც მონასპამ სულთან მაჰმუდთან შესაერთებლად მიმავალი ათაბაგ აყ-სონყურის 4 000-იანი რაზმი დაამარცხა: „სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ

ტაძრეული და მონასპა აბსოლუტურად განსხვავებული ნაწილებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩევიან დაკომპლექტების პრინციპით, პირად წევრთა შემადგენლობითა და სოციალური წარმომავლობით, მოტივაციითა და ანაზღაურების მეთოდებით.

[218] ქველი ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში", *სრხ* (თბილისი, 1966), 164; მისივე, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 62.

[219] ჯემალ შარაშენიძე, *ქართული სამხედრო ხელოვნება* (თბილისი, 2008), 15.

[220] გიული ალასანია, „რელიგიური „შეუწყნარებლობა" და ეთნიკური ტოლერანტობა შუა საუკუნეებში (საქართველოს მაგალითზე)", *ქართველური მემკვიდრეობა*, V (2001), 22.

[221] ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", 67-9.

[222] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 10.

[223] იქვე, 25.

[224] ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 131-2.

[225] ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", 51.

[226] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 337.

ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე".[227] ნ. ბერძენიშვილმა შენიშნა მონასპის დამახასიათებელი მთავარი თვისებაც: „მონასპა მუდმივი ჯარია მეფის კარზე".[228] მისი დანიშნულებაა გაზარდოს მეფის ხელთ არსებული მუდმივ მზადყოფნაში მყოფი მეომრების რიცხვი.[229] აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მონასპა არ იყო ფეოდალური საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი და სრულყოფილი ანაზღაურებისა და სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ხელისუფალს შეეძლო მათზე დაყრდნობა და ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ გამოყენება.[230]

გ. ანჩაბაძის აზრით, მონასპა 1111-19 წლებში იქმნებოდა სხვადასხვა ეროვნების ტყვეთაგან, ძირითადად ოღუზ-თურქებისა და, შესაძლოა, ჩრდილოკავკასიელებისაგან.[231] იმავე აზრისაა გ. ალასანიაც, რომელიც თვლის, რომ მონასპა მთლიანად ტყვეებისაგან შედგებოდა.[232] ასეთ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებ, რადგან მონები საბრძოლო მოქმედებებში გვიან, მხოლოდ ყივჩაღთა გადმოყვანის შემდეგ ჩნდებიან. დავითის ისტორიკოსი მონასპას პირველად 1118 წელს, ყივჩაღების გადმოყვანის შემდეგ ახსენებს და არ უთითებს, რომ მონები სხვადასხვა ეროვნებისა იყვნენ. ამასთან, საეჭვოა, ტყვეთა სწრაფი გაქრისტიანება: საქართველოში მუსლიმთა მიმართ განხორციელებული მასობრივი პროზელიტიზმის მაგალითები არ მოგვეპოვება. საეჭვოა, გუშინდელი მტრის, ტყვისა და მუსლიმისათვის, ასე მასობრივად ენდოთ მეფის პირად რაზმში ყოფნა. სხვა საქმეა ყივჩაღები, რომელთა ნდობა (მაღალი ანაზღაურების პირობებში) დავით IV-ს უფრო ადვილად შეეძლო. მართალი უნდა იყოს ი. ჯავახიშვილი, როდესაც მონასპას ყივჩაღებისაგან ჩამოყალიბებულად თვლიდა.[233]

რა ტიპის გვარდია იყო მონასპა? ს. მარგიშვილი მართალია, როდესაც აღნიშნავდა, რომ სახელის მსგავსების მიუხედავად ქართული მონასპა აღმოსავლურ-მუსლიმური ტიპის გვარდიული შენაერთი (ღულამები, მამლუქები) არ უნდა იყოსო.[234] ისლამური სამყაროსათვის დამახასიათებელი გვარდიული ნაწილის შექმნა დიდ დროს მოითხოვდა და მის მონა წევრებს ადრეული ასაკიდანვე წვრთნიდნენ, რომლის დროსაც გადიოდნენ სხვადასხვა იერარქიულ საფეხურებს, რაც აუცილებელი იყო გვარდიული სტატუ-

---

[227] იქვე, 344.

[228] ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", 263.

[229] სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ* (თბილისი, 2006), 118.

[230] Peter B. Golden, "Cumanica I: The Qipčaqs in Georgia," *Archivum Eurasiae Medii Aevi*, IV (Wiesbaden, 1984), 59, 62; ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", 52; მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 48-9.

[231] Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 104.

[232] ალასანია, „რელიგიური „შეუწყნარებლობა" და ეთნიკური ტოლერანტობა", 22.

[233] ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II (თბილისი, 1983), 200, 215.

[234] მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 51.

სისა და მისი შესაბამისი მომზადებული მებრძოლის ჩამოსაყალიბებლად. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მონობაზე დაფუძნებული ასეთი სამხედრო სისტემის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, დავით IV-ს უბრალოდ დროც არ ჰქონდა, ასეთი სისტემის შექმნაზე რომ ეზრუნა და მის მრავალწლიან შედეგს დალოდებოდა; მას მონასპა დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა და ის დააკომპლექტა კიდეც უკვე ჩამოყალიბებული მეომრების ქირავნობის პრინციპით. X საუკუნიდან ამავე პრინციპზე იყო დაფუძნებული ვარანგთა გვარდია ბიზანტიაში და, ალბათ, მართალია გ. ალასანია, როდესაც მიიჩნევს, რომ მონასპის „ინსტიტუტი ბიზანტიიდან იყო ნასესხები".[235]

მონასპის რაოდენობაზე მსჯელობისას, ს. მარგიშვილი სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ 5 000 მონასპის შესანახ ხარჯს საქართველო ვერ გაიღებდა და მისი „რაოდენობა უნდა ყოფილიყო 5000-ზე საგრძნობლად ნაკლები".[236] მკვლევარი ბაღდადში აბასელი გვარდიელის საშუალო ხელფასს 5 ოქროდ ანგარიშობდა და ამის საფუძველზე ქართული მონასპის წლიური ჯამაგირისთვის 300 ათასს დინარს ვარაუდობდა.[237] ეს თანხა დაზუსტებას მოითხოვს. ატ-ტაბარისა და ჰილალ ას-საბის მონაცემების ანალიზის საფუძველზე ფ. ასადოვმა დაადგინა IX საუკუნეში აბასიანთა ქვეითი გვარდიელის ხელფასი, რომელიც თვეში 4 ოქროს დინარიდან იწყებოდა, ცხენოსანი კი ორჯერ მეტს იღებდა.[238] გამოდის, რიცხვის მექანიკური გადმოტანითაც კი, რასაც ს. მარგიშვილი მიმართავს, 5 000-იან მონასპას, რომელიც აუცილებლად ცხენოსანი იქნებოდა, წელიწადში 300 000-ზე ბევრად მეტი, – 480 000 ოქროს დინარი დასჭირდებოდა. რაღა თქმა უნდა, ეს წარმოუდგენელი თანხაა საქართველოს მასშტაბის ქვეყნისათვის.[239] დღესდღეობით შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ, თუ რა ანაზღაურება უნდა ჰქონოდა დავით IV-ის მონასპას, მაგრამ ჯამაგირი მათ უცილობლად ოქროს ფულში ექნებოდათ, მითუმეტეს, თუ იმდროინდელ ვერცხლის კრიზისს გავითვალისწინებთ.

---

[235] ალასანია, „რელიგიური „შეუწყნარებლობა" და ეთნიკური ტოლერანტობა", 22. ქართული მონასპის ბიზანტიასთან მსგავსებას იზიარებს ს. მარგიშვილიც. იხ. მისი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 51.

[236] მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 120.

[237] იქვე, 120.

[238] Ф.М. Асадов, *Арабские источники о тюрках в раннем средневековье* (Баку, 1993), 9-11. აბასიანთა დროს ჯარისკაცის ხელფასისათვის დამატებით იხ. E. Ashtor, *A Social and Economic History of the Near East in the Middle Ages* (Berkeley, 1976), 133.

[239] 5 000-იანი მონასპის შენახვა ამაზე ნაკლები ნამდვილად არ დაჯდებოდა, რადგან XII საუკუნეში ჯარისკაცის ანაზღაურება კიდევ უფრო გაზრდილი იყო. მაგალითისათვის, სალაჰ ად-დინის არმიაში ელიტური შეჭურვილი მხედარი წელიწადში, სულ ცოტა, 120 დინარს იღებდა. David Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD*, vol. II (London, 2007), 81-2. მათი საშუალო ხელფასი კი წელიწადში 429 დინარს შეადგენდა. Ashtor, *A Social and Economic History of the Near East in the Middle Ages*, 236-7.

ზურტაკეტში ყივჩაღის სამარხში ნაპოვნი ოქროს მონეტა, შესაძლებელია, სწორედ მონასპის გასამრჯელოს ამსახავი იყოს.[240]

არსებობს ირიბი ინდიკატორი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ მონასპის რიცხოვნობაზე: 1123 წელს შირვანში მონასპამ აყ-სონყურის 4 000-იანი რაზმი დაამარცხა, ე.ი. მისი რიცხვი 1 500-2 000 კაცის ფარგლებში მაინც უნდა ვივარაუდოთ. ეს რიცხვი დაახლოებით თანაბარია აღმაშენებლის ტაძრეულის (1 500 კაცი) და შეგვიძლია მეტ-ნაკლებად რეალისტურად მივიჩნიოთ.[241] ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე სანდო ნაწილის – მეფის ტაძრეულის (1 500 კაცი) გვერდით 3-ჯერ მასზე აღმატებული (5 000) უცხოტომელებით დაკომპლექტებული გვარდიული ნაწილის არსებობა საეჭვოა: ასეთი ვითარება ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა სასახლის კარის გადატრიალებებისათვის და მონასპის „მძევლად" აქცევდა დავით IV-ს, რასაც ის არაფრით დაუშვებდა.

3) შუა საუკუნეებში ქართული ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვან ნაწილს სამეფოში შეკრებილი ფეოდალთა რაზმები („სამეფოსა სპანი", „სპანი იმერნი და ამერნი") შეადგენდა. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობა ტერიტორიულ პრინციპს ეფუძნებოდა.[242] სამეფო დაყოფილი იყო ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყნებად", რომელთაც ერისთავი განაგებდა. საერისთავო სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელსაც ერისთავი და მისი ხელქვეითები (ხევისუფლები, ციხისთავები და სხვ.) განაგებდნენ.[243] საერისთავოდან ვასალთა რაზმები

---

[240] დაწვრილებით იხ. მამუკა წურწუმია, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის", *საისტორიო კრებული*, 3 (2013), 174-83.

[241] დადგენილია, რომ XI საუკუნის 80-იან წლებში ვარანგთა გვარდია დაახლოებით 1 400 კაცს მოითვლიდა. Jonathan Shepard, "The English and Byzantium: A Study of Their Role in the Byzantine Army in the Later Eleventh Century," *Traditio*, 29 (1973), 70; John Godfrey, "The Defeated Anglo-Saxons Take Service with the Eastern Emperor," in *Proceedings of the Battle Conference on Anglo-Norman Studies I: 1978*, ed. by R. Allen Brown (Woodbridge, 1979), 71. 1516 წელს ოსმალებთან გადამწყვეტ ბრძოლაში მარჯ დაბიკთან მამლუქთა სულთანმა ყველა რესურსი გამოიყენა და ბრძოლაში 5 000 სამეფო მამლუქი გამოიყვანა. Robert Irwin, "Gunpowder and Firearms in the Mamluk Sultanate Reconsidered," in *The Mamluks in Egyptian and Syrian Politics and Society*, ed. by M. Winter and A. Levanoni (Leiden, 2004), 133. რაღა თქმა უნდა, იმდროინდელი მამლუქთა ეგვიპტისა და აღმაშენებლის საქართველოს რესურსების შედარება ყოვლად წარმოუდგენელია და არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორივე ამ ძალას ერთნაირი სამეფო გვარდიის შენახვა შეეძლო.

[242] ტერიტორიული პრინციპით, თემების ანუ სხვადასხვა კუთხეების (ქვეყნების) მიხედვით ეწყობა ლაშქარი რუსთაველთან: „დაიწყეს **დგომა ლაშქართა თემ-თემად**, დას-დასებისა". შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 553. დასი საბრძოლო დანაყოფი, ლაშქრის შემადგენელი ნაწილი ანუ რაზმი იყო („იკმნა დასნი და დასნი"). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 7. უფრო ადრე ასოღიკი უთითებს, რომ მამლანთან ბრძოლაში ტაოს ლაშქარი გვარებისა და უფროს-უმცროსობის რიგის მიხედვით მოეწყო. *Всеобщая История Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия*, переведена с армянского и объяснена Н. Эминым (Москва, 1864), 196. ეს კი ნიშნავს, რომ ისინი გვაროვნული პრინციპის გარდა, ტერიტორიულის საფუძველზეც იყვნენ ფორმირებულნი: ბუნებრივია, რომ საბრძოლო წყობაში ერთად მდგომი ერთი გვარის წევრები ერთად, ერთ ტერიტორიაზე სახლობდნენ.

[243] ზ. ხიდურელი, „სამეფო დომენის საკითხისათვის XI-XV სს-ის საქართველოში", *საისტორიო*

საბრძოლოდ ერისთავს გამოყავდა:[244] „ხოლო სხუანი სპანი იყვნენ ქუეყანათაგან და ერისთავთა ქუეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად".[245] მათ მხოლოდ პერიოდულად („ჟამად"), საჭიროებისდა მიხედვით და მეფის განკარგულების თანახმად უხმობდნენ: „ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან".[246] საერისთავოს ლაშქარი ტაქტიკური ერთეული იყო და ბრძოლის ველზე ერისთავის მეთაურობით ომობდა.

რიგი წყაროების თანახმად, ფეოდალური საქართველოს ადმინისტრაციულ და სამხედრო ორგანიზაციაში ე.წ. „ათობითი სისტემა" შეიმჩნევა. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, ჯერ კიდევ იბერია იყო დაყოფილი საერისთავოებად, რომელთაც ათასისთავები ემორჩილებოდნენ: „ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და **ათასისთავნი**..."[247] ჯუანშერიც ასახელებს ათასისთავებსა და ასისთავებს ვახტანგ გორგასალის ეპოქის იერარქიულ სისტემაში: „და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა, და **ათასის-თავნი** და **ასის-თავნი** და ყოველი ერი წარმოდგეს ზე".[248] ასისთავი მოიხსენიება შუა საუკუნეებშიც ზემო კრიხის წარწერაში: „[მო]იხატა წ[მიდა]ი ესე ეკლესიაი დეკანოზობას გ[იორგ]ი კორცანაი[სძის]ასა **ასისთვობასა** ი[ოა]ნე ლომაისძისასა და ი[ოა]ნე დევისძისი[სა]".[249] ი. ანთელავას აზრით, რომელსაც მ. ბახტაძეც იზიარებს, „ასეული" საერისთავოებში არსებული უმცირესი ადმინისტრაციული ერთეული იყო.[250]

ეს ცნობები მოწმობს ათობით სისტემაზე დაფუძნებული ტერიტორიულ-ორგანიზაციული ერთეულების არსებობის შესახებ, მაგრამ საკითხავია ამ ასეულებსა და ათასეულებს შესაბამისი რაოდენობის ჯარის გამოყვანა თუ

კრებული, VII (1977), 269-70; ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 195-202.

[244] „ერისთავი" თავდაპირველად ჯარის უფროსს ნიშნავდა. ძველ თარგმანებში, ბერძნულ „სტრატეგოსს" და სომხურ „ზორავარს" ერისმთავარი შეესაბამება. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 329.

[245] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 18.

[246] „ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ", 410.

[247] ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა", 25.

[248] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 147.

[249] გ. ბოჭორიძის კვალდაკვალ, ი. ანთელავა წარწერას XI საუკუნეს აკუთვნებს, თ. ვირსალაძის მიხედვით კი ის XIII-XIV საუკუნეებში, მხატვრობის მეორედ განახლებისას, არის შესრულებული. გ. ბოჭორიძე, „რაჭის ისტორიული ძეგლები", *სმმ*, ტ. VII (1933), 238-9; ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 199; Т.Б. Вирсаладзе, "Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо Крихи," *Грузинская средневековая монументальная живопись* (Тбилиси, 2007), 35-7.

[250] ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 199-201; მიხეილ ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში* (თბილისი, 2003), 310-1.

შეეძლოთ. თითქოს ამაზე უნდა მიუთითებდეს სტეფანოს ორბელიანის ცნობა, რომ ყოველ ათას კაცს თავისი დროშა ჰქონდა:[251] „და აქვნდათ სამკვიდრო ათორმეტი დროშა და ყოველსავე დროშასა ზედა ათასი კაცი".[252] ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ათობითი სისტემა სამხედრო ორგანიზაციაშიც მოქმედებდა. რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაცია არ გულისხმობდა ასისთავის მიერ ზუსტად ასი კაცის გამოყვანას საბრძოლოდ ან ზუსტად ათასი კაცის გაერთიანებას ერთი დროშის ქვეშ (ასეთი რიცხობრივი შეფარდება თანამედროვე არმიებშიც კი არ მიიღწევა), მაგრამ უთუოდ გულისხმობს დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის მებრძოლებს, რომლებსაც თავისი (ასეულის, ათასეულის) შესაფერისი საბრძოლო ამოცანა ექნებოდათ დასახული. მაგალითად, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრძოლის ველზე ერთი დროშა (მიუხედავად იმისა, ათასი მებრძოლი იქნებოდა მასში თუ შვიდასი) ტაქტიკური ერთეული იყო, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებდა და შეეძლო გადამწყვეტი როლიც კი ეთამაშა ბრძოლის მსვლელობისას.

ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ ასეთი სისტემა მხოლოდ ფეხოსნებს ანუ მოსახლეობის ძირითად მასას ეხება, რადგან ცხენოსანთა ზუსტად გამოყვანა ათობითი სისტემის მიხედვით შეუძლებელია ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის დროს, როდესაც „რაზმის ძალა[253] დამოკიდებულია ადგილობრივი ფეოდალის ძალაზე".[254] როგორც ჩანს, ასეულების სისტემა ადრეფეოდალური ხანიდან იყო შემორჩენილი და ძველი „ერის" თავისუფალ მიწისმოქმედთა ბრძოლაში გამოსაყვან და საორგანიზაციო ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომელიც თავის როლს მოგვიანებითაც ასრულებდა.

საერისთავოების გარდა, სახელმწიფო მიწების ფონდს ქმნიდა მსხვილ ფეოდალთა მამულები, რომლებზეც ერისთავს ხელი არ მიუწვდებოდა და სამეფო დომენი თავისი ადმინისტრაციით. ერისთავთა უფლებამოსილების გასინჯვის შედეგად ირკვევა, რომ მათ ექვემდებარებოდა საერისთავოს ფარგლებში არსებული საშუალო და წვრილ ფეოდალთა მამულები და არ ექვემდებარებოდა დიდ ფეოდალთა სამფლობელოები, როგორიც იყო თორი, გაგი, თმოგვი, ანისი, ლორე, ბიჯნისი და ა.შ.[255] ამ სუბორდინაციიდან გამომდინარე, ერისთავს ემორჩილებოდა და ბრძოლაში მიყვებოდა საერისთავოს ფარგლებში არსებული საშუალო და წვრილ ფეოდალთა რაზმები; მსხვილი ვასალები კი, როგორც ჩანს, თავისი ტაძრეულითა და სპით დამოუკიდებლად გამოდიოდნენ ომში და ერისთავების რაზმების მსგავსად, სადროშოში ერთიანდებოდნენ. სა-

---

[251] ჯერ კიდევ ლუკიანე სამოსელი მიუთითებდა, რომ პართელთა ათასი კაცი ერთი დროშის ქვეშ იყო გაერთიანებული. *Lucian*, with an English translation by K. Kilburn, vol. VI (London, 1959), 43.

[252] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები*, 37-8.

[253] ანუ რიცხოვნობა.

[254] Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 35. ასევე, იხ. Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings*, 70, n145.

[255] ზ. ხიდურელი, *ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში* (თბილისი, 1989), 23; ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 315-7.

დროშოთა ლაშქარში ერთიანდებოდნენ და სპასალარებს ექვემდებარებოდნენ ერისთავთა მობილიზებული რაზმებიც.[256] ჩემი აზრით, სწორია მ. ბახტაძის მოსაზრება სადროშოთა სპასალარების არსებობის შესახებ, რომლებიც ამავე სადროშოს ერისთავთა მიერ შეკრებილ ჯარებს სარდლობდნენ.[257] მკვლევრის ამ მოსაზრებას, რომელიც სამცხის მაგალითზეა დადგენილი და განზოგადებული, საქართველოში არსებული სამხედრო ორგანიზაციის ლოგიკაც უჭერს მხარს: რადგანაც ერისთავთა მიერ შეყრილი ვასალთა რაზმები მხარეთა მიხედვით სადროშოში ერთიანდებოდნენ, ბუნებრივია, რომ უფრო მსხვილი ტაქტიკური ერთეული – სადროშოს ლაშქარი თავადაც საჭიროებდა სარდალს. ამ მოვალეობას, როგორც ჩანს, სპასალარი ასრულებდა. თავის მხრივ, სადროშოების სპასალარები ამირსპასალარს ემორჩილებოდნენ.

სამეფო დომენი ადმინისტრაციულად არ შედიოდა საერისთავოს შემადგენლობაში და მას ცალკე მმართველობა ჰყავდა.[258] სამეფო ოჯახისა და მეფის პირადი მამულებიდან გამოსული მოლაშქრეები მეფის სამხედრო ძალის საფუძველი იყო. სამეფო დომენის აზნაურებისა და მსახურების ნაწილი მეფის ტაძრეულში შედიოდა,[259] ნაწილიც ციხე-სიმაგრეთა გარნიზონს აკომპლექტებდა. სამეფო დომენის მოლაშქრეებს მსახურთუხუცესი ხელმძღვანელობდა: „მსახურთუხუცესის ჴელისა იყვნენ: სალაშკრო საჭურველისა და იარაღისა მსახურნი მეფისანი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი“.[260] სამეფო ციხეებისა და ქალაქების გარნიზონებს („ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“)[261] დომენიდან გამოსული აზნაურ-მსახურები შეადგენდნენ. მეციხოვნეთა რაზმს ანუ ციხის გარნიზონს ციხისთავი მეთაურობდა. ციხის შესანახად შუა საუკუნეების საქართველოში დაწესებული იყო საგანგებო გამოსაღები, რომელსაც „ციხის ბეგარა“ ეწოდებოდა და რომელსაც შრომითი ვალდებულებით ან ნატურალური პროდუქტითა და ფულით იხდიდნენ. ასეთი იყო ცხეველელთა „ციხისა ბეგარი“, „ატენის ციხის სათხოვარი“ და „საციხისთვო“ გადასახადი, რომლებიც ხშირად გვხვდება საბუთებში.[262]

ცალკე განსახილველია დომენის იმ მოლაშქრეთა საკითხი, რომლებიც

---

[256] ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ დავით აღმაშენებელმა სპასალარობის ინსტიტუტი გააძლიერა ერისთავების ხარჯზე. ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“, 70. ამ აზრს იზიარებს მ. ბახტაძე, რომლის მიხედვით XII საუკუნეში სპასალარობა ერისთავობაზე დიდი თანამდებობა იყო და „სპასალართა ასეთი დანინაურება შეიძლება მართლაც დავით აღმაშენებლის დროს მოხდა“. ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 273.

[257] იქვე, 272-4, 312-3.

[258] ხიდურელი, *ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში*, 23; ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 314.

[259] ილია ანთელავა, „დარბაზი“ XI-XIII საუკუნეთა საქართველოში“, *მიაჲხის*, 4 (1976), 157; ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში“, 162, შენ. 4.

[260] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 20.

[261] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 335.

[262] *ქსძ*, II, 6, 10, 21, 67, 185; საციხო გადასახადისათვის იხ. გიული ძიძიგური, „ბეგრის მნიშვნელობისათვის „ფავნელთა დაწერილში“, *მიაჲხის*, 2 (1983), 80-1.

ტაძრეულში ან გარნიზონებში ვერ ხვდებოდნენ. სად გროვდებოდნენ ან ვის ხელქვეით იბრძოდნენ ისინი? მეფის მამულები მთელ სახელმწიფოში იყო გაფანტული და სამხედრო თვალსაზრისით თითქოსდა მიზანშეწონილი უნდა ყოფილიყო მათი ჩართვა ადგილობრივი ერისთავების ლაშქარში. ის ცნობა, რომ ზემო ქართლის სადროშოში საუფლისწულო მამულიდან გამოსული ლაშქარი ომის დროს ამილახვრების სარდლობის ქვეშ იყო,[263] ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. მეორეს მხრივ, ვიცით, რომ მთელ ქართლში მიმოფანტული საკათალიკოსო მამულებიდან მცხეთის სასარდლოს მოლაშქრეები ომში ადგილობრივ სარდლებს არ მიყვებოდნენ და ყოველთვის კათალიკოსის გარშემო იკრიბებოდნენ.[264] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც ისეთივე სიტუაცია იქნებოდა, როგორც დიდი და მცირე ფეოდალების რაზმების შემთხვევაში: ვრცელი სამეფო მამულიდან (მაგ., ჯავახეთიდან) შეკრებილი შედარებით მრავალრიცხოვანი რაზმი ერისთავს არ დაემორჩილებოდა; დომენის მცირე მამული და მცირერიცხოვანი რაზმი კი ომის დროს ერისთავს დაექვემდებარებოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ერთიანობის ხანაში საქართველოში ოთხი სადროშო არსებობდა: „იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯუარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯუნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმისა მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა".[265] რა თქმა უნდა, ეს გარკვეულად „იდეალური წყობაა", რომლის მიხედვით განლაგება ყოველთვის არ მოხერხდებოდა და არც ჯარი შეიკრიბებოდა ასე სრულად, მაგრამ ძირითადი პრინციპი „ლაშქრის მოწყობა – ბრძოლაში დაწყობისა" გარკვევითაა წარმოდგენილი.

ვახუშტის მიერ აღწერილი ოთხ სადროშოდ დაყოფილი სამხედრო ორგანიზაცია, თავის მხრივ, საერისთავოებად დაყოფაზე იყო დაფუძნებული. საერისთავოს ჯარები, რომლებიც ტაქტიკური ერთეულები იყვნენ, მსხვილ ფეოდალთა რაზმებთან ერთად შეადგენდნენ სადროშოს ტერიტორიულ ლაშქარს, რომელსაც სპასალარი მეთაურობდა. სადროშოების შემადგენლობაში მეტ-ნაკლებად ერთნაირი რაოდენობის ლაშქარი იყრიდა თავს. ამ მოსაზრებას ადასტურებს მონღოლურ დუმნებად საქართველოს დაყოფა. ცნობილია, რომ მონღოლებმა უმეფოდ დარჩენილი ქვეყანა 7 დუმნად დაყვეს: კახეთ-ჰერეთი, სომხური მიწები, სომხითი, ქართლი, სამცხე-ჯავახე-

---

[263] დავით გვრიტიშვილი, „ზემო ქართლის სადროშო", *თსუშ*, 41 (1950), 54.

[264] *ქსძ*, II, 191, 334, 398.

[265] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 30.

თი, 2 დუმენი დასავლეთ საქართველოში.[266] ამ დაყოფას საფუძვლად ედო ადგილობრივი, უკვე არსებული ტრადიციული ადმინისტრაციული სისტემა.[267] დუმნების ეს ჩამონათვალი ზედმიწევნით ემთხვევა თამარის ლაშქარში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებს, სადაც ჩრდილო კავკასიელი მოკავშირეებისა და სომხური რეგიონებიდან გამოსული ლაშქარის გამოკლებით, საკუთრივ ქართული ერთეულები 6 დიდ ჯგუფადაა (კახეთ-ჰერეთი, ქართლი, მესხეთი, სომხითი, 2 დასავლეთ საქართველოდან) წარმოდგენილი.[268] ქართული ადმინისტრაციული ერთეულების დუმნებად გარდაქმნა თავისთავად თანაბარზომიერი სამობილიზაციო შესაძლებლობების მქონე ერთეულების არსებობას გულისხმობდა და რამდენიმე ათასი მეომრით შემოიფარგლებოდა.[269] როგორც ჩანს, ქართული ტერიტორიული ერ-

---

[266] „და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარნი, რომელთა დუმნისა თავად უწოდეს. და გამოარჩიეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი სამჯედროთა, და მას ჴელთ-უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა. და შანშეს ჴელთ უდვეს მამული მისი და ავაგისი; ვარამს ჴელთ-უდვეს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელს – ქართლი, გამრეკელსა თორელსა, მსგავსსავე ეგარსლანისასა საჭაბუკოთა შინა, ჴელთ უდვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქადმდე; ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო". ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 90-1.

[267] მარიამ ლორთქიფანიძე, „რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანა"-ს და „რუსთველიანას ეპილოგის" გამო", *მაცნე*, 6 (1964), 319; რევაზ კიკნაძე, „საქართველოში მონღოლთა მფლობელობის ისტორიიდან", *ახლოაღმოსავლური კრებული* (თბილისი, 1983), 95. თუმცა, დუმნების რაოდენობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული აზრი არსებობს. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, საქართველოში 8 დუმენი არსებობდა, პ. ინგოროყვა და რ. კიკნაძე კი 9 დუმენს ითვლიან. ამ მოსაზრებებისა და მათი კრიტიკის შესახებ, იხ. გიორგი ნაფიშვილი, „საქართველოში დუმნების რაოდენობის საკითხისათვის", *ცისკარი*, 12 (1987), 146-52. გ. ნაფიშვილის აზრით, მონღოლებმა საქართველოში მხოლოდ 7 დუმენი შექმნეს. იქვე, 152. ჩემი აზრითაც, საქართველოდან 7 დუმენი გამოდიოდა: რადგან მონღოლებმა დუმნების სისტემა უმეფოდ დარჩენილ საქართველოში ჯარის გამოყვანის გასაადვილებლად შექმნეს, ბუნებრივია, რომ ის მანამდე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სისტემას დაყრდნობოდა.

[268] „მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი, შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ". „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 65.

[269] განსხვავებული მოსაზრება გააჩნდა ამის თაობაზე ს. მარგიშვილს, რომელიც თვლიდა, რომ საქართველოში სხვადასხვა სიდიდის საერისთავოებში განსხვავებული რაოდენობის მეომრები გროვდებოდა და „ეს გარემოება არმიის შეკრების დროს, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მეომართა არათანაბარ თავმოყრას გამოიწვევდა, რაც თავის მხრივ, არმიის მართვისა და ტაქტიკური ამოცანების შესრულებისას, უდავოდ მრავალ პრობლემას შექმნიდა... ასეთი დისპოზიცია საერისთაოებს შორის მეომართა დიდი რაოდენობრივი განსხვავებების შემთხვევაში, საბრძოლო პოზიციებს შორის მკვეთრ დისბალანსს შექმნიდა და ბრძოლის მართვაში მრავალ გართულებას გამოიწვევდა". მართალია, აქვე ამბობს, რომ ამ განსხვავებების გათანაბრება საკმაოდ ხშირად ხდებოდა საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ გაუგებარია კონკრეტულად რას გულისხმობს ავტორი. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 92. ამ მოსაზრების გაზიარება ძნელია: ჯერ ერთი, დიდ საერისთავოებს, რომლებიც სადროშოების შემადგენლობაში სახელდებიან, დაახლოებით ერთნაირი ჯარი გამოყავდათ, რასაც მათი დუმნებად დაყოფაც მოწმობს და, რაც მთავარია, ჯარის ოდენობის „გათანაბრება" ყოველთვის (და არა „საკმაოდ

თეულებიც დუმნის შესაფერისს პოტენციალს ფლობდნენ და მათი სამობილიზაციო შესაძლებლობები ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა, რაც ტაქტიკურ ურთიერთქმედებას აადვილებდა.

ქართულ სამხედრო ორგანიზაციაში მეწინავე ყოველთვის ის სადროშო იყო, რომელიც მტრის მხარეს იყო განლაგებული.[270] ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეწინავე სადროშო მტრის უშუალო მეზობელია, კარგად იცნობს მას და ხშირ საომარ კონტაქტშია წვრილმანი შეტაკებებისა თუ მარბიელი რეიდების დროს. ერთიანი მონარქიის დროს მეწინავე სადროშოს შემადგენლობაში ქვეყნის სამხრეთი პროვინციები შედიოდნენ, რადგანაც მტერი სამხრეთით იყო. საქართველოს დაშლის შემდეგ მეწინავე სადროშოების მდებარეობა შეიცვალა, მაგრამ ძირითადი პრინციპი იგივე დარჩა. ამის ქრესტომათიული მაგალითია არქანჯელო ლამბერტის მიერ აღწერილი სამეგრელოს ლაშქრის წყობა იმერეთთან და აფხაზეთთან ომში: „ჯარი რომ შეიკრიბება, მტერთა ქვეყნისაკენ გაუდგება და მიდის იმ წესით დაწყობილი, როგორც მოსახლეობა არის დალაგებული, მაგალითად: თუ იმერეთის საზღვარს უნდა დაეცნენ თავს, ისინი, ვინც იმერეთის საზღვრად ცხოვრობენ, შეადგენენ მოწინავე ჯარს; ვინც შუა ოდიშში ცხოვრობენ – შუა ჯარს, და ვინც აფხაზეთისაკენ – ზურგის ჯარს. სულ წინააღმდეგ არიან დაწყობილნი, როცა ჯარი ან უკან ბრუნდება და ან საომრად აფხაზეთზე მიდის: ამ შემთხვევაში მოწინავე ჯარი გადაიქცევა ზურგის ჯარად და ზურგისა – მოწინავედ".[271]

სამხედრო ხელოვნების პრინციპებზე დაკვირვება და მათი გამოყენება საინტერესო შედეგს გვაძლევს შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის მოწყობის შესწავლის მხრივ და საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ რიგი კანონზომიერებები. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ლაშქრის მარჯვენა ფლანგი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მარცხენა.[272] შუა საუკუნეებში მარ-

---

ხშირად") ხდებოდა უფრო მსხვილ ტერიტორიულ-ტაქტიკურ ერთეულში – სადროშოს (კახეთ-ჰერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქართლის და ა.შ.) ლაშქარში. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა სრულფასოვანი საბრძოლო წყობის შექმნა და წარმატებული ბრძოლების ჩატარება. რაღა თქმა უნდა, ასეთ შეცდომას შუა საუკუნეების საქართველოს მესვეურნი არ დაუშვებდნენ.

[270] შარაშენიძე, *ქართული სამხედრო ხელოვნება*, 18; გიორგი ანჩაბაძე, „კახეთის სადროშოების საკითხი ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში", *საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (1921 წლამდე)* (თბილისი, 2010), 112-4.

[271] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 84.

[272] ეს გარემოება იარაღის ხმარების პრინციპიდან გამომდინარეობდა, რადგანაც მებრძოლს მარცხნივ ფარი ეჭირა და მარჯვენათი იარაღს ხმარობდა, რაც ბუნებრივად განაპირობებდა მარჯვენა მხარის უფრო „მოხერხებულობას" ბრძოლისას. ანტიკურ ხანაში ფალანგაში მდგომი მეომრები თავის დასაცავად ინსტიქტურად იწევდნენ მარჯვნივ მყოფი მეზობლის ფარისკენ და ცდილობდნენ მონინააღმდეგის ფარით დაუცველ მარჯვენა მხარეს დასხმოდნენ თავს; შედეგად წყობა მარჯვნივ მიიჯრებოდა, მარცხენა ფლანგი ბუნებრივად იწევდა უკან და ორივე ფალანგა საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობდა. ასეთ ბრძოლაში ჩვეულებრივ მარჯვენა ფლანგი იმარჯვებდა. ეპამინონდმა პირველმა შემოიღო ძლიერი მარცხენა ფლანგის ტაქტიკა, რომლის მთავარი იდეა არა მხოლოდ მოწინაღმდეგის რომელიმე ფლანგის, არამედ სწორედ ძლიერი

ჯვენა ფლანგს ყოველთვის შემტევი ფუნქციები ეკისრებოდა, მარცხენას კი დაცვითი როლი ჰქონდა.[271] გამონაკლისი მონღოლები იყვნენ, რომლებიც სურვილისამებრ, ეპამინონდის მსგავსად, ძლიერი მარცხენა ფლანგის ტაქტიკას იყენებდნენ, თუმცა ამ აზრამდე დამოუკიდებლად მივიდნენ.[274]

შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი ტრადიციული ძლიერი მარჯვენა ფლანგის პრინციპით ეწყობოდა. მონღოლების რეფორმამდელი ქართული ჯარის მოწყობის შედარება მონღოლურ დუმნებად დაყოფილ საქართველოს მხარეებთან საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ, თუ რა პროპორციით იყო განაწილებული ტაქტიკური ერთეულები ქართულ საბრძოლო წყობაში. ყველაზე მრავალრიცხოვანი წინამბრძოლი[275] იყო, რადგანაც ცხენოსანთა შეტევის დროს პირველი დარტყმის სიძლიერეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა: 7 დუმნიდან წინამბრძოლის ანუ მეწინავე სადროშოს შემადგენლობაში 3 დუმენი შედიოდა (სამცხე-ჯავახეთის, სომხითისა და საქართველოს შემადგენლობაში მყოფი სომხური მიწების ლაშქარი), ძლიერ მარჯვენა ფლანგს ქმნიდა დასავლეთ საქართველოს 2 დუმენი, მარცხენას კახეთ-ჰერეთის 1 დუმენი, რეზერვს (მეფის დროშას) კი ქართლის 1 დუმენი შეადგენდა.[276] მარცხენა ფლანგის შედარებით სისუსტეს მოწმობს ქართული წყობა ბასიანის ბრძოლაში: „დააწყუეს რაზმი, სადა-იგი წინამბრძოლად იყო

ფლანგის დამარცხებაა, რაც ბრძოლის ბედს წყვეტდა. მან გაძლიერებული მარცხენა ფლანგი დაუპირისპირა სპარტელთა უძლიერეს მარჯვენა ფლანგს და ორჯერ, ლევკტრასთან (ძვ.წ. 371) და მანტინეასთან (ძვ.წ. 362) დაამარცხა ისინი. Ганс Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, т. I (Санкт-Петербург, 1994), 100, 129-30; Peter Connolly, *Greece and Rome at War* (London, 1981), 51.

[273] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 32. შუა საუკუნეების სამხედრო ტრაქტატებში მუსლიმ ცხენოსან მოისრეებს საგანგებოდ ურჩევდნენ ყოველთვის მარცხნივ ჰყოლოდა მტერი (ანუ თავად მარჯვნივ ყოფილიყო). იქვე, 158.

[274] მონღოლთა ამ ტაქტიკის შესახებ ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს. ქოსე დაღის ბრძოლის წინ „თათართა განაწყვეს რაზმი და ურჩეულესი მათი მარცხენასა მხარსა დააწესნეს. ესრეთ აქუნდა წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენასა კერძოსა დააწესებდიან ამის ძალითა, რომელ სხუანი ნათესავნი ყოველნი უმჯობესთა და უმჯნეთა მარჯუენით აქუნდა დაწესებითა, რათა ურჩეულესნი ურჩეულესთა შეემთხუენენ". ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 76-7.

[275] *„წინამბრძოლი* – პირველ შემბმელი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 378.

[276] თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი დუმნის რიცხვი 10 000 უდრიდა, როგორც ეს დამკვიდრებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, კ. კახაძე წერს: „დუმანიდან, კი როგორც ცნობილია, აუცილებლად 10 ათასი ან უფრო მეტი მოლაშქრე-მხედარი უნდა გამოსულიყო". კახაბერ კახაძე, „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ლაშქრის შესახებ XIII-XVII საუკუნეებში", *კლიო*, 12 (2001), 36. როგორც წესი, მონღოლური დუმენი მხოლოდ თეორიულად თუ მოითვლიდა 10 000 კაცს. მართალია, ასეთი რიცხვის იყო ჩინგიზ ხანის პირადი გვარდია – *ქეშიკი*, სადაც საუკეთესო მეომრები იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ შეცდომა იქნებოდა დუმენის ყოველთვის 10 000 კაცად დათვლა. მონღოლურ ჩინეთში სამი ტიპის დუმენის ზუსტი კლასიფიკაციაც კი არსებობდა 7 000 („უძლიერესი"), 5 000 („საშუალო") და 3 000 („სუსტი") კაცის ოდენობით. Ch'i-ch'ing Hsiao, *The Military Establishment of the Yuan Dynasty* (Cambridge, MA, 1978), 72, 170-1; David Morgan, *The Mongols*, 2nd ed. (Malden, 2007), 79. თვით ჯ. მ. სმიტიც, მონღოლ-მამლუქთა ომების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტი, რომელიც დუმენს ნომინალური ძალით (10 000) ითვლიდა, დღეს იზიარებს მოსაზრებას, რომ მისი ძალა ნაკლები იყო. John Masson Smith, Jr., "Nomads on Ponies vs. Slaves on Horses," *Journal of the American Oriental Society*, 118 (1998), 60.

ზაქარია მჭარგრძელი ამირსპასალარი და ახალციხელი შალვა და ივანე, და სხუანი თორელნი; და ერთკერძო აფხაზნი და იმერნი, ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი".[277] ბასიანში ქართველებმა მოწინააღმდეგის ორმხრივი შემოვლა განახორციელეს, რისთვისაც ჰერეთ-კახეთის ფლანგს „ამერნი" დაუმატეს და მარცხენა ფლანგი გააძლიერეს, რათა მარჯვენის მსგავსად, მასაც შემოვლა შეძლებოდა. ეს გაძლიერება რეზერვის ხარჯზე მოხდა, რადგან „ამერნი" ქართლის სადროშოდან არიან. დასავლეთ საქართველოს ლაშქრის საპატიო ადგილზე, მარჯვენა ფლანგზე დაწესების ტრადიცია დავით აღმაშენებლის დროიდან (ან კიდევ უფრო ადრე) უნდა მოდიოდეს, როდესაც აფხაზთა სამეფოს ლაშქარი წამყვან როლს თამაშობდა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილ ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში სადროშოთა სისტემა ძველი საქართველოს სამხედრო მოწყობის მსგავსი იყო:[278] „იყვნენ ოთხ სადროშოდვე კუალადცა, ვითარცა აღვსწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი".[279] ჩანს, ოთხ სადროშოდ დაყოფილი სისტემა გამართლებულად ითვლებოდა და ალტერნატივაც არ გააჩნდა. საერისთავოების დაშლის შედეგად ჩამოყალიბებული უფრო წვრილი სათავადოები დაახლოებით ადრეფეოდალური ხევების ტერიტორიას მოიცავდნენ და სადროშოს შემადგენლობაში შედიოდნენ. სადროშოები სამხედრო-ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ერთეულები იყვნენ.[280] სადროშოს უფროსი სარდალი იყო, რომელიც ძველი ერისთავების სამხედრო მოვალეობას ასრულებდა. სარდლის მოვალეობას შეადგენდა მეფის ბრძანების თანახმად მობილიზაციის ჩატარება და ჯარის გამოყვანა, ციხე-სიმაგრეების, კოშკების, ხიდების მოვლა, დაცვა და საბრძოლო მზადყოფნის კონტროლი.[281]

ქართლ-კახეთის სამხედრო რეორგანიზაცია – მათი სადროშოებად დაყოფა XV საუკუნის 70-იან წლებში ხდება.[282] კახეთში სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად შვიდი საერისთავოს ნაცვლად 40-მდე სამოურავო შექმნეს: მცირე ტერიტორიის მმართველ მოურავებს ცენტრალური

---

[277] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 96.

[278] კლიმიაშვილი, „მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის", 121-3.

[279] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 31.

[280] კლიმიაშვილი, „მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის", 126-7.

[281] გვრიტიშვილი, „ზემო ქართლის სადროშო", 57; უშანგი პაპუაშვილი, „თავდაცვის ორგანიზაცია XVIII საუკუნის ქართლის სამეფოში", *მნათობი*, 8 (1969), 170-2.

[282] კლიმიაშვილი, „მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის", 122-3; გულჩინა აკოფაშვილი, „სასარდლოების შესახებ ქართლის სამეფოში", *ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, რედ. გ. მელიქიშვილი (თბილისი, 1976), 343. ქართლ-კახეთის სადროშოებად დაყოფისა და საზღვრებისათვის იხ. ზურაბ ცინცაძე, „აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ფეოდალურ-ტერიტორიული ერთეულები", *მიაქის*, 2 (1973), 56-71.

ხელისუფლების საწინააღმდეგოდ საჭირო ძალა არ გააჩნდათ. სადროშოების სარდლობა თავადების ნაცვლად (როგორც ეს ქართლსა და იმერეთში იყო) ეპისკოპოსებს ჩააბარეს, რადგან ეპისკოპოსის თანამდებობა მემკვიდრეობითი არ იყო. ყოველივე ამან მთელი XVI საუკუნის განმავლობაში კახეთის ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე განაპირობა.[283]

XV საუკუნიდან იმერეთის სამხედრო ორგანიზაციაც ოთხად არის დაყოფილი,[284] მაგრამ აღმოსავლეთი საქართველოსაგან განსხვავებით, მას ციხისთავები ხელმძღვანელობენ. ციხისთავი ტრადიციულად ითავსებდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს და ყველანი სრულიად იმერეთის ციხისთავს (ოთხთაგან ერთს) ემორჩილებოდნენ. ციხისთავის ინსტიტუტის ასეთი დაწინაურება, გარკვეულწილად, პასიური თავდაცვითი სისტემის გაბატონებულ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში იმერეთში ციხისთავებს საბოლოოდ ანაცვლებს სარდალი და სასარდლოები.[285]

ერთიანი საქართველოს ხანაში ვხედავთ ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში არსებულ სასაზღვრო (სანაპირო) ოლქების სისტემას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ საერთო-სამხედრო ორგანიზაციაში. სტრატეგიული თვალსაზრისით სანაპირო ოლქების ფუნქცია იყო სახელმწიფოს საზღვრის დაცვა და მისი გაფართოება, რაც ტაქტიკურ დონეზე მტრის ქმედებებზე დროულ რეაგირებასა და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მუდმივ ზემოქმედებას გულისხმობდა, ეს კი აღმავლობის გზაზე მდგომი სახელმწიფოს პირობებში მისი ტერიტორიის განუხრელ ზრდას იწვევდა. მონაპირეთა ქმედება („ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი") ცენტრალიზებული იყო („მოაჴსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის") და ყოველი ისეთი ამოცანის შესრულება, რომელიც მნიშვნელოვან რესურსს მოითხოვდა, სამეფო კარის დახმარებით ხორციელდებოდა („უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა... თუთ დავით მეფე წავიდის"); თუმცა, თავად მონაპირეებიც დამოუკიდებლად და ადგილობრივი ძალებით საკმაოდ ბევრს აღწევდნენ (მონაპირე ზაქარია ასპაანის ძე „მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა").[286] ბასილი ეზოსმოძღვარი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში

[283] ბერძენიშვილი, „საქართველო XI-XVIII საუკუნეებში", 164; დერმიშა გოგოლაძე, ქართული ფეოდალური სათავადოების არსისა და ისტორიული ადგილის საკითხისათვის", *მიაები*, 3 (1988), 63.

[284] იმერეთის სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფისათვის იხ. ზურაბ ციცაძე, „იმერეთის გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის 10-იანი წლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა", *მიაები*, 3 (1988), 119.

[285] კახა კახაძე, „სამხედრო მოხელეთა საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში XIII-XVIII სს.", *საისტორიო კრებული*, VI (1976), 67-71.

[286] ბასილი ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 130.

კონცენტრირებულ ექვს სანაპირო ოლქს ასახელებს: ესენია გაგის, ტაშირ-ძორაკერტის, ჯავახეთის, არტაანის, შავშეთ-სპერისა და ჰერეთის სანაპიროები.[287] სავსებით მართებულად, მ. ბერძნიშვილი ამ სიას მეშვიდე სანაპიროსაც ამატებს, რომელიც, თამარის პირველი ისტორიკოსის თანახმად, ყარსის აღების შემდეგ ჩამოყალიბდა.[288]

მონაპირეთა ისტიტუტი ჩანს გვიანდელ საქართველოშიც. 1460 წელს გიორგი VIII სასისხლო სიგელს უწერს გიორგი ჟურულს,[289] საიდანაც ირკვევა, რომ ჟურულები ცხრაზმისხევის ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მონაპირენი იყვნენ: „ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა, და თქუენი გუარისა კაცი მისი **მონაპირე** ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი".[290] ეს ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ სამეფოს ჩრდილოეთით მონაპირეთა ინსტიტუტის არსებობაზე მეტყველებს: ჟურულები დვალეთის მხარეს უნდა მონაპირეობდნენ.[291] აქამდე მხოლოდ სამხრეთის მიმართულებაზე კონცენტრირებული მონაპირეები იყვნენ ცნობილნი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ი. ჯავახიშვილმა დააყენა საკითხი მარზპანისა და მონაპირის იგივეობის შესახებ.[292] ეს იდეა განავითარა შ. მესხიამ, რომელმაც მონაპირე დაუკავშირა მარზპანს და მიიჩნია ის აღმაშენებლის მიერ შექმნილი სასაზღვრო ოლქების გამგებლად, რომელსაც მხოლოდ სახელი შეეცვალა თამარის დროს.[293] მონაპირეთა ინსტიტუტს დავითის დროს შექმნილად თვლის ნ. ბერძენიშვილიც.[294] ი. ანთელავა აღნიშნავს, რომ მარზპანი პართული ტერმინია და საზღვრის მცველის, მარკგრაფის მნიშვნელობა აქვს.[295] მისი აზრით, მონაპირეობა დავით აღმაშენებლამდეც არსებობდა, რადგან მარზპანის ინსტიტუტი დადასტურებულია XI ს. პირველ ნახევარში: მარზპანი გვხვდება 1022 წლის ვანანა-ვანქის ქართულ წარწერ-

---

[287] იქვე, 129-30.

[288] თამარ მეფემ „დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ". „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 92; ბერძნიშვილი, *საქართველო XI-XII საუკუნეებში*, 128. ამ მოსაზრებას იზიარებენ ჯ. სტეფნაძე და მ. ბახტაძე. სტეფნაძე, *საქართველო XII და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში*, 184; ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 294.

[289] ამ სიგელთან დაკავშირებული ეჭვებისა და მისი უტყუარობის შესახებ იხ. ჯ. ოდიშელი, „ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან", *მაცნე*, 4 (1966), 216-20.

[290] *ქართული ისტორიული საბუთები: XV საუკუნის მეორე ნახევარი*, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მ. სურგულაძემ, ტ. III (თბილისი, 2014), 115. საბუთზე მითითებისათვის მადლობას ვუხდი თემო ჯოჯუას.

[291] ვ. ღუნაშვილი ფიქრობს, რომ ჟურულები ცხრაზმის საერისთავოში შემავალი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის – ცხრაზმის ხევის მმართველები იყვნენ. ვლადიმერ ღუნაშვილი, *ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია* (თბილისი, 2005), 105. თუმცა, ამის დამამტკიცებელი რაიმე არგუმენტი მკვლევარს არ წარმოუდგენია.

[292] ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 295-5.

[293] მესხია, *ძლევაჲ საკვირველი*, 31-2.

[294] ბერძენიშვილი, „XI-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან", 30, 227.

[295] მონაპირე ფრანკთა სასაზღვრო ოლქის (მარკის) მმართველს, მარკგრაფს ქ. ჩხატარაიშვილმა შეადარა. იხ. ჩხატარაიშვილი, „უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში", 176.

აში და სახარების 1053 წლის მინაწერში.[296] კ. გრიგოლიას აზრით, მონაპირე ერისთავები ჯერ კიდევ იბერიის სამეფოში არსებობდნენ. ამ მოსაზრებას კატეგორიულად, და სამართლიანადაც, უარყოფს მ. ბახტაძე, რომელიც მხოლოდ საზღვრისპირა მდებარეობას არ მიიჩნევს საკმარისად მონაპირეთა არსებობისათვის.[297] ჯ. სტეფნაძეც მიჯნავს მარზპანსა და მონაპირეს და თვლის, რომ მონაპირე რაიონები არსებული სახით მხოლოდ თამარის დროს ჩამოყალიბდა, რადგან მანამდე მტერი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში იჯდა. მანვე გამოთქვა საყურადღებო მოსაზრება მონაპირისა და ერისთავის სახელოს სხვადასხვაობის შესახებ, თუმცა შესაძლებელად მიიჩნია მათი შეთავსება – ერთი პიროვნების მიერ ორი სახელოს ფლობა.[298] სტეფნაძის მოსაზრებას იზიარებს მ. ბახტაძე, რომელმაც საგანგებოდ განიხილა მონაპირისა და ერისთავის ურთიერთმიმართების საკითხი და დაადგინა, რომ ისინი სხვადასხვა თანამდებობები იყო.[299] ამავე დროს, მკვლევარი სხვაობას ხედავს მონაპირისა და ერისთავის თანამდებობებს შორის: „მონაპირეთა ფუნქციას შეადგენდა საზღვრის დაცვა და თვალყურის დევნება მოსაზღვრე ტერიტორიებისათვის, მაშინ როცა ერისთავს სამხედრო საომარი ფუნქციის გარდა გააჩნდა: სასამართლო, ადმინისტრაციული და ფისკალური ფუნქციებიც".[300] ეს შეხედულება ძნელია გაიზიარო. მონაპირე ხელისუფალს მეტი ძალაუფლება და დამოუკიდებლობა სჭირდებოდა მტრის შემოტევის მოსაგერიებლად და საკუთარი საზღვრების გასაფართოებლად და მას სამოქალაქო-ადმინისტრაციული ძალაუფლებაც ექნებოდა. ბუნებრივია, ავტონომიური ხელისუფალი, რომელიც ოლქის რესურსებს თავად განკარგავდა, უფრო სწრაფად შეძლებდა რეაგირებას და უფრო ეფექტურად იმოქმედებდა. მონაპირესა და ერისთავს შორის განსხვავება, პირიქით, მონაპირის უფრო მეტ უფლებებში იქნებოდა, რაც სამხედრო ფუნქციებზეც აისახებოდა: თუკი ერისთავს ლაშქრის გამოყვანა მხოლოდ ზემოდან ბრძანების შემდეგ შეეძლო („ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან"), მონაპირეს ამ საკითხში მეტი თავისუფლება ექნებოდა.[301]

მიუხედავად მარზპანის არსებობისა XI საუკუნის დასაწყისის საქართველოში, არსად არ ჩანს, რომ ამ ინსტიტუტს ისეთივე სახე და ფუნქციები ჰქონდა, როგორც მონაპირეს. მ. ბახტაძის აზრით, მონაპირეობის „ინსტი-

---

[296] ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 203-4.

[297] ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 24.

[298] სტეფნაძე, *საქართველო XII და XIII საუკუნის პირველ მეოთხედში*, 184-5.

[299] ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 293-5.

[300] იქვე, 295.

[301] შედარებისათვის, ევროპაში მარკგრაფი ერთდროულად იყო სასაზღვრო ოლქის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი. L.G. Pine, *How the King Became His Majesty* (New York, 1992), 68-9. ინგლისშიც კი, სადაც უილიამ დამპყრობელის შექმნილ სამეფოში მაქსიმალურად ცდილობდნენ შეეზღუდათ ფეოდალები, სასაზღვრო ლორდები საკმაოდ დამოუკიდებელნი იყვნენ. იქვე, 69.

ტუტის ჩამოყალიბება იმ სახით, რა სახითაც ის დაცულია ბასილი ეზოსმოძღვართან, უნდა მომხდარიყო დავით აღმაშენებლის დროს".[302] მართალია ს. მარგიშვილი, როდესაც მიუთითებს, რომ სასაზღვრო რეგიონებში სამხედრო ოლქები მაშინ ყალიბდება, როდესაც მხარეებს შორის სამხედრო დაპირისპირება ხანგრძლივი და ინტენსიურია. ასეთი იყო ისლამისა და ქრისტიანობის საკონტაქტო ზონა.[303] სანაპიროების შექმნის აუცილებლობა მაშინ გაჩნდა, როდესაც საქართველოს სამხრეთით ისლამური სახელმწიფოები და ისლამიზებული მომთაბარე თურქმენთა ტომები დაუმეზობლდნენ, ამის შესაძლებლობა კი მხოლოდ დავითის ეპოქიდან უნდა ვიგულისხმოთ. თამარის ხანაში სანაპიროთა სისტემა უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობს.[304] დღეს, ალბათ, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ პირველად როდის მიიღო სანაპირომ ასეთი სახე. ამავე დროს, საფიქრებელია, რომ მონაპირეთა სისტემის ფორმირება დავით აღმაშენებლის დროს დაიწყო. დავითის ისტორიკოსის ერთი ფრაზა, – „კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი",[305] შესაძლოა, სწორედ ამ პროცესს გადმოგვცემდეს და მასში იგულისხმებოდეს საზღვრისპირა ადმინისტრაციის (მონაპირეთა) შექმნა („ნაპირთა ჭირვანი") და მათ მიერ წარმოებული მარბიელი ლაშქრობანი („კიდეთა პყრობანი").

4) ქართულ ჯარში, ისევე როგორც შუა საუკუნეების ნებისმიერ არმიაში, თავის როლს თამაშობდნენ მოქირავნეები, რომელთაც *როქის-სპას* უწოდებდნენ.[306] როქის-სპა გარკვეული ანაზღაურების საფასურად უცხოტომელთაგან დაქირავებული ჯარის ნაწილი იყო. ის ამირსპასალარს ექვემდებარებოდა.[307] სხვადასხვა დროს ქართული არმიის რიგებში ვხედავთ დაქირავებულ ვარანგებს (ვიკინგებს), ფრანკებს, მუსლიმებს, მაგრამ უმთავრესად მოქირავნეები, – ალანები, ყივჩაღები, ჩერქეზები, ლეკები, – ჩრდილო კავკასიიდან გადმოჰყავდათ, რომელიც საქართველოსთვის ასეთი რაზმების ტრადიციული წყარო იყო.

---

[302] ბახტაძე, *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში*, 296.

[303] მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 155. მასაც მიაჩნია, რომ სანაპიროების სისტემის შექმნა დავით აღმაშენებელმა დაიწყო. იქვე, 155.

[304] შემთხვევითი არ არის, რომ ტერმინი „მონაპირე" ხშირად სწორედ XII ს. ლიტერატურაში გვხვდება: „მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო"; „ილაშქრე და ინაპირე". შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 147; 415.

[305] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 351.

[306] ბიზანტიაში ყოველწლიურ სარგოს „როგა" ერქვა, რომელსაც შემდგომში ქართულად „როქი" ეწოდა. ივანე ჯავახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის", *თხზულებანი*, ტ. IX (თბილისი, 1996), 273.

[307] ანთელავა, *საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში*, 132.

ლაშქრის მობილიზაცია („წვევა და შეყრა ლაშქართა")

ფეოდალურ საქართველოში ლაშქრის მობილიზაცია და ერთ ადგილზე თავმოყრა მალემსრბოლის (შიკრიკის) ხელით მიტანილი წერილობითი ბრძანების საფუძველზე ხდებოდა. ერთიანი მონარქიის ხანაში ჯარის შეყრის ბრძანებას მხოლოდ მეფე გასცემდა. მწიგნობართუხუცესს ევალებოდა ლაშქრის „წვევის წიგნების" შედგენა, მათი დაგზავნა კი მალემსრბოლებით ხდებოდა და ამირსპასალარის სახელოს ფუნქცია იყო.[308] ადრესატისათვის (ერისთავი, ვასალი) საჭირო ინფორმაცია „წვევის წიგნებში" დეტალურად იყო გაწერილი. მასში მითითებული იყო ლაშქრის თავმოყრის ადგილი და დრო, ჯარების სახეობა და ოდენობა, აღჭურვილობისა და სურსათის მარაგი და ა.შ. „წვევის წიგნების" მომზადება საკმაოდ რთული პროცესი იყო და სამეფოს ფარგლებში მობილიზაციის სისტემის დროში კოორდინაციასა და სიზუსტეს მოითხოვდა: რომელიმე მხარის რაზმები ადრე რომ მოსულიყო, მათი შენახვა ლაშქრის საბოლოო შეკრებამდე ზედმეტ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული.[309]

საფიქრებელია, რომ მალემსრბოლების მიმოსვლის სისწრაფეს განაპირობებდა ცხენების ცვლა საფოსტო სადგურების ტიპის სადგომებში, რომლის სისტემა საქართველოში ადრე შუასაუკუნეებშივე (თუ უფრო ადრე არა) უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული. ტ. ახალაიამ ყურადღება მიაქცია „შუშანიკის მარტვილობის" ერთ ცნობას, რომლის მიხედვითაც საქართველოში სასწრაფო საქმეზე მიმავალი მოციქული საგანგებო სწრაფმავალი („სადიასპანო") ცხენით სარგებლობს: „წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი".[310] „სადიასპანო ცხენი" საფოსტო სადგურების ქსელზე უნდა მიუთითებდეს, სადაც ასეთი ცხენები იმყოფებოდნენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნის საქართველოში ძირითად მაგისტრალებზე ცხენების ცვლის სისტემა მოქმედებდა, რათა მაცნეს ან მნიშვნელოვან საქმეზე წამსვლელ-მომსვლელს დრო არ დაეკარგა; ყოველ შემთხვევაში, თბილისიდან დარიალამდე ასეთი სისტემის მოქმედება სახეზეა. გიორგი რუსის ჩამოსაყვანად ჩრდილოეთ კავკასიაში წასული დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი ცხენების ცვლის შემწეობით დიდი სიჩქარით გადაადგილდება: „მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა".[311] ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელ გზაზე ცხენების ცვლის ამ მეთოდს პიტერ გოლდენი ცნობილ მონღოლურ საფოსტო სისტემასაც (*იამი*) კი ადარებს.[312]

ზემოაღწერილ მობილიზაციის სისტემას ქმედებაში თამარის ეპო-

---

[308] იქვე, 120. მალემსრბოლთა უფროსი *ამირჩქარი* ამირსპასალარის უწყებაში შედიოდა. იქვე, 66.

[309] Stephen Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings 1066-1135* (Woodbridge, 1994), 111.

[310] ტარასი ახალაია, „მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში", *მიაეხის*, 4 (1992), 66.

[311] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 37.

[312] Peter B. Golden, "Aspects of the Nomadic Factor in the Economic Development of Kievan Rus'," in *Ukrainian Economic History: Interpretive Essays*, ed. by I. S. Koropeckyj (Cambridge, MA, 1991), 98.

ქაში ვხვდებით. შამქორის ბრძოლის წინ ლაშქრის შეკრება თამარ მეფის ბრძანებითა და მალემსრბოლთა საშუალებით ხდება: „განსცა ბრძანება და წარავლინა შიქრიკნი და მალე-მსბოლნი წუევად ლაშქრისა იმერით და ამერით".[313] ეს პროცესი უფრო ვრცლად აქვს აღწერილი ბასილი ეზოსმოძღვარს: „უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის... ესრეთ: „ისწრაფეთ დაწერად და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მჴედრობა... ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მჴედარი, ყოვლით-კერძო".[314] ასეთივე მეთოდით ხდება ლაშქრის შეკრება ბასიანის ბრძოლის წინაც: „ბრძანება და წიგნები ქროდა მალე-მსრბოლთა".[315] „წვევის წიგნების" საშუალებით ლაშქრის შეყრის სისტემა შენარჩუნებული ჩანს ბოლომდე. XVII საუკუნეში ქართლის მეფე ვახტანგ V (1658-75) მობილიზაციას შიკრიკების საშუალებით ახდენს: „წიგნი გასწერა ყოველგნით, ლაშქართა მოსაწუეველად"; „წიგნი გასწერეს მაშინვე ყოვლგნით ლაშქართა მხმობელად".[316]

შიკრიკთა საშუალებით ლაშქრის შეკრების პროცესი სამეგრელოს მაგალითზე დაწვრილებით აქვს მოცემული არქანჯელო ლამბერტის. ომის დაწყების წინ მთავრისათვის „საკმაოა მხოლოდ, რომ საჭიროების დროს რამდენიმე შიკრიკი გაგზავნოს სამთავროს ყოველ მხარეს ბარათებით დიდებულებთან, აზნაურებთან და თანამდებობის პირებთან და აცნობოს, რომ იგინი ამდენი დღის განმავლობაში მთელი თავის კაცებით, იარაღით და სურსათით გამოცხადნენ ამა და ამ ადგილას, სადაც უნდა შეიყაროს ლაშქარი, ამასთანავე ისიც უნდა აცნობოს, თუ რამდენი დღის სამყოფი სურსათი წამოიღონ თან. ამ ამბის მოსვლის დღიდან დანიშნულ დრომდის ყველა თავის სურსათს ამზადებს, ათვალიერებს თავის იარაღს და ცხენებს, შეაკეთებს საომარ მოწყობილობას, გასინჯავს თავის კაცებს და დანიშნულ დროს გამოცხადდება ნაჩვენებ ადგილს".[317]

ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი სამხედრო სამსახურის პირობით მიწის ფლობა იყო, ამიტომ სამეფო ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა ვასალების მიერ ამ ვალდებულების დროულად და შეუფერხებლად შესრულებას. გიორგი ბრწყინვალის სამართალი ზუსტად განსაზღვრავს სასჯელს ამ შემთხვევაში: „რომელიც ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და **ჟამიერად არ გამოვიდნენ** – ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან, – და რაზომცაღა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ,

---

[313] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 64.

[314] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 125.

[315] იქვე, 134.

[316] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, გიორგი ლეონიძის და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით (თბილისი, 1935), 65, 115.

[317] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 83.

და თუთო ჯარი წაეგუაროს სასეფეოდ".[318] ისჯებოდა ხევისბერი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მამულსაც და თანამდებობასაც ართმევდნენ ერთი წლით. უკიდურეს შემთხვევაში მის მაგივრად მისი ძმა ან შემცვლელი კაცი უნდა წასულიყო სალაშქროდ. რა თქმა უნდა, სუსტი ხელისუფალის პირობებში ეს კანონები მხოლოდ ფურცელზე დაწერილი შეიძლება დარჩენილიყო. მაგრამ, როდესაც მეფეს ძალუძდა, ლაშქრობაში არწასვლა ყოველთვის ხდებოდა ურჩი ფეოდალის დასჯის მიზეზი. ვახტანგ V შაჰნავაზმა 1663 წელს მამული წაართვა გიორგი თურზაშვილს, რადგანაც მან კახეთში ლაშქრობისას მიატოვა მეფე და სხვას (ხოსია ბარათაშვილს) უბოძა.[319]

ჯარში გაწვევას ისეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ არცერთი მეფე, რაც არ უნდა შეეწყალებინა თავისი ქვეშევრდომნი და მიენიჭებინა საგადასახადო თუ სხვა შეუვალობა, მათ ამ მოვალეობისაგან არ ათავისუფლებდა.[320] დღემდე მოღწეულია მრავალი საბუთი, რომლებშიც საქართველოს მეფეები სხვადასხვა შეღავათებს უმტკიცებენ თავიანთ ყმებს, მაგრამ უცვლელად უტოვებენ ლაშქარ-ნადირობის მოვალეობას. ასეთია გიორგი VIII-ის 1453 წლის შეუვალობის სიგელი ფილიპე ერემაძისადმი („ერთისა ლაშქრობის მეტი არა გეთხოვებოდეს")[321] და ალექსანდრე II-ის 1593 წლის ულუფის წიგნი („საყდრის ყმაზედან ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე ხელს ნურას დაიდებს სხუას საქმეზედან"),[322] როსტომ მეფის 1634 წლის სითარხნის წიგნი მერაბ ყორღანაშვილისადმი („არა ეთხოებოდეს რა, თუნიერ ერთის ლაშქარ-ნადირობისა")[323] და 1651 წლის წიგნი ზაქარია რუსთველისადმი („ასრე გაგითარხნეთ, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები თქუენის საყდრის ყმას არ ეთხოებოდეს რა, ერთის ლაშქარ-ნადირობის მეტი"),[324] აგრეთვე, თეიმურაზ I-ის 1645 წლის წყალობის წიგნი ხოსროასადმი („ასრე გაგვითავისუფლებიხართ, ერთის ლაშქარ-ნადირობისაგან... კიდე არას იქმოდე და არცა-რა გეთხოვებოდეს").[325] ალექსანდრე II-ის 1579 წლის წიგნით სვეტიცხოველის ყმებს არაფერი არ ევალებათ „თვინიერ ლაშქარ-ნადირობისა".[326] ლაშქრობა-ნადირობისაგან გათავისუფლების შემთხვევები უკიდურესად მცირეა და ისიც ეკლესიის ყმებთანაა დაკავშირებული. ასეთი შემთხვევაა ერეკლე I-ის მიერ 1692 წელს გარეჯის მონასტრისადმი მიცემუ-

[318] „სამართალი მეფის გიორგისა", *ქსძ*, I, 410-1.

[319] დავით ჟღენტი, „რამდენიმე ისტორიული საბუთი ფეოდალთა შინაკლასობრივ ბრძოლაზე XVII ს-ის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში", *მიაეხის*, 4 (1974), 138.

[320] არ ათავისუფლებდნენ ნადირობის ვალდებულებისაგანაც, რადგან ნადირობა ომის რეპეტიციად განიხილებოდა. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 156.

[321] *ქსძ*, II, 132.

[322] იქვე, 208.

[323] იქვე, 214.

[324] იქვე, 220.

[325] იქვე, 219.

[326] იქვე, 201.

ლი სითარხნის განახლების წიგნი, რომელიც გარეჯის ყმებსა და მამულებს ლაშქარ-ნადირობის მოვალეობისაგან ათავისუფლებს („ათარხნებს").[327]

XIV საუკუნის II ნახევარში დაწერილი „ქვეყნის სამაგრობელი სრულიად სვანეთის ჴევისა" იმ სოფელსა და ხევს, რომელნიც ლაშქრად წასვლის ჟამს შეიარაღებულნი არ გამოცხადდებოდნენ, აკლებით (მიხდომით) ემუქრება: „რაი ლომი და მოლაშქრე მოვიდეს, რომელიცა ჴევი ანუ სოფელი არ მოჰყვეს მისითა აბჯრითა, იმა ჴეუსა და სოფელსა მიუჴდეთ ჩვენ, ერთობილი ჴევი".[328]

იტალიელი მისიონერის ჯუზეპე მილანელის მოწმობით, XVII საუკუნის ოდიშში „ომიდან არავინ არ თავისუფლდება, არც ეპისკოპოსი, არც ბერი, არც მღვდელი და არც ბრძენი. თუ ვინიცობაა ვინმე ომს თავს აარიდებს, მას სასტიკად სჯიან და ხელჰყოფენ მის ქონებას, ართმევენ საქონელსა და ყმებს".[329]

ვეტერანი ფეოდალის საქართველოში

სახელმწიფო სამსახურში მყოფი დაუძლურებული მოლაშქრის პატრონობა, როგორც ჩანს, სახელმწიფოს მოვალეობა იყო. ქ. ჩხატარაიშვილის ვარაუდით, დავით აღმაშენებლის მიერ აგებულ ქსენონში მის შეუძლო და ვეტერან მებრძოლებს უვლიდნენ. ასეთი „სახლი უძლურთა და დავრდომილთა" დიდი სახელმწიფო მოხელეების ერისთავების სასახლეებშიც დასტურდება.[330]

ვეტერანსა და ნამსახურ მებრძოლს სხვა სახის შეღავათსაც უწევდნენ. დავით IV-ის მიერ გაცემულ სიგელში ჩანს, რომ თავის ვეტერანს მეფე გამონაკლისის სახით მამულს უტოვებს: „გაუშუით და გავათავისუფლეთ ნიანია, გრიგოლ მაოჭრებელისა შვილი, მისითა მამულითა ვეძისჴევითა... ვინაითგან პირველცა ზითვად ჰქონებოდა და ჩუენიცა დიდად ნამსახური და ბერი კაცი იყო, ლაშქრობაი აღარ შეეძლო".[331] დამსახურებულ მებრძოლს („ჩუენიცა დიდად ნამსახური"), თავის ვეტერანს, რომელიც სიბერის გამო („ბერი კაცი იყო") ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ვეღარ ლაშქრობს, მეფე გამონაკლისის სახით მამულს უტოვებს.

ქართული ფეოდალური სახელმწიფო ვეტერანს საგადასახადო შეღავათსაც უწევდა, რაც ასახულია ერთ გვიანდელ, მაგრამ მეტად საინტერესო საბუთში: ანტონ II კათალიკოსი უბრძანებს თავის სახლთუხუცესს,

---

[327] იქვე, 230-1.

[328] *სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, ტ. I (თბილისი, 1986), 108.

[329] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, *წერილები საქართველოზე (XVII საუკუნე)*, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი, 1964), 92.

[330] ჩხატარაიშვილი, „ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან", 100.

[331] „სიგელი დავით მეფისა ნიანია ნიანიასძისადმი", 50-1.

კოდის პური და კულუხი ყველას გამოართვას, თუნდაც ის თარხანი იყოს. კათალიკოსი გამონაკლისს უშვებს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომელთაც განსაკუთრებულად რთულ სამხედრო ოპერაციებში აქვთ მონაწილეობა მიღებული – ყვარლის ციხეს იცავდნენ ან ერეკლე II-ს ახლდნენ ინდოეთში სალაშქროდ („ყვარელსა და ინდოეთს ნამყოფს გარდა").[332]

[332] *ქსძ*, III, 1051.

თავი II

ქართული ლაშქრის ნვითნა და დისციპლინა

შუა საუკუნეების ფეოდალურ სამხედრო ორგანიზაციას ერთი დიდი ნაკლი ახასიათებდა: ნაკლები ცენტრალიზაციისა და სამხედრო სამსახურის სოციალური ხასიათის, ადმინისტრაციული რესურსისა და ბიუროკრატიული აპარატის შედარებითი განუვითარებლობის გამო ფეოდალურ ქვეყნებში არ არსებობდა ყაზარმები და სახელმწიფოს მიერ რეგლამენტირებული საწვრთნელი სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი არმიები პროფესიონალი ცხენოსანი მეომრებისაგან შედგებოდა, რომლებიც ბავშვობიდან სწავლობდნენ ბრძოლას, მიუხედავად იმისა, რომ ფეხოსნებიც კი ხშირი ომებისას გამოცდილ მებრძოლებად ყალიბდებოდნენ, ისინი არ წარმოადგენდნენ მუდმივ არმიებს, არ იწვრთნებოდნენ რეგულარულად და არ სწავლობდნენ ურთიერთქმედებას ტაქტიკურ დონეზე.[1]

თუმცა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ შუა საუკუნეების ფეოდალური არმიები დისციპლინას მოკლებულ მებრძოლთა ფაქტობრივად უმართავი გაერთიანებები იყო.[2] კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა მცდარი წარმოდგენა, რომ შუა საუკუნეების არმიები შედგებოდა უდისციპლინო, მხოლოდ

---

[1] Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings 1066-1135*, 146. იშვიათი გამონაკლისია ბიზანტია, რომელსაც გააჩნდა ასეთი წვრთნისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული რესურსი და ცდილობდა შეენარჩუნებინა რომაული სამხედრო ტრადიცია, თუმცა, ზოგი მსგავსების მიუხედავად, ბიზანტია ფეოდალურ ქვეყანას არც წარმოადგენდა.

[2] არ არის მართებული ს. მარგიშვილის დებულება, რომელიც მკვლევარმა დელბრუკზე დაყრდნობით გააკეთა: „შუასაუკუნეების ფეოდალური არმია, რომელიც არ გადიოდა თანმიმდევრულ სამხედრო სწავლებას და სამხედრო ვალდებულებას მხოლოდ მიწისმფლობელობის სანაცვლო მოვალეობად აღიარებდა, ბუნებრივია, უდისციპლინო მეომართა გაერთიანებად რჩებოდა". მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 101. სინამდვილეში, ჰ. დელბრუკის მიერ ფეოდალური არმიების დისციპლინის კრიტიკა დაფუძნებელია იმ მოსაზრებაზე, რომ მათ დისციპლინა თანამედროვე გაგებით არ ჰქონდათ და რომ ის სრულიად სხვა ხასიათის იყო. რა თქმა უნდა, თანამედროვე სტანდარტებთან შედარებით იმდროინდელი დისციპლინა მოიკოჭლებდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობდა. თავად დელბრუკიც აღნიშნავს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის მიერ განპირობებული დისციპლინის არსებობას, რომელიც იერარქიას, სუბორდინაციას, ბრძანებას და მისადმი მორჩილებას ემყარებოდა. Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, т. 3, 157. მსგავსი მოსაზრების კრიტიკისათვის იხ. მამუკა წურწუმია, „რეცენზია: გიორგი ნარიმანიშვილი. ჯვაროსნებისა და ფატიმიანების სამხედრო დაპირისპირება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროს", *საისტორიო კრებული*, 2 (2012), 369-370.

პირადი დიდებისათვის მებრძოლი მეომრებისაგან. დღეს უკვე ცხადია, რომ შუა საუკუნეებში წვრთნას გადიოდნენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე რაზმის შემადგენლობაში, და რომ რაზმები ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებდნენ.[3]

ამის მიღწევა შუა საუკუნეების ჯარებში, ერთის მხრივ, დისციპლინის დანერგვით ხდებოდა, მეორეს მხრივ კი, ინდივიდუალური თუ კოლექტიური ვარჯიშებითა და ნადირობით, რომელთაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავ და, რაც მთავარია, პრაქტიკით ანუ ომში მონაწილეობით.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური საზოგადოების წევრი ბავშვობიდანვე მებრძოლად იზრდებოდა და სხვადასხვა მეთოდებით იწვრთნებოდა, ყველაზე დიდ გამოცდილებას ის ომში და რეიდებში მონაწილეობით იძენდა. ფრანგი რაინდი ჟოფრუა დე შარნი, რომელმაც XIV საუკუნეში სამი წიგნი დაწერა რაინდობის შესახებ, თვლიდა, რომ ომი პრაქტიკული ხელობაა, რომლის კარგად სწავლაც მხოლოდ მასში მონაწილეობით შეიძლებოდა და რომ საბრძოლო გამოცდილება ბევრად ღირებული იყო, ვიდრე ნებისმიერი ვარჯიში თუ ტურნირი.[4]

შუა საუკუნეების კამპანიებში ინდივიდუალურად უკვე კარგად მომზადებული მებრძოლი იღებდა მონაწილეობას, რომელსაც თავისი ფეოდალის რაზმში ბრძოლის ჩვევები ჰქონდა გამომუშავებული, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა აუცილებელი იყო ტაქტიკურ დონეზე რაზმებს შორის ურთიერთქმედების სასწავლად და დასახვენად, ქვეითი და ცხენოსანი ჯარის ნაწილების ერთად ქმედების შესათანხმებლად. მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ლაშქრის ცალკეულ ნაწილებს, სახელდობრ, მეფისა და დიდ ფეოდალთა სახლეულს, უკვე გააჩნდათ ერთად ქმედების გამოცდილება და გამომუშავებული ჰქონდათ საერთო დარაზმულობა, ტაქტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთქმედებას ჯარისკაცები ძირითადად ომის დროს სწავლობდნენ.[5] როგორც წესი, ტაქტიკურ ერთეულებად

---

[3] John Gillingham, "Richard I and the Science of War in the Middle Ages," in *War and Government in the Middle Ages. Essays in Honour of J.O. Prestwich*, ed. by John Gillingham and J.C. Holt (Woodbridge, 1984), 78; Sean McGlynn, "The Myths of Medieval Warfare," *History Today*, vol. 44, no. 1 (1994), 30-1; David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom* (London, 1999), 250. შონ მაკგლინი მიიჩნევს, რომ წარმოდგენა იმპულსური რაინდის შესახებ, რომელიც ბრძოლაში წინდაუხედავად ებმება, მეტად მცდარია. McGlynn, "The Myths of Medieval Warfare," 31. დევიდ ნიკოლი მოურიდებლად სისულელეს (nonsense) უწოდებს იმ აზრს, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეების მეომარი მხოლოდ თავის ჭკუაზე იბრძოდა და არ ურთიერთქმედებდა თანამებრძოლებთან. Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 250. თავის დროზე, XIX საუკუნის ფრანგი სწავლული ვიოლე ლე დიუკი ამბობდა: „ამტკიცო, რომ ფეოდალური არმიები არ იცნობდნენ ტაქტიკას, თითქმის იგივეა, ამტკიცო, თითქოსდა რომელიმე ერს არ გააჩნია ლიტერატურა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ჩვენ მისი ენა არ ვიცით". Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, т. 3, 181.

[4] *The* Book of Chivalry *of Geoffroi de Charny*, text, context, and translation by Richard W. Kaeuper and Elspeth Kennedy (Philadelphia, 1996), 89-91; Nicholson, *Medieval Warfare*, 17.

[5] Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings*, 89, 91.

ბრძოლის გამოცდილება და რთული მანევრების შესრულება მხოლოდ საბრძოლო კამპანიებში მონაწილეობისას თუ მიიღწეოდა.[6]

სწორედ საბრძოლო კამპანიის მიმდინარეობისას ლაშქრის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილებს (რაზმებს) შორის ურთიერთქმედების გამომუშავებას უნდა გულისხმობდეს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ლაშქრობათა მეცადინობანი".[7] წვრთნის იმ ფორმებს შორის, რომელსაც დავითის ისტორიკოსი ასახელებს, ავტორი მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს ლაშქრის განლაგებასა და სწორი წყობის გამომუშავებას ანუ ტაქტიკურ დონეზე არმიის გაწვრთნას, როგორიცაა „მჴედართა განწესებანი", „სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი".[8] წვრთნისა („სწავლითა გუარიანად") და საბრძოლო პრაქტიკის („მცირედ-მცირედ ბრძოლითა") სწორი შეხამების შედეგად, დამარცხებულ და დეზორგანიზებულ ქართულ არმიას დავით IV-მ თურქთა წყობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა ასწავლა: „უწყინოთა ლაშქრობითა და მცირედ-მცირედ ბრძოლითა და სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომითა, და მრავალთა ძლევათა მიერ მოგუარებითა არა განეწუართნეს სპანი თჳსნი, და განეკადნიერნეს წყობათა მიერ მჴნეთა".[9]

სამწუხაროდ, უშუალოდ წვრთნის პროცესის შესახებ დეტალური ცნობები ქართულ წყაროებში დაცული არ არის. მაგალითად, სწავლება, რომლის დროსაც მტერზე იერიში უნდა მიეტანათ, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით არის გადმოცემული: „სარდლობს, ასწავლის ლაშქარსა, მტერზე ამგვარად მიდია".[10]

ლაშქრის საერთო ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასთან ერთად, წვრთნა და ვარჯიში დისციპლინის განმტკიცებასაც იწვევდა. ბასილი ეზოსმოძღვარის მიხედვით, თამარ მეფე „არცა თჳთ უქმომდა და არცა თჳსთა ყმათა აუქმებდა" და „აუცალოებდა, თჳსთა ლაშქართა... რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ".[11] ჯ. სტეფნაძის განმარტებით, „აუცალოებდა" ნიშნავს, რომ თამარი მოსვენებას არ აძლევდა თავის ლაშქარს. მკვლევრის სწორი მსჯელობით, თამარი იმიტომ არ აზარმაცებდა თავის ლაშქარს, რომ არ მოშვებულიყვნენ და რაიმე უკეთურ განზრახვას არ აჰყოლოდნენ.[12] ლაშქრის დასაქმება ერთერთი უძველესი მეთოდია დისციპლინის შესანარჩუნებლად. ჯერ კიდევ IV-V

---

[6] Gillmor, "European Cavalry," 203.

[7] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 351. ასევე იხ. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 100.

[8] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 351.

[9] იქვე, 358.

[10] იესე ტლაშაძე, *ბაქარიანი*, გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა (თბილისი, 1962), 34.

[11] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 130-1.

[12] ჯემალ სტეფნაძე, „ტერმინ „აუცალოებდა"-ს განმარტებისათვის", *მიაეხის*, 1 (1972), 130.

სს. მიჯნაზე ვეგეციუსი წერდა, რომ ჯარისკაცების ამბოხის თავიდან ასაცილებლად საუკეთესო საშუალება მათი მუდმივი წვრთნა და ყოველდღიური დასაქმება იყო.[13]

საერთოდ, ფეოდალური ლაშქრის პირობებში, როდესაც არ არსებობდა წესდება თუ სხვა სახის სამხედრო ნორმატიული აქტები, დისციპლინის დამყარება, რომელიც აუცილებელი იყო წარმატების მისაღწევად, საკმაო პრობლემას წარმოადგენდა. დისციპლინა აუცილებელი იყო არმიის გადაადგილებისა და ბრძოლის ველზე მანევრების სწორად და დროულად განსახორციელებლად და ზოგადად, არმიის გამართული ფუნქციონირებისათვის. ძლიერი მმართველი ყოველთვის ახერხებდა მკაცრი დისციპლინის დამყარებას არმიაში. დავით აღმაშენებელმა თავისი ლაშქრის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება დისციპლინის გამყარებით დაიწყო: „ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა".[14] არმია, რომელიც მხედართმთავრის ასეთ მოთხოვნებსაც კი ემორჩილებოდა, უყოყმანოდ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ ყოველგვარ მოვალეობას. ასეთი დისციპლინის გამომუშავებას დავით აღმაშენებელი დასჯისა და წახალისების მეთოდის სწორი მონაცვლეობით ახერხებდა: „ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შთაცუმითა და კიცხევით ძაგებითა, არამცა მოელონა, ვიდრემდის სპათა შორის მისთა ყოვლად არა იპოვებოდა ჯაბანად ზრახული".[15]

სასტიკი დისციპლინა ჰქონდა არმიაში დამყარებული გიორგი III-ს. ის დამნაშავე მოლაშქრეებს ჩამოხრჩობით სჯიდა: „1180 წელს გიორგიმ პირისაგან მიწისა აღგავა ქურდი და ყაჩაღი, მთელ ჯარს დაუწესა კანონმდებლობა, რომლითაც დიდი და მცირე დანაშაულისათვის შეუწყნარებლად უნდა ჩამოეხრჩოთ ხეებზე ყველა. ჩამოახრჩვეს მრავალი წარჩინებული. სამსჯავროს ხის ბოძზე დამნაშავეებთან ერთად აკრავდნენ მათთან ნაპოვნ საგნებს, თვით პირუტყვებს, ძაღლებს და თაგვებს. შიში დაეუფლა ყველას. დაისადგურა დიდმა სიმშვიდემ".[16] ცხადია, ასეთი რადიკალური ზომების გატარება მხოლოდ ერთპიროვნულ მმართველს ხელეწიფებოდა.

სამხედრო სამართალი

ცალკე ჩამოყალიბებული სამხედრო სამართლის კოდექსი საქართველოში არ არსებობდა, მაგრამ ქვეყნის კანონმდებლები სამართლის წიგნებში გარკვეული ნორმების შეტანით ცდილობდნენ ლაშქრად ყოფნი-

[13] *Vegetius: Epitome of Military Science*, translated with notes and introduction by N. P. Milner, 2nd ed. (Liverpool, 1996), III.4.

[14] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 352.

[15] იქვე, 358.

[16] ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ (თბილისი, 2004), 150.

სას მებრძოლთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას.

გიორგი III-ის მკაცრი კანონმდებლობის გარდა, რომელზეც ზემოთ ვარდანი მოგვითხრობდა და რომელმაც სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ქართული სამართლის ისტორიიდან მოგვეპოვება რიგი ნორმები, რომლებიც სამხედრო საქმეს ეხება. XIV საუკუნეში სამცხის ათაბაგი აღბუღა ჯარში წესრიგის დამყარებას საკანონმდებლო საფუძველს შეუქმნა და თავის სამართალში სასჯელს დააწესა „ლაშქართა შინა" ცხენის პარვისათვის.[17]

კიდევ უფრო დეტალურად არის გაწერილი „სამხედრო მუხლები" ვახტანგ VI-ის სამართალში, რომლის მიხედვითაც ნადავლი აბჯარი (და საერთოდ, თავდაცვითი აღჭურვილობა) ხაზინას ბარდებოდა: „თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებელისა არის; ჯაჭვი, ზუჩი, მუზარადი და ამგვარი ჴელმწიფისა არის, – მძიმე თვალი თუ მარგალიტი".[18] ვახტანგ VI კრძალავს მკვდრის გაძარცვასაც: „აგრევე მოკლულს კაცს არას გზით ნიფხავი და პერანგი არ გაეცრცვების და ნურცა ვინ ჴელს მიყოფს..."[19] მეფის სამართალი არეგულირებს ომში მოწინააღმდეგის დატყვევების („კაცის დარჩენის") დროს წარმოშობილ დავასაც. ის ხელყოფისაგან იცავს გამარჯვებულის (მტრის ცხენიდან ჩამომგდების) ინტერესებს პრინციპით – „მამაცობა არ გაიყიდება".[20]

სამხედრო ნადავლის გაყოფაც სამართლებრივი ნორმებით იყო განსაზღვრული. შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი წარმატებული ბრძოლის ან თარეშის შედეგად მოპოვებულ ნადავლს მის მეზობელ ისლამურ სამყაროში არსებული წესის მიხედვით იყოფდა: მეფეს ნადავლის 1/5 ეკუთვნოდა, რასაც „ფანჯიაქი" ეწოდებოდა,[21] დანარჩენს კი ლაშქარი ინაწილებდა.[22] ბასილი ეზოსმოძღვარი გვამცნობს, რომ შამქორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა „აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ" და მოართვეს თამარ მეფეს.[23] ნადავლის განაწილების ეს წესი საუკუნეების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვითაც, ომში ნაშოვნი საქონლიდან ხელმწიფე „ფანჯიაქს" იღებდა.[24]

---

[17] *ქსძ*, I, 450-1.

[18] „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა", 525.

[19] იქვე, 526. რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ მოკლულის შიშვლად დაგდება არის აკრძალული, მის იარაღსა და სხვა სიმდიდრეს კი არავინ ბრძოლის ველზე არ დატოვებდა, როგორც ეს წინა მუხლში არის აღნერილი.

[20] იქვე, 545-6.

[21] ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ფანჯიაქი" სპარსული სიტყვაა და სწორედ ერთ მეხუთედსა ნიშნავს". ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. XII (თბილისი, 1998), 265.

[22] იგივე პრინციპი, მხოლოდ სხვადასხვა პროპორციით, მოქმედებდა ევროპაშიც: ესპანეთში, სადაც დიდი იყო მუსლიმური გავლენა, მონარქები XI საუკუნის ბოლოდან ნადავლის მეხუთედს იღებდნენ, უელსელთა კანონით კი მეფეს მესამედი ეკუთვნოდა. Nicholson, *Medieval Warfare*, 133.

[23] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 128.

[24] „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა", 546.

ინდივიდუალური მზადება

მძიმედ შეჭურვილი რაინდული მხედრობის წევრი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი საბრძოლო თვისებებითა და ინდივიდუალური მომზადებით. ეს ყოველივე საკმაო ფიზიკურ ძალასა და გაწვრთნილობას მოითხოვდა, რომელიც ხანგრძლივი მზადებით თუ მიიღწეოდა. ეს მზადება ადრეულ ასაკშივე იწყებოდა. ხშირად დამოწმებული კაროლინგური ანდაზის მიხედვით, „მხედარი ყმაწვილობიდან თუ გახდები, შემდგომ ეს შეუძლებელია";[25] როგორც ცნობილი მინეზინგერი ჰარტმან ფონ აუე ამბობდა, „ვინც თორმეტ წლამდე სწავლობდა და ცხენი არ გაუჭენებია, მისგან მხოლოდ მღვდელი თუ დადგება".[26] წარჩინებული წარმოშობის მქონე ყრმას რაინდის საჭურველთმტვირთველად ზრდიდნენ, რომლის დროსაც ის სწავლობდა ცხენის მოვლასა და ჭენებას, იარაღის მოვლა-შეკეთებასა და გამოყენებას, ნადირობას და ითვისებდა სხვა მრავალ ომში გამოსადეგ უნარს.

„ამირანდარეჯანიანი" მოგვითხრობს, რომ ბავშვს უკვე 5 წლის ასაკიდან („მისცა ხუთისა წლისასა გამზ[რ]დლად") ასწავლიდნენ სარაინდო ზნეს („ასწავლე ომი და აბჯართა კაზმა").[27] შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ვითარების მხატვრულ შელამაზებასთანაც გვაქვს საქმე, მაგრამ ადრეული ასაკიდანვე ქართველ ბავშვთა გაწაფულობას იარაღის ხმარებაში აღნიშნავს კასტელი[28] და შარდენიც.[29] ჩვენამდე მოაღწია ხის იარაღმა (ფარი, ხმალი), რომელიც ხევსური ბავშვების გასაწვრთნელად გამოიყენებოდა (სურ. 1).

ქ. ჩხატარაიშვილის მიხედვით, რომელიც ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მონაცემებს ეყრდნობა, „ძველ საქართველოში მოლაშქრის ასაკის ქვედა ზღვარი 15 წელი იყო".[30] „ამირანდარეჯანიანშიც" თხუთმეტი წლის ასაკში („რა მოიწიფა და ათხუთმეტისა წლისა შეიქნა") მიდიან თავის გამოსაცდელად და საგმირო საქმეთა ჩასადენად („თავისა ჩემისა გამოცდა... გმირთა და გოლიათთა ბრძოლა და მათი ომიო") ანუ ამ ასაკში უკვე მოხეტიალე რაინდის ცხოვრებას იწყებენ.[31] „მჯედრობითა აღზრდილნს"[32] და „მჯე-

---

[25] Bloch, *Feudal Society*, 152.

[26] იქვე, 293-4.

[27] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 116.

[28] „აქ ჩვილი ასაკიდანვე ეჩვევიან სროლას. ძალიან ხშირად გავუკვირებივარ ბავშვებს, როცა მინახავს მათ მიერ მშვილდისრით მოკლული მელა". დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ (თბილისი, 1976), 57. კასტელმა სურათზეც კი გამოსახა მეგრელი ბავშვი მშვილდით ხელში. იქვე, სურ. 156.

[29] „მშვილდ-ისრის სროლას ოთხი წლიდან ასწავლიან ბავშვებს, რომლებიც ისე კარგად ეუფლებიან მას, რომ გაფრენილ პატარა ჩიტსაც კი ახვედრებენ ისარს". *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, 119.

[30] ჩხატარაიშვილი, „ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიიდან", 97.

[31] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 748.

[32] „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი", *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III (თბილისი, 1970), 36.

სურ. 1
სანვრთნელი იარაღი: მონ-ნული ფარი საბღუჯითა და საკიდით (ექსპონატი A5-76/2), ხის ხმლები (ექსპონატები 6-76/1 და A1-83). საქართველოს ეროვ-ნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

დრობათა შინა აღზრდილს"[33] უწოდებენ თავიანთ თავს გრიგოლ ბაკურიანის ძეც და დავით აღმაშენებელიც.

„ამირანდარეჯანიანში" ჩამოთვლილია ის შვიდი უნარი, რომელსაც ყვე-ლა რაინდი უნდა ფლობდეს – მშვილდოსნობა, ასპარეზობა, შუბის (ორო-ლის) ხმარება, ცხენოსნობა, ნადირობა, ცურვა და ჭადრაკი:[34] „**მშუილდო-სანსა** ყუელასა მზეჭაბუკი სჯობდა, **მოასპარეზესა** ყუელასა იმარინდო სჯობდა, **ოროლითა** მომღერალსა ყუელასა ორდავარელი სჯობდა, **ცხ-ენოსანსა** ყუელასა დორათ დილამი სჯობდა, **მონადირესა** ყუელასა მო-სორ ნადირისძე სჯობდა, **მოჭადრაკესა** ყუელასა ამირ იამანელი სჯობდა და **მცურავსა** ყუელასა ღამარ ღაზნელი სჯობდა".[35] „ამირანდარეჯანიანის" ეს შვიდი რაინდული ზნე საოცრად ჰგავს XII საუკუნეში პეტრუს ალფონსის მიერ ჩამოთვლილ ევროპელი რაინდის შვიდ იდეალურ თვისებას, რომლები-ცაა „ცხენოსნობა, ცურვა, მშვილდოსნობა, კრივი, შევარდენით ნადირობა, ჭადრაკი და ლექსების წერა".[36] პრაქტიკულად, განსხვავება მხოლოდ ერთ უნარშია, რომელსაც ქართველი მოყმე შუბის ფლობას უთმობს,[37] ევროპელი რაინდი კი – ლექსების წერას.

---

[33] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 357.

[34] საინტერესოა, რომ ჭადრაკი ევროპაში მაღალი წრეებისა და რაინდული კულტურის დამახა-სიათებელ ნაწილად ითვლებოდა და რადგანაც ჭადრაკის სწავლა საკმაოდ ძნელი იყო, ის ასევე კარგი განათლების ინდიკატორსაც წარმოადგენდა. Richard Eales, "The Game of Chess: An Aspect of Medieval Knightly Culture," in *The Ideals and Practice of Medieval Knighthood I: Papers from the First and Second Strawberry Hill Conferences*, ed. by Christopher Harper-Bill and Ruth Harvey (Woodbridge, 1986), 12-34.

[35] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 540.

[36] Eales, "The Game of Chess: An Aspect of Medieval Knightly Culture," 23.

[37] აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ქართველი შუბის ფლობას ანიჭებდა.

არჩილის (1647-1713) მიხედვით, სრულფასოვანი ლაშქრობა და ნადირობა რომ შეძლებოდა, ქართველ რაინდს მრავალგვარი „სამამაცო ზნე" უნდა სცოდნოდა: ცხენბურთი, ჯირითი, მშვილდის სროლა („აშფაშაქი და ყაბახი"), ცხენოსნობა და ცხენის მოვლა, მონადირე ფრინველებისა და ძაღლების ცნობა, ერთგვარი მრავალჭიდის სახეობები (ხტომა, ქვის გდება, შერკინება), ისრის კეთება („ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა"), ხმლის, ლახტისა და შუბის ხმარება, ჯაჭვისა და სხვა საჭურვლის ცნობა და გაწყობა („ჯაჭვის ცნობა, სხვათ საჭურვლის... გაწყობა და მორთულობა"), აგრეთვე, ჭადრაკისა და ნარდის თამაში. მხედარს უნდა შეძლებოდა ცხენზე „უხელოდ" შეჯდომა და ბრძოლაში სწრაფად ჩამოხტომაც („**ცხენის მოხტომა უხელოდ**, ომის დროს ფიცხლად გარდმოჭრა").[38] გაცხარებულ ბრძოლაში ასეთი აკრობატული უნარები მებრძოლს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და შეიძლება სიცოცხლეც შეენარჩუნებინა მისთვის. როგორც დ. ნიკოლი აღნიშნავს, საბრძოლო ცხენზე უზანგისა და სხვისი დახმარების გარეშე ამხედრება აუცილებელი უნარი იყო მარჯვე ცხენოსნისათვის.[39]

მეაბჯრის ინსტიტუტი

საქართველოში ცხენოსანი მეომრის დამხმარეს *მეაბჯრე* და *აბჯრისმტვირთველი* ეწოდებოდა.[40] ეს დამხმარე, რომელიც მეომრის პირადი მსახურია, ჩვეულებრივ დაბალი ფენებიდან იყო გამოსული,[41] რომლისთვისაც მეაბჯრეობა სამსახურს წარმოადგენდა. ის შეიძლება ყოფილიყო კეთილშობილი წარმოშობისაც, რომლისთვისაც მეაბჯრეობა მხოლოდ კარიერის დასაწყისი იყო. საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, დიდებულთა შვილები რაინდის საჭურველთმტვირთველად იზრდებოდნენ, რის შესახებაც უძვირ-

---

[38] არჩილი, „საქართველოს ზნეობანი", *არჩილიანი*, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I (თბილისი, 1936), 4-6.

[39] David Nicolle, *Carolingian Cavalryman AD 768-987* (Oxford, 2005), 62. ცნობილი ფრანგი მარშალი ჟან ლე მენგრი (1366-1421), ბუსიკოდ (*Boucicaut*) წოდებული, სრულად შეჭურვილი, უზანგის გამოყენების გარეშე, ახტებოდა საბრძოლო ცხენს; გამძლეობის გამოსამუშავებლად სირბილით ან სიარულით გადიოდა დიდ მანძილს, ხელის კუნთებს მუშტისა და ჩაქუჩის ცემით ავითარებდა, აბჯარასხმული ყირას ჭიმავდა და ჯაჭვის პერანგჩაცმული ცეკვავდა; კედელზე მიყუდებულ გრძელ კიბეზე ადიოდა მხოლოდ ხელებით, ფეხების დახმარების გარეშე, და ჯაჭვის პერანგით შემოსილი. Nicholson, *Medieval Warfare*, 116; Keen, *Chivalry*, 112. რა თქმა უნდა, ყველა ასე არ ივარჯიშებდა, მაგრამ თავის საქმეში სრულყოფისათვის რაინდს მსგავსი სკოლა უნდა გაევლო.

[40] ჩრდილოეთ საფრანგეთის მსგავსად, სადაც უფრო აბჯრისმტვირთველი (*armiger*) იყო გავრცელებული, სამხრეთ საფრანგეთში და გერმანიაში კი ფარისმტვირთველი (*scutifer*). Matthew Bennett, "The Status of the Squire: the Northern Evidence," in *The Ideals and Practice of Medieval Knighthood I: Papers from the First and Second Strawberry Hill Conferences*, ed. by Christopher Harper-Bill and Ruth Harvey (Woodbridge, 1986), 2.

[41] იხ. Bennett, "The Status of the Squire," 1-11. იტალიაში ფარისმტვირთველი ფეოდალური იერარქიის ბოლოში მდგომი გლეხი იყო, რომელსაც თავისი საქმიანობისათვის საჭირო მიწა – *fuedum scutiferi* გააჩნდა. Linda M. Paterson, "The Occitan Squire in the Twelfth and Thirteenth Centuries," in *The Ideals and Practice of Medieval Knighthood I: Papers from the First and Second Strawberry Hill Conferences*, ed. by Christopher Harper-Bill and Ruth Harvey (Woodbridge, 1986), 134.

ფასესი ცნობა შემოგვინახა ჟამთააღმწერელმა. სამცხის ათაბაგი ლაშქრის ხელმძღვანელობას თამამად ანდობს საკუთარ შვილს (სარგის II ჯაყელს), რომელსაც უკვე გავლილი ჰქონდა მეაბჯრეობის სკოლა: „რჩეული და უმრავლესი ლაშქრისა მისისა მისცა შვილსა მისსა პირმშოსა სარგისს, რომელი ოდენ **აღზრდილ იყო აბჯრისმტჯრთველად**".[42] რაინდი თავისი მეაბჯრით ნახსენებია „ვეფხისტყაოსანშიც". სამი ხატაელი ძმა საკუთარ მეაბჯრეებთან ერთად მოგზაურობენ: „ჩვენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია".[43] მეაბჯრე ახლავს გარისის ბრძოლის დროს ლუარსაბ მეფეს, რომელიც მას შუბს აწვდის.[44]

რაინდი თავის მეაბჯრესთან და ცხენებთან ერთად ცხენოსანი ლაშქრის ძირითადი საბრძოლო ერთეული იყო.[45] მეაბჯრის გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია რაინდის მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებსა თუ ბრძოლაში. იგი უვლიდა ცხენებს, ატარებდა რაინდის საჭურველსა და ბარგს, ბრძოლის ველზე ეხმარებოდა პატრონს და იარაღს ხდიდა დამარცხებულ თუ მკვდარ მოწინააღმდეგეს, შლიდა რაინდის კარავს, ზრუნავდა წყალზე, შეშასა და საკვებზე (ფურაჟირება), იდგა საგუშაგოზე და ასრულებდა სხვა დავალებებს. ჩვენ შეგვიძლია ვცადოთ ბრძოლის ველზე მეაბჯრის მიერ გაწეული სამსახურის რეკონსტრუირება შუა საუკუნეების ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით: რაინდს ჯერ აბჯარს აცმევდნენ, შემდეგ ცხენზე ამხედრებდნენ, უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ კი რაინდს შუბს აწვდიდნენ.[46] ბრძოლაში შესულ რაინდს უკან მეაბჯრე მიყვებოდა მარქაფა ცხენით. ევროპელ რაინდს ხშირად ორი მეაბჯრე მიყვებოდა, ერთს მისი შუბი და ფარი ეჭირა, მეორეს – სათადარიგო ცხენი. მარქაფა ცხენით მიმყოლს ქართულ წყაროებში მეაბჯრისაგან განსხვავებული სახელი – „მემარქაფე მსახური" ეწოდება, რაც საქართველოს სინამდვილეშიც მებრძოლისათვის მეორე დამხმარის არსებობას (მეაბჯრე და მემარქაფე) შეიძლება ნიშნავდეს.

XVIII საუკუნის S225 ცხენის კარაბადინში აღწერილია ბრძოლაში მარქაფა ცხენის მიდევნების წესი: „ცხენის მარქაფის დაჭერა მარცხენას ჴელით სჯობია იმიტომ რომ თავად ცხენი ფაფრისკენ ბრუნებას დაეჩვევა, და ის უჯობს, და მერმე ეს არის მემარქაფე მსახური მარქაფას ტახტაზედაც გამოიბამს, და მარცხენას ჴელით სადავესაც დაიჭერს, და კიდევ მარქაფის გაზიდვასაც მარ-

---

[42] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 207. მომავალი რაინდი აბჯრისმტვირთველად იწყებდა წვრთნას ევროპელ ფეოდალთა სახლეულშიც. Richard Barber, *The Reign of Chivalry* (Woodbridge, 2005), 14.

[43] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 204.

[44] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", *საისტორიო მოამბე*, II (1925), 217.

[45] Bennett, "The Status of the Squire," 5.

[46] ეს პროცესი ჯეროვანი თანმიმდევრობითაა ასახული ქართულ წყაროში: არზრუმთან ბრძოლისას „ვითარცა იხილა მეფემან დავით და სპათა მისთა გულ-მყარად გამოსრულება მათი, **ითხოვეს საჭურველი და აღსხდეს რაშთა, ამხმელნი ჰოროლთანი**". „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 59.

ცხენას ჴელით მოჰკიდებს, და მარჯვენა ჴელი ლაშქარ ნადირობაშიდ მოცლილი ექნების, საჴლმოდ უნდა, თუ სხვა რიგად მოსაჴმარისად ყველაზედ მარჯვედ ექნების".[47] როგორც ვხედავთ, დამხმარეს სათადარიგო ცხენი უნაგირის ტახტაზე ჰყავდა მარცხნივ გამობმული ან მარცხენა ხელში ეპყრა მისი სადავე საკუთარი ცხენის სადავესთან ერთად, რათა მარჯვენა ხელი იარაღისათვის ჰქონოდა თავისუფალი.[48] ზოგადად, რაინდის დამხმარეს ბრძოლაში ჩაბმა არ მოეთხოვებოდა, მაგრამ აღწერილი მეთოდის გამოყენებით ქართველი მემარქაფე ყოველი მოულოდნელობისათვის იყო მზად.

როდესაც წყაროებში ცხენიდან ჩამოვარდნილი მებრძოლის ამხედრებაზე ან გატეხილი იარაღის შეცვლაზე ვკითხულობთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საქმე გვაქვს მის მეაბჯრესთან, რომელიც ცოტა მოშორებით, მეორე რიგიდან ადევნებს თვალყურს ბრძოლის მიმდინარეობას და შეძლებისდაგვარად ეხმარება პატრონს. ერწუხის ბრძოლაში აღმაშენებლის მიერ სამი ცხენის გამოცვლის ფაქტი („და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი"),[49] პირველ რიგში, მეფის მეაბჯრეთა კარგ გაწვრთნილობას მოწმობს. მეაბჯრეთა ზუსტსა და დროულ ქმედებებზე მეტყველებს ერთ ბრძოლაში ზაზა ციციშვილის მიერ ხუთი („შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი")[50] და სააკაძის მიერ დამსხვრეული სამი შუბიც („ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე შუბია").[51]

აღღუმი

შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც გარემომცველ სამყაროში, ლაშქრის მზადყოფნის შესამოწმებლად აღლუმებს ატარებდნენ. აღლუმზე ხდებოდა ლაშქრის დათვალიერება, დისციპლინისა და აღჭურვილობის, მებრძოლებისა და ცხენების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება: „მჴედრობათა განჩხრეკა და ყოველთა მჴედრობათა საჭურველთა და განწყობილებათა მათთა გასინჯუა".[52] „მებრძოლთ განჩხრეკა, აღხილვის" დროს ყოველი მათგანის იარაღის შემოწმების გარდა, ადგენდნენ მონაწილეთა რიცხვსა და მათ განაწილებას ჯარის სხვადასხვა სახეობებს შორის:

---

[47] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის S კოლექცია, ხელნაწერი 225, ცხენის კარაბადინი, 16. მარქაფის მარცხენა ხელით მიდევნების წესი გვხვდება Q281 ცხენის კარაბადინშიც (XVIII ს.). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის Q კოლექცია, ხელნაწერი 281, ცხენის კარაბადინი, 628. აგრეთვე იხ. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 196.

[48] განსხვავებით, ევროპელ მსახურს რაინდის ცხენი (*dextrarius*) მარჯვენა (*dexter*) ხელით მიჰყავდა. R. H. C. Davis, "The Warhorses of the Normans," in *Anglo-Norman Studies X: Proceedings of the Battle Conference 1987*. Ed. by R. Allen Brown (Woodbridge, 1988), 79.

[49] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 329.

[50] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 452.

[51] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, გიორგი ლეონიძის რედაქციით (თბილისი, 1939), 14.

[52] თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ (თბილისი, 1979), 24.

„რა ლაშქრისა უფალმან თითო-თითო განიხილოს მოლაშქრე თვისი და შეიგნას რიცხვი და ვინა კეთილ-ჭურვილი, ვინა მოისარი, ვინა ოროლოსანი და სხვით მებრძოლი ვინა".[53]

აღლუმზე არმიის დათვალიერება („აღხილვა"), რომელშიც მეფეებიც იღებდნენ მონაწილეობას, სასანური ირანიდან უნდა იყოს გავრცელებული. ატ-ტაბარიმ და ალ-დინავარიმ შემოგვინახეს ხოსრო I ანუშირვანის (531-79) მიერ ჩატარებული აღლუმის დეტალური აღწერილობა.[54] XIII საუკუნის ავტორის ფახრ-ი მუდაბირის მიხედვით, „აღლუმი არმიის საფუძველი და მშობელია, მასზეა დამყარებული მებრძოლთა ძალა და სიმტკიცე".[55] რაც უფრო საფუძვლიანი და ხშირი იყო ასეთი ინსპექცია, მით უფრო მოწესრიგებული და კარგად მომზადებული იქნებოდა არმია. ნიკიტა ხონიატე მანუელ I კომნენოსს (1143-80) აკრიტიკებს მებრძოლთა ინსპექციის უგულებელყოფისათვის, რამაც ჯარისკაცთა მომზადების ხარისხის დაქვეითება გამოიწვია.[56]

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ძლიერების ხანაში ლაშქრის მიმოხილვის ცნობებსაც ვხვდებით. ირანში გალაშქრების წინ აღლუმს აწყობს თამარ მეფე: „განახნა სპანი მისნი და იხილნა აბჯარითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენკეთილობა მათი, სიდიდე და სიმჴნე სპათა მისთა".[57] „ვეფხისტყაოსანშიც" ლაშქრობის წინ ჯარს ათვალიერებს ტარიელი: „აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა, / სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა, / ტაიჭთა მათთა სიმალე, აბჯრისა ხვარაზმულობა".[58]

ფეოდალური საქართველოს მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ მშვიდობიანობის პერიოდში ლაშქრის მზადყოფნის შენარჩუნების მეთოდი, ნადირობასთან ერთად, აღლუმზე მებრძოლების, მათი ცხენებისა და აღჭურვილობის დათვალიერება-შემოწმება იყო. „ომაინიანში" მეფე ასე არიგებს შვილს: „ვითა წესია ლაშქართაგან შეყრა და ლაშქრობა აწე რადგან მტერი აღარსაით გამოგვჩენია, უნდა რომე ყოველთა წელთა ლაშქართა სანადირონი ვაწვევდეთ და ცხენ-კაცისა აღლუმსა ვნახევდეთ".[59]

ნადირობა

შუა საუკუნეებში ნადირობა „ომის სკოლა" იყო. ნადირობის დროს მონაწილე ფიზიკურად იწრთობოდა და რეალურ ვითარებაში ცდიდა იარაღს, ამასთანავე, სწავლობდა არა მარტო იარაღის (განსაკუთრებით, მშვილდის)

---

[53] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 77, 81.

[54] Clifford E. Bosworth, "Recruitment, Muster and Review in Medieval Islamic Armies," in *War, Technology and Society in the Middle East*, ed. by V. J. Parry and M. E. Yapp (Oxford, 1975), 70.

[55] Bosworth, "Recruitment, Muster and Review in Medieval Islamic Armies," 76.

[56] *O City of Byzantium, Annals of Niketas Choniatēs*, translated by Harry J. Magoulias (Detroit, 1984), 118-9.

[57] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 104.

[58] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 404.

[59] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ (თბილისი, 1979), 120.

ხმარებას, არამედ სხვებთან ურთიერთქმედებასა და კომუნიკაციას. ნადირობა „ერთგვარი სამხედრო და სალაშქრო ვარჯიშობა იყო, როდესაც ადამიანის თვალი და ხელი მარჯვე სროლას, განსაცდელის გულადად ატანასა და მოქმედების მსწრაფ სიმკვირცხლეს ეჩვეოდა".[60] ნადირობაში, რომელიც რამდენიმე დღე ან კვირა გრძელდებოდა, მხედარი იწვრთნებოდა ცხენის მართვასა და გამძლეობის გამომუშავებაში.[61] ამ დროს მხედარი ეჩვეოდა ცხენს, ითვალისწინებდა მის თავისებურებებს, რომელთაც გადამწყვეტი (ან საბედისწერო) მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდათ ბრძოლაში.[62]

ყველგან, ევროპასა თუ შორეულ აღმოსავლეთში, ნადირობა და სამხედრო საქმე განუყრელი იყო. ომს ნადირობას ადარებს ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატის ავტორი: „ომი ნადირობას ჰგავს, სადაც კვალის აღებას, ხაფანგს, ჩასაფრებას, ალყას, შემოვლით მოძრაობასა და სხვა ხრიკებს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ვიდრე უხეშ ძალას".[63] კიდანი იმპერატორის ტაი ძუნის (926-47) თქმით, „ის ნადირობისას კი არ ერთობოდა, არამედ სამხედრო საქმეში იწვრთნებოდა".[64] მონღოლებს წესად ჰქონდათ, სამხედრო კამპანიის დაწყების წინ, დიდი ნადირობა მოეწყოთ, რომელიც ომის გენერალურ რეპეტიციად ითვლებოდა.[65] მართლაც, დიდი მასშტაბის ნადირობის მომზადება და ჩატარება შეიძლება სამხედრო კამპანიის მიმდინარეობას შევადაროთ.[66]

მასშტაბურ, სამეფო ნადირობას საქართველოში „სანადიროდ გალაშქრებასაც" კი უწოდებდნენ, რაც ზუსტად გადმოგვცემს ასეთი ღონისძიების ხასიათს.[67] ვახტანგ VI-ის განმარტებით „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი".[68] ქ. ჩხატარაიშვილის სამართლიანი დაკვირვებით, ლაშქრობა-ნადირობის მსგავსებას კიდევ უფრო ნათელყოფს ის გარემოება, რომ „ნადირობაზე გამომავალნი, ისევე როგორც ლაშქრობი-

---

[60] ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", 323.

[61] Nicholson, *Medieval Warfare*, 120.

[62] Ann Hyland, *The Horse in the Ancient World* (Westport, 2003), 6.

[63] *Maurice's Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy*, translated by George T. Dennis (Philadelphia, 1984), 65; *Стратегикон Маврикия*, издание подготовил В.В. Кучма (Санкт-Петербург, 2004), 129.

[64] Е.И. Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья* (Новосибирск, 1987), 127.

[65] А.К. Кушкумбаев, "Облавная тактика в военном искусстве тюрко-монгольских армий XIII-XV вв.," *Золотоордынская цивилизация*, 2 (Казань, 2009), 52.

[66] აზიის სტეპებში ნადირობა უზარმაზარ ფართობზე მიმდინარეობდა ხოლმე. მაგალითად, მონღოლები ზამთრის დიდი ნადირობისას, რომელიც სამი თვე გრძელდებოდა, 130 კილომეტრის სიგანის ფრონტზე იშლებოდნენ. George Lane, *Daily Life in the Mongol Empire* (Indianapolis, 2006), 107.

[67] ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 158-9. ფეოდალური საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში ნადირობის როლი და დანიშნულება ზედმიწევნით აქვს განხილული ქ. ჩხატარაიშვილს. იქვე, 151-68.

[68] ციტირებულია ქ. ჩხატარაიშვილის მიხედვით: ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 156.

სას, სადროშოებად ე.ი. სამხედრო ოლქების მიხედვით შედგენილ სამხედრო შენაერთებად გამოდიან" და სამხედრო უწყებას ექვემდებარებიან.[69]

საფიქრებელია, რომ საქართველოში ნადირობის, როგორც ომისთვის მოსამზადებელი ინსტიტუტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა XIII საუკუნის შემდეგ, როდესაც მშვილდი შემოვიდა მხედართა საბრძოლო შეიარაღებაში, რადგანაც მშვილდი მონადირის უპირველესი იარაღი იყო და ნადირ-ფრინველს ძირითადად სწორედ ისრით ხოცავდნენ.

ასპარეზობა

შუა საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა სახის სამხედრო ვარჯიშს თუ თამაშობას მიმართავდნენ. ყველა მათგანის საერთო სახელწოდება იყო *ასპარეზობა*.[70] თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, *მოასპარეზეობა* ნიშნავს ცხენოსანთა წვრთნასა და ვარჯიშს („მხედართ წურთილობასა ყოფა, გინა ვარჯიში").[71] მას, ვინც თავს გამოიჩენდა ვარჯიშის დროს, ჩვეულებრივ, გულუხვად ასაჩუქრებდნენ ხოლმე. მაგალითისათვის, კასტელის გადმოცემით, „მის სამსახურში მყოფი ცხენოსანი ჯარის მეომრებს [საქართველოს] მეფე აჯირითებინებს ცხენებს, რისთვისაც მათ თითო სამეფო კარავს უბოძებს ხოლმე".[72] სულხან-საბა ორბელიანი ჩამოთვლის რამდენიმე თამაშობას, რომლებიც ასპარეზობის ნაწილს შეადგენდნენ: „ასპარეზობა არს თამაშობა მჭედართამიერი, ძელთა ისრისა სროლა, ბურთთა ყვანჭითა ცემა, აგრევე საგანთა სროლა და ეგევითარი".[73] აქ „ძელთა ისრისა სროლა" ყაბახია, „ბურთთა ყვანჭითა ცემა" – ჩოგანბურთი (ცხენბურთი), „საგანთა სროლა" კი – *აშფაშაქი*. აშფაშაქი ჭენებისას ისრის მიზანში სროლაა.[74] სავარაუდოა, რომ ყაბახისაგან, რომელიც ასევე ჭენებისას ისრის სროლაა, აშფაშაქი განსხვავდებოდა სამიზნის გაცილებით დაბლა მოთავსებით.

საქართველოში განსაკუთრებული პოპულარულობა ჰქონდა მოხვეჭილი ცხენბურთსა და ყაბახს. იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი, რომელიც საქართველოში ყოფნისას ორივე ამ შეჯიბრის მოწმე გახდა, ქართველთა მაღალ საბრძოლო თვისებებს სწორედ თამაშებში მონაწილეობით ხსნიდა:

---

[69] იქვე, 156-7.

[70] სიტყვა „ასპარეზი" სპარსულიდან არის შემოსული, სადაც „ასბრიზ" ცხენის სარბენს ნიშნავდა. შემდგომში ამ ცნების შინაარსი გაფართოვდა და ყველანაირი შეჯიბრის ადგილს აღნიშნავდა. გულჩინა აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში* (თბილისი, 1992), 109.

[71] თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 86.

[72] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 101.

[73] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. II (თბილისი, 1993), 29.

[74] „*აშფაშაქი* – რბევით საგნის ისრის სროლა; რბევით ისრის სრევა საგანთა". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 82. *საგანი* აქ სამიზნეა: „ისართა ნიშანსა საგანი ჰქვიან. საგანი ნიშანი რომ დასო, ისარი და ანუ თოფი ესროლო, იგი არს". თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 109. შდრ. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 22.

„ქართველები კი მეომრობით არიან განთქმული... ვინაიდან ქართველების ლაშქარ-ნადირობის გარდა, რაშიაც ისინი განუწყვეტლივ იწრთობიან, მე ვნახე მათი განსაკუთრებული თამაშობანი".[75] საქართველოში გავრცელებული თამაშების შესახებ ამ დაკვირვებას კასტელიც ეთანხმება: „ქართველები მისდევენ თამაშობას, რომელიც სიმკვირცხლესა და სიძლიერეს მოითხოვს".[76]

ცხენბურთი

შუა საუკუნეების აღმოსავლეთში ცხენბურთი უაღრესად პოპულარული და გავრცელებული თამაში იყო. ცხენბურთი, იგივე ჩოგანბურთი ანუ პოლო[77] ბიზანტიაში V საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელდა ირანიდან. ის წარჩინებულთა თამაში იყო, რომელშიც ხშირად იმპერატორებიც კი მონაწილეობდნენ.[78] არაბებმაც ირანელებისაგან ისწავლეს პოლოს თამაში, რომლის თავდაპირველი სამშობლო ინდოეთი იყო.[79] XIII საუკუნეში ცხენბურთი გავრცელდა ჯვაროსნულ სახელმწიფოებში და შემდეგ – საფრანგეთშიც.[80] ამ ინფორმაციის ფონზე, მართალი უნდა იყოს ვ. ნოზაძე, რომელიც თვლიდა, რომ V-VI საუკუნეებში საქართველოში პოლო ირანიდან შემოვიდა.[81] ასე რომ, ჩოგანბურთს ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა საქართველოში, სადაც ის ჯერ კიდევ სასანური ირანიდან იყო გავრცელებული.[82]

პოლოს თამაშისას მხედარი და ცხენი სწავლობდა ურთიერთგაგებასა და გუნდურ ქმედებას, ცხენი იწვრთნებოდა მანევრში, სისწრაფესა და მიხვევა-მოხვევაში.[83] IX საუკუნის არაბი მეთაური და თეორეტიკოსი იბნ ახი ჰიზამი ურჩევდა მხედარს რეგულარულად ეთამაშა პოლო, რომ ხმლის მარჯვედ მოქნევისათვის საჭირო ჩვევა შეეძინა.[84] XIV საუკუნის მამლუქური სამხედრო ტრაქტატი თვლის, რომ პოლოს თამაშით ომისათვის საფუძვლიანად ემზადებიან, რადგანაც თამაშისას ხშირია შეტევა, თავის არიდება, ტრიალი, დაცვა, შემოვლა, დაპირისპირება, ცხენის ჭენება და წვრთნა.[85] ცხენბურთი საკმაოდ

---

[75] დიონიჯო კარლი, „თბილისის აღწერა", იტალიური ტექსტი თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, *მსკი*, 29 (1951), 177.

[76] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 88.

[77] ირანში ცნობილი იყო როგორც *Chavgan*, ბიზანტიაში – *tzykanion*. Nicolle, *Knight of Outremer*, 17.

[78] Barbara Schrodt, "Sports of the Byzantine Empire," *Journal of Sport History*, vol. 8, no. 3 (1981), 52.

[79] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 67; მისივე, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 252.

[80] Schrodt, "Sports of the Byzantine Empire," 53.

[81] ვიკტორ ნოზაძე, *ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება* (სანტიაგო დე ჩილე, 1958), 299.

[82] ალ. რობაქიძე საქართველოში ტრადიციულად არსებული ჩოგანბურთის, სულ ცოტა, ორ სახესხვაობას გამოყოფს. ალ. რობაქიძე, *ცხენბურთი* (თბილისი, 1952), 15, 26.

[83] Ann Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades* (London, 1994), 121.

[84] Shihab Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 168.

[85] *Munyatu'l-Ghuzāt: A 14th-Century Mamluk-Kipchak Military Treatise*, text, translation and index by Kurtuluş Öztopçu (Cambridge, MA, 1989), 77.

რთული და სახიფათო თამაში იყო. მოთამაშენი ცხენიდან ხშირად ვარდებოდნენ, რაც ფატალური შედეგითაც კი მთავრდებოდა: ტრაპიზონის იმპერატორი იოანე I ცხენბურთის თამაშისას ჩამოვარდა ცხენიდან, დაიმტვრა და მოკვდა.[86]

ცხენბურთი ყოველთვის იყო პოპულარული შუა საუკუნეების საქართველოში. XII საუკუნეში შამქორის ბრძოლის წინ ქართველებმა ცხენბურთში დაამარცხეს აზერბაიჯანის ათაბაგის ძმა და მეტოქე ამირ-მირმანი და მისი ამალა.[87] ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ქართველებს ჩვევად ჰქონდათ აღდგომის, სხვა დიდი დღესასწაულებისა და ქორწილის დროს ცხენბურთის თამაში.[88]

XVII საუკუნის ევროპელები ერთხმად აღნიშნავენ ცხენბურთში ქართველთა ოსტატობას. იტალიელი მისიონერის დიონიჯო კარლის თქმით, „პირდაპირ განმაცვიფრებელია მათ მიერ ცხენის ოსტატური, ერთმანეთზე დაუჯახებლად მართვა, მიწიდან ბურთის აღება".[89] კასტელის მოწმობით, ქუთაისში ცხენბურთის თამაშში „მონაწილეობდა მეფე, ბევრი მაღალი თანამდებობის კაცთან ერთად"[90] (სურ. 2). არქანჯელო ლამბერტი დაწვრილებით მოგვითხრობს სამეგრელოში ჩოგანბურთს თამაშზე და ასე აფასებს მას: „ეს თამაშობა მეტად სასიამოვნო ვარჯიშობაა და დიდად გასართობი".[91]

ყაბახი

ყაბახის ტიპის ვარჯიში ქართველებს მამლუქებისაგან უნდა გადმოეღოთ. ყაბახი საგანგებოდ შერჩეულ მოედანზე იმართებოდა და ისრის სროლაში ვარჯიში იყო. ამ დროს მაღალ ძელზე დამაგრებულ სამიზნეს ჭენებით უახლოვდებოდნენ და ისარს ესროდნენ. სამიზნეს *qabaq* ეწოდებოდა, რაც სიტყვა-სიტყვით გოგრას ნიშნავს.[92] ეს სახელწოდება ქართულშიცაა შემოსული: სამხედრო თამაშობას, რომლის დროსაც მაღალ სამიზნეს ესვრიან, ქართულადაც ყაბახი ქვია. ყაბახი საყოველთაოდ აღიარებული ვარჯიში იყო და მონაწილისაგან მოითხოვდა დიდ ოსტატობას ცხენოსნობასა და მშვილდოსნობაში.[93] ყაბახის დროს ისარი უპირო უნდა ყოფილიყო ხიფათის თავიდან ასაცილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაულს როგორც უბედურ შემთხვევას აღარ განიხილავდნენ და სისხლის სრულ საზღაურს ახდევინებდნენ: „ყაბახის მს-

---

[86] მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა", ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, *მსკი*, 33 (1960), 17.

[87] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 66-7.

[88] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 29-30.

[89] დიონიჯო კარლი, „თბილისის აღწერა", 178-9.

[90] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 147, სურ. 327, 329.

[91] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 89-90.

[92] Hassanein Rabie, "The Training of the Mamluk Faris," in *War, Technology and Society in the Middle East*, ed. by V. J. Parry and M. E. Yapp (Oxford, 1975), 160.

[93] W. F. Paterson, "The Archers of Islam," *Journal of the Economic and Social History of the Orient*, vol. IX, part I-II (1966), 84.



სურ. 2
ცხენბურთის თამაში ქუთაისში. კასტელის მიხედვით.

როლელს კაცს ისარზე პირი არ უნდა ესხას, სისხლი ამიტომ მიეცემის".[94] დიონიჯო კარლიც, რომელიც თბილისში გამართულ ყაბახს ესწრებოდა, მოწმობს, რომ მონაწილეთა ისრებს რკინის წვეტი არ ჰქონდათ.[95]

დიდი დღესასწაულებისა და ზეიმის დროს ქართველები ყოველთვის მართავდნენ ყაბახს.[96] არქანჯელო ლამბერტის აღწერით, „მხედრები ერთი მეორეზე მიაჭენებენ ცხენებს ყაბახისაკენ. როცა მხედარი ყაბახს მიუახლოვდება, მოჰმართავს მშვილდ-ისარს და გაჭენებულ ცხენიდან ესვრის ვერცხლის თასს, რომელიც ყაბახის წვერზეა. ვინც მოახვედრებს თასს და ჩამოაგდებს ძირს, იგი გახდება მისი პატრონი და ქებას დაიმსახურებს ყველა დამსწრეთა მხრით".[97] კასტელი აღნიშნავს ქუთაისურ ყაბახში მონაწილე ცხენოსნების „იშვიათ სიმარჯვეს", რომლებიც „ნიშანში ოსტატურად ესვრიან ისარს"[98] (სურ. 3).

ჰაინდული ტუხნიჰი საქართველოში

შუა საუკუნეების ევროპელი რაინდი თავის ინდივიდუალურ ოსტატობას ტურნირის დროს ხვეწდა. ორთაბრძოლების გარდა, ტურნირებზე ტარდებოდა ჯგუფური ბრძოლებიც ე.წ. *mêlée*, რომლის დროსაც ის ურთიერთქმედებასა და ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობაში ბრძოლას სწავლობდა. საქართველოში ტურნირების არსებობის თაობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ერთის მიხედვით საქართველოში ტურნირები ტარდებოდა და „ასპარეზობა რაინდულ შეჯიბრებათა, ევროპული რაინდობის ისტორიაში ცნობილი „ტურნირების" ძველი ქართული ბადალია".[99] ს. მარგიშვილის აზრით კი, რაინდული ტურნირები დასავლეთ ევროპაში იყო გავრცელებული, აღმოსავლეთში და, მათ შორის საქართველოშიც, უფრო სპორტული თამაშობები (ცხენბურთი) იყო პოპულარული.[100]

მართალია, ტურნირებს საქართველოში არ მიუღიათ ისეთი ფორმა და ხასიათი, როგორსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში,[101] მაგრამ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ტურნირების სრული უგულებელყოფა შეცდომა იქნებოდა.[102]

---

[94] „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა", 505.

[95] დიონიჯო კარლი, „თბილისის აღწერა", 178.

[96] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 29-30.

[97] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 90.

[98] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 147, სურ. 326, 328.

[99] აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში*, 26.

[100] მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 247-8.

[101] რ. ბარბერი აღნიშნავს, რომ ტურნირი რაინდობის მთავარი რიტუალია. Barber, *The Knight and Chivalry*, 155.

[102] საინტერესოა, რომ შ. გერსტელი XIII საუკუნის ბერძნულ ფრესკებზე ერთმანეთის პირისპირ დახატულ წმინდა მხედრებს ტურნირის მონაწილეებად აღიქვამს, რასაც ფრანკულ გავლენას მიაწერს. Sharon E. J. Gerstel, "Art and Identity in the Medieval Morea," in *The Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World*, ed. by Angeliki E. Laiou and Roy Parviz Mottahedeh (Washington, 2001), 275-6. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა წყვილი, თითქოსდა ერთმანეთთან დაპირი-

სურ. 3
ყაბახი ქუთაისში. კასტელის მიხედვით.

XII საუკუნიდან დაწყებული, ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ ძეგლებში ვხვდებით ევროპული ტურნირის ტიპის შეჯიბრის აღწერას, რომლის დროსაც წინასწარ ხდებოდა წესების დათქმა და შესაბმელი იარაღის შერჩევა.[103] „ომაინიანში" დეტალურადაა მოცემული საასპარეზო მოედნის მოწყობა დამსწრეთათვის განკუთვნილი ადგილებით: „თვალუწდომნი მოედნისა ნაპირნი და გარეშემო სრულად სტავრისა ნახლისა ჩათმისა და ოქროდ ქსოვილისა ფერად-ფერადისა ატლასის ფარდაგითა მოახვივნეს და ქოსის ცემისაგან, ბუკთა ყვირილისაგან, ყვიროსტვირთა ხმისაგან და ზროხა-კუდთა კვნესისაგან აღარა სხვა რამეღა ისმოდა. მოედნის თავსა მაღალთა კოშკთა ალი-აქბარ მეფე დაჯდა, თავადნი და დიდებულნი გვერცა დაისხნა. ეგრეთვე მეორეს მხარს თვით ბურნე-მელიქ ხელმწიფე და თავადთა და დიდებულთა ცოლნი ვარაყითა დახატულთა კოშკთა ზედა ჭვრეტად გავიდეს. მოედნისა გარეშემო მჭვრეტელთა სიმრავლისაგან ბიჯი აღარ წაიდგმებოდა. ამაზედან გამოვიდა გმირი მოედნისა ერთსა მხარსა თავის დიდითა ლაშქრითა, დროშა-ალმებითა და ყოვლითა მოკაზმულობითა".[104] გვაქვს მაგალითი, რომელიც მეტყველებს საქართველოში არსებულ ევროპული *jousting* მსგავს შეჯიბრზე, რომლის დროსაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს წაგრძელებული შუბით უტევენ და რომლის მიზანი მეტოქეზე შუბის შემსხვრევა ან მისი ცხენიდან ჩამოგდებაა (როგორც წესი, სამჯერ): „გამოვიდეს ამირ იამანელი და მოსორ ნადირისძე შეკაზმულნი, შეუზახნეს ერთმანერთსა და შეიბნეს... სამჯერ მან იგი ჩამოაგდო და სამჯერ – მან იგი".[105] სამ-სამჯერ ცხენიდან ჩამოგდებას ზემოთ აღწერილი შუბით რაინდული შერკინებისას თუ ექნებოდა ადგილი. ამასთანავე, „ამირანდარეჯანიანში" აღწერილია არა მხოლოდ ორთაბრძოლები, არამედ უფრო მრავალრიცხოვანი შეტაკებებიც, როდესაც ერთმანეთს ექვს-ექვსი ჭაბუკი ერკინება.[106] ევროპული ტურნირის მსგავსად ქართულ ასპარეზობაში დამარცხებულიც გამოსასყიდს იხდიდა: ორთაბრძოლაში დამარცხებულს „ანაწერი ექნა და თავისნი ლაშქარნი და საქონელნი სულ ომაინს მიართვა".[107] ასპარეზობაში მონაწილეებს რაინდული წესები უნდა დაეცვათ. ერთ ბრწყინვალე ჭაბუკს ავტორი იმიტომ კიცხავს, რომ მეტოქეს ხმლის გამოცვლა არ აცალა: „ესე ავი ქნა სეფედავლე,

---

სპირებული ნმინდა მხედრების ამსახველი ქართული ფრესკები საქართველოში უკვე XII საუკუნეში არსებული სატურნირო ტრადიციის ანარეკლიც იყო. განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი ერთმანეთისკენ მქროლავი წმინდა მხედრის გამოსახვა სვანური მხატვრობისათვის: ასეთია მაცხვარიშის, ჟამუშის, ჟიბიანის, ლაშთხვერისა და იფრარის ფრესკები. Т.Б. Вирсаладзе, "Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши," *Грузинская средневековая монументальная живопись* (Тбилиси, 2007), 212.

[103] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 65, 67, 144-5, 167, 470, 472-3.

[104] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 104.

[105] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 543-4.

[106] იქვე, 240-1, 255-6.

[107] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 106.

რომე, რა დარეჯანისძესა ჴრმალი გაუტყდა, მან ჴრმალი არა დააგდო და არცა სხუისა ჴრმლისა აღება აცალა, ცხენი გაიყუანა და შემოუტივა კულავცა ფიცხლად".[108] რაინდული კეთილშობილების გამოხატულება და მისაბაძი საქციელია, თუკი მოასპარეზე უცხენო მეტოქეს არ შეუტევს: „რა სალიმის ცხენი დასაცემლად წავიდა, იგი პირველ გარდახდა. მეფის შვილმან დაქვეითებულს სპასალარზე ჟამი აღარ შეამოკლა, არც შეუტია და არცა ერჩოდა... მეფის შვილისაგან ესე, დიაღ, მოიწონეს, რომე ცხენ-მოკლულ სპასალარსა აღარ შეუტივა, ვირემ ცხენს არ შეჯდა".[109] ორი აზრი არ უნდა არსებობდეს, რომ მიუხედავად ჩვეული ლიტერატურული გაზვიადებისა, ამ ნაწარმოებებში იმდროინდელი ცხოვრებისეული რეალიებია გადმოცემული.

რატომ ვერ მიიღო საქართველოში ტურნირებმა კლასიკური ევროპული სახე? თავად ევროპაში ტურნირების ისტორიაში ორი ეტაპი შეიძლება გამოიყოს: თავდაპირველად, ტურნირი თავის დანიშნულებას ასრულებდა და კარგი საშუალება იყო ახალგაზრდათა გამოსაცდელად და გამოსაბრძმედად. უილიამ ნიუბერის მოწმობით, 1194 წელს რიჩარდ I ლომგულმა მამამისის, ჰენრი II-ის მიერ აკრძალული ტურნირები კვლავ დაუშვა ინგლისში, რადგანაც ტურნირებში მონაწილეობის შედეგად ფრანგი რაინდები უფრო დახელოვნებულნი იყვნენ ბრძოლაში და არ უნდოდა ინგლისელები მათ ჩამორჩენოდა.[110] XIII საუკუნიდან ევროპული ტურნირი კარგავს თავის თავდაპირველ დანიშნულებას, რომელიც სამხედრო წვრთნაში გამოიხატებოდა და ნელ-ნელა გასართობი სპორტის სახეს იღებს.[111] გვიან შუასაუკუნეებში ტურნირმა საბოლოოდ კარგავს თავისი სამხედრო ფუნქციას, აღარ ახდენს ბრძოლის სიმულაციას და სპორტული ტიპის სანახაობრივ ღონისძიებად იქცევა.[112] აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავდაპირველი სახით ტურნირი საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ XIII საუკუნიდან მოყოლებული, ქართველ თავადაზნაურობას პომპეზური, გასართობი ტიპის ტურნირისათვის, რომელიც ნაკლებ როლს თამაშობდა მეომრის აღზრდის საქმეში, აღარ ეცალა. XV საუკუნეში, როდესაც ტურნირი, როგორც სანახაობა ევროპაში აპოგეას აღწევს, ქართველ რაინდსა და ქართულ სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლა უხდებოდა. კიდევ ერთი ფაქტორი იქნებოდა ქართული ბრძოლის წესის ტრანსფორმაცია, როდესაც XIII საუკუნის შუახანებიდან ნომადური ზეგავლენით მშვილდი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველი რაინდის აღჭურვილობაში და მშვილდოსნობაში შეჯი-

---

[108] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 479.

[109] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 52.

[110] William of Newburgh, "Historia Rerum Anglicarum", in *Chronicles of the Reigns of Stephen, Henry II, and Richard I*, ed. Richard Howlett, vol. 2 (London, 1885), 422-3.

[111] Gillmor, "European Cavalry," 204.

[112] Stephen H. Hardy, "The Medieval Tournament: A Functional Sport of the Upper Class," *Journal of Sport History*, 1 (1974), 98-9.

ბრი და აღმოსავლური ასპარეზობები (ყაბახი) პოპულარული ხდება. თუმცა, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიც, მაგალითად, საკუთარი ღირსება იყო, ქართველები კვლავ „ხმლის სამსჯავროს" მიმართავდნენ და ერთმანეთს რაინდულ ორთაბრძოლაში იწვევდნენ. უაღრესად საინტერესოა, რომ ასეთ სასამართლო ორთაბრძოლებში შენარჩუნებულია ასპარეზობისას შუბით ბრძოლის ძველი წესი, როგორც ამას მოწმობს არქანჯელო ლამბერტი თუ ფარსადან გორგიჯანიძე: „როცა ნიშანს მისცემენ, მებრძოლნი ერთი მეორეს წინააღმდეგ გაეშურებიან შუბებით";[113] „უწინ ცხენ ჭენებით სიაოშ მოუხდა და შუბი შემოსცა და ზედ შეამტვრია, ჯაჭვი გაუტეხა და გვერდში გასჩარა, შუბის პირი შიგ შეარჩინა. ამას უკან ბაინდურ მიუხდა და შუბი შესცა და ბარკალშიგ შეამტვრია და გასცილდა".[114] ამ ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ სასამართლო ორთაბრძოლებმა XVII საუკუნემდე მოიტანეს ძველი ქართული ასპარეზობის ელემენტები, რომლებიც ძალიან ჰგავს ევროპულ ტურნირს.

ხმლის სამართალი

როგორც აღინიშნა, საქართველოში ტურნირების მოწყობას ისეთი დახვეწილი და პომპეზური სახე არ მიუღია, როგორიც მას ჰქონდა ევროპაში, თუმცა სატურნირო ორთაბრძოლამ გამოხატულება ჰპოვა უფრო პრაქტიკული დანიშნულების შეჯიბრში, როგორიც იყო *ხმლის სამართალი*. ხმლის სამართლის ანუ სასამართლო ორთაბრძოლის დროს მოდავე მხარეები ერთმანეთს საასპარეზო მინდორზე ხვდებოდნენ და იარაღის ძალით არკვევდნენ მტყუან-მართალს.

ბრძოლის წინ ინდივიდუალური ორთაბრძოლა უძველესი დროიდანაა დამახასიათებელი სამხედრო არისტოკრატიისათვის,[115] მაგრამ დუელის, ორთაბრძოლის გამოყენება სასამართლო დავების გადასაწყვეტად სრულიად სხვა რანგის მოვლენაა. ეს პრაქტიკა მეტწილად ფეოდალურ ევროპაში იყო დამკვიდრებული და გერმანელი ტომების ტრადიციებს უნდა უკავშირდებოდეს. ხმლის სამსჯავრო არ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში.[116] ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც სამართალი განუყოფელია ძალისაგან, სამოქალაქო პროცესებში გვხვდება ბრძოლის ისეთი ელემენტი, როგორიცაა ორთაბრძოლა; ბრძოლის ველისა და სასამართლოს მსგავსება ჩანს სასამართლო ორთაბრძოლაში.[117]

---

[113] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 75.

[114] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 264.

[115] Matthew Strickland, "Provoking or Avoiding Battle? Challenge, Judicial Duel and Single Combat in Eleventh- and Twelfth-Century Warfare," in *Armies, Chivalry and Warfare in Medieval Britain and France: Proceedings of the 1995 Harlaxton Symposium*, ed. by M. Strickland (Stamford, 1998), 329.

[116] George Neilson, *Trial by Combat* (New York, 1891), 2-3.

[117] F. M. Powicke, *The Loss of Normandy (1189-1204): Studies in the History of the Angevin Empire* (Manchester, 1913), 357.

ფეოდალური საქართველო, რომელიც მრავალი ნიშნით ჰგავს ევროპას, გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ამ საკითხშიც. ხმლის სამსჯავროთი დავის გადაწყვეტა აქ ჩვეულებრივ მოვლენად არის ქცეული,[118] როგორც ამას უცხოელი მოგზაურები აღნიშნავენ. „ასეთი ჩვეულებაა საქართველოში: როცა მართლმსაჯულება ვერ ახერხებს დიდებულთა შორის დავის ვერც გადაწყვეტას და ვერც შეთანხმებას, მათ ერთმანეთთან შებრძოლების ნება ეძლევათ. მოწინააღმდეგენი აღსარებას იტყვიან, ეზიარებიან და ამგვარად სასიკვდილოდ შეებმებიან ერთმანეთს. ამას უწოდებენ „ღვთის სამსჯავროზე გასვლას". ქართველები ირწმუნებიან, რომ ეს გზა – დამნაშავის დასჯის ღვთისადმი მინდობა – ძალიან კარგი და მიუდგომელია, მაშინ როცა ადამიანურ მართლმსაჯულებას არ ძალუძს გაარკვიოს დამნაშავეა თუ არა ბრალდებული, ან ტყუილად დებს თუ არა მას ბრალმდებელი ბრალს".[119] გასაკვირი არ არის, რომ შარდენი ამ მოვლენას, როგორც ანაქრონიზმს ისე აფასებს. ევროპაში ბოლო სასამართლო ორთაბრძოლები XVI საუკუნეში ჩატარდა და მაშინაც იშვიათი სანახავი იყო.[120]

სამეგრელოში გავრცელებულ სასამართლო ორთაბრძოლაზე გვიამბობს XVII საუკუნის მოგზაური არქანჯელო ლამბერტი: დავის გადასაწყვეტად „მთავარი ბრძანებს, რომ მათი საქმე ასპარეზზე ბრძოლამ გადაწყვიტოსო. მაშინ დანიშნავენ დროს და ადგილს ბრძოლისას, ამოირჩევენ მოწმეებს და დანიშნულ დღეს გამოცხადდებიან მებრძოლნი ცხენებზე შემჯდარნი, აბჯარში ჩასმულნი და შეიარაღებულნი ფარით, შუბით და ხმლით. მებრძოლთ მოჰყვება მრავალი მათი მეგობარი აგრეთვე შეიარაღებულნი, მებრძოლნი რომ წარმოდგებიან ასპარეზზე, მათ ახლავთ მათი მოწმეები. როცა ნიშანს მისცემენ, მებრძოლნი ერთი მეორეს წინააღმდეგ გაეშურებიან შუბებით. ვინც პირველი დაიჭრება, იმას აღიარებენ დამნაშავედ და მეორე გამართლებული იქნება. თუ კი შემთხვევით ორივე დაიჭრა, ორთავეს იცნობენ დამნაშავედ და სასტიკად დასჯიან".[121]

რაინდული სამართალის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „შემწამებელს და შეწამებულს ალოცვიდიან ორმოცი დღე, შემდგომად შესჭურვიდიან ყოვლითა საჭურველითა და შესხნიან ცხენთა ზედა... ჩაგზავნიდიან ასპარეზსა შინა, და იწყიან ბრძოლად... და რომელი ჩამოვარდის, განმტყუნდისცა".[122]

ასეთი სამსჯავროს არსებობა სამართლის წიგნებშიც გვხვდება, რომლებიც მისი გამართვის წესებს არეგულირებენ. გიორგი V ბრწყინვალეს დროს,

---

[118] მართალია, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები ძირითადად XVII საუკუნეს ეკუთვნის, მაგრამ ეჭვი არ არის, მსგავს პრაქტიკას ადრეც ექნებოდა ადგილი, როგორც ამას გიორგი ბრწყინვალის სამართალიც ადასტურებს.

[119] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, 317.

[120] Neilson, *Trial by Combat*, 17.

[121] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 75.

[122] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 19.

თუ კაცი სამჯერ გამოიწვევდა მეტოქეს და ის კი ბრძოლაში არ გაყვებოდა, გამომწვევს შეეძლო ნებისმიერ დროს თავს დასხმოდა მას, „ამისთჳს რომე სამართალს სამჯერ აწვია და არ გამოჰყვა“.[123] ვახტანგ VI-ის სამართალი ამ პროცედურას „ხმალში გატანებას“ უწოდებს და მის წესს განსაზღვრავს: მეტოქენი ჯერ ლოცულობენ („ორმოცსა და ან ნაკლებს დღემდინ“), შემდეგ იჭურვებიან და „ერთი თავს მოედნისას და ერთი ბოლოს დადგნენ“. სეკუნდანტებად თითო უიარაღო მემათრახე მიყვებათ („ფარისა და მათრაჴის მეტი იმათ არა იქონიონ რა“), რომლებმაც არ უნდა დაუშვან დამარცხებულის დაღუპვა: „რომელიც გარდვარდების და ან გაიქცევის, ის გამტყუნებული იქნების. იარაღი გარდვარდნილისა გარდამგდებისა არის, და ცხენი – მემათრაჴისა. ვინ იცის, ორნივ გარდავარდენ, უნდა დააცალონ, ქვეითათ ერთმანერთზე მიუშვან, და რომელიც წააქცევს, სამართალი იმას დარჩება“.[124]

ფარსადან გორგიჯანიძე დაწვრილებით აღწერს XVII საუკუნეში მეფის კარზე მომხდარ სასამართლო ორთაბრძოლას: როსტომ მეფის ნაშვილები ლუარსაბ ბატონიშვილის ნადირობის დროს დაღუპვა სიაოშ ბარათაშვილმა ბაინდურ თუმანიშვილს დააბრალა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მეფის ბრძანებით ორივე სამკვდრო-სასიცოცხლოდ „სამართალსზედ შეაბეს“. ბრძოლის წინ ორივემ ცოდვები მოინანია, ეზიარა, ანდერძი დაწერა, ვალები გაისტუმრა და მოწყალება დაარიგა. „ორნივ საომრის იარაღით შეიმოსნეს და ცხენს შესხდენ და გაღმა გავიდნენ და მეფემ ექვსი იასაული უჩინა საომრის ალაგზედან... უწინ ცხენ ჭენებით სიაოშ მოუხდა და შუბი შემოსცა და ზედ შეამტვრია, ჯაჭვი გაუტეხა და გვერდში გასჩარა, შუბის პირი შიგ შეარჩინა. ამას უკან ბაინდურ მიუხდა და შუბი შესცა და ბარკალშიგ შეამტვრია და გასცილდა“. შემდეგ ბრძოლა ლახტითა და ხმლით გაგრძელდა. ბაინდურმა გაიმარჯვა, მაგრამ იასაულებმა მეტოქის მოკვლა არ დაანებეს. ბაინდურ თუმანიშვილმა თავიც იმართლა და დამარცხებულის საჭურველსაც დაეუფლა: „ჯაჭვი და იარაღი მეფემ ბაინდურს მისცა“.[125] 1685 წელს გიორგი XI ადრე შერისხულ და ხმლის სამსჯავროთი გამართლებულ შანშე მართიროზიშვილს, რომელსაც მოწინააღმდეგე ბრძოლაში არ გაყვა, სოფელს უბრუნებს და თანამდებობასაც უბოძებს.[126] სასამართლო ორთაბრძოლის შესახებ უფრო გვიანდელი მოწმობაც გვაქვს: 1739 წელს თეიმურაზ II-მ დავით ენისელთ მოურავისა და სახლთუხუცეს აშრაპის დავის განხილვისას დაადგინა, რომ „...აშრაპმან თუ ფიცს ხმალი ირჩიოს და ძველთაგანაც დადებული არის, ერთი თავისი ერდგული კაცი აშრაპ და ერთი ენისელთ მოურავ-

---

[123] „სამართალი მეფის გიორგისა“, 414.

[124] „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“, 482. აღსანიშნავია, რომ ორივე მხედრის ერთდროულად ჩამოვარდნა ცხენიდან მხოლოდ ნაგრძელებული შუბით შეჯახებისას ხდება, როდესაც ორივე მეტოქე შუბს ერთდროულად აძგერებს ერთმანეთს.

[125] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, 264-5.

[126] *ქსძ*, II, 227-9.

მან უნდა იშოვნოს და ხმალში გა[ა]ტანონ. ამაში რომელიც ჩამოვარდეს, ის გამტყუნდეს". მართლაც, „აშრაპმან ხმალი ირჩივა და ორთავე თავისი ერთგული კაცები გამა[ი]რჩივეს, საომრად შეკაზმეს, მა[ე]მზადე[ნ]". საბოლოოდ, ალავერდელი ეპისკოპოსის ჩარევით ეს ორთაბრძოლა აღარ შედგა.[127]

დასავლეთ ევროპაში სასამართლო ორთაბრძოლას ეკლესიაც იყენებდა თავისი უფლებისა და საკუთრების დასაცავად. ამისათვის ის საგანგებოდ ქირაობდა კიდეც გამოცდილ მებრძოლებს.[128] ხმლის სამართალს მიმართავდა ქართული ეკლესიაც. ხონის საყდრის გამოსავლის დავთრის XVII საუკუნის მინაწერში ვკითხულობთ: „აგრევე ნიჟარაძე გარდაგვეკიდა და კაცი დაგვიჭირა და ბევრი ავი და უსამართლო საქმე უყო ჩვენს კაცს. შეგვექმნა სახლმოთ და სასამართლო საქმე; და შევაბით ხახუტა გოგევა და გაგვემარჯვა".[129] მინაწერიდან ცხადია, რომ ხონის წმ. გიორგის საყდრის ინტერესები მისივე ყმამ (ხახუტა გოგევამ) დაიცვა და ხმლის სასამართლოს მოუგო საერო ფეოდალს (თავად ნიჟარაძეს).

ისეთი უნიკალური მოვლენა, როგორიცაა ხმლის სამსჯავრო და რომელიც მხოლოდ გარკვეული ტიპისა და წყობის ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი, კიდევ უფრო საცნაურს ხდის ქართული და ევროპული ფეოდალიზმის მსგავსებას.

---

[127] *ქსძ*, IV, 345-7.

[128] Neilson, *Trial by Combat*, 50-3.

[129] *ქსძ*, III, 372.

თავი III

ქართული ლაშქრის ტაქტიკა შუა საუკუნეებში

ცხენოსანი ჯარის ტაქტიკა

ცხენოსანი ჯარი ყოველთვის იყო არმიის პრივილეგირებული ნაწილი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მან შუა საუკუნეებში შეიძინა, როდესაც შეიარაღებული ძალების წამყვან სახეობად ჩამოყალიბდა. ცხენი, როგორც საბრძოლო პლატფორმა, სიმაღლეში უპირატესობას აძლევდა მხედარს ქვეით მოწინააღმდეგესთან შედარებით, ხოლო იარაღის წონა გამრავლებული ცხენის სისწრაფეზე მეტად ძლიერ დარტყმის ძალას განაპირობებდა. ცხენოსანი ჯარის მთავარი თვისების – სისწრაფისა და მობილურობის – წყალობით ის ქვეითებთან შედარებით დროსა და სივრცეს უკეთესად განაგებს.[1] კავალერია ჯარის შემტევი სახეობაა, რომელსაც სწრაფი მანევრირების უნარი ჰქონდა. ცხენოსნები მონაწილეობდნენ მარბიელ რეიდებში, დაზვერვაში, მტრის კომუნიკაციებისა და ზურგის გადაჭრაში, ფარავდნენ საკუთარი არმიის მოძრაობას და ძირითადი ძალების მოსვლამდე შეეძლოთ სწრაფად დაეკავებინათ სტრატეგიული პოზიცია. ბრძოლის ველზე ცხენოსნები იცავდნენ ქვეითი ჯარის ფლანგებს, ანეიტრალებდნენ მოწინააღმდეგის შემოვლით მანევრს, მიჰქონდათ გადამწყვეტი იერიში მტრის რიგებზე და დევნიდნენ გაქცეულ მტერს. მძიმე ცხენოსანთა შეტევა შთამბეჭდავი და შემაძრწუნებელი სანახაობა იყო: ფლოქვების თქარუნი, ცხენების ჭიხვინი, აბჯრისა და იარაღის პრიალი, შუბებზე ალმის ფრიალი, საყვირის ხმა – ყოველივე ეს მძლავრი ფსიქოლოგიური იარაღი იყო, რომლის გაძლება მხოლოდ დისციპლინირებულ და მრავალრიცხოვან ქვეით ჯარს შეეძლო.

შუა საუკუნეებში ყველაზე დინამიურად საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილის შეიარაღება ვითარდებოდა. მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნის აღჭურვილობის მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ მისი დროის სამხედრო საქმის დონეზე და გამოვავლინოთ განვითარების ტენდენციები.[2] სხვადასხვა იარაღის ევოლუციის პროცესი უპირველესად მძიმედ შეიარაღებული მებრძო-

---

[1] Г. Брикс, *История Конницы*, кн. 2 (Москва, 2001), 308.

[2] И.Л. Измайлов, "Вооружение и военное дело Волжской Болгарии: история изучения и становление концепции исследования," *Научное наследие А.П. Смирнова и современные проблемы археологии Волго-Камья* (Москва, 2000), 260.

ლის აღჭურვილობაზე აისახებოდა, რაც მეტყველებს მის გადამწყვეტ როლზე სამხედრო საქმის განვითარებაში.[3] მძიმედ შეჭურვილი მხედრები წამყვან როლს თამაშობდნენ შუა საუკუნეების ქართულ სამხედრო საქმეშიც, რის გამოც მათი საბრძოლო ტაქტიკა განსაკუთრებული ყურადღების საგანია.

საუკუნეების განმავლობაში ცხენოსანი შუბს რამდენიმე ხერხით იყენებდა: ისროდა მას სათხედივით, ეჭირა ის ორი ხელით[4] ან ხელის ძალის გამოყენებით აძგერებდა პირდაპირ[5] ანდა ზემოდან.[6] სანამ ცხენოსანი შუბის საძგერებლად მხოლოდ მკლავის ძალას იყენებდა, ცხენი მარტოოდენ საბრძოლო პლატფორმის როლს ასრულებდა და შეტევისას მისი ძალა ან სიჩქარე სრულად არ გამოიყენებოდა. ცხენის პოტენციალის სრული გამოყენება ბრძოლის ახალი წესის შემოღების შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც შუა საუკუნეების ცხენოსანმა შუბი მკლავქვეშ უძრავად ამოიდო. შედეგად, შუბი, მხედარი და მოწინააღმდეგისაკენ მქროლავი ცხენი ერთად განაპირობებდა დარტყმის ძალას, რომელიც ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მხოლოდ ხელით მოქნევისას.[7] ასეთი დარტყმის დროს ადამიანისა და ცხენის ენერგია შუბის წვერზეა კონცენტრირებული.[8] მკლავქვეშ მხოლოდ შუბის ბოლო ჰქონდათ ამოდებული, რის გამოც მისი წვერი უფრო მეტად იყო წინ მიმართული („წაგრძელებული"), ვიდრე სხვა სტილით ბრძოლისას.[9] სწორედ შუბის ჭერა სიმძიმის ცენტრის უკან განაპირობებდა მის „დაგრძელებას", რაც ამ სტილს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. ბრძოლის ახალი წესის სახელწოდებაც (*couched lance*) ამ თავისებურებით არის განპირობებული: *couched* ნიშნავს წაგრძელებულს, გაშვერილს.[10] ქართულად მას შეესაბამება *წაგრძელებული შუბი.*

როგორც ითქვა, შუბი ამ დროს მჭიდროდაა მოთავსებული მკლავსა და ტანს შორის, დარტყმის სიძლიერე კი ცხენის მოძრაობითაა გამოწვეული.[11] მხედარს მხოლოდ შუბის სწორად დამიზნება და ტარის მტკიცედ, უძრა-

---

[3] Ю.С. Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.* (Новосибирск, 1980), 131.

[4] ამ დროს ორივე ხელი დაკავებული იყო, რაც ფარის გამოყენებას შეუძლებელს ხდიდა. Jon Coulston, "Arms and Armour of the Late Roman Army," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. D. Nicolle (Woodbridge, 2002), 15. ორივე ხელით შუბის ჭერისას სადავეებით ცხენის მართვის ეფექტურობაც კლებულობდა. Carroll Gillmor, "European Cavalry," in *Dictionary of the Middle Ages*, vol. 3 (New York, 1983), 200.

[5] ამ დროს შუბი ბარძაყთან უჭირავთ ცერით წინ. Д.П. Алексинский, К.А. Жуков, А.М. Бутягин, Д.С. Коровкин, *Всадники Войны: Кавалерия Европы* (Москва, 2005), 18.

[6] ამ შემთხვევაში შუბის წვერი ნეკის მხარესაა, ცერი კი უკანაა. იქვე, 18.

[7] Kelly DeVries, *Medieval Military Technology* (Peterborough, 1992), 12.

[8] John France, "Technology and Success of the First Crusade," in *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*, ed. Yaacov Lev (Leiden, 1996), 166.

[9] გრძელი შუბი მძიმე და საკმაოდ უხერხული მოსახმარი იყო და წონასწორობის დაცვას მისი სიგრძის დიდი ნაწილი ეწირებოდა. როდესაც გრძელი, 12-ფუტიანი შუბი ძველი მეთოდით ეჭირათ, შუბი წინ მხოლოდ 6 ფუტით იყო გაშვერილი, იღლიის ქვეშ ამოდებული კი მთელი 9 ფუტით იყო წინ მიმართული. D. J. A. Ross, "L'originalité de "Turoldus": le maniement de la lance," *Cahiers de civilisation médiévale*, 6 (1963), 128, 131; Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 57.

[10] Nicholson, *Medieval Warfare*, 102.

[11] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 30.

ვად ჭერა რჩებოდა.[12] მიზანში ამოღება ცხენის საშუალებითა და ცხენოსნის სხეულის ტრიალით ხდებოდა. შუბის წონასა და დარტყმის ძალას მხედრის წონასწორობა რომ არ დაერღვია, შუბის წვერი ცხენის თავის მარცხნივ იყო მიმართული, ბოლო კი მხედარს მარჯვენა იღლიის ქვეშ ჰქონდა ამოდებული.[13] აქედან გამომდინარეობდა წაგრძელებული შუბით ბრძოლის ერთი ნაკლიც, კერძოდ, შუბის მხოლოდ წინ მიმართვა შეიძლებოდა და არც ისე დიდი რადიუსის ფარგლებში.[14]

წაგრძელებული შუბით ბრძოლა, როგორც ჩანს, XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება ევროპაში.[15] რაც არ უნდა იყოს ამ ტექნიკის შემოღების ზუსტი თარიღი, XII საუკუნის შუახანებში *წაგრძელებული შუბი* უკვე გაბატონებულია ბრძოლის ველზე და ასე რჩება შუა საუკუნეების ბოლომდე.[16] ჯ. ფრანსის აზრით, *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესის განვითარებაში კრიტიკული ეტაპია პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა, როცა დისციპლინირებული საბრძოლო ერთეულები ამ სტილს მასობრივად იყენებენ.[17] *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესი განაპირობებს ყველაზე ძლიერ დარტყმას, რაც კი ცხენოსანმა შეიძლება მიაყენოს მოწინააღმდეგეს. *წაგრძელებული შუბის* დარტყმა მოწინააღმდეგეს უნაგირიდან აგდებდა, მეტიც, ზოგჯერ ცხენიანად აყირავებდა მას. შემთხვევითი არაა, რომ აღმოსავლეთში, სადაც ტრადიციულად შუბით ბრძოლის მრავალფეროვანი წესები არსებობდა, ამ წესს საკმაო პატივს სცემდნენ.[18]

---

[12] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 68.

[13] R. H. C. Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment* (London, 1989), 21.

[14] David Nicolle, *Crusader Warfare: Byzantium, Europe and the Struggle for the Holy Land 1050-1300 AD* (London, 2007), 70-1; მისივე, "The Impact of the European Couched Lance on Muslim Military Tradition," *The Journal of the Arms and Armour Society*, 10 (1980), pl. IIIf.

[15] ბაიოს გობელენზე, რომელიც 1066 წელს ინგლისის დაპყრობის აღსანიშნავადაა შექმნილი, სწორედ ეს გარდამავალი პერიოდია ასახული: 35 ფიგურიდან, რომელიც შუბს ფლობს, მხოლოდ 5-ს უჭირავს ის იღლიის ქვეშ, გამართულად. Bernard S. Bachrach, "Animals and Warfare in Early Medieval Europe," *Settimane di Studio del Centro Italiano di sull'alto Medioevo*, 31 (1985), 744. *წაგრძელებული შუბის* შემოღების თარიღთან დაკავშირებული დისკუსიის შესახებ იხ. DeVries, *Medieval Military Technology*, 13-4.

[16] იქვე, 14.

[17] John France, *Victory in the East: A Military History of the First Crusade* (Cambridge, 1994), 71.

[18] არაბული სამხედრო ტრაქტატის „ნიჰაიათ ალ-სუ'ლის" მიხედვით, მახლობელ აღმოსავლეთში ცხენოსნის მიერ შუბის გამოყენების სამი ძირითადი ხერხი არსებობდა: „ხორასნული სტილი", როდესაც მხედარი შუბს ცალი ხელით იყენებდა („ატრიალებდა"), შუბის ორი ხელით გამოყენების ძველი მეთოდი და „სირიული შეტევა", რომელსაც ასევე „ბიზანტიური სტილი" ეწოდებოდა და რომელიც *წაგრძელებული შუბით* ბრძოლას გულისხმობდა. David Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD* (London, 2007), 155. მამლუქთა ეგვიპტეში შექმნილი „მუნიათ ალ-გუზათი" შუბის ჭერის ოთხ ხერხს განარჩევს: „ძველ ხორასნულს" და „ახალ საგრულს", რომელთა დროს შუბი ორი ხელით ეჭირათ, „სირიულს" ანუ *წაგრძელებულ შუბს*, აგრეთვე, „იემენურს" ანუ „დეილამურს", როდესაც შუბი მარჯვენა ხელით ეჭირათ. *Munyatu'l-Ghuzāt: A 14th-Century Mamluk-Kipchak Military Treatise*, 56-7. აღსანიშნავია, რომ, „მუნიათ ალ-გუზათი" მთავარ ყურადღებას მოწინააღმდეგის შუბის მოგერიებას უთმობს და საპასუხო დარტყმის მიყენებას მხოლოდ მტრის შეცდომის დაშვების შემდეგ ურჩევს

XII საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხედარი, არაბი უსამა იბნ მუნკიზი,[19] თავისი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, ყველაზე ეფექტურად წაგრძელებული შუბით ბრძოლის ხერხს მიიჩნევდა, როდესაც შუბიანი ხელი და იდაყვი მჭიდროდაა გვერდზე მიჭერილი და დარტყმის ძალას ცხენის მოძრაობა განაპირობებს. ჯვაროსნებთან ერთ შეტაკებაში, უსამამ ასეთი დარტყმით ფრანკი რაინდის ჯაჭვის ორი ფენა გაგლიჯა.[20]

ბრძოლის ველზე *წაგრძელებული შუბის* გამოყენება მაქსიმალურ ეფექტს მაშინ იძლევა, როდესაც ადამიანები და ცხენები ერთად ახორციელებენ კოორდინირებულ შეტევას, რაც, თავის მხრივ, საბრძოლო ერთეულის დისციპლინაზე და ორგანიზაციაზეა დამყარებული.[21] დისციპლინით განთქმული ტამპლიერებისთვისაც კი ცხენოსანთა მასირებული შეტევის სწორად განხორციელება ისეთი რთული იყო, რომ დეტალურად ჰქონდათ აღწერილი თავიანთ წესდებაში.[22] მძიმე ცხენოსანთა წარმატებული შეტევა არის მჭიდროდ დაწყობილი შუბგამართული რაზმის შეჯახება მოწინააღმდეგის საბრძოლო რიგებთან, რასაც შედეგად რიგების გარღვევა და მტრის წყობის დაშლა მოყვება.[23] ეს თითოეული მებრძოლისა და მისი ცხენის ერთნაირი სიჩქარითა და მიმართულებით შეთანხმებულ ქმედებას მოითხოვს. ყოველივე ეს კი, ხანგრძლივ მომზადებასა და პრაქტიკას საჭიროებდა. იდეალურ შემთხვევაში, მოწინააღმდეგის რიგების გარღვევის შემდეგ, რაზმი უნდა გადაწყობილიყო და ისევ შეეტია,[24] თუმცა ეს ძალიან ძნელი იყო და ამის განხორციელება მხოლოდ უაღრესად დისციპლინირებულ არმიას შეეძლო, რომელსაც ჰყავდა გამოცდილი მეთაურები, მედროშეები, მესიგნალეები და ა.შ.

წაგრძელებული შუბით განხორციელებული ბრძოლის ამ სახეს თანამე-

მებრძოლს. В.В. Понарядов, "Средневековые техники использования копья в конном бою (по данным мусульманских военных трактатов XIII-XV вв.)," *Военная археология*, 3 (2013), 199. შუბით ბრძოლის ასეთი მოგერიებითი სტილი, საბოლოო ჯამში, ევროპულისაგან განსხვავებით, ბრძოლის უფრო პასიურ მანერას განაპირობებდა.

[19] თურქ-სელჩუკთაგან განსხვავებით, არაბ ცხენოსანთა უმთავრესი იარაღი შუბი იყო. სხვათა შორის, ეს რუსთაველსაც კარგად მოეხსენებოდა: „არაბთა იცის ყველამან, მათი აბჯარი შუბია". შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1612.

[20] *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades: Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*, translated from the Original Manuscript by Philip K. Hitti, with a New Foreword by Richard W. Bulliet (New York, 2000), 68-70.

[21] France, "Technology and Success of the First Crusade," 167.

[22] France, *Victory in the East*, 372.

[23] შემდგომ, წარმატების განსავითარებლად, გარღვევის ადგილას სხვა რაზმებს ჩართავდნენ.

[24] „ფრანგული ბრუნი" (*tor Franceis*) ეწოდებოდა ისეთ ტაქტიკურ ხერხს, როდესაც პირველი შეტაკებისა და მოწინააღმდეგის რიგებში შეჭრის შემდეგ, მხედარი ბრუნდება უკან თავისი დროშის მიმართულებით, აყენებს მეორე დარტყმას და უკანა გზაზე ისევ გაივლის მტრის რიგებს. Matthew Bennett, "Why Chivalry? Military 'Professionalism' in the Twelfth Century: The Origins and Expressions of a Socio-Military Ethos," in *The Chivalric Ethos and the Development of the Military Professionalism*, ed. David J. B. Trim (Leiden, 2003), 55.

დროვე ისტორიკოსები „ცხენოსანთა შოკურ დარტყმას" (*mounted shock combat*) უწოდებენ, რაც სწორად ასახავს ასეთი შეტევის ძალას. ცხენოსანთა შოკური შეტევა ისეთი შემზარავი სანახავი იყო, რომ ხშირად მოწინააღმდეგე შეჯახებამდე გარბოდა ბრძოლის ველიდან.[25] სწორად განხორციელებულ ასეთ შეტევას ძნელად თუ ვინმე დაუდგებოდა წინ. *წაგრძელებული შუბი* განსაკუთრებით ეფექტური კავალერიის წინააღმდეგ იყო.[26] რ. სმეილის აზრით, დასავლეთევროპელ ცხენოსანთა შოკური შეტევა *წაგრძელებული შუბით* ყველაზე მძლავრი ტაქტიკური იარაღი იყო, რომლის ძალა სამხედრო შენაერთის საერთო, კოლექტიურ წონას ემყარებოდა.[27] მას კვერს უკრავს კ. მარშალი, რომელიც თვლის, რომ *წაგრძელებული შუბის* გამოყენებისას, შეტევის საერთო სიმძიმე შუა საუკუნეების არმიის ყველაზე მძლავრი იარაღი იყო.[28]

ფიქრობენ, რომ *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილი დასავლეთ ევროპამ ბიზანტიისაგან გადაიღო და თვლიან, რომ სწორედ ბიზანტიაში მიაღწია ამ სტილმა სრულ განვითარებას X საუკუნეში. იგი, თითქოსდა, შემოიღო იმპერატორ ნიკიფორე ფოკას მძიმე კავალერიამ.[29] დ. ნიკოლის აზრით, გარდა *წაგრძელებული შუბისა*, ნიკიფორე ფოკას ბიზანტიური მძიმე კავალერია ისეთივე შოკურ დარტყმით ტაქტიკას იყენებდა, რომელიც დამახასიათებელი იყო მომდევნო ხანის დასავლეთევროპული რაინდული არმიებისათვის.[30] ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებ. ნიკიფორე ფოკა რომ დარტყმითი ტაქტიკის დამნერგავი ყოფილიყო, ის საკუთარი კავალერიის შეტევის პირველ ხაზზე შუბოსნებს დააყენებდა და არა ხმალ-ლახტით შეიარაღებულებს. როგორც ჩანს, ბიზანტიელები ფლობდნენ წაგრძელებული შუბით ბრძოლის ხელოვნებას, მაგრამ არა შოკურ ტაქტიკას, რომელსაც შემდგომ ამ წესით მებრძოლი ევროპული კავალერია იყენებდა. ნიკიფორე ფოკას დროს, X საუკუნეში, მძიმედ შეიარაღებული ბიზანტიელი მხედრის, კატაფრაქტის უპირველესი იარაღი ლახტია და არა შუბი.[31] შუბით შეიარაღებული კატაფრაქტები საბრძოლო წყობაში მხოლოდ მეხუთე რიგიდან ჩნდებიან, ისიც ფლანგებზე, უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ და რაიმე არსებითი როლის შესრულება

---

[25] White, "Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry," 29-33; DeVries, *Medieval Military Technology*, 12.

[26] Matthew Bennett, "The Medieval Warhorse Reconsidered," in *Medieval Knighthood V: Papers from the Sixth Strawberry Hill Conference 1994*, eds. S. Church and R. Harvey (Woodbridge, 1995), 34.

[27] R. C. Smail, *Crusading Warfare, 1097-1193*, 2nd ed. (Cambridge, 1995), 113-5.

[28] Christopher Marshall, *Warfare in the Latin East* (Cambridge, 1992), 158; მისივე, "The Use of the Charge in Battles in the Latin East, 1192-1291," *Historical Research*, 65 (1992), 222.

[29] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 78.

[30] David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours* (London, 1998), 70.

[31] Никифор II Фока, *Стратегика*, перевод со среднегреческого и комментарии А.К. Нефёдкина (Санкт-Петербург, 2005), 23-4, 76-7; Eric McGeer, *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century* (Washington, 1995), 37, 216.

არ შეუძლიათ.[32] შეიარაღებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ვისაუბროთ კავალერიის ისეთ დარტყმით ტაქტიკაზე, როგორსაც შუბით აღჭურვილი ევროპელი მხედარი ახორციელებდა. მეტიც, ნიკიფორე ფოკას 504 (ან 384) კატაფრაქტიდან 150 (ან 80) მშვილდით იყო შეიარაღებული და უკანა რიგებიდან სროლით მხარს უჭერდა ახლო ბრძოლის იარაღით აღჭურვილ სხვა კატაფრაქტებს.[33] ბრძოლის ასეთი წესს არაფერი აქვს საერთო ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკასთან.

თავისთავად, წაგრძელებული შუბის გამოყენება სულაც არ უკავშირდება პირდაპირ შოკური ბრძოლის წესს.[34] *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესს ფლობდა არაბი უსამა და ბიზანტიელებიც, მაგრამ ეს არ გადაზრდილა კავალერიის დარტყმით ტაქტიკაში და მით უმეტეს, მასობრივად მის გამოყენებაში. ჩანს, აღმოსავლეთში იცნობდნენ *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილს, მაგრამ არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ისეთივე დომინანტური და ეფექტური იყო, როგორც ევროპაში XI საუკუნის ბოლოდან. უნდა გვახსოვდეს, რომ რაიმე ტაქტიკური ხერხის ან ტექნოლოგიური მიღწევის დანერგვა წლების განმავლობაში ხდება და სათანადო ეფექტი ხშირად მხოლოდ ამის შემდეგ მიიღწევა.[35] როგორც ჩანს, *წაგრძელებული შუბით* შეტევის ხერხი დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ თავად შოკური შეტევა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა და მეტად ეფექტური XII საუკუნეში გახდა.[36]

შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის ბრძოლის წესი ჯერ კიდევ არ არის გამოწვლილვით შესწავლილი. არ არის დადგენილი, თუ რა ტიპის იარაღს ან ტაქტიკას აძლევდა უპირატესობას ქართველი მეომარი და, მით უმეტეს, არ არის დადგენილი შეიარაღება-ტაქტიკის ტრანსფორმაცია საუკუნეების განმავლობაში. გ. ანჩაბაძე ერთადერთი ქართველი ისტორიკოსია, რომელიც წლების განმავლობაში სისტემატურად და სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ შუა საუკუნეების ქართული ცხენოსანი ლაშქრის ძირითადი იარაღი შუბი იყო.[37] თუმცაღა, შუბით ბრძოლის სტილი მას არ

---

[32] Никифор II Фока, *Стратегика*, 24, 77; McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 37.

[33] Никифор II Фока, *Стратегика*, 23, 76-7; McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 37.

[34] John France, *Western Warfare in the Age of the Crusades, 1000-1300* (London, 1999), 160.

[35] შედარებისთვის ავიღოთ გრძელი მშვილდი: ეს იარაღი საუკუნეები არსებობდა, მაგრამ ტაქტიკური მნიშვნელობა და ეფექტი მხოლოდ ინგლისელების მიერ ასწლიან ომში მასობრივი გამოყენების შემდეგ შეიძინა. David Whetham, "The English Longbow: A Revolution in Technology?" in *The Hundred Years War: Different Vistas*, eds. L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2008), 213-32; Andrew Ayton, "Arms, Armour, and Horses," in *Medieval Warfare: A History*, ed. Maurice Keen (New York, 1999), 203.

[36] Matthew Strickland, "Military Technology and Conquest: The Anomaly of Anglo-Saxon England," *Anglo-Norman Studies*, 19 (1996), 361-6.

[37] ანჩაბაძე, „ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღამის გაბაასების" მიხედვით", 95; მისივე, „იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი" როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო", 69; მისივე, „სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა" როგორც სამხედრო-საისტორიო წყარო", *მიაქის*, 4 (1988), 61.

დაუკონკრეტებია. ასე რომ, ჩვენი ამოცანა არა მხოლოდ იმის დადასტურებაა, რომ შუა საუკუნეებში ქართველი მუდამ შუბით იბრძოდა, არამედ იმის დასაბუთებაც, რომ გარკვეული პერიოდიდან საქართველოში გაბატონებული იყო *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილი. უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ჩვენებაც, რომ *წაგრძელებული შუბით* მებრძოლი ქართული ფეოდალური ლაშქრის მთავარი ტაქტიკური იარაღი ცხენოსანთა შოკური შეტევა იყო.

დასახული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ წყაროებისა და იკონოგრაფიული მასალის კომპლექსური შესწავლის შედეგად არის შესაძლებელი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ისტორიულ წყაროებში პრაქტიკულად არ ჩანს ქართველ მხედართა ისრით ბრძოლის წესი, მაშინ როდესაც შუბით ბრძოლას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით.[38] ამ წესიდან ორიოდე გამონაკლისს თუ ვიპოვით, რომლებიც, რასაკვირველია, ამინდს ვერ ქმნიან.[39] ლიტერატურულ წყაროებშიც ძირითადად ასახულია შუბით ბრძოლის რაინდული წესი. ორთაბრძოლაში ისრის გამოყენება სასტიკად იგმობა და მხოლოდ გვიანდელ, XVII საუკუნის ნაწარმოებებში გვხვდება ისრით ბრძოლა გაკიცხვის გარეშე.

ნარატიულ წყაროებთან შედარებით, ბევრად პრობლემურია იკონოგრაფიული მასალა. წმინდანის მიერ ხელით მოქნეულ შუბთან შედარებით, წაგრძელებული შუბის გამოსახვა მხატვრულად ნაკლებად შთამბეჭდავია, რის გამოც მისი გამოსახვის იკონოგრაფიული ტრადიცია ევროპაშიც კი კონსერვატიული იყო.[40] იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართულმა მართლმადიდებლურმა ხელოვნებამ ამ კონსერვატიზმს თავი ვერ დააღწია და ბოლომდე შეინარჩუნა წმინდა მეომრების გამოსახვის ტრადიციული სტილი, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში ჩაეყარა. საერო მინიატურების სიმცირის გამო კი მხოლოდ თითო-ოროლა გამოსადეგი გამოსახულებაა შემორჩენილი. თუმცა, იკონოგრაფია მაინც გვაძლევს გარკვეულ მასალას ირიბი მსჯელობისათვის: მიუხედავად კონსერვატიულობისა, შეიარაღებაში აისახა ნუშისებური ფარი, მაღალი, სავარძლისებური უნაგირი და გაშვერილი ფეხი, რაც უდავოდ და არაორაზროვნად მიუთითებს *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილზე.

წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესს ქართველები X საუკუნეში მაინც უნდა გასცნობოდნენ ბიზანტიისაგან, რომელთან კავშირი და სამხედრო

---

[38] რა თქმა უნდა, იგულისხმება ბრძოლის ველზე მოქმედებები და არა ციხის ან რაიმე ბუნებრივი სიმაგრის იერიში.

[39] ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა XIII საუკუნეში, როდესაც ქართველები მონღოლთა მხარდამხარ მონღოლურივე არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1987),134; მეორედ, XVII საუკუნეში ქსნის ხეობაში ბრძოლისას ეს ჩასაფრების აუცილებლობით იყო გამონვეული. იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 33.

[40] Lynn White Jr., "The Crusades and the Technological Thrust of the West," in *War, Technology and Society in the Middle East*, eds. V. J. Parry and M. E. Yapp (London, 1975), 98-9.

სურ. 4
წმინდა ევსტათე ნაგრძელებული შუბით. მარტვილის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი. ავტორის ფოტო.

თანამშრომლობა ძალზე ინტენსიური იყო.[41] არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხდა სწორედ ნიკიფორე ფოკას ეპოქაში არაბთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლების დროს. ქართველები, როგორც მოკავშირეები, მონაწილეობას იღებდნენ ნიკიფორე ფოკას კამპანიაში კილიკიაში 964 წელს.[42] ჩვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მარტვილის ტაძრის X საუკუნის რელიეფი, რომელზეც წმინდა ევსტათე პლაკიდაა გამოსახული[43] (სურ. 4). წმინდანს შუბი (3-3,5 მ სიგრძის, რელიეფის პროპორციებით რომ ვიმსჯელოთ) სიმძიმის ცენტრის უკან, დაგრძელებულად უჭირავს, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს მისი სიგრძე. საინტერესოა, რომ წმ. ევსტათე, რომელსაც საქართველოში ჩვეულებრივ მშვილდით გამოსახავდნენ, აქ

---

[41] მაგალითად, ბაგრატ მაგისტროსი მონაწილეობდა იოანე კურკუასის 930-31 წლების ლაშქრობაში, რომელიც თეოდოსიუპოლის აღებით დასრულდა. Constantine Porphyrogenitus, *De Administrando Imperio*, ed. by Gy. Moravcsik, trans. by R. J. H. Jenkins, rev. ed. (Washington, 1967), 45.145.

[42] ვასილ კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში* (თბილისი, 1969), 23.

[43] გამოსახულება აშკარად X და არა VII საუკუნისაა, როგორც ეს მიჩნეულია ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში. Н.А. Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии* (Москва, 1977), илл. 51. წმინდანის უზანგი ერთმნიშვნელოვნად გვიანდელ თარიღს მიანიშნებს. ცნობილია, რომ უზანგს სასანური ირანი საერთოდ არ იყენებდა, არაბებმა კი ის მხოლოდ VIII საუკუნეში აითვისეს. უზანგის უადრესი გამოსახულება ისლამურ სამყაროში დაახლოებით 730 წლიდან გვაქვს, პალმირასთან მდებარე ომაიანთა სასახლიდან. White, "The Crusades and the Technological Thrust of the West," 99. ამის გამო მარტვილის რელიეფი ვერაფრით იქნება VII საუკუნის.

შუბითაა აღჭურვილი.[44] ეს მეტყველებს შუბის გაზრდილ მნიშვნელობაზე, რომელმაც ტრადიციულ კომპოზიციაში მშვილდი ჩაანაცვლა.

ჩვენ გვაქვს ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს XI საუკუნის საქართველოში რაინდული ტაქტიკის თანდათანობით ფორმირებას. სტეფანოს ორბელიანი აგვიწერს ლიპარიტ ბაღვაშის შეტევას თურქ-სელჩუკების ლაშქარზე კაპეტრუს ბრძოლაში 1048 წელს: „ლიპარიტ... **შევიდოდის და განვიდოდის... და განჰხეთქდა რაზმთა მათთა და განვლიდა**".[45] ლიპარიტის ბრძოლის სტილი ძალიან ჰგავს რაინდულს, რომლის მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის რიგების გარღვევა და ბრძოლით გავლაა. სტეფანოსი ორჯერ აღნიშნავს, რომ ლიპარიტი მტრის რაზმში „შევიდოდის და განვიდოდის" და „განჰხეთქდა რაზმთა მათთა და განვლიდა". *წაგრძელებული შუბის* პოპულარიზაციას, რასაკვირველია, ხელს შეუწყობდა ბიზანტიის აღმოსავლურ პროვინციებში მყოფი დასავლეთევროპელი მოქირავნეებიც. XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში მრავალი ფრანკი მეომარი მსახურობდა. ნორმანთა კონტინგენტები კრესპინის, რუსელ ბაილეის თუ ერვე ფრანკოპულოს მეთაურობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბიზანტიელთა ლაშქრობებში.[46] რუსელ ბაილეის 3 000-მდე მძიმე ცხენოსანი იმპერიის მთავარი დამრტყმელი ძალაა აღმოსავლეთში, 1057 წელს ფრანკები ბიზანტიის სომხეთში დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას ცდილობენ, 1071 წელს კი ედესაში ათასი ფრანკია თავმოყრილი.[47] მეტიც, ნიკიფორე ბრიენოსის მოწმობით, მანასკერტთან დამარცხების შემდეგ ბიზანტიელებმა სცადეს ევროპული სტილით მებრძოლი ცხენოსანთა ნაწილის შექმნა, რისთვისაც მხედრებს საგანგებოდ, ბლაგვი შუბით ავარჯიშებდნენ.[48] ეჭვს გარეშეა, ქართველებს ექნებოდათ გარკვეული ურთიერთობა აღმოსავლეთში მყოფ ფრანკ მოქირავნეებთან და ინფორმაციაც მათი ტაქტიკისა და ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე ექსპერიმენტების შესახებ.[49]

---

[44] ცხენზე ამხედრებული ევსტათეს გამოსახულება, რომელიც მშვილდითაა შეიარაღებული, ადრიდანვე მკვიდრდება საქართველოში და სასანური იკონოგრაფიის გავლენაზე მიანიშნებს. ამით ის განსხვავდება კაპადოკიური გამოსახულებებისაგან, სადაც წმინდანი თავიდანვე შუბით იყო აღჭურვილი. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 82-5.

[45] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები*, 35.

[46] Jean Richard, "An Account of the Battle of Hattin Referring to the Frankish Mercenaries in Oriental Moslem State," *Speculum*, 27 (1952), 171.

[47] White, "The Crusades and the Technological Thrust of the West," 99. ბიზანტიაში ფრანკ მოქირავნეთა შესახებ იხ. Alexander Kazhdan, "Latins and Franks in Byzantium: Perception and Reality from the Eleventh to the Twelfth Century," in *The Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World*, ed. by Angeliki E. Laiou and Roy Parviz Mottahedeh (Washington, 2001), 83-100, განს. 92-4 და 98.

[48] Jonathan Shepard, "The Uses of the Franks in Eleventh-Century Byzantium," *Anglo-Norman Studies*, 15 (1993), 293. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ბიზანტიური კავალერია ნიკიფორე ფოკას დროსაც არ იყენებდა შოკურ დარტყმით ტაქტიკას.

[49] XII საუკუნის სელჩუკთა ისტორიკოსის სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის (მართალია, გვიანდელი) ცნობით, 1067 წელს ბაგრატ IV-ის არმიაში ფრანკი მეომრები იმყოფებოდნენ. Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских*

საქართველოში *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესისა და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის საბოლოოდ დანერგვა, ალბათ, დავით აღმაშენებლის ეპოქაში მოხდა.[50] ფრანკების თავბრუდამხვევი წარმატება პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში დამატებით სტიმულს მისცემდა ამ სტილის შემოღებას. ჯვაროსნების მიერ ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის წარმატებით გამოყენებაზე დავით IV-ს ინფორმაციას მიაწვდიდნენ ის ქართველებიც, რომლებიც თან ახლდნენ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას.[51] ამას ხელს შეუწყობდა დავითის ლაშქარში მყოფი 100 თუ 200 ფრანკი ჯვაროსანიც.[52] ამის არაპირდაპირი მოწმობა გვაქვს დიდგორის ცნობილ ბრძოლაში, სადაც 1121 წელს დავით აღმაშენებელმა ილ-ღაზის კოალიციური ლაშქარი დაამარცხა. დავით მეფის ისტორიკოსი გვაძლევს ორ, ერთი შეხედვით, თითქოსდა შეუთავსებელ ინფორმაციას: მისი ცნობით, მტერმა პირველივე შეტევას ვერ გაუძლო („პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი" და „ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად") და ამავე დროს, მისივე თქმით, ბრძოლა გაგრძელდა 3 საათს („ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო"), რაც საკმაოდ დიდი დროა იმ ეპოქისათვის.[53] ამ ორი, თითქოსდა წინააღმდეგობრივი ცნობის შეთავსება ადვილად შეიძლება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ქართული ლაშქარი იყენებდა ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკას. ბრძოლის ველზე განვითარებული მოვლენების ზოგადი რეკონსტრუქცია ასეა შესაძლებელი: რადგანაც ბრძოლა სამი საათი გაგრძელდა და გამარჯვების მისაღწევად ქართველთა პირვე-

---

эмирах и государях, издание текста, перевод, введение, примечания и приложения З. М. Буниятова (Москва, 1980), 55. ამ ცნობის წინააღმდეგობრივი ხასიათისათვის იხ. V. Minorsky. *Studies in Caucasian History* (London, 1953). 65n1.

[50] ყოველ შემთხვევაში, მათეოს ურჰაელის მიერ აღწერილ 1021 წლის ორთაბრძოლაში, რომელიც ქართველ მთავარსა და აშოტ IV-ს (1021-39) შორის მოხდა და რომელსაც ადგილი ჰქონდა გაგიკ I-ის (989-1020) მემკვიდრეობისათვის ომში, შუბის ძგერების ნაცვლად შუბის სროლას აქვს ადგილი: „ქართველმა მთავარმა შუბი ესროლა აშოტს", რომელიც მან აიცილა. *The Chronicle of Matthew of Edessa*, translated from the Original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian (Lanham, 1993), 23. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მემატიანის ეს მონაცემები არცთუ ისე სანდოა: მას ეშლება ქრონოლოგია და ამ მოვლენებს X საუკუნის ბოლოს ათავსებს; რაც მთავარია, მათეოსი ზუსტად იგივე სიტყვებით მოგვითხრობს კიდევ ერთ ორთაბრძოლაზე, რომელიც სომეხ ვასაკსა და დეილამელს შორის მოხდა. იქვე, 25. ეს კი სერიოზულ ეჭვს ბადებს მისი მონათხრობის სისწორეში. თუკი, ყველაფრის მიუხედავად, ურჰაელის ეს ცნობა მაინც ასახავს რეალობას, ჩანს, რომ წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი ჯერ საბოლოოდ არ არის დამკვიდრებული.

[51] Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*, trans. Frances Rita Ryan, ed. Harold S. Fink (New York, 1973), 88. თუკი ფულხერიუსის *Iberi* აქ მართლაც ქართველებს გულისხმობს, ეს ჯგუფი, რომელიც მრავალრიცხოვანი არ იქნებოდა, შესაძლოა ჯვაროსნებს წამოჰყვა კონსტანტინოპოლიდან, სადაც ქართული კოლონია არსებობდა.

[52] *The Chronicle of Matthew of Edessa*, 227; Walter the Chancellor's *The Antiochene Wars*, trans. Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington (Aldershot, 1999), 169. სმბატ სპარაპეტი 500 ფრანკსაც კი ასახელებს დავითის ლაშქარში. Смбат Спарапет, *Летопись*, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна (Ереван, 1974), 83.

[53] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 341-2.

ლივე შეტევაც საკმარისი აღმოჩნდა, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს იერიში ბრძოლის მიწურულს განხორციელდა, მანამდე კი დავით აღმაშენებელი თავს იცავდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. პირველი 2-2,5 საათის განმავლობაში თურქმენ ცხენოსან მოისართა ტალღები აწყდება ქართველთა რიგებს[54] („ძლიერი ყიჟინით, ცხენისა და იარაღის ხმაურით, ზარდამცემი ბაირაღებით"), რომლებიც ურყევად დგას და თავს იცავს („დავით მეფე ამხნევებს თავისიანებს").[55] შეტევისათვის სწორი მომენტის შერჩევის შემდეგ, ქართული რაინდული კავალერიის შოკური დარტყმა მუსლიმთა მთავარ ბირთვს, ილ-ღაზის დროშას სწვდება[56] (ამის უტყუარი ინდიკატორი ილ-ღაზის თავში დაჭრაა).[57] ეს სწორად შერჩეული, დროულად და მთელი სიმძიმით განხორციელებული პირველივე დარტყმა (რომელსაც უეჭველად ქართველთა ყველაზე დისციპლინირებული და გამოცდილი მოყმეები განახორციელებდნენ) საკმარისი აღმოჩნდა ილ-ღაზის არმიის ძირითადი ბირთვის გასანადგურებლად, რასაც ხელმძღვანელობის და, შედეგად, მთელი ამ უზარმაზარი არმიის მოშლა და გაქცევა მოჰყვა. ამ ერთადერთი შეტევის ხასიათი და შედეგი მეტყველებს მის არსზე და მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს დიდი ოსტატობით განხორციელებულ ცხენოსანთა შოკურ დარტყმასთან.

თუკი აქამდე ბევრ რამეს ვარაუდის დონეზე ვარკვევდით, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს ფაქტს, რომლის მნიშვნელობაც ძნელია გადაამეტო. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მოგვითხრობს, რომ 1209 წელს სპარსეთში ლაშქრობისას ზაქარია ამირსპასალარმა ხუთასი რჩეული მხედარი („რჩეული დიდებული და აზნაური") თაყაიადინ თმოგველის სარდლობით ავანგარდში განაწესა. მათ თავს დაესხათ რიცხობრივი უპირატესობით გათამამებული მარანდელები, რომლებიც სასტიკად დამარცხდნენ. როდესაც ძირითადმა ლაშქარმა ბრძოლის ველი დაათვალიერა, თვალებს არ დაუჯერა: „იხილეს ნაომარი ადგილი

---

[54] თურქმენთა ტაქტიკა გულისხმობდა მოწინააღმდეგის რიგებთან ახლოს მისვლას, მათი ისრებით დაცხრილვას, უკან შემოქცევასა და თავიდან შეტევას. შედეგად, მტერი საგრძნობლად სუსტდებოდა ან ისრებით შეწუხებული მოუმზადებელ იერიშს იწყებდა და იოლად მარცხდებოდა.

[55] Walter the Chancellor, *The Antiochene Wars*, 169-70.

[56] მძიმე ცხენოსანთა შემზარავი დარტყმის ასარიდებლად მუსლიმ ცხენოსნებს შეეძლოთ გაფანტულიყვნენ, თავიდან აეცილებინათ შეტევის პირველი ძალა, შემდეგ მოტრიალებოდნენ ნყობადაშლილ მოწინააღმდეგეს და ფლანგური ან უკნიდან დარტყმით დაემარცხებინათ ისინი. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეტევის სიზუსტესა და სწორად შერჩეულ დროს, რომ დარტყმა მუსლიმთა მთავარ დაჯგუფებას მისწვდომოდა, ისე რომ, მათ თავი ვერ დაეღწიათ შეჯახებისათვის, სადაც უპირატესობას ხელჩართულ ბრძოლაში უკვე მძიმედ შეჭურვილი შუბოსანი ფლობდა. მუსლიმთა მობილურ ტაქტიკასთან ბრძოლისას, მთავარი პრობლემა სწორედ პირველ ეტაპზე გაძლება და შეტევისათვის დროისა და მიზნის სწორი შერჩევაა. იხ. Smail, *Crusading Warfare*, 77-83, 112-5; Marshall, *Warfare in the Latin East*, 35, 158-61; Richard, "An Account of the Battle of Hattin," 169-71; Benjamin Z. Kedar, "The Battle of Hattin Revisited," in *The Horns of Hattin*, ed. By B. Z. Kedar (Jerusalem, 1992), 203, 206.

[57] Walter the Chancellor, *The Antiochene Wars*, 170.

მკუდრითა კაცითა და ცხენითა სავსე, და ქართველთა კაცი არცა ერთი იპოებოდა. ესოდენი ძლევა მოეცა ღმერთსა, რომელ **ხუთასი შუბი ხუთასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესუა**".[58] მემატიანე, რომელიც სამხედრო საქმეში ჩახედული კაცი ჩანს, აღფრთოვანებას ვერ იკავებს და ორიოდე სტრიქონის შემდეგ, ისევ იმეორებს: **„ასეთი ძლევა მისცემოდა, რომელ ხუთასი შუბი ხუთასსავე კაცსა ხუთასისა ცხენისა და კაცისათვის შეეცა და ხუთასსა ზედა დასობილი იხილეს**".[59] ეს გახლავთ საუკეთესო არგუმენტი ქართველთა მიერ *წაგრძელებული შუბით* განხორციელებული ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის სასარგებლოდ: ნებისმიერი სხვა ბრძოლის წესით მსგავსი შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია! მემატიანეს უდავოდ კარგად ესმის, თუ რა ოსტატობას მოითხოვს ასე უზადოდ განხორციელებული ცხენოსანთა შეტევა და სწორედ ამიტომ უთმობს ამ ეპიზოდს, სხვა ბრძოლებთან შედარებით, ასე დიდ ადგილს. მომხდარის გააზრებაში დაგვეხმარება ცნობილი არაბი მხედარი უსამა იბნ მუნკიზი, რომელიც სიამაყით აგვიწერს მის მიერ გადახდილ ერთ ბრძოლას, როდესაც თექვსმეტმა მუსლიმმა შეტევისას თექვსმეტი ფრანკი განგმირა შუბით.[60] ლეგენდარულ მუსლიმ რაინდს სრული საფუძველი აქვს ამ ფაქტით იამაყოს. ამავე დროს, თუკი შევადარებთ უსამას გმირობისა და მარდინის ეპიზოდის მასშტაბს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით უკანასკნელის მნიშვნელობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეტევის ანალოგის მოძიება ევროპულ ანალებშიც გაჭირდება.

ჯ. ფრანსი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთში, თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად ჯვაროსნები ცხენოსანთა შოკურ შეტევას ბევრად უფრო მასირებულად იყენებდნენ, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. მასირებული შეტევის განხორციელება მხოლოდ დისციპლინირებულ და კარგად შეწყობილ არმიას შეეძლო.[61] რადგანაც ასეთი შეტევა მასობრივად, ერთიანი ფრონტალური ხაზით ძნელი განსახორციელებელია, ევროპაში მას უფრო პატარა ტაქტიკური ერთეულებით (*კონსტაბულარია* ან *კონრუა*),[62] ერთმანეთის მიმდევრობით ასრულებდნენ. სპარსეთში ლაშქრობისას 500 მებრძოლის მიერ ერთდროულად შუბის გამოყენება მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა ერთიან, მასობრივ შეტევას, რაც იმდროინდელი ქართული არმიის მაღალ ტაქტიკურ ოსტატობაზე მეტყველებს. თამარ მეფის ისტორიკოსის

---

[58] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 105.

[59] იქვე, 105.

[60] *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades: Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*, 86.

[61] John France, "Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century," *Mediterranean Historical Review*, 15 (2000), 60-1.

[62] რაინდები იბრძოდნენ დისციპლინირებულ ფორმაციებში, პატარა ტაქტიკურ ერთეულებად დაყოფილები; *კონრუა* (*conroi*) სენიორის დროშის ქვეშ მოქმედი ვასალთა რაზმი იყო, რომელიც 10-40 რაინდისაგან შედგებოდა. ასეთი რაზმები ერთიან საბრძოლო წყობას ქმნიდნენ. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 7; Gillmor, "European Cavalry," 204.

სხვა ცნობიდან ჩანს, რომ ერთიანი, მასირებული შეტევა ქართული არმიის ჩვეული ტაქტიკური ხერხი იყო. 1195 წელს შამქორის ბრძოლაში „შეიქმნა ომი და კუეთება არათუ **სრულობით წარმოღურითა რაზმისათა**, გარნა წინამსრბოლთაგან".[63] მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამჯერად ადგილი არ ჰქონია ერთიან შეტევას (ანუ „რაზმების სრულ წარმოღურას"), არამედ მხოლოდ ცალკეულ მოწინავე ნაწილთა შეტაკებას.

ბრძოლისას, წყობა ნაადრევად რომ არ დაერღვია, ქართული მხედრობა (რაინდული კავალერიის მსგავსად) ჯერ ნელი ტემპით უახლოვდებოდა მტერს და მხოლოდ უშუალოდ შეტაკების წინ ცოტა აჩქარდებოდა (გადადიოდა ჩორთით სვლაზე).[64] ამ წესის დაცვით განხორციელებული შეტევა, როდესაც მოწინააღმდეგეს ცხენოსანთა ერთიანი მასა აღწევს, მეტად ძნელი მოსაგერიებელია. ქართველთა მიერ განხორციელებულ ამგვარ შეტევას აგვიწერენ წყაროები 1202 წელს ბასიანის ველზე რუმის სასულთნოს არმიის დამარცხებისას. ბრძოლის წინ ქართველებმა „დააწყუეს რაზმი" (ანუ განალაგეს წინამბრძოლი და სხვა ნაწილები) და „ესრეთ წყნარად ვიდოდეს";[65] „ვითარ იხილეს სულტანი, ცოტად ცხენნი ააჩქარნეს და მიმართეს".[66] „ცოტად ააჩქარეს", რათა ცხენოსანთა საბრძოლო წყობა დროზე ადრე (შეტაკებამდე) არ დაშლოდათ, რაც დარტყმას ძალას დააკარგვინებდა.

ამავე ეპოქაში დაწერილი „ვეფხისტყაოსანი" დამატებით დეტალებს გვაწვდის ჩვენი ვერსიის სასარგებლოდ:

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;
საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;
ერთსა წავსწყდი უტევანსა, **წავგრძელდი და წავე გრძელად**.
მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად...
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!"[67]

რუსთაველის მიერ აღწერილი იერიში ევროპელი რაინდის მიერ ჩატარებულ ტიპურ ბრძოლას ჰგავს: შეტაკების წინ მეაბჯრე ტარიელს შუბს აწვდის, მძიმე მუზარადს კი ცხენზე ან აბჯარზე დამაგრებულს ატარებს და

---

[63] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 70.

[64] ჯერ კიდევ VI საუკუნეში იმპერატორ მავრიკიოსს კარგად ესმოდა ცხენოსანთა მწყობრის შენარჩუნების მნიშვნელობა შეტევის წარმატებისათვის და მტერთან ჩორთით მიახლოებას ურჩევდა მათ. *Maurices's Strategikon*, 38. ასეთივე მოზომილი სვლით უახლოვდებოდა მტერს ნიკიფორე ფოკას მძიმე კავალერიაც. David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours* (London, 1998), 70. ევროპელ რაინდთა შემჭიდროებული, უზანგი უზანგთან მიტყუპებული წყობაც მხოლოდ მოწინააღმდეგის უშუალო სიახლოვეს გადადიოდა ჩორთზე. David Nicolle, *Knight of Outremer AD 1187-1344* (Oxford, 1996), 16. ამ საკითხზე უფრო ვრცელი მსჯელობისათვის იხ. Bennett, "*La Regle du Temple* as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge," 184-5.

[65] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 96.

[66] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 137.

[67] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტროფი 446-7.

ბოლო წუთს იხურავს.[68] საოცრად პოეტურადაა აღწერილი შეტევისას შუბის ვერტიკალური მდგომარეობიდან ჰორიზონტალურში გადაყვანა, როდესაც მხედრის სილუეტი შუბის ხარჯზე გრძელდება – „წავგრძელდი და წავე გრძელად", შემდგომ შეტაკება, როდესაც შუბი იმსხვრევა და რაინდი ბრძოლას ხმლით აგრძელებს. ცხადია, რომ შეტევა *წაგრძელებული შუბით* ხდება და არა რაიმე სხვა ხერხით. ასეთი შეტევისას შუბი ეჭირათ მარჯვენა ხელის მაჯით, მისი ბოლო კი იღლიაში ჰქონდათ ამოდებული. მაჯაზე დიდი დატვირთვის გამო ასეთი მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება ძნელია, რის გამოც შუბი ვერტიკალურად ზეაღმართული ეჭირათ და მხოლოდ შეტევისას, ბოლო მომენტში დახრიდნენ, ანუ შუბი გადაჰყავდათ ჰორიზონტალურ პოზიციაში.[69] სწორედ ეს პროცესი აქვს შოთა რუსთაველს ლამაზად აღწერილი.

XII და შემდგომი საუკუნეების წყაროებში აღნიშნული შუბის დალეწვის გახშირებული ფაქტები მიუთითებს დარტყმის დიდ ძალაზე და წაგრძელებული შუბით ბრძოლაზე.[70] ამის მანიშნებელია, აგრეთვე, ბრძოლისას ცხენიდან კაცის ჩამოგდებაც. შუბით ძლიერი დარტყმა, რომელიც მოწინააღმდეგეს ცხენიდან აგდებს, მიანიშნებს წაგრძელებული შუბის გამოყენებაზე.[71] მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში", რომელიც XII-XIII სს. საგმირო-სარაინდო რომანია, მრავლად ვხვდებით შუბის დალეწვის („შემოუტივა მან კაცმან და **შუბნი შემოალეწნა**")[72] და ცხენიდან ჩამოყრის ფაქტებს: „შეეკაზმა და **ოროლნი ჴელთა აიხუნა**. ექუსთავე შეუტივეს, **ჴელთა ოროლები ჰქონდა**. შეუტივა, ვითამცა ცოტანი ყმანი ყოფილ იყვნეს, ეგრე უჭირველად **ჩამოყარნა**".[73] ეს ეპიზოდი შესაძლოა, მხატვრული გაზვიადებაა, მაგრამ ნათლად აღწერს შუბით ბრძოლის რაინდულ წესს.[74] ნაწარმოებში აღწერ-

---

[68] ზუსტად ასე, ბოლო მომენტში, უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ იხურავს მუზარადს ევროპელი რაინდი. ამის საილუსტრაციოდ ცნობილი მაგალითიც კმარა, როდესაც 1217 წელს ლინკოლნთან ბრძოლაში უილიამ მარშალს სკვაირმა ბოლო წამს შეახსენა, რომ უკვე მუზარადის დახურვის დრო იყო. Michael Prestwich, "*Miles in Armis Strenuus*: The Knight at War," *Transactions of the Royal Historical Society*, 6 (1995), 205-6.

[69] Davis, *The Medieval Warhorse*, 19-21.

[70] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 68.

[71] Bernard S. Bachrach, "Caballus et Caballarius in Medieval Warfare," in *The Study of Chivalry: Resources and Approaches*, eds. H. Chickering and T. H. Seiler (Kalamazoo, 1988), 194. ტერმინი *Pleine sa hanste* მიანიშნებს შუბით განგმირულის გადმოვარდნას ცხენიდან, როცა იგი ყირავდება კუდისაკენ შუბის მთელ სიგრძეზე და *წაგრძელებული შუბის* გამოყენების ინდიკატორია. Ross, "L'originalité de "Turoldus": le maniement de la lance," 127, n. 3; Bennett, "Why Chivalry?" 53; Bachrach, "Animals and Warfare in Early Medieval Europe," 745-6.

[72] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა (თბილისი, 1967), 39-40.

[73] იქვე, 610-1. საინტერესოა, რომ ამ ეპიზოდში მზეჭაბუკი ექვს ჭაბუკს აფრთხილებს, რომ რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად საშიშ მოწინააღმდეგესთან ექნებოდათ საქმე, რადგანაც ისიც შუბით (ოროლით) იბრძვისო: „თუცა ექუსნი ხართ, გაგიძნელდების ომიო. **ოროლითა იბრძვის იგიცა**". მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 609.

[74] ს. მარგიშვილი ერთმანეთთან აიგივებს *ჰოროლს* და *ხელშუბს* და „წერილობით წყაროებში

ილია შუბით ისეთი ძლიერი დარტყმაც, როდესაც ის აბჯრის რამდენიმე ფენას ხვრეტს და რომელიც წაგრძელებული შუბის გამოყენებაზე მიუთითებს: „შემოუტივა, **ჰკრა ოროლი** და გატეხნა იგი პოლოტიკნი რკინანი, აბჯარი და რაცა იყო ტანსა მისსა, ყუელა, და დაკოდა ცოტად“.[”]

ლიტერატურულ ძეგლებში აღწერილია შუბის გამოყენების კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ეჭვმიუტანლად მიუთითებს წაგრძელებულ შუბზე და რომელიც *შუბის გამოწონას* ანუ მის გამოგრძელებას აღწერს: „ესრეთ წამოვიდა, ვითა ჩალმართსა შიგან ღვარი. **შუბი გამოწონა ცხენის ყურთა**“;[76] **„შუბი ცხენსა ყურთა შუა გამოწონა** და ფრინველივითა წამოვიდა, რომე მისის ცხენისა ფერხთა მტვერი ცამდის აამაღლა“.[77] ბრძოლის დასაწყისშივე, უშუალოდ შეტაკებამდე, წინასწარ შუბის *გამოწონა* მხოლოდ წაგრძელებული შუბის გამოყენებისას არის შესაძლებელი, როდესაც იღლიის ქვეშ ამოდებული შუბი უკვე გამოგრძელებულია (გამოწონილია); შუბით ბრძოლის ყველა სხვა ხერხის დროს შუბი მხოლოდ დარტყმის მომენტში გამოდის წინ.

საინტერესოა, რომ მსგავსი ტაქტიკური ხერხისა და ბრძოლის სტილის გამოყენება სხვა დონეზეც იწვევს მსგავსებას. ერთნაირი წესით მებრძოლებს ერთნაირი მორალი უყალიბდებათ, იქნება ეს ფრანკი რაინდი თუ ქართველი მოყმე: ორივე ერთნაირად აქებს ხელჩართულ ბრძოლასა და აძაგებს დისტანციურს, ანუ ისრის გამოყენებას. „ამირანდარეჯანიანში“, რომელიც იმდროინდელი სამხედრო წრეების შეხედულებებსა და მისწრაფებებს გადმოგვცემს, ორჯერ თუ ვხვდებით ორთაბრძოლაში ისრის გამოყენებას, რაც ორჯერვე დაგმობილია. მშვილდით ბრძოლა ისეთ აუგად ითვლება, რომ მას თავისიანებიც კი კიცხავენ! როდესაც ხოსრო ხაზართა მეფემ ისრით მოკლა მოწინააღმდეგე, მისმა ლაშქარმაც კი **„მაგრა აუგად დაუდვეს მშუილდითა შებმა**“.[78] ნათლად ჩანს, რომ მშვილდს რაინდის შესაფერისს

ჰოროლის (ხელშუბის) საკმაოდ ხშირი მოხსენიების“ საფუძველზე, XII საუკუნის ქართულ არმიაში ვარაუდობს მსუბუქი ცხენოსანი „ხელშუბოსნების დანაყოფების არსებობასაც“. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 190. რაიმე მონაცემი, რომლის მიხედვითაც XII საუკუნის ქართველი მხედარი ბრძოლაში ხელშუბს იყენებდა, არ არსებობს. რაც მთავარია, *ჰოროლი* ხელშუბი არ არის, იგი გრძელი შუბია. სულხან-საბას აღწერილობით, „ოროლი არს, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409. ი. შაიშმელაშვილიც, რომელიც ერთგან თავად მიუთითებს, რომ ჰოროლი ტარგრძელი შუბია, ნოვგოროდელი ქვეითის და რომაელი ლეგიონერის ანალოგიით (?!) მიიჩნევს, რომ მეომარს რამდენიმე ჰოროლი შეიძლება ეტარებინა. ჩანს, ჰოროლი მასაც ხელშუბი ჰგონია. ივანე შაიშმელაშვილი, *შამქორი, ბასიანი* (თბილისი, 1981), 20, 76. ასეთ შეცდომებზე სხვა დროს იქნებ ყურადღება არც გაგვემახვილებინა, მაგრამ შუა საუკუნეებში ქართველთა ბრძოლის წესის განხილვისას, ხელშუბისა და შუბის (ჰოროლის) აღრევა დაუშვებელია და ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ.

[75] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 169.

[76] იქვე, 774.

[77] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 105.

[78] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 233-4.

იარაღად არ თვლიდნენ და ორთაბრძოლაში მის გამოყენებას ერიდებოდნენ: „წინასვე თქუეს **მშუილდისა არა აღება**, ყოველსავე შუბითა, ჴრმლითა და ლახტითა იბრძოდეს".[79] როდესაც ორთაბრძოლის ერთი მონაწილე წესს არღვევს და მშვილდს მაინც იყენებს, მას ასე ამუნათებენ: „მუხთლად ლამობდი სიკუდილსა ჩემსა, წყეულმცა ხარ! **არა არს კარგისა ჭაბუკისა ჴელი ეგეთი მუხთლობა**".[80] ცხადია, რომ რაინდულ შერკინებაში მშვილდით ბრძოლა მუხთლობად ითვლება, რომელიც არ შეეფერება კარგ ჭაბუკს (რაინდს).

ავტორი, რომელიც თითქოსდა შუა საუკუნეების ყველა ეროვნების რაინდის პირით ლაპარაკობს, მარტივად გვიხსნის, თუ რატომ არ უყვარდათ მშვილდის გამოყენება ორთაბრძოლაში: „ომში ყუელა გუმარჯუია, განა **ისარი შორს მოჰკლავს კაცსა და ჭაბუკობა არა გამოჩნდების**".[81] აქ აღიარებულია ომში მშვილდ-ისრის როლი, მაგრამ ზემოქმედების დისტანციური ხასიათის გამო, მას არ თვლიან რაინდის შესაფერ იარაღად; „ჭაბუკობად", ვაჟკაცობად ითვლება ხელჩართული ბრძოლა მძიმედ შეჭურვილი მებრძოლის მონაწილეობით.[82] მეტად ნიშანდობლივია ასეთი მორალის ჩამოყალიბება საქართველოში, როდესაც გარემომცველ ისლამურ სამყაროში მშვილდი ყოველთვის პრესტიჟულ იარაღად ითვლებოდა.

ქართველ და დასავლელ რაინდთა მსგავსი ბრძოლის სტილი საბრძოლო წყობის მსგავსებაშიც გამოვლინდა. ოთხ სადროშოდ დაყოფილი საქართველოს შესახებ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობისა და XII-XIII საუკუნეებში ქართველთა მიერ გადახდილი ბრძოლების მონაცემების გათვალისწინებით შეგვიძლია ქართული ლაშქრის წყობის რეკონსტრუქცია: პირველ ხაზს ქმნის წინ წაწეული წინამბრძოლი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩანს და განაპირობებს პირველი დარტყმის სიძლიერეს; მეორე ხაზს – მარჯვენა და მარცხენა უკან დაწეული ფლანგები; კიდევ უფრო უკან, რეზერვში, მესამე ხაზში დგას მეფე (ან მთავარსარდალი)[83] (სურ. 5).

ამგვარ წყობას ბევრი უპირატესობა ჰქონდა: ღრმა, სამხაზიანი წყო-

---

[79] იქვე, 472-3.

[80] იქვე, 249-50.

[81] იქვე, 607.

[82] შორიდან ისრით კვლას დასავლელი რაინდებიც სამარცხვინოდ თვლიდნენ. Nicholson, *Medieval Warfare*, 99. ვრცლად, მშვილდოსნობის მიმართ რაინდთა კასტის დამოკიდებულების შესახებ იხ. A. T. Hatto, "Archery and Chivalry: A Noble Prejudice," *The Modern Language Review*, vol. 35, no. 1 (1940), 40-54.

[83] რა თქმა უნდა, ვითარებიდან გამომდინარე, სარდალს შეეძლო რომელიმე მხარე გაეძლიერებინა და ოთხის ნაცვლად სამ ნაწილად დაელაგებინა არმია, როგორც ამას ვახუშტიც მიუთითებს: „გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხუარიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი". ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 30. ქართული ლაშქრის სამხაზიანი წყობა და მისი უპირატესობები კარგად აქვს გაანალიზებული გ. ანჩაბაძეს: „ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები", 94-6. მაგრამ იგი ცდება, როდესაც თვლის, რომ ასეთი წყობა ქართველებს დასავლეთევროპელებზე ბევრად ადრე გვქონდა. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში ჯვაროსნები ასეთ წყობას ინტენსიურად იყენებდნენ. იხ. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 209-10.



სურ. 5
ქართული ლაშქრის სამხაზიანი წყობა: 1. წინამბრძოლი, 2. მარცხენა ფრთა, 3. მარჯვენა ფრთა და 4. რეზერვი.

ბის შექმნას მოლაშქრეთა შედარებით მცირე რაოდენობა სჭირდებოდა, ვიდრე ერთმანეთის უკან დგომის დროს; მარცხენა და მარჯვენა ფლანგი აგრძელებდა ფრონტის ხაზს, უტევდა მტერს ფრონტალურად ან ფლანგურად და იცავდა საკუთარ ფლანგებს; ანუ წინამბრძოლის შეტევის შემდეგ მეორე ხაზის რაზმები ან მოწინააღმდეგის მანევრს ანეიტრალებენ და ფლანგებს იცავენ, ან თავად უტევენ მტრის ფლანგს. რეზერვი ბრძოლაში ყველაზე ბოლოს, კრიტიკულ მომენტში ერთვება, უზრუნველყოფს დამარცხებული მტრის დევნას ან ფარავს უკანდახევას.[84]

საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთ სამხაზიან წყობას ხშირად იყენებდნენ ჯვაროსნებიც. ამის ფაქტები მოიპოვება სარმინის (1115 წელი), ათარიბის (1119 წელი), ჰაბის (1119 წელი) და ფილიპოპოლისის (1208 წელი) ბრძოლებში.[85] ეს სამხაზიანი, ოთხელემენტიანი წყობა ისეთი ეფექტური იყო, რომ XV საუკუნეში საქართველოს დაშლის შემდეგაც გამოიყენებოდა ქართულ სამეფოებში.[86] ქართველები მას XVIII საუკუნეში, ცეცხლსასროლი იარაღის ეპოქაშიც კი იყენებდნენ.[87]

აუცილებელია განვიხილოთ *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესისა და ცხენოსანთა შოკური შეტევის ავკარგიანობა მუსლიმურ არმიებთან დაპირისპირებისას. ზოგიერთი მოსაზრებით, რაინდული ტაქტიკა არ იყო ეფექტური აღმოსავლეთში, მობილურ მუსლიმ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში.[88]

---

[84] კრიტიკას ვერ უძლებს მ. მახათაძის მიერ ქართული ლაშქრის ოთხნაწილიანი წყობის ხელოვნურად სამად „გადაკეთების" მცდელობა იოანე პეტრიწის ერთი თარგმანის საფუძველზე. ავტორი რეზერვს ანუ ქართული საბრძოლო წყობის მეოთხე კომპონენტს „არა მუდამ აუცილებელს და, ამიტომ, არამთავარს" უწოდებს, რომლის „მოხსნაც" (?!), მისი აზრით, ადვილადაა შესაძლებელი. მ. მახათაძე, „იოანე პეტრიწი ქართული საბრძოლო წყობის შესახებ", *სპიშ*, IV (1978), 161-2. მკვლევრის მიერ რეზერვის ასეთი შეფასება არ ითვალისწინებს ისტორიულ რეალობას და მიუღებელია.

[85] Verbruggen. *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 210.

[86] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 31; კლიმიაშვილი, „მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის", 121-7.

[87] თეიმურაზ II, „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება", *თხზულებათა სრული კრებული*, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით (თბილისი, 1939), 86-7.

[88] მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, კ. მარშალის აზრით, რაინდთა შეტევა მძლავრი, მაგრამ მოუქნელი იარაღი იყო. მისი თქმით, მუსლიმთა არმიებმა გასაღები მოუძებნეს წაგრძელებული შუბით შეტევაზე დაფუძნებულ რაინდთა ტაქტიკას: უფრო მსუბუქი და მობილური მუსლიმი

მიუხედავად ცხენოსან მოისართა სიძლიერისა,[89] ფაქტია, რომ XII-XIII საუკუნეებში ყველაზე საშიშ იარაღად მუსლიმი ცხენოსნები შუბს თვლიდნენ და ხშირად, უხალისოდ ზურგს აქცევდნენ კიდეც ასე შეიარაღებულ მოწინააღმდეგეს.[90] ატ-ტარსუსი, სალადინისათვის დაწერილი ცნობილი სამხედრო ტრაქტატის ავტორი, ურჩევდა ცხენოსან მოისარს, პირველ რიგში, შუბოსანი მოწინააღმდეგისათვის მიექცია ყურადღება და არ დაეშვა მისი მოახლოება,[91] მაშინ როდესაც, ხმლით შეიარაღებული, პირიქით, ახლოს უნდა მოეშვა და ისე ესროლა აუცდენლად ისარი.[92]

XII საუკუნის განმავლობაში ქართული ლაშქრის წარმატებების სერია

ცხენოსანი მოისრები იქსაქსებოდნენ, ხსნიდნენ თავიანთ რიგებს, ატარებდნენ და უკნიდან ესხმოდნენ თავს შეტევაზე გადმოსულ რაინდებს, რომელთაც მიზნის დაკარგვის შემდეგ უჭირდათ გადაჯგუფება და ახალი იერიშის მიტანა. Marshall, *Warfare in the Latin East*, 159-61; მისივე, "The Use of the Charge," 226. შედარებითი მოუქნელობის გამო, დ. ნიკოლი, საერთოდ, ტაქტიკურ ჩიხს უწოდებს *წაგრძელებული შუბით* ბრძოლას. David Nicolle, "The Impact of the European Couched Lance on Muslim Military Tradition," *The Journal of the Arms and Armour Society*, 10 (1980), 6. რა თქმა უნდა, ისეთი მობილური მტრის წინააღმდეგ, როგორიც მუსლიმური არმიები იყო, დასავლელ რაინდთა თავზეხელაღებულ, მოუმზადებელ შეტევას წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდა. ეს წარუმატებლობები განპირობებული იყო ევროპიდან ახლად ჩამოსული ჯვაროსნების მიერ ადგილობრივი სპეციფიკის არცოდნით, ასევე მუსლიმთა ტაქტიკით, რომელთაც შორიდან ისრის სროლით მოთმინებიდან გამოჰყავდათ რაინდები და მოუწესრიგებელი შეტევის პროვოცირებას იწვევდნენ. Marshall, "The Use of the Charge," 222. როდესაც ფრანკები მოთმინებას იჩენდნენ და შოკურ შეტევას საჭირო დროს ახორციელებდნენ, შედეგი სრულიად განსხვავებული იყო. ასევე, არასწორია ვისაუბროთ ჯვაროსნული ომების დროს მუსლიმური საბრძოლო სტილის ისეთ ადაპტაციაზე, რამაც თითქოსდა ევროპელთა მთავარი იარაღი – ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა, არაეფექტური გახადა. რა თქმა უნდა, გარკვეულ ცვლილებებს და მოწინააღმდეგის ბრძოლის სტილსა და თავისებურებებს ორივე მხარე ითვალისწინებდა, და ამას არა მხოლოდ მუსლიმები, არამედ ჯვაროსნებიც აკეთებდნენ, რაზეც მიუთითებს ქვეითი ჯარისა და მეარბალეტეების გაზრდილი როლი. აღმოსავლეთში ჯვაროსანთა ბრძოლის სტილის ადაპტაციისათვის იხ. France, "Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century," 49-66. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაინდული შეტევის წარმატებას არა მარტო მოწინააღმდეგის ქმედება განაპირობებდა, არამედ საკუთარი მეთაურების გამოზომილი და სწორი გადაწყვეტილებები, რაც შეტევის დროისა და ობიექტის სწორად არჩევაში გამოიხატებოდა. არც მუსლიმთა ტაქტიკას განუცდია ისეთი ცვლილებები, რომ ჯვაროსანთა წარუმატებლობები ამას დავაბრალოთ და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის ყაელგასულობა ვივარაუდოთ. მეტიც, ჯვაროსნები საბოლოოდ სწორედ ისეთმა მოწინააღმდეგემ (მამლუქებმა) დაამარცხა, რომელიც წინამორბედ მუსლიმურ არმიებთან შედარებით ბრძოლის ველზე უფრო სოლიდურ სამიზნეს წარმოადგენდა და სულაც არ უფრთხოდა ხელჩართულ ბრძოლას. მამლუქებთან მარცხის მთავარი მიზეზი ჯვაროსანთა შედარებით მცირე სამხედრო პოტენციალია, რის გამოც ჯვაროსნები პრაქტიკულად ვერ ახერხებდნენ ბრძოლის ველზე საველე არმიის გამოყვანას და ინიციატივა მუდამ მოწინააღმდეგეს ეპყრა ხელთ, და არა ის, რომ თითქოს მუსლიმებმა გასაღები უპოვეს ჯვაროსანთა ტაქტიკას.

[89] მეორე მხრივ, ცხენოსან მოისართა ტაქტიკური სისუსტეები გაანალიზებულია ჩ. ბოულუსის სტატიაში. Charles R. Bowlus, "Tactical and Strategic Weaknesses of Horse Archers on the Eve of the First Crusade," in *Autour de la Premiere Croisade*, ed. M. Balard (Paris, 1996), 159-66.

[90] Nicolle, *Saracen Faris*, 28.

[91] ცხენოსანი მოისარისათვის ძალიან სახიფათო იყო, როდესაც მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით შუბოსანი, მას მარჯვენა მხრიდან უახლოვდებოდა. Bivar, "Cavalry Equipment and Tactics on the Euphrates Frontier," 290.

[92] David Nicolle, *Saladin and the Saracens* (Oxford, 1986), 17.

მუსლიმურ არმიებთან ბრძოლაში ცხენოსანთა შოკური შეტევის მაღალი ეფექტურობის უტყუარი მაჩვენებელი არის. XIII საუკუნეში ჯუვეინი პირდაპირ წერს, რომ სირიისა და რუმის ძლევამოსილი მმართველები უფრთხოდნენ და გაურბოდნენ „ბრძოლაში ქართველთა მძვინვარებას".[93] ეს „მძვინვარება" მნიშვნელოვანწილად ბრძოლის სტილითაა განპირობებული და ასოცირდება შუბგამართულ მომქროლავ მხედართან, რომლის იერიში მართლაც რომ საზარელია. წაგრძელებული შუბით შოკური შეტევა ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე: ასეთივე „მძვინვარე" და „შეუჩერებელი" ჩანს ჯვაროსანთა შეტევაც.[94]

განსაკუთრებით საინტერესოა მამლუქთა წინააღმდეგ მოქმედი ქართული არმიის საბრძოლო გამოცდილების ანალიზი. მამლუქთა წყობის წინააღმდეგ ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის ეფექტურობის ნიშანი შეიძლება ვიპოვოთ მონღოლ-მამლუქთა ომებში მონაწილე ქართველთა კონტინგენტის წარმატებაში. ყველგან, სადაც ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობაა აღწერილი, ისინი ყოველთვის ახერხებენ მტრის რიგების გარღვევას და მოწინააღმდეგე ვერ აჩერებს მათ შეტევას. ბარ ჰებრეუსი მოგვითხრობს, რომ 1277 წელს აბულისტანის ბრძოლაში მონღოლთა არმიაში სამი ათასი ქართველი იმყოფებოდა, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბეიბარსის ლაშქარს. ბრძოლაში გამარჯვებულმა მამლუქებმა ვერ მოახერხეს ქართველთა შეტევის შეჩერება, რომლებმაც გაარღვიეს მამლუქთა რიგები და „მრავალი ეგვიპტელი დასცეს ძირს".[95]

1281 წელს ჰომსის ბრძოლაში მონღოლთა მარჯვენა ფრთამ, სადაც დემეტრე მეფის მეთაურობით 5 000 ქართველიც იდგა, მამლუქთა საპირისპირო, მარცხენა ფრთა მოშალა და გააქცია. ა. მარტინეცის ვარაუდით, ამ წარმატებაში მძიმე შეიარაღების გამო ლომის წილი მონღოლთა მოკავშირეებს (ქართველები, სომხები, სელჩუკები) მიუძღვით.[96] რ. ამიტაი-პრაისი ეჭვის თვალით უყურებს ამ მოსაზრებას. მისი აზრით, და სამართლიანადაც, სომხებს არასოდეს გამოუჩენიათ მამლუქებთან ომში თავი, და არც თურქული კონტინგენტის მძიმე შეიარაღებაა სარწმუნო.[97] მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ა. მარტინეცი მაინც უფრო ახლოსაა სიმართლესთან.[98] რ. ამ-

---

[93] Ала-ад-Дин Ата-Мелик Джувейни, *Чингисхан: История Завоевателя Мира* (Москва, 2004), 318.

[94] Anna Komnene, *The Alexiad*, trans. E. R. A. Sewter, revised by Peter Frankopan (London, 2009), 378.

[95] Bar Hebraeus, *The Chronography,* trans. Ernest A. Wallis Budge, vol. I (1932; repr., New Jersey, 2003), 457.

[96] A. P. Martinez, "Some Notes on the Il-Xanid Army," *Archivum Eurasiae Medii Aevi*, 6 (1986), 158-65.

[97] Reuven Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks: The Mamluk-Ilkhanid War* (Cambridge, 1995), 195-6.

[98] საინტერესოა, რომ მარტინეცის აზრი ემთხვევა იმდროინდელ შეხედულებებსაც: ილხანთა ირანში ნამყოფი დომინიკანელი მოგზაური გიიომ ადამი ეგვიპტელ მამლუქებზე მონღოლთა გამარჯვებებს მხოლოდ მათ მხარდამხარ მებრძოლ ქართველ მეომრებს მიაწერს. Peter Jackson, *The Mongols and the West, 1221-1410* (Harlow, 2005), 185. ქართველთა შესაძლებლობების ამგვარი შეფასება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, თუმცა ამ შეხედულებას რეალური საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ამის დასტურს მამლუქთა ქრონიკებშიც ვპოულობთ, სადაც ქართველები

იტაი თავად აღიარებს, რომ არ გააჩნია მონაცემები ქართველთა არმიის შესახებ, რის გამოც მსჯელობაც უჭირს, თუმცა, ვერც საპირისპირო არგუმენტს პოულობს.[99] რაც შეეხება ქართველთა შეიარაღებას, ის მართლაც მონღოლურზე მძიმე და დაახლოებით ევროპელ რაინდთა შეიარაღების ტოლფასი იყო (უფრო მსუბუქი, ღია მუზარადით, მაგრამ სხეულის უკეთესი დაცვით – გრძელი ჯაჭვითა და ლითონის ლამელარით),[100] მაგრამ გადამწყვეტ როლს შეასრულებდა არა მათი შეიარაღების სიმძიმე, არამედ ბრძოლის სტილი, ცხენოსანთა შოკური შეტევა, რომელსაც ვერ გაუძლო მამლუქთა ფრთამ.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს საინტერესო დეტალებს ქართველთა ამ წარმატებული შეტევის შესახებ: „ეცნა სულტანსა ნასირ მელიქს მოსლვა თათართა, წარმოსრულ იყო ყოვლითა ძალითა მისითა, და მოვიდა იგიცა. და ვითარ იხილა მანგუ-დემურ სულტანი და სპა მისი, ამჴედრდა და წინაგანეწყო. ხოლო მეფე დიმიტრი, დაღათუ ჯერეთ არა სრულ იყო დღითა ბრძოლათათჳს, ევედრა მანგუ-დემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს იგი და სპა მისი, რომლისათჳსცა ისმინა. ხოლო ვინათგან **უწყოდა სულტანმან წყობათა შინა მჴნედ წინადაუდგრომლობა მეფისა და სპათა მისთა,** ამისთჳს რჩეული მჴედარი ათორმეტი ათასი თანაიყოლია და წინაშე დაიყენა ორთა თანა მთავართა მჴნეთა, რათა განძლიერებასა და შენივთებასა ბრძოლისასა **უკანასკნელ მიმტევებელთა** სძლონ და აოტნენ ქართველნი".[101] მაშასადამე, ჟამთააღმწერელიც გვიდასტურებს, რომ მამლუქებმა იცოდნენ

მოიხსენიებიან, როგორც „მონღოლთა ყველაზე მძლავრი მოკავშირეები და მათი ყველაზე მნიშვნელოვანი დამხმარენი, ისევე როგორც მუსლიმთა ყველაზე დაუძინებელი მტრები". J. Pahlitzsch, "Georgians and Greeks in Jerusalem (1099-1310)," in *East and West in the Crusader States: Context – Contacts – Confrotations*, eds. K. Ciggaar and H. Teule, vol. 3 (Leuven and Dudley, MA, 2003), 41. ეგვიპტის სულთნის მდივანი ალ-უმარი ასე ახასიათებს ქართველებს: „რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს, ისინი მტკიცენი არიან ჯვრის სარწმუნოებაში და გულადი და მამაცი ხალხია მათგან [ქრისტიანთაგან]. ამბობენ: მუსლიმებში არიან ქურთები, ხოლო ქრისტიანებში – ქართველები. ისინი ჰულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს წარმოადგენენ, რომელსაც ისინი ენდობიან და ეყრდნობიან". *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ*, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა (თბილისი, 1988), 51; ცნობის ქართული თარგმანი, დ. აიალონის მიხედვით, დააზუსტა გოჩა ჯაფარიძემ, „შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ", *სამეცნიერო პარადიგმები* (თბილისი, 2009), 196.

[99] რ. ამიტაის აზრით, მარტინეცი 1270 წელს აბაღა ყაენსა და ბარახას შორის გამართულ ჰერათის ბრძოლაშიც აჭარბებს ქართველთა მნიშვნელობას. Amitai-Preiss. *Mongols and Mamluks*, 225. მართლაც, ბრძოლის ანალიზის შედეგად, ა. მარტინეცი თვლის, რომ მთავარი როლი მძიმე კავალერიამ ითამაშა და ქართველთა მხედრობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. Martinez, "Some Notes on the Il-Xanid Army," 155. ამის დასტურად მოგვეპოვება მემატიანის მიერ აღწერილი ქართული კავალერიის წარმატებული შეტევა: „ხოლო ქართველთა ძლიერად იწყეს ომი, რამეთუ თჳთ ხედვიდა ყაენი, რომელ წინამდგომთასა მეფემან და სპათა მისთა უწინ შეუტიევეს და სივლტოლად მიდრიკნეს". ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 152.

[100] ვერ გავიზიარებთ ა. მარტინეცის აზრს, რომ განსახილველ ეპოქაში ქართველთა აბჯარი საკმაოდ მძიმე, თუმცა კი ფრანკებისაზე უფრო მსუბუქი იყო. Martinez, "Some Notes on the Il-Xanid Army," 150.

[101] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 170.

ქართველთა პირველი დარტყმის ძალა და რეზერვის წყალობით აპირებდნენ მათ განეიტრალებას, რაც უდავოდ ლოგიკურია და დამაჯერებლობას სძენს მემატიანის ნაამბობს.[102]

ის დიპლომატიური ძალისხმევაც, რომელსაც ეგვიპტის სულთნები მიმართავდნენ ქართველ მეფეებთან მოსალაპარაკებლად[103] და მათი ინტერესების პატივისცემა წმინდა მიწაზე, პირველ რიგში გამოხატავს მამლუქთა მისწრაფებას, კონსენსუსი გამოეძებნათ ქართველებთან და ჩამოეშორებინათ მონღოლთა ლაშქრისაგან მათი კონტინგენტი, რომელიც, თავისი ბრძოლის სტილით, მუდმივ პრობლემებს უქმნიდათ. ის უპირატესობები, რომლებიც, ყველა სხვა ქრისტიანი ერისაგან განსხვავებით, ქართველ პილიგრიმებს ჰქონდათ წმინდა მიწაზე (ცხენზე ამხედრებული, შეიარაღებული, დროშებგაშლილი სიარულის ნებართვა) და რომელსაც ერთხმად აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები, არის ქართველთა საბრძოლო შესაძლებლობების აშკარა დასტური და მიუთითებს მამლუქ სულ-

---

[102] რ. ბედროსიანის კვალდაკვალ, რ. ამიტაიც თვლის, რომ ქართველთა წინამბრძოლში ყოფნა იმით იყო განპირობებული, რომ მონღოლებს არად ენაღვლებოდათ მოკავშირეები. Robert Bedrosian, "The Turko-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13th-14th Centuries," (PhD Dissertation, Columbia University, 1979), 195-6; Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks*, 225. ვფიქრობთ, არასწორია საკითხს თანამედროვე გადასახედიდან შევხედოთ და არ გავითვალისწინოთ, რომ წინამბრძოლობის პატივისათვის შუა საუკუნეებში ერთმანეთს ხშირად ეცილებოდნენ: ასეთი დავის გამო წააგეს შოტლანდიელებმა სტანდარდის ბრძოლა 1138 წელს, ქართველებმა კი სოხოისტას ბრძოლა 1545 წელს. Matthew Strickland, *War and Chivalry: The Conduct and Perception of War in England and Normandy, 1066-1217* (Cambridge, 1996), 113-4; *ქართლის ცხოვრება*, II, 499. როგორც ჩანს, საქმე უფრო მარტივად იყო: ქართველთა ბრძოლის სტილი და შოკური შეტევა განაპირობებდა მათი პირველი დარტყმის სიძლიერეს და გასაკვირი არ არის, რომ ისინი წინამბრძოლში იდგნენ. ბუნებრივია, რომ მოკავშირეთა ამ უნარს მონღოლები დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, რაზეც 1241 წელს ქოსე დაღის ბრძოლაც მიუთითებს, სადაც „ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლ-ყვეს". ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 77. როგორც აღინიშნა, სახელისა და დიდების მოყვარული რაინდისათვის წინა რიგებში ბრძოლა ყოველთვის სასურველი იყო. Дельбрюк, *История военного искусства в рамках политической истории*, т. 3, 178. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამარჯვების შემთხვევაში პირველ რიგებში ბრძოლა კარგი ნადავლის გარანტია იყო. ამის საილუსტრაციოდ ერთ ფაქტს მოვუხმოთ: მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს რიჩარდ ლომგულს ქება შეასხეს ნადავლის ისე გაყოფისათვის, როდესაც მან ექსპედიციაში მონაწილეთა გარდა წილი არგუნა აღალის დამცველებსაც. Nicholson, *Medieval Warfare*, 133-4. ეს გამონაკლისი კარგად ხსნის, თუ რატომ ისწრაფოდნენ ბრძოლაში და წინა რიგებში მონაწილეობას, რადგან ისე შეიძლება არაფერი არ რგებოდათ. ამის შემდეგ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვის ლაშქარშიც ქართველები წინა რიგებში დგომას ითხოვდნენ, როგორც ამას ხშირად აღნიშნავს ჟამთააღმწერელი. წინამბრძოლში ომობდა ქართველი ფეოდალი ბოცო წმედისძეც, რომელმაც ილხანთა ტახტისათვის 1336 წელს გამართულ ყარა დარას გადამწყვეტ ბრძოლაში მონინააღმდეგის მხედართმთავარი ალი ფადიშაჰი დაატყვევა. თემო ჯოჯუა, „ეფრემ მცირის ჰომილეტიკური კრებულის (S-1276a) 1370-1390-იანი ნლების მინაწერის ცნობები მონღოლ სარდლებს – ულუსის ამირა შეიხ ჰასან ბოზორგსა და ამირა ალი ფადიშაჰს შორის 1336 წელს გამართულ ყარა დარას ბრძოლაში ტაოს ერისთავის ამირღამბარ I ფანასკერტელის ვასალის, ტაოელი ფეოდალის ბოცო წმედისძის მონაწილეობის შესახებ", *საისტორიო კრებული*, 5 (2015), 223-43.

[103] Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks*, 150-1; Christian Muller and Johannes Pahlitzsch, "Sultan Baybars I and the Georgians: In the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem," *Arabica*, 51 (2004), 277-81.

თანთა დიდ სურვილზე, გამოეთიშათ ქართული მხედრობა მონღოლთა რიგებიდან.[104]

წმინდა მიწაზე ქართველთა დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ევროპელ ავტორთა უამრავი ცნობაც, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია მათი ბრძოლის უნარი.[105] ფიდენცო პადუელის, გიიომ ადამის, ფილიპე VI-ის მიერ წმინდა მიწის გამოსახსნელად შედგენილი ჯვაროსნული გეგმები საკმაო იმედებს ამყარებდა ქართველთა მონაწილეობაზეც.[106] ვფიქრობ, რომ ასეთი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში ლომის წილი მიუძღვის *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესსა და ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკას, რომლებიც მნიშვნელოვანწილად აპირობებდნენ ქართველთა წარმატებებს მუსლიმურ არმიებთან ბრძოლაში.

XIII საუკუნის მეორე მესამედიდან, მონღოლური ზეგავლენის შედეგად, ქართველთა აღჭურვილობა და ბრძოლის სტილი საგრძნობ ტრანსფორმაციას განიცდის: შეიარაღებაში ჩნდება მშვილდი, რომელიც იარაღის სავალდებულო ჩამონათვალს ემატება. ამისდა მიუხედავად, ძირითად იარაღად ისევ შუბი რჩება, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კარგავს ძველ მნიშვნელობას.[107] აქვე უნდა ითქვას, რომ *წაგრძელებული შუბის* გარდა, რამდენიმე გვიანდელ მინიატურაზე ჩვენ გვხვდება შუბის ჭერის სხვა ხერხებიც: ორი ხელითა და ბილიარდის კიის მსგავსად. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ირანელთა დიდი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წაგრძელებულ შუბს, ალბათ, სხვა სტილით შუბის გამოყენებაც ენაცვლებოდა, საუკუნეების განმავლობაში ცხენოსანთა შეტევის სტილი არ იცვლება და შოკური შეტევა ქართველთა უსაყვარლეს ტაქტიკურ იარაღად რჩება.

---

[104] ამის ნიშანს ჯერ კიდევ 1266 წლის სულთან ბეიბარსის საბუთში ვპოულობთ, რომელიც იერუსალიმში და მის შემოგარენში ქართული მონასტრების მფარველობას ითვალისწინებს. Muller and Pahlitzsch, "Sultan Baybars I and the Georgians," 260-1. საქმე იქამდე მივიდა, რომ სულთანმა ალ-ნასირ მუჰამედმა, მუსლიმ ღვთისმეტყველთა წინააღმდეგობის მიუხედავად, 1310 წელს ქართველებს დაუბრუნა მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი. Pahlitzsch, "Georgians and Greeks in Jerusalem," 42-6; გოჩა ჯაფარიძე, „როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი?" *შოთა მესხია 90*, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი (თბილისი, 2006), 289-98. მუსლიმური მეჩეთის ქრისტიანებისათვის დაბრუნება სამართლიანად კვალიფიცირებულია, როგორც „უაღრესად იშვიათი შემთხვევა". Richard B. Rose, "The Native Christians of Jerusalem, 1187-1260," in *The Horns of Hattin*, ed. B. Z. Kedar (Jerusalem, 1992), 243.

[105] მამუკა წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", *საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, ტ. I (თბილისი, 2013), 319-23.

[106] Guillaume Adam, "De modo Sarracenos extirpandi," in *Recueil des Historiens des Croisades, Documents Armeniens*, vol. 2 (Paris, 1906), 534; Adam Knobler, "Missions, Mythologies and the Search for non-European Allies in anti-Islamic Holy War, 1291-c. 1540," (Ph.D. Dissertation, University of Cambridge, 1989), 55-6, 66-7, 71.

[107] წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", 333-4.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს XIII საუკუნის შუახანებში თურქებთან ბრძოლაზე, სადაც მანდატურთუხუცესი შანშე ჰოროლით კლავს თურქს: „ვითარ მიეახლნეს, დააწყვეს რაზმი და მიეტევნეს. ხოლო **შანშე უპირატეს ყოველთასა მიეტევა, რომელმან ჰოროლითა განგუმირა** სახელოვანი თურქი".[108] 1260 წელს, მონღოლებთან ბრძოლისას ქართველები შუბებით უტევენ და სამცხის სპასალარი ჰოროლით ცხენიდან აგდებს მონღოლთა რჩეულ მებრძოლს: „ვითარ დაეახლნეს ურთიერთას, ზედამიეტევნეს მესხნი განლაღებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა **მიუჴდა რაზმსა და უმჴნესი მათი, ჩინ-ბაადური, ჰოროლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა**".[109]

საინტერესო ინფორმაცია გაგვაჩნია XIV საუკუნის ბოლოსათვის: თემურ-ლენგთან ბრძოლაში „ესეოდენი სიმჴნე აჩუენეს სპათა საქართველოსათა, ვითარმედ, შეჰჴდიან კისკასად შუასა შინა რაზმთა მათთასა, და ეგრეთ მახულ-წვდილნი სრვიდეს, და **განვიდიან თავითგან ვიდრე ბოლომდე**, და კუალად მათგან **უვნებელად უკმოიქცეოდიან** შორის ბანაკისა მის ისმაიტელთასა. და ესრეთ სახელოვნად გამარჯუებულნი მოვიდიან ღვთივ-გურგუნოსნისა მეფისა გიორგის წინაშე და მოულოცევდიან განმარჯუებასა".[110] აქ აღწერილი შეტევა ჰგავს რაინდულს, რომლის მთავარი ნიშანია მოწინააღმდეგის რაზმის რიგების გარღვევა („განვიდიან თავითგან ვიდრე ბოლომდე") და ისევ უკან გამოვლა ბრძოლით საკუთარ რიგებამდე („კუალად მათგან უვნებელად უკმოიქცეოდიან"), შემდგომ გადაჯგუფება („მოვიდიან ღვთივ-გურგუნოსნისა მეფისა გიორგის წინაშე") და ხელახალი იერიში. ჩანს ქართველ მოყმეთა დისციპლინაც, როდესაც იერიშის შემდეგ გადასაჯგუფებლად უკან ბრუნდებიან მეფის დროშასთან.

ეჭვმიუტანელი ინფორმაცია *წაგრძელებული შუბის* გამოყენების შესახებ გვაქვს 1483 წელს არადეთის ბრძოლაში, სადაც შალიკაშვილი და მაჩაბელი შეებნენ ერთმანეთს: „შემოსცა შუბი შალიკაშვილმან და გაუხეთქა კუბო ფარისა და განავლო მჴარსა შიგან და გარდმოაგდო ცხენიდამა".[111] თუ არა *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესი, სხვანაირად წარმოუდგენელია ისეთი ძალის დარტყმა, რომელიც ფარს გახეთქავს და მხარში მოხვედრილი ცხენიდან გადმოაგდებს მოწინააღმდეგეს.

XVI საუკუნეში, ქართლის მეფეების, ლუარსაბ I-ისა და სვიმონ I-ის მონაწილეობით მიმდინარე ბრძოლების შესახებ საგულისხმო დეტალები შემონახულია „ახალ ქართლის ცხოვრებასა" და ფარსადან გორგიჯანიძესთან. 1556 წელს გარისის ბრძოლაში ლუარსაბ მეფემ „თათარნი დაინახა, **მეაბჯრეს**

---

[108] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 95.

[109] იქვე, 124.

[110] *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 462.

[111] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 347.

შუბი გამოართვა და წინ მიეგება და ცხენს დაუძრა".[112] 1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში სვიმონ მეფე ირანელებს „საომრათ წინ მოეგება. მეფე სვიმონ შუბი ჴელთ... თათართ ლაშქარში გამოერია... **შუბით მრავალი თათარნი გარდმოჰყარა**... მეფეს შუბი გაუტყდა".[113] იმავე ბრძოლაში ქართლის მეფე შუბით უტევს და ცხენიდან აგდებს ყიზილბაშს: „მოუჴდა მეფე სვიმონ ერთსა ჭურვილსა ყიზილბაშსა, **სცა ძლიერად ოროლითა და დაანარცხა მიწასა ზედა**, და მოკლა იგი".[114] დადიანთან წაგებულ ომში გასაქცევად გამზადებულ სვიმონ მეფეს მისმა ერთმა „შეზრდილმა", საამ თურქესტანიშვილმა, უთხრა: „აქედამ შუბმოუქნეველი არ წავალო. **შეუტივა და ჩამოაგდო კაცი** და იყო გულსრულად დამარცხებულს ომში თურქისტანიშვილი".[115] კვლავ გვხვდება შუბის დარტყმით ცხენიდან კაცის ჩამოგდება: „შეისწრაფა რაზმთა შინა, სცა ოროლითა და გარდააგდო კაცი".[116] 1599 წელს ნახიდურთან ბრძოლაში აღწერილია სვიმონ მეფის შეტევა ოსმალებზე: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი **შუბდაგრძელებულნი** ცხენჭენებით მიეტივნეს ანაზდეულ, ვითაც ჩქაფის წვიმა სეტყვის ღვარნი მთისგან. გაპეს რაზმი ურუმთა და გარდმოყარეს მრავალნი და გაიარეს შიგა ყველამ... ურუმნი გაკვირვებულ იყვნენ ამათს მამაცობასა, რომ ვისაც გარდმოაგდებდენ, გასცილდიან სხვაზედ და თითოს ქართველს ოთხი თუ ხუთი ურუმი ცხენიდამ გარდმოეგდო და მეფე ჴელშუბიანი[117] რომელს თოყსა და დროშას შეუტევდის, მოშლიდის".[118]

ამ ეპიზოდებში ვხედავთ შუბით ბრძოლასა და მის მსხვრევას, მეაბჯრეს, რომლის მოვალეობაც შუბის მიწოდებაა (ევროპელის მსგავსად, იგი ქართველი რაინდის განუყრელი მხლებელია), მტრის ცხენიდან ჩამოგდებას და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნახიდურთან ბრძოლის აღწერა, რომელიც კლასიკური რაინდული შეტევის განსახიერებაა და კიდევ ერთხელ მიანიშნებს *წაგრძელებული შუბის* გამოყენებაზე („ქართველნი შუბდაგრძელებულნი").

XIV-XV საუკუნეების შესახებ დამატებით მოგვეძევება გამომსახველობითი მასალაც, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მონღოლურ-ნომადური ზეგავლენის შედეგად ტრანსფორმირებულ ქართულ მხედრობაზე, რომლის მთავარი საბრძოლო ხერხი კვლავინდებურად *წაგრძელებული შუბია*. XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნში, რომელიც ინფორმაციას გვაწვდის თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა შეიარაღებაზე, ბრძოლის ერთ სცენაში ვხედავთ წაგრძელებული შუბით იერიშს და

---

[112] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 217.

[113] იქვე, 219.

[114] *ქართლის ცხოვრება*, II, 514.

[115] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 377.

[116] *ქართლის ცხოვრება*, II, 534.

[117] იგულისხმება, რომ მეფეს ხელთ შუბი ეპყრა და არა „ხელშუბი".

[118] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 223.



სურ. 6
ნინა პლანზე მხედარი ნაგრძელებული შუბით გმირავს მონინააღმდეგეს. H1665 დავითნი, 222r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

განგმირულ მოწინააღმდეგეს (სურ. 6). მეორეგან, 201v მინიატურაზე, წინა პლანზე გამოსახული ორი მხედარიდან ორივე (!) წაგრძელებული შუბით გმირავს მეტოქეს (სურ. 7). მიუხედავად იმ კონსერვატიზმისა, რასაც ქართული იკონოგრაფია წმინდა გიორგის გამოსახვაში იჩენს, წაგრძელებული შუბის გამოსახულებამ აქაც შეაღწია. შემორჩენილია XV საუკუნის რამდენიმე ჭედური ხატი, რომელზეც წმინდანი *წაგრძელებული შუბით* გმირავს გველეშაპს. ამგვარ, მეტად იშვიათ, კომპოზიციას ვხედავთ ჟიბიანის, გულეკარისა და თბილისის სიონის ხატებზე, ბოდორნის საწინამძღვრო ჯვარზე.[119] მიუხედავად ნომადური ზეგავლენისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებაში მშვილდის არსებობით გამოიხატება, მხედარი მაინც რაინდული წესით იბრძვის (სურ. 8).

განსაკუთრებით მდიდარი ნარატიული მასალა გაგვაჩნია XVII საუკუნის ბრძოლების შესახებ. ამ საუკუნის მეორე ნახევრის თბილელი მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე ისტორიულ პოემაში „დიდმოურავიანი" მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 1609 წლის ტაშისკარის ბრძოლაზე. ერთგან, გიორგი სააკაძე ძლივს აკავებს მტერზე ნაადრევი შეტევის მსურველებს: „მე სადავენი შევტაცი, ვინ **შუბი წაიგრძელაო**".[120] მშვენივრად ჩანს, რომ შეტევაზე გადასვლას ქართველები წაგრძელებული შუბებით აპირებენ! სასულიერო პირსაც კი, რომელიც ჩვენი ავტორია, კარგად ესმის, რომ „შუბის წაგრძელება" შეტევაზე გადასვლას ნიშნავს. ეს სტრიქონები საინტერესოა, როგორც რუსთაველის ერთგვარი გამოძახილი („წავგრძელდი და წავე გრძელად") და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტარიელის „წაგრძელება" სწორედაც რომ შუბის საშუალებით ხდება. ტაშისკარის ბრძოლაში სააკაძეს სამი შუბი შემოატყდა („ფიცით შეგკადრო, მეფეო, **სამი გავსტეხე შუბია**"),[121] რის შემდეგაც ლახტსა და ხმალს იყენებს, – თითქოსდა ევროპელი რაინდის ბრძოლის აღწერილობას ვკითხულობდეთ. **„ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმალ ისარია"**[122] – იოსებ თბილელის ეს სიტყვები ეპიგრაფადაც კი შეიძლება გამოდგეს, ისე მოკლედ და მკაფიოდ გამოხატავს განსხვავებას ქართულ (ანუ ევროპულ) და თათრულ (ანუ ნომადურ) ბრძოლის სტილს შორის!

საერთოდ, იოსებ თბილელის პოემა გამოირჩევა ომის დეტალური აღწერით და ასეთ ეპიზოდებში შუბს მთავარი როლი უკავია. ტაშისკართან ხანმოკლე საცეცხლე მომზადების შემდეგ ქართული მხედრობა უწინდებურად შუბებით გადადის იერიშზე: „რა თოფის სროლა გათავდა, **შუბთა ქნეს ჯაჭვზე ჩხარები**!"[123] შუბით იბრძვის ლუარსაბ II („მეფე გულსრულად მობძანდა, **შექნა შუბისა ძგერება**") და გიორგი სააკაძეც, რომელიც შუბის

---

[119] Г.Н. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959), 336.

[120] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 9.

[121] იქვე, 14.

[122] იქვე.

[123] იქვე, 13.

სურ. 7
ორი მხედარი ნაგრძელებული შუბით გმირავს ორ მოწინააღმდეგეს. H1665 დავითნი, 201v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ძგერებით ცხენიდან ყრის მოწინააღმდეგეს: „ველარ დადგის უნაგირზედ, **ვისაც ჩემი შუბი ეხა!**“[124] ირანელებთან ომში მოწინააღმდეგე პირველ რიგში სააკაძის შუბს უფრთხის („მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ველარა ქნას რა შუბითა!“).[125] მარაბდის ბრძოლაში მოურავს ცხენს უკლავს ირანელი მეთოფე, რომელსაც სააკაძე შუბზე ააგებს („იმა ცხენისა პატრონი **შეიქნა შუბის შესმული**“).[126] ბრძოლა ყოველთვის შუბით იწყება, ხმალს მხოლოდ შუბის გატეხვის შემდეგ მიმართავენ: „**შუბი გატყდის**, ხელი მივჰყვით, მაშინ შევჰქნით ხლმისა ქნევა“.[127] თავისი რაზმის შეიარაღების ჩამოთვლისას, გიორგი სააკაძე, ცოტა არ იყოს აგდებულად, ერთ კატეგორიაში აერთიანებს მშვილდისარ-თოფს, სამაგიეროდ საგანგებოდ გამოყოფს სამოცკაციან რაზმში მის დამრტყმელ ნაწილს – ოც შუბოსან ცხენოსანს: „სამოცი კაცი კიდევ მყვა, გვეცვა შალისა ჯუბანი, / ზოგი მშვილდისარ-თოფითა, **ოცსა გვაქვს ცხენზე შუბანი**“.[128] არსებულ ვითარებაში ეს არც არის გასაკვირი, სააკაძესაც ხომ უპირველესად შუბით ჩადენილი გმირობები ახსენდება: „რამდენს კაცს მიხვდა, ვერ ვრიცხავ, **ჩემის შუბისა აგება**?!“[129]

სურ. 8
წმ. გიორგი გველეშაპს გმირავს წაგრძელებული შუბით. XV საუკუნის ჟიბიანის ხატი. ერმაკოვის ფოტო.

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლელ მეზობლებთან შედარებით ქართველები ყოველთვის გრძნობდნენ თავიანთ უპირატესობას შუბით ბრძოლაში. 1625 წელს მარაბდის ომის წინ სამხედრო თათბირზე გიორგი სააკაძე დარწმუნებულია, რომ ირანელები „შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო“.[130] ფარსადან გორგიჯანიძე ზედმიწევნით ზუსტად აღგვიწერს ქართველთა მიერ განხორციელებულ იერიშს მარაბდის ბრძოლაში, რომელიც კლასიკური ევროპული რაინდული შეტევაა: ცხენოსნებმა ჯერ „ნელად იარეს, მერმე **ფარები დაიფარეს** და **შუბები წაიგრძელეს** და ცხენჭენებით მიუხდნენ“.[131] იმავე მარაბდის ბრძოლაში თეიმურაზ მეფე უტევს მოწინააღმდეგეს: „**შუბი შესცა** და

[124] იქვე.
[125] იქვე, 30.
[126] იქვე, 31.
[127] იქვე, 32.
[128] იქვე.
[129] იქვე, 50.
[130] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, 234.
[131] იქვე.

იმან ფარი დახუედრა, ფარი გაუტეხა და ჴელნავიც გაუხეთქა და მკლავიც მოსტეხა, **შუბიც შეამტვრია, ცხენიდამ გარდმოაგდო**".[132] ასეთი ძალის დარტყმა, რომელმაც ფარი გაგლიჯა, სამკლავე გახეთქა, მკლავი მოტეხა და შუბიც დაამსხვრია, მხოლოდ წაგრძელებული შუბითაა შესაძლებელი.

1626 წელს ბაზალეთის ბრძოლაში სააკაძისა და მეფედ გადაცმული ედიშა ვაჩნაძის ორთაბრძოლა ევროპის შუაგულში გამართული რაინდული ტურნირი გეგონება – ორივე ფარზე ამსხვრევს შუბს: „მოვრავმან **ფარი დახვედრა და შუბი შეიმტვრია** და გასცილდა. მოვრავმან ცხენი დაიბრუნა და **შუბი შესცა. ამანც ფარზედ შეამტვრია**".[133] ამ ფაქტს ვახუშტიც ადასტურებს: ომში „მისრულმან ედიშერ ჰკრა შუბი მოურავსა და დალეწა მკერდს მისსა ზედა".[134] დარტყმის ძალა, რომლის შედეგადაც შუბი დაილეწა, მიუთითებს ბრძოლაში წაგრძელებული შუბის გამოყენებაზე. ბაზალეთის ომი აღწერილია არჩილ მეფის ისტორიულ პოემაშიც, რომლიდანაც ვრცელი ციტატის მოყვანა მოგვიწევს:

„პირველზედვე შემეყარა ეს დაუთბეგ, **შუბ ხელთ-მქონსა,**
შუბი ვჰკარით ერთმანერთსა, მაგრამ ვერც ერთს დაგვიმონსა,
მერმე საამ კობიას ძე მოგანებით **შუბს მოსწონსა,**
მოვიდა და გვერდს შემოსცა მას, მორევის ჩემსა მგონსა.
ვეღარც იმან ჩამოაგდო და ცოტადრე გარდახარა,
მას კვლა ზურაბ შეუზახა: „მოურაო, თქვი თუ ხარა?"
– შიშველს ბარკალს ხმალი დაჰკრა – ეგრე მაგრად რად სდგახარა?"
სრულ მოჰკვეთა, გარდააგდო, იცოცხლაღა მან, გლახ, არა.
მერმე შემხვდა აბაშიძე, იგ ღონენა ქვიშხეთელი,
თავი ფარში ჩამოეყო, მოეხარა ვითა თელი,
ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრა ვერ მყო მიწის მთელი,
სამკლავეცა გამიტეხა და დამკოდა მე ნათელი.
ედიშას თქმული გათავდა, ეპოვნა მოურავია...
ამანც შუბი ჰკრა, მაგრამე მან კი გაუპო თავია".[135]

შუბი, შუბი და კვლავ შუბით ბრძოლა! ბაზალეთის ბრძოლაში შვიდი მოქმედი პირიდან ექვსი (დაუთბეგი, თეიმურაზი, საამი, აბაშიძე, ედიშა, მოურავი) შუბით იბრძვის. საინტერესოა ცხენოსნის მდგომარეობაც შუბით შეტევის დროს: ის უტევს ევროპელი რაინდივით მოხრილი, ფარით თავს იფარავს („თავი ფარში ჩამოეყო"), მეორე ხელით კი შუბს წარმართავს.

XVII საუკუნეში კიდევ მრავლად გვაქვს შუბის მსხვრევისა თუ გამოყენების შემთხვევები, რომლებიც მოხსენიების ღირსია. არჩილი აღგვიწერს 1614 წელს ჟალეთთან თეიმურაზ I-ის შეტაკებას ირანელებთან: „მი-

---

[132] იქვე.

[133] იქვე, 237.

[134] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 592.

[135] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", *არჩილიანი*, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II (თბილისი, 1937), 80.

ვახლოვდით, შემოგვებნეს, ჩვენიც წინა მიეგება, **დავამსხვრიევეთ ზედ შუბები**".[136] მარაბდაში მანუჩარ ათაბაგი ჯერ შუბით უტევს, მისი დამსხვრევის შემდეგ კი ხმლით ომობს: „ათაბაგი ამირგუნხანს იმ დღეს შეხვდა ერევნისას, / **შუბი პირველ გასტეხოდა**, მინდობოდა ქნევას ხლმისას".[137] ოთარ არაგვის ერისთავიც ხმალს შუბის დალეწის შემდეგ მიმართავს: „**შუბი დალეწა**, საკუეთრად ხმალს სისხლი მოაწყუროსა".[138] ამავე საუკუნის მიწურულს ირანელებთან ბრძოლაში გიორგი მეფის ძმისწულმა „ვახტანგ **სცა ოროლი** სპარსსა".[139] ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობით, 1664 წელს საბარათიანოს სარდალი ზაზა ციციშვილი ბრძოლაში ხუთ (!) შუბს ამსხვრევს: „ეკუეთნენ ძლიერად და **შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი**".[140] ხუთი დამსხვრეული შუბი აშკარად ბრძოლის სტილზე მეტყველებს, მხოლოდ ხელით მოქნევისა და ძგერებისას წარმოუდგენელია ამდენი შუბის დამტვრევა. 1658 წელს ბანძასთან ბრძოლის წინ ოტია მიქელაძე იმერეთის მეფე ალექსანდრეს დაემუქრა: „მაცნობე ხვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან, და მეც ვაცადუნო შუბის წუერი ჩემი სათუალესა ზარადისა შენისასა". უნდა ითქვას, რომ მიქელაძემ აასრულა დანაქადნები და მეფედ გადაცმულ აბაშიძეს „ჰსცა შუბი ზარადის სათუალესა შინა ლევანს და განვლო კეფასა და შესძახა: „მე ვარ ოტია".[141] აქ საქმე გვაქვს შუბის უბადლო ფლობასთან, როდესაც მხედარს წინასწარგამიზნულად შეუძლია მუზარადში მოარტყას შუბი მოწინააღმდეგეს.[142]

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, სეფიანთა ირანში მიმდინარე ქართველ-ავღანთა ბრძოლების შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვაწვდის სეხნია ჩხეიძე. ამ ბრძოლებში ქართველთა უპირველესი იარაღი კვლავინდებურად შუბია. 1699 წელს ბელუჯებთან ბრძოლაში „მივქუსლეთ ცხენი, შევერიენით შიგა... ჩხეიძემ სამი მოკლა შუბით... მოუხდა სეხნია, შემოსცა შუბი მარცხენა ღლიასა და... მარჯვენას გვერდს გაავლო".[143] 1700 წელს ოთხ ავღან ქვეითს[144] ზურაბ ზურაბიშვილმა „შემოუტია, ჰკრა ერთსა შუბი და მეორეს-ზე იცა, ორივ წაიქცნენ, ჰკრა მესამესა შუბი... გავლო შიგა და მიწას დააბა იგი კაცი, გატყდა შუბი და გაიკრა

---

[136] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 54.

[137] იქვე, 75.

[138] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 142.

[139] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 471.

[140] იქვე, 452.

[141] იქვე, 833.

[142] ასეთი დარტყმა, ფარის ნაცვლად მუზარადში, ყოველთვის ითვლებოდა ოსტატობის უმაღლეს მაჩვენებლად ევროპელ რაინდებში. Helmut Nickel, "The Tournament: An Historical Sketch," in *The Study of Chivalry: Resources and Approaches*, ed. by Howell Chickering and Thomas H. Seiler (Kalamazoo, 1988), 216.

[143] სეხნია ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა", *საქართველოს ცხოვრება*, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ (თბილისი, 1913), 13.

[144] სხვათა შორის, მანამდე ამ ოთხმა ავღანმა თხუთმეტი „ცხენ-კეთილი" ყიზილბაში დაიფრინა.

ხმალსა ხელი..."[145] 1711 წელს ქართლის მეფე და ირანის სპასალარი ქაიხოსრო ბოლომდე იბრძვის წაგებულ ბრძოლაში: „მიქუსლა ცხენი, შეერია შიგა... ჩამოაგდო შუბითა ორი კაცი".[146]

ქართველთა მიერ შუბების გამოყენება ამ პერიოდის უცხოურ წყაროებშიცაა აღწერილი. ისქანდერ მუნშის ცნობით, 1605 წელს მამისა და ძმისმკვლელ კონსტანტინე ხანს ქართველები ბრძოლაში შუბებით კლავენ: „იმ ხალხმა მას რამდენიმე ადგილას შუბი ჰკრა ჯავშანსა და ხიფთანში..."[147] კასტელის მიხედვით, შუბით იბრძვის იმერელი ბატონიშვილი მამუკა, რომელმაც მეგრელებთან ერთ-ერთ შეტაკებაში მოწინაღმდეგეს „შუბი აძგერა, რის გამოც ცხენ-კაციანად მიწაზე დასცა..."[148]

XVII საუკუნის ლიტერატურული ძეგლებიც მხარს უმაგრებს ფაქტობრივ მონაცემებს. საუკუნის დასაწყისში კახეთის მოურავმა, ცნობილმა სარდალმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა პროზად დაწერა „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელება – „ომაინიანი", რომელსაც განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს ის, რომ მისი ავტორი დიდგვაროვანი და სამხედრო პირია. ნაწარმოებში ორთაბრძოლა ისეა აღწერილი, ერთი შეხედვით ტიპური დასავლეთევროპული ტურნირი გეგონება, თუმცა ვიცით, რომ ავტორი ქართველია და ქართულ რეალობას გადმოგვცემს: „გულმესისხლედ და ცხენგაფიცხებით ერთმანერთსა შეუტიეს. **პირველსავე მისვლასა შუბნი ერთმანერთსა შეალეწნეს; სხვანი შუბნი აიხვნეს და იგიცა დალეწნეს** და მერმე ინდოურნი ფოლადნი ხრმალნი დაიწვადნეს და ერთმანერთსა დაუშინეს, რომე მუზარადსა ზედა ცემითა ხრმალნი ჯოხივითა უპიროდ დახდეს. მერმე ლახტები დაიწვადეს და ასრე მედგრად ერთმანერთსა ეცემებოდეს".[149] კიდევ ერთი ორთაბრძოლა ასეა მოთხრობილი: „და ამათ მებრძოლთა ერთმანეთ ნახეს, **შუბები წინ წამოიმძღვანეს**, ცხენები დააფიცხეს, რომე მათი მტვერი ღრუბელთა შეერია. პირველსავე მისვლასა სალიმ-სპასალარმან ზღვათა მეფის შვილს **ფარს შუბი შეუცა, ფარი გაუტეხა და სამკლავე გაუკვეთა და მკლავსა დაკოდა**. მეფის შვილმან სპასალარის **ცხენს შუბი შესცა, საშუბლე გაუხეთქა** და ცხენის ტვინსა დაასვა. **ორთავე შუბები გაუტყდა და არც ერთი არ ჩამოვარდა**".[150] ტიპური რაინდული შუბით ბრძოლის გარდა, ამ ეპიზოდიდან ისიც ჩანს, რომ წაგრძელებულ შუბს XVII საუკუნეშიც იყენებენ: შუბების წინ *წამომძღვანება* შუბის *წაგრძელებას* ნიშნავს.

---

[145] სეხნია ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა", 16.

[146] იქვე, 28.

[147] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ (თბილისი, 1969), 58.

[148] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 78.

[149] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 104.

[150] იქვე, 51-2.

სურ. 9
მარცხენა მხარეს გამოსახული მხედართა ჯგუფი უტევს წაგრძელებული შუბებით. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 138. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

განსაკუთრებით საინტერესოა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიერ გამოყენებული ერთი ჰიპერბოლა: „აწ გაფრთხილდი, რომე **ჩემსა შუბსა ქვიტკირიცა ვერ დაუდგამს**!“ შუბი ცხენსა ყურთა შუა გამოწონა და ფრინველივითა წამოვიდა, რომე მისის ცხენისა ფერხთა მტვერი ცამდის აამაღლა“.[151] იგი ეხმაურება ანა კომნენას მიერ ევროპელ რაინდებზე რამდენიმე საუკუნით ადრე ნათქვამს: „ფრანკი მხედარი ბაბილონის გალავანს გახვრეტსო“.[152] აქაც შუბით კედლის გახვრეტაზეა საუბარი. ასეთი ძალის დარტყმის წარმოდგენა მხოლოდ *წაგრძელებული შუბის* გამოყენების დროს არის შესაძლებელი.

XVI-XVII საუკუნეების ანონი მური თხზულება „რუსუდანიანი“ სავსეა ორთაბრძოლებით, რომლებიც შუბის დალეწვით იწყება და შემდგომ ხმლითა და ლახტით გრძელდება: „შეიბნეს. **პირველ შუბით შეუტიეს და შეალეწეს ერთმანერთსა**. მერმე ხრმლები დაიწოდეს და გულმესისხლედ დალეწეს... მერმე გურზებს მიჰყვეს ხელი და მედგრად იცემებოდეს“;[153] „შეუტიეს ერთმანერთსა, **შუბები შეალეწეს**, მერმე ხლმითა დაუშინეს ერთმანერთსა და ისიც დაალეწეს. მერმე ლახტები გამოიღეს“;[154] „პირველსავე მისვლასა **შუბები ერთმანერთს შეალეწეს** და მერმე... ლახტები დაიწოდეს და დაუწყეს ერთმანერთსა ცემა“.[155] „**შეალეწეს შუბები ერთმანერთსა**, დალეწეს ლახტები და დაიწოდეს ხლმები“.[156] აქ აღწერილი შეტაკებები თვალნათლივ მიუთითებს დასავლური, რაინდული ტიპის ბრძოლის სტილზე, რომელიც გაბატონებული იყო იმდროინდელ საქართველოში.

XVII საუკუნის მასალას ავსებს მხატვრული წყაროებიც. მამუკა თავაქარაშვილმა, იმერეთის მეფის მდივანმა, სამეგრელოში, ლევან II დადიანის კარზე ტყვეობაში ყოფნისას 1646 წელს გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“.[157] ამ ხელნაწერის ილუსტრაციები უნიკალურია იმით, რომ ერისკაცის მიერ არის დახატული და არ არის შეზღუდული იკონოგრაფიული ჩარჩოებით, რის გამოც გარემომცველი სინამდვილე ადეკვატურადაა ასახული: 138-ე გვერდზე ვხედავთ რაინდთა ჯგუფს, რომლებიც წაგრძელებული შუბებით გადადიან იერიშზე (სურ. 9). კიდევ ერთი რეალისტური გამოსახულება მოგვეპოვება XVII საუკუნეში დასურათებული „უთრუთიან-საამიანის“ S1594 ხელნაწერში:[158] 107v მინიატურაზე მარჯვენა ფიგურა წაგრძელებული

---

[151] იქვე, 105.

[152] Anna Komnene, *The Alexiad*, 378.

[153] *რუსუდანიანი*, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით (თბილისი, 1957), 284.

[154] იქვე, 293.

[155] იქვე, 378.

[156] იქვე, 379.

[157] *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ტ. II (თბილისი, 1951), 52.

[158] „უთრუთიან-საამიანი“ წარმოადგენს „შაჰ-ნამეს“ ქართულ პროზაულ ვერსიას. ის 1647 წელს ლევან დადიანის ბრძანებით გადაწერა მამუკა თავაქარაშვილმა. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (Ს) კოლექციისა*, ტომი III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ენუქიძის, ე. მეტრეველის,

სურ. 10
მარჯვენა მხარეს გამოსახული მხედარი ნაგრძელებული შუბით გმირავს მონინააღმდეგეს. „უთრუთიანსაამიანი", S1594 ხელნაწერი, 107v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

შუბით გმირავს მშვილდოსან მოწინააღმდეგეს (სურ. 10). მხედრის მიერ შუბის წაგრძელებულად ჭერა ზუსტად არის გადმოცემული, რაც მხატვრის გათვითცნობიერებაზე მეტყველებს. ისიც საცნაურია, რომ შუბოსანი იმარჯვებს მშვილდოსანზე.

დონ კრისტოფორო კასტელის ჩანახატებიც გვარწმუნებს, რომ გრძელი შუბი XVII საუკუნეშიც რჩება ქართველი მებრძოლის მთავარ იარაღად. გრძელი შუბით არიან შეიარაღებულნი მეფე თეიმურაზ I, ოდიშის მთავარი და იმერეთის მეფე, ლევან დადიანი, მამია და ვახტანგ გურიელები, დედოფალი ხორეშანი, იმერეთის მეფის და, მეგრელი აზნაური.[159]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიან შუასაუკუნეებში, წაგრძელებულის გარდა, საქართველოში შეინიშნება შუბის მრავალგვარი ხმარებაც (ორი ხელით, ბილიარდის კიის მსგავსად). H1665 დავითნის 207r, 212r და 213v მინიატურებზე შუბს ორი ხელით აძგერებენ (სურ. 11). XVII საუკუნის „როსტომიანის" 81v და 123v მინიატურებზე კი შუბს ბილიარდის კიასავით იყენებენ (სურ. 12). შუბის მრავალფეროვან ხმარებას არჩილიც აღნიშნავს: „ბევრგვარ ბრუნება შუბისა".[160] „ვეფხისტყაოსნის" ავალიშვილისეულ ნუსხაში ასახულია საინტერესო ილეთი, როდესაც ცხენოსანი შუბს არასტანდარტულად იყენებს და მას უკან მყოფ მეტოქეს უღერებს (სურ. 13). შუბის გამოყენების ასეთი ხერხი მუსლიმურ სამხედრო ტრაქტატებშია აღწერილი. გარდა ისლამური სამყაროს მძლავრი ზემოქმედებისა,[161] ამ მოვლენას სხვა საფუძველიც შეიძლება ჰქონდეს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად, მოლაშქრეთა დისციპლინის შესუსტებაში მდგომარეობს. როგორც ცნობილია, წაგრძელებული შუბის ეფექტურად გამოყენებას ხანგრძლივი წვრთნა და პრაქტიკა სჭირდებოდა, ცხენოსანთა შოკური დატყმის მაქსიმალური ეფექტისათვის კი საჭირო იყო შეწყობილი ქმედება, ერთობლივი წვრთნა და ჯგუფური პრაქტიკა.[162] ერთიანი მონარქიის ქართულ ლაშქარს, რომლის ორგანიზაციასა და დისციპლინას დასაბამი აღმაშენებელმა დაუდო, წარმატებულად შეეძლო ასეთი შეტევის განხორციელება. მომდევნო საუკუნეებში, მონარქიის დაშლისა და ქვეყნის სულ უფრო დასუსტების კვალდაკვალ, ვხვდებით შუბით ბრძოლის უფრო მრავალფეროვან ხერხებსაც, რომელთა წარმატებით გამოყენებისათვის აუცილებელი არ იყო დისციპლინირებული და შემჭიდროებული შეტევა. წაგრძელებული შუბით წარმატებული ქმედება კოლექტიურ დონეზე მეტად რთულია და გაცილე-

---

მ. ქავთარიას, ლ. ქუთათელაძის, მ. შანიძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1963), 51.

[159] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 36, 38-9, 43-4, 51, 117, 276.

[160] არჩილი, „საქართველოს ზნეობანი", 6.

[161] ტრადიციულად, აღმოსავლეთში მხედრები შუბით ბრძოლის უფრო მრავალფეროვან ხერხებს ფლობდნენ, ვიდრე ევროპაში. Nicolle, *Saracen Faris*, 13.

[162] Richard Barber, *The Knight and Chivalry*, rev. ed. (Woodbridge, 1995), 155.



ა

ბ

გ

სურ. 11
შუბის ორი ხელით ძგერება H1665 დავითნის 207r (ა), 212r (ბ) და 213v (გ) მინიატურებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 12
მონინააღმდეგის განგმირვა შუბით, რომელსაც ბილიარდის კიის მსგავსად ხმარობენ „როსტომიანის“ 81v (ა) და 123v (ბ) მინიატურებზე, დეტალები. ხელნაწერი S1580. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბით მეტ დისციპლინასა და ურთიერთქმედებას მოითხოვს, ვიდრე აზიური სტილით შუბის ხმარებისას სჭირდება მებრძოლთა ჯგუფს. მოუწესრიგებელი და არეულ-დარეული შეტევისას წაგრძელებული შუბით წარმატების მიღწევა ძალიან სათუო იყო, რადგან ის მხოლოდ წინ იყო მიმართული, თანაც, არც ისე დიდი რადიუსის ფარგლებში. თუკი მხედარი ამ მონაკვეთის ფარგლებში ვერ მოახერხებდა მეტოქის დაზიანებას, ის ცხენის მთელი კორპუსით უკან უნდა შემობრუნებულიყო და თავიდან ეცადა შეტევა. შუბით

ბრძოლის სხვადასხვა მრავალფეროვანი ხერხით კი უფრო არეულადაც შეიძლებოდა ბრძოლა და მეტოქის გვერდულად დაზიანებაც უფრო მეტი რადიუსის ფარგლებში.

გარემომცველი აღმოსავლური სამყაროს გავლენას, რაღა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია და გვიან შუასაუკუნეებში შეცვალა დამოკიდებულება მშვილდით ბრძოლის მიმართაც. გვიანდელ ლიტერატურულ ძეგლებში უკვე გვხვდება ბრძოლაში ისრის გამოყენების შემთხვევები. ამირანდარეჯანიანის XVIII საუკუნის გაგრძელებაში ვკითხულობთ: „შეუზახნეს საშინელითა რათამე ხმითა და შეუტიევეს. **პირველად შუბები შეალეწეს ერთმანერთსა** და **მერმე ხლმები დაიწოდეს** და გარდალეწეს ერთმანერთსა. [მზეჭაბუკს] მშვილდ-ისარი თანა ჰქონდა: **გამოიღო ისარი**, უკრა ცხენისა შუბლსა, საშუბლე გაუკვეთა და კუდში გაავლო. სხვა ცხენი მოართვეს, შეჯდა; მასცა ისარი უკრა ფერდსა, ჯაჭვი გაუტეხა და შიგან გაავლო".[163] ამ გვიანდელი დამატების მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ბრძოლის სტილის ტრანსფორმაციას: ძველებურად ბრძოლა შუბით იწყება („პირველად შუბები შეალეწეს ერთმანერთსა"),[164] გრძელდება ჩვეულებრივ ხმლით („მერმე ხლმები დაიწოდეს"), თუმცა უკვე ისარსაც იყენებენ. XVI-XVII საუკუნეების „რუსუდანიანშიც" აღწერილია ორთაბრძოლა, რომელსაც ისრის სროლით იწყებენ.[165] ამასვე მოწმობს ასევე გვიან, XVII საუკუნეში, დაწერილი ომაინიანიც: „მშვილდები ხელთა ჰქონდათ, ერთმანერთსა წვიმასავით ისარი დაასხეს. დიდხან ისრითა იბრძოლეს... ცხენსა მკერდსა ისარი ჰკრა, ბარგისტანი გაუკვეთა".[166] მართალია, ასეთი ეპიზოდები საკმაოდ იშვიათია, მაგრამ ცხადია, რომ მშვილდით ბრძოლა უკვე არ ითვლება სათაკილოდ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ X-XII საუკუნეებში საქართველოში ფორმირდება და დასრულებულ სახეს იღებს შუბით ბრძოლის რაინდული წესი. X-XI სს. ხდება *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესის შემოღება და დამკვიდრება, XII საუკუნეში კი საბოლოოდ ინერგება ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა.[167] მიუხედავად ნომადურ-აღმოსავლური ზეგავლენისა, რა-

---

[163] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 788.

[164] მიუხედავად ზეგავლენისა, მომთაბარეებთან განსხვავება აქაც შეინიშნება: მომთაბარული ტრადიციით ინდივიდუალური ბრძოლა ისრის სროლით იწყებოდა და მხოლოდ შემდეგ იყენებდნენ ხელჩართული ბრძოლის იარაღს. David Nicolle, *Attila and the Nomad Hordes* (Oxford, 1990), 8.

[165] *რუსუდანიანი*, 287.

[166] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 105.

[167] ქართული ლაშქრის ტაქტიკაზე მსჯელობისას ერთი საკითხიც უნდა გავარკვიოთ. ს. მარგიშვილის მტკიცებით, მტრის რიცხობრივი უპირატესობის შემთხვევაში, „ქართველი მხედართმთავრები მათთვის ხელსაყრელ პირობებში (როგორც წესი, მთებში) ამჯობინებდნენ ბრძოლას". მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 193. სხვაგან, ის, აგრეთვე, მთებს მიიჩნევს სელჩუკთა წინააღმდეგ ყველაზე ხელსაყრელ ბრძოლის ველად. იქვე, 91. თავის დროზე გ. ანჩაბაძემ სავსებით სწორად შენიშნა, რომ ქართველებს ყველაზე მეტად გაშლილ ველზე უყვარდათ



სურ. 13
ცხენოსნის მიერ შუბის უკან მოღერება. „ვეფხის-ტყაოსნის“ ავალიშვილისეული ნუსხა, H2074 ხელნაწერი, 220r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

საც მომდევნო საუკუნეებში მუდმივად განცდის ქართული სამხედრო საქმე, ბრძოლის ამ წესს ქართული ლაშქარი შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე, XVIII საუკუნის შუახანებამდეც კი მისდევს.[168]

ქვეითი ჯარის ტაქტიკა

ფეოდალური ხანის ქართულ ქვეით ჯარზე გაცილებით ნაკლები ცნობები მოგვეპოვება, რაც ადვილად აიხსნება ცხენოსნებთან შედარებით ქვეითთა დაბალი სოციალური მდგომარეობით. ეს მოვლენა არც ევროპული ქრონიკებისთვისაა უცხო, სადაც ცხენოსან რაინდთა გმირობებს მდაბიო ქვეითებთან შედარებით ყოველთვის უფრო მეტი ხალისით აღწერდნენ. ინგ-

---

ბრძოლა (ანჩაბაძე, „იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო“, 69) და არგუმენტად არჩილის ლექსიც მოიყვანა: „ვაჟკაცები ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხვრევდიან... მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან?“ არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, 73. ეს ბუნებრივიცაა, რადგან შუა საუკუნეებში ქართული არმიის ძირითად დამრტყმელ ძალას მძიმედ შეიარაღებული ცხენოსნები შეადგენდნენ, რომელთათვისაც მთებში ბრძოლა მეტად რთული იქნებოდა და სადაც თავიანთ მთავარ იარაღს – ტარანულ დარტყმას ვერ გამოიყენებდნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველები ქვეყნის გეოგრაფიას იყენებდნენ სტრატეგიულ დონეზე (არმიების გადაადგილება, მიმართულებების ჩაკეტვა, სასურველ პირობებში ბრძოლის ადგილის შერჩევა და სხვ.), ხოლო ტაქტიკურ დონეზე (ბრძოლის გამართვისას) დაპირისპირებისას ველზე შეჯახება ერჩიათ. რაც შეეხება სელჩუკურ (თუ სხვა მუსლიმურ) არმიასთან შეტაკებისას ქართული ლაშქრისათვის იდეალურ ბრძოლის ალაგს არა მთები, არამედ ბუნებრივი წინაღობებით (მთა, მდინარე, ხევი და სხვ.) შემოზღუდული ველი წარმოადგენდა, სადაც ის მძიმე ცხენოსნებში თავის უპირატესობას გამოიყენებდა და მონინააღმდეგესაც დიდ სივრცეზე გაშლის საშუალებას არ მისცემდა.

[168] თეიმურაზ II-ის (1700-62) დროსაც კი, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღი უკვე დიდი ხნის ფეხმოკიდებული იყო საქართველოში, თავდაპირველი საცეცხლე მომზადების შემდეგ, ბრძოლას შუბოსანთა შეტევა აგვირგვინებდა: „ერთმანერთზე რა დასცლიან თოფს, შეუტევს მეშუბარი“ და „თორმეტს შუბზე გარდაწყვეტა“ – უთქვამსთ, დადებული არი“. თეიმურაზ II, „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, 87.

ლისელი ისტორიკოსი ჯ. ბრედბერი, აღნიშნავს რა მემატიანეთა ნაკლებ ინტერესს დაბალი ფენებიდან გამოსული ქვეითი ჯარისკაცების მიმართ, ამას „ქვეითთა სინდრომსაც" კი უწოდებს.[169]

ქვეითი ჯარის როლი ბრძოლისას ძირითადად თავდაცვითია, იგი ერთგვარი სიმაგრეა ბრძოლის ველზე, რომელსაც უფრო მობილური მხედრობა ეყრდნობა. მხედრობას სჭირდება ქვეითთა მხარდაჭერა შეტევის მოსამზადებლად; ცხენოსანმა ჯარმა შეიძლება თავი შეაფაროს ქვეითთა რიგებს წარუმატებელი შეტევის შემდეგ და ხელახლა გადაეწყოს. ქვეითთა ძირითადი იარაღია შუბი და მშვილდი: შუბოსნებმა მტრის კავალერიის ან ქვეითთა შეტევა უნდა მოიგერიონ, მშვილდოსნებმა კი შეტაკებამდე უნდა შეასუსტონ მათზე მოიერიშე ძალა ან დუელი გაუმართონ მტრის ცხენოსან მოისრეებს და არ მისცენ მათ საკუთარი კავალერიისა და დანარჩენ ქვეითთა დაუსჯელად დაცხრილვის საშუალება.

შუა საუკუნეებში ჩატარებული კამპანიების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ ქვეით სპეციალისტებსა და ინჟინრებს, რომლებიც ლაშქარს თან ახლდნენ, მაგრამ ბრძოლაში შეიძლება მონაწილეობა არც მიეღოთ. მათი როლი განსაკუთრებით დიდი იყო ციხე-სიმაგრეების ალყის დროს, როდესაც უამრავი მიწის თუ სხვა სახის სამუშაო იყო ჩასატარებელი, რათა ციხე გარემოეცვათ, აეგოთ საიერიშო მანქანები, გაეთხარათ მიწისქვეშა გვირაბები, აეგოთ შურის ციხეები, ამოევსოთ ციხის თხრილი და ა. შ.[170]

ქვეითი იყო ფეოდალური ქალაქის მოქალაქეთაგან შემდგარი მილიცია, რომლებიც გარნიზონს აკომპლექტებდნენ. რაღა თქმა უნდა, მათ მეთაურობდნენ დიდებულ-აზნაურები და გაბატონებული კლასის სხვა წარმომადგენლები, მაგრამ მრავალრიცხოვანი მილიციის გარეშე შეუძლებელი იყო ქალაქის გალავნის მთელი პერიმეტრის სრულფასოვანი დაცვა, რადგანაც ამას არ ეყოფოდა ფეოდალური კლასის მცირერიცხოვანი ზედა ფენა (მსახურების ჩათვლით).[171]

ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მისი მთაგორიანი და ტყიანი რელიეფის გამო, ქვეითი ჯარი დამატებით მნიშვნელობას იძენდა. ადგილმ-

---

[169] Jim Bradbury, *The Medieval Archer* (Woodbridge, 1985), 40. აქვე შეიძლება გავიხსენოთ დავით ქობაირელის დამოკიდებულება ქვეითთა მიმართ: როდესაც გიორგი III-ს დიდებულები აუჯანყდნენ, მეფის ერთგულ ქვეითებს XII საუკუნის მწერალი „ნარეკ ბრბოს" უწოდებს. გურამ მაისურაძე, „ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ", *სრხ* (თბილისი, 1966), 263. ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია გ. მაისურაძემ. იქვე, 258-9.

[170] შუა საუკუნებში ციხე-სიმაგრეების ცენტრალური როლის გამო ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო სპეციალიზირებულ ქვეითებზე, რომლებიც ინჟინრების ფუნქციას ასრულებდნენ. Gillingham, "Richard I and the Science of War in the Middle Ages," 91.

[171] მაგალითად, X საუკუნის ინგლისში ნორმად ითვლებოდა გარნიზონის 4 კაცის გამწესება ციხის კედლის ყოველი 5 მეტრის დასაცავად. Bernard S. Bachrach and Aris Rutherford, "Military Technology and Garrison Organization: Some Observations on Anglo-Saxon Military Thinking in Light of the Burghal Hidage," *Technology and Culture*, 31 (1990), 2-3. რა თქმა უნდა, ეს ნორმა ყოველთვის არ სრულდებოდა, მაგრამ დაახლოებით მაინც წარმოდგენას გვიქმნის სიმაგრის სრულყოფილად დასაცავად საჭირო გარნიზონის ოდენობაზე.



სურ. 14
ფარების კედელი. ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დებარეობის ხასიათისა და სოციალური ორგანიზაციის გამო, ქვეითად ბრძოლა ტრადიციული იყო საქართველოს მთის რეგიონებისათვის. მთაში ქვეითის უპირატესობას ერისთავის ფეოდალურ-აზნაურულ ჯართან შედარებით, რომელიც ცხენზე ბრძოლასაა მიჩვეული, აღნიშნავს ხალხური ლექსიც: „ხევსურეთშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთობასა, გაგიწვრილდება კისერი, **ვერ შესძლებ ქვეითობასა**".[172] ამავე დროს, შემთხვევითი არ არის, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მთიელთა რაზმები ძირითადად მხოლოდ ადგილობრივ ჩანან და არა ბარში, ველზე, სადაც ცხენოსანი ლაშქარი დომინირებდა.[173]

ჩვეულებრივ, ქვეითი ჯარი ლაშქრის ყველაზე მრავალრიცხოვანი

---

[172] სერგი მაკალათია, *ხევსურეთი* (თბილისი, 1984), 28.

[173] იქ, სადაც ფეოდალური ურთიერთობები კარგად იყო განვითარებული და ცხენზე ამხედრებული რაინდი გაბატონებულ ძალას წარმოადგენდა, დაბალი ფენებიდან გამოსულ ქვეითთათვის ძნელი იყო არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა და კონკურენტუნარიან ძალად ჩამოყალიბება. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 172.

ნაწილი იყო, რომელსაც ცხენოსნები, როგორც წესი (და როგორც ეს ყველგან ხდებოდა), რაოდენობრივად ბევრად ჩამორჩებოდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ყველა ქვეყანაში მსუბუქად შეიარაღებული ქვეითის სამობილიზაციო პოტენციალი ყოველთვის აღემატება ცხენოსანი მებრძოლის მობილიზაციის შესაძლებლობას. ამ ფაქტორს, უფრო ფართო სოციალური ბაზის გარდა, აღჭურვილობაც განაპირობებდა, რომელიც ცხენოსანს გაცილებით მძიმე სჭირდებოდა. ქვეითისა და მხედრის შეიარაღების განსხვავება საგრძნობი და საჩინო იყო: ოშკის ბიბლიაში მეფეთა პირველი წიგნის ძველქართული თარგმანის კონტექსტიდან ჩანს, რომ „ჯაჭვ-ჩაბალახით" (აბჯარ-მუზარადით) შეჭურვა მხოლოდ აზნაურისათვის (ანუ ცხენოსანისათვის) იყო დამახასიათებელი.[174] აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უბრალო ქვეითი არ იყო მძიმედ შეჭურვილი (განსაკუთრებით შუა საუკუნეების დასაწყისში) და მას ლითონის აბჯარი მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში შეიძლება ჰქონოდა. ფეხოსნის თავდაცვით შეიარაღებას ფარი და ქსოვილის აბჯარი (იშვიათად – ლითონის მუზარადი) შეადგენდა.

შუა საუკუნეებში ძლიერ ქვეით ჯარს ძლიერი მმართველობა განაპირობებდა. ცხენოსნებთან შედარებით, ქვეითთა ეფექტურობა გაცილებით მეტად იყო დამოკიდებული ურთიერთშეთანხმებულობაზე. შედეგიანი ქმედებისათვის, მათი რიცხვიც გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო.[175] მხოლოდ ძლიერ ცენტრალურ მმართველობას შეეძლო ასეთი ქვეითი ჯარის შექმნა. სუსტი ხელისუფლების დროს ქვეითი ჯარი ბრძოლაში უფრო ნაკლებად ეფექტური იყო, ვიდრე კავალერია, რომელიც ინდივიდუალურად ყოველთვის ძლიერი იყო.[176]

X-XIII საუკუნეების შესახებ არსებული მონაცემები უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამ ეპოქის ქართულ ფეხოსნებზე, როგორც საკმაოდ დისციპლინირებულ და ბრძოლისუნარიან ჯარის სახეობაზე.

X საუკუნის დასაწყისის ქართული ქვეითი ჯარის წყობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობა შემოგვინახა იოანე დრასხანაკერტელმა: „ფაროსანი ჯარის სიმრავლე მუდამ, როგორც ზღუდე, მათ წინააღმდეგ იყო აღმართული".[177] მემატიანის გადმოცემით, ამ დროს ქვეითებს ფარები ისე აქვთ აღმართული, რომ დაუძლეველ ზღუდეს ქმნიან.[178] აქ აღწერილია ქვეითი ჯარის წყობა ე.წ. „ფარების კედელი", ფალანგის მსგავსი ფორმაცია, რომელსაც ერთმანეთის მხარდამხარ მდგომი დიდი ფარებით (ნუშისებურით ან მრგვალით)

---

[174] ახალაია, „მოლაშქრე XI-XIV საუკუნეების საქართველოში", 54.

[175] Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 172; Stephen Morillo, "Hastings: An Unusual Battle," in *The Battle of Hastings: Sources and Interpretations*, edited and introduced by Stephen Morillo (Woodbridge, 1996), 226.

[176] Nicholson, *Medieval Warfare*, 57.

[177] იოანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია*, 241.

[178] იქვე, 245.

დაცული ქვეითები ქმნიან.[179] გარკვეული წარმოდგენა ფარების კედელზე შეიძლება შეგვიქმნას XII საუკუნის ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურამ, სადაც ერთმანეთთან მიჯრილ მძიმე ქვეითთა წყობას მხარს მშვილდოსნები უმაგრებენ (სურ. 14). სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია ინფორმაცია ასეთი წყობის სიღრმის შესახებ, თუ რამდენი მწკრივისაგან შედგებოდა ის. თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, სულ ცოტა ოთხი ან მეტი მწკრივი უნდა ყოფილიყო,[180] რეალობაში კი უფრო მეტი სიღრმეც არის საგულისხმო. „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი *რაზმი* რამდენიმე *კეცის* ანუ მწკრივისაგან შედგებოდა: „შექმნეს რაზმი მრავალკეცი".[181] ფარების კედელს მხოლოდ დისციპლინირებული და ტაქტიკურ ერთეულებად დაყოფილი ქვეითი ჯარი თუ შეადგენდა: დისციპლინა და გაწვრთნილობა საჭირო იყო ბრძოლის დროს დაჭრილ-დაღუპულთა ჩასანაცვლებლად, ისე რომ წყობა არ დარღვეულიყო. საკმაო სიგრძის ფარების კედლის შექმნა მხოლოდ ტაქტიკური ერთეულებით იყო შესაძლებელი, რომელთაც ზუსტად ეცოდინებოდათ წყობაში თავიანთი ადგილი.[182] სწორედ ასეთი ტაქტიკური ერთეული უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის" *რაზმი*.

ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი და მწერალი მიქელ პსელოსი გვაწვდის ცნობას ქართველთა ფეხოსნების შესახებ, რომლებიც 989 წელს აბიდოსთან ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის წინააღმდეგ იბრძოდნენ აჯანყებული ბარდა ფოკას ჯარში და მის მთავარ დასაყრდენს წარმოად-

---

[179] ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ტერმინი *ფარების კედელი* ზუსტად ასახავს სინამდვილეს და ასეთი წყობაში ფარები ერთმანეთს გადაფარავდნენ. ამისათვის მებრძოლები გვერდულად უნდა მდგარიყვნენ. ასეთი წყობა ეფექტური იქნებოდა მოწინააღმდეგის ისრებიდან თავის დასაცავადაც. Christopher Gravett, *Hastings 1066: The fall of Saxon England* (Oxford, 2000), 64. ზოგის აზრით კი, ასეთი მჭიდრო წყობა მტრის პირველი შეტევის მოსაგერიებლად იყო საჭირო, შემდეგ კი ცოტათი განზე იშლებოდა, რომ მტრის ჩეხა შესაძლებელი გამხდარიყო. Ian Heath, *The Vikings* (Oxford, 1985), 32-3. მართლაც, გადაფარული ან მიჯრილი ფარების დროს მახვილით ან ცულით ბრძოლა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო; ამიტომაც ფიქრობენ, რომ ფარების გადაფარვა პოეტური და მცდარი წარმოდგენაა და რომ ფარების კედელი ფაქტობრივად ფალანგას წარმოადგენს. Ian P. Stephenson, *The Late Anglo-Saxon Army* (Stroud, 2007), 31-2. პრობლემებს ქმნის მცდარი წარმოდგენაც, რომ ამ წყობაში ქვეითთა მთავარი იარაღი მახვილი და ცული იყო. ყოველი ფალანგის ტიპის წყობის (როგორიცაა ფარების კედელიც) უპირველესი იარაღია შუბია. შემჭიდროებული ფარების დროს მახვილსა და ცულს ვერ გამოიყენებ, მაგრამ ცალი ხელით შუბით გამოყენება, ძველი ბერძენი ჰოპლიტების სტილში, როგორც ეს თანამედროვე რეკონსტუქტორებმა დაამტკიცეს, სავსებით შესაძლებელია. J. Kim Siddorn, *Viking Weapons and Warfare* (Stroud, 2005), 44. შესაძლოა, ბრძოლის საწყის ეტაპზე, სანამ შუბები მთელი იყო და მოწინააღმდეგის პირველი დისტანციური თუ ხელჩართული იერიში მოსაგერიებელი, ფარები მაქსიმალურად შემჭიდროებულად ეკავათ; შემდეგ კი, მახვილისა და ცულის გამოსაყენებლად, წყობას მართლაც უფრო შლიდნენ.

[180] ყოველ შემთხვევაში სამზე ნაკლები სიღრმე არაფრით არ ექნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იოლი გასარღვევი იქნებოდა. Stephenson, *The Late Anglo-Saxon Army*, 36.

[181] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 445. საუბარია ქვეით რაზმზე, რადგანაც მრავალკეცი წყობა კავალერიაში ვერ გამოდგებოდა. მრავალკეცი რაზმი ნახსენებია „რუსუდანიანშიც". *რუსუდანიანი*, 289.

[182] M. K. Lawson, "Observations upon a Scene in the Bayeux Tapestry, the Battle of Hastings and the Military System of the Late Anglo-Saxon State," in *The Medieval State: Essays Presented to James Campbell*, eds. J.R. Maddicott and D.M. Palliser (London, 2000), 88.

გენდნენ. ბარდა ფოკამ „თავის გარშემო შეაგროვა ქვეითთა ჯარი, იბერიელთა შორის საუკეთესო მებრძოლები; ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი... ერთნაირად მაღალი ტანისა იყვნენ... მარჯვენა ხელში მახვილი ეპყრათ და შეტევისას შეუჩერებლები იყვნენ“.[183]

მძიმე ქვეითების გარდა, რომლებიც ხელჩართულ ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას, მთელი არმიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დისტანციური იარაღით აღჭურვილი ნაწილების გაწვრთნილობას. ასეთ მებრძოლებს მრავლად ვხედავთ X საუკუნის ტაოს არმიის შემადგენლობაში. მათეოს ურჰაელის მიხედვით, დავით კურაპალატის არმიაში 3 000 ქვეითი მშვილდოსანი ირიცხებოდა.[184] 998 წელს, ხლათის ალყის დროს „მამაცმა ტაოელმა მშვილდოსნებმა“ ქალაქის გამოსახსნელად მოსული არაბთა რაზმის შეტევა მოიგერიეს და საკმაო ზარალიც მიაყენეს მათ.[185]

სადრ ად-დინ ჰუსაინი საგანგებოდ გამოყოფს XI საუკუნის კახელ და ჰერ ქვეითებს, რომელთაც ყველაზე მამაცებს უწოდებს ბაგრატ IV-ის ჯარში.[186] ფეხოსნებს ვხვდებით დავით IV-ის, გიორგი III-ისა და თამარის არმიის შემადგენლობებში. 1104 წელს ერწუხის ომში, სადაც დავით აღმაშენებელმა „მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა“ გაიმარჯვა,[187] მემატიანის ამ გამოთქმაში სწორედ ლაშქრის ორივე კომპონენტი – ცხენოსანი („ლაშქარი“) და ქვეითი („ერი“) ჯარი უნდა იგულისხმებოდეს. გასაკვირი არაა, რომ წარჩინებულ მხედრებთან შედარებით, მდაბიო ფეხოსანთა ჯარს მემატიანე განწირულს უწოდებს:[188] იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით, ცხ-

---

[183] *Fourteen Byzantine Rulers: The Chronographia of Michael Psellus*, translated, with an introduction, by E. R. A. Sewter (London, 1966), 36. „გეორგიკაში“ გამოქვეყნებული ქართული თარგმანი გარკვეულ უხერხულობას შეიცავს, რაც აზრს ბუნდოვანს ხდის. შდრ. „თავის გარშემო შეაგროვა ქვეითთა ჯარი, მე ვგულისხმობ უმამაცესად მებრძოლ იბერიელებს; ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი... მაღალი ტანისა იყვნენ და თანაზომიერნი... შეიარაღებული იყვნენ მახვილით, რომელიც მარჯვენა ხელში ეჭირათ და შემართვით იყვნენ უძლეველნი“. მიქელ პსელოსი, „ქრონოგრაფია“, *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. VI (თბილისი, 1966), 11-2. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და ჩავასწორებ კიდევ ერთ ადგილს. სხვაგან, პსელოსი ასე ახასიათებს ფოკასთან მყოფ ქართველებს: „მრისხანე, ამპარტავანი, ძალიან მაღალი მეომრები“. *Fourteen Byzantine Rulers: The Chronographia of Michael Psellus*, 33. ორიგინალში „ათ ფუტამდე სიმაღლის“ წერია, რაც უბრალოდ ბიზანტიური გამოთქმაა „ძალიან მაღლის“ აღსანიშნავად. „გეორგიკაში“ ეს ადგილი განმარტებული არ არის და პირდაპირ ნათარგმნია: „ეს ხალხი სიმაღლით მეათე ფუტს აღწევს და წარბებიც ქედმაღლურად აქვთ შეჭმუხნილი“. მიქელ პსელოსი, „ქრონოგრაფია“, 10.

[184] *The Chronicle of Matthew of Edessa*, 38.

[185] *Всеобщая История Степаноса Таронского, Асохика по прозванию*, 193.

[186] Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукскаи государстве*, 55. დედანში დასახელებულია შაქელი ქვეითები, არაბული წყაროების შაქი კი იგივე ჰერეთ-კახეთია. თენგიზ პაპუაშვილი, „IX-XII სს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან“, *მაცნე*, 3 (1967), 78; მისივე, „IX-XII სს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან“, *მაცნე*, 4 (1967), 172.

[187] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 328.

[188] ვერ გავიზიარებ მ. შანიძის კონიექტურას, „განწირულის“ ნაცვლად „განწილულს“ რომ გვთავაზობს; მითუმეტეს, რომ მისივე განცხადებით, „განწირული“ იკითხვისი ყველა არსებულ ნუსხაში გვხვდება. მზექალა შანიძე, „დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი“, *დავით*

ენოსანთა მხარდაჭერის გარეშე ქვეითი ჯარი მართლაც რომ „განწირული" იყო. ასევე აფასებდნენ ქვეით ჯარს გვიანდელი ეპოქის საქართველოში: „რა შეუძლია ქვეითს კაცს" ცხენოსანთან შედარებითო.[189] დავით აღმაშენებლის არმიაში ცხენოსანი და ქვეითი ჯარის შესახებ მოგვითხრობს ალ-ფარიკიც: „მეფე დავითი გაემართა თავისი ამალით, ცხენოსანი და ქვეითი ჯარით და შეუტია ციხეს".[190] რაღა თქმა უნდა, ქვეითად იბრძოლებდნენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ დიდგორის ბრძოლაში მოხსენიებული გლეხები.[191]

1163 წელს მუსლიმურ კოალიციასთან დაპირისპირებისას გიორგი III „გამოვიდა უზარმაზარი არმიით და აღალით. ურწმუნოთა არცერთ არმიაში არ შეგროვილა ამდენი მოლაშქრე და ხალხი".[192] აქ *მოლაშქრე* ცხენოსანს ნიშნავს, *ხალხი* კი ქვეითებს, რასაც მოწმობს ბრძოლის წინ ათაბაგ ილდეგიზის ინსტრუქციები ერაყელი მოკავშირეებისადმი, სადაც ის ურჩევს დაიცადონ, სანამ „ცხენოსნები ცხენოსნებს არ შეერევიან და ქვეითები – ქვეითებს".[193]

გიორგი რუსის აჯანყების დროს სამეფო ჯარსა და აჯანყებულთა შორის ბრძოლის აღწერისას ნახსენებია ქვეითი ჯარიც: „ქუეითთა სიმწუავენი და მოკუეთილებანი ისრისანი, მფეთებანი ჴრმალთანი და მხეთქელობანი ჰოროლთანი".[194]

როგორც ჩანს, თამარის ხანაში საქართველოს კარგად გაწვრთნილი ქვეითი ჯარი ჰყავდა, რისი მტკიცების საფუძველსაც გვაძლევს მათი ქმედება 1195 წელს შამქორის ბრძოლაში, სადაც ქართველმა ქვეითთებმა თავი გამოიჩინეს და სერიოზული მომზადება და ქმედების უნარი აჩვენეს. სადრ ად-დინ ჰუსაინი აღგვიწერს მათ ძლევამოსილ შეტევას შამქორის ბრძოლაში: „როდესაც ორი ჯარი ერთმანეთს შეხვდა... ქვეითებმა აბუ ბაქრს

აღმაშენებელი (თბილისი, 1990), 97. ქ. ჩხატარაიშვილი სწორად შენიშნავს რომ, როდესაც „ერი" ლაშქრის მნიშვნელობით არის გამოყენებული, „იგი ლაშქრის მასას, სიმრავლეს გულისხმობს". ჩხატარაიშვილი, *თავისუფალნი ფეოდალურ საქართველოში*, 86. ქვეით ჯარად მიაჩნია „განწირული ერი" ერწუხთან ი. შაიშმელაშვილსაც. ივანე შაიშმელაშვილი, „დიდგორის ბრძოლა სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით", *დიდგორის ბრძოლა* (თბილისი, 1973), 76-7.

[189] იესე ტლაშაძე, *ბაქარიანი*, გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა (თბილისი, 1962), 36.

[190] *A Muslim Principality in Crusader Times: The Early Artuqid State*, by Carole Hillenbrand, *a Translation of the Tarikh Mayyafariqin wa Amid of Ibn al-Azraq al-Fariqi* (Leiden, 1990), 43. მართალია, მემატიანე ცდება, როდესაც ამ ჯარით განძის აღებას აღწერს (ამ ცნობის კრიტიკა იხ. ნოდარ ასათიანი, „საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში", *თსუშ*, ტ. 125 (1968), 41; გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 53-4), მაგრამ ჩვენი კვლევისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

[191] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 341-2. ვრცლად ამ ცნობის შესახებ იხ. ზემოთ.

[192] Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукском государстве*, 140.

[193] იქვე, 140.

[194] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 50.

ისე გამალებით შეუტიეს, რომ აიძულეს პოზიცია დაეთმო. უკანდახევისას მისი გმირებისა და წარჩინებულთა ნაწილი ქვეითებმა დახოცეს".[195] ის რომ, ქართულ ქვეით ჯარს შეეძლო არა მარტო თავი დაეცვა არამედ წარმატებით შეეტია კიდეც, მისი მომზადების მაღალ დონეზე მეტყველებს. კარგადაა ცნობილი, რომ ბრძოლის ველზე ფეხოსნები, თავიანთი ნაკლები მობილურობის გამო, ჯარის თავდაცვით სახეობას წარმოადგენდნენ. მხოლოდ გამოცდილ და კარგად ორგანიზებულ ქვეით ჯარს შეეძლო შეტევის განხორციელება.[196] შეტევისას, რაც გულისხმობს მოწესრიგებულ წინსვლას, ქვეითებს უნდა შეენარჩუნებინათ მჭიდრო საბრძოლო ფორმაცია და არ დაშლილიყვნენ, თორემ მათი დამარცხება გარდუვალი იქნებოდა. აღსანიშნავია ქართველი ქვეითების ტაქტიკური სვლა: მათ მთელი სისწრაფით, გამალებით შეუტიეს მოწინააღმდეგის ცხენოსან ნაწილებს („გმირებსა და წარჩინებულებს"), რითაც არ მისცეს ცხენოსნებს დრო და სივრცე გასაშლელად და მანევრის ჩასატარებლად.[197] ეს, სათქმელად ადვილი და განსახორციელებლად მეტად ძნელი მანევრი ქვეითი ჯარისაგან დიდ დისციპლინასა და გამოცდილებას მოითხოვდა.[198]

განსაკუთრებით საჭირო იქნებოდა ქვეითი ჯარი იმ შემტევ კამპანიებში, რომლებსაც მთელი XII საუკუნე ახორციელებდა საქართველოს სამეფო კარი და რომელთაც შედეგად მოსდევდა მრავალი ციხესიმაგრის აღება და ბრძოლა მათი შემდგომი შენარჩუნებისათვის. XIII საუკუნის დასაწყისში ირანში ლაშქრობისას ქართველთა წარმატებები პოლიორკეტიკაში მიუთითებს ქვეითი ჯარისა და მისი სათანადო დანაყოფების კარგ მომზადებასა და ხარისხზე.[199]

ქვეითები ჩანან ხვარაზმელთა მიერ აღებული თბილისის გასანთავისუფლებლად დაძრულ ქართულ ჯარშიც: „ქართველები გაემართნენ იმ რაოდენობის ქვეითი და ცხენოსანი ჯარით, რომელთა შეკრებაც მოახერხეს".[200]

---

[195] Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукскои государстве*, 159; З.М. Буниятов, "Некоторые сведения Садр-ад-Дина Хусайни о Грузии," *მიაქხის*, I (1971), 89-90; ჯემალ სტეფნაძე, „საქართველო-აზერბაიჯანის პოლიტიკური ურთიერთობა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე", *სფხის*, I (1970), 124.

[196] Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings*, 160; Id., "The "Age of Cavalry" Revisited," in *The Circle of War in the Middle Ages: Essays on Medieval Military and Naval History*, ed. by D. J. Kagay and L. J. Andrew Villalon (Woodbridge, 1999), 49.

[197] ასეთივე წესით შეუტია და დაამარცხა შოტლანდიელთა ქვეითებმა ინგლისელთა ცხენოსნები ლოუდონ ჰილთან (1307) და ბანოკბურნთან (1314). David R. Cook, "The Norman Military Revolution in England," in *Proceedings of the Battle Conference on Anglo-Norman Studies I: 1978*, ed. by R. Allen Brown (Woodbridge, 1979), 215.

[198] XIV საუკუნის დასაწყისამდე დასავლეთ ევროპაში ძალიან იშვიათი იყო, რომ ქვეითებს გაებედათ და შეეტიათ ცხენოსანი ჯარისათვის. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 185.

[199] მაგალითისათვის იხ. ზენჯანის ალყის სამხედრო-ტექნიკური მხარე: წურწუმია, „შუა საუკუნეების ქართული პოლიორკეტიკა", 143-4.

[200] Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Макбурны*, издание

ამ ეპოქის ქართველ ფეხოსანთა შეიარაღება აღწერილია იოანე დრასხანაკერტელთან. თბილისისა და ქართლის ხევებიდან გამოსული ქვეითი ჯარი არის „ფაროსანი, ლახვროსანი და მახვილებით შეიარაღებული".[201] სამშვილდის ასაღებად ერისთავთერისთავმა გურგენმა „სამასიოდე მხნე და გულადი კაცი გაგზავნა – მშვილდოსნები, ფაროსნები და მახვილოსნები".[202] როგორც ვხედავთ, ქვეითი ჯარის შეიარაღებას შეადგენს ფარი, შუბი, მახვილი და მშვილდი. საინტერესოა, რომ დრასხანაკერტელის მოწმობით, რომელსაც შემდგომ პსელოსიც ადასტურებს,[203] ქართველ ქვეითთა შეიარაღებაში გვხვდება იმ დროისათვის საკმაოდ ძვირად ღირებული იარაღი – მახვილი. შუბი, ფარი და მშვილდი ქვეითის შეიარაღების ტრადიციული და არცთუ ძვირი ელემენტია, მაგრამ საკმაოდ ხშირად დამოწმებული მახვილების არსებობა მოსახლეობის ქვედა ფენებიდან გამოსული ჯარის ერთ ნაწილში შეიარაღების საკმაოდ კარგ დონეზე მიუთითებს. თავდაცვით აღჭურვილობაზე კი წარმოდგენას გვიქმნის X-XI სს. მრავალძლის ეკლესიის ჩრდილოეთის მკლავზე აღდგომის სცენის რელიეფი, სადაც ვხედავთ სქელი, დალიანდაგებული ქსოვილის აბჯრით შემოსილ ქვეით მეომარს, რომელსაც ნახევარსფეროსებური, კოპიანი მუზარადი ხურავს.[204]

ამ მონაცემებისა და ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში არსებობდა მძიმე და მსუბუქი ქვეითი ჯარი. მსუბუქი ქვეითები იყვნენ მშვილდოსნები, რომელთა იარაღი მშვილდი იყო, ეცვათ ქსოვილის აბჯარი და ზოგიერთ მათგანს მუზარადიც გააჩნდა. მძიმე ქვეითები შეიარაღებულნი იყვნენ ფარით, შუბითა და მახვილით, ეცვათ ლითონის აბჯარი და ეხურათ მუზარადი. ცხადია, რომ მინიატურაზე გამოსახული ლითონის აბჯრით აღჭურვილი ქვეითები იმდროინდელი არმიის უმეტესობა ვერ იქნებოდა. ფეხოსანთა ძირითადი მასა მხოლოდ ქსოვილის აბჯრით იქნებოდა დაცული, საუკეთესოდ (ლითონის აბჯრით) შეჭურვილი მებრძოლები კი წყობის პირველ რიგს (ან რიგებს) შექმნიდნენ.[205]

შემდგომ ეპოქებში, XVII საუკუნემდე, ცნობებს ქართული ქვეითი ჯარის შესახებ კანტიკუნტად თუ ვხვდებით. ამის მიზეზი, წყაროების სიმცირესთან ერთად, ქვეითთა ნაკლები როლი უნდა იყოს. სრულიად ბუნებრივია, რომ დასუსტებულ და დაშლილ საქართველოში, რომელიც ძლიერი ცენტრალური

критического текста, перевод с арабского, предисловие, комментарий, примечания и указатели З.М. Буниятова (Москва, 1996), 149.

[201] იოანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია*, 225.

[202] იქვე, 252.

[203] *Fourteen Byzantine Rulers: The Chronographia of Michael Psellus*, 36.

[204] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები* (თბილისი, 2008), 177.

[205] ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI ბრძენი თავის *ტაქტიკაში* ლითონის აბჯრით შეიარაღებული მებრძოლების მიერ წყობის პირველი ორ რიგის შექმნის აუცილებლობაზე მიუთითებს. *The Taktika of Leo VI*, 6.21.

მმართველობით არ გამოირჩეოდა, ქვეითი ჯარის ხარისხი საგრძნობლად დაცემულიყო და მას თავი დიდად ვერ გამოეჩინა. გამონაკლისი ქართველ მთიელთა რაზმებია, რომლებიც ტრადიციულად გამოირჩეოდნენ ქვეითად ბრძოლით.

XIV საუკუნის დასაწყისში მონღოლთა წინააღმდეგ მებრძოლი დავით VIII (1293-1311) თბილისზე ილაშქრებს: „და მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და მივიდა ტფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეითი, ვითარ ათხუთმეტი ათასი".[206] ეს ერთი იმ იშვიათ ცნობათაგანია, სადაც ქვეითი ჯარია ნახსენები, რაც მეტწილად მთიელთა მონაწილეობით იქნებოდა განპირობებული. ამავე საუკუნეში „ძეგლი ერისთავთა" აღწერს მთაში ბრძოლას, რომლის დროსაც „ჩამოყარეს საგორავი ურიცხუ, და აღვიდეს კუალადცა, რამეთუ დაბურვილ იყუნეს ფარითა, ვითარცა სიპითა".[207] აქ აღწერილია კარგად ორგანიზებულ ქვეითთა ქმედება, რომლებიც ოსტატურად იყენებენ ფარს და შექმნილი აქვთ *ფარების კედლის* მსგავსი წყობა, რომელიც ფრონტალურის გარდა, ზემოდანაც იყო ფარებით გადახურული („დაბურვილი"). უცხოური წყაროების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი „გადახურული" წყობა სწორედ ფარების კედლისათვის იყო დამახასიათებელი.[208] საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ფარების კედელს საქართველოში XIV საუკუნეშიც იყენებდნენ.

„ძეგლი ერისთავთა" მიერ მოთხრობილი კიდევ ერთი ბრძოლა, ამჯერად თემურ-ლენგის წინააღმდეგ, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქვეით მშვილდოსანთა და, საერთოდ, ქვეითი ჯარის მნიშვნელობაზე მთის პირობებში. ეს ეპიზოდი მეტად საყურადღებოა, რადგან მისი განხილვისას ჩანს ქართველი მხედართმთავრის ტაქტიკური ნიჭი და მის მიერ გამოყენებული მეთოდები, რომელმაც გამარჯვება განაპირობა.[209] 1400 წელს ქსნის ხეობაში თემურ-ლენგის შემოსევის დროს ცხრაზმისხევის ერისთავი ვირშელ ბეხუშეს ციხესთან გამაგრდა. მტრის პირველი შეტევა ქართველმა მშვილდოსნებმა მოიგერიეს: ერისთავმა „მიაგება წინა მშულდოსანნი და იწყეს სროლად და გამოასხნეს..."[210] მხოლოდ მშვილდოსანთა მიერ შეტევის შეჩერება მათ გაწვრთნილობაზე, პოზიციის კარგ შერჩევასა და ინტენსიური სროლის უნარზე მეტყველებს. მტერმა მაშველი მიიღო („მოირთეს ძალი") და მისი მეორე შემოტევის შესაჩერებლად უკვე აზნაურთა დახმარება გახდა საჭირო: „ჩამოეგებნეს აზნაურიშვილები და იწყეს სროლად ისრითა და დაუჭოცეს

---

[206] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 210-1.

[207] „ძეგლი ერისთავთა", 108.

[208] სნორი სტურლუსონი მოგვითხრობს, რომ სტამფორდის ხიდთან ბრძოლაში (1066) ვიკინგები ფარებით იყვნენ „გადაფარულნი წინიდან და ზემოდან". Heath, *The Vikings*, 32.

[209] საბრძოლო მოქმედებების მსვლელობა სწორად აქვს დანახული გ. არახამიას. იხ. მისი, *ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები* (თბილისი, 1988), 109.

[210] „ძეგლი ერისთავთა", 114.

ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა და გამოასხნეს ჰომითა".[211] ცხადია, მძიმედ შეჭურვილმა აზნაურებმა სიმტკიცე შემატა მსუბუქ მშვილდოსანთა რიგებს[212] და მათ ერთობლივად მოიგერიეს მოწინააღმდეგე, რომელიც რეზერვების სიმცირეს არ უჩიოდა („შეკრბეს სიმრავლითა დიდითა") და მესამე შეტევაც ნამოიწყო. აქ ვირშელ ერისთავმა ტაქტიკურ უკანდახევას მიმართა, ციხის ზემოთ ვიწრობებში აინაცვლა, სადაც მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს გაშლის საშუალება არ ჰქონდა. ამასთანავე, მან თავისი რაზმი დააქვეითა, რაც, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, უთუოდ სწორი ნაბიჯი იყო. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ცხენოსანთან შედარებით, ქვეითი უფრო სწრაფად და ზუსტად ისვრის ისარს. მტრის ისრით დაცხრილვის შემდეგ, ქართველებმა ხელჩართული ბრძოლით უკუაქციეს შეთხელებული მოწინააღმდეგე: „დაქუეითდეს და ჩამოეგებნეს წინა ვირშელი და მოახლენი მისნი და იწყეს სროლად, მერმე ამოიწუადეს ჴრმლები და ვერ მოეტეოდა ლაშქარი მრავალი და მიბრუნდეს წინანი მბრძოლნი, რამეთუ მრავალი მოკუდა მათგანი და წამოვიდა ყოველი სპაჲ".[213] როგორც ვხედავთ, მრავალრიცხოვან ცხენოსან მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებისას, ვირშელ ერისთავმა ზედმიწევნით სწორი ტაქტიკა აირჩია, რამაც, კარგ პოზიციასა და მოქნილ საბრძოლო წყობასთან ერთად, საშუალება მისცა მას, სრულად გამოეყენებინა ქვეითთა უპირატესობა მთაში ბრძოლისას.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ქვეითები გვხვდება სვიმონ I-ის ლაშქარში: „მეფემან სვიმონ ლაშქარი შეიყარა საქართველოს ცხენოსან-ქუეითნი".[214] სვიმონ მეფის ლაშქარში ფეხოსანთა ყოფნას ფარსადან გორგიჯანიძეც ადასტურებს, როდესაც მისი მეთაურობით ირანელებთან ბრძოლაზე მოგვითხრობს: „ქართველნიც მოეტივნეს და შეიქნა შუბთა ძგერება, ლახტისა და ხმლის ტკაცა-ტკუცი. ზოგნი ქვეითათ რკენასა და ჭიდებაშიგ იყვნენ".[215]

XVII საუკუნიდან, წერილობითი ცნობების მატების ფონზე, მატულობს ცნობები ქვეითი ჯარის შესახებ, რაც მათ გაზრდილ მნიშვნელობაზეც მიუთითებს. როგორც ჩანს, ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ ხელი შეუწყო ქვეითთა როლის ამაღლებას ბრძოლის ველზე, თუმცა, ხელშესახებ შედეგს ამ ცვლილებებმა მხოლოდ XVIII საუკუნეში მიაღწია.

XVI საუკუნის ბოლოდან ქართულ ჯარში მეთოფეთა ნაწილებსაც ვხედავთ. 1589 წელს რუსი ელჩები ზვენიგოროდსკი და ანტონოვი დაესწრნენ კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605) მიერ ჩატარებულ აღლუმს. ალე-

---

[211] იქვე, 114-5.

[212] ამ საბრძოლო ხერხის კლასიკური მაგალითი აზენკურის ბრძოლაა (1415), სადაც ინგლისელმა რაინდებმა მშვილდოსანთა წყობა გააძლიერეს.

[213] „ძეგლი ერისთავთა", 115.

[214] *ქართლის ცხოვრება*, II, 512.

[215] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 219.

ქსანდრეს 3 000 ქვეითი ჰყავდა, რომლებიც მოხრილი ხმლებით, მშვილდითა და ფარით იყვნენ შეიარაღებულნი. ამას გარდა, მეფეს 500 კაციანი მეთოფეთა რაზმიც ჰყავდა.[216] XVII საუკუნის დასაწყისის თეიმურაზ I-ის ჯარში ისქანდერ მუნში ასახელებს ქვეითებსა და ცხენოსნებს.[217] როდესაც 1616 წელს თეიმურაზმა ყიზილბაშები დაამარცხა, მემატიანე აღნიშნავს ირანელთა ერთი რაზმის მიერ ბრძოლაში მონაწილე 40-50 ქართველი ქვეითის დახოცვას.[218] ქსნის ხეობაში ირანელთა დამარცხების გადმოცემისას, მუნში მშვილდოსნებთან ერთად ქართველ მეთოფეებსაც ახსენებს.[219]

განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქვეითთა მასების გამოყვანა მოხერხდა 1625 წელს, როდესაც ქართლისა და კახეთის ძალები გაერთიანდნენ. ირანელი მემატიანის სიტყვებით, მარაბდის ბრძოლაში მონაწილეობდა არა მარტო „საქართველოს ხალხის დიდებულები და წარჩინებულები, არამედ ქართლის უბრალო ხალხიც და მახვილს გადარჩენილი კახელები, ოდენობით ოცი ათასი ქვეითი და ცხენოსანი".[220] ასეთი მრავალრიცხოვანი ქვეითი ჯარის შეკრება გამონაკლისი შემთხვევა იყო, რის გამოც მას აკლდა დისციპლინა და ურთიერთშეთანხმებულობა. ამ ფაქტორებისა და საბრძოლო მოქმედებათა თეატრის გათვალისწინებით, ის ფრთხილ და სათანადო გამოყენებას საჭიროებდა, რასაც ქართულმა სარდლობამ, სამხედრო საბჭოზე გამოთქმული ზოგიერთი საღი აზრის მიუხედავად, თავი ვერ გაართვა. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში მარაბდის ველზე მტერთან შებმას უფრთხოდა გიორგი სააკაძე, რადგან კარგად ესმოდა, რომ ქვეით ჯარს ბრძოლა გაუჭირდებოდა, შესაძლო მარცხის შემთხვევაში გაშლილ ველზე უკან ვერ დაიხევდა და თავსაც ვერსად შეაფარებდა: „ქვეითობა იქ არ ვარგა, სიცხეა და მისჭირდება, / ღმერთმან ნუ ქნას, დაგვიმარცხდეს, სრულ ერთპირად ამოსწყდება".[221] თავდაპირველი წარმატების შემდეგ ქართველები დამარცხდნენ, რაშიც, სხვა მიზეზთა შორის, უდისციპლინობასაც მიუძღვის დიდი წვლილი. ბრძოლაში ქვეითთა უწესრიგობას არჩილიც აღნიშნავს: „ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთოდეს, / მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს".[222] როგორც ვხედავთ, ქვეითები დიდი დისციპლინით არ გამოირჩეოდნენ, შუა ბრძოლაში თავი გამარჯვებულად

---

[216] *Сношения России с Кавказом*, Материалы, извлеченные из Московского главного архива Министерства иностранных дел С. А. Белокуровым, вып. 1, 1578-1613 гг. (Москва, 1889), 171. ალექსანდრე II-ის ცხენოსან თოფოსნებზე ვრცლად იხ. მამუკა წურწუმია, „ცეცხლსასროლი იარაღი XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში", *საისტორიო კრებული*, 4 (2014), 116-7.

[217] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, 83.

[218] იქვე, 101.

[219] იქვე, 131.

[220] იქვე, 127.

[221] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 72. იგივე აზრისაა ბაადურ ციციშვილი: „ჟამი არის მუნ სიცხისა, მზემ ჰაერი დააბუნდა, / დაგვიმარცხდეს ქვეითობა, სადღა მორჩეს, თქმა არ უნდა". იქვე, 73.

[222] იქვე, 75.

ჩათვალეს და ირანელთა ბანაკის ძარცვა დაიწყეს („ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთოდეს").[223] არც მათი შეიარაღებაა სათანადო დონეზე – დისტანციური ბრძოლის მთავარ იარაღად ისევ მშვილდი რჩება („სიცხისაგან ძალწართმულნი, ისარს ველარ მოისროდეს"),[224] ცეცხლსასროლი იარაღი („ხელთოფები") ცოტა აქვთ, რადგან არჩილი არც აღნიშნავს.[225] ამავე დროს, უკვე წაგებულ ომში გასაოცარ სიმხნეს იჩენენ, მასობრივად არ გარბიან და ბოლომდე იბრძვიან: „ქართველთ ქვეითნი დაიღალნეს და სიარულისა და წასვლის ღონე აღარ შერჩომოდათ. ალაგალაგ ერთგან შეგროვდნენ და სიდამდისინ დაიხოცებოდეს, თავი აღარ დაიზოგეს. ვისაც ხელი მიაწვდინეს, მოუკლავი არ გაუშვეს და თვითანც დაიხოცნენ".[226]

ქვეითები გვხვდება XVII საუკუნის მეორე ნახევარის ქართულ ჯარშიც: „შემოიყარეს ლაშქარი, ცხენოსან ქუეთიანად".[227] ამ საუკუნის შუახანებიდან ხშირია მეთოფეთა ხსენება სხვადასხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა ლაშქარში. 1647 წელს გონიოს ციხეზე კაზაკთა თავდასხმისას ოსმალთა საშველად მისულ სამეგრელოს სამთავროს ჯარებში ევლია ჩელები ათასამდე ქვეით მეთოფეს ასახელებს.[228] ჩელები მეთოფეების ყოფნას აღნიშნავს კახეთის ჯარებშიც: „თეიმურაზ-ხანის შვილი სამი ათასი შეიარაღებული, სრულყოფილი, თავით ფეხებამდე რკინაში ჩამჯდარი ქართველი ვაჟკაცებით, ორი ათასი ქვეითი ჯარით და მეთოფე ჯარით მოვიდა".[229] ამავე პერიოდში (1648 წელს) თეიმურაზ I-ის ჯარში მეთოფეთა ყოფნას არჩილიც ადასტურებს: „შევსხედით, რანიც ვიყავით, მეთოფეები წინ წადგეს".[230]

მეტად საინტერესოა არჩილ მეფის მიერ ერთი საბრძოლო ეპიზოდის შეფასება, როდესაც 1648 წელს როსტომ ხანის ჯარზე წარუმატებელი შეტევის დროს თეიმურაზ I-ის ძე, დავით ბატონიშვილი, იღუპება: „სრულ ვაჟკაცები დაგროვდენ, არ იყვნენ ბევრ ომ-მნანახნი. / შეუტივეს იმავ წამსა, ქვეითობას არ აცალეს, / ვინ ვის წინა გაასწრობდა, ან ცხენს ვინ ჯდა

---

[223] ლეონ VI სასტიკად კრძალავს ბრძოლის ველზე დაცემულთა ან მოწინააღმდეგის ბანაკის ძარცვას საბოლოო გამარჯვების მიღწევამდე და დასძენს, რომ ამ გარემოებას ხშირად მიუყვანია გამარჯვებული კატასტროფამდე. *The Taktika of Leo VI*, 13.15. ეს ქრესტომათიული მოთხოვნა ქართულმა ჯარმა ვერ შეასრულა, რაც მისი დისციპლინის ნაკლებობაზე მიუთითებს.

[224] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 75.

[225] საველე ზარბაზნებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, საარმიო არტილერია ქართული არმიის შეიარაღებაში მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება.

[226] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 235. მარაბდის ველზე დაცემულ ცხრა (არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 76) თუ ათი ათას (*ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, 129) კაცში უმრავლესობა ფეხოსნები იქნებოდნენ, რომელთაც ცხენოსანი ჯარისაგან განსხვავებით, გაქცევა ვერ მოახერხეს.

[227] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 179.

[228] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი"*, 323.

[229] იქვე, 332.

[230] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 115.



სურ. 15
ქრისტეს საფლავის მცველი ქვეითი მეომრები გიორგი VIII-ის (ა) და მარიამ დედოფლის (ბ) გარდამოხსნებზე.

უმუხლმალეს...“[231] ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ფეხოსნებთან ურთიერთქმედების გარეშე ცუდად ჩატარებულმა ახალგაზრდა, გამოუცდელი ქართველი რაინდების იერიშმა, როდესაც ერთი მეორეს ასწრებს, ერთიანი საბრძოლო ხაზის ფორმირება არ ხერხდება და ერთობლივი დარტყმაც არ გამოდის. ქვეითთა და ცხენოსანთა ურთიერთქმედების აუცილებლობა კარგად ჰქონდათ გააზრებული საქართველოში, სადაც ქვეითთა დახმარების გარეშე („ქვეითობას არ აცალეს“) ბრძოლაში ჩაბმა ერთმნიშვნელოვნად წინდაუხედავობაზე და გამოუცდელობაზე მეტყველებდა („არ იყვნენ ბევრ ომ-მნანახნი“).

შეიარაღების თვალსაზრისით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცეცხლსასროლი იარაღის ნელ და თანდათანობით დამკვიდრებას, ადრეულ ეპოქებთან შედარებით ქვეითის აღჭურვილობაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ქართველი ქვეითი კვლავინდებურად ფარ-ხმლით, შუბითა და მშვილდით იყო აღჭურვილი (რასაც, საუკეთესო შემთხვევაში, თოფი ემატებოდა). XV საუკუნის შუახანებში შესრულებულ გიორგი VIII-ის გარდამოხსნაზე[232] ამოქარგულია ქრისტეს საფლავის მცველი ოთხი ქვეითი მეომარი, რომელთა აღჭურვილობას ფარის, შუბისა და მუზარადის გარდა, დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი შეადგენს. ასეთივე დალიანდაგებული ქსოვილის აბჯრით აღჭურვილი ქვეითი მებრძოლებია ამოქარგული XVII საუკუნის მარ-

[231] იქვე, 116.

[232] ვახტანგ ბერიძე, *ქართული ნაქარგობის ისტორიიდან: გარდამოხსნები* (თბილისი, 1983), 13-4, ტაბ. 1; *ქართული ნაქარგობა*, რედ. ლეილა ბერიაშვილი (თბილისი, 2011), 31.

სურ. 16
„ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების“ მინიატურები: ა) წმ. გიორგის მხლებელი წმინდა მხედართა დასი; ბ) ქვეითები წმ. გიორგის ძელზე დამოკიდების სცენიდან.

იამ დედოფლის, გივი ამილახვრისა და ზილფიჯანის გარდამოხსნებზე.[233] მხოლოდ აქ, ფარისა და შუბის გარდა, მეომრის შეიარაღებას ემატება ხმალი, რაც შესაძლოა, მიუთითებდეს იმაზე, რომ XV საუკუნესთან შედარებით ქვეითთათვის უკეთესი შეიარაღება გახდა ხელმისაწვდომი (სურ. 15). XVII საუკუნის „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების“ ხალხური სტილით შესრულებულ მინიატურებზე გამოსახულ წმ. გიორგის მხლებლებში გუნდად დაწყობილი ქართული ქვეითი ლაშქარი შეიძლება ამოვიცნოთ, რომლის ძირითადი იარაღი შუბია. თვალშისაცემია თავდაცვითი აღჭურვილობის სიმწირე, რომელიც მხოლოდ ქსოვილის აბჯრით არის წარმოდგენილი[234] (სურ. 16).

X-XIII საუკუნეებში ქართული ქვეითი ჯარი ანგარიშგასაწევი სიდიდე იყო. შემდგომ საუკუნეებში, სამეფოს დასუსტებასთან ერთად, ეცემა ქვეითი ჯარის ხარისხიც. ქართულმა სამეფოებმა დაკარგეს ორგანიზებული, დისციპლინირებული ქვეითი ჯარის გამოყვანის უნარი, რომელსაც ცივი იარაღით (შუბი, მშვილდი) სრულფასოვანი ბრძოლა შეეძლო. XVII საუკუნიდან

[233] ბერიძე, *ქართული ნაქარგობის ისტორიიდან*, 19-20, 25-8, ტაბ. 6, 11, 13; *ქართული ქრისტიანული ხელოვნება*, რედ. დ. თუმანიშვილი, ქ. მიქელაძე, მ. დიდებულიძე (თბილისი, 2008), 222.

[234] *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები: ქართულ ხელნაწერთა კოლექცია (IX-XIX საუკუნეები)*, რედაქტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე (თბილისი, 2011), 57-8, 61, სურ. 8.3, 8.5.

დაწყებული, ცეცხლსასროლმა იარაღმა, რომლის გამოყენება და ექსპლუატაცია შედარებით ადვილი იყო, გარკვეულად ააღორძინა ქვეითები, თუმცა ეს პროცესი შორს არ წასულა. XVIII საუკუნემდე თითქმის არ ჩანს რაიმე ევოლუცია ტაქტიკაში, თუკი ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებასთან დაკავშირებულ ცალკეულ ცდებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელთაც ძირეული ცვლილებები არ მოჰყოლია. ქვეითი ჯარი, რომლის იარაღისა და ტაქტიკის განვითარებამ რევოლუცია მოახდინა სამხედრო საქმეში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე მეორეხარისხოვან ძალად რჩებოდა საქართველოში.

თავი IV

საბრძოლო ხელოვნება: ქართული ცაშქაში ველზე

ცაშქის გახეგნული მხარე

ფეოდალური არისტოკრატიის უსაფრთხოება და ეფექტურობა ბრძოლაში დიდად იყო დამოკიდებული მათი შეიარაღების ხარისხზე, რის გასაუმჯობესებლადაც ისინი ღონესა და სახსარს არ იშურებდნენ.[1] რაინდთა კლასი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩაცმულობას, იარაღის მორთულობასა და საერთოდ, მებრძოლის გარეგნულ სახეს. მდიდრული იარაღი და მორთულობა საამაყო იყო, ჟანგიანი იარაღი და უხარისხო აღჭურვილობა კი სამარცხვინოდ ითვლებოდა.[2] მბრწყინავ, ელვარე იარაღს სულხან-საბა ორბელიანი *სამანდროს* უწოდებს.[3]

ეპოქაში, სადაც იარაღი და მორთულობა სტატუსის ხილულ დემონსტრირება იყო, გარეგნული მხარისადმი ასეთი ყურადღება სავსებით ბუნებრივია. ბრწყინვალედ აღჭურვილი ქართული არისტოკრატია ომში, როგორც ზეიმში ისე მიდიოდა: „დაეკაზმნეს საომარად, გაამაყდეს, გაჩაუქდეს".[4] ქართველთა ამ ჩვევაზე ყურადღებას ამახვილებს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი: „არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჯარი ისე სამაგალითოდ მოწყობილი გამოდიოდეს ლაშქრად, როგორც მეგრელების ჯარი.[5] მშვენიერი ტანისამოსები ისე ბრწყინავენ, როგორც არსად სხვაგან: თვითეულს მოაქვს ყველა თავისი ტანისამოსი და ცდილობს, რომ აქ უფრო კარგად იყოს ჩაცმული, ვიდრე ჩვეულებრივ არის. მართლა ახირებულია, რომ აქ ყოველ დღე იცვლიან თავიანთ ტანისამოსს".[6]

კარგად აღჭურვილი მებრძოლი გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც ფლობდა. კავალერიის ძალა დიდწილად მდგომარეობდა მის უნარში

---

[1] მათგან განსხვავებით, სახელმწიფო სისტემა, რომელიც დამოკიდებული იყო მოქირავნეზე ან მასობრივ გაწვევაზე, უფრო იაფიან იარაღს იყენებდა. A. D. H. Bivar, "Cavalry Equipment and Tactics on the Euphrates Frontier," *Dumbarton Oaks Papers*, 26 (1972), 279.

[2] Nicolle, *Knight of Outremer*, 55.

[3] „*სამანდრო* – ელვარე საჭურველი; თვალშეუდგამი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 37.

[4] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1605.

[5] ბუნებრივია, ეს საერთო ქართული წესი იქნებოდა და არა მარტო ოდიშისათვის დამახასიათებელი.

[6] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 84.

ზარი დაეცა მოწინააღმდეგისათვის, შიშის წყალობით აეძულებინა ის დაეშალა საბრძოლო წყობა და გაქცეულიყო. შიშის ფაქტორის შექმნაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხედართა ეფექტურ აღჭურვილობას.[7] ბიზანტიური ტრაქტატები ერთხმად უსვამენ ხაზს მებრძოლის გარეგნული სახის მნიშვნელობასა და მის გავლენას მოწინააღმდეგეზე. მავრიკიოსის *სტრატეგიკონის* მიხედვით, „რაც უფრო შთამბეჭდავადაა აღჭურვილი მებრძოლი (სტრატიოტი), მით უფრო ბრძოლისუნარიანია და საზარელია ის მტრისათვის".[8] მას ეთანხმება ლეონ VI-ის *ტაქტიკა*: „რაც უფრო კოხტად აღჭურვილი გამოიყურება ჯარისკაცი, მით უფრო თავდაჯერებულია ის და მეტ შიშს იწვევს მოწინააღმდეგეში".[9] მძიმედ შეჭურვილი ქართული მხედრობა ყოველთვის ახდენდა სათანადო შთაბეჭდილებას მხილველზე, რისი არაერთი მოწმობაც მოგვეპოვება.[10] სხვადასხვა ცნობები ქართველ მხედართა შიშისმომგვრელ გარეგნობაზეც მოგვითხრობენ. იოანე დრასხანაკერტელის მიხედვით, X საუკუნეში აფხაზეთის სამეფოს მხედრობა აღჭურვილი იყო „შიშის მომგვრელი ჩაფხუტებით".[11] სტეფანოს ორბელიანის ცნობით, ლიპარიტ ბაღვაშის 700 მებრძოლი „თავზარდამცემ, შიშის მომგვრელ მუზარადს" ატარებდა.[12]

ჯარის მართვისა და კომუნიკაციის საშუალებები

ახალ დრომდე ჯარების მართვის საშუალებები საკმაოდ შეზღუდული და მოკლე მანძილზე მოქმედი იყო. ვეგეციუსი სამი სახის სასიგნალო ნიშნებს გამოყოფს – ხმოვან, უხმო და ნახევრადხმოვანს. ხმოვანი და ნახევრადხმოვანი სიგნალები ყურით აღიქმებოდა, ჩუმი – თვალით. „ხმოვანი" სიგნალი იყო ადამიანის ხმით მიცემული ბრძანება ან საბრძოლო შეძახილი. „ნახევრადხმოვანი" იყო საკრავებით (ბუკით, საყვირით, სხვ.) მიცემული ნიშანი. „ჩუმ" სიგნალს იძლეოდნენ დროშებითა და შტანდარტებით, მაგალითად, როდესაც დროშისმტვირთველი წინ მიდიოდა და სხვები უკან მიყვებოდნენ დროშას. „ჩუმი" სიგნალის სხვა მაგალითია ცეცხლი (ღამით) და კვამლი (დღისით).[13]

დროშა

სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, რომ დროშა არის სამხედრო რაზმთა განმასხვავებელი სხვადასხვა ფერის ნიშანი – „მწყობრთ ნიშანი

[7] Ian P. Stephenson, *Romano-Byzantine Infantry Equipment* (Stroud, 2006), 11.

[8] *Maurices's Strategikon*, 12; *Стратегикон Маврикия*, 67.

[9] *The Taktika of Leo VI*, text, translation, and commentary by George T. Dennis (Washington, 2010), 6.3.

[10] მაგალითისათვის იხ. *ეკლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი"*, 323, 332.

[11] იოანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია*, 257.

[12] Маркарян, "Варанги" "Матиане Картлиса" в историческом произведении Степаноса Орбеляна," 135, 138.

[13] *Vegetius: Epitome of Military Science*, III.5.

ფერად-ფერადი გუნდთა და გუნდთა საცნობელი".[14] თეიმურაზ ბაგრატიონი კი თავად დროშასაც აღწერს: „დროშა ბაირახის ხე არის, რომელსაც თავზე შუბი ექმნება დაგებული და ალამი მასზედ აბმული, რომელსა ზედაცა ნიშანნიცა იქმნებიან ანუ ქვეყანასა, ანუ სპათა გამოხატულნი ღერბნი, ანუ ხატნი ვითა ვიეთთა ანუ ვითარად".[15]

დღეს საყოველთაოდ გავრცელებული გრძივი ფორმა დროშამ მოგვიანებით შეიძინა. მაგალითად, რომაული *ვექსილუმი* ჯვარედინად დამაგრებულ ჯოხზე იყო ვერტიკალურად ჩამოკიდებული. დროშა, როგორც შუბის ტარზე მიმაგრებული ჰორიზონტალური ქსოვილის ნაჭერი, მომთაბარეებმა გაავრცელეს ჩინეთსა და ევროპაში დაახ. 500 წლისათვის.[16] ჰორიზონტალური დროშის პირველი გამოსახულებები ბიზანტიაში VI ს. I ნახევარში გვხვდება.[17]

შუა საუკუნეების ქართული დროშა შედგებოდა ხის ტარის,[18] დროშის თავისა[19] და ტარზე მიმაგრებული ქსოვილისაგან. მოგვიანებით მათ დაემატა თული, რომელიც საქართველოში პოსტმონღოლურ პერიოდში ჩანს.[20] *თული (ბუნჩუკი)* დროშის თავის ქვეშ მაგრდებოდა და იყო ცხენის ძუის კონა, მსხვილ ფუნჯი, რომელიც დროშის ტარს ყოველი მხრიდან მოიცავდა.[21]

კლასიკური ფორმის დროშების გარდა, არსებობდა ე.წ. *დრაკონული*

---

[14] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 226. მისივე თქმით, *ბავრაყი* არის „ეკლესიის დროშა, სამღდელო დროშა, საყდრის დროშა". იქვე, 91. XVIII ს. მინურულს ეს ტერმინი საერო დროშებთან მიმართებაშიც იხმარება. სარა ბარნაველი, *ქართული დროშები* (თბილისი, 1953), 2.

[15] თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 49-50.

[16] Helmut Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 118.

[17] Andrea Babuin, "Standards and Insignia of Byzantium," *Byzantion*, 71 (2001), 24.

[18] დროშის ტარად ჩვეულებრივ შუბსაც იყენებდნენ. როგორც წესი, ტარი ბოლოვდებოდა მიწაში ჩასასობი რკინის ბუნიკით. М.Г. Рабинович, "Древнерусские знамена (X-XV вв.) по изображениям на миниатюрах," *Новое в археологии* (Москва, 1972), 176; ბარნაველი, *ქართული დროშები*, 40.

[19] დროშის თავი ეწოდება დროშის ზედა ნაწილში მოთავსებულ ფიგურას ან გამოსახულებას. О.С. Советова, А.Н. Мухарева, "Об использовании знамён в военном деле средневековых кочевников (по изобразительным источникам)," *Археология Южной Сибири*, вып. 23 (Кемерово, 2005), 92. დროშის თავი საკმაოდ დიდი ზომის იყო და რაზმის კუთვნილების გასარჩევადაც გამოიყენებოდა. Рабинович, "Древнерусские знамена (X-XV вв.) по изображениям на миниатюрах," 176-7. ქართული დროშის თავი, უმთავრესად, ჯვარი ან შუბის პირი იყო. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 14. კახეთის მეფის დროშის თავზე ბროლის ჯვარიც კი იყო დამაგრებული. იქვე, 50. იბნ ალ-ასირის ცნობით, არზრუმის მუსლიმმა მმართველმა, ქართველთა ვასალობის ნიშნად, საქართველოს მეფისაგან მიიღო საპატიო ხალათი და აღმართა დროშა, რომელსაც თავზე ჯვარი ეკეთა. *The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fi'l-ta'rīkh*, part 3, translated by D. S. Richards (Aldershot, 2008), 270.

[20] მონღოლური დროშა შედგებოდა როგორც ალმის, ასევე თულისაგან. ამას ადასტურებს ირანული მინიატურები და ევროპული ქრონიკები. Witold Swietoslawski, *Arms and Armour of the Nomads of the Great Steppe in the Times of the Mongol Expansion (12th-14th Centuries)* (Lodz, 1999), 100. თულს, როგორც მეთაურის ნიშანს, მონღოლების გარდა ფართოდ იყენებდნენ თურქ-ოსმალებიც. Ю.Н. Рерих, "Упоминание о бунчуке в "Ригведе," *Древний мир* (Москва, 1962), 440.

[21] Рабинович, "Древнерусские знамена (X-XV вв.) по изображениям на миниатюрах," 177.

სურ. 17
ლემის შუბისთავი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

დროშებიც. დრაკონული დროშები, ლითონის თავითა და ქსოვილის ტანით, რომაულ სამყაროში სარმატებმა შემოიტანეს I საუკუნეში.[22] ფლავიუს არიანე აღწერს მომთაბარეთა დრაკონულ დროშებს, რომელთაც ჭოკზე წამოგებული ფერადი ქსოვილისაგან შეკერილი გველის ფორმა ჰქონდათ. მოძრაობისას ჰაერი მათ შემაძრწუნებელ ფორმას აძლევდა და სტვენის მსგავს ხმასაც გამოსცემდა. ასეთი დროშა ყველა რაზმს ჰქონდა და ბრძოლის წარსამართად იყენებდა.[23] II საუკუნიდან დაწყებული, რომაელები ძველ დროშებს ცვლიან დრაკონულით, რომელიც მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა და მის ცხენებს აშინებდა. დრაკონული დროშების მიერ გამოცემული სისინისა და სტვენის ხმა, შესაძლოა, ეხმარებოდა კიდეც მებრძოლებს ორიენტაციაში დროშის მხედველობიდან დაკარგვისას.[24] დრაკონული დროშებიდან ყველას არ აქვს დრაკონის თავი, ზოგს ცხოველის თავი აქვს, ზოგი სულაც უთავოა მხოლოდ ქსოვილის ტანით, მაგრამ ასეთი დროშების ჯგუფს მაინც „დრაკონული დროშები“ ეწოდება. მოგვიანებით მათ იყენებდნენ შარლემანის (კარლოს დიდის) ფრანკები და ანგლო-საქსებიც, ისევე როგორც შუა საუკუნეების ქართველები.[25]

დრაკონული დროშების კატეგორიას მიეკუთვნება უცხოელ მკვლევართათვისაც კარგად ცნობილი სვანური *ლემი* (ლომი), ზოომორფული დროშა, რომელსაც ყვითელი აბრეშუმისაგან შეკერილი სხეული და მასიური ვერცხლის მავთულისაგან გაკეთებული დაღრენილი პირი აქვს. ლემის მთლიანი სიგრძე 2.24 მ შეადგენს.[26] ჭენებისას ის ჰაერით ივსებოდა და ლომს ემსგავსებოდა. ლემის ტარს მოოქრული ვერცხლის შუბისთავი ამშვენებდა, ასომთავრული საქტიტორო წარწერით, ერთ მხარეს მთავარანგელოზის, მეორე მხარეს კი წმ. გიორგისა და იონა წინასწარმეტყველის გამოსახულებით (სურ. 17).

დღემდე არ მოუღწევია ერთიანი მონარქიის სახელმწიფო თუ სხვა დროშებს, არც მათი ზუსტი აღწერილობაა დადასტურებული ქართულ წყაროებში, რის გამოც არაპირდაპირი ინფორმაციით უნდა დავკმაყოფილდეთ. XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი, რომელიც ქართველ ორბელთა გვარის ჩამომავალი იყო, საყურადღებო ცნობას გვაწვდის XII

---

[22] Coulston, "Arms and Armour of the Late Roman Army," 21; Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 118.

[23] Арриан, *Тактическое искусство*, перевод, комментарии, вступительные статьи А.К. Нефёдкина (Санкт-Петербург, 2010), 55.

[24] Советова, Мухарева, "Об использовании знамён в военном деле средневековых кочевников," 100, 103.

[25] R. Brzezinski, and M. Mielczarek, *The Sarmatians 600 BC-AD 450* (Oxford, 2002), 39.

[26] ბარნაველი, *ქართული დროშები*, 29.

საუკუნის საქართველოს სამეფო და სამხედრო დროშის შესახებ: „რამეთუ განწესებულ იყო მეფისა ქონებად თეთრისა ალმისა და წითლისა ნიშნისა, და უბრძანეს მათ წითლისა ალმისა ქონებად, დროშისა და თეთრისა ნიშნისა მას ზედა".[27] დ. მუსხელიშვილის განმარტებით, „სომხური სიტყვა „ნშან" (ნიშანი, გამოსახულება) ამავე დროს „ჯვარს" ნიშნავდა და ასეც ითარგმნებოდა". ამრიგად, ტექსტი ასე უნდა წავიკითხოთ (ვთარგმნოთ): „წესად იყო ხელმწიფის (დროშის) ალამი თეთრი ყოფილიყო, ხოლო (ზედ) წითელი ჯვარი ჰქონოდა".[28] საქართველოს ამირსპასალარის დროშა (ანუ შეიძლება ითქვას, სამეფოს სამხედრო დროშა) კი წითელია, ზედ თეთრი ჯვრით ანუ ადგილი აქვს სახელმწიფო დროშის ფერების შენაცვლებას სამხედრო დროშაში. ფერთა შენაცვლება ცნობილი ჰერალდიკური ხერხია, რითაც გამოხატავენ განსაკუთრებულ პატივისცემას იმ დროშისადმი, რომლის ფერებსაც იყენებენ მონაცვლეობით.[29] უაღრესად საინტერესოა თუ რამდენი წითელი ჯვარი იყო გამოსახული XII საუკუნის საქართველოს სამეფო დროშაზე: ერთი, როგორც წმ. გიორგის დროშაზე თუ ხუთი, როგორც ეს გვხვდება XIV საუკუნიდან ევროპულ პორტოლანებზე? სამწუხაროდ, არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამ კითხვაზე დაბეჯითებითი პასუხის გაცემა არ ხერხდება და დამატებითი ინფორმაციის გამოჩენამდე, მხოლოდ ვარაუდების ამარა ვართ დარჩენილი.

ორბელიანის ინფორმაცია სამეფო დროშის თეთრი ველის (ტილოს) შესახებ ეთანხმება ქართული მატიანეების ცნობას. თამარის პირველი ისტორიკოსიც თეთრ დროშაზე მოგვითხრობს: „დროშა იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკებოდა".[30] *სპეტაკის*, როგორც თეთრის განმარტება ეჭვქვეშ დააყენა გ. მაჭარაშვილმა, რომლის აზრითაც სპეტაკი აქ *ბრწყინვალეს* ნიშნავს და ეს განპირობებული იყო დროშის ოქროქსოვილით, რის შემდეგაც ასკვნის, რომ სახელმწიფო დროშა ჩალისფერი იყო.[31] ამ საკითხზე შეიძლებოდა მსჯელობა, რომ არა ერთი გარემოება: „ისტორიანის და აზმანის" ერთ ნუსხაში (ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსებული ტექსტი) დროშა ასე არის აღწერილი – „მოსპეტაკობდა რეცა სიბერისა სახედ".[32] აქ დროშის ფერი სიბერის ფერს ანუ თეთრს არის შედარებული,

---

[27] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები*, 38.

[28] დავით მუსხელიშვილი, „ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში", *ლიტერატურული საქართველო*, 13-20 მარტი (1998), 5.

[29] В.В. Похлебкин, *Словарь международной символики и эмблематики* (Москва, 2004), 206. შუა საუკუნებში სიუზერენის მიერ ვასალისათვის თავისი ჰერალდიკური სიმბოლიკის რაიმე ფორმით გაზიარება დიდ პატივად ითვლებოდა. შესაბამისი მაგალითები იხ. Keen, *Chivalry*, 166.

[30] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 71.

[31] გიორგი მაჭარაშვილი, *დროშა გორგასლიანი* (თბილისი, 2011), 9-15.

[32] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 71.3. ს. ბარნაველის დახასიათებით, „ეს ცნობა მეორდება შევსებულს ქართლის ცხოვრებაში, რომელიც აშკარა სიყვარულით უმატებს" ამ მონაკვეთს. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 16.

რაც ეჭვმიუტანლად ნიშნავს, რომ გორგასლიან-დავითიანი დროშის ქსოვილი (ველი) თეთრი იყო.

ვახტანგ ბატონიშვილის ცნობით, საქართველოში სარდალი ერთ დროშას ფლობდა, მეფე კი – ორს: „ხოლო მხედართმთავართა მათ აქვნდისთ დროშა თვითო და მეფესა ორი...“[33] ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ ამ ორი დროშიდან ერთი იყო დიდი, სახელმწიფო, „სეფე დროშა“, ხოლო მეორე – მეფის პირადი პატარა დროშა.[34] ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, სამეფო ზარადხანაში ორი დროშა ინახებოდა: „დიდი დროშა“ და „შუბი სეფე ალმითა“.[35] ამ ცნობისა და საბას განმარტების საფუძველზე (ალამი არის „ნიშანი, რამე შუბთა და მისთანათა“),[36] ს. მარგიშვილი ასკვნის, რომ საქართველოს მეფის პირადი დროშა შუბზე დამაგრებული ალამი იყო („შუბი სეფე ალმითა“).[37] როგორც ჩანს, მეფის პირადი დროშა შუა საუკუნეებში გავრცელებული შუბზე დამაგრებული *პენონის* ან *ბანერის* ტიპის სამკუთხა ან ოთხკუთხა ალამი იყო, რომელზეც მფლობელის გერბი ან ამოსაცნობი ნიშანი იყო დატანილი.

შუბზე დამაგრებულ ალმებს, როგორც ჩანს, საქართველოში მხოლოდ მეთაურთა შემადგენლობა ატარებდა. ყოველ შემთხვევაში, ქართულ იკონოგრაფიაში მებრძოლთა შუბები უმეტესად ალმების გარეშეა გამოსახული.[38] მინიატურების შესწავლა გვარწმუნებს, რომ შუბის წვერზე მიმაგრებული იყო დიდი ან მოზრდილი ალმები, რომლებსაც სამეთაურო დანიშნულებით და რაზმის იდენტიფიკაციისათვის იყენებდნენ ანუ მხოლოდ ტაქტიკური დანიშნულების დროშები და არ იყო გავრცელებული ყოველი მებრძოლის შუბზე პირადი ალმის (პენონის)[39] დამაგრება. შესაძლოა, ქართველები საგანგებოდ ერიდებოდნენ კიდეც შუბზე ალმის დამაგრებას, რადგანაც ახლო აღმოსავლეთში კარგად იყო ცნობილი, რომ პატარა ალამიც კი ართულებდა შუბის გამოყენებას ბრძოლაში.[40] ერთ შეტაკებაში ქარმა შუბის ალამი ააფ-

სურ. 18
ავთანდილი შუბზე დახვეული დროშით. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 255, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

---

[33] ვახტანგ ბატონიშვილი, *ისტორიებრი აღწერა*, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ (ტფილისი, 1914), 3.

[34] ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, *თხზულებანი*, ტ. VII (თბილისი, 1984), 159.

[35] „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, 87.

[36] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 45.

[37] მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 113.

[38] ერთი შემთხვევა, როდესაც შეიძლება ვთქვათ, რომ მებრძოლი ალამს ატარებს, გახლავთ თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ 255-ე მინიატურა, სადაც ავთანდილის შუბზე ალამია დახვეული, თუმცა ეს შეიძლება ავთანდილის სტატუსით („ავთანდილ იყო სპასპეტი ძე ამირსპასალარისა“) იყო განპირობებული (სურ. 18).

[39] პენონი ცენტრალური აზიის მომთაბარეების მიერ არის გავრცელებული. P. Armstrong, N. Sekunda, "A Byzantine Soldier from the Crusading Era," in *Quaestiones Medii Aevi Novae*, vol. II, *Arms and Armour* (Warszawa, 2006), 17.

[40] Nicolle, *Crusader Warfare: Byzantium, Europe and the Struggle for the Holy Land*, 39.

სურ. 19
ჯრუჭის II ოთხთავის (H1667 ხელნაწერი) 64r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

რიალა და მიზანი გაუცუდა უსამა იბნ მუნკიზს.[41] ბიზანტიის იმპერატორები მავრიკიოსი *სტრატეგიკონში* და ლეონ VI *ტაქტიკაში* პირდაპირ ურჩევენ მეომრებს ბრძოლის წინ მოხსნან ალმები შუბებს, რადგანაც იგი ხელს უშლიდა შუბის გამოყენებას, ისევე როგორც, უკანა რიგებიდან ისრის სროლას.[42] გრძელ, თუნდაც აბრეშუმის ალამს, მაინც ჰქონდა წონა (განსაკუთრებით დასველებულს) და ქარში შუბს უმართავს ხდიდა.[43] შესაძლოა, თავის როლს თამაშობდა ჰერალდიკის შედარებითი განუვითარებლობაც, რის გამოც ყოველ მხედარს არც გააჩნდა პირადი საბრძოლო ალამი.

ინფორმაციას ქართული დროშების შესახებ გვაწვდიან ევროპელი მოგზაურებიც. საუკუნეების განმავლობაში მრავალი ევროპელი აღწერს ქართველებს, როგორც კარგად შეიარაღებულ, ბრძოლაში ძლევამოსილ და წმ. გიორგის თაყვანისმცემელ ერს; საგანგებოდ აღნიშნავენ, ევროპელთაგან და ყველა სხვა პილიგრიმთაგან განსხვავებით, წმინდა მიწაზე მათ მიმოსვლას ყოველგვარი გადასახადის გარეშე, მხედრულად და გაშლილი დროშებით. ლუდოლფ ფონ ზუდჰაიმი (1347), „ქვემორაინული აღმოსავლეთის აღწერა“ (1355), იოჰანეს ფონ ჰილდესჰაიმი (1360-75) გვამცნობენ, რომ ქართველებს აქვთ წმინდა გიორგის დროშები.[44] ქართული დროშების შესახებ არსებულ ევროპულ ცნობებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ქართულ დროშაზე წმ. გიორგი იყო გამოსახული: „საქართველოს ეროვნული დროშის ალამზე გამოხატული ყოფილა ქართველი ერის უზენაეს მფარველად მიჩნეული წმ. გიორგი“.[45]

რა ტიპის ან ფორმის იყო შუა საუკუნეების ქართული დროშები? საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლური ხელოვნება სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ჰერალდიკას, რის გამოც დროშათა გამოსახულებანი მეტად მწირია.[46] არსებული გამოსახულებების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში გავრცელებული იყო ოთხკუთხა და სამკუთხა დროშები. ოთხკუთხა დროშები შეიძლება ყოფილიყო როგორც ორ-, ისე სამკუდიანი და უკუდოც. ჩანს, რომ საქართველოში გრძელ დროშებსაც იყენებდნენ; ყოველ შემთხვევაში, მათ მოიხსენიებენ „ვეფხისტყაოსანსა“ და „რუსუდანიანში“: „გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა“;[47] „დროშითა მრავალკეცითა...“[48]

---

[41] *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades: Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*, 132.

[42] *Maurice's Strategikon*, 30; *The Taktika of Leo VI*, 12.40, 12.81, 12.95.

[43] Brzezinski, *Polish Winged Hussar*, 19.

[44] ალექსანდრე თვარაძე, *საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში* (თბილისი, 2004), 162-3, 166.

[45] ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, *თხზულებანი*, ტ. VII (თბილისი, 1984), 161.

[46] Babuin, "Standards and Insignia of Byzantium," 5-6.

[47] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1038.

[48] *რუსუდანიანი*, 557.



სურ. 20
ოთხკუთხა დროშები დავითნიდან. H1665 ხელნაწერი. 191r (ა), 198r (ბ), 206v (გ), 191v (დ), 207r (ე), 198v (ვ) მინიატურების დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ორკუდიანი დროშა უფრო ადრეულ გამოსახულებებზეა დადასტურებული: ასეთ დროშას ვხედავთ ვხედავთ წმინდა მეომრის ხელში აფხაზეთში, ს. ოლგინსკოეში პ. უვაროვას მიერ ნაპოვნ კანკელის ფრაგმენტზე[49] (X ს.) და ჯრუჭის II ოთხთავის 64r მინიატურაზე (სურ. 19). უფრო გვიანდელი H1665 დავითნის მინიატურებზე ოთხკუთხა დროშებია გამოსახული: შუბზე დამაგრებული ალამი სამი კუდითა და უკუდოთ (სურ. 20). დავითნის მინიატურებზე თუღიანი დროშებიც გვხვდება, რომელიც საქართველოში მონღოლთა შემოტანილია (სურ. 20აგდევ). დავითნის დროშებზე შეიმჩნევა ერთი საინტერესო გარემოება: ერთსა და იმავე მინიატურებზე გამოსახულია ოთხკუთხა ალამი სამი კუდითა და საერთოდ კუდის გარეშე (მინიატურა 191r და 198r), რაც შესაძლოა ბანერების გარკვეულ იერარქიაზე მეტყველებდეს[50] (სურ. 20აბ). ოთხკუთხა უკუდო ალამი გვხვდება XVII ს. „უთრუთიან-საამიანის“ 107v მინიატურაზეც (სურ. 21).

გვიანი შუასაუკუნეების ქართულ გამოსახულებებზე, რომლებიც ირანული კულტურის გავლენითაა აღბეჭდილი, უკვე სამკუთხედი დროშები

[49] Л.Г. Хрушкова, *Скульптура раннесредневековой Абхазии: V-X века* (Тбилиси, 1980), 86-90, таб. XLV.

[50] მაგალითად, ევროპაში ბანერეტის ალამს დაწინაურების ნიშნად კუდს აჭრიდნენ და ოთხკუთხას ხდიდნენ. Keen, *Chivalry*, 168. ს. ბარნაველი თვლის, რომ უკუდო ალამი მხოლოდ 191r მინიატურაზეა გამოსახული და ამას სივრცის ნაკლებობით ხსნის, რამაც თითქოსდა, მხატვარი აიძულა კუდები აღარ დაეხატა ალმისათვის. ბარნაველი, *ქართული დროშები*, 20. ეს მოსაზრება მცდარია, რასაც მოწმობს 198r მინიატურა, სადაც კვლავ უკუდო, მართკუთხა ალამს ვხვდებით და სივრცეც საკმარისია იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში დროშის კუდიც გამოესახათ.

სურ. 21
გვიანდელი ოთხკუთხა დროშა. „უთრუთიან-საამიანი“, S1594 ხელნაწერი. 107v მინიატურის დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ჭარბობს. „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ნუსხის (ხელნაწერი S-5006) XVII საუკუნის მინიატურებზე ტარიელის ჯარს ოქროსფერი ორნამენტით დამშვენებული მოწითალო ფერის სამკუთხა ალამი მიუძღვის; ორნამენტიანი შინდისფერი სამკუთხა ალამი აქვს ხატაელთა ჯარსაც (სურ. 22). ბოდლის ბიბლიოთეკაში უორდროპების ფონდში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ W-17 ნუსხაში (XVII ს.) სამი დროშაა გამოსახული და სამივე მათგანი სამკუთხა ფორმისაა: ორგან ისინი ნავის ანძაზე ფრიალებენ, ერთი კი ხვარაზმელებთან ბრძოლის სცენაში გვხვდება (სურ. 23). XVII საუკუნეში ქართული ციხე-სიმაგრეების თავზე გრძელ სამკუთხა დროშებს გამოსახავს კასტელიც: ასეთი დროშები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ (გორის ციხე), ისე დასავლეთ საქართველოში.[51]

XVII საუკუნის ხელნაწერებში კვლავ ვხვდებით ორკუდიან დროშებს. „როსტომიანის“ S1580 ხელნაწერში დროშები შინდისფერია და ორი კუდით ბოლოვდება, დროშის ქსოვილს ოქროს არშია აქვს შემოვლებული და ზედ ოქროსფერი წარწერები თუ ფსევდოკუფური ასოებია დატანილი (სურ. 24). ორი ორკუდიანი დროშა გვხვდება ბოდლის ბიბლიოთეკის „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხაში: ერთი ტარიელის ხატაელებზე გამარჯვების სცენაშია, მეორე კი ტარიელის მიერ ფრიდონის შველის ამსახველ მინიატურაზე (სურ. 25). მეტად საინტერესო დროშაა გამოსახული „ყარამანიანის“ H1017 ხელნაწერში. ორკუდიანი დროშის ქსოვილი ხუთი ზონრის საშუალებითაა ტარზე დამაგრებული; ტარს გვირგვინის ფორმის დროშის თავი ადგას; ოქროსფერი არშიით შემოვლებული დროშის ქსოვილის წითელ ფონზე ოქროსფერი გადაჯვარედინებული ხმლები და გვირგვინი იკითხება (სურ. 26). „ყარამანიანის“ მსგავსი დროშა არის გამოსახული 1729 წლის „ვისრამიანის“ S3702 ხელნაწერშიც: 107v მინიატურაზე მხედარს ხელთ წითელი ფერის ორკუდიანი დროშა უპყრია, რომელზეც ოქროსფერი გაურკვეველი ფიგურები ჩანს. შესაძლოა, აქაც „ყარამანიანის“ ან მსგავსი კომპოზიცია (ხმლები და გვირგვინი) იყოს დატანილი (სურ. 27).

ალბათ, ერთადერთი ქართული არტეფაქტი, სადაც დროშაზე დატანილი გამოსახულების ჰერალდიკურად წაკითხვა შეიძლება, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XII საუკუნის გელათის ოთხთავია. მისი ყდის უკანა ფრთაზე, რომელიც უფრო გვიან არის მოჭედილი, წმინდა გიორგის ჯვარია გამოსახული.[52] ქრისტეს ხელთ უპყრია წმ. გიორგის დროშა: ვერცხლის (ჰერალდიკური თეთრი) ველზე კარგად ჩანს შტრიხებით (ჰერალდიკური წითელი) გამოსახული წმინდა გიორგის ჯვარი (სურ. 28).

დროშას, როგორც შორიდანვე იოლად აღსაქმელ ნიშანს, მრავალგვარი ფუნქცია გააჩნდა: იყო რა მძლავრი სიმბოლო, დროშა აღნიშნავდა რო-

[51] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 38, 436.
[52] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ტ. II (თბილისი, 1958), 327.

სურ. 22
სამკუთხა დროშები ნერეთლისეულ „ვეფხისტყაოსანში". S5006 ხელნაწერი. 88r (ა), 89r (ბ) და 91r (გ) მინიატურების დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გორც მფლობელობას (ქალაქის, ციხის),[53] ასევე ძალაუფლ ებას (სახელოს, თანამდებობას).[54]

სიმბოლური მნიშვნელობის გარდა, დროშებმა ყველაზე მრავალფეროვანი და პრაქტიკული გამოყენება სამხედრო საქმეში პოვეს. შუა საუკუნეების ომებში დროშებს ჰქონდათ საიდენტიფიკაციო ფუნქცია და სხვადასხვა ნაწილებს აღნიშნავდნენ. დროშები წარმოადგენდნენ ორიენტირს, რომელთა მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ საბრძოლო ხაზისა თუ ბანაკის მოწყობისას, ისინი აჩვენებდნენ მთავარსარდლის ადგილს, შეტევისა და რაზმების მოძრაობის მიმართულებას. დროშების მეშვეობით იძლეოდნენ სიგნალებსაც.[55]

როგორც ითქვა, ვეგეციუსი დროშებსა და მათი საშუალებით მიცემულ ნიშნებს უხმო, ჩუმი სიგნალების კატეგორიას აკუთვნებს.[56] ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI წერს, რომ დროშის საშუალებით მიცემული ნიშანი თვალსაჩინო და მკვეთრი მოძრაობით უნდა გამოირჩეოდეს; დროშის აწევ-დაწევით, მარცხნივ თუ მარჯვნივ გადახრითა და ხშირი ქნევით სხვადასხვა სახის სიგნალს იძლეოდნენ.[57] დროშების საშუალებით ჯარს ბრძანებებს

[53] როდესაც X საუკუნეში აშოტ კისკასმა არტანუჯის მფლობელობა ბიზანტიელებს გადასცა, ქალაქის თავზე ბიზანტიური დროშა აფრიალდა. Constantine Porphyrogenitus. *De Administrando Imperio*, 221.

[54] დანიშვნისას, სხვადასხვა სახის აღჭურვილობასთან ერთად, ერისთავს დროშასაც გადასცემდნენ: ასე უბოძეს ცხრაზმისხევის ერისთავს „საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაჲ და შუბი". „ძეგლი ერისთავთა", 104.

[55] კ. გრიგოლია ცდება, როდესაც მიიჩნევს, რომ ბრძოლაში დროშასა და მის დაცემას მხოლოდ ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერების სიმბოლო იყო. კონსტანტინე გრიგოლია, „ქართველთა სამხედრო ხელოვნება რუსთველის ეპოქაში", *შოთა რუსთველს: საიუბილეო კრებული* (თბილისი, 1966), 50-1. ბრძოლის ველზე დროშას, უპირველეს ყოვლისა, ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მისი საშუალებით ხდებოდა ბრძოლის წარმართვა.

[56] *Vegetius: Epitome of Military Science*, III.5.

[57] *The Taktika of Leo VI*, 12.87.

სურ. 23
სამკუთხა დროშები „ვეფხისტყაოსნის“ W-17 ნუსხაში. დეტალები 70v (ა), 129r (ბ) და 231v (გ) მინიატურებიდან. ბოდლის ბიბლიოთეკა.

აძლევდნენ, როგორც ბრძოლის წინ, ასევე მსვლელობისას. უკიდურეს შემთხვევაში, დროშის ძირს დახრა უკანდახევის ნიშანი იყო.[58]

შუა საუკუნეებში დროშის აღმართვა უკვე გალაშქრებას ნიშნავდა. ქართულ წყაროებში დროშის „ამართვა“, „წამოყენება“ ლაშქრობის ან ბრძოლის სამზადისს უკავშირდებოდა: „შეეკაზმა ყოველი ლაშქარი. სცემდეს ბუკსა და დაბდაბსა, წამოაყენეს დროშანი“.[59] „განწესება სარუსთველო დროშისა“ (1722) პირდაპირ გვეუბნება, რომ „დროშის ამართვა“ გათანაბრებულია გალაშქრებასთან: „ოდეს დროშისა ამართვა, ანუ რუსთველისა გალაშქრება მეფეთა ბრძანონ...“[60] ასეთივე ვითარება გვაქვს შუა საუკუნეების ევროპაში, სადაც ვასალის მიერ გაშლილი დროშებით გამოსვლა აჯანყებად არის შეფასებული: მეფის წინააღმდეგ გაშლილი დროშებით გამოსვლა ომის ღიად გამოცხადებას ნიშნავდა და მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.[61]

ბრძოლის ველზე დროშის უპირველესი დანიშნულება შეკრების ადგილისა და შეტევის მიმართულების ჩვენება იყო.[62] არავინ არ უნდა წასულიყო დროშაზე წინ: შეტევისას დროშა წინ მიდიოდა და მას მიყვებოდნენ. მავრიკიოსის *სტრატეგიკონში* ვხვდებით სხვადასხვა სახის ბრძანებას, რომელთაც მებრძოლთა წვრთნის დროს იყენებდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა მწყობრის შენარჩუნებას, რომელიც დროშის საშუალებით ხდებოდა და შემდეგი ბრძანებებით რეგულირდებოდა: „არ წახვიდე დროშის წინ“; „ყოველთვის უყურე

[58] Nicholson, *Medieval Warfare*, 111.

[59] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 672.

[60] *ქსძ*, II, 384.

[61] M. H. Keen, "Treason Trials under the Law of Arms," *Transactions of the Royal Historical Society*, vol. 12 (1962), 93-6.

[62] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 277.

სურ. 24
„როსტომიანის“ დროშები. ხელნაწერი S1580. დეტალები 137v (ა), 136r (ბ) და 489r (გ) მინიატურებიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დროშას“; „დროშას თუ მოწყდები, დამარცხდები“; „არ დატოვო დროშა...“[63]

სწორედ დროშები აჩვენებდნენ ბრძოლის ველზე რაზმების მოძრაობას. შამქორის ბრძოლაში ძირითადმა ლაშქარმა მეფის რაზმის მოახლოება დროშის მოძრაობის მიხედვით შეიტყო: „და მომხედველთა იხილეს: მიახლებოდა მეფე და მისი რაზმი; დროშა იგი გორგასლიანი...“[64] ბუნებრივია, შორიდან უპირველესად თეთრ გორგასლიან დროშას დაინახავდნენ. 1750 წელს ფანახანთან ბრძოლაში მოწინააღმდეგის თავდაპირველ წარმატებასა და ქართული ჯარის სიღრმეში შემოჭრას მემატიანე დროშების მოძრაობით აღნიშნავს: „პირველზე ისინიც კარგად იყვნეს, რომ ალმები ჩვენს ჯარში შემოიტანეს...“[65]

საინტერესო პასაჟს შეიცავს იოსებ თბილელის პოემაც, საიდანაც ვიგებთ რომ ბრძოლის ველზე რაზმების სწორება ხდება დროშებით:

„**რაზმი გასწორდეს დროშებით**, ორგნითვე ჯარი ღელევდეს,
ცემა და საყვირთ ხმა იყოს, ცხენნი კაცთ ფეხით ქელევდეს“.[66]

---

[63] *Maurice's Strategikon*, 37, 145.

[64] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 71.

[65] პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1981), 168.

[66] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 48.



სურ. 25
ორკუდიანი დროშები „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხაში. დეტალები 39r (ა) და 55v (ბ) მინიატურებიდან. ბოდლის ბიბლიოთეკა.

ტაქტიკური გადაადგილებების წარმართვის გარდა, დროშა ბრძოლის ველზე მიუთითებდა უმაღლესი სარდლობის ადგილს. როგორც წესი, მისი დაცემის შემდეგ ბრძოლას ტოვებდნენ. თუკი დროშა აღარ ჩანდა, ბრძოლის დროს დაფანტული რაზმები გადაჯგუფებასა და ორგანიზებულად წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ახერხებდნენ.[67]

მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მემატიანე ასე მოგვითხრობს დროშისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ბრძოლაში: „წესად არის, რომ დროშა რჩეულმა რაინდებმა დაიცვან, რათა ბრძოლის ველზე ის ძირს არ დაეცეს მტრის შეტევის დროს; თუ დროშა დაეცა, ჯარი ვეღარ ხედავს შეკრების ადგილს და იბნევა და იშლება; როდესაც მეთაურის ნიშანი არ ჩანს, ფიქრობენ რომ ის დაეცა და ყველას გული ცახცახს იწყებს; და როდესაც ხალხი შიშობს, რომ პატრონს უბედურება შეემთხვა, რადგანაც მისი დროშა ძირს დაეცა, ისინი ძალას ვერ იკრებენ და მტერს ვერ ეწინააღმდეგებიან. სანამ დროშა აღმართულია, ყველას აქვს თავშესაფარი, რომელსაც შეუძლიათ მიმართონ; დაჭრილები და დაძაბუნებულნი აქ მოჰყავთ მოსავლელად და დახოცილებიც კი, თუკი დაღუპული სახელოვანი კაცია“.[68]

შუა საუკუნეებში დროშის ტარებისა და გამოყენების წესი ზედმიწევნითაა განსაზღვრული ტამპლიერთა წესდებით, სადაც ყოველი ქმედება იყო გაწერილი. ტამპლიერთა წესდების მიხედვით ბრძოლაში დროშას 5-10 რაინდი იცავდა. ყოველ ესკადრონს თავისი დროშა ჰქონდა. რადგანაც დროშა შუბზე იყო აბმული, დროშისმტვირთველს სასტიკად ეკრძალებოდა ბრძოლაში დროშის დახრა ან მისი, როგორც შუბის გამოყენება.[69] ასეთი დანაშაული ქრისტიანის მოკვლას ან მუსლიმთა მხარეზე გადასვლას უტოლდებოდა და ორდენიდან გარიცხვით ან სამუდამო პატიმრობით ისჯებოდა.[70] ყოველი ტაძრელი, რომელიც ბრძოლის ორომტრიალში მთავარ ძალებს მოსწყდებო-

---

[67] Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 89-91.

[68] *The Chronicle of the Third Crusade:* a translation of the *Itinerarium Peregrinorum et Gesta Regis Ricardi* by Helen J. Nicholson (Aldershot, 1997), 237.

[69] ორდენის წესდება განმარტავს, თუ რატომ იყო დროშის დახრა ასე საშიში: უპირველესად, დროშის გაუჩინარება მებრძოლთა მორალის დაცემას და მათში შიშს იწვევდა. მეორეც, მაღლა აღმართულთან შედარებით, ძირს დაწეული დროშა უფრო ადვილად შეეძლო ხელში ჩაეგდო მტერს. *The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar*, translated and introduced by J.M. Upton-Ward (Woodbridge, 1992), 157.

[70] Bennett, "*La Regle du Temple* as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge," 186.

და, უკან თავის დროშასთან უნდა დაბრუნებულიყო. დამარცხების შემთხვევაში, მას, ვინც დროშის დაცემამდე დატოვებდა ბრძოლის ველს, ორდენიდან რიცხავდნენ.[71]

საბრძოლო მოქმედებებში არმიები იყენებდნენ მხედართმთავრის დიდ და სხვადასხვა რაზმების უფრო პატარა დროშებს. სარდალი დროშების მოძრაობის კვალდაკვალ თვალს ადევნებდა რაზმების გადაადგილებასა და მდგომარეობას (ხომ არ დაეცა დროშა ან ბრძოლას მის გარშემო), თავად დიდი დროშა კი მხედართმთავრის ადგილს მიუთითებდა.

სურ. 26
ორკუდიანი დროშა „ყარამანიანის“ (H1017 ხელნაწერი) 105v მინიატურაზე, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბიზანტიურ არმიაში შემუშავებული იყო კარგად მოფიქრებული სისტემა, რომლის მიხედვითაც ერთ ნაწილში შემავალი რაზმების დროშებს ერთი ფერის ველი (ტილო) და სხვადასხვა ფერის კუდები ჰქონდათ.[72] ნიკიფორე II ფოკა ტრაქტატში *Praecepta militaria* და ნიკიფორე ურანოსი „ტაქტიკაში“ უთითებენ, რომ ყოველ დანაყოფს თავისი ალამი უნდა ჰქონოდა, ზედ დატანილი ამოსაცნობი ნიშნით ან ასოთი.[73] მიუხედავად ამისა, არავინ იყო დაზღვეული, რომ ასეთ ნიუანსებს ბრძოლის ორომტრიალში, მტვერსა და ნისლში გაარჩევდა, როგორც ამას შიშობს VI საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატის *Peri strategias* ავტორი,[74] ან სულაც დროშები დაისვრებოდა და ძნელი გასარჩევი გახდებოდა, როგორც ეს აღწერილი აქვს მიხეილ ატალიატეს.[75] ამიტომაც, გარჩევადობის გაადვილების მიზნით, მავრიკიოსი რაზმების სიდიდისა და იერარქიის მიხედვით ხუთი სხვადასხვა სიდიდის დროშას გამოყოფს არმიაში.[76] მისი თქმით, მეთაურის დროშა გარეგნულადაც და ტარების წესითაც ისე უნდა განსხვავდებოდეს სხვა დროშებისაგან, რომ მისი გარჩევა ადვილი იყოს.[77] სამი სხვადასხვა სიდიდის დროშას ასახელებს ბიზანტიურ არმიაში ლეონ VI-ც.[78]

დაახლოებით ასეთივე სურათს ვხედავთ საქართველოშიც. შუა საუკუნეების ქართული სამხედრო ორგანიზაცია, როგორც ერთიანი მონარქიის, ისე სამეფოებად დაშლის ხანაშიც, ოთხ სადროშოდ დაყოფას ეფუძნებოდა. სახელიდანაც ჩანს, რომ სადროშო მსხვილი ტაქტიკური ერთეული იყო,

---

[71] *The Rule of the Templars*, 59-60.

[72] *Maurice's Strategikon*, 14.

[73] McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 42, 125; Nikephoros Ouranos, "Taktika," ed. Eric McGeer, in *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century* (Washington, 1995), 125.

[74] *Three Byzantine Military Treatises*, text, translation, and notes by George T. Dennis (Washington, 1985), 93.

[75] Michael Attaleiates, *The History*, translated by Anthony Kaldellis and Dimitris Krallis (Cambridge, MA, 2012), 189.

[76] *Maurice's Strategikon*, 32.

[77] იქვე, 76-7.

[78] *The Taktika of Leo VI*, 12.82.

სურ. 27
ორკუდიანი დროშა „ვი-რა-მიანის“ (S3702 ხელნაწერი) 107ა მინიატურაზე, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

რომლის ლაშქარსაც ბრძოლაში თავისი დროშა მიუძღოდა. თავის მხრივ, სადროშოში შემავალ ცალკეულ რაზმებსაც თავისი დროშები გააჩნდათ. სტეფანოს ორბელიანის ცნობის მიხედვით, ყოველ ათას კაცს თავისი დროშა ჰქონდა: „და აქვნდათ სამკვიდრო ათორმეტი დროშა და ყოველსავე დროშასა ზედა ათასი კაცი“.[79] ბრძოლის ველზე ერთი ასეთი დროშა, თუნდაც მასში ზუსტად ათასი კაცი არც ყოფილიყო, ტაქტიკური ერთეული იყო. ასე რომ, ქართულ ლაშქარში, სულ მცირე, სამი სხვადასხვა სიდიდის დროშას იყენებდნენ: ყველაზე დიდი სამეფო დროშაა, რომელსაც სადროშოების დროშები მოსდევდა, ყველაზე პატარა კი სადროშოებში შემავალი რაზმების დროშები იქნებოდა. ადვილად შესაძლებელია, იერარქიული დაყოფა უფრო შორს მიდიოდა და ტაქტიკური ერთეულების გარდა, საკუთარი დროშები ჰქონდა სენიორის დროშის ქვეშ მოქმედ ვასალთა ყოველ რაზმს, რომელიც საკმაო რაოდენობის (რამდენიმე ათეული) მოყმისაგან შედგებოდა.

როგორც ვხედავთ, დროშების მიხედვით დაახლოებით შესაძლებელი იყო მოწინააღმდეგის რიცხვის, უფრო სწორად კი, მის არმიაში შემავალი ტაქტიკური ერთეულების რაოდენობის განსაზღვრა. დროშების მიხედვით განსაზღვრავს მოწინააღმდეგის ლაშქრის მრავალრიცხოვნობას თამარის პირველი ისტორიკოსიც, როდესაც მოგვითხრობს ზაქარია ფანასკერტელის ბრძოლაზე გამდგარ გუზან ტაოელსა და შაჰარმენის ლაშქართან: „დაღაცათუ ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა დროშისანი და ესენი მცირენი...“[80] იგივე მემატიანე, ჩამოთვლის რა ივანე ახალციხელის მოპირისპირე ლაშქრის შემადგენლობას, მუსლიმთა ერთ-ერთ მეთაურის დახასიათებისას ხაზს უსვამს, რომ ის დროშის მფლობელი იყო, რაც, შესაბამისად, საბრძოლო რაზმის პატრონობასაც გულისხმობდა: „ალი შურიშამი, დიდად მყოფი, კაცი მმარჯუე, ეგრეთვე დროშის პატრონი“.[81] სწორედ ამიტომ, მავრიკიოსი და ლეონ VI მტრის შესაცდენად და საკუთარი არმიის მრავალრიცხოვნობის საჩვენებლად თითოეულ რაზმს ორი დროშის ქონას ურჩევდნენ. ლაშქრობისას ორივე მათგანი უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ, ბრძოლის დროს, საკუთარ არმიაში არეულობის თავიდან ასაცილებლად, მხოლოდ ერთს იტოვებდნენ.[82] ამ სტრატეგემას ბიზანტიის მოწინააღმდეგებიც კარგად იცნობდნენ, რაზეც მიუთითებს კიდეც კეკავმენოსი, რომ მცირერიცხოვანი მტრის მრავალ დროშას შეცდომაში არ შეეყვანა სარდალი.[83]

---

[79] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები*, 37-8.

[80] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 56.

[81] იქვე, 77.

[82] *Maurice's Strategikon*, 34; *The Taktika of Leo VI*, 12.58.

[83] **Кекавмен**, *Советы и рассказы: Поучение византийского полководца XI века*, подготовка текста,

ორი დროშის ტარებას ურჩევს თეოდორე პალეოლოგოსიც (1291-1338), ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე II-ის ვაჟი და მონფერატის მარკიზი, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მტრის შეცდენის ნაცვლად, ისინი უშუალოდ ბრძოლისათვის იყო გამიზნული: ერთი მათგანი სარეზერვო იყო და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებოდა.[84] სარეზერვო დროშას ბრძოლაში ტამპლიერებიც იყენებდნენ: ის თავიდან შუბზე იყო დახვეული და ძირითადი დროშის დაცემის შემდეგ იშლებოდა.[85]

მთავარი დროშის დაცემით შუა საუკუნეებში ბევრი ბრძოლის ბედი გადაწყვეტილა. ასეთ მაგალითებს ვხვდებით საქართველოს ისტორიაშიც. 1161 წელს გიორგი III-მ, რომელიც კარგი ტაქტიკოსი იყო, ანისთან ბრძოლა მოწინააღმდეგის დროშაზე კონცენტრირებული იერიშის წყალობით მოიგო. მეფემ „მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა თანა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან: „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უმსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი ნავალისი...[86] და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა... იჴმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა".[87] ქართველთა მძლავრი შეტევის შედეგად მოწინაღმდეგის მთავარბანაკი, რომელიც დროშასთან იყო განლაგებული, მოიშალა, რასაც მუსლიმთა მთელი ლაშქრის დეზორგანიზაცია და გაქცევა მოჰყვა.

1543/4 წელს სულთანმა სულეიმან I-მა ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. ჰასან რუმლუ აღწერს ამ ლაშქრობის კულმინაციურ მომენტს, როდესაც გაცხარებული ბრძოლა წარმოებს დროშის გარშემო: „როცა ბრძოლის ცეცხლი გაჩაღდა, ქართველებმა ძალა მოიკრიბეს და დელუ ბეჰა ედ-დინ ქურთს დროშა წაართვეს. ხელცარიელი დარჩენილი ბეჰა ედ-დინი ქართველებს ეძგერა, თავისი დროშა უკანვე წაართვა მათ და ოსმალთა ჯარს შეუერთდა. ბრძოლისა და ჭიდილის შემდეგ ქართველები დამარცხდნენ და გაიქცნენ".[88] როგორც ვხედავთ, ბრძოლის ბედი დროშისათვის შეტაკებამ გადაწყვიტა – დროშაც და გამარჯვებაც ოსმალებს დარჩათ.

введение, перевод с греческого и комментарий Г.Г. Литавриna, издание второе, переработанное и дополненное (Санкт-Петербург, 2003), 167.

[84] D. J. A. Ross, "The Prince Answers Back: 'Les Enseignemens de Theodore Paliologue," in *The Ideals and Practice of Medieval Knighthood I: Papers from the First and Second Strawberry Hill Conferences*, ed. by Christopher Harper-Bill and Ruth Harvey (Woodbridge, 1986), 171.

[85] *The Rule of the Templars*, 60.

[86] გიორგი III მოწინააღმდეგეს აქ ნავალს ადარებს. ნავალი (ნაბალი) ძველი აღთქმის პერსონაჟია, რომელსაც უფალი ჰკლავს ბიბლიური დავითის შეურაცხყოფისათვის. პირველი მეფეთა 25.1-44.

[87] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 8-9.

[88] *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ელადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1966), 24-5.

სურ. 28
წმ. გიორგის დროშა გელათის ოთხთავის ყდაზე, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

1599 წელს ნახიდურთან ბრძოლაში სვიმონ მეფე პირველ რიგში ოსმალთა რაზმების დროშას უტევს: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი შუბდაგრძელებულნი ცხენჭენებით მიეტივნეს... მეფე ჰელშუბიანი რომელს თოყსა და დროშას შეუტევდის, მოშლიდის“.[89] აქ *თოყი* ზემონახსენები თუღია, ოსმალ მეთაურთა ნიშანი. სვიმონ I-მა კარგად იცოდა, რომ რაზმის დროშის დაცემა მის დაშლას ნიშნავდა და მიზანში სწორედ მათ იღებს.

1790 წელს ზორეთთან, იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაში, რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად დავით II-მ დაამარცხა სოლომონ II. გამარჯვება განაპირობა სიმონ აბაშიძის გმირობამ, რომელმაც მოწინააღმდეგეს დროშა წაართვა: „გარდმოაგდო მებაირახე და წარიღო ბაირახი მეფისა და დასცა თავსა სანგრისა მათისასა. და ოდეს იხილეს ესე იმერთა, უკუნიქცენ და ივლტოდენ იმერნი...“[90]

ამ ფაქტებიდან ცხადია, რომ დროშა, როგორც ყველასათვის შესამჩნევი ორიენტირი, ბრძოლის ველზე საკუთარის გარდა მოწინააღმდეგის ყურადღებასაც იპყრობდა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ დროშის ხელში ჩაგდება დიდწილად განაპირობებდა მის წარმატებას კონკრეტულ უბანზე ან სულაც ბრძოლაში. ამ საფრთხის აღსაკვეთად შუა საუკუნეების არმიები დროშას გამოცდილ მედროშეს აბარებდნენ და მის საიმედო დაცვასაც უზრუნველყოფდნენ, რამაც დროშის მცველების, „დროშის სპის“ ინსტიტუტის ჩამოყალიბება გამოიწვია.

ბიზანტიის არმია, რომელიც რომაულ ტრადიციებს ინარჩუნებდა, დროშის დაცვას ორგანიზებულ სახეს აძლევდა. იმპერატორი მავრიკიოსი აუცილებლად მიიჩნევდა დროშის დასაცავად 15-20 რჩეული ჯარისკაცის გამოყოფას.[91] ოთხი საუკუნის შემდეგ სიტყვასიტყვით იმავეს იმეორებს იმპერატორი ლეონ VI.[92] ბიზანტიის არმიაში დროშის უბრძოლველად დათმობის შემთხვევაში მის მცველებს ყველაზე დაბალ ჩინამდე აქვეითებდნენ. დროშის დაკარგვისას მხოლოდ ჭრილობას შეეძლო მათი სასჯელისაგან ხსნა.[93]

ფეოდალურ არმიებში დროშის მცველის ვინაობა წინასწარ იყო განსაზღვრული და ის ერთ-ერთ საპატიო თანამდებობა იყო სენიორის კარზე. პატივთან ერთად, მედროშეობა იოლი საქმე არ იყო და შემსრულებლისგან სა-

---

[89] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, 219.

[90] ნიკო დადიანი, *ქართველთ ცხოვრება*, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ (თბილისი, 1962), 186.

[91] *Maurice's Strategikon*, 32.

[92] *The Taktika of Leo VI*, 12.49.

[93] *Maurice's Strategikon*, 20.

ბრძოლო გამოცდილებას, ცივ გონებასა და სულიერ სიმტკიცეს მოითხოვდა. მედროშე და მისი მოვალეობა შუა საუკუნეების რაინდულ რეალობაში ზუსტად აქვს აღწერილი ცნობილი ესპანელი რაინდის პერო ნინიოს დროშისმტვირთველს XV ს. I ნახევარში. ერთ ეპიზოდში ფრანგულ-კასტილიური დესანტი სანაპიროზე გადასხდება, ინგლისელები კი მაღლობიდან ცხრილავდნენ მათ. ამ დროს საფრთხეში აღმოჩნდება მედროშე, რომლის მნიშვნელობაზეც ავტორი ვრცლად და პროფესიონალურად მსჯელობს: „ჯარისკაცებმა კარგად იციან, რომ ყველას, მტერსაც და მოკეთესაც, თვალები დროშისკენ აქვს მიპყრობილი. და თუ ხედავენ, რომ დროშა უკან იხევს, ისინი სიმტკიცეს კარგავენ, მოწინააღმდეგე კი მამაცდება; თუკი დროშა მტკიცედ დგას ან წინ მიდის, ისინიც შესაბამისად იქცევიან. იმ პატივის გამო, რომელიც დროშისმტვირთველს ერგო და იმის გამო, რომ ყველა მას უყურებს, ის არ უნდა შეიპყროს პატივმოყვარეობამ და გადიდგულდეს და არ უნდა გააკეთოს იმაზე მეტი, რაც ნაბრძანებია; დიდების მოსაპოვებლად მან რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს თავისი პატრონი და თანამებრძოლები; ამასთანავე, შეტევისას უკან არ უნდა ჩამორჩეს, რადგან სანთელი მეტად ანათებს, როდესაც ის წინ არის და დროშაც ჩირაღდნის მსგავსად ნათელს ჰფენს ყველას; თუკი რაიმე მიზეზით ის ჩაქრა, ყველა სიბნელეში რჩება, ბრმავდება და მარცხდება. ამიტომ, ასეთი სამსახურისათვის უნდა აირჩეს კეთილგონიერი, გამოცდილი და სანდო ადამიანი, რომელმაც უკვე გამოიჩინა თავი. ასეთი სამსახურის ნდობა არ შეიძლება არც ზედმეტად თავდაჯერებული და არც ფიცხი კაცისათვის, რადგან ვინც თავის თავს ვერ აკონტროლებს, ის სხვებს ვერ გაუძღვება. ზოგიერთმა, ვისაც ეს სამსახური მიანდვეს, შავ დღეში ჩააგდო თავისი პატრონიცა და ისინიც, ვინც ბრძანების თანახმად, მას მიყვებოდა. გასაკიცხია ისიც, ვინც თავის ხალხს ასეთ დროშისმტვირთველს ანდობს, რადგანაც ღირსების დევნაში აზნაურობა შეიძლება ხიფათში გაეხვიოს. დროშისმტვირთველი თავისი პატრონის ნებას უნდა მისდევდეს და ნაბრძანებზე მეტს არ უნდა აკეთებდეს".[94]

დროშის მცველების ინსტიტუტი არსებობდა საქართველოშიც. ჩვეულებრივ, ფეოდალური წყობის პირობებში დროშის მცველობა გარკვეული გვარის პრივილეგიად იქცეოდა ხოლმე. თუკი მედროშე ერთგულად ემსახურებოდა პატრონს და რაიმე ხელისშემშლელი გარემოება არ არსებობდა, მოსალოდნელი იყო, რომ მისი ადგილი მისსავე ჩამომავალს დაეკავებინა. ასე იქმნებოდა „დროშის მტვირთველობის" ტრადიცია განსაზღვრულ გვარში. 1722 წელს შედგენილი საბუთიდან „განწესება სარუსთველო დროშისა" ვგებულობთ, რომ რუსთავის სადროშოში დროშის მცველები ჭიჭინაძენი ყოფილან, რომელთაგან უძლიერესს („ძლიერსა და უმჯობესსა კეთილ-ცხენო-

[94] Gutierre Diaz de Gamez, *The Unconquered Knight: A Chronicle of the Deeds of Don Pero Nino*, translated by Joan Evans (Cambridge, 2000), 51-2.

სანსა კაცსა") დროშას ჩააბარებდნენ „და სხვანი ჭიჭინაძენი გარე შემოეხვეოდენ ომსა შინა, გინა მშვიდობასა და, ოდეს ადგილსა დაისავანონ, ქეშიკი და მცველობა ამათ მიანდონ დროშისა".[95]

ზემო სვანეთში არსებობდა მედროშის („მელომის") თანამდებობა, რომელიც XIV საუკუნეში მემკვიდრეობითი იყო და ვახთაგიანის გვარს ეკავა („თავად, ვითა შენისა გუარისა კაცსა და შენსა სახლსა ჰქონებია, ეგრე მელომედ დაგაყენეთ").[96] გვარის დამცრობის შემდგომ ეს თანამდებობა არჩევითი გახდა და მელომეს სხვადასხვა სახლიდან (გოშქოთელიანი, ჯაფარიძე, ხრთაგიანი) ირჩევდნენ.[97] ერთიანი მონარქიის დროს მელომე, როგორც მოხელე, ამირსპასალარის უწყებას ეკუთვნოდა, რადგან მას ლაშქრის შეყრაც ევალებოდა.[98]

მტანდახტი

დროშების გარდა, შუა საუკუნეების არმიები იყენებდნენ სხვადასხვა ტიპის შტანდარტებსაც. ერთი მათგანია ჯვრით დაბოლოებული შუბი (*crux hastata*), რომელიც მრავალ ქართულ გამოსახულებაზე უპყრიათ ხელთ წმინდა მეომრებს. მართალია, ჯვრიანი შუბის გაჩენას აღმოსავლურ ქრისტიანულ იკონოგრაფიაში პ. გროტოვსკი უკავშირებს კონსტანტინე დიდის მიერ მაქსენციუსთან ბრძოლის წინ ჯვრის ხილვას და ასკვნის, რომ ასეთი ნივთი რეალობაში არც არსებულა,[99] მაგრამ მათი არსებობის უარყოფა მართებული არ უნდა იყოს. ბარ ჰებრეუსი აღწერს 1161 წელს ქართული ელჩობის შთამბეჭდავ შესვლას მოსულში ჯვრებით, რომლებიც შუბებზე იყო დამაგრებული.[100] ცხადია, რომ *crux hastata*-ს შემთხვევაშიც იკონოგრაფია რეალობას ასახავს.

ქართულ ლაშქარში შტანდარტის როლს საწინამძღვრო ჯვრებიც ასრულებდნენ. მართალია, საწინამძღვრო ჯვრების საშუალებით მრავალფეროვან სიგნალებს არ იძლეოდნენ, მაგრამ ისინი მებრძოლებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მძლავრი საშუალება იყო. რელიგიური რწმენით გამსჭვალულ ქრისტიანულ (ბიზანტიურ, ქართულ, ჯვაროსნულ) არმიებში საწინამძღვრო ჯვრები მოლაშქრეთა მორალურ სიმხნევეს განაპირობებდნენ. ქართული საწინამძღვრო ჯვრები ძვირფასი ლითონით მოჭედილი და გრძელ ტარზე დაგებული იყო. თავად ჯვრის სიმაღლე 40-50 სმ, ტარის სიგრძე კი, სულ ცოტა, 140

---

[95] *ქსძ*, II, 385.

[96] *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, 117.

[97] რ. ხარაძე, „სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში", *მსე*, VI (1953), 172; ელენე კავლელაშვილი, „მხერის ეკლესიის კედლის მხატვრობა ზემო სვანეთში", დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი, 2008), 113-4.

[98] კავლელაშვილი, „მხერის ეკლესიის კედლის მხატვრობა ზემო სვანეთში", 106.

[99] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 337.

[100] *The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the Son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus*, translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol. I (London, 1932), 286-7.

სმ მაინც იყო და მთლიანობაში 2 მეტრს აღწევდა. საწინამძღვრო ჯვრის ტარი ბოლოვდებოდა მიწაში ჩასასობი რკინის წვეტიანი ფეხით.[101] ქრისტიანულ სამყაროში საწინამძღვრო ჯვრის განსაკუთრებულ სახე იყო ძელი ჭეშმარიტი, იგივე ძელი ცხოველი.[102] ასეთ ჯვარში ჩართული იყო იესო ქრისტეს ვნების ჯვრის ფრაგმენტი, რომელიც, ქრისტიანთა რწმენით, მას არნახულ ძალას ანიჭებდა და ბრძოლაში წარმატების მოტანა შეეძლო.

X-XI საუკუნეების საქართველოში მრავალი წინგასაძღოლი ჯვარი მოგვეპოვება, მაგრამ სამხედრო ქმედებებში ქრისტეს ჯვრის სისტემატურ გამოყენებას მხოლოდ XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების დროს ვხვდებით.[103] გამორიცხული არ არის, რომ ბრძოლებში ძელი ცხოველის გამოყენებას სისტემატური ხასიათი ჯვაროსანთა ზეგავლენით მიეღო.[104] ყოველ შემ-

---

[101] ბარნაველი, *ქართული დროშები*, 40.

[102] ევროპაში, ჯერ კიდევ ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებამდე, ვხვდებით ქრისტეს ჯვრის ნაწილების ბრძოლაში გამოყენების ფაქტებს. Giuseppe Ligato, "The Political Meanings of the Relic of the Holy Cross," in *Autour de la Premiere Croisade*, ed. by M. Balard (Paris, 1996), 317. მსგავსი პრაქტიკა იყო ბიზანტიაშიც. მაგალითად, 1022 წელს ქართველთა მეფე გიორგი I-თან (1014-27) ბრძოლაში იმპერატორ ბასილი II-ს (976-1025) ძელი ცხოველი ახლდა თან. სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაი და უწყებაი ბაგრატონიანთა*, 55-6. ბიზანტიელთა მიერ ძელი ცხოველის ბრძოლაში გამოყენებისათვის, იხ. Lynn Jones, *Between Islam and Byzantium: Aght'amar and the Visual Construction of Medieval Armenian Rulership* (Aldershot, 2007), 111-2, n. 89. ამავე დროს, ჰოლგერ კლაინმა შეამჩნია, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის (944-959) აღწერით, საბრძოლო კამპანიაში იმპერატორის მიერ ქრისტეს ჯვრის ტარების ხერხი განსხვავდებოდა მავრიკიოსის დროინდელი პრაქტიკისაგან: ჯვარი გამოსაჩენად კი არ იყო აღმართული, არამედ საგანგებო ყუთში დაცული კისერზე ჰქონდა დაკიდებული იმპერატორის ერთ-ერთ მხლებელს. Holger A. Klein, "Sacred Relics and Imperial Ceremonies at the Great Palace of Constantinople," in *Visualisierungen von Herrschaft*, ed. F. A. Bauer, Byzas 5 (Istanbul, 2006), 96; Constantine Porphyrogenitus, *Three Treatises on Imperial Military Expeditions*, ed. and trans. by John F. Haldon (Wien, 1990), 124-5. ძელი ცხოველის სალაშქროდ ტარების ეს ხერხი მკვეთრად განსხვავდება ჯვაროსნული და ქართული პრაქტიკისაგან. ბიზანტიურ არმიაში ქრისტეს ჯვარი, თითქოსდა, მხოლოდ იმპერატორისთვისაა განკუთვნილი, მაშინ როდესაც ჯვაროსნულ და ქართულ არმიებში ის საჯაროდაა გამოფენილი და აქცენტი სწორედ საყოველთაო ზემოქმედებაზე კეთდება. ამგვარი მიმოფანტული ცნობების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ადრეულ პერიოდში ქრისტეს ჯვრის საბრძოლო გამოყენებას არ მიუღია ისეთი სისტემატური სახე და მნიშვნელობა, როგორიც ეს მოხდა ჯვაროსნულ ეპოქაში იერუსალიმის სამეფოში, სადაც ძელი ჭეშმარიტი უპირველესი საბრძოლო არტეფაქტი გახდა. Alan V. Murray, "Mighty Against the Enemies of the Christ': the Relic of the True Cross in the Armies of the Kingdom of Jerusalem," in *The Crusades and Their Sources: Essays Presented to Bernard Hamilton*, eds. John France and William G. Zajac (Aldershot, 1998), 218, 228.

[103] ქართულ მატიანეებში ჯვრის წარძღვანებასა და ბრძოლაში გამოყენებას პირველად V საუკუნეში ვხვდებით მეფე არჩილთან და ვახტანგ გორგასალთან, თუმცა ამ ჯვრების იდენტიფიცირება ძელი ცხოველთან ვერ ხერხდება. ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", 140, 150, 173-4. საინტერესოა, რომ 1075 წელს გიორგი II (1072-89) „წარძღუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა" ფარცხისთან ამარცხებს თურქებს. „მატიანე ქართლისა", 317. მაგრამ ამ ჯვრის ქრისტეს ჯვართან გაიგივება პრობლემურია: როდესაც მალიქ შაჰთან გამგზავრებული იგივე გიორგი II თან ქრისტეს ჯვარს იახლებს (ალბათ, პირადს), მემატიანე მას სხვა სახელით მოიხსენიებს და *ძელი ცხოველს* უწოდებს („წარძღუანებითა ძელისა ცხოვრებისათა"). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 321. როგორც ჩანს, ფარცხისთან გიორგი II „ჩვეულებრივ" საწინამძღვრო ჯვარს იყენებდა და არა ძელი ცხოველს.

[104] საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის ადრეულ კავშირზე მიუთითებს XI საუკუნის საწყის წლებში იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის ფუნქციონირების აღდგენა. Denys Pringle,

სურ. 29
ეს, ალბათ, ერთადერთი ქართული მინიატურაა, სადაც დროშასთან ერთად წინ ნამძღვარებული ჯვარია გამოსახული, რომელიც, შესაძლოა, ძელი ცხოველს განასახიერებდეს. ჯრუჭის II ოთხთავის 64r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

თხვევაში, ქართველ მეფეთა შორის ძელი ცხოველის ფლობისა და ბრძოლაში გამოყენების შემთხვევას პირველად დავით აღმაშენებელთან ვხვდებით,[105] ხოლო დავითის მემკვიდრეთა დროს საბოლოოდ ყალიბდება ძელი ცხოველის ბრძოლაში გაძღოლის მყარი ტრადიცია, შესაბამისი ინსტიტუტითა და თავისი მცველთა რაზმით. ჯვარისმტვირთველის ვინაობა მკაფიოდ იყო განსაზღვრუ-

---

The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem, vol. II (Cambridge, 1998), 33. ქართველთა მონასტერსა და ჯვაროსნებს შორის ახლო ურთიერთობისათვის იხ. მამუკა წურწუმია, „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში", *ქართველოლოგია*, 6 (2010), 69-95.

[105] ძელი ცხოველის საბრძოლო გამოყენება არ შეინიშნება მეზობელ სომხეთშიც, რომელიც ჯვრის რამდენიმე ნაწილს ფლობდა. წმინდა ჯვრის ნაწილების ისტორიისათვის სომხეთში, იხ. Jones, *Between Islam and Byzantium*, 111-20.

ლი: ეს მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო, რომელიც ერთდროულად სასულიერო პირი (ჭყონდიდის ეპისკოპოსი) და სამეფოს უპირველესი მოხელე (მწიგნობართუხუცესი) იყო. ლაშქრად წასულ წმინდა ჯვარს თავისი საგანგებო („სეფე") კარავი გააჩნდა და მცველებიც მუდამ თან ახლდა[106] (სურ. 29).

კომუნიკაციის ხმოვანი საშუალებები

ბრძოლის დროს რაზმების კოორდინაცია მუსიკალური საკრავების საშუალებითაც ხდებოდა. თავდაპირველად, მათ საკულტო მნიშვნელობა ჰქონდათ და თითქოსდა ღმერთებს მოუწოდებდნენ ბრძოლაში დასახმარებლად. მოგვიანებით, მათი ხმა უკვე კონკრეტულ ბრძანებებს – შეტევა, უკანდახევა – შეესაბამებოდა.[107] ვეგეციუსის მიხედვით, მუსიკალური ინსტრუმენტები კომუნიკაციის „ნახევრადხმოვან" საშუალებებს მიეკუთვნება. სიგნალებს იყენებდნენ ყოველი ვარჯიშისა და მარშის დროს, რათა ჯარისკაცები მათ შეჩვეოდნენ.[108] განსაკუთრებით დიდი იყო მათი მნიშვნელობა ცუდი ხილვადობის პირობებში.[109] 1588 წელს ჟან ტაბურო თავის მუსიკალურ ტრაქტატში წერდა: „მუსიკალური ინსტრუმენტების საშუალებით ჯარისკაცებს აძლევენ ბანაკის დაცემის, შეტევისა და უკანდახევის სიგნალს; საკრავები ამხნევებენ და სიმამაცეს მატებენ შეტევისას და მხნე და ენერგიულ თავდაცვას განაპირობებენ".[110] მეცნიერი და ლექსიკოგრაფი, სარდალი და კარგი მებრძოლი იოანე ბატონიშვილი მიუთითებს, რომ მუსიკალურ საკრავებს ბრძოლის დროს ლაშქრის სამართავად იყენებდნენ: „ჟამსა ომისასა საყვირთა და დაფთა სანიშნებელად ჯარისა იხმარებდიან".[111] სულხან-საბა ორბელიანიც აღნიშნავს დასაკრავ ინსტრუმენტთა ფუნქციას ბრძოლაში: „საკრავი არს განმარისხებელი გულთა კაცთასა".[112]

ქართულ მატიანეებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში აღწერილია სხვადასხვა ტიპის მუსიკალური საკრავები, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი დანიშნულება და გამოყენების წესი შუა საუკუნეების ომებში. ქართული ლაშქარი ბრძოლებში ორი ტიპის – ჩასაბერ და დასარტყმელ – მუსიკალურ საკრავებს იყენებდა. ჩასაბერი საკრავებიდან აღსანიშნავია *საყვირი*, *ბუკი*,[113] *ყვი-*

---

[106] ძელი ცხოველის გამოყენების შესახებ საქართველოს ომებში იხ. მამუკა წურწუმია, „ძელი ცხოველი, მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა": ქრისტეს ჯვარი ჯვაროსნულ და ქართულ არმიებში", კრ. *ვალერი სილოგავა: მოგონებები, სამეცნიერო სტატიები* (თბილისი, 2011), 152-64.

[107] А.К. Нефёдкин, *Под знаменем дракона: военное дело Сарматов во II в. до н. э. - V в. н. э.* (Санкт-Петербург, 2004), 142.

[108] *Vegetius: Epitome of Military Science*, II.22, III.5.

[109] *Three Byzantine Military Treatises*, 93.

[110] Vale, *War and Chivalry*, 153.

[111] იოანე ბატონიშვილი, *კალმასობა* (თბილისი, 1984), 559.

[112] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 138.

[113] საბასა და თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, ბუკი დიდი ზომის საყვირია. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 227; თეიმურაზ ბაგრატიონი, *ნიგნნი ლექსიკონნი*, 29.

სურ. 30
შუა საუკუნეების ბუკი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

რო-სტვირი,[114] *ძროხაკუდი*,[115] დასარტყმელი ინსტრუმენტებიდან კი – *დაფდაფი*,[116] *ნობა*,[117] *ნობათი*,[118] *ნაღარა*,[119] *დუმბული*,[120] *ტაბლაკი*,[121] *სპერმური*,[122] *ქოსი*.[123]

ბრძოლისას დაფდაფს იყენებდნენ როგორც ფსიქოლოგიურ იარაღს, მომხრეთა გასამხნევებლად და მოწინააღმდეგის მორალის დასათრგუნად.[124] დაფდაფის (დაბდაბის) ხმა ისმის ქაჯეთის ციხის იერიშის დროს: „სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი, / იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი“.[125]

„ვეფხისტყაოსნის“ განხილვის შედეგად, ვ. ნოზაძემ დაასკვნა, რომ ბუკს საქართველოში იყენებდნენ ლაშქრობაში, ნადირობისა და ზეიმის დროს.[126] ქართული ბუკის შესაბამისია სპარსული *სურ*-ი, რომელიც საყვირს ნიშნავს.[127] ჩვენამდე მოაღწია XIV საუკუნის ბუკმა, რომელიც სვანეთში, ჟამუ-

---

[114] „მომცრო საყვირი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 276.

[115] „საყვირი(ა) მომცრო“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 287. *ძროხაკუდი* ეწოდებოდა გრეხილი ფორმის საყვირს. ვაჟა გვახარია, „თამარისდროინდელი საერო მუსიკა“, *ცისკარი*, 5 (1966), 117.

[116] დაფდაფი ხის რკალზე ორმხრივ ტყავგადაკრული საკრავია. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 204. დაფდაფი სპარსულად დოლია („დოულ“). გვახარია, „თამარისდროინდელი საერო მუსიკა“, 117.

[117] *ნობა* დასარტყმელი საკრავია. ივანე ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, *თხზულებანი*, ტ. XI (თბილისი, 1998), 589; ციალა პაპიაშვილი, „მუსიკალური საკრავები „ვეფხისტყაოსანში“, *საბჭოთა ხელოვნება*, 5 (1966), 19.

[118] ქართული *ნობათი* (სპარსული „ნუბათ“) დიდი ზომის სამხედრო დოლია. გვახარია, „თამარისდროინდელი საერო მუსიკა“, 117.

[119] „*ნაღარა სხვათა ენაა, ქართულად სამბიკი და დუმბული ჰქვიან*“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 582. თუმცა, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, არც სამბიკი და დუმბულია ქართული. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, 581.

[120] „მცირე ნაღარა“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 227. *დუმბული* ლაშქარში გავრცელებული საომარი საკრავი იყო. გვანცა სულაბერიძე, „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული მუსიკალური საკრავების სახელები“, *კლიო*, 16 (2002), 85.

[121] „მცირე ნაღარა“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 130.

[122] იგივე სპილენძ-ჭური, დიდი ზომის ნაღარა. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 108

[123] „სხვათა ენაა, ქართულად სპილენძ-ჭურია“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 232.

[124] David Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour* (Caceres, 1976), 144.

[125] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1415.

[126] ვიქტორ ნოზაძე, *ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება* (სანტიაგო დე ჩილე, 1958), 273. ეს ისტორიული რეალიებითაც დასტურდება. მაგალითად, თამარის გამეფებისას „ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 26. წინწილი ლითონის თეფშია, რომელსაც ერთმანეთს შემოჰკრავენ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, 585.

[127] ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, 563.

სურ. 31
საყვირები შუა საუკუნეების ბრძოლებში: დეტალები „როსტომიანის“ (S1580 ხელნაწერი) 81v (ა) და 89r (ბ) მინიატურებიდან; წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“. S5006 ხელნაწერი. დეტალი 91r (გ) მინიატურიდან. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხა. დეტალი 39r (დ) მინიატურიდან. ბოდლის ბიბლიოთეკა.

შის მაცხოვრის ეკლესიაში ინახებოდა[128] (სურ. 30). მისი სიგრძე 83 სმ-ია, პირის გარშემოწერილობა კი – 18 სმ. ბუკი მხოლოდ ერთ ბგერას გამოსცემს.

ბუკისა და ძროხაკუდის ტიპის საყვირებს ხშირად ვხვდებით ქართულ მინიატურებზეც (სურ. 31). ისინი გამოსახულია ბრძოლის სცენებში, დაპირისპირებული ჯარების რიგებში, საიდანაც ცხადია, რომ მუსიკალური საკრავები იმდროინდელი საბრძოლო მოქმედებების განუყრელი თანმხლებები იყო.

ქართულ ჯარში ლაშქრად გასვლის ნიშანს ბუკით აძლევდნენ. ალ-ფარიკის მიხედვით, რომელიც იმ დროს დემეტრე I-ის სამსახურში იმყოფებოდა, მეფემ ბუკის ძახილით აყარა ბანაკი და სალაშქროდ გაემართა: „როდესაც დადგა განთიადი, დაჰკრა ბუკმა გამგზავრებისამ, რადგანაც (მეფეს) მოსვლოდა ამბავი, რომ მის ერთ-ერთ ვილაეთში მის წინააღმდეგ არეულობა დაწყებულიყო“.[129] „ვეფხისტყაოსანშიც“ ბუკის ხმით უხმობენ საომრად წასასვლელად: „დილასა შევჯე, უბრძანე: „ჰკარით ბუკსა და ნობასა!“ /

[128] ამჟამად ის მესტიის მუზეუმშია დაცული. *სვანეთის მუზეუმი* (თბილისი, 2014), 225, სურ. 36.

[129] ე. სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში“, *სემიტოლოგიური ძიებანი*, ტ. II (თბილისი, 1985), 89.

სრულთა სპათასა ვერ გითხრობ არ შესასხდომლად მზობასა".[130] ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ვისრამიანის" ქართველი მთარგმნელი პირდაპირ ასახელებს ბუკის ფუნქციას, როდესაც ამბობს: „გაემართნეს დიდითა ლაშქრითა, **ასაყრელთა ბუკთა სცემდეს**", ანუ ბუკის ხმით გასამგზავრებლად აყარეს ლაშქარი. ეს მონაკვეთი „ვისრამიანის" სპარსულ დედანში არ გვხვდება.[131] საყვირით აძლევდნენ შეტევაზე გადასვლის ნიშანსაც. „ძეგლი ერისთავთაში" აღწერილია ერთი ასეთი შეტევა: „მაშინ განრისხნა ვირშელი და შეუზახა ლაშქარი თჳსი, დასცეს საყჳრსა და მიეტევნეს ვითარცა მჭეცნი".[132] რადგანაც საკრავებს მოწინააღმდეგეც იყენებდა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, განსაკუთრებით დიდი ბრძოლების დროს, შეტევის ნიშანს წინასწარ დათქვამდნენ ხოლმე.[133] ჯერ კიდევ მავრიკიოსი აღნიშნავდა, რომ მრავალი ბუკის ძახილი არევ-დარევასა და უწესრიგობას იწვევდა არმიაში.[134] ბუკს იყენებდნენ მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანადაც. ლეონ VI-ის რჩევით, მტრის სიახლოვეს დიდ არმიას მხოლოდ ორიოდე ბუკი უნდა გამოეყენებინა, მცირერიცხოვანს კი პირიქით – ბევრი, რომ მტერი დაბნეულიყო.[135]

ხშირად ვხვდებით სხვადასხვა ტიპის საკრავების ერთად გამოყენებას. ტარიელის მეწინავე რაზმს ჩამორჩენილი ძირითადი ლაშქარი ბუკისა (ჩასაბერი საკრავი) და ტაბლაკის (დასარტყმელი საკრავი) ცემით ჩაერთო ბრძოლაში: „გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუკმან ხმა გააზეარა".[136] ჯუვეინის თანახმად, ბოლნისის ველს ქართველთა „რაზმებმა მოაწიეს დაფითა და ბუკით... და ერთმანეთის მიყოლებით დაეწყვნენ მწკრივებად ომისთვის მომზადებულნი".[137] ბრძოლის ველზე რაზმების მოსაწყობად ნაღარის ტიპის საკრავებსაც იყენებდნენ: შამქორის ბრძოლის წინ „ჰკრეს სპერმურთა, და სცეს ზარი, დააწყუეს რაზმი წესისაებრ".[138] „რუსუდანიანში" ასე არის აღწერილი ბანაკის აყრის პროცესი: „კრეს ასაყრელსა ქოსსა, დუმბულსა და ყვიროსტვირსა".[139]

ლამბერტის ცნობით, XVII საუკუნეში სამეგრელოს სამთავროს ჯარი

---

[130] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 421.

[131] ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", 563.

[132] „ძეგლი ერისთავთა", 113.

[133] მაგალითად, 1191 წელს არსუფთან ბრძოლაში მუსლიმებზე შეტევის ნიშანი ჯვაროსანთა არმიაში სამად განაწილებულმა 6 ბუკმა (ორი წინ, ორი შუაში და ორიც უკან) მისცა, რათა ქრისტიანებს მათი ხმა გაერჩიათ მტრის მიერ ახმაურებული ბუკისა და დოლისაგან. Nicholson, *Medieval Warfare*, 111.

[134] *Maurice's Strategikon*, 33.

[135] *The Taktika of Leo VI*, 17.20.

[136] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 451.

[137] *ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ*, სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1974), 35.

[138] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 70.

[139] *რუსუდანიანი*, 119.

ა

ბ

სურ. 32
ნაღარა: ა) ილუსტრაცია „რომსტომიანიდან". S1580 ხელნაწერი, მინიატურა 78v, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ნაღარა (ექსპონატი გ-226). ავტორის ფოტო.

ირანული ტიპის დოლსა და საყვირს იყენებდა: „მათი დოლი ირანულს ჰგავს, ესე იგი, სპილენძის არის და საკმაოდ დიდი, ქვაბის მსგავსი; ერთის მხრით გადაკრული აქვს ტყავი. როცა ჯარი მოდის, ორ-ორს დოლს ცხენზე ან აქლემზე გადაჰკიდებენ იქით-აქეთ და შუაში ჩაჯდება მედოლე, რომელიც ორი პატარა ჯოხით განუწყვეტლივ უკრავს. დოლთან ერთად უკრავენ საყვირს, რომელიც აგრეთვე ირანულია: სწორი და არა მოღუნული; სიმაღლით კაცზე უმაღლესია, ამას ორი კაცი უკრავს, ხან ერთი და ხან მეორე, მისი ხმა ყურთასმენისათვის უფრო საზარელია, ვიდრე სასიამოვნო".[140] ლამბერტის აღწერილობიდან ირკვევა, რომ გვიან შუასაუკუნეებშიც დასავლეთ საქართველოში სპილენძჭურის (სპერმურის) ტიპის ნაღარას იყენებდნენ. (სურ. 32)

სამხედრო ბანაკი

საბრძოლო კამპანიის მსვლელობისა და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მოძრაობისას არმია თავს აფარებდა საველე ბანაკს, რომლის სწორად გაშლასა და დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.[141] ბანაკის არასწორად დაცემას ან მისი დაცვის უგულებელყოფას კატასტროფული შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა.

X საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატი *De castrametatione* უმთავრესად ბანაკის მართებულად გაშლას ეძღვნება და მასში დეტალურად გაწერილია ბანაკის მოწყობის წესები და თანმიმდევრობა. ბიზანტიური ბანაკის ცენტრში, ყველაზე უსაფრთხო ადგილას, იმპერატორის, მისი შტაბისა და გვარდიის კარვები თავსდებოდა, რომლის გარშემო გარკვეული იერარქიის პრინციპით ეწყობოდა დანარჩენი არმია.[142] ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართული ბანაკის ცენტრში მეფის (ან ამირსპასალარის) კარავი იდგებოდა, რომლის გარშემო ფეოდალური

---

[140] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 85.

[141] როდესაც სელჩუკების წინააღმდეგ კამპანიის დროს თავისი არმიის არეულ-დარეული ბანაკი იხილა, ბიზანტიის იმპერატორმა მანუელ კომნენოსმა ჯარისკაცებს მოაგონა, რომ ბანაკი ჰგავს ქალაქს და მას ქალაქივით სჭირდება კარი, კედლები და თხრილი. Иоанн Киннам, *Краткое обозрение царствования Иоанна и Мануила Комнинов* (Санкт-Петербург, 1859), 61.

[142] *Three Byzantine Military Treatises*, 249, 251-3.

კლასისათვის დამახასიათებელი იერარქიით განლაგდებოდა სხვა კარვებიც. ამ მხრივ საინტერესოა, რომ მემატიანე გიორგი II-ის ბანაკში მეფისა და დიდებულთა კარვებს გამოყოფს („კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი").[143] წესით, ბანაკის ტერიტორია სადროშოების მიხედვით უნდა ყოფილიყო დაყოფილი, სადაც სადროშოში შემავალ ყოველ რაზმს თავისი ადგილი ექნებოდა მიჩენილი. სხვაგვარად ეს რაზმები ბანაკის დაცემისა თუ აშლის დროს თავის ადგილს ვერ დაიკავებდნენ სალაშქრო კოლონაში, რომ არაფერი ვთქვათ საბრძოლო წყობაზე, რომლის სწორად დალაგება (სადროშოების მიხედვით) მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

ქართული არმია ბანაკდებოდა მდინარეების პირას, უპირველესად, სასმელი წყლის (ადამიანებისა და პირუტყვებისათვის)[144] და სანიტარული პირობების უზრუნველყოფის მიზნით. ამავე დროს, მდინარე ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდეც იყო.[145] ასე, ხუნანზე გალაშქრებული დავით IV-ის ჯარი მტკვრის პირას ბანაკდება: „და აღავსო ლაშქარმან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე".[146] არანში სალაშქროდ მზადებისას ქართული ჯარი ბანაკის ადგილებს მდინარეთა პირას აწყობს: „სიმრავლითა აღივსნეს მტკურის პირი, ალგეთის პირი, კციის პირი და ქურდვაჭრის პირი, ესე ოთხივე მდინარენი ტფილისით ყარლჩამდის".[147] უკვე ლაშქრობისას, არმია ბანაკს ისევ მდინარის პირას არჩევს: „წარსრულთა დაიბანაკეს წყალსა ზედა ელეკეციასა".[148]

ამავე დროს, მხოლოდ ბუნებრივი წინააღმდეგობის ამარა ყოფნას სავალალო შედეგი შეიძლება მოეტანა, როგორც ეს მოხდა 1412 წელს ჩალაღანთან, როდესაც ყარაყოიუნლუს მბრძანებლის ყარა-იუსუფის წინააღმდეგ დაძრული ქართველთა და შირვანელთა გაერთიანებული ლაშქარი მტკვრის პირას დაბანაკდა, ზედმეტად მიენდო მდინარის საფარს და სათანადოდ არ დაიცვა ნაპირი, რამაც შავბატკნიანებს საშუალება მისცა გადაელახათ მდინარე („ყარა-იუსუფის ჯარი ქარივით სწრაფად გადავიდა წყალზე და მტერს შეუტია") და მოულოდნელი თავდასხმით მოეგოთ ბრძოლა.[149]

---

[143] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 319.

[144] მდინარის მნიშვნელობა არმიის წყლით მომარაგებისას იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ის საშუალებას იძლეოდა ერთდროულად ბევრ ჯარისკაცს აეღო წყალი და დაერწყულებინა პირუტყვი. Donald W. Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army* (Berkeley, 1978), 57-8. თუმცა, არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამის გაკეთება ერთბაშად რამდენიმე ათას კაცს შეეძლო, რომლებიც კილომეტრებზე გაიჭიმებოდნენ ნაპირის გასწვრივ. როგორც ნესი, მრავალრიცხოვანი პირუტყვის დასარწყულებლად ტყავის ტიკებს იყენებდნენ, რომლითაც რამდენიმე ცხენი სარგებლობდა. John H. Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," in *Logistics of Warfare in the Age of the Crusades*, ed. by John H. Pryor (Aldershot, 2006), 20.

[145] ლეონ VI-ის *ტაქტიკა* და *De castrametatione* სარდალს ურჩევს ბანაკის გაშლას ძნელადგადასალახავი მდინარის ან ტბის პირას და ამ ბუნებრივი წინაღობის გამოყენებას. *The Taktika Of Leo VI*, 11.33; *Three Byzantine Military Treatises*, 249.

[146] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 339-40.

[147] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 64.

[148] იქვე, 68.

[149] *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ*, 16.

წყაროებიდან ჩანს, რომ საველე საფორტიფიკაციო საშუალებებიდან ქართველები იყენებდნენ სალაშქრო ბანაკის თხრილითა და მესრით მოზღუდვას. ბანაკისათვის თხრილის შემოვლება რომაული ხანიდან ითვლებოდა დაცვის ქრესტომათიულ საშუალებად, რომლის უგულებელყოფა არც ბიზანტიელ მხედართმთავრებს არ ეპატიებოდათ. ნიკიფორე II ფოკა ტრაქტატში *Praecepta militaria* ბანაკის მოწყობისას საჭიროდ თვლის მის გარშემო თხრილის შემოვლებას, რომელსაც *ხანდაკს* უწოდებს.[150] ხანდაკი არაბული ძირის სიტყვაა და თხრილს ნიშნავს.[151]

ჰასან რუმლუს ცნობით, 1412 წელს ქართულ-შირვანულმა არმიამ უსაფრთხოების მიზნით ბანაკს თხრილი შემოავლო: „გარშემო ხანდაკი იყო ამოჭრილი".[152] ქართველთა ლაშქარი თხრილით იცავს თავს ციხედიდთან 1561 წელს ყიზილბაშებთან ომის დროს: „ჟამსა მას ქართველთ ხანდაგი გაეთხარათ, ამისთჳს რომე არამც მოპარვით ყიზილბაშნი თავს არ დაესხნენ", რის გამოც ირანელებს თხრილის ამოვსება დასჭირდათ: „მივიდეს და, სადაცა ხანდაგი იყო, ხანდაგთან ჩამოჴდეს, და ის ხანდაგი გაასწორეს".[153]

წამახული სარებით შექმნილ მესერს *სხრტე* ეწოდებოდა. მისი მნიშვნელობა ბანაკის დაცვისათვის კარგად ესმოდათ იმდროინდელ ქართველებს, რაც საბას განმარტებაშიც ჩანს: „სხრტე არს ნედლი ხე, ნახევარზე კვეთილი, წაქცევით ზღუდედ მოვლებული".[154]

ხის მესერს, ღობეს, რომელსაც მონღოლთა ბატონობის ხანიდან უკვე სიბას უწოდებენ, იყენებდნენ როგორც ბანაკის, ისე სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილის დასაცავად. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ ქართულ-ილხანური ჯარები მდინარეების გასწვრივ ღობის საშუალებით ამაგრებდნენ პოზიციებს, რათა თავი დაეცვათ ოქროს ურდოს შემოსევებისაგან: „შეკრეს ღობითა წყლისპირი, რომელსა სიბად უწოდეს".[155] სარებს იყენებს მთაში თავისი პოზიციების დასაცავად ყაზან ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული დავით VIII: მან ჟინვალთან „შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა".[156]

ბანაკის დასაცავად და ბრძოლაში მოულოდნელობის შესაქმნელად საქა-

---

[150] Никифор II Фока, *Стратегика*, 37, 101. *De castrametatione*-ს მიხედვით თხრილს 2.5 მ-მდე სიღრმე და 1.5-1.9 მ სიგანე უნდა ჰქონოდა და ძირისკენ შევიწროებული უნდა ყოფილიყო. *Three Byzantine Military Treatises*, 251.

[151] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 415.

[152] *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ*, 16.

[153] *ქართლის ცხოვრება*, II, 511.

[154] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 126; კონსტანტინე მელითაური, „ზოგიერთი სამშენებლო ტერმინის შესახებ", *ძეგლის მეგობარი*, 14 (1968), 46.

[155] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 136. ოქროს ურდოს ყაენის ბერქეს წინააღმდეგ მტკვრის ნაპირის მესრითა და თხრილით გამაგრებას აღწერს კირაკოს განძაკელიც. Киракос Гандзакеци, *История Армении*, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л.А.Ханларян (Москва, 1976), 238.

[156] იქვე, 195.

სურ. 33
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ტრიბოლი. ავტორის ფოტო.

რთველოში ტრიბოლებსაც იყენებდნენ.[157] ტრიბოლი პატარა ზომის რკინის ნაკეთობა გახლდათ, რომელიც ოთხი მახვილი, თანაბარი სიგრძის წვერისგან შედგებოდა. როგორც არ უნდა დაცემულიყო მიწაზე, ტრიბოლის ერთი წვეტი მუდამ ზემოთ იყო მიმართული, რაც ადამიანსაც და ცხოველსაც საფრთხეს უქმნიდა. მსუბუქი, მოსახერხებელი, ძნელად შესამჩნევი და მრავალჯერადი გამოყენების ტრიბოლი იდეალური საშუალება იყო მოწინააღმდეგისათვის დაბრკოლების შესაქმნელად და ხაფანგის დასაგებად. ტრიბოლი ძველი სამყაროს ერთგვარი „ნაღმი" იყო. მისი საშუალებით „ნაღმავდნენ" ბანაკის ან ქალაქის მისადგომებსა და ბრძოლის ველს. მას იყენებდნენ ქვეითთა და განსაკუთრებით, ცხენოსანთა წინააღმდეგ. ფლოქვში შერჭობილი ტრიბოლი ცხენის წაქცევასა და მტრის რიგებში არეულობას იწვევდა. გაუფრთხილებელი მოწინააღმდეგე საკმაოდ ზარალდებოდა და შეიძლება ბრძოლაც (ან შეტაკება) წაეგო. ტრიბოლების გამოყენება ანტიკურ ხანაში იწყება (ძვ.წ. V ს.), თუმცა ნამდვილ საბრძოლო საშუალებად ის ბიზანტიურ ეპოქაში იქცა. ბიზანტიურ ტრაქტატებში ტრიბოლების გამოყენება ჩამოყალიბებული სახით არის მოცემული. VI საუკუნის ბიზანტიელი ანონიმი, იმპერატორები მავრიკიოსი და ლეონ VI, ტრაქტატი *De castrametatione* და ცნობილი სარდალი ნიკიფორე ურანოსი თვლიდნენ, რომ ბანაკის დაცემისას ტრიბოლების გამოყენება აუცილებელი იყო. ჩვეულებრივ, ტრიბოლებს ყრიდნენ თხრილის წინ, მაგრამ თუ ქვიანი ნიადაგის ან დროის სიმცირის გამო თხრილის გათხრა შეუძლებელი იყო, იყენებდნენ ტრიბოლებს, რომლებიც ასეთ დროს თხრილს ანაცვლებდნენ.[158] ლეჩხუმში აღმოჩენილი ტრიბოლი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ საქართველოში კარგად იცნობდნენ ბიზანტიურ სამხედრო საქმეს, ბრძოლის წესსა და თეორიულ ტრაქტატებს, და სათანადოდ იყენებდნენ კიდეც ამ ცოდნას პრაქტიკაში (სურ. 33).

მხოლოდ ბუნებრივი თუ ტექნიკური საშუალებები ბანაკის დასაცავად არ კმაროდა. ბანაკის უსაფრთხოებას, პირველ რიგში, მისი მცველები განაპირობებდნენ. *De castrametatione*-ს მიხედვით ბანაკს გუშაგების ოთხი წყება უნდა იცავდეს: ორი ქვეითი და ორი ცხენოსანი. ქვეით გუშაგთა პირველი (შიდა) წყება (ყოველი ჯგუფი 8 კაცის შემადგენლობით) უშუალოდ ბანაკში იყო განლაგებული, მეორე (გარე) კი (4 კაციანი ჯგუფები) – ბანაკის გარეთ. ქვეითებთან შედარებით ბანაკს უფრო შორიდან დარაჯობდა ცხენოსანთა შიდა წყება (6 მხედრის შემადგენლობით). კიდევ უფრო წინ წაწეული იყო ცხენოსანთა 4 კაციანი (გარე) ჯგუფები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურ-

[157] ლეჩხუმში აღმოჩენილი ტრიბოლისა და საერთოდ, მათი გამოყენების შესახებ, ვრცლად იხ. მამუკა წურწუმია, *„τρίβολος*: ბიზანტიური „ნაღმი", *საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, ტ. I (თბილისი, 2013), 81-92.

[158] *The Anonymous Byzantine Treatise on Strategy*, text, translation, and notes by George T. Dennis, in *Three Byzantine Military Treatises* (Washington, 1985), 91; *Maurice's Strategikon*, 158-60; *The Taktika Of Leo VI*, 4.55, 11.8, 11.13; *Campaign Organization and Tactics*, text, translation, and notes by George T. Dennis, in *Three Byzantine Military Treatises* (Washington, 1985), 263; Nikephoros Ouranos, *Taktika*, 157.

ადღებას აქცევდნენ იმ გზებს, საიდანაც მტრის გამოჩენა იყო მოსალოდნელი.[159]

ქართული წყაროების მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ თუ რა სახე ჰქონდა ან რამდენად ზუსტად ხორციელდებოდა პრაქტიკაში მსგავსი თეორიული პოსტულატები, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული სამხედრო თეორია ითვალისწინებდა ბანაკის გუშაგთა დაყოფას უშუალოდ მის მცველებად და შორეულ, წინწაწეულ დარაჯებად. ამაზე მსჯელობის საშუალებას ბასიანის კამპანიის მსვლელობა გვაძლევს. თამარის ორივე ისტორიკოსი ადასტურებს, რომ რუქნ ად-დინს დარაჯები არ ეყენა: „დარაჯნი არა უდგეს სულტანსა...“[160] „ესრეთ ნებიერად მდგომარე იყვნეს, და არა უდგა დარაჯანი სულტანსა“.[161] ამავე დროს, მემატიანე წერს, რომ სელჩუკებმა მტერი მაინც შეამჩნიეს და საბრძოლო ხაზის მოწყობაც მოასწრეს: „დარაჯნი არა უდგეს სულტანსა, არამედ იხილა კაცმან სულტნისამან: მოვიდა სპა ურიცხჳ ქაფარი... ხოლო იგინი განკრთეს და მოიღეს ჯოგი; აღიჭურნეს და აღსხდეს ჰუნეთა... წინაგანეწყვნეს“.[162] ამ წინააღმდეგობრივ ადგილს, როდესაც დარაჯთა უყოლობის მიუხედავად, სელჩუკები მაინც ამჩნევენ ურწმუნოთა („ქაფარი“) ანუ ქართველთა მრავალრიცხოვან ლაშქარს („იხილა კაცმან სულტნისამან: მოვიდა სპა ურიცხჳ ქაფარი“) და საბრძოლოდ მოწყობასაც ასწრებენ, სწორად განმარტავს ი. ციცაძე. მისი აზრით, წყაროში საუბარია არა იმ გუშაგებზე, რომლებიც უშუალოდ ბანაკს იცავდნენ, არამედ იმ დარაჯებზე, რომლებიც ბანაკამდე მისასვლელ გზებზე ანუ ქართული ლაშქრის მოძრაობის შესაძლო მარშრუტზე უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი.[163] ქართველი მემატიანეებიც რუქნ ად-დინის სწორედ ამ დაუდევრობაზე ამახვილებენ ყურადღებას და შეცდომად უვლიან მოწინააღმდეგეს ბანაკის შორეული დაცვის არარსებობას. ეს კი ნიშნავს, რომ ბანაკის მოწყობისას უშუალოდ მისი მცველებისა და შორეულ მისადგომებზე დარაჯების დაყენება ჩვეული პრაქტიკა იყო იმდროინდელ საქართველოში.

საკუთრივ ბანაკში მოლაშქრეთა ყოფის შესახებ მხოლოდ თეორიულად თუ ვიმსჯელებთ. ბიზანტიური ტრაქტატების *Peri strategias* და *Praecepta militaria* თანახმად, ბანაკად ყოფნისას ჯარისკაცებს, ფეხებთან ახლოს, ფარი შუბზე უნდა მიეყუდებინათ და ისე დაესვენათ, რომ განგაშის შემთხვევაში ორივე იარაღი ხელთ ჰქონოდათ. სათანადო მაგალითების მოხმობით, პ. გროტოვსკი ამტკიცებს, რომ ამ პრაქტიკამ ბიზანტიურ იკონოგრაფიაშიც

---

[159] *Three Byzantine Military Treatises*, 265-7.

[160] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 96.

[161] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, 137.

[162] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 96.

[163] იასე ციცაძე, *ბასიანის ბრძოლა* (თბილისი, 1971), 22-3.

სურ. 34
შუბზე მიყუდებული ფარები ბოჭორმის წმ. გიორგის ხატზე (ა) და H1665 დავითნის 224r (ა) და 224v (ბ) მინიატურებზე, დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ჰპოვა ასახვა.[164] ასეთივე, შუბს მიყუდებულ ფარს ვხედავთ XI საუკუნის ბოჭორმის წმ. გიორგის ხატზე და H1665 დავითნის 224r და 224v მინიატურებზე, სადაც შუბთან ერთად ხმალიცაა მიყუდებული (სურ. 34). ეს კი შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ქართველებიც იცნობდნენ და იცავდნენ ბანაკად ყოფნის ამ წესს.

ჯახავი

ლაშქრობა და სამხედრო მოვალეობის შესრულება კარვის გარეშე შეუძლებელი იყო. როგორც ზემოთ ვთქვით, ვახუშტი აზნაურს, რომელსაც სალაშქროდ კარვით („კარავითა და მათითა გაწყობილებითა“) გამოსვლა არ შეუძლია, აზნაურად არც თვლის: უნდა „ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა, კარავითა და მათითა გაწყობილებითა, და თუნიერ ამისა არა იწოდებოდა

[164] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 224.

აზნაურად".[165] ბექას სამართალი საგანგებოდ აღნიშნავს მსახურის მიერ კარვის ფლობას, რაც აუცილებელი იყო ლაშქრობაში: „კარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სჭირს, და რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სჭირს, – ისრე სრულად".[166]

მემატიანეები ბრძოლებში ნაიალაფარ ქონებაში საგანგებოდ გამოყოფენ კარვებს: 1161 წელს ანისთან მუსლიმთა დამარცხების შემდეგ ქართველებმა ხელში ჩაიგდეს „სიმრავლე კარავთა".[167] 1202 წელს ბასიანთან მათ დარჩათ „კარავთა და საფენელთა სიმრავლე და ურიცხველობა".[168] კარავი, მითუმეტეს მდიდრულად მორთული, საკმაოდ ძვირი ღირდა. მაგალითად, ცნობილია 1611 წელს აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმი საყვარელიძის მიერ სამეგრელოს მთავრისადმი მირთმეული ძვირფასი კარავის ფასი: „მივეცით მანუჩარ დადიანსა: თორმეტს ტყუეთ დაფასებული კარავი".[169]

ველად გადაადგილებისას ქართულ ლაშქარს თან ახლდა კარავში განთავსებული საველე ეკლესია. კირაკოს განძაკელი მოგვითხრობს, რომ ზაქარია მხარგრძელმა, რომელმაც შეინარჩუნა მონოფიზიტობა, ქართველების მიბაძვით კარავში მოაწყო სალაშქრო ეკლესია, სომხური სამღვდელოების გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, რომელთათვისაც ეს სიახლე იყო.[170] კარვის ეკლესია ნახსენებია ხელმწიფის კარის გარიგებაშიც, სადაც სამწუხაროდ მხოლოდ ნაკლული ტექსტია შემონახული: „ეკლესია კარვისა და სხვანი ხატნი პა..."[171]

ხელმწიფის კარის გარიგებაში საყურადღებო მონაცემებს ვხვდებით საველე პირობებში ძელი ცხოველის გადაადგილების წესის შესახებაც. აღსანიშნავია, რომ ლაშქრობის დროს ძელი ცხოველს ცალკე კარავი აქვს გამოყოფილი: „ძელი ცხოვრებისა ველსა კარვით დგას, და კარავი განაღამცა სეფე იყო".[172] ჩანს, ეს მდიდრული („სეფე") კარავი საველე ეკლესიის მსგავსად იყო მოწყობილი, რომელიც თან დაჰქონდათ შუა საუკუნეების ქრისტიანულ არმიებს.

ჩვენ რეგიონში გავრცელებული კარვები ორ ძირითად ტიპს მიეკუთვნება – ცენტრალურ აზიურ იურტასა და ახლო აღმოსავლურ კარავს, რომლებიც თავის მხრივ, სხვადასხვა სახეობებს მოიცავენ. ცენტრალურ აზიური იურტა შედგება თექით შემოსილი მოწნული ხის ჩონჩხისაგან. ახლო აღმოსავლური კარავი ვერტიკალურ სვეტებზე გაჭიმული კარვის ქსოვილია, რომელიც მი-

---

[165] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 17-8.

[166] „სამართალი ბექასი და აღბუღასი", 428.

[167] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 9.

[168] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 139.

[169] *ქსძ*, III, 394.

[170] Киракос Гандзакеци, *История Армении*, 120-2.

[171] „გარიგება ხელმწიფის კარისა", 97.

[172] იქვე.

ა

ბ

გ

დ

ე

ვ

ზ

თ

ი

კ

ლ

მ

ნ

სურ. 35
H1665 დავითნის კონუსური და განიერი კარვები: 191v (ა), 193v (ბ), 197r (გ), 205v (დ), 206v (ე), 209v (ვ), 210r (ზ), 210v (თ, ი), 220r (კ), 223r (ლ) და 223v (მ) მინიატურები, დეტალები; იურტა (ნ), 191r მინიატურის დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

წაზე პალოებითა და თოკებით მაგრდება.[173] იურტა მრგვალი და გუმბათოვანი ფორმის მოწნული კარავია, რომელიც ცენტრალური აზიის მომთაბარეებისათვის იყო (და ახლაც არის) დამახასიათებელი. ასეთ კარავს სპარსულად ხარგა ეწოდება.[174] როდესაც დავითის ისტორიკოსი სელჩუკთა ხარგებზე წერს („თურქთა... დადგიან ხარგებითა"; „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა"),[175] სწორედ იურტის ტიპის თურქულ კარვებს გულისხმობს.[176]

H1665 დავითნის მინიატურებზე ორი სახის კარვები გვხვდება: ყველაზე მრავალრიცხოვანია შედარებით პატარა ზომისა და კონუსური ფორმის თეთრი და ჭრელი კარვები, რომელთაც წაკვეთილი თავი აქვთ,[177] თუმცა ზოგჯერ კარვის თავი ოდნავ მომრგვალებულია. უფრო დიდი მოცულობისაა ორ ბოძზე დამაგრებული კარავი, რომელიც ტრადიციულ არაბულ კარავს მოგვაგონებს.[178] საფიქრებელია, რომ პატარა კონუსური კარვები რიგითი მხედრებისათვის იყო გამიზნული, დიდი არაბული კი – დიდგვაროვანთათვის, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ 193v მინიატურაზე საულ მეფეს კონუსურ კარავში ძინავს. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ დიდი არაბული კარვები მეტი კომფორტით გამოირჩევა (სურ. 35).

მინიატურებიდან ჩანს, რომ ქართული ლაშქარი ახლოაღმოსავლური (არაბული) ტიპის კარვებს იყენებდა და არ გადმოუღია თურქულ-მონღოლური კარვის ტრადიცია.[179] ეს მოვლენა ადვილად აიხსნება: მრავალი დადებითი თვისების მიუხედავად, მოწნულ ხის კარკასზე აგებული იურტა უფრო რთული კონსტრუქციის იყო და უფრო ძნელად გადასაზიდიც, მაშინ როდესაც ახლოაღმოსავლური ქსოვილის კარავი სავსებით აკმაყოფილებდა მოლაშქრის ყველა მოთხოვნას. ტარიელის სიტყვები – „კარვის კალთა ჩახლათული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე",[180] – სწორედ თოკებით დამაგრებულ („ჩახლათულ") ქსოვილის კარავს გულისხმობს.

ახლოაღმოსავლური ტიპის კარავს ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა

---

[173] Roger Cribb, *Nomads in Archaeology* (Cambridge, 1991), 85-6.

[174] Peter Alford Andrews, "The Generous Heart or the Mass of Clouds: The Court Tents of Shah Jahan," *Muqarnas*, 4 (1987), 149.

[175] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 332, 333.

[176] სელჩუკთა კარვების (ხარგის) შესახებ იხ. David Durand-Guédy, "The Tents of the Saljuqs," in *Turko-Mongol Rulers, Cities and City Life*, ed. by D. Durand-Guédy (Leiden. 2013), 155-8. მისივე, "Khargāh: an inquiry into the spread of the "Turkish" trellis tent within the Abbāsid world up to the Saljūq conquest (mid second/eighth–early fifth/eleventh centuries)," *BSOAS*, vol. 79, issue 1 (February 2016), 57-77.

[177] ასეთი წაკვეთილთავიანი კონუსის ფორმის თეთრი კარვები საკმაოდ იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ისლამურ მხატვრობაშიც. Oleg Grabar, Mika Natif, "Two Safavid Paintings: An Essay in Interpretation," *Muqarnas*, 18 (2001), 180, 200-1, n. 28.

[178] მსგავსი არაბული კარვები იხ. Grabar, Natif, "Two Safavid Paintings: An Essay in Interpretation," 180, fig. 1.

[179] დავითნში მხოლოდ ერთგან, 191r მინიატურაზე ჩანს მრგვალი ფორმისა და გუმბათოვანი სახურავის მქონე კარავი, რომელიც იურტა უნდა იყოს, როგორც ეს უკვე ივარაუდა ლ. შერვაშიძემ. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 73. (სურ. 35ბ)

[180] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 559.

ა


ბ

გ


დ

ე

ვ


ზ

სურ. 36
XVII საუკუნის კარვები: ა) სამკუთხა კარავი. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 171, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) მართკუთხა კარავი. „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხა, 168r მინიატურა, დეტალი. ბოდლის ბიბლიოთეკა; გ) განიერი და კონუსური (დ, ე) კარვები წერეთლისეულ „ვეფხისტყაოსანში“. S5006 ხელნაწერი, 69r, 117r და 159r მინიატურების დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; კონუსური კარვები: ვ) „უთრუთიან-სააძიანი“, S1594 ხელნაწერი. 43v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ზ) „როსტომიანი“, S1580 ხელნაწერი, მინიატურა 162r, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

საქართველოში. ამ ტიპის სამკუთხა კარავია გამოსახული XI საუკუნის კაცხის ჯვარზე,[181] სადაც კარგად ჩანს კარვის კალთების დასამაგრებელი თოკები. სამკუთხა კარავს ცენტრალური ბოძით ვხედავთ თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ 171-ე მინიატურაზეც (სურ. 36ა). ამავე ტიპის, მხოლოდ მართკუთხა, თოკებითა და პალოებით დამაგრებული კარავია ბოდლის ბიბლიოთეკის „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხის 168r მინიატურაზე (სურ. 36ბ).

ამავე დროს, საქართველოში, სულ მცირე, XVII საუკუნეშიც შენარჩუნებულია კონუსური და განიერი ფორმის კარავიც.[182] მართლაც, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ 69r მინიატურაზე ორსვეტიანი, განიერი არაბული კარავია გამოსახული, ხოლო ამავე ხელნაწერის 117r და 159r მინიატურებზე კონუსურ კარვებს ვხედავთ, სადაც ასეთი კარვის კონსტრუქციული თავისებურებაც ჩანს – ის ერთ ცენტრალურ ბოძზეა დაყრდნობილი (სურ. 36გდე). კონუსურ კარვებს ვხედავთ XVII საუკუნის „უთრუთიან-საამიანის“ 43v მინიატურასა და „როსტომიანის“ 162r მინიატურაზეც (სურ. 36ვზ).

XVII საუკუნის საქართველოში გავრცელებულ კარვებს ვხვდებით იტალიელი მისიონერის კასტელის ალბომში. კავკასიელებზე, სვანებზე და აფხაზებზე საუბრისას კასტელი მათ კარვებსაც აღწერს და მათ მნიშვნელობაზე საუბრობს: „სამეფო კარვების შესახებ: ცოტანი არიან აღმოსავლეთში მეფე-მთავრები, რომელნიც უძრავ სახლზე იყვნენ დამოკიდებულნი. მართლაც, დიდად აფასებენ მოძრავ კარავს... სეზონისდა მიხედვით სხვადასხვა სახის კარავი აქვთ და ძალიან ლამაზებიც, რომელთა გამოყენება შეიძლება საომარი ვარჯიშისათვის“.[183] კასტელის ჩანახატებში სამეფო კარვები დიდი ზომისაა, მართკუთხა ფორმის, ქსოვილისაგან არიან დამზადებული და თოკებით დამაგრებული[184] (სურ. 37ა). მართკუთხა ფორმა აქვთ გურიის მთავრის კარვებსაც[185] (სურ. 37ბ). ამათ გარდა, იტალიელს კონუსური კარვებიც აქვს დადასტურებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – ქართლში, ოდიშსა და იმერეთში[186] (სურ. 37გდევ). კასტელის ერთ სურათზე, სადაც იმერეთის მეფის ბანაკია გამოსახული, კარგად განირჩევა როგორც სამეფო მართკუთხა, ისე კონუსური კარვებიც[187] (სურ. 37ზ).

---

[181] Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, рис. XVII-2.

[182] იქვე, 73.

[183] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 179.

[184] იქვე, სურ. 476.

[185] იქვე, სურ. 83.

[186] იქვე, სურ. 4, 134, 172, 419.

[187] იქვე, სურ. 94.



სურ. 37
კასტელის ალბომში გამოსახული კარვები: მართკუთხა სამეფო (ა) და გურიის მთავრის (ბ) კარვები; კონუსური ქართლში (გ), ოდიშში (დ), იმერეთში (ე, ვ); მართკუთხა და კონუსური კარვები იმერეთში (ზ).

ლოგისტიკა

ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსის ჟომინის განსაზღვრებაზე დაყრდნობით, ლოგისტიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც არმიების მოძრაობისა და მომარაგების ხელოვნება.[188] ნებისმიერ ეპოქაში ძნელია გადაჭარბებულად შეაფასო არმიის მომარაგების მნიშვნელობა. როგორც მართებულად წერს ჯ. როთი, ყოველ გადაწყვეტილებაზე, ძირითადი სტრატეგიული გეგმიდან დაწყებული და უმნიშვნელო ტაქტიკური გადაადგილებით დამთავრებული, მოქმედებს და ხშირად განაპირობებს კიდეც, მომარაგების პრობლემები.[189]

ანტიკური თუ ახალი ხანის ლოგისტიკასთან შედარებით ფეოდალური არმიების მომარაგება ნაკლებად ცენტრალიზებული იყო და გარკვეული თავისებურებით ხასიათდებოდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ვასალების მიერ შეკრებილი ლაშქარი ვალდებული იყო გარკვეული დროის განმავლობაში თავისი თავი თავად უზრუნველეყო[190] და თავისი ბატონის (სენიორის, მეფის) ქისას ნაკლებ ხარჯად აწვებოდა[191] (ფეოდალს იშვიათად თუ შეეძლო თავისი ვასალების ნაღდი ფულით დაკმაყოფილება). თუმცა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ველზე ყოფნა დამატებით რესურსებს მოითხოვდა და თავდაპირველი მარაგის ამოწურვის შემდეგ, არმიის შემდგომი მომარაგება იყო აუცილებელი.

შუა საუკუნეების არმიის ნორმალური ფუნქციონირების სურათის აღსადგენად საჭიროა დადგინდეს მის რიგებში მყოფი ადამიანებისა და პირუტყვის ყოველდღიური საჭიროებები და მისი ნორმები;[192] განისაზღვროს იმდროინდელი არმიების სატრანსპორტო შესაძლებლობები და ლიმიტები;

---

[188] Helen Gaffney, "Superiority of Numbers: Methodologies for Modelling the Behaviour of Armies," in *General Issues in the Study of Medieval Logistics: Sources, Problems and Methodologies*, ed. by John F. Haldon (Leiden, 2006), 252.

[189] Jonathan P. Roth, *The Logistics of the Roman Army at War (264 B.C. – A.D. 235)* (Leiden, 1999), 2-3. როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში ლოგისტიკას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ამ ტიპის მიდგომის ნიმუშია ასეთი უცნაური განცხადება: „შუა საუკუნეებისათვის ლოგისტიკას არ ჰქონდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ახალ დროში" და შემდეგ, დავით აღმაშენებლის ბრძოლების განხილვისას, – „ისე ქართველებს ლოგისტიკის პრობლემა არ შეექმნებოდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი თავიანთ ტერიტორიაზე იბრძოდნენ" (კახა კაციტაძე, *სტრატეგიის საფუძვლები* (თბილისი, 2007), 350), თითქოსდა, საკუთარ ქვეყანაში ჯარის მომარაგებას სწორი და საფუძვლიანი ორგანიზება არ სჭირდებოდეს. საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი არმიის წინაშე მდგომი ლოგისტიკური პრობლემები ნაჩვენებია ქვემოთ, ბაგრატ IV-ის ლაშქრის მაგალითზე.

[190] ევროპაში ეს დრო, ჩვეულებრივ, 40 დღეს შეადგენდა.

[191] საწყის ეტაპზე მეფეს თუ ყოველ სენიორს მხოლოდ თავისი ტაძრეულის შენახვის ვალდებულება ეკისრებოდა.

[192] არმიის საჭიროებისათვის აუცილებელი მრავალი სხვადასხვა ნივთიდან, თვალსაჩინო მაგალითად მოვიყვან ერთ მათგანს, რომელსაც, სამხედრო ისტორიკოსების გარდა, ჩვეულებრივ, არც არავინ აქცევს ყურადღებას: 1066 წელს ინგლისში გადასასხდომად მზადებისას ვილჰელმ დამპყრობლის 2-3 ათას ცხენს 8 ტონა მხოლოდ რკინა დასჭირდა ცხენის ნალებისა და მისი ლურსმნებისათვის. Bernard S. Bachrach, "Logistics in Pre-Crusade Europe," in *Feeding Mars: Logistics in Western Warfare from the Middle Ages to the Present*, ed. by John A. Lynn (Boulder, 1993), 72.

საბოლოოდ კი, არმიის მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სხვადასხვა მეთოდების შეჯერებით, დადგინდეს მისი ოპერატიული შესაძლებლობები.

ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამდე, არმიის მომარაგებაში ძირითადი ადგილი ეკავა და 90%-ს შეადგენდა საკვები, ფურაჟი და შეშა.[193] საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ იარაღი და აღჭურვილობა მხოლოდ მეორე ადგილს იკავებდა.[194] ჯ. ჰალდონი 1.3 კგ საკვებს ანგარიშობს მძიმე სამუშაოს შესრულების დროს ადამიანის საკვებ ნორმად.[195] რომაელი ჯარისკაცის დღიური რაციონიც (ხორბალი, ხორცი და სხვ.) 1.3 კგ-ს შეადგენდა.[196] შუა საუკუნეების 4 დოკუმენტის მიხედვით (ორი მათგანი ითვალისწინებს გალერის ნიჩბოსნებისა და ორიც ჯვაროსნული ექსპედიციების სურსათით მომარაგებას) ნორმალური ფიზიკური კონდიციების შესანარჩუნებლად დღე-ღამეში 1 კგ საკვები მაინც იყო საჭირო.[197] შემდგომი გამოთვლებისათვის საკვების უფრო დაბალი ნორმა, – დღეში 1 კგ, – საკმაოდ ადეკვატურად შეიძლება ჩაითვალოს. ჯარისკაცის დღიურ ულუფას ძირითადად ხორბალი და მისგან გამომცხვარი პური ან ორცხობილა შეადგენდა.

მომარაგების თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნიდა ცხენებისა და სასაპალნე პირუტყვის გამოკვება, რასაც მათი მაღალი მოთხოვნილება განაპირობებდა.[198] პირუტყვისათვის აუცილებელი ფურაჟის, განსაკუთრებით მწვანე ფურაჟის,[199] წონისა და დიდი მოცულობის გამო არმია, რომელიც დიდი რაოდენობით ცხენებს მოითვლიდა, ლაშქრობისას საძოვრების გამოყენებით ცდილობდა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.[200]

ცხენი, რომლებიც მონღოლურ პონიზე დიდი იყო, ბალახის ძოვის გარდა, დღეში 2.5 კგ-მდე მარცვლეულს საჭიროებდა.[201] მარცვლეულის გარდა, ცხენი საჭიროებს, სულ მცირე, 12.5 კგ ბალახს, რომლის ძოვასაც დღე-ღამის

---

[193] საკვების მოსამზადებლად ყოველდღიურად დიდი რაოდენობის შეშა იყო საჭირო და მისი სიმცირე ნახევრად მომზადებულ საკვებს ნიშნავდა, რაც დაავადებებს იწვევდა. არმიისათვის შეშის მნიშვნელობაზე ერთხმად მიუთითებენ იულიუს კეისარი, ტაციტუსი, ფრონტინუსი, ვეგეციუსი და სხვ. Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 59.

[194] იქვე, 2-3.

[195] John Haldon, "Introduction: Why Model Logistical Systems," in *General Issues in the Study of Medieval Logistics: Sources, Problems and Methodologies*, ed. by John F. Haldon (Leiden, 2006), 5.

[196] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 43.

[197] Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 9-13.

[198] საერთოდ, სასაპალნე პირუტყვის მიერ სურსათის ტრანსპორტირება შეზღუდულია მისივე მოხმარებით, რაც დაახლოებით 1/10-ს უდრის ანუ პირუტყვის მიერ გადაზიდული ტვირთის მეათედს ის თავად მოიხმარს. Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 128.

[199] ფურაჟი ტრადიციულად სამ კატეგორიად იყოფა: მყარი ფურაჟი, მწვანე ფურაჟი და საძოვარი. მყარ ფურაჟს მიეკუთვნება მარცვლეული (ქერი, შვრია), მწვანეს კი – თივა, ჩალა, ნამჯა. Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 61.

[200] John A. Lynn, "The History of Logistics and Supplying War," in *Feeding Mars: Logistics in Western Warfare from the Middle Ages to the Present*, ed. by John A. Lynn (Boulder, 1993), 16.

[201] Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 15-8.

მნიშვნელოვანი ნაწილი სჭირდება: ბალახისა და მისი სიმჭიდროვის მიხედვით, ყოველი კილოგრამის ძოვას ცხენი ანდომებს 45-65 წუთს. ამას ემატება მარცვლეულის ჭამისა და წყლის სმის დრო. საბედნიეროდ, ცხენს ხანმოკლე ძილიც ყოფნის. ერთი აკრი (4045 კვ.მ.) ფართობის საძოვარი დღეში 50 ცხენს ყოფნიდა ანუ 1 ჰა დაახლ. 125 ცხენისათვის იყო საკმარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხენოსანი არმიების ბანაკი გარშემო ათეულობით ჰექტარ საძოვარს საჭიროებდა.[202] საერთო ჯამში, ცხენს დღეში სჭირდება 2.5 კგ მარცვლეული და 7 კგ თივა ან თითქმის 2-ჯერ მეტი ბალახი.[203] ჯორი საჭიროებს ცხენის რაციონის 75%-ს, თუმცა მუშაობა შეუძლია უფრო ნაკლები საკვების დროსაც, როგორიცაა 2.3 კგ მარცვლეული და 4.5 კგ ჩალა.[204]

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანისაგან განსხვავებით, ცხენისა და სასაპალნე პირუტყვის დაქვეითებული ფიზიკური კონდიცია დასვენებით ვერ აღდგება. თუკი მათ მძიმე მუშაობითა და არადამაკმაყოფილებელი კვებით ქანცი აქვთ გაცლილი, ისინი უსარგებლო ხდებიან სამხედრო მიზნებისათვის.[205] სწორედ ამიტომ, არმიის შემადგენლობაში მყოფი პირუტყვისათვის რაციონის შემცირება სავალალო შედეგებს იწვევს. აქლემიც კი, რომელსაც 3-4 დღე უწყლოდ შეუძლია გაძლება, ამის შემდეგ ორმაგ ულუფა წყალს საჭიროებს.[206]

საკვების გარდა, ყველა არმიის უმთავრესი საჭიროებაა წყალი. არმიის ყოველ წევრს დღეში 2 ლ წყალი სჭირდებოდა.[207] კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (ცხელ დღეებში მეტი), ცხენს სჭირდება დღეში 15-30 ლ წყალი,[208] ჯორს – 20 ლ[209] და ხარს – 30 ლ.[210] პრაიერი და ჰალდონი უფრო მეტით, 36 ლ-ით განსაზღვრავენ ცხენის საჭიროებას.[211] ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელობასთან შედარებით, შუა საუკუნეებში უფრო იოლი იყო წყლით არმიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება: მოსახლეობა უფრო მცირე იყო, წყლის მოხმარება ნაკლები, გარემო უფრო ჯანსაღი იყო და გრუნტის წყლებიც დაუბინძურებელი.[212]

---

[202] იქვე, 21-2.

[203] John Haldon, "Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies," in *Logistics of Warfare in the Age of the Crusades*, ed. by John H. Pryor (Aldershot, 2006), 145. ცხენს 1 საათში 1.36 კგ თივის ჭამა შეუძლია. John Masson Smith, "Ayn Jālūt: Mamlūk Sucess or Mongol Failure," *Harvard Journal of Asiatic Studies*, vol. 44 (1984), 336-7.

[204] Haldon, "Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies," 145.

[205] Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 129.

[206] იქვე, 18.

[207] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 119.

[208] იქვე, 62.

[209] იქვე, 66.

[210] იქვე, 67.

[211] Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 20; Haldon, *Warfare, State and Society in the Byzantine World*, 168-9.

[212] Yaacov Lev, "Infantry in Muslim Armies During the Crusades," in *Logistics of Warfare in the Age of the Crusades*, ed. by John H. Pryor (Aldershot, 2006), 204.

არმიის გადაადგილება მისი აღალის ანუ სურსათისა და ფურაჟის, საბრძოლო იარაღის, ტექნიკური საშუალებებისა და სხვადასხვა ინვენტარის ტრანსპორტირებას მოითხოვდა,[213] რაც სასაპალნე ცხოველებისა (ცხენები, ჯორები, აქლემები) და საზიდრების მეშვეობით ხორციელდებოდა.

სახმელეთო ტრანსპორტი ორი ძირითადი კატეგორიისაგან შედგებოდა: სასაპალნე და გამწევი (საჭაპანო) პირუტყვისაგან. სასაპალნე პირუტყვს საზიდრებთან შედარებით ნაკლები ტვირთი გადაჰქონდა, მაგრამ შეეძლო უფრო შორს, სწრაფად, ხანგრძლივად და უგზოზე სიარული. სასაპალნე პირუტყვი უფრო იაფი ჯდებოდა და ნაკლებ ადგილს იკავებდა კოლონასა და ბანაკში.[214] მთაგორიან ლანდშაფტსა თუ ცუდ გზებზე ცხენი და ჯორ-აქლემი უფრო მობილური იყო, ვიდრე საზიდარი. ამ გარემოებების გამო ტრანსპორტირებისათვის სასაპალნე პირუტყვი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საზიდრები.[215]

შუა საუკუნეების ცხენს, რომელიც სიმაღლეში თხუთმეტი ხელის დადება იყო და 550 კგ-ს იწონიდა, შეეძლო 110 კგ ტვირთის ტარება. ხანგრძლივი მარშის დროს ჯორს შეეძლო 90 კგ ტვირთის ზიდვა.[216] ჯორს შეეძლო 135 კგ ტვირთის წაღებაც,[217] მაგრამ ცხენისა და ჯორის საშუალო ტვირთამწეობას დაახლოებით თანაბრად და 100 კგ-ის ფარგლებში ანგარიშობენ. აქლემის ტვირთამწეობა 175 კგ იყო, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში მას შეეძლო 270 კგ-მდე ტვირთის წაღებაც.[218] კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის სალაშქრო სამზადისს აღწერს, მიუთითებს, რომ ცხენს, რომელზეც მხედარი იჯდა, 40 კგ ქერი უნდა წაეღო, უნაგირიანს – 80 კგ, საბარგო ცხენს კი – 100 კგ.[219] ცხენის დატვირთვის ეს ნორმები გათვლილი არის კამპანიის მსვლელობისას მათ შეუფერხებელ ქმედებაზე და მეტად ყურადსაღებია იმდროინდელი ლოგისტიკური სურათის აღსადგენად.

არმიის აღალში მყოფი დიდი და მოცულობითი ნივთები, როგორიცაა თუნდაც საალყო მანქანების ნაწილები, ტრანსპორტირებისათვის საზიდარს საჭიროებდა. ბაქრაქის დაანგარიშებით, რასაც როთიც ეთანხმება, ოთხთვ-

---

[213] ლეონ VI ჩამოთვლის მრავალფეროვან ინვენტარს, რომელთაც არმია თან ატარებდა: მუსიკალური ინსტრუმენტები, კარვები, ხელის წისქვილი, სამეურნეო იარაღი (ხერხი, ნაჯახი, ურო, ნიჩაბი, წერაქვი, წერაყინი, ნამგალი, ცელი, კალათი), საბრძოლო იარაღი (საალყო მანქანები, საველე არსენალი), ხის კიბეები, მდინარეთა გადალახვის საშუალებები, დურგლებისა და მჭედლების იარაღი. *The Taktika Of Leo VI*, 5.4-8.

[214] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 202. ორთელიანი საზიდარი 25 კვ.მ. (10X2.5) მართკუთხა ფართობს იკავებდა. Bernard S. Bachrach, "Crusader Logistics: From Victory at Nicaea to Resupply at Dorylaion," in *Logistics of Warfare in the Age of the Crusades*, ed. by John H. Pryor (Aldershot, 2006), 56.

[215] Walter E. Kaegi, "Byzantine Logistics: Problems and Perspectives," in *Feeding Mars: Logistics in Western Warfare from the Middle Ages to the Present*, ed. by John A. Lynn (Boulder, 1993), 43-4.

[216] Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 18.

[217] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 206.

[218] იქვე, 207-8.

[219] Constantine Porphyrogenitus, *Three Treatises on Imperial Military Expeditions*, 129.

სურ. 38
ორთვლიანი საზიდარი წყვილი ხარების შებმით. „ვეფხისტყაოსნის“ ავალიშვილისეული ნუსხა (H2074 ხელნაწერი), 213v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ლიანი საზიდრის ტვირთამწეობა 650 კგ იყო, ორთვლიანის კი 500 კგ და მას უფრო ხშირად იყენებდნენ შუა საუკუნეებში[220] (სურ. 38). ნაკლები მობილურობის გარდა, საზიდრების აღალში ყოლას სხვა სირთულეებიც მოსდევდა. ქსენოფონტის თანახმად, საზიდრები საჭიროებდნენ ხის მარაგ ნაწილებს, დურგლებსა და ხელსაწყო-იარაღს შესაკეთებლად.[221] ამასთანავე, ისეთი გამწევი პირუტყვი, როგორიცაა ხარი, მოძრაობს ნელა (3.34 კმ/სთ) და ნაკლები გამძლეობა ახასიათებს – დღეში მხოლოდ 5 სთ-ს მუშაობს, მაშინ როდესაც ცხენსაც და ჯორსაც 8 სთ მუშაობა შეუძლია.[222]

მახლობელი აღმოსავლეთის სხვა არმიების მსგავსად, ქართული ლაშქრის სატრანსპორტო ქარავანს ცხენი, ჯორი და აქლემი შეადგენდა (სურ. 39). ლიტერატურული წყაროები სხვადასხვა ჯიშისა და წარმოშობის პირუტყვზე მოწმობენ: „არაბული ცხენნი და მისრულნი ჯორნი და ბასრულნი აქლემნი“.[223] ადგილზე მოშენებისა და უცხოეთიდან შემოყვანის გარდა, ჯიშიანი პირუტყვის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო წარმატებული ომები გახლდათ, რომელთა შედეგად ქართველთა ხელთ თავს იყრიდა არაბული ცხენები და აქლემები, თურქმენული ცხენები და

---

[220] Bachrach, "Animals and Warfare in Early Medieval Europe," 717. იხ. აგრეთვე, Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 15, n. 15.

[221] Xenophon, *Cyropaedia*, ed. by Walter Miller (London, 1914), 6.2.33-37.

[222] Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 15.

[223] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 118.

ა

ბ

გ


დ

ე

ვ

სურ. 39
სასაპალნე პირუტყვი: ა) შეკაზმული ჯორები. H1665 დავითნი, 218r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; აქლემები. H1665 დავითნის 203r (ბ), 209r (გ), ავალიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ (H2074 ხელნაწერი) 70r (დ), 76v (ე) და „როსტომიანის“ 70r (ვ) მინიატურები, დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სირიული ჯორები. თავისი მნიშვნელობის გამო, ასეთი ნადავლი ყოველთვის პოულობდა ასახვას მატიანის ფურცლებზე. დავითის ისტორიკოსი დიდგორში სხვა ნადავლთან ერთად საგანგებოდ აღნიშნავს სირიულ ჯორებს: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეცხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, კარვებითა...“[224] იგივე მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1116 წელს ტაოს ჩამომდგარი თურქების დამარცხების შემდეგ, „აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი“.[225] უხვ ნადავლზე მოგვითხრობენ „ისტორიანის და აზმანის“ ანონიმი ავტორი და ბასილი ეზოსმოძღვარიც: გიორგი III-მ ანისთან გამარჯვების შემდეგ ხელში ჩაიგდო „სიმრავლე... აქლემთა, ცხენთა და ჯორთა“;[226] შამქორში გამარჯვების შემდეგ, 20 ათას ცხენთან ერთად, ქართველებს ხელში ჩაუვარდათ 7 ათასი ჯორი და 15 ათასი აქლემი;[227] ბასიანის ბრძოლაში გამარჯვებულებს დარჩათ „ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე“.[228] ქართულ აღალში მყოფ სხვადასხვა პირუტყვს ჩამოთვლიან მუსლიმი ავტორებიც. სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის მიხედვით, 1163 წელს გიორგი III-ის დამარცხების შემდეგ მუსლიმთა კოალიციამ ქართველთა ბანაკში ხელთ იგდო „ჯიშიანი ცხენები და შესანიშნავი ჯორები“.[229] ჯუვეინი აღნიშნავს ქართულ ლაშქარში აქლემების ყოფნას: მისი მიხედვით, ბოლნისის ველს ქართველთა „რაზმებმა მოაწიეს... მამალი და დედალი აქლემებით“.[230] აღსანიშნავია, რომ ლაშქრობაში დავით აღმაშენებლის პირად ბიბლიოთეკას ჯორ-აქლემი დაატარებდა: „წიგნები ეტყრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა“.[231]

საქართველოში საზიდრებს ხარები ეწეოდნენ, როგორც ეს დამოწმებულია ოშკის X საუკუნის სამშენებლო წარწერაში, საიდანაც ვიგებთ, რომ ტაძრის აშენებისათვის საჭირო ქვებს 30 ხარი ეზიდებოდა.[232] ამავე დროს, შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარში ხარების ხსენება არ გვხვდება,[233] რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ მათ დაბალი სიჩქარისა და რიგი სხვა შეზღუდვების გამო არც იყენებდნენ სამხედრო მოქმედებების დროს. შესაძლოა, ქართული ჯარი დიდი ნივთების გადასაზიდად ჯორშებმულ საზიდრებს იყ-

---

[224] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 341.

[225] იქვე, 334.

[226] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 9.

[227] იქვე, 73.

[228] იქვე, 98; ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, 139.

[229] Садр ад-Дин Али ал-Хусайни. *Сообщения о Сельджукской государстве*, 140.

[230] *ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ*, 35.

[231] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 348.

[232] ვახტანგ ჯობაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში* (თბილისი, 2006), 157.

[233] მათ არც მუსლიმური წყაროები ახსენებენ, რომლებიც ქართველთა დამარცხების დროს აღებულ ალაფს აღწერენ.

ენებდა, რომელიც ხართან შედარებით ნაკლებ სიმძიმეს ატარებს, მაგრამ უფრო სწრაფად მოძრაობა შეეძლო.

ლაშქრის უზრუნველყოფის საკითხში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ლოგისტიკურ ინფრასტრუქტურას, იმას თუ რამდენად მოწყობილი იყო მისი გზების სისტემა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გაკვრით მოგვითხრობს მეფის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე საგზაო კომუნიკაციების მოწესრიგების მიზნით, რომლის დროსაც გზები დაიგო და ხიდები აშენდა: „რაოდენნი ჴიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა".[234] იმ ეპოქაში ხიდის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია, რადგანაც ლაშქრის მოძრაობის მარშრუტზე მდინარის არსებობა ყოველთვის საგრძნობი დაბრკოლებაა. განსაკუთრებით საინტერესოა გზების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც არა მხოლოდ გრუნტის გზების გაყვანა-მოწესრიგებას გულისხმობდა, არამედ მათი ქვით მოკირწყვლას, რაც გაცილებით დიდ ხარჯსა და დროს მოითხოვდა. ეს მეტყველებს იმ დიდ სახსრებსა და ყურადღებაზე, რასაც დავით IV ლოგისტიკურ პრობლემებს უთმობდა. შედეგად, იზრდებოდა გზის გამტარუნარიანობა, რაც, თავის მხრივ, ზრდიდა არმიის მოძრაობის სიჩქარეს. გარდა ამისა, მოკირწყლულ გზებზე საზიდრები იოლად გადაადგილდებოდნენ, რაც არმიის ტვირთამწეობას გაზრდიდა. ამინდის ცვალებადობა (წვიმა, თოვლი) ნაკლებად მოქმედებდა ქვაფენილზე და მასზე გადაადგილება შემოდგომა-ზამთარშიც შეიძლებოდა, რაზეც აღმაშენებლის არმიის ზამთარში ჩატარებული ლაშქრობებიც მეტყველებს.[235] გზების მდგომარეობას ყურადღებას აქცევდა ვახტანგ VI-ც, რომელმაც *დასტურლამალში* საგანგებო კარი უძღვნა სამეფოში გზების შენახვას და მარშრუტების მიხედვით სამუშაოს შემსრულებლებიც გააპიროვნა.[236]

ახლო და ნაცნობ ტერიტორიებზე ლაშქრობა შედარებით ნაკლებ ლოგისტიკურ პრობლემებს ქმნიდა, მაგრამ უფრო შორეული კამპანიები სერიოზული დილემის წინაშე დააყენებდა იმდროინდელი ქართული არმიის კვარტირმაისტერებს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი ცნობა, რომელიც ჩრდილოეთ სომხეთსა ან არანში ლაშქრობის დროს ლოგისტიკურ სიძნელეებზე მეტყველებდეს ან არაკმარი მომარაგების გამო რაიმე წარუმატებლობაზე მოგვითხრობდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით სანიმუშოა 1209 წლის ლაშქრობა ირანში, როდესაც მუსლიმურ ტერიტორიაზე ღრმად შეჭრილ ქართულ ლაშქარს მომარაგების პრობლემა არ შექმნია

---

[234] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 353. დავით აღმაშენებლის ამ ღონისძიების შედეგს, – არმიის გადაადგილების სისწრაფის გაზრდას, – ლოგისტიკურ კონტექსტში ყურადღება მიაქცია ს. მარგიშვილმა. იხ. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 183.

[235] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 333, 338, 339.

[236] *ქსძ*, II, 278.

და წარმატების მიღწევის შემდეგ, მხოლოდ ალაფის სიუხვემ აიძულა უკან გამობრუნებულიყო.[237] ამავე ლაშქრობაში მოწინააღმდეგის ციხე-ქალაქთა წარმატებული ალყაც სათანადო ლოგისტიკური ორგანიზაციის არსებობაზე მოწმობს.

არმიის მომარაგებაში დიდ როლს თამაშობდა მტრის მიწების ძარცვა, როდესაც მოწინააღმდეგის რესურსების ხარჯზე ხდებოდა მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მტრის ხარჯზე საკუთარი არმიის შენახვის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ქართული ლაშქრის მოქმედება ყარსის პროვინციაში. ყარსის ციტადელის 5 წლიანი ალყის პერიოდში ქართული ლაშქარი ადგილობრივი რესურსების ხარჯზე ინახავდა თავს: იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ქართველებს ყარსისათვის „დიდი ხნის მანძილზე ჰქონდათ ალყა შემორტყმული... ავიწროებდნენ ვინც მასში იყო და იღებდნენ [ამ] ვილაიეთის შემოსავალს მრავალი წელი".[238] რა თქმა უნდა, აქ დიდ როლს თამაშობდა ის ფაქტორი, რომ ქართველებს არ ემუქრებოდათ მოწინააღმდეგის საველე არმია, რაც ქართველ ფურაჟირებს მოქმედების თავისუფლებას აძლევდა.

თუმცა, რაც არ უნდა შედეგიანი ყოფილიყო ფურაჟირება,[239] მასზე სტრატეგიული გათვლების გაკეთება შეცდომა იქნებოდა. ბ. ბაქრაქის შენიშვნით, „მხოლოდ ფურაჟირების იმედზე ყოფნა სამხედრო კატასტროფის წინაპირობა იყო".[240] ფურაჟირება საგრძნობლად ანელებს არმიას და აქვეითებს მის როგორც შეტევით შესაძლებლობებს, ასევე მტრის ქმედებებზე დროული პასუხის უნარს.[241] მწირ, დაუსახლებელ მიწებზე მოძრაობისას და იმ შემთხვევაში, როდესაც მოწინააღმდეგე წინასწარ მიზანდასახულად აჩანაგებდა საკუთარ ტერიტორიას, მომარაგების ერთადერთ წყაროდ თან წაღებული საკვები და ფურაჟი რჩებოდა.[242]

საბრძოლველად დაძრული ქართული ლაშქრის ლოგისტიკური მოთხოვნილებები რომ განვსაზღვროთ, მისი შემადგენლობა უნდა განვიხილოთ და ამის მიხედვით დავადგინოთ თუნდაც მინიმალურად აუცილებელი საჭიროებები. ლაშქრის ორი ძირითადი ნაწილიდან, – ცხენოსანი და ქვეითი, – ყველაზე დიდ სიძნელეებს ცხენოსანი კომპონენტის მომარაგება ქმნიდა. ქართულ ცხენოსან ლაშქარს მასში გაერთიანებული აზნაურები და მსახურები შეადგენდა. ყოველ მხედარს საკუთარი ამალა ახლდა, რომლის რიცხოვნობას მისივე შესაძლებლობა განსაზღვრავდა. სწორი სურათის

---

[237] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 107.

[238] *The Chronicle of Ibn al-Athīr for the Crusading Period from al-Kāmil fi'l-ta'rīkh*, part 3, 123; ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 162.

[239] ფურაჟირება გულისხმობს არმიის მიერ არა მხოლოდ პირუტყვის საკვების, არამედ საერთოდ სურსათ-სანოვაგის მოპოვებას.

[240] Bachrach, "Animals and Warfare in Early Medieval Europe," 715.

[241] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 294.

[242] ასეთ შემთხვევებზე საგანგებოდ უთითებს ლეონ VI. *The Taktika of Leo VI*, 17.28.

შესაქმნელად ლაშქრის შემადგენელი ძირითადი საბრძოლო ერთეულის მოთხოვნილებების რეკონსტრუირება უნდა მოვახდინოთ. ცხენოსანი ჯარის ძირითადი ერთეული კი აზნაური ან მსახურია, თავის მეაბჯრეებსა და ცხენებთან ერთად.

შეძლებულ ქართველ აზნაურს (მოყმეს) ლაშქრობაში 4 ცხენი მიჰყავდა: საბრძოლო ცხენი, მისი შემცვლელი მარქაფა ცხენი, სამგზავრო ცხენი და საბარგო ცხენი.[243] აქ ტიპურ შემთხვევას ვიხილავთ, თორემ მეფე-დიდებულებს რამდენიმე საბრძოლო ცხენიც ჰყავდათ.[244] მას თან ახლდა, სულ მცირე, ორი მოსამსახურე (რეალურად, ალბათ, მეტიც) – მეაბჯრე და „მემარქაფე მსახური", რომელსაც სათადარიგო ცხენი მოჰყავდა. აზნაური ამხედრებული იყო სამგზავრო ცხენზე, მეაბჯრე და მემარქაფეც თავიანთ ცხენებზე ისხდნენ. ხანგრძლივი ლაშქრობისათვის, სულ მცირე, ორი საბარგო ცხენია აუცილებელი: ერთი კარვით, ტანსაცმლითა და სხვა სამეურნეო მოწყობილობებით არის დატვირთული, მეორე – სურსათით.[245]

საბოლოო ჯამში, სრულად აღჭურვილი, ოთხცხენიანი მხედრისათვის, რომელსაც ორი თანმხლები ჰყავს, ასეთ სურათს ვიღებთ: 3 ადამიანს (აზნაური, მეაბჯრე, მემარქაფე) ახლავს 7 ცხენი (საბრძოლო, სამარქაფო, სამგზავრო, 2 საბარგო, მეაბჯრისა და მემარქაფის). კონსტანტინე პორფიროგენეტის მონაცემებით თუ ვისარგებლებთ, აზნაური, მეაბჯრე და მემარქაფე თავიანთი ცხენებით 40 კგ სურსათს ზიდავენ, საბრძოლო ცხენი, რომელსაც ყველაზე მეტად უფრთხილდებოდნენ, მხოლოდ იარაღსა და თავის საკვებს ატარებს, სამარქაფო ცხენი 80 კგ, საბარგო კი – 100 კგ სურსათს.[246] ეს ნიშნავს, რომ მათ შეეძლოთ (40+40+40+40+40+80+100) 380 კგ საკვების ტარება. ამ საბრძოლო ერთეულის დღიური მოხმარებაა ადამიანებისათვის (3X1) 3 კგ და პირუტყვისათვის (2.5X7) 17.5 კგ მარცვლეული. ყოველი 18 დღის შემდეგ მათ საკვების შევსება დასჭირდებოდათ. რა თქმა უნდა, ეს გათვლები მინიმალურია და იმ შემთხვევას ითვალისწინებს, როდესაც წყალი, ბალახი და შეშა ადვილად იშოვება და მარცვლეულის გარდა, ცხენები თავიანთ მოთხოვნილებას ბალახის ძოვით იკმაყოფილებენ.

აქვე ერთი ფაქტორიც მოვიხსენიოთ, რომელსაც თავისი ლოგისტიკური მნიშვნელობა აქვს. ცხენის სიგრძე 2.5 მეტრია და კოლონაში მას კიდევ 2.5 მ

---

[243] ჩამონათვალი იხ. ქვემოთ, თავში *ცხენი შუა საუკუნეების საქართველოში*. ვახუშტის მიხედვით, XVIII საუკუნის დამცრობილ საქართველოშიც კი, აზნაურს ორი ცხენი, საბრძოლო და სათადარიგო (მარქაფა), უნდა ჰყოლოდა („აზნაურსა... ძალ-ედვას გამოსლვა მარქაფითა... და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად"), ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 17-8.), რომელსაც ემატებოდა მესამე ცხენიც – სატვირთო (სატალახე), რომელიც აღჭურვილობა-კარვის საზიდად იყო აუცილებელი.

[244] მაგალითად, ერწუხის ბრძოლა დავით აღმაშენებელმა მეოთხე ცხენით დაასრულა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 329.

[245] ჯ. პრაიერი რიგითი რაინდის თანმხლებებთათვის (მეაბჯრე, მეჯინიბე და 3 ქვეითი) ოთხ საბარგო ცხენს ითვალისწინებს. Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 7.

[246] შდრ. Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 19.

დისტანცია სჭირდება: წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთის წაფორხილებას ან წაქცევას უკანმიმყოლების დაცემა მოჰყვება.[247] 7 ცხენის შემთხვევაში აზნაურის საბრძოლო ერთეულის კოლონის სიგრძე 35 მეტრს შეადგენს. ეს სიდიდე დაახლოებით მაინც წარმოდგენას გვიქმნის იმ სიძნელეებზე, რასაც განიცდიდა მრავალრიცხოვანი არმიის კილომეტრებზე გაჭიმული სამარშო კოლონა.

საინტერესოა, ზემოგანხილულ საბრძოლო ერთეულს შევადაროთ მსახურის (ან სულაც, ღარიბი აზნაურის) სალაშქრო პოტენციალი, რომელსაც საბრძოლო და სამგზავრო ცხენი გააჩნია და თან მხოლოდ მეაბჯრე ახლავს ერთი საბარგო ცხენით. მოლაშქრე მსახური სამგზავრო ცხენზეა ამხედრებული, მეაბჯრე თავის ცხენზე, მათ მისდევთ საბრძოლო და საბარგო ცხენი. სულ სახეზეა 4 ცხენი (სამგზავრო, საბრძოლო, საბარგო და მეაბჯრის) და ორი კაცი, რომელთაც შეეძლოთ (40+40+40) 120 კგ საკვების ტარება. დღიური მოხმარება ადამიანებისათვის (2X1) 2 კგ და პირუტყვისათვის (2.5X4) 10 კგ მარცვლეულს შეადგენს. ყოველი 10 დღის შემდეგ მათ საკვების შევსება დასჭირდებოდათ. ამ გათვლებიდანაც ჩანს, რომ ნაკლები შესაძლებლობის მქონე მებრძოლს ნაკლები სალაშქრო პოტენციალი გააჩნდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი სურათი ტიპური იქნებოდა გვიანდელი ხანის საქართველოსათვის, რომლის რესურსებიც საკმაოდ შეზღუდული იყო.

მხედართან და მის ცხენებთან შედარებით, ქვეითის მოთხოვნილებები, ისევე როგორც მისი ლოგისტიკური პოტენციალი, ნაკლები იყო. ფეხოსანი თან თავის აღჭურვილობას (ძირითადად ქსოვილის აბჯარი, ზოგჯერ ლითონის მუზარადი, ფარ-შუბი, ხმალი ან მშვილდ-ისარი) და საკვების თავდაპირველ მარაგს ატარებდა. შუა საუკუნეების ქვეითი რომაელი ლეგიონერი არ იყო, რომელსაც წვრთნის შედეგად 45 კგ-მდე ტვირთის ტარება შეეძლო და რომელსაც, გაიუს მარიუსის რეფორმის შემდეგ „მარიუსის სახედარს" ეძახდნენ.[248] ქვეითს შეეძლო 25 კგ ტვირთი ეტარებინა,[249] რომლიდანაც, სულ მცირე, 10 კგ-ს მისი სამოსი (მოსასხამითურთ 3 კგ) და აღჭურვილობა (ტყავის აბგა სურსათისათვის, ტიკჭორა წყლისათვის, ქვაბურა საჭმლისათვის, ქვეშსაგები და სხვა, სულ 7 კგ-მდე)[250] შეადგენდა; შეიარაღების წონა 5 კგ მაინც იყო. გამოდის, მათ გარდა ქვეითს თან 10 კგ საკვები შეეძლო წაეღო, რომელიც 10 დღის მარაგს შეადგენდა.

ქვეითისათვის აუცილებელ სხვა ნივთებს, როგორიცაა კარავი, ხორბლის საფქვავი ხელის წისქვილი, დამატებითი საკვები და სხვ. არმიის აღალი ატარებდა. რომაული კარავი, რომელიც 8 კაცისათვის იყო გათვალისწინებული, დაახლოებით 40 კგ-ს იწონიდა.[251] რამდენ ქვეითს იტევდა

---

[247] იქვე, 7.

[248] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 71-7.

[249] Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 19.

[250] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 71-7.

[251] იქვე, 77.

ქართული კარავი, უცნობია, თუმცა მისი წონაც საგრძნობი იქნებოდა. ცოტას არ იწონიდა ხელის წისქვილიც, რომლის წონა 27 კგ-ს შეადგენდა.[252] რომაულ არმიაში ყველაზე დაბალი ორგანიზაციული ერთეულის 8 კაციანი კონტუბერნიის კარავს, წისქვილს, სამზარეულო მოწყობილობასა და ხელსაწყო-იარაღს 1 ჯორი ატარებდა.[253] იმპერატორი ლეონ VI ერთ სასაპალნე პირუტყვს ანგარიშობს 3-4 ქვეითი ჯარისკაცის საჭურვლისა და კარვისათვის, ხოლო მათი 8-10 დღის სურსათისათვის საკმარისად მიიჩნევს 1 პირუტყვს ყოველ 16 ჯარისკაცზე.[254] ალბათ, არ შევცდებით, თუ ქართული ჯარის შემთხვევაშიც მსგავსი ნორმით ვისარგებლებთ და ჩავთვლით, რომ ყოველ 8 ქვეით ჯარისკაცს 1 სასაპალნე პირუტყვი ემსახურებოდა.

როგორც ვხედავთ, მხედარსაც და ქვეითსაც მხოლოდ შეზღუდული მარაგის წაღება შეეძლო თან, რომელიც ხანგრძლივი კამპანიის შემთხვევაში შევსებას საჭიროებდა. ცხადია, 10 ან 16 დღის შემდეგ ლაშქრობას არავინ წყვეტდა, ქართული ჯარის აღალს ის დამატებითი ტვირთი და სურსათი მიჰქონდა, რომელიც თავდაპირველი მარაგების ამოწურვის შემდეგ აუცილებელი იყო კამპანიის განგრძობისათვის. თუმცა, გარემოებათა მიხედვით, ადრე თუ გვიან ისიც შევსებას საჭიროებდა.

ალბათ, არაფერი ისე მოწმობს არმიის ლოგისტიკურ შესაძლებლობებს, როგორც მის მიერ ხანგრძლივი ალყის წარმოების უნარი. ამ მხრივ, XI საუკუნეში ქართული ლაშქრის მიერ ჩატარებული გარემოცვები შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ, როგორც კარგად გამართული ლოგისტიკური სისტემის ნიმუში. XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III-ის არმიას ერთწლიანი გარემოცვა დასჭირდა ბოჭორმის ასაღებად.[255] კიდევ უფრო ძნელი იქნებოდა თბილისის ალყა, რომელიც ბაგრატ IV-მ კახელ მოკავშირეებთან ერთად 1037/8 წელს დაიწყო და ორ წელს გაგრძელდა.[256]

შევეცადოთ გავარკვიოთ, თუ რა ლოგისტიკური პრობლემების წინაშე იდგებოდა ბაგრატ IV თბილისის ორწლიანი ალყის დროს. ჩავთვალოთ, რომ მოალყეთა რიცხვი, სულ მცირე, 10 ათასს აღწევდა, რაც მისაღები რიცხვია XI საუკუნის შუახანების ქართული სამეფოების პოტენციალის გათვალისწინებით. იმდროინდელ არმიებში ცხენოსნისა და ქვეითის თანაფარდობიდან გამომდინარე, 10 ათას კაცში მინიმალური რიცხვი, 2 ათასი მხედარი მაინც უნდა ვიანგარიშოთ. მინიმალურად ვიანგარიშოთ თითოეული

---

[252] იქვე.

[253] Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 17. კონტუბერნიის საერთო საჭიროებას ჯ. როთი 2 ჯორით ანგარიშობს. Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 83.

[254] *The Taktika Of Leo VI*, 6.15, 6.24; Haldon, "Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies," 147.

[255] „მატიანე ქართლისა", 279.

[256] იქვე, 297.

მხედრის ხელთ არსებული ცხენებიც – მხოლოდ 3 ცხენი ყოველ მხედარზე. 8 ათას ქვეითს 1000 სასაპალნე პირუტყვი ესაჭიროებოდა. არმიის აღალში იქნებოდა საზიდრები საალყო მანქანებისათვის, საბრძოლო იარაღის მარაგისა და სხვა ტექნიკური ინვენტარისათვის (საველე სამჭედლოები, სამედიცინო სამსახური, სხვ.), ასევე სურსათისათვის, რაც დამატებით 1000 სასაპალნე პირუტყვს მოითხოვდა. ჯამში გარემომცველ ჯარს 10 ათასი კაცი და 8 ათასი ცხენი (6000 + 1000 + 1000) შეადგენს.[257]

ცნობილია, რომ ადგილზე მყოფი არმია, რაც არ უნდა ნაყოფიერ და მჭიდროდ დასახლებულ ადგილზე იმყოფებოდეს, საკმაოდ სწრაფად ამოწურავს ადგილობრივ რესურსებს და საჭიროებს უწყვეტ მომარაგებას.[258] ბაგრატ IV-ის არმიის დღიური მოხმარება იქნებოდა ადამიანებისათვის (10000X1 კგ) 10 ტონა სურსათი და ცხენებისათვის (8000X2.5 კგ) 20 ტ მარცვლეული და (8000X12.5 კგ) 100 ტ ბალახი ან (8000X7 კგ) 56 ტ თივა. წყლის პრობლემა არ იქნებოდა, რადგანაც მტკვარი სრულად დააკმაყოფილებდა არმიის მოთხოვნილებას. რადგანაც 125 ცხენისათვის 1 ჰა საძოვარია საჭირო, არმიის ცხენები დღეში (8000/125) 64 ჰა მოძოვდნენ. მას შემდეგ რაც წაღებული მარაგებისა და ახლომახლო საძოვრების რესურსი ამოიწურებოდა, არმიას ყოველდღე დასჭირდებოდა (10 ტ ადამიანის საკვები + 20 ტ პირუტყვის მარცვლეული + 100 ტ მოთიბული ბალახი) 130 ტ ან (10 ტ ადამიანის საკვები + 20 ტ პირუტყვის მარცვლეული + 56 ტ თივა) 86 ტ სურსათი და ფურაჟი. ამ მოცულობის თივა წელიწადის ყველა დროს არ იქნებოდა ხელმისაწვდომი, რაც ნიშნავს, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არმიის ლოგისტიკურ სამსახურს მაქსიმალური დატვირთვით უნდა ემუშავა და მოთიბული ბალახი უნდა მიეწოდებინა პირუტყვისათვის. დღეში 130 ტ ტვირთის გადასაზიდად 1300 სული სასაპალნე პირუტყვია საჭირო, მაგრამ მათი საბოლოო რიცხვი დამოკიდებული არის მოზიდვის მანძილზე, რადგან პირუტყვი საკვებს თავადაც მოიხმარდა და თან ორივე გზაზე (მომარაგების ადგილიდან თბილისამდე და უკან). საკმაოდ ახლო მანძილი რომ ავიღოთ და ჩავთვალოთ, რომ არმია მარაგდებოდა თბილისიდან მაქსიმუმ 80-100 კმ რადიუსით დაშორებული ადგილებიდან, ეს პირუტყვისათვის 4 დღის სავალს ნიშნავს. დანიშნულების ადგილზე მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად ცხენს თავად დასჭირდება 8 დღის მარცვლეულის მარაგი (8X2.5 კგ) და ტვირთის 20%-ს (100 კგ-დან 20 კგ-ს) ის თავად მოიხმარს.[259] ჩავთვალოთ, რომ 4 დღიდან სამს პირუტყვი ისეთ ტერიტორიაზე

---

[257] რადგან საბარგო ცხენისა და ჯორის ტვირთამწეობა თითქმის თანაბარია, გამოთვლების გასამარტივებლად, ჯორის ნაცვლად, რომელიც აუცილებლად იქნებოდა ბაგრატის არმიის აღალში, ყველგან ცხენი იგულისხმება.

[258] Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 45-6.

[259] შდრ. დ. ენგელსის გამოთვლებს: Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 56, n. 16.

გაატარებს, რომლის გაჩანაგებაზე არმიას ხელი არ მიუწვდება[260] ანუ 8-დან 2 დღის ბალახის მარაგიც უნდა ატაროს, რაც კიდევ უფრო ამცირებს მის სასარგებლო დატვირთვას (100 კგ - 8X2.5 კგ - 2X12.5 კგ = 55 კგ) ანუ ერთ ცხენს მხოლოდ 55 კგ სურსათის მიწოდება შეუძლია. აქედან გამომდინარე, არმიას ყოველდღიურად დასჭირდება 2364 ცხენი. 9 დღიანი ციკლის განმავლობაში კი, სანამ პირუტყვი თავიდან შეასრულებდა რეისს (8 დღე მგზავრობა + 1 დღე დასვენება),[261] ეს მოითხოვს 21276 ცხენს და ესეც იმ შემთხვევაში, თუ არ გავითვალისწინებთ პირუტყვის დაცემის კოეფიციენტს. საზიდრების გამოყენება გარკვეულწილად შეამსუბუქებდა მდგომარეობას. ორხარშებმული საზიდარი 500 კგ ტვირთს ატარებდა. ხარი დღეში მოიხმარს 22 კგ ბალახს ან 11 კგ თივას და 7 კგ მარცვლეულს.[262] წყვილი უღელი ხარისათვის ეს რიცხვი ორმაგდება. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნელი მოძრაობის გამო, ხარშებმულ საზიდარს ერთ გზობაზე 5 დღე დასჭირდებოდა და არმიის მოქმედების რადიუსშიც უფრო ხანგრძლივად, (2+2) 4 დღის განმავლობაში დარჩებოდა. საბოლოოდ, საზიდრის სასარგებლო დატვირთვა (500 კგ - 4X22X2 კგ) 324 კგ იქნებოდა.[263] ეს ნიშნავს, რომ ერთ საზიდარს თითქმის 6 სასაპალნე პირუტყვის ჩანაცვლება შეეძლო. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ინტენსიური მუშაობისას დატვირთული საზიდარი ხშირად ზიანდება და შეკეთებას საჭიროებს, ეს რიცხვი კიდევ უფრო დაიწევს. ასე რომ, თუნდაც 1000 საზიდრის, 2000 ხარისა და ამდენივე მეურმის მობილიზება და შეუფერხებელი მუშაობა მოხერხებულიყო, ქართული ლაშქრის მომარაგებას 15 ათასი სასაპალნე პირუტყვი (ცხენი და ჯორი) მაინც დასჭირდებოდა.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ მიღებული რიცხვები ჰიპოთეტურია, მაგრამ უკვე აპრობირებულ მეთოდიკას ემყარება, რომელსაც წარმატებით იყენებენ სამხედრო-ისტორიული კვლევების დროს და ვარგისია პირველადი გათვლების ჩასატარებლად.[264] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვები საკ-

---

[260] არმიის გადაადგილებისას ფურაჟირება 64 კმ სიგანის დერეფანში ხდებოდა, რაც ნიშნავს რომ ცხენოსან ფურაჟირებს ერთი მიმართულებით 32 კმ-ის მანძილზე შეეძლოთ საქმიანობა. Haldon, "Introduction: Why Model Logistical Systems," 18.

[261] ხანგრძლივი მუშაობის დროს ცხენსაც და ჯორსაც 6 დღეში 1 დღე დასვენება ესაჭიროებათ, ზურგზე და ფეხებზე წყლულები და სხვა დაზიანებები რომ არ განუვითარდეთ. Haldon, "Roads and Communications in the Byzantine Empire: Wagons, Horses, and Supplies," 144.

[262] Roth, *The Logistics of the Roman Army at War*, 66-7; Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 15, n. 15.

[263] ხარს შეეძლო მარცვლეულის გარეშე, მხოლოდ ბალახით ან თივით შეენახა თავი. Bachrach, "Animals and Warfare in Early Medieval Europe," 718.

[264] პირველი ქართველი ავტორი, ვინც ასე თუ ისე შეეხო შუა საუკუნეების არმიების ლოგისტიკის საკითხს, გახლავთ სოსო მარგიშვილი. იხ. მისი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 126-7, 130. მხოლოდ, მის მიერ მოყვანილ რიცხვებს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ: რიგ შემთხვევებში მკვლევარი სწორად გადმოცემს საქმის ვითარებას (მაგალითად, ცხენის მიერ მოხმარებული წყლის ოდენობა, გვ. 130), მაგრამ ხშირად ცდება და არასწორი მონაცემები მოჰყავს ცხენის დღიური კვების ნორმისა (დღეში 4-5 კგ ბალახი, თივა ან ქერი, გვ. 130) თუ საზიდრის ტვირთამწეობის (900 კგ, გვ. 126)

მაოდ ოპტიმისტურია და ერთგვარ ლოგისტიკურ მინიმუმზეა გათვლილი, რეალობა კი უფრო მძიმე იქნებოდა. მითუმეტეს, რომ აქ არ არის გათვალისწინებული არმიის თანმხლები პირები, უბრალო მოსამსახურეები და ა.შ. რომლებიც კიდევ უფრო გააძნელებდნენ მის მომარაგებას. მიუხედავად ამისა, ჩატარებული გათვლები საკმარისია ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად და იმ სიძნელეების გასააზრებლად, რომლებიც მხედართმთავრის წინაშე იდგა საომარი მოქმედებების დაგეგმვისას.

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ორწლიანი ალყის წარმოება არის შთამბეჭდავი მიღწევა, რომელიც სამეფოს დიდი ფინანსური რესურსის გარდა, ნათლად მოწმობს ბაგრატ IV-ისა და ქართული ლაშქრის შტაბის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულ შესაძლებლობებზე.

საბოლოოდ კი, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ისეთ ფაქტორებთან ერთად, როგორიცაა იმდროინდელი სოციალური წყობა, შეზღუდული ადამიანური რესურსები, ნაკლებად განვითარებელი სოფლის მეურნეობა, განუვითარებული საგზაო ინფრასტრუქტურა და სხვა, მომარაგების სირთულეები დიდწილად განაპირობებდა შუა საუკუნეების არმიების მცირერიცხოვნობას.

შესახებ. მის მიერ დამოწმებული ჯ. ფრანსი სინამდვილეში მხოლოდ მსჯელობს ცხენის შესაძლებლობაზე, რომელსაც გაუმჯობესებული შებმულობის წყალობით 900 კგ შეეძლო გაეწია და იქვე უთითებს, რომ საზიდარს დაახლ. 450 კგ შეეძლო წაეღო. France, *Western Warfare in the Age of the Crusades*, 36. არც მისეული მეთოდიკაა სწორი: მკვლევარი არ ასხვავებს ცხენის მიერ მარცვლეულის, ბალახისა და თივის მოხმარების ნორმებს და არასწორად უთითებს მათ ჯამურ ოდენობას (გვ. 130); არმიისათვის ერთი კვირის თუ ერთი თვის პურის მარაგის საჭიროების დადგენისას, არ ითვალისწინებს გამწევი პირუტყვის საჭიროებას (გვ. 127). აქედან გამომდინარე, არ არის სწორი ის დასკვნებიც, რაც ტვირთამწეობისა (გვ. 127) თუ ცხენების საჭიროების (გვ. 130) შესახებ აქვს გამოყვანილი.

თავი V

იპარლი შუა საუკუნეების საქართველოში

მეტალურგია და მჭედლობა

შუა საუკუნეების არმიების სრულყოფილი შეიარაღება-აღჭურვა სათანადო ინდუსტრიულ ბაზას მოითხოვდა. ლითონის იარაღის დიდი ოდენობით დამზადება და უწყვეტი მომარაგება მდიდარ ბუნებრივ რესურსებს, განვითარებულ საწარმოო სიმძლავრეებსა და დახელოვნებულ მეიარაღეებს საჭიროებდა. მეტალურგიის განვითარებისათვის, რკინის მადანთან ერთად, აუცილებელი იყო წყლის რესურსები და ტყის მასივი.[1] ის ქვეყნები და და ხალხები, რომელთაც ასეთი ბუნებრივი პირობები არ გააჩნდათ, სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ისინი ლითონს სხვა მასალით ანაცვლებდნენ (ტყავისა და სხვა ორგანული მასალის აბჯარი, ძვლის ისირისპირები და სხვ.) ან ნებისმიერი მეთოდებით ცდილობდნენ იარაღის ნედლეულისა[2] და მისი დამამზადებელი ოსტატების ხელში ჩაგდებას.[3]

ასეთი ვითარებისაგან განსხვავებით, კავკასიაში არსებული ბუნებრივი რესურსები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იარაღის ინდუსტრიისათვის. მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ კავკასია ოდითგანვე მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი კერა იყო. მ. გორელიკი აღნიშნავს, რომ კავკასია, გააჩნდა რა მაღალი საწარმოო-ტექნოლოგიური დონე და ნედლეულის მარაგი, უძველესი ხანიდან – ძვ.წ. II-I ათასწლეულებიდან მოყოლებული, იარაღის წარმოქმნა-ჩამოყალიბების ერთ-ერთი ცენტრი და უზარმაზარი სამჭედლო

---

[1] ხის ნახშირი აუცილებელი ნედლეულია ლითონის გადამუშავებისათვის. საკმარისია, ითქვას რომ 10 კგ „უჭედელი" რკინის მისაღებად 150 კუბური მეტრი ხის ნახშირი იყო საჭირო, მხოლოდ ერთი მახვილის გამოჭედვას კი 500-750 კგ ხის ნახშირი სჭირდებოდა. Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 284, 291.

[2] მაგალითისათვის, საკმარისია ითქვას, რომ XII-XIII საუკუნეებში მონღოლები რკინის დეფიციტისა და რკინაზე ჩინური ემბარგოს დაძლევას ჩინურივე რკინის მონეტების შესყიდვით ცდილობდნენ. სუნის დინასტიის სწავლული ლი სინ-ჩუანი (1166-1243) და ძინის იმპერიის მოხელე იუან ხაო-ვენი (1190-1257) ერთსულოვნად მოგვითხრობენ, რომ ჩინური რკინის მონეტებისაგან თათრებმა (მონღოლებმა) მრავალი იარაღი და აბჯარი დაამზადეს. *Золотая Орда в источниках*, т. 3, *Китайские и монгольские источники*, переводы с китайского, составление, вводная статья и комментарий Р.П. Храпачевского (Москва, 2009), 63-4.

[3] აგრეთვე, ხშირად მიმართავდნენ მეიარაღეთა დატყვევებასა და საკუთარ ტერიტორიაზე გადასახლებას.

იყო, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა იარაღის განვითარებაზე.[4] ბ. ჰროზნის მიხედვით კავკასია „იყო არა მარტო ძველი აღმოსავლეთის, არამედ საერთოდ ძველი სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი. ძველად კავკასია იყო უზარმაზარი მეტალურგიული სახელოსნო, საიდანაც ლითონთა და მათი დამუშავების შესახებ ცოდნა ვრცელდებოდა მსოფლიოს ყველა კუთხეში, აზიაში, აფრიკასა და ევროპაში".[5]

საქართველოში მეტალურგიის განვითარებისათვის ყველა პირობა იყო შექმნილი. მეტნაკლები ოდენობით რკინის მადანი აქ ყველგან გვხვდება.[6] ჩვენს ქვეყანაში სამ ათეულზე მეტი რკინის საბადოა.[7] ტერიტორიული ნიშნის მიხედვით თუ დავაჯგუფებთ, რკინა მოიპოვება აფხაზეთში, იმერეთში, რაჭა-სვანეთში, გურია-სამეგრელოში, ქართლ-კახეთში, აჭარა-თრიალეთსა და სომხითში.[8] შუა საუკუნეების საქართველოში დიდი რაოდენობით რკინის მოპოვებისა და გადამუშავების კვალი აღმოჩენილია ქვემო ქართლში (ფოლადაურისა და კაზრეთის ხეობები), სვანეთსა (ჭუბერი) და აჭარაში (სხალთას ხეობა).[9] დიდი მოცულობით რკინის მოპოვება ხდებოდა რაჭაშიც (წედისში), რის შესახებაც ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი: „არს დაბა წედისი... აქ არს ლითონი რკინისა, და იღებენ მრავალსა".[10]

შუა საუკუნეების საქართველოში რკინის მადნის გადამუშავება ხდებოდა რთულ, მოწინავე ტექნოლოგიის, ქურებში, რომლებიც ქვეყანას უზრუნველყოფდნენ მაღალხარისხოვანი ლითონით სხვადასხვა სახის რკინის ნაკეთობებისათვის.[11] ი. გძელიშვილის მიერ გამოვლენილი არქეოლოგიური მონაცემებით ქვემო ქართლში, ფოლადაურის რკინის საბადოებში შუაფეოდალურ ხანაში ათეულ ათასობით ტონა რკინის მადანია მოპოვებული და გამოდნობილი. აქვე, გონბათში, აღმოჩენილია მადნის საწვავ-სადნობი უჩვეულოდ დიდი მოცულობის (14 კუბ. მეტრი) ქურები, რაც უდავოდ წარმოების მაღალ ტექნოლოგიაზე მიუთითებს.[12] რკინის მადნის სადნობ ქვის დიდ ქურებს, მათი მოცულობის გამო, ევროპულ ბრძმედებს ამსგავსებენ.[13] ქურის სიდიდეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა რკინისა და მისი ნაკე-

---

[4] М.В. Горелик, *Оружие Древнего Востока (IV тысячелетие – IV в. до н. э.)* (Санкт-Петербург, 2003), 167.

[5] Б. Грозный, "Протоиндийские письмена и их расшифровка," *ВДИ*, 2, (1940), 17-8. შდრ. ნ. რეხვიაშვილი, *ქართული ხალხური მეტალურგია: რკინა-მჭედლობა* (თბილისი, 1964), 12-3.

[6] რეხვიაშვილი, *ქართული ხალხური მეტალურგია: რკინა-მჭედლობა*, 38.

[7] И.А. Гзелишвили, *Железоплавильное производство в древней Грузии* (Тбилиси, 1964), 14.

[8] იქვე, 39-42.

[9] ი. გძელიშვილი, „რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია", *მაცნე*, 5 (1966), 172.

[10] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 766.

[11] И.А. Гзелишвили, *Железоплавильное производство в древней Грузии* (Тбилиси, 1964), 106-10.

[12] ი. გძელიშვილი, „სამთო საქმე და რკინის მეტალურგია შუაფეოდალურ ხანაში (საქართველო და ევრაზიის სხვა ქვეყნები)", *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, I (1969), 86, 91.

[13] ი. გძელიშვილი, „რუსთაველის ეპოქის რკინის მეტალურგია ახალი აღმოჩენების სინათლეზე", კრ. *შოთა რუსთაველი* (თბილისი, 1968), 178.

თობის ხარისხისათვის. გამოდნობისას რკინაში წარმოიქმნება წიდის ჩანართები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მექანიკურ თვისებებზე.[14] რაც უფრო მაღალი და დიდი მოცულობისაა ქურა, მით უფრო მაღალ ტემპერატურაზე შეუძლია მას მუშაობა და მაღალი ხარისხის რკინის (წიდის დაბალი შემცველობით) გამოდნობა.[15] ქურის სიდიდეს და, საერთოდ, მოწინავე მეტალურგიის მნიშვნელობას სამხედრო საქმისათვის ქვემოთ მოყვანილი მიმოხილვიდანაც დავინახავთ.

XV საუკუნის დასაწყისში (1410-20) ევროპაში იქმნება სრული ფირფიტოვანი აბჯარი და ჯაჭვის ეპოქა წარსულს ბარდება. ორი საუკუნის განმავლობაში ევროპელი რაინდი საუკეთესო ფირფიტოვანი აბჯრით თავით-ფეხებამდე დაფარული იბრძვის. არსად სხვაგან მსოფლიოში, არც ერთ კულტურას არ შეუქმნია ასეთი ჰომოგენური ფოლადის აბჯარი.[16] აღმოსავლეთში, ფირფიტოვანი აბჯრის განვითარება ლამელარს, ბეგთარსა და ჩარ-აინას ვერ გაცდა.[17] ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ევროპული სრული აბჯრის ყბადაღებული „სიმძიმე" ან გაზვიადებული „მოუქნელობა".[18] აზიელი მხედრები, მათ შორის ქართველებიც, არანაკლებ მძიმე თავდაცვითი აღჭურვილობის მთელ კომპლექსს ატარებდნენ, რომელიც საერთო სიმძიმით ხანდახან აღემატებოდა კიდეც ევროპულს (ჯაჭვზე ჩაცმული ლამელარი

---

[14] ძველად მეტეორიტული რკინასაგან გაკეთებული იარაღი იმიტომაც ფასობდა, რომ ის არ შეიცავდა წიდას და კარგად ჭედადი იყო. Carlo Panseri, "Damascus Steel in Legend and Reality," *Gladius*, IV (1965), 43.

[15] Alan Williams, "The Metallurgy of Medieval Arms and Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 46; Rosemary Ascherl, "The Technology of Chivalry in Reality and Romance," in *The Study of Chivalry: Resources and Approaches*, ed. by Howell Chickering and Thomas H. Seiler (Kalamazoo, 1988), 265.

[16] Alan Williams, "Ottoman Military Technology: The Metallurgy of Turkish Armour," in *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*. Ed. by Yaacov Lev (Leiden, 1997), 371; მისივე, "The Metallurgy of Medieval Arms and Armour," 51.

[17] ისინი ხარისხობრივადაც ჩამოუვარდებოდნენ ევროპულ ფირფიტოვან აბჯარს. აღმოსავლური აბჯრის მეტალურგიული კვლევა და შეფასება იხ. ა. უილიამსის ნაშრომში: Williams, "Ottoman Military Technology: The Metallurgy of Turkish Armour," 361-98.

[18] ა. უილიამსის კვლევებმა ცხადყო, რომ გავრცელებული მითი ფირფიტოვანი აბჯრის სიმძიმისა ან მოუქნელობის შესახებ მცდარია. A. R. Williams, "Metallographic Examination of 16th-century Armour," *Bulletin of the Historical Metallurgy Group*, 6 (1972), 15. ფირფიტოვანი აბჯარი ჯაჭვის სრულ კომპლექსზე ცოტათი მძიმე თუ იყო და მასთან შედარებით თანაბრად განაწილებული წონით გამოირჩეოდა, რაც მფლობელს დიდ თავისუფლებას ანიჭებდა. მეტროპოლიტენის მუზეუმში ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ფირფიტოვანი აბჯრით აღჭურვილ ადამიანს თავისუფლად შეეძლო სირბილი, ხტომა, მიწაზე დაწოლა ან ადგომა. Terence Wise, *Medieval Warfare* (New York, 1976), 48. თანამედროვე ექსპერიმენტებით ასევე დადასტურებულია, რომ სრულ ფირფიტოვან აბჯარში ჩამჯდარი ადამიანი უფრო მობილურია, ვიდრე გრძელი ჯაჭვითა და ფარით აღჭურვილი მისი მოწინააღმდეგე. Vale, *War and Chivalry*, 119; John Clements, "Wielding the Weapons of War: Arms, Armor and Training Manuals During the Later Middle Ages," in *The Hundred Years War: A Wider Focus*, ed. by L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2005), 464-6. ფირფიტოვანი აბჯრის ძირითადი პრობლემა ორგანიზმის გადახურება იყო. Wise, *Medieval Warfare*, 49; Vale, *War and Chivalry*, 119; Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 188; მისივე, *Fighting for the Faith: The Many Fronts of Medieval Crusade and Jihad 1000-1500 AD* (Barnsley, 2007), 134.

ან, მოგვიანებით, ჯაჭვის აბჯარზე დამატებული ჩარ-აინა, სამკლავე და სანვივე). უკვე დამკვიდრებული ტრადიციების გარდა, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც აზიაში ვერ შეიქმნა სრული ფირფიტოვანი აბჯარი, ევროპასთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენა გახლდათ. აზიური რკინა ორი მიზეზის გამო არ გამოდგებოდა აბჯრის დიდი ფურცლების დასამზადებლად: 1) აზიის ქურებში გამოდნობილი რკინის გუნდა (ლუგვი) პატარა იყო და ბევრ წიდას შეიცავდა. ევროპული აბჯრის ფურცლების დამზადებას, სულ ცოტა, 10-კილოგრამიანი რკინის ლუგვი სჭირდებოდა; 2) ამასთანავე, პატარა მოცულობის აზიურ ქურებში გამოდნობილი რკინა, წიდის მაღალი შემცველობით, მყიფე იყო და დიდი ფურცლის დასამზადებლად არ ვარგოდა.[19] საჭირო რაოდენობისა და ხარისხის ფოლადის ნედლეულის დამზადება იყო ერთ-ერთი ძირითადი შემზღუდავი ფაქტორი აბჯრის განვითარებისათვის შუა საუკუნეებში.[20] საჭირო რაოდენობის ფოლადის დამზადების პრობლემა დასავლეთ ევროპაში სხვადასხვა ტექნიკური ინოვაციის დანერგვით გადაიჭრა. XII საუკუნიდან ევროპაში ფართოდ იყენებენ წყლის ბორბალს, რომელიც საბერველსა და სამჭედლო უროს ამოძრავებდა და ხელით შრომას გარკვეულწილად მექანიკურით ანაცვლებდა. მჭედლისაგან განსხვავებით, მექანიკურ უროს ბევრად დიდი ზომის რკინაზე ზემოქმედება შეეძლო. ბრძმედის შემოღებამ კი, რომელიც 1340 წლიდან მაინც გამოიყენება ევროპაში, შესაძლებელი გახადა მაღალ ტემპერატურაზე (+1500°C) რკინის გამოდნობა და ლითონისა და წიდის განცალკევება.[21]

ამ გადასახედიდან სხვა თვალით შეიძლება შევხედოთ ბოლნის-ფოლადაურის ლითონის სადნობ ქურებსა და დაწინაურებულ სამთო საქმეს, რომელიც ჯალალ ად-დინის შემოსევამ გაანადგურა.[22] სამწუხაროდ, ამის შემდგომ, საქართველოში მეტალურგია ვეღარ მიუახლოვდა XII-XIII საუკუნეების დონეს. ისღა დაგვრჩენია, ვივარაუდოთ, თუ რა სიმაღლეებს მიაღწევდა ქართული მელითონეობა, მას რომ ნორმალური განვითარების საშუალება ჰქონოდა.

მსგავსი ხელისშემშლელი გარემოებებისა და ქვეყანაში არასტაბილური პერიოდების მიუხედავად, არსებული მეტალურგიული ბაზა ქართველ მჭედლებს მაღალი ხარისხის ლითონს აწვდიდა და დიდწილად განაპირობებდა

---

[19] Williams, "The Metallurgy of Medieval Arms and Armour," 51-2. რკინის ლუგვიდან პროდუქტის მიღებისას მისი 3/4 იკარგება, ასე რომ, 3-4 კგ-იანი ფოლადის ფირფიტის მისაღებად 9-12 კგ ლუგვი იყო საჭირო. Alan Williams, *The Knight and the Blast Furnace* (Leiden, 2003), 877-8.

[20] Craig Johnson, "Some Aspects of the Metallurgy and Production of European Armor," in *Armored Proceedings Symposium Notes*, The Oakeshott Institute (Minneapolis, 2002), http://www.oakeshott.org/metal.html (accessed 8 February 2014).

[21] Harry Craig Richardson, "Iron, Prehistoric and Ancient," *American Journal of Archaeology*, vol. 38, no. 4 (1934), 573, n. 4; Douglas Alan Fisher, *The Epic of Steel* (New York, 1963), 27-9.

[22] ი. გძელიშვილი, „სამთო წარმოება და რკინის მეტალურგია XII საუკუნის საქართველოში", *მეცნიერება და ტექნიკა*, 4 (1964), 31.

მათ მიღწევებს იარაღის დამზადებისა და ფოლადის წრთობის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ აზიაში არ არსებობდა მეცნიერულად გააზრებული ფოლადის მიღების პროცესი, არ არსებობდა ფოლადის სტანდარტი,[23] აღმოსავლურ და, მათ შორის, ქართულ მეტალურგიას თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა მაღალხარისხოვანი ფოლადის მიღებასა და დამუშავებაში. ძველი ქართული მელითონეობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს მანგანუმის (*ფაშა*) გამოყენება ფოლადის დამზადების პროცესში. ფაშას (შავ ქვას) წედისში იყენებდნენ რკინის დნობისას ლითონის ხარისხის ასამაღლებლად.[24] წედური ფაშას ქიმიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ის წარმოადგენდა მანგანუმის მინერალს (პიროლუზიტს).[25] მანგანუმის რკინის მადანში შერევით ხდებოდა რკინის ლეგირება, მისი თვისებების გაუმჯობესება. ცნობილია, რომ ფოლადში მანგანუმის დამატება სიმტკიცეს მატებს მას.

აზიური წარმოშობისაა ტალღოვანი ზედაპირის მქონე ფოლადი, ე.წ. დამასკური ფოლადი[26] ანუ ბულატი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იპყრობს ყურადღებას თავისი სილამაზითა და თვისებებით.[27] ტალღოვან ფოლადს არაბულად *fulade jawhardar* ეწოდება.[28] აქედან მოდის ასეთი ფოლადის ქართული სახელწოდებაც – *ჯავარი*. თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, „*ჯავარი*, რომელიცა ნიშნავს ჩვენებურად ხორასნულისა

---

[23] ამ ვითარების დაძლევას შუა საუკუნეების ხელოსნები საკუთარი გამოცდილებისა და ოსტატობის ხარჯზე ახდენდნენ. ალ. კოჭლავაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ „ლითონის დამუშავება გასული საუკუნის [იგულისხმება XIX ს. – მ.წ.] 40-იან წლამდე ხელოვნება იყო და ემყარებოდა არა მეცნიერულ კანონზომიერებას, არამედ ემპირიული გზით ოსტატ-ხელოვანთა მიერ დაგროვილ გამოცდილებას". ალ. კოჭლავაშვილი, „მხატვრული ჯავარდენის ხელოვნება საქართველოში", *საბჭოთა ხელოვნება*, 8-9 (1961), 84.

[24] რეხვიაშვილი, *ქართული ხალხური მეტალურგია: რკინა-მჭედლობა*, 22-3.

[25] ნ. რეხვიაშვილი, „წედური ფოლადი", *სმამ*, ტ. IV, №8 (1943), 833.

[26] აღსანიშნავია, რომ არ არსებობს მტკიცებულება ქალაქ დამასკოს, როგორც ხმლის წარმოების ცენტრის შესახებ. Robert Elgood, *The Arms and Armour of Arabia in the 18th-19th and 20th Centuries* (London, 1994), 103-8. ამავე დროს, შესაძლებელია დამასკო, როგორც მსხვილი სავაჭრო ცენტრი, თავის როლს თამაშობდა ტალღოვანი ფოლადის ხმლებისა და ნედლეულის გავრცელებაში. მსჯელობა ტერმინ *დამასკური ფოლადის* შესაძლო წარმოშობაზე იხ. Ann Feuerbach, "Rethinking "Damascus" Steel," *American Society of Arms Collectors Bulletin*, vol. 96 (2008), 55.

[27] ფოლადის ტალღოვან ზედაპირს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისლამურ ქვეყნებში. მათი წარმოდგენით, ხმლის ტალღოვანი ფოლადი განასახიერებდა სამოთხის წყლებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ხმლის პირიდან წყლის დალევა სიკვდილს ნიშნავდა. ალაჰის სამსახურში დაღუპული ყოველი მართლმორწმუნე სამოთხეში მოხვდებოდა და მის წყლებს დაეწაფებოდა. D. G. Alexander, "Two Aspects of Islamic Arms and Armor," *Metropolitan Museum Journal*, 18 (1984), 104; Ann Feuerbach, "Rethinking "Damascus" Steel," *American Society of Arms Collectors Bulletin*, vol. 96 (2008), 54.

[28] Manouchehr Moshtagh Khorasani, *Arms and Armor from Iran: The Bronze Age to the End of the Qajar Period* (Tubingen. 2006), 101. სიტყვა *ფულადი* მრავალგზის გვხვდება ავესტაში, ზოროასტრელთა წმინდა ნიგნში. James Allan and Brian Gilmour, *Persian Steel: The Tanavoli Collection* (Oxford, 2000), 7. ფიქრობენ, რომ *ფულადი* შედგება ორი სიტყვისაგან ფუ- და -ლადი. ფუ სანსკრიტზე ნიშნავს გაწმენდას, *ლადი* კი ახლოსაა რკინის მნიშვნელობასთან – ლოჰა, ლაუჰა; ფუ-ლაუჰა, რაც გაწმენდილ რკინას ნიშნავს, ალბათ, დროთა განმავლობაში ფულადად იქცა. Ann Feuerbach, "Crucible Damascus Steel: A Fascination for Almost 2,000 Years," *JOM*, vol. 58, no. 5 (2006), 49.

რკინისა სიჭრელესა".[29] მისივე დახასიათებით, „რკინასა, რომელსაცა აქვს *ჯოვარი*, სხვათა რკინათა აღემატების სიკეთითაცა და რკინასა ზედა ხორასნულსა ბუნებითად იხილვებიან *ჯავარნი*, ესე იგი დაჭრელებულება. სხვათა რკინათა ესენი აღემატებიან ძვირ ფასოვნებითა და შუჱნიერებითა".[30] ქართველმა ლექსიკოგრაფმა ისიც იცის, რომ *ჯავარი* არაბული სიტყვაა.[31]

ტალღოვანი ფოლადი ორი მეთოდით მიიღება: 1) ტიგელში (ქოთანში) გამოდნობითა და 2) ლამინირებით.[32] „ნამდვილი" ჯავარი (ანუ ბულატი) ტიგელში გამოდნობილი ფოლადია მკვეთრი ნაყშით.[33] ჩვეულებრივ, ქურაში ხის ნახშირთან ერთად რკინის მადნის გაცხელების შედეგად მიიღება რკინა, რომელიც მინარევებისაგან მხოლოდ ნაწილობრივაა თავისუფალი (რკინა 1500°C-ზე დნება, არალითონური წიდა კი – 1100-1200°C-ზე). მიღებული რკინის გუნდა ჰომოგენურიც არ არის. ამ ნაკლის დასაძლევად აზიაში შეიმუშავეს საკმაოდ ძვირადღირებული მეთოდი, რომლის დროსაც რკინას ნახშირთან (ან ნახშირბადის სხვა წყაროსთან) ერთად ათავსებდნენ თიხის პატარა ჭურჭელში და 1300-1400°C-ზე დიდხანს ახურებდნენ, შემდეგ კი ნელა აცივებდნენ. ჭურჭლის პატარა მოცულობა მის შიგნით თანაბარ ტემპერატურას განაპირობებდა, მიღებული ჰომოგენური, ნახშირბადით მდიდარი (1.2-1.6%) ფოლადი ძირზე ილექებოდა, წიდა კი ზევით რჩებოდა. ასეთ ფოლადს საკმარისი სისალე ჰქონდა, რის გამოც შემდგომ ტემპერატურულ წრთობას არ საჭიროებდა და ნებისმიერი ოდენობის ლესვასაც იტანდა.[34] ასე მიიღება ინდური ფოლადი *ვუცი*, რომელიც ფართო იმპორტის წყალობით ტალღოვანი ფოლადისაგან დამზადებული იარაღის ძირითად ნედლეულად იქცა.[35]

საქართველოში ფოლადის წრთობის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენებოდა. მათგან ორს ვახტანგ VI აღწერს1712-36 წლებში შედგენილ ნაშრომში. ერთის მიხედვით, ლითონს ორგანულ ნივთიერებებთან (ტყავის ნაცართან და რქის ნაფხეკთან) ერთად დახურულ კონტეინერში მაღალ ტემპერ-

---

[29] თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 165.

[30] იქვე, 164.

[31] იქვე, 164-5.

[32] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 104.

[33] თუმცა, ქოთანში გამოდნობილი ყველა ფოლადი ბულატი არ არის. Kirill Rivkin, *Arms and Armor of Caucasus* (n.p., 2015), 76.

[34] Alan Williams, "A Metallurgical Study of Some Viking Swords," *Gladius*, XXIX (2009), 121-2; Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 69-71.

[35] ჯერ კიდევ III საუკუნეში ალექსანდრიელი ალქიმიკოსი ზოსიმოს პანოპოლისელი, რომელსაც ეკუთვნის უადრესი ნაშრომი ალქიმიაში, მოგვითხრობს ქოთანში გამოდნობილ ფოლადზე, რომლიდანაც ჩინებული ხმლები მზადდებოდა და გვამცნობს, რომ ის ინდური აღმოჩენა იყო, რომელსაც ირანელებიც იყენებდნენ და ავრცელებდნენ. როგორც ჩანს, რომ ამ დროისათვის აზიურმა ფოლადმა უკვე შეაღწია ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. P. Craddock, "New Light on the Production of Crucible Steel in Asia," *Bulletin of the Metals Museum*, 29 (1998), 47.

ატურაზე ადნობენ.[36] ორგანული ნივთიერება განაპირობებდა ლითონში ნახშირბადის მაღალ შემცველობას, პატარა კონტეინერში დნობა კი – ჰომოგენურ ლითონს. ეს მეთოდი ჰგავს ტიგელში ფოლადის გამოდნობის ინდურ მეთოდს, მხოლოდ თიხის ჭურჭელის ნაცვლად, ლითონს თიხითმოლესილ რკინის კოლოფში ადნობენ.

მეორე მეთოდის დროს ხდება ლითონის ზედაპირის გაფოლადება ორგანულ არეში წრთობით,[37] ე.წ. ზედაპირული ცემენტაცია, რომლის დროსაც ადგილი აქვს ლითონის დანახშირბადებას. ამ დროს, გახურებისას, ხდება რკინის ზედაპირის ნახშირბადით გამდიდრება და გაფოლადება. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია რკინის იარაღს ფოლადის მჭრელი ფხა გაუკეთო და თავიდან აიცილო მისი ზედმეტი სიმყიფეც.

კავკასიური იარაღის მკვლევრები კ. რივკინი და ო. პინჩო მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველი მჭედლების უნარს დაემზადებინათ ტალღოვანი ფოლადის იარაღი. ავტორები თვლიან, რომ სხვა კავკასიური იარაღისაგან განსხვავებით, მარტოოდენ ქართულ იარაღში გვხვდება უნიკალური სახის ჯავარის ნაყში, რაც მოწმობს ნამდვილი ბულატის ადგილობრივ გამოდნობაზე.[38] უმაღლეს ოსტატობად ითვლებოდა ჯავარის დამზადება მაღალკონტრასტული, შავ-თეთრი გამოსახულებით, რომელიც შედგებოდა არაპარალელური, წვრილი, მაგრამ კარგად გასარჩევი ხაზებით, რომლებიც უფრო რთულ სურათს ქმნიდნენ. კავკასიაში ასეთ ხელოვნებას მხოლოდ საქართველოში ფლობდნენ.[39]

ტალღოვანი ფოლადის მისაღებად საქართველოში უფრო ხშირად მიმართავდნენ სხვა, ასევე საკმაოდ რთულ მეთოდს, რომელიც „შედუღებული დამასკოს" სახელითაა ცნობილი: ამ დროს სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის მქონე ფოლადის რამდენიმე ნაჭერს ერთად შეადუღებდნენ, გადაგრეხდნენ და გამოჭედდნენ. შედეგად, იარაღის ზედაპირზე რელიეფური გამოსახულება მიიღებოდა. ამ გზით საქართველოში ძალიან მაღალი ხარისხის დამასკურ ფოლადს იღებდნენ.[40]

საქართველოში არსებული მრავალფეროვანი ლითონის მადანი, ხე-ტყისა და წყლის რესურსები ქმნიდა შესაბამის მატერიალურ ბაზას მძიმე შეიარაღებისათვის. ქართული მეტალურგია და ქართველი მჭედელი საუკუნეების განმავლობაში ამარაგებდა ქართველ მებრძოლს პირველხარისხოვანი იარაღითა და აბჯრით და ყოველთვის განაპირობებდა ქართული ლაშქრის

---

[36] ვახტანგ VI, წიგნი *ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა საძიებლები და ლექსიკონი დაურთეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა (თბილისი, 1981), 202.

[37] იქვე, 203.

[38] Кирилл Ривкин, Оливер Пинчо, *Оружие и военная история Кавказа* (Запорожье, 2011), 109.

[39] იქვე, 113-4.

[40] იქვე, 106.

მაღალ დონეზე აღჭურვას შეტევითი და, რაც მთავარია, თავდაცვითი იარაღით, რომელიც ყველაზე მეტი ოდენობის ნედლეულს მოითხოვდა.

საჭეხველი

ქართულ ენაში საბრძოლო იარაღის ზოგადი სახელი თავდაპირველად *ჭურჭელი* და *ჭური*[41] იყო, რომელიც *საჭურველმა* ჩაანაცვლა. თავის მხრივ, XII საუკუნის მეორე ნახევარში საჭურველი *აბჯარმა* შეცვალა.[42] ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ტერმინი *იარაღი* (თავისი ფართო მნიშვნელობით) XV საუკუნეში შემოდის თურქულიდან და XVI საუკუნიდან თანდათანობით ანაცვლებს აბჯარს.[43] გ. გასიტაშვილის დაკვირვებით, ტერმინი *იარაღი* აბჯრის გვერდით უკვე XIII-XIV საუკუნეებში ჩნდება.[44]

შეიარაღების მთლიან კოპლექსს, რომელშიც შემტევი იარაღიც შედის, *სრული აბჯარი (ტანი აბჯარი)*[45] ეწოდებოდა.[46] *სრული* ანუ *ერთი ტანი აბჯარი* მრავალგვარ თავდაცვით და შემტევ იარაღს მოიცავდა (ჯაჭვის პერანგი, მუზარადი, ქაფი, საბარკული, ხმალი და სხვ.). ეს ტერმინები პირველად „ვეფხისტყაოსანში" მოიხსენიება: „**სრული აბჯარი** საკაცო ქაფითა, საბარკულითა";[47] „კიდობანი გახსნეს, პოვეს მუნ **აბჯარი სამი ტანი**... ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი".[48] იმავე ტერმინს ვხვდებით XV საუკუნის მეორე ნახევრის საბუთში: „ათი **ტანი აბჯარი** მისითა იარაღითა".[49] დღეისათვის, აბჯრის ფართო მნიშვნელობა დავიწროვებულია და ის მხოლოდ სხეულის დამფარავი თავდაცვითი საშუალების (მაგ. ჯაჭვის პერანგის) აღსანიშნავად გამოიყენება.

შეიარაღება, ზოგადად, ორ დიდ ჯგუფად იყოფა – თავდაცვითად და შეტევითად, რომლებიც ისტორიის მსვლელობისას ყოველთვის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს: ახალი ტიპის იარაღი თავდაცვითი აღჭურვილობის ახალ ტიპს წარმოშობს და პირიქით.[50] მ. გორელიკს ეკუთვნის საინტერესო და მართებული დაკვირვება, რომ შეტევითი იარაღი თავისი კომპაქტურო-

---

[41] „*ჭური* – აბჯარი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 408.

[42] გურამ გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", *მსე*, ტ. IX (1957), 80, შენ. 5; ივანე ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, ტ. III-IV (თბილისი, 1962), 203-5. აბჯარი, საჭურველთან ერთად, უკვე გვხვდება IX-X საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლებში. იქვე, 206.

[43] იქვე, 211-3.

[44] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 81.

[45] „*სრული* – გასრულებულს ჰქვიან უნაკლულოსა". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 109.

[46] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 220-1.

[47] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1020.

[48] იქვე, სტრ. 1370.

[49] სარგის კაკაბაძე, „სასისხლო სიგელების შესახებ", *საისტორიო მოამბე*, 2 (1924), 45.

[50] Н.В. Гордеев, "Русский оборонительный доспех," *Сборник научных трудов по материалам Государственной оружейной палаты* (Москва, 1954), 63.

ბის გამო უფრო ადვილი დასამზადებელია, მისი ფორმა მჭიდროდაა დაკავშირებული დანიშნულებასთან, მოითხოვს მაღალ ხარისხს და ნაკლებ ადგილს ტოვებს ინდივიდუალური შემოქმედებისათვის, ადვილად ვრცელდება დიდ სივრცეზე. მისდა საპირისპიროდ, თავდაცვითი აღჭურვილობა უფრო ინდივიდუალური და, აქედან გამომდინარე, უფრო ლოკალურია, მეტადაა დაკავშირებული ეთნოსსა და ტერიტორიასთან და მეტ მონაცემებს გვაწვდის ეთნო-ისტორიულ კონტექსტში.[51]

იარაღს ახასიათებს აქტიური ტექნიკური პროგრესი და ახალი ნიმუშების შექმნა მებრძოლის შეტევითი და დაცვითი შესაძლებლობების გასაზრდელად, სწრაფი გავრცელება უზარმაზარ ტერიტორიებზე და მაღალი ფასი.[52] როგორც წესი, იარაღის გავრცელებაზე არ მოქმედებს ეთნიკური და იდეოლოგიური აკრძალვები და უმთავრესი მისი ეფექტურობაა.[53] იარაღის ინდუსტრია წარმოების ყველაზე განვითარებული და მოწინავე დარგია სახელმწიფოში. მასში აისახება თანადროული ეპოქის ტექნოლოგიური და მატერიალური განვითარების დონე.[54] უახლეს ტექნიკურ მიღწევებს, პირველ რიგში, იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის დამზადების დროს იყენებდნენ.[55] იარაღისა და აბჯრის ტიპს დიდად განაპირობებს წარმოების განვითარების დონე, მეურნეობის ტიპი და სხვ.[56] კარგი შეიარაღება, მაღალი ხარისხის დაცვითი აღჭურვილობა და ლითონის აბჯრის დიდი წილი, მიუთითებს ფეოდალური საქართველოს საკმაო შესაძლებლობაზე უზრუნველეყო იარაღით მისი მებრძოლები.

ვახუშტის დახასიათებით, ქართველები იყვნენ „სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი", ასევე „[კარგად] უწყვიან ყოველთავე სამამაცოთა საჭურველთა კეთებანი".[57] სახელმწიფოს მესვეურნი ყოველთვის ცდილობდნენ განევითარებინათ მეიარაღეობა, რისთვისაც უცხოეთიდანაც იწვევდნენ ოსტატებს და ადგილობრივ ხელოსნებსაც უწყობდნენ ხელს. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულიდან ვიგებთ, რომ იარა-

---

[51] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 11.

[52] Кирпичников, "Вооружение и военное дело средневековой Руси как исторический источник и культурный феномен," 41.

[53] И.А. Аржанцева, "Раннесредневековые мечи Средней Азии и проблема происхождения сабли," *Древний и средневековый Восток* (Москва, 1987), 121.

[54] სხვა ნივთებთან შედარებით, იარაღი ყველაზე მეტადაა შინაარსობრივად დეტერმინებული, რადგანაც მფლობელის სიცოცხლე ბრძოლაში ამაზეა დამოკიდებული. ნებისმიერი ფუნქციური შეუსაბამობა მფლობელს დაღუპვას უქადდა და ასეთი იარაღი უფრო სრულყოფილით იდევნებოდა. Ю.С. Худяков, "Дискуссионные вопросы сибирского оружиеведения," *Военное дело и средневековая археология Центральной Азии* (Кемерово, 1995), 151.

[55] У.Ю. Кочкаров, *Вооружение воинов Северо-Западного Предкавказья VIII-XIV вв. (оружие ближнего боя)* (Москва, 2008), 173-4.

[56] Т.Д. Равдоникас, "Одна из функций стеганой одежды народов Средней Азии," *Материальная культура и хозяйство народов Кавказа, Средней Азии и Казахстана* (Ленинград, 1978), 177.

[57] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 44-5.

ღის მკეთებლები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და განთავისუფლებული იყვნენ სამეფო მოვალეობებისაგან: „ვინცავინ ხმალს აკეთებდეს ან ფარსა, ან შუბსა, გინა ისარსა და სხვასა ესევითართა იარაღსა, სამეფოს მუშაობაში ესენი არ გაიყუანებიან".[58]

საჭურვლის ღირებულება

საჭურვლის დამზადება, საჭირო ნედლეულის გარდა, შესაბამის ტექნოლოგიურ ცოდნასა და მეიარაღის ოსტატობას მოითხოვდა. ხარისხიანი იარაღი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ძვირი ღირდა.[59] შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელია იარაღისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, ზოგჯერ მისთვის ზებუნებრივი თვისებების მიწერაც კი, რის შედეგადაც იარაღს კიდევ უფრო უფრთხილდებოდნენ და შთამომავლობით გადაცემდნენ.[60]

იარაღის სიძვირის გამო მას სავაჭრო ექვივალენტადაც იყენებდნენ.[61] ასეთი ფაქტები ქართულ წყაროებშიც დასტურდება: XI საუკუნის *ნიკორწმიდის დაწერილში* იარაღი (განსაკუთრებით, ჯაჭვი) ერთგვარ საფასედაც გვევლინება და მას ხშირად იყენებენ აღებ-მიცემობისას.[62] ყანჩაეთის სახარების მინაწერში, რომელსაც ე. თაყაიშვილი კალიგრაფიულად XV-XVI საუკუნეებით ათარიღებს, ვინმე ბილქან ათარის ძე ჯაჭვისა და მუზარადის სანაცვლოდ მონასტერს ვენახს აძლევს.[63]

იარაღის გამოყენება საზღაურად საკმაოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა შუა საუკუნეების საქართველოში: 1326 წელს აზნაურ მიქელაძის სისხლის საფასურად სხვა ქონებასთან ერთად „რვა ტანი აბჯარი მისითა მოწყობილობითა" გადაიხადეს.[64] XIV საუკუნის შუახანებში მოკლული დავლაძის საფასურად დაწესებული ვერგელდში კვლავ ფიგურირებს აბჯარი.[65] XIV-XV სს. სიგელით გელაძის მკვლელმა მის გვარს გადაუხადა „აბჯარი

---

[58] *ქსძ*, I, 191.

[59] ნოელ დენჰოლმ-იანგის გამოთვლით, XII საუკუნის შემდეგ ევროპაში, რაინდის ისედაც ძვირი აღჭურვილობის ფასი ერთიათად გაიზარდა. მისი შედარებით, ერთი საუკუნის შემდეგ კაცისა და ცხენის სრული აბჯრის ღირებულება 1939 წლის ფასებით მსუბუქი ტანკის ექვივალენტური იყო. Prestwich, "*Miles in Armis Strenuus*: The Knight at War," 207.

[60] Кирпичников, "Вооружение и военное дело средневековой Руси как исторический источник и культурный феномен," 41. ზებუნებრივი თვისების იარაღთა შესახებ ხალხურ გადმოცემებში, იხ. კოტე ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", *სსმმ*, ტ. XIX-B (1956), 297.

[61] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 25.

[62] „დებორიანის ძისაგან ვიყიდე პარტახტი ა, და მიევეც ცხენი ა, და ჩაბალახი გუდამაყრული ა"; „იყიდა მიწაი ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაჭუ ბ"; „ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაი და მიევეც ჯაჭუ ა და დრაჰკანი კოსტანტინატი ბ". „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა", 40, 42.

[63] ექვთიმე თაყაიშვილი, „ყანჩაეთის ტყავის სახარება და მისი მინაწერები", *ძველი საქართველო*, I (1909), 62-3.

[64] *საქართველოს სიძველენი*, რედ. ე. თაყაიშვილი, ტ. II (თბილისი, 1909), 33-4.

[65] იქვე, 34-5. აგრეთვე იხ. გონელი არახამია, „სისხლის დაურვების საკითხისათვის XIV-XVIII სს. საქართველოში", *იჯიეშ*, X-XI (2010-2011), 104.

სიმრავლე".[66] XV საუკუნის მეორე ნახევარში დაწერილი საბუთის მიხედვით, აზნაურ შერზადიშვილის სისხლის საფასედ სხვა ქონებასთან ერთად 10 ტანი აბჯარი გადაიხადეს.[67] 1503 წელს სვანებმა ტყვეების (ასი კაცის) გამოსახსნელად კაცზე ერთი კარგი აბჯარი გაიღეს: „დავიჴსენით თავი და თუითო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიღეთ...“[68]

იარაღი ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე ფასეულ ნადავლად. ტბეთის სახარების მინაწერი, რომელიც 1161 წელს ანისთან გიორგი III-ის გამარჯვების შესახებ მოგვითხრობს, ქართველთა ხელში ჩაგდებულ უამრავ ალაფში საგანგებოდ გამოყოფს იარაღს (რომლის გაგებით აბჯარია გამოყენებული): „საჭურჭლე ურიცხვ; კარვები, ცხენი, **აბჯარი** და ყოველი საქონელი მათი...“[69] „ძეგლი ერისთავთა“ მოგვითხრობს, რომ XIV საუკუნეში „არა-რა აიღო ლაშქარმან ალაფი თჳნიერ აბჯრისა“.[70] XV საუკუნეში აყოყოიუნლუს სარდლის ხალილ ბეგის დამარცხების შემდეგ, „გააქციენეს და დახოცეს, ასრე რომე თუ არა მაცნე წავიდა სადმე, ვერცა ერთი წაუვიდა, **აივსნეს აბჯრითა**, ალაფითა და ბარგითა პირთამდის“.[71]

შეიარაღების ფასი შუა საუკუნეებში შეიძლება დავადგინოთ XI საუკუნის *ნიკორწმიდელის დაწერილისა* და რიგი სხვა მონაცემების მიხედვით.[72] ქართველი მოყმის აღჭურვილობის ფასის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ დროს მხედარს მოვალეობის სრულყოფილად შესასრულებლად ესაჭიროებოდა საბრძოლო და მარქაფა ცხენი, ხმალი, შუბი, ფარი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქაფზე, საბარკულზე, კარავზე და საბარგო ცხენზე. მიახლოებით, მათი ფასები ასეთი იყო: საბრძოლო ცხენი 8-9 ოქრო ღირდა, სამარქაფო ცხენი – 6 ოქრო, საბარგო – 2 ოქრო, ცხენის აკაზმულობა – 3-4 ოქრო, ხმალი – 8 ოქრო, ჩაბალახი – 2-4 ოქრო, ჯაჭვის პერანგი – 2 ოქრო, საბარკული – 1 ოქრო, ქაფი – 1 ოქრო, შუბი და ფარი – 1-2 ოქრო, კარავი – 3-5 ოქრო. სრულად აღჭურვილი მხედრისათვის, ჯამში ეს შეადგენს 37-44 ოქროს, საკმაოდ დიდ თანხას, რომლის მსყიდველობითი უნარი საქონლის მთელი ჯოგია (37-44 ძროხა). ისიც ცხადია, რომ სალაშქროდ წასასვლელად ესეც არ არის საკმარისი. სრული სურათისათვის უნდა გავითვალისწინოთ სამარქაფო და საბარგო ცხენების აკაზმულობაც, მხლებელი, საგზალი და ა.შ. მინიმალურად აღჭურვილი მძიმე ცხენოსნის შეიარაღების ფასიც რომ ვი-

---

[66] კაკაბაძე, „სასისხლო სიგელების შესახებ“, 58.

[67] იქვე, 45.

[68] *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, 113.

[69] მამისა ბერძნიშვილი, *ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები)* (თბილისი, 1989), 83.

[70] „ძეგლი ერისთავთა“, 106.

[71] *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 484.

[72] დაწვრილებით იხ. წურწუმია, „XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით)“, 156-9.

ანგარიშოთ (ქაფის, საბარკულის, საბარგო ცხენისა და კარვის გარეშე), თანხა მაინც სოლიდური გამოდის და 30-35 ოქროს შეადგენს.[73]

იარაღი ხოგოხც სატეტო საგანი

საბრძოლო იარაღის მნიშვნელობისა და პრესტიჟიდან გამომდინარე, მათ ხშირად უჩენდნენ ადგილს საკულტო დანიშნულების მქონე დაწესებულებებში, სადაც ისინი მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა რიტუალებში. ხმლები, როგორც წმინდა რელიქვიები, ინახებოდა როგორც იაპონიის ტაძრებში, ასევე ევროპის კათედრალებში.[74] დასავლეთ ევროპაში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მძიმე ბრძოლას გადარჩენილი რაინდი ეკლესიას წირავდა საბრძოლო აღჭურვილობის ნაწილს.[75]

ეკლესია-მონასტრებისათვის იარაღის შეწირვის უძველესი ტრადიცია საქართველოშიც იყო გავრცელებული.[76] XI საუკუნეში ვინმე წირქუალელის ძე ხმალს წირავს ნიკორწმინდის მონასტერს.[77] XV საუკუნის დასაწყისის „გვაროვნობითი სიგელის" მიხედვით ამირეჯიბები მრავალძლის მონასტერს წირავენ ე.წ. ჯალალედინის მუზარადს.[78] XVII საუკუნის შუახანებში ქაიხოსრო გურიელი დამარცხებული ჩიჯავაძის საჭურველს (ჯაჭვს, ხმალსა და ლახტს) შემოქმედის ეკლესიას წირავს.[79]

ექვთიმე თაყაიშვილს აღწერილი აქვს დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ეკლესიებში დაცული იარაღი. ლეჩხუმ-სვანეთის ეკლესიებში აღნუსხულია შემდეგი სახის შეწირული იარაღი: რკინის დიდი მშვილდი ოყურეშის წმ. გიორგის ეკლესიაში,[80] რკინის მშვილდ-ისარი ფაყის ღვთისმშობ-

---

[73] აქ ერთგვარი „საშუალო ფასებია" მოცემული, თორემ საუკეთესო ხარისხის აღჭურვილობის ფასი ასტრონომიულ თანხებსაც კი აღწევდა. ასე მაგალითად, IX საუკუნის არაბი ავტორის ალქინდის მიხედვით, თუ ჩვეულებრივი მახვილი 5-10 ოქრო ღირდა, საუკეთესო მახვილის ფასი 50-100 ოქრო იყო. *Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds,"* edition, translation, and commentary by Robert G. Hoyland and Brian Gilmour, introduction by James Allan (Oxford, 2006), 33. 1778 წლის 13 მარტის ოქმით ერეკლე II ვინმე თაყასშვილს აზატ-ხანის მიერ ნაქონი ირანული ხმლის სანაცვლოდ, რომელიც ყარაბახის ხანის იბრეიმისადმი საჩუქრად სჭირდებოდა, 100 თუმანზე მეტი ღირებულების მამულს შეჰპირდა (სხვები პატრონს ამ ხმალში 100-100 თუმანს სთავაზობდნენ, მაგრამ ის არ თანხმდებოდა). *ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები: 1736-1797 წლები*, ავტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე (თბილისი, 2008), 115. რჩეულ საბრძოლო ცხენში მთელ სოფელს აძლევს დავით სოსლანი და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ც. ვრცლად იხ. ქვემოთ.

[74] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 119.

[75] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 260.

[76] ამ ტრადიციას აღნიშნავს კ. ჩოლოყაშვილიც. იხ. მისი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საჭურვლის ფონდის ისტორიისათვის", *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XXII-B (1961), 387-8.

[77] „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა", 39.

[78] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II (ტფილისი, 1897), ტ. II, 210-1.

[79] *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. VI, 667.

[80] ექვთიმე თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს* (პარიზი, 1937), 70.

ლის ეკლესიაში,[81] რკინის ორი ლახტი საყდარის წმ. გიორგის ეკლესიაში,[82] სპილენძის ლახტი ჩუკულის ეკლესიაში,[83] რკინის ლახტი და მოვერცხლილი საომარი ცული ჟიბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში,[84] ვერცხლით შემკული რკინის ლახტი და სპილენძის ფარი მურყმერის წმ. ბარბარეს ეკლესიაში,[85] რკინის ლახტი, ხის სამი მშვილდი და ოთხი ისარი ლაგურკას წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში,[86] ოქროთი შემკული ფოლადის ცული იელის წმ. გიორგის ეკლესიაში,[87] რკინის ორი ლახტი ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიაში,[88] ოქროთი მორთული სპილენძის ფარი ჟამუშის მაცხოვრის ეკლესიაში,[89] ცული და ფარი სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში,[90] რკინის ლახტი ლაღამის მაცხოვრის ეკლესიაში,[91] ხის ფარი, ისრები და ლახტი ლატალის მაცხვარიშის ეკლესიაში,[92] რკინის ლახტები და ისრები სუფის წმ. გიორგის ეკლესიაში.[93] რაჭაში ე. თაყაიშვილმა აღნუსხა რკინის ჩაფხუტი სორის ჯვარცმის ეკლესიაში,[94] რკინის ჩაფხუტი, რკინის შუბისპირი და ორი ხმალი მრავალძლის ეკლესიაში,[95] რკინის ლახტი, მრავალი შუბის- და ისრისპირი ქედისუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში.[96]

ასეთივე ტრადიცია არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოშიც: ხევსურეთში, ახიელას სალოცავს იყო შეწირული სხვადასხვა წარმოშობის ხმლის პირები – უნგრული, იტალიური, გერმანული, არაბული, ესპანური; შეწირული ჯაჭვი ამშვენებდა მთიულეთში ლომისას ტაძარს.[97]

გარდა ამისა, იკონოგრაფიაში გვხდება სიუჟეტები, სადაც საბრძოლო საჭურვლის კურთხევა არის მოცემული. ფავნისის წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე მავედრებელი ქტიტორები არიან გამოსახულნი. სცენა რიტუალური და სიმბოლური მნიშვნელობითაა დატვირთული და ორივე მხრიდან მოსაზღვრულია იარაღით (ფარზე მიყუდებული მახ-

---

[81] იქვე, 89.
[82] იქვე, 101.
[83] იქვე, 119.
[84] იქვე, 148.
[85] იქვე, 177.
[86] იქვე, 202.
[87] იქვე, 227.
[88] იქვე, 248.
[89] იქვე, 259.
[90] იქვე, 279.
[91] იქვე, 291.
[92] იქვე, 356, 361.
[93] იქვე, 428.
[94] ექვთიმე თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ.* (თბილისი, 1963), 33.
[95] იქვე, 63-4.
[96] იქვე, 73.
[97] ჩოლოყაშვილი, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საჭურვლის ფონდის ისტორისათვის", 392.

ვილებით), რომელსაც წმ. გიორგი აკურთხებს.[98] H1665 დავითნის 224r და 224v მინიატურებზე უკვე ქრისტე აკურთხებს წმ. მეომართა (წმ. გიორგისა და წმ. დემეტრეს) იარაღს.[99] ცხადია, ასეთი იკონოგრაფიული სიუჟეტები გავრცელებულ პრაქტიკას ანუ სასულიერო პირთა მიერ მეომართა იარაღის კურთხევას ასახავს.

[98] ეკატერინე პრივალოვა, „შუა საუკუნეების ქართული პორტრეტის ისტორიიდან (XII საუკუნის საქტიტორო პორტრეტები ფავნისში)", *ძეგლის მეგობარი*, 8 (1966), 61-6.

[99] ასეთივე კომპოზიცია იარაღის კურთხევისა შეინიშნება ერთ სვანურ ფერწერულ ხატზეც, სადაც იარაღი ნუშისებური ფარით არის წარმოდგენილი. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 34.

თავი VI

თავდაცვითი აღჭურვილობა

თავდაცვითი საჭურველი მებრძოლის პანოპლიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია და მისი განვითარების დონითა და ფორმით შესაძლებელია საზოგადოების სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტზე მსჯელობა.[1]

პირველი აბჯარი ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში დასტურდება.[2] მიუხედავად იმისა, რომ აბჯარი არასოდეს ყოფილა დაცვის აბსოლუტური საშუალება, ის ასუსტებდა დარტყმას და მფლობელი, სასიკვდილოს ნაცვლად, შეიძლება უბრალო ჭრილობით გადარჩენილიყო.[3] თავდაცვის ინდივიდუალური საშუალებები, ადამიანის სხეულის უშუალო დაცვის გარდა, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მფლობელის მორალზე, უფრო თავდაჯერებულსა და უშიშარს ხდიდა მას.[4] ცნობილია, რომ რაინდთა თავდაცვითი აღჭურვილობის სიკეთე დიდად განაპირობებდა ბრძოლის ველზე მათ სიმამაცეს.[5]

საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ ბრძოლაში წარმატებას, მხნეობისა და სიმამაცის გარდა, სრულყოფილი აღჭურვილობაც განაპირობებს. „ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს, რომ „კაცნი იგი იყუნეს მარჯუედ მბრძოლნი, მხნენი და გოლიათნი და **აბჯარსრულნი**".[6] როგორც ვხედავთ, მხნედ და გოლიათურად ბრძოლას კარგი (სრული) აბჯრის ფლობაც სჭირდებოდა. მაღალი ხარისხის დაცვით აღჭურვილობას არაერთგზის უხსნია პატრონი სიკვდილისაგან: 1578 წელს, ლალა ფაშას შემოსევისას არჩილ მუხრანბატონის ძის ერეკლესათვის „ცხენი ქუეშ გამოეკლათ მისთჳს, თექუსმეტი მუზარადს ჰქონდა ნაკრავი ისარი, ორმოცამდი აგრევე ჯაჭუს. და ვერც ჯაჭუ და ვერც მუზარადი ვერ გაეკუეთა, ერთი ჴრმალი ხანჯარს სცემოდა, ხანჯრის ტარი ზედ დაეჭრა".[7] ბაზალეთის ბრძოლაში დაუთბეგის თავდაცვითმა

---

[1] М.В. Горелик, "Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.)," *Археология, этнография и антропология Монголии* (Новосибирск, 1987), 163.

[2] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 114.

[3] Stephenson, *Romano-Byzantine Infantry Equipment*, 65.

[4] Keen, *Chivalry*, 220. თანამედროვე ბრძოლაშიც კი, ჯავშანჟილეტი დადებითად მოქმედებს მებრძოლის ფსიქოლოგიაზე და უფრო აგრესიულს ხდის მას. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 71.

[5] Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages*, 61.

[6] „ძეგლი ერისთავთა", 113.

[7] *ქართლის ცხოვრება*, ტ. II, 523.

საჭურველმა ორი შუბის ძგერებას გაუძლო. მას ჯერ თეიმურაზ I აძგერებს შუბს („შუბი ვჰკარით ერთმანერთსა, მაგრამ ვერც ერთს დაგვიმონსა"), შემდეგ კი მეფის მომხრე საამი („მოვიდა და გვერდს შემოსცა მას"), მაგრამ ვერაფერს დააკლებენ („ველარც იმან ჩამოაგდო და ცოტადრე გარდახარა").[8] კარგი ხარისხის აბჯარმა გადაარჩინა გიორგი სააკაძე ტაშისკარის ბრძოლაში:

„მწარეს გვესროდეს ისარსა საყალნო ან სარჩენანი!
ზოგს მოკლე შუბი ეჭირის, მარჯვედ ხმარობდეს სროლითა...
ავს ჯაჭოსანსა ვის ჰკრიან, შექნიან ცხენს ქვეშ წოლითა;
თორმეტი მარტო მე მამხვდა, ვერა მქნეს ჩამოყოლითა!
ისრის სიხშირე რა გკადრო, თუ რამდენი რამ მამესო,
ჯაჭვშიგან მამხვდის ნამტვრევი, სადაც რომ ხელი მამესო".[9]

ყირიმელები ისარს (*საყალნოს* და *სარჩას*)[10] სეტყვასავით აყრიდნენ ქართველებს და სააკაძის ჯაჭვი მოხვედრილი ისრის ნატეხებით იყო სავსე, რაც მის კარგ ხარისხზე მეტყველებს. თათრები ხელშუბებსაც იყენებდნენ, რომლებიც თორმეტი მოხვდა სააკაძეს, მაგრამ აბჯარმა მაინც იხსნა, მაშინ როდესაც, დაბალი ხარისხის ჯაჭვის პატრონი („ავს ჯაჭოსანი") ხელშუბსა და ისარს მწყობრიდან გამოყავდა („შექნიან ცხენს ქვეშ წოლითა").

მუზარადი

მუზარადი ლითონის[11] თავსარქმელია, რომელიც თავის დასაცავად არის განკუთვნილი. ის მებრძოლის თავდაცვითი აღჭურვილობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მუდმივ ცვლილებასა და სრულყოფას განიცდიდა.

ბრძოლაში თავის დასაცავი საშუალებების გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდიდა მებრძოლის დაცულობასა და მისი გადარჩენის შანსს. რკინის მუზარადს დიდი ღირებულება ჰქონდა ყოველი მებრძოლისათვის.[12] არჩილი პირდაპირ წერს, რომ „უმუზარადოთ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია".[13] უმეტესწილად, მუზარადი უძლებდა და

---

[8] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 80. შედარებისათვის, 1081 წელს დირაქიუმთან დამარცხებული ალექსი კომნენოსის აბჯარმა ორი მხრიდან დაძგერებულ ნორმანულ შუბებს გაუძლო. Anna Komnene, *The Alexiad*, 124.

[9] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 14.

[10] საყალნო ჯავშანგამტანი ისარია, რომელსაც, საბას მოწმობით, თურქული წარმოშობის ხალხი იყენებდა; სარჩა საშუალო ზომის ბრტყელი ისარია, ცხენისა და შეუჯავშნავი მიზნების საწინააღმდეგო. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 335-6.

[11] ტყავის, ხისა და სხვ. მასალისაგან დამზადებული მუზარადი შუა საუკუნეების საქართველოში პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა და ამიტომ, მათ არც განვიხილავ.

[12] Ю.С. Худяков, К.Ш. Табалдиев, О.А. Солтобаев, "Железный шлем кыргызского воина эпохи позднего средневековья из Ак-Келя," *Кошдук Илимдержурналы*, 9 (2004), 235.

[13] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 80.

ისხლეტდა ხმალს ან ისარს, თუმცა ნაკლებად მედეგი იყო დასარტყმელი იარაღის (ლახტის) წინააღმდეგ.[14]

მუზარადების მხრივ ქართული არქეოლოგია ფრიად ღარიბია და, ძირითადად, წერილობითსა და იკონოგრაფიულ მასალას უნდა დავეყრდნოთ. მართალია, მრავალრიცხოვან ხატებზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, წმინდანებს თავზე ზუჩის ნაცვლად შარავანდი ადგათ, მაგრამ სახარებისეული თუ სხვა სიუჟეტების გადმოცემისას, მეორეხარისხოვანი ფიგურების მუზარადები საინტერესო მასალას იძლევა შესწავლისათვის.

სულხან-საბა ორბელიანი გვაძლევს მუზარადის (ზუჩის) სხვადასხვა ტიპების მკაფიო აღწერილობას: „ზუჩნიცა არიან ხუთგვარნი: რომელსა თავსა დასარქმელი რკინა აქვს, რომელსა *კვერცხად* სახელსდებენ, და ზარადი წინა და უკანით გრძ(ე)ლად, იგი არს *ზუჩი*, რომელიმე *მუზარადად* უჴმობენ; არს მსგავსი ჩუჩისა თავს დასარქმელი, საცხვირე გრძელი და არა ზარად ვლებული, იგი არს *ჩაფხუტი;* და არს თხემსა ზედა მცირე პოლოტიკი და ზარადი კისრის კერძოთა და პირსა არარა, იგი არს *ჩაჩქანი*, და სხვა არს რომელსა პოლოტიკი არა აქვს, თავ(ს) სახურავი ლიტონი ჯაჭვია, იგი არს *ჩაბალახი*".[15] როგორც ვხედავთ, საქართველოში *კვერცხი* ეწოდებოდა ლითონის ყველაზე მარტივ, პრიმიტიულ მუზარადს; სრულყოფილ *მუზარადს* (*ზუჩს*) წინაც და უკანაც ჯაჭვი ანუ ზარადი გააჩნდა (მას საცხვირეც ექნებოდა); *ჩაფხუტი* უზარადო რკინის თავსარქმელია გრძელი საცხვირეთი; *ჩაჩქანი* არის რკინის პატარა, ჯამის ფორმის ლითონის ფირფიტა ჯაჭვის ზარადით; მხოლოდ ჯაჭვის თავსარქმელს კი *ჩაბალახი* ერქვა. *სათვალე*, რომელსაც „უწოდებენ ზუჩის თვალის სახედველსა",[16] შეიძლება ყოფილიყო ჭრილები სახეზე ჩამოფარებულ ჯაჭვის ზარადზე ან ლითონის მუზარადის წარბზედა ნახევარრკალისებური ჭრილები.

ქართული მუზარადის განვითარება ძირითადად მისდევდა მისი მეზობელი რეგიონების საბრძოლო თავსარქმელების განვითარების კანონზომიერებას და ევროპისაგან განსხვავებით, დაცულობაზე წინ აყენებდა მხედველობასა და კომფორტულობას. ევროპული დახურული მუზარადებისაგან განსხვავებით, ღია მუზარადი სუნთქვას არ აფერხებდა და არ ზღუდავდა მხედველობის არეს, თუმცა, დახურულთან შედარებით, დაცულობის შედარებით ნაკლები ხარისხი გააჩნდა. ამის კომპენსაციას აღმოსავლური მუზარადი სახის დამფარავი ჯაჭვის ზარადისა და საცხვირის,[17] იშვიათად კი – აჩხაბერის, ხარჯზე ახდენდა.

---

[14] Kolias, *Byzantinische Waffen*, 85.

[15] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 289-90.

[16] იქვე, II, 30.

[17] მუზარადზე მოსრიალე საცხვირე, რომლის აწევა-დაწევაც შეიძლებოდა, მშვილდიდან სროლის გასაადვილებლად შემოიღეს, საბელი საცხვირეს რომ არ გამოდებოდა. David Nicolle, *The*

სურ. 40
ზურგზე გადაკიდებული მუზარადი: ა) H1665 დავითნის 182v მინიატურის დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) წმ. გიორგი ზემო ალვანის ნათლისმცემლის ფრესკაზე. უნაგირის ტახტაზე დაკიდებული მუზარადი: გ) ავთანდილი. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, 255-ე მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; დ) საბახტარ ავალიშვილი. კასტელის მიხედვით.

დარტყმის შესასუსტებლად და გასაფანტად მუზარადს რბილი ქსოვილის საფენი სჭირდებოდა. XIV საუკუნის ისლამური სამხედრო ტრაქტატის მიხედვით, მუზარადს აუცილებელად უნდა ჩაუფინო ქეჩა დარტყმის ძალის გასაფანტად.[18] „ისტორიანის და აზმანის“ ავტორს შემონახული აქვს

Mamluks 1250-1517 (Oxford, 1993), 10. მოძრავი საცხვირე ფართოდ ვრცელდება XIV საუკუნეში და გამიზნული იყო განივი დარტყმებისაგან სახის დასაცავად, თუმცა ძლიერი დარტყმის შემთხვევაში მისი საიმედოობა საეჭვო იყო. საცხვირეს გამონაკლისის სახით თუ გამოსახავდნენ და წყაროებშიც იშვიათად გვხვდება. მას იხსენიებს არჩილი („ყაფლანს ჰკრეს ზუჩის საცხვირეს“) და ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც სიაოშ ბარათაშვილისაა და ბაინდურ თუმანიშვილის შებმას აღწერს. არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, 90; ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია“, 264. ამ ორთაბრძოლაში ბაინდურმა ხმალი „სიაოშს საცხვირეში მოახვედრა“ და ცხენიდან გადმოაგდო. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მუზარადის საცხვირემ პატრონი ხმლის ძლიერი დარტყმისაგან ვერ დაიცვა.

[18] L. A. Mayer, "Saracenic Arms and Armor," Ars Islamica, 10 (1943), 7; Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 31. მუზარადის სადების შევსება სხვა მასალითაც ხდებოდა. XV-XVII სს. შემორჩენილ სადებებში ხშირად გვხვდება გამომშრალი ბალახი,

იშვიათი ცნობა ქართული მუზარადის ასეთი საფენის შესახებ, რომელსაც *სადები* ეწოდება. ბასიანის ომის შემდეგ გახურებული ქართველები გულს ასე იგრილებდნენ: „მოვიდის კაცი და **მუზარადისა სადები** ამოჰფრიწის, და შაქრითა გატენის, და წყლითა აღავსის, და სუმიდის".[19] „სადების ამოფრეწა" ნიშნავს, რომ ის შიგნიდან იყო დამაგრებული ზუჩის გუმბათზე.

მუზარადის ქვეშ ხშირად ნაბადი ჰქონდათ ამოკრული. საქართველოს ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში თოქალთოამოკრული ჩაჩქანიც ინახება.[20] ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ჩაჩქნის ქვეშ თუშურ ქუდსაც ატარებდნენ, რომელიც სადების ფუნქციას ასრულებდა.[21]

როგორც წესი, მუზარადს უშუალოდ ბრძოლის წინ იხურავდნენ და ნიკაპზე თასმებით იკრავდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც მუზარადი პატრონს თავზე არ ეხურა, ის ზურგზე იყო თასმებით გადაკიდებული ან უნაგირის ტახტაზე დამაგრებული (სურ. 40). H1665 დავითნის 182v მინიატურაზე ზურგზე გადაკიდებულ მუზარადს ვხედავთ. ასევე ატარებს მუზარადს წმ. გიორგი ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესიაში 1529-31 წლებში შესრულებულ ფრესკაზეც. „მუზარადს ხშირად ცხენის უნაგირის ტახტას წინ დაიკიდებენ", როგორც ამას გვატყობინებს თეიმურაზ ბაგრატიონი.[22] ამ ცნობას მოწმობს კასტელის მიერ შესრულებული საბახტარ ავალიშვილის სურათი და თავაქარაშვილის მიერ დახატული ავთანდილის მინიატურაც.

მუზარადის მოხმარება

მუზარადი, რომელიც ყოველთვის ძვირად ფასობდა და ლაშქრის მხოლოდ გარკვეული ნაწილის კუთვნილებას წარმოადგენდა, ხელსაყრელი ობიექტი იყო სხვადასხვა მორთულობის დასატანად, რაც კიდევ უფრო უსვამდა ხაზს მფლობელის სტატუსს.[23] ეს მორთულობები ზოგჯერ საკმაოდ პრიმიტიული, ზოგჯერ კი მეტად მდიდრულად გაფორმებული ორნამენტისა თუ მუზარადზე დამაგრებული სხვადასხვა დეტალისაგან შედგებოდა. რიგ შემთხვევებში, მათ დამათარიღებელი და ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელი მნიშვნელობაც კი აქვთ.

ზოგჯერ ცხენის ძუასთან შერეულიც. ბამბასთან ან მატყლთან შედარებით, ასეთი მასალა ჰაერს უკეთესად ატარებდა და უფრო მოხერხებული სახმარი იყო. Tommy Hellman, "Ringbrynjehuvor Från Massgravarna Vid Korsbetningen," http://www.djurfeldt.com/patrik/cupps.html (1995).

[19] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 98.

[20] კოტე ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი. ჩაჩქანი", *სსმმ*, ტ. XIX-A, XXI-B (1957), 349, სურ. 8.

[21] იქვე, 349.

[22] თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 91.

[23] მაგალითისათვის, ლ. შერვაშიძის დაკვირვებით, H1665 დავითნის მუზარადების დიდი ნაწილის როზეტი ოქროსფერია (სპილენძია ან მოოქრული), მოოქრულია გვირგვინიც, ზოგჯერ კი – მთელი მუზარადი. მინიატურებში გვხვდება წითელი (ძვირფასი) თვლით დამშვენებული მუზარადიც. Шервашидзе, *К Вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре*, 52-3.

სურ. 41
მუზარადის მორთულობა: ა) ბურთულაში გაყრილი გაკვანძული თასმა. H1665 დავითნის 233r მინიატურის დეტალები; ბ) სამკუთხა ალამი და პლუმაჟი. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, 138-ე მინიატურა, დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

XII საუკუნიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ქართული მუზარადის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ზუჩის გუმბათის თავის ბურთულოვანი დაბოლოებაა, როგორც ეს დასტურდება ჯრუჭის II ოთხთავის (XII ს.), H1665 დავითნისა (XIV ს.) და „როსტომიანის“ (XVII ს.) მინიატურებით.[24] ქართული მუზარადებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, შროშანის (თუ სამყურას) ორნამენტის გამოსახვა ზუჩის გუმბათზე.[25]

XIV საუკუნის საქართველოში შეიმჩნევა მუზარადის ტრადიციულ ბურთულაში გაყრილი გაკვანძული თასმა, რომლებიც ჩანს დავითნის 229r, 233r მინიატურებზე.[26] ამ ტიპის მოსართავი განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება მონღოლურ ხანაში მუზარადის თავზე დაკიდებული ტყავის ორი ენის სახით.[27] მონღოლურისაგან განსხვავებით, ქართულ ვარიანტს მკაფიოდ გამოხატული ორი გრძელი ენის ნაცვლად მოკლე ენები ახასიათებს.

მონღოლური ხანისთვისაა დამახასიათებელი გრძელი წვეტით დაბოლოებული მუზარადიც. მ. გორელიკის მიხედვით, ამ წვეტზე დამაგრებული პატარა სამკუთხა ალამი, ე.წ. „იალოვეცი“ XV საუკუნის ბოლო მესამედში ჩნდება აღმოსავლეთირანულ მინიატურაში და ფართოდ ვრცელდება XVI საუკუნიდან.[28] ეს სამკუთხა პატარა ალამი აზიაში, როგორც წესი, წითელი ფერისა იყო.[29] მეტად პოპულარულმა და ფართოდ გავრცელებულმა *იალოვეცმა* ჩვენთანაც შემოაღწია. XVII საუკუნის ქართულ მუზარადების წვეტს

---

[24] აგრეთვე იხ. მამუკა წურწუმია, „ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში“, *ქართველოლოგია*, 5 (2010), 35; Mamuka Tsurtsumia, "The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet," *Acta Militaria Mediaevalia*, 7 (2011), 84-5.

[25] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

[26] ამ თასმას, შესაძლოა, პრაქტიკული ფუნქციაც ჰქონდა და მას მუზარადის საკიდად იყენებდნენ.

[27] Горелик, "Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.)," 194.

[28] Michael Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," in *Islamic Arms and Armour*, ed. by Robert Elgood (London, 1979), 50; მისივე, "Ранний монгольский доспех," 193-4; მისივე, "Украденный подвиг Дмитрия Московского (Донского)," *История Оружия*, 5-6 (2012), 56. თუმცა, ბერლინში დაცულ ე.წ. „დიცის ალბომის“ XIV საუკუნის თავრიზულ მინიატურებში უკვე შეინიშნება სამკუთხა წითელი ალმები მუზარადებზე.

[29] Л.А. Бобров, Ю.С. Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," *Военное дело номадов Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 2002), 131.

სურ. 42
მარცხენა მხარეს გამოსახული ქვეითი ორფრთიანი მუზარადით ლახტს ურტყამს მხედარს, რომელსაც ერთფრთიანი ზუჩი ხურავს. „უთრუთიან-საამიანი", S1594 ხელნაწერი, 72v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მამუკა თავაქარაშვილისა და კრისტეფორო კასტელის სურათებზე გრძელი, ვიწრო სამკუთხა ალმები ამშვენებს (სურ. 41).

მუზარადს ხშირად ამკობდნენ ცხენის ძუითა თუ ფრინველის ფრთებით. პლუმაჟის ჩასამაგრებლად მუზარადს საგანგებო ლითონის მილს უკეთებდნენ.[30] გვიანი შუასაუკუნეების ირანული მუზარადებისათვის დამახასიათებელია ნახევარსფერულ გუმბათზე დამაგრებული ორი მომცრო მილი ფრთებისათვის.[31] მათგან განსხვავებით, XV ს. მიწურულის – XVI ს. ოსმალური მუზარადისათვის დამახასიათებელია ერთი, მარცხენა მხარეზე დამაგრებული დიდი ზომის მილი ფრთისათვის.[32] ასეთი თითო-თითო მილი აქვს თავაქარაშვილისა და კასტელის სურათებზე გამოსახულ ქართულ მუზარადებს. ოსმალური გავლენა უნდა ვივარაუდოთ XVII-XVIII სს. „უთრუთიანის" (H61 ხელნაწერი) იმ მუზარადებზეც, სადაც ერთფრთიანი მორთულობაა გამოსახული. ასეთია 60v, 61r, 69r, 70r, 71v, 72r, 77r, 83r, 86r, 93v, 94r, 103r და 112v მინიატურები. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის მინიატურები (72v, 74r), სადაც ორივე ტიპის – ოსმალური (ერთფრთიანი) და ირანული (ორთფრთიანი) მუზარადების მორთულობაა გამოსახული (სურ. 42). მუზარადი მარცხენა მხარეს ჩამაგრებული ერთი ფრთით არის გამოსახული „როსტომიანის" 489r მინიატურაზეც.

სეგმენტური მუზარადი

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ახ.წ. 500 წლისათვის ლითონის ერთი მთლიანი ნაჭრისაგან გაკეთებული მუზარადის ტექნოლოგია პრაქტიკულად დაიკარგა, რამაც სეგმენტური მუზარადების ფართო გავრცელება განაპირობა.[33] განსაკუთრებით იყო გავრცელებული *შპანგენჰელმი* – მუზარადი, რომლის კონსტრუქციის საფუძველი ჩარჩოზე დამაგრებული მომრგვალებული ფორმის ლითონის 6 სეგმენტი (ზოგჯერ, 4 ან 8) იყო.[34]

სეგმენტური მუზარადის დამზადება ბევრად ადვილი იყო, არ საჭიროებდა

---

[30] Л.А. Бобров, Ю.С. Худяков, "Боевые наголовья кочевников Монголии и Калмыкии второй половины XVI-начала XVIII в.," *Древности Алтая*, 11 (2003), http://e-lib.gasu.ru/da/archive/2003/11/13.html.

[31] Stephen V. Grancsay, "The New Galleries of Oriental Arms and Armor," *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, vol. 16, no. 9 (1958), 245.

[32] H. Russell Robinson, *Oriental Armour* (New York, 1967), 31, 65-6.

[33] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 112. ადრე შუასაუკუნეებიდან მოყოლებული სეგმენტური მუზარადი ევრაზიის მთელ კონტინენტზე ბატონობდა, სანამ II ათასწლეულის შუახანებისათვის ის მთლიანჭედილმა მუზარადმა არ გამოდევნა. Горбунов, *Военное дело населения Алтая в III-XIV вв.*, ч. I, 71.

[34] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 113.

სურ. 43
სეგმენტური მუზარადები: ა) ჯრუჭის II ოთხთავის 231r მინიატურის დეტალი; ბ) ჯრუჭის II ოთხთავის 236r მინიატურის დეტალი; გ) H1665 დავითნის 190r მინიატურის დეტალი; დ) H1665 დავითნის 213v მინიატურის დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ოსტატობის მაღალ დონეს და შედარებით გამოუცდელ მჭედლებსაც შეეძლოთ მისი მასობრივი წარმოება. ეს ფაქტორები, III საუკუნიდან იმპერიის ტერიტორიაზე წარმოების საერთო დონის თანდათანობით დაცემასთან ერთად, გადამწყვეტი აღმოჩნდა სეგმენტური მუზარადების გავრცელების საქმეში.[35]

ითვლება, რომ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სეგმენტური მუზარადის პროტოტიპის სამშობლო ირანი ან კავკასიაა.[36] უადრესი, ძვ.წ. VI საუკუნის რკინის სეგმენტური მუზარადი კი ანატოლიაში, სარდშია ნაპოვნი.[37] ადრე შუასაუკუნეებიდანვე სეგმენტური მუზარადი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთსა თუ აღმოსავლეთ ევროპაში, ისლამურ სახელმწიფოებსა (მანამდე კი – პართულ და სასანურ ირანში) და ბიზანტიის იმპერიაში.[38]

---

[35] Simon James, "Evidence from Dura Europos for the Origins of Late Roman Helmets," *Syria*, 63 (1986), 131-3.

[36] Crawford H. Greenewalt, Jr. and Ann M. Heywood, "A Helmet of the Sixth Century B. C. from Sardis," *Bulletin of the American Schools of Oriental Research*, 285 (1992), 13. სეგმენტური მუზარადის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები იხ. Damien Glad, "The Empire's Influence on the Barbarian Elites from the Pontic Region to the Rhine (5th-7th Centuries): A Case Study of Lamellar Weapons and Segmental Helmet," in *The Pontic-Danubian Realm in the Period of the Great Migration*, ed. by Vujadin Ivanišević and Michel Kazanski (Paris-Beograd, 2012), 349-50.

[37] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 113; Greenewalt, Heywood, "A Helmet of the Sixth Century B. C. from Sardis," 1-31.

[38] VII საუკუნისათვის სეგმენტურ მუზარადს გაბატონებული მდგომარეობა უკავია ბიზანტიის

საქართველოს ტერიტორიაზე სეგმენტური მუზარადები აღმოჩენილია აფხაზეთში. წებელდის სამარხებში ნაპოვნი სამი ცალი 4-სეგმენტიანი მუზარადი თვალების ჭრილითა და თავზე პატარა ჯვარედინი ფირფიტით XII დამლევს – XIV საუკუნეებს ეკუთვნის.[39] სეგმენტური მუზარადი გარკვევით ჩანს ჯრუჭის II ოთხთავის 231r და 236r მინიატურებზე (სურ. 43ა,ბ). ორივე მინიატურაზე სამ-სამი ჯარისკაცია გამოსახული: ყველა მათგანს სეგმენტური (თითქოსდა ოთხნაწილიანი) მუზარადი ხურავს. მუზარადები სწორკიდეიანი სეგმენტებით არის შედგენილი, რომლებიც ერთმანეთს უშუალოდ, ჩარჩოს გარეშე უკავშირდება.

სეგმენტური მუზარადის სუსტი წერტილი მისი შეერთების ადგილებია. დარტყმისას ძირითადი დატვირთვა მოდის მოქლონებზე, რომლითაც სეგმენტები არის ერთმანეთთან დამაგრებული. ასევე, ძნელია მისცე სეგმენტურ მუზარადს მომრგვალებული ფორმა, რომელიც კარგია დარტყმის ასასხლეტად.[40] ამიტომ, შუა საუკუნეებში, როგორც კი ტექნოლოგიამ და მეტალურგიის დონემ სათანადო წინაპირობები შექმნა, ლითონის ერთი ნაჭრისაგან დამზადებულმა მთლიანჭედილმა მუზარადმა ჩაანაცვლა სეგმენტური მუზარადი.[41]

თუკი XII საუკუნეში სეგმენტური მუზარადები რაოდენობრივად ჯერ კიდევ სჭარბობს მთლიანჭედილს, როგორც ეს შეიძლება ვიმსჯელოთ ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურების მიხედვით, მოგვიანებით მდგომარეობა იცვლება. XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნში რამდენიმე სეგმენტისაგან შემდგარი მუზარადი უკვე იშვიათად გვხვდება (მინიატურები 190r, 213v, სურ. 43გდ) და მასში ძირითადად მთლიანი, ლითონის ერთი ნაჭრისაგან გამოჭედილი სფეროკონუსური მუზარადებია.[42]

კონუსური მუზარადი

X საუკუნეში საქართველოში, სეგმენტურ მუზარადებთან ერთად, მთლიანჭედილ, კონუსური ფორმის მუზარადსაც ვხვდებით. თავისთავად, ლითონის ერთი ფურცლისაგან გამოჭედილი კონუსური მუზარადის არსებობა იმას მოწმობს, რომ მისი უფრო ადრეული, სეგმენტურ-კონუსური ფორმებიც არსებობდნენ.

არმიაში, სადაც ის მოგვიანებითაც რჩება მუზარადის ძირითად ტიპად. John Haldon, "Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 71.

[39] Е.И. Нарожный, *Средневековые кочевники Северного Кавказа (Некоторые дискуссионные проблемы этнокультурного взаимодействия эпохи Золотой Орды)* (Армавир, 2005), 96.

[40] Allan Williams, David Edge, "Great Helms and Their Development into Helmets," *Gladius*, XXIV (2004), 123-4.

[41] სეგმენტურთან შედარებით მთლიანჭედილ მუზარადებს ნაკლები წონა და მეტი სიმტკიცე ახასიათებდათ, რამაც კიდევ უფრო განაპირობა მათი ფართო გავრცელება. Ю.И. Ожередов, "Старицинские находки," *Военное дело древнего населения Северной Азии* (Новосибирск, 1987), 117.

[42] დ. ნიკოლიც აღნიშნავს, რომ XIV საუკუნიდან აღმოსავლეთში მუზარადები უკვე ერთი მთლიანი ნაჭრისაგან მზადდებოდა. David Nicolle, *The Age of Tamerlane* (Oxford, 1990), 41.

კონუსური მუზარადის ბევრი ნიმუში არ მოგვეპოვება, მაგრამ ფარახეთის ხატზე გამოსახული დახვეწილი ფორმის მთლიანჭედილი კონუსური მუზარადი მეტყველებს იმაზე, რომ ამ სახის ზუჩს საკმაოდ კარგად იცნობდნენ საქართველოში. X საუკუნის წმ. გიორგის ხატზე ფარახეთიდან[43] აღბეჭდილია დამარცხებული ბიზანტიელი იმპერატორის თავიდან გადავარდნილი კონუსური მუზარადი უძრავი საცხვირით, თვალზედა ჭრილებით, ზარადითა და ნიკაპზე შესაკრავი თასმებით (სურ. 44). ერთი შეხედვით ზარადი თითქოს ქერცლოვანი ფირფიტებისაგან უნდა იყოს შედგენილი, თუმცა, ჯაჭვიც არ არის გამორიცხული. შესაძლოა, რკინის ზედაპირზე მუშაობის სირთულის გამო, ოსტატმა გამარტივებული სახით გადმოგვცა ჯაჭვის სტრუქტურა. ჯაჭვის ზარადის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მუზარადზე თვალზედა ჭრილები შეინიშნება. ასეთი ჭრილები კი ხშირად გვხვდება ჯაჭვის ზარადთან ერთად, როგორც ეს გვაქვს თაღ-ი-ბოსტანის რელიეფზე ქვაში გამოკვეთილ (620 წ.) ხოსრო II-ის მუზარადზე და ნომადურ-ირანულ გავლენაზე მიუთითებს. ფარახეთის მუზარადის საცხვირე ჰგავს 2009 წელს სტამბოლში, თეოდოსიუსის ნავსადგურის გათხრისას ნაპოვნ X-XI სს. საცხვირეს, რომელსაც მომრგვალებული თვალის ჭრილი ემჩნევა.[44]

სურ. 44
კონუსური მუზარადი X ს. ფარახეთის ხატზე. დეტალი.

კონუსური მუზარადი, რომელიც დასავლეთ ევროპაში XIV საუკუნემდე იყო გავრცელებული, რუსეთსა და აღმოსავლეთში გაცილებით ადრე გამოდევნა მონინავე ფორმის სფეროკონუსურმა მუზარადმა, რომელიც უკეთ ისხლეტდა დარტყმას.[45]

სფეროკონუსური მუზარადი

XI-XII საუკუნეებში საქართველოში ახალი ტიპის – მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადები[46] მკვიდრდება და ანაცვლებს ძველ, სეგმენტურ და კონუსურ მუზარადებს. სფეროკონუსური ფორმის მუზარადში მომრგვალებული გუმბათი კონუსურ დაბოლოებაში გადადის.[47]

---

[43] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 43.

[44] Raffaele D'Amato, *Byzantine Imperial Guardsmen 925-1025* (Oxford, 2012), 52; მისივე, "Old and New Evidence on the East-Roman Helmets from the 9th to the 12th Centuries," *Acta Militaria Mediaevalia*, 11 (2015), 108.

[45] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 25.

[46] სფეროკონუსურ მუზარადებს ხშირად და შეცდომით, მხოლოდ კონუსურად მოიხსენიებენ. მაგალითისთვის იხ. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 188. ა. არციხოვსკი კატეგორიულად წინააღმდეგია მომრგვალებული ფორმის სფეროკონუსურ მუზარადებს მხოლოდ კონუსური უწოდოს, რასაც გეომეტრიული ტერმინების აგდებით გამოყენებას უწოდებს. Арциховский, "Русское оружие X-XIII вв.," 7.

[47] სფეროკონუსური მუზარადი ძვ.წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში ჩნდება მესო-

სურ. 45
მომრგვალებული კონუსური მუზარადები XI საუკუნის მეორე ნახევრის შემოქმედის ხატზე. დეტალი.

XI საუკუნეში კონუსური მუზარადი თანდათანობით გადადის სფეროკონუსურში. XI საუკუნის შემოქმედის ხატზე გამოსახულ სამ მეომარს ახურავს ერთი ნაჭრისაგან გამოჭედილი მუზარადები: ისინი უკვე საკმაოდ მომრგვალებულია, თუმცა ჯერ კიდევ ინარჩუნებენ კონუსურ ფორმას[48] (სურ. 45). მუზარადს აქვს უკანა, ჩამოგრძელებული ნაწილი, რომელიც კეფასა და კისრის ზედა ნაწილს ფარავს და რომელიც უფრო გვიანდელი მუზარადისთვისაა დამახასიათებელი.[49] მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადები უკვე მრავლად გვხვდება XII საუკუნის ჯრუჭის მეორე ოთხთავის 111r, 118r და 186v მინიატურებზეც. 186v მინიატურაზე მებრძოლებს ახურავთ მთლიანი და რამდენიმე ნაჭრისაგან შეჭედილი სფეროკონუსური ზარადიანი მუზარადები, რომელთაც გარშემო წვრილი სალტე შემოუყვებათ, ზუჩის გუმბათი როზეტითა და მრგვალი ბურთულით ბოლოვდება (სურ. 46).

სურ. 46
მთლიანჭედილი და სეგმენტური სფეროკონუსური მუზარადები. ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მთლიანჭედილი სფეროკონუსური მუზარადების არსებობა საქართველოში მატერიალურადაც დასტურდება. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება ე.წ. „ჯალალ ადდინის მუზარადი“, რომელიც 1401-15 წლების

პოტამიაში. მისი ფორმა საბოლოოდ ყალიბდება მეორე ათასწლეულის შუა ხანებისათვის სირია-პალესტინის რეგიონში. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 135-6. მ. გორელიკი აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთთან ასე თუ ისე დაკავშირებულ ტერიტორიებზე, ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუახანებიდან ლითონის მუზარადების არსებობა მხოლოდ ამიერკავკასიაში აღინიშნება. იქვე, 139.

[48] რ. დ'ამატო იზიარებს ჩემ აზრს, რომ შემოქმედის მუზარადები სფეროკონუსური მუზარადებისაკენ გადადგმული ნაბიჯია. იხ. D'Amato, "Old and New Evidence on the East-Roman Helmets from the 9th to the 12th Centuries," 67.

[49] ასეთივე ყურსაფარი აქვთ ჯრუჭის მეორე ოთხთავის 111r მინიატურაზე გამოსახულ მებრძოლებსაც.

„ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელის“ გადმოცემით XIII საუკუნეში თავად დამარცხებულ ჯალალ ად-დინს წაართვეს და შემდგომ მრავალძლის მონასტერს შესწირეს.[50] მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება,[51] მრავალძლის მონასტერში მართლაც ინახებოდა მუზარადი, რომელმაც დღემდე მოაღწია (სურ. 47). ე.წ. ჯალალ ად-დინის მუზარადს აქვს მოქლონებით დამაგრებული ფართო გვირგვინი, რომლის ზედა ნაწილი კბილანების ფორმისაა. ჯაჭვის ზარადი, რომელიც დაკარგულია, ემაგრებოდა საკიდ კავებში გაყრილ ლითონის წნელს. მუზარადი დაზიანებული და დეფორმირებულია, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას სათვალის ჭრილი და საცხვირე არ ჰქონდა. გუმბათის თავი დაზიანებულია და მისი დაბოლოება არ ჩანს. ამჟამინდელ მდგომარეობაში მუზარადი 964 გრამს იწონის, თავდაპირველი წონა კი 1 კგ-ზე ცოტა მეტიც იქნებოდა (ზარადის გარეშე). მისი დიამეტრი 21 სმ, სიმაღლე კი 13.8 სმ-ია, თუმცა თავდაპირველი სიმაღლე 17-18 სმ მაინც იქნებოდა.

სურ. 47
ე.წ. ჯალალ ად-დინის მუზარადი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

მიუხედავად მუზარადის დღევანდელი მდგომარეობისა, მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა. მისი გუმბათი საკმაოდ კარგადაა გამოჭედილი, რაც არსებული ტრადიციის მიმანიშნებელი უნდა იყოს. სამაგიეროდ, რიგი ნიშნები, როგორიცაა გვირგვინის არცთუ აკურატული მიმაგრება გუმბათთან და გვირგვინის მოქლონების არასწორი რიგები, შესრულების არც ისე მაღალ ხარისხზე მიუთითებს.[52] გვირგვინს ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული ის დახვეწილი ფორმა, რომელიც XIV საუკუნისათვისაა დამახასიათებელი. ეს კი შეიძლება მიანიშნებდეს საქართველოში ფართო ტიპის გვირგვინის გავრცელების საწყის სტადიაზე. არ არის გამორიცხული, რომ საქმე გვქონდეს XIII საუკუნის მეორე ნახევრის ადგილობრივ, პროვინციულ ხელობასთან.

როგორც ვხედავთ, ჯალალ ად-დინის მუზარადზე ადგილობრივ, რეგიონში უკვე დამკვიდრებულ ნიშნებთან (მთლიანჭედილი გუმბათი, ჯაჭვის ზარადი)

[50] „ოდეს წარგჳჩინა თჳთ და ამისად რუსუდან მეფემან ლაშქარსა სპარსისასა და გაგუმარჯუა; მინდორს შევიბენით და ამოვსწყუდეთ. მოვართჳთ დროშა და თაჯი თჳთვან მაღლის სულთნისა და გჳყო წყალობა და გჳბოძა ჯილდოდ, რაც ვიაჯეთ... და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშნესა ჩუენსა, და თაჯი მრავალძალსა“. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, ტ. II, 210-1.

[51] ქართველებს თავად ჯალალ ად-დინი არც ერთ ბრძოლაში არ დაუმარცხებიათ, და ცხადია, არც მუზარადი წაურთმევიათ.

[52] მუზარადის ხარისხი თავისთავად გამორიცხავს ჯალალ ად-დინისადმი მის მიკუთვნებას.

სურ. 48
ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის ფასადზე გამოხატული მუზარადი. ს. სარჯველაძის ფოტო.

ერთად შეინიშნება ახალი მოტივიც – ფართო გვირგვინი გუმბათს შემოყოლებული წვრილი სალტის ნაცვლად, რომელიც XII საუკუნეში გვხვდებოდა.[53] შედარებისათვის, ვაველის მუზარადს გვირგვინის კბილანების ნაცვლად ხშირი სამყურა ორნამენტი ამშვენებს, მისი გვირგვინიც ბევრად დაბალია. თუკი ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, გარდამავალ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ ბაყათარის მუზარადი, რომელზეც უკვე ვხედავთ გვირგვინის ზედა ნაწილის მოსართავად გამოყენებულ სამყურა ორნამენტს, თუმცა უფრო იშვიათს, ვიდრე ვაველისა და ერმიტაჟის მუზარადებზე.[54] მისი გვირგვინი ჯერ კიდევ მაღალია და ამჟღავნებს ნათესაობას ჯალალ ად-დინის ტიპის მუზარადებთან.

ევოლუციის პროცესში ჯალალ ად-დინის მუზარადის შემდგომი საფეხურია ე.წ. „ბაყათარის მუზარადი“. დ. ნიკოლის აზრით, ამ ზუჩის „კონსტრუქცია ავლენს მნიშვნელოვან მეტალურგიულ ცოდნასა და ლითონის მოზრდილი ფურცლების დამუშავების უნარს“.[55] ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რექომში, ოსურ სალოცავში ინახებოდა მუზარადი, რომელიც გადმოცემით ლეგენდარულ ოს გმირს, ბაყათარს, ეკუთვნოდა.[56] მოგზაურთა (ვ. პფაფი, ა.

[53] ჯალალ ად-დინის მუზარადის მსგავსი გვირგვინის კბილანები შეიმჩნევა სვანეთში, ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესიის გარეთა, ჩრდილოეთ ფასადზე გამოხატულ ამირანდარეჯანიანის სიუჟეტზე (სურ. 48). აქ გამოსახული ბადრის მუზარადი ბოლოვდება როზეტით. არ არის გამორიცხული, რომ გრძელი ზოლი, რომელიც ზემოდან გადადის გვირგვინზე, მოუხეშავად დახატული ზევით აწეული მოძრავი საცხვირე იყოს. ეს რომ სეგმენტური მუზარადის გამყოფი ზოლი იყოს, გვირგვინის ქვემოთ უნდა იმალებოდეს.

[54] М.В. Горелик, “Монголо-татарское оборонительное вооружение второй половины XIV – начала XV в..” *Куликовская битва в истории и культуре нашей Родины* (Москва, 1983), 263.

[55] David Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia* (London, 1999), 240.

[56] ამ სალოცავის საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და იქ შენახული ქართული ნივთების შესახებ იხ. წურწუმია, „ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში“, 40-2; Tsurtsumia, “The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet,” 88-9.

მილერი) აღწერით, რომელთაც ჩანახატებიც დაგვიტოვეს, ეს იყო ფოლადის ზუჩი მოძრავი საცხვირითა და ჯაჭვის ზარადით.[57] უკანასკნელ ხანს ა. დარჩიევმა მოიძია და ხელახლა გამოაქვეყნა ქართველი არქეოლოგის გ. ნიორაძის მიერ XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული რქომის რელიკვიების უნიკალური ფოტო, რომელზეც ბაყათარის მუზარადიცაა აღბეჭდილი[58] (სურ. 49). ვ. კუზნეცოვის აზრით, რომელმაც გამოკვლევაც მიუძღვნა რქომს, საქმე ეხება ისტორიულ პიროვნებას, რომელიც რეალურად არსებობდა და XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა და იბრძოდა საქართველოში.[59] მართლაც, ქართველი მემატიანე გვიამბობს XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსეთიდან ოქროს ურდოს მიერ გამოძევებული ოჯახის ისტორიას, რომლის მცირეწლოვანი ვაჟები, ფარეჯანი და ბაყათარი, საქართველოში დასახლდნენ.[60] შემდგომში ბაყათარი გვევლინება საქართველოში მყოფ ოსთა მთავრად და საკმაოდ დიდ ძალაუფლებასაც იხვეჭს. ის ინტენსიურად მონაწილეობს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებში, რასაც ეწირება კიდეც 1306 თუ 1307 წელს ძამის ციხესთან.[61] როგორც ჩანს, სიკვდილის შემდეგ ბაყათარი გადაასვენეს ოსეთში, საგვარეულო აკლდამაში, მისი აღჭურვილობა (ზუჩი, შუბი და კაპარჭი)[62] კი რქომის სალოცავს შეწირეს.[63] ბაყათარის მუზარადის XIV საუკუნის შუახანებით ან მეორე ნახევრით დათარიღება[64] ხელოვნური მეჩვენება. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უკვე არსებობს ბაყათარის ზუჩისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: მთლიანჭედილი სფეროკონუსური



სურ. 49
ბაყათარის მუზარადი: ა) პფაფის 1869 წლის ჩანახატი, ბ) მილერის 1928 წლის ჩანახატი, გ) ნიორაძის ფოტო.

[57] В.А. Кузнецов, *Реком, Нузал и Царазонта* (Владикавказ, 1990), 37.

[58] А.В. Дарчиев, "О некоторых реликвиях святилища Реком," *Вестник Владикавказского научного центра*, т. 12, №1 (2012), 2-3. გ. ნიორაძის ფოტო პირველად გერმანიაში გამოცემულ მის წიგნში გამოქვეყნდა: G.K. Nioradze, *Die Berg-Ossen und ihr Land. Eine anthropologisch-ethnographische Untersuchung eines kaukasischen Volkes* (Berlin, 1923), 42, Taf. 12.

[59] Кузнецов, *Реком, Нузал и Царазонта*, 37.

[60] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 136.

[61] იქვე, 198, 210-2.

[62] ზოგიერთი ცნობებით, ასევე, სამკლავე და ლახტიც. Е.И. Нарожный, "О шлемах из сел. Ярыш-Марды и святилища Реком (Чечня и Северная Осетия)," *МИАСК*, вып. 2 (Армавир, 2003), 116.

[63] Кузнецов, *Реком, Нузал и Царазонта*, 40.

[64] Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 263; Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 240. დ. ნიკოლი თავადვე „მეტად საეჭვოს" უწოდებს საკუთარ დათარიღებას, რომელიც რეალურად მართლაც არაფერს ემყარება.



სურ. 50
XIV საუკუნის მუზარადი ვაველის მუზეუმიდან: ა) წინხედი, ბ) გვერდხედი. კრაკოვი, პოლონეთი. ს. მიშტას ფოტო.

გუმბათი,[65] სათვალეები,[66] მოძრავი საცხვირე.[67] აღსანიშნავია, რომ რექომის მუზარადს პრაქტიკულად იმავე პერიოდით, კერძოდ, XIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა ა. კირპიჩნიკოვი, რომელთანაც ამ მუზარადის თაობაზე საგანგებო კონსულტაცია გაიარა ვ. კუზნეცოვმა.[68] ჩრდილოკავკასიური შეიარაღების მკვლევარი ე. ნაროჟნიც უშვებს, რომ რექომში მართლაც ბაყათარის საჭურველი ინახებოდა და მუზარადიც მის თანამედროვე ეპოქას ეკუთვნოდა.[69] ჩემი აზრითაც, რექომში არსებული საჭურველი და მუზარადი ოსების მთავარს ბაყათარს ეკუთვნოდა. ბუნებრივია რომ, ეს შეიარაღება მას საქართველოში ეშოვა (შეეძინა ან მოეპოვებინა). ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან საჭურველის გავრცელებას არ გამორიცხავს ა. სალნიკოვიც, რომელიც ამავე დროს საქართველოს თვლის მონღოლური ირანის შეიარაღების ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიად.[70]

---

[65] იხ. XI-XII საუკუნეების მუზარადების ქართული გამოსახულებები.

[66] მუზარადის წარბზედა რკალისებური ჭრილები ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის შუახანებიდან შეინიშნება სირია-პალესტინაში. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 137. შემდგომში მუზარადის ეს დამახასიათებელი დეტალი ევრაზიის მთელ კონტინენტზე ვრცელდება და XVII საუკუნეშიც გამოიყენება.

[67] მოძრავ საცხვირეს პირველად ვხვდებით XIII საუკუნის ბოლოს ზუჩზე, რომელიც მამლუქთა სულთანს მუჰამედ იბნ კალაუნს ეკუთვნოდა. Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 42, fig. 134; Горелик, "Ранний монгольский доспех," 191.

[68] Кузнецов, *Реком, Нузал и Царазонта*, 39.

[69] Нарожный, "О шлемах из сел. Ярыш-Марды и святилища Реком," 118.

[70] А.В. Сальников, "Эволюция вооружения северокавказского воина XIII-XV веков под влиянием центральноазиатского и европейского военного дела," Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук (Ставрополь, 2008), 68, 104.



სურ. 51
ვაველის მუზარადის როზეტი ქართული წარწერით.

ბაყათარის მუზარადი მცირედი სახეცვლილებების შემდეგ (გუმბათი საბოლოოდ იხვეწება, გვირგვინი დაბლდება, სამყურა ორნამენტი უფრო ხშირია და სათითაოდ მიმაგრებული, ჩნდება როზეტი) XIV საუკუნეში ტრანსფორმირდება ვაველის ტიპის მუზარადად, რომელზეც დეტალურად შევჩერდები.[71] პოლონეთში, კრაკოვში, ვაველის სასახლის მუზეუმში 1946 წლიდან ინახება მუზარადი, რომელიც თავდაპირველად თავადი კრასინსკების საკუთრება იყო[72] (სურ. 50). პოლონელი და უცხოელი ავტორები მას საუკეთესო ირანულ ნაკეთობად მიიჩნევენ და XIV საუკუნით ათარიღებენ.[73] ვაველის სფეროკონუსურ მუზარადს ამშვენებს დაბალი გვირგვინი სამყურა ორნამენტით, აქვს სათვალის ჭრილები დეკორატიული „წარბების“ კვალით, რომლებიც ამჟამად დაკარგულია. სათვალის ჭრილებს შორის ბუდეა, რომელშიც ბრტყელი საცხვირე სრიალებდა, თავად საცხვირე კი დაკარგულია. მუზარადის გუმბათის ქვედა კიდეზე, სათითაოდ მოქლონით დამაგრებული, ჯაჭვის ზარადის საკიდი კავებია. ამ კავებში გაყრილია ლითონის წნელი, რომელზეც ზარადის ჯაჭვის ზედა რგოლები იყო დაკიდებული. გრძელი ზარადი, რომელიც ასევე დაკარგულია, ვიწრო სათვალე ხვრელების გარდა ფარავდა მთელ სახეს, ეშვებოდა ქვემოთ და იცავდა მხრებსაც. მუზარადის თავზე სამყურა ორნამენტით შედგენილი როზეტია წარწერითა და პატარა ნახვრეტით, რომელშიც ალბათ, ბურთულა მაგრდებოდა.[74] ზუჩის წონა 985 გრამია, სიმაღლე – 20 სმ, დიამეტრი კი 21.5 სმ.

ვაველის მუზარადის წარმოშობისა და ისტორიის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს მასზე დატანილ წარწერას (სურ. 51). დიდი ხნის განმავლობაში ამ წარწერის წარმომავლობაც კი უცნობი იყო პოლონელი ავტორებისთვისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ შინაარსზე, რომელიც დღემდე გაუგებარი რჩებოდა. ზდისლავ ჟიგულსკი თავისი ნაშრომების (*Stara Bron w Polskich Zbiorach*, 1982; *Bron Wschodnia*, 1983) მხოლოდ მეორე გამოცემებში (1984 და 1986) ამბობს, რომ

---

[71] ვაველის მუზარადისა და მისი ქართული ატრიბუციის შესახებ ვრცლად იხ. წურწუმია, „ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში“, 29-57; Tsurtsumia, "The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet," 79-103.

[72] Zdzisław Zygulski, *Stara Bron w Polskich Zbiorach* (Warszawa, 1982), 219.

[73] Robinson, *Oriental Armour*, 27-8; Zygulski, *Bron Wschodnia*, 62; Горелик, "Ранний монгольский доспех," 192; Antoni R. Chodynski, "The Sun and the Lion – Sketches on Persian Militaria," in *Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, catalogue exhibition ed. by Antoni Romuald Chodynski (Malbork, 2000), 32; Lech Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," in *Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, catalogue exhibition ed. by Antoni Romuald Chodynski (Malbork, 2000), 69.

[74] თუკი ვიმსჯელებთ ნახვრეტის ზომითა და გარკვეული ანალოგიებით.

წარწერა ქართულია და მას მოგვიანებით დატანილად მიიჩნევს.[75] აქედანვე უნდა ითქვას, რომ მისი ვარაუდი სწორია და წარწერა მოგვიანებით, XVII საუკუნეშია შესრულებული. მუზარადის წარწერა მართლაც ქართულია, მისი პირველი ნახევარი (ღმერთისა და წმინდა გიორგისადმი მიმართვა) თავისუფლად იკითხება, მეორე ნაწილი კი დაღვლარჭნილი და საკმაოდ ძნელი გასაშიფრია. ჩემი თხოვნით, ის ამოიკითხა და მეჩვიდმეტე საუკუნით დაათარიღა პროფესორმა ვალერი სილოგავამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ. წარწერის შინაარსი ასეთია: ***ღმერთო და მხნეო მხედარო, დიდო წმინდ(ა)ო გიორგიო, გ(ა)უმარჯვე ჩიჯ(ა)ვაძეს საზე(ე)რელს.*** როგორც ვხედავთ, ვაველის მუზარადის ქართული წარწერა საკმაო ინფორმაციის შემცველია და გვაწვდის ზუსტ ცნობას მისი პატრონის ვინაობის შესახებ.

ჩიჯავაძეები იმერეთის ძლიერი ფეოდალური გვარი იყო[76] და მათ ხსენებას მატიანეში საკმაოდ ხშირად ვხვდებით. XVII საუკუნის საქართველოს ისტორია ორ საზვერელ ჩიჯავაძეს იცნობს.[77] პირველმა, 1619 წელს, იმერეთში გაძევებული ყოფილი არაგვის ერისთავი ბაადური მოკლა და ცოლი წაჰგვარა. ბაადურის ძმა, ცნობილი ზურაბ ერისთავი თავს დაესხა ჩიჯავაძეს, მოკლა და თავი მოკვეთა მას.[78] მეორე საზვერელ ჩიჯავაძე 1679 წელს იმერეთში მიმდინარე შინაომში მონაწილეობდა და რაჭაში დაიღუპა ბრძოლისას.[79] როგორც ვხედავთ, ორივე ჩიჯავაძე მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა და მოქმედებდა. მუზარადზე წარწერა რომელიმე მათგანის მფლობელობის პერიოდში უნდა ამოეტვიფრათ. ეს კი ნიშნავს, რომ XIV საუკუნეში გამოჭედილი ზუჩი საქართველოში იმყოფებოდა, სულ ცოტა, სამ საუკუნეზე მეტ ხანს[80] და მას ბოლომდე აქტიურად, თავისი დანიშნულებით იყენებდნენ.[81]

ვაველის მუზარადს ჰგავს სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში დაცული იდეალურად ნაჭედი ფოლადის მუზარადიც, რომელიც უდავოდ ვაველის ტიპს მიეკუთვნება და მისგან მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება: სამყურა ორნამენტი აქ ზემოდანაცაა მოზღუდული, გუმბათი ცო-

---

[75] მუზარადის „როზეტი მოგვიანებით დამატებული რელიგიური შინაარსის ქართული წარწერით". Zygulski, *Stara Bron w Polskich Zbiorach*, 219; ზუჩის „თავზე სპილენძის ფირფიტაა, ალბათ მოგვიანებით დატანილი, ქართული წარწერით". Zygulski, *Bron Wschodnia*, 62.

[76] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 36.

[77] „საზვერელი" ჩიჯავაძეთა საგვარეულო სახელია და საბაჟოს ძველ სახელწოდებასთან – „საზუერე"-სთან უნდა იყოს დაკავშირებული. ნ. ბერძენიშვილი, „ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში", *სის*, ნ. I (თბილისი, 1964), 188-92. საზუერელ ჩიჯავაძე პირველად 1401-07 წლის საბუთში გვხვდება. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, 213.

[78] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 428-9.

[79] იქვე, 843.

[80] ჩიჯავაძის მუზარადი პოლონეთში უნდა მოხვედრილიყო XVII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც აღმოსავლური მოდით გატაცებული პოლონელი მეფეები თუ არისტოკრატია ქართულ-ჩერქეზულად იმოსებოდა და იკაზმებოდა.

[81] ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი საბრძოლო დაზიანებების კვალიც, რომელიც კარგად ეტყობა მუზარადს.

ტათი დაბალი და სფერულია და როზეტის ნაცვლად უფრო მარტივი კონუსით ბოლოვდება.[82] ერთნაირია ამ მუზარადების საცხვირე, სათვალის ჭრილი და წარბები, სამყურა ორნამენტი, ზარადის დამაგრების სისტემა და მოქლონით სათითაოდ დამაგრებული საკიდი კავებიც.[83] ერმიტაჟის მუზარადის წონა 1456 გრამია, სიმაღლე – 18.2 სმ, დიამეტრი კი 20.6 სმ (სურ. 52). როგორც ვხედავთ, ერმიტაჟისა და ვაველის მუზარადების მსგავსება ისე დიდია, რომ შეიძლება გვეფიქრა მათი ერთი სახელოსნოსთვის მიკუთვნებაზეც, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანისაგან თავს, პირველ რიგში, მათი წონაში დიდი სხვაობის გამო ვიკავებ: ოდნავ პატარა ზომების მიუხედავად, ერმიტაჟის მუზარადი წონაში თითქმის ნახევარი კილოთი აღემატება თავის ტყუპისცალს. თუმცა, იმის ვარაუდს ვერსად წავუვალთ, რომ ორივე ეს მუზარადი გვერდიგვერდ, ერთ რეგიონსა და ეპოქაშია დამზადებული.

სურ. 52
ერმიტაჟში დაცული ვაველის ტიპის მუზარადი. ინვენტარის ნომერი В.О.-1235. სანკტ-პეტერბურგი. პ. დემიდოვის ფოტო.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ მუზარადების გამოსახულებებს მრავლად ვპოულობთ XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნში (სურ. 53). დავითნის მუზარადები, განსაკუთრებით მათი გუმბათის ფორმა, ძალიან ჰგავს ვაველის მუზარადს. ისინი განსხვავდებიან მხოლოდ ზარადის ფორმითა და საცხვირით, თუმცა ამის ახსნაც იოლია. დავითნის მინიატურებზე სახის დასაფარავი ზარადისა და საცხვირის არარსებობა საეკლესიო მხატვრობის დამკვიდრებული ტრადიციით უნდა აიხსნას. ცნობილია, რომ მართლმადიდებლური იკონოგრაფიული ტრადიციისათვის არ არის დამახასიათებელი ადამიანის გამოსახვა დაფარული სახით.[84] მინიატურებზე ხშირად არ გამოსახავდნენ მოძრავ საცხვირესაც.[85] ასევე, იშვიათად გამოსახავდნენ

---

[82] ე. ლენცი, რატომღაც, მიუთითებს ერმიტაჟის მუზარადის გუმბათზე არსებულ XV-XVI საუკუნეების ევროპულ ორნამენტზე. Э.Э. Ленц, *Императорский Эрмитаж. Указатель отделения средних веков и эпохи Возрождения*, ч. I, *Собрание оружия* (Санкт-Петербург, 1908), 134. მ. გორელიკიც იმავეს იმეორებს. Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 265. ერმიტაჟიდან გამოგზავნილი მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოების დათვალიერებისას დავრწმუნდი, რომ მუზარადი არ არის დაფარული ორნამენტით.

[83] ისინი გარკვეულწილად ერთმანეთს ავსებენ: ერმიტაჟის მუზარადს შემორჩენილი დეკორატიული „წარბები" წარმოდგენას გვიქმნის ვაველის მუზარადის დაკარგულ წარბებზე, ვაველის შემორჩენილი საცხვირის ბუდე კი ზუსტად „ავსებს" მის ადგილზე დარჩენილ ერმიტაჟის მუზარადის ნახვრეტებს. ყოველივე ეს იძლევა ძვირფას მონაცემებს რეკონსტრუქციისათვის.

[84] К.А. Жуков, "Русские сфероконические шлемы развитого средневековья," *Воин*, 18 (2005), 26.

[85] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 131.



სურ. 53
დავითნის სფეროკონუსური მთლიანჭედილი მუზარადები. H1665 ხელნაწერი, 233r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

საცხვირეს ირანულ მინიატურებშიც.[86] ამასვე მოწმობს დავითისა და გოლიათის ბრძოლის ამსახველი H1665 დავითნის ორი მინიატურა, რომლებიც დახურული და მოხდილი მუზარადის შედარების უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს: 230r მინიატურაზე საბრძოლოდ აღჭურვილი გოლიათია გამოსახული, რომლის მუზარადზე საცხვირე არ ჩანს (სურ. 54); 230v მინიატურა კი გვიჩვენებს დამარცხებული, თავმოკვეთილი გოლიათის გვერდით

[86] Robinson, *Oriental Armour*, 28.





სურ. 54
გოლიათი მუზარადით, რომელზეც არ ჩანს საცხვირე. H1665 ხელნაწერი, 230r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 55
იგივე მუზარადი საცხვირეთი თავმოკვეთილი გოლიათის გვერდით. H1665 ხელნაწერი, 230r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დაგდებულ მისივე მუზარადს, რომელზეც უკვე მკაფიოდ ჩანს საცხვირე, განსაკუთრებით მისი ქვედა ნაწილი (სურ. 55). რა თქმა უნდა, ღია ტიპის, ზარადით სახედაუბურავი მუზარადებიც იარსებებდნენ, მაგრამ დავითნის აბსოლუტურად ყველა მუზარადის ღია ფორმა, ალბათ, მაინც მხატვარს უნდა „დავაბრალოთ".

ვაველის ტიპის მუზარადი საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მას მცირედი სახეცვლილებით სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში, პრაქტიკულად ფეოდალური ეპოქის დასასრულამდე, იყენებდნენ. ამ ფაქტს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთდროულად და ერთნაირად, გადმოგვცემს ორი წყარო, რომლებშიც XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოა აღწერილი: მამუკა თავაქარაშვილის „ვეფხისტყაოსნის" მინიატურები და კრისტოფორო კასტელის ალბომები.

მამუკა თავაქარაშვილის მინიატურებში ორი ტიპის მუზარადს ვხვდებით: ჩალმისებურ მუზარადს (შედარებით იშვიათად) და ვაველის მუზარადს მცირედი მოდიფიკაციით, რომელიც, როგორც ჩანს, ძირითადი თავის დასაცავი საშუალება იყო. 255-ე მინიატურაზე ავთანდილის უნაგირის ტახტაზე დამაგრებულია ზუჩი, რომელიც ვაველის მუზარადის ანალოგიურია: იგივეა გუმბათის ფორმა, დეკორატიული წარბები, ზარადი, როზეტი გუმბათის წვეროზე, გვირგვინის ფორმა, რომლის ზედა კიდე ზუსტად იმეორებს ვაველის მუზარადის ორნამენტს[87] (სურ. 56). მინიატურების მთელ ჯგუფზე (138, 187, 199, 319, 341 და 429) გამოსახულ მებრძოლებს ასეთივე მუზარადე-

[87] გასაგებია, რომ პატარა ზომის გამო მხატვარი გამარტივებულად გადმოგვცემს სამყურა ორნამენტს. საინტერესოა, რომ ავთანდილის გარე სამოსიც მთლიანად სამყურა ორნამენტითაა დაფარული (255-ე, მე-300 და 310-ე მინიატურები). ასეთივე სამყურა ორნამენტებითაა მორთული „ვეფხისტყაოსანში" ლევან დადიანის, ტარიელის, ნესტან-დარეჯანისა და როსტევანის სამოსიც.

სურ. 56
ავთანდილი ვაველის ტიპის მუზარადით უნაგირის ტახტაზე. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 255. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 57
ვახტანგ გურიელი ვაველის ტიპის მუზარადით. კასტელის მიხედვით.

სურ. 58
მამია გურიელი ვაველის ტიპის მუზარადით. კასტელის მიხედვით.

ბი ახურავთ. მცირედი მოდიფიკაცია შეეხო ზუჩის უკანა მხარეს, რომლის ლითონის ნაწილიც ჩამოგრძელებულია და მთლიანად ფარავს კეფას, კისრის ზედა ნაწილსა და ყურებს.[88] ცალკეულ შემთხვევებში მუზარადის თავს ბურთულის ნაცვლად პატარა ალამი ამშვენებს, რომელიც გვიან შუასაუკუნეებში იყო პოპულარული.

იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი 1628-54 წლებში მოღვაწეობდა საქართველოში. კასტელის ალბომში გამოსახული ქართველ მეომართა ზუჩები მეტად ჰგავს ვაველის მუზარადს და პრაქტიკულად იმეორებს თავაქარაშვილის მინიატურებს[89] (სურ. 57 და 58). თავაქარაშვილის მინიატურების მსგავსად, კასტელის მიერ დახატული ქართული ზუჩები ატარებენ გვიანი მოდიფიკაციის კვალს და ჩამოგრძელებული კისრის საფა-

[88] ანუ ქართულმა მუზარადმა განიცადა იგივე სახეცვლილება, რაც XIV საუკუნეში ევროპულმა ბასცინეტმა, რომელიც 1330 წლის შემდეგ გრძელდება ქვემოთ და ფარავს ყურებსა და კისერს. Claude Blair, *European Armour: circa 1066 to circa 1700* (London, 1958), 67. როდის მოხდა ეს საქართველოში, ძნელი სათქმელია, რადგანაც პრაქტიკულად არ გაგვაჩნია მონაცემები XV-XVI საუკუნეების მუზარადის შესახებ.

[89] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 43, 44, 48.

სურ. 59
საბახტარ ავალიშვილის ზუჩი გვირგვინის სამყურა ორნამენტით. კასტელის მიხედვით.

რით ხასიათდებიან. ასევე, მუზარადებზე დამატებით ვხედავთ ალამსა და ჯიღას. სხვა მხრივ, კასტელის ნახატები საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს განსახილველ მუზარადთან.

ამ ორი წყაროს მონაცემები ერთი გარემოებითაც არის მეტად საყურადღებო: კასტელი მეტწილად დასავლეთ საქართველოს აღწერს და თავაქარაშვილიც ამ მხარეში მოღვაწეობდა. ასე რომ, ორივენი ძირითადად დასავლეთ საქართველოს რეალიებს ასახავენ თავიანთ ნაშრომებში. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთს არ განუცდია მონღოლურ-ირანული ზეგავლენა. ის ფაქტი, რომ ვაველის ტიპის მუზარადი დასავლეთ საქართველოშია ყველაზე განვითარებული, ვერ აიხსნება მუზარადის შესაძლო მონღოლურ-ირანული წარმოშობითა და ირანული გავლენით.

ამასთანავე, ვაველის მუზარადი ისლამური ნიმუშებისაგან ნაკლები, თითქოსდა ევროპული სტილის ორნამენტულობით გამოირჩევა; არ შეიმჩნევა ორნამენტი, რომელიც მუზარადის გუმბათს მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ფარავს; არ აქვს წარწერები სპარსულ ან არაბულ ენაზე ყურანიდან. მუზარადის გუმბათის ფორმა ადგილობრივი, კავკასიური ტრადიციის გაგრძელება უფროა, ვიდრე მონღოლურ-ირანულის;[90] როზეტი და მრგვალი ბურთულა მუზარადის წვეროზე, ასევე, სრული ზარადი მონღოლების გამოჩენამდე იყო გავრცელებული.[91] ვაველის წინამორბედი მუზარადის მფლობელი ბაყათარი საქართველოში ცხოვრობდა, იბრძოდა და აქვე აღესრულა; ვაველის ტიპის მოდიფიცირებული მუზარადები გვხვდება XVII საუკუნის საქართველოში; ჯალალ ად-დინის, ბაყათარის, ვაველისა და თავაქარაშვილი-კასტელის მუზარადები წარმოდგენას გვიქმნიან ევოლუციის ხაზზე, რომლის ყველა კომპონენტიც, პირდაპირ თუ ირიბად, საქართველოსთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მართებული უნდა იყოს მტკიცება ვაველის მუზარადის ქართული წარმოშობის

---

[90] მუზარადის მსგავსი მთლიანჭედილი გუმბათი მრავალგზის დადასტურებულია XII საუკუნის ჯრუჭის მინიატურაში და XIV საუკუნის ქართულ დავითნში.

[91] მუზარადის როზეტისებური დაბოლოება სპეციფიკურ, მხოლოდ მონღოლური ხანისათვის დამახასიათებელ და აზიის დასავლეთი ნაწილისათვის უცნობ დეტალად ითვლებოდა. Горелик, "Ранний монгольский доспех," 189. მუზარადის როზეტისებური დაბოლოება რამდენჯერმე გვხვდება ჯრუჭის 186v მინიატურაზე, რომელიც XII საუკუნეშია შესრულებული. ბურთულოვანი დაბოლოება აქვთ ფავნისის XII საუკუნის ფრესკაზე მეომართა მუზარადებს, ასევე, XII საუკუნის ჯრუჭის მეორე ოთხთავის 186v, 231r და 236r მინიატურებზე გამოსახულ მებრძოლებსაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზუჩის გაფორმების ეს ტრადიცია საქართველოში მონღოლების გამოჩენამდე არსებობდა.



სურ. 60
სფეროკონუსური მუზარადის განვითარების გზა საქართველოში: ა) შემოქმედის ხატი (XI ს.), ბ) ჯრუჭის II ოთხთავი (XII ს.), გ) ჯალალ ადდინის მუზარადი (XIII ს. მეორე ნახევარი), დ) ბაყათარის ზუჩი (XIII-XIV სს. მიჯნა), ე) ვაველის მუზარადი (XIV ს.), ვ) კასტელისა და თავაქარაშვილის ჩანახატები (XVII ს.).

შესახებ, აგრეთვე, მოსაზრებაც ევოლუციის უწყვეტ პროცესზე, რომელსაც ამ ტიპის მუზარადი განიცდიდა საქართველოს ტერიტორიაზე.

თავაქარაშვილისა და კასტელის ნამუშევრების განხილვის შემდეგ, უკვე ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაველის ტიპის ზუჩები მყარად იყო ფეხმოკიდებული საქართველოში და მას სხვადასხვა ვარიაციებითა და მოდიფიკაციებით ამზადებდნენ და იყენებდნენ.

ვაველის, ბაყათარისა და ერმიტაჟის მუზარადებს, მსგავსი ფორმების გარდა, კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო: მათ ამშვენებთ შროშანის (თუ სამყურას) ორნამენტი. სამყურა ორნამენტითაა შემკული თავაქარაშვილისა და კასტელის ნახატებში ქართველ მეომართა ზუჩებიც. თუკი „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებში ეს ორნამენტი უფრო სქემატური სახითაა გადმოცემული, კასტელის ნახატებში, რომლებიც უშუალოდ ნატურიდანაა შესრულებული, მუზარადის გვირგვინის სამყურა ორნამენტი გარკვევით ჩანს და მასში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ასეთი ზუჩი აქვს გურიის მთავარ მამია გურიელს, ასევე ვახტანგ გურიელსა და საბახტარ ავალიშვილს[92] (სურ. 59). ის იმდენად უხვად გვხვდება ქართულ სინამდვილესა თუ სამხედრო აღკაზმულობაში,[93]

[92] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 43, 44, 48.

[93] შროშანის (სამყურას) გამოსახულებების შესახებ ვრცლად იხ. წურწუმია, „ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში“, 48-9;



სურ. 61
ცაგერის მუზეუმში დაცული მუზარადი: ა) წინხედი, ბ) გვერდხედი, გ) ზედხედი. ავტორის ფოტო.

რომ **სამყურა ორნამენტით მორთვა ქართული მუზარადის ნაციონალურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.**

ასე რომ, სფეროკონუსური მუზარადის განვითარების საკუთრივ ქართულ გზაზე, რომელიც დასრულებული სახით XVII საუკუნეშია წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია შემოქმედის, ჯრუჭის, ჯალალ ად-დინის, ბაყათარისა და ვაველის მუზარადები. ამ გზის დამაგვირგვინებელი ეტაპია კასტელისა და თავაქარაშვილის მიერ აღწერილი ზუჩები (სურ. 60).

ბოლო ხანებში საქართველოში ვაველის ტიპის კიდევ ერთი მუზარადი აღმოჩნდა, რომელიც პოლონეთში დაცული ეგზემპლარის ლამის ტყუპისცალია[94] (სურ. 61). ეს გახლავთ ლითონის მუზარადი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთიან კუთხეში, ლეჩხუმში, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ინახება. ის 1947 წელს 350 მანეთად შეიძინა მუზეუმმა სოფელ ლუხვანოში მცხოვრებ გრ. საღინაძისგან.[95]

ცაგერის მუზარადი ლითონის ერთი ნაჭრისაგან გაკეთებული მთლიანჭედილი ზუჩია. მას ამშვენებს დაბალი გვირგვინი შროშანის (სამყურა) ორნამენტით, ფორმითაც და განლაგებითაც ზუსტად ისეთივე, როგორიც ვაველის მუზარადზეა: თუკი ერმიტაჟის მუზარადზე შროშანების ორნამენტი ქვემოდანაც და ზემოდანაც ერთგვარი რკალებითაა მოსაზღვრული, ცაგერის მუზარადის ორნამენტის წყობა იმეორებს ვაველისას და მასავით მხოლოდ ქვემოდანაა მოსაზღვრული. მუზარადს ქვედა კიდეზე აქვს თვალის ჭრილები, რომელთა ზემოთ დეკორატიული წარბების სამაგრი მოქლონები და მათი ნახვრეტებია შემორჩენილი. თავად წარბები დაკარგულია. სათ-

Tsurtsumia, "The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet," 97-8.

[94] ცაგერის მუზარადის შესახებ ვრცლად იხ. მამუკა წურწუმია, „კიდევ ერთხელ ვაველის მუზარადის შესახებ", *იჯიიშ*, იბეჭდება.

[95] ცაგერის მუზეუმში დაცული მუზარადი პირველად 2012 წელს გამოქვეყნდა მუზეუმის კატალოგში, 2014 წელს კი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ი. ბაქრაძემ. იხ. *ცაგერის ისტორიული მუზეუმი* (თბილისი, 2012), 48; ირაკლი ბაქრაძე, „ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში", *ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები*, I (2014), 134-50.

ვალის ჭრილებს შორის დამაგრებულია საცხვირის ბუდე, რომელიც ვაველის მუზარადისაგან განსხვავებით, უფრო ვიწროა და განიერის ნაცვლად, ლითონის ვიწრო ფირფიტის სახითაა წარმოდგენილი. საცხვირის ეს ვიწრო ბუდე, რომელიც მხოლოდ ორი ნახვრეტითაა დამაგრებული გუმბათზე, გვიანდელი დანამატი უნდა იყოს (ასეთი ვიწრო ბუდე აქვს საცხვირეს XV საუკუნის ჩალმისებურ მუზარადებზე). ამას მოწმობს ორი ქვედა ნახვრეტი, რომლებშიც ძველი განიერი ბუდე მაგრდებოდა, როგორცაა ეს ვაველისა და ერმიტაჟის მუზარადებზე. მოძრავი საცხვირე, რომელსაც ბრტყელი ფორმა უნდა ჰქონოდა, დაკარგულია. ზუჩის გუმბათის ქვედა კიდეზე მოქლონით დამაგრებული ზარადის საკიდი კავებია. კავებში გაყრილ ლითონის წნელზე ზარადის ჯაჭვის ზედა რგოლები იყო დამაგრებული.[96] ჯაჭვის ზარადი ამჟამად დაკარგულია. მუზარადის გუმბათი დაზიანებულია და მას დაკარგული აქვს როზეტი, რომლის კვალი ჯერ კიდევ ეტყობა გუმბათის ზედაპირს. ზუჩის წონა 1151 გრამია, სიმაღლე – 20.5 სმ, დიამეტრი კი 21.5 სმ.[97] ცაგერის მუზარადის ზომები ზუსტად ემთხვევა ვაველის მუზარადის ზომებს, რომლის სიმაღლეც 20 სმ-ია, დიამეტრი კი 21.5 სმ. მცირედი განსხვავებაა მხოლოდ წონაში – ვაველის მუზარადი ცოტათი მსუბუქია და 985 გრამს იწონის.

ცხადია, ამ ორი მუზარადის როგორც ფორმის, ასევე ზომების ასეთი ზედმიწევნითი დამთხვევა მხოლოდ ერთი გარემოებით შეიძლება აიხსნას: ვაველის მუზარადიც და ცაგერის მუზარადიც არათუ ერთ ქვეყანაში, რეგიონსა და მხარეში არიან დამზადებულნი, არამედ ისინი ერთ სახელოსნოსაც კი უნდა ეკუთვნოდნენ. შესაბამისად, ვაველის მსგავსად, ცაგერის მუზარადის დათარიღებაც XIV საუკუნით უნდა მოხდეს. ამაზევე მეტყველებს ცაგერის მუზარადის გადაკეთებული საცხვირის ბუდეც, სადაც XV საუკუნეში გავრცელებულმა ვიწრო ბუდემ უკვე არსებული, XIV საუკუნის განიერი ბუდე ჩაანაცვლა.

ისიც საყურადღებოა, რომ ეს მუზარადი სწორედ დასავლეთ საქართველოში აღმოჩნდა. ვაველის მუზარადს ხომ დასავლეთქართველი ფეოდალი ფლობდა და კასტელისა და თავაქარაშვილის მუზარადებიც დასავლეთ საქართველოს რეალიებს გადმოცემდნენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ვაველის ტიპის მუზარადი ყველაზე უფრო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში იყო.[98] ვაველის ტიპის კიდევ ერთი მუზარადის ცაგერში აღმოჩენა კიდევ უფრო განამტკიცებს ამ მოსაზრებას.

ცაგერის მუზარადის არსებობა საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ვაველის მუ-

---

[96] აღსანიშნავია, რომ ცაგერის, ვაველისა და ერმიტაჟის მუზარადებში გამოყენებულია ზარადის საკიდი კავების დამაგრების ერთნაირი ტექნოლოგია: ისინი სათითაოდ არიან მოქლონით მიმაგრებულნი გუმბათს. მათ საერთო აქვთ ჯაჭვის რგოლების დამაგრების პრინციპიც – კავებში გაყრილი ლითონის ნწელით.

[97] შდრ. ბაქრაძე, „ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში", 134.

[98] წურწუმია, „ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში", 46, 52; Tsurtsumia, "The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet," 94-5, 99.

სურ. 62
ერმიტაჟის მუდმივმოქმედი ექსპოზიცია ახლო აღმოსავლეთის საიარაღო ხელოვნება XV-XIX საუკუნეებში. სხვადასხვა იარაღთან ერთად ვიტრინას ვაველის ტიპის ორი მუზარადი ამშვენებს.

ზარადის როზეტის წარწერა შემთხვევით არ არის ქართული, რომ ის შემთხვევით არ ეკუთვნოდა ქართველ ფეოდალს და რომ ვაველის მუზარადი ნამდვილად საქართველოში არის დამზადებული. ამასთანავე, ცაგერის მუზარადი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ქართული მუზარადის ევოლუციის ის სქემა, რომელიც ამ ნაშრომშია წარმოდგენილი და რომლის საფუძველზეც ვაველის მუზარადის ქართული წარმომავლობა ივარაუდება, ახლოს არის ჭეშმარიტებასთან.[99]

[99] თავის დროზე, როდესაც სამეცნიერო საზოგადოებას ვაველის მუზარადის შესახებ განსხვავებული მოსაზრება შევთავაზე, რიგი ახალი მონაცემების გარდა, ის დამყარებული იყო ქართული მასალის შეჯერებაზე საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებულ ინფორმაციასთან, რამაც საშუალება მომცა ახალი კუთხით დამენახა ადრე არსებული მოცემულობა. ამავე დროს, ფაქტია, რომ ნებისმიერი თეორია, რაც არ უნდა ლოგიკურად ჟღერდეს ის, ზოგადად ისევ თეორიისა და მოსაზრების დონეზე რჩება, სანამ დადასტურებას არ ჰპოვებს ახალ გარემოებათა თუ მტკიცებულებათა აღმოჩენის შედეგად. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილმა მოსაზრებებმა და საკითხის სრულიად ახლებურმა გადაწყვეტამ, რომელიც ვაველის მუზარადს არ აკუთვნებდა ირანისა თუ ისლამური აღმოსავლეთის ტრადიციულ და ცნობილ ცენტრებს და მის ქართულ წარმოშობას ამტკიცებდა, იმთავითვე მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება, ამასთანავე, სპეციალისტთა ადვილად გასაგები სიფრთხილეც გამოიწვია. ამის უმთავრესი მიზეზი კი შუა საუკუნეების საქართველოს საიარაღო ცენტრების ნაკლები ცნობადობა გახლავთ. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ დეიან რაბოვიანოვის რეცენზია ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კრებულში, სადაც ის წერს: „აღმოსავლური იარაღის მკვლევართა დამსახურებულ ინტერესს იწვევს მ. წურწუმიას კვლევა

ასევე საინტერესოა, რომ 2014 წლის დამლევს ერმიტაჟის მიერ მოწყობილი ექსპოზიციაზე *ახლო აღმოსავლეთის საიარაღო ხელოვნება XV-XIX საუკუნეებში* (Оружейное искусство Ближнего Востока XV-XIX веков) მუზეუმის ფონდებში მყოფი, აქამდე სრულიად უცნობი ვაველის ტიპის მუზარადი გამოფინეს ერმიტაჟის უკვე ცნობილ მუზარადთან ერთად (სურ. 62).



სურ. 63
ერმიტაჟში დაცული ვაველის ტიპის მეორე მუზარადი. ინვენტარის ნომერი B.O.-1238. სანკტ-პეტერბურგი. მ. პეჩკუროვას ფოტო.

ერმიტაჟიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საშუალება გვეძლევა პირველად აღვწეროთ ეს მუზარადი და შემოვიყვანოთ ის სამეცნიერო მიმოქცევაში (სურ. 63). ერმიტაჟის მეორე მუზარადი (ინვენტარის ნომერი B.O.-1238) მთლიანჭედილი ფოლადის ზუჩია. ვაველისა და ცაგერის მუზარადების მსგავსად, მისი შრომანის ორნამენტიც მხოლოდ ქვემოდანაა მოსაზღვრული. მუზარადს აქვს თვალის ჭრილები, რომელთა ზემოთ დეკორატიული წარბების სამაგრი მოქლონების ნახვრეტებია შემორჩენილი. სათვალის ჭრილებს შორის საცხვირის განიერი ბუდის კვალია. მუზარადს აკლია დეკორატიული წარბები, მოძრავი საცხვირე, მისი ზედა სამაგრი და ბუდე, ზარადის საკიდი კავები, რომელთა ნაცვლად მათი სამაგრი ნახვრეტებია დარჩენილი. არ ჩანს ჯაჭვის ზარადიც. დაზიანებულია მუზარადის გუმბათიც, რომელიც უკანა მხრიდან ორიოდე ადგილასაა გახვრეტილი. გუმბათის თავზე, ნახვრეტის გარშემო არსებული კვალი, თითქოსდა დარტყმის შედეგი უნდა იყოს, თუმცა, არც როზეტის არსებობაა გამორიცხული. ზუჩის წონა 1036 გრამია, სიმაღლე – 19.8 სმ, დიამეტრი კი 20 სმ. ისევე როგორც ერმიტაჟის პირველი მუზარადი, ეს ზუჩიც მუზეუმში ცარსკოე სელოს არსენალიდან არის შემოსული. თავად არსენალში მუზარადის მოხვედრის გზები უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ცარსკოე სელოს არსენალის კოლექციაში მრავლად

„ვაველის მუზეუმში დაცული მუზარადი და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში". ავტორისეულ დასკვნებს, რომ ამ ტიპის მუზარადი განსხვავდება ჩალმისებური მუზარადისაგან და მისი ჩამოყალიბება იწყება სამხრეთ კავკასიაში ჯერ კიდევ XII საუკუნეში, მხარს უჭერს მნიშვნელოვანი გამომსახველობითი მასალა. კიდევ უფრო დამაჯერებლადაა ნაჩვენები მუზარადის კავშირი XIV-XVII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ აღჭურვილობასთან". Деян Рабовянов, "Acta Militaria Mediaevalia, 7. Kraków-Rzeszów-Sanok, 2011, 252 s.," *Археология*, 1 (2012), 125. ამავე დროს, დ. რაბოვიანოვი, სტატიის დადებითად შეფასებასთან ერთად, აღნიშნავს, რომ „ზედმეტად რადიკალურად ეჩვენება ამ ტიპის მუზარადების მხოლოდ საქართველოში კეთებისა და გავრცელების მტკიცება და დასავლეთ ირანის მსხვილ საიარაღო ცენტრებთან მის კავშირზე უარის თქმა". იქვე, 125. ამ ფონზე ადვილი წარმოსადგენია ჩემი გაოცება და, თუ გნებავთ, აღტაცებაც, როდესაც შევიტყვე, რომ ცაგერში აღმოჩნდა ვაველის ტიპის მუზარადი, რომელიც სწორედ რომ ჩემი თეორიის სასარგებლოდ მეტყველებდა.



სურ. 64
ორნამენტული შროშანები ერმიტაჟის მეორე (ა), ვაველისა (ბ) და ცაგერის (გ) მუზარადებზე.

იყო თავმოყრილი ნადავლი იარაღი, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთიდან, შუა აზიასა და კავკასიიდან. მუზარადი 1840 წელს გამოცემულ პირველივე კატალოგში იხსენიება.[100]

ერმიტაჟის ეს მუზარადიც XIV საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ერმიტაჟის პირველი მუზარადისაგან განსხვავებით, მისი გუმბათის ფორმა უფრო ჰგავს ვაველისა და, განსაკუთრებით, ცაგერის ზუჩებს. ამავე დროს, ორნამენტული შროშანები (ისევე როგორც ერმიტაჟის პირველი მუზარადის შროშანები) ნაკლებად დახვეწილია ამავე ტიპის სხვა მუზარადებთან შედარებით (შდრ. ერმიტაჟის მეორე მუზარადის შროშანები ვაველისა და ცაგერის ორნამენტს, სურ. 64). ის ან ნაკლებად გაწაფული ოსტატის მიერ არის დამზადებული ან ქართული მუზარადის მინაბაძია.

ერმიტაჟის მუზარადი ვაველის ტიპის უკვე მეოთხე ზუჩია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენამდე მოღწეული ერთი ტიპის ამდენი მსგავსი ზუჩი შუა საუკუნეებში ვაველის მუზარადის უაღრეს პოპულარობაზე მეტყველებს. ამასთანავე, ორი მათგანი (ვაველისა და ცაგერის) საქართველოსთანაა დაკავშირებული, რაც პირდაპირ უნდა უთითებდეს ვაველის ტიპის მუზარადების სამშობლოზე.

ისლამურ სამყაროში ვაველის მუზარადის პარალელურად ვითარდებოდა „ჩალმისებური მუზარადი“.[101] ჩალმისებური მუზარადის უადრესი ფორმა წარმოიშვა აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში XIV საუკუნის შუახანებში, XV საუკუნეში კი გავრცელდა ირანში.[102] საინტერესოა, რომ ერთეული ნიმუშის სახით ჩალმისებური მუზარადის პირველი გამოჩენა დასტურდება XIV საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დავითნის მინიატურებშიც. მხატვარს სპირალურად დაგრეხილი ფორმით აქვს შესრულებული მუზარადის ცალკეული გამოსახულებები 192v, 204r, 213v მინიატურებზე (სურ. 65).

---

[100] მუზარადი კატალოგში შეტანილია, როგორც “русский железный шишак”, რაც ცხადია, შეცდომაა. К.И. Седжер, *Каталог редкого, старинного и восточного оружия, хранящегося в Собственном Его Императорского Величества Арсенале в Царском Селе*, ч. 1 (Санкт-Петербург, 1840), 166, N170.

[101] „ჩალმისებური“ ეწოდება დიდი ზომის მუზარადს, რომელსაც ჩალმაზე, თავზე შემოხვეულ ქსოვილის ნაჭერზე, იხურავდნენ. Robinson, *Oriental Armour*, 78; ან, რაც უფრო სარწმუნოა, ასე უწოდებდნენ მათი სპირალური დაღარული ზედაპირის გამო, რომელიც მოჰგავს ჩალმის ქსოვილის ნაკეცებს. Bashir Mohamed, *The Arts of the Muslim Knight* (Milano, 2008), 292. დაღარული ზედაპირი წონის გაზრდის გარეშე ზრდიდა მათ სიმტკიცეს. David Nicolle, *Armies of the Caliphates 862-1098* (Oxford, 1998), 19.

[102] Nicolle, *The Age of Tamerlane*, 38.



სურ. 65
დოეგის მიერ მღვდელმსახურთა ამოხოცვა. წინა პლანზე ჩანს მებრძოლი ჩალმისებური მუზარადით. H1665 დავითნი, 192v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ჩალმისებური მუზარადის უადრესი შემორჩენილი ეგზემპლარია ე.წ. „სულთან ორხანის მუზარადი", რომელიც 1326-60 წლებით თარიღდება და სტამბოლის სამხედრო მუზეუმში ინახება. ასეთი მუზარადები დამახასიათებელია XV საუკუნის მუსლიმური არმიებისათვის.[103] დ. ალექსანდერი გამოყოფს ჩვენამდე მოღწეული ჩალმისებური მუზარადების ჯგუფს, რომელთაც უკვე ჩამოყალიბებული სახე აქვთ და უადრესი არიან სულთან ორხანის მუზარადის შემდეგ. ისინი დაკავშირებულია აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკნიან) თურქმენულ ტომებთან და შირვანთან და თარიღდებიან XV საუკუნის მეორე ნახევრით.[104] ცხადია, რომ აყ-ყოინლუს მომთაბარე ტომები დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ ასეთი რთული ტექნოლოგიის ზუჩების დამზადებას.[105] როგორც ჩანს, ეს მუზარადები შირვანში მზადდებოდა. ვენეციელი ელჩი ჯოსაფატ ბარბარო მოგვითხრობს, რომ აყ-ყოიუნლუს ტომებმა კავკასიაში, და კონკრეტულად შირვანში, იშოვეს თავიანთი რკინის საჭურველის დიდი ნაწილი.[106]

როგორც ვხედავთ, უადრესი ჩალმისებური მუზარადების უმრავლესობა შირვანს უკავშირდება. ამავე დროს, მის მომიჯნავე საქართველოში სფეროკონუსური მუზარადი ვითარდება. რაღა თქმა უნდა, აღნიშნულ ტერიტორიებს შორის ადგილი ექნებოდა შეიარაღებისა და ნოვაციების აქტიურ მიმოცვლას. ეს პროცესები ერთ რეგიონში – ამიერკავკასიაში ლოკალიზდება, რომელიც საჭურველის (მათ შორის ზუჩების) წარმოების მსხვილ ცენტრად გვევლინება. მრავალი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ნიშანი მიუთითებს ამიერკავკასიის (და კერძოდ, საქართველოს) სამჭედლოების აქტიურ როლზე იმდროინდელი აღჭურვილობის წარმოების პროცესში.[107]

ჩემი აზრით, XIII საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიაში ხდება ჯალალ ად-დინის ტიპის მუზარადის შემდგომი ევოლუცია, რომელიც ორი მიმართულებით ვითარდება: ქრისტიანულ ამიერკავკასიაში (განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში) განვითარდა ე.წ. ვაველის ხაზი და ჯალალ ად-დინის მუზარადი გადაიზარდა ბაყათარისა და ვაველის (ასევე, ერმიტაჟის)

---

[103] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 164.

[104] Alexander, "Two Aspects of Islamic Arms and Armor," 98-101.

[105] საინტერესოა, რომ მთლიანჭედილი სფეროკონუსული ზუჩები ასევე არ არის დამახასიათებელი ცენტრალური აზიის მომთაბარეებისათვის, რაც დამზადების სირთულით იქნებოდა განპირობებული. Л.А. Бобров, Ю.С. Худяков, *Вооружение и тактика кочевников Центральной Азии и Южной Сибири в эпоху позднего Средневековья и раннего Нового времени (XV - первая половина XVIII в.)* (Санкт-Петербург, 2008), 461.

[106] "Travels of Josafa Barbaro," in *Travels to Tana and Persia*, translated from the Italian by William Thomas and S. A. Roy, ed. by Lord Stanley of Alderley (London, 1873; repr. New York, 2009), 66; Alexander, "Two Aspects of Islamic Arms and Armor," 99.

[107] საინტერესოა, რომ რუსეთში XV-XVII საუკუნეებში გავრცელებული სფეროკონუსური მუზარადის ერთი ტიპს (რუსული „ერიხონკა") ქართულს უწოდებდნენ, რაც ე. ლენცის აზრით, განპირობებული იყო კავკასიიდან შემოსული მუზარადების მაღალი ხარისხით. П.П. Винклер, *Оружие: Руководство к истории, описанию и изображению ручного оружия с древнейших времен до начала XIX века* (СПб. 1894; 2-е изд. Москва, 1992), 278; Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 55.

მუზარადებში; ისლამურ ამიერკავკასიაში (შირვანსა და აზერბაიჯანში) კი ჩალმისებური მუზარადი განვითარდა.[108]

ყივჩაღური ჯვაღი XII-XIV სს. ქართულ მუზარადებზე

XII საუკუნის ქართულ იკონოგრაფიულ მასალაში სხვათაგან განსხვავებული, რამდენიმე არატიპური მუზარადის გამოყოფა შეიძლება. მათი უეცარი, ჩამოყალიბებული სახით გამოჩენა ეჭვს არ ტოვებს უცხოეთიდან იმპორტის შესახებ. ყველა ამ მუზარადის წყარო კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე მომთაბარული და რუსული სახელოსნოებია.

ერთი ასეთი ნიმუშია ჯრუჭის II ოთხთავის 111r მინიატურაზე გამოსახული სფეროკონუსური მუზარადები, რომელთა შუბლზე თაღის ფორმის მორთულობა შეიმჩნევა. თუკი შესაბამისი არქეოლოგიური მასალით ვიმსჯელებთ, ეს მორთულობა მუზარადის გუმბათზე დამაგრებული თაღოვანი ფირფიტაა. საინტერესოა, რომ მინიატურაზე გამოსახული ზუჩების გუმბათები ბოლოვდება არა ქართული მუზარადებისათვის დამახასიათებელი ბურთულით, არამედ მილისით, რომელშიც პლუმაჟია ჩამაგრებული, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის ნასესხობაზე.

შუბლის ფირფიტით მუზარადის დამშვენება გეოგრაფიულად დიდ სივრცეზე იყო გავრცელებული, მაგრამ ყოველთვის საკმაოდ იშვიათია, რაც მ. გორელიკს საშუალებას აძლევს გამოიტანოს დასკვნა მისი მაღალი რანგის სარდლობისათვის კუთვნილების შესახებ. მუზარადის ეს დეტალი ყველაზე ადრე აღმოსავლეთ თურქესტანის მხატვრობაში, VIII-IX საუკუნეებში გვხვდება. რეალურ მუზარადებზე ყველა ასეთი შუბლის ფირფიტა ძვირფასი (ვერცხლის) ან ფერადი (სპილენძის) ლითონისაგანაა დამზადებული.[109] ამ ტიპის ზუჩებს შორის ყველაზე ცნობილია ე.წ. იაროსლავის მუზარადი, რომელიც ვერცხლის ფირფიტებითაა დამშვენებული და XII ს. II ნახევრის – XIII ს. I ნახევრის რუსული ნაკეთობა უნდა იყოს. მას შუბლზე დამაგრებული აქვს თაღოვანი ფირფიტა მიქაელ მთავარანგელოზის გამოსახულებით.[110] შუბლის ფირფიტა აქვთ XI ს. ნემიის[111] და XII-XIII სს. ენგელსის[112] მუზარადებსაც.[113]

---

[108] ვაველის ტიპის და შირვანულ ჩალმისებურ მუზარადებს შორის შეინიშნება განსხვავება ზარადის დამაგრების სისტემაში: ჩალმისებურ მუზარადებზე ვერ ვხედავთ სამაგრ კავებს, რომლებშიც ზარადის ლითონის წნელია გაყრილი. წნელი აქ გუმბათზე დამაგრებულ პატარა რგოლებშია გაყრილი.

[109] М.В. Горелик, "Шлемы золотоордынских воинов Северного Кавказа из частных собраний," *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 8 (Донецк, 2010), 259.

[110] *Russian Arms and Armour*, ed. by Yuri Miller (Leningrad, 1982), pl. 1. იაროსლავის მუზარადის შესახებ იხ. А.Н. Кирпичников, "Русские шлемы X-XIII вв.," *Советская археология*, 4 (1958), 49-59; А.Е. Негин, "Шлем из Городца," *Батыр*, 1-2 (2012), 62-3.

[111] А.Н. Кирпичников, "Шлем XI в. из Юго-Западной Руси," *Советская Археология*, 2 (1962), 230-4.

[112] Е.К. Максимов, "Находка древнерусского шлема в Саратовском Заволжье," *Советская археология*, 4 (1960), 190-3.

[113] ასეთივე იყო ამჟამად დაკარგული მუზარადი ნოგაისკის ყორღანიდან, რომელსაც შუბლზე

ა

ბ

გ

სურ. 66
მუზარადები თაღოვანი შუბლის ფირფიტით: ა) ჯრუჭის II ოთხთავის 111r მინიატურის დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) იაროსლავის მუზარადი. მოსკოვის კრემლის იარაღის პალატა; გ) მუზარადი ენგელსიდან გუმბათზე საშუბლე ფირფიტის კვალით. დ. კოროვკინის მიხედვით.

ჩვენთვის მეტად საინტერესოა მუზარადი ენგელსიდან შუბლზე თაღოვანი ფორმის ფირფიტით, რომელიც ამჟამად დაკარგულია. მისი ფორმა იაროსლავის მუზარადის საშუბლე ფირფიტის გეომეტრიას წააგავს.[114] სამარხეული ინვენტარის ანალიზმა ცხადყო, რომ მუზარადი ელიტარულ ყივჩაღ მებრძოლს ეკუთვნოდა.[115] ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ შუბლის ფირფიტიანი მუზარადები ყივჩაღთა შორისაც იყო გავრცელებული. სწორედ ყივჩაღები, რომელთაც ინტენსიური კონტაქტები ჰქონდათ როგორც კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე საიარაღე ცენტრებთან, ისე ქედის სამხრეთით არსებულ ქართულ ცივილიზაციასთან, უნდა იყვნენ ისინი, ვინც ქართველებს საკუთარ მაგალითზე გააცნობდა შეიარაღებაში არსებულ ჩრდილოურ ტენდენციებს. თავის მხრივ, მდიდრული, ქრისტიანული სიმბოლიკით დამშვენებული მუზარადები ადვილად მიიპყრობდა ადგილობრივი რაინდული ელიტის ყურადღებას. როგორც ჩანს, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თაღოვანი საშუბლე ფირფიტით დამშვენებული მუზარადები XII საუკუნის საქართველოში აქ გადმოსახლებულ ყივჩაღთა წყალობით მოხვდა. (სურ. 66)

XII საუკუნის საქართველოში გავრცელებული იყო კიდევ ერთი, მეტად შთამბეჭდავი ფორმის სეგმენტური მუზარადი, რომლის შემადგენელი ფირფიტების კიდეები დამახასიათებლად, კლაკნილად არის ჩამოკვეთილი. ამ მუზარადს ხანგრძლივი ისტორია აქვს.

X-XI საუკუნეებში რუსულ სამთავროებში დამკვიდრებული იყო სფერო-

მიმაგრებული ჰქონდა 13 სმ სიმაღლის სპილენძის ფირფიტა წმ. პროკოპიოსის გამოსახულებით. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 30.

[114] Максимов, "Находка древнерусского шлема в Саратовском Заволжье," 191; Д.С. Коровкин, "Снаряжение всадника из погребения около города Энгельса в Саратовском Заволжье (новые данные)," *Военная Археология*, 2 (2011), 181.

[115] Коровкин, "Снаряжение всадника из погребения около города Энгельса в Саратовском Заволжье," 188.

კონუსური ფორმის მუზარადი, რომელიც 4 სეგმენტისაგან შედგებოდა. სეგმენტები ერთმანეთის გადაფარვითა და ჩარჩოს გარეშე მაგრდებოდა. როგორც წესი, წინა და უკანა ფირფიტები გვერდითებს ფარავდა და დაკლაკნილი, ტალღისებური კიდე ჰქონდა. მუზარადი დაფარული იყო მოოქრული სპილენძით.[116] რუსეთის გარდა, ამ ტიპის მუზარადები გავრცელებული იყო პოლონეთში, უნგრეთსა და აღმოსავლეთ პრუსიაშიც.[117] როგორც ჩანს, ასეთი მუზარადები კიევის რუსეთში მზადდებოდა, საიდანაც შეაღწია ცენტრალურ ევროპაში, სადაც მათი მიბაძვა დაიწყეს.[118] ამავე დროს, ა. კირპიჩნიკოვიც აღნიშნავს, რომ რუსეთში ეს მუზარადები უკვე ჩამოყალიბებული ფორმით მოხვდა, რაც აყენებს საკითხს მათი თავდაპირველი სამშობლოს შესახებ.[119] მ. გორელიკის თანახმად, IX საუკუნეში ასეთ მუზარადებს ატარებდნენ დონსა და დნეპრს შორის მობინადრე უნგრელი მომთაბარეები, რომელთაც უკავშირებს კიდეც მუზარადის წარმოშობას.[120]

ამ მდიდრული, მოოქრული მუზარადის საქართველოში არსებობის ფაქტი ძველმა გამოსახულებებმა შემოგვინახა. ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურაზე, სულ მცირე, 11 ასეთი მუზარადია გამოსახული; კლაკნილკიდიან მუზარადებს ვხედავთ XII საუკუნის ფავნისის ფრესკებზეც.[121] თუ ამ გამოსახულებათა დეტალიზება სანდოა, გამოდის რომ, ინარჩუნებდა რა ამ ტიპის მუზარადისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს (გუმბათის ფორმას, სეგმენტურ სტრუქტურას, ფირფიტების ტალღისებურ კიდეებს), საქართველოში გავრცელებული ზუჩი უფრო მარტივი იყო. ამით ისინი ემსგავსება უნგრეთში ნაპოვნ გამარტივებულ მუზარადებს, რომელთაც ასევე არ აქვთ თავდაპირველი ორნამენტული სამკაპი და რომბისებური ბალთები, რის გამოც მათ როგორც მინაბაძს განიხილავენ.[122] ქართულ მუზარადებს კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვთ: მუზარადის დამაბოლოებელი მილისი აქ შეცვლილია ბურთულით, რომელიც ადგილობრივ თავისებურებას განეკუთვნება. საინტერესოა, რომ ჯრუჭის მინიატურის მუზარადების ზოგი ფირფიტა (ზოგჯერ, ყველა) ოქროსფრადაა გამოსახული, რაც ზუს-

---

[116] А.Н. Кирпичников, *Раннесредневековые золоченые шлемы* (Санкт-Петербург, 2009), 9-12, 15. ასევე იხ. Кирпичников, "Русские шлемы X-XIII вв.," 49-59.

[117] Кирпичников, *Раннесредневековые золоченые шлемы*, 15-9.

[118] იქვე, 21.

[119] იქვე, 23.

[120] Michael Gorelik, "Arms and Armour in South-Eastern Europe in the Second Half of the First Millennium AD," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 137; М.В. Горелик, "Латная конница древних венгров," *Древности Юга России* (Москва, 2008), 297-8, рис. 2.4а.

[121] Е.Л. Привалова, *Павниси* (Тбилиси, 1977), Таб. VI-2, XVII-1. XII ს. ფავნისის ეს ფრესკები მ. გორელიკმა XIV ს. დასაწყისის საფარის ფრესკებად მიიჩნია და პარალელი გაავლო ე.წ. ბიზანტიური ტრადიციის მუზარადებთან, რომელთაც დამახასიათებელი შუბლის ფირფიტა აქვთ. Горелик, "Шлемы золотоордынских воинов Северного Кавказа из частных собраний," 267-8, рис. 8.5. ეს ფაქტი დასანან გაუგებრობად უნდა მივიჩნიოთ.

[122] Кирпичников, *Раннесредневековые золоченые шлемы*, 18-9.

სურ. 67
მოოქრული, ტალღოვანი მუზარადები: ა) ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) ფავნისის ფრესკა; გ) მუზარადი პეჩის (Pecs) არქეოლოგიური მუზეუმიდან (უნგრეთი).

ტად უნდა ასახავდეს სინამდვილეს: მუზარადის დასამშვენებლად ეს ფირფიტები მოოქრული სპილენძით იქნებოდა დაფარული, როგორც ეს გვხვდება შემორჩენილ ეგზემპლარებზე.

მოოქრული, ტალღოვანი მუზარადები საქართველოში ჩრდილოეთიდან არის შემოსული. მოოქრული და სპილენძის ფირფიტებით მუზარადების დაფარვა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ყივჩაღებისათვის. ასეთია ბაბიჩში ნაპოვნი ზუჩი, რომელიც მოოქრული სპილენძითაა დაფარული და კიდევ 3 მსგავსი მუზარადი, რომლებიც XII-XIII ს. I ნახევრის ყივჩაღურ სამარხებშია ნაპოვნი.[123] ლოგიკური იქნება, თუკი მოოქრული მუზარადის საქართველოში გავრცელებას XII საუკუნეში მომხდარ ყივჩაღთა გადმოსახლებას დავუკავშირებთ. (სურ. 67)

ყივჩაღური გავლენა ქართულ შეიარაღებაზე XII საუკუნით არ შემოიფარგლება. ყივჩაღები დიდ როლს თამაშობდნენ მონღოლთა დაპყრობის

[123] Кирпичников, *Раннесредневековые золоченые шлемы*, 22-3, рис. 30; მისივე, "Шлем XII в. из погребения кочевника (По материалам раскопок Кобяковской археологической экспедиции 1960 г.)," *Археологические раскопки на Дону* (Ростов-на-Дону, 1962), 138-41.

შედეგად შექმნილ ოქროს ურდოში, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთიდან ემეზობლებოდა.[124] აღმოსავლეთი საქართველო ილხანთა ირანის ვასალი იყო და ძალაუნებურად უწევდა იმ მრავალრიცხოვან კონფლიქტებში მონაწილეობის მიღება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოქროს ურდოსა და ჰულაგუიანთა სახელმწიფოს შორის. ჩანს, ამ ბრძოლებში ყივჩაღებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი, როგორც კარგი მეომრის, ავტორიტეტი, რის მტკიცებულებასაც ქვემოთ ვიხილავთ.[125]

ყივჩაღებსა და ქართველებს შორის კონტაქტები XIV საუკუნეშიც კვლავინდებურად მრავალფეროვანი იყო. ამ კონტაქტებზე და ინტენსიურ კულტურულ მიმოცვლაზე, წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების გარდა, მოწმობს ქართული იკონოგრაფიული მასალაც, რომელიც ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთიდან გვაქვს. გველეთის ფრესკებმა შემოგვინახა მუზარადის ერთი ტიპი და აღჭურვილობის სხვა დეტალებიც, რომლებიც არ იყო დამახასიათებელი ქართული შეიარაღების კომპლექსისათვის. სოფ. გველეთი მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე, დარიალის ხეობაში. ის ბევრჯერ მოიხსენიება ქართულ მატიანეებში. გველეთის ციხეს თავს აფარებდა მონღოლების წინააღმდეგ მებრძოლი დავით VIII.[126]

გველეთის ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული წმინდა მხედარი პირველად ა. კრუგლოვმა აღწერა თერგის ექსპედიციის დროს. მანვე შეასრულა ფრესკის გრაფიკული ჩანახატი ნახევრად დანგრეული ეკლესიის XIV საუკუნის ფრესკიდან.[127] კრუგლოვის მიხედვით, დასავლეთის კედელზე გამოსახული იყო ცხენზე ამხედრებული მებრძოლი, რომელსაც ზურგზე ფარი აქვს მოგდებული, წელზე კი კაპარჭი ჰკიდია. ცხენს კისერზე ზანზალაკი აქვს

---

[124] Г.А. Фёдоров-Давыдов. *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов* (Москва, 1966), 158.

[125] ყივჩაღთა კვალს ვაწყდებით ქვეყნის შიგნითაც, როგორც ამაზე მოგვითხრობს წერილობითი წყაროებიცა და არქეოლოგიური მასალაც. დაწვრილებით იხ. მამუკა წურწუმია, „ყივჩაღური კვალი შუა საუკუნეების ქართულ მატერიალურ კულტურაში (XII-XIV სს. მუზარადების მიხედვით)", *საისტორიო კრებული*, 5 (2015), 138-59.

[126] გველეთის შესახებ იხ. გელა გამყრელიძე, დავით მინდორაშვილი, ზურაბ ბრაგვაძე, მარინე კვაჭაძე და სხვ., ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი (თბილისი, 2013), 143-4.

[127] 1930-იანი წლების დასაწყისში ს. მაკალათიამ მოიხსენია გველეთის დასავლეთით, გორაკზე მდებარე სემხის ყოვლაწმინდის პატარა ბაზილიკა ჩამორეცხილი ფრესკებითა და შემორჩენილი ჯვარცმის, წმ. გიორგისა და რამდენიმე წმინდანის გამოსახულებით. სერგი მაკალათია, *ხევი* (ტფილისი, 1934), 247-8. ვ. დოლიძე და რ. შმერლინგი გველეთის ეკლესიის ფრესკებს XIII-XIV სს. ათარიღებენ და აღნიშნავენ ჯვარცმასა და გველეშაპის დამლახვრავ მხედარს ჩრდილოეთის კედელზე, ხოლო დასავლეთის კედელზე – საშინელ სამსჯავროსა და მხედარს ორიგინალური მაღალი მუზარადით. В. Долидзе, Р. Шмерлинг, *Военно-Грузинская дорога* (Тбилиси, 1956), 72-3. გველეთის ეკლესიის მოხატულობის გადარჩენილი ფრაგმენტები ამჟამად ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. სამწუხაროდ, მუზეუმის თანამშრომელთა ინფორმაციით, სათანადო რესტავრაციის გარეშე წმინდა მხედრის გამოსახულების გარჩევა დღეს უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია.



სურ. 68
ყივჩალური ქვის ქანდაკებების სამი ტიპი პლეტნევას მიხედვით.

დაკიდებული.[128] მკვლევარი ასევე თვლის, რომ მხედრის წვეტიან მუზარადს ლოყის საფარი გააჩნია.[129]

ა. კრუგლოვის ჩანახატის მიხედვით გველეთის ფრესკა შეისწავლა მ. გორელიკმა, რომელიც მეტად მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივიდა. კრუგლოვისაგან განსხვავებით, ის თვლის, რომ ზუჩს აქვს ზარადი. მუზარადს ასევე ახასიათებს მაღალი წვეტი, დაბალი სწორკუთხა ამონაკვეთი შუბლზე და დაკბილული მაღალი გვირგვინი. გორელიკის მიხედვით, წმინდა მხედრის პროტოტიპი ყივჩაღი მებრძოლია, რომლის ამოცნობა ადვილად შეიძლება მკერდზე გამოსახული კლასიკური ყივჩაღური „საბრძოლო აზღუდით", რომელიც გვხვდება როგორც ყივჩაღურ ქვის ქანდაკებებზე, ასევე არქეოლოგიურ მასალაშიც. მ. გორელიკის სამართლიანი დაკვირვებით, გველეთის ფრესკა მეტყველებს ყივჩაღ მეომართა მაღალ სტატუსზე XIV საუკუნის კავკასიაში.[130]

მართლაც, სამკერდე ბალთები და მათი სამაგრი ღვედები ყივჩაღებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტია. ყივჩაღური ქვის ქანდაკებების შესწავლის შედეგად, ს. პლეტნევამ მოახდინა მათი კლასიფიკაცია და გამოყო სამი ტიპი[131] (სურ. 68). გ. ფიოდოროვ-დავიდოვის აზრით, ეს მონყობილობა ჯაჭვის აბჯრის ტანზე მჭიდროდ მოსარგებად გამოიყენებოდა,[132] ს. პლეტნევა კი მათ განიხილავდა, როგორც აბჯრის ელემენტს.[133] ქანდაკებებზე გამოსახულის გარდა, ბალთები ნაპოვნია არქეოლოგიურ მასალაშიც. ყუბანისპირეთში, სტარონიჟნესტებლიევსკის სამარხში, რომელიც XIII ს. მეორე მეოთხედი – XIV ს. დასაწყისითაა დათარიღებული და ყივჩაღს ეკუთვნის, ჯაჭვის აბჯარზე, მკერდის არეში მოვერცხლილი ბრინჯაოს ორი ბალთა აღმოჩნდა. სამი სამკერდე ბალთაა ნაპოვნი დმიტრიევსკაია I-ს და ორი (რომბული ფორმის) – ლოსევოს მომთაბარულ სამარხებში.[134] ასეთ ბალთები ნაპოვნია მთიანი ინგუშეთის XI-

---

[128] სინამდვილეში, საქმე გვაქვს ცხენის კისერზე ჩამოკიდებულ ფოჩთან.

[129] А.П. Круглов, "Археологические работы на реке Терек," *Советская археология*, 3 (1937), 248, рис. 4.

[130] М.В. Горелик, "Золотоордынские латники Восточного Приазовья," *Батыр*, 1 (2010), 144, рис. 8.

[131] С.А. Плетнёва, *Половецкие каменные изваяния* (Москва, 1974), 26-9, рис. 6.

[132] Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 175.

[133] Плетнёва, *Половецкие каменные изваяния*, 27.

[134] У.Ю. Кочкаров, "Позднеполовецкие погребения всадников в Краснодарском крае," *Краткие сообщения Института археологии*, 217 (2004), 96; В.Н. Чхаидзе, И.А. Дружинина, "Тяжеловооруженные золотоордынские воины Восточного Приазовья," *Батыр*, 1 (2010), 110-2, рис. 1; მათივე, "Погребение

II-XIV სს. სამარხებშიც, სადაც მომთაბარეთა გავლენამ შეაღწია.[135] ცხადია, რომ გორელიკის დასკვნა მართებულია და გველეთის ფრესკაზე წმინდანის აღჭურვა მომთაბარე ყივჩაღისათვის დამახასიათებელი შეიარაღების კომპლექსით, მათ დიდ ავტორიტეტზე უნდა მიუთითებდეს. ისიც ნათელია, რომ ასეთი ფრესკის შექმნის მეტი ალბათობა სწორედ სასაზღვრო ზონაში იქნებოდა, სადაც ცივილიზაციებს შორის კონტაქტი უფრო ინტენსიური იყო.

გველეთის ფრესკაზე, უცხო მომთაბარულ ნიშნებთან ერთად, ქართული მოტივებიც შეიმჩნევა: მუზარადს აქვს ქართული ზუჩისათვის დამახასიათებელი კბილებიანი მაღალი გვირგვინი; მაღალი ჩექმები, რომელიც მხედრის მუხლებსაც ფარავს, მეტად დამახასიათებელია წმინდა მხედრების ქართული გამოსახულებებისათვის. მიუხედავად ამისა, წონწოლა მუზარადი მაღალი წვეტით უცხოა საქართველოსათვის. საინტერესოა, რომ ფრესკაზე გამოსახულ თავსარქმელს ა. ნეგინი უკავშირებს ტაგანჩის ცნობილ ზუჩს, რომლის შემდგომ განვითარებადაც მიიჩნევს ის გველეთის მუზარადს.[136] ტაგანჩის ზუჩი მაღალი, წონწოლა ფორმის დამრეცგვერდებიანი სფეროკონუსური მუზარადია, რომელსაც გრძელი წვეტი აქვს.[137] მისი აღმოჩენის ადგილია ტაგანჩის ყორღანი (ყოფილი კიევის გუბერნია), ამჟამად კი პოლონეთში, ვარშავის სახელმწიფო არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება. ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ტაგანჩის მუზარადი მომთაბარეს ეკუთვნოდა, თუმცა, ზოგი მოსაზრებით, ის XIII ს. თარიღდება და რუსული წარმოშობისაა,[138] ზოგიერთი კი – ოქროს ურდოსა და XIII ს. II ნახ. – XIV საუკუნეზე უთითებს.[139] აღსანიშნავია, რომ ა. კირპიჩნიკოვი ტაგანჩის ტიპის (IIБ) მუზარადებს რუსებსა და ყივჩაღებს შორის არსებული კავშირის ნიმუშად მიიჩნევს.[140] მონღოლთა სამსახურში მყოფ ყივჩაღს აკუთვნებს ტაგანჩის მუზარადს მ. გორელიკიც.[141]

ცხადია, რომ გველეთის ფრესკაზე გამოსახული მუზარადი ან მისი პროტოტიპები საქართველოში ყივჩაღების მიერ არის შემოტანილი. ამჟამად არსებული მონაცემების საფუძველზე, ძნელია იმის თქმა, ასეთი მუზარადების მინაბაძები ადგილზე მზადდებოდა თუ ისინი მხოლოდ ჩრდილოეთიდან შემოსული

кочевника XIII – 1-й пол. XIV в. у села Лосево в степном Прикубанье," *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 8 (Донецк, 2010), 428, 432, рис. 4.17-18.

[135] Е.Л. Нарожный, "О половецких изваяниях и святилищах XIII-XIV вв. Северного Кавказа и Дона," *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 3 (Донецк, 2003), 247, рис. 1-3.

[136] А.Е. Негин, "Об одном типе шлемов из кочевнических погребений с территории Западного Дешт-и-Кыпчака," *Вестник Нижегородского университета*, 6 (3) (2012), 67.

[137] Jacek Gutowski, *Tartar Arms and Armour* (Warszawa, 1997), pl. 13.

[138] Кирпичников, "Русские шлемы X-XIII вв.," 59-60; К.А. Жуков, "Русские сфероконические шлемы развитого средневековья," *Воин*, 18 (2005), 21.

[139] Горелик, "Ранний монгольский доспех," 187, 194; Негин, "Об одном типе шлемов из кочевнических погребений с территории Западного Дешт-и-Кыпчака," 62-70.

[140] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 28.

[141] М.В. Горелик, "Парадные монгольские шлемы XIII-XIV вв.," *Военное дело Улуса Джучи и его наследников*, ред. А.К. Кушкумбаев (Астана, 2012), 99, рис. 5.



სურ. 69
წვეტიანი მალალი მუზარადები: ა) გველეთის ფრესკა. კრუგლოვის მიხედვით; ბ) მუზარადი ტაგანჩიდან. გუტოვსკის მიხედვით.

სურ. 70
ირანული კულახუდი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

იმპორტი იყო. ამავე დროს, ფაქტია, რომ XIV საუკუნეში საქართველოში წონოლა მუზარადები ყივჩაღ მებრძოლებთან ასოცირდებოდა. (სურ. 69)

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ XII-XIV საუკუნეების საქართველოში შესაძლებელია ყივჩაღური კვალის გამოვლენა მებრძოლის აღჭურვილობის ისეთ მნიშვნელოვან და რეპრეზენტაციულ ელემენტზე, როგორიცაა მუზარადი. ყივჩაღები, რომელთა მთელი ურდო ჩამოსახლდა საქართველოში XII საუკუნის დასაწყისში და რომლებთანაც კავშირი ყოველთვის მჭიდრო იყო მომდევნო საუკუნეების განმავლობაშიც, წარმოადგენდნენ ერთ-ერთ იმ სოციუმს, რომელთა მეშვეობითაც კავკასიონის ქედის მიღმა არსებული სამხედრო-ტექნიკური მიღწევები მის სამხრეთითაც აღწევდა. ყივჩაღებს ჰქონდათ წვდომა ჩრდილოეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან, რომელთა ნაწარმს ისინი აქტიურად იყენებდნენ. ადვილი წარმოსადგენია, რომ ყოველი ახალი და უცხო ნიმუში მათ შეიარაღებაში სათანადო ინტერესს გამოიწვევდა ქართულ სამხედრო წრეებში და რიგ შემთხვევაში, ადგილობრივ მინაბაძებსაც შთაბერავდა სულს.

ჯულახუდი

ჩრდილოეთიდან შემოსული ზუჩების გარდა, საქართველოში ინტენსიურად ხდებოდა ირანში დამზადებული მუზარადების გამოყენებაც. XVII საუკუნიდან ირანში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მუზარადს, რომელსაც კულახუდი ერქვა.[142] ამ ტიპის მუზარადისათვის დამახასიათებელია შედარებით დაბალი

[142] „კულა“ („კოლა“) თავსარქმელს ნიშნავს, „ხუდი“ კი მუზარადია. Manouchehr Moshtagh

სურ. 71
გმირი ირანული კულახუდით. „უთრუთიანი", H61 ხელნაწერი, 47r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ნახევარსფეროსებური გუმბათი, მოძრავი საცხვირე გაგანიერებული ბოლოებით, რომელიც სახეს ხმლის ირიბი დარტყმისაგან იცავდა, ორი მილი ფრთისათვის, ჯაჭვის ზარადი და თავზე წახნაგოვანი წვეტი. როგორც წესი, მუზარადის ზედაპირს სხვადასხვა ორნამენტი და წარწერები ამშვენებდა (სურ. 70).

ირანული კულახუდი საქართველოშიც გამოიყენებოდა. XVII-XVIII სს. „უთრუთიანის" (H61 ხელნაწერი) 47r მინიატურაზე გმირს წელზე ხმალი ჰკიდია, ხელთ გურზი უპყრია, თავზე კი კულახუდი ხურავს, დამახასიათებელი ორმხრივი ფრთებით (სურ. 71). ეს მინიატურა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართველი მხატვრები ერიდებოდნენ სახის დაფარვას, რის გამოც მუზარადის საცხვირე მხოლოდ ნახევრად არის გამოსახული: ჩანს მისი ზედა ბოლოში გაფართოებული ნაწილი, ქვედა მხარე კი, რომელიც სახეზე უნდა ეშვებოდეს, საერთოდ არ არის ნაჩვენები.

ზარადი

ზარადი, საბას განმარტებით, მუზარადის (ზუჩის) ჯაჭვია.[143] ცხადია, ქართველი ლექსიკოგრაფი მის ეპოქაში ყველაზე უფრო გავრცელებული ზარადის სახეობას აღწერს. ისე კი, ზარადი, ჯაჭვის გარდა, სხვა მასალისა და კონსტრუქციისაც იყო, რომელიც თავის მთავარ ფუნქციას – მებრძოლის თავის დაცვას ასრულებდა. ზარადი იცავდა სახეს, კისერს, ყელს. უზარადო თავსარქმელის (ანუ ჩაფხუტის) დახურვა ბრძოლაში შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო მისი მფლობელისათვის. არაბი მხედარი უსამა იბნ მუნკიზი მოგვითხრობს მომთაბარე თურქმენებთან ბრძოლის ერთ ეპიზოდს, როდესაც ერთ ცნობილ მებრძოლს ისარი ყელში მოხვდა და მოკლა, რადგანაც მის მუზარადს ჯაჭვის ზარადი არ ჰქონდა.[144]

მთლიანი ჩაბალახის ნაცვლად მუზარადის კიდეზე მიმაგრებული ჯაჭვის ზარადის გამოყენება ირანული და სტეპის მომთაბარეთა ტრადიციაა.[145] მ. გორელიკი გამოყოფს შემდეგი სახის ზარადებს: 1) ღია, რომელიც იცავდა კეფასა და სახეს გვერდებიდან, 2) ნახევრადდახურული, რომელიც ყელსაც იცავდა და 3) დახურული, რომელიც, თვალების გარდა, სახესაც იცავდა.[146] ღია და ნახევრადდახურული ზარადი საერთოევრაზიული მოვლენა იყო,

---

Khorasani, *Lexicon of Arms and Armor from Iran* (Tubingen, 2010), 215. ქართული „ქუდიც" სპარსულიდან ან ოსურიდან არის შემოსული. მზია ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, წ. I (თბილისი, 1966), 118-9.

[143] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 276.

[144] *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades. Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*, 74.

[145] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 39.

[146] Горелик, "Ранний монгольский доспех (IX – первая половина XIV в.)," 195. ლ. ბობროვი და ი. ხუდიაკოვი ორი ტიპის ჯაჭვის ზარადს გამოყოფენ: ღიას, რომელიც კეფასა და კისერს იცავდა, და დახურულს, რომელიც ყელსაც იცავდა. Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 131. პრაქტიკულად, ეს კლასიფიკაცია ემთხვევა გორელიკის მიერ მონოდებულს, მხოლოდ მკვლევრები არ ითვალისწინებენ სახეზე ჩამოფარებულ ზარადს.

დახურული ზარადი შუა და ცენტრალურ აზიაში ცნობილია VII-IX სს., ირანში VII-XIII სს., სკანდინავიაში VI-X სს., ესპანეთში XII-XIII სს., უნგრეთსა და ბიზანტიაში X ს., რუსეთში XII-XIII სს.[147]

ქართული გამოსახულებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავრწმუნდებით, რომ საქართველოში ძირითადად ნახევრადდახურული და დახურული ზარადები იყო გავრცელებული. H1665 დავითნის ილუსტრაციებზე გამოსახული გრძელი ზარადები ფარავს მებრძოლის როგორც კისერსა და ყელს, ასევე მხრებსაც. ზარადის ქვედა კიდის მოხაზულობა მიგვანიშნებს, რომ ჯაჭვი დასარჩულებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში ფორმას ვერ შეინარჩუნებდა, კისრიდან მხოლოდ ვერტიკალურად ჩამოეკიდებოდა და მხრებზე არ გადავიდოდა.[148] ზარადის სარჩულზე მიანიშნებს მისი ქვედა კიდის ორმაგი ხაზიც.

საკმაოდ იყო გავრცელებული დახურული ზარადებიც, თუმცა მათი სრულყოფილი ასახვა მართლმადიდებლურ ხელოვნებაში არ ხდებოდა. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" ვპოულობთ იმის დასტურს, რომ XII საუკუნეში ქართველი მებრძოლის მთელ სახეს ჯაჭვის პირბადე ფარავდა: „დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა".[149]

თავაქარაშვილის „ვეფხისტყაოსნის" მინიატურები უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ სრული ზარადიანი ზუჩით აღჭურვილ მებრძოლებს, იკონოგრაფიული წესებისა და ტრადიციის გამო, დაუფარავი სახით გამოსახავდნენ. თავაქარაშვილის მინიატურებზე ზუჩდახურულ გმირებს სახე ყოველთვის უჩანთ და მათი ზარადი მხოლოდ ყელსა და კისერს ფარავს. ამავე დროს, 255-ე მინიატურაზე უნაგირზე დაკიდებული ავთანდილის მუზარადი წარმოდგენილია სრული ზარადით, რომელსაც მხოლოდ თვალის ჭრილები უჩანს. ასევე, მუზარადდახურულ ტარიელს ყველგან სახე უჩანს, მაგრამ ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ, 429-ე მინიატურაზე, მისი მოხდილი მუზარადი უკვე სრული, სახის დამფარავი ზარადითაა ნაჩვენები. მსგავს მხატვრულ ხერხს ვხვდებით კასტელის ალბომშიც. იგი სახედაუბურავს ხატავს ქართველ ისტორიულ პირებს, რომელთაც ვაველის ტიპის მუზარადი ხურავთ. ამავე დროს, ასეთივე მუზარადს, რომელიც საბახტარ ავალიშვილის უნაგირის ტახტაზეა დაკიდებული, კარგად უჩანს ჯაჭვის ზარადი, რომელიც თვალების გარდა მთელ სახეს ფარავს (სურ. 72). ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ მხატვრები ერიდებოდნენ სახის დაფარვას და შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ასე დახატულმა ზუჩმა: იგივე მუზარადი, მხოლოდ მოხდილი, სრული ზარადით არის ხოლმე გამოსახული.

დახურული ზარადების ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს გვიანდელი ეთნოგრაფიული მასალაც, როდესაც XIX ს. ფოტოებზე ხევსურებს ხშირად ვხედავთ სახეჩამობურული ჯაჭვის ზარადებით, რომელთაც მხოლოდ თვალების ჭრილები აქვთ.

---

[147] Горелик, "Ранний монгольский доспех," 195.

[148] Gerry Embleton, *Medieval Military Costume* (Ramsbury, 2008), 26.

[149] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1379.

ა

ბ

გ

სურ. 72
ზუჩები სრული ზარადებით: ა) ავთანდილის მუზარადი. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 255, დეტალი; ბ) ტარიელის მუზარადი. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 429, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; გ) საბახტარ ავალიშვილის მუზარადი, დეტალი. კასტელის მიხედვით.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ზარადი, ჯაჭვის გარდა, სხვა მასალისგანაც მზადდებოდა. „დასავლური“ ჯაჭვისა და „აღმოსავლური“ ლამელარის ერთგვარი „დაპირისპირება“ ზარადებზეც აისახა: ჯაჭვის ზარადი დამახასიათებელია ევროპისა და დასავლეთი აზიისათვის, ლამელარული ზარადი კი – აზიის ვრცელი კონტინენტისათვის.[150] ევროპელთაგან განსხვავებით, სხვადასხვა სახის (ლამელარულ, ქერცლოვან და ჯაჭვის) ზარადს იყენებდნენ ბიზანტიელებიც.[151] ქართულ გამოსახულებებზე ძირითადად ჯაჭვის ზარადები გვხვდება და სხვა ტიპის ზარადი გამონაკლისია. მაგალითად, H1665 დავითნში ქერცლოვანი ზარადი მხოლოდ ერთგან არის დადასტურებული (204r მინიატურა). თუმცა, ქსოვილისაგან დამზადებული ზარადები ასე თუ ისე გვხვდება ამავე დავითნში: 205v მინიატურაზე (სისარას სიკვდილი) სისარასა და მის მარჯვნივ გამოსახულ მებრძოლს ხურავთ მუზარადები დალიანდაგებული ქსოვილის ზარადით. ქსოვილის ზარადებს ვხედავთ 192v, 199v და 213v მინიატურებზეც (სურ. 73).

როგორც წესი, გვიანი შუასაუკუნეების ლამელარული და ფირფიტოვანი ზარადები სამ (კეფისა და ორ გვერდით) სეგმენტად იყოფოდა, ჯაჭვის ზარადი კი ერთიანი იყო.[152] XIV საუკუნეში სფეროკონუსურ მუზარადებს ჯაჭვის ზარადის ნაცვლად უჩნდება ყურსაფარი, რომელიც ლითონის 2 ან რამდენიმე ფირფიტისაგან მზადდებოდა,[153] XV საუკუნეში კი – უკვე ლითონის ერთი ნაჭრისაგან.[154] XV

[150] М.В. Горелик, "Защитное вооружение степной зоны Евразии и примыкающих к ней территорий в I тыс. н.э.," *Военное дело населения юга Сибири и Дальнего Востока* (Новосибирск, 1993), 164.

[151] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 83.

[152] Бобров, Худяков, "Боевые наголовья кочевников Монголии и Калмыкии второй половины XVI – начала XVIII в.," http://e-lib.gasu.ru/da/archive/2003/11/13.html.

[153] ყურსაფარი ორი ან სამი დისკით მონღოლების მიერ არის გავრცელებული. Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 40.

[154] А.Н. Кирпичников, *Военное дело на Руси в XIII-XV вв.* (Ленинград, 1976), 29.

სურ. 73
ქსოვილის ზარადი H1665 დავითნის 192v (ა), 199v (ბ), 205v (გ), 213v (დ) მინიატურების დეტალებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

საუკუნის ბოლოსათვის ლითონის ყურსაფრების ორი ძირითადი ტიპი დასტურდება: ორმაგი ან სამმაგი, როდესაც მუზარადის ორივე მხარეს 2-3 (ტრაპეციული, ხუთკუთხა ან მომრგვალო ფორმის) ლითონის ფირფიტა ეკიდა, და ერთნაწილიანი ყურსაფარი – ხუთკუთხა, სწორკუთხა ან ნახევარწრიული ფორმის. XVI საუკუნეში ერთნაწილიანმა ხუთკუთხა კონსტრუქციამ გამოდევნა ორმაგი და სამმაგი ყურსაფრები.[155]

ლითონის ყურსაფრიანი მუზარადების გამოსახულებები საქართველოშიც გვხვდება. XVII საუკუნის „როსტომიანის" და წერეთლისეული „ვეფხისტყაოს-

[155] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 131-2.

სურ. 74
ლითონის ყურსაფრიანი მუზარადები: ა) „ვეფხისტყაოსნის“ 88r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერი S5006. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) „როსტომიანის“ 489r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერი S1580. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ნის“ მინიატურებზე, ჯაჭვის ზარადებთან ერთად, ვხედავთ ლითონის ყურსაფარებსაც. ამ დროისათვის, როგორც ჩანს, უმთავრესად ერთი ფორმის – ხუთკუთხა ყურსაფარი გამოიყენებოდა, რომელიც „როსტომიანის“ 137v, 140r, 489r და „ვეფხისტყაოსნის“ 86r, 88r, 89r, 91r მინიატურებზეა გამოსახული (სურ. 74).

აჩხაბერი

საბას მიხედვით, *აჩხაბერი* დევის სახის მქონე ზუჩის პირია.[156] ცხადია, „დევის სახე“ გულისხმობს მუზარადზე სამაგრ ანთროპომორფული ლითონის ნიღაბს. ასეთი ნიღბები რომის იმპერიის ხანაში და ადრე შუასაუკუნეებში ევროპაშიც იყო გავრცელებული, მაგრამ უფრო პოპულარული აზიის კონტინენტზე იყო, სადაც შუა საუკუნეების განმავლობაში გვხვდება. ანთროპომორფული ნიღაბი ზარადის როლს ასრულებდა და სახისაგან 1-1.5 სმ დაშორებით ემაგრებოდა მუზარადს.[157]

აჩხაბერი საქართველოშიც გამოიყენებოდა. არჩილი მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მარაბდის ომში გიორგი სააკაძის აჩხაბერიანი (დევისსახიანი) მუზარადის შესახებ.[158] რადგანაც აჩხაბერი უძრავად ემაგრებოდა ზუჩს და მისი ახდა (აკეცვა) შეუძლებელი იყო, ამიტომ სააკაძემ მუზარადი საერთოდ არ დაიხურა თავზე, რომ ირანელებს ეცნოთ და თავზარი დასცემოდათ.

„მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა?
თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ მიდგა“.[159]

აჩხაბერი მრავალგზის არის გამოსახული XVII საუკუნის „როსტომიანის“ (ხელნაწერი S1580) მინიატურებზე (სურ. 75).

---

[156] „*აჩხაბერი* – ზუჩი პირ დევის სახე; ზუჩის პირი მსგავსი დევისა“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 83.

[157] Горелик, “Ранний монгольский доспех,” 194.

[158] იოსებ თბილელის ვერსიით, მარაბდის ბრძოლაში სააკაძეს ეხურა ზუჩი ჯაჭვის ზარადით, რომელიც ბრძოლაში აიკეცა („მე ზარად პირაკეცილი“). იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 31. ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, არჩილი არის მართალი სააკაძის აჩხაბერიანი მუზარადის აღწერისას თუ იოსებ თბილელი, რომელიც მოურავს ჯაჭვის ზარადიან ზუჩს აკუთვნებს. მთავარია, რომ არჩილის მონათხრობი მოწმობს იმდროინდელ პრაქტიკას – ქართველების მიერ აჩხაბერიანი, ლითონის ნიღბიანი მუზარადების გამოყენებას.

[159] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, 75.

სურ. 75
ანთროპომორფული ლითონის ნიღბები: XVI ს. ირანული მუზარადი (ა). მოსკოვის კრემლის მუზეუმი; არხაბერი „როსტომიანის" 137v (ბ) და 148r (გ) მინიატურებზე, დეტალები. ხელნაწერი S1580. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ჩაბალახი

ჩაბალახი „არს თავსახურავი საომარი, გინა წვიმაში თავს ჩამოსაცმელი რამე; ჯაჭვის ქუდი".[160] საბას განმარტებით, *ჩაბალახი* მხოლოდ ჯაჭვისაგან დამზადებული თავსაბურავია: „რომელსა პოლოტიკი არა აქვს, თავ(ს) სახურავი ლიტონი ჯაჭვია, იგი არს *ჩაბალახი*".[161]

დამოუკიდებელ[162] ჯაჭვის ქუდს ევროპაში XI საუკუნის მიწურულიდან იყენებდნენ, განსაკუთრებით პოპულარული კი XIII ს. დამლევს ხდება.[163] ჯაჭვის ქუდის ტიპი არსებობდა: ჯაჭვის პერანგთან გაერთიანებული და დამოუკიდებელი. მხოლოდ ჯაჭვის ჩაბალახი არასაკმარისი დაცვა იყო, რომლის დაძლევაც მრავალგვარ იარაღს შეეძლო. როგორც წესი, ჩაბალახს სადების გარეშე არ ატარებდნენ.[164] ჩაბალახი კარგად იცავდა მებრძოლის კისერსა და ყურებს.[165] XIII საუკუნის შუახანებისთვის ჩაბალახი ევროპაში საყოველთაოდაა გავრცელებული.[166] XIV საუკუნეში ევროპაში ჯაჭვის ქუდი შეცვალა ზუჩზე დამაგრებულმა ზარადმა.[167] ჩაბალახი ცნობილი იყო

---

[160] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 313.

[161] იქვე, I, 290.

[162] ანუ რომელიც ჯაჭვის პერანგთან არ იყო ინტეგრირებული.

[163] დ. ნიკოლი მიიჩნევს, რომ ჩაბალახი ევროპაში ბიზანტიიდან ან ისლამური სამყაროდან გავრცელდა, რადგანაც ამ რეგიონებში ის უფრო ადრე დასტურდება. David Nicolle, "The Military Technology of Classical Islam," PhD Thesis (University of Edinburgh, 1982), 217-8.

[164] Tommy Hellman, "Ringbrynjehuvor Från Massgravarna Vid Korsbetningen," http://www.djurfeldt.com/patrik/cupps.html (1995).

[165] Philip Sidnell, *Warhorse: Cavalry in Ancient Warfare* (London, 2006), 319.

[166] Wise, *Armies of the Crusades*, 15.

[167] Nicolle, *Knight of Outremer*, 47.

სურ. 76
ქვეითი მეომარი ჩაბალახით. ჯრუჭის II ოთხთავის 70v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

აღმოსავლეთშიც, მაგრამ უფრო პოპულარული ზუჩის ჯაჭვის ზარადი იყო.[168] ფიქრობენ, რომ ჩაბალახი ბიზანტიაში ავარებმა შეიტანეს ან თავად რომაელებმა შექმნეს, პართულ-სასანური მუზარადის ჯაჭვის ზარადის საფუძველზე.[169] დამოუკიდებელ ჯაჭვის ქუდს ბიზანტიურად *სკაპლია* (*სკაპლიონი*) ეწოდებოდა.[170] მავრიკიოსის *სტრატეგიკონში* გვხვდება დამოუკიდებელი ჯაჭვის ქუდის ხსენება. ტრაქტატის ავტორის რჩევით, იმ ჯარისკაცებს, რომელთაც ჯაჭვის აბჯარი არ ჰქონდათ, ჯაჭვის ჩაბალახი მაინც უნდა დაეხურათ მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად.[171]

XVII საუკუნეში, როდესაც სულხან-საბა იძლევა *ჩაბალახის* განმარტებას, ის ჯაჭვის თავსარქმელია. თუკი მხედველობაში მივიღებთ ჩაბალახის ხშირ ხსენებას XI-XIII საუკუნეების წერილობით ძეგლებში და, ამავდროულად, მის ერთეულ გამოსახულებებს, შესაძლებელია დავსვათ კითხვა: ჩაბალახი ყოველთვის ჯაჭვის ქუდი იყო, თუ თავდაპირველად ზოგადად მუზარადს აღნიშნავდა? ჯუანშერის მიერ აღწერილ „ცხენ-თორნოსან და ჯაჭუ-ჩაბალახოსან“ მხედრობაში,[172] თითქოსდა, ჩაბალახი მუზარადს შეესაბამება. „ვეფხისტყაოსანში“, ქაჯეთის ციხის საიერიშოდ მზადებისას ჩაბალახი და მუზარადი ისეა ნახსენები, რომ შესაძლებელია მათი როგორც ცალ-ცალკე, ისე ურთიერთმონაცვლე ტერმინებად არსებობა: „ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი **ჩაბალახები**“,[173] და ცოტა ხნის შემდეგ – „მიდგეს გარეთ, **მუზარადნი** დაიხურნეს ჟამიერად“.[174] შესაძლოა, გმირებმა ჯერ ჩაბალახები აიღეს და როდესაც ციხეს მიუახლოვდნენ, მუზარადებიც დაიხურეს. ამავე დროს, შეიძლება ჩაბალახი უბრალოდ მუზარადს ნიშნავდეს და მათ მონაცვლეობით იყენებდეს ავტორი. სხვა ეპიზოდში, რუსთაველი, თითქოსდა, განასხვავებს ჩაბალახსა და მუზარადს ერთმანეთისაგან: „მათი მესმა დაპირება,

[168] Nicolle, *Saracen Faris*, 31.
[169] Stephenson, *Romano-Byzantine Infantry Equipment*, 26-7.
[170] Kolias, *Byzantinische Waffen*, 43, 79; Raffaele D'Amato, "The Military Equipment of Johannes Tzimiskes in the Cavusin Paintings, Goreme, Dovecote Church: the skaplion-zaba," *Varangian Voice*, 70 (2006), 16.
[171] *Maurices's Strategikon*, 106.
[172] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, 155.
[173] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1408.
[174] იქვე, სტრ. 1413.

ჩაბალახთა ჩამობურვა“.[175] ჩაბალახის ჩამობურვა უფრო ჯაჭვის თავსაბურავს შეეფერება, ვიდრე მუზარადს, მით უმეტეს, რომ მუზარადის ჯაჭვს რუსთაველი ზარადით აღნიშნავს.

„ამირანდარეჯანიანის“ მონაცემები საშუალებას გვაძლევს მეტი სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში. ორთაბრძოლების აღწერისას ვკითხულობთ: „აიდგნა ფერჯნი ავჟანდათა ზედა და ჰკრა ჴრმალი ჩაბალახსა ზედა, **გააკუეთინა ორნი პოლოტიკნი რკინისანი, ჩაბალახი** და თავსა დიდი შეჰკუეთა“;[176] „ჰკრა ჴრმალი იმარინდომან, **პოლოტიკნი რკინისანი გააკუეთინა და ჩაბალახი გაუკუეთა** და თავსა დიდი შეჰკუეთა“.[177] ორივე ეპიზოდში ჩანს, რომ ხმალმა გაკვეთა რკინის მუზარადის ფირფიტები (პოლოტიკნი) და მუზარადის ქვეშ დარქმეული ჩაბალახი, რომელიც მხოლოდ ჯაჭვის შეიძლება ყოფილიყო. რკინის მუზარადის დახურვა ჯაჭვის ჩაბალახზე ჩვეული პრაქტიკა იყო შუა საუკუნეებში. სხვაგან, ასპარეზობის მონაწილეს „ჩაბალახი მოეშალა“, რაც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა.[178] გამოყენებული ტერმინი „მოეშალა“, ჯაჭვის ჩამოშლაზე უნდა მიუთითებდეს. დაბოლოს, „ამირანდარეჯანიანში“ აღწერილი ცხენის აბჯარი პირდაპირ მიუთითებს, რომ ჩაბალახი ჯაჭვია: „ჩაბალახი გარდაეკიდნეს ეგრევე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდსა“.[179]

სურ. 77
ჯაჭვის ჩაბალახი სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში.

ჟამთააღმწერელის მონათხრობიც მოწმობს, რომ ჩაბალახი ჯაჭვის თავსაბურავია: „მაშინ წარავლინეს მოციქული წინაშე დიდისა ყაენისა... და აუწყეს აღება სპარსეთისა, საქართველოსა, საბერძნეთისა, და ყოველთა თემთა ქუდი და აბჯარი და ტანისამისი გაუგზავნეს და წესი მიუმცნეს... და ვითარ იხილა მოციქული [მანგუ ყაენმა – მ.წ.], განიხარა, და ჩაბალახისა ხილვასა განკჯრდა“.[180] XIII საუკუნის შუახანებში მონღოლებს, რომლებიც უკვე ბატონობდნენ ევრაზიის დიდ ნაწილზე, რკინის მუზარადი ვერ გააკვირვებდა, მათი გაოცება მხოლოდ ჩაბალახს, ჯაჭვის ქუდს, შეეძლო გამოეწვია.[181] რო-

---

[175] იქვე, სტრ. 615.

[176] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 478-9.

[177] იქვე, 560-1.

[178] იქვე, 547.

[179] იქვე, 475.

[180] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 79-80.

[181] მიუხედავად ამისა, ი. ბაქრაძე ჩაბალახს მაინც მუზარადად მიიჩნევს და რატომღაც თვლის, რომ მანგუ ყაენი ქართული რკინის მუზარადის კონსტრუქციამ გააოცა. ბაქრაძე, „ვაველის ტიპის მუზარადი ცაგერის ისტორიულ მუზეუმში“, 141. ი. ბაქრაძე შეცდომას უშვებს ქრონოლოგიაშიც:

გორც ჩანს, XII-XIII საუკუნეებში მაინც, ჩაბალახი უკვე ჯაჭვის ქუდს აღნიშნავდა.

XI საუკუნის საქართველოში ცნობილი ყოფილა „ჩაბალახი გუდამაყრული“, რომელსაც მიწის სასყიდლად იყენებენ.[182] ჩაბალახიანი ქვეითი მეომარია გამოსახული ჯრუჭის II ოთხთავის 70v მინიატურაზე (სურ. 76). ჩვენამდე მოღწეული ჩაბალახი (სიგრძე – 25 სმ) დაცულია სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში[183] (სურ. 77).

ჩაჩქანი

საბას მიხედვით, *ჩაჩქანი* რკინის პატარა, ჯამის ფორმის თავსარქმელია ჯაჭვის ზარადით, რომელიც უკან, კისერზე ბოლომდეა ჩამოშვებული, წინ კი სახეს არ ფარავს.[184] თუმცა, როგორც ეთნოგრაფიული სინამდვილიდან ვრწმუნდებით, ხევსურული ჩაჩქანის ზარადი სახესაც ფარავდა. კ. ჩოლოყაშვილი ჩაჩქანის ორგვარ ზარადს აღნიშნავს: ამოჭრილ სათვალეებიან გრძელ პირბადესა და მოკლე პირბადეს, რომელიც წინ მხოლოდ შუბლს ფარავს, უკან და გვერდებზე კი ჩამოგრძელებული იყო.[185]

ჩაჩქანი ლითონის ჯამია, რომელსაც კიდეზე ნახვრეტები აქვს შემოყოლებული ზარადის ჯაჭვისათვის. რუსეთში მას *მისურკას* ეძახდნენ, არაბულის სიტყვიდან „მისრი“, რაც ეგვიპტეს ნიშნავდა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ჩაჩქანი მამლუქური ეგვიპტიდან გავრცელდა.[186] გვიან შუასაუკუნეებში ჩაჩქანი ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული საბრძოლო თავსარქმელი იყო კავკასიაში. საზოგადოდ, კავკასიური ჩაჩქანი შედარებით უფრო ბრტყელია, ვიდრე ოსმალური ან ირანული.[187] კ. ჩოლოყაშვილიც აღნიშნავს, რომ შემორჩენილი ქართული ჩაჩქანები არის მრგვალი და დაბალი, ჯამისებური თაქვსარქმელით და საცხვირის გარეშე.[188] საქართველოში (ხევსურეთში) ჩაჩქანს ფოლადის, რკინისა და სპილენძისაგან ამზადებდნენ. შემონახულია ქართული ჩაჩქანი, რომლის ჯამს ჩამობმული აქვს ყბის ქვეშ ამოსადები ტყავის დაწნული თასმა, რომლითაც ის თავზე მაგრდებოდა.[189] ხევსურული ჩაჩქანის ნიკაპზე შე-

---

ეს ეპიზოდი მას XIV საუკუნეში საქართველოში დამზადებული მუზარადების ხარისხიანობის დასტურად მოჰყავს, მაშინ როდესაც მანგუ ყაენის სიცოცხლისა (1209-59) და მმართველობის (1251-59) წლებიც მხოლოდ XIII საუკუნეში თავსდება.

[182] „დაწერილი ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრისა“, 40.

[183] *სვანეთის მუზეუმი*, 224-5, სურ. 35.

[184] „და არს თხემსა ზედა მცირე პოლოტიკი და ზარადი კისრის კერძოთა და პირსა არარა, იგი არს *ჩაჩქანი*“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 290.

[185] ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი. ჩაჩქანი“, 339.

[186] Э.Г. Аствацатурян, *Турецкое оружие* (Санкт-Петербург, 2002), 65.

[187] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 81.

[188] ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი. ჩაჩქანი“, 339.

[189] იქვე, 335-6.

საკრავ გამძლე და წვრილ თასმებს გუსტავ რადეც აღწერს.[190]

გავაზში მოპოვებულია ჩაჩქანი, რომელიც წარმოადგენს რკინის ჯამს დაჩვრეტილ კიდეებზე მიმაგრებული ზარადის ჯაჭვით (სურ. 78). ჩაჩქანის ჯამზე ოთხი სამსჭვალით არის დამოქლონებული მცენარეული ორნამენტით მორთული ვერცხლის ფირფიტა ცენტრალური რგოლით. ჯამზე შემორჩენილია ნაბდის ნაჭერი.[191] ჯამის დიამეტრი 140 მმ-ია, სიმაღლე – 30 მმ, წონა – 986 გ. ჯაჭვის ზარადის სიგრძე 38 სმ-ია, სახეზე ჩამოშვებული ჯაჭვის სიგრძე კი – 11.7 სმ. ზარადის ჯაჭვის რგოლები ეკლისებრადაა შეერთებული. ეს ძვირფასი აღმოჩენაა, რომელიც ცხადყოფს, რომ მუზარადის სადებად ნაბდის ნაჭერს იყენებდნენ.

სურ. 78
ჩაჩქანი გავაზიდან: ა) წინხედი, ბ) ზედხედი, გ) ჯამზე ამოკრული ნაბდის ნაჭერი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ვერცხლის ფირფიტითაა გამშვენებული ხევსურული ჩაჩქანიც (ექსპონატი 9-24/6), რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება (სურ. 79). ფოლადის ჯამზე გადაკრულ ვერცხლის ფურცელს ორი ჩაღრმავებული და მოოქრული ზოლი შემოუყვება. ჯამის დიამეტრია 149 მმ, სიმაღლე – 47 მმ. ჯამს თავზე ნახვრეტი აქვს, რომლის რგოლი (თუ წოპი) დაკარგულია. ჯაჭვის ზარადის სიგრძე 41.8 სმ-ია, სახეზე ჩამოშვებული ჯაჭვის სიგრძე კი – 15 სმ. ზარადის ჯაჭვის ფოლადის რგოლები ეკლისებრადაა შეერთებული 4-1 ქსოვით (ყოველი რგოლი ოთხ სხვა რგოლშია გაყრილი). ზარადს აქვს ორი სათვალე ჭრილი.

საერთოდ, ქართული ჩაჩქანისათვის დამახასიათებელია ორი ჩაღრმავებული ზოლით ლითონის ჯამის დამშვენება. ასეა მორთული ეროვნული მუზეუმის ორი ექსპონატიც – გ-64 (ჯამის დიამეტრი – 180 მმ, ზარადის სიგრძე – 33.5

---

[190] Густав Радде, *Хевсурия и хевсуры. Описание путешествия, совершённого летом 1876 года* (Тифлис, 1881), 143.

[191] ლევან ჭილაშვილი, *ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)* (თბილისი, 1975), 92-3.

ა

ბ

სურ. 79
ხევსურული ჩაჩქანი (ექსპონატი 9-24/6): ა) წინხედი, ბ) ზედხედი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ა

ბ

სურ. 80
ქართული ჩაჩქანი (ექსპონატი გ-64): ა) წინხედი, ბ) ზედხედი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ა



ბ



სურ. 81
ქართული ჩაჩქანი (ექსპონატი გ-304): ა) წინხედი, ბ) ზედხედი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ა

ბ

სურ. 82
იოანე მუხრანბატონის ჩაჩქანი (ექსპონატი 69-26/37): ა) წინხედი, ბ) ზედხედი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

სმ, შუბლის ჯაჭვის სიგრძე – 15 სმ; სურ. 80) და გ-304 (ჯამის დიამეტრი – 165 მმ, ზარადის სიგრძე – 35.5 სმ, შუბლის ჯაჭვის სიგრძე – 16.5 სმ; სურ. 81).

ეროვნულ მუზეუმშია დაცული გამორჩეული ექსპონატიც (69-26/37), რომელიც ერეკლე II-ის სახლთუხუცესის იოანე (ივანე) მუხრანბატონის (1755-99/1801) ჩაჩქანია[192] (სურ. 82). მას ამშვენებს მაღალი ხარისხის ოქრო-ზარნიშით შესრულებული მცენარეული და სამყურა ორნამენტი და ქართული წარწერები, საიდანაც მისი მფლობელის ვინაობას ვიგებთ. ფოლადის ჯამს შემოვლებული აქვს ვერცხლის სევადიანი ვიწრო ფირფიტა.[193] ჯამის დიამეტრია 158 მმ, სიმაღლე – 51 მმ, ჯაჭვის ზარადის სიგრძე – 36.3 სმ. ჩაჩქანი 1242 გ-ს იწონის. ზარადი მჭიდროდ არის მოქსოვილი, ფოლადის ყოველი რგოლი ოთხ სხვა რგოლშია გაყრილი და *ზეიდალის* ტიპის ჯაჭვია (შედგება ურთიერთმონაცვლე ეკლისებრი და დადუღებული რგოლების რიგებისაგან).[194]

აღსანიშნავია, რომ თავისი მობრტყო და მრგვალი ფორმის გამო, საჭიროების შემთხვევაში ჩაჩქანს ფარის ნაცვლადაც იყენებდნენ, როგორც ეს აღწერილი აქვს ვ. ელაშვილს. ჩაჩქანით ხმლის მოგერიება ხევსურული ფარიკაობის ილეთი იყო, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. ეს ილეთი ელაშვილის მიერ ფოტოზეც არის აღბეჭდილი.[195]

ჩაინის ქუდი

XIII საუკუნის დასაწყისის ტიმოთესუბნის მხატვრობაში ქვეითი მეომრის ორი გამოსახულება (სურ. 83ა,ბ) შეინიშნება[196] დამახასიათებელი ფარფლებიანი რკინის ქუდით (*chapel de fer*). ევროპაში რკინის ქუდი XII საუკუნის ბოლოს ჩნდება და XIII საუკუნის განმავლობაში პოპულარული ხდება ჯარის ყველა სახეობაში.[197] აღსანიშნავია, რომ ფარფლებიანი რკინის ქუდის გამოსახულება პირველად XI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიაში გვხვდება.[198] ასეთი მუზარადი კარგად იცავდა მეომარს ზემოდან წამოსული დარტყმისა და ნასროლი ისრისაგან, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ციხე-სიმაგრეების იერიშისას.[199] მისი ღია ფორმა კი ყველა მხარეს ხედვის

---

[192] გ. რადე აღნიშნავს, რომ ოქროს ზარნიშითა და ქართული წარწერებით მორთული იოანე მუხრანბატონის ჩაჩქანი შესრულების ოსტატობით არ ჩამორჩებოდა საუკეთესო ირანულ ნიმუშებს. Радде, *Хевсурия и хевсуры*, 143.

[193] ჰ. რ. რობინსონი შენიშნავს, რომ ქართული ჩაჩქანი (მისურკა) ხშირად მოხდენილად იყო გაფორმებული ვერცხლითა და სევადით. Robinson, *Oriental Armour*, 63.

[194] ზეიდალის ტიპის ჯაჭვის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი *ჯაჭვის აბჯარი*.

[195] В.И. Елашвили, *Парикаоба (Хевсурское фехтование)* (Тбилиси, 1956), 70, рис. 87.

[196] Е.Л. Привалова, *Роспись Тимотесубани: исследование по истории грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1980), 73-5, рис. 27-8.

[197] Wise, *Armies of the Crusades*, 29.

[198] David Nicolle, "Arms of the Umayyad Era: Military Technology in a Time of Change," in *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*, ed. by Yaacov Lev (Leiden, 1997), 20. ასევე იხ. D'Amato, "Old and New Evidence on the East-Roman Helmets from the 9th to the 12th Centuries," 122-4.

[199] Christopher Gravett, *German Medieval Armies 1000-1300* (Oxford, 1997), 45.



სურ. 83
რკინის საბრძოლო ქუდი ტიმოთესუბნის ფრესკებზე (ა, ბ) და ალავერდის ხატზე (გ).

საშუალებას იძლეოდა. XIV საუკუნის დასაწყისიდან რკინის ქუდის ადრეული სეგმენტური ფორმა მთლიანმა, ერთ-ნაჭრიანმა კონსტრუქციამ შეცვალა.[200] ტიმოთესუბნის ფრესკზე, თითქოსდა, მთლიანჭედილი საბრძოლო ქუდი ჩანს, რაც ასეთი განვითარებული მოდელის ადრეული წარმომადგენელი უნდა იყოს.

რკინის საბრძოლო ქუდი ჩანს XVI საუკუნის ალავერდის ჭედურ ხატზეც[201] (სურ. 83გ), რაც საბოლოოდ მეტყველებს, რომ ამ ტიპის მუზარადს შეზღუდულად, მაგრამ მაინც იყენებდნენ საქართველოში.[202]

სხეულის აბჯარი

ათასწლეულების განმავლობაში ევრაზიის ვრცელ კონტინენტზე რამდენიმე ძირითადი ტიპის სხეულის აბჯარი ჩამოყალიბდა, რომლებიც ლითონისა და ცხოველური თუ მცენარეული წარმოშობის ორგანული მასალისაგან (რქა, ტყავი, ქსოვილი) მზადდებოდა. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული თავდასაცავი აღჭურვილობიდან აღსანიშნავია ჯაჭვისა და სხვადასხვა ზომის ფირფიტებისაგან შემდგარი აბჯარი. ჯაჭვის აბჯარი ლითონის პატარა რგოლებისაგან მზადდებოდა. პატარა ფირფიტებისაგან

---

200 Nicolle, *Knight of Outremer*, 51.

201 Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 554.

202 საინტერესოა, რომ პ. გროტოვსკის დაკვირვებით, მოსკოვის კრემლში დაცული XIII-XIV სს. ბიზანტიური რკინის ქუდის (*chapel de fer*) ფორმა ქართული საკურთხევლისწინა ჯვრების ქუდს ჰგავს. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 26, n. 34.

იწყობოდა ქერცლოვანი და ლამელარული აბჯარი, სალტის ფორმის ფირფიტებისაგან – ლამინარი, დიდი ფირფიტებისაგან კი – პოლოტიკი და ჩარაინა. გავრცელებული იყო კომბინირებული აბჯარიც, რომელიც ჯაჭვში ინტეგრირებულ რკინის ფირფიტებს წარმოადგენდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია საგანგებოდ დამზადებული (დალიანდაგებული) ქსოვილის აბჯარი, რომელსაც დამოუკიდებლად და ლითონის აბჯართან კომბინაციაშიც იყენებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანის თანახმად, აბჯარი „ზოგადი სახელი არს ყოველთა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვთა".[203] აქედან ცხადია, რომ ჯაჭვი იყო აბჯრის ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი შუა საუკუნეების საქართველოში, რაც დასტურდება არქეოლოგიური და იკონოგრაფიული მონაცემებითაც. საერთოდ, მებრძოლის მიერ ასხმული აბჯარი უნდა განვიხილოთ როგორც შეიარაღების კომპლექსი, რადგანაც სხეულზე მხოლოდ ლითონის აბჯარს არ ირგებდნენ: მის ქვეშ საგანგებოდ შეკერილ და დალიანდაგებულ ქსოვილის საცმელს ან სქელ სამოსს ატარებდნენ.

განსხვავდებოდა როგორც აბჯრის ტიპები, ასევე ცხენოსნისა და ქვეითი მეომრის აბჯარიც. ქართულ წყაროებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ტერმინი *საქვეითო აბჯარი*, რომელსაც ციხის იერიშის დროს იყენებენ. ის რამდენიმეგზისაა გამოყენებული „ამირანდარეჯანიანსა" და მის გვიანდელ დამატებაშიც: „შეეკაზმა... საქუეითოთა აბჯრითა, აიღო ფარი და შეუხდა ციხისა ძირსა";[204] „შეეკაზმა იგი... საქუეითოთა აბჯრითა, აიღო ფარი... მერმე მის ქალაქისა კართა მიუხდა, კარნი შელეწა და შინა შევიდა";[205] „დილასა შეეკაზმა საქვეითოთა აბჯრითა... მივიდა ნარიყალსა კარსა, ლახტი ჰკრა, რკინისა კარი შუა გაჩეხა, შიგან შევიდა".[206] საქვეითო აბჯარს ახსენებს „რუსუდანიანის" ანონიმი ავტორი („საქვეითოდ შეეკაზმა")[207] და „შაჰნავაზიანიც: „საქუეითოთა აბჯრითა მეფე მოერთო მალია; ციხეს მიმართა საომრად..."[208]

რა განსხვავებაა ქვეითი და ცხენოსანი მებრძოლის აბჯარში და რატომ იცვამდა მხედარი ჩამოხდომისას საქვეითო აბჯარს? საქმე იმაშია, რომ ცხენზე ამხედრებულ მეომარს უფრო მძიმე და გრძელი აბჯრის ტარება შეეძლო, ქვეითის აბჯარი კი უფრო მსუბუქი და მოკლე იყო, რომელსაც სიარულში ხელი არ უნდა შეეშალა. გრძელი აბჯარი მოხსენიებული აქვს ჯუზჯანის, რომელიც ღურიდებისა და ღაზნევიანთა ბრძოლაში 1150 წელს ორი მებრძოლის ორთაბრძოლის აღწერისას ამბობს, რომ სპილოებიდან ჩამოსვლის შემდეგ მათ აიკეცეს აბჯრის კალთები. ცხადია, რომ XII საუკუნეში მხედრის

---

[203] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 38.

[204] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 92.

[205] იქვე, 402-3.

[206] იქვე, 780.

[207] *რუსუდანიანი*, 334.

[208] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 183.

აბჯარს გრძელი კალთა ჰქონდა, რომელიც ქვეითად ბრძოლისას მას ხელს უშლიდა.[209] ქვეითისა (ქართული წყაროების „საქვეითო“) და ცხენოსნის აბჯარი ქვედატანითაც განსხვავდებოდა. ქვეითის აბჯარი გვერდებზე იყო ჩაჭრილი, ცხენოსნისა კი – წინიდან და უკნიდან.[210] რაც უფრო გრძელი იყო აბჯარი და ძირს ეშვებოდა მისი ქვედაბოლო, მით უფრო ღრმა იყო ჭრილი. შედეგად, ცხენოსანი თავისუფლად ჯდებოდა უნაგირში, ქვეითს კი მოძრაობა არ უჭირდა. ამიტომაც, ხშირად, ციხესიმაგრეთა იერიშისას ჩამოქვეითებული ქართველი რაინდები „საქვეითო აბჯარს“ იყენებდნენ.

ჭიქცლოვანი, ლამელარული, ლამინარული აბჯარი

ლითონის პატარა ფირფიტებისაგან შედგენილ სხეულის აბჯარს დიდი ხნის ისტორია აქვს. ძვ.წ. II-I ათასწლეულიდან მოყოლებული, წინა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში უკვე გვაქვს ჩამოყალიბებული სხვადასხვა სახის ფირფიტოვანი (ქერცლოვანი და ლამელარული)[211] აბჯარი.[212] აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში ადრეული ლამელარი, აქემენური ეპოქიდან დაწყებული მთელი ათასწლეულის განმავლობაში, ქერცლოვანმა აბჯარმა ჩაანაცვლა,[213] ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში კი ლამელარი ბატონობდა.[214]

---

[209] J. W. Allan, "Armor," *Encyclopaedia Iranica*, vol. 2, fasc. 5 (London, 1986), 486.

[210] Timothy Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion: Some Aspects of Middle Byzantine Military Equipment Reconsidered," *Byzantine and Modern Greek Studies*, 22 (1998), 49.

[211] რიგი სხვაობის მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში ლამელარული და ქერცლოვანი აბჯრის გარჩევა, როგორც ამაში ქვემოთ დაერწმუნდებით, საკმაოდ ძნელია. მათი დიდი მრავალფეროვნებითაა გამოწვეული ადრეული ფირფიტოვანი აბჯრის კლასიფიკაციის სირთულე და არასრულყოფილება. ა. კირპიჩნიკოვი აბჯარში დამაგრების ორ ტიპს გამოყოფს, – თასმებითა და სარჩულზე, პირველს „ფირფიტოვანს“ უწოდებს, მეორეს კი „ქერცლოვანს“. ა. ხაზანოვი თასმით შეკავშირებულებს „აწყობილ-ფირფიტოვანს უწოდებს“, სარჩულზე დამაგრებულ ფირფიტებს კი „ფირფიტოვან აბჯარს“. მ. გორელიკი გამოყოფს „ლამელარულ“ (თასმებით შეერთებული მრავალი ფირფიტა), „ლამინარულ“ (ჰორიზონტალური ფენებისგან აწყობილი) და „ფირფიტოვან“ (სარჩულზე დამაგრებული) აბჯარს. ი. ხუდიაკოვი და ა. სოლოვიოვი ასხვავებენ ფირფიტების დამაგრების ორ მეთოდს: 1) ერთმანეთთან თასმებით ან მავთულით და 2) სარჩულზე მიკერებით ან დამოქლონებით. ასევე, ისინი არჩევენ ფირფიტების განლაგების ორ ძირითად ვარიანტს: 1) ერთმანეთის ნაწილობრივი გადაფარვითა და 2) მიჯრით ერთმანეთის გვერდზე. Ю.С. Худяков, А.И. Соловьев, "Из истории защитного доспеха в Северной и Центральной Азии," *Военное дело древнего населения Северной Азии* (Новосибирск, 1987), 138.

[212] არ არის სწორი ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი ყველა აბჯარი ქერცლოვნად მივიჩნიოთ. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 188. ქართველი მებრძოლი, ქერცლოვნის გარდა, ფირფიტებისაგან შედგენილ ლამელარულ აბჯარსაც იყენებდა.

[213] А.М. Хазанов, *Очерки Военного Дела Сарматов* (Санкт-Петербург, 2008), 124-33; Горелик, *Оружие Древнего Востока*, 83-112.

[214] М.В. Горелик, "Сакский доспех," *Центральная Азия. Новые памятники письменности и искусства* (Москва, 1987), 120. ორივე სახის ფირფიტოვან აბჯარს (ქერცლოვანსა და ლამელარულს) თავისი ღირსება და ნაკლი გააჩნდა, ამიტომაც გვხვდება ხანდახან მათი კომბინაცია აბჯრის ერთ კომპლექტში, სადაც შესაძლებელი იყო ლამელარული კირასისა და ქერცლოვანი ქვედატანის შეთავსება. Ю.М. Лупиненко, "Пластинчатый доспех восточных славян в VII-X вв.," *Русь на перехресті світів (міжнародні впливи на формування давньоруської держави) IX-XI ст.*, Матеріали міжнародного польового археологічного семінару (Чернигов, 2006), 117; Кирпичников, "Древнерусское оружие.

აზიიდან დაძრული მომთაბარე ტომების გამოჩენის შემდეგ, ბიზანტიის იმპერიასა და მის მიმდებარე რეგიონებში საწინააღმდეგო პროცესი იწყება. VII-IX საუკუნეებში ავარების, ხაზარების, უნგრელებისა და სტეპის სხვა ნომადების გავლენით ლამელარული აბჯარი ფეხს იკიდებს ბიზანტიაში,[215] სადაც განსაკუთრებით ფართოდ X საუკუნეში ვრცელდება.

სურ. 84
წმ. გიორგი ლამელარული კირასითა და ქერცლოვანი ქვედატანით. ბოჭორმის ხატი, XI საუკუნე.

ქერცლოვანი აბჯარი

ახლო აღმოსავლეთში ქერცლოვანი აბჯარი ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუახანებიდან ვრცელდება.[216] იყენებდნენ რა ათასწლეულების განმავლობაში, ქერცლოვანი აბჯარი ითვლება ერთ-ერთ ნიშანსვეტად საბრძოლო ხელოვნების განვითარების ისტორიაში.[217]

ქერცლოვანი აბჯარი წარმოადგენს ტყავზე ან რაიმე ქსოვილზე კრამიტისებურად[218] დამაგრებულ ლითონის ფირფიტებს.[219] ხშირად მის ფირფიტებს U-ფორმა აქვთ.[220] აბჯრის ფირფიტები ყოველთვის (!) ქვემოთაა მიმართული, რაც მისი დამახასიათებელი ნიშანია. ქერცლოვანი აბჯრის რიგები 1/3-ზე გადაფარავენ ერთმანეთს[221] და ცოტათი შეცილებული არიან, რაც თევზის ქერცლის მსგავს მრავალფენიან ზედაპირს წარმოქმნის. ფირფიტების ფორმაც შესაბამისია, – ერთი მხარე მომრგვალებულ-წაგრძელებული, მეორე კი სწორი.[222]

იმისათვის, რომ ქერცლოვანი აბჯარი ელასტიური ყოფილიყო და მებრძოლის მოძრაობა არ შეეზღუდა, იყენებდნენ საუკეთესო ხარისხის, კარგად გამოყვანილ ტყავს.[223] ტყავის სუბსტრატზე ქერცლოვანი ფირფიტების

Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 19. კომბინირებული აბჯრის მაგალითია ბოჭორმის ხატზე გამოსახული წმ. გიორგის საჭურველი (სურ. 84), რომელსაც ლამელარული კირასა და ქერცლოვანი ქვედატანი აცვია. გიორგი ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა: ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები* (თბილისი, 1957), ტაბ. 50-1.

[215] John Haldon, *Warfare, State and Society in the Byzantine World, 565-1204* (London, 1999), 129.

[216] ქერცლოვანი აბჯრის ფირფიტები ნაპოვნია მესოპოტამიაში, ირანში, ურარტუში, ანატოლიაში, სირიაში, ფინიკიაში, პალესტინაში, ეგვიპტესა და კვიპროსზე. Tamás Dezsö, "Scale Armour of the 2nd Millennium BC," in *A Tribute to Excellence*, studies offered in honor of Ernő Gaál, Ulrich Luft, László Török, ed. by Tamás A. Bács (Budapest, 2002), 196.

[217] E. V. Cernenko, *The Scythians 700-300 BC* (Oxford, 1983), 7; Горелик, *Оружие Древнего Востока*, 90-2.

[218] ხანდახან, ქერცლები ზუსტად ერთმანეთის ქვემოთაც იყო მოთავსებული. Robinson, *Oriental Armour*, 3.

[219] Fabrice de Backer, "Scale-Armour in the Mediterranean Area during the Early Iron Age, t. 1, From the XIth to the IIIrd century BC," *Revue des Études Militaires Anciennes*, 5 (2008-2012), 1.

[220] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 109.

[221] ან უფრო მეტად, ნახევარზე მაინც. Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 28.

[222] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 52.

[223] მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზურგის ნაწილს, რომლის დამუშავების დონეც თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამებოდა. Е.В. Черненко, *Скифский доспех* (Киев, 1968), 20.

დასამაგრებლად, როგორც წესი, წვრილ თასმებს იყენებდნენ.[224] ასევე შესაძლებელია ფირფიტების დამაგრება ლითონის პატარა სამაგრებით, რომლებიც ქერცლების ნახვრეტებშია გაყრილი. ეს ნახვრეტები, როგორც წესი, წყვილადაა განლაგებული, – ძირითადად ძირზე და გვერდებზე, ხანდახან შუაშიც.[225]

ელასტიურობიდან და კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, ქერცლოვანი აბჯარი შეიძლება გრძელმკლავიანიც ყოფილიყო, მაშინ როდესაც უფრო ხისტი ლამელარი მხოლოდ მოკლემკლავიანი იყო. ქერცლოვანი აბჯრის სახელოები უფრო ძლიერ შეკავშირებას მოითხოვდა და ქერცლებს დამატებით ნახვრეტებს უკეთებდნენ შუა და ქვემო ნაწილში.[226] საერთოდ, აბჯრის მოხრის ადგილებში უფრო პატარა ზომის ქერცლებს აკერებდნენ,[227] მკერდი, მუცელი და ზურგი კი უფრო დიდი ქერცლებით იყო დაფარული.[228]

ლამელართან შედარებით ქერცლოვანი აბჯარი უფრო ელასტიურია,[229] რადგან მისი ფირფიტები სამი მხრიდან თავისუფალია.[230] ქერცლოვანზე უფრო მოქნილი მხოლოდ ჯაჭვის აბჯარია.[231] თანამედროვე რეკონსტრუქტორების მონაცემებიც მოწმობს, რომ სწორად დამზადებული ქერცლოვანი აბჯარი თითქმის ჯაჭვივით მოქნილია და მასავით გრძელი სახელოები და ქვედაბოლო შეიძლება ჰქონდეს.[232]

მრავალი დადებითი თვისების მიუხედავად (მოქნილობა, დაცვის კარგი ხარისხი, ტექნოლოგიურობა) ქერცლოვან აბჯარს ნაკლიც გააჩნდა. მოძრაობისას ქერცლოვანი აბჯრის ფირფიტები წამოიწეოდა ხოლმე, რაც მას საძგერებელი იარაღის წინაშე დაუცველს ხდიდა.[233] ქერცლოვანი აბჯრი-

---

[224] Черненко, *Скифский доспех*, 28.

[225] Bengt Thordeman, *Armour from the Battle of Wisby*, vol. I (Uppsala, 1939), 281. ჩესტერში ნაპოვნი რომაული ქერცლოვანი აბჯრის ფირფიტები სპილენძის მავთულით იყო დამაგრებული. Evan Scherer, "The Great Chesters *lorica squamata*," *Caietele Civa*, 2 (2013), 85-6.

[226] Хазанов, *Очерки Военного Дела Сарматов*, 123.

[227] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 64.

[228] Cernenko, *The Scythians 700-300 BC*, 7.

[229] ქერცლოვანი აბჯრის ფირფიტის აღმნიშვნელი ძველი აკადური სიტყვა მის ელასტიურობას უსვამდა ხაზს. Dezső, "Scale Armour of the 2nd Millennium BC," 195.

[230] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 18; მისივე, *Военное дело на Руси в XIII-XV вв.* (Ленинград, 1976), 35. ამავე დროს არსებობდა უფრო ხისტი ქერცლოვანი აბჯარიც, რომლის ფირფიტები ერთმანეთს ოთხივე მხრიდან უკავშირდებოდა და რომელიც თავისი რიგიდობით ლამელარს მოგვაგონებდა. Simon James, *Excavations at Dura-Europos 1928-1937. Final Report VII: The Arms and Armour and other Military Equipment* (Oxford, 2010), 112; Scherer, "The Great Chesters *lorica squamata*," 89.

[231] Cernenko, *The Scythians 700-300 BC*, 7.

[232] Timothy Dawson, "Suntagma Hoplon: The Equipment of Regular Byzantine Troops, c.950 to c.1204," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 86. თუმცა ასეთი მოდელი საკმაოდ იშვიათი უნდა ყოფილიყო. სკვითური შეიარაღებიდან გრძელმკლავებიანი ქერცლოვანი აბჯრის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში თუ მოგვეპოვება, ისინი ძირითადად მოკლემკლავებიანია. Cernenko, *The Scythians 700-300 BC*, 7.

[233] Лупиненко, "Пластинчатый доспех восточных славян в VII-X вв.," 117. ხანდახან, ქერცლოვანი

სურ. 85
წმ. გიორგი ქერცლოვანი აბჯრით *lorica plumata*. ვანუმათის ხატი, XI საუკუნე.

სათვის განსაკუთრებით საშიშია მგმირავი დარტყმები ქვემოდან.[234] ეს მეტად მნიშვნელოვანია ცხენოსანი მებრძოლისათვის, რომლის ქერცლოვანი აბჯრისათვის ქვეითის შუბი ყოველთვის ქვემოდან მიმართული და, შესაბამისად, სახიფათოც იყო.

ქერცლოვანი აბჯარი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული სკვითურ ეპოქაში, შუა საუკუნეებში ნელ-ნელა იდევნება ლამელარით, თუმცა არ ქრება და პარალელურად აგრძელებს არსებობას, განსაკუთრებით სხვა სახის აბჯართან კომბინაციაში.[235] ბოლო აღმოჩენები ცხადყოფს, რომ თვით ევროპაშიც კი, სადაც განსაკუთრებით პოპულარული არასოდეს ყოფილა, ქერცლოვან აბჯარს XV, და შესაძლოა, XVI საუკუნეშიც კი იყენებდნენ.[236]

საქართველოს ტერიტორიაზე ქერცლოვანი აბჯრის არსებობა დაბეჯითებით უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებიდან შეიძლება ვამტკიცოთ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე (ვანისა და საირხის ქერცლოვანი ფირფიტები), თუმცა ანტიკურ ეპოქაში მათი ფართოდ გავრცელება საეჭვოა.[237]

შუა საუკუნეების ქერცლოვანი გრძელი აბჯარი შესანიშნავადაა დეტალიზებული XI საუკუნის ჯუმათის წმ. გიორგის ხატზე[238] (სურ. 85). აბჯრის შემადგენლობაში ერთმანეთს მორიგეობით ენაცვლება ჩვეულებრივი, ბოლოებმომრგვალებული მოგრძო ქერცლები და ასეთივე ქერცლები შუაში ვერტიკალური ძგიდით. ასეთი ფირფიტები მომრგვალებული ქვედა კიდითა და შუაში ვერტიკალური ძგიდით ნაპოვნია ქვემო დონზე, ვოლგისპირეთში, ყუბანში. ისინი მიჩნეული არიან რომაული ქერცლოვანი აბჯრის ნაირსახეობად – *lorica plumata*.[239] ეს არის აბჯარი, რომლის ქერცლის ფირფიტებს ცენტრალური ძგიდე გასდევს.[240] ჯუმათის ცნობილ ხატზეც საქართველოში გავრცელებული *lorica plumata* არის გამოსახული.

ტ. დოუსონის აზრით, საქართველოში არსებობდა ქერცლოვანი აბჯრის განსაკუთრებული სახეობა, რომლის წვრილ ფირფიტებს ორი ღრმული

აბჯრის ფირფიტებს ქვედა ნაწილზე დამატებით ნახვრეტს სწორედ იმ მიზნით უკეთებდნენ, რომ მისი ბოლო დაემაგრებინათ და ხელი შეეშალათ მოძრაობისას ფირფიტის ზემოთ აწევისათვის, სადაც შემდგომ იარაღს შეეძლო შეეღწია. Черненко, *Скифский доспех*, 30-1.

[234] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 116.

[235] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 54.

[236] Hugh C. Rogers and Donald J. LaRocca, "A New World Find of European Scale Armor," *Gladius*, XIX (1999), 230.

[237] გელა გამყრელიძე, მარინე ფირცხალავა, გურამ ყიფიანი, *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი)* (თბილისი, 2005), 142-3.

[238] ერისთავ ვარდან ვარდანისძის შეწირულობა. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 151.

[239] А.В. Симоненко, *Сарматские всадники Северного Причерноморья* (Санкт-Петербург, 2010), 111-2.

[240] Raffaele D'Amato, *Arms and Armour of the Imperial Roman Soldier: From Marius to Commodus, 112 BC – AD 192* (London, 2009), 142; Timothy Dawson, *Armor Never Wearies: Scale and Lamellar Armour in the West, from the Bronze Age to the 19th Century* (Stroud, 2013), 30.

ჰქონდა.[241] მკვლევარი ამ მოსაზრებას ლამელარულ და ქერცლოვან აბჯარზე ჩემ სტატიაში გამოქვეყნებული ჩიხარეშის წმ. გიორგის ხატის, წმ. პროკოპიოსის (ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სვინაქსარიდან, ხელნაწერი A648) და სხვა გამოსახულებებზე დაკვირვების შედეგად გამოთქვამს.[242] სამწუხაროდ, დოუსონის ეს მოსაზრება რეალობას არ შეესაბამება. ზემოჩამოთვლილ წმინდანთა აბჯრის ფირფიტებზე გამოსახულია მოქლონები ფირფიტის კიდეებზე და არა ღრმულები ფირფიტის ცენტრისაკენ, როგორც ეს რეკონსტრუირებული აქვს დოუსონს. ზუსტად ასეთი აბჯრის ფირფიტები, კიდეებზე ორი მოქლონით, ნაპოვნია დასავლეთ ციმბირში.[243]

ლამელარული აბჯარი

ლამელარული აბჯრის[244] პირველი ბრინჯაოს ნიმუშები ნაპოვნია ეგვიპტეში, სირია-პალესტინაში, მესოპოტამიასა და ანატოლიაში ძვ.წ. II ათასწლეულში.[245] ლამელარი ფართოდ იყო გავრცელებული აზიაში, განსაკუთრებით მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში და XIX საუკუნემდეც კი მოაღწია.[246]

ლამელარული აბჯარი შედგება მართკუთხა ფორმის ფირფიტებისაგან,[247] რომლებიც ერთმანეთთან ჯერ ჰორიზონტალურ რიგებად, შემდეგ კი ვერტიკალურად არიან დაკავშირებულნი ნახვრეტებში გაყრილი თასმებით. ქერცლოვანი აბჯრისაგან განსხვავებით, რომლის ფირფიტები ერთ მთლიან სუბსტრატზეა დამაგრებული, ლამელარი ჯერ რიგებადაა დამაგრებული და შემდეგ ერთმანეთთან შეკავშირებული.[248]

ლამელარული ფირფიტების ფორმა, ნახვრეტების რაოდენობა და აქედან გამომდინარე, მათი დაკავშირების მეთოდები სხვადასხვაგვარია.[249]

---

[241] Dawson, *Armor Never Wearies*, 44, fig. 10.

[242] იქვე, 110, შენ. 71.

[243] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 51, таб. X, 5.

[244] საქართველოში ლამელარს „ჯავშანი" შეესატყვისებოდა. ტერმინი *ჯავშანი* სპარსული წარმოშობისაა და სხეულის, მკერდის აბჯარს ნიშნავს. ჯავშანი, ჩვეულებრივ, ლამელარული კონსტრუქციის კირასას აღნიშნავდა. მისი ერთ-ერთი უადრესი ხსენება გვხვდება IX საუკუნის არაბი ისტორიკოსის ალ-ბალაზურის ნაშრომში, რომელიც არაბ-სასანელთა ბრძოლებს აღწერს. მიუხედავად ტერმინის სპარსულობისა, ლამელარული ჯავშანი ირანში ცენტრალური აზიიდან შესული ჩანს. David Nicolle, "Jawshan, Cuirie and Coats-of-Plates: An Alternative Line of Development for Hardened Leather Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 191. უდავოა, რომ ქართული „ჯავშანიც" სწორედ აქედან მომდინარეობს. Nicolle, *Saladin and the Saracens*, 23; მისივე, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 166.

[245] ძვ.წ. VII საუკუნეში რკინის ფირფიტებმა საბოლოოდ გამოდევნეს ბრინჯაო. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 101-7.

[246] Горелик, "Ранний монгольский доспех," 165; მისივე, *Оружие Древнего Востока*, 108-9.

[247] ფირფიტები შეიძლება იყოს ლითონის, რქის, გამაგრებული ტყავისა და რაიმე სხვა მასალის. საქართველოში პრაქტიკულად არ გვხვდება ტყავის ლამელარული კირასა და ეს არც არის გასაკვირი: ლითონისა და რკინის მადნის ნაკლებობას ქვეყანა არასოდეს განიცდიდა.

[248] Dawson, *Byzantine Cavalryman*, 10.

[249] მიუხედავად შეკავშირების ხერხებისა, ლამელარის ფირფიტებს სხეულზე ყოველთვის

საუკუნეების განმავლობაში, აზიის უზარმაზარ კონტინენტზე ის მუდმივ განვითარებასა და ევოლუციას განიცდიდა, თუმცა ძირითადი პრინციპი, ფირფიტების თასმებით დაკავშირებისა, უცვლელი რჩებოდა.

დაზიანების ალბათობის შესამცირებლად ლამელარული აბჯარი ერთი ან ორი თასმით ისე იკვრებოდა, რომ ფირფიტის გარეთა მხარეს დარჩენილ თასმას მინიმალური სიგრძე ჰქონოდა. ერთის გაწყვეტის შემთხვევაში, მეორე თასმა იჭერდა ფირფიტას. ასეთი დამაგრებისას, დაზიანებული ფირფიტების გამოცვლა საველე პირობებშიც კი ნებისმიერ მებრძოლს შეეძლო.[250] თასმებით აბჯრის დამაგრების მეთოდი ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთია. ფირფიტებს ამაგრებდნენ ლითონის მავთულით ან მოქლონებით. ასეთი კონსტრუქცია უფრო მყარი, მაგრამ მოუქნელი იყო.[251]

ქერცლოვან აბჯართან შედარებით, ლამელარის ფირფიტები უფრო დიდია.[252] ისინი უფრო მოგრძო ფორმისაა, ყოველ მათგანზე მეტი სამაგრი ნახვრეტია, რომლებიც პრაქტიკულად ერთნაირად, ფირფიტის მთელ ზედაპირზეა განლაგებული. ამ ნახვრეტებისათვის ასევე დამახასიათებელია შეწყვილებული განლაგება.[253] ლამელარის ფირფიტების ნაწილი ამოზნექილი იყო. ასეთი ფორმის ფირფიტა უკეთესად იგერიებდა და ასუსტებდა ისრის, შუბისა თუ სხვა იარაღის დარტყმას.[254]

ლამელარული აბჯარი შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც მოკლე კირასით, რომელიც მკერდსა და ზურგს იცავდა,[255] ასევე, გრძელი მოდელით, თავისი სახელოებითა და ქვედაბოლოთი. ლამელარულ კირასას ემაგრებოდა იდაყვის სიგრძის სახელოები, რომლებიც უძრავად შეკავშირებული ფირფიტები იყო. კირასაზე ქვემოთ მაგრდებოდა სხვადასხვა ტიპის ქვედატანი.

ფირფიტოვანი (ლამელარული და ქერცლოვანი) აბჯრის დამზადება საკმაოდ შრომატევადი იყო, მაგრამ ტექნოლოგიურად რთული არ იყო.[256] ქერცლოვანი და ლამელარული აბჯრის წონა თითქმის ერთნაირია.[257] 1-1,5 მმ სისქის

ვერტიკალური მდგომარეობა ეკავათ. Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 51.

[250] იქვე, 50.

[251] იქვე, 51.

[252] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 48.

[253] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 50; Горелик, *Оружие Древнего Востока*, 89.

[254] А.Ф Медведев, "К истории пластинчатого доспеха па Руси," *Советская археология*, 2 (1959), 128; მისივე, "Оружие Новгорода Великого," 177-8.

[255] ვისბის ლამელარული კირასის ფირფიტების რაოდენობა 600-ს აღწევს. Thordeman, *Armour from the Battle of Wisby*, 219.

[256] Лупиненко, "Пластинчатый доспех восточных славян в VII-X вв.," 116. თუმცა, ჯაჭვთან შედარებით, ადრეული ფირფიტოვანი აბჯარი ნაკლებად შრომატევადი იყო.

[257] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 116.

ფირფიტებიანი აბჯრის სრული კომპლექტის წონა 14-16 კგ-ია.[258] მისი ფირფიტები რამდენიმე ფენადაა დალაგებული და დაცვითი თვისებებით ჯაჭვს ბევრად აღემატება. 1,5 მმ ფირფიტებისაგან გაკეთებული ლამელარული კირასა 5 კგ-ს იწონის. ასეთი აბჯარი კარგად უძლებს საძგერებელ იარაღს.[259] ლამელარი ასევე კარგად იცავს ისრებისაგან, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში ძალიან პოპულარული იყო როგორც ევრაზიის მომთაბარეებში, ისე მათ მეზობლებშიც.[260] დასარტყმელი იარაღის (ლახტი, გურზი) ძალა „იფანტებოდა" ლამელარული აბჯრის ფირფიტებზე და მებრძოლის სხეული არ ზიანდებოდა. ამავე დროს, ხმლის დარტყმამ, თასმების გაწყვეტის შედეგად, შეიძლება გამოიწვიოს ჩვეულებრივი ტიპის ლამელარული აბჯრის დაზიანება.[261] რეკონსტრუირებული ლამელარი ძალიან მედეგია პრაქტიკულად ყველა სახის დარტყმის მიმართ და მოწმობს ამ სახის აბჯრის განსაკუთრებულ თვისებებს.[262]

ჩვეულებრივ, ლამელარული ჯავშნის ფირფიტები ერთმანეთს ჰორიზონტალურად გადაფარავენ. ტ. დოუსონის დაკვირვებით, ბიზანტიაში X საუკუნის ბოლოდან ჩნდება და XI ს-დან მკვიდრდება ახალი ტიპის ლამელარი, რომლის ფირფიტები ერთმანეთს არ ფარავს, მხოლოდ ეკვრის გვერდიგვერდ და დამაგრებულია ტყავზე.[263]

ბიზანტიურ გამოსახულებებში ვხვდებით ლამელარს, რომლის რიგები ვიწრო ზოლებითაა დაყოფილი.[264] ტ. დოუსონის ვარაუდით, ეს არის ფირფიტების რიგებს შორის მოთავსებული ტყავის ზოლი, რომელიც აშორებს ფირფიტებს და ანეიტრალებს მათი მოძრაობით გამოწვეულ მაკრატლის ეფექტს, რასაც თასმების გადაჭრა შეუძლია.[265] შემდგომში დოუსონმა განავითარა თავისი დაკვირვება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბიზანტიურ ლამელარულ აბჯარში ფირფიტებს შორის ჩაფენილია არა ტყავის ვიწრო ზოლი, არამედ ფართო ტყავი, რომელიც მთლიანად არის ამოფენილი გვერ-

---

[258] ის 1,5-2-ჯერ მძიმეა ჯაჭვის აბჯარზე. Горелик, "Ранний монгольский доспех," 186.

[259] Горелик, "Ранний монгольский доспех," 186-7.

[260] Лупиненко, "Пластинчатый доспех восточных славян в VII-X вв.," 118. რადგანაც ცხენოსანი მომთაბარეების უპირველესი იარაღი მშვილდი იყო, ლამელარის ფირფიტები ერთმანეთს გადაფარავდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, რათა მათ მშვილდის საბელი არ გამოდებოდა. Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 109.

[261] О.Л. Макушников, Ю.М. Лупиненко, "Ламеллярный доспех восточнославянского ратника начала XIII в. (по материалам раскопок в Гомеле)," *Гістарычна-археалагічны зборнік*, 18 (2003), 218.

[262] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 45.

[263] Dawson, "Suntagma Hoplon," 85.

[264] მკვლევრები შენიშნავენ, რომ ზოლიანი ლამელარის ადრეული გამოსახულებები ცენტრალურ აზიაში ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში გვხვდება. Haldon, "Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour," 79. მაგრამ ეს არ არის ის კონსტრუქცია, რომელიც ბიზანტიურ-ქართულ ლამელარში გვხვდება (თუკი ის საერთოდ ლითონისაა). აქ საქმე გვაქვს აზიისათვის ტრადიციულ, აბჯრის ფირფიტების კიდეებზე შემოფენილ ტყავის ზოლთან. თუმცა, ლამელარში ლითონის ფირფიტებისა და ტყავის შეთავსების ძირითადი იდეა, სწორედ ცენტრალური აზიიდან იქნება შემოსული ჩვენ რეგიონში.

[265] Timothy Dawson, "Banded Lamellar – a Solution," *Varangian Voice*, 23 (1992), 16.

სურ. 86
ტიმოთესუბნის წმ. მეომრის ქვედაბოლოზე ფირფიტებქვეშა ჩრდილები ოსტატს ყავისფერი ხაზით აქვს გამოსახული, ლამელარულ კირასაზე კი ერთდროულად ჩანს ზოლებიცა და ჩრდილებიც. ს. სარჯველაძის ფოტო.

დიგვერდ მოთავსებული ფირფიტების უკან. ასეთი აბჯარი ჰორიზონტალურად უფრო მოქნილია[266] და ადვილია დასამზადებლად. შემდგომში დამზადება უფრო გაადვილეს ფირფიტების ტყავზე დამოქლონებით (თასმით დამაგრების ნაცვლად).[267] დოუსონი თვლის, რომ ბიზანტიაში ლამელარის დამოქლონება XI საუკუნეში შემოვიდა.[268]

XI-XII საუკუნეებში, დამოქლონებულის გარდა, ჩნდება „ამობრუნებული" ლამელარიც: აბჯრის მკლავები და ქვედაბოლო „ამობრუნებული" ანუ ზემოდან ქვემოთ მიმართული ლამელარის ფირფიტებით კომპლექტდება. ჩვეულებრივ, ლამელარის ფირფიტები ერთმანეთს გადაფარავენ ქვემოდან ზემოთ, რადგანაც ასე საუკეთესოდ იფარავენ სხეულს გამგმირავი დარტყმებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, ზევითაა მიმართული. სამაგიეროდ, სხეულის კიდურებს დარტყმა ზემოდან ხვდებათ. „ამობრუნებული" ლამელარით დაცულ კიდურებზე დარტყმა ქვემოთ ცურავს და ნაკლებ ზიანს აყენებს.[269]

დოუსონის დაკვირვებას XI საუკუნიდან ზოლიანი ლამელარის გამოჩენაზე ეთანხმება ქართული მონაცემებიც: X საუკუნის გამოსახულებებზე ჩვეულებრივი ლამელარია, XI-დან კი ზოლიანი ჩნდება.[270] საინტერესოა, რომ ეს მოვლენა ხელოვნებათმცოდ-

[266] თუმცა, ჩემი აზრით, ფირფიტების ჰორიზონტალური გადაფარვის არარსებობის გამო, უფრო სუსტიც. სამაგიეროდ, დაკიდებული ლამელარის რიგები თითქმის ნახევრამდე გადაფარავენ ერთმანეთს ვერტიკალურად, რაც ნიშნავს რომ სხეულში შესაღწევად იარაღმა აბჯრის ორი ფენა უნდა გაიაროს. Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 45.

[267] გამოსახულებებზე მოქლონი მრგვალი, მსხვილი წერტილით არის გადმოცემული.

[268] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 44-5.

[269] იქვე, 46-7; Dawson, "Suntagma Hoplon," 89.

[270] მ. პარანი საერთოდ თვლის, რომ ბიზანტიური ლამელარის ზოლები მხოლოდ ხელოვანთა ფანტაზიის ნაყოფია, სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს და ფირფიტოვანი რიგების ჩრდილების არასწორი გადმოცემის შედეგია. ამ აზრის დასამტკიცებლად და ტ. დოუსონის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ის მიუთითებს უზოლო ლამელარის არსებობაზე. Maria G. Parani, *Reconstructing the Reality of Images: Byzantine Material Culture and Religious Iconography (11th-15th Centuries)* (Leiden, 2003), 107. პარანის ამ აზრს ვერ გავიზიარებ: უზოლო და ზოლიანი (ასევე, ხაზიანი) ლამელარის არსებობა სწორედ მისი განვითარებისა და ევოლუციის სხვადასხვა სტადიებს მიუთითებს. ამის თვალსაჩინო დადასტურებას ტიმოთესუბნის მოხატულობაშიც ვპოვებთ, სადაც ოსტატს გვერდიგვერდ აქვს დახატული ზოლიანი და ფირფიტებქვეშა ჩრდილიანი აბჯრებიც (ზუსტად ისეთი, როგორზეც მ. პარანი საუბრობს). მეტიც, ერთ-ერთ ფრესკაზე ერთდროულადაა წარმოდგენილი ზოლებიცა და ჩრდილებიც, რაც გამორიცხავს მხატვრის შეცდომას და მიუთითებს, რომ ლამელარის ზოლი სულაც არ არის შემოღებული ჩრდილის გადმოსაცემად (სურ. 86). ასეთი გამოსახულებების არსებობა მ. პარანისთვისაც არის ცნობილი.

ნეებსაც არ გამორჩათ საქართველოში (რომლის ახსნაც აშკარად სცილდებოდა მათი კომპეტენციის ფარგლებს). ტ. შევიაკოვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში წერდა, რომ აბჯრის ფირფიტებს შორის წვრილი ზოლების გამოჩენა საქართველოში XI საუკუნიდან შეინიშნებოდა.[271]

ბიზანტიური და ქართული ლამელარის გამოსახულებებზე გულდასმით დაკვირვებამ[272] იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. *ზოლიანი*[273] და *ხაზიანი*[274] აბჯრები. რადგან ამ ორი ტიპის აბჯრის გამოჩენა ერთმანეთისაგან დროშიც გამიჯნულია (ზოლიანი ლამელარი მხოლოდ XI საუკუნეში ჩნდება, ხაზიანი კი მრავლად გვაქვს უკვე X საუკუნეში), ძნელია მათ შორის განსხვავება მთლიანად შემსრულებელთა ინტერპრეტაციასა და წარმოსახვას დავაბრალოთ. უმჯობესი იქნება, თუკი მივიჩნევთ, რომ მათ შორის არსებობდა გარკვეული კონსტრუქციული სხვაობა და ამ სხვაობის დადგენას შევეცდებით. ჩემი ვარაუდით, ფირფიტებს შორის ერთი ხაზი ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც ფირფიტების რიგს ტყავი მხოლოდ უკან აქვს დაფენილი;[275] ზოლიანი აბჯრის შემთხვევაში კი ტყავი დაფენილია ფირფიტების უკან და ამავე დროს ამოფენილია მის ქვედა ნაწილზეც.[276]

ფირფიტების ტყავის ამ მეთოდით შემოსვამდე მისვლა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. პრაქტიკულად, ის თავის თავში აერთიანებს აზიის კონტინენტზე გავრცელებული ლამელარული კონსტრუქციის ძველ მეთოდს (როდე-

---

[271] Т.С. Шевякова. *Монументальная Живопись Раннего Средневековья Грузии* (Тбилиси. 1983). 23.

[272] არქეოლოგიური მასალის სიმწირის გამო იძულებული ვართ მხოლოდ ხელოვნების ნიმუშებზე დაკვირვებით შემოვიფარგლოთ. მე კარგად მესმის, თუ რა პრობლემებთანაა ასეთი მიდგომა დაკავშირებული და ისიც, რომ საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალება მხოლოდ დამატებითი არქეოლოგიური მონაცემების გამოჩენის შემდეგაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ასეთ სიძნელეს ანყდება ამ პერიოდის ბიზანტიის თუ აღმოსავლეთის ყველა მკვლევარი. ბიზანტიის კვლევასთან დაკავშირებულ ამ სიძნელეებზე იხ. Parani. *Reconstructing the Reality of Images*, 101-2.

[273] როდესაც აბჯრის ფირფიტებს შორის არსებული ზოლი ორი მკაფიო, ზედა და ქვედა, ხაზისაგან იქმნება. ასეთია იფარის, შოდის, ლაბეჭინის, სუფის წმ. გიორგის ხატები, იფრარის, ლაგურკასა და ნაკიფარის წმინდა მეომრების ფრესკები და მრავალი სხვა.

[274] როდესაც აბჯრის ფირფიტებს შორის მხოლოდ ერთი ხაზი ჩანს. ასეთია ჩუკულის ხატზე გამოსახული წმ. გიორგი და წმ. თევდორე, მრავალძლის ხატზე წმ. გიორგი და წმ. თევდორე, ფარახეთის წმ. გიორგის ხატი და სხვა.

[275] დოუსონის მეთოდით ჩვენ სწორედ ასეთ აბჯარს ვღებულობთ: მხოლოდ ფირფიტის უკან მოთავსებული ტყავის საფენი ზოლს არ იძლევა.

[276] თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში, რომლის შესავალშიც ავტორი მადლობას მიხდის დახმარებისათვის, ტ. დოუსონი ერთ შეცდომას უშვებს: მისი აზრით, მე ვამტკიცებ, თითქოსდა ზოლიანი ლამელარის სამშობლო საქართველო იყოს. Dawson, *Armor Never Wearies*, 115, n. 149. მკვლევარი, რაღა თქმა უნდა, ცდება. ეტყობა, ის დააბნია იმ მრავალრიცხოვანმა ქართულმა მაგალითებმა, რომლებიც მე მოვიყვანე და რომლებიც აბჯრის ზოგიერთი ტიპის პირველსახეა. სიტყვასიტყვით, მე მხოლოდ ზოგადი კითხვა დავსვი: „ხომ არ იქონია საქართველომ გავლენა ბიზანტიური ლამელარული აბჯრის შემუშავებაზე?" პასუხში კი ზოლიანი ლამელარი არც მიხსენებია. Mamuka Tsurtsumia, "The Evolution of Splint Armour in Georgia and Byzantium: Lamellar and Scale Armour in the 10th-12th Centuries," *Byzantina Symmeikta*, 21 (2011), 83, 85. ბიზანტიურ ლამელარზე ქართული გავლენის შესახებ იხ. ქვემოთ.



სურ. 87
ა) ბერელში ნაპოვნი აბჯრის ფირფიტები. რადლოვის მიხედვით; ბ) უსტ-იშიმის ტყავით შემოფენილი ლამელარის ფირფიტები. სოლოვიევის მიხედვით.

საც ტყავის ზოლი შემოფენილია ფირფიტების კიდეზე)[277] და შედარებით ახალს (ფირფიტების უკან ტყავის დაფენას) (სურ. 88). ამ ორი მეთოდის კომბინირება იძლევა ზოლიან ლამელარს, როდესაც ზოლი მკაფიოდ ჩანს (ზედა ფირფიტაზე შემოფენილი ტყავის კიდე ქმნის ზოლის ზედა ხაზს, ქვედა ფირფიტის ქვეშ დაფენილი ტყავის ზედა კიდე კი ზოლის ქვედა ხაზს). ამ დროს თასმები მაქსიმალურადაა დაცული ფირფიტებისაგან, არ ზიანდება აბჯრისქვეშა სამოსიც. განიერი ტყავი, რომელიც წინიდანაც გადაფარავს ლამელარის ფირფიტებს, აბჯრის მეტ მედეგობასა და შეკავშირებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ლამელარული ფირფიტების სულ ქვედა რიგი, რომელიც კრემასმატას ესაზღვრება, ძირში ზოლითაა ნაჩვენები, რაც ფირფიტის წინა ზედაპირზე ამოფენილ ტყავს უნდა გადმოცემდეს.[278]

აქედანვე უნდა ითქვას, რომ ქართულ მასალაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუციას, მის გარკვეულ სტადიებსა და მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებს, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

ბიზანტიურ-ქართული ლამელარული აბჯრის მიერ გავლილი გზის საილუსტრაციოდ, კარგი იქნებოდა მისი პროტოტიპის, თავდაპირველი კონსტრუქციის ლამელარის წარმოდგენა, რისთვისაც გამოგვადგება წმინდა მეომარი ტიმოთესუბნის ეკლესიის მოხატულობიდან[279] (სურ. 89). ამ სურათზე ტიმოთესუბნის წმინდანს ტრადიციული ლამელარის კირასა აცვია. ლამელარული მწკრივები შემდგარია თასმებით დამაგრებული უმოქლონო ფირფიტებისაგან, რომლებიც მარჯვნიდან მარცხნივ გადაფარავენ ერთმანეთს. თავის მხრივ, ლამელარის რიგები ერთმანეთს მრავალრიცხოვანი საკიდი თასმებით უკავშირდება და ქვევიდან ზევით გადაფარავს. ასეთი იყო ტიპური ლამელარი, რომლის კონსტრუქციაში ცვლილებებიც თითქმის

---

[277] ლამელარული რიგების პერიმეტრზე ამაგრებდნენ ტყავის ზოლს, რომელიც ორივე მხრიდან ერტყმოდა ფირფიტის კიდეს. ის აძლიერებდა კონსტრუქციას და იცავდა ტრავმებისაგან, რომელიც აბჯრის მჭრელ კიდეს შეეძლო გამოეწვია. ასეთია უსტ-იშიმში ნაპოვნი X-XII საუკუნეების ლამელარის ნარჩენები. Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 51, таб. XI, 5. მეორე ილუსტრაციაზე კარგად ჩანს ფირფიტების კიდის გაყოლებით შემოკეცილი ტყავი. თითქმის ასეთივეა ვ. რადლოვის მიერ ბერელში ნაპოვნი IV-V საუკუნის აბჯრის ფირფიტები. А.А. Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен* (Москва-Ленинград, 1965), 55, рис. 4.13 (სურ. 87). რამდენიმე საუკუნით დაშორებული აბჯრის ფირფიტების ეს მსგავსება შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ აზიის დიდი ნაწილში ლამელარის კონსტრუქცია არ განიცდიდა საგრძნობ ცვლილებას და რომ, X საუკუნეში ბიზანტიასა და საქართველოში დაწყებული ლამელარის ევოლუცია შედარებით იზოლირებული მოვლენა უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ აზიური ტიპის ლამელარის ფირფიტები ნაპოვნია ვიმინაციუმში VI საუკუნის შრეებში, რაც ნიშნავს რომ ასეთ კონსტრუქციას ბიზანტიელებიც კარგად იცნობდნენ. Ivan Bugarski, "A Contribution to the Study of Lamellar Armours," *Starinar*, 55 (2005), 168, 171.

[278] ეს კარგად ჩანს ნაკიფარის წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ფრესკებზე, ადიშის მეომარი წმინდანის ფრესკაზე, ლაბეჭინის ქვეითი წმ. გიორგის ხატზე და ა.შ.

[279] მართალია, შედარებით გვიანდელი, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მაინც გამოსადეგი.

ერთდროულად მიმდინარეობდა ბიზანტიის იმპერიასა და ქართულ სამეფოებში.

X საუკუნეში საქართველოში ერთდროულად შეინიშნება რამდენიმე სახის ექსპერიმენტი (უარის თქმა ფირფიტების ჰორიზონტალურ გადაფარვაზე, ტყავის საფენისა და მოქლონების შემოღება), რომლებიც პირველი ნაბიჯებია ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუციაში. არ არის გამორიცხული ამ ექსპერიმენტების უფრო ადრეული თარიღიც, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ X საუკუნეზე, როდესაც მათი ასახვა უკვე მტკიცედ იკიდებს ფეხს ხელოვნების ნიმუშებში.



სურ. 88
ლამელარის ფირფიტა გვერდიდან: ა) კიდეზე შემოფენილი ტყავით, ბ) უკან ტყავის საფენით, გ) ფირფიტის უკან და მის წინა ქვედა ნაწილზე ამოფენილი ტყავით.

ლამელარული ფირფიტების რიგებს ქვეშ ტყავის საფენის შემოღება გარკვევით ჩანს ჩუკულის ეკლესიაში დაცულ X საუკუნის ღვთისმშობლის ტრიპტიქზე გამოსახულ წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს აბჯარზე[280] (სურ. 90). ჩვეულებრივი, თასმებიანი ლამელარის ფირფიტები ტყავის საფენზეა დამაგრებული, ფირფიტები ჰორიზონტალურად ერთმანეთს არ ფარავენ და გვერდიგვერდ ეკვრიან. ასეთი მეთოდით დამზადებისას იზოგება მასალის 15-20%, შესაბამისად, აბჯარი წონაში მსუბუქდება და ლამელარიც უფრო მოქნილია.[281]

X საუკუნეშივე დასტურდება მოქლონების შემოღება, რომლებიც, როგორც ჩანს, ორივე ტიპის (ქერცლოვან და ლამელარულ) ფირფიტოვან აბჯარში გამოიყენებოდა.

ჩიხარეშის ღვთისმშობლის ტრიპტიქზე წმ. გიორგი და წმ. თევდორე[282] (სურ. 91) და საყდარის ჯვარზე გამოსახული ორი წმ. თევდორე[283] აღჭურვილნი არიან ორ (ზედა-ქვედა) მოქლონიანი ფირფიტოვანი აბჯრით. სავარაუდოდ, ეს ქერცლოვანი აბჯარია, რადგანაც მას გააჩნია გრძელი სახელოები, რომელიც ლამელარს არ აქვს.[284]

ნაკურალეშის წმ. გიორგის ხატი[285] (სურ. 92) კი ორ (ზედა-ქვედა) მოქლონიან ფირფიტებს უკვე ლამელარული აბჯრის სახით გვიჩვენებს, სა-

---

[280] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 409-10, таб. 46; მამუკა ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე* (თბილისი, 1987), 8.

[281] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 44.

[282] ჩიხარეშის ეკლესიაში დაცული ღვთისმშობლის ტრიპტიქი ამჟამად დაკარგულია. ვმსჯელობთ ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოს (N16879) მიხედვით. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 411-2, таб. 47; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 9-10.

[283] საკურთხეველისწინა ჯვარი, რომელიც აღმართული იყო სოფ. საყდარის წმ. გიორგის ეკლესიაში, ამჟამად მთლიანად შემოძარცულია. ვმსჯელობთ ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოების (N16833 და N16847) მიხედვით. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 341; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 13.

[284] თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ფირფიტებით ქერცლოვანი მკლავის წარმოდგენაც პრობლემურია.

[285] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 339-41, таб. 42.

სურ. 89
ტიმოთესუბნის წმინდანი ტრადიციული ლამელარის კირასით. ს. სარჯველაძის ფოტო.

დაც მწკრივები ერთმანეთს ქვემოდან ზემოთ გადაფარავენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიგების საკიდი თასმები უკნიდან პირდაპირ ემაგრება ფირფიტების ქვედა კიდეზე განლაგებულ სამაგრ თასმებს.[286] თუმცა უფრო მარტივი ახსნაც შეიძლება მოიძებნოს, თუკი ვივარაუდებთ, რომ ფირფიტები ცოტა გამარტივებული სახითაა გადმოცემული ჭედურ ხატებში და მათ აკლიათ საკიდი თასმები. ასეთი ტიპის ფირფიტებს ვხედავთ კონსტანტინოპოლში 1030 წელს გადაწერილ ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სვინაქსარის[287] 60r მინიატურაზე (სურ. 93). მხოლოდ, წმ. პროკოპიოსის აბჯრის ფირფიტებზე უკვე განირჩევა ცენტრალური ხაზები, რომლებიც შეგვიძლია საკიდ თასმად ჩავთვალოთ და რომლებიც, ალბათ, აკლია გამოსახულებებს ჭედურ ხატებზე.

მოქლონიანი აბჯრის ეს ტიპები შეიძლება ხელოვნის ფანტაზიისა ან მცდარი გამოსახვისათვისაც მიგვეწერა, რომ არა ერთი გარემოება: ამ ტიპის მოქლონიანი ფირფიტების არსებობა დასტურდება რუსი არქეოლოგების მიერ ჩრდილოეთ აზიაში, დასავლეთ ციმბირის ველზე მოპოვებული I-II ათასწლეულების მიჯნის მასალით (სურ. 94). ირკვევა, რომ აბჯრის ფირფიტების ზედა-ქვედა მოქლონებით ტყავზე დამაგრება მიღებული მეთოდი იყო. ამ წესს იყენებდნენ ენისეელი ყირგიზებიც.[288]

ამ საუკუნეში მიმდინარე ექსპერიმენტების ერთგვარ შემაჯამებელ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ორი ხატი, რომელნიც ევოლუციის მრავალ ნიშანს აერთიანებენ. X საუკუნის მეორე ნახევრის მრავალძლის ხატზე წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს გამოსახულება[289] (სურ. 95ა) და X საუკუნის დასასრულის ფარახეთის წმ. გიორგის ხატი[290] (სურ. 95ბ) გვიჩვენებს ლამელარულ ფირ-

---

[286] ასეთი დამაგრების სისტემას ადგილი აქვს თვალით „უხილავი" თასმების შემთხვევაში. Макушников, Лупиненко, "Ламеллярный доспех восточнославянского ратника," 216.

[287] A648 ხელნაწერი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრშია დაცული. Ф.Д. Жордания, *Описание рукописей Тифлисского церковного музея*, Кн. II (Тифлис, 1902), 132.

[288] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 51, таб. X, 5.

[289] ინახებოდა მრავალძლის წმ. გიორგის ეკლესიაში, ამჟამად დაკარგულია, ვმსჯელობთ ე. თაყაიშვილის 1919 წლის რაჭის ექსპედიციის დროს თ. კიუნეს მიერ გადაღებული ფოტოს მიხედვით. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 406-9, таб. 36.

[290] ფარახეთიდან მრავალძალში გადატანილი, ვმსჯელობთ ე. თაყაიშვილის 1919 წლის რაჭის

სურ. 90
ჩუკულის წმ. გიორგი ტყავის საფენიანი ლამელარით. ჩუბინაშვილის მიხედვით.

სურ. 91
ჩიხარეშის წმ. გიორგი ორმოქლონიანი აბჯრით. ჩუბინაშვილის მიხედვით.

სურ. 92
ნაკურალეშის წმ. გიორგი ორ-მოქლონიანი ლამელარით. ჩუბინაშვილის მიხედვით.

ფიტებს ორმაგი მოქლონითა და ორმაგი საკიდით ტყავის საფენზე, სადაც ფირფიტები ერთმანეთს არ ფარავენ და გვერდიგვერდ არიან. პრაქტიკულად აქ უკვე დასრულებული სახით წარმოდგენილია ლამელარული აბჯრის ევოლუციის ყველა ძირითადი კომპონენტი. არ ჩანს მხოლოდ ლამელარის ფართო ზოლი, რის გამოც ეს აბჯრები ხაზიანი ლამელარის კატეგორიას მიეკუთვნებიან.

XI საუკუნეში „იდეალური ფირფიტოვანი აბჯრის" ძიება კიდევ უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი ხდება: ჩნდება ზოლიანი ლამელარი, მკვიდრდება ლამელარის ფირფიტების ქვემოთკენ გადაფარვა – ე.წ. „ამობრუნებული ლამელარი", იცვლება საკიდი თასმების რაოდენობა; მრავლდება რთული, მდიდრული, სააღლუმო აბჯართა რიცხვიც.

XI საუკუნის პირველ წლებში შესრულებული ნაკიფარის წმ. გიორგის

ექსპედიციის დროს თ. კიუნეს მიერ გადაღებული ფოტოს მიხედვით. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 342-3, таб. 43.

სურ. 93
წმ. პროკოპიოსი ორ-მოქლონიანი ლამელარით. ხელნაწერი A648, გვ. 60ი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ხატი[291] (სურ. 96) და ამავე საუკუნის პირველი ნახევრის სამთავისის საკურთხევლისწინა ჯვარზე გამოსახული წმ. გიორგი[292] გვიჩვენებს ორმაგმოქლონიან სრულ „ამობრუნებულ“ ლამელარს: ქვემოთ მიმართული ფირფიტებითაა შედგენილი კირასა (*klibanion*),[293] ქვედატანი (*kremasmata*)[294] და სახელო (*manikia*).[295] მეომრების აბჯრები მხოლოდ საკიდი თასმების რაოდენობით განსხვავდებიან.

XI საუკუნის დასაწყისშივე გვხვდება ზოლიანი ლამელარის პირველი ნიმუშები. საინტერესოა, რომ XI საუკუნის I მეოთხედის იფარის წმ. გიორგის ხატი[296] (სურ. 97) ზოლიან ლამელარს წარმოგვიდგენს უმოქლონო ფირფიტებით. ეს ხატი, ასევე ლაბეჭინის ქვეითი წმ. გიორგის[297] და შოდის წმ. გიორგის ხატები[298] ცხადყოფენ, რომ მოქლონიანი ლამელარი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დამკვიდრებული.

ზოლიანი და მოქლონიანი ლამელარის შერწყმის ერთ საინტერესო ცდას გვიჩვენებს ლაბეჭინის მხედარი წმ. გიორგის ხატი[299] (სურ. 98), რომელიც XI საუკუნის მეორე ათეულს მიეკუთვნება. აქ, კირასის ლამელარის ზოლებში (და კრემასმატაზეც) ვხედავთ ადრეული ტიპის (ზედა-ქვედა) მოქლონიან ფირფიტებს, რომელიც შემდგომში მთლიანად ჩაანაცვლა ფირფიტებმა მოქლონით ზედა ნაწილში.

სოფ. ფარში დაცული XI საუკუნის სუფის წმ. გიორგის ცხენოსანი ხატი[300] (სურ. 99) კი გვიჩვენებს ზოლიან ლამელარს უკვე ტიპური მოქლონიანი ფირფიტებით. ლამელარი მთლიანად (კირასა, ქვედატანი, მანიკია) „ამობრუნებულია“, რაც ნიშნავს, რომ ქვემოთ მიმართული ფირფიტების ექსპერიმენტი

სურ. 94
ორ-მოქლონიანი აბჯრის ფირფიტა. სოლოვიევის მიხედვით.

[291] ასან გვაზავაისძის ახალგაზრდული ნამუშევარი. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 363-7; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 21-2.

[292] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 493-9, таб. 284.

[293] *კლიბანიონი* – ლამელარული ან ქერცლოვანი კონსტრუქციის კირასა. Kolias, *Byzantinische Waffen*, 45-7.

[294] *კრემასმატა* – დალიანდაგებული ქვედატანი, ხშირად ლითონის ფირფიტებით გაძლიერებული.

[295] *მანიკია* მხარს იდაყვამდე იცავდა.

[296] ასანის ხელობა მარუშის შეკვეთით. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 358-63, таб. 184; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 17-8.

[297] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 261, таб. 56.

[298] ინახებოდა სოფ. ღებში მეზობელი შოდის წმ. გიორგის ეკლესიიდან. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 367, таб. 95.

[299] იქვე, 326-30, ტაბ. 181.

[300] იქვე, 443.

ზოლიან აბჯარზეც გაგრძელდა.

და ბოლოს, მრავალი ფრესკა თუ ჭედური ხელოვნების ნიმუში გვიჩვენებს უკვე ჩამოყალიბებულ ლამელარული აბჯრის ტიპს, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებულია XI-XII საუკუნეებში და შემდგომ ეპოქაში. მისი ზოლიანი კირასა შედგება ზემოთ მიმართული მოქლონიანი ფირფიტებისგან, კრემასმატა და მანიკია კი „ამობრუნებული", ქვემოთ მიმართული ლამელარის ფირფიტებითაა დაკომპლექტებული. ასეთია სუფის ქვეითი წმ. გიორგის ხატი,[301] ადიშის წმ. გიორგის (ჯგრაგ) ეკლესიაში გამოსახული წმ. გიორგისა და სხვა წმინდა მეომრების ფრესკები აღჭურვილი ტიპური ზოლიანი მოქლონიანი ლამელარით (სურ. 100).

სურ. 95
ორმაგმოქლონიანი ხაზიანი ლამელარი: ა) წმ. გიორგი მრავალძლის ხატზე; ბ) ფარახეთის წმ. გიორგი. თ. კიუნეს ფოტოები.

აქვე, მინდა შევჩერდე აბჯრის ერთ ტიპზე, რომელიც ყველაზე მეტად შეიძლება აღმოჩნდეს მხატვრის წარმოსახვის ნაყოფი, მაგრამ ავტორის ვინაობისა და საინტერესო კონსტრუქციის გამოც, ღირს მისი განხილვა.

ჩვენამდე მოაღწია XI-XII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს მეფის (დავით აღმაშენებლის) მხატვრის, თევდორეს მიერ შესრულებულმა სვანეთის ეკლესიების მოხატულობებმა.[302] თევდორეს მიერ შესრულებულ ყველა წმინ-

[301] იქვე, 563; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 40.

[302] თევდორეს მიერ მოხატული ეკლესიები ზუსტადაა დათარიღებული შემორჩენილი წარწერების მიხედვით, საიდანაც ვიგებთ მის სახელსა და სამუშაოს შესრულების დროს. Н.А. Аладашвили, Г.В. Алибегашвили, А.И. Вольская, *Живописная Школа Сванети* (Тбилиси, 1983), 30-2. იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესიის („თარინგზელ") ქტიტორული წარწერა მოგვითხრობს, – „მოიხატა დასაბამითგანთა წელთა ხჯ, ქრონიკონსა ტივ [=1096 წ.], ხელითა თევდორე მეფისა მხატვრისაითა". *სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.): ეპიგრაფიკული ძეგლები*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, ტ. II (თბილისი, 1988), 70-1. ლაგურკას 1111 წლისა და ნაკიფარის 1130 წლის წარწერისათვის იხ. იქვე, 73-5.

სურ. 96
ნაკიფარის წმ. გიორგი ორმაგმოქლონიანი „ამობრუნებული“ ლამელარით. ს. სარჯველაძის ფოტო.

დანს (იფრარის ცხენოსანი წმ. გიორგი და წმ. თევდორე, ქვეითი მთავარანგელოზი მიქაელი,[303] ლაგურკას წმ. თევდორე (სურ. 101ა) და ნაკიფარის წმ. გიორგი და წმ. თევდორე[304]) ერთნაირი ლამელარული აბჯარი აცვია, რომელიც საკმაოდ უცნაური კონსტრუქციით გამოირჩევა: ეს არის ზოლებიანი ლამელარი ფირფიტებს შორის (!) მოქლონებით, რომელიც ქვედა რიგის ტყავს ზედა რიგთან ამაგრებს. თუკი ასეთი კონსტრუქცია არსებობდა, ის უფრო მჭიდროდ შეკავშირებული,[305] მაგრამ ნაკლებად ელასტიური იქნებოდა.

გარდა იმისა, რომ მეფის მხატვრის სტატუსი გარკვეული სტანდარტების დაცვას მოითხოვდა, თევდორეს მიერ შესრულებული კონსტრუქციის დასაცავად შეიძლება გამოდგეს XII საუკუნის ფარის საწინამძღვრო ჯვარზე გამოსახული წმ. პანტელეიმონის[306] ზოლიანი მოქლონიანი ლამელარის აბჯარი (სურ. 101ბ). აქაც, ლამელარის კირასაზე, ისევე როგორც თევდორეს ფრესკებზე, ფირფიტებს შორის მოქლონებს ვხედავთ.[307]

ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშებით ლამელარული აბჯრის ევოლუცია დასრულებულად შეიძლება მივიჩნიოთ (სურ. 102). ფირფიტოვანი აბჯრის ასეთი მრავალფეროვნება შემდგომში უკვე აღარ ჩანს. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ცალკეულ ექსპერიმენტებს მაინც ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ საინტერესოა დავით-გარეჯას უდაბნოს ხარების ეკლესიაში XIII საუკუნეში გამოსახული წმ. თევდორეს ფრესკა სამმაგმოქლონიანი ფირფიტებისაგან შემდგარი ლამელარული აბჯრის ქვედაბოლოთი.[308]

ბიზანტიურ-ქართული აბჯრის სიახლოვისა და მსგავსებისათვის საინტერესო მასალას იძლევა ერთი ტიპის ლამელარის შედარებაც. XII საუკუნეში კასტორიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გამოსახულ წმ. ნესტორის ფრესკაზე წმინდანი აღჭურვილია ლამელარით, რომელიც მართკუთხა, თავ-მოუმრგვალებელი ფირფიტებითაა შედგენილი. ასეთი ფორმის მართკუთხა ლამელარის ფირფიტები მასალის დიდ ეკონომიას არ იძლევა, სამაგიეროდ საგრძნობლად ზოგავს აბჯრის დამზადების დროს.[309] ამ ტიპის ბიზანტიურ აბჯარსაც შეიძლება ბევრი ქართული

---

[303] Аладашвили, Алибегашвили, Вольская, *Живописная Школа Сванети*, таб. 24, 27, 25.

[304] იქვე, ტაბ. 60.

[305] ტიპურ მოქლონიან ლამელართან შედარებით, სადაც მხოლოდ თასმები აკავშირებს რიგებს.

[306] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 524-5; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 37-9.

[307] არ არის გამორიცხული, რომ აქ გამოსახული იყოს ფირფიტების გვერდულად ერთმანეთის გადაფარვა, მაგრამ ეს უცხოა მოქლონიანი ლამელარისათვის. ასეთი აბჯარი, ტიპურისაგან განსხვავებით, ძალიან მძიმე და მოუქნელი იქნებოდა.

[308] *დავით გარეჯის მონასტრები: ლავრა, უდაბნო*, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მარინე ბულიამ და დიმიტრი თუმანიშვილმა (თბილისი, 2008), 116.

[309] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 48.

სურ. 97
იფარის წმ. გიორგი ზოლიანი უმოქლონო ლამელარით. ჩუბინაშვილის მიხედვით.

სურ. 98
ლაბეჭინის წმ. გიორგი ზოლიანი და ორ-მოქლონიანი ლამელარით.

სურ. 99
სუფის წმ. გიორგი ზოლიანი, მოქლონიანი, „ამობრუნებული" ლამელარით. ს. სარჯველაძის ფოტო.

ანალოგი მოვუძებნოთ: X საუკუნის დასასრულის საკაოს ხატზე წმ. გიორგის[310] პრაქტიკულად იგივე,[311] მოქლონიან-თასმიანი ფირფიტებისგან შედგენილი ხაზიანი ლამელარი აცვია. მართკუთხა ფორმის, ბოლო-მოუმრგვალებელი ფირფიტებითაა შედგენილი, აგრეთვე, ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის ფასადზე გამოსახული წმ. თევდორე და წმ. გიორგის აბჯრები (სურ. 103), XI საუკუნის ლანჩვალისა[312] და სეტის[313] ხატების წმ. გიორგის აბჯრებიც.

ლამელარული აბჯრის კიდევ ერთი, მეტად საინტერესო ნაირსახეობა არის ასახული ქართულ ჭედურ ხატებსა და მინიატურებში. ეს გახლავთ ზოლიანი ლამელარი, რომლის ფირფიტოვანი რიგები ოსტატებს წვრილი, სწორი ხაზებით აქვთ გადმოცემული. ერთი შეხედვით, ასეთი აბჯარი ადვილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ხელოვნის შეცდომად, რომელმაც ლამელარის ფირფიტების ზუსტ გადმოცემაზე თავი არ შეიწუხა და ისინი გამარტივებული სახით შეასრულა. საბედნიეროდ, არქეოლოგიური მასალა ბელორუსიიდან ასეთი დასკვნის უფლებას არ გვაძლევს და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძველი ოსტატები იმაზე უფრო ხშირად ასახავდნენ სინამდვილეს, ვიდრე ეს აქამდე წარმოგვედგინა.

გომელში, ო. მაკუშნიკოვის ხელმძღვანელობით, გაითხარა XIII საუკუ-

[310] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*. 344-8; ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, ტაბ. 98.

[311] განსხვავება მხოლოდ მოქლონების რიცხვშია: წმ. გიორგის ლამელარის ფირფიტებზე ორი მოქლონია, წმ. ნესტორის კი – ერთი.

[312] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 333-4, таб. 190.

[313] იქვე, 330-3, ტაბ. 182.

ა

ბ

სურ. 100
ტიპური ზოლიანი მოქლონიანი ლამელარი: ა) სუფის ქვეითი წმ. გიორგი; ბ) ადიშის წმ. მეომარი (თევდორე?). ს. სარჯველაძის ფოტოები.

ნის დასაწყისში დამწვარი მეიარაღის სახელოსნო, სადაც აღმოჩნდა 1500 ცალი ლამელარული აბჯრის ფირფიტა.[314] ამ მასალის საფუძველზე მოხერხდა რამდენიმე ტიპის ლამელარის რეკონსტრუქცია, რომლებიც განსხვავდებიან ტიპური აბჯრისაგან. როგორც ცნობილია, ლამელარული აბჯარი კარგად უძლებს ნებისმიერ იარაღს, მაგრამ ხმლის დარტყმა აზიანებს მის თასმებს. ჩანს, ოსტატები მუდამ ეძებდნენ საკიდი თასმების დაცვის მეთოდს, რაც განახორციელეს კიდეც აბჯრის ფირფიტების ფორმის შეცვლის გზით.[315] გომელში ნაპოვნი ფირფიტებისგან რეკონსტრუირებული ლამელარისათვის ხმლის დარტყმები სულაც არ არის საშიში, რადგანაც ფირფიტების ზედაპირზე თასმები პრაქტიკულად არ გამოდის[316] (სურ. 104).

როგორც უკვე ვთქვით, ამ ტიპის თასმადამალულ ლამელარულ აბჯარს არცთუ იშვიათად ვხვდებით ქართულ ხელოვნების ნიმუშებში. ასეთი ლამელარი აცვია წმ. გიორგის XI საუკუნის ჯახუნდერის ხატზე[317] (სურ. 105ა), XII საუკუნის ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურაზე გამოსახულ ციხის მცველს, მთავარანგელოზს ლაბსყალდის ხატზე, რომელიც XIII საუკუნის უნდა იყოს[318] და წმ. გიორგის იფარის ხატზე (სურ. 105ბ).

ქართული ზეგავლენა ბიზანტიურ აღჭურვილობაზე ნათლად ჩანს ერთი ტიპის (პროტუბერანცული) ფირფიტოვანი აბჯრის მაგალითზე, რომელიც, ალბათ, მართლაც სააღლუმოდ იყო განკუთვნილი.[319] მ. პარანი აღნიშნავს XII საუკუნის ბიზანტიაში ახალი ტიპის ქერცლოვანი აბჯრის გამოჩენას, რომელიც ხასიათდება ფირფიტების ქვედა ბოლოზე პატარა ცენტრალური გამ-

---

[314] Макушников, Лупиненко, "Ламеллярный доспех восточнославянского ратника," 214.

[315] Лупиненко, "Пластинчатый доспех восточных славян в VII-X вв.," 117.

[316] Макушников, Лупиненко, "Ламеллярный доспех восточнославянского ратника," 218, рис. 2.5, 9.

[317] ეკუთვნოდა სოფ. ჯახუნდერის წმ. გიორგის ეკლესიას, ამჟამად დაკარგულია. ვმსჯელობთ ერმაკოვის ფოტოს მიხედვით, N16874. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 352-4, таб. 188; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 26.

[318] ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 72-3, სურ. 71.

[319] პროტუბერანცული აბჯრის საგანგებოდ მოკაზმული, სააღლუმო ხასიათი შემჩნეული აქვს მ. პარანის. Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 110.

სურ. 101
ზოლებიანი ლამელარი ფირფიტებს შორის მოქლონებით: ა) ლაგურკას წმ. თევდორე; ბ) წმ. პანტელეიმონი ფარის საწინამძღვრო ჯვარზე. ს. სარჯველაძის ფოტოები.

ონაზარდით, პროტუბერანცით. ასეთი ტიპის ქერცლები არ ჩანს უფრო ადრე ბიზანტიაში და არც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა თუ დასავლეთ აზიაში.[320] მ. პარანის ვარაუდით, შესაძლოა მსგავსი აბჯარი საქართველოდან იყოს ბიზანტიაში შესული,[321] რის საფუძველსაც მას XI საუკუნის სამი ქართული ჭედური ხატი აძლევს. მართლაც, ხიდისთავის, სუჯუნისა და ბოჭორმის წმ. გიორგის ხატებზე წმინდანების აბჯარი ასეთივე პროტუბერანცული ქერცლებით არის გამოსახული.

მ. პარანის მოსაზრების განსამტკიცებლად ვაპირებ კიდევ უფრო მეტი მაგალითის მოხმობას ქართული სინამდვილიდან, რომლებიც ცხადყოფს, რომ აბჯრის პროტუბერანცული ფირფიტები უფრო მეტად იყო გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში და დროში წინ უსწრებდა ბიზანტიას. ამავე დროს, ერთი საკითხიც მოითხოვს დაზუსტებას: ჩემი აზრით, პარანის მიერ აღწერილ კასტორიის ფრესკაზე წმ. დიმიტრის[322] ლამელარი აცვია და არა ქერცლოვანი აბჯარი. ამის თქმის უფლებას აბჯრის კონსტრუქცია გვაძლევს: პროტუბერანცული ფირფიტები მიჯრილია და არ ფარავს ერთმანეთს ჰორიზონტალურად, ჩანს თასმები, მოქლონები, ტყავდაფენილი ლამელარის

---

[320] პროტუბერანცული ლამელის შორეულ „წინაპრად" თუ არა, მსგავსი იდეის მატარებლად შეიძლება მივიჩნიოთ ციმბირში, ტომსკის ჩრდილოეთით, არხიერეისკი ზაიმკის (არქიელის აგარაკი) VIII-IX სს. სამარხში ნაპოვნი აბჯრის ფირფიტები, რომელთაც მცირე წანაზარდები აღენიშნებათ. მათ კიდევ უფრო შორეული ანალოგი გააჩნიათ ძ.წ. V-VI სს. ისიკის ყორღანში ნაპოვნი აბჯრის ოქროს ფირფიტების სახით. Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 53, таб. XIII, 4. თუმცა, ქართულ-ბიზანტიური ფირფიტისაგან განსხვავებით, ყველა ამ ფირფიტას წაგრძელებული სამკუთხა, ისრისპირის ფორმა აქვს.

[321] თუმცა, კონკრეტული მტკიცებულებების უქონლობის გამო, საკითხს მაინც ღიად ტოვებს. Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 111.

[322] Parani, *Reconstructing the Reality of Images*, pl. 123.



სურ. 102
ლამელარული აბჯრის ევოლუცია: ა) I ეტაპი – ტყავის საფენის გაჩენა თასმიანი ფირფიტების უკან (ჩუკულის ტრიპტიხის მიხედვით); ბ) II ეტაპი – ხაზიანი ლამელარი ორმაგი მოქლონით (მრავალძლის ნმ. გიორგის მიხედვით); გ) III ეტაპი – ტიპური ზოლიანი მოქლონიანი ლამელარი (ადიშის ფრესკების მიხედვით). სხვადასხვა მხარეს დახრილი შტრიხებით ნაჩვენებია სხვადასხვა ლამელარული რიგის ტყავის საფენი.

რიგები, კირასაც უმკლავოა. თუმცა ეს არ ცვლის საკითხის არსს, – როგორც დავრწმუნდებით, პროტუბერანცული ფირფიტები საქართველოში ორივე ტიპის აბჯარში დასტურდება და მისი პირველობის საკითხი ეჭვს არ იწვევს.

წმ. დიმიტრის მსგავსად, XI საუკუნის ბოჭორმის ქვეითი წმ. გიორგის[323] და სუჯუნის ქვეითი წმ. გიორგის[324] აბჯრები ქვემოთ მიმართული პროტუბერანცული ფირფიტებისაგან შედგენილი ლამელარის კირასაა. დიდი ზომის გამოსახულებებზე[325] აბჯრის ფირფიტების ყურადღებით დათვალიერებისას ვრწმუნდებით, რომ ბოჭორმისა და სუჯუნის ხატებზე გამოსახულია არა ქერცლოვანი, არამედ ლამელარული აბჯარი: გარკვევით ჩანს თასმები, რომლებიც ფირფიტებს მთელ სიგრძეზე დაუყვება, რაც სწორედ ლამელარისთვისაა დამახასიათებელი. ფირფიტები აქაც არ ფარავენ ერთმანეთს ჰორიზონტალურად და ორივე კირასა უმკლავოა.

რაც შეეხება XI საუკუნის პირველ მესამედში შესრულებულ ხიდისთავის წმ. გიორგის ხატს[326] (სურ. 106ა), მისი კრემასმატა და მანიკია ნამდვილად პროტუბერანცული ქერცლოვანი ფირფიტებით არის შედგენილი, კირასა კი ცოტა არ იყოს გაურკვეველია და შეიძლება, როგორც ლამელარი, ასევე ქერცლოვანი აბჯარიც იყოს.

ქვემოთ მიმართული პროტუბერანცული ფირფიტებისაგან შემდგარი კრემასმატა აცვია 1096 წელს იფრარის ეკლესიაში თევდორეს მიერ დახატულ მთავარანგელოზ მიქაელს.[327]

XII საუკუნის ფავნისის წმ. მეომრის აბჯარი ზემოთ მიმართული თასმებიანი პროტუბერანცული ფირფიტებისაგან არის შედგენილი (სურ. 106ბ).[328]

---

[323] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 429-44; ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, 21, ტაბ. 50.

[324] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 568; ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, 22, ტაბ. 64.

[325] ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, ტაბ. 50, 64.

[326] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 256-9, таб. 153; ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, 22, ტაბ. 53.

[327] Аладашвили, Алибегашвили, Вольская, *Живописная Школа Сванети*, таб. 25.

[328] Привалова, *Паввиси*, таб. XV. პ. გროტოვსკის აზრით, ფავნისის ამ ფრესკაზე შესაძლოა გამოსახული იყოს ლამელარის ქართული ქვეტიპი, ვერტიკალური სარჩულის ზოლებით (Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 145, n88), თუმცა, ასეთი კონსტრუქციის ლამელარის არსებობა წარმოუდგენელია.

სურ. 103
წმ. გიორგი მართკუთხა ფირფიტებიანი ლამელარით ადიშის ეკლესიის ფასადზე. ს. სარჯველაძის ფოტო.

ზემოთ მიმართული ფირფიტები საბოლოოდ ცხადყოფს, რომ ამ ტიპის ლამელარიც არსებობდა და (სხვა შემთხვევებშიც) საქმე არ გვაქვს ქერცლოვანი აბჯრის მხატვრისეულ ინტერპრეტაციასთან.

ქვემოთ მიმართული თასმებიანი პროტუბერანცული ფირფიტებისაგან შედგენილი ლამელარის კირასითაა აღჭურვილი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ტიმოთესუბანში გამოსახული წმინდა მეომარიც (სურ. 106გ).

პროტუბერანცული ტიპის აბჯრისათვის დამახასიათებელია ფირფიტებს შორის შვეული ხაზები, რომლებიც სრულიად გაუგებარია რაციონალური კონსტრუქციის თვალსაზრისით.[329] თუკი ასეთი კონსტრუქცია მართლაც არსებობდა და ხელოვანთა წარმოსახვის ნაყოფი არ არის, ის ზედმეტად რთული, დეკორატიული და მდიდრული სააღლუმო აბჯრის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთ მოხმობილი აბჯრის ნი-

[329] ქართული ხატების ლამელარის ფირფიტებს შორის არსებული ხაზების ახსნისათვის ვერ გამოდგება პ. ბეატსონის მოსაზრება, რომელიც კონსტანტინოპოლის სასახლის გათხრების დროს ნაპოვნი ქედიანი ლამელარის ფირფიტების გადაფარვით ხსნიდა გამყოფი ხაზების არსებობას გამოსახულებებზე. Peter Beatson, "Byzantine Lamellar Armour: Conjectural Reconstruction of a Find from the Great Palace in Istanbul, Based on Early Medieval Parallels," *Varangian Voice*, 49 (1998), 6.



სურ. 104
გომელში ნაპოვნი ფირფიტის ტიპი და აბჯრის რეკონსტრუქცია. მაკუშნიკოვისა და ლუპინენკოს მიხედვით.

მუშებიდან? ადვილად შესაძლებელია, ფირფიტოვანი აბჯრის ის მრავალფეროვნება, რომელიც წარმოვადგინეთ, სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს და საქმე ხშირ შემთხვევაში ოსტატის ფანტაზიასთან გვქონდეს. ამისდა მიუხედავად, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ასეთი მრავალფეროვნების ასახსნელად მხოლოდ ოსტატის შეცდომები ვერ იკმარებს და რომ დიდი ნაწილი აქ წარმოდგენილი აბჯრისა მართლაც არსებობდა.

ასევე, მართებული იქნება, თუ დავსვამთ კითხვას: ხომ არ იქონია საქართველომ გავლენა ბიზანტიური ლამელარული აბჯრის შემუშავებაზე? მართლაც, ძნელია იპოვო ისეთი ბიზანტიური აბჯარი, რომლის შესატყვისიც საქართველოში არ მოიპოვებოდეს, პირიქით კი ცოტა განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე. ბიზანტიაში არ ჩანს ან დროში ჩამორჩება სხვადასხვა ტიპის აბჯარი: ზედა-ქვედა მოქლონიანი ლამელარი; ფირფიტებს შორის მოქლონიანი; თასმადამალული ლამელარი; მთლიანად ქვემოთ მიმართული ლამელარი; ერთეულია პროტუბერანცული აბჯარი; X საუკუნის ბიზანტიურ გამოსახულებებზე არ გვხვდება მოქლონიანი ფირფიტები და არც მართკუთხა, ბოლო-მოუმრგვალებელი ლამელარი.

ამ გადასახედიდან საინტერესოა ბიზანტიისა და მისი კავკასიელი მეზობლების (კერძოდ, საქართველოს) ურთიერთმიმართება შეიარაღების საკითხებში. უპირველესად, აღნიშვნის ღირსია მათი საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა, რაც სამხედრო ტექნოლოგიების მიმოცვლას შეუწყობდა ხელს. უდავოა, რომ ბიზანტიური სამხედრო მანქანა დიდ გავლენას ახდენდა მის მეზობლებზე,[330] მაგრამ საწინააღმდეგო ხასიათის მოვლენაც შეინიშნება. საქართველოს, თავისი მდებარეობის წყალობით, ბიზანტიაზე უფრო ადრე

[330] ამავე დროს, ქართული სამხედრო ტერმინოლოგია უფრო სპარსულ-არაბულის გავლენას განიცდის. სავსებით სწორია ქ. ჩხატარაიშვილი, როდესაც შენიშნავს, რომ „ფეოდალური ეპოქის ქართული სამხედრო საქმის ტერმინოლოგიაში აღმოსავლური ელემენტების სიუხვე გეოგრაფიული და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორის... შედეგია და არა ქართული და აღმოსავლური სამხედრო სისტემების ნათესაობისა“. ჩხატარაიშვილი, *ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში*, 4-5.

სურ. 105
თასმადამალული ლამელარი: ა) ჯახუნდერის წმ. გიორგი. ჩუბინაშვილის მიხედვით; ბ) იფარის წმ. გიორგი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ჰქონდა შეხება ჩრდილოეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის ნომადებთან, რომელთა შეიარაღების სიახლეები, პირდაპირ თუ ტრანსფორმირებული, სწორედ საქართველოს გავლით შეიძლება მოხვედრილიყო ბიზანტიაში.[331] მდიდარი და მრავალრიცხოვანი ქართული ფეოდალური კლასიც წაახალისებდა იარაღის ინდივიდუალურ ექსპერიმენტებს, განსხვავებით ბიზანტიისაგან, სადაც შეიარაღების სისტემა სახელმწიფო ნიადაგზე იდგა და სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქეოლოგიური მტკიცებულებების

[331] მაგალითისათვის, დ. ნიკოლის აზრით, ლამელარი ცენტრალური აზიიდან გავრცელდა ირანში, შემდგომ კავკასიასა და ანატოლიაში. Nicolle, "The Military Technology of Classical Islam," 173.

სურ. 106
ა) ხიდისთავის წმ. გიორგი პროტუბერანცული აბჯრით. ჩუბინაშვილის მიხედვით; ბ) ფავნისის წმ. მეომარი პროტუბერანცული ლამელარით. პრივალოვას მიხედვით; გ) ტიმოთესუბნის წმინდა მეომარი ქვემოთ მიმართული პროტუბერანცული ლამელარით. ს. სარჯველაძის ფოტო.

არარსებობისა და მხოლოდ იკონოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. ამავე დროს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფირფიტოვანი აბჯრის წარმოებისა და ინოვაციების ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად საქართველო ჩანს და ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებული აბჯრის ტიპებიდან ზოგიერთი, შესაძლოა, სწორედ აქ იღებდეს დასაბამს.

XV საუკუნის ბოლოდან ახლო აღმოსავლეთში ლამელარული აბჯარი ქრება.[332] ის ჩაანაცვლა ჯაჭვ-ფირფიტოვანმა კომბინირებულმა აბჯარმა. ასეთივე ვითარებაა საქართველოშიც. XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნის მინიატურებზე ფირფიტოვანი აბჯარი ბევრად იშვიათად გვხვდება, ვიდრე ჯაჭვი.[333]

ლამინარული აბჯარი

ლამინარული აბჯარი შექმნილია ჰორიზონტალურად განლაგებული გრძივი ლითონის ან ტყავის ფირფიტებით (სალტეებით), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ნახვრეტებში ვერტიკალურად გაყრილი თას-

[332] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 50; Nicolle, *The Age of Tamerlane*, 39.

[333] Шервашидзе, *К Вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре*, 56.

სურ. 107
ლამინარული აბჯარი მარცხენა და მარჯვენა მხარეს გამოსახულ მებრძოლებზე. H1665 დავითნი, 204r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მებით.[334] შეჯავშნის ეს მეთოდი საკმაოდ იყო გავრცელებული და განსაკუთრებით აბჯრის ცალკეულ ნაწილებში გამოიყენებოდა (კიდურების, მხრის თუ სხეულის სხვა ნაწილის დასაფარად).[335] კარგ თავდაცვით თვისებებთან ერთად,[336] იყო საკმაოდ მოძრავი და მოქნილი. ლამინარის წონა სხვა ფირფიტოვანი (ქერცლოვანი, ლამელარი) აბჯრის წონის შესაბამისია, ის არ ზღუდავს ხელისა და ფეხის მოძრაობას, თუმცა ხმლის დარტყმას მისი თასმების დაზიანება და აბჯრის დაშლა შეეძლო გამოეწვია.[337]

ანტიკურ ხანაში ლამინარულ აბჯარს რომაელი ლეგიონერები ატარებდნენ და მას *lorica segmentata* ეწოდებოდა. ლამინარს იყენებდნენ ძველი

[334] Горелик, "Защитное вооружение степной зоны Евразии и примыкающих к ней территорий в I тыс. н.э.," 151; მისივე, *Оружие Древнего Востока*, 112.

[335] ლამინარული აბჯარი ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებიდან არის ცნობილი, თუმცა ის მხოლოდ აბჯრის სხვადასხვა ნაწილებში გამოიყენებოდა. სრული ლამინარული აბჯარი ჩვ.წ. IV საუკუნეში გაჩნდა ჩინეთის ჩრდილოთში და სიანბელთა მიერ უნდა იყოს შექმნილი. Горбунов, *Военное дело населения Алтая в III-XIV вв.*, ч. I, 60.

[336] ლამინარული ჯავშნის მდგრადობას ისრის მიმართ არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს: შაპკას სამარხში აღმოჩენილი ლამინარული მუზარადის ერთი ფირფიტა ისარმა გაიტანა, მაგრამ მეორის დაძლევა ვეღარ შეძლო. С.П. Нестеров, И.Ю. Слюсаренко, "Панцирь и шлем из могильника Шапка," *Военное дело населения юга Сибири и Дальнего Востока* (Новосибирск, 1993), 196.

[337] Горелик, "Ранний монгольский доспех," 187.

ბერძნებიც ცხენოსნის კიდურების დასაცავად.[338] გრძელი ლამინარი ცნობილია ცენტრალური აზიიდან და VI-VII და VII-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება.[339] ჩვეულებრივ, ლამინარული აბჯარი კირასა იყო, რომელიც გვერდსა და მხარზე იკვრებოდა (იშვიათად ზურგზე).[340] XV საუკუნის დასაწყისში ირანში სცადეს ლამინარის მედეგობის გაუმჯობესება და ლამინარის ზოლების შეკავშირება თასმების ნაცვლად ტყავზე დამოქლონებით დაიწყეს.[341]

ლამინარული აბჯარი საქართველოში ნაკლებად იყო გავრცელებული. ის ე.წ. „ექსპერიმენტულ" პერიოდში გვხვდება (XIV ს. მეორე ნახევარი – XV ს. დასაწყისი), როდესაც დაცვის გაძლიერების ახალ გზებს ეძებდნენ და სხვადასხვა ტიპის ფირფიტოვან ჯავშანს ცდიდნენ. ლამინარული აბჯარი გამოსახულია XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნის 204r მინიატურაზე, სადაც ვხედავთ ორ მებრძოლს სალტისებური ფირფიტოვანი აბჯრით (სურ. 107). ის საკმაოდ ფართო ჰორიზონტალური ლითონის ფირფიტებისაგან შედგება, რომლებიც ქვემოდან ზევით ფარავს ერთმანეთს. ფირფიტებქვეშ სავარაუდებელია ტყავის საფუძველი. 1330-იან წლებში თავრიზში შესრულებულ შაჰ-ნამეს მინიატურებზე გამოსახულ ლამინარულ აბჯარს მკვლევრები ტყავისაგან დამზადებულად მიიჩნევენ.[342] დავითნში გამოსახული ქართული ლამინარული აბჯარიც XIV საუკუნეს ეკუთვნის და გარეგნულად მსგავსია, თუმცა მათ, როგორც ჩანს, ლითონისგანაც ამზადებდნენ: 204r მინიატურაზე გამოსახული ერთი ლამინარული აბჯარი ორი ფერის, ოქროსფრისა და რუხი-ნაცრისფრის, მონაცვლეობით არის წარმოდგენილი, სადაც ნაცრისფერი უეჭველად ლითონს გამოსახავს, რადგანაც ჯაჭვის აბჯრისა და, საერთოდ, რკინის აღჭურვილობის გადმოსაცემად მხატვარი ამ ფერს იყენებს.

ჯაჭვის აბჯარი

ჯაჭვი ერთმანეთში გადაბმული ლითონის რგოლებისაგან მოქსოვილი აბჯარია. ჰ. რობინსონი ჯაჭვს მიიჩნევს ისტორიაში ყველაზე უფრო გავრცელებულ აბჯრად.[343] ჯაჭვის აბჯარი ევროპელი კელტების გამოგონებაა, რომელიც ძვ.წ. III საუკუნიდან გავრცელდა რომაულ სამყაროში და შემდეგ, მის ფარგლებს გარეთაც.[344]

---

[338] Robinson, *Oriental Armour*, 12.

[339] В.А. Горончаровский, В.П. Никоноров, "Илуратский Катафрактарий," *ВДИ*, 1 (1987), 205.

[340] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 111.

[341] Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 255; Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 111; მათივე, *Вооружение и тактика кочевников Центральной Азии и Южной Сибири в эпоху позднего Средневековья и раннего Нового времени (XV - первая половина XVIII в.)*, 390.

[342] Горелик, "Ранний монгольский доспех," 173-5; Swietoslawski, *Arms and Armour of the Nomads of the Great Steppe in the Times of the Mongol Expansion*, 26.

[343] Robinson, *Oriental Armour*, 11.

[344] Peter Connolly, *Greece and Rome at War* (London, 1981), 124; Coulston, "Arms and Armour of the Late Roman Army," 20; M. C. Bishop, and J. C. N. Coulston, *Roman Military Equipment: from the Punic*

ჯაჭვის აბჯრის დამზადება ტექნიკურად არც ისე რთული, მაგრამ უაღრესად შრომატევადი სამუშაო იყო. მუხლამდე სიგრძის ჯაჭვის პერანგი დაახლოებით 30 000 რგოლს მოიცავდა. რაც უფრო პატარაა რგოლი, მით უკეთესია აბჯარი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იზრდება რგოლების რაოდენობა და დახარჯული შრომა.[345] სრული ჯაჭვის აბჯრის დამზადებას, ჯაჭვისვე საბარკულით, რამდენიმე კვირის შრომა სჭირდებოდა.[346] მუხლამდე სიგრძის ჯაჭვი 12-14 კგ-ს იწონიდა და მთელი სიმდიდრე იყო შუა საუკუნეებში.

ჯაჭვის რგოლებისათვის საჭირო მავთულს იღებდნენ რკინის მოგრძო ნაჭრის გატარებით სხვადასხვა ზომის ნახვრეტებში, რომელთა დიამეტრი თანდათან მცირდებოდა. ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო: 5 მმ განივკვეთის რკინიდან 2 მმ მავთული რომ მიეღოთ, მას თანმიმდევრობით ატარებდნენ 30 ნახვრეტში.[347] მრგვალი განივკვეთის რგოლების გარდა, ჯაჭვის აბჯარში ბრტყელი რგოლებიც გამოიყენებოდა. ბრტყელი რგოლები წონის გაზრდის გარეშე 1.5-2-ჯერ ადიდებს აბჯრის ფართობს.[348] ასეთი რგოლების ბრტყელ ზედაპირს ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ორნამენტისა და წარწერისათვის.[349]

ჯაჭვის რგოლის შეერთების რამდენიმე ხერხი არსებობს: ფარეშოვანი, ეკლისებრი,[350] დადუღებული და თავმიდებული. ფარეშით (მოქლონით) დამაგრებისას რგოლის ორივე ბოლოს აბრტყელებდნენ, ხვრეტდნენ, ფარეშს (ჭანჭიკს) უყრიდნენ და კვლავ აბრტყელებდნენ. ეკლისებრი დამაგრებისას, ფარეშის ნაცვლად იყენებდნენ კონუსურ ქიმს (ეკალს), რომელზეც რგოლის ჯერ ერთ ბოლოს ამაგრებდნენ, შემდეგ მეორე ბოლოს ჩამოაცვამდნენ და

Wars to the Fall of Rome, 2nd ed. (Oxford, 2006), 63. ყველაზე ძველი ჯაჭვის აბჯარი ნაპოვნია კელტი ბელადის ძვ.წ. III საუკუნის სამარხში კიუმეშტში (რუმინეთი). Alan R. Williams, "The Manufacture of Mail in Medieval Europe: A Technical Note," *Gladius*, XV (1980), 105; Симоненко, *Сарматские всадники Северного Причерноморья*, 128-9.

[345] Williams, "The Metallurgy of Medieval Arms and Armour," 51. რაც უფრო მეტი რგოლი ხვდება იარაღის პირს, მით ნაკლებია შანსი მათი და სხეულის დაზიანებისა. Ian Peirce, "The Knight, his Arms and Armour in the Eleventh and Twelfth Centuries," in *The Ideals and Practice of Medieval Knighthood I: Papers from the First and Second Strawberry Hill Conferences*, ed. by Christopher Harper-Bill and Ruth Harvey (Woodbridge, 1986), 158. რამდენადაც პატარა იყო ჯაჭვის რგოლი, მით უფრო მეტი იყო მათი რაოდენობა და შესაბამისად, დაცულობის ხარისხიც და აბჯრის წონაც. О.Л. Макушников, Ю.М. Лупиненко, "Кольчатый доспех восточнославянского ратника конца XII - начала XIII вв. (по материалам раскопок в Гомеле)," *Матэрыялы па археалогіі Беларусі*, 12 (Минск, 2006), 3-4.

[346] Nicolle, *Knight of Outremer*, 31.

[347] Гордеев, "Русский оборонительный доспех," 64. ჯაჭვის რგოლების დასამზადებელი ლითონის მავთული სხვადასხვა სისქის იყო, რაც განაპირობებდა გარეგნულად ერთნაირი აბჯრის სხვადახვა წონას. Frederique Lachaud, "Armour and Military Dress in Thirteenth- and Early-Fourteenth-Century England," in *Armies, Chivalry and Warfare in Medieval Britain and France: Proceedings of the 1995 Harlaxton Symposium*, ed. by M. Strickland (Stamford, 1998), 354-5.

[348] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 14.

[349] Гордеев, "Русский оборонительный доспех," 95.

[350] საბას ტერმინოლოგიით – „ეკლებრივი", „ეკალთა მსგავსი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 450, 453.

ქიმს აბრტყელებდნენ. შედეგად, შემსხვილება რგოლის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოიქმნება და ასეთი ჯაჭვი, ფარეშიანთან შედარებით, ნაკლებად აზიანებს სამოსს;[351] ჯაჭვის რგოლებიც უფრო პატარა და მსუბუქია.[352] ფარეშიანთან შედარებით, ეკლისებური რგოლები უფრო ადვილად და სწრაფად მზადდება, თუმცა რგოლი ნაკლებად მტკიცეა.[353] კიდევ უფრო ადვილი იყო ისეთი რგოლების დამზადება, რომლის მავთულის თავები ერთმანეთს მხოლოდ ედებოდა და არაფრით უკავშირდებოდა. ასეთი კონსტრუქცია გაცილებით სუსტი იყო და ვერ აკავებდა მჩხვლეტავი იარაღის დარტყმას.[354] ყველაზე ძლიერად შედუღებული ჯაჭვის რგოლი ითვლებოდა.[355]

სამუშაოს დიდი შრომატევადობის გამო, შუა საუკუნეების ევროპაში ჯაჭვის კეთებაში ქალებიც მონაწილეობდნენ.[356] მზადების პროცესში შედარებით იოლ და შრომატევად სტადიებს (მავთულის დამზადება, რგოლებად დაჭრა) შეგირდებს ანდობდნენ, საბოლოო დაფარეშებას კი ოსტატი ასრულებდა.[357]

ჯაჭვის აბჯარი ძალიან მოქნილი და მოხერხებული იყო. ის ურიგოდ არ იცავდა და მისი მოქნილობის გამო, მფლობელი მაქსიმალურად მობილური იყო.[358] რგოლებისაგან შემდგარი ჯაჭვი კარგად ნიავდებოდა და ნაკლებად ცხელდებოდა.[359] შედარებით იოლი იყო ჯაჭვის ზომაზე მორგება ან გადაკეთება. ასევე იოლი იყო მისი ჩაცმა და გახდა.[360]

დალიანდაგებულ სამოსზე ჩაცმული ჯაჭვი კარგად უძლებს მჩეხ-

---

[351] ჯაჭვის რგოლის შემსხვილება მეომარს გარეთ, მოწინააღმდეგის იარაღის მხარეს ჰქონდა მიქცეული, ჯაჭვქვეშ საცმელზე კი რგოლის სწორი მხარე ხვდებოდა, რათა სამოსის დაზიანება თავიდან აეცილებინა. ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 284. ასევე იცმევდნენ ჯაჭვს დასავლელი რაინდებიც. Nicolle, *Knight of Outremer*, 47.

[352] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 68.

[353] Гордеев, "Русский оборонительный доспех," 79.

[354] Bivar, "Cavalry Equipment and Tactics on the Euphrates Frontier," 276.

[355] ხევსურები დადუღებულ რგოლებიან ჯაჭვს ყველაზე ძვირად – ხუთ ძროხად აფასებდნენ, ფარეშიანი რგოლით ნაქსოვს – ოთხ ძროხად, ხოლო უფარეშოში მხოლოდ სამ ძროხას იძლეოდნენ. ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 284.

[356] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 47-8. ასეთ მოვლენას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი, კერძოდ, ხევსურეთში ქალები ამზადებდნენ ჯაჭვს, რაც ფოლკლორშიც აისახა. ჯაჭვის დამზადების პროცესს საქართველოში „ასხმა" ან „მოქსოვა" ეწოდებოდა. ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 286-7.

[357] E. Martin Burgess, "The Mail-maker's Technique," *The Antiquaries Journal*, XXXIII (1953), 48.

[358] Ian Peirce, "Arms, Armour and Warfare in the Eleventh Century," *Anglo-Norman Studies*, 10 (1987), 239-40.

[359] Kaveh Farrokh, *Sassanian Elite Cavalry AD 224-642* (Oxford, 2005), 17.

[360] Rosemary Ascherl, "The Technology of Chivalry in Reality and Romance," in *The Study of Chivalry: Resources and Approaches*, ed. by Howell Chickering and Thomas H. Seiler (Kalamazoo, 1988), 264. ნანტის გრაფი, რომელიც ცნობილი მებრძოლი იყო, ჯერ ცხენს მოახტებოდა და მხოლოდ შემდეგ იცვამდა ჯაჭვის პერანგს, რათა ყოველგვარ მოულოდნელობას ყოველთვის ცხენზე მჯდომი და ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა. Strickland, *War and Chivalry*, 168. ეს კი შესაძლებელი ჯაჭვის მოქნილობის გამო იყო. ლითონის სხვა აბჯარს ცხენზე მჯდომი ადამიანი დამოუკიდებლად ვერ ჩაიცვამს.

ავ დარტყმებს, თუმცა, შუბს ან ისარს შეეძლო მისი გარღვევა. იარაღის წვერზე კონცენტრირებული ენერგიის წყალობით, მათ შეეძლოთ ჯაჭვის რგოლის გაგლეჯა.[361] ახლო მანძილიდან ნასროლ ისარს ჯაჭვი კარგად ვერ უძლებდა, რაშიც მას ლამელარული აბჯარი ჯობდა.[362] ჯაჭვის რგოლები ვერ შთანთქავდა და ვერც ფანტავდა დარტყმის ძალას, რომელიც მასში აღწევდა.[363] ამიტომაც, ჯაჭვის პერანგის ქვეშ აუცილებელი იყო დალიანდაგებული ან რაიმე სქელი სამოსის ჩაცმა, რათა ძლიერი დარტყმის შედეგად ჯაჭვის რგოლები სხეულში არ ჩაჭედილიყო და ძვლები არ დამსხვრეულიყო.[364] ჯაჭვის აბჯარს სათანადო მოვლაც უნდოდა,[365] მისი რგოლები შეიძლება გამწყდარიყო, მისი წმენდა და ჟანგისაგან დაცვაც რთული იყო.[366] მართალია, ჯაჭვი რამდენადმე ჩამორჩებოდა ლამელარულ აბჯარს დაცულობის ხარისხით, მაგრამ უფრო მოქნილი და გრილი იყო, უკეთესად იცავდა შეერთებებსა და მოხრილობებს. ჯაჭვს გააჩნდა ის უპირატესობა, რომ მისი ტარება შესაძლებელი იყო სხვა ტიპის, იგივე ლამელარულ, აბჯართან ერთად.[367] ამასთანავე, ლამელარულ აბჯართან შედარებით, ჯაჭვის პერანგი ადვილად ფარავდა სხეულის ზედაპირის მეტ ფართობს და არ ჰქონდა სუსტი და ღია შეერთების ადგილები.

საქართველოში უძველესი ჯაჭვის აბჯარი დედოფლის გორის (ქარელი) სასახლეშია ნაპოვნი და ჩვ.წ. I საუკუნით თარიღდება. მის გავრცელებას საქართველოში ი. გაგოშიძე რომაელების გამოჩენას უკავშირებს.[368] შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგია ჯაჭვის რამდენიმე აბჯარს იცნობს: ესენია ურბნისში (VI ს.), ზურტაკეტსა (XII ს.) და დმანისში (XII-XIII სს.) ნაპოვნი ჯაჭვის ფრაგმენტები.[369] სამწუხაროდ, ეს ფრაგმენტები ძალიან დაზიანებულია, რაც მათ სრულფასოვან შესწავლას გამორიცხავს. მათ ფონზე სასიამოვნო გამონაკლისია ათონის მთის ივერთა მონასტერში დაცული თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგი, რომლის ამჟამინდელი მდგომარეობა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა (სურ. 108). შემორჩე-

---

[361] О.Л. Макушников, Ю.М. Лупиненко, "Кольчатый доспех восточнославянского ратника конца XII - начала XIII вв. (по материалам раскопок в Гомеле)," *Матэрыялы па археалогіі Беларусі*, 12 (Минск, 2006), 4.

[362] Nicolle, *Knight of Outremer*, 31.

[363] Short, *Viking Weapons and Combat Techniques*, 61.

[364] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 135.

[365] ლაშქრობისას ჯაჭვის აბჯარს ტყავის აბგაში ინახავდნენ. Nicholson, *Knight Templar*, 31. აბჯრის ჩასადებ ბუდეს *ტალიკი* ეწოდებოდა. „ტალიკი – აბჯრის შთასადებელი, აბჯრის ბუდე". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 132.

[366] Barber, *The Knight and Chivalry*, 231. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ჯაჭვის აბჯარს ჟანგისაგან კასრში ჩაყრილ ქვიშასა და ძმარში ტრიალით წმენდნენ. Christopher Gravett, *English Medieval Knight 1200-1300* (Oxford, 2002), 18. სახალხო მთქმელის ადუა არაბულის მიხედვით: „წამიღო ჩემმა პატრონმა, ჭალას გამხეხა ქვიშითა". ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 286.

[367] Bivar, "Cavalry Equipment and Tactics on the Euphrates Frontier," 277-8.

[368] იულონ გაგოშიძე, „პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი", *აკცენტ*, 13-14 (2005), 131.

[369] ლევან ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი* (თბილისი, 1964), 94-6, სურ. 41.



ა



ბ

სურ. 108
თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგი: ა) საერთო ხედი, ბ) ჯაჭვის რგოლების ქსოვა ახლოდან. რ. დ'ამატოს ფოტო.

ნილი ნაწილების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, თორნიკე ერისთავის ჯაჭვი გრძელმკლავიანია. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე გრძელი ნაწილის ზომა 80 სმ-ია, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჯაჭვი მუხლამდე სიგრძის იყო.[370] მისი პუბლიკატორის, რ. დ'ამატოს მიხედვით, ჯაჭვის რგოლები არის 1 სმ დიამეტრის, მოქლონიანი, 4-1 (ყოველი რგოლი ოთხ სხვა რგოლშია გაყრილი) ქსოვით. რგოლებზე დარჩენილია ოქროს ნაშთი, რის მიხედვითაც დ'ამატო ასკვნის, რომ ჯაჭვი მთლიანად იყო მოოქრული.[371] ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა ქართული ფეოდალური არისტოკრატიის მაღალ სტატუსსა და დიდ რესურსებზე მეტყველებს.

სულხან-საბა ორბელიანს დაწვრილებით აქვს აღწერილი ჯაჭვის აბჯრის ხუთი ტიპი, რომლებიც საქართველოში იყო გავრცელებული: „ჯავშანი არს აბჯარი რკინისა, ტანსსაცვამი ჯაჭვი. ხოლო ამა ჯავშანთა გვარნი არიან ხუთ: სამანქანი, ზეიდალი, ხოსროანი, ქირაფქა და ჯაბალა.[372] *სამანქანი* არს ჯაჭვისთვალი მგრგვალი, სამ-ფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი და გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი; *ზეიდალი* არს მსგავსი სამანქანისა და თვითო რიგი ჯაჭვის-თვალი მთელი, უფარეშო და თითო თვალი ფარეშოსანი; *ხოსროვანი* არს მსგავსი ზეიდლისა და ქვედა პირი ღარღაროვანი; *ქირაფქა* არს მობრტყე

---

[370] მადლობას ვუხდი რ. დ'ამატოს ამ ჯაჭვის შესახებ ფოტოებისა და ინფორმაციის მოწოდებისათვის.

[371] D'Amato, *Byzantine Imperial Guardsmen*, 54. უნდა ითქვას, რომ პუბლიკაციისას რ. დ'ამატომ დაუშვა შეცდომა და აბჯარი ბიზანტიელ სარდალ ლეონ თორნიკეს მიაკუთვნა. პირად საუბარში მან დამარწმუნა, რომ ეს შეცდომა უნებლიე იყო და მას აუცილებლად გაასწორებდა.

[372] 1503 წლის საბუთში „წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე" დადასტურებულია საბას მიერ ნახსენები ჯაჭვის აბჯრის ზოგიერთი ტიპი: „სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი". *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, 115.

ჯაჭვის-თვალი ფარეშოვანი, რბილ-ბასრი და უფრორე ბასრი, გარდაგრეხით ადვილად გასატეხელი; ჯაბალა არს მსგავსი ქირაფქისა, ჯაჭვისთვალ-მგრგვალი, რომლისამე ფარეში მგრგვალი და რომლისამე ეკლებრივი. ესე ხუთნი აბჯარნიცა სხვადასხვა გვარნი იქმნებიან, რომელიმე თვალ-გრძელი, რომელიმე თვალ-ფართო, რომლისამე ფარეშით სხვადასხვაობა და ჯვარედი, არამედ ამავე ხუთთაგანნი არიან. არამედ ჯავშანთა სისრულე და სიკეთე ესე არს, რომლისაგანცა იყოს: გრძელი და ფართო იყოს, ჯაჭვის-თვალი რაზმად დაწყობილი იყოს ფარეშ-შვენიერი და ძნელად გასაჴსნელი, ნოტიობაში გვიან დაგესლდეს,[373] ყრილი[374] არა ჰქონდეს, კალთიდამ შედევნებით უსხო და უსხოსი იყოს, მკერდთა, ბეჭთა და ღლიათა უზრქელესი და მიყრილი იყოს. ქირაფქის თვალი ჴრმალსავით იზევდეს და სამანქნისა მრავალ-საგრეხი იყოს, რომელსაც ნიკარტი ჰქონდეს გვარიანი და რომელსაც ღარი – მოჴდომილად. ერთისა და ორის კლებისათვის ნუ აძაგებთ, სრული ძნელია".[375] როგორც ვხედავთ, საბას მიხედვით, კარგი ჯაჭვი გრძელი და ფართო იყო, რგოლები მიჯრით ჰქონდა ჩამწკრივებული, რგოლის ფარეში კარგი ხარისხის იყო და ადვილად არ იხსნებოდა, ნესტში გვიან ჟანგდებოდა, არ ჰქონდა ამოვარდნილი ან გახსნილი რგოლი, მკერდზე, ბეჭებსა და იღლიებში სქელი და მჭიდრო ნაქსოვი იყო.[376]

ზემოაღწერილი ჯაჭვის ტიპებისა და მათი ნიშნების დადგენა საკმაოდ ძნელია. *ზეიდალის* ტიპის ჯაჭვი რიგრიგობით მონაცვლე მოქლონიანი („ფარეშოსანი") და დადუღებული („ჯაჭვის-თვალი მთელი, უფარეშო") რგოლების რიგებისაგან შედგებოდა. ფარეშიანი და შედუღებული რგოლების რიგების მონაცვლეობით ოსტატი დროს ზოგავდა.[377] ზეიდალის მსგავსი ჯაჭვი საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ აღმოსავლეთში.[378] ევროპაშიც უმთავრესად მას ხმარობდნენ.[379] ასეთი ჯაჭვის ნიმუშები, სულ ცოტა, ძვ. წ-ის I საუკუნიდან არსებობს.[380]

ჯაბალას ტიპის ჯაჭვში ვხვდებით რგოლის დამაგრების ორი ხერხს: მოქლონით („რომლისამე ფარეში მგრგვალი") და ქიმით („და რომლისამე ეკლებრივი"). გაცილებით ძნელია *სამანქანის* ტიპის ჯაჭვის რგოლის კონსტრუქციის გაგება, რომელიც სამ-ფარეშოსანია. თუ ეს აღწერილობა სწორია, სამ-ფარეშოსანი უნდა ნიშნავდეს არა რგოლს სამი ფარეშით, რისი

---

[373] „ჟანგი – რკინის გესლი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 634.

[374] „ყრილი – ჯაჭვის თვალი აკლდეს; სადა ჯაჭვის თვალი ჯაჭვთა გამოყრილი ჰქონდეს კვალად ყრილი ითქმის". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 271.

[375] იქვე, 450.

[376] ცნობილია, რომ მხრებსა და მკერდს ხშირად ხვდებოდა მტრის იარაღი, რის გამოც ჯაჭვის ეს ადგილები უფრო გაძლიერებული იყო. Гордеев, "Русский оборонительный доспех," 70.

[377] Peirce, "Arms, Armour and Warfare in the Eleventh Century," 237-8.

[378] Nicolle, *Saracen Faris*, 50.

[379] Peirce, "The Knight, his Arms and Armour in the Eleventh and Twelfth Centuries," 155; Nicolle, *Knight of Outremer*, 47. მონღოლებამდელი პერიოდისათვის მას ტიპურად მიიჩნევს ა. კირპიჩნიკოვიც. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 9.

[380] Brian Gilmour, "Iron Age mail in Britain," *Royal Armouries Yearbook*, 2 (1997), 27-34.

დამზადებაც წარმოუდგენლად რთულია, არამედ ერთ, სამ-თავიან ეკლისებრ ფარეშს, რომელსაც 3 ქიმი აქვს. ეს უაღრესად რთული ტექნოლოგია იქნებოდა, რომელიც რგოლის გადაბმის დიდ სიმტკიცეს უზრუნველყოფდა. ცნობილია ორ-თავიანი ფარეშის მაგალითები,[381] თუმცა ის საკმაოდ იშვიათად გვხვდება.[382] მიუხედავად ამ განმარტებისა, სამ-ქიმიანი ეკლისებური ფარეშის კონსტრუქცია მაინც ზედმეტად რთულად მეჩვენება.

ქირაფქა ბრტყელი მოქლონიანი რგოლებისაგან შედგებოდა და უმთავრესად ფოლადისაგან იყო დამზადებული („რბილ-ბასრი და უფრორე ბასრი"). ბასრი ფოლადს აღნიშნავდა.[383] ფოლადის რგოლებისაგან დამზადებული ჯაჭვი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ეროვნულ მუზეუმში დაცული ჯაჭვის პერანგები უმეტესად ფოლადისაა. კ. ჩოლოყაშვილის მიხედვით, „ფოლადისაგან დამზადებული რგოლი უმჯობესია, რადგან ფოლადის რგოლი გადაგრეხის შემდეგ კვლავ თავის ძველ ფორმას უბრუნდება. რკინის რგოლს კი მრგვალი ფორმის შენარჩუნება უჭირს".[384] ჯაბალაც ფოლადის უნდა იყოს („არს მსგავსი ქირაფქისა"), მაგრამ ბრტყელის ნაცვლად მრგვალი განივკვეთის მავთულისაგან („ჯაჭვისთვალმგრგვალი") დამზადებული მოქლონიანი და ქიმიანი რგოლებისაგან შედგებოდა („რომლისამე ფარეში მგრგვალი და რომლისამე ეკლებრივი").

წყაროების მონაცემებით რამდენიმე სახელგანთქმული ქართული ჯაჭვი არის ცნობილი. ხელმწიფის კარის გარიგებიდან ვიცით, რომ არსებობდა ჯაჭვი, რომელიც „გიორგი მეფეს, თამარის მამას, თვით ვერცხლისა შეუქნია სალამასურის სახესა ზედა და მას ჩაიცმიდენ".[385] შ. მესხიას აზრით, გიორგი III-მ ირანის ოქრომჭედლობით განთქმულ ქალაქ სალმასში დამზადებული აბჯრის მსგავსი ვერცხლის ჯაჭვი გააკეთებინა.[386] ეს მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია, თუმცა, სხვა ვარიანტიცაა შესაძლებელი: ალ-ქინდი, IX საუკუნის არაბი ავტორი, რომელმაც ხალიფა მუთასიმისათვის (833-42) დაწერა ტრაქტატი „ხმლებზე და მათ ნაირგვარობაზე", ახსენებს განთქმულ სალმანურ ფოლადს. მოგვიანებით, 1187 წელს, მის რეცეპტს აღწერს ატ-ტარსუსი სალადინისათვის დაწერილ ნაშრომში. მეცნიერთა აზრით სალმანურ ფოლადს ცენტრალურ აზიაში, მავერანაჰრში ან ფერგანაში ადნობდნენ და ირანში და უფრო დასავლეთითაც გაჰქონდათ.[387] შესაძლოა, გიორგი III-მ ქართული ჯაჭვის პერანგიც ამ სახელგანთქმული ფოლადისაგან დაამზადებინა და სახელიც შესაბამისი უწოდა – სალმა[ნ]სური. თუ გავითვალისწინებთ, რომ სალმასურს ბრძოლებშიც იყენებდნენ, ის ფოლადისაგან უნდა იყოს დამზადებული

---

[381] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 288.

[382] Гордеев, "Русский оборонительный доспех," 65.

[383] „ბასრი – ფოლადი რკინა". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 97.

[384] ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 284-5.

[385] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 81.

[386] შოთა მესხია, *საისტორიო ძიებანი*, ტ. I (თბილისი, 1982), 115.

[387] *Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds,"* 19, 65-9.

და არა ვერცხლისაგან, რომელსაც მხოლოდ სააღლუმო-დეკორატიული ფუნქცია ექნებოდა. ამ ჯაჭვს ახსენებს ჟამთააღმწერელიც, როდესაც ლაშასა და რუსუდანის ძეთა მიერ სამეფო განძის გაყოფას აღწერს: „ხოლო **ჯაჭვი იგი სახელდებული, სალმასური** [...] რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა".[388] ჟამთააღმწერელი სახელოვანი ჯაჭვის შემდგომ ბედზეც მოგვითხრობს: 1289 წელს არღუნ ყაენის ბრძანებით დემეტრე II-მ დარუბანდზე მიიტანა იერიში და ციხე აიღო: „ყოველსა ხედვიდა ყაენი. თჳთ მეფისა აქუნდა მტერობა, **სთხოვა ჯაჭჳ სახელოვანი** და მსწრაფლ მიანიჭა მეფემან".[389] ქართველთა მეფის სახელოვანი ჯაჭვი, რომელიც თვით მონღოლთა ყაენს მოეწონა, ის სალმასური უნდა იყოს, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა სამეფო ოჯახში.

სურ. 109
წმინდანი გრძელმკლავებიანი ჯაჭვით „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების" მინიატურაზე. დეტალი.

1387 წელს თემურლენგმა თბილისი აიღო. სამი სხვადასხვა სპარსულენოვანი წყაროს (შერეფ ად-დინ ალი იეზდი, ფასიჰი ხაფი, ბუდაყ ყაზვინი) მიხედვით, დატყვევებულმა ბაგრატ V-მ მას საუცხოო აბჯარი, თითქოსდა, თავად დავით წინასწარმეტყველის მიერ ნაჭედი ჯაჭვის პერანგი მიართვა.[390] საჩუქარი თემურ-ლენგს მეტად მოსწონებია და მას ბრძოლებშიც იყენებდა, რასაც თავად გვამცნობს მაღალფარდოვნად, საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ დაძრული: „თავზე ფოლადის მუზარადით, **დავითის აბჯრით** დაფარული მკერდით და წელზე ეგვიპტური ხმლით ომის ტახტზე ავედი".[391] ეს ფაქტი ქართველი ისტორიკოსებისათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ არავის გაუმახვილებია ყურადღება, თუ რატომ იყო ლეგენდარული მეფის მიერ დამზადებული ჯაჭვი ასე მნიშვნელოვანი მუსლიმი მბრძანებლისათვის. საქმე იმაშია, რომ დავით მეფე ყურანის მიერ ჯაჭვის აბჯრის გამომგონებლადაა შერაცხული, რომელსაც თვით ალაჰმა (!) ასწავლა ჯაჭვის პერანგის კეთება.[392]

ეს შემთხვევები მოწმობს, რომ საქართველოში მაღალი დონის ჯაჭვის აბჯარს ამზადებდნენ.[393] ამ მოსაზრებას უცხოელებიც იზიარებენ: დ. ნიკოლი

---

[388] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 126.

[389] იქვე, 177-8.

[390] დავით კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით)* (თბილისი, 1975), 137-8.

[391] Тамерлан, *Автобиография. Уложение*, перевод с джагатайского и тюркского В.А. Панова (Москва, 2005), 329; კარლო ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე* (თბილისი, 1974), 41.

[392] David Nicolle, *Armies of the Muslim Conquest* (Oxford, 1993), 3; Аствацатурян, *Турецкое оружие*, 40.

[393] აბჯრის მკეთებელს, მის მჭედელს ზენკალი (ზეინკალი) ერქვა: „ზენკალი – აბჯრის მკეთებელი; აბჯრის მჭედელი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 280.

სურ. 110
ალექსანდრე III-ის ჯაჭვის პერანგი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

წერს, რომ საქართველო განთქმული იყო ჩინებული ჯაჭვით.[394] საქართველოში, განსაკუთრებით XIV საუკუნემდე, ძირითადად, გრძელმკლავიანი ჯაჭვი იყო გავრცელებული. ქართული ჯაჭვის სიგრძე (მაჯამდე) შემჩნეული აქვს მ. გორელიკს, რაც მას ადგილობრივ თავისებურებად მიაჩნია.[395] გამოსახულებებზე გრძელი ჯაჭვის კალთა შუაში ჩაჭრილი ან სამკუთხად ამოჭრილია, რაც მოძრაობასა და ცხენზე ჯდომას აადვილებდა.[396] XIV საუკუნეში, სამკლავის შემოღების კვალდაკვალ, ფართოდ ვრცელდება მოკლემკლავიანი ჯაჭვი.[397] ეს ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება. მოკლემკლავიან აბჯარს *საკურტაკე ჯაჭვი* ეწოდებოდა.[398] ირანში ჯაჭვის მკლავი მხოლოდ XVIII საუკუნეში გრძელდება, საიდანაც ვრცელდება ჩრდილოეთ კავკასიაში XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ნადირ შაჰის ლაშქრობების შედეგად.[399] განსხვავებით, საქართველოში გრძელმკლავებიანი ჯაჭვი ფართოდ არის გავრცელებული XVII საუკუნეშიც, რასაც მოწმობს თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნისა“ და „უთრუთიან-საამიანის“ მინიატურები. XVII საუკუნის „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების“ მინიატურებზეც წმინდანს გრძელმკლავებიანი ჯაჭვის აბჯარი აცვია, რომელიც მუხლამდე ჩამოდის[400] (სურ. 109).

იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის (1639-60) ელჩებმა 1659 წელს რუსეთის მეფე ალექსეი მიხეილის ძეს მიართვეს ჯაჭვის პერანგი, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება (სურ. 110). ეს არის საყელოიანი,[401] გვერდებჩახსნილი, წითელი სატინით დასარჩულებული ძვირ-

---

[394] Nicolle, *The Age of Tamerlane*, 37-8.

[395] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 35.

[396] Шервашидзе, *К Вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре*, 56; Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 123.

[397] Nicolle, *Knight of Outremer*, 47.

[398] *„საკურტაკე ჯაჭვი – მებრძოლთა ჩასაცმელი მოკლე და სახ[ე]ლებ მოკლე“*. თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 112. საკურტაკე ჯაჭვი „ვეფხისტყაოსანშიც გვხვდება: „ცხენსა შევჯე, ნამო-ცა-ვე; **ჯაჭვი** მეცვა **საკურტაკე**“. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 559.

[399] Ю.А. Кулешов, "О позднем защитном вооружении народов Северного Кавказа," *Военная Археология*, 1 (2008), 98.

[400] *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები*, 67-8, 77-8, სურ. 8.8, 8.13.

[401] ჯაჭვის აბჯარს ხშირად საყელოსაც უკეთებდნენ, რომელსაც მეტი კომფორტულობისათვის



სურ. 111
ბაიოს გობელენი: ა) მხედრები ჯაჭვის აბჯარზე ო თხკუთხედებით, ბ) იგივე ჯაჭვის აბჯრები გემების დატვირთვისას.

ფასი, სააღლუმო აბჯარი. მისი პატარა რგოლები მოქლონიანია, ამშვენებს 47 ბრინჯაოს ფირფიტა შიგ ჩასმული ხელოვნური ფერადი თვლებით, 3 წყვილი ბრინჯაოს საკინძე, მარჯვნივ და მარცხნივ კი – მზისა და მთვარის გამოსახულებები.[402] ასეთი მორთულობა გვიანდელი ოსმალური აბჯრებისათვისაა დამახასიათებელი. ოსმალეთის გავლენა ტრადიციულად ძლიერი იყო გვიანი შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში.

ჯაჭვის აბჯრის გაძლიერების მეთოდები

მიუხედავად მრავალი სიკეთისა, შუა საუკუნეებში დღის წესრიგში დადგა ჯაჭვის აბჯრის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობა. X საუკუნიდან დაწყებული, აღმოსავლურსა თუ დასავლურ იკონოგრაფიაში სხეულის აბჯარზე გვხვდება ისეთი გამოსახულებები, რომელთა რაობა ჯერაც არ არის დამაჯერებლად ახსნილი და რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც აბჯრის გამაძლიერებლები.

XI საუკუნის ბაიოს გობელენზე ნორმანთა ჯაჭვის აბჯარზე მკერდის არეში რაღაც ოთხკუთხედები ჩანს (სურ. 111ა). ასეთივე გამოსახულებაა XI საუკუნის კატალანურ მანუსკრიპტში *Bible of Rhodes*. ჩარლზ აშდოუნის, ჯეიმს მანის, კლოდ ბლერის, იან პირსისა და იან ჰისის აზრით, აქ ჯაჭვის გამაძლიერებელი არის გამოსახული, დ. ნიკოლის აზრით კი – ჯაჭვის ზარადი.[403] კ. ბლერი თვლის, რომ ეს ოთხკუთხედი დამატებითი ჯაჭვის აბჯარია სხეულის მოწყვლადი ნაწილის დაცვის გასაძლიერებლად;[404] ჩ. აშდოუნის მიხედვით, ეს ტყავზე დამაგრებული ლითონის ფირფიტაა;[405] ი. პირსის აზრით, ჯაჭვის პერანგზე გამოსახული მართკუთხა „ჩარჩო" ჯაჭვის დამატე-

---

ტყავის სარჩული ჰქონდა. ჯაჭვის აწეული, მდგარი საყელოები ხანდახან მოქსოვილია ტექნიკით 6-1, როდესაც ყოველი რგოლი ექვს სხვა რგოლშია გაყრილი. ამის წყალობით, საყელო მჭიდრო და ხისტი იყო. Tommy Hellman, "Ringbrynjehuvor Från Massgravarna Vid Korsbetningen," http://www.djurfeldt.com/patrik/cupps.html (1995). იგივე ეფექტის მისაღწევად, ჯაჭვის საყელოს ტყავის თასმასაც უყრიდნენ. Гордеев, "Русский оборонительный доспех," 74.

[402] *Опись Московской Оружейной палаты*, часть 3, книга 2 (Москва, 1884), 81-2; ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 282.

[403] DeVries, *Medieval Military Technology*, 66.

[404] Blair, *European Armour*, 24.

[405] Charles H. Ashdown, *European Arms and Armor* (New York, 1995), 73-4.

სურ. 112
ვარანგული ბრა ისუ ნავეს ძის ამბის ამსახველ საბრძოლო სცენაზე. სპილოს ძვლის ზარდახშა. დეტალი. მეტროპოლიტენის მუზეუმი.

ბითი ფენაა, რომელიც მკერდზეა მიმაგრებული;[406] ი. ჰისიც ჯაჭვის გამაძლიერებლად მიიჩნევს ამ ოთხკუთხედს.[407] მათგან განსხვავებით, დ. ნიკოლი თვლის, რომ საქმე გვაქვს ზუჩის ჯაჭვის ზარადთან, რომელიც ჩამოშვებულია არასაბრძოლო მდგომარეობაში.[408] ამავე აზრისაა ერთი თანამედროვე რეკონსტრუქტორიც, რომელმაც ასეთი ზარადის რეკონსტრუქციაც კი შეასრულა.[409] თუმცა, ჯაჭვის ზარადის ვერსიას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ გობელენის ერთ სცენაზე, სადაც გემების დატვირთვაა გადმოცემული, ცალკე (ჩაუცმელ მდგომარეობაში) გამოსახული ოთხი ჯაჭვის პერანგიდან ოთხივეს (!) მკერდზე ოთხკუთხედი უჩანს, რაც ნიშნავს, რომ აქ მუზარადის ჯაჭვი ვერ იქნება გამოსახული (სურ. 111ბ).

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ზემოგანხილული გამოსახულებები ჰგავს ე.წ. *ვარანგულ ბრას (აზღუდს).* ის მკერდზე შემოჭერილი ტყავის სამაგრი იყო, რომელსაც ორი სამხრე ღვედი იმაგრებდა.[410] ითვლება, რომ ეს აღკაზმულობა აბჯრის სხეულზე კომფორტულად მორგებას ემსახურებოდა და V-VII საუკუნეების სასანური გამოსახულებებიდან გამომდინარე, მის ირანულ წარმოშობას ვარაუდობენ.[411] ვარანგული ბრა გვხვდება X საუკუნის ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებში, როგორიცაა სპილოს ძვლის ზარდახშები და ხელნაწერთა მინიატურები[412] (სურ. 112).

თუკი საუკუნეების განმავლობაში გავადევნებთ თვალს ვარანგული ბრის გამოსახვას ბიზანტიურ ხელოვნებაში, ერთ კანონზომიერებას აღმოვაჩენთ. მართალია, ვარანგული ბრა ვიზუალურად საკმაოდ ჰგავს ნორ-

---

[406] Peirce, "The Knight, his Arms and Armour in the Eleventh and Twelfth Centuries," 156.

[407] Ian Heath, *Armies of the Dark Ages, 600 -1066*, 2nd ed. (Worthing, 1980), 111.

[408] David Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Western Europe and the Crusader States* (London, 1999), 54, fig. 97ah.

[409] Egfroth, "The Norman Bib" Reconstructed," *Varangian Voice*, 31 (1994), 4-7.

[410] Ian Heath, *Byzantine Armies 886-1118* (Oxford, 1979), 32.

[411] Stephen Wyley, "The Chest Harness known as the Varangian Bra," *Varangian Voice*, 28 (1993), 29-30; Heath, *Byzantine Armies 886-1118*, 101; Raffaele D'Amato, "A Prôtospatharios, Magistros, and Strategos Autokrator of 11th century: The equipment of Georgios Maniakes and his army according to the Skylitzes Matritensis miniatures and other artistic sources of the middle Byzantine period," *Porphyra*, Supplement 4 (2005), 40. ასევე ფიქრობენ, რომ სამხრე ღვედების საშუალებით ხდებოდა აღკაზმულობაზე აბჯრის წონის გადანაწილება. Andrea Babuin, "Later Byzantine Arms and Armour," in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 100.

[412] Heath, *Byzantine Armies 886-1118*, 28, 30, 34-6.

მანულ მკერდის აბჯარს, მაგრამ ის შეკრული ოთხკუთხედი მაინც არ არის და აღკაზმულობის სახე აქვს. მდგომარეობა იცვლება XIV-XV საუკუნეებიდან, როდესაც ბიზანტიურ ფრესკებზე ვარანგული ბრისა და ოთხკუთხედის კომბინირებული გამოსახულებები ჩნდება: მკერდს ძველებურად გასწვრივ გასდევს ზოლი, რომელიც ახლა უფრო ფართოა და სამხრე ღვედების ნაცვლად ვხედავთ ზოლებით მკერდზე შექმნილ ოთხკუთხედს. ჩანს, იკონოგრაფიაში მკერდზე ოთხკუთხედის დამკვიდრება ასახავს აღჭურვილობაში მომხდარ ცვლილებას, რომელსაც აღმოსავლეთში ადგილი ჰქონდა XIV საუკუნეში.

სურ. 113
ოთხკუთხა გამოსახულებები მკერდის აბჯარზე: H1665 დავითნის 204r (ა) და 213v (ბ) მინიატურების დეტალები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ამ დაკვირვების სამართლიანობას ქართული მასალაც ადასტურებს: ადრეულ ქართულ იკონოგრაფიაში ბრა არ გვხვდება და, როგორც ჩანს, ქართველები მას არც იყენებდნენ. ქართულ გამოსახულებებში მხოლოდ მკერდის არეში აბჯარზე დამაგრებული ქსოვილის ნაჭერი შეინიშნება, რაც ბიზანტიური პრაქტიკის იმიტაციაა. ბიზანტიის არმიაში მეთაურები აბჯარზე ატარებდნენ *პეკტორარიონს* – ოფიცრის მკერდის შარფს, რაც ძველი რომაული ტრადიციის გაგრძელება და ლეგიონის ოფიცრის ნიშანი იყო. მას მკერდის ან მუცლის დონეზე შემოირტყამდნენ და ე.წ. „ჰერაკლეს ნასკვის" სახით იკრავდნენ.[413] XIV საუკუნისათვის *პეკტორარიონი* თავდაპირველ მნიშვნელობას კარგავს და სტილიზებურად, ლითონის ნაჭრის სახითაც კი გამოისახება.[414]

როგორც აღვნიშნე, ქართულ იკონოგრაფიაში სამკერდე შარფის (ჰერაკლეს ნასკვით თუ მის გარეშე) უამრავი გამოსახულება მოგვეპოვება, ბრა კი არ გვხვდება. ის მხოლოდ XIV საუკუნის ბოლოდან ჩნდება გამოსახულებებზე და ბიზანტიური ფრესკების მსგავსად, სამკერდე ოთხკუთხედს მოიცავს. ამ

[413] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 277, 280. პეკტორარიონი აბჯარსაც იმაგრებდა და მას ზედმეტი მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. D'Amato, "A Prôtospatharios, Magistros, and Strategos Autokrator of 11th century," 39.

[414] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 277, n. 579.

სურ. 114
მკერდის ოთხკუთხედები ნალენჯიხის ეკლესიის ფრესკებზე: ა) მთავარანგელოზი მიქაელი, ბ) ქვეითი და გ) ცხენოსანი წმ. გიორგი და დ) წმ. გიორგის თავისკვეთა.

ტიპის გამოსახულება დიდ პოპულარობას იხვეჭს შემდგომ ეპოქებშიც. მაგრამ ასეთ კომბინირებულ (ბრა და ოთხკუთხედი) გამოსახულებებს საქართველოში წინ უძღვის მკერდის აბჯარზე ბაიოს ტიპის ოთხკუთხედების გამოჩენა. H1665 დავითნის მინიატურებზე (204r, 213v) მეომრების ჯაჭვის აბჯარზე მკერდზე ვხედავთ ოთხკუთხა სტრუქტურას (სურ. 113). მიუხედავად იმისა, რომ დავითნის გამოსახულება, სულ მცირე, 3 საუკუნითაა დაცილებული ბაიოს გობელენს, ის საკითხის გადაწყვეტაში გვეხმარება, რადგან იგივე რეალობას უნდა ასახავდეს. ქართული გამოსახულებებიდან გარკვევით ჩანს, რომ მკერდის ოთხკუთხედი ჩამოშვებული ზარადი არ არის, რადგან მისი მფლობელები ბრძოლაში მონაწილეობენ და ზარადი ისედაც უკეთიათ ზუჩებზე. ეს ოთხკუთხედი ტყავით დასარჩულებული ან შემოქობილი ჯაჭვის დამატებითი ფენა უნდა იყოს, რომელსაც მებრძოლი წინ, სხეულის ყველაზე მოწყვლად ადგილას იკიდებდა. დავითნის 213v მინიატურაზე უკვე ვხედავთ იმ კომბინირებულ გამოსახულებას (ბრა და ოთხკუთხედი), რომელიც აქედან მოყოლებული ფართოდ მკვიდრდება მართლმადიდებლურ იკონოგრაფიაში წმინდა მეომრების მკერდის აბჯრის გამოსახვისას. ასეთია კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანილი მანუელ ევგენიკოსის მიერ 1384-96 წლებში მოხატული და შემდგომ საუკუნეებშიც მუდმივად გამშვენებული წალენჯიხის ტაძრის ფრესკები, რომლებიც თვალნათლივ სურათს გვაძლევს საქართველოსა და ბიზანტიაში შეიარაღების ამ დეტალის გავრცელების შესახებ. მკერდზე ოთხკუთხედები აქვს გამოსახული წალენჯიხის ტაძრის XIV საუკუნის მიწურულის ფრესკებზე მთავარანგელოზ მიქაელს, ქვეით და ცხენოსან წმ. გიორგის. ის გამოსახულია XV საუკუნის დასაწყისის წმ. გიორგის თავისკვეთის ფრესკაზეც[415] (სურ. 114). კომბინირებული ოთხკუთხედის გამოსახულებები მრავლად გვხვდება გვიან პალეოლოგოსურ მხატვრობაში ბიზანტიურ მეტროპოლიასა თუ მის განაპირა კუთხეებში. ჩანს, გამოსახულების ასეთი პოპულარობა ძველმა ტრადიციებმაც განაპირობა. ქართულ-ბიზანტიური კომბინირებული სამკერდე ოთხკუთხედი ფაქტობრივად ახლებურად წარმოგვიდგენს ძველ, უკვე ნაცნობ სტრუქტურას (ბრას), მხოლოდ სრულიად სხვა შინაარსით: ძველად ის აბჯრის დამჭერი აღკაზმულობა იყო, ახლა კი – დამატებითი აბჯარია.

საქართველოში სამკერდე ოთხკუთხედის გამოსახვა ბიზანტიის დაცემის შემდეგაც გრძელდება. მოგვიანებით, განსაკუთრებით XVI საუკუნიდან მკერდის ოთხკუთხედის გამოსახვა მეტად სტილიზებული ხდება, ის თითქოსდა ლითონის ფურცლებისაგანაა დამზადებული და ორნამენტებით მოვარაყებული, როგორც ამას ვხედავთ ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესიაში 1529-31 წლებში შესრულებულ წმ. გიორგისა და წმ. დემეტრეს

---

[415] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, ი. ლორთქიფანიძის და მ. ჯანჯალიას ტექსტი (თბილისი, 2011), 66, 86, 116-7, 135.





სურ. 115
წმ. გიორგის ფრესკა ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესიაში.

სურ. 116
წმ. გიორგის ფრესკა ნიკორწმინდის ტაძარში. ავტორის ფოტო.

ფრესკებზე (სურ. 115). ცხადია, რომ ასეთ გამოსახულებებს რეალობასთან ნაკლები საერთო აქვს.

თუმცა, გამონაკლისებიც არსებობს და ნიკორწმინდის ტაძარში გამოსახული წმ. გიორგის XVII საუკუნის ფრესკა დამატებით მონაცემებსაც კი გვაწვდის (სურ. 116). ნიკორწმინდაში დეტალურად გამოსახული სამკერდე ოთხკუთხედის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ დამატებითი ჯაჭვის ფენა, რომელიც ტყავით იყო შემოქობილი, არ იყო ინტეგრირებული ძირითად ჯაჭვში და მასზე ზემოდან იყო ჩამოცმული. ეს ხსნის დავითნის გამოსახულებას: 213v მინიატურაზე სამკერდე აბჯრის არშიაზე შეიმჩნევა მოკლე თასმები, რაც ტყავზე (ტყავის არშიაზე) ჯაჭვის დამაგრების მეთოდზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ჯაჭვის აბჯრის გაძლიერების აუცილებლობამ წარმოშვა ისეთი დამატებითი აბჯრის იდეა, რომელიც მოსახერხებელი და მძიმე არ უნდა ყოფილიყო. ტყავის სარჩულზე და აღკაზმულობაზე დამაგრებული ჯაჭვის დამატებითი ფენა კი ადვილად მოსარგები (ჩამოსაცმელი) და პრაქტიკული გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო, ყოველ

შემთხვევაში, მანამდე, სანამ ჯაჭვის აბჯრის გაძლიერების სხვა, უფრო სრულყოფილი, მეთოდები იჩენდნენ თავს.

XIV საუკუნეში შეიმჩნევა დაცვითი აღჭურვილობის გაძლიერების გლობალური ტენდენცია, რომელიც საერთოა ევროპისა და აზიისათვის. ევროპასა და აზიაშიც ჯაჭვის აბჯარს ლითონის ფირფიტებით აძლიერებენ და ანაცვლებენ. XIV საუკუნეში ევროპაში მიმდინარეობს მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები აბჯარზე, რომელიც მიზნად ისახავს უფრო ეფექტური დაცვის შემუშავებას,[416] რომელიც XV საუკუნის დასაწყისში (1410-20) სრული ფირფიტოვანი აბჯრის შექმნით დასრულდა.

მსგავსი პროცესები მიმდინარეობდა აზიაშიც, რომლის შედეგად მებრძოლის სხეულის ცალკეული ნაწილები ლითონის ფირფიტებით შეიმოსა. XIV საუკუნეში აზიურ ჯაჭვის აბჯარს ემატება ლითონის ფირფიტისაგან დამზადებული სამკლავე და საწვივე, XV საუკუნეში ჩნდება კომბინირებული ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი – ბეგთარი, XVI საუკუნეში კი მათ რიცხვს დაემატა მთლიანფირფიტოვანი ჩარ-აინა.

პოლოტი

ძირითადი აბჯრის გასაძლიერებლად მებრძოლის მკერდის დაფარვას ლითონის ფირფიტით წინა აზიაში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიმართავდნენ. შუა საუკუნეებში განსაკუთრებით პოპულარული იყო დისკოს ფორმის ფირფიტები, რომლებიც ხშირად გვხვდება XIII-XIV საუკუნეების ირანულ მინიატურებზე გამოსახულ მონღოლურ აბჯარზე.[417] აბჯრის გასაძლიერებელი ლითონის დიდი დისკოები შეინიშნება, აგრეთვე, XIII საუკუნის *ვარკა და გულშას* აზერბაიჯანულ მინიატურებზე.[418] 1300 წლისათვის რუსულ მინიატურაშიც ჩნდება მკერდის დასაცავი მოზრდილი ფირფიტები, რომელსაც აბჯარზე ზემოდან იმაგრებდნენ.[419] დისკოსებურთან ერთად ირანში შეიმჩნევა მართკუთხა ფორმის ფირფიტებიც, რომლის გამოსახულებას ვპოულობთ XIV საუკუნის 30-იანი წლების შირაზულ მინიატურაზე. მათ ყოველთვის სხეულის აბჯარზე ზემოდან იკეთებდნენ.[420]

ლითონის ფირფიტებს, რომელსაც სხეულის დასაცავად იყენებდნენ, ქართულად *პოლოტიკი* ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ *პოლოტიკი* არის „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა

---

[416] Thordeman, *Armour from the Battle of Wisby*, 301-2.

[417] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 124.

[418] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 34, fig. 64.

[419] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 21.

[420] Горелик, "Ранний монгольский доспех," 184, рис. 9.1; Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 125.

და ღლიათა დასაკრავი; პოლოტიკი ენოდების ბრტყელთა რკინათა საომრად საფარად მკერდთა (და ღლიათა), გინა სხვათა სასიკვდინოთა და დიდად სატკივართა ადგილთა დასაკრავთა".[421] საბას განმარტებით, *პოლოტიკი* ლითონის ფირფიტაა, რომელსაც სხეულის ყველაზე მოწყვლადი ადგილების დასაფარად იყენებენ. როგორც ჩანს, ეს ტერმინი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იკიდებს ფეხს, ფირფიტოვანი აბჯრის პირველი ნიმუშების შემოღების კვალდაკვალ: „ვეფხისტყაოსანში" *პოლოტიკი* არ გვხვდება, მის ნაცვლად გამოყენებულია *რკინანი* („ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!"),[422] „ამირანდარეჯანიანში" კი *რკინანი* იშვიათია[423] და ხშირად გვხვდება *პოლოტიკნი რკინანი*.[424]

თავდაპირველად, როდესაც ლითონის ფირფიტები ახალი გამოჩენილი იყო, მათ აბჯრის ქვეშაც იმაგრებდნენ. შერკინების წინ ამირან დარეჯანისძემ „ითხოვნა **პოლოტიკნი რკინანი და აბჯრისა ქუეშე დაიპყრნა უჩინრად**".[425] როგორც ვხედავთ, XIII საუკუნისათვის საქართველოში რკინის ფირფიტას ჯაჭვის ქვეშ იმაგრებდნენ. იგივე ხდება ამ პერიოდის ევროპაშიც. გიიომ ბრეტონელი მოგვითხრობს, რომ ერთ ორთაბრძოლაში რიჩარდ ლომგულსა და მის მოწინააღმდეგესაც ჯაჭვის ქვეშ რკინის ფირფიტები ეკეთათ, რაც ნიშნავს, რომ XIII საუკუნის დამდეგისათვის მაინც, ჯაჭვის აბჯარს უკვე აძლიერებდნენ.[426]

პოლოტიკის გავრცელებასთან ერთად, მას, როგორც წესი, უკვე ჯაჭვის აბჯარზე ზემოდან იმაგრებდნენ, რაშიც „ამირანდარეჯანიანიც" გვარწმუნებს: „შემოუტივა, ჰკრა ოროლი და **გატეხნა იგი პოლოტიკნი რკინანი, აბჯარი და რაცა იყო ტანსა მისსა, ყუელა**, და დაკოდა ცოტად".[427] იარაღმა ჯერ რკინის ფირფიტა გატეხა, შემდეგ გახვრიტა ჯაჭვის აბჯარი, მის ქვეშ საცვამი და პატრონიც დაჭრა. ასეთივე თანმიმდევრობითაა აბჯარი ჩამოთვლილი სხვა ეპიზოდებშიც: **„გაუტეხნა პოლოტიკნი რკინანი, ჯაჭუი და ჯავშანი** და მკერდსა დიდი შეჰკუეთა".[428] ცხადია, რომ აქ ლითონის ფირფიტა უკვე ჯაჭვზე ზემოდანაა დამაგრებული.

„ამირანდარეჯანიანში" შეინიშნება ერთი საინტერესო თავისებურებაც, რაც *პოლოტიკს* ახასიათებს: ბრძოლისათვის მზადების პროცესში ადამიანსა და ცხენსაც რკინის *პოლოტიკებს* ჰკიდებენ ანუ მათ სხეულზე ღვედებით

---

[421] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 628.

[422] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 840.

[423] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 149. სავსებით სწორად შენიშნავს გ. აკოფაშვილი, რომ „ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" მოხსენიებული „რკინანი" ნიშნავს რკინის ფირფიტებს, რომლებიც ჯაჭვთან ერთად იცავს მეომრის სხეულს. აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში*, 43.

[424] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 67, 167, 169, 249, 358, 478, 560.

[425] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 249.

[426] Blair, *European Armour*, 37-8; DeVries, *Medieval Military Technology*, 75-6.

[427] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 169.

[428] იქვე, 249. იხ. აგრეთვე, 478.

სურ. 117
პოლოტიკის გამოსახულებები: ა) წმ. გიორგი რომბის ფორმის პოლოტიკით უბისაში; ბ) წმ. თევდორე სტრატილატი მრგვალი პოლოტიკით გელათში; გ) წმინდა მეომრები მრგვალი პოლოტიკებით ჩხარის კარედზე.

ამაგრებენ. ასეთი მაგალითები ნაწარმოებში მრავალადაა: „სატკივართა ადგილთა **პოლოტიკნი რკინანი დაიკიდნეს**“;[429] „**ეკიდნეს რკინანი** სატკივართა ადგილთა თავისასა და ცხენისადაცა“;[430] „გამოვიდა მესამეცა ბუმბერაზი, **დაეკიდნეს რკინანი** ცხენისად სატკივართა ადგილთა და თუითცა ჩამოეკიდნეს რკინანი“;[431] „აწ ხვალე გაჯედ შენსა ცხენსა და **დაიკიდენ პოლოტიკნი რკინანი სატკივართა ადგილთა**, და მეცა აგრე ვიქმ“;[432] „შეჯდა იგი მისსა შავსა ტაიჭსა და **დაიკიდნა პოლოტიკნი რკინანი**“;[433] „შეეკაზმა, გამოვიდა, და **ეკიდნეს პოლოტიკნი რკინანი** სატკივართა ადგილთა“.[434] *პოლოტიკის* დაკიდება აბჯრის გაძლიერების ადრეულ სტადიაზე მიუთითებს, როდესაც რკინის ფირფიტები ჯაჭვში არ იყო ინტეგრირებული (ჩაქსოვილი), როგორც ეს ბეგთარის შემთხვევაშია და მას ჯაჭვს ზემოდან იმაგრებდნენ. ამ მხრივ ისიც საყურადღებოა, რომ აღნიშნული შემთხვევები „ამირანდარეჯანიანის“ ადრეულ რედაქციებში გვხვდება.

ტერმინი *პოლოტიკი* გვხვდება გვიანდელი ხანის ლიტერატურაშიც. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის „ომაინიანში“ ვკითხულობთ: „მკერდსა ჰკრა, **პოლოტიკი და ჯაჭვი ორივ გაუკვეთა** და ზედან დაასვა“.[435] აქ *პოლოტიკში* უკვე ჩარ-აინას ფირფიტა უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც XVII საუკუნის ავტორი მისი ეპოქის რეალობას გადმოგვცემს.

გ. გასიტაშვილი სწორად მსჯელობს, როდესაც ხევსურულ უბის ფარს ძველად არსებულ რომელიღაც მკერდის დასაცავ საშუალებას უკავშირებს.

---

[429] იქვე, 67.
[430] იქვე, 68-9.
[431] იქვე, 149.
[432] იქვე, 167.
[433] იქვე.
[434] იქვე, 358.
[435] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 53.

ეს საშუალება პოლოტიკი იყო, „რომელიც დღეისათვის შემოინახა ხევსურეთის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უბის ფარის სახით".[436]

პოლოტიკის, რომელიც არც დიდი გამომსახველობით ხასიათდებოდა და არც დამკვიდრებული იკონოგრაფიის ნაწილი იყო, მეტად მწირი გამოსახულებები მოგვეპოვება. ასეთია უბისის სამხრეთ კედელზე, XIV საუკუნის უკიდურესად სტილიზებულ ფრესკაზე წმ. გიორგის მკერდზე ღვედებით დამაგრებული მეტად ორნამენტული, რომბის ფორმის პოლოტიკი. გელათის ჩრდილოეთის კედელზე XVI საუკუნის ფრესკაზე წმ. თევდორე სტრატილატი მკერდზე მრგვალი პოლოტიკითაა წარმოდგენილი.[437] ასეთივე, მკერდზე დამაგრებული მრგვალი პოლოტიკებია გამოსახული ორი წმინდა მებრძოლის ჯაჭვის აბჯარზე სოლომონ I-ის შეკვეთით 1779-80 წლებში გაკეთებულ ჩხარის კარედზე[438] (სურ. 117).

ბეგთახი

ჯაჭვის რგოლებისა და ლითონის ფირფიტების შეერთების პირველი ცდები შეინიშნება XIV საუკუნის მიწურულს – XV საუკუნის დასაწყისში. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის სამშობლოდ ახლო აღმოსავლეთი ითვლება, თუმცა ფირფიტებს ჯაჭვის რგოლებით პოულობენ XIV-XV საუკუნეების მიჯნის ოქროს ურდოს მებრძოლთა სამარხებშიც.[439] ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის ყველაზე ადრეული გამოსახულებები XIV საუკუნის 70-იანი წლების ჯალაირიანთა ირანიდან გვაქვს, თავად აბჯრის ნაშთები კი ნაპოვნია ოქროს ურდოს ტერიტორიაზე, ნოვო-კუმაკსკის XIV საუკუნის შუახანების სამარხში და უსტ-ლაბინსკაიას XIV-XV საუკუნეების მიჯნის ყორღანში.[440] კიდევ უფრო ადრინდელი შეიძლება იყოს ბარტიმში (პერმის მხარე) აღმოჩენილი ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი, რომელიც XIII ს. მეორე ნახევრით – XIV ს. პირველი ნახევრით თარიღდება.[441]

XV საუკუნის მიწურულისთვის ირანულ მინიატურებზე მრავლად ჩნდება ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი. თუ XV საუკუნის დამლევის ირანულ მინიატურაში ლამინარული და ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი ჯერ კიდევ ერთად გვხვდება, XVI საუკუნეში მხოლოდ ამ უკანასკნელს გამოსახავენ. განსაკუთრებით ეს შეინიშნება ჩრდილოეთ ირანში და ემთხვევა სეფიანთა დინასტიის გაძლიერებას. XVI საუკუნეში, სეფიანთა მიერ ირანის დაპყრობის კვალდაკვალ, თავდაცვით აღჭურვილობაში „მონღოლური ნიშნები" ქრება

---

[436] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 104-5.

[437] *გელათი: არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები* (თბილისი, 1982), სურ. 73.

[438] Г.Н. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959), 643, таб. 587.

[439] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 120.

[440] Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 247, рис. 1.4; მისივე, "Ранний монгольский доспех," 186.

[441] И.Ю. Пастушенко, "Доспех-бехтерец из Бартымского I селища," *Вестник Удмуртского университета*, 3 (2010), 150-2.

და ყალიბდება საერთოირანული თავდაცვითი კომპლექსი, რომელიც საბოლოო სახეს XVII საუკუნეში იღებს.[442]

XV საუკუნეში ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი საბოლოოდ ყალიბდება ირანსა და ოსმალეთში, საიდანაც ვრცელდება აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში.[443] ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი ევრაზიის აღმოსავლეთ ნაწილში თავდაცვითი საჭურვლის განვითარების უმაღლეს საფეხურად ითვლება. მასში ფირფიტოვანი აბჯრის მაღალი დაცვითი თვისებები შერწყმულია ჯაჭვის სიმსუბუქესა და მოქნილობასთან.[444] ამავე დროს, რკინის ფირფიტების ჩამატება აჩქარებდა აბჯრის დამზადებასაც, რადგან ჯაჭვის ქსოვა ყოველთვის ხანგრძლივი პროცესი იყო.[445] ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის შემოღების შემდეგ ორი აბჯრის – ლამელარულისა და ჯაჭვის – ერთად ტარება საჭირო აღარ იყო.[446]

რუსული სამხედრო ტერმინოლოგია განასხვავებს ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის სხვადასხვა სახეებს: *бехтерец* (ბეგთარი) წარმოდგება სპარსული სიტყვისაგან *ბეგთერ*, *юшман* კი სპარსული სიტყვისაგან *ჯავშან*.[447] ბეგთარი და იუშმანი ერთმანეთისაგან ფირფიტების ზომით განსხვავდებიან. მათი უადრესი ნიმუშები გვხვდება 1370-80 წლების თავრიზულ და XIV საუკუნის დამლევის ბაღდადურ მინიატურებზე.[448] *ბეგთარი* ჯაჭვის რგოლებით შეერთებული, ერთმანეთის ორმაგი ან სამმაგი გადაფარვით ვერტიკალურ ზოლებად აწყობილი პატარა ზომის მართკუთხა ფირფიტები იყო. ეს ზოლები, თავის მხრივ, ჯაჭვით იყო შეერთებული (სურ. 118). *იუშმანი* შუაში გახსნილი ჯაჭვის აბჯარია, რომელიც მკერდის არეში გაძლიერებული იყო დიდი ზომის მართკუთხა ფირფიტებით, ზურგი კი ბეგთარის ტიპის პატარა ფირფიტებით ჰქონდა აწყობილი. ორივე ეს აბჯარი ძვირად ფასობდა და ფართოდ იყო გავრცელე-

---

[442] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 112-3.

[443] Бобров, Худяков, *Вооружение и тактика кочевников Центральной Азии и Южной Сибири в эпоху позднего Средневековья и раннего Нового времени (XV - первая половина XVIII в.)*, 390.

[444] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 120. მაღალი საბრძოლო თვისებების გამო ჯაჭვ-ფირფიტოვან კონსტრუქციას, ჯაჭვის უბრალო ზარადის ნაცვლად, იყენებდნენ მუზარადებშიც. ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი მუზარადებში გამოიყენება XV-XVI საუკუნეებიდან, როდესაც ის მყარად დასტურდება ოსმალურ საომარ აღჭურვილობაში. Кулешов, "О позднем защитном вооружении народов Северного Кавказа," 96.

[445] Robinson, *Oriental Armour*, 11. ჯაჭვთან შედარებით ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის დამზადებას ორჯერ ნაკლები დროს სჭირდებოდა. Гордеев, "Русский оборонительный доспех," 96.

[446] Nicolle, *The Age of Tamerlane*, 39. ჯაჭვ-ფირფიტოვანმა აბჯარმა ჩაანაცვლა ლამელარი და ასევე მიიღო მისი სახელწოდებაც – ჯავშანი. Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 48. არ არის გამორიცხული, რომ გვიანდელი ქართული წყაროების ჯავშანი ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს გულისხმობდეს.

[447] Кирпичников, *Военное дело на Руси в XIII-XV вв.*, 38-9; Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 120. გამორიცხული არ არის ტერმინ *ბეგთარის* მონღოლური წარმომავლობაც. И.В. Зайцев, "Бектерь сыдавной," *Батыр*, 1 (2010), 126.

[448] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 72.



სურ. 118
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული აღმოსავლური ბეგთარი. ავტორის ფოტო.

ბული ისლამურ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში.[449] ბეგთარს 1500-მდე პატარა ფირფიტა სჭირდებოდა და მისი დაცვის ხარისხი მაღალი იყო, ადრეული ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგაც კი. იუშმანი დაცვითი თვისებებით მცირედ ჩამორჩებოდა ბეგთარს, თუმცა უფრო ადვილი დასამზადებელი იყო.[450]

ბეგთარი ქართულ ენაშიც ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს აღნიშნავს და არა მთლიანფირფიტოვან აბჯარს, როგორც ეს ხშირად ეშლებათ ხოლმე. *ბეგთარი* საბას მიხედვით „მორკინული საცმელია საომარი".[451] მართალია, ავტორი არ განმარტავს, თუ როგორია ეს „მორკინული საცმელი", მაგრამ ცხადია, რომ საბა არ გულისხმობს მთლიანი რკინის ფურცლებისაგან შედგენილ აბჯარს (საცმელს), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ რკინის ფურცლოვანს ანუ მორკინულს. საბასთვის (და იმ ეპოქისათვის) უპირველესი საომარი საცმელი ჯაჭვი იყო ანუ საბასივე ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, ბეგთარი „მორკინული" ჯაჭვია; ანუ, ბეგთარი კომბინირებული აბჯარია – ჯაჭვის პერანგი, რომელიც მოწყვლად ადგილებში (მკერდი, ზურგი) გაძლიერებულია (მორკინულია) ბრტყელი რკინის ფირფიტებით (პოლოტიკით). ბეგთარი რომ ჯაჭვთან კომბინირებული ფირფიტოვანი აბჯარია და არა მთლიანი რკინის კირასა, ნათლად ჩანს „შაჰნამეს" ქართული თარგმანიდან, სადაც ბეგთარი ჯაჭვის აბჯრის სახეობად არის წარმოდგენილი: „**ჯაჭვი ბეგთარი** დევ-ქაჯთა მას დღესა დაიხევისა".[452] იგივე კონსტრუქცია გვაქვს ხალხურ პოეზიაშიც: „**ჯაჭვი დაწყვიტა, ბექთარი,** როგორც გუდაი შვლისაო".[453] ცხადია, რომ ქართული *ბეგთარი* შეესაბამება სპარსულ *ბეგთერს*, რუსულ *ბეხტერეცს* და ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარია. ჩანს, საქართველოში ბეგთარსა და იუშმანს არ განასხვავებდნენ.

ბეგთარისათვის დამახასიათებელი ჯაჭვ-ფირფიტოვანი დამაგრების ნიმუშები უკვე გვხვდება XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნის მინიატურებზე – სამუხლე ინტეგრირებულია ჯაჭვის საბარკულში, ჯაჭვის რგოლებითაა დამ-

---

[449] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 120; О.В. Шиндлер, "Классификация русских корпусных доспехов XVI века," *История военного дела: исследования и источники*, V (2014), 444-6; მისივე, "Кольчато-пластинчатые доспехи из коллекции Шереметьева." *Историческое оружиеведение*, 3 (2016), 104.

[450] Кирпичников, *Военное дело на Руси в XIII-XV вв.*, 38-40.

[451] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 100.

[452] *შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები*, ტ. I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ (თბილისი, 1916), სტრ. 1513.

[453] *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ახალი რედაქცია, ტ. I (თბილისი, 2008), 1001.

აგრებული აბჯარზე ფირფიტოვანი ქვედაბოლო და ქაფის ფირფიტაზე – აბჯრის სახელო (მანიკია). ლ. შერვაშიძე საერთოდ თვლის, რომ ამავე დავითნის რიგ მინიატურებზე (204r, 213v) მეომრების ჯაჭვზე გამოსახული რკინის ფირფიტები შესაძლოა ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის ნიმუშიც კი იყოს.[454] თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ფირფიტები არ ფარავენ ყველაზე მოწყვლად არეს მკერდზე, პირიქით, მის პერიფერიაზე არიან მოთავსებულნი. ასევე, გადაბმის ადგილებში არ ჩანს ჯაჭვის რგოლები, რომლებიც სხვა (ქაფისა და ფირფიტოვანი ქვედაბოლოს) შემთხვევაში ყოველთვის ცხადად არის გამოკვეთილი.

ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი XV საუკუნის მეორე ნახევარში მაინც დანამდვილებით ექნებოდათ საქართველოში. ვენეციელი დიპლომატი ჯოსაფატ ბარბარო, რომელიც 1474-78 იმყოფებოდა ირანში, აღწერს აყ-ყოიუნლუს არმიის ცხენის აბჯარს, რომელიც ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული ფირფიტებისაგან შედგებოდა და ერთმანეთთან ჯაჭვის რგოლებით იყო დაკავშირებული.[455] ეჭვგარეშეა, რომ ბარბარო ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს აღწერს. ამავე დროს, ცნობილია, რომ ქართველებიც იყვნენ უზუნ ჰასანის მოკავშირეები და მონაწილეობდნენ ოსმალებთან 1473 წლის ომში.[456] ცხადია, რომ ამ დროისათვის ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი ქართველებსაც ექნებოდათ. მით უმეტეს, რომ აყ-ყოიუნლუს არმიას ასეთი აბჯრებით კავკასიიდან ამარაგებდნენ. ბარბაროს მოწმობით, ჯაჭვ-ფირფიტოვან აბჯარს აკეთებდნენ ბესთენში, რომელიც მინორსკის მიხედვით დაღესტნური სოფელი ყუბაჩია.[457]

ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის გამოსახულებას ვხედავთ XV ს. II ნახევრის – XVI ს. დასაწყისის ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიის სამხრეთის კედელზე – წმინდა თევდორეს აბჯარი ლითონის პატარა, ერთმანეთის გადაფარვით, ზოლებად შედგენილი ფირფიტებია, რომლებიც ერთმანეთთან ჯაჭვის რგოლებით უნდა იყვნენ შეერთებული (რგოლები ფრესკაზე გარკვევით არ იკითხება)[458] (სურ. 119). ასეთი წყობის აბჯარი არ არის იკონოგრაფიულად კანონიკური, პრაქტიკულად არ გვხვდება ქართულ ხატწერაში და ახალი სახის (ჯაჭვ-ფირფიტოვანი) აბჯრის საქართველოში შემოსვლას უნდა აღნიშნავდეს.

სურ. 119
წმ. თევდორეს ბეგთარი ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიის სამხრეთის კედელზე.

ჩახ-აინა

პოლოტიკი, რომელიც თავდაპირველად სხეულის დასაცავი ლითონის ფირფიტა იყო, შემდგომში განვითარდა კირასის ტიპის აბჯარში, რომელიც ოთხი (ან ხუთი) ფირფიტისაგან შედგებოდა. ოთხი ფირფიტისაგან შედგე-

---

[454] Шервашидзе, *К Вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре*, 58.

[455] "Travels of Josafa Barbaro," 66.

[456] Caterino Zeno, "Travels in Persia," in *Travels to Tana and Persia*, translated from the Italian by William Thomas and S. A. Roy, ed. by Lord Stanley of Alderley (London, 1873; repr. New York, 2009), 24, 27.]

[457] Alexander, "Two Aspects of Islamic Arms and Armor," 99.

[458] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები* (თბილისი, 2008), 120-1.

ნილ სხეულის აბჯარს სპარსულად *ჩარ-აინა* ანუ ოთხი სარკე ეწოდება.[459] ის შედგება მკერდის, ზურგისა და გვერდების დასაცავი ოთხი მოზრდილი, მართკუთხა ფირფიტისაგან.[460] ჩარ-აინა ჩნდება XVI საუკუნის დასაწყისში. როგორც წესი, მას ჯაჭვზე იცვამდნენ.[461] მ. გორელიკი თვლის, რომ ჩარ-აინა განვითარდა მონღოლური, აბჯარზე დასამაგრებული, დიდი ზომის მართკუთხა ლითონის ფირფიტისაგან.[462] რობინსონი და ალექსანდერი ფიქრობენ, რომ ჩარ-აინა ოსმალური მკერდის დისკოსებური აბჯრისაგან განვითარდა.[463] საფიქრებელია, რომ ოსმალური დისკოსებური აბჯრის წინამორბედიც, თავის დროზე, მონღოლების მიერ დამკვიდრებული აბჯრის გამაძლიერებელი ფირფიტები იქნებოდა.

ეტყობა, ჩარ-აინა მართლაც ლითონის ფირფიტის, პოლოტიკისაგან არის განვითარებული, რის დასტურს ქართულ ლექსიკონშიც ვპოულობთ: საბას მიხედვით პოლოტიკს თურქულად შეესაბამება „ჩარაინი",[464] რაც ნიშნავს, რომ ქართულში ახალმა აბჯრის ტიპმა *ჩარ-აინამ* ძველი *პოლოტიკის* სახელი დაისაკუთრა.

მართკუთხა ფირფიტებისაგან განვითარებულ ჩარ-აინას სხეულზე სამხრე და სხვა ღვედებით იმაგრებდნენ. მისი ფირფიტების ზედაპირი გაფორმების კარგ შესაძლებლობას იძლეოდა და მათ ხშირად ფარავდნენ ოქროს ორნამენტით.[465] ჩარ-აინას ლითონის ნაჭრები ერთმანეთს ანჯამებით ან აბზინდებში გაყრილი ღვედებით უკავშირდება.[466] ანჯამებით დაკავშირებული ჩარ-აინა უფრო დიდი ზომისაა, რათა მთელი სხეული მოეცვა და მისი მკერდის ფირფიტა ხშირად ორად არის გაყოფილი, რაც უკვე 5-ნაჭრიან აბჯარს წარმოქმნის.[467] ჩარ-აინას ფირფიტები ოდნავ გამრუდებულია, რომ უკეთ შეესაბამებოდეს სხეულის მოხაზულობას.[468] ამავე მიზნით, გვერდის ფირფიტები, ხშირად, იღლიებშია ამოღებული, რათა მაქსიმალურად გაადვილოს ხელის მოძრაობა.

---

[459] ამ ტიპის აბჯარს რუსულადაც *зерцало* ეწოდება, რაც ასევე სარკეს ნიშნავს. Гордеев, "Русский оборонительный доспех," 105; Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 38.

[460] David Alexander, "Jihad and Islamic Arms and Armour," *Gladius*, XXII (2002), 229.

[461] A. Rahman Zaky, "Islamic Armour: An Introduction," *Gladius*, II (1963), 73; Nicolle, *The Age of Tamerlane*, 39; Allan, Gilmour, *Persian Steel: The Tanavoli Collection*, 133; Alexander, "Jihad and Islamic Arms and Armour," 229.

[462] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 38-40, fig. 127.

[463] Robinson, *Oriental Armour*, 35-8; Alexander, "Jihad and Islamic Arms and Armour," 229.

[464] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 547.

[465] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 125.

[466] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 281-2.

[467] Robinson, *Oriental Armour*, 39.

[468] E. Jaiwant Paul, *Arms and Armour: Traditional Weapons of India* (New Delhi, 2004), 115.

სურ. 120
ალექსანდრე არჩილის ძის პორტრეტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სურ. 121
ხევსური მეომარი ჩარ-აინით.

დიდი ზომის ფოლადის ფირფიტებისაგან დამზადებული ჩარ-აინა ყველაზე ახლოს იდგა ევროპულ მთლიანფირფიტოვან აბჯართან და, შესაბამისად, ყველაზე უფრო მაღალი ხარისხის დაცვას (ჯაჭვთან კომბინაციაში) განაპირობებდა აღმოსავლეთში. მართალია, კ. რივკინი და ო. პინჩო თვლიან, რომ ჩარ-აინა კავკასიაში არ გამოიყენებოდა,[469] მაგრამ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. სხვადასხვა მონაცემებიდან უტყუარად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ჩარ-აინა საქართველოში საკმაოდ იყო გავრცელებული: ალექსანდრე არჩილის ძეს (1674-1711), რუსეთის არმიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერს, უცნობი ავტორის მიერ 1696 წელს შესრულებულ პორტრეტზე აღმოსავლური, მდიდრულად ორნამენტირებული ჩარ-აინა უჭირავს სამოსის ქვეშ (სურ. 120). 1910 წელს ბრემენში გამოცემულ წიგნში *Konstantinopel – Schwarzes Meer: Eine Reise in Bildern*, სადაც შავი ზღვის რეგიონში მოგზაურობა სურათებით არის გადმოცემული, ერთ-ერთ ფოტოზე ვხედავთ ხევსურ მეომარს საომარი აღჭურვილობით, სადაც მას ოთხნაჭრიანი ჩარ-აინა აცვია (სურ. 121). ის ფაქტი, რომ ჩარ-აინამ საქართველოს მთა-

[469] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 80.

სურ. 122
იოანე მუხრანბატონის ჩარ-აინა (ექსპონატი 813). საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

შიც კი ააღწია, ნიშნავს იმას, რომ ის საკმაოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ირანული წარმოშობის 5-ნაჭრიანი ჩარ-აინა (ექსპონატი 813). XIX საუკუნეში კავკასიის მუზეუმის დირექტორის გ. რადეს მიხედვით, ის ეკუთვნოდა ერეკლე II-ის სახლთუხუცესსა და სიძეს იოანე მუხრანბატონს[470] (სურ. 122). აბჯარი შედგება ხუთი – ორი სამკერდე, მარცხენა და მარჯვენა საგვერდე და საზურგე – ფირფიტისაგან.[471] ფოლადის ფირფიტები მორთულია ვაზისა და ჩიტის გამოსახულებიანი ოქროს ორნამენტით. აბჯრის ყოველი ნაჭერი ოქროცურვილი სპარსული წარწერებითაა მოარშიებული. ჩარ-აინა დასარჩულებულია ბამბითა და აბრეშუმით.[472] 5-ნაჭრიანი ჩარ-აინას სამკერდე ფიცრები ანჯამებით მკვიდრად ერთდებოდა, ისე რომ შეერთების ადგილში ძლიერ დარტყმასაც გაუძლებდა. საზურგე და სამკერდე ფირფიტები ერთმანეთს აბზინდებში გაყრილი და მხარზე გადაგდებული ორი ღვედის საშუალებით უკავშირდება. მკერდის ფირფიტის (შეერთებული) ზომაა – 40X60 სმ, ზურგის – 33X32.5 სმ, გვერდების კი – 25X19 სმ. სამკერდე და

---

[470] ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 281-2.

[471] კ. ჩოლოყაშვილი შეცდომით მიიჩნევს აბჯრის საზურგეს მის წინა მხარედ – საგულედ. ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი", 282.

[472] იქვე.

საზურგე ფირფიტები დამშვენებულია ჩიტის თავის ორ-ორი ფიგურით. იოანე მუხრანბატონის ჩარ-აინა ძალიან ჰგავს (განსაკუთრებით საზურგის ფორმით, ორნამენტითა და ჩიტის თავის ფიგურებით) ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში და ირანში, ბანდარ ანზალის სამხედრო მუზეუმში დაცულ აბჯრებს, რომლებსაც XVII საუკუნით ათარიღებენ.[473] ჩიტის თავებით დამშვენებული ჩარ-აინები ინახება თეირანისა და შირაზის სამხედრო მუზეუმებში. ყველა ისინი სეფიანთა პერიოდსა და XVII საუკუნეს ეკუთვნის.[474] შესაბამისად, იოანე მუხრანბატონის აბჯარიც XVII საუკუნის ნაკეთობა უნდა იყოს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება ოთხნაჭრიანი ჩარ-აინას ტიპის აბჯრები, ისეთივე, როგორიც აცვია ზემომოყვანილ ფოტოზე ხევსურს. 812-ე ექსპონატი გამოირჩევა მაღალ დონეზე შესრულებული, რომბებში ჩასმული ყვავილოვანი ორნამენტით, რომელთაც ცენტრსა და კიდეებზე სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებები შემოუყვება (სურ. 123). აბჯრის ფოლადზე კარგად შემორჩენილი ოქროს ზარნიშია. მკერდის ფირფიტის ზომაა – 26.5X21.8 სმ, ზურგის – 26.6X22 სმ, გვერდებისა კი – 23.8X19.5 სმ.

ექსპონატი 10-27/176-ის ფოლადის ფირფიტები გეომეტრიულ ხაზებში ყვავილოვანი ორნამენტითაა მორთული, აქა-იქ შერჩენილი ოქროს ზარნიშით (სურ. 124). მკერდისა და ზურგის ფირფიტების ზომები თითქმის ერთნაირია – 26.6X20.6-21 სმ, გვერდების – 25.6X20.5 სმ.

ხუთნაწილიანისაგან განსხვავებით, ოთხნაწილიანი აბჯრის ფირფიტები ერთმანეთთან მჭიდროდ, ანჯამებით არ არის გადაბმული. მათ მხოლოდ აბზინდებში გაყრილი ორი ღვედის საშუალებით იმაგრებდნენ ტანზე (ჯაჭვზე): მკერდისა და ზურგის ფირფიტებზე 6-6 ცალი აბზინდაა, გვერდებზე კი – 4-4 ცალი. ფირფიტების ასეთი არამჭიდრო კავშირის გამო, მათი დაცვის ხარისხი უფრო დაბალი იყო, ვიდრე 5-ნაწილიანი კონსტრუქციის აბჯრისა.

როგორც შემორჩენილი ექსპონატებიდან და სხვა მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში გამოყენებული ჩარ-აინას უმთავრესი წყარო ექსპორტი იყო და აბჯრის ეს სახეობა უცხოეთიდან, ძირითადად კი ირანიდან შემოდიოდა.[475] ჯაჭვზე ჩაცმული ჩარ-აინა, განსაკუთრებით მისი 5-ნაწილიანი სახეობა, მთლიანობაში დაცულობის უაღრესად მაღალ დონეს განაპირობებდა. ცხადია, რომ ასეთი აბჯარი, უმთავრესად, ფეოდალური წრეების ზედა ფენების კუთვნილება იქნებოდა.

---

[473] Grancsay, "The New Galleries of Oriental Arms and Armor," 245; Khorasani, *Arms and Armor from Iran*, cat. 400.

[474] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, cat. 397, 399, 402.

[475] ეს სულაც არ არის გასაკვირი: დონ ხუან სპარსელის მონმობით, XVI საუკუნის ბოლოსათვის ირანში, სხვა აღჭურვილობასთან ერთად, ისეთი დიდი რაოდენობით იწარმოებოდა მკერდის ფირფიტოვანი აბჯარი ანუ ჩარ-აინა, რომ მის დიდ ნაწილს რუსეთში აგზავნიდნენ. *Don Juan of Persia: A Shi'ah Catholic, 1560-1604*, translated and edited with an introduction by G. Le Strange (London, 1926), 50-1.

სურ. 123
ოთხნაჭრიანი ჩარ-აინა (ექსპონატი 812). საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.



სურ. 124
ოთხნაჭრიანი ჩარ-აინა (ექსპონატი 10-27/176). საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ორმაგი აბჯარი

მართალია, ჯაჭვი ლითონისაგან მზადდება, მაგრამ თავისი სტრუქტურისა და თვისებების გამო ის ფაქტობრივად რბილი აბჯარია, რის გამოც შეიძლებოდა ჯაჭვის ჩაცმა ფირფიტოვანი აბჯრის ქვეშ, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს.[476]

ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატები (ლეონ VI-ის „ტაქტიკა“ და *Sylloge Tacticorum*) პირდაპირ მიუთითებენ, რომ ჯაჭვზე შეიძლებოდა ლამელარული კირასის ჩაცმა.[477] ორმაგი აბჯრის ანუ აბჯარზე აბჯრის ჩაცმას ქართულ წყაროებშიც ვხვდებით. „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია ორმაგი აბჯრის (ჯაჭვზე ლამელარის) გამოყენება, – „დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-ქაფითა“,[478] როდესაც მეომრებს ჯაჭვის პერანგზე ლამელარული ჯავშანი აცვიათ, მხრებს კი ქაფი უფარავთ.[479]

თავისთავად, ერთდროულად ორი განსხვავებული ტიპის სრულფასოვანი აბჯრის გამოყენება, როდესაც ჯაჭვზე იცვამენ ლამელარულ ან ლამინარულ ჯავშანს, შედარებით იშვიათი მოვლენა იყო და ასეთი აღჭურვილობა მხოლოდ შეძლებული ადამიანის არსენალში უნდა ვეძებოთ.

სურ. 125
წმ. დიმიტრი და წმ. გიორგი ჯაჭვის აბჯარზე ლამელარული ჯავშნით.

H1665 დავითნის 204r მინიატურაზე ორ მებრძოლზე გვხვდება ფირფიტოვანი ლამინარული ჯავშანი. ლამინარი აქ ჯაჭვზე აცვიათ.[480] აღჭურვილობისა და მუზარადის მიხედვით ეს მებრძოლები აშკარად ცენტრალური ფიგურებია და წინამძღოლები ან დიდებულები გახლავთ (სურ. 107).

ჯაჭვის აბჯარზე ლამელარული ჯავშანი აცვიათ წმ. დიმიტრისა და წმ. გიორგის XVI-XVII სს. ხატებზე, რომლებიც ამჟამად ზუგდიდში, დადიანების სასახლეში ინახება (სურ. 125). მხრის ლამელარული ფირფიტების ქვეშ წმინდა მეომრებს იდაყვამდე ჩამოსული ჯაჭვის აბჯარი უჩანთ. თავის მხრივ, ჯაჭვის ქვეშ ქსოვილის სქელ სამოსს ვხედავთ, რომელიც მაჯამდე არის

---

[476] Горелик, "Ранний монгольский доспех," 186.

[477] Heath, *Byzantine Armies 886-1118*, 34.

[478] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 442.

[479] ქაფისა და ლამელარის ერთად გამოყენებაზე სხვაგანაც ვკითხულობთ: „აბჯარსა ფრენდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“. შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1417.

[480] მისი ზედა ნაწილი კი არ არის ჯაჭვის, როგორც ამას წერს ლ. შერვაშიძე. Шервашидзе, *К Вопросу о Средневековой Грузинской Светской Миниатюре*, 58.

სურ. 126
ჯაჭვის გულსაფარი ქართულ გამოსახულებებზე: ა) ამირანი ლაშთხვერია მთავარანგელოზთა ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე; ბ) მხედრები „როსტომიანის" (S1580 ხელნაწერი) 81v მინიატურაზე, დეტალი; გ) ტარიელი ნერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის" (S5006 ხელნაწერი) 91r მინიატურაზე, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ჩამოსული. ჯაჭვის აბჯარი ჩანს წელზეც – იქ სადაც ლამელარული ჯავშანი მთავრდება, მის ქვემოთ ჯაჭვი გრძელდება, რომელიც ნაწილობრივ ბარძაყებსაც ფარავს.

ჩარ-აინას შემოღებამ კიდევ უფრო გაადვილა და ტექნიკურად უფრო სრულყოფილი გახადა ჯაჭვზე ფოლადის ფირფიტებიანი აბჯრის ჩაცმა.

ჯაჭვის გულსაფარი

მ. გორელიკის თანახმად, კისრის, მხრებისა და სხეულის ზედა ნაწილის დამცავი ჯაჭვის გულსაფარი X საუკუნეში ახასიათებდა ჩრდილო ირანისა და ამიერკავკასიის რეგიონს (აღთამარის გოლიათის ქვის რელიეფი), ხოლო XII საუკუნეში ბიზანტიასა და ჩრდილო ერაყში გავრცელდა. ის შემოსული უნდა იყოს VII-VIII სს. სოგდიიდან, რომელზეც თავის მხრივ ჩინეთმა იქონია გავლენა.[481] ასეთი გულსაფარი ძალიან პოპულარული იყო მონღოლურ ხანაში. ირანულ მინიატურებზე ყველაზე ხშირად სქელი ტყავისაგან დამზადებული გულსაფრებია გამოსახული, თუმცა გვხვდება ჯაჭვისაც.[482]

ჯაჭვის გულსაფარს საქართველოშიც იყენებდნენ. ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადზე გამოსახულ ამირანდარეჯანიანის სიუჟეტზე,[483] ამირანს ჯაჭვის სარჩულიანი გულსაფარი (*bishop's mantle*) უკეთია (სურ. 126ა). „როსტომიანის" 81v მინიატურაზე ორივე მხედარს იცავს ჯაჭვის დასარჩულებული გულსაფარი, რომელიც ფარავს ყელს, მხრებს, მკერდისა და ზურგის ზედა ნაწილს (სურ. 126ბ). ასეთ გულსაფარს მრავლად შევხვდებით „ვეფხისტყაოსნის" წერეთლისეული ნუსხის (ხელნაწერი S-5006) XVII საუკუნის მინიატურებშიც, სადაც, მაგალითად, 89r და 91r მინიატურებზე თითქმის ყველა მებრძოლს ჯაჭვის გულსაფარი უკეთია (სურ. 126გ).

---

[481] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 34.

[482] Горелик, "Ранний монгольский доспех," 195.

[483] ლ. შერვაშიძე ამ ფრესკას XIV საუკუნით ათარიღებს. ლ. შერვაშიძე, „კედლის მოხატულობანი „ამირანდარეჯანიანის" სიუჟეტით სვანეთში", სმამ, ტ. 17, 5 (1956), 475.

ქსოვილისაგან დამზადებული დაცვითი საშუალებები

ქსოვილისა თუ რაიმე სხვა ორგანული მასალისაგან დამზადებული დაცვითი საშუალებები უმარტივესი ტიპის აბჯრად ითვლება და მისი ყველაზე გავრცელებული სახეობაა.[484] ქსოვილის აბჯარი იაფი და იოლად დასამზადებელი იყო. ის ეცვათ სხვა (ლითონის) აბჯრის ქვეშ ან ატარებდნენ მარტო, როგორც თავდაცვის ერთადერთ საშუალებას.

დანიშნულებისდა მიხედვით, ქსოვილისაგან დამზადებული დაცვითი საშუალებები შეიძლება დავყოთ საკუთრივ ქსოვილის აბჯრად, აბჯარქვეშ საცმელად და აბჯარზე ჩასაცმელად.

ქსოვილის აბჯარი

დალიანდაგებული[485] სამოსი უძველესი დროიდან ასრულებდა აბჯრის მოვალეობას აზიასა და ევროპაში. მეტალურგიის განვითარებასა და ლითონის აბჯრის დამკვიდრებასთან ერთად დალიანდაგებული სამოსი აბჯრის ქვეშ საცმელად გადაიქცა, თუმცა ფართო ფენებისათვის მან ბოლომდე შეინარჩუნა აბჯრის მნიშვნელობა.[486] ასეთი სამოსი სხვადასხვა ქსოვილის (აბრეშუმი, შალი, ტილო) ორი ფენისაგან შედგება, რომელიც შევსებულია (გატენილი) მატყლით, ცხოველის თმითა ან ქსოვილით და მიკერებულია ერთმანეთთან.[487] დალიანდაგებულ ქსოვილის აბჯარს საკმაოდ კარგი დაცვითი თვისებები გააჩნდა. ამასთანავე, მას ნაკლიც ჰქონდა: წვიმაში სველდებოდა, მძიმდებოდა და უსარგებლო ხდებოდა. შედარებისათვის, თექას (მოთელილ მატყლს) სისველის ატანა უფრო შეეძლო და ადვილად არ იჟღინთებოდა.

X საუკუნის ბიზანტიის არმიაში ქვეითთა ძირითადი თავდასაცავი საშუალება მძიმე, მუხლამდე გრძელი, დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი („კაბადიონი“) იყო.[488] ქვეითთა კაბადიონი უხეში აბრეშუმისაგან მზადდებოდა, რომელიც ბამბის შუასადებით იყო შევსებული.[489] იმპერატორ ნიკიფორე ფოკას რეკომენდაციით, ის მაქსიმალურად სქლად უნდა შეკერილიყო.[490] ქსოვილისაგან მზადდებოდა მებრძოლთა თავსარქმელიც. სიძვირის გამო დიდი მასების აღჭურვა რკინის მუზარადით შეუძლებელი იყო.[491] რკინის მუზარადის იშვიათობის გამო ბიზანტიური ქვეითი ჯარის

---

[484] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 73.

[485] *ლიანდაგი* – სარჩული, საპირეზე(დ) მიკერება. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 414.

[486] Равдоникас, "Одна из функций стеганой одежды народов Средней Азии," 181.

[487] Short, *Viking Weapons and Combat Techniques*, 61.

[488] კაბადიონი აღმოსავლეთში გავრცელებული, ნინ სწორად გახსნილი ჩასაცმელია, რომელიც ბერძნებმა სპარსელებისაგან გადაიღეს. Dawson, "Suntagma Hoplon," 81-2.

[489] Kolias, *Byzantinische Waffen*, 56.

[490] McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 35.

[491] Kolias, *Byzantinische Waffen*, 85.

სურ. 127
ჯარისკაცი თავზე დოლბანდით. ჯრუჭის II ოთხთავის 245ს მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

უმრავლესობას XI საუკუნემდე თექის ქუდი ეხურა.[492] ნიკიფორე II ფოკა ტრაქტატში *Praecepta militaria* ქვეითთა აღჭურვილობის აუცილებელ ელემენტად დოლბანდშემოხვეულ თექის ქუდს მიიჩნევს.[493]

დალიანდაგებულ ქსოვილს ფეხის დასაცავადაც იყენებდნენ. ძველი საბერძნეთისა და რომის მებრძოლები შარვალს არ იყენებდნენ. III საუკუნეში რომის არმიაში შარვლის გამოჩენა გერმანელ ფედერატებს უკავშირდება.[494] იუსტინიანეს ეპოქაშიც, ბელისარიუსის ბარბაროს მოკავშირეებს შარვალი გამოარჩევდათ. ბიზანტიურ არმიას შარვლის ტარება VI საუკუნის შუახანებში უნდა აეთვისებინა.[495] X საუკუნეში ქვედა კიდურების დასაცავად ბიზანტიელი ჯარისკაცები მატყლითა და ბამბით დასარჩულებულ შარვლებს ატარებდნენ.[496]

ბუნებრივია, ასეთი იაფი და პრაქტიკული აბჯარი საქართველოშიც მოიკიდებდა ფეხს. ბიზანტიურ-აღმოსავლურ ყაიდაზე, თავზე დოლბანდით არის გამოსახული პილატეს მცველი ჯარისკაცი ჯრუჭის II ოთხთავის (XII ს.) 245v მინიატურაზე (სურ. 127); დოლბანდი ხურავთ 70v და 243v მინიატურებზეც. ფეხის დასაცავად დალიანდაგებული შარვალი აცვიათ ჩუკულისა და ჩიხარეშის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (X ს.),[497] ჯარისკაცებს ჯრუჭის II ოთხთავის 70v, 186v, 231r, 236r და 243v მინიატურებზე. სხეულის დასაცავ ქსოვილის აბჯარზე მოგვითხრობს იოსებ თბილელი: მარაბდის ომში დამარცხების შემდეგ გიორგი სააკაძის გარშემო შემოკრებილ სამოციოდე კაცს მატყლისაგან დამზადებული (შალის) დალიანდაგებული ჯუბა ემოსა – „სამოცი კაცი კიდევ მყვა, გვეცვა შალისა ჯუბანი“.[498]

დამახასიათებელი ფორმის გამო, იკონოგრაფიულ მასალაში საკმაოდ ადვილია ქსოვილის აბჯრის გამორჩევა. ჯოისუბნის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის X ს. რელიეფზე წმინდა თევდორეა გამოსახული გრძელი დალიანდაგებული ქსოვილის აბჯრით[499] (სურ. 128ა). X-XI სს. მრავალძლის ეკლესიის ჩრდილოეთის მკლავზე აღდგომის სცენის რელიეფზე ქვეითი მეომარი სქელი, დალიანდაგებული ქსოვილის აბჯრითაა შემოსი-

---

[492] Haldon, "Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour," 77.

[493] McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 13-5.

[494] Pat Southern, Karen R. Dixon, *The Late Roman Army* (London, 1996), 123.

[495] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 206.

[496] Timothy Dawson, *Byzantine Infantryman: Eastern Roman Empire c.900-1204* (Oxford, 2007), 18.

[497] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 46, 47.

[498] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 32.

[499] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 169.

ა

ბ



გ

სურ. 128
დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი: ა) წმ. თევდორე ჯოისუბნის ეკლესიის რელიეფზე. ავტორის ფოტო; ბ) ქვეითი მეომარი მრავალძლის ეკლესიის რელიეფზე. ავტორის ფოტო; გ) წმ. თევდორე. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

ლი[500] (სურ. 128ბ). XII-XIII სს. ლაჰილის ხატზე წმ. დიმიტრის შროშანების ორნამენტით მორთული რომბისებურად დალიანდაგებული[501] აბჯარი აცვია.[502] რომბისებურად დალიანდაგებული აბჯრითაა აღჭურვილი წმ. თევდორეც მესტიის მუზეუმში დაცულ ხატზე (სურ. 128გ). XV საუკუნის დასაწყისის ნაბახტევის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილი იყო[503] დალიანდაგებულ ქსოვილის აბჯარში გამოწყობილი ორი წმინდა მხედარი.[504] დაზიანებული ფრესკების მიუხედავად შესაძლებელია მათი აბჯრის გარჩევა, რომელიც სარტყელით გაყოფილი ქსოვილის კირასისა (კვადრატული დალიანდაგებით) და ქვედატანისაგან (მართკუთხა დალიანდაგებით) შედგება. მეფე გიორგი VIII-ის გარდამოხსნაზე (XV ს.)[505] ამოქარგულ ქრისტეს საფლავის მცველ ოთხ ქვეით მეომარს დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი აცვია. ასეთივე დალიანდაგებული ქსოვილის აბჯრით აღჭურვილი ქვეითი მებრძოლებია ამოქარგული XVII საუკუნის მარიამ დედოფლის, გივი ამილახვრისა და ზილფიჯანის გარდამოხსნებზე[506] (სურ. 15აბ). „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების" მინიატურებზე (XVII ს.) გამოსახულ ქვეით ლაშქარს თავდაცვითი აღჭურვილობიდან მხოლოდ ქსოვილის აბჯარი გააჩნია[507] (სურ. 16აბ).

აბჯარჰქვემ საცმელი

VI საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატი *Peri strategias* გარკვევით უთითებს, რომ ლითონის აბჯარი, ჩვეულებრივი ტანსაცმლის ნაცვლად, თითის სისქის სამოსზე მაინც უნდა ჩაეცვათ. სქელ სამოსზე აბჯარი უფრო კომფორტულად იყო მორგებული და არ აზიანებდა სხეულს, მოწინააღმდეგის დარტყმის დროს კი დამატებით დაცვასა და ამორტიზაციას განაპირობებდა.[508]

---

[500] რელიეფი ამჟამად საკმაოდ დაზიანებულია, საბედნიეროდ, გვაქვს თავდაპირველი სახის ამსახველი სურათიც. *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 177.

[501] გროტოვსკის დაკვირვებით, რომბისებურად დალიანდაგებული აბჯრის კირასა XII საუკუნეში ჩნდება ბიზანტიაში. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 153. რომბისებურად დალიანდაგებული ქსოვილი მებრძოლის აღჭურვილობაში საქართველოში უფრო ადრეც ჩანს: მრავალძლის ხატზე (X ს.) წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს, ლაბეჭინისა და ლანჩვანის ხატებზე (XI ს.) წმ. გიორგის, სამთავისის ხატზე (XI ს.) და ნაკიფარის ეკლესიაში (1130 წ.) წმ. თევდორეს, ჯრუჭის II ოთხთავის (XII ს.) 186v და 236r მინიატურებზე ჯარისკაცების ფეხსამოსი რომბისებურად არის დალიანდაგებული. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 36, 37, 181, 190, 288; *ზემო სვანეთი*, 93. გროტოვსკის აზრით, წმინდა მეომართა გამოსახულებებზე რომბისებური თარგის ტოტები შარვლის დალიანდაგებულ ნაკერებზე მიუთითებს. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 207, n. 312.

[502] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 261, Таб. 432.

[503] ფრესკების პირი ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

[504] ინგა ლორთქიფანიძე, *ნაბახტევის მხატვრობა* (თბილისი, 1973), 17, 42, ტაბ. 33, 34.

[505] ბერიძე, *ქართული ნაქარგობის ისტორიიდან*, 13-4, ტაბ. 1; *ქართული ნაქარგობა*, 31.

[506] ბერიძე, *ქართული ნაქარგობის ისტორიიდან*, 19-20, 25-8, ტაბ. 6, 11, 13; *ქართული ქრისტიანული ხელოვნება*, 222.

[507] *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები*, 57-8, 61, სურ. 8.3, 8.5.

[508] *Three Byzantine Military Treatises*, 55.

დასავლეთ ევროპაში ასეთ დალიანდაგებულ სქელ სამოსს *აკეტონს* უწოდებდნენ, რომელიც, თავის მხრივ, არაბული სიტყვიდან *al-qutn* მოდის და ბამბას, ბამბის ქსოვილს ნიშნავს.[509]

აბჯარქვეშა სქელი სამოსის მკლავები გარკვევით ჩანს იმ წმინდანთა გამოსახულებებზე, რომლებიც მოკლემკლავიანი ლამელარული აბჯრით არიან აღჭურვილნი. განსაკუთრებით კარგად არის ეს გამოსახული მაცხვარიშის წმ. გიორგის ფრესკაზე (1140 წ.), სადაც ლითონის მანიკიის ქვემოთ სქლად შემოსილი წმინდანის ხელი ჩანს[510] (სურ. 129). ჯაჭვის აბჯრის ქვეშ ჩაცმულ სქელ სამოსს ვხედავთ თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნისა“ და კასტელის ჩანახატებზე, სადაც ჯაჭვის კიდე სამოსის სქელი ფენით არის შემოქობილი.

ამავე დროს, რივკინი და პინჩო აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი ხალხის სქელი ტანსაცმელი მორგებული იყო ჯაჭვის ქვეშ ტარებაზე: ტრადიციული ხევსურული კოსტუმის ადრეულ ნიმუშებზე ადვილი შესამჩნევია მხრებზე ნაცვეთი, რაც ჯაჭვთან ხახუნის შედეგია.[511]

სურ. 129
მაცხვარიშის წმ. გიორგი აბჯარქვეშა სქელი სამოსით. ს. სარჯველაძის ფოტო.

აბჯარზე ჩასაცმელი

სამოსს, რომელსაც აბჯრის ზემოდან იცმევდნენ, ქართულად რამდენიმე შესატყვისი გააჩნია – *ალმაგი (იალმაგი),*[512] *კურტაკი,*[513] *ხიფთანი,*[514] *ვარმე.*[515]

მზის სხივების ქვეშ ლითონის აბჯარი სწრაფად ცხელდება. გადახურების თავიდან ასაცილებლად მათ ქსოვილით, ხალათით ფარავდნენ. სწორედ ამ მიზეზით ჩაიცვეს ევროპელმა რაინდებმა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს

---

[509] Nicolle, "Jawshan, Cuirie and Coats-of-Plates," 180.

[510] *ზემო სვანეთი*, 112. იხ. ასევე მრავალძლის ხატზე წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს მაჯამდე ჩამოსული დაბამბული, სქელი სამოსი. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Таб. 36, 37.

[511] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 81.

[512] „*ალმაგი* – იალმაგი. სამოსელი არს საომარი, ჯაჭვთა გარეგანსაცმელი“. სულხან-საბაორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 47. საინტერესოა, რომ XII ს. I ნახევრის „ვისრამიანი“ არ იცნობს ჯავშანს და მის ნაცვლად ყველგან იალმაგი გვხვდება, „ვეფხისტყაოსანში“ კი იალმაგი არ არის და ჯავშანი გამოიყენება. დავით კობიძე, „ვისრამიანის საკითხები“, *თსუშ*, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V (1965), 57, 70; შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 442, 1417.

[513] „*კურტაკი* – ვარმე. ესე არს სამოსელი მეომრისა საჩინო, ჯაჭვთა გარეგან“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 399.

[514] „*ხუფთანი* – ჯაჭვს ზეიდამ საცმელია; ჯავშანზე საცმელი“. იქვე, II, 435.

[515] „*ვარმე* – კურტაკი; იალმაგი“. იქვე, I, 255.

აბჯარზე საგანგებო სამოსი. მოგვიანებით, აბჯარზედა სამოსის – *სიურკოს* ჩაცმა ევროპაშიც მოდური გახდა.[516] ასეთი სამოსი პატრონს წვიმაშიც იცავდა და დამატებით დამცველობასაც განაპირობებდა.[517] არ არის გამორიცხული, რომ რაინდის *კოტა* (*სიურკო*) ბიზანტიიდანაა გადაღებული და ევროპაში ჯვაროსნების მიერ გავრცელებული.[518] ბიზანტიაში ხომ ფართოდ გამოიყენებოდა *ეპილორიკიონი* (*ეპანოკლიბანიონი*),[519] აბჯარზე ზემოდან საცვამი, რომელიც ბამბის ან აბრეშუმისაგან მზადდებოდა.[520] მავრიკიოსის *სტრატეგიკონის* რჩევით, მებრძოლებს ჯაჭვზე საგანგებო სამოსი უნდა ჩაეცვათ, რათა მტერთან მიახლოებისას წინასწარ არ გაემჟღავნებინათ თავი და, რომელიც, გარკვეულწილად, ისრებისაგანაც იცავდა.[521] ამასვე იმეორებს X საუკუნის დამლევს დაწერილი ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი *De velitatione bellica*, რომელიც შენიღბვისათვის ლითონის აბჯარზე მუქი ფერის სამოსის ტარებას გვირჩევს.[522]

წერილობითი წყაროებისაგან განსხვავებით,[523] ეპილორიკიონმა ვერ ჰპოვა სათანადო ასახვა მართლმადიდებლურ იკონოგრაფიაში და მისი გამოსახულებები მეტად იშვიათია.[524] სამაგიეროდ, საქართველოში ეპილორიკიონის ტიპის სამოსი კარგად ჩანს საერო თემატიკით აღბეჭდილ გამოსახულებებში, რომლებიც რელიგიური იკონოგრაფიის ნორმებით არ არის შეზღუდული. თავაქარაშვილისეულ „ვეფხისტყაოსანში" მრავალი მინიატურა გვხვდება, რომელიც ქსოვილით (მათ შორის, მდიდრული) დაფარულ აბჯარს გადმოგვცემს, ისევე როგორც კასტელის ალბომში, სადაც ქართველებს ქსოვილით დაფარული ჯაჭვი აცვიათ. „უთრუთიანის" 116r მინიატურაზე გამოსახულ მებრძოლებს ქსოვილის ქვეშ ჯაჭვის კიდე უჩანთ, „როსტომიანის" 155r მინიატურაზე კი მხედრის მდიდრული სამოსი ფარავს ჯაჭვის აბჯარს, რომლის მხოლოდ ზედა ნაწილი ჩანს. (სურ. 130)

---

[516] Бобров, Худяков. "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 116-7.

[517] Parani. *Reconstructing the Reality of Images*, 118.

[518] Grotowski. *Arms and Armour of the Warrior Saints*, 178, n. 203.

[519] *ეპილორიკიონი* ან *ეპანოკლიბანიონი*, ორივე „აბჯარს ზემოდან" საცმელს ნიშნავს. *Three Byzantine Military Treatises*, 165.

[520] Grotowski. *Arms and Armour of the Warrior Saints*, 177.

[521] *Maurice's Strategikon*, 13.

[522] *Three Byzantine Military Treatises*, 165.

[523] მარიამის სახელით აღკვეცილი სუმბატ ბაკურიანის მეუღლის კალის 1098 წლის ანდერძში ორი ეპილორიკიონი მოიხსენიება, რომელიც მას ქმრისაგან უნდა დარჩენოდა. Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 119, n. 80. სამწუხაროდ, ქართულ თარგმანში გამოტოვებულია მეორე მათგანის ხსენება, რომელიც კალიმ თავის გააზატებულ მსახურს უანდერძა. ასევე, არც *ჯავშან-პერანგი*, რომელიც ქართულ თარგმანში გვაქვს და არც მისი განმარტება („აბჯარზე სატარებელი იარაღის ხალთა") არ გადმოცემს ეპილორიკიონის არსს. *ივირონის აქტები*, ტ. II, *XI ს-ის შუა წლებიდან 1204 წლამდე*, რედ. ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარისა და ელ. მეტრეველის თანაავტორობით, ფრანგულიდან თარგმნა ცისანა ბიბილეიშვილმა (თბილისი, 2008), 215, 221; ბერძნული დედანი იხ. 224-5.

[524] Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 119.

სურ. 130
ქსოვილით დაფარული აბჯრები: ა) „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 319, დეტალი; ბ) მამია გურიელი. კასტელის მიხედვით; გ) „უთრუთიან-სააამიანი“, S1594 ხელნაწერი, 116r მინიატურა, დეტალი; დ) „როსტომიანი“, S1580 ხელნაწერი, 155r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 131
კაზაგანდი: ა) ნმინდა მხედარი წალენჯიხის ფრესკაზე; ბ) წმ. მერკურიუსი ოჰრიდის ფრესკაზე.

ქსოვილით არის დაფარული XIV ს. ფრესკაზე წალენჯიხის ეკლესიაში გამოსახული ქვეითი წმინდანის აბჯარიც,[525] თუმცა, აქ შესაძლებელია საქმე კაზაგანდთან გვქონდეს და არა ეპილორიკიონთან. *კაზაგანდი* (*ჰაზაგანდი*) სპარსული ტერმინია და ნიშნავს ქსოვილის აბჯარს, რომლის ფენებს შორის ჯაჭვი არის ჩაქსოვილი.[526] წალენჯიხის ფრესკაზე წმინდა მხედარს აცვია სქელი ქსოვილის სამოსი, რომელიც ერთი შეხედვით ეპილორიკიონად ან დალიანდაგებულ აბჯრადაც შეიძლება მივიღოთ, მაგრამ თუ ამ სახის გამოსახულებას თვალს მივადევნებთ, აღმოვაჩენთ, რომ მას, შესაძლოა, შიგნიდან ჯაჭვი ჰქონდა ჩაკერებული. ყოველ შემთხვევაში, წმ. მერკურიუსის ანალოგიურ გამოსახულებაზე მაკედონიაში მდებარე ოჰრიდის პერიბლეპტოსის ეკლესიის ფრესკაზე (1295) ქსოვილის შიდა პირზე ჯაჭვი ჩანს. ასეთი აბჯარი 1280-1350 წლებში იყო გავრცელებული ბიზანტიასა და ზოგიერთ მის მეზობელ ქვეყანაში.[527] ოჰრიდისა და წალენჯიხის აბჯარი შეკვრის სტილითაც (ღილებს შორის დარჩენილი „ღია" სივრცით) ზედმიწევნით გვანან ერთმანეთს (სურ. 131). შესაძლოა, კაზაგანდია გამოსახული წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა" და „როსტომიანის" მინიატურებში, სადაც მდიდრული სამოსით შემოსილი მხედრები იბრძვიან. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ უბრალო სამოსით არავინ ჩაებმებოდა ბრძოლაში და საქმე გვაქვს ქსოვილით დაფარულ ჯაჭვის აბჯართან.

ჯიდუხების დაცვითი საშუალებები

ბრძოლის ინტენსივობის გაზრდასთან ერთად კიდურების დაცვას სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბრძოლაში მიღებული დაზიანებების სტატისტიკა რაოდენობრივად მკვეთრად განასხვავებს ზედა და ქვედა კიდურების დაზიანებებს. ვისბის ბრძოლაში დაღუპულებს ქვედა კიდურებში გაცილებით უფრო მეტი ჭრილობა ჰქონდათ მიყენებული, ვიდრე ზედა კი-

[525] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, 86-7.

[526] Robinson, *Oriental Armour*, 64; Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 66; Nicolle, "Jawshan, Cuirie and Coats-of-Plates," 180.

[527] Heath, *Byzantine Armies 1118-1461 AD*, 44.

დურებში: ზედას წილი კიდურების საერთო ჭრილობებიდან მხოლოდ 15%-ია, ქვედასი კი მთელი 85%. ასეთ სტატისტიკას მნიშვნელოვანწილად ფარი განაპირობებდა, რომელიც სხეულის ზედა ნაწილს უკეთესად იცავდა.[528] გასაკვირი არ არის, რომ თავდაცვითი აღჭურვილობის განვითარების პროცესში, ფეხის დაცვა წინ უსწრებდა ხელის დაცვას.[529]

მუხლი და წვივი, ცხენოსნის სხეულის ის ნაწილებია, რომლებზეც ქვეით მოწინააღმდეგეს ყველაზე მეტად მიუწვდება ხელი. ევროპაში ფირფიტოვანი ჯავშანი მათ XIII საუკუნის შუახანებიდან იცავს, მკლავების დაცვა კი ამავე საუკუნის ბოლოდან მკვიდრდება.[530] კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ახალი და უფრო რთული კიდურების დაცვის საშუალებები XIV საუკუნეში ჩნდება.[531]



სურ. 132
ქსოვილის კრემასმატა: ა) წმ. გიორგი ჯოისუბნის რელიეფზე; ბ) წმ. თევდორე ნიკორწმინდის ფასადზე. ავტორის ფოტოები.

ჯემასმატა

სხეულის ქვედა ნაწილსა და საზარდულს იცავდა გრძელი ჯაჭვი ან ბიზანტიური სტილის, კირასაზე მიმაგრებული *კრემასმატა*, რომელიც დაბამბული ქვედატანი იყო. კრემასმატა ხშირად იყო გაძლიერებული ქერცლოვანი ან ლამელარული ფირფიტებით.

დაბამბული კრემასმატა აცვია X ს. ჯოისუბნის რელიეფზე წმ. გიორგის[532] (სურ. 132ა) და XI ს. ნიკორწმინდის ფასადზე წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (სურ. 132ბ), ნაკურალეშის წმ. გიორგის კი რომბისებურად დალიანდაგებული კრემასმატა აცვია.[533] ბიზანტიაში კრემასმატის გაძლიერება ლითონის ფირფიტებით XI-XII საუკუნეებში იწყება.[534] კიდურების დასაცავად კირასაზე დამაგრებული ქსოვილის ქვედატანის გაძლიერება ლითონის ფირფიტებით საქართველოში უფრო ადრე, უკვე X საუკუნეში ჩანს. რამდენიმე წყება ლამელარის ტიპის ლითონის გრძელი ფირფიტებით არის გაძლიერებული X ს. მრავალძლის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (სურ. 133ა) და ფარახეთის

---

[528] Thordeman, *Armour from the Battle of Wisby*, 167.

[529] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 20.

[530] Williams, "The Metallurgy of Medieval Arms and Armour," 50.

[531] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 167.

[532] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 168.

[533] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 339-41, таб. 42.

[534] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 39, 46.



სურ. 133
ლითონის ფირფიტებით გაძლიერებული კრემასმატა: ა) წმ. თევდორე მრავალძლის ხატზე; ბ) წმ. თევდორე ლატალის ხატზე. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

წმ. გიორგის კრემასმატა;[535] ლამელარული ფირფიტებითაა გაძლიერებული X ს. ჩუკულის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს, XI ს. სამთავისის წმ. გიორგისა

[535] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Таб. 36, 37, 43. გროტოვსკი თვლის, რომ მრავალძლის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს, ფარახეთის წმ. გიორგის და ასევე, ზოგიერთ სხვა ქართველ წმინდანს, ქსოვილის ვიწრო ზოლებისაგან შემდგარი კრემასმატა აცვია. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 163, n. 149. ეს მოსაზრება მცდარი უნდა იყოს, რადგან ირიბად ჩაჭრილ ფირფიტებს ქვეშ კარგად ჩანს დალიანდაგებული კრემასმატა. დაბამბული, დალიანდაგებული ქსოვილის გაძლიერებას ისევ ქსოვილის ზოლებით ნაკლები აზრი ექნებოდა – სასურველი ეფექტი მხოლოდ ლითონით გაძლიერების შემთხვევაში მიიღწევა. სხვათაშორის, ამ ტიპის ლითონის გრძელი ფირფიტები იცავს წმინდანთა მკლავებსაც. ეს რომ მართლაც ლითონის ფირფიტებია, ჩანს XIII ს. ლატალის ხატზე, სადაც წმ. თევდორეს ლამელარულ კირასას ასეთივე, ოღონდ უფრო დიდი ზომის ლამელარისაგან აწყობილი ქვედატანი და მანიკია ემაგრება (სურ. 133ბ).

და წმ. თევდორეს კრემასმატები;[536] XI ს. ჯუმათის წმ. გიორგის ქვედაბოლო კი ქერცლოვანი ფირფიტებითაა გაძლიერებული.[537]

დოუსონის აზრით, ბიზანტიაში ქვეითისა და ცხენოსნისათვის ერთნაირი, სტანდარტიზებული აბჯრის ქვედატანი არსებობდა: მოძრაობისა და მოქმედებისათვის ხელი რომ არ შეეშალა, ასეთ ქვედაბოლოს ორივე სხვადასხვანაირად იმაგრებდა – ქვეითი აბჯრის ჭრილს გვერდებზე მოიქცევდა, ცხენოსანი კი ფეხებს შორის.[538] ფარახეთისა და მრავალძლის ხატებზე (X ს.) გამოსახულ ცხენოსან და ქვეით წმ. გიორგის ერთნაირი ქვედატანი აცვია, მხოლოდ სხვადასხვაგან ჩაჭრილი.[539] თუ ასეა, აქ უკვე ბიზანტიურ გავლენასთან გვაქვს საქმე, რადგან მაღალი სტანდარტიზაციის კვალი ბიზანტიის სახელმწიფო სისტემაში უნდა ვეძებოთ და არა ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

საბარკული

საბარკული, საბას მიხედვით, საწვივე აბჯარია,[540] ჯაჭვის რგოლებისაგან შედგენილი.[541] საბარკული, თითქოს, მხოლოდ წვივის (და არა ბარკლის) საფარ აბჯარს ნიშნავს,[542] მაგრამ, საქმე იმაშია, რომ *საწვივე* მხოლოდ ანატომიურ წვივს არ გულისხმობდა და იგი უფრო ფართო – ფეხის დამფარავი სამოსის – მნიშვნელობით გამოიყენებოდა. წელს ქვემოთა სამოსელი უძველეს ნათარგმნ ძეგლებში მოიხსენიება, როგორც საბარკული, საწვივე,[543] რაც დასტურდება შემდგომი საბასეული განმარტებიდანაც: „*წვივსაცმელი* – ეწოდების ყოველთა სხვილბარკალთა სამოსელსა“.[544] ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ი. ჯავახიშვილსაც, რომელიც ასკვნის, რომ „ტერმინი საწვივე ტანის წვივზე უფრო ზევითი ნაწილის დასაფარავად განკუთვნილი სამოსლის აღმნიშვნელი ყოფილა“.[545] მაშასადამე, საბარკული ნიშნავს ჯაჭვის სამოსს, რომელსაც წვივიდან ამოიცვამდნენ[546] და ფეხს ფარავდა.[547] საბას მიხედვით, *იკა* პაიჭის თასმის ჩამო-

---

[536] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Таб. 46, 284, 288.

[537] იქვე, ტაბ. 151.

[538] Dawson, "Kremasmata, Kabadion, Klibanion," 49.

[539] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, Таб. 36, 43.

[540] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 19.

[541] „საწვივე – პაიჭი და მისთანა ჯაჭვისა“. იქვე, 70. „*პაიჭი* – ფე(რ)ხის სამოსი“. იქვე, I, 613.

[542] ხშირად, საბარკულს შეცდომით მიიჩნევენ ბარკლის დამცავ ლითონის ფირფიტად, რომელიც აღმოსავლეთში შუა საუკუნეებში არც გამოიყენებოდა.

[543] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 92.

[544] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 389.

[545] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 93. ეთნოგრაფიული მასალითაც ირკვევა, რომ საბარკული (*ბარკულაი*) მუხლებამდე საცვალს აღნიშნავდა. *ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი*, რედ. სოსო ჭანტურიშვილი (თბილისი, 2009), 112.

[546] შარვალი საბასთვის წვივსაცმელია: „*პერიკამი* – საწმართული, შალვარი, წვივსაცმელი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 620.

[547] სხვათა შორის, დ. ნიკოლიც თვლის, რომ საბარკული ჯაჭვისა იყო და ევროპულ ჯაჭვის შარვალს – *შოსის* შეესატყვისებოდა. Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 167.

სურ. 134
დავით ნინასწარმეტყველი ჯაჭვის საბარკულით. H1665 დავითნი, 1987 მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სურ. 135
ტარიელი ჯაჭვის სრული საბარკულით. „ვეფხისტყაოსნის" თავაქარაბშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 199, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

საბამი სარტყელია.[548] ჩანს, *იკა* წელის სარტყელია, რომელზეც, ევროპული შოსის მსგავსად, ჯაჭვისა და ქსოვილის პაიჭიც თასმით მაგრდებოდა.

საბარკულს ვხედავთ XI ს. დასაწყისის ნიკორწმინდის რელიეფებზე: წმ. გიორგის აბჯრის კალთასა და მოგვს შორის ჯაჭვის ორი ზოლი უჩანს, წმ. თევდორეს კი – ერთი ზოლი, რომლებიც, ეჭვგარეშეა, რომ ჯაჭვის საბარკულს აღნიშნავენ. საბარკული მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანში": „სრული აბჯარი საკაცო ქაფითა, **საბარკულითა**";[549] „ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, **საბარკული** მათი გვანი".[550] ის გვხვდება ხელმწიფის კარის გარიგებაშიც: „ჯაჭვი, მუზარადი, ჰმალი, ქაფა, **საბარკული**".[551]

საბარკულის ფართოდ გავრცელების შემდეგ ჯაჭვის პერანგი ქვემოთკენ მოკლდება, რადგანაც ფეხების დაცვის ფუნქცია უკვე აღარ აკისრია. საბარკული უკეთესად იცავდა ფეხს, ვიდრე გრძელი ჯაჭვის პერანგი, რომელიც, გარდა იმისა, რომ მოუქნელი იყო, ბრძოლისა და ჭენების დროს შეიძლება ფეხიდანაც ჩამოცურებულიყო. როგორც ჩანს, საქართველოში ჯაჭვის საბარკული ფეხის ტერფს არ ფარავდა, ყოველ შემთხვევაში ასე ჩანს XIV ს. დავითნის მინიატურებზე. უფრო გვიანდელ გამო-

[548] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 326.
[549] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1020.
[550] იქვე, სტრ. 1370.
[551] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 87.

ა

ბ

სურ. 136
ა) ოსმალური ჯაჭვ-ფირფიტოვანი საბარკული. მეტროპოლიტენის მუზეუმი; ბ) ჯაჭვ-ფირფიტოვანი საბარკული „როსტომიანში". S1580 ხელნაწერი, 108v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სახულებებზე კი ტერფი არ ჩანს, რადგან საბარკულზე მოგვია ჩაცმული.

ადრეული ჯაჭვის საბარკული მთლიანი იყო ანუ შარვლის ტოტივით სრულად მოიცავდა, ფარავდა ფეხის წინა და უკანა ნაწილსაც. H1665 დავითნში შემსუბუქებული სახის საბარკულს ვხედავთ, რომელიც ფეხის წინა მხარესა და გვერდებს იცავდა და უკან თასმებით იკვრებოდა (სურ. 134). საბარკულის შემსუბუქება, შესაძლოა, საწვივის გამოჩენამაც განაპირობა, რამაც საიმედოდ დაიცვა ფეხის ქვემო ნაწილი. XVI-XVII სს. სრული საბარკული კვლავ პოპულარულია და მას ვხვდებით XVI საუკუნის ილორის კარედ ხატზე წმ. გიორგის აღჭურვილობაში,[552] XVII საუკუნის კასტელის ჩანახატებსა და თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" მინიატურებში (სურ. 135). საინტერესოა, რომ აქ აღარ ჩანს ლითონის საწვივეები, რაც, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ საწვივესთან ერთად სრულ საბარკულს არ იყენებდნენ, საწვივის გარეშე კი სრული საბარკული იყო „რეკომენდებული".

ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის გავრცელების შემდეგ, საბარკული ასეთი აბჯრისაგანაც მზადდებოდა. ჯაჭვ-ფირფიტოვანმა საბარკულმა საქართველოშიც მოიკიდა ფეხი, როგორც ეს ჩანს XVII საუკუნის „როსტომიანის" 105r, 108v, 137v, 140r და 489r მინიატურებზე (სურ. 136). ასეთ, „რკინისაგან ქმნილ" საბარკულზე, „რომელ ჴმალი, გინა ისარი მოხვდეს... არა ევნოს რა", უნდა წერდეს თეიმურაზ ბაგრატიონი.[553]

---

[552] თეიმურაზ საყვარელიძე, გაიანე ალიბეგაშვილი, *ქართული ჭედური და ფერწერული ხატები* (თბილისი, 1980), 16, სურ. 43.

[553] თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 109.

სურ. 137
ა) ჯაჭვის საბარკულში ინტეგრირებული საყირმუზა. H1665 დავითნი, 229r მინიატურა, დეტალი; ბ) მუხლზე ჩამოცმულ გამაშზე დამაგრებული საყირმუზა. H1665 დავითნი, 199v მინიატურა, დეტალი; გ) საყირმუზა წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის" 88r მინიატურაზე. S5006 ხელნაწერი, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სამუხლე (საყირმუზა)

საბას მიხედვით, *საყირმუზა* სამუხლე პოლოტიკია.[554] საყირმუზა სპარსული წარმოშობის ტერმინია (*saq al-muza*) და აღნიშნავს სქელ გამაშებს, რომლებზეც მუხლის დასაცავი რკინის დისკია დამაგრებული.[555]

1230 წლისათვის ევროპაში პირველად ჩნდება ლითონის ფირფიტოვანი დაცვა მუხლისათვის – *poleyn*, რომელიც XIII საუკუნის შუახანებში უკვე ფართოდ არის გავრცელებული. ადრეული სამუხლეები საკმაოდ პატარა იყო და შოსის (საბარკულის) ჯაჭვზე მაგრდებოდა, 1270 წლიდან კი ის უკვე მთლიანად, წინიდან და გვერდებიდანაც, ფარავს მუხლს.[556]

XIV საუკუნის ირანულ მინიატურებზე ჩანს ჯაჭვზე დამაგრებული ფირფიტა, რომელიც მუხლს იცავს. მუხლის დაცულობას დიდი მნიშვნ-

---

[554] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 63.

[555] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 32.

[556] Wise, *Armies of the Crusades*, 31-3.

ელობა ჰქონდა აღმოსავლელი მხედრისათვის, რომელიც, ევროპელისაგან განსხვავებით, მოკლე უზანგს იყენებდა და, ამიტომაც, მუხლი წინ გამოზიდული და მოწინააღმდეგისათვის უფრო ადვილად მისაწვდომი ჰქონდა.[557]

მუხლის დაცვის ამ საშუალებას საქართველოში XIV საუკუნიდან ვხვდებით. როზეტისმაგვარი საყირმუზის გამოსახულებები უხვადაა H1665 დავითნის მინიატურებზე (193v, 198r, 205v, 208v, 222r, 229r და სხვ.). ძირითადად, მას გამოსახავენ, როგორც ჯაჭვის საბარკულში ინტეგრირებულ ლითონის ფირფიტას (სურ. 137ა). განსაკუთრებით საინტერესოა მინიატურა აბიმელიქის სიკვდილის სცენით (199v), სადაც საყირმუზა საბარკულის გარეშეა გამოსახული და მუხლებზე ჩამოცმულ გამაშებზეა დამაგრებული (სურ. 137ბ). საყირმუზას ვხედავთ მოგვიანებითაც, XVII ს. წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის" 88r მინიატურაზეც (სურ. 137გ).

სურ. 138
წმ. გიორგი ტყავის წვივსაფრით ლაშთხვერის ხატზე. ჩუბინაშვილის მიხედვით.

საწვივე

საწვივე (წვივსაფარი) ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ სამყაროში, სადაც მას *კნემიდებად* მოიხსენიებდნენ. ბიზანტიური წვივსაფარი, რომელთაც X საუკუნიდან *ხალკოტუბა* (ან *პოდოპსელა*) ეწოდება, იცავდა წვივს მუხლიდან კოჭამდე.[558] მავრიკიოსის *სტრატეგიკონის* მიხედვით, საწვივეები ხის ან ლითონის იყო და ისინი წყობაში ორ მწკრივს მაინც უნდა სცმოდა.[559] იმპერატორ ლეონ VI-ის მიხედვით, მათ ხარის ტყავისაგან ამზადებდნენ.[560] ადრე შუასაუკუნეების აღჭურვილობის ეს დეტალი, როგორც ჩანს, სრულყოფილი კონსტრუქციით არ გამოირჩეოდა და არც ფართოდ იყო გავრცელებული. გამაგრებული ტყავისაგან დამზადებული წვივსაფარი აცვია წმ. გიორგის XI საუკუნის ლაშთხვერის ხატზე[561] (სურ. 138) და მთავარანგელოზებს მიქაელსა და გაბრიელს წვირმისა და ჩუკულის ხატებზე.[562] ამ ტიპის საწვივე საქართველოში დიდად გავრცელებული არ ჩანს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჯაჭვის საბარკული იქნებოდა, რომელიც უფრო მოხერხებული და პოპულარულიც იყო.

სრულყოფილი კონსტრუქციის ლითონის საწვივე დასავლეთ ევროპაში

---

[557] Robinson, *Oriental Armour*, 11.

[558] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 187-8.

[559] *Maurice's Strategikon*, 139.

[560] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 189.

[561] ნიშანდობლივია, რომ ამ ხატის მსგავსება ვატოპედის ცნობილ წმ. გიორგის ხატთან, რომელიც ხშირად მოჰყავთ ბიზანტიური საწვივის ნიმუშად, ჯერ კიდევ ნ. კონდაკოვმა და გ. ჩუბინაშვილმა შენიშნა. განსაკუთრებით დიდია მსგავსება ფეხსამოსთან. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 260-2, таб. 152.

[562] იქვე, 276-8, სურ. 169; ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, ტაბ. 87, 88.

სურ. 139
ანჯამებით შეერთებული ორნანილიანი საწვივეები H1665 დავითნის 204r მინიატურაზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

XIII საუკუნის შუახანებისთვის ჩნდება.[563] დონ ბერნალდო გილენ დე ენტენცას საფლავზე (1237) გამოსახულია, ალბათ, უადრესი საწვივე, რომელიც იმ დროს მხოლოდ წარჩინებულებს თუ ექნებოდათ.[564] მ. გორელიკი თვლის, რომ საწვივეები მონღოლებმა გაავრცელეს XIII საუკუნეში.[565] თუმცა, ი. ზელენსკი მართებულად შენიშნავს, რომ საწვივე არ არის აღმოჩენილი ცენტრალურ აზიაში.[566] მართლაც, ორი ნაწილისაგან შემდგარი საწვივის გამოსახულებები მხოლოდ XIV საუკუნის ბოლო მესამედში ჩნდება ირანულ მინიატურებზე.[567] ოქროს ურდოს ტერიტორიაზე, დმიტრიევსკაიას I ყორღანის II სამარხში, რომელიც XIII საუკუნის II ნახევარი – XIV საუკუნით თარიღდება, ნაპოვნია საწვივე, რომელიც სამუხლესთან ჯაჭვის რგოლებითაა დაკავშირებული.[568] ჩვეულებრივ, წვივის დამცავი ლითონის ფირფიტები ანჯამებით ან ტყავის ღვედებით იყო შეერთებული.[569]

ლითონის ორი ფირფიტისაგან შედგენილი საწვივე საქართველოში XIV საუკუნის მეორე ნახევარში ჩანს. H1665 დავითნის მინიატურებზე ხშირადაა გამოსახული ლითონის საწვივეები (193v, 198r, 204r, 205v, 208v, 222r, 229r და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ მინიატურებზე მებრძოლთა ზედა კიდურები მეტად ჩანს, დავითნში საწვივე მაინც უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე სამკლავე. ამ მინიატურებზე გამოსახული საწვივე ორი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ანჯამებით უნდა იყვნენ შეერთებულნი (სურ. 139).

მოგვი (ჩექმა)

მაგარძირიან, სარჩულიან და მაღალ ფეხსაცმელს ჩექმა ეწოდება.[570] საბას განმარტებით კი, „ჩექმა სხვათა (თურქთა) ენაა, ქართულად მოგვი ეწოდების".[571] უზანგის შემოღების შემდეგ ფეხსაცმლისათვის სქელი ძირი აუცილებელი გახდა, ფეხს უზანგში ხანგრძლივი დგომისთვის რომ გაეძლო, ტყავი კი წვივსა და მუხლს აღკაზმულობის სხვადასხვა ნაწილთან შეხებისაგან იცავდა.[572] მაღალყელიანი ტყავის ჩექმები მოხერხებული იყო და, ასე თუ

---

[563] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 20.

[564] Wise, *Armies of the Crusades*, 14.

[565] Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 259.

[566] Ю.В. Зеленский, "Поножи из половецкого погребения в степном Прикубанье," *Военная Археология*, 1 (2008), 117.

[567] Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 259.

[568] Кочкаров, "Позднеполовецкие погребения всадников в Краснодарском крае," 96; Зеленский, "Поножи из половецкого погребения в степном Прикубанье," 116-7.

[569] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 134.

[570] ი. ნანობაშვილი, *ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში* (თბილისი, 1973), 138.

[571] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 319.

[572] Г.М. Василевич, "Типы обуви народов Сибири," *СМАЭ*, XXI (1963), 53.

სურ. 140
მოგვი მალალი წინა ყელით სეტისა (ა) და ლაბეჭინის (ბ) ბატებზე.

ისე, ფეხსაც იცავდა. მათ გარკვეულწილად ჩაანაცვლეს კიდეც ლითონისაგან გაკეთებული ფეხის დამცავები.[573] ცხენოსნისაგან განსხვავებით, ქვეითის ჩექმები უფრო დაბალყელიანი იყო და მუხლს არ სცილდებოდა, რათა სიარულში ხელი არ შეეშალა.[574]

ა. ჰოფმაიერის თანახმად, მაღალი ჩექმები ჰუნებმა შეიტანეს ევროპაში. VII საუკუნის ბიზანტიაში მსუბუქი სანდალი და დაბალი ფეხსაცმელი უკვე ჩაანაცვლა მაღალმა ჩექმამ.[575]

ნ. ჩოფიკაშვილის დაკვირვებით, VI-XIV საუკუნეების საქართველოში მაღალყელიანი და უქუსლო მოგვი იხმარებოდა.[576] მართლაც, ამ პერიოდის გამოსახულებებზე ასეთი ფეხსაცმელი გვხვდება. მაღალი, მუხლამდე მოგვი აცვიათ ხირხონისის წმ. მხედრებს (X ს.),[577] ნიკორწმინდის რელიეფებზე წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (XI ს.).[578] ხშირ შემთხვევაში მოგვის წინა ყელი უკანაზე უფრო მაღალია.[579] ასეთ შემთხვევაში ფეხსაცმლის ყელი მუხლს ფარავს. მოგვის წინა ყელი მუხლს უფარავს საყდარის წმ. მხედრებს (X ს.), სეტის (სურ. 140ა), ლაბეჭინის (სურ. 140ბ), იფარის, ლანჩვანის, საკაოს წმ. გიორგის,[580] იფრარისა და ნაკიფარის ეკლესიების წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (XI-XII სს.),[581] მურყმერისა და ბეჩოს წმ. გიორ-

---

[573] Kolias, *Byzantinische Waffen*, 72.

[574] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 196.

[575] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 51, 69. ჰოფმაიერის ამ მოსაზრების მიუხედავად, მავრიკიოსის *სტრატეგიკონზე* და ჯ. ჰალდონზე დაყრდნობით, პ. გროტოვსკი გოთების ჩექმებზე მიუთითებს. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 195. თუმცა, *სტრატეგიკონში* (და ჰალდონთანაც) საუბარია მხოლოდ ქვეითის გოთურ ჩექმაზე, რომელიც უფრო დაბალი იყო. *Maurices's Strategikon*, 138; Haldon, *Warfare, State and Society in the Byzantine World*, 130.

[576] ნინო ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.)* (თბილისი, 1964), 141.

[577] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 35.

[578] ნათელა ალადაშვილი, *ნიკორწმინდის რელიეფები* (თბილისი, 1957), ტაბ. 19.

[579] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 142.

[580] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 40, 41, 181, 182, 184, 190, 191.

[581] *ზემო სვანეთი*, 62, 63, 92, 93.

სურ. 141
ქვეითისა და მხედრის ფეხსაცმელი ჯრუჭის II ოთხთავში: ქვეითის დაბალყელიანი 231r (ა), 236r (ბ), და ცხენოსნის მაღალყელიანი ჩექმები 111r (გ) მინიატურებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გის (XII ს.).[582] ამ ტიპის ჩექმებს ვხედავთ პოსტსასანურ ვერცხლის სინებზე და ის ცენტრალური აზიიდან უნდა იყოს შემოსული. XII საუკუნის ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები გვიჩვენებენ განსხვავებას ქვეითისა და მხედარის ფეხსაცმელს შორის: 118r, 186v, 231r, 236r, 243v, 245v მინიატურებზე ქვეითებს დაბალყელიანი (მუხლსქვემოთ) ჩექმები აცვიათ, 111r მინიატურაზე კი ცხენოსნის მოგვის წინა ყელი მუხლსაც ფარავს (სურ. 141).

უქუსლო ფეხსაცმლის ტარება საქართველოში XV საუკუნემდე გრძელდება. უქუსლო ფეხსაცმელი აცვიათ H1665 დავითნის მხედრებსაც. მომდევნო XV საუკუნეში კი, როგორც ჩანს, ირანული გავლენით, ეს ტრადიცია იცვლება. ვენეციელმა ჯოსაფატ ბარბარომ, რომელიც XV საუკუნის შუახანებში იმყოფებოდა საქართველოში, საკუთარი თვალით ნანახი ქართველთა მაღალქუსლიანი ჩექმების აღწერილობა დაგვიტოვა: „ფეხზე მუხლებამდე აცვიათ წაღები, რომლებსაც ძირი ისე აქვთ გამოკრული, რომ, როცა ფეხზე დგანან ფეხის წვერი და ქუსლი მიწას ეხება, შუაში კი მიწიდან ისე მაღლაა აწეული, რომ ტკენის გარეშე შეიძლება ტერფის ქვეშ მუშტის გატარება. ამიტომ ხდება, რომ, როცა დადიან, სიარული უჭირთ. მე მათ გავკიცხავდი ამის

[582] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 439, 441.

სურ. 142
მაღალქუსლიანი ჩექმები: ა) „ვეფხისტყაოსნის" თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 30, დეტალი; ბ) „როსტომიანი", S1580 ხელნაწერი, 172r მინიატურა, დეტალი; გ) „უთრუთიან-საამიანი", S1594 ხელნაწერი, 96r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გამო, რომ არ მცოდნოდა, რომ სპარსელებიც ხმარობენ [ასეთ წაღებს]".[583] მაღალ, სამგოჯიან წაღებს ატარებდნენ XVII საუკუნეშიც: „კეთილშობილები ირანულ ქოშებს ატარებენ სამ გოჯიან ქუსლებით. ეს ქოშები სხვადასხვა ფერის ტყავისაგან იკერება".[584] ქართულმა სამხედრო არისტოკრატიამ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ისე გაითავისა, რომ XVII საუკუნის ირანში მას უკვე „გურჯი დუზი" ანუ „კაფი" ეწოდებოდა და მისი ტარების უფლება მხოლოდ დიდებულებს ჰქონდათ.[585] მაღალქუსლიანი ჩექმები გამოსახულია XVII საუკუნის ქართულ ხელნაწერებშიც, როგორიცაა თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანი" (13, 30, 76, 89, 138, 171, 199, 267, 319, 341, 410, 461 მინიატურები), „როსტომიანი" (67v, 70r, 81v, 83r, 89r, 94v, 99v, 103v, 108v, 122v, 137v, 140r, 140v, 148r, 153v, 166v, 172r, 174v, 180r, მინიატურები) და „უთრუთიან-საამიანი" (15r, 38v, 96r, 107v, 115v, 116r, 125r მინიატურები). (სურ. 142)

ტოლაღები

მაღალი ჩექმების გარდა ფეხის დასაცავად იყენებდნენ, აგრეთვე, ქსოვილის გრძელ ნაჭერს, რომელიც მჭიდროდ იყო წვივზე დახვეული.[586] პ. გროტოვსკის მიხედვით, ასეთ იაფ ფეხსამოსს, რომელსაც ლანჩასთან ერთად ხმარობდნენ, *სერვულა* ეწოდებოდა და მსახურებისა და ფეხოსანთათვის იყო განკუთვნილი.

---

[583] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ*, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა (თბილისი, 1981), 58; "Travels of Josafa Barbaro," 35-6.

[584] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 41.

[585] ირინე კოშორიძე, „XVI-XVII სს-ის ირანში მოღვაწე სამხედრო არისტოკრატთა ქართული სამოსი", *ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები*, 10 (2005), 152.

[586] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 198.

სურ. 143
ტოლაღებით შემოსილი ადიშის წმ. თევდორე (ა) და ლატალის წმ. გიორგი და წმ. თევდორე (ბ).

ის რომაული სამხედრო სანდალიდან არის წარმოშობილი.[587] ქართულ სინამდვილეში სერვულას ტიპის სამოსი საკმაოდ გვხვდება ფეხოსანი წმინდანების გამოსახვისას. ასეთი *ტოლაღები* აცვია ჯუმათის, ხიდისთავის, ბოჭორმის წმ. გიორგის (XI ს.),[588] ადიშის ჯგრაგის წმ. თევდორეს (XI-XII სს.),[589] ღების წმ. გიორგის (XIII ს.),[590] ლატალის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (XIII ს.),[591] წალენჯიხის ეკლესიაში გამოსახულ ყველა ქვეით წმინდანს (XIV ს.)[592] და სხვ. (სურ. 143)

ზედა ჯიღუხების დამცავი საშუალებები

ანტიკურ ხანაში ბერძნულ, შემდგომ კი რომაულ არმიებში მკლავის (და სხეულის ქვედა ნაწილის) დასაცავად *პტერიგებს* (ფრთებს) – ერთი ბოლოთი დაკიდებულ ქსოვილის ან ტყავის ზოლებს იყენებდნენ. ბიზანტიურ სამყაროში პტერიგები უფრო ეფექტურმა დასარჩულებული ქსოვილის სახელომ ჩაანაცვლა. მისი სახელწოდება *მანიკია* ლათინური სიტყვიდან *manica*

---

[587] იქვე, 199-200.

[588] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 151, 153, 162.

[589] *ზემო სვანეთი*, 45.

[590] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 409.

[591] *სვანეთის მუზეუმი*, 113, სურ. 48.

[592] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, 86-7.

სურ. 144
სეტის წმ. გიორგი ლითონის არტახოვანი მანიკით, რომელიც კირასასთან მოხატული ქსოვილის სამხრით არის დაკავშირებული.

იყო წარმომდგარი.[593] *მანიკია* სახელო იყო, რომელიც იცავდა მკლავს მხრიდან იდაყვამდე. მანიკია კირასაზე მაგრდებოდა. VI საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატის *Peri strategias* რჩევით, აღჭურვის პროცესში სახელოს სულ ბოლოს ამაგრებდნენ აბჯარზე.[594] მანიკიას მიმაგრების მეთოდი საკინძითა და ღილებით მოცემული აქვს იმპერატორ ნიკიფორე II ფოკას ტრაქტატში *Praecepta militaria*.[595]

მანიკია შესაძლებელია ყოფილიყო როგორც ქსოვილის, ასევე ლითონის ფირფიტებისაგან შემდგარი. ლამელარული მანიკია უკეთია ნაკიფარის, სხიერისა და სამთავისის წმ. გიორგის (XI ს.),[596] წმინდა მეომრებს ადიშის ჯგრაგის ეკლესიაში (XI-XII სს.), იფრარის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს (1096 წ.),[597] ჯუმათისა და ხიდისთავის წმ. გიორგის (XI ს.) მანიკია კი ქერცლოვანი ფირფიტებით არის შედგენილი.[598] ფარახეთისა (X ს.) და სეტის წმ. გიორგის (XI ს.) ლამელარულ კირასაზე მიმაგრებულია არტახოვანი მანიკია, რომლის შემადგენელი ლითონის ვიწრო სეგმენტები მოქლონებით უნდა იყოს ტყავის საფუძველზე დამაგრებული.[599] მანიკიის გარდა, მკლავს იცავდა ჯაჭვის აბჯრის სახელოც.

ბიზანტიურ სამხედრო ტრაქტატებში (ლეონ VI-ის *ტაქტიკა* და *Sylloge Tacticorum*) მოხსენიებულია მომრგვალებული ფორმის მხრის დამცავი საშუალება, რომელიც ლითონის გარდა, ქსოვილისაგანაც მზადდებოდა.[600] სეტის წმ. გიორგის (XI ს.)[601] ლამელარული კირასისა და მანიკიის შეერთების ადგილზე ჩანს მდიდრულად მოხატული დაბამბული ქსოვილის სამხრე, რომელიც მანიკიასა და კირასას აკავშირებს და ამ უკანასკნელის ქვეშ არის მოთავსებული (სურ. 144). შემდგომში, ქსოვილის სამხრე უფრო ეფექტურმა ლითონის ქაფმა ჩაანაცვლა.

ქაფი

საბას მიხედვით *ქაფი* არის „ჯავშანთ სამხარიღლიე".[602] ლექსიკოგრაფი

---

[593] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 172.

[594] *Three Byzantine Military Treatises*, 87.

[595] McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 13.

[596] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 183, 196, 284.

[597] *ზემო სვანეთი*, 45, 47, 62, 63.

[598] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 151, 153.

[599] იქვე, ტაბ. 43, 182.

[600] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 171; Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 109.

[601] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 182.

[602] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 217.



სურ. 145
მომრგვალო ფორმის ქაფი ბიზანტიურ-ქართულ გამოსახულებებზე: ა) წმ. დიმიტრი სპილოს ძვლის ხატზე. მეტროპოლიტენის მუზეუმი; ბ) წმინდა მეომრები ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვარზე. ჩუბინაშვილის მიხედვით; გ) მეომრები H1665 დავითნის 205v მინიატურაზე, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ქაფის ქვეშ გულისხმობდა სამხარიღლიეს – მხრიდან იღლიისაკენ ირიბად გადაჭერილ ღვედს, რაზეც იქვე გარკვევით მიუთითებს: „ქაფი არს აბჯართა შემოსაჭირებელნი (შემოსაკრავნი) ზორნები".[603] ამ შემთხვევაში სულხან-საბა ცდება (მის დროს ქაფი უკვე აღარ გამოიყენებოდა): იგი ამ დასკვნას „ვეფხისტყაოსნის" ინფორმაციის საფუძველზე ახდენს,[604] სადაც არსად არ წერია, რომ ქაფი აბჯრის შემოსაჭერი ღვედია, თუმცა თავად ქაფს კი ღვედებით იმაგრებდნენ.[605]

სინამდვილეში ქაფი მხრის დამცავი, მომრგვალებული ფორმის ლითონის ფირფიტაა, რომლის გამოსახულებებს ვხვდებით ბიზანტიურ იკონოგრაფიაში[606] (სურ. 145ა). XII საუკუნის ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვარზე გამოსახულ წმინდა მეომრებს მომრგვალებული ფორმის ქაფი იცავთ.[607] (სურ. 145ბ). ამ ფორმას ქართული ქაფი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებს[608] (სურ. 145გ).

დ. ნიკოლის მიხედვით, ქართული *ქაფი* წარმოდგება არაბული სიტყვისაგან *kaff*, რომელიც მხრის დასაცავ საშუალებას აღნიშნავდა.[609] ქაფი VIII საუ-

---

[603] იქვე.

[604] „ვეფხისტყაოსანში" სწერია..." იქვე.

[605] საბას შეცდომას ისიც ცხადყოფს, რომ მას ქაშქანი ზუსტად ისევე აქვს განმარტებული, როგორც ქაფი – „ჯავშნის სამხარღლიე". იქვე, 218.

[606] იხ. ქაფის გამოსახულება X საუკუნის სპილოს ძვლის წმ. დიმიტრის ხატზე. Evans, Helen C., Melanie Holcomb, and Robert Hallman, "The Arts of Byzantium," *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, v. 58, no. 4 (2001), 50.

[607] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 470.

[608] იხ. H1665 დავითნის მინიატურები.

[609] Nicolle, "The Military Technology of Classical Islam," 204; მისივე, *Saladin and the Saracens*, 23; მისივე, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 515. ამავე

კუნის დასაწყისში მოიხსენიება ომაიანთა სახალიფოში: ატ-ტაბარი აღნიშნავს ლითონის ქაფს, რომელსაც სირიელი მუსლიმი მეომარი ატარებს.[610] VIII საუკუნეში მომრგვალო ფორმის ლითონის ფირფიტოვანი ქაფი ხაზარებშიც ვრცელდება, რომელსაც მ. გორელიკი აღმოსავლეთ თურქესტანიდან შემოსულად მიიჩნევს.[611] VIII საუკუნეში ხაზარეთსა და ხალიფატში გავრცელებული ქაფის სამშობლო, შესაძლოა, მართლაც შუა აზია იყოს.

საქართველოში ქაფი პირველად XI საუკუნის „ნიკორწმიდელის დაწერილში" მოიხსენიება – „**ქაფი ჯაჭჯსაჲ**".[612] ვეფხისტყაოსანში ქაფი მრავალგზისაა ნახსენები, რაც XII საუკუნეში მის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს: „დავეკაზმენით საომრად ჯაჭვითა, ჯავშან-**ქაფითა**";[613] „სრული აბჯარი საკაცო **ქაფითა**, საბარკულითა";[614] „აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-**ქაფისა**".[615] ქაფი, თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს XIV საუკუნის საქართველოშიც. ის, როგორც თავდაცვითი აღჭურვილობის შემადგენელი ელემენტი, მოიხსენიება ხელმწიფის კარის გარიგებაში: „ჯაჭვი, მუზარადი, ჴმალი, **ქაფა**, საბარკული..."[616]

ამ მოწმობებიდან ცხადია, რომ ქაფი თავდაცვითი აღკაზმულობის დამოუკიდებელი ნაწილია, რომელსაც აბჯართან ერთად იყენებდნენ. მას იმაგრებდნენ როგორც ჯაჭვზე (*ქაფი ჯაჭჯსაჲ*), ისე ლამელარულ აბჯარზე (*ჯავშან-ქაფი*). ქაფს აბჯარზე ღვედებით იმაგრებდნენ („მოქაფვა"): „ჯაჭვნი ავად **მოექაფნეს**".[617] ჯაჭვის მოქაფვა თასმების შემოჭერას უნდა ნიშნავდეს. ამასთანავე, შესაძლებელია, რომ XIV საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის პირველი ნიმუშები ჩნდება, ქაფის ფირფიტა ჯაჭვის პერანგში ყოფილიყო ინტეგრირებული. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდის H1665 დავითნის მინიატურებზე (201v, 204r, 208v, 212r, 222r და სხვ.) გამოსახულ ქაფის ფირფიტაზე ჯაჭვის რგოლებით არის დამაგრებული აბჯრის სახელო (მანიკია).

ქაფს მნიშვნელობა უნდა დაეკარგა XV საუკუნის მიწურულს, როდესაც კომბინირებულმა ჯაჭვ-ფირფიტოვანმა აბჯარმა მოიკიდა ფეხი.

დროს, ვერ გავიზიარებ მკვლევრის მოსაზრებას, რომ ქართული ქაფი ლამელარული სამხრე იყო. Nicolle, "The Military Technology of Classical Islam," 204.

[610] Nicolle, "The Military Technology of Classical Islam," 204-5.

[611] Gorelik, "Arms and Armour in South-Eastern Europe in the Second Half of the First Millennium AD," 135, figs. XI-5.20,21.

[612] „დანერილი ნიკოლაოს ნმიდის წინამძღვრისა", 40.

[613] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 442.

[614] იქვე, სტრ. 1020.

[615] იქვე, სტრ. 1417.

[616] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 87.

[617] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 655.

სამკლავე

ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილ მკლავის (წინამხრის) დასაცავ საშუალებას შუა საუკუნეების საქართველოში *სამკლავე*, იგივე *ხელნავი* ერქვა.[618] ხელნავი სამკლავეს თავისი მოგრძო, ნავისებური მოყვანილობის გამო ეწოდა.

მკლავის დასაცავი საშუალებები ბრინჯაოს ერის დასაწყისში გაჩნდა, თუმცა მათი რიცხვი ყოველთვის მცირე იყო. საბერძნეთში ისინი ძვ.წ. VI საუკუნიდან ქრება. სამკლავეები უფრო ხანგრძლივად არსებობენ აპენინის ნახევარკუნძულზე, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოაღწიეს. ადრე შუა-საუკუნეებში მკლავის დასაცავი სეგმენტური არტახოვანი სამკლავეები ნაპოვნია აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპაში. ნაგისენტმიკლოშის განძის VIII საუკუნის ამფორაზე გამოსახული ცხენოსნის სამკლავე შედგება მრავალი ლითონის ზოლისაგან, რომლებიც ტყავის თუ ქსოვილის ძირზეა დამაგრებული.[619] სეგმენტური სამკლავეები ნაპოვნია სამხრეთ რუსეთისა და ყირიმის სკვითურ სამარხებში.[620] ისინი გვხვდება VII საუკუნის ვალსგარდის მერვე სამარხშიც.[621] ბიზანტიურ ტრაქტატებში აღწერილია *მანიკელია*, რომელიც იდაყვიდან მაჯამდე იცავდა ხელს. ის რკინის, ქსოვილის, ხარის ტყავისა და ხისაგანაც კი მზადდებოდა.[622]

ევროპაში ხელის ფირფიტოვანი დაცვის ელემენტები, რომელიც იდაყვს ფარავდა, 1260 წელს გამოჩნდა, მილის ფორმის ფირფიტას კი XIV საუკუნის მეორე დეკადის ილუსტრაციებზე ვხედავთ. XIV საუკუნის მიწურულს ეკუთვნის ბორნჰოლმში ნაპოვნი ტუბულარული შესახსრული სამკლავე.[623]

უძველეს ევროპულ ორსაგდულიან სამკლავედ ა. კირპიჩნიკოვი სახნოვკის სამკლავეს მიიჩნევს. 1240 წელს მონღოლთა შემოსევის შედეგად დანგრეულ სახნოვკის მდიდრულ საცხოვრებელში ორნაწილიანი სამკლავე აღმოჩნდა. ის შედგებოდა ანჯამებით შეერთებული ორი მილისებური ფირფიტისაგან, რომლებიც მკლავზე ორი ღვედითა და ორი აბზინდით მაგრდებოდა. კირპიჩნიკოვს ეჭვი არ ეპარება სამკლავის რუსულ წარმოშობაში.[624] მის მოსაზრებას ამაგრებს ჩერნიგოვის მიწაზე ნაპოვნი კიდევ ერთი აღმოჩენა.[625] 1239 წელს გომელში (ძველი გომია) მონღოლთა მიერ დანგრეულ მეი-

---

[618] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 39, 440.

[619] Станимир Димитров, "Налакътник от района на Опака," *Попово в миналото*, 5 (2008), 223.

[620] Robinson, *Oriental Armour*, 13.

[621] Greta Arwidsson, *Valsgärde 8* (Uppsala, 1954), fig. 7.

[622] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 185-6.

[623] Blair, *European Armour*, 39, 45, 64.

[624] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 20-1.

[625] ძველი რუსეთის ტერიტორიაზე სულ 4 სამკლავის ნაშთია ნაპოვნი. А.Н. Каменский, Ю.А. Кулешов, "Защита конечностей в комплексе вооружения древнерусского воина (по материалам Великого Новгорода)," *Военная Археология*, 3 (2014), 156.

არაღის სახელოსნოში ო. მაკუშნიკოვის ექსპედიციამ გათხარა სახნოვკის მსგავსი, ანჯამებიანი კონსტრუქციის სამკლავე.[626] მაკუშნიკოვი იზიარებს კირპიჩნიკოვის არგუმენტებს და გომელისა და სახნოვკის სამკლავეებს მიიჩნევს უძველეს ევროპულ სამკლავეებად. ის თვლის, რომ ასეთი სამკლავე მონღოლებს მხოლოდ XIV საუკუნის მეორე მეოთხედში გაუჩნდათ.[627] უფრო ფრთხილობენ რუსი ავტორები ა. კამენსკი და ი. კულეშოვი, რომლებიც ბოლოდროინდელ კვლევაში აღიარებენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ორსაგდულიანი სამკლავეების გენეზისი გაურკვეველი რჩება.[628]

მ. გორელიკი უარყოფს სახნოვკის სამკლავის ადგილობრივ წარმოშობას და შუა საუკუნეებში გავრცელებული ორნაწილიანი სამკლავის სამშობლოდ შორეულ აღმოსავლეთს თვლის. მისი მოწმობით, სამკლავე პირველად კორეაში დასტურდება I ათასწლეულის შუახანებში, VII-VIII სს. კი უკვე შუა აზიაში გვხვდება. სახნოვკის სამკლავე მას მონღოლის კუთვნილებად მიაჩნია. გორელიკის მოსაზრებას ისიც განამტკიცებს, რომ რუსული წერილობითი და იკონოგრაფიული წყაროები XVI საუკუნემდე სამკლავეს არ იცნობენ.[629]

კირპიჩნიკოვის მოსაზრებას სამკლავის რუსული წარმოშობის შესახებ არ ეთანხმება ს. დიმიტროვი, აღმოსავლურად მიაჩნია სამკლავე ა. სალნიკოვს, ე. ნაროჟნისა და ჯ. ჩახკიევსაც.[630] ეჭვის საფუძველს იძლევა ის გარემოებაც, რომ ორივე, – სახნოვკისა და გომელის სამკლავე, – მონღოლ-

---

[626] О.А. Макушников, "Древнерусская оружейная мастерская из Гомия," *Старожитності Південної Русі* (Чернигов, 1993), 122.

[627] იქვე, 129. მაკუშნიკოვისა და ლუპინენკოს აზრით, სამკლავის რუსული წარმოშობის სასარგებლოდ მეტყველებს გომელის სახელოსნოში ნაპოვნი სამკლავის 68 ფრაგმენტი, რაც, მათი ვარაუდით, ორ ნაკეთობას უნდა ეკუთვნოდეს და სერიულ წარმოებაზე მიუთითებდეს. Ю.М. Лупиненко, О.А. Макушников, "Створчатые наручи первой половины XIII в. из летописного Гомия," *Военная Археология*, 3 (2014), 184-8. აქვე შევნიშნავ, რომ ორი ნაკეთობის ფრაგმენტები მაინც ერთი გარნიტურის შემადგენლობაში შედის.

[628] Каменский, Кулешов, "Защита конечностей в комплексе вооружения древнерусского воина (по материалам Великого Новгорода)," 161. ავტორები ცდილობენ IX საუკუნის ხაზართა სამარხებში ნაპოვნი სამკლავეები ჩართონ ევოლუციის ამ პროცესში, მაგრამ თავადვე ადასტურებენ, რომ XI საუკუნიდან XIII საუკუნემდე აღმოსავლეთ ევროპაში სამკლავეების არსებობა ცნობილი არ არის. იქვე, 162.

[629] Горелик, "Монголо-татарское оборонительное вооружение," 257-8.

[630] Димитров, "Налакътник от района на Опака," 230; Е.И. Нарожный, Д.Ю. Чакхиев, "О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.)," *МИАСК*, вып. 2 (Армавир, 2003), 140; А.В. Сальников, "К вопросу о присутствии наручей в защитном вооружении народов Северного Кавказа XIII-XV вв.," *Историческая и социально-образовательная мысль*, том 7, вып. 1 (2015), 113. ბოლოდროინდელი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, ეს ვარაუდი მეტ დამაჯერებლობას იძენს. შორეულ აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ სიას ჯურჯენთა სახელმწიფოს (1215-1233) ტერიტორიაზე, შაიგინსკის ნაქალაქარზე (პრიმორიეს მხარე) აღმოჩნდა ორნაწილიანი სამკლავე. Н.Г. Артемьева, С.Д. Прокопец, "Защитное вооружение чжурчжэньского воина," *Российская археология*, 1 (2012), 141, рис. 5.1-3; მათივე, "Предметы защитного вооружения чжурчжэней (XII-XIII вв.)," *История Оружия*, 8-9 (2013), 80, рис. 5.1-2. მისი ფირფიტები ერთმანეთს ანჯამების ნაცვლად ღვედების საშუალებით უკავშირდება, რაც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ იგი, როგორც მონღოლურ-აღმოსავლური სამკლავის პირვანდელი პროტოტიპი.

თა მიერ დანგრეულ შენობებშია აღმოჩენილი, რაც შესაძლებელს ხდის მათ მონღოლებთან დაკავშირებას.

აღმოსავლეთში სამკლავის გავრცელებას ჩინურ-მონღოლურ გავლენას მიაწერს დ. ნიკოლიც.[631] მას მოჰყავს სამკლავის ერთ-ერთი უადრესი გამოსახულება, რომელიც გვხვდება მამლუქთა ეგვიპტეში 1240 წელს შესრულებულ აბუ მაშარ ალ-ბალჰის ასტროლოგიურ ტრაქტატში.[632]

როგორც ჩანს, ამ დისკუსიაში საბოლოო წერტილის დასმა ჯერ ადრეა და დამატებითი მასალის აღმოჩენის გარეშე ორივე მოსაზრება სამუშაო ჰიპოთეზად რჩება.

ორნაწილიანი სამკლავეები საკმაო რაოდენობით გვხვდება XIV საუკუნის მეორე ნახევრის ირანულ მინიატურებზე. XV საუკუნის მინიატურები კი მათ საყოველთაო გავრცელებაზე მეტყველებს. XIV ს. დამლევსა და XV ს. პირველ ნახევარში აღმოსავლეთში დასრულდა სამკლავეების ძირითადი ტიპების ფორმირება. სამკლავის რთული ტიპები, რომლებიც ხელის ზურგსა და თითებსაც იცავდა, ქრება და ადგილს უთმობს უფრო მარტივ კონსტრუქციებს. ამიერიდან სამკლავე ღვედებით, ანჯამებითა და ჯაჭვის რგოლებით ერთმანეთთან შეერთებული ფირფიტებია და ხელს მაჯიდან იდაყვამდე იცავს. ხელის გარე მხარის დამცავი ფირფიტა ყველაზე გრძელია. მას მომრგვალებული ან მახვილი ბოლო აქვს, რომელიც იდაყვის სახსარს ცდება და, შესაბამისად, იდაყვსაც იცავს. ძირითადთან შედარებით, სხვა ფირფიტები ბევრად მოკლეა.[633] სამკლავეს უკანა მხრიდან ქსოვილი ჰქონდა ამოკრული, რომელიც ამორტიზატორის როლს ასრულებდა, დარტყმის ძალას აქრობდა და იცავდა ტანსაცმელს ლითონთან შეხებისაგან.[634]

ე. ნაროჟნისა და ჯ. ჩახკიევს, ისევე როგორც ა. სალნიკოვს, აღნუსხული აქვთ ჩრდილოეთ კავკასიაში ნაპოვნი ორნაწილიანი შესახსრული სამკლავეები, რომლებიც უმთავრესად XIV-XV საუკუნეებს ეკუთვნის, თუმცა უფრო გვიანაც გვხვდება. სამკლავეები აღმოჩენილია მთიანი ინგუშეთის სოფლებში ზემო ლეიმი (XIV-XV სს.), ზემო ალკუნი (XV ს.), ზემო ოზდიკი (XVI-XVIII სს.) და კელიის სამარხში (XIV ს.), და ჩეჩნეთის დასახლებებში ცეჩა-ახკი (XIV-XV სს.) და მაკაჟოი (XIV ს.).[635] როგორც ვხედავთ, XIV საუკუნემდე ჩრდილოეთ კავკასიაში სამკლავე აღმოჩენილი არ არის. ავტორთა აზრით, ეს სამკლავეები

---

[631] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 167.

[632] Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 82, fig. 107.

[633] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 111-2, 133.

[634] Димитров, "Налакътник от района на Опака," 226.

[635] Нарожный, Чакхиев, "О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.)," 138-9, рис. 10-11; Сальников, "К вопросу о присутствии наручей в защитном вооружении народов Северного Кавказа XIII-XV вв.," 111-3.

ან ოქროს ურდოდანაა შემოსული[636] ან მეზობელი საქართველოდან, რომლის შეიარაღება ილხანთა ირანის გავლენის ქვეშ იყო.[637]

ადვილი შესაძლებელია, ჩეჩნეთ-ინგუშეთში აღმოჩენილი სამკლავეები, მართლაც, საქართველოს გავლითა და საქართველოდან იყოს შესული ჩრდილო კავკასიაში.[638] ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩენილი სამკლავეები ჰგავს XIV საუკუნის მეორე ნახევრის H1665 დავითნის მინიატურების აღჭურვილობას, სადაც ასეთივე ორნაწილიანი შესახსრული სამკლავეებია გამოსახული.

სამკლავე საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში კიდევ უფრო ადრე უნდა იყოს მოხვედრილი. უძველესი ჩრდილოკავკასიური სამკლავე ლეგენდარულ ბაყათარს ეკუთვნოდა და ის XIII-XIV სს. მიჯნისაა. აღწერილობის თანახმად, სამკლავის ფოლადის ფირფიტები სპილენძით იყო მორთული.[639] გარდა იმისა, რომ ბაყათარი საქართველოში იბრძოდა და ქართული საჭურვლით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი, მისი სამკლავის ტექნოლოგიური თავისებურებაც ამაზე მიუთითებს: სპილენძის ფურცლებით რკინის ფირფიტების მორთვა ქართული სამკლავისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა.

სამკლავე საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჩანს XIV საუკუნის მეორე ნახევარში, რასაც მოწმობს H1665 დავითნის მინიატურები. ამ მინიატურებზე გამოსახულია ფირფიტოვანი აბჯრის სამკლავეები, რომლებიც ორი ნაწილისაგან შედგება და ანჯამებით არის შესახსრული. ამავე დროს, ბაყათარის სამკლავის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ამ იარაღის ცალკეული ეგზემპლარები უფრო ადრე, XIII საუკუნის ბოლოს მაინც უნდა შემოსულიყო მონღოლთა ბატონობის ქვეშ მყოფი ირანიდან.

წყაროებში სამკლავის მოხსენიება XV საუკუნიდან გვხვდება. 1483 წელს არადეთთან ბრძოლის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგს „მოაჴსენა ამილახორმან: მე ერთსა კაცსა ჴრმალი შემოვკარ და **სამკლავიანი** ჴელი გავაგდებინეო, და თუ გინდა, წამოდით და გიჩვენებო". წარმოვიდნენ და ნახეს, **სამკლავიანი** ჴელი ძეძვში ეგდო".[640] ჩანს, ამილახვრის მოწინააღმდეგეს, რომელსაც ხმალი იდაყ-

---

[636] ოქროს ურდოს არქეოლოგიურ ძეგლებზე 8 თუ 9 სამკლავეა აღმოჩენილი. Каменский, Кулешов, "Защита конечностей в комплексе вооружения древнерусского воина (по материалам Великого Новгорода)," 156-7.

[637] Нарожный, Чакхиев, "О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.)," 140; Сальников, "К вопросу о присутствии наручей в защитном вооружении народов Северного Кавказа XIII-XV вв.," 113.

[638] ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ზემო ალკუნის მეომრის სამარხში სამკლავესა და სხვა იარაღთან ერთად ნაპოვნია ორი ქოთნის ფრაგმენტები ქართული ასომთავრული წარწერით – „თალერვ". Д.Ю. Чахкиев, Е.И. Нарожный, "Погребение знатного горского воина начала 15 в. из селения Верхний Алкун (Чечено-Ингушетия)," *Военное дело древнего и средневекового населения Северной и Центральной Азии* (Новосибирск, 1990), 129.

[639] Нарожный, "О шлемах из сел. Ярыш-Марды и святилища Реком," 116; Нарожный, Чакхиев, "О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.)," 138.

[640] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 347.

ვზე ოდნავ ზემოთ მოხვდა, სამკლავე ეკეთა და მოკლემკლავიანი ჯაჭვი ეცვა. ხელის მოკვეთა გრძელმკლავიანი ჯაჭვის დროს შეუძლებელი იქნებოდა.

წინამხრის პასიური დაცვის გარდა, სამკლავის აქტიურად გამოყენებაც შეიძლებოდა, რაც გულისხმობს მოქნეული ხმლის მოგერიებას სამკლავის შეგებებით. XIV საუკუნეში დასაწყისში მუსლიმი სამხედრო თეორეტიკოსი ალ-აქსარაი მოგვითხრობს ხმლის სამკლავით მოგერიების მეთოდზე.[641] ამ მეთოდს საქართველოშიც იყენებდნენ: ვ. ელაშვილი აღწერს სამკლავით ხმლის მოგერიებას როგორც ხევსურული ფარიკაობის ერთ ილეთს და ეს ფოტოზეც აქვს აღბეჭდილი. მეტიც, ელაშვილი გადმოგვცემს, რომ ხევსურთა მტკიცებით, ყველაზე გამოცდილი მოფარიკავენი ფარის ნაცვლად მხოლოდ სამკლავეს იყენებდნენ და იმოწმებს ხევსურულ ლექსს:[642]

„თორღვავ, რა გქონდა ფარადა?
სამკლავენ უჯმარებიან,
დანა ხქონია ჯმალადა".[643]

ამ ეპიზოდში აღწერილ ვითარებაში, გაჭირვების ჟამს გმირი ხმლის ნაცვლად დანას სჯერდება, ფარის ნაცვლად კი რკინის სამკლავეს იყენებს. ჩანს, მოწინააღმდეგის ცივი იარაღის დარტყმის მოსაგერიებლად სამკლავის გამოყენება, როგორც ეს ლექსის ავტორს აქვს აღწერილი, საკმაოდ გავრცელებული ილეთი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამკლავე ხელის საიმედო დაცვას განაპირობებდა, მისი დაზიანებაც შეიძლებოდა. ქართულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში აღწერილია შემთხვევები, როდესაც შუბის ძლიერი დარტყმას სამკლავეც კი ვერ უდგებოდა. მარაბდის ბრძოლაში თეიმურაზ მეფემ მოწინააღმდეგეს სამკლავე გაუხეთქა: „შუბი შესცა და იმან ფარი დახუედრა, ფარი გაუტეხა და **ჴელნავიც გაუხეთქა** და მკლავიც მოსტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენიდამ გარდმოაგდო".[644] არჩილ მეფის ისტორიულ პოემაში ბაზალეთის ომის დროს ფარზე ასხლეტილმა შუბმა უკვე თეიმურაზს გაუტეხა სამკლავე და დაჭრა: „ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრა ვერ მყო მიწის მთელი, / **სამკლავეცა გამიტეხა** და დამკოდა მე ნათელი".[645] სამკლავის დაზიანება გვხვდება ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის XVII საუკუნის მხატვრულ ნაწარმოებშიც: „ფარს შუბი შეუცა, ფარი გაუტეხა და **სამკლავე გაუკვეთა** და მკლავსა დაკოდა".[646]

ლ. კობულინსკი განარჩევს სამკლავის ფოლადის ფირფიტების ერთმანეთთან შეერთების ორ მეთოდს: ჯაჭვითა და ანჯამებით (შესახსრული) და

---

[641] Nicolle, "The Military Technology of Classical Islam," 203.

[642] Елашвили, *Парикаоба*, 70, рис. 88.

[643] დავით გოგოჭური, *ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები* (თბილისი, 1977), 104.

[644] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 234.

[645] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 80.

[646] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 51.

პირველს ირანულად მიიჩნევს, მეორეს კი ინდურად.[647] მას იმეორებს მ. ხორასანიც, რომელსაც დამატებით მოჰყავს ირანული ნიმუშები, რომელთა ფირფიტები ღვედების საშუალებით ერთდება.[648] წარმომავლობის მიხედვით სამკლავეების ასეთი კლასიფიკაცია ბოლომდე მართებული არ უნდა იყოს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სამკლავის ფირფიტების შეერთების ეს მეთოდები უმთავრესად დროის მიხედვით გაირჩევა: სამკლავის თავდაპირველი (XIII-XV სს.) ნიმუშები ანჯამებით იყო შესახსრული, მოგვიანებით კი გავრცელდა ჯაჭვის რგოლებით გადაბმა, რომელიც უფრო მარტივი კონსტრუქციაა. ამასთანავე, ინდოეთის კონტინენტზე ანჯამებით შესახსრულ სამკლავეებს უფრო ხანგრძლივად იყენებდნენ.

დიდ ტერიტორიებზე გავრცელებული ერთი ტიპის იარაღის წარმომავლობის დადგენა საკმაოდ რთულია. ეს დებულება ზედმიწევნით მართალია სამკლავეების (ირანული *ბაზუბანდი*, ინდური *დასტანა*, თურქული *კოლუკი*, ქართული *ხელნავი* და *სამკლავე*) მიმართ, რომელთაც შედარებით მარტივი კონსტრუქცია და ერთგვაროვნება ახასიათებთ. თუ მათში დიდი ჯგუფების გამოყოფა (ირანული, ინდური, თურქული) უფრო ადვილად ხერხდება, შედარებით ძნელია სამკლავეების ამიერკავკასიური თუ ჩრდილოკავკასიური კუთვნილების დადგენა და ეთნოგრაფიული ჯგუფების (ქართული, ჩერქეზული) გამოყოფა.

მკვლევრები არ ცდებიან, როდესაც იარაღის წარმომავლობის დასადგენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მასზე გამოსახულ ორნამენტს.[649] საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ქართულ სამკლავეებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ორნამენტის გარდა, შესაძლებელია დავეყრდნოთ სხვა, უფრო არსებით ნიშნებსაც.

საგანგებოდ ქართული სამკლავეები აქამდე არავის შეუსწავლია. ეროვნული მუზეუმის კოლექცია საშუალებას გვაძლევს ეს ნაკლი გამოვასწოროთ და გამოვყოთ ქართული სამკლავისათვის დამახასიათებელ ნიშანთა მთელი ერთობლიობა. ამისათვის ჯერ ჩვენთვის საინტერესო ექსპონატთა მონაცემები მოვიყვანოთ, შემდეგ კი განვიხილოთ და დავახასიათოთ ისინი.

მუზეუმში დაცულ სამკლავეებში რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა შეიძლება შესრულების სტილისა და ცალკეული კომპონენტების წარმომავლობის მიხედვით. საკმაო ოდენობითაა შემონახული სამკლავეები აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან, სადაც სამკლავეს ყველაზე დიდხანს ატარებდნენ. ხშირ შემთხვევებში ისინი პროვინციული ხელობისათვის დამახასიათებელი უბრალო შესრულებით გამოირჩევიან.

---

[647] Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," 69.

[648] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 283.

[649] Э.Г. Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 2-е изд. (Санкт-Петербург, 2004), 37; Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 82.

ექსპონატი 25-59/10 (შეძენილია ვ. ფიცხელაურისაგან,[650] სოფ. ბაკურხევი, გუდამაყარი): სამკლავის ლითონის ფირფიტები გადაბმული და მორთულია თითბრის ფურცლებით, მოქლონებითა და აბზინდებით. ფირფიტები ერთმანეთს უკავშირდება რგოლებში გაყრილი წკირით. წონა 234 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29X6.5-8.8 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.5 სმ (დიდი და პატარა ფირფიტის სიგრძეთა შეფარდება 2.76:1). (სურ. 146ა)

ექსპონატი 25-59/11 (შეძენილია ვ. ფიცხელაურისაგან, სოფ. ბაკურხევი, გუდამაყარი): სამკლავის დიდი ფირფიტა გრძივად დაღარული ლითონია, რომელიც შემოვლებულია მარტივი გეომეტრიული ორნამენტით დამშვენებული თითბრით. ფირფიტის თავსა და ბოლოში მოხრილბოლოებიანი ორნამენტია გამოსახული, რომელიც სხვა ხევსურულ იარაღზეც გვხვდება.[651] სამკლავეზე სპილენძის მოქლონები და სპილენძის ორი აბზინდაა, სამკლავის ფირფიტები ანჯამებითაა დაკავშირებული. წონა 349 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.7X6.1-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.6 სმ (შეფარდება 2.8:1). (სურ. 146ბ)

ექსპონატი 35-35/72: გრძივად დაღარული და შავად დაფერილი ფოლადის ფირფიტები თითბრის აბზინდებითა და სპილენძის მოქლონებით. სამკლავის ფირფიტები გადაბმულია დაბალი სინჯის ვერცხლის რგოლებით. წონა 358 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.4X6.3-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.2 სმ (შეფარდება 2.62:1). (სურ. 146გ)

ექსპონატი 39-58/1 (შემოწირულია ხევსური ი. წიკლაურის მიერ, სოფ. დუმაცხო, გუდამაყარი): ფოლადის ფირფიტები გეომეტრიული ორნამენტით დამშვენებული თითბრით არის მოარშიებული და სპილენძის მოქლონებით დამაგრებული. სამკლავის ფირფიტები გადაბმულია რგოლებით. წონა 434 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.2X6.8-10 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.1 სმ (შეფარდება 2.63:1). (სურ. 146დ)

ექსპონატი 41-26/24: განივად დაღარული დიდი ფირფიტა დაბალი სინჯის ორნამენტული ვერცხლით (არშავი) არის მორთული. პატარა ფირფიტები თითბრის ფურცლებითა და სპილენძის მოქლონებითაა გადაბმულ-გამშვენებული. სამკლავის ფირფიტები რგოლებითაა დაკავშირებული. წონა 312 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29X6.2-8.1 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.5 სმ (შეფარდება 2.76:1). (სურ. 146ე)

ექსპონატი 41-26/26: გრძივად დაღარული ფოლადის დიდი და პატარა ფირფიტები თითბრის აბზინდებით, თითბრისა და სპილენძის შერეული სამაგრებითა და სპილენძის მოქლონებით. სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით. წონა 435 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.4X6.3-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.8 სმ (შეფარდება 2.58:1). (სურ. 146ვ)

---

[650] ხევსურული წარმოშობის გვარი, რომელიც გუდამაყარში, სოფ. ბაკურხევში არის გადასახლებული.

[651] მაგალითისათვის იხ. Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 341, рис. 289.

ა



ბ



გ

დ

ე



ვ



ზ



თ



ი



კ



ლ

მ



ნ

სურ. 146

ქართული სამკლავეები: ა) ექსპონატი 25-59/10 (სემ); ბ) ექსპონატი 25-59/11 (სემ); გ) ექსპონატი 35-35/72 (სემ); დ) ექსპონატი 39-58/1 (სემ); ე) ექსპონატი 41-26/24 (სემ); ვ) ექსპონატი 41-26/26 (სემ); ზ) ექსპონატი 148-13/21 (სემ); თ) ექსპონატი 822 (სემ); ი) ექსპონატი 839 (სემ); კ) ექსპონატი 2506 (სემ); ლ) ექსპონატი 39-13/8 (სემ); მ) ექსპონატი 19-55/6 (სემ); ნ) ექსპონატი 818 (სჯიმ). ავტორის ფოტოები.

ექსპონატი 148-13/21: ეს სამკლავე 1913 წელს ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად არის მთიულეთიდან, სოფ. კაიშაურიდან ჩამოტანილი. ხევსურული ნიმუშებისაგან განსხვავებით, გამოყენებულია თითბრის მოქლონები. შავად დაფერილი დიდი ფირფიტა მორთულია თითბრის ფურცლით, რომელზეც დახვეწილი ორნამენტი არის გამოსახული.[652] სამკლავის ფირფიტები რგოლებითაა დაკავშირებული. წონა 372 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 31.3X6.3-9.1 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.7 სმ (შეფარდება 2.67:1). (სურ. 146ზ)

ექსპონატი 822: სამკლავის ფოლადის ფირფიტები თითბრით არის მოარშიებული და სპილენძის მოქლონებით დამაგრებული. ფირფიტები რგოლებითაა დაკავშირებული. წონა 365 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.4X6.5-9.2 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11 სმ (შეფარდება 2.76:1). (სურ. 146თ)

ექსპონატი 839: ფოლადის სამკლავეზე დაფენილია კარგად შესრულებული მცენარეული ორნამენტით დამშვენებული ვერცხლის ფურცელი.[653] სამკლავე მორთულია სპილენძის მოქლონებზე წამოცმული ვერცხლის ბურთულებით, თითბრისა და სპილენძის მოქლონებით. სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია თითბრის სამაგრებითა და ფარეშიანი ჯაჭვის რგოლებით. წონა 464 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.3X5.8-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11 სმ (შეფარდება 2.75:1). (სურ. 146ი)

ექსპონატი 2506: გრძივად დაღარული შავად დაფერილი ფოლადის დიდი ფირფიტა, მაჯისკენ ამოკვეთილი რომბისებური ორნამენტით, მოარშიებულია თითბრის ფურცლებით, მორთულია თითბრის აბზინდებით, თითბრის რგოლებითა და სპილენძის მოქლონებით. სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით. წონა 597 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 31.8X6.5-9.2 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.6 სმ (შეფარდება 2.74:1). (სურ. 146კ)

ექსპონატი 39-13/8: წყვილი სამკლავე, სადაც ფოლადის ფირფიტები მორთულია სამყურა ორნამენტიანი მოოქრული ვერცხლის ფურცლებით, ასევე, მოოქრული და მოსევადებული ვერცხლის ფურცლებით (სავარაუდოდ, თბილისური ხელობა). დიდ ფირფიტებს კიდეებზე შემოუყვება მოოქრული ვერცხლის ვიწრო ფირფიტა მარტივი გეომეტრიული ორნამენტით. თითბრის მოქლონები. სამკლავის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული. წონა 433 და 482 გ, დიდი ფირფიტის ზომები – 34X10 და 34X10.1 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 12 და 12.3 სმ (შეფარდება 2.76:1). (სურ. 146ლ)

ექსპონატი 19-55/6 (შეძენილია ხევსური ი. ჭინჭარაულისაგან[654]): წყვი-

---

[652] ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მთიულები იყვნენ „საჭურველთ-მოყუარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყონი". ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 356.

[653] ამ თვისებით, ვერცხლის ფირფიტის დიდ ზედაპირზე გამოყენებით, სამკლავე ჰგავს 13-23/2 ექსპონატს.

[654] მისგან 400 მანეთად მუზეუმმა შეიძინა: 2 წყვილი შალის ხევსურული პაიჭები, ჩაჩქანი, სამკლავე და ჯაჭვის პერანგი.

ლი სამკლავე, გრძივად დაღარული ფოლადის დიდი ფირფიტები უხვად არის მორთული მოსევადებული ვერცხლის ფურცლებით. ფირფიტები ერთმანეთს უკავშირდება რგოლებში გაყრილი სამ-სამი (!) წკირით. წონა 329 და 299 გ, დიდი ფირფიტის ზომები – 29.2X8.4 და 29.3X8.3 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 10.5 და 10.3 სმ (შეფარდება 2.79:1). (სურ. 146მ)

ექსპონატი 818 (სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი): სამკლავის ფირფიტები ანჯამიანი მჭიდრო გადაბმითაა შეკავშირებული, რომელიც ქართულ სამკლავეებში იშვიათად გვხვდება. გადაბმის ადგილები მორთულია მოგრძო ფირფიტებით, რომლებზეც ორნამენტი შტრიხებით არის გამოყვანილი და დამაგრებულია თითბრის მოქლონებით. სამკლავის ჯაჭვის თათმანზე ტიპური ქართულ-ხევსურული მრგვალი ბალთები გვხვდება. დიდი ფირფიტის ზომა – 31.5X6-9.5 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 13 სმ (შეფარდება 2.42:1). (სურ. 146ნ)

ქართულ სამკლავეებში შესაძლებელია გამოვყოთ ჯგუფი, რომელიც ირანულის მიბაძვით არის შესრულებული. საყურადღებოა, რომ ირანული ფირფიტების მიბაძვით დამზადებული სამკლავეების დიდი და პატარა ფირფიტების შეფარდება ყველაზე მაღალია სხვა ქართულ სამკლავეებთან შედარებით და აღემატება 3:1.

ექსპონატი 9-24/8 (სამკლავე ხევსურეთიდან): სამკლავის ფოლადის ფირფიტაზე ირანულის წაბაძვით ოქროს ზარნიშით არცთუ ოსტატურად შესრულებული სამყურა ორნამენტია. სამკლავეს აქვს თითბრის რგოლები, მოქლონები და აბზინდები. ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით. წონა 330 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 34.3X6.2-10 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11 სმ (შეფარდება 3.12:1). (სურ. 147ა)

ექსპონატი 35-35/76: სამკლავის ფოლადის ფირფიტებზე ნაწილობრივ დაკარგული ოქროს კოფტგარი ჩანს.[655] ვიწრო ფირფიტები, რომლებიც სამკლავეს ამშვენებენ, მორთულია ქართული სტილით – ვერცხლის ფილიგრანითა და ნამდვილი ცვარით. ვერცხლის მოქლონები. სამკლავის ფირფიტები ანჯამებითაა დაკავშირებული. წონა 503 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 33.5X7.3-10.1 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.1 სმ (შეფარდება 3:1). (სურ. 147ბ)

ექსპონატი 5378: სამკლავის ფოლადის ფირფიტაზე კვეთილი ორნამენტი შუაში ოთხბოლოიანი ვარდულით. ერთი პატარა ფირფიტა დაკარგულია. თითბრისა და სპილენძის მოქლონები. სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია თითბრის რგოლებით. წონა 395 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.6X7.1-9.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 9.8 სმ (შეფარდება 3.12:1). (სურ. 147გ)

ექსპონატი 9-24/3: ფოლადის ფირფიტებზე 5378 ექსპონატის ორნამენტის მიბაძვა შუაში ოთხბოლოიანი ვარდულით, რომელიც უფრო მარ-

[655] ზარნიშისაგან განსხვავებით, სადაც ორნამენტის ლითონის მავთული სათითაოდ ამოკვეთილ ღარშია ჩასმული, კოფტგარის მავთული ზედაპირულად ღარებისაგან შექმნილ ერთიან ბადეზე მაგრდებოდა.



სურ. 147
ირანული სტილის ქართული სამკლავეები: ა) ექსპონატი 9-24/8 (სემ); ბ) ექსპონატი 35-35/76 (სემ); გ) ექსპონატი 5378 (სემ); დ) ექსპონატი 9-24/3 (სემ). ავტორის ფოტოები.

ტივი სახით პატარა ფირფიტაზეც მეორდება. სამკლავის ფირფიტები ჯაჭვის რგოლებით არის დაკავშირებული. წონა 477 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 36.6X7.3-9.6 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 9.5 სმ (შეფარდება 3.85:1). (სურ. 147დ)

ირანული ფირფიტების მიბაძვის გარდა, ჩვენს ხელთ არის სამკლავეები, რომლებიც ირანულ ფოლადის ფირფიტებს იყენებს და ადგილობრივი გადაკეთების კვალს ატარებს.

ექსპონატი 23-60/2(ა):[656] სამკლავეს ხევსურული ხელობის კვალი ეტყობა, ირანული ფოლადის ფირფიტები მოვერცხლილი სპილენძითა და ზოგან თითბრის ფურცლით არის მოარშიებული. ჩერქეზული „ვერძის რქის“ მსგავსი ორნამენტიანი აბზინდები. ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებში გაყრილი წკირით. წონა 355 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.3X6.8-9.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 12.4 სმ (შეფარდება 2.45:1). (სურ. 148ა)

ექსპონატი 23-60/2(ბ): სამკლავეს უხეშად შესრულებული ხევსურული ხელობის კვალი ეტყობა, ირანული ფოლადის ფირფიტებს ვერცხლისა და

[656] ამ ნომრით მუზეუმში წყვილი სამკლავეა გატარებული, მაგრამ დიფერენციაციის მიზნით მათ პირობითად (ა) და (ბ) ნომერი მიენიჭა.



სურ. 148
ირანულიდან გადაკეთებული ქართული სამკლავეები: ა) ექსპონატი 23-60/2(ა) (სემ); ბ) ექსპონატი 23-60/2(ბ) (სემ); გ) ექსპონატი 13-23/2 (სემ); დ) ექსპონატი 69-26/17 (სემ); ე,ვ) ექსპონატები 10-27/165 და 10-27/166 (სემ); ზ) ექსპონატი 25-53/4ბ (სემ); თ,ი) ექსპონატები 81-971/7 და 81-971/7ა (სემ). ავტორის ფოტოები.

ზოგან თითბრის ფურცლით აქვთ არშია შემოვლებული.[657] პატარა ფირფიტა 3 ხევსურული გობაკით არის მორთული. ჩერქეზული „ვერძის რქის" მსგავსი ორნამენტიანი აბზინდები. ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებში გაყრილი წკირით. წონა 346 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.6X6.4-9 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.6 სმ (შეფარდება 2.9:1). (სურ. 148ბ)

ექსპონატი 13-23/2 (სამკლავე ხევსურეთიდან): აშკარაა ხევსურული ხელობის კვალი, ირანულ ფოლადის ფირფიტებზე დაფენილია ყვავილოვანი ორნამენტით მორთული ვერცხლის ფურცლები, რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული. სამკლავის ფოლადის ფირფიტა 23-60/2(ბ)-ს ფირფიტის ტყუპისცალია, რაც შესაძლოა მეტყველებდეს იმაზე, რომ ხელში ჩაგდებული სამკლავის ფირფიტები დაინაწილეს და სხვადასხვა ოსტატს მისცეს გასაკეთებლად. თითბრის აბზინდები. ფირფიტები დაკავშირებულია რგოლებით. წონა 304 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.8X6.7-9.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 10.8 სმ (შეფარდება 2.75:1). (სურ. 148გ)

ექსპონატი 69-26/17: წყვილი სამკლავე, სადაც ირანული ოქროს ზარნიშიანი ფოლადის ფირფიტები მორთულია დამახასიათებელი ქართული მოოქრული და მოსევადებული ვერცხლის ფურცლებით (სავარაუდოდ, თბილისური ხელობა). სამკლავის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული. წონა 416 და 449 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 30.6X6-9 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 11 და 11.3 სმ (შეფარდება 2.7:1). (სურ. 148დ).

ექსპონატები 10-27/165 და 10-27/166: გადაკეთებული წყვილი სამკლავე, სადაც ირანულ დიდ ფირფიტებს მაჯის მხარეს აქვს ჩერქეზული „მძიმის" მსგავსი ორნამენტი.[658] დამატებულია თითბრის ფურცელი მარტივი ორნამენტით, რომელიც შესრულების ხარისხით ორიგინალს ჩამოუვარდება. ფოლადის დაღარული პატარა ფირფიტებიც, რომლებიც ვერცხლისა და თითბრის ფურცლებითაა მორთული, შემდეგ არის დამატებული. თითბრისა და სპილენძის აბზინდები, შერეული თითბრისა და სპილენძის მოქლონები. სამკლავის ფირფიტებში გადაბმის ორივე ხერხია გამოყენებული: რგოლებში გაყრილი წკირითა და მხოლოდ რგოლებით. წონა 315 და 380 გ, დიდი ფირფიტის ზომები – 29.8X6.4-8.3 და 30.1X6.2-8.1 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 10.3 და 12.7 სმ (შეფარდება 2.9:1 და 2.27:1). (სურ. 148ევ).

ექსპონატი 25-53/4ბ (სამკლავე ხევსურეთიდან): გადაკეთებული სამკლავე ირანული დიდი და პატარა ფირფიტებით, რომლებიც მორთულია ჩერქეზული „მძიმის" მსგავსი ორნამენტით დამშვენებული თითბრის ფურცლებით. შეკეთებულია ორი ფირფიტითა და სპილენძის მოქლონებით. ვერცხ-

---

[657] ოსტატი აშკარად ბაძავდა 23-60/2(ა) სამკლავეს, ამ ორ სამკლავეს აახლოებს ის ფაქტიც, რომ მათ გამონაკლისის სახით 4 წყვილი შესაკრავი აბზინდა აქვთ.

[658] თელავის მუზეუმში გამოფენილია სამკლავე, რომელსაც ზუსტად ასეთი ირანულ ორნამენტიანი დიდი ფირფიტა აქვს და ქართული სტილით, რგოლებით არის გადაბმული.

ლის სამაგრები და მოქლონები. სამკლავის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული. წონა 286 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.9X6.4-8.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 12 სმ (შეფარდება 2.49:1). (სურ. 148ზ).

ექსპონატები 81-971/7 და 81-971/7ა (შეძენილია ჟ. წიკლაურისაგან, სოფ. მლაშე, დუშეთის რაიონი): გადაკეთებული სამკლავეები, სადაც წყვილი ირანული დიდი და პატარა ფირფიტებია გამოყენებული. 81-971/7ა-ს პატარა ფირფიტაზე შემორჩენილია ვერცხლის ფურცლები ჩერქეზული „მძიმის" მსგავსი ორნამენტით. 81-971/7-ის დიდი ფირფიტა შემოვლებულია მარტივი ორნამენტით დამშვენებული თითბრის ფურცლებით. თითბრის აბზინდები, სპილენძის მოქლონები. 81-971/7-ის ფირფიტები რგოლებში გაყრილი წკირით არის დაკავშირებული, 81-971/7ა კი – რგოლებით. წონა 356 და 292 გ, დიდი ფირფიტის ზომები – 26.6X6.1-8.1 და 26.3X6.8-8.1 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 11.4 და 11.3 სმ (შეფარდება 2.33:1 და 2.32:1). (სურ. 148თი).

როგორც ვხედავთ, გადაკეთებულ ირანულ სამკლავეებში ხშირად გვხვდება სამკლავეები ჩერქეზული ტიპის ორნამენტით.[659] ჩერქეზული ორნამენტი საქართველოში დამზადებულ იარაღზე (მაგალითად, ხანჯლებზე) სხვა დროსაც შეინიშნება.[660] ისიც უნდა ითქვას, რომ ჩერქეზული ორნამენტით დამშვენებული იარაღის დიდ ნაწილს თბილისური ვერცხლის სინჯი არტყია.[661] თბილისი კავკასიის ცენტრად ითვლებოდა და რეგიონული მნიშვნელობის საიარაღო ცენტრი იყო, სადაც მრავალი ეროვნების (ირანელები, სომხები, ჩრდილოკავკასიელები და სხვ.) ხელოსნები ჭედდნენ იარაღს სხვადასხვა ბაზრისათვის. ცხადია, რომ ეს ე.წ. ჩერქეზული ორნამენტი საქართველოშიც საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა. სხვაგვარად, რეალობას იქნება მოკლებული იმის ვარაუდი, რომ აღნიშნული სამკლავეების ფოლადის ირანული ფირფიტები ჯერ ჩერქეზეთში მოხვდა, სადაც პირველად გადააკეთეს და ჩერქეზული ორნამენტით დაამშვენეს, შემდეგ კი ერთბაშად საქართველოში აღმოჩნდა, სადაც ისინი მეორედ გადააკეთეს. ასეთი სცენარის წარმოდგენა ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

ეროვნულ მუზეუმში დაცულია სამკლავეებიც, რომლებიც ტრადიციულად ჩერქეზული სამკლავეების ჯგუფს მიეკუთვნება:

ექსპონატი 17-25/2 (ჩამოტანილია გ. ჩიტაიას მიერ სოფ. ყვარელიდან, ნიკო ჭავჭავაძის მიერ აგებული ეკლესიიდან): ფოლადის ფირფიტებზე ოქროს ზარნიში, მორთულია ოქროცურვილი „მძიმის" ორნამენტიანი ვერცხლის ფირფიტებით, რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული.

---

[659] ჩერქეზული სტილიზებული „ვერძის რქის" და „მძიმის" ორნამენტი იხ. Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 38-9.

[660] იხ. Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 351, рис. 303в, 304.

[661] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 82.

ფირფიტები დაკავშირებულია ჯაჭვის (ეკლებრივი) რგოლებით. წონა 491 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.5X5.9-7.7 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.5 სმ (შეფარდება 2.56:1). (სურ. 149ა)

ექსპონატი 79-60/13: ფოლადის ფირფიტებზე კვეთილი ორნამენტი, მოარშიებულია ჩერქეზული „მძიმის" ორნამენტიანი მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით, რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული. სამკლავის ფირფიტები დაკავშირებულია ჯაჭვის (ეკლებრივი) რგოლებით. წონა 224 გ, დიდი ფირფიტის ზომა – 29.7X6.1-7.4 სმ, პატარა ფირფიტის სიგრძე – 11.1 სმ (შეფარდება 2.67:1). (სურ. 149ბ)

ექსპონატები 2505 და 41-26/25: წყვილი სამკლავე, სადაც ფოლადის დიდი ფირფიტები მოარშიებულია ჩერქეზული „ვერძის რქის" ორნამენტიანი მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით (41-26/25-ის ფირფიტა მოოქრული სპილენძითაც არის მორთული), რომლებიც ვერცხლის მოქლონებითაა დამაგრებული. ფირფიტები დაკავშირებულია ჯაჭვის (ეკლებრივი) რგოლებით. წონა 246 და 265 გ, დიდი ფირფიტის ზომები – 29.9X5.9-8.6 და 29.4X5.8-9 სმ, პატარა ფირფიტების სიგრძე – 11.6 და 11.7 სმ (შეფარდება 2.58:1 და 2.51:1). (სურ. 149გდ)

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჩერქეზულ სამკლავეებს აერთიანებს მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით მორთულობა, ჯაჭვით გადაბმა და ორნამენტი. ეს ნიშნები ახასიათებს მილერისა და ასტვაცატურიანის მიერ აღწერილ ჩერქეზულ სამკლავეებსაც.[662] ამავე დროს, როგორც ჩანს, არსებობს ჩერქეზული სამკლავეების მეორე ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს თითბრის ფირფიტებით მორთულობა, როგორც ამას აღნიშნავენ კ. რივკინი და ო. პინჩო.[663] ეს ჯგუფი ი. გუტოვსკის კატალოგშია წარმოდგენილი. გუტოვსკის მიერ აღწერილი ჩერქეზულ სამკლავეები თითბრის ფირფიტებითაა გაფორმებული.[664] ყველა მათგანი ჯაჭვის რგოლებით არის შეკავშირებული.

ეს სამკლავეები დამახასიათებელი ორნამენტით ჩერქეზულ ჯგუფს მი-

---

[662] იხ. XVIII საუკუნის ჩერქეზული სამკლავე მორთული ტრადიციულ ჩერქეზულ სტილში – მოოქრული ვერცხლის ფირფიტებით არშიამოვლებული. Yurij A. Miller, *Caucasian Arms from the State Hermitage Museum, St. Petersburg. The Art of Weaponry in Caucasus and Transcaucasia in the 18th and 19th Centuries* (Næstved, 2000), 329, fig. 90. ვერცხლის ფირფიტებით აქვს არშია შემოვლებული ერმიტაჟის ჩერქეზული სამკლავეების მეორე ნიმუშსაც. იქვე, 329, სურ. 91. ორივეს ფირფიტები ჯაჭვის რგოლებითაა შეკავშირებული. ასევე იხ. Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 101.

[663] რივკინისა და პინჩოს მიხედვით, ჩერქეზულ სამკლავეებს კიდეებზე თითბრის ფურცლები აკრავს, რომელიც დაფარულია „მძიმის" ორნამენტით. კ. რივკინი და ო. პინჩო თითბრის ასეთ ფურცლებს XVIII საუკუნით ათარიღებენ, თუმცა თავად სამკლავის ფოლადის ფირფიტა შეიძლება ბევრად უფრო ძველი იყოს. Кирилл Ривкин, Оливер Пинчо, *Оружие и военная история Кавказа* (Запорожье, 2011), 81. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ცალკეული გამონაკლისების გარდა, თითბრის გამოყენება კავკასიაში მხოლოდ ქართულ-ხევსურული იარაღისათვის არის დამახასიათებელი. Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 159.

[664] Gutowski, *Tartar Arms and Armour*, 56-8, figs. 42-49.



სურ. 149
ჩერქეზული სამკლავეები: ა) ექსპონატი 17-25/2 (სემ); ბ) ექსპონატი 79-60/13 (სემ); გდ) ექსპონატები 2505 და 41-26/25 (სემ). ავტორის ფოტოები.

ვაკუთვნე იარაღთმცოდნეობაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით (ასტვაცატურიანი, მილერი, გუტოვსკი, რივკინი და პინჩო). მაგრამ არ შეიძლება არ გამოვთქვა ერთგვარი ეჭვიც: ე.წ. ჩერქეზულორნამენტიანი სამკლავეები საკმაოდ დიდი ოდენობით გვხვდება საქართველოში. ისინი გვხვდება გეოგრაფიულად ფართო არეზე – ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში (ქართლი, კახეთი) და მთის რეგიონებშიც (მთიულეთი, ხევსურეთი) კი. აქ საუბარი არ არის რომელიმე მსხვილ ცენტრში (მაგალითად, თბილისში) საგანგებოდ ჩერქეზეთში საექსპორტოდ დამზადებულ პროდუქციაზე. თუ დასავლეთ საქართველოზე ჩერქეზული გავლენა კიდევ შეიძლება დავუშვათ, აღმოსავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით, მის მთიანეთში, ეს ნაკლებად სავარაუდოა. ძნელი წარმოსადგენია, რომ, მაგალითად, ხევსურეთში მასობრივად დაეწყოთ ჩერქეზული ორნამენტის გამოყენება (თუკი ის მართლაც ექსკლუზიურად ჩერქეზულია). გამორიცხული არ არის, რომ ამჟამად ჩერქეზულად მიჩნეული იარაღის დიდი ნაწილი საქართველოში იყოს დამზადებული, თუმცა ამ საკითხს შემდგომი და საგანგებო კვლევა სჭირდება.[665]

[665] გერმანელი მოგზაური და აღმოსავლეთმცოდნე, რუსეთის აკადემიის წევრი იულიუს კლაპროტი, რომელმაც 1807-8 წლებში იმოგზაურა და დეტალურად აღწერა ჩრდილოეთი კავკასია, წერდა, რომ ჩერქეზები საუკეთესო აბჯარს ყუბაჩსა (დაღესტანი) და აფხაზეთში შოულობდნენ, სხვა იარაღი კი – ნაწილი თურქეთიდან შეჰქონდათ, ნაწილი საქართველოდან. კლაპროტი

სურ. 150
სამკლავის ტყავის ბუდე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

განხილული მასალა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. გვიანდელი ქართული სამკლავე შედგება მკლავის გრძელი ფირფიტისა და ორკომპონენტიანი მოკლე სამაჯურისაგან. ადრეული სამკლავისაგან განსხვავებით, სამაჯური დაპატარავებულია და ორი პატარა ფირფიტისაგან შედგება. სამკლავის სიგრძის შეფარდება სამაჯურთან იშვიათად აღემატება 3:1. მკლავის ფირფიტა სიგრძეში ოდნავ სცილდება იდაყვს და მასაც იცავს. უმთავრესად სამკლავეს 3 წყვილი აბზინდა ჰქონდა, აქედან ქვედა ნაწილში 4 ცალი (ორი დიდ ფირფიტაზე და ორი – პატარაზე), რომელშიც გაყრილი ღვედები მაჯაზე ამაგრებდა სამკლავეს, დიდი ფირფიტის უკანა ნაწილში ორივე მხარეს დამაგრებულ აბზინდებში გაყრილი ღვედი კი – მკლავზე. გარემოს ზემოქმედებისაგან დასაცავად სამკლავეს საგანგებო ტყავის ბუდეში ინახავდნენ. ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატი 990, რომლის ზომა 36X13 სმ-ია, სწორედ ასეთი ბუდე გახლავთ (სურ. 150).

ქართული სამკლავისათვის დამახასიათებელია ფირფიტების გადაბმის ორიგინალური სისტემა: 1) მოზრდილი რგოლებითა და 2) პატარა რგოლებში გაყრილი წკირით (ე.წ. გარეთ გამოტანილი ანჯამით). შედარებით იშვიათად გვხვდება ანჯამებით და, კიდევ უფრო იშვიათად, ჯაჭვის რგოლებით გადაბმა. გარეთ გამოტანილი ანჯამით გადაბმული ფირფიტები სხვაგან

საგანგებოდ უთითებს ხელოსნობის განუვითარებლობაზე და მჭედლების შეზღუდულობაზე ჩერქეზეთში, სადაც უმთავრესად მხოლოდ იარაღის მორთვას მისდევდნენ. Julius Von Klaproth, *Travels in the Caucasus and Georgia*, translated from the German by F. Shoberl (London, 1814), 322-3. ხელოსნობის ასეთივე მდგომარეობას აღწერს ფრანგი ჟაკ დე მარინიც, რომელმაც 1818 და 1823-24 წლებში რამდენიმეგზის იმოგზაურა ჩერქეზეთში. მისი მოწმობით, ჩერქეზების ხელთ არსებული იარაღი ძირითადად იმპორტირებული იყო, რომელსაც ადგილობრივი ოქრომჭედლები მხოლოდ ამშვენებდნენ. Taitbout de Marigny, *Three Voyages in the Black Sea to the Coast of Circassia* (London, 1837), 89-90. რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტმა იოჰან ბლარამბერგმა, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა და საბრძოლო ოპერაციებშიც მონაწილეობდა, გენერალური შტაბის დავალებით შეისწავლა რეგიონის მოსახლეობა და ფუნდამენტური შრომები მიუძღვნა მათ. ბლარამბერგი ადასტურებსა და იმეორებს კლაპროტის ინფორმაციას ჩერქეზეთში იარაღის თურქეთიდან და საქართველოდან იმპორტის შესახებ. იარაღის საყოველთაო მნიშვნელობის ფონზე ბლარამბერგი საგანგებოდ უთითებს მეტალურგიის განუვითარებლობაზე ჩერქეზეთში, აგრეთვე, მჭედლობისა და ხელოსნობის შეზღუდულობასა და მცირე მასშტაბებზე, სადაც მხოლოდ ოქრომჭედლობა იყო განვითარებული. Иоганн Бларамберг, *Историческое, топографическое, статистическое и этнографическое описание Кавказа*, перевод с французского, предисловие, комментарии И.М. Назаровой (Нальчик, 1999), 135-6, 146, 173-4. ინგლისის მთავრობის აგენტი ჯეიმს ბელი, რომელიც 1837-39 წლებში ცხოვრობდა ჩერქეზეთში, მსჯელობს იქაური იარაღის (ჯაჭვი, მუზარადი, მშვილდი) სიძვირეზე, რადგანაც არცერთი მათგანი არ მზადდებოდა ადგილობრივ. James Stanislaus Bell, *Journal of a Residence in Circassia During the Years 1837, 1838, and 1839*, vol. I (London, 1840), 403. შემთხვევითი არ არის, რომ ბოლო ხანებში კავკასიური იარაღის ზოგიერთი კოლექციონერი სულაც მიიჩნევს, რომ „ჩერქეზული იარაღი“ თბილისშია დამზადებული, „ჩერქეზული სტილი“ კი თბილისშია შექმნილი რუსული და ჩერქეზული ბაზრისათვის. Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 82.

სურ. 151
ხევსური მხედარი. თეოდორ ჰორშელტის ნახატი.

არსად შეინიშნება[666] და ასეთი სამკლავეები შეიძლება შეუცდომლად ამოვიცნოთ როგორც ქართული პროდუქტი.[667] ქართული სამკლავეებისათვის ასევე დამახასიათებელია რკინის ფირფიტების კიდეებზე თითბრით[668] ან ზედაპირზე ვერცხლით მორთვა,[669] სპილენძის მოქლონების გამოყენება.

---

[666] ასეთ გადაბმას არ იცნობს ს. დიმიტროვიც, რომელიც სამკლავის ფირფიტებისა და მათი შეერთების მიხედვით სამ ტიპს გამოყოფს. Димитров, "Налакътник от района на Опака," 223-5.

[667] ბაშირ მოჰამედის კოლექციაში მყოფი სამკლავე, რომელზეც კ. რივკინმა მართებულად ამოიცნო ქართული სევადის მორთულობა (Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, fig. 68a), გადაბმულია რგოლებში გაყრილი წკირით, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს მის ქართულობაზე.

[668] არშიამოვლებული სამკლავეები შეინიშნება XX საუკუნის დასაწყისის ხევსურთა ფოტოებზეც და XIX საუკუნის შუახანებში კავკასიაში მყოფი გერმანელი მხატვრის თეოდორ ჰორშელტის მიერ 1868 წელს ჩახატულ ხევსურ ცხენოსანზე, რომლის სამკლავეზე კარგად ჩანს ოქროსფერი ანუ თითბრის არშია. Miller, *Caucasian Arms from the State Hermitage Museum*, 11, fig. 6. (სურ. 151)

[669] ვერცხლის ფურცლებით დეკორატიულად მორთულია სამკლავე, რომელიც 1659 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრემ III-მ (1639-60) გაუგზავნა რუსეთის მეფე ალექსეი მიხეილის ძეს (1645-76). სამკლავის რკინის ფირფიტას კიდეებზე ვერცხლის მოქლონებით დამაგრებული

სურ. 152
ერმიტაჟში დაცული ქართული სამკლავე. კ. სინიავსკის ფოტო.

განსაკუთრებით უხვადაა გამოყენებული თითბერი[670] ხევსურული სამკლავეების ლითონის ფირფიტების დამაგრება-გაფორმებაში.[671]

ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მიერ განხილული სამკლავეები ძირითადად პროვინციული ხელობა გახლავთ და საქართველოს მთიან რეგიონებს მიეკუთვნება. ცხადია, საქართველოს ქალაქებში, იარაღის წარმოების ცენტრებში უმაღლესი არისტოკრატიისათვის ბევრად უფრო დახვეწილი სამკლავეები მზადდებოდა, რისი მაგალითიცაა ერმიტაჟში დაცული XVII საუკუნით დათარიღებული შესანიშნავი ქართული სამკლავე (საინვენტარო ნომერი B.O.-5077), რომელიც ირანული სტილის წაბაძვით არის შექმნილი, ოქროს ზარნიშითაა მორთული და მაჯის ორივე მხარეს ქართულად ორ ნაწილად აწერია *კოსტა + ნტინე* (სურ. 152). ფიქრობენ, რომ ეს ოსტატის სახელია,[672] თუმცა მფლობელის სახელის აბსოლუტური გამორიცხვაც ძნელია. ფოლადის დიდი ფირფიტის სიგრძე 31.6 სმ-ია. სამკლავის ფირფიტები დამახასიათებელი ქართული გადაბმით – რგოლებში გაყრილი წკირით – არის შეკავშირებული. ასეთი დონის ნაკეთობა თბილისში უნდა იყოს დამზადებული. გადაბმის წესი კი იმაზე მიუთითებს, რომ ეს მეთოდი ზოგადქართული ფენომენი იყო და ბარიდან ააღწია მთაში. თავის მხრივ, ხევსურული (და მთიანი რეგიონების) სამკლავეების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ რიგი თავისებურებებისა და გარკვეული უბრალოების მიუხედავად, დღემდე მოიტანა ზოგადად ქართული მჭედლობისათვის დამახასიათებელ ტენდენციები.

ვერცხლის ფურცელი შემოუყვებოდა. სამკლავეს თათმანი ვერცხლის 11 რგოლით ემაგრებოდა და ვერცხლისავე აბზინდები გააჩნდა. *Опись Московской Оружейной палаты*, часть 3, книга 2, 156-7.

[670] თითბერი სპილენძისა და თუთიის შენადნობია, რომელსაც კოროზიისადმი მდგრადობა ახასიათებს. თითბერი გამოირჩეოდა ლამაზი ფერით, სიიაფით, დამუშავების სიმარტივით, გამძლეობითა და მაღალი მექანიკური თვისებებით, რის გამოც მას ფართოდ იყენებდნენ საქართველოს მეზობელ ისლამურ სამყაროში. ირინა გუგუნავა, „გვიანირანული ლითონის კოლექციის ატრიბუციისათვის (ყაჯარული ჭვირული ჭურჭელი)", *სემმ*, IV (2013), 463. თავის ტრაქტატში ვახტანგ VI აღწერს თითბრის მიღებას სპილენძისა და თუთიის მადნისაგან. მისი თქმით, შედეგად „რბილი, ყვითელი კაი თითბერი იქნება". მან ასევე იცის თეთრი თითბრის მიღების ხერხი, რასაც დარიშხანის დამატებით აღწევდნენ. ვახტანგ VI, წიგნი *ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის*, 200-1.

[671] ეროვნულ მუზეუმში დაცული ხევსურული სამკლავეების ჯგუფს ერთნაირი ხელობა აერთიანებს. ხშირ შემთხვევაში უცხოური (ირანული) წარმოშობის ლითონის ფირფიტები გაფორმებულია და ერთმანეთს უკავშირდება ვერცხლითა და თითბრით. ნამუშევარი პროვინციული უბრალოებით გამოირჩევა.

[672] Miller, *Caucasian Arms from the State Hermitage Museum*, 122, fig. 1.

სურ. 153
ჯაჭვის საფუხრეებით აღჭურვილი მებრძოლები: ა) „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 138, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) ვახტანგ გურიელი, დეტალი. კასტელის მიხედვით.

ხელთათმანი

ქართული ენა განარჩევს თითებიან და უთითო ხელთათმანს. თითებიან ხელთათმანს *საბუხარი* (*საფუხარი*) ერქვა, უთითოს, წინდის მაგვარს კი – *თათმანი*.[673]

აბჯრის სხვა ნაწილებთან შედარებით, ჯაჭვის ხელთათმანი უფრო გვიან გაჩნდა. 1170 წლის ვინჩესტერის ბიბლიის მინიატურებში ხელთათმანის შემუშავების პირველი სტადია არის ასახული: ჯაჭვის ჰაუბერკის (პერანგის) მკლავის გაგრძელება ფარავს ხელის ზურგს, მაგრამ არ გადადის თითებზე.[674] პირველი თათმანი ჩანს 1195 წლის დოკუმენტზე დარტყმულ რიჩარდ ლომგულის ბეჭედზე. თათმანი აქ ცალკე ელემენტი კი არ არის, არამედ ჰაუბერკის მკლავის გაგრძელება და ერთგვარი ჩანთაა, რომელსაც მხოლოდ ცერა თითი აქვს. XIV საუკუნეში ხელთათმანი უკვე გამოეყო ძირითად აბჯარს.[675]

მოხრილი ხმლისა და სწრაფი ფარიკაობის გავრცელებამ ხელის მტევნის დაცვის აუცილებლობა საქართველოშიც შექმნა. საქართველოში ფირფიტოვანი აბჯრის ხელთათმანი დადასტურებული არ არის. რაც შეეხება ჯაჭვის ხელთათმანს, ის ორი სახისა გვხვდება: დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ჯაჭვის ხელთათმანი და სამკლავის გაგრძელება, რომელიც ტყავის ან ქსოვილის თათმანზე ზურგიდან დაკრული ჯაჭვია.[676]

---

[673] „*საბუჯარი* – საფუჯარი, ჯელსაცვამი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 22. „საბუჯარი არს ჯირისა ცალის ჯელის გაწყობილი, თითებიანი, ხოლო *თათმანი* – წინდურად ნაქსო(ვ)ი“. იქვე, 240. *ჯირი* ორ-პირად მოქნილი ტყავია. იქვე, 458. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამონმებულია უთითებო „წინდური“ ხელთათმანის სახელწოდება – „ერთბაში“, ხოლო ცერა თითგამოყოფილს „ცალთითა“ ერქვა. ნანობაშვილი, *ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში*, 156-7.

[674] Blair, *European Armour*, 29.

[675] Thordeman, *Armour from the Battle of Wisby*, 232.

[676] ზემოდან აკრავდნენ ჯაჭვს ჩოხის სახელოსაც. „ზოგ შემთხვევაში საფუხრეს როლს ჩოხის სახელოს ენისებური გაგრძელება – ყოში ასრულებდა... იგი იცავდა მაჯას – მეტადრე მაშინ, როდესაც მასზე ჯაჭვი იყო დაკერებული“. კოტე ჩოლოყაშვილი, „ქართული გვარდიის ეროვნული ფორმისათვის“, *მხედარი*, 2 (1991), 9.



სურ. 154
ჯაჭვის ხელთათმანები: ა) საფუხრე (ექსპონატი 15-2003/1); ბ) წყვილი თათმანი (ექსპონატი გ-6-57/1,2); გ) ბრტყელრგოლიანი თათმანი (ექსპონატი 63-62/1). საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტოები.

გ. რადე აღნიშნავს, რომ ხევსურული სამკლავის თათმანი ზოგჯერ ორმაგი ჯაჭვის ფენისაგან იყო გაკეთებული.[677] სამკლავის თათმანს მხოლოდ ცერა თითი ჰქონდა განცალკევებული, დამოუკიდებელი ხელთათმანი კი მთლიანად (ზურგისა და ხელისგულის მხრიდან) ჯაჭვისაგან იყო მოქსოვილი და განცალკევებული შეიძლება ჰქონოდა როგორც ცერა (თათმანი), ასევე ყველა თითიც (საფუხრე). კასტელისა და თავაქარაშვილის ნახატებზე საფუხრეებს ვხედავთ (სურ. 153), საქართველოს ეროვნულ მუზეუმში კი ორივე ტიპის ჯაჭვის ხელთათმანია დაცული. საფუხრე (ექსპონატი 15-2003/1), რომლის ყველა თითი განცალკევებულია, რკინის ფარეშიანი წვრილი რგოლებისაგან არის შედგენილი (4-1 ქსოვით). რგოლების საშუალო გარშემოწერილობა 4.85 მმ-ია. ჯაჭვის წყვილი თათმანი (ექსპონატი გ-6-57/1,2) კი ერთმანეთთან თავმიდებული რკინის მსხვილი რგოლებისაგან არის 4-1 წყობით მოქსოვილი. მუზეუმში კიდევ ერთი საინტერესო თათმანი ინახება[678] (ექსპონატი 63-62/1), რომელიც ჯაჭვის ბრტყელი რგოლებისაგან არის შედგენილი. აქ ერთმანეთს ენაცვლება წვრილი და მსხვილი რგოლების რიგები: წვრილი რგოლები შედუღებულია, მსხვილები კი – თავმიდებული. (სურ. 154)

სახტყელი

ოდითგანვე სარტყელი, პირდაპირი დანიშნულების გარდა, მოსართავისა და მებრძოლის წარჩინების ნიშნის როლს ასრულებდა. ის მიუთითებ-

[677] Радде, *Хевсурия и хевсуры*, 145.

[678] შეძენილია 1962 წელს 50 მანეთად ზ. სოზიაშვილისაგან.

და მფლობელის სოციალურ მდგომარეობაზე.[679] მორთული საბრძოლო სარტყლით გამოირჩეოდნენ მომთაბარეები.[680] ქამარი ყოველთვის იყო ბიზანტიური კოსტუმის მნიშვნელოვანი ელემენტი: ფუნქციური და ესთეტიკური დანიშნულების გარდა, ის თანამდებობრივი ინსიგნიაც იყო. გვიანბიზანტიურ პერიოდში (1204-1453) გვხვდება აღმოსავლური წესით წელზე შემოხვეული ქსოვილიც, რომელიც ქამრის მოვალეობას ასრულებდა.[681]

საქართველოში სარტყელს („წელსარტყამს") შეესატყვისება ქამარი, რომელიც საბას მიხედვით „თურქთა ენაა" და ქართულად *ზოსტერი* ეწოდება.[682] კავკასიაში (და საქართველოში) ორნამენტირებული საბრძოლო სარტყელი, რომელსაც მაგიურ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან დიდი პოპულარობით სარგებლობდა.[683] ჩოფიკაშვილის მიხედვით, საქართველოში სარტყელს ბრინჯაოს ხანიდან ატარებდნენ. ბალთებით შედგენილი სარტყლები მოგვეძევება ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაშიც.[684] სარტყელისათვის საუკეთესოდ ძროხის ტყავი ითვლებოდა. ქამრის მთავარი სამშვენისი ძვირფასი ლითონისაგან (უმთავრესად, ვერცხლი) დამზადებული ბალთები იყო.[685] გვიანდელ საქართველოში ორი ტიპის სარტყელს იყენებდნენ: აღმოსავლურს (წელზე შემოხვეულ ქსოვილს) და კავკასიურს, რომელიც ვერცხლის ბალთებით მორთული წვრილი ტყავის ქამარი იყო.[686]

ნ. ჩოფიკაშვილი თვლის, რომ ფეოდალურ ხანაში ქართული სარტყელი მარტივდება და მხოლოდ აბზინდით შეკრული ტყავის თასმაა.[687] მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში ეს ფორმულირება მართალია, ყველა მაგალითზე მისი განვრცობა შეცდომა იქნებოდა. სწორედ ქართულ ხატებზე დაკვირვების შედეგად გროტოვსკიმ დაადგინა, რომ წმინდა მეომართა კირასის ქვედა კიდეზე ორნამენტებით გაფორმებული და მარგალიტებით მორთული ვიწრო ზოლები იარაღის საკიდი მდიდრული ქამარია.[688] მდიდრული, ძვირფასი ქვებით გაწყობილი სარტყელი უკეთია წმ. გიორგის ბოჭორმის ხატზე (XI ს.).[689] განსაკუთრებით კარგადაა გამოსახული სარტყლები H1665 დავით-

---

[679] Г.В. Кубарев, *Культура древних тюрок Алтая (по материалам погребальных памятников)* (Новосибирск, 2005), 48.

[680] Nicolle, *Attila and the Nomad Hordes*, 8.

[681] Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 65-6.

[682] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 52, 211.

[683] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 120-2, 300-1.

[684] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 109-11. აქვე იხ. ადრე შუასაუკუნეების ქართული სარტყლების მიმოხილვა.

[685] ნანობაშვილი, *ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში*, 156-7.

[686] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 95.

[687] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 109.

[688] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 356-7.

[689] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 162.

სურ. 155
ბოჭორმის ნმ. გიორგის ძვირფასი ქვებით გაწყობილი სარტყელი (ა); უბრალო (ბ) და მდიდრული (გ) ქამრები H1665 დავითნის 182ა და 229ბ მინიატურებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ნის მინიატურებზე, სადაც ჩვეულებრივი ფართო ქამრის გვერდზე მრავლად ვხვდებით გამორჩეულ, მარგალიტებითა და სხვადასხვა ფერადი ქვებით მორთულ ეგზემპლარებს. (სურ. 155)

ფარი

საბას განმარტებით, ფარი არის „დასაფარებელი საჭურველი“.[690] ის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინდივიდუალური დაცვითი საშუალება იყო. ფარი უძველესი თავდაცვითი იარაღია, რომლის გამოყენებაც ადამიანმა აბჯარზე ბევრად ადრე დაიწყო.[691] იგი იცავდა მფლობელს დისტანციური და ხელჩართული ბრძოლის იარაღისაგან. ფარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეითთათვის, რომელთა უპირველეს და ხშირად ერთადერთ თავდასაცავ საშუალებას წარმოადგენდა. ფარის ფორმა მუდმივად იცვლებოდა ტაქტიკისა და ბრძოლის მეთოდების ცვლილების კვალდაკვალ.[692] განსხვავდებოდა მასალაც, რომლისგანაც ფარები მზადდებოდა. ყველაზე უფრო გავრცელებული, ალბათ, ხის ფარი იყო. შუა საუკუნეების ტიპური ხის ფარი შედგებოდა ხის ფიცრებისაგან, რომელზეც ტყავი იყო გადაკრული, ცენტრში ლითონის უმბონით[693] და, ხშირად, კიდეებზე ლითონის სალტით. ზურგზე მას დამაგრებული ჰქონდა სატარებელი ღვედები – ხელში საჭერად და მხარზე საკიდად.[694]

ფარზე გადაკრული ტყავი მას მეტ სიმტკიცეს ანიჭებდა.[695] გადაკვრის

---

[690] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 184.

[691] Kolias, *Byzantinische Waffen*, 88.

[692] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 208.

[693] *უმბონი* ფარის ცენტრში დამაგრებული ლითონის ფირფიტაა, რომელიც დარტყმის მოსაგერიებლად და ხელის მტევნის დასაცავად იყო განკუთვნილი. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 34-5. არჩილი აღწერს ეპიზოდს, როდესაც ფარის უმბონმა (კუბომ) აისხლიტა შუბის ძლიერი დარტყმა, რომელმაც შემდეგ სამკლავე გაუტეხა და დაჭრა მეფე თეიმურაზი: „ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრა ვერ მყო მიწის მთელი, / სამკლავეცა გამიტეხა და დამკოდა მე ნათელი. არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, 80.

[694] ფარის ხელში საჭერ, ჩასაჭიდ ღვედებს *საბღუჯი* ეწოდება.

[695] ამირანდარეჯანიანის სიუჟეტის ამსახველ კედლის მხატვრობაში (ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესია) ავტორი დეტალურად გვიჩვენებს ფარზე გადაკრულ ტყავის კიდეს, რომელიც ფარის

სურ. 156
ფარი ტყავის კიდით, სამაგრი ღვედებითა და ცენტრში ბალიშით. ჩაჟაშის მაცხოვრის ეკლესია. ს. სარჯველაძის ფოტო.

შემდგომ ტყავი იკუმშებოდა (შედგებოდა) და ფარის ხის ფიცრებს ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ აკავშირებდა. ამავე დროს, ტყავგადაკრული ფარი უფრო მძიმე იყო: მხოლოდ ხისგან გაკეთებული დიდი, მრგვალი ფარის წონა 5 კგ-ია, ტყავაგადაკრულისა კი – 7 კგ. თანამედროვე ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ორხელა ნაჯახის ორი დარტყმა საკმარისია ხისგან გაკეთებული ფარის დასამსხვრევად, მაშინ როდესაც ტყავგადაკრულს ექვსი დარტყმა სჭირდება.[696] ზოგადად, ხის ფარი ერთ ბრძოლაზე იყო გათვლილი. დაზიანების შემთხვევაში მას აძრობდნენ ლითონის ნაწილებს და ახალი ფარისათვის იყენებდნენ.[697] ტყავისა და ხის ფარებს საღებავით ფარავდნენ და ზედაპირზე სხვადასხვა გამოსახულებები დაჰქონდათ,[698] ორნამენტული თუ ჰერალდიკური შინაარსის.[699]

უმბონი ფარის სიმძიმის ცენტრში მაგრდებოდა.[700] ქართულად უმბონს *ფარის კუბო* ეწოდებოდა: „გაუხეთქა **კუბო ფარისა**";[701] **„ფარის კუბოს** შუბი მიკრა".[702] VI საუკუნის ბიზანტიური ტრაქტატის *Peri strategias* მიხედვით, ქვეითთა წყობის პირველ რიგში მდგომების ფარები 8 სმ-იანი წვეტიანი უმბონებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. შემდგომ საუკუნეებში უმბონმა ეს წვეტი დაკარგა და პ. გროტოვსკი გამონაკლისის სახით მხოლოდ X საუკუნის მრავალძლის ხატზე გამოსახულ წმ. გიორგის ფარს

უკანა მხარეზეა გადმოსული და სამაგრ ღვედებს. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 141. (სურ. 156)

[696] Short, *Viking Weapons and Combat Techniques*, 32-4, 41.

[697] Stephenson, *Romano-Byzantine Infantry Equipment*, 47.

[698] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 136.

[699] ტ. კოლიასის აზრით, მართლმადიდებლურ ბიზანტიაში გერბების გამოსახვის ტრადიცია ვერ განვითარდა, რადგანაც კულტურულ ცხოვრებაში წამყვანი როლი ეკლესიას ეჭირა და საერო გერბებმა ფეხი ვერ მოიკიდა. Kolias, *Byzantinische Waffen*, 128. ეს მოსაზრება უთუოდ გასათვალისწინებელია შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების მიმართაც, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში გვხვდება ჰერალდიკურად გამართული ფარებიც. ასეთია ჭადრაკულად მოხატული ქართული ფარი, რომელიც წმინდა მეომარს უპყრია XIII ს. ხატზე იფარიდან (სურ. 157).

[700] М.Г. Рабинович, "Из истории русского оружия IX-XV вв.," *Труды института этнографии имени Н. Н. Миклухо-Маклая*, т. I (Москва, 1947), 69.

[701] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 347.

[702] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 80. საბას განმარტებით „მსოფლიონი კუბოდ უჴმობენ... მცირეთ(ა) კონქთა", კონქი კი კამარაა. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 383, 392. გამოდის, რომ ფარის კუბო უმბონია, მას ხომ კონქის ანუ კამარის ფორმა აქვს.

სურ. 157
ჭადრაკულად მოხატული ფარი. XIII ს. ხატი იფარის თემიდან. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი.

ასახელებს წვეტიანი უმბონით.[703] კარგად გამოკვეთილი გრძელი უმბონი აქვს ფეხოსანი წმ. გიორგის ფარს კიდევ ერთ სვანურ ხატზე. როგორც ჩანს, რაღაც ეტაპზე ადრე შუასაუკუნეებში ასეთ ფარებს მართლაც იყენებდა ქართველი ქვეითი. (სურ. 158)

ლაშქრობის დროს ფარს საკიდი ღვედით უკან იკიდებდნენ.[704] ფარის გადაკიდებას ღვედით ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის არმიაში იყენებდნენ.[705] ეს მებრძოლს ხელებს უთავისუფლებდა, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო ქვეითისა და ცხენოსნისათვის. ქართულ წერილობით და იკონოგრაფიულ წყაროებში ფარის ჩამოკიდების ეს ხერხი ხშირადაა აღწერილი. 1049 წელს თურქებთან ბრძოლაში ლიპარიტი „ამხედრდა ცხენსა, გარდაიგდო ოქროთ მოჭედილი ფარი **ბეჭსა ზედა**".[706] ცხადია, რომ ლიპარიტმა მდიდრული ფარი („ოქროთ მოჭედილი")[707] საკიდი ღვედით ბეჭზე მოიგდო. „ბეჭსა ზედა" ატარებს ფარს წმ. გიორგი სეტისა და ჯახუნდერის ხატებზე და წალენჯიხის სამხრეთი კედლის ფრესკაზე.[708] ღვედით დაკიდებას ნიშნავს ფარის ყელზე ჩამოკიდებაც: „შეჯდა ცხენსა, ფარი ყელს ჩამოიკიდა".[709] კისერზე აქვს ჩამოკიდებული კალკანი ავთანდილს თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" 319-ე მინიატურაზე.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული მრგვალი ფორმის ფარი იყო.[710] თავის დროზე, რომაელებმა, გერმანელების ზეგავლენით, ოვალური ფარი მრგვალით შეცვალეს.[711] მრგვალი ფორმის ფარს ცხენოსანი უფრო ად-

სურ. 158
ქართული ფარები წვეტიანი უმბონებით: ა) მრავალძლის წმ. გიორგი. თ. კუნეს ფოტო; ბ) ფეხოსანი წმ. გიორგი. დ. ერმაკოვის ფოტო.

[703] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 218-9, n354.

[704] Kolias, *Byzantinische Waffen*, 121.

[705] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 221.

[706] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები*, 33-4.

[707] შესაძლოა, საქმე გვაქვს მოოქრული სპილენძით დაფარულ ხის ფართან.

[708] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 59-60.

[709] *რუსუდანიანი*, 291.

[710] მრგვალ ფარებს პირველად ვხვდებით ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში „ზღვის ხალხებთან", რომელთაგანაც ის ვრცელდება სამხრეთ ევროპასა და აღმოსავლეთში. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 154-6. ძვ.წ. IX-VII სს. საქართველოში უკვე გვხვდება მრგვალი და ოვალური ფორმის ლითონის პატარა ფარები. იქვე, 159.

[711] Coulston, "Arms and Armour of the Late Roman Army," 22.

ვილად მოიხმარს ორივე მხარეს.[712] მრგვალი ფარები იყო დიდი და პატარა ზომისაც. გვიანდელი პატარა ზომის მრგვალი ფარი უფრო დარტყმის მოსაგერიებლად იყო გამიზნული, ვიდრე სხეულის დასაფარად და ფარიკაობის სწრაფი სტილის გაჩენის ინდიკატორია.[713] სხვა ფორმის ფარებთან შედარებით მრგვალი ფარი უფრო მსუბუქი და მანევრული იყო, თუმცა ის გაცილებით ნაკლებ ფართობს ფარავდა, ვიდრე ნუშისებური ფარი.

XI საუკუნეში ევროპასა და აღმოსავლეთში ფართოდ ვრცელდება ნუშისებური ფარი. მისი თავი მომრგვალებულია, გვერდები კი ძირისკენ ვიწროვდება და ნუშის მსგავსი დამახასიათებელი ფორმა აქვს. ნუშისებურ ფარს მრგვალისაგან მემკვიდრეობით ერგო უმბონი, რომელიც მრგვალ ფარში ხელის საბღუჯის ნახვრეტს ფარავდა. ნუშისებური ფარის უმბონს თავისი თავდაპირველი ფუნქცია დაკარგული ჰქონდა,[714] თუმცა მტრის იარაღის ასასხლეტად მაინც გამოიყენებოდა. XII საუკუნიდან შემორჩენილი ნუშისებური ფარი ციურიხის მუზეუმიდან 15 მმ სისქისაა. მრგვალ ფართან შედარებით ის გრძელი, სქელი და უფრო მძიმე იყო.[715] გრძელი ნუშისებური ფარი ზედმიწევნით კარგი იყო ცხენოსნისათვის, რადგანაც მთელ სიგრძეზე ფარავდა მის ტანსა და მარცხენა ფეხს, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში კი ცხენსაც იფარავდა გვერდიდან.[716] ნუშისებური ფარი ცხენოსანს განიერი ტყავის ღვედით ჰქონდა მხარზე ჩამოკიდებული, რაც საჭიროების შემთხვევაში მარცხენა ხელს უთავისუფლებდა სადავისათვის.[717]

ნუშისებური ფარი, რომელსაც ხშირად „ნორმანულს" უწოდებენ[718] და დასავლეთევროპული ჰგონიათ, ალბათ, სწორედ ბიზანტიიდან გავრცელდა ევროპასა და თავად ნორმანდიაშიც.[719] ტ. კოლიასი ვარაუდობს, რომ ეს X საუკუნის მიწურულს ან XI საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.[720] ილუსტრაციების მიხედვით ნუშისებური ფარი X საუკუნის შუახანებში ჩნდება ბიზანტიაში, XI საუკუნეში კი წამყვანი ადგილი უკავია ცხენოსნისა და ქვეითის შეიარაღებაში.[721] XI საუკუნის პირველი ნახევრიდან ნუშისებური ფარი საქართველოშიც გვხვდება ხიდისთავისა და ბოჭორმის წმ. გიორგის ხატებზე, ადიშის

---

[712] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 101.

[713] Babuin, "Later Byzantine Arms and Armour," 99.

[714] Gravett, *German Medieval Armies*, 44.

[715] Stephenson, *The Late Anglo-Saxon Army*, 77-9.

[716] Gravett, *Hastings*, 22. დევისის აზრით, ნუშისებური ფარი იმდენად ფეხს არ ფარავდა, რამდენადაც ცხენს იცავდა. R. H. C. Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment* (London, 1989), 16. შუა საუკუნეების გამოსახულებებს თუ დავაკვირდებით, მისი აზრის საფუძვლიანობაში დავრწმუნდებით.

[717] Peirce, "Arms, Armour and Warfare in the Eleventh Century," 244.

[718] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 115.

[719] Heath, *Byzantine Armies 886-1118*, 8; Haldon, "Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour," 77.

[720] Kolias, *Byzantinische Waffen*, 108.

[721] Heath, *Byzantine Armies 886-1118*, 8.

ჯგრაგის ეკლესიის დასავლეთი კედლისა და ფავნისის დასავლეთი კედლის წმ. მეომრების ფრესკებზე.[722] ნუშისებურ ფარებს ვხედავთ დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრის სამლოცველოში XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე გამოსახული ორი წმინდა მეომრის შეიარაღებაშიც.[723] ნუშისებური ფარი აქვს წმ. გიორგის ვარძიის სამხრეთი კედლის სარკმლის ნიშაში (XII ს.)[724] (სურ. 159). ასეთი ფარი, წაგრძელებული შუბით ბრძოლის სტილთან ერთად, ბიზანტიიდან შემოსული ჩანს.[725]

ვიკინგების მრგვალი ფარის დიამეტრი 70-90 სმ იყო.[726] ასეთივეა ბიზანტიური მრგვალი ფარის დიამეტრიც – 75-90 სმ, ნუშისებური ფარის სიმაღლე კი 95-110 სმ-ს აღწევდა.[727] გამოსახულებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, X-XIII სს. ქართული ფარის – მრგვალისა და ნუშისებურის – ზომებიც დაახლოებით ამ მონაცემებს შეესაბამება. არსებობდა კიდევ უფრო დიდი ზომის ფარები. წალენჯიხის ეკლესიაში XIV ს. ფრესკაზე გამოსახული წმინდა მეომრებიდან ორი ქვეითი წმინდანი დიდი, მკვეთრად ამობურცული ფარით არის შეიარაღებული[728] (სურ. 160). ეს გრძელი ფარები ემსგავსება *პავეზას*, შუა საუკუნეების ევროპულ მართკუთხა, დიდი ზომის ფარს, რომელიც მთელ სხეულს ფარავდა. შესაძლოა, აქ *დელამფარი* იყოს გამოსახული, რომელიც ქართულ ხალხურ პოეზიასა და გადმოცემებში გვხვდება. დელამფარი დიდი ზომის ხის ფარი იყო, რომელსაც ისრებისაგან თავდასაცავად იყენებდნენ.[729] ის განსაკუთრებით გამოსადეგი იყო ქვეითი ჯარისათვის საალყო მოქმედებების დროს.



სურ. 159
წმ. გიორგი ნუშისებური ფარით. ვარძიის სამხრეთი კედელი. ავტორის ფოტო.

ევროპასა და აზიაში აბჯრის დამძიმებამ ფარის დაპატარავება და შემ-

---

[722] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 59.

[723] *დავით გარეჯის მონასტრები: ლავრა, უდაბნო*, 99.

[724] *Ancient Monuments of Georgia: Vardzia*, ed. by Ghivi Gaprindashvili (Leningrad, 1975), pl. 124.

[725] საინტერესოა, რომ ძვ.წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე ქსენოფონტი ნუშისებური (იგივე სუროს ფოთლის) ფორმის ფარებს აღწერს „ანაბასისში" ერთ-ერთ ქართულ ტომთან შეხვედრისას: შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე მოსინიკების „ყოველ [მეომარს] ხელში ეკავა სუროს ფოთლის მსგავსი ფარი". თეიმურაზ მიქელაძე, *ქსენოფონტის „ანაბასისი" (ცნობები ქართველი ტომების შესახებ)* (თბილისი, 1967), 100. როგორც ჩანს, ფარის ეს ფორმა შავი ზღვის რეგიონში ჯერ კიდევ ძველ დროში არსებობდა.

[726] Short, *Viking Weapons and Combat Techniques*, 29.

[727] Dawson, *Byzantine Infantryman*, 23.

[728] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, 86-7.

[729] Елашвили, *Парикаоба (Хевсурское фехтование)*, 80.

სურ. 160
დიდი ზომის მართკუთხა ფარებით შეიარაღებული ნმინდა მეომრები. ნალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია. ს. სარჯველაძის ფოტო.

სუბუქება გამოიწვია.[730] რაინდის ფარი ყველაზე დიდია XII საუკუნის მესამე მეოთხედში, შემდეგ კი ნელ-ნელა პატარავდება.[731] XII საუკუნის მიწურულიდან ნუშისებური ფარი ზომაში მცირდება, XIII ს. მეორე მეოთხედიდან კი ის სულ უფრო სამკუთხა ფორმას იღებს. შემცირებული ზომის ფარი დაცვის პასიური საშუალებიდან უფრო მანევრული ხდება.[732] XII საუკუნის ბიზანტიაში დასავლეთ ევროპიდან პატარა ზომის სამკუთხა ფარი ვრცელდება, რომელთა გამოსახულებებმა, გროტოვსკის შეხედულებით, ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში და მიმდებარე ტერიტორიებზე.[733] მიუხედავად ამ მოსაზრებისა, სამკუთხა ფარს მაინც ვხვდებით საქართველოში. ჯრუჭის II ოთხთავის 77r მინიატურაზე სამკუთხა ფარია გამოსახული (სურ. 161). დაპატარავებული, გარდამავალი ფორმის (ნუშისებურიდან სამკუთხაზე) ფარი გვხვდება მოქვის 1300 წლის სახარებაში 101v მინიატურაზე (მენელსაცხებლე დედანი უფლის საფლავთან), 102r მინიატურაზე (მღვდელმთავრის მიერ

[730] Рабинович, "Из истории русского оружия IX-XV вв.," 70-1.

[731] Nicolle, *Knight of Outremer*, 51.

[732] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 38-9.

[733] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 234-6.

მცველთა მოსყიდვა) კი ორი ასეთი ფარია გამოსახული.[734]

XIV საუკუნის საქართველოში ნუშისებურ ფარს უკვე აღარ იყენებენ. H1665 დავითნის მინიატურებზე ძირითადად მრგვალი ფარებია გამოსახული (ორგვარი: საკმაოდ დიდი დიამეტრისა და უფრო მომცრო). თუმცა, რამდენიმე მინიატურაზე ნუშისებური ფარიც გვხვდება. საყურადღებოა, რომ ყველგან, სადაც კი ქმედება ან ბრძოლაა გადმოცემული – მრგვალ ფარს ვხვდებით, ნუშისებური კი მხოლოდ რიტუალურ სცენებშია გამოყენებული. მართებულია ლ. შერვაშიძის დასკვნა, რომ ამ დროისათვის ნუშისებურ ფარს ფუნქცია აქვს დაკარგული და მრგვალითაა ჩანაცვლებული.[735] აბჯრის გაძლიერებასთან ერთად, ამ მოვლენას მოხრილი ხმლისა და ხელჩართული ბრძოლის სწრაფი მანერის გავრცელება გამოიწვევდა, როდესაც ხმლის მოგერიება ფარის სწრაფი შეგებებით გახდა აუცილებელი.

სურ. 161
სამკუთხა ფარი ჯრუჭის II ოთხთავის 77r მინიატურაზე. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ფარით მოგერიების ამ მანერამ თეორიაშიც ჰპოვა ასახვა. 1788 წლის ცხენის კარაბადინი მებრძოლს ფარით აქტიურ მოგერიებას ურჩევს, რისი წყალობითაც დარტყმის ამორტიზება და, ზოგჯერ, მოწინააღმდეგის განიარაღებაც კი იყო შესაძლებელი: „და ფარი რომელიც მკლავზედ გაქვს შენს წინიდამ მოშორებით შეინახე, და შენს თავს ნუ დაადაბლებ და მოაფარებ თავსა ფარსა, მაშ ფარი აამაღლე და თავი ისე დაიფარე. და თუ ფარს ღონიერი რამ ეცეს, მაშინ არ იპოვნოს ფარმა შენს ტანზედ ადგილი და არა გატკინოს რა: მაშ როდესაც მკლავს გეცეს საცემი, მაშინ ის საცემი და შუბი მტერს ხელიდამ გავარდება შენის ფარის კარგად მომარჯვებით".[736] შემდგომში, ხევსურულ ფარიკაობაში, ფარის შეგებებით დარტყმის მოგერიების ილეთები აღწერა ვ. ელაშვილმა.[737] ასეთი აგრესიული მოგერიებისათვის მომცრო ზომის ფარი უფრო გამოსადეგი იყო.

ხის ფარის გვერდით ყოველთვის არსებობდა ე.წ. დაწნული ფარი, რომელიც დრეკადი წნელებისაგან იყო დამზადებული და განსაკუთრებული

---

[734] *მოქვის სახარება*, ტექსტი ნინო ქავთარიასი (თბილისი, 2012), 155-6.

[735] Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 60-1.

[736] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია, ხელნაწერი 2156, ცხენის კარაბადინი, 27r.

[737] Елашвили, *Парикаоба (Хевсурское фехтование)*, 65-9.

პოპულარობით აზიის ვრცელ კონტინენტზე სარგებლობდა. შუა საუკუნეებში მცირე აზიასა და აღმოსავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე მონღოლებმა გაავრცელეს დაწნული ფარის ახალი ტიპი ლითონის უმბონით, რომლის წნელები ძაფებით იყო შეკავშირებული.[738] მისი შემდგომი პოპულარობა XVI-XVII საუკუნეებში უკვე ოსმალთა დაპყრობებთანაა დაკავშირებული.[739] დაწნული ფარის ამ ტიპს *კალკანი* ეწოდება. თურქული ტერმინი *კალკანი* მოდის სიტყვიდან *ხალხა*, რომლითაც მონღოლები ფარს აღნიშნავდნენ და რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობილია ზმნიდან „ხალხასუნ", რაც მოწვნას ნიშნავს.[740]

კალკანი 50-70 სმ დიამეტრის სპირალურად დაწნული ლერწმის ფარია, რომლის წნელებიც აბრეშუმის ძაფებითაა შეკავშირებული. ძაფი ქმნის ლამაზ ფერად დეკორს ფარზე. კალკანს ცენტრში აქვს ლითონის უმბონი, რომელიც ფარის კონსტრუქციის საფუძველია, ხშირად კი – დამატებითი ლითონის კოპები. უკანა მხრიდან ფარს ქსოვილის სადები ეკვროდა, კოპებს კი – საბღუჯი და საკიდი ღვედები ემაგრებოდა. უმბონის ქვეშ დარტყმის შესარბილებლად ბალიში იყო მოთავსებული. ძირითად დარტყმას ლითონის უმბონი იღებდა, საიდანაც დაცურებულსა და ძალადაკარგულს, წნელები ზამბარასავით ისხლეტდნენ.[741] კალკანი დრეკადი, მსუბუქი და საიმედო ფარი იყო.[742] ის განსაკუთრებით ეფექტური იყო ისრებისაგან თავის დასაცავად. თურქული და ირანული დაწნული ფარები, თავისი მაღალი საბრძოლო თვისებების გამო, XV-XVII საუკუნეებში ცენტრალურ ევროპასა და აღმოსავლეთში ლითონის ფარზე ნაკლებად არ ფასობდა.[743]

მ. გორელიკი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მონღოლური პანოპლიის შესწავლის საქმეში, თვლის, რომ ოქროს ურდოს ტერიტორიაზე მოხდა კალკანის შემდგომი განვითარება, რაც გამოიხატა მის გაძლიერებაში უმბონზე გადაჯვარედინებული ლითონის ორი ზოლითა და კონცენტრულად დამაგრებული რკინის ლარტყებით. ფარის ასეთი ნარჩენები ყველაზე მრავლად კავკასიონის ქედის ჩრდილო-დასავლეთითაა ნაპოვნი.[744] კონცენ-

---

[738] Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 36; Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 135.

[739] М.В. Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," *"Восток-Запад": диалог культур Евразии*, вып. 4 (Казань, 2004), 188.

[740] Горелик, "Ранний монгольский доспех," 197; მისივე, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 187.

[741] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 76; Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 183.

[742] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина," 135.

[743] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 71.

[744] М.В. Горелик, "Адыги в Южном Поднепровье (2-я половина XIII в. - 1-я половина XIV в.)," *МИАСК*, вып. 3 (Армавир, 2004), 294-6, рис. 1; Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 185-8, рис. 3. დღეისათვის ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უკვე 20-ზე მეტი ლითონით გაძლიერებული ფარის დეტალებია ნაპოვნი. დაწვრილებით იხ. Р.Б. Схатум, "Щит в комплексе вооружения оседлых племен Северо-Западного Кавказа в золотоордынский период," *Материалы и*

ტრული და რადიალური ლითონის ზოლებით ფარების გამაგრება ფართოდ გავრცელდა მთელ აზიაში და მათ კვალს ვპოულობთ ტიბეტურ, ქურთულ, ჩინურ და სხვა ფარებზე.[745] განიხილავს რა კალკანის გენეზისს, გორელიკი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფარის გამაგრების ეს სისტემა მონღოლებს ევროპიდან უნდა გადმოეღოთ. ის XIII საუკუნის მეორე ნახევარში შავ ზღვაზე იტალიური ფაქტორიების მეშვეობით გავრცელდა ოქროს ურდოში და შემდეგ – ილხანთა სამფლობელოებში.[746]



სურ. 162
ტიბეტური ფარი. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი.

გორელიკი ასევე მიიჩნევს, რომ ქართული ფარების ერთი ჯგუფი კალკანის დერივატია. ასეთია, მისი აზრით, ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული ფარები, რომელთა უმბონი გადაჯვარედინებული ლითონის ზოლებითაა გამაგრებული, სვანური ფარი ჯანაშიას მუზეუმიდან, რომელსაც ის XVII-XVIII საუკუნეებს აკუთვნებს და რომლის რკინის დეტალები ოქროს ურდოს სამარხებში ნაპოვნის მსგავსია.[747] მისი სამართლიანი დაკვირვებით, XVII საუკუნის შემდეგ ხევსურულ და ვაინახურ ფარებში ზომის შემცირებასთან ერთად რკინის მოჭედილობა ისე ვითარდება, რომ ხის ფუძე ზედმეტი ხდება და რჩება მხოლოდ სქელი მაგარი ტყავი.[748]

მ. გორელიკის მიერ მოყვანილი ნიმუშები მართლაც ბევრი რამით ჰგავს ქართულ ფარებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ტიბეტურ ფარებზე,[749] რომლებმაც, ქართული ფარების მსგავსად, დღემდე მოაღწიეს[750] (სურ. 162). ბუნებრივია, ასეთი მსგავსება ერთმანეთისაგან დაშორებულ ისეთ ქვეყნებს შორის, როგორიცაა ტიბეტი და საქართველო, საერთო შეხების წერტილებზე უნდა მიუთითებდეს. სწორედ მონღოლთა იმპერია უნდა ყოფილიყო ის

исследования по археологии Кубани, 3 (2003), 223, рис. 1-6; მისივე, "Защитное вооружение адыгов в золотоордынское время (вторая половина XIII-XIV вв.)," *Военная Археология*, 2 (2011), 194-6, рис. 5, 6.

[745] Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 189-91.

[746] იქვე, 193-4, სურ. 9.

[747] ავტორი აღნიშნავს კალკანთან შედარებით სვანური ფარის განსხვავებასაც, რომელიც ტყავგადაკრული ხეა და არა ძაფითა და წნელით მოწნული. Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 188.

[748] იქვე, 188-9. აქვე დავამატებ, რომ შემდგომში ლითონი მთლიანად ჩაანაცვლებს ტყავს და ვიღებთ ლითონით შეკრულ-შეჭედილ ლითონის ფარს. იხ. კოტე ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", *სსმმ*, XVIII-B (1954), 227-8, სურ. 3.

[749] სურ. 162 შეადარე სურ. 163-ს და 164-ს.

[750] Donald J. LaRocca, *Warriors of the Himalayas: Rediscovering the Arms and Armor of Tibet* (New York, 2006), 14, 92-4, fig. 9, 24.

სურ. 163
სვანური ფარი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ავტორის ფოტო.

სივრცე, სადაც ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებს ასეთი საერთო გაუჩნდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვთვლი, რომ ქართული და აზიაში გავრცელებული ფარების გამაგრების სისტემის კვალი სხვაგან არის საძიებელი და ის უფრო ძველ ტრადიციაზე უნდა მეტყველებდეს.

პირველ ყოვლისა, განვიხილოთ ჩვენს ხელთ არსებული ქართული ფარების ნიმუშები. ჩვენამდე მოაღწია ორმა ერთნაირმა ხის ფარმა, რომლებიც განსაკუთრებული ფორმის გამო ყოველთვის იპყრობდნენ მნახველის ყურადღებას. ორივე მათგანი სვანეთიდანაა. ერთი თბილისში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული და 1925 წელს პროფ. გ. ჩიტაიას მიერაა სვანეთიდან ჩამოტანილი, სადაც ის სოფ. სასაშის ეკლესიაში (ლაშხეთის თემი) ინახებოდა. ეკლესიაში შენახულ ფარში ისარი იყო ჩასობილი. ეს ძველი სვანური ტრადიციის კვალია, როდესაც დღესასწაულებზე ეკლესიიდან გამოჰქონდათ შეწირული ფარები და მიზანში ესროდნენ,[751] ხოლო ისარი იმ ეპოქაზე უნდა მიუთითებდეს, როდესაც მშვილდი ცეცხლსასროლ იარაღზე უფრო პოპულარული იყო.[752] ფარის ხის საფუძველზე მოყავისფრო ფერის ტყავია გადაკრული, მისი დიამეტრი 50 სმ-ია, სისქე კი – 1 სმ. ლითო-

---

[751] ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", 252.

[752] ელდარ ნადირაძე, მამუკა ქაფიანიძე, „სვანური საბრძოლო იარაღის ისტორიიდან", *სვანეთი*, III (2008), 59. ავტორთა ეს მოსაზრება დამაჯერებელია და ფარების ეს კონკრეტული ნიმუშები XVI-XVII საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს, ყოველ შემთხვევაში ზედა ზღვარი XVII საუკუნეს არ უნდა გასცდეს, რადგანაც XVIII საუკუნეში კაჟის ჩახმახიანმა ცეცხლსასროლმა იარაღმა პრაქტიკულად სრულად განდევნა მშვილდი შეიარაღებიდან. ისე რომ, როდესაც 1747 წელს ქართლ-კახეთის მეფეებმა მშვილდით ნადირობა მოინდომეს, ეს იარაღი არავის აღმოაჩნდა. პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, 119.

სურ. 164
სვანური ფარი მესტიის მუზეუმში. მ. ქაფიანიძის ფოტო.

ნის ცენტრალური დისკოს დიამეტრი 4.5 სმ-ია. ფარის ცენტრიდან სხივებად გამოდის რკინის 19 წვრილი ზოლი, რომლებიც კომპოზიციურად მზის სახეს ქმნიან. რკინის სიმების რომბისებური გაგანიერებები სამსჭვლებითაა ფარზე დამაგრებული. თითოეულ ზოლს სამი ასეთი რომბი აქვს, რომლებიც სამ კონცენტრულ წრეს ქმნიან. ფარს კიდეებზე შემოვლებული აქვს ლითონის კოპლები. ფარის ზურგზე დამაგრებულია ლითონის საბღუჯი, რომელზეც ტყავია დახვეული[753] (სურ. 163). სვანეთში, მესტიის მუზეუმში დაცული მეორე ფარი ფაქტობრივად ზემოაღწერილი ფარის ანალოგია, მხოლოდ ის მეტი ოსტატობითა და გულმოდგინებითაა შესრულებული: მზის სახეს აქ 19-ის ნაცვლად 38 ლითონის ზოლი ქმნის (3 მათგანი დაკარგულია), სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან სამსიმიანი და ერთსიმიანი ზოლები (სურ. 164).

როგორც უკვე ითქვა, მ. გორელიკი ამ ფარებს კალკანის დერივატად მიიჩნევს და მათ გავრცელებას მონღოლებს უკავშირებს. მისი მოსაზრების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ იკონოგრაფიაში გამაგრებული ფარების უფრო ადრეული ნიმუშები მოიპოვება და, ამასთან ერთად, საინტერესო კანონზომიერება და ტენდენციები შეინიშნება: X საუკუნის ფარების გამოსახულებებზე კონცენტრული წრეები არცერთხელ არ გვხვდება და მრგვალი ფარები შუაში უმბონით, სადა ზედაპირითა და კიდეზე სალტით ხასიათდებიან (წმ. გიორგი და წმ. თევდორე მრავალძლის, ჩუკულისა და ჩიხარეშის ხატებზე, დიოკლეტიანე მრავალძლის წმ. გიორგის ხატზე) (სურ. 165ა). XI საუკუნეში მდგომარეობა იცვლება და ჩნდება ნუშისებური ფარები ლითონის დანაკერებით (ხიდისთავის

[753] ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", 228; ნადირაძე, ქაფიანიძე, „სვანური საბრძოლო იარაღის ისტორიიდან", 58.

წმ. გიორგისა და ბოჭორმის წმ. გიორგის ხატი)[754] (სურ. 165ბ) და მრგვალი ფარები კონცენტრული წრეებითა და ლითონის დანაკერებით, როგორებიცაა ლაშთხვერის, ჯახუნდერისა და სეტის წმ. გიორგის ხატები[755] (სურ. 165გდე). სეტის ხატზე წმინდანიცა და დიოკლეტიანეც აღჭურვილია დიდი ზომის მრგვალი ფარებით კონცენტრული წრეებითა და რადიალური სხივებით. XII საუკუნის მურყმერის საკურთხევლისწინა ჯვარზე გამოსახულია წმ. მეომრები ფარზე რადიალური სხივებით (მარცხნივ) და კონცენტრული წრეებით (მარჯვნივ)[756] (სურ. 165ვ). ორივე ამ ნიშანს ვხვდებით ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვარის წმ. მხედრების ფარებზე[757] (სურ. 165ზ). XII საუკუნის წმ. გიორგის ნუშისებური ფარის უმბონზე ლითონის ლარტყებია გადაჯვარედინებული (სურ. 165თ), ჯრუჭის II ოთხთავის 21v მინიატურაზე კი მცველის მრგვალ ფარზე ლითონის რადიალურ სხივებს ვხედავთ (სურ. 165ი). რადიალურად გამომავალი ლითონის სხივებით, რომლებიც გეომეტრიულ ორნამენტს ქმნიან, არის შემკული XII-XIII საუკუნეების ლაჰილის წმ. დიმიტრის მრგვალი ფარი[758] (სურ. 165კ), განსხვავებით ტიმოთესუბნის მონასტრის დასავლეთის მკლავის 1205-15 წლების მხატვრობისაგან, სადაც წმ. მეომრების ფარი ლითონის მარტივი ტიპის რადიალური სხივებით არის გამაგრებული[759] (სურ. 165ლ).

კონცენტრული და რადიალური ლითონის ზოლებით გამაგრებული ფარები მრავლად მოიძებნება მომდევნო ეპოქის საქართველოშიც: ასეთია საფარის მონასტრის XIV საუკუნის დასაწყისის წმ. დიმიტრის ფრესკა ფარით, რომელზეც რადიალური სხივები კონცენტრულ წრეებსაც ქმნის, ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია დღემდე მოღწეული სვანური ფარებისათვის (სურ. 165მ). ამავე საუკუნის სვიფის წმ. გიორგის (ჯგრაგის) ეკლესიის დასავლეთის კედელზე უფლის საფლავის მცველის ფარის უმბონი ჯვარედინად გადაჭედილია ლითონის ლარტყებით და კიდეზე შემოუყვება ლითონის სალტე[760] (სურ. 165ნ). XIV საუკუნის მეორე ნახევრის დავითნის ნადირობის მინიატურაზე კი ვხედავთ მონადირეებს მრგვალ ფარებზე რადიალური სხივებით[761] (სურ. 165ო), რომელთა წინაპარი ადვილად შეიძლება აღმოვაჩინოთ ჯახუნდერის ხატზე. ასევე, XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკაზე წმ. დიმიტრი და ჩრდილოეთის ფასადზე ამირანდარეჯანიანის გმირები

---

[754] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 256-9, 429-44, таб. 153, 162.

[755] იქვე, 260-2, 352-4, 330-3, ტაბ. 152, 188, 182.

[756] იქვე, 335.

[757] რიგი ადრეული ნიშნების მიუხედავად, ის XII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. იქვე, 524-5, ტაბ. 470, 475.

[758] იქვე, 261, ტაბ. 432.

[759] Привалова, *Роспись Тимотесубани*, 112-24.

[760] *ზემო სვანეთი*, 220.

[761] იმავე დავითნის სხვა მინიატურებზეც უმთავრესად ასეთი ფარებია გამოსახული.



სურ. 165

ქართული ფარები: ა) წმ. გიორგი და წმ. თევდორე მრგვალი სადა ფარებით მრავალძლის ხატზე; ბ) ხიდისთავის წმ. გიორგი ნუშისებურ ფარზე ლითონის დანაკერებით; გ) ლაშთხვერის წმ. გიორგის ფარი კონცენტრული წრეებით; დ) ჯახუნდერის წმ. გიორგის ფარი; ე) სეტის წმ. გიორგისა და დიოკლეტიანეს ფარები კონცენტრული წრეებითა და რადიალური სხივებით; ვ) მურყმერის საკურთხეველისწინა ჯვარის წმ. მეომრები ფარზე რადიალური სხივებითა (მარცხნივ) და კონცენტრული წრეებით (მარჯვნივ); ზ) ლანჩვანის საკურთხეველისწინა ჯვარის წმ. მხედარი ფარზე კონცენტრული წრეებითა და რადიალური სხივებით; თ) წმ. გიორგის ფარი გადაჯვარედინებული ლარტყებით; ი) ჯვარისკაცი მრგვალ ფარზე რადიალური სხივებით ჯრუჭის II ოთხთავის 21v მინიატურაზე; კ) ლაჰილის წმ. დიმიტრის ფარი რადიალურად გამომავალი ლითონის სხივებით; ლ) ტბიმოთესუბნის წმ. მეომრები ლითონის რადიალური სხივებით გამავრებული მრგვალი ფარით; მ) საფარის წმ. დიმიტრი ფარით, რომელზეც რადიალური სხივები კონცენტრულ წრეებს ქმნის; ნ) უფლის საფლავის მცველის ფარი სვიფის წმ. გიორგის ეკლესიაში; ო) მონადირეები მრგვალ ფარებზე რადიალური სხივებით H1665 დავითნის 195v მინიატურაზე; პ) ლაშთხვერის წმ. დიმიტრი ჯვარედინად გადაჭედილი უმბონიანი ფარით; ჟ) ამირანდარეჯანიანის გმირები ჯვარედინად გადაჭედილი უმბონიანი ფარებით ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფრესკაზე.

გამოსახულნი არიან ჯვარედინად გადაჭედილი უმბონიანი ფარებით (სურ. 165პ).

როგორც ვხედავთ, საქართველოში ლითონის ლარტყებით გამაგრებული ფარები მონღოლებამდე ბევრად ადრე ჩნდება. მაგრამ საქართველო არ ყოფილა ერთადერთი ქვეყანა, სადაც ლითონით გაძლიერებული ფარები გავრცელდა. იგივე პროცესები დროის დაახლოებით იმავე შუალედში მიმდინარეობდა მეზობელ ბიზანტიის იმპერიაშიც.[762]

ბიზანტიური ფარის ლითონით გამაგრების ერთ-ერთ უადრესი ნიმუშია ვატიკანში დაცული X-XI სს. სპილოს ძვლის ტრიპტიქი, რომლის ფრთებზე წმ. თევდორე სტრატილატი და წმ. თევდორე ტირონი არიან გამოსახულნი რადიალური სხივებით დაყოფილი ფარებით[763] (სურ. 166ა). ასეთივე, უმბონიდან რადიალურად გამომავალი ლითონის სხივებიანი ფარითაა გამოსახული წმ. დიმიტრი XI საუკუნის შუახანებში წმ. თევდორეს (ტაგარი) ეკლესიაში სოფელ იეშილოზში,[764] რაც უკვე ჩამოყალიბებულ ფარის ტიპზე მეტყველებს (სურ. 166ბ).[765] უმბონზე გადაჯვარედინებული ლითონის დეკორატიული ლარტყები უნდა იყოს გამოსახული წმ. იერონის მრგვალ ფარზე ტოკალი ქილისეს (კაპადოკია) XI საუკუნის ფრესკაზე[766] (სურ. 166გ) და იმპერატორის გვარდიელის ნუშისებურ ფარზე XII საუკუნის სკილიცეს 28v მინიატურაზე.[767] კარსი ქილისე (წმ. იოანეს ეკლესია) გულშეჰირში, რომელიც აფსიდის წარწერის მიხედვით 1212 წლით თარიღდება,[768] მორთულია ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სცენებით. ღალატის სცენაში გამოსახული ფარი (სურ. 166დ),[769] ისევე როგორც სკილიცეს 175r მინიატურის ფარები,[770] ჯახ-

---

[762] სამხედრო აღჭურვილობის დარგში ქართულ-ბიზანტიური კავშირებისათვის იხ. Mamuka Tsurtsumia, "The Evolution of Splint Armour in Georgia and Byzantium: Lamellar and Scale Armour in the 10th-12th Centuries," *Byzantina Symmeikta*, 21 (2011), 65-99; მისივე, "Τριβολος: A Byzantine Landmine," *Byzantion*, 82 (2012), 415-22. ჩვენ გაგვაჩნია მოწმობა, რომ ეს ორი მახლობელი კულტურა ერთმანეთზე გავლენას მეომრის პანოპლიის ისეთ ნაწილზეც ახდენდა, როგორიც ფარი იყო. პ. გროტოვსკის აზრით, X საუკუნის *სვიდას ბიზანტიურ ენციკლოპედიაში* მოხსენიებული ფარის ტიპი *ეუფოროს*, რაც იოლად სატარებელს ნიშნავს, ქართული მსუბუქი ფარიდან იღებს სათავეს. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 213, n331; "Εὔφορος," *Suda On Line*, tr. Catharine Roth. http://www.stoa.org/sol-entries//epsilon//3802, (6 August 2006).

[763] Annemarie Weyl Carr, "Popular Imagery," in *The Glory of Byzantium: Art and Culture of the Middle Byzantine Era A.D. 843-1261*, ed. by Helen C. Evans and William D. Wixom (New York, 2006), 131-2, fig. 79.

[764] Robert G. Ousterhout, *A Byzantine Settlement in Cappadocia* (Washington, 2005), 169.

[765] ჩემი გულწრფელი მადლობა ანდრეა ბაბუინს ამ და სხვა ფოტოების უშურველად გაზიარებისათვის.

[766] Ann Wharton Epstein, *Tokali Kilise: Tenth-Century Metropolitan Art in Byzantine Cappadocia* (Washington, 1986), 61.

[767] Vasiliki Tsamakda, *The Illustrated Chronicle of Ioannes Skylitzes in Madrid* (Leiden, 2002), 68-9, fig. 54.

[768] Senem Suzek, "The Decoration of Cave Churches in Cappadocia under Selçuk Rule" (MA Thesis, University of Notre Dame, Indiana, 2008), 17-20, fig. 20.

[769] მათი წითური თმა-წვერისა და გრძელი ცულების გამო, რ. დ'ამატო ფიქრობს, რომ ისინი ვარანგი გვარდიელები არიან. Raffaele D'Amato, *The Varangian Guard 988-1453* (Oxford, 2010), 12.

[770] Tsamakda, *The Illustrated Chronicle of Ioannes Skylitzes*, 213, fig. 441.



სურ. 166
ბიზანტიური ფარები: ა) წმ. თევდორე სტრატილატი რადიალური სხივებით დაყოფილი ფარით ვატიკანის ტრიპტიქზე; ბ) იეშილოზის წმ. დიმიტრი უმბონიდან რადიალურად გამომავალი ლითონის ზოლებიანი ფარით; გ) წმ. იერონის ფარი უმბონზე გადაჯვარედინებული ლითონის ლარტყებით ტოკალი ქილისეში; დ) ფარი კონცენტრული წრეებითა და ლითონის დანაკერებით კარსი ქილისეს ღალატის სცენაში.

უნდერის წმ. გიორგის ხატისა და H1665 დავითნის მინიატურების ფარების ანალოგიურია.

ბიზანტიურ-ქართული თანამშრომლობა კიდევ უფრო ღრმა და ადრეული შეიძლება იყოს. მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცულ ვერცხლის ლანგარზე, რომელიც 629/30 წლებში ჰერაკლე იმპერატორის შეკვეთით უნდა იყოს დამზადებული, დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლაა გამოსახული (სურ. 167ა). დავითის მარცხნივ მდგომი ჯარისკაცის ფარი მეტად ჰგავს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთ ფარს (ექსპონატი 1160,[771] სურ. 167ბ), რომელიც ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად ზემოგანხილულ სვანური ფარების ტიპს მიეკუთვნება.[772] ფარის დიამეტრია 59 სმ და წარმოადგენს ტყავგადაკრულ ხეს, რომელსაც კიდეზე ლითონის სალტე შემოუყვება, ცენტრში აქვს უმბონი, რომლიდანაც 6 მოკლე სხივი გამოდის. ფარზე მანჭვლებით დამაგრებულია ლითონის წვრილი დეტალები, რომლებიც ყვავილოვან და ჯვრის ორნამენტს ქმნიან და კონცენტრულ წრეებად არიან ზედაპირზე განლაგებულნი. ფარს ზურგზეც აქვს ტყავი გადაკრული და შემორჩენილი აქვს ტყავის საბღუჯის ნაშთი საკიდი თასმით.

ლანგარზე გამოსახული ბიზანტიელი ჯარისკაცის ფარი, ალბათ, უბრალოდ მოხატულია და არა რკინის დანაკერებით გამაგრებული, მაგრამ წვრილი ორნამენტით შექმნილი დეკორატ\იული მოტივი შემდგომშიც გვხ-

[771] სამწუხაროდ, ფარი დეპასპორტიზებულია და მისი წარმომავლობა და მუზეუმში მოხვედრის გარემოებები უცნობია.

[772] ამავე დროს, მისი ზედაპირის ორნამენტი, რომელსაც ლითონი ქმნის, სრულიად განსხვავებულია სვანური ფარებისაგან, სვანური სახელოსნოს ნაწარმი არ უნდა იყოს და საქართველოს სხვა რეგიონში უნდა იყოს დამზადებული.


ა


ბ

გ

სურ. 167
ორნამენტული ფარი დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლის ამსახველ ვერცხლის სინზე (ა); ჯვრის ორნამენტებიანი ფარი (ექსპონატი 1160) საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ბ); წმ. ორესტეს ორნამენტული ფარი გორემედან (გ).

ვდება XI-XII საუკუნეების ბიზანტიურ გამოსახულებებზე (ასეთია, მაგალითად, კარანლიკ ქილისეში (გორემე) XI საუკუნის შუახანების წმ. ორესტეს ფრესკა, სურ. 167გ) და ლითონში განხორციელებული – საქართველოს მუზეუმის ფარზე. ყოველივე ეს, მეტყველებს რა მათ შორის კავშირზე, მიუთითებს დეკორატიული მოტივების მდგრადობაზე და იმაზეც, რომ ფარის თავდაპირველი დეკორატიული მოხატულობა ადვილად შეიძლება გარდაქმნილიყო ლითონის კონსტრუქციად.

ის ფაქტი, რომ ლითონით გამაგრებული ფარები განსაკუთრებით იყო გავრცელებული XII საუკუნის სამხრეთ ევროპაში, რასაც მ. გორელიკიც აღნიშნავს,[773] სხვა ფაქტორებთან ერთად, ბიზანტიის იმპერიის გავლენასაც შეიძლება მიეწეროს. მაგალითისათვის შეგვიძლია მივუთითოთ XII საუკუნის ბოლო მეოთხედში სიცილიაში, მონრეალის კაპიტელებზე გამოკვეთილ მეომრებზე, რომლებიც ასეთ ფარებს ატარებენ. მათ აღჭურვილობაში ბიზანტიური ელემენტების კვალი უდავოა.[774]

როგორც ვხედავთ, ლითონის დეტალებით გამაგრებული ფარები თითქმის ერთდროულად გავრცელდა ბიზანტიურ-ქართულ გარემოში, რაზეც მიუთითებს XI საუკუნის ბიზანტიურ-ქართულ გამოსახულებები. რას უნდა გამოეწვია ფარის კონსტრუქციის ეს ცვლილება ბიზანტიურ ოიკუმენაში?

ჩემი აზრით, რეგიონი და სამხედრო ტრადიცია, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ბიზანტიურ სამყაროზე და გამოიწვია ფარის მოდიფიკაცია, სკანდინავია გახლავთ. მართალია, მ. გორელიკის მიერ მოყვანილი ევროპული და სკანდინავიური ფარების ყველა ნიმუში XII-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება,[775] მაგრამ არსებობს უფრო ადრეული მონაცემებიც, რომელიც ჩრდილოეთ ევროპაში ფარის ლითონით გამაგრების ხანგრძლივ ტრადიციაზე მეტყველებს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილია, რომ ფარებზე ლითო-

[773] Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 193.

[774] იხ. David Nicolle, "The Monreale Capitals and the Military Equipment of Later Norman Sicily," *Gladius*, XV (1980), 87-8, 96-7, figs. 2, 4-6, 12, 14, 20.

[775] Горелик, "Халха-калкан (монгольский щит и его дериваты)," 192-3, рис. 8-9.



სურ. 168
ფარები ევროპის ჩრდილოეთიდან: ა) ვალსგარდის VIII სამარხის I ფარი. არვიდსონის მიხედვით; ბ) ფარი თეტფორდიდან უმბონიდან გამომავალი რადიალური სხივებით. ლეტინგის მიხედვით.

ნის დეტალების დამაგრება დამახასიათებელი იყო სკანდინავიური და ძველგერმანული აღჭურვილობისათვის. VI-VII საუკუნეების ფარები ვენდელის, ვალსგარდისა და სატონ ჰუს სამარხებიდან ლითონის დეტალებით არის მორთული. ზოგი მხოლოდ დეკორაციაა, მაგრამ ზოგიერთის, მაგალითად, ვალსგარდის VII სამარხის I ფარის ლითონის ჰორიზონტალურ ზოლებს, პ. მორტიმერი, სავსებით სამართლიანად, მიიჩნევს ფარის გამაგრების სისტემად.[776] ასეთივე მრავლობითი ლითონის ლარტყებითაა გამაგრებული ვალსგარდის VI სამარხის I[777] და III ფარი,[778] ვალსგარდის VII სამარხის II ფარი,[779] ვალსგარდის VIII სამარხის I ფარი[780] და II ფარი[781] და ვენდელის XI და XII ფარები[782] (სურ. 168ა). როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში ფარის გამაგრებამ ევოლუცია განიცადა და თავდაპირველი მოუხეშავი და მძიმე კონსტრუქცია უფრო დახვეწილი და ფუნქციონალური გახდა. ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ VII საუკუნის შუახანების ანგლო-საქსურ ფარში თეტფორდიდან (ნორფოლკი), რომელსაც უმბონიდან გამომავალი 7 რადიალური მოკლე სხივი გააჩნია ბოლოებში გაფართოებული სამანჭვლეებით[783] (სურ. 168ბ). ვალსგარდისა და ვენდე ლის ფარების ლარტყები ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი, უმბონიდან არ გამოდიან და, მართალია, ფარის ზედაპირს აძლიერებენ, მაგრამ მის კონსტრუქციას სიმტკიცეს ვერ მატებენ, განსხვავებით თეტფორდის ფარისგან, რომლის ლითონის დანაკერები ფარის ხის ნაწილთან ერთად ერთიან კონსტრუქციას ქმნის და ამით შუა საუკუნეების ფარების გამაგრებას მოგვაგონებს.

ლითონით ფარების გამაგრება მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდება, როგორც ამას ვიგებთ უძველესი სკანდინავიური კანონებიდან. XI საუკუნის ნორვეგიული (*გულას* და *ფროსტას*) კანონების მიხედვით, ხის ფარს ზედა-

---

[776] Paul Mortimer, *Woden's Warriors: Warfare, Beliefs, Arms and Armour in Northern Europe during the 6th and 7th Centuries* (Little Downham, 2011), 124, 132, fig. 16.

[777] Greta Arwidsson, *Valsgärde 6* (Uppsala, 1942), 35-9, figs. 6-9.

[778] Arwidsson, *Valsgärde 6*, 40-4, fig. 11.

[779] Mortimer, *Woden's Warriors*, 130, fig. 17.

[780] Greta Arwidsson, *Valsgärde 8* (Uppsala, 1954), 53-6, figs. 31-6.

[781] Arwidsson, *Valsgärde 8*, 57-61, figs. 37-9. მათი ნაშთები ნაპოვნია *in situ* და რეკონსტრუქცია არავითარ ეჭვს არ იწვევს.

[782] Karl Gustav Izikowitz, "Vendelsköldarna," *Fornvännen*, 26 (1931), 182, 185, figs. 66, 70.

[783] Vera Evison, "Sugar-Loaf Shield Bosses," *The Antiquaries Journal*, 43 (1963), 45.

პირზე აუცილებლად (!) უნდა ჰქონოდა, სულ მცირე, სამი გადაჯვარედინებული ლითონის ზოლი (*jarnspöng*).[784]

სკანდინავიური ფარების გავრცელება ბიზანტიაში დაკავშირებული უნდა იყოს ვარანგთა გვარდიის შექმნასთან, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 988 წელს, როდესაც კიევის მთავარმა ვლადიმირმა (980-1015) იმპერატორ ბასილი II-ს (976-1025) გაუგზავნა 6 000 სკანდინავი მებრძოლი.[785] ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობამდე, როდესაც 1070-იანი წლებიდან გვარდიაში ლტოლვილი ანგლო-საქსებიც გამოჩდნენ,[786] ვარანგთა გვარდიას ძირითადად სკანდინავიიდან გამოსულები აკომპლექტებდნენ. როგორც ჩანს, X საუკუნის მიწურულიდან სკანდინავთა ასეთმა მასობრივმა ყოფნამ იმპერიაში პოპულარული გახადა ლითონით გამაგრებული ფარები, რამაც უკვე ფართო ასახვა ჰპოვა XI საუკუნის გამოსახულებებში.

რაც შეეხება ქართველებისა და სკანდინავების ურთიერთკავშირებს, იმ კონტაქტების გარდა, რომლებიც მათ აუცილებლად ექნებოდათ იმპერიის დედაქალაქში, ჩვენ ვიცით ბევრი შემთხვევა, როდესაც ქართველებს შეეძლოთ სკანდინავიური ტიპის ფარების ეფექტურობაში დარწმუნებულიყვნენ. ბიზანტიურ არმიაში მყოფ სკანდინავებს ქართველები პირველად 989 წელს აჯანყებულ ბარდა ფოკას არმიაში ყოფნისას დაუპირისპირდნენ, როდესაც აბიდოსთან დამარცხდნენ იმპერატორთან.[787] შემდეგი კონფლიქტი ტაოში მოხდა, სადაც 1001 წელს ბასილი II იყო მოსული დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის და იმპერატორის გვარდიასთან კინკლაობისას 30 ტაოელი დაიღუპა.[788] გაცილებით ხანგრძლივი იყო დაპირისპირება ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის 1021-22 წლებში, როდესაც გიორგი I (1014-27) ტაოს სამეფოსა და კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ებრძოდა ბასილი II-ს.[789] 1022 წელს ქართველთა დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა

---

[784] Nicolay Nicolaysen, *The Viking Ship Discovered at Gokstad in Norway* (Christiania, 1882), 33; *The Earliest Norwegian Laws: Being the Gulathing Law and the Frostathing Law*, translated from the Old Norwegian by Laurence M. Larson (New York, 1935), 196, 320.

[785] Sigfús Blöndal, *The Varangians of Byzantium*, An aspect of Byzantine military history translated, revised and rewritten by Benedikt S. Benediks (Cambridge, 1978), 42-6.

[786] მცდარია მოსაზრება, თითქოსდა „ვარანგების გვარდია მხოლოდ სკანდინავიელი და სლავი მეომრებისაგან შედგებოდა". მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 118. იხ. Jonathan Shepard, "The English and Byzantium: A Study of Their Role in the Byzantine Army in the Later Eleventh Century," *Traditio*, 29 (1973), 53-92; Nicholas C.J. Pappas, "English Refugees in the Byzantine Armed Forces: The Varangian Guard and Anglo-Saxon Ethnic Consciousness," in *De Re Militari. Books, Articles and Dissertations on Medieval Military History* (2004), http://www.deremilitari.org/resources/articles/pappas1.htm (accessed 8 February 2014).

[787] *Fourteen Byzantine Rulers: The Chronographia of Michael Psellus*, 34-7.

[788] *Всеобщая История Степаноса Таронского. Асохика по прозванию*, 200-1; არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1974), 41.

[789] „მატიანე ქართლისა", 284-8; სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაი და უწყებაი ბაგრატონიანთა*, 54-6; არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 45-6, 51-2.

ვარანგთა გვარდიამ.[790] XI საუკუნის შუახანებში კი ვარანგთა ერთი ნაწილი ბაგრატ IV-ის (1027-72) ჯარში მსახურობდა და მონაწილეობდა სასირეთის ბრძოლაში (1046), სადაც ლიპარიტ ბაღვაშმა მეფის ჯარი დაამარცხა.[791] როგორც ვხედავთ, ქართველებს ხშირი კონტაქტები ჰქონდათ სკანდინავ მეომრებთან, რაც ხელს შეუწყობდა შეიარაღების გაცვლა-გამოცვლასა და ლითონით გამაგრებული ფარების დამკვიდრებას საქართველოში.[792]

რაც შეეხება თავად კალკანს, XVII საუკუნიდან დაწყებული ის ხშირად გვხვდება ქართულ მინიატურებსა თუ სინამდვილეში. მამუკა თავაქარაშვილის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის" 319-ე მინიატურაზე, რომელიც მეკობრებთან ავთანდილის ბრძოლას ასახავს, გმირს ხელთ უპყრია დაწნული კალკანი ლითონის უმბონითა და დამატებითი კოპებით და კისერზე საკიდი ღვედით (სურ. 169ა). XVII საუკუნეში კალკანის საქართველოში პოპულარობას მოწმობს რუსეთის მეფის ალექსეი მიხეილის ძისათვის (1645-76) იმერეთის მეფეთა მიერ გაგზავნილი საჩუქრები, რომელთა რიცხვში ეს ფარებიც მოიხსენიება. ალექსანდრე III-ის (1639-60) ელჩებმა 1659 წელს და ბაგრატ IV-ის (1660-81, ხანგამოშვებით) ელჩებმა 1670 წელს რუსეთის მეფეს მიართვეს ოქროს, ვერცხლისა და სხვადასხვაფერი აბრეშუმის ძაფებით მოწნული და ფირუზის, იაგუნდისა და ლალის თვლებით მორთული ლერწმის ფარები. ისინი ერთმანეთისაგან პრაქტიკულად მხოლოდ აბრეშუმის ძაფების განლაგებით განსხვავდებოდნენ, რაც სხვადასხვა სახის სურათს ქმნიდა.[793] იმერული კალკანების გამოსახულებები შემოგვინახა XIX საუკუნეში ფ. გ. სოლნცევის მიერ ბრწყინვალედ შესრულებულმა ფერადმა ლითოგრაფიებმა.[794] მართალია, ლითოგრაფიების აღწერილობაში ორივე ფარი ალექსანდრე III-ს საჩუქრადაა მიჩნეული,[795] მაგრამ ამ აღწერილობისა და მოსკოვის იარაღის პალატის აღწერის შედარების შედეგად ადვილად დადგინდა, რომ 66-ე და 67-ე ლითოგრაფიებზე (იარაღის პალატის N5065) ბაგრატის ფარია გამოსახული (სურ. 169გ), 68-ზე (იარაღის პალატის N5064) კი – ალექსანდრესი (სურ. 169ბ). კალკანის საქართველოში გავრცელების შედარებით გვიანდელი თარიღი (XVII საუკუნე) და მისი არეალი (იმერეთი, სამეგრელო) გვაფიქრებინებს ეს მოვ-

---

[790] სუმბატ დავითის ძე, *ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა*, 56.

[791] „მატიანე ქართლისა", 301.

[792] შესაძლოა, ლითონით გამაგრებული ფარების პოპულარობას კიდევ უფრო შეუწყო ხელი *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილის დამკვიდრებამ, რომელიც სწორედ X საუკუნიდან იკიდებს ფეხს ბიზანტიურ და ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში. იხ. მამუკა წურწუმია, „*წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება", *საისტორიო კრებული*, 1 (2011), 189-93. ამ წესით ბრძოლის დროს იზრდება შუბით დარტყმის ძალა და შესაბამისად, დატვირთვა ფარზე.

[793] *Опись Московской Оружейной палаты*, часть 3, книга 2, 278-82. მათი ფიზიკური მახასიათებლებიც ერთნაირი იყო: ალექსანდრე ფარის დიამეტრი 59 სმ იყო და თითქმის 2 კგ-ს იწონიდა, ბაგრატის ფარის დიამეტრი კი 58 სმ იყო და 1.93 კგ-ს იწონიდა. იქვე, 279, 281.

[794] *Древности Российского государства*, отделение III (Москва, 1853), 61-2, рис. 66-8.

[795] იქვე, 61.



სურ. 169
დასავლეთქართული კალკანი: ა) ავთანდილი კალკანით ხელში. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 319. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) ალექსანდრეს III-ის კალკანი, გ) ბაგრატ IV-ის კალკანი. სოლნცევის მიხედვით.

ლენა ოსმალეთს დავუკავშიროთ, რომლის გავლენა ტრადიციულად ძლიერი იყო დასავლეთ საქართველოში.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მუზეუმებში დაცული ლითონის ლარტყებით გამაგრებული ფარის ტიპები და მათი პარალელური გამოსახულებები კალკანის გამოჩენამდე არსებობდა საქართველოში და არ არის დაკავშირებული მონღოლთა შემოსევებთან. ასევე, ვფიქრობ, გადაჭარბებულია იტალიური კოლონიების როლი ასეთი ფარების გავრცელების საქმეში ჩრდილოეთ კავკასიასა და ოქროს ურდოში. როგორც ჩანს, ფარის ლითონით გამაგრების სისტემა ბიზანტიის იმპერიიდან გავრცელდა საქართველოში, შემდეგ კი კავკასიის მთიანეთის გავლით შეაღწია ჩრდილოეთ კავკასიაში (განსაკუთრებით მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში), საიდანაც აითვისეს ის ოქროს ურდოს მონღოლებმა.

გვიან შუასაუკუნეებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ ლითონის ფარების გავრცელება განაპირობა.[796] ირანში ფოლადის ფარი XVI საუკუნეში იყო ცნობილი.[797] ჩვეულებრივ ფართან შედარებით, ლითონის ფარი მძიმე და ძვირი იყო, მაგრამ უფრო გამძლეც. იტალიელი სამხედრო მწერლის ჩეზარე დევოლის აზრით, რკინის ფარს ხესთან შედარებით ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ იარაღის წვერი მასში ვერ ჩარჩებოდა.[798]

შუა საუკუნეების მიწურულისათვის ლითონის ფარების გამოყენება საქართველოშიც დასტურდება, სადაც ადგილობრივი პროდუქციის გარდა ირანული და თურქული ლითონის ფარებიც იყო გავრცელებული. ე. თაყაიშვილს ლითონის რამდენიმე ფარი აქვს აღრიცხული სვანეთის ეკლესიებში, როგორიცაა სპილენძის მრგვალი ფარი მურყმერის წმ. ბარბარეს ეკლესია-

[796] Nicolle, *The Mamluks 1250-1517*, 45.

[797] Allan, Gilmour, *Persian Steel: The Tanavoli Collection*, 140.

[798] John Clements, "Wielding the Weapons of War: Arms, Armor and Training Manuals During the Later Middle Ages." in *The Hundred Years War: A Wider Focus*, ed. by L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2005), 464.



სურ. 170
ირანული ფოლადის ფარი ყვარლის ეკლესიიდან. ექსპონატი 17-25/1. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ში, სპილენძის მრგვალი ფარი ოქროთი გამოყვანილი დოქისა და ვაზის სახეებით და არაბული წარწერებით ჟამუშის მაცხოვრის ეკლესიაში და ფარი არაბული წარწერებით სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში.[799] ეროვნულ მუზეუმში ინახება გ. ჩიტაიას მიერ ყვარელიდან, ნიკო ჭავჭავაძის მიერ აშენებული ეკლესიიდან ჩამოტანილი ირანული ფოლადის მრგვალი ფარი (დიამეტრი 38 სმ), რომელსაც აქვს ოთხი სიმეტრიულად განლაგებული ლითონის კოპი მცენარეული ორნამენტით (სურ. 170). ფარის ზედაპირზე ოქროს კვალია დარჩენილი, მორთულია ნადირობის სცენებით, არშია კი სტილიზებული არაბული წარწერითაა შემკული. უკანა მხრიდან ფარს აქვს ბამბადადებული, ორმაგი ჩითის სარჩული. ფარი XVIII საუკუნის უნდა იყოს.

საქართველოში ტყავის დიდი ირანული ფარებიც გვხვდება. სეფიანთა პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ტყავის ფარები ლითონის ოთხი პატარა კოპით. კოპები ფარავდა რგოლების სამაგრ მოქლონებს. ამ რგოლებში ტყავის საბღუჯი ღვედები ეყრებოდა. ხელის დასაცავად რგოლებს შორის ბალიში იყო მიმაგრებული. უფრო დიდ, 50-65 სმ დიამეტრის ფარებს ექვსი კოპი და დამატებით, საკიდი ღვედიც გააჩნდათ.[800] ირანული ტიპისაა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ვახტანგ VI-ის ტყავის დიდი ფარი (სურ. 171). ის ოდნავ დეფორმირებულია და მისი გარშემოწერილობა 51-53 სმ-ია. ფარს დაკარგული აქვს ოთხი ცენტრალური და რამდენიმე პერიფერიული კოპი. ტყავის გალაქულ ზედაპირზე გამოსახული ქრისტიანულ-ბიბლიური სიუჟეტები (ცენტრში გოლგოთის ჯვარი, აღსაყდრებული მაცხოვარი, მთავარანგელოზი მიქაელი, წმ. გიორგი და ისუ ნავე) გვაფიქრებინებს, რომ ფარი საქართველოში უნდა იყოს დამზადებული.

ტყავის კიდევ ერთი ფარი ფურცელაძეთა ოჯახიდან არის შემოსული ეროვნულ მუზეუმში (სურ. 172). ის მარტორქის ტყავისაა, მრგვალი (დიამე-

---

[799] თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, 177, 259, 279.
[800] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 271-3.

სურ. 171
ვახტანგ VI-ის ტყავის ფარი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ტრი – 46.5 სმ), ზედაპირზე თითბრის 6 კოპით, ლაქით დაფარული, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით გამშვენებული. უკანა მხრიდან აქვს ტყავის საკიდი და საბღუჯი და ხავერდის ბალიში. ჩვენი ფარის ტყუპისცალი, მხოლოდ ცოტათი უფრო დიდი ზომის (დიამეტრი 52 სმ), თეირანის სამხედრო მუზეუმში ინახება.[801] ფურცელაძიანთ ფარი სეფიანთა პერიოდს ეკუთვნის და, ალბათ, XVII საუკუნისაა. ეს ფარი ერთი პრობლემის გადაჭრაშიც გვეხმარება. ცნობილია, რომ გიორგი XI-ის ძმას, ლევან ბატონიშვილს ქარგადანის ტყავის ფარი ჰქონდა.[802] საბას მიხედვით ქარგარდანი იგივე ვიგრია, ვიგრი კი ნიანგია.[803] ორბელიანის მოსაზრების პარალელურად, ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ცენკერის განმარტებაც („ქარგადან სპარსულად მარტორქას ნიშნავს"), თუმცა კომენტარის გარეშე ტოვებს საკითხს.[804] სპარსული *karg* მართლაც მარტორქას ნიშნავს.[805] ლევან ბატონიშვილის ფარიც მარტორქის ტყავისა უნდა ყოფილიყო, რაშიც საბოლოოდ გვარწმუნებს როგორც ფურცელაძეთა, ისე ირანის მუზეუმებში დაცული სეფიანთა პერიოდის ტყავის ფარები, რომლებიც მარტორქის, და არა ნიანგის, ტყავისაგან არიან დამზადებულნი.[806]

დიდი ზომის ფარების გარდა, საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიანეთში, უფრო პატარა, მრგვალი ფარები იყო გავრცელებული. კ. ჩოლოყაშვილი ასეთი ფარის 3 ტიპს გამოყოფს: ტყავგადაკრულ ხის ფარს, ლითონით შეჭედილ ტყავის ფარსა და ლითონით შეჭედილ ლითონის ფარს.[807] ფარის შემკვრელი რკინის კონცენტრული რკალების (გირგოლი) რაოდენობის მიხედვით სამი ტიპის ფარს განარჩევენ: ერთ-, ორ- და სამგირგოლიანს.[808] რკინის ხევსურულ ფარს, რომელსაც საბღუჯი (სახელური) და

---

[801] Id., cat. 361.

[802] სეხნია ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა", 12.

[803] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 263.

[804] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 276, შენ. 1.

[805] Khorasani, *Lexicon of Arms and Armor from Iran*, 212.

[806] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, cat. 358, 359, 361, 362, 363, 364, 365.

[807] ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", 227.

[808] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 104; ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", 228.

სურ. 172
ირანული ტყავის ფარი. ექსპონატი 4-29/1. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

საკიდი აქვს, ხევსურეთშივე ჭედდნენ.[809] ფარის დასამზადებლად ხევსურები ხარის ტყავს იყენებდნენ, ხოლო საუკეთესოდ კამეჩის ტყავი იყო მიჩნეული. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული რაჭული ფარების მასალად კი ღორის ტყავია გამოყენებული.[810]

ეროვნულ მუზეუმში დაცული ყველა ხევსურული ფარი ერთი ტექნოლოგიითაა შესრულებული: მოჭედილია ლითონის ლარტყებითა და კოპებით და აქვს გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტა, ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა რკინის რგოლებზეა მიმაგრებული, დარტყმის ძალის შესასუსტებლად კი თექის ბალიში არის გამოყენებული. მათი უმრავლესობა ორგირგოლიანია. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფარები რკინის ორი კონცენტრული რკალით ყველაზე მეტად იყო გავრცელებული ხევსურეთში.

ქვემოთ წარმოდგენილია ხევსურული ფარების აღწერილობა და ტექნიკური პარამეტრები, მათთან ერთად მოყვანილია მკერდის დასაცავი საშუალებაც – პატარა ზომის *უბის* ფარი.

ექსპონატი 5-52/2 (უბის ფარი): ერთგირგოლიანი, რკინაზე დამაგრებული რკინის ცენტრალური რომბისებური ფირფიტა გუმბათით, კოპები, დიამეტრი – 21 სმ. (სურ. 173ა)

ექსპონატი 2533: ერთგირგოლიანი, ტყავის, ჯვარედინი რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ოთხკუთხა ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, თექის ბალიში, დიამეტრი – 26.5 სმ. (სურ. 173ბ)

ექსპონატი A25-66/1: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით გამაგრებული, დიამეტრი – 28.5 სმ. (სურ. 174ა)

---

[809] მაკალათია, *ხევსურეთი*, 146.

[810] ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", 230-1.



სურ. 173
ერთგირგოლიანი ხელსაწური ფარები: ა) ექსპონატი 5-52/2; ბ) ექსპონატი 2533. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტოები.

ექსპონატი 5-52/1: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, დიამეტრი – 32 სმ. (სურ. 174ბ)

ექსპონატი 6-52/1: ორგირგოლიანი, რკინაზე დამაგრებული რკინის ლარტყები, ცენტრალური ფირფიტა სპილენძის გუმბათით, კოპები, ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, დიამეტრი – 31 სმ. (სურ. 174გ)

ექსპონატი 25-53/3: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, დიამეტრი – 33 სმ. (სურ. 174დ)

ექსპონატი 25-59/13: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, ტყავის საბღუჯი, დიამეტრი – 33.5 სმ. (სურ. 174ე)

ექსპონატი 27-09: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, დიამეტრი – 33 სმ. (სურ. 174ვ)



სურ. 174

ორგირგოლიანი ხევსურული ფარები: ა) ექსპონატი 25-66/1; ბ) ექსპონატი 5-52/1; გ) ექსპონატი 6-52/1; დ) ექსპონატი 25-53/3; ე) ექსპონატი 25-59/13; ვ) ექსპონატი 27-09; ზ) ექსპონატი 35-35/67; თ) ექსპონატი 73-61/1. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტოები.



სურ. 175
სამგირგოლიანი ხევსურული ფარები: ა) ექსპონატი 9-24/2; ბ) ექსპონატი 81-971/6. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტოები.

ექსპონატი 35-35/67: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, დიამეტრი – 34 სმ. (სურ. 174ზ)

ექსპონატი 73-61/1: ორგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი. ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, დიამეტრი – 30 სმ. (სურ. 174თ)

ექსპონატი 9-24/2: სამგირგოლიანი, ტყავის, ფოლადის ლარტყებით, კუწუბიანი და გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი. რკინის რგოლებზე მიმაგრებული ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, ნაბდისა და შალის ბალიში, დიამეტრი – 34 სმ. (სურ. 175ა)

ექსპონატი 81-971/6: სამგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, კუწუბიანი და გუმბათიანი ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი. ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, თექის ბალიში, დიამეტრი – 34.5 სმ. (სურ. 175ბ)

ხევსურეთისაგან განსხვავებით, რაჭაში სამგირგოლიან ფარებს აძლევდნენ უპირატესობას, ყოველ შემთხვევაში, ეროვნულ მუზეუმში



სურ. 176
რაჭული ფარები: ა) ექსპონატი 10-26/29; ბ) ექსპონატი 35-35/66; გ) ექსპონატი 63-12. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტოები.

დაცული სამივე ეგზემპლარი სამგირგოლიანია, რაც შესაბამისი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს. ხევსურულისაგან განსხვავდება რაჭული ფარების ცენტრალური ფირფიტაც – ყველა ისინი უგუმბათოა. რაჭულ ფარებს გამოარჩევს ღორის ტყავზე საგანგებოდ დატოვებული ჯაგარიც, რაც ადგილობრივ, რაჭულ, თავისებურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.[811]

ექსპონატი 10-26/29 (სოფ. ღები, მ. ლობჟანიძის მიერ შემოწირული): სამგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, მართკუთხა ცენტრალური ფირფიტითა და კოპებით მოჭედილი, გარეთა პირზე ბალანი, ტყავის საბღუჯი, საკიდი თასმა დაკარგულია. ფარს აქვს ოვალის ფორმა, ზომები – 36.4X32 სმ. (სურ. 176ა)

ექსპონატი 35-35/66 (ზემო რაჭა): სამგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, მართკუთხა ცენტრალური ფირფიტით და კოპებით მოჭედილი, გარეთა პირზე ბალანი აქვს შერჩენილი, რკინის რგოლებზე მიმაგრებული ტყავის საბღუჯი, საკიდი თასმა დაკარგულია. (სურ. 176ბ).

ექსპონატი 63-12: სამგირგოლიანი, ტყავის, რკინის ლარტყებით, მართკუთხა ცენტრალური ფირფიტით და კოპებით მოჭედილი, გარეთა პირზე

[811] ეს დაკვირვება ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდის კურატორს მამუკა ქაფიანიძეს ეკუთვნის.

ბალანი, ტყავის საბღუჯი და საკიდი თასმა, თექის ბალიში, დიამეტრი – 28.2 სმ. (სურ. 176გ).

მთაში დამზადებულ ფარებს შავ ფერს ჭვარტლით აძლევდნენ, რის გამოც არაგვის ხეობის მოსახლეობას მუსლიმები ყარაყალღანებს (შავფაროსნებს) უწოდებდნენ.[812] მთიელთა შავი ფარები ქართულ ლიტერატურაშიც აისახა: „მედგრად მორთულთა მთიულთა **ფარი ეკიდა შავია**";[813]

> „ყუელგნით მოვიდა ლაშქარი, მთიული, გინდა ბარისა;
> შეჭურვილ იყუნეს რკინითა, **სიშავე მოსჩანს ფარისა,**
> **ტანსაც შავითა მოსილნი**, საომრად კლდისა მყარისა.
> მიქცეულ იყუნეს საცემრად, მნახავთა შესაზარისა".[814]

ჩანს, მთიელები შავ საბრძოლო სამოსში და შავი ფარებით გამოწყობილნი გადიოდნენ საომრად, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი – „მნახავთა შესაზარი" – სანახაობა ყოფილა.

ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების, ადგილობრივი თუ უცხოეთიდან შემოსული ფარები ინტენსიურად გამოიყენებოდა.[815] ჩვენს ქვეყანაში არსებულ ფარის მოხელეთა ძლიერ სკოლაზე მოწმობს შემდეგი დოკუმენტი: თოფქაფის არქივში ინახება ოსმალო სულთნების დავთრები, სადაც პროფესიების მიხედვით არის დასახელებული ყველა ის ხელოსანი, რომელიც სასახლის სახელოსნოებში მუშაობდა, მოცემულია მათი სახელი, პროფესია, წარმოშობის ადგილი და დღიური ხელფასი. ამ ტიპის დავთრებს შორის ყველაზე ადრეულია 1526 წელს, სულთან სულეიმან კანუნის (1520-66) მმართველობის დროს შედგენილი საბუთი. აქ მოხსენიებულია ქართული წარმომავლობის პირებიც, რომლებიც ჯერ კიდევ სულთანმა სელიმ I-მა წამოიყვანა საქართველოდან. ცნობილია, რომ 1514 წელს ჩალდირანის ბრძოლაში ირანელების დამარცხების შემდეგ, სელიმ I-მა თავრიზიდან შაჰის ყველა ოსტატი წამოასხა. დავთრიდან ჩანს, რომ მას საქართველოდანაც წამოუყვანია ხელოსნები. ასეთია ფარის ოსტატები *(სიპერდუზან)* თოროზ გურჯი (ხელფასი 12 ახჩა) და სიმონ გურჯი (ხელფასი 7 ახჩა).[816] მეტად საყ-

---

[812] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 101-2; ჩოლოყაშვილი, „ქართული საბრძოლო იარაღები: ფარი", 252.

[813] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 10.

[814] იქვე, 116.

[815] კ. რივკინი ასაფი ჩელების XVI ს. მინიატურის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ქართველები შუა საუკუნეებში ფარს ნაკლებად იყენებდნენ. Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 122. რაღა თქმა უნდა, ეს მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული: ქართული იკონოგრაფიული და ნერილობითი წყაროები უხვად გვაწვდიან საპირისპირო მასალას.

[816] З.М. Буниятов. "Ремесленники – выходцы из Азербайджана, других областей Кавказа, России и

ურადღებოა ის ფაქტი, რომ სულთნის სასახლეში ფარის სხვა ოსტატი არც ირიცხებოდა – მთელ სახელოსნოში მხოლოდ ორი ქართველი მუშაობდა, რაც ქართველი ოსტატების მაღალი კვალიფიკაციის უტყუარი დასტურია.

Молдавии на службе в придворных мастерских османских султанов." *Избранные сочинения в трёх томах*, т. 3 (Баку, 1999), 169, 173. მათ გარდა დავთარში სხვა ქართველი ოსტატებიცაა დასახელებული: ოქრომჭედელი *(ზერგერან)* აჰმედ გიოზგიუ, საქართველოდან წამოიყვანა სელიმ I-მა, ხელფასი 8 ახჩა; ოქრომკედით მქარგველი *(ზარდუზან)* ბეშარეთ გურჯი, რომელიც ადრე შაჰ ისმაილს ეკუთვნოდა, თავრიზიდან ჩამოყვანილი, ხელფასი 4.5 ახჩა; ქურქჩი *(პუსტინ დუზ)* აჰმედ გურჯი, აჩუქეს სულტან ბაიაზიდ II-ს, ხელფასი 17 ახჩა; დურგალი *(ნეჯარან)* იუსუფ გურჯი, სელიმ I-ის მმართველობისას ნაყიდი, ხელფასი 4 ახჩა. იქვე, 171-2, 175.

თავი VII

შეტევითი იარაღი

შეტევითი იარაღი გამიზნულია მოწინააღმდეგის დასაზიანებლად შორ და ახლო მანძილზე და ხელჩართულ ბრძოლაში.[1] ის აერთიანებს პოლიფუნქციურ იარაღს მკვეთავი (მჩეხავი, მჭრელი და მჩეხავ-მჭრელი) და მჩხვლეტავი დაზიანებით (მახვილი, პალაში, მოხრილი ხმალი), მონოფუნქციურ იარაღს მჩეხავი (ცული), მჩხვლეტავი (შუბი) და დარტყმითი (ლახტი, საბრძოლო ჩაქუჩი) დაზიანებით[2] და დისტანციურ (სასროლ და სატყორცნ) იარაღს.

შუა საუკუნეების მებრძოლები მრავალგვარ შემტევ იარაღს იყენებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ცხენოსნები გამოირჩეოდნენ, რომლებიც შუბისა და მშვილდის გარდა, ლახტსა და ხმალს (ხანდახან ორსაც) ატარებდნენ თან. ეს სულაც არაა გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ მხედარს ფეხოსანივით იოლად არ შეეძლო ხელიდან გავარდნილი იარაღის აღება.[3] ცხენის წყალობით, ის თავისუფლად ატარებდა მრავალფეროვან, მძიმე და გრძელ იარაღს. მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი შუა საუკუნეების ყველაზე სრულყოფილად შეიარაღებული მებრძოლი იყო.

ხელჩართული ბრძოლის საშუალებები

საძგერებელი იარაღი

საძგერებელი იარაღის საერთო სახელი არის *ლახვარი*, რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, აერთიანებს შემდეგ ჯგუფებს: *ჰოროლი, შუბი,*[4] *გმური, გეონი, ხიშტი, სათხედი* და *ზუფანი.*[5] მოკლე მანძილზე ზოგიერთი საძგერებელი იარაღის სროლაც შეიძლებოდა,[6] რაც ბრძოლის სტილსა

---

[1] ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამდე, შეტევითი იარაღი ადამიანის კუნთის ძალას იყენებდა და მას ცივ იარაღსაც უწოდებენ. ცივი იარაღი სხეულის დაზიანების მიზნით საგანგებოდ დამზადებული საგანია, რომელიც განკუთვნილია ბრძოლაში შესატევად და დასაცავად. А.И. Устинов, М.Э. Портнов, Ю.А. Нацваладзе, *Холодное оружие* (Москва, 1994), 6.

[2] Ю.С. Худяков. *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.* (Новосибирск, 1980), 27.

[3] Dawson, "Suntagma Hoplon," 86.

[4] დღევანდელ ქართულში *შუბი* ლახვრის ყველა ტიპს აერთიანებს, შუა საუკუნეებში კი მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტიპს აღნიშნავდა.

[5] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.

[6] ეს სათხედისა და ზუფანის პირდაპირი დანიშნულებაც იყო.

და იარაღის ზომაზე იყო დამოკიდებული. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ლახვარი ქართული სიტყვაა, რომელიც „შედგება „ლა" თავსართისა და „ხვრა" ზმნისაგან, რომელიც იგივეა რაც ხვრეტა, ე.ი. ლახვარი იარაღია, რომელიც ხვრეტდა".[7] მისი დაკვირვებით, ქართველი ლახვარს იმდენად მრისხანე იარაღად მიიჩნევდა, რომ მისგან „ზმნა *დალახვრა* და გამონათქვამი *დალახვროს ღმერთმა*-ც კი უწარმოებია".[8]

შუბი ახლო მანძილზე საბრძოლი ხისტარიანი საძგერებელი იარაღია ლითონის პირითა და ბოლოთი. მისი წვერი ჩხვლეტისათვისაა გამიზნული, ტარი კი დარტყმას მიმართავს.[9] უძველესი დროიდან მოყოლებული, შუბი არის ყველაზე გავრცელებული და მეტად ეფექტური საბრძოლო საშუალება, რომელიც იაფი და ტექნოლოგიურად ადვილი დასამზადებელია.

შუბოსანი მებრძოლი მთელ რიგ უპირატესობას ფლობდა სხვასთან შედარებით: შუბი ხელჩართული ბრძოლის ყველაზე გრძელი იარაღი იყო, რომელიც შორიდან წვდებოდა მოწინააღმდეგეს, ხოლო შუბით ჩხვლეტა დაზიანების ყველაზე იოლი და ქმედითი ხერხი იყო. შუა საუკუნეებში შუბი იყო პირველი შეტევის ყველაზე ეფექტური იარაღი.[10] მართლაც, ხმალთან შედარებით, შუბი უფრო შორს წვდებოდა და უფრო ადვილადაც აღწევდა ჯავშანში, რაც ბრძოლის საწყის ეტაპზე გადამწყვეტ უპირატესობას (მათ შორის, ფსიქოლოგიურს) ანიჭებდა შუბოსანს.

საქართველოში შუბი ყოველთვის ძირითად საბრძოლო იარაღს განეკუთვნებოდა. მისი პირველი ნიმუშები აქ ძვ.წ. III ათასწლეულიდანაა აღმოჩენილი.[11] ამასვე მოწმობს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები: „სადაც კი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების ხსენებაა, ყველგან ფიგურირებს შუბი".[12] შუა საუკუნეებში, ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის დამკვიდრების შემდეგ, შუბის როლი კიდევ უფრო გაიზარდა და მას წამყვანი ადგილი ეჭირა ქართველ მხედართა შეიარაღებაში.[13]

---

[7] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 232.

[8] იქვე, 232.

[9] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 50-1.

[10] А.Н. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.," *Археология СССР* (Ленинград, 1966), 22.

[11] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 54.

[12] გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, 127.

[13] XIV საუკუნის „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით, შუბი ერთ-ერთი ის რეგალიაა, რომელსაც ახლად დანიშნულ ერისთავს გადასცემენ მისი ხელდასმისას. „ძეგლი ერისთავთა", 104; აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში*, 59. XVI საუკუნის დასაწყისის საბუთში, რომელიც სამცხე-საათაბაგოს პატრონის მზეჭაბუკის დალოცვას შეიცავს, აქცენტი გაკეთებულია შუბზე, როგორც მთავრის უპირველეს იარაღზე, რომლითაც მისი მტრები უნდა დაითრგუნონ: „რამეთუ სადაცა მიიწიოს ღონე მაგისი და დათრგუნოს ქუეყანაჲ მტერთა თუნიერ შრომისა მოსცეს ღმერთმან ადგილი იგი, ანუ რომელთა იხილონ **წუერი ჰოროლისა მისისა**, თუნიერ კუეთებისა ლტოლვილ ქმენინ ყოველნი წინააღმდგომნი მისნი..." „ნიგნი ანტიოქიის

როგორც აღინიშნა, შუა საუკუნეებში ტიპური საძგერებელი იარაღის შემადგენელი ნაწილებია შუბისპირი, ხის ბუნი (ტარი)[14] და *დიბლიგი* – შუბის ბოლო.[15] შუბისპირის ფორმასა და ზომას მისი დანიშნულება განსაზღვრავდა, ამიტომაც, მათი მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ შუბის დანიშნულებასა და გამოყენების ხერხებზე.[16] რაც შეეხება ბუნს, შუა საუკუნეებში უპირატესობას ანიჭებდნენ იფნის ხისაგან გაკეთებულ შუბის ტარს, რადგანაც იგი გრძელი, გამძლე და მოქნილი იყო.[17] ასევე, იყენებდნენ ვაშლისა და ნაძვის (ან ფიჭვის) ხეს.[18] გვიანდელ საქართველოში ვხვდებით რაჭის ეკლესიებში გამოსახულ ბამბუკის თუ ლერწმის ტარიან შუბს,[19] რომლის ამოცნობაც ადვილად შეიძლება ღეროზე სპეციფიკური შემსხვილებებით და რომელიც ფრიად გავრცელებული გახლდათ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში: ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიის XV-XVI საუკუნეების მხატვრობაზე ვხედავთ ფეხოსან წმინდა თევდორეს ლერწმის შუბით.[20] XV-XVI სს. ფარახეთის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე ცხენოსანი წმინდა გიორგი ლერწმის შუბით გმირავს გველეშაპს.[21] ერთ რეგიონში, ერთ ეპოქაში შექმნილი ლერწმის შუბის გამოსახულებები რაიმე სპეციფიკური მიზეზით უნდა იყოს ნასაზრდოები[22] და გამონაკლისი შემთხვევაა საქართველოს სინამდვილეში.[23]

XII საუკუნეში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჯვაროსნულ სახელმწიფოებსა და საქართველოში ახალი – *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილი იკიდებს ფეხს. დარტყმის ძალის და, შესაბამისად, შუბზე დატვირთვის გაზრდამ გამოიწვია მისი ტარის გაძლიერება და გამსხვილება.[24] წყაროები ხშირად აღნიშნავენ ქართველთა მსხვილ შუბებს. ჯუვეინ-

---

პატრიარქის დროთეოსისა მაწყუერელისათვის ეპისკოპოსის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ", *ქსძ*, III, 240. ეს ტექსტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ადგილზე, რომელიც შუბით ბრძოლის ნესს ეკავა იმდროინდელი საქართველოს მესვეურთა ცნობიერებაში.

[14] „*ბუნი* – შუბის ტარი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 120; „ტარად უწოდენ შუბთა, ცელთა და მისთანათა ბუნსა". იქვე, II, 133.

[15] იქვე, I, 220.

[16] Медведев, "Оружие Новгорода Великого," 127.

[17] Nicholson, *Knight Templar*, 29.

[18] Nicolle, *Knight of Outremer*, 53. თუმცა, შეჯახებისას წიწვოვანი ხე იმსხვრევა გრძელ ნაფოტებად, რომელთაც ცხენისა და კაცის დაზიანება შეუძლიათ. Sidnell, *Warhorse: Cavalry in Ancient Warfare*, 264.

[19] საქართველოში ლერწმის ტარი უფრო სავარაუდოა. აქ გავრცელებული გიგანტური ლერწამი *Arundo donax* 5 მ-მდე სიგრძის და 4 სმ სისქის იზრდება. კ. ქიმერიძე, „ლერწამი", *ქსე*, ტ. VI (თბილისი, 1983), 199.

[20] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 121.

[21] იქვე, 187.

[22] კოლხეთის დაბლობზე გავრცელებული ლერწამი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო რაჭაშიც.

[23] ლერწმის ტარიანი შუბი უპყრია ხელთ წმინდა გიორგის ერმაკოვის მიერ სვანეთში გადაღებულ ხატზეც. ეს შუბი *crux hastata*-ს ტიპს მიეკუთვნება – მისი ბუნი ჯვრით ბოლოვდება (სურ. 177). crux hastata-ს შესახებ ვრცლად იხ. ქვეთავში *შტანდარტი*.

[24] 2.5 სმ სისქის ტარი, რომელიც X საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი, 3.5 სმ-მდე მსხვილდება

ის თანახმად, ჯალალ ად-დინთან ორთაბრძოლისას ქართველის აზნაურს „ბოძის სიმსხო შუბი ეჭირა ხელში".[25] საომრად შეჭურვილ მეფე ვახტანგ V-ს (1658-1675) „შუბი უჭირავს წუერ ბასრი, ტარსა სიმსხო აქუს სარისა".[26] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიც საგანგებოდ აღნიშნავს შუბის სისქეს: „კაცი და ცხენი შავი რკინითა ესე შეჭედილი იყვნეს, რომ ბეწვი კაცს არ უჩნდა. **მსხვილნი შუბნი** ხელთა ჰქონდეს, მეტად გრძელი ხრმალი ერტყა, სპილოსა სახე ლახტი წელთა ერჭვა".[27]

შუბი ლითონის გარსაცმით (სათიხარი) ბოლოვდებოდა, რომელიც შუა საუკუნეებში უმთავრესად ბლაგვი იყო[28] და *დიბლიგი* ეწოდებოდა. დიბლიგი ხის ტარს დაზიანებისაგან იცავდა და შუბს ანონასწორებდა. ის მანჭვლით მაგრდებოდა ხის ტარზე. შუბს მიწაში სათიხარით ასობდნენ, ისე რომ, ბანაკად ყოფნისას ის მუდამ ხელთ ჰქონოდათ.[29] ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი შუბის გამოყენება უფრო სწრაფად და ადვილად შეიძლებოდა, ვიდრე მიწაზე დადებულის, რომელიც ისვრებოდა და ცუდ ამინდში ძნელი გამოსაყენებელი ხდებოდა. მეომარი შუბის ლითონის ბოლოს ხელჩართულ ბრძოლაშიც იყენებდა.[30] დიბლიგის გამოყენება წყაროებშიც არის ასახული. იოსებ თბილელი მოგვითხრობს, რომ სააკაძემ მოწინააღმდეგე (კოლოტაური) დაინდო და შუბის ბოლოთი – დიბლიგით ჩამოაგდო ცხენიდან:

„დავბრუნდი, ცხენი შევჰქუსლე, არა ვჰკარ შუბის პირია!
იგი **დიბლიგით** გარდვაგდე, ვარქვი: „თავს უყავ ჭირია!"[31]

სურ. 177
წმ. გიორგი ლერწმისტარიანი *crux hastata*-თ. ერმაკოვის ფოტო.

XII-XIII საუკუნეებში. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.," 20. თავისთავად, შუბის სისქე და სიგრძე მისი მფლობელის ძალაზეც იყო დამოკიდებული. Nicholson, *Medieval Warfare*, 102.

[25] *ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ*, 36.

[26] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 181.

[27] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 166-7.

[28] უმეტესწილად ბლაგვი იყო ბიზანტიური შუბების ბოლოც. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 314. ამით შუა საუკუნეების შუბი განსხვავდებოდა ანტიკური შუბის წვეტიანი ბოლოსაგან.

[29] ცხენზე ჯდომისას გრძელი შუბი უზანგზე ჰქონდათ ჩამოყრდნობილი. Bloch, *Feudal Society*, 291.

[30] Медведев, "Оружие Новгорода Великого," 130.

[31] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 25.

სურ. 178
წმ. გიორგი ბლაგვი დიბლიგით მინანქრის ხატებზე: ა) შუბი ოქროსფერი დიბლიგით; ბ) შუბი ნითელი დიბლიგით.

დიბლიგით ცხენიდან ჩამოგდება გვხვდება „ომაინიანშიც“: „კაცსა ზოგსა მათრახითა და ზოგსა **შუბის ტარითა** ჩამოვჰყრიდი“.[32]

დიბლიგი კარგად ჩანს XV საუკუნის წმ. გიორგის მინანქრის ორ ხატზე, საიდანაც ირკვევა, რომ ქართული შუბის დიბლიგი საკმაოდ გრძელი იყო (სურ. 178). ლითონის გრძელი დიბლიგი ხელს შეუწყობდა შუბის გაწონასწორებას, როდესაც ის წაგრძელებულად, სიმძიმის ცენტრის უკან ეჭირათ. მიუხედავად ბლაგვი დიბლიგის სიჭარბისა, გვხვდება წვეტიანი შუბის ბოლოს (სათიხარის) ნიმუშებიც. წვეტიანი სათიხარით დაბოლოებული შუბები აქვთ X საუკუნის ჩუკულის ღვთისმშობლის ხატის კარებზე გამოსახულ წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს.[33] 1799 წელს გიორგი XII-ის მიერ თბილისის წმ. ევსტატეს ეკლესიის ყმებისათვის მიცემულ სითარხნის წიგნის განახლების საბუთში ცხენზე ამხედრებულ შეჭურვილ მხედარს წვეტიანი სათიხარი უჭირავს[34] (სურ. 179).

X საუკუნეში ქართული შუბისპირის ყელზე ჩნდება მრგვალი შემსხვილე-

---

[32] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 168.

[33] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 46; ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 8.

[34] *მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან*, დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით (თბილისი, 2011), 136-7, ფერ. ტაბ. 11.

ბა, რომელიც ფართოდ ვრცელდება XI საუკუნეში და რომლიდანაც, უფრო მოგვიანებით, XIV საუკუნეში ე.წ. „ვაშლი“ განვითარდა.[35] შუბის „ვაშლი“ იმავე ფუნქციას ასრულებდა რაც კაროლინგური შუბის „ფრთები“,[36] რომელიც მსხვერპლის სხეულში შუბის ღრმად შეღწევას უშლიდა ხელს და აადვილებდა მის ამოძრობას. შესაძლოა, ის ჩვენთან ცენტრალური აზიიდანაა შემოსული, რადგან ასეთი „ვაშლის“ გამოსახულება გვაქვს VIII-IX სს. აღმოსავლეთ თურქესტანში.[37] შუბისპირზე მრგვალი შემსხვილებითაა გამოსახული მრავალძლის ხატზე წმ. თევდორე (X ს.),[38] წმ. გიორგი ჯუმათის (XI ს. დასაწყისი),[39] სუჯუნის (XI ს.),[40] ბოჭორმის (XI ს.),[41] სეტის (XI ს.),[42] ნაკიფარისა (XI ს.)[43] და იფარის (XI ს.)[44] ხატებზე და წმ. გიორგი XIII ს.-ის დროშის თავზე.[45] თიანეთის სამხარეო მუზეუმში დაცულია შუბისპირები ასეთი მრგვალი შემსხვილებით მასრაზე.[46] ლ. შერვაშიძე მიუთითებს H1665 დავითნის მინიატურებზე, სადაც გამოსახულია შუბები ვაშლით.[47] მართლაც, დავითნის 191r, 191v, 194r, 213v, 222r, 224r და 224v მინიატურებზე უკვე ჩამოყალიბებულ, მსხვილ „ვაშლებს“ ვხედავთ. (სურ. 181)

სურ. 179
შუბი ნვეტიანი სათიხარით. გიორგი XII-ის სიგელი.

კაროლინგურ ეპოქაში გავრცელებული იყო შუბი ელეგანტური ფორმის „შროშანით“, რომელსაც იგივე ფუნქცია ჰქონდა და სხეულში შეღწევას უშლიდა ხელს.[48] შუბის ამ დეტალზე კარგ წარმოდგენას ქმნის ყაზანის მუზეუმში დაცული შუბისპირი, რომლის მხრები მასრასთან შეერთების ადგილზე

---

[35] მსგავსი პროცესის შესახებ რუსეთში იხ. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.," 16.

[36] ასეთი „ფრთები“ ჩანს ნიკორწმინდის ტაძრის წმინდა მეომრების შუბებზე, ისევე როგორც წმინდანის შუბზე XVII საუკუნის „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების“ მინიატურაზე (სურ. 180). *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები*, 73-4, სურ. 8.11.

[37] David Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily." *Gladius*, XVI (1983), 66.

[38] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 37.

[39] იქვე, ტაბ. 151.

[40] იქვე, ტაბ. 156.

[41] იქვე, ტაბ. 162.

[42] იქვე, ტაბ. 182.

[43] იქვე, ტაბ. 184.

[44] *სვანეთის მუზეუმი*, 92, სურ. 27.

[45] ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 62-4, სურ. 65.

[46] В.Е. Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии* (Тбилиси, 1976), таб. 66.1.3.

[47] შუბის ტარი ჩვეულებრივ წითლად ან თეთრადაა შეღებილი. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 67.

[48] Кардини, *Истоки Средневекового Рыцарства*, 276.

სურ. 180
„ფრთიანი" შუბები „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების" მინიატურაზე (ა) და ნიკორნმინდის ფრესკაზე (ბ).

სურ. 181
შუბები ე.წ. „ვაშლით": ა) მრავალძლის წმ. თევდორეს შუბი; ბ) ბოჭორმის წმ. გიორგის შუბი; გ) იფარის წმ. გიორგის შუბი; დ) H1665 დავითნის 224r მინიატურის შუბები.

წაგრძელებული და ქვემოთკენ დახრილია და შროშანისებურ ხვეულს ქმნის.[49] ქართულ იკონოგრაფიაში მრავლად ვხვდებით წმინდანთა შუბებზე გამოსახულ შროშანის მსგავს წარმონაქმნს. შუბისპირზე შროშანითაა გამოსახული წმ. თევდორე ჩუკულის ტრიპტიქზე (X ს.),[50] წმ. გიორგი ბეჩოს საკურთხევლისწინა ჯვარზე (XII-XIII სს.),[51] წმ. გიორგი და წმ. თევდორე ლატალის ხატზე (XIII ს.),[52] წმ. გიორგი სუფის ხატზე (XIII-XIV სს.),[53] წმ. გიორგი და წმ.

[49] О.Р. Гасимов, *Оружие в собрании национального музея республики Татарстан* (Казань, 2003), 45.
[50] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 45-6.
[51] იქვე, ტაბ. 463.
[52] *სვანეთის მუზეუმი*, 113, სურ. 48.
[53] ახალაშვილი, *X-XV სს. წარწერები*, 46-8, სურ. 46.

თევდორე იენაშის ხატზე (XIII-XIV სს.)[54] და მთავარანგელოზი ფხოტრერის ჩარდახზე (XIII-XIV სს.).[55] (სურ. 182)

მსხვერპლის სხეულში შუბის შეღწევას ხელს უშლიდა, აგრეთვე, შუბისპირის ქვეშ დამაგრებული ალამი[56] და ცხენის კუდი – *თუღი* ანუ *ბუნჩუკი*, რომელიც ფართოდ მონღოლებმა გაავრცელეს. ორივე მათგანს ვხვდებით ქართულ შუბებზე: ალამი ჩანს H1665 დავითნის 191r, 191v, 198r და თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" 255-ე მინიატურებზე, თუღი კი – H1665 დავითნის 191r, 191v, 198v მინიატურებზე და გიორგი XII-ის სიგელის შუბზე.

ჰოროლი (ოროლი), სულხან-საბას აღწერილობით, არის „ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი".[57] ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, „საძგერებელი საჭურვლის სახელთაგან ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ყველაზე ხშირად ჰოროლი გვხვდება", სადაც ის ლათინური *lancea* და ბერძნული კონტოსის შესატყვისია.[58] ორივე მათგანი კავალერისტის გრძელი შუბია და ასეთივეა ქართული *ჰოროლი*, რომელსაც ორლესული პირი („ორ-პირი") და ხის გრძელი ტარი („ბუნ-გრძელი") აქვს.

შუბი, საბას მიხედვით, „არს ლახვარი სამ-ძგიდე და ბუნ-გრძელი",[59] რაც ნიშნავს, რომ მისი პირი გაწივკვეთში სამკუთხედია. ტერმინი *შუბი* საყოველთაოდაა გავრცელებული XII საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებში, სადაც ის უკვე ჰოროლსაც ანაცვლებს.[60] საინტერესოა გავარკვიოთ, ეს ცვლილება მხოლოდ ტერმინოლოგიურია თუ ტიპოლოგიურიც და იარაღის ტიპის ცვლილებას თუ ითვალისწინებს. ჰოროლის შუბით ჩანაცვლებისას, მართლაცდა ტიპოლოგიურ ცვლილებასთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც ადრეული საუკუნეებისათვის დამახასიათებელი უფრო ფართო, ორლესულპირიანი ჰოროლი სამძგიდიანმა, ვიწროპირიანმა შუბმა ჩაანაცვლა. ეს მოვლენა საყოველთაოა და ის აბჯრის გაძლიერებამ გამოიწვია. შუბის პირის დავიწროება კარგად ასახავს შეტევითსა და თავდაცვით იარაღს შორის ბრძო-

სურ. 182
შუბები „შროშანით": ა) შუბისწვერი ყაზანის მუზეუმიდან; ბ) ჩუკულის წმ. თევდორეს შუბი; გ) ლატალის წმ. გიორგის შუბი; დ) ლატალის წმ. თევდორეს შუბი.

[54] იქვე, 50-1, სურ. 52.
[55] იქვე, 52, სურ. 57.
[56] White, "Stirrup, Mounted Shock Combat, Feudalism, and Chivalry, 8.
[57] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.
[58] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 224.
[59] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.
[60] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 228.

სურ. 183
ოთხნახნაგა შუბისწვერი და მასზე დატანილი ნარნერა. ექსპონატი 1325. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი.

ლას, როდესაც აბჯრის გაძლიერებამ უფრო მძლავრი და ვიწროპირიანი შუბი შვა, რომელსაც აბჯარი უნდა გაეხვრიტა, განსხვავებით ადრეული პირისაგან, რომელიც ფართო ჭრილობის მისაყენებლად იყო განკუთვნილი.[61] XII საუკუნეში უკვე საყოველთაოდ ჩნდება „ტარანული ტიპის“ შუბები,[62] რომლებიც თავისი ფორმით ჯავშანგამტანია და ლითონის აბჯარში შეღწევას ემსახურება.[63]

ვიწროპირიან, ჯავშანგამტან შუბისწვერებს ჰქონდათ როგორც სამი, ისე ოთხი წახნაგიც. ოთხწახნაგა, ჯავშანგამტანი შუბის კარგი მაგალითია ახალციხის მუზეუმში დაცული შუბისწვერი – ექსპონატი 1325, რომელიც კ. გვარამაძისაგან არის შემოწირული (სურ. 183). მისი სიგრძეა 29.5 სმ, მასრის სიგრძე – 12 სმ, მასრის დიამეტრი – 3 სმ. მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტია. შუბისწვერის ყოველ წახნაგზე ოქროზარნიშით გამოყვანილი წარწერაა დატანილი. ოთხივე ეს ფრაზა ერთ დასრულებულ წინადადებას ქმნის. შუბისწვერის ლეგენდა ასე იკითხება: „ქ. მომეც ჩვენ უ(ფალ) ო შეწევნა || ჭირ<ხ>{ს}ა რ(ომე)ლ ღ(მრთ)ისა მიერ || ვყოთ ძალი და მან || შეურაცხყოს მტერნი | ჩვ[ე]ნ[ნი]“. ამ ღირსშესანიშნავი იარაღის პატრონი უფალს თხოვს შეწევნას და შუბის შემწეობით იმედოვნებს მტერზე გამარჯვებას.

გმური ბრტყელპირიანი და გრძელტარიანი ლახვარია.[64] ფართოპირიანი იარაღი გვხვდება აზიურ არმიებში, სადაც მას მრავალნაირად იყენებდნენ და პირით ხმლის მსგავსად ფარიკაობდნენ. *გმური* არ იყო ტარანული დარტყმებისათვის განკუთვნილი და ის არც ჩანს საქართველოში ჩვენი ისტორიული და ლიტერატურული წყაროების მიხედვით.[65]

---

[61] Nicolle, *Crusader Warfare: Byzantium, Europe and the Struggle for the Holy Land*, 83.

[62] Кирпичников, *Военное дело на Руси в XIII-XV вв.*, 20.

[63] Медведев, “Оружие Новгорода Великого,” 130; Кирпичников, “Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.,” 16.

[64] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.

[65] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 241.

გეონი, საბას მიხედვით, „არს ლახვარი მოწლო[66] და სამძგიდე, ბუნზომიერი, მცირედ კაცისა უმაღლესი".[67] ამ აღწერილობით, *გეონი* შედარებით წვრილტარიანი („მოწლო") და 2 მ სიმაღლის („მცირედ კაცისა უმაღლესი") შუბია. ასეთი სიგრძის შუბი ქვეითთათვის იყო განკუთვნილი. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, *გეონი* მხოლოდ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში გვხვდება.[68]

ხიშტი „არს ლახვარი პირგრძელი, ძგიდემახვილი, ტარკოტა".[69] მისი ლიი თონის პირი ჩვეულებრივ შუბზე უფრო გრძელი ჩანს. *ხიშტი* ჩნდება XI-XII საუკუნეების თხზულებებში.[70] „ამირანდარეჯანიანის" მიხედვით, ის შუბის ტიპის იარაღია, რომელსაც საფალავნო ორთაბრძოლებშიც იყენებდნენ: „წინასვე თქუეს მშუილდისა არა აღება, ყოველსავე შუბითა, ჴრმლითა და ლახტითა იბრძოდეს".[71] *ხიშტი* მსხვილტარიანი იარაღი იყო, როგორადაც აღწერს მას ქართულად გალექსილი „შაჰნამეს" სტროფები: „ჴელთა აქუს ხიშტი პირ-ბასრი, საკუირველია სისქედა", „ჯავრით ფერი წაუვიდა, ხელთ აიღო ხიშტი სხვილი"[72] და „რუსუდანიანი": „ხელთ პირბასრი ხიშტი უჭირავს, რომ მისი უსქესი არ იქნება".[73]

კინენი. თავის ლექსიკონში საბა აღწერს კიდევ ერთ ბუნიან იარაღს, *კინენს*, რომელიც „საბრძოლელია ბუმბერაზთა, მსგავსი შუბის ტარისა, სხვილი, შესაყარად და ასაზეველად (ასაზიდლად). ვიეთნი შუბის პირსაც დაასხმიდეს".[74] „ამირანდარეჯანიანის" ის ადგილები, სადაც კინენით მოჲქმედებაა აღწერილი, უეჭველი გაზვიადების კვალს ატარებს („აიღო კაცი უნაგირისაგან კინენითა", „შეუყარნა კინენი, აიღო უნაგირთაგან", „შეუყარა კინენი... აიღო უნაგირთაგან")[75] და მეტად აძნელებს ამ იარაღის იდენტიფიკაციას. შესაძლოა, კინენი იყო შუბის ტიპის სატურნირო იარაღი, ევროპული პულის მსგავსად ბლაგვთავიანი, რომელიც ძგერებისას მოწინააღმდეგეს უნაგირიდან აგდებდა და, რომელსაც, ზოგჯერ, საბრძოლო (შუბის) პირსაც უკეთებდნენ.

სატყორცნ-საძგერებელ იარაღს მიეკუთვნება *სათხედი* (*ხელშუბი*) და *ზუფანი*. სულხან-საბას დახასიათებით, „*სათხედი* არს ლახვარი პირ-ბრტყელი და ბუნ-ზომიერი, ვიეთნი *ჴელშუბას* უჴმობენ", ხოლო „*ზუფანი* არს

---

[66] „მოწლო – ცოტად წვრილი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 514.

[67] იქვე, 409.

[68] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 242.

[69] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.

[70] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 235.

[71] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 472-3.

[72] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 235-6.

[73] *რუსუდანიანი*, 289.

[74] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 374.

[75] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 139, 151, 373.

სურ. 184
გრძელტარიანი და ცელისმაგვარპირიანი იარაღი ჯრუჭის II ოთხთავის 64r მინიატურაზე. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ლახვარი მსგავსი გეონისა, ბუნ-წყრთეული შორით სასროლი".[76] *ზუფანის* სახელწოდება სპარსული „ჟუფინ"-იდან მოდის.[77] ორივე მათგანი მოკლე შუბია, რომელსაც სატყორცნად იყენებდნენ. არც ერთი ეს იარაღი არ იყო ფართოდ გავრცელებული შუა საუკუნეების საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, სათხედი მხოლოდ ქართული „ვისრამიანის" ნადირობის ეპიზოდში გვხვდება, ზუფანი კი ქართულად გალექსილი „შაჰნამეს" გარდა არსად ჩანს.[78] მართალია, ზუფანი (ზუფინი) კიდევ გვხდება ლიტერატურულ ძეგლებში (ერთგან „ამირანდარეჯანიანის" გვიანდელ ვარიანტში და ორჯერ „რუსუდანიანში"),[79] მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის. ქართულ წყაროებში სატყორცნი შუბის (ხელშუბის)[80] ხმარება გვხვდება იშვიათად და უმთავრესად სპეციფიკურ, მთაგორიან ადგილებში ბრძოლის დროს გამოიყენება ქვეით მთიელთა მიერ: „დაასხეს ქვაω და შუბი, მსგავსი წჳმისაω".[81]

წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ქართველი მხედრები ძირითადად მხოლოდ ვიწროპირიან საძგერებელ იარაღს – ჰოროლს, შუბსა და ხიშტს – იყენებდნენ, ფართოპირიან (გმური) და სატყორცნ (სათხედი, ზუფანი) იარაღს კი არ წყალობდნენ, რაც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს ბრძოლის შოკურ სტილზე.

ბუნიანი იარაღი. საქართველოში დასტურდება გრძელტარიანი ალებარდის მსგავსი სხვადასხვა ბუნიანი იარაღის არსებობაც, რომელსაც ბრძოლაში ქვეითები იყენებდნენ.[82] ასეთი იარაღი კომბინირებულია და გრძელ

---

[76] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.

[77] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 240. ზუფანს ჯერ კიდევ აქემენურ ირანში ხმარობდნენ. Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 250.

[78] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 241.

[79] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 487; *რუსუდანიანი*, 268, 463.

[80] „ჴელშუბა – მოკლე შუბი." სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 440.

[81] „ძეგლი ერისთავთა", 108.

[82] სულხან-საბა ორბელიანი *ლიბანდაკს* და *ლიბარდას*, ცოტა არ იყოს, გაუგებრად განმარტავს: მათ ხან მოკლე, სასროლ შუბად და ხან ისრად მოიხსენიებს. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 414. მაგრამ, რაც მთავარია, იარაღის მონაცემებს გვაწვდის: „*ლიბანდაკი* არს შუბისა უგრძე და უსხო ბუნითა". იქვე, 409. ეს ნიშნავს, რომ *ლიბანდაკის* ტარი შუბზე უფრო მსხვილი და გრძელია და ის ვერაფრით იქნება სასროლი შუბი ან ისარი. მართალი უნდა იყოს ივ. ჯავახიშვილი, როდესაც ფიქრობს, რომ ლიბანდაკი ლიბარდასაგან ანუ ალებარდისაგან წარმოდგება.

სურ. 185
ალებარდის ტიპის იარაღები „როსტომიანის“ 137v (ა) და 140r (ბ) მინიატურებზე. S1580 ხელნაწერი. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბუნზე დამაგრებული აქვს ფართო ან ცულისმაგვარი პირი, რაც მას, საჩხვლეტის გარდა, დამატებით, მკვეთელ თვისებებს ანიჭებს.

საბას მოხსენიებული აქვს ორი ბუნიანი იარაღი – *აფთი* და *წათი*. „*აფთი* მახვილია ბრტყელი და ტარგრძელი“[83] ანუ ის ბუნიანი იარაღია გრძელი ტარითა და ფართო, ბრტყელი პირით. *აფთი* გვხვდება ჟამთააღწერელთან: „მემნას სპარსმან ვინმე **აფთითა** ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო, და მყის დაეცა და მოკუდა“.[84] ის ნახსენებია „დიდმოურავიანსა“ („ხმალ, ლახტ, **აფთ** და ნაჯახები“)[85] და „რუსუდანიანში“ („ლახტის, ხლმისა და **აფთისა** ცემა საშინელი იყო“).[86] შესაძლოა, აფთი გამოსახულია ჯრუჭის II ოთხთავის 64r მინიატურაზე, სადაც ორი გრძელტარიანი და ცელისმაგვარპირიანი იარაღია გამოსახული (სურ. 184).

წათი არის „აფთ-შუბა, დიდი აფთი“.[87] საბა მას დიდ აფთს უწოდებს, რაც

სურ. 186
ალებარდის ტიპის იარაღი. ექსპონატი 121. სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 234.

[83] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 72.

[84] *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე*, 59.

[85] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 25.

[86] *რუსუდანიანი*, 292.

[87] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 362.

სურ. 187
ამკაპა შუბისწვერი. ექსპონატი ომმ-140. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ნიშნავს, რომ აფთთან შედარებით, *წათი* კიდევ უფრო დიდი იარაღია, რომელიც შუბისა და აფთის თვისებებს აერთიანებდა. თამარის ეპოქაში წათს ბრძოლაში იყენებენ: „აღიღეს მახჳლები და წათები".[88]

„როსტომიანის" XVII საუკუნის S1580 ხელნაწერის 137v და 140r მინიატურებზე შუბების რიგში ვხვდებით ალებარდის ტიპის ცულისპირიან იარაღს, რომლის გამოყენება მხოლოდ ორი ხელით იყო შესაძლებელი (სურ. 185). ალებარდის ფორმის რკინის ცული იყო დაცული სვანეთში, ჟიბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში.[89] ის ამჟამად მესტიის მუზეუმში ინახება (სურ. 186).

საინტერესოა, აგრეთვე, სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის ცნობა, რომელიც XII საუკუნის ქართული ლაშქრის შეიარაღებაში სამწვერა შუბებს ასახელებს.[90] როგორც ჩანს, მემატიანე მოგვითხრობს სამკაპის ტიპის ქვეითთა ბუნიან იარაღზე, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ხოლმე. სამწვერა შუბი დადასტურებულია ხევსურეთის სინამდვილეში, სადაც ფეხოსნის ამ იარაღმა ეთნოგრაფიულ თანამედროვეობამდე მოაღწია.[91] სამკაპა შუბისწვერის მშვენიერი ეგზემპლარია დაცული ონის მუზეუმში (ექსპონატი ომმ-140). მისი სიგრძე 40.8 სმ-ია, სიგანე 7.2 სმ, წონა – 629 გ. მასრაზე 1 სამანჭვლე ნახვრეტია, სატარე ხვრელის დიამეტრი კი 2.6 სმ-ს აღწევს. შუბისწვერი ნაჭდევებით შექმნილი მარტივი ნერტილოვანი ორნამენტით არის დამშვენებული. (სურ. 187)

მჯვეთელი იახაღი

მკვეთელი იარაღის კატეგორიას მიეკუთვნება *ხმალი* და *ცული*. ხმალი პირიანი იარაღია, ცული კი – ტარიანი. ქართული ტერმინი *ხმალი* აერთიანებს იარაღის ისეთ სახეობებს, როგორიცაა *მახვილი*, *პალაში* და *მოხრილი ხმალი*. ისტორიულად, მახვილი და ხმალი სინონიმური ცნებებია და ისინი სინქრონულად ჩანს ბიბლიის უძველეს ქართულ თარგმანებ-

[88] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 50. ივ. ჯავახიშვილი ცდება, როდესაც თვლის, რომ ნათი მხოლოდ უძველეს ძეგლებში გვხვდება. ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 235.

[89] თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, 149.

[90] Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукском государстве*, 140; პავლე თოფურია, *ამიერკავკასიის ქალაქები: X-XIII ს. პირველი მეოთხედი (გარეგანი სახე, ხელოსნური წარმოება)* (თბილისი, 1985), 114.

[91] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 92.

ში.[92] ქართული ენა არ ასხვავებს მახვილსა და ხმალს და არ გულისხმობს, რომ პირველი ორლესულია, მეორე კი – მოხრილი ცალპირა იარაღი. სანამ მახვილი იყო გაბატონებული იარაღი, ხმალი მახვილსაც აღნიშნავდა. მოხრილი ხმლის დამკვიდრებისა და მახვილის შეიარაღებიდან ამოსვლის შემდეგ კი, ხმალი საკუთრივ მოხრილ ხმალსა და პალაშს აღნიშნავდა. თავის მხრივ, მახვილი და პალაში საჩეხი იარაღია, რომლითაც ჩხვლეტაც შეიძლება. ზოგიერთი მოხრილი ხმლით კი, ჩეხისა და ჭრის გარდა, ჩხვლეტაც შეიძლება.[93]

შუა საუკუნეებში ხმალი ყოველთვის პრესტიჟულ იარაღად ითვლებოდა[94] და ის ძვირი ღირდა.[95] ხარისხიანი ხმლის დამზადებას საჭირო ცოდნა და საკმაო დრო სჭირდებოდა.[96] გამოცდილ ხელში ხმალი საიმედო იარაღი იყო. შუა საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილად შესწავლილი ვისბის ბრძოლის (1361) სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მკვეთელი იარაღით (ხმლითა და ცულით) მიყენებული ჭრილობები. მკვლევრები გაოცებული დარჩნენ ზოგიერთი საშინელი ჭრილობით, რომელთა კვალი ძვალსაც ეტყობოდა: იარაღს გაკვეთილი ჰქონდა აბჯარი, აბჯრისქვეშა სამოსი, სხეულის რბილი ნაწილი და ძვალიც ღრმად ჰქონდა გაჩეხილი.[97] ამ გარემოებამ ასახვა ჰპოვა ხელოვნებაშიც. შუასაუკუნეების ლიტერატურაში ხშირად არის აღწერილი და მინიატურებზეცაა გამოსახული მუზარად- და თავგაჩეხილი მეომრები, სხვა საშინელი ჭრილობები, რომლებიც ხშირად ხელოვანის ფანტაზიის ნაყოფია. როგორც ითქვა, ამგვარი რამ სინამდვილეშიც ხდებოდა, ოღონდ არა იმ ინტენსივობით, როგორც ამას ხელოვნებაში ვხვდებით. ასეთ ფაქტებს, სწორედ მათი შედარებითი იშვიათობის გამო, საგანგებოდ აღნიშნავდნენ ხოლმე, როგორც ამას ჟამთააღმწერელი აკეთებს თურქებთან მესხების ბრძოლის აღწერისას: „ვინმე

---

[92] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 248.

[93] ხმლის მცირე მოხრილობა და მისი ორლესული ნვერი აჩვენებს, რომ ის საჩხვლეტადაც იყო გამიზნული. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 68.

[94] ფიცის მიცემისას ხმალი ცენტრალურ როლს ასრულებდა უძველეს თურქ მომთაბარეებში, ისევე როგორც ქრისტიანული ევროპის რაინდებთან. Nicolle, *Attila and the Nomad Hordes*, 11.

[95] რივკინი და პინჩო სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ხმალს მაღალი სტატუსი ჰქონდა და მაგალითისათვის მოჰყავთ სემიონ ზვენიგოროდსკის ცნობა, რომ ქართულ ეკლესიებში ხმლები ხატების გვერდზე იყო დასვენებული. Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 95. მართლაც, რუსი ელჩების ზვენიგოროდსკისა და ანტონოვის მოხსენებიდან ვიგებთ, რომ ალავერდის ეკლესიაში წმ. გიორგის ხატთან ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხმალი ესვენა. *Сношения России с Кавказом*, 157. ერთადერთი, ავტორები ცდებიან ქრონოლოგიაში და XVI-ის ნაცვლად XVIII საუკუნეს ასახელებენ – ზვენიგოროდსკი და ანტონოვი საქართველოში 1589 წელს იმყოფებოდნენ.

[96] ევროპული მახვილის სრულად დამზადებას ანუ მისი პირის გამოჭედვას, ვადის, ტარისა და ქუდის დამზადებასა და მორგებას დაახლოებით 200 საათი სჭირდებოდა. Peirce, "The Knight, his Arms and Armour in the Eleventh and Twelfth Centuries," 155.

[97] Thordeman, *Armour from the Battle of Wisby*, 160, 163.

აზნაურმან კაცსა ერთსა თურქსა **მუზარადსა შინა ჴრმლითა თავი გაუპო** და მოკლა".[98] ხმლით ლითონის მუზარადის გაჩეხა და მოწინააღმდეგისათვის თავის გაპობა „ვინმე აზნაურის" გამორჩეულ ფიზიკურ შესაძლებლობებსა და, ამავდროულად, საუკეთესო ხარისხის იარაღზე მეტყველებს.

ხმალი დიდ როლს თამაშობდა საქართველოს მეფეთა კურთხევაში. თანამოსაყდრედ კურთხევისას დავით აღმაშენებელმა თავის ძეს „შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი".[99] მაცხვარიშის 1140 წლის ფრესკაზე, სადაც უკვე დემეტრე I-ის მეფედ კურთხევაა გამოსახული, კომპოზიციაში ცენტრალური ადგილი უკავია დავით აღმაშენებლის მახვილს, რომელსაც ერისთავები წელზე არტყამენ მეფეს: „[დემეტრ]ე მე[ფე]სა ჴრმ[ალსა] აბმენ დ(ავი)თ(ი) ს(ა)ს ე(რისთავ)ნ[ი]".[100] თამარის ორივე ისტორიკოსის ცნობით, ხმალი ინარჩუნებს მნიშვნელობას ტახტზე ქალის აყვანის ცერემონიაშიც, მხოლოდ თამარს, როგორც ქალს, ხმალს წელზე არ არტყამენ, არამედ – მიართმევენ: „და სრულ ყვეს მოჴელეთა სჯანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ჴრმლისა";[101] „და ყოველთა ერთჴმაქმნილთა აწჳეს თამარს ჴრმალი მამული თანა-საყდრითურთ მამისა მინიჭებული".[102] XIII საუკუნის საბუთში „წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისაჲ" დაწვრილებით არის გაწერილი მეფედ კურთხევის ცერემონიალი, რომლის დროსაც მონარქს ხმალს ამირსპასალარი არტყამს: „და ვითარ ჩამოვიდნენ საკურთხეველით კარით, ამირსპასალარმან ჴრმალი შეარტყას..."[103] ეს ტრადიცია შენარჩუნებულია ქართული მონარქიის არსებობის მთელ მანძილზე. მრავალი საუკუნის შემდგომ პაპუნა ორბელიანი გვატყობინებს, რომ 1745 წელს თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევისას „მიიტანა სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა, რომელი იყო ამირსპასალარი, ჴმალი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს".[104] ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ამ კუთხით საქართველო დასავლეთ ევროპას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბიზანტიას, რადგანაც „მახვილი და ხმალი ბიზანტიაში სამეფო ნიშნებად არ იყო მიჩნეული".[105] ზოგადად ეს მოსაზრება, ალბათ, მართალიცაა (განსა-

---

[98] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 96.

[99] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 363.

[100] *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. II, 76-7. რეკონსტრუქტორებისათვის საინტერესო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ ფრესკაზე დავით აღმაშენებლის მიერ ნაქონი გრძელი, სწორი (შვეტი), ორლესული მახვილი – თავად „დავითის ხმალი" შეიძლება იყოს გამოსახული, როგორც ამას გვაუწყებს ნარნერა.

[101] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 27.

[102] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 116.

[103] *ქსძ*, II, 53.

[104] პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, 106.

[105] ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია", წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, *თხზულებანი*, ტ. VII (თბილისი, 1984), 157-8; ანალოგიური მოსაზრებისათვის იხ. Вирсаладзе, "Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши," 153.



სურ. 188
ქართული ხმლის ტიპები: 1) მახვილი, 2) ცალპირა სწორი ხმალი, 3) მოხრილი ხმალი; ა) ტარი, ბ) პირი, გ) ქუდი, დ) კოტა, ე) ვადა, ვ) ლანგეტი, ზ) რიკასო, თ) ღარი, ი) ფხა, კ) ყუა, ლ) შაშარი, მ) ნვერი.

კუთრებით, მეფედ კურთხევისას ხმლის როლის მნიშვნელობაში),[106] მაგრამ მისი სრულად გაზიარება ძნელია. X საუკუნიდან მაინც, ბიზანტიაში ხმალი საიმპერატორო მორთულობისა და ცერემონიების შეუცვლელი ატრიბუტი იყო. სხვა საქმეა, რომ ხმალი, როგორც ძალაუფლების ნიშანი, ბიზანტიაში მეზობელი (ევროპული ან არაბული) კულტურიდან შეტანილად ითვლება.[107]

არქეოლოგიურ ლიტერატურაში მიღებულია ხმლების დაყოფა სამ კატეგორიად სიგრძის მიხედვით: მოკლე (50 სმ-მდე), საშუალო (50-70 სმ) და გრძელი (70 სმ-ზე მეტი).[108] ხმლის პირის სიგრძეს განაპირობებს შეტევისა და დაცვის მოთხოვნები და დასაშვები წონა. ტარის თავზემოთ ჭერის შემთხვევაში, მხედარს ხმლით უნდა დაეფარა სხეული, შეტევისას კი მიწაზე დაწოლილ მტერს მიწვდომოდა.[109]

ხმალი (მახვილიცა და მოხრილიც) შედგება პირისა და ტარისაგან. პირის (ხმლის სხეულის) ნაწილებია ნვერი, ღარი (ან ქედი), ფხა, ყუა. *ნვერი* პირის მჩხვლეტი დაბოლოებაა, წერტილი, სადაც ცივი იარაღის ორივე პირი (ფხა

[106] საკმარისია აღინიშნოს, რომ მაცხვარიშის ფრესკაზე მეფის კურთხევისას ხმლის გამოსახვას პრეცედენტი არ აქვს აღმოსავლურ ქრისტიანულ ხელოვნებაში. Antony Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia* (University Park, Pennsylvania, 1998), 76.

[107] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 360-4. ამ ტრადიციას დასავლეთევროპიდან შესულს თვლის ტ. კოლიასი. Kolias, *Byzantinische Waffen*, 157.

[108] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 94.

[109] В.Г. Федоров, *Холодное оружие* (Санкт-Петербург, 1905), 20.

სურ. 189
ბილდირგა H1665 დავითნის 229r მინიატურაზე (ა); ხმლის ძენკვი S1580 „როსტომიანის" 105r მინიატურაზე (ბ). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

და ყუა) ერთდება.[110] ღარი[111] ჩაღრმავებაა, რომელიც სიგრძეზე მისდევს ხმლის პირს. ფხა[112] ხმლის მჭრელი პირია, *ყუა*[113] კი – მისი ბლაგვი მხარე. ხმლის ტარის საფუძველია ყუნწი, რომელიც პირის გაგრძელებაა. ტარი ხმლის სახელურია და მოიცავს შემდეგ ნაწილებს: *ვადა* – ვადაჯვარი, ხმლის ჯვარედი, რომელიც ხელს იცავს; *კოტა* – ტარის ნაწილი ვადიდან ქუდამდე; *ქუდი* – ტარის ბოლო, ზედა ნაწილი, მომრგვალო ან სხვა ფორმის. (სურ. 188)

ვ. ზაბლოცკის მიხედვით, ხმლის ტარის დანიშნულებაა შეტევისას პირის მოძრაობაში მოყვანა და მოგერიებისას – მოწინააღმდეგის იარაღის ზემოქმედების ამორტიზება.[114] მახვილის ქუდი საშუალებას არ აძლევდა ხელს ტარიდან ჩამოსრიალებულიყო და პირის გამაწონასწორებელიც იყო,[115] მოხრილი ხმლის ქუდს კი მხოლოდ ტარის დამასრულებელისა და ხელის მომზღუდავის ფუნქცია ჰქონდა.[116] ის უფრო დეკორატიული იყო და იცავდა ტარის ხის დეტალებს მექანიკური და კლიმატური ზემოქმედებისაგან.[117] ქუდს ჰქონდა ნახვრეტი, რომელშიც თასმა (ბილდირგა) იყო გაყრილი (სურ. 189ა). თურქული წარმოშობის *ბილდირგა* თასმას აღნიშნავდა, რომელსაც მაჯაზე წამოიცვამდნენ, ხმალი რომ ბრძოლაში არ დაეკარგათ.[118] მოხრილი ხმლის ქუდს ჯვარედთან, ზოგჯერ, წვრილი ჯაჭვი აერთებდა. ამ დეკორატიული ელემენტის საშუალებით, რომელიც ხელის სუსტ დაცვასაც განაპი-

---

[110] Устинов, Портнов, Нацваладзе, *Холодное оружие*, 11.

[111] „ჯრმალი... გამოფერდილი, ანუ ღაროსანი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 443.

[112] „ფხად ითქმის მახვილისპირთა მლესველობაცა". იქვე, 208.

[113] „მახვილის ზურგი". იქვე, 272.

[114] Квасневич, *Польские сабли*, 14-5. შდრ. „*კოტა* – ჯრმლის სახელური, რომლითაც რომ ჯრმალსა დაიჭერს შემოსაკვრელად". თეიმურაზ ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, 71.

[115] Kolias, *Byzantinische Waffen*, 140.

[116] Anthony North, "Swords of Islam," in *Swords and Hilt Weapons* (London, 1993), 136.

[117] Кочкаров, *Вооружение воинов Северо-Западного Предкавказья VIII-XIV вв.*, 28.

[118] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 104.

რობებდა, ხმალს მაჯაზე იკიდებდნენ.[119] ასეთი ჯაჭვი აქვთ „როსტომიანის“ 105r, 119v და 489r მინიატურებზე გამოსახულ ხმლებს (სურ. 189ბ).

მახვილი

მახვილი ხელჩართული ბრძოლის იარაღია სწორი (შვეტი)[120] ორლესული პირითა და სწორი ტარით, რომლითაც შესაძლებელია ჩეხაც და ჩხვლეტაც.[121] მახვილის სამშობლოდ მიჩნეულია ანატოლია, სადაც ნაპოვნია ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის 70 სმ-იანი ხმალი, რომელიც ფაქტობრივად დაგრძელებული ხანჯალია. ის უნდა ყოფილიყო ნამდვილი გრძელი მახვილის პროტოტიპი, რომელიც კრეტაზე გამოჩნდა ძვ.წ. XVII საუკუნეში.[122]

გრძელმა, მძიმე მახვილმა თავისი განვითარების პიკს შუა საუკუნეებში მიაღწია. ამავე დროს, მცდარია გავრცელებული წარმოდგენა, თითქოს შუა საუკუნეების მახვილი მძიმე და მოუხეშავი იარაღი იყოს. ევროპის მუზეუმებში დაცული მახვილების უმეტესობა 0.65-1.4 კილოგრამს იწონის, მსუბუქი და ადვილად სახმარია.[123] ამასვე მოწმობს ალ-ქინდის მონაცემები მუსლიმური ხმლების წონის შესახებ, რომლებიც 0.6-1.3 კგ-ს იწონიდნენ.[124]

ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების ხანაში საქართველოში მახვილს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და შუბთან ერთად მებრძოლის უმთავრესი იარაღი იყო. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ორლესული მახვილი, რომელიც ხევსურეთიდან არის მუზეუმში ჩამოტანილი[125] (სურ. 190). მისი სრული სიგრძე ქუდით 102.2 სმ-ია, ტარის სიგრძე კი – 14.3 სმ. მახვილი 969 გრამს იწონის. მახვილის პირის სიგანე ვადასთან 4.8 სმ-ია და ბოლოსკენ თანაბრად მცირედ ვიწროვდება, წვერი არ არის გამოხატული. პირი გადატეხილში 0.45 სმ სისქის (ცენტრში) და ლინზისებური ფორმისაა. ლითონის ტარი სამი სამაგრით იყო დამაგრებული მახვილის ყუნწზე, რაზეც დარჩენილი ნახვრეტები მეტყველებს.[126] მახვილის ტარს დაკარგული აქვს ხის „შემავსებელი“ (ხეტარი), რომელზეც ემაგრებოდა (ჩამოცმული იყო) ტარის ლითონის ქვედა და ზედა ნაწილი. ტარი და ვადა ცალი (საჩინო) მხრიდან დაფარულია მარტი-

---

[119] Квасневич, *Польские сабли*, 28. ასეთი ჯაჭვი ხევსურულ ხმლებზე შეინიშნება.

[120] „შუეტი – სწორე გაუხრელი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 309.

[121] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 25; Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 27; Ю.С. Худяков, Ю.А. Плотников, "Рубяще-колющее оружие кимаков," *Военное дело и средневековая археология Центральной Азии* (Кемерово, 1995), 93.

[122] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 26.

[123] დიდი ორხელა მახვილების წონაც კი მხოლოდ 1,5-2,6 კგ-ია. Timothy Dawson, "A Club with an Edge," *Medieval History Magazine*, vol. 2, no. 3 (2004), 35.

[124] *Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds,"* 60-1.

[125] ლევან ჭილაშვილი, *საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა: გამოფენის გზამკვლევი* (თბილისი, 1990), 22.

[126] მართებული არ არის ამ მახვილის ტარის რეკონსტრუქცია მხოლოდ ორი ნახვრეტით, რაც მის ერთგვარ „დამოკლებას“ იწვევს. იხ. ირაკლი ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, *თსუსიიშ*, IV (2011), სურ. 5, ტაბ. III.1.



სურ. 190
მახვილი ხევსურეთიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმი: ა) მახვილი; ბ) წინა მხარე; გ) უკანა მხარე; დ) რეკონსტრუქცია. ავტორის ფოტო და რეკონსტრუქცია.

ვი ორნამენტით, ტარი ბოლოვდება მცირე ზომის სფერული ფორმის ქუდით. ვადის სიგანე 8.9 სმ-ია და იგი მახვილის პირისკენაა მოხრილი. ვადის ორივე ბოლო მომრგვალო შემსხვილებით ბოლოვდება. მახვილის ვადას ორივე მხრიდან ჰქონდა *ლანგეტი*,[127] რომელიც ერთ მხარეს მომტვრეული და დაკარგულია.

ორპირი მახვილი, რომელსაც გამოკვეთილი წვეტი არ გააჩნია, აღმოსავლეთისათვის იყო დამახასიათებელი. ასეთი იყო *სპათა* – ბიზანტიური გრძელი, ორლესული მახვილი მომრგვალებული წვერით[128] და ისლამური მახვილიც.[129] ბიზანტიასა და ისლამურ სამყაროში გავრცელებული ორპირი, სწორი, წვერმომრგვალებული მახვილი განსხვავდება ევროპულისაგან, რომელიც თანდათანობით ვიწროვდება და მახვილი წვერი აქვს.[130] იკონოგრაფიული

[127] *ლანგეტი* ვადის წანაზარდია, რომელიც ამ შემთხვევაში ხმლის პირისკენაა დაშვებული, მკვიდრად აფიქსირებს იარაღს ქარქაშის ყელში და იცავს მას უნებლიე გაშიშვლებისაგან. ლანგეტი წარმოიშვა სამკუთხა ფორმის ვადისაგან, რომელიც ინდური წარმომავლობისაა და VII-X საუკუნეებში გავრცელდა ისლამურ ქვეყნებში და ბიზანტიაში, რომელთა გავლით ევროპასაც მიაღწია. Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily," 64; Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 120.

[128] Kolias, *Byzantinische Waffen*, 137, 144; Marko Aleksić, "Some Typological Features of Byzantine Spatha," *Recueil des travaux de l'Institut d'etudes byzantines*, XLVII (2010), 129.

[129] David Nicolle, "Byzantine and Islamic Arms and Armour: Evidence for Mutual Influence," *Graeco-Arabic*, IV (1991), 302-3.

[130] Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily," 62-3. მართალია, ცნობილი არის დასავლეთევროპული მახვილები სწორი პირით (გეიბიგის I ტიპი), მაგრამ მათ მაინც არ გააჩნიათ მომრგვალებული წვერი. G A. Geibig, *Beiträge zur morphologischen Entwicklung des Schwertes im Mittelalter: Eine Analyse des Fundmaterials vom ausgehenden 8. bis zum 12. Jahrhundert aus Sammlungen der Bundesrepublik Deutschland* (Neumünster, 1991), 84-5. ალ-ქინდიც

მასალით თუ ვიმსჯელებთ, წვერმომრგვალებული მახვილები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.[131] რაიმე სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას ჩვენი მახვილის პირი არ იძლევა,[132] ამიტომაც გადავიდეთ მისი ტარისა და ვადის განხილვაზე.

ხმლის წარმომავლობის გარკვევისათვის მის ტარს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ტარის კონსტრუქცია და გაფორმება ახასიათებს მის შემქმნელ ერსა და საზოგადოებას. ვ. ზაბლოცკის მიხედვით, იარაღის ფუნქციური ანალიზისათვის ხმლის ტარს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია. ხმლის ტიპის ან ეთნიკური წარმოშობის განსაზღვრა მხოლოდ პირის საფუძველზე არასწორია.[133] ხმლისა და მისი გამოსახულებების შესწავლისას, ტრადიციულად, კლასიფიკაციისათვის ვადის ფორმა გამოიყენება. ისინი ყოველთვის უფრო მრავალფეროვანი და ადვილად ამოსაცნობია, ვიდრე ხმლის პირი.[134] ვ. იოტოვის სამართლიანი შენიშვნით, „ხმლების ტიპოლოგია ხშირად მათი ვადების ტიპოლოგიაა".[135] იკონოგრაფიული მასალის გამოყენებისას, უმთავრესად შეზღუდული ვართ ხმლის ტარის, ქუდისა და ვადის შესწავლით, რაზეც მართებულად უთითებს ა. ჰოფმაიერი.[136] ეს კი მეტად ზრდის მათი კვლევის მნიშვნელობას.[137]

ჩვენ შემთხვევაშიც, როდესაც მახვილის პირი განსაკუთრებულად არ გამოირჩევა, ძირითადი აქცენტი ტარის კვლევაზე უნდა გაკეთდეს. ხევსურეთიდან ჩამოტანილი მახვილის ტარი ლითონისაგან არის დამზადე-

---

შენიშნავს ამ განსხვავებას ევროპულსა და აღმოსავლურ მახვილს შორის. *Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds,"* 43.

[131] თუმცა წამახულწვერიანი მახვილების გამოსახულებებიც საკმაოდ მოიძებნება.

[132] თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ მოგვიანებით ხევსურეთის მახვილის გადაკეთება უცდიათ და მისი ერთი პირი 35 სმ-ის სიგრძეზე დაუბლაგვებიათ. სავსებით მართებულად, ი. ბაქრაძე ამ ფაქტს საქართველოში მოხრილი ხმლის განვითარების კონტექსტში განიხილავს. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 67, შენ. 23; 82.

[133] Кваснсвич, *Польские сабли*, 14-5. ვ. კვასნევიჩიც ეთანხმება ამ მოსაზრებას და ხმლის წარმოშობის განსაზღვრისათვის მის შემადგენელ ნაწილებს მნიშვნელობის მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით განიხილავს: ტარი – პირი – ქარქაში. იქვე, 13-4.

[134] А.Н. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск I. Мечи и сабли IX-XIII вв.," *Археология СССР* (Ленинград, 1966), 19; Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily," 63. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ იარაღის სახეობა (მაგ. მახვილი თუ მოხრილი ხმალი) პირის ფორმის მიხედვით ირკვევა, ტარით კი მის ტიპს ადგენენ. Н.Я. Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," *Советская Археология*, 23 (1955), 134.

[135] Valeri Yotov, "A New Byzantine Type of Swords (7th-11th Centuries)," *Niš and Byzantium*, IX (2011), 115.

[136] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 95.

[137] რეალურად არსებული ნიმუშების სიმცირის ფონზე, ხმლების იკონოგრაფიული გამოსახულებების მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს მ. პარანიც, რომელიც თვლის, რომ ამ გზით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი ხმლის ისეთი ნაწილების შესახებ, როგორიცაა ტარი და ქარქაში. მითუმეტეს რომ, ბიზანტიური იკონოგრაფია კარგად ასახავს ცვლილებებს ხმლის ტიპოლოგიაში. Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 130-1.



სურ. 191
კომბინირებული ლითონის-და-ხის ტარიანი მახვილის დეტალები: ა) მახვილი გარაბონციდან; ბ) მახვილის ქუდები აბრიტუსიდან და გ) დრასტარიდან. ვ. იოტოვის მიხედვით.

ბული და ხით (ხეტარით) დაკავშირებულ-გამაგრებული.[138] ასეთი კომბინირებული ტარი კარგად ჩანს ატენის სიონის ფრესკაზე წმ. ევსტათეს მახვილზე, სადაც ტარის ზედა და ქვედა ლითონის ნაწილები ყავისფერი ზოლებით მკაფიოდ არის გამოყოფილი მათი შემაკავშირებელი ხის ტარისაგან (სურ. 196ბ). შუა ხის ნაწილი ზოგჯერ თხელი (შესაძლოა, ძვირფასი) ლითონის ფირფიტით იფარებოდა, როგორც ამას ვხედავთ მაცხვარიშის ფრესკაზე წმ. გიორგის მახვილის ტარზე[139] (სურ. 197დ).

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მთლიანი ან ნაწილობრივი ლითონის ტარი არ არის დამახასიათებელი შუა საუკუნეების ევროპული მახვილებისათვის. სამაგიეროდ, ის დამახასიათებელია აღმოსავლური და ისლამური იარაღისათვის, განსაკუთრებით კი ადრეული არაბული მახვილებისათვის.[140] როგორც ჩანს, მახვილის კომბინირებული ტარი ფართოდ ვრცელდება და განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს ბიზანტიის იმპერიაში.[141] კომბინირებული ლითონის-და-ხის კონსტრუქციის ტარის მქონე მახვილები და მათი დეტალები აღმოჩენილია უნგრეთში, ბალატონის ტბასთან გარაბონცის ნეკროპოლისში და კუნაგოტას სამარხში, რუმინეთში პაცუიულ ლუი სოარეს სიმაგრეში, ბულგარეთში პლისკასა, აბრიტუსსა და დრასტარში (სურ. 191). ამ მახვილებს IX-X საუკუნეებს აკუთვნებენ და მათ ბიზანტიურ წარმომავლობას ვარაუდობენ.[142] განსაკუთრებით

---

[138] კომბინირებული ლითონის-და-ხის კონსტრუქციის ტარის შესახებ იხ. Aleksić, "Some Typological Features of Byzantine Spatha," 127.

[139] ქუდსა და ვადას შორის მოჩუქურთმებული ვერცხლის ფირფიტით დაფარული ტარი ჩვენამდე მოღწეულ მახვილზე იხ. Mohamed, *The Arts of the Muslim Knight*, 37, fig. 8.

[140] David Nicolle, "Two Swords from the Foundation of Gibraltar," *Gladius*, XXII (2002), 174-8. IX-X სს. ისლამური მახვილის ლითონის ქუდები, ვადები და მათი დასამზადებელი მატრიცა იხ. Mohamed, *The Arts of the Muslim Knight*, 106-9, fig. 68-70, 72-6.

[141] დ. რაბოვიანოვიც თვლის, რომ მახვილის გამოკვეთილი და ტარისმომცველი ვადა ისლამური სამყაროდან გავრცელდა ბიზანტიაში. Deyan Rabovyanov, "Early Medieval Sword Guards from Bulgaria," *Archaeologia Bulgarica*, XV.2 (2011), 78-82.

[142] Valeri Yotov, "Перекрестье меча из Херсонеса," *Античная древность и Средние века*, 39 (2009), 253, рис. 9; მისივე, "Byzantine Time Swords (10th-11th Centuries) in Romania," *Studia Universitatis Cibiniensis. Series Historica*, VIII (2011), 38-9; მისივე, "The Kunágota sword guard and the dating of two bronze matrices for hilt manufacturing," in *Die Archäologie der frühen Ungarn: Chronologie, Technologie Und Methodik*, Hrsg. B. Tobias (Mainz, 2012), 219-20, fig. 1. დ. რაბოვიანოვი არ ეთანხმება ვ. იოტოვის ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ ბულგარული მახვილები ისლამური წარმოშობისაა. Rabovyanov, "Early Medieval Sword Guards from Bulgaria," 73, 82-3. მიუხედავად იმისა, რომ რაბოვიანოვი მართალია ამ მახვილების თავდაპირველი ისლამური პროტოტიპების შესახებ, იოტოვის მოსაზრებაც საფუძვლიანია. ბალკანეთსა და შავიზღვისპირეთში ნაპოვნი კონკრეტული ეგზემპლარები ბიზანტიაში ან სულაც ადგილობრივ, ბიზანტიური გავლენით უნდა იყოს დამზადებული. აღმოსავლეთ ევროპის ყველა რეგიონში, სადაც კი საკვლევი მახვილებია ნაპოვნი, უშუალოდ არაბულ-ისლამური ტექნოლოგიების შეღწევა ნაკლებად სავარაუდოა.

აღსანიშნავია დრასტარის ბრძოლის (1087) ველზე ნაპოვნი სფერული ფორმის მახვილის ქუდი (სურ. 191გ), რომელიც პრაქტიკულად ხევსურეთის მახვილისა და ვანის ხმლის ქუდის იდენტურია. სფერული ფორმის ქუდები გვხვდება, მაგრამ არ არის დამახასიათებელი დასავლეთევროპული მახვილისათვის, სამაგიეროდ ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში.[143] ცხადია, რომ ქართული მახვილის კომბინირებული ტარი ისლამურ და ბიზანტიურ სივრცეში გავრცელებული ტექნოლოგიის შედეგად არის შექმნილი.

რომაულ-ბიზანტიურმა გრძელმა მახვილმა *სპათამ* რომაული მოკლე მახვილის *გლადიუსისგან* მემკვიდრეობით მიიღო უმნიშვნელო სიდიდის ვადა, რომელმაც თანდათანობით მოიმატა ზომაში. ადრეულ ბიზანტიურ გამოსახულებებზე მხოლოდ მცირე ზომის ვადა შეინიშნება, რომელიც IX-X საუკუნეში ოდნავ შესამჩნევად თუ სცდება მახვილის კიდეებს. მხოლოდ X-XI საუკუნიდან მოყოლებული შეიმჩნევა შედარებით გამოკვეთილი ვადა.[144] X-XI საუკუნეებში ფრანკულ-ვიკინგურ მახვილებზე ჩნდება მოხრილი ვადა,[145] მაგრამ ბიზანტიურ მახვილთან შედარებით მათ განსხვავებული ქუდი აქვთ.[146] ამ ტიპის ევროპულ ვადებზე არ შეინიშნება გამოკვეთილი ბურთულოვანი დაბოლოებაც, რომელიც მხოლოდ XV საუკუნეში ჩნდება.[147] მახვილი სფერული ქუდითა და დახრილი ვადით ფართოდ გავრცელდა ევროპაში, განსაკუთრებით XIII საუკუნის შემდეგ. მაგრამ მოხრილი ვადა არ არის ევროპული წარმოშობის. დახრილი

---

[143] Nicolle, "Two Swords from the Foundation of Gibraltar," 174.

[144] Kolias, *Byzantinische Waffen*, 143.

[145] ერთ-ერთი უადრესია ე.წ. ინგლისური ტიპის მახვილების ჯგუფი, რომელიც 875/900-950 წლებით თარიღდება. R. Ewart Oakeshott, *The Archaeology of Weapons: Arms and Armour from Prehistory to the Age of Chivalry* (London, 1960), 136. ამის საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი მოხრილ ვადის სამშობლოდ ანგლო-საქსურ ინგლისს მიიჩნევს. Hilda Ellis Davidson, *The Sword in Anglo-Saxon England: Its Archaeology and Literature*, 2nd ed. (Woodbridge, 1994), 63. მოხრილვადიან მახვილებს იან პეტერსენის კლასიფიკაციით L, Z და Æ ტიპები მიეკუთვნება. Jan Petersen, *De norske vikingesverd* (Kristiania, 1919), 112-6, 175-7, 178-80, fig. 94-7, 136-7, 138; Lee A. Jones, "Overview of Hilt and Blade Classifications," in *Swords of the Viking Age* by Ian. G. Peirce (Woodbridge, 2002), 18-9. ა. კირპიჩნიკოვი მათ ნაწილობრივ აკუთვნებს პეტერსენის Y ტიპსაც, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ P და Q ტიპებიც, რადგან მათაც გააჩნიათ ვადის მცირედი დახრილობა. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 34-5. კირპიჩნიკოვის კვალდაკვალ, ი. ბაქრაძე თვლის, რომ ევროპულ მახვილებზე ქართული ხმლების მსგავსი, ნახევარმთვარისებური ვადა ჩნდება. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 85, შენ. 82. ეს მოსაზრება ა. კირპიჩნიკოვის არასწორად გაგების შედეგია, რადგანაც რუსი ავტორი ზოგადად დახრილ ვადებზე მსჯელობს, ხოლო Y ტიპის მახვილს სწორი ან ოდნავ დახრილი ვადა აქვს და არა ნახევარმთვარისებრი, როგორც ქართულ ნიმუშებს. ე. ოკშოტის კლასიფიკაციით ნახევარმთვარისებურია მე-9 ტიპის ვადა. Ewart Oakeshott, *Records of the Medieval Sword* (Woodbridge, 1991), nos. X.7-8, Xa.17, XII.10-12. მოხრილი ვადის აღმოსავლეთიდან ევროპასა და სკანდინავიაში შეღწევაში, ა. კირპიჩნიკოვი კიევის რუსეთის ნვლილს აღნიშნავს. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 34-5.

[146] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 352, n. 168.

[147] ე. ოკშოტის მიხედვით 11-ე ტიპის ვადა, რომელიც XVIII.10 და XXI.1 ტიპის მახვილებზე შეიმჩნევა. Oakeshott, *Records of the Medieval Sword*, nos. XVIII.10, XXI.1.

სურ. 192
მახვილი ბოლოებშემსხვილებული, დახრილი ვადითა და მასიური ქუდით ნიშაპურის თასზე. ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმი.

ვადა ხშირად გვხვდება ბიზანტიის ხელოვნებაში X-XII საუკუნეებში.[148] დახრილი ვადის სამშობლო ცენტრალური აზია უნდა იყოს, რომელმაც დასავლეთით გავრცელებისას ბიზანტიასაც მიაღწია.[149] სფერულქუდიანი და დაშვებულვადიანი მახვილების წინამორბედად შეიძლება მივიჩნიოთ პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის IX ს. სპილოს ძვლის ჭადრაკის ფიგურაზე გამოსახული ცხენოსნის მახვილი ისლამური სინდიდან თუ აღმოსავლეთ ირანიდან, ბოსტონის სახვითი ხელოვნების IX-X სს. ერაყულ მოჭიქულ თასზე მებრძოლის მახვილი და ლონდონში, ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმში დაცულ IX-X სს. ნიშაპურის (ხორასანი) თასზე გამოსახული მახვილი, რომელსაც უკვე ბოლოებშემსხვილებული, დახრილი ვადა და მასიური ქუდი აქვს[150] (სურ. 192). ასეთივე მახვილითაა შეიარაღებული მონადირე X საუკუნის ირანულ ოქროს ყელსაბამზე (ცინცინატის ხელოვნების მუზეუმი)[151] და ზიად იბნ ალფაჰის 970 წლით დათარიღებულ კორდობულ სპილოს ძვლის ზარდახშაზე (ვიქტორიას და ალბერტის მუზეუმი).[152] მსგავს მოხრილვადიან მახვილებს ლანგეტის გარეშე ატარებენ აბდ ალ-რაჰმან ალ-სუფის 1009 წლის ასტრონომიულ ტრაქტატში ზოდიაქოს ფიგურები.[153] XII საუკუნის ეგვიპტეში მასიურქუდიან დახრილვადიან მახვილებს უკვე მასობრივად გააჩნიათ ლანგეტი: მათი გამოსახულებები მოიპოვება პარიზში დაცულ 1179-80 წწ. კოპტური სახარების მინიატურებზე[154] (სურ. 193ა).

ასეთ მახვილებს ვხვდებით ბიზანტიურ და სომხურ ძეგლებზეც. პირისკენ დახრილი ვადა აქვს გოლიათის მახვილს X საუკუნის დასაწყისის რელიეფზე აღთამარის ეკლესიიდან. მსგავსი მახვილებია X საუკუნის ბორედეილის, XI საუკუნის არბავილისა და ვატიკანის მუზეუმის X-XI საუკუნეების ბიზანტიურ სპილოს ძვლის ტრიპტიქებზე[155] (სურ. 193ბგ). აქ გამოსახულ მახვილებს აქვთ დიდი ზომის სფერული ფორმის ქუდი და მოხრილი ვადა, ზოგან – ლანგეტიც.

ძირს დაშვებული ვადები მოხრილ ხმლებზეც იყო გავრცელებული. ა. კირპიჩნიკოვის განმარტებით, ჩეხის დროს ასეთი ვადა ხელისათვის უფრო კომფორტული იყო. მისივე კლასიფიკაციით, ასეთია მოხრილი ხმლის ვადა

[148] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 103.

[149] Ada Bruhn Hoffmeyer, "Introduction to the History of the European Sword," *Gladius*, I (1961), 64; მისივე, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 105. ამ მოსაზრებას ტ. კოლიასი და დ. ნიკოლიც იზიარებს. Kolias, *Byzantinische Waffen*, 143, n. 70; Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 122.

[150] Nicolle, "Two Swords from the Foundation of Gibraltar," 168, figs. 53-5.

[151] Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 261, fig. 660.

[152] *Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds,"* fig. 5.

[153] al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," figs. 93a-c.

[154] Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily," fig. 126.

[155] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 352, figs. 20-2.

ტიპი Ia – ნახევარმთვარისებური, ლანგეტის გარეშე, ბოლოში ბურთულებით, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში X-XI საუკუნეებში იყო გავრცელებული.[156] უ. კოჩკაროვი მოხრილ ხმლებზე დახრილი ვადის ორ ქვეტიპს გამოყოფს: IIa, რომელიც X-XII საუკუნეებში გავრცელებული და IIг, რომელიც ჩრდილო კავკასიაში გვხვდება XIII-XV საუკუნეებში.[157] მ. გორელიკი ფიქრობს, რომ XIII-XV საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის სამარხებში ნაპოვნი მოხრილი ხმლების ბოლოებდაშვებული ვადები მახვილის ვადიდან განვითარდა.[158]

ზემოთ ჩამოთვლილი გამოსახულებები ნათლად მეტყველებს იმ დიდ გეოგრაფიულ არეზე, სადაც დაშვებ-

სურ. 193
მახვილი დახრილი ვადით, ქუდითა და ლანგეტით: ა) კოპტური სახარების 79r მინიატურა. ნიკოლის მიხედვით; ბ) არბავილის ტრიპტიქი; გ) ბორედეილის ტრიპტიქი; „ჯამი ათ-თავარიხის" 72a (დ) და 292a (ე) მინიატურები.

[156] Кирпичников. "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.." 63. 68. ერთერთი პირველნი, ვინც ძირს დაშვებულ ვადას იყენებდა, ალბათ, კიმაკები იყვნენ, როგორც ეს შეგვიძლია დავასკვნათ აღმოსავლეთ ყაზახეთში ნაპოვნი მოხრილი ხმლის მიხედვით, რომელიც IX-X საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. Ю.А. Плотников. "Рубящее оружие приртышских кимаков." *Военное дело древних племен Сибири и Центральной Азии* (Новосибирск, 1981), 166, рис. 2; Худяков. *Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии*, 193-4. მოხრილი ხმლები დაშვებული ვადით და ბურთულოვანი ბოლოებით ნაპოვნია ბულგარეთშიც. იხ. Валери Йотов. *Въоръжението и снаряжението от българското средновековие (VII-XI век)* (Варна, 2004), обр. 31, таб. XXXIX.

[157] Кочкаров, *Вооружение воинов Северо-Западного Предкавказья VIII-XIV вв.*, 32-3.

[158] М.В. Горелик. "Адыги в Южном Поднепровье (2-я половина XIII в. - 1-я половина XIV в.)," *МИАСК*, вып. 3 (Армавир, 2004), 294. მ. გორელიკი მახვილის მოხრილ ვადებს XIV საუკუნის დასაწყისის ჰულაგუიანთა მინიატურებზეც აღნიშნავს, რომელიც, მისი აზრით, ილხანთა ირანში მოხვდა მუსლიმური ესპანეთიდან, კერძოდ ალ-ანდალუზიდან, სადაც ის XII-XIII საუკუნეების განმავლობაში ფორმირდებოდა. Горелик, "Адыги в Южном Поднепровье," 294. რაშიდ ად-დინის „ჯამი ათ-თავარიხის" მინიატურებზე მართლაც გვხვდება დახრილვადიანი მახვილები (სურ. 193დე). ასეთი მახვილები გამოსახულია 72a (მუჰამედს ნებდებიან ალყაშემორტყმული ებრაელები) და 292a (მოსე და ლევიტები) მინიატურებზე. Sheila S. Blair, *A Compendium of Chronicles: Rashid al-Din's Illustrated History of the World* (London, 1995), figs. 36, 49. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ასეთი ვადის ტრადიცია ირანსა და მის გარემომცველ სამყაროში მონღოლებამდე არსებობდა და არ საჭიროებდა ესპანეთიდან იმპორტს.



სურ. 194
X-XII სს. ქართული ხმლების ტიპოლოგიური სქემა: 1) მახვილი სწორი ვადით, X ს.; 2) მახვილი დაშვებული ვადით, XI ს. დასაწყისი; 3) მახვილი დაშვებული ვადით, ღანგეტითა და მცირე ზომის ქუდით, XI ს. მინურული – XII ს. პირველი ნახევარი.

ულვადიანი იარაღი იყო გავრცელებული.

ირანულ-ხორასნული ტიპის მახვილები თავის განვითარებას ჰპოვებენ საქართველოშიც. მათ უჩნდებათ ღანგეტი, მახვილის ქუდი კი პატარავდება და მხოლოდ სიმბოლურ ფორმას ინარჩუნებს. იგი არ აწონასწორებს მახვილის პირს, მხოლოდ ხელის მტევნის მომზღუდველია და საშუალებას არ აძლევს ხელს ტარიდან ჩამოსრიალდეს. ევოლუციის ამ პროცესზე სწორი წარმოდგენა რომ გვქონდეს, იმდროინდელი მახვილის ფუნქცია უნდა განვიხილოთ. იგი ორლესული მძიმე იარაღი იყო, რომელსაც ძირითადად საჩეხად ხმარობდნენ. ბრძოლაში მისი გამოყენება განსხვავდებოდა გვიანდელი ეპოქის ფარიკაობისგან უფრო მსუბუქი ცალპირა ხმლებით. მძიმე მახვილით ჩეხისას მნიშვნელობა ენიჭებოდა მოქნევის ძალას და არა სისწრაფესა და მოქნევის სიხშირეს. ასეთ დროს ერთი, ზუსტად მოზომილი მოქნევაც კი საკმარისი იყო მოწინააღმდეგის მოსაკლავად ან მწყობრიდან გამოსაყვანად. სწორედ დარტყმის ძალის გაზრდას ემსახურება ქუდის ზომის შემცირება. რაც უფრო პატარა და მსუბუქია მახვილის ქუდი, მით უფრო წინ არის მისი სიმძიმის ცენტრი. ასეთი მახვილი ნაკლებად მანევრულია, მაგრამ ძლიერ დარტყმას განაპირობებს.[159]

ამ ტიპის, ჩეხაზე გათვლილი ქართული მახვილის განვითარების გზაზე სამი ეტაპი შეიძლება გამოვყოთ: 1) X საუკუნის ხატებზე მახვილს სწორი ვადა აქვს; 2) XI საუკუნეში ვადა უკვე დახრილია; 3) XI-XII საუკუნეების მიჯნაზე კი ყალიბდება ბოლოებშემსხვილებული და დახრილ- ვადიანი მახვილი სფერული ქურდით, რომლის ერთმა ეგზემპლარმაც ჩვენამდე მოაღწია[160] (სურ. 194). რა თქმა უნდა, ეს ეტაპები ერთმანეთისაგან

---

[159] Michael Basista, "Hybrid or Counterpoise? A Study of Transitional Trebuchets," *Journal of Medieval Military History*, V (2007), 50. ისლამური მახვილების პატარა ქუდებზე, რომლებიც ევროპულისაგან განსხვავებით, მახვილის პირს არ აწონასწორებენ და მხოლოდ ტარის დაბოლოებას წარმოადგენენ, მიუთითებს მ. ფურატი. Mehmet Fahri Furat, "A Brief Study on Swords," *Şarkiyat Mecmuası*, 8 (1998), 322.

[160] ადრეული გამოსახულებების მიუხედავად, XII საუკუნიდან მოხრილვადიანი მახვილი სულ უფრო იშვიათია ბიზანტიურ იკონოგრაფიაში და იგი სწორი ვადაჯვრით იცვლება. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 353. სწორედ ამ დროს მოხრილვადიანი მახვილი განვითარების პიკს აღწევს საქართველოში, რაც ქართული „გზის" გარკვეულ დამოუკიდებლობაზე მიუთითებს.

ა


ბ

გ

სურ. 195
მახვილი ლანგეტით, სწორი ვადითა და მომრგვალებული ბოლოებით: ა) მრავალძლის წმ. გიორგის მახვილი; ბ) ფარახეთის წმ. გიორგის მახვილი; გ) ჩუკულის წმ. თევდორეს მახვილი.

იზოლირებულად არ მიმდინარეობდა და მათი დამახასიათებელი ნიშნები ერთმანეთს ერწყმოდა, მაგრამ ზოგადი სურათისათვის ეს სქემა გამოსადეგია.

მახვილი ლანგეტით, სწორი ვადითა და მომრგვალებული ბოლოებით მრავლად მოიძებნება X საუკუნის გამოსახულებებზე. ასეთია წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს მახვილები X ს. მეორე ნახევრის მრავალძლის ხატზე[161] (სურ. 195ა), წმ. გიორგის მახვილი X ს. დასასრულის ფარახეთის ხატზე[162] (სურ. 195ბ), წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს მახვილები ჩუკულის X ს. ღვთისმშობლის ტრიპტიქზე[163] (სურ. 195გ).

XI საუკუნის დასაწყისში (1010-14) ნიკორწმინდის დასავლეთის პორტალის ტიმპანის რელიეფზე გამოსახული წმ. გიორგის მახვილი გვიჩვენებს განვითარების შემდგომ ეტაპს, როდესაც ვადა უკვე დახრილია, მისი ბოლოები ძირსაა დაშვებული, ჩანს პატარა ლანგეტიც, თუმცა მახვილის ქუდი ისევ დიდი ზომისაა[164] (სურ. 196ა). ატენის სიონის სამხრეთის მკლავის XI საუკუნის ფრესკაზე წმ. ევსტათეს მახვილის ვადა, რომელსაც პატარა ლანგეტი აქვს, ოდნავ არის დახრილი, რაც II ეტაპის ნიშანია[165] (სურ. 196ბ).

---

[161] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 406-9, таб. 36, 37.

[162] იქვე, 342-3, ტაბ. 43.

[163] იქვე, 409-10, ტაბ. 46.

[164] ალადაშვილი, *ნიკორწმინდის რელიეფები*, ტაბ. 19$_2$.

[165] *ატენის სიონის მოხატულობა*, ტექსტი თინათინ ვირსალაძის (თბილისი, 1984), 157, ტაბ. 94.


ა

ბ

სურ. 196
მახვილი ლანგეტითა და დახრილი ვადით: ა) წმ. გიორგის მახვილი ნიკორწმინდის რელიეფზე; ბ) წმ. ევსტათეს მახვილი ატენის სიონში.

ძირსდაშვებული ვადა და დიდი ქუდი აქვს XI საუკუნის ლაღამის წმ. გიორგის მახვილსაც.[166]

XI საუკუნის დასასრულისთვის მახვილის ფორმა უკვე ჩამოყალიბებულია და ხშირად გვხვდება XII საუკუნის გამოსახულებებზე. იფრარის მთავარანგელოზთა („თარინგზელ“) ეკლესიაში, ჩრდილოეთის კედელზე ვხედავთ 1096 წელს მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებულ მიქაელ მთავარანგელოზს. მის მახვილს აქვს ბოლოებშემსხვილებული დახრილი ვადა და სფერული ქუდი, პირი ოდნავ წაწვეტებულია, ცენტრალური ღარით თუ ძგიდით[167] (სურ. 197ა). ასეთივე მახვილი გვხვდება წმ. ივლიტას თავისკვეთის სცენაში ლაგურკას წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესიის სამხრეთის კედელზე, რომელიც 1111 წელსაა შესრულებული[168] (სურ. 197ბ). დასრულებული ევოლუციის მახვილებითაა წარმოდგენილი წმ. თევდორე ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე (მეფის მხატვარი თევდორე, 1130 წ.)[169] და წმ. გიორგი მაცხვარიშის დასავლეთ კედელზე (მხატვარი მიქელ მაღლაკელი, 1140 წ.).[170] (სურ. 197გდ).

---

[166] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 355, таб. 241.
[167] *ზემო სვანეთი*, 61.
[168] იქვე, 72.
[169] იქვე, 93.
[170] იქვე, 112.



სურ. 197
მახვილი ლანგეტით, ბოლოებშემსხვილებული დახრილი ვადითა და მომცრო ქურდით: ა) მიქაელ მთავარანგელოზის მახვილი იფრარში; ბ) მახვილი წმ. ივლიტას თავისკვეთის სცენიდან; გ) ნაიფარის წმ. თევდორეს მახვილი; დ) მაცხვარიშის წმ. გიორგის მახვილი.

როგორც ვხედავთ, საქართველოსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული მასალის განხილვამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ჩვენს ხელთ არსებული მახვილის მიერ გავლილი ევოლუციის ეტაპები. ეჭვგარეშეა, რომ ის XI საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებული და XII საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებული ქართული მახვილის ტიპური ნიმუშია.

XIII საუკუნეში მონღოლთა ბატონობის დამყარებამ და მათმა გავლენამ ქართულ სამხედრო საქმეზე განაპირობა მახვილის თანდათანობითი ჩანაცვლება მოხრილი ხმლით. ეს პროცესი საბოლოოდ დასრულებული ჩანს XIV საუკუნეში.

სურ. 198
ქართული კალდიმი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. მირიან კილაძის ფოტო.

ცალპირა სწორი ხმალი (პალაში)

სწორ ცალპირლესულ მახვილს *პალაში* ეწოდება.[171] პალაში მჩეხავ-მჩხვლეტავი იარაღია ცალპირა სწორი პირით და სწორი ან დახრილი ტარით.[172] პალაში მახვილზე მსუბუქი იყო, რადგანაც არ გააჩნდა მეორე პირი და უფრო ვიწრო იყო.[173] როგორც ჩანს, შუასაუკუნეების დასაწყისში პალაში მომთაბარეებმა გადმოიღეს ჩინეთსა და კორეიდან, რომელთაც ეს იარაღი უკვე ანტიკური პერიოდის ბოლოს გააჩნდათ.[174] ცალპირა იარაღი, რომლის პირიც ჯერ კიდევ სწორია, მახვილიდან ხმალზე გარდამავალ ფორმადაა მიჩნეული.[175] სწორ, ცალპირა ხმალს, რომელიც მოხრილი ხმლის წინამორბედად ითვლება, დ. ნიკოლი „პროტო-სეიბრს“ უწოდებს.[176] მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ხმალი საწყისი ეტაპია მოხრილი ხმლის ევოლუციაში, ის დიდხანს განაგრძობდა მოხრილის გვერდზე არსებობას.[177] IV-V სს.-ში პალაში ნაპოვნია ვოლგისპირეთში, V-VI სს.-ში კი სწრაფად ვრცელდება რუსეთის სტეპებში.[178] VII საუკუნეში პალაში ჩნდება ჩრდილოეთ კავკასიაში (უადრესი ნიმუშები VII ს. მეორე ნახევრით თარიღდება), სადაც ის ფართოდ არ გავრცელებულა.[179] მომთაბარეებში პალაში ხშირია IX-XIII საუკუნეებში, შემდგომში კი უფრო იშვიათად გვხვდება, რადგანაც ის მოხრილმა ხმალმა ჩაანაცვლა.[180]

კავკასიაში პალაში ყველაზე მეტად საქართველოში იყო პოპულარული. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სწორპირიანი კავკასიური იარაღიდან

---

[171] სიტყვა *პალაში* უნგრული ენიდან მომდინარეობს, რომელშიც XVI საუკუნეში *pallos* მახვილს ნიშნავდა. აქედანაა ნარმოშობილი პოლონური *palasz* და გერმანული *pallasch*. თავისთავად, უნგრული სიტყვაც ნასესხებია თურქულისაგან, სადაც *pala* ხმალს ნიშნავდა. Квасневич, *Польские сабли*, 49. სხვა საკითხია, თუ რამდენად მართებულია ასეთ იარაღს ვუწოდოთ *პალაში*, ტერმინი, რომელიც მხოლოდ XVI საუკუნეში ჩნდება. А.В. Евглевский, Т.М. Потемкина, "Восточноевропейские позднекочевнические сабли," *Степи Европы в эпоху средневековья*, т. 1 (Донецк, 2000), 118.

[172] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 33; მისივე, "Вооружение кочевников приалтайских степей в IX-X вв.," *Военное дело кочевников Сибири и Центральной Азии* (Новосибирск, 1981), 116; Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 65; Ю.С. Худяков, Ю.А. Плотников, "Рубяще-колющее оружие кимаков," *Военное дело и средневековая археология Центральной Азии* (Кемерово, 1995), 94. მახვილის ტარი ყოველთვის პირდაპირია, პალაშის ვადა კი იარაღის პირისკენაც შეიძლება იყოს დახრილი. ე. ასტვაცატურიანის მიხედვით, პალაში ორლესულიც შეიძლება იყოს. Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 7; მისივე, *Турецкое оружие*, 83.

[173] Б.Б. Овчинникова, "К вопросу о вооружении кочевников средневековой Туве," *Военное дело древних племен Сибири и Центральной Азии* (Новосибирск, 1981), 139.

[174] Swietoslawski, *Arms and Armour of the Nomads of the Great Steppe in the Times of the Mongol Expansion*, 44.

[175] Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 160.

[176] Nicolle, "Byzantine and Islamic Arms and Armour: Evidence for Mutual Influence," 303.

[177] Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 24.

[178] Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 160.

[179] В.Н. Каминский, И.В. Каминская-Цокур, "Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье," *Историко-археологический альманах*, 3 (Армавир-Москва, 1997), 61.

[180] Swietoslawski, *Arms and Armour of the Nomads of the Great Steppe in the Times of the Mongol Expansion*, 47.

ჩვენამდე მხოლოდ XVIII-XIX სს. ქართულმა პალაშებმა მოაღწია.[181]

ქართული პალაშის შესახებ ცნობები უფრო გვიანი პერიოდისათვის მოგვეპოვება. შარდენი XVII საუკუნის მეგრელთა იარაღის ჩამოთვლისას ამბობს, რომ მათ აქვთ „მოუხრელი სწორი ხმალი", რომელიც პალაშის ტიპის უნდა იყოს ანუ სწორი და ცალპირა.[182]

ცალპირა სწორი ხმლები უნდა იყოს გამოსახული XVII საუკუნის ფრესკებზე ანანურის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთი ბურჯის წმ. მეომრების შეიარაღებაში.[183] ფრესკაზე ვხედავთ ქარქაშში ჩაგებულ სწორ ხმლებს გვიანი საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ტარის ფორმით, რომელიც მცირედ დახრილია. გამართული ქარქაში სწორ პირზე მიუთითებს, დახრილი ტარი კი მის ცალლესულობაზე, რაც ნიშნავს, რომ გამოსახულება ასახავს მთაში გავრცელებულ ხევსურულ პალაშს.[184]

ცალპირა სწორი ხმალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში ფართოდ იყო გავრცელებული. ხევსურები პალაშს ეთნოგრაფიულ თანამედროვეობამდე ატარებდნენ. სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს ქართველთა საყვარელ ხმლის ტიპს, რომელსაც *კალდიმი* ეწოდება.[185] *კალდიმი* პალაშის ტიპის მახვილია, რომელიც ხევსურებმა ჩეჩნეთშიც კი გაავრცელეს. ჩეჩნური იარაღის მკვლევარი ი. ასხაბოვი ფიქრობს, რომ კალდამი არის პალაში *ნისა-ტური* (*სწორი ხმალი*). ჩეჩნეთში ის უმთავრესად გვხვდება მაღალმთიან თემებში, რომლებიც ხევსურების მეზობლები იყვნენ. ამ სწორი, ცალპირა იარაღის პირზე, გურდას დამღასთან ერთად, თავიდანვე ჯვარი იყო გამოსახული.[186] დღემდე მოღწეულ კალდიმთა პირის სიგრძე 80-83 სმ-ია. ვადიდან 20-30 სმ დაშორებით პირს ცალი ღარი დაუყვება, აქვს როგორც ვადაჯვრიანი, ისე უვადო ტარი.[187] (სურ. 198)

ქართული პალაშის ერთი სახეობაა *კაბიანი ხმალი*, რომელიც დასავლეთ საქართველოში და, განსაკუთრებით, იმერეთში იყო გავრცელებული. ამ იარაღს აქვს სწორი, ცალლესული პირი დამახასიათებელი წვერით და უვადო, შაშკის ტიპის ტარი, რომელიც პირისკენაა დახრილი და ნისკარტისებური თავი აქვს[188] (სურ. 199).[189] ჟაკ ფრანსუა გამბას, რომელმაც XIX საუკუნის 20-იან წლებში



სურ. 199
კაბიანი ხმალი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. მირიან კილაძის ფოტო.

---

[181] Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 7.

[182] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, 119.

[183] *ანანური*. წიგნი გამოსაცემად მოამზადა ეკატერინე კვაჭატაძემ (თბილისი, 2012), 105, 107.

[184] ხევსურულ სწორ ხმალს ფრანგულს უწოდებენ. მაკალათია, *ხევსურეთი*, 145.

[185] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 349.

[186] И.А. Асхабов, *Чеченское оружие* (Москва, 2001), 76-7. ქართული კალდიმის პირზე გამოსახული მგლისა და სამეფო სფეროს (ჯვრიანი წრე) დამღების შესახებ იხ. ქაფიანიძე, „ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის", 314-5.

[187] მამუკა ქაფიანიძე, „კალდიმი", *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, რედ. ელდარ ნადირაძე (თბილისი, 2013), 197.

[188] კაბიანი ხმალი გვხვდება მოხრილი პირითაც.

[189] სურათზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული კაბიანი ხმალი

იმოგზაურა საქართველოში, თავის ჩანახატებში მოცემული აქვს კაბიანი ხმალი, რომელსაც იმერულს უწოდებს (*sabre immiretien*).[190] იარაღს სახელი ეწოდა განსაკუთრებული, წაკვეთილი კონუსის ფორმის, ქვემოთკენ გაფართოებული ქარქაშის გამო, რომელიც კაბას მოგვაგონებს. ე. ლენცი ფიქრობს, რომ ტყავის კაბა იცავდა ქარქაშს გაცვეთისაგან, უნაგირთან და უზანგთან ხახუნის დროს. ე. დენისოვის აზრით კი, რომელსაც ე. ასტვაცატურიანიც ეთანხმება, დაცვას საჭიროებდა მხოლოდ მდიდრული, სააღლუმო იარაღი, ჩვეულებრივი ქარქაშის დაცვას კი აზრი არ ჰქონდა.[191] კაბიანი ქარქაში იარაღის დასამშვენებლად და თავის გამოსაჩენად უნდა იყოს შემოღებული. ცნობილია უმაღლესი არისტოკრატიის (დადიანის, ციციშვილის) კაბიანი ხმლები.[192]

მოხრილი ხმალი

მოხრილი ხმალი ხელჩართული ბრძოლის იარაღია ცალლესული მოხრილი პირით და, როგორც წესი, ფხისკენ დახრილი ტარით, რომელსაც შეუძლია ჩეხა, ჭრა და ჩხვლეტაც.[193] მოხრილი ხმლის პირის განივკვეთი, ჩვეულებრივ, ხუთკუთხა ან სამკუთხაა.[194]

მოხრილ ხმალს შეიძლება ჰქონდეს *შაშარი (საშარი)* – ორლესული წვერი.[195] ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ შაშარი იგივე ნესტარია („ნაშტარ"), რომელიც ცხოველებსაც აქვთ და „სისხლის გამოსაშვებ მახვილსაც" წარმოადგენს.[196] ეს კი შაშარის ორლესულობასა და სიმახვილეზე მიუთითებს, რაც „შაჰ-ნამეს" თარგმანითაც დასტურდება: „თეიმურთაშმა მოქნეულსა ხმალს ფარი მიაგება, ხმალი ფარსა ეკვეთა და ხმლისა **შაშარი** თემურთაშსა

(ექსპონატი 28-10). მისი სრული სიგრძე 88 სმ-ია, პირის სიგრძე – 74.5 სმ. ხმლის სრული აღწერილობა იხ. ქაფიანიძე, „ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის", 315-6.

[190] Jean François Gamba, *Voyage dans la Russie méridionale, par le chevalier Gamba* (Paris, 1826), pl. 29.

[191] Аствацатурян, *Оружие народов Кавказа*, 336. ბოლო დროს გამოითქვა შეხედულება, რომ კაბიანი ხმალი მარცხენა მხარეს, მხედრის ფეხსა და ცხენს შორის მაგრდებოდა, ხოლო ტყავის კაბა ცხენის ოფლის ზემოქმედებისაგან იცავდა ქარქაშს. И. Бакрадзе, В. Кизириа, "Западногрузинские палаши и сабли с наклонным эфесом открытого типа и их место в эволюции кавказского длинноклинкового оружия," *Историческое оружиеведение*, 1 (2015), 11. თუმცა, ავტორები თავად აღიარებენ, რომ ამის მტკიცებულება ქართულ ნიადაგზე არ მოიპოვება. იქვე, 12-3.

[192] Кирилл Ривкин, *Холодное Оружие Кавказа* (Запорожье, 2012), 40. ქართველ დიდებულთა – ქაიხოსრო ბარათაშვილის, გიორგი აგიაშვილის, კაცია და დავით დადიანების კუთვნილი კაბიანი ხმლების აღწერილობა იხ. М.А. Анисимова, В.Б. Кизириа, "Грузинские палаши "кабиани" в собрании ВИМАИВиВС," *Война и оружие: новые исследования и материалы*, Труды шестой международной научно-практической конференции 13-15 мая 2015 года, ч. I (Санкт-Петербург, 2015), 38-49.

[193] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 39; მისივე, "Вооружение кочевников приалтайских степей в IX-X вв.," 118; Худяков, Плотников, "Рубяще-колющее оружие кимаков," 95.

[194] Гергей Чики, "Сабли аварского периода в Карпатской котловине: вопросы типохронологии," *Культуры евразийских степей второй половины I тысячелетия н.э.* (Самара, 2010), 208.

[195] ივ. ჯავახიშვილი ცდება, როდესაც შაშარს ხმლის ღარად მიიჩნევს: „ხმლებს შაშრიანი ან უშაშრო ეწოდებოდათ, რადგან ღარს შაშარი ერქვა". ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 252.

[196] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 281, 579.

წარბსა ეკვეთა და არა მცირედ დაკოდა".[197] ცხადია, რომ შაშარი ხმლის ორლესული წვერია და შეესაბამება ელმანს. თურქულად *ელმანი* (*yalman*) ხმლის (და, საერთოდ, იარაღის) წვერს ნიშნავს.[198] თუმცა, ხშირად და არასწორად, ელმანს ხმლის პირის გაფართოებულ ბოლოს უწოდებენ. ეტყობა, ხმლის წვერის გაფართოებას სპეციალური ტერმინით არც აღნიშნავდნენ, ხოლო შაშარი (ელმანი) მიუთითებს წვერის ორლესულობას, მის ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანს, რომელიც შეიძლება გაფართოებულიც ყოფილიყო.

მოხრილ ხმალს გააჩნია რომბისებური ვადაჯვარი, რომელიც ორივე მხრიდან მჭიდროდ ემაგრება ტარს და იარაღს დიდ სიმტკიცეს ანიჭებს. მისი ლანგეტი ხელს იცავს ხმლის პირზე დაცურებული დარტყმისაგან, განივი გრძელი ბოლოები კი – შემხვედრი დარტყმისაგან. ასეთი ჯვარედი ხელს ოთხივე მხრიდან იცავს,[199] არის მცირე ზომისა და მსუბუქი, არ არღვევს იარაღის სიმეტრიას და საიმედოდ აფიქსირებს ხმალს ქარქაშში.[200]

მოხრილი ხმლის სახელწოდებები – ინგლისურ-ფრანგული *sabre*, გერმანული *säbel*, პოლონური *szabla*, რუსული *сабля* წარმოდგება უნგრული ტერმინიდან *szablya*, რაც „გაჭრა", „გაკვეთას" ნიშნავს.[201] ბოლოდროინდელი ლინგვისტური კვლევებით დადგენილია, რომ სიტყვის ძირი მოდის ტუნგუსური ტერმინიდან *seleme* = *sele* (რკინა) + *me* ბოლოსართი, რომლის ტრანსფორმაცია ასე აღდგება: *seleme* (ტუნგუსური), *selebe* (ყივჩაღური), *seb(e)le* (პროტო-უნგრული), *szeble* (ძველი უნგრული), *szablya* (ახალი უნგრული), რომელიც შემდეგ სხვადასხვა ევროპულ ენებში ვრცელდება.[202]

ნ. მერპერტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მოხრილი ხმლის მიკუთვნება ერთი რომელიმე ხალხისა თუ ადგილისათვის: მისი პირველი ნიმუშები თითქმის ერთდროულად, VII საუკუნეში ჩნდება სამხრეთ რუსეთის სტეპებში, აზოვისპირეთსა და კავკასიის მთისწინეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში, ასევე, სამხრეთ ციმბირში და, ალბათ, შუა აზიაშიც.[203] მას ეთანხმება ა. კირპიჩნიკოვიც, რომელიც თვლის, რომ მოხრილი ხმლის გავრცელების ზონა VII-VIII საუკუნეებში ალტაისა და სამხრეთ ციმბირიდან უნგრეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთამდე არის გადაჭიმული.[204]

---

[197] *შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები*, ტ. III, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო დ. კობიძემ (თბილისი, 1974), 393.

[198] Furat, "A Brief Study on Swords," 319.

[199] თუმცა, ხელის სრულ დაცვაზე საუბარი გადაჭარბებულად მეჩვენება.

[200] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 69-70; Аствацатурян, *Турецкое оружие*, 84; Гасимов, *Оружие в собрании национального музея республики Татарстан*, 23. ამავე დროს, კონსტრუქციული თავისებურებების გამო, მახვილთან შედარებით, მოხრილი ხმლის ჯვარედი და კოტა უფრო სუსტი და ნაკლებ გამძლეა. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 66.

[201] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 120.

[202] Marek Stachowski, "The origin of the european word for sabre," *Studia Etymologica Cracoviensia*, vol. 9 (Kraków, 2004), 133-8.

[203] Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 164-8.

[204] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 61.

დღემდე მოღწეულ უადრეს მოხრილ ხმლებად ითვლება ორი ნიმუში ჩინეთიდან (VII ს.) და ერთიც – იაპონიიდან (VIII ს.). მსგავსი ეგზემპლარები მოიპოვება მომთაბარეთა სამარხებში უნგრეთიდან ალტაიმდე. ისლამურ სამყაროში მოხრილი ხმალი IX საუკუნეში ცენტრალური აზიის თურქმა მომთაბარეებმა შეიტანეს, რომლებიც აბასიანი ხალიფა ალ-მუსთასიმის (833-42) გვარდიაში მსახურობდნენ.[205] ირანის ტერიტორიაზე უადრესი მოხრილი ხმალი ნაპოვნია ნიშაპურში IX საუკუნის შრეებში.[206] ნიშაპურიდანაა IX საუკუნის კედლის მხატვრობაც ცხენოსანი ბაზიერის გამოსახულებით, რომელიც მოხრილი ხმლითაა შეიარაღებული.[207] აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში VII საუკუნეში პალაშია გავრცელებული, მოხრილი ხმლები კი VIII საუკუნეში ჩნდება.[208] VIII საუკუნეში მოხრილი ხმალი ჩრდილოეთ კავკასიაშიც ჩნდება, სადაც ფართოდ ვრცელდება X საუკუნეში. მისი უადრესი ნიმუში აღმოჩენილია VIII ს. დასაწყისის გალიათის სამარხში.[209]

მოხრილი ხმალი განვითარდა სწორი ცალპირა მახვილიდან, რომლის ტარიც მჭრელი პირისაკენ იყო დახრილი, შემდგომში კი მისი პირიც მოიხარა.[210] მიუხედავად ამისა, მოხრილი ხმალი პრინციპულად განსხვავდება მახვილისაგან დარტყმის ხასიათით. მახვილის დარტყმა მძიმეა და ზემოდან ქვემოთ მიმართული. მოხრილი ხმლის დარტყმა მცურავი და მჭრელია და გაცილებით მეტ ფართობს მოიცავს.[211] მახვილისაგან განსხვავებით, მისი დარტყმის ორივე ფაზა – დაზიანება და გამოძრობა – ერთდროულად ხორციელდება.[212]

მოხრილი ხმალი ცხენოსანთა მანევრული ბრძოლის იარაღია.[213] მახვილთან შედარებით ხმალი შემსუბუქებულია პირის დავიწროებითა და მეორე ფხის გაქრობით.[214] უფრო მსუბუქი ხმლით ხელი უფრო სწრაფად მოძრაობს და წონაში განსხვავების მიუხედავად, სწორად დაბალანსებული მოხრილი ხმალი დიდად არ ჩამოუვარდება დარტყმის ძალაში მახვილს.[215] ამასთან, ერთნაირი ძალის დარტყმისას იარაღის მოხრილი პირი უფრო ღრმად აღწევს სხეულში, ვიდრე სწორი.[216] მოხრილი ხმლის ტარი ისეა დახრილი პირისაკენ,

---

[205] David Alexander, "Swords and Sabers During the Early Islamic Period," *Gladius*, XXI (2001), 205-17.

[206] *Medieval Islamic Swords and Swordmaking: Kindi's Treatise "On Swords and Their Kinds,"* 60, fig. 13.

[207] Alexander, "Swords and Sabers During the Early Islamic Period," 214, fig. 15.

[208] Чики, "Сабли аварского периода в Карпатской котловине," 211.

[209] Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 160-1; Каминский, Каминская-Цокур, "Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье," 61-2.

[210] Gorelik, "Arms and Armour in South-Eastern Europe in the Second Half of the First Millennium AD," 129.

[211] Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 152-4; Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 62; Евглевский, Потемкина, "Восточноевропейские позднекочевнические сабли," 118.

[212] Евглевский, Потемкина, "Восточноевропейские позднекочевнические сабли," 118.

[213] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 61.

[214] Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 154.

[215] Ленц, *Императорский Эрмитаж. Указатель отделения средних веков и эпохи Возрождения*, ч. I, *Собрание оружия*, 42.

[216] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 84.



სურ. 200
ვანის ხმალი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი: ა) ხმალი; ბ) წინა მხარე; გ) უკანა მხარე. ავტორის ფოტო.

რომ დარტყმისას ხმლის პირი არ ქმნის ბლაგვ კუთხეს ხელის მიმართ, არამედ ერთ ჰორიზონტალურ სიბრტყეშია მასთან.[217] ვ. არენდტის თანახმად, ეს გარემოება ხელს აქცევს იარაღის პირის ბუნებრივ გაგრძელებად (ანუ აგრძელებს ბერკეტის მხარს) და დარტყმა აღარ ხდება ბლაგვი კუთხით, რაც მახვილისათვის დამახასიათებელი ნაკლი იყო.[218]

მოხრილი ხმლის განვითარებასთან ერთად იზრდება მისი პირის სიგრძე, სიმძიმე და მოხრილობა, ჩნდება ღარი, იზრდება და აუცილებელი ხდება ტარის დახრილობა.[219] არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის ველებზე მცირედ და საშუალოდ განხრილი ხმალი გავრცელების პიკს აღწევს XII-XIII ს. პირველ ნახევარში. ძლიერ მოხრილი ხმალი XII საუკუნეში ჩნდება და ყველაზე უფრო გავრცელებულია XIV საუკუნეში.[220] VIII-X საუკუნეებში ხმლის სიგრძე 80 სმ-მდეა და მცირედმოხრილია, X-XII სს. ხმლის პირი 75-100 სმ-მდე გრძელდება და შედარებით ნაკლებმოხრილია, XII-XIV სს. კი მისი სიგრძე 100-121 სმ-ია და კიდევ უფრო იხრება. თუ პირველ ხმლებს ქვეითიცა და ცხენოსანიც თავისუფლად იყენებს, XII-XIV საუკუნეების გრძელი ხმლები მხოლოდ ცხენოსანი მებრძოლისათვისაა მოხერხებული. გრძელი ხმლები იყო უფრო მძიმე და ეფექტურიც აბჯრისა და მუზარადის წინააღმდეგ.[221] საერთოდ კი, მოხრილი ხმალი განსაკუთრებით ეფექტურია მსუბუქად შეჭურვილი მტრის წინააღმდეგ.[222]

საქართველოში აღმოჩენილი უადრესი ხმალი ვანის სამარხიდან არის[223] (სურ. 200). როდის შეიძლება გაჩენილიყო ასეთი იარაღი საქართ-

---

[217] Ленц, *Императорский Эрмитаж. Указатель отделения средних веков и эпохи Возрождения*, ч. I, *Собрание оружия*, 42.

[218] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск I. Мечи и сабли IX-XIII вв.," 62.

[219] იქვე, 67; Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 43; Евглевский, Потемкина, "Восточноевропейские позднекочевнические сабли," 120, 150.

[220] Евглевский, Потемкина, "Восточноевропейские позднекочевнические сабли," 146.

[221] Кочкаров, *Вооружение воинов Северо-Западного Предкавказья VIII-XIV вв.*, 39-40.

[222] Рабинович, "Из истории русского оружия IX-XV вв.," 82.

[223] "Из архива Н. В. Хоштариа," *ვანი IV: არქეოლოგიური გათხრები*, რედ. ოთარ ლორთქიფანიძე (თბილისი, 1979), 133. ზოგიერთ ნაშრომში ის შეცდომითაა მოხსენიებული ორპირა მახვილად. იხ. Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии*, 125-6; მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 188, ტაბ. III.1-2.

ველოში და რა პერიოდს მიეკუთვნება ვანის ცალპირა ხმალი? მსუბუქი, ცალპირა ხმლების პოპულარობა მომთაბარეების მიერ გავრცელებულმა სწრაფმა და მანევრულმა ბრძოლის სტილმა განაპირობა. ამ სტილის საქართველოში გავრცელების ვადები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

ვანის სამარხში ნაპოვნი ხმლის სრული სიგრძე 110 სმ-ია, ტარის სიგრძე – 14.1 სმ, პირის უდიდესი სიგანე კი – 4 სმ.[224] პირი მთელ სიგრძეზე უმნიშვნელოდ ვიწროვდება, რაც შესამჩნევი მხოლოდ წვერთან ხდება. ხმალი მცირედ მოხრილია და ყუასთან ახლოს ორმხრივ გასდევს ღარი. ყუის სისქე ვადასთან 0.9 სმ-ია, გადატეხილში – 0.8 სმ, შემდგომ კი – 0.7 სმ. ყუა პირის სიგრძის თითქმის 3/4-ს შეადგენს, რომელიც მთავრდება წვერიდან 26 სმ-ში და გადადის მჭრელ ნაწილში, რომელიც პირის ორლესულ ბოლოს ქმნის.[225] ხმალს აქვს *რიკასო*[226] – პირის მჭრელი მხარე ვადიდან მხოლოდ 7.5 სმ-ის შემდეგ იწყება. პირი გადატეხილში სოლისებური ფორმისაა. ამჟამინდელ (ძლიერ დაჟანგულ) მდგომარეობაში ხმალი 1123 გრამს იწონის. შემორჩენილი ვადის სიგანე 7.1 სმ-ია. ის ნახევარმთვარისებურია, პირისკენ დახრილი და ბოლოები ორივე მხარეს ჩამომტვრეული აქვს. სავარაუდოა, რომ ისინიც მრგვალი შემსხვილებით ბოლოვდებოდა. ასევე, ორმხრივ დაზიანებულია და უცნობია, ჰქონდა თუ არა ვადას ლანგეტი. ტარი ბოლოვდება 3 სმ დიამეტრის სფერული ფორმის ქუდით. ლითონის ტარი სამი სამაგრით არის ყუნწზე დამაგრებული. ხეტარი, რომელიც აკავშირებდა ტარის ზედა და ქვედა ლითონის ნაწილებს, მეტწილად შემორჩენილია და მკაფიო წარმოდგენას იძლევა ტარის კონსტრუქციაზე.

ვანის გათხრები არ არის ზუსტად დათარიღებული. თავად ნ. ხოშტარია მას X საუკუნით ათარიღებდა.[227] ვ. ართილაყვა ვანის ხმალს X-XI საუკუნეების ნაკეთობად მიიჩნევს.[228] ლ. ჭრელაშვილი ვანურ ხმალს XI ან XI-XII საუკუნეებს აკუთვნებს.[229] ი. ბაქრაძე ძირითადად იზიარებს ზემოხსენებულ მკვლევართა პოზიციებს და საკუთარი არგუმენტების მოხმობითაც ცდილობს განამტკიცოს ხმლის X-XI საუკუნეების მიჯნით დათარიღება.[230] ყველა ეს ნაშრომი ვანის სამარხს ქართული შეიარაღების ჭრილში განიხილავს და იარაღის დათარიღებას ფართო არქეოლოგიური კონტექსტის გათ-

---

[224] შდრ. "Из архива Н. В. Хоштария," 133.

[225] მოხრილი ხმლის ორლესული ბოლო ჩხვლეტის გასაადვილებლად იყო გამიზნული, რადგანაც სამკუთხა განივკვეთის მქონე ხმლით ჩხვლეტა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ლინზისებურით. Чики, "Сабли аварского периода в Карпатской котловине," 209.

[226] *რიკასო* ხმლის პირის გაულესავი ნაწილია, რომელიც ვადიდან იწყება. რიკასო აძლიერებს ხმლის პირის ტარში გადასვლის ადგილს და ქარქაშში პირის საიმედოდ ჩამაგრებას ემსახურება. რიკასოს გამოყენებით ფარიკაობის საგანგებო სტილის შესახებ იხ. Rabovyanov, "Early Medieval Sword Guards from Bulgaria," 77.

[227] "Из архива Н. В. Хоштария," 133.

[228] Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии*, 126, 170.

[229] ლევან ჭრელაშვილი, „ქართული იარაღის ისტორიიდან: ხმალი", *მნათობი*, 5-6 (1998), 129-30.

[230] ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 66-8, 70.

ვალისწინების გარეშე ცდილობს, რაც ბუნებრივია, შესაბამის შეცდომებს იწვევს. დღეისათვის, ვანის სამარხის კომპლექსური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ის საქართველოში ჩამოსახლებულ ყივჩაღ მომთაბარეს ეკუთვნის.[231] ამ, ახლებურად გააზრებული არქეოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე, ადვილი დასადგენია ვანის ხმლის დამზადების სავარაუდო თარიღიც. ჩვენ წინაშეა მომთაბარეთა ტიპური იარაღი – ხმალი, რომელიც ყივჩაღი ატარებდა და რომელსაც, ამავე დროს, ქართული მახვილისათვის დამახასიათებელი ტარი აქვს.[232] ამას გარდა, ვანის ხმალს კიდევ ერთი უცნაურობა ახასიათებს. ცნობილია, რომ რაც უფრო ადრეულია მოხრილი ხმალი, მით ნაკლები მოხრილობა,[233] პირის სიგრძე და სიფართე აქვს მას. VIII-IX საუკუნეების ხმლები ხასიათდება 1 მ სიგრძით, 2.9-3.3 სმ სიგანითა და 3 სმ მოხრილობით. XII-XIII საუკუნეებში ხმლის პირი გრძელდება 10-17 სმ-ით, სიგანე ზოგჯერ 4.4 სმ-საც კი აღწევს და კიდევ უფრო იხრება.[234] ასე რომ, ვანის ხმალი სიგრძითა და სიგანით XII-XIII საუკუნეების ნიმუშს შეესაბამება, მოხრილობით კი – VIII-IX სს. ამ, ერთი შეხედვით, ანომალიის ამოხსნა ადვილად არის შესაძლებელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ვიცით, რომ მეფემ ყივჩაღები „განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა".[235] ეს არც არის გასაკვირი, თუკი ყივჩაღთა მარშრუტს მივადევნებთ თვალს. თავდაპირველი განსახლების ადგილიდან (სევერსკი დონეციდან) კავკასიის მთისწინეთამდე მისაღწევად ათრაქას ურდომ გრძელი გზა – 750 კმ გაიარა.[236] ამას მოჰყვა კონფლიქტი ოსებთან და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ბინადარ მოსახლეობასთან, შემდეგ კი – რთული გადასვლა კავკასიონზე და საქართველოში დაბინავება, რომლის დროსაც მომთაბარეთა მფლობელობაში მყოფი, მათი მეურნეობისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი საქონლის გადმოყვანა სრულად ვერ მოხერხდებოდა. ასე რომ, საჭურვლისა და ცხენების დანაკლისს ყივჩაღები უდავოდ განიცდიდნენ. მემატიანე შენიშნავს, რომ იმ დროისათვის ყივჩაღნი გამოირჩეოდნენ „უპოვარებითა".[237] ესეც რომ არა, ბუნებრივია,

---

[231] დაწვრილებით იხ. წურწუმია, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის", 160-96.

[232] ეს მეტად საყურადღებო გარემოება ი. ბაქრაძემაც შეამჩნია, თუმცა ამის ახსნა ადგილობრივი, ქართული ხმლის ევოლუციის პროცესით სცადა. ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 69-70.

[233] VIII-XIV საუკუნეებში მოხრილი ხმლის განვითარება მიმდინარეობს პირის სიმრუდის გადიდების გზით. С.А. Плетнёва, *Древности чёрных клобуков* (Москва, 1973), 18.

[234] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 67. კირპიჩნიკოვი აღნიშნავს, რომ XIII საუკუნეში მახვილის გავლენით ხმალი უფრო მასიური გახდა. იქვე, 67.

[235] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 337.

[236] М.П. Мургулия, В.П. Шушарин, *Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII - XIII веках* (Москва, 1998), 72.

[237] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 336. ამ ვითარებაზე უთითებენ პ. გოლდენიც და გ. ანჩაბაძეც. Golden, "Cumanica I: The Qipčaqs in Georgia," 71; Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 108-9.

რომ საქართველოში, სადაც არმიის ბირთვს ფეოდალური მძიმედ შეჭურვილი ცხენოსნები წარმოადგენდნენ, მომთაბარე ყივჩაღთა შეიარაღება არასაკმარისად „მძიმე" მოჩვენებოდათ და შესაბამისი ზომები მიეღოთ. ყივჩაღთა ძირითადი მასა მსუბუქ ცხენოსან მოისრად დარჩებოდა და მათ შესაიარაღებლად ხმალი და მშვილდი სრულიად საკმარისი იქნებოდა. რაც შეეხება მონასპის შემადგენლობაში შემავალ ყივჩაღებს, მათ შეტევითი და თავდაცვითი აღჭურვილობაც დასჭირდებოდათ.

ვანის ხმალი უნდა განვიხილოთ, როგორც ქართველი მჭედლის ნაკეთობა, სახელმწიფო არსენალის პროდუქტი, რომელიც მომთაბარე ყივჩაღის შეკვეთით შესრულდა და მის მოთხოვნათა (სწრაფი და მანევრული ბრძოლის) დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული. რეალურად, ის მოხრილი ხმლისა და მახვილის ჰიბრიდია, ადრეული ხმლისათვის დამახასიათებელი მცირედ მოხრილი პირითა და მახვილისათვის დამახასიათებელი ტარით. ხმლის პირის მცირე მოხრილობაც ადვილი ასახსნელია: შედარებით მცირედ მოხრილი პირის გამოჭედვა გაცილებით ადვილი იქნებოდა ქართველი მჭედლისათვის, რომელიც მანამდე მხოლოდ სწორი პირების კეთებაში იყო გაწაფული.

როგორც აღინიშნა, ვანის ხმალს სწორი, პირდაპირი ტარი აქვს და იგი ხევსურეთის მახვილის ტარის ზუსტი ანალოგია. მათი სიგრძეც ერთნაირია და 14 სმ-ის ფარგლებშია. შეინიშნება ტექნოლოგიური პროცესის იგივეობაც: ორივე იარაღს ტარი ერთნაირად აქვს დაზიანებული და იგი გატეხილია სამაგრების ნახვრეტების გასწვრივ, რომელიც ტარის შედარებით სუსტი წერტილი იყო. ვანის ხმალი ისეთივე ტარით, როგორიც ადრეულ მახვილს აქვს, ნათლად გვიჩვენებს იმ გარდამავალ ეტაპს, როდესაც საქართველოში მოხრილი ხმალი იწყებს დამკვიდრებას. ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია ორპირა მახვილის შემსუბუქების ტენდენცია და მისი ჩანაცვლება ცალპირა იარაღით.[238] პროცესი შედარებით ახალი დაწყებულია, რაზეც მიუთითებს ტრადიციული, სწორი და მახვილისათვის დამახასიათებელი ტარის გამოყენება იარაღის კონსტრუქციაში.[239]

მოხრილი ხმლის დამკვიდრების გარდამავალ ეტაპზე მეტყველებს კიდევ ერთი არტეფაქტი, რომელსაც ჩვეულებრივ, და, ჩემი აზრით, შეცდომით, X-XI საუკუნეებით ათარიღებენ.[240] გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის სამაროვნიდან ნამოღებულ საფლავის ქვაზე გამოსახულია მშვილდი, კაპარჭი და ხმალი[241]

---

[238] პირის დავიწროების (4 სმ მახვილის 4,8 სმ-თან შედარებით) ხარჯზე ვანის ხმალი უფრო დაგრძელებულია (110 სმ მახვილის 102 სმ-თან შედარებით).

[239] მახვილის ტარი ყოველთვის პირდაპირია, მოხრილი ხმლისთვის კი დამახასიათებელია ტარის იარაღის პირისკენ დახრილობა.

[240] ჭრელაშვილი, „ქართული იარაღის ისტორიიდან", 130; ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 72-3.

[241] რობერტ კეკელიძე, „საფლავის ქვები ალგეთის ხეობიდან", *ძეგლის მეგობარი*, 34 (1974), 30-1. რ. კეკელიძე ქვის მხოლოდ ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს ადგენს და მას XV საუკუნეზე ადრინდელად მიიჩნევს. იქვე, 32.

(სურ. 201). გოხნარის საფლავის ქვის X-XI საუკუნეებით დათარიღება გამორიცხულია, რადგანაც მასზე აღბეჭდილია ცილინდრული მილძაბრა კაპარჭი, რომელიც საქართველოში მონღოლებმა შემოიტანეს.[242] ვერ გავიზიარებ ი. ბაქრაძის ლოგიკას, რომელიც იმის საფუძველზე, რომ XV საუკუნის წმ. გიორგის ხატებზე (ჟიბიანის, გულეკარის და სხვ.) გვხვდება ახალი ტიპის (ბრტყელი) კაპარჭი, ცილიდრული კაპარჭის საქართველოში არსებობას XIV საუკუნეზე უფრო ადრე და X-XI საუკუნეებშიც კი ფიქრობს.[243] საფლავის ქვაზე გამოსახული ხმალი მცირედ განხრილია და მისი ვადის ბოლოები ძირსდაშვებულია, აქვს ბურთულისმაგვარი ქუდი. თავისი ტარით იგი ვანში ნაპოვნი ხმლის ანალოგიურია. საფლავის ქვის მშვილდი მონღოლური ტიპისაა და ბოლოში გაფართოებული ცილინდრული კაპარჭიც მონღოლთა გავლენითაა დამკვიდრებული ქართველთა შეიარაღებაში, რომლებიც ასეთ კაპარჭს XIV საუკუნეშიც ატარებდნენ, როგორც ეს ჩანს H1665 დავითნის მინიატურებზე.[244] საყურადღებოა, რომ ამავე მინიატურებზე ხმლებს უკვე სხვანაირი, მოხრილისათვის დამახასიათებელი ვადები გააჩნიათ. ასე რომ, გოხნარის საფლავის ქვაზე გამოსახული აღჭურვილობა H1665 დავითნის მინიატურებზე ადრინდელია, XIII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება და მასზე გარდამავალი ეტაპის ხმალია გამოსახული, მახვილისათვის დამახასიათებელი ტარით.



სურ. 201
გოხნარის საფლავის ქვა. ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. ავტორის ფოტო და კომპიუტერული ნახაზი.

XIII საუკუნე გარდამავალი ეტაპია ქართული ხმლის ევოლუციის პრო-

[242] ამ ფორმის კაპარჭის საქართველოში გავრცელებისა და მისი მონღოლებისაგან ნასესხობის შესახებ, იხ. წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები“, 338-43.

[243] ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის“, 73-4. მართებული არ არის ი. ბაქრაძის მიერ იმის მტკიცებაც, რომ თითქოს, გ. ჩუბინაშვილი XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს წმ. გიორგის ხატების ერთ ჯგუფს (ჟიბიანის, გულეკარის და სხვ.) ახალი ფორმის კაპარჭით, რითაც ხატები ერთი საუკუნით ხელოვნურად „ძველდება“. იქვე, 74. სინამდვილეში, გ. ჩუბინაშვილი გარკვევით აკუთვნებს ამ ხატებს XV საუკუნეს, რასაც ადვილად ამოვიკითხავთ მისი ნაშრომის ბოლო თავში, სადაც ქართული ოქრომჭედლობის განვითარება საუკუნეების მიხედვითაა მიმოხილული, განსაკუთრებით კი იმ მონაკვეთში, რომელიც XV საუკუნეს ეძღვნება. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, 626-30.

[244] წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები“, 340-1, სურ. 12, 15, 18, 20.

სურ. 202
გიორგი IV-ის ფრესკა ბერთუბანში ძველ და ამჟამინდელ მდგომარეობაში.

ცესში, რასაც ქვეყნის დასავლეთის ვითარებაც მოწმობს. 1300 წელს მოხატულ მოქვის სახარებაში არსად არ გვხვდება მოხრილი ხმალი: მინიატურებზე მხოლოდ სწორი, ორპირი მახვილია გამოსახული.[245] იარაღის არათანაბარი გავრცელება მხოლოდ მონღოლთა ბატონობის ხანაში გაყოფილ ქვეყანაში შეიძლება მომხდარიყო. დასავლეთ საქართველოში მონღოლებს პრაქტიკულად არ შეუღწევიათ და აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, შეიარაღებაზე მათი გავლენა უფრო სუსტი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ XIII საუკუნის ბოლოსთვის დასავლეთ საქართ-

[245] ასეთია მინიატურები 17r (ყრმათა მოწყვეტა ბეთლემს), 51v (იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა) და 98r (გზა გოლგოთისაკენ). *მოქვის სახარება*, 80, 116, 150. ი. ბაქრაძე მართალია, როდესაც თვლის რომ „შესაძლოა, სწორი ხმალი უფრო დიდხანს არსებობდა დასავლეთ საქართველოში (რომელსაც მონღოლთა დაპყრობა ნაკლებად შეეხო)". ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 77. თუმცა, ეს აზრი მისივე ქრონოლოგიას ეწინააღმდეგება: მისი მტკიცებით, მოხრილი ხმალი X-XI საუკუნეებიდან იყო საქართველოში გავრცელებული. იქვე, 74. მოხრილი ხმალი რომ მართლაც X-XI საუკუნეებში იყოს საქართველოში გავრცელებული, უფრო გვიანი ხანისათვის (XIII-XIV სს.) ის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბრად იქნებოდა წარმოდგენილი და არ იქნებოდა დაკავშირებული მონღოლთა დაპყრობასთან.

სურ. 203
გიორგი IV-ის ხმლის ტარი (ა, ბ); H1665 დავითნის ხმლის ტარები 233r (გ) და 198v (დ, ე) მინიატურებზე.

ველოში მოხრილ ხმალს არ იყენებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, ამ დროისათვის მახვილი ისევ ინარჩუნებდა თავის ადგილს დასავლეთი სამეფოს შეიარაღებაში და მხატვარმაც მინიატურებზე უფრო ნაცნობი იარაღი გამოსახა.

საქართველოში მოხრილი ხმალი საბოლოოდ დამკვიდრებული ჩანს XIV საუკუნეში.[246] H1665 დავითნის მინიატურებზე უკვე მხოლოდ მოხრილი ხმ-

[246] ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ XIII ს. დასაწყისისათვის საქართველოში მოხრილი ხმალი უკვე დამკვიდრდა და ის სამეფო იკონოგრაფიაშიც აისახა. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, გიორგი IV ლაშა (1192/3-1223) ბეთანიის მონასტერში გამოსახულია, როგორც მეფისნული (XIII ს. პირველი ათწლეული) და მას შვეტი, სწორი მახვილი არტყია, ბერთუბნის მხატვრობაში კი ის უკვე მეფეა (XIII ს. პირველი მეოთხედი) და მოხრილ ხმალს ატარებს. გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „მოხრილ ხმალს XIII საუკუნის ოციანი წლებიდან უკვე აშკარად ვხედავთ". ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 253. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ერთგვარ ფუძემდებლურ დებულებად იქცა საქართველოში მოხრილი ხმლის საყოველთაოდ გავრცელების თარიღის დადგენისათვის და მას სხვადასხვა ფორმით იმეორებს ყველა, ვინც კი ამ საკითხს ეხება. მაგალითისათვის იხ. ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 153, სურ. 40; Артилаква, *Железообрабатывающее ремесло*

ლებია გამოსახული. ხმლების უმეტესობას რომბისებური ფორმის ვადა აქვს. მათი ქარქაში მთელ სიგრძეზე თითქმის ერთი სიგანისაა, თითქოსდა ვერტიკალურად ჩამოკვეთილი ბოლოთი. ხმალთან შედარებით ქარქაშის ნაკლები სიმრუდე სწორედ ასეთი ფორმით აიხსნება.[247]

სულხან-საბა ორბელიანი გვიამბობს, თუ როგორ ხმლებს ანიჭებდნენ ქართველები უპირატესობას: „და რომელიცა ჴრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი და მკვეთელი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, – ამას ქართველნი ჰყვარობენ. ...არამედ ბრძენნი და გამოცდილნი, ღვაწლისა მძლენი მჴედარნი საქებურად ამას დასდებენ, რომელი გვარიანიცა იყოს, ძველი და არა ღვლარჭნილი, არცა სადა მცირედი სიმრუდე ჰქონდეს, არც მაღალ-დაბლობა აჩნდეს ცახეთაცა ოდენი, ლიბრი იყოს,

---

древней Грузии. 126; შარაშენიძე, *ქართული სამხედრო ხელოვნება*, 34-5; გვანცა აბდალაძე, „საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშა (1206-1223)", ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი, 2005), 47-8; ბაქრაძე, „X-XI საუკუნეების ქართველი მეომრის შეიარაღებისათვის", 70-1, 77. მიუხედავად დასახელებულ ავტორთა განსხვავებული მოსაზრებებისა მოხრილი ხმლის შემოსვლის შესახებ, მისი დამკვიდრების თარიღად, გიორგი IV-ის ბერთუბნის ფრესკის საფუძველზე, ყველა XIII საუკუნის დასაწყისს აღიარებენ. მოხრილი ხმალი კიდევ უფრო ადრე მიაჩნიათ დამკვიდრებული გ. აკოფაშვილსა (XI-XII სს.) და ლ. ჭრელაშვილს (XII ს. მაინც). იხ. აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში*, 50-4; ჭრელაშვილი, „ქართული იარაღის ისტორიიდან", 130. თავისთავად, მართებულად არ მიმაჩნია ის ვითარება, რომ მხოლოდ ერთი განყენებული მაგალითის – გიორგი ლაშას ხმლის საფუძველზე განისაზღვროს საქართველოში მოხრილი ხმლის დამკვიდრების თარიღი და ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მოხრილი ხმალი საქართველოში არ გვხვდება XIV საუკუნის მხატვრობამდე. რაც მთავარია, უნდა ითქვას, რომ გიორგი ლაშას ბერთუბნის გამოსახულება მეტად პრობლემატურია, ხმლის ქვედა ნაწილი არ არის მკაფიოდ გამოსახული (დღემდე არც მოუღწევია), ქარქაშს ჩრდილივით დაყვება მუქი სილუეტი, რომელიც მას „ასქელებს" და შესაძლოა, ორი სხვადასხვა დროის მხატვრობის ნიშანი იყოს (სურ. 202). მეტიც, ხმლის ტარი არ ჰგავს XIII ს. ან უფრო ადრეულ მოხრილ ხმლებს და მისი ჯვარედინი ვადა XIV-XV სს. ნიმუშებს ეკუთვნის, რომელთა ნახვა უხვად შეიძლება მონღოლური ირანისა და H1665 დავითნის მინიატურებზე. ხმლები ბოლოებში გაფართოებული რომბისებური ვადაჯვრით პირველად ჩნდება XIV საუკუნის ირანულ მინიატურაში: ასეთია დიდი მონღოლური შაჰნამეს მინიატურები (დაახლ. 1325-35), თოფქაფის მუზეუმის H. 2153 ალბომში XIV ს. შაჰნამეს მინიატურები (16v, 22v, 35r, 52v, 53r, 65v, 73v, 82r, 100v, 102r, 103v, 157r), თოფქაფის მუზეუმის H. 2160 ალბომში XIV ს. შაჰნამეს მინიატურა (76r), დაახლ. 1330 წლით დათარიღებული ილუსტრაციები ჯამი ათ-თავარიხიდან (23r, 148v) თოფქაფის H. 2153 ალბომში და სხვ. Oleg Grabar, Sheila Blair, *Epic Images and Contemporary History: The Illustrations of the Great Mongol Shahnama* (Chicago, 1980), 66, 82, 84, 88, 92, 96, 106, 110, 112, 116, 122, 138, 146, 162, 168, pl. 5, 13, 14, 16, 18, 20, 25, 27, 28, 30, 33, 41, 45, 53, 56; Nurhan Atasoy, "Four Istanbul Albums and Some Fragments from Fourteenth-Century Shah-Namehs," *Ars Orientalis*, 8 (1970), 20, 22, Fig. 3, 4, 8, 10, 17-20, 23, 24, 27, 28; The *Topkapi Saray Museum: The Albums and Illustrated Manuscripts*, translated, expanded and edited by J. M. Rogers from the Original Turkish by Filiz Çağman and Zeren Tanindi (Boston, 1986), 69, 71, pl. 43, 44, 52, 53. ხაზგასმით ვიმეორებ, გიორგი IV-ის ხმლის ტარი კლასიკური ჯვარედინი ვადით XIII საუკუნეზე გვიანდელი ეპოქიდანაა, სულ მცირე, საუკუნე- ან საუკუნენახევრითაა დაშორებული იმ თარიღს, რომელსაც აკუთვნებენ და მისი უადრესი ანალოგების პოვნა ადვილად შეიძლება H1665 დავითნში, რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ შეიარაღებას ასახავს (სურ. 203). გიორგი IV ლაშას ფრესკის საკითხს უფრო ვრცლად, მომავალში, კვლავ დავუბრუნდები.

[247] Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 64.

და არა თეთრ, ზომიერ სიგრძით და სიბრტყითა, წინა კერძო მცირედ განხრილი და არა საშუალ, ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არა დამბლაგველ, უტალ-უნაფრცხენო, ყუა-ზრქელ, გნდე-სწორე, შაშარ-მოკლე".[248] აქ აღწერილია გრძელი, მცირედ მოხრილი, მძიმე ხმალი, რომელსაც სქელი ყუა და მოკლე შაშარი აქვს. ასეთი ხმლებია გამოსახული ქართულ იკონოგრაფიაში და ასეთია დღემდე მოღწეული გვიანი შუასაუკუნეების ხმლებიც. ქართული ხმალი არასოდეს არ გამხდარა ისე მოხრილი, როგორიც იყო ირანული და ოსმალური ხმლები. როგორც საბა ამბობს, „ქართველები ჰყვარობენ" ხმალს, რომელიც „წინა კერძო მცირედ განხრილი" ანუ შედარებით მცირედ იყო მოხრილი წვერისკენ. ჩანს, ჩვენი წინაპრების ბრძოლის სტილი ძლიერად მოხრილ ხმალს ვერ ეგუებოდა, რასაც განაპირობებდა ქართველთა აღჭურვილობის შედარებითი „სიმძიმეც": რაც უფრო მოხრილია ხმალი, მით მეტი აქვს მას მჭრელი და ნაკლები – მჩეხი თვისება. ქართველებს ისეთი იარაღი უნდა ჰქონოდათ, რომელიც ეფექტური იქნებოდა მსუბუქად აღჭურვილი მომთაბარის ან ქვეითის წინააღმდეგ და ქართულ შინაომებში, კარგად შეაბჯრული თანამემამულის წინააღმდეგაც გამოდგებოდა. ამ პირობებმა შვა გარკვეულწილად უნივერსალური იარაღი: მცირედ განხრილი, მძიმე ქართული ხმალი, რომელიც მჩხვლეტავ თვისებასაც ინარჩუნებდა.

რივკინისა და პინჩოს დაკვირვებითაც, ქართული მოხრილი ხმალი XVI-XVII საუკუნეებშიც ისეთივე იყო, როგორიც XIX საუკუნეში: შედარებით ფართო და მცირედგანხრილი. იგი იყო საკმაოდ მძიმე და კარგად დაცულ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად იყო განკუთვნილი. ქართული ხმლები ირანულისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა:[249] ირანული შამშირის ტარის სიგანე ერთნაირია მთელ სიგრძეზე,[250] ქართული ტარი კი ვადასთან ყველაზე განიერია და ზემოთკენ ვიწროვდება, რაც ხელს უშლის ხმლის ხელში გადაბრუნებას. ქართული ხმლების ტარი ხშირად დაფარულია ამობურცული რკინის ან ვერცხლის ვარსკვლავებით, რაც თათმანიანი ხელის კარგ მოჭიდებას განაპირობებს. ცხვირაწეული ლითონის ქუდი საშუალებას იძლეოდა ორივე ხელით დაეჭირათ ტარი. გარდა ამისა, ქართული ხმლებისათვის დამახასიათებელი იყო ერთი ან რამდენიმე ღარი, მაშინ როდესაც ირანულებს, როგორც წესი, ღარი არ აქვთ.[251]

მოხრილი ხმლის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობა იყო *შაშკა*, 60-90 სმ სიგრძის უვადო იარაღი, რომლის ტარს მასიური ორად გაყოფილი (იატაგანის ტიპის) დაბოლოება აქვს და თითქმის ბოლომდე

---

[248] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 443-4.

[249] XVI საუკუნეში აღმოსავლური ხმლის პირის მოხრილობა იზრდება. განიერი, მძიმე, შედარებით ნაკლებად მოხრილი ირანული ხმლები უფრო XVI-XVII საუკუნეებს ეკუთვნის. მოგვიანებით, ირანული ხმლები მოკლდება და მსუბუქდება. Anthony North, *An Introduction to Islamic Arms* (London, 1985), 27, 32.

[250] XVII საუკუნის ირანული ხმლისათვის დამახასიათებელი იყო ვიწრო ტარი. Аствацатурян, *Турецкое оружие*, 101.

[251] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 94, 97-8, 112.

სურ. 204
უვადო ხმლები S1580 „როსტომიანის“ 140r (ა), 148v (ბ) და 155r (გ) მინიატურებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

არის ქარქაშში „ჩაძირული“. რუსული ტერმინი „შაშკა“ ყაბარდოული „საშხუე“-ს (გრძელი დანა) კალკია.[252] ფიქრობენ, რომ შაშკა ჩერქეზეთში იშვა.[253] უვადო

[252] იქვე, 71.

[253] Ривкин, *Холодное Оружие Кавказа*, 40. ი. ლებედინსკის აზრით, V-VI საუკუნის უვადო სასანური მახვილები კავკასიური *შაშკის* წინამორბედია. Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 2006, 91. მათ შორის გარკვეული მსგავსება არსებობს, მაგრამ დროის დიდი შუალედი შაშკის სასანურ წარმოშობას გამორიცხავს.

ხმალი განსაკუთრებით პოპულარული გახდა XVIII საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ აბჯარი პრაქტიკულად უსარგებლო გახადა და აბჯრის საწინააღმდეგოდ განკუთვნილი მძიმე მოხრილი ხმლების ნაცვლად უფრო მსუბუქი, სწრაფი და იაფი შაშკა დამკვიდრდა.[254] ჩვეულებრივი ხმლისაგან განსხვავებით, შაშკას პირით ზევით ატარებდნენ.[255]

შაშკის ტიპის უვადო ხმალს საქართველოში *ლეკური* ეწოდებოდა. სულხან-საბა ასე განმარტავს ამ ტერმინს: „*ლეკური* – უვადო ჴრმალი, გინა ლეკეთისა; უვადო ჴრმალია საკიდარი".[256] ლეკურის პირი ოდნავ მოხრილი და ერთ-, ორ- ან სამღარიანია.[257] რივკინისა და პინჩოს აზრით, შაშკას საქართველოში XVIII საუკუნის შუახანებიდან უნდა იყენებდნენ.[258] ამ თარიღმა XVII საუკუნეში მაინც უნდა გადმოიწიოს. სულხან-საბას *ლეკური* ხმალი შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში, რომელიც 1685-1716 წლებშია შედგენილი, რაც ნიშნავს, რომ ეს ხმალი საქართველოში XVII საუკუნეში უკვე გავრცელებული და პოპულარული იყო. „როსტომიანის" XVII საუკუნის S1580 ხელნაწერის 140r, 148v და 155r მინიატურებზე გამოსახული უვადო ხმლები ლეკურ ხმალს წარმოადგენენ. გამოსახულებებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მითუმეტეს, რომ ავტორი კარგად განარჩევს უვადო და ვადიან ხმალს, რომელსაც სხვაგან გამოსახავს კიდეც. (სურ. 204)

სახელწოდებიდან გამომდინარე, ტერმინი *ლეკური* ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ხმლის ჩერქეზულ წარმოშობას. მართალია, მხოლოდ ლექსიკოგრაფიული მონაცემების საფუძველზე საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევია, მაგრამ ის კი მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ XVII საუკუნის საქართველოში უვადო ხმალი ლეკეთიდან ანუ დაღესტნიდან შესულად ითვლებოდა.

მოკლეპირიანი იარაღი

შუა საუკუნეებში ორი საბრძოლო იარაღის (გრძელ- და მოკლეპირიანის) ტარების პრაქტიკა დამახასიათებელი იყო ახლო აღმოსავლეთის მძიმე კავალერიისათვის.[259] ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ ჰუნების ეპოქაში დასტურდება: ძველგერმანულ სიმღერაში, რომელიც ნიბელუნგების ეპიკურ ციკლთანაა დაკავშირებული, მოქმედი გმირი „ჰუნების მსგავსად" ორი მახვილით იარაღდება – მარცხნივ გრძელ მახვილს იკიდებს, მარჯვნივ კი მოკლეს.[260] ასევე იყვნენ შეიარაღებულნი სასანელები.[261]

---

[254] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 68.

[255] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 231.

[256] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 411.

[257] მამუკა ქაფიანიძე, „ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის", *სემმ*, I (2010), 319.

[258] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 73.

[259] Nicolle, "Two Swords from the Foundation of Gibraltar," 159.

[260] В.П. Никоноров, *"Марсов Меч" Аттилы: Военное Дело Европейских Гуннов* (Санкт-Петербург, 2004), 203-7.

[261] Helmut Nickel, "About the Sword of the Huns and the "Urepos" of the Steppes", *The Metropolitan Museum Journal*, 7 (1973), 135, 138.

ორი იარაღის ტარებას ურჩევს მხედრებს რომაულ-ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატებიც: ვეგეციუსი მებრძოლთა შეიარაღებაში გრძელ მახვილთან ერთად მოკლესაც – ნახევარსპათას (*semispathia*) ასახელებს.[262] X ს. ბიზანტიური *Sylloge Tacticorum* ურჩევდა კატაფრაქტს ორი – გრძელი და მოკლე – იარაღი ეტარებინა.[263] ლეონ VI თავისი ტაქტიკაში ამბობს, რომ ცხენოსანს გრძელი მახვილის (სპათა) გარდა უფრო მოკლეც (პარამერია, მახაირა) უნდა ჰქონოდა.[264]

ევრაზიელ მომთაბარეებში ორი იარაღის ერთად ტარების ტრადიცია განსაკუთრებით იყო განვითარებული V-VIII საუკუნეებში.[265] ამავე ხანებში ევროპის გერმანელ ხალხებში პოპულარული იყო გრძელი საბრძოლო დანა – ცალპირიანი სკრამასაქსი, რომელმაც ზოგან ორპირა მახვილიც კი გამოდევნა. რაც შეეხება სატევრის ტიპის იარაღს, ევროპასა და რუსეთში ის მხოლოდ XIII საუკუნიდან ჰპოვებს ფართო გავრცელებას, როგორც ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედშეიარაღებული მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალება.[266]

როგორც წესი, მოკლე იარაღს ატარებდნენ მარჯვენა მხარეს, გრძელ იარაღს კი მარცხნივ იკიდებდნენ, რათა მარჯვენა ხელით ადვილად ამოეღოთ ქარქაშიდან.

სატევარი (ხანჯალი)

სატევარი (ხანჯალი) ცივი იარაღია ორლესული, სწორი ან მოხრილი პირით, რომლითაც ჩხვლეტაც შეიძლება და ჩეხაც. ის ხელჩართული ბრძოლისათვისაა გამიზნული, იქ სადაც სხვა იარაღი ნაკლებად ეფექტურია: ორთაბრძოლასა და სივიწროვეში, მოულოდნელი და ჩუმი თავდასხმების დროს. სატევარი ხასიათდება მასიური ორლესული პირით, რომელიც მნიშვნელოვან სიგრძეს აღწევს.[267] ჩვეულებრივ, მისი პირი 50 სმ-მდე სიგრძისაა, თუმცა გვხვდება უფრო გრძელი ქართული ეგზემპლარებიც.

პირველი ლითონის ხანჯლები ძვ. წ. IV ათასწლეულში ჩნდება ეგვიპტესა და პალესტინაში.[268] ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ჰიქსოსებმა შექმნეს ხანჯლის ტიპი, რომელსაც ღარი ჰქონდა.[269] ძვ. წ. I ათას-

---

[262] *Vegetius: Epitome of Military Science*, II.16.

[263] Kolias, *Byzantinische Waffen*, 137.

[264] *The Taktika of Leo VI*, 6.2.

[265] М.В. Горелик, "Образ мужа-воина в Кабарии-Угрии-Руси," *Культуры евразийских степей второй половины I тысячелетия н.э. (из истории костюма)* (Самара, 2001), 174.

[266] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 72-3.

[267] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 82.

[268] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 15.

[269] გავრცელებული მოსაზრება, რომ ღარი იარაღს სისხლის ჩამოსადენად სჭირდება, მცდარია: რადგან ღარები ჩაკეტილია, სისხლი მათში, პირიქით, ჩაგუბდებოდა. ღარი (ღარები) იარაღის პირს სიმტკიცეს ანიჭებს და, ამავე დროს, ამსუბუქებს მას. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 16; Устинов, Портнов, Нацваладзе, *Холодное оружие*, 11.

წლეულში იარაღის პირზე რამდენიმე ღარის დატანება კავკასიაში ისეთი პოპულარული ხდება, რომ მკვლევრები უკვე „კავკასიურ ტრადიციაზე" საუბრობენ.[270]

მრავალმხრივი საბრძოლო თვისებებისა (ჩხვლეტა, ჩეხა) და უნივერმ სალობის გამო ხანჯალს დიდ ყურადღებას უთმობენ ისლამურ სამხედრო ნაშრომებში. მაღალ შეფასებას აძლევს ხანჯალს მუბარაქშაჰი, XIII საუკუნის დასაწყისის სპარსული სამხედრო ტრაქტატის ავტორი. მუბარაქშაჰის თანახმად, „თუ მებრძოლი აღჭურვილია ყველა სახის იარაღით, მაგრამ არ აქვს ხანჯალი, მისი შეიარაღება არ არის საკმარისი და უნაკლო. მას რომ მხოლოდ ხანჯალი გააჩნდეს და სხვა არაფერი, ითვლება რომ მისი შეიარაღება სრულია, ყოველგვარ ნაკლს მოკლებული".[271]

კითხვა-პასუხის სახით დაწერილი არაბული სამხედრო ტრაქტატიც „სრული რჩევები სამხედრო საქმეში გასაწვრთნელად" (შემოკ. „ნიჰაიათ ალ-სული"), რომელიც ტრადიციულად მიეწერება მუჰამედ იბნ ისა ალ-ჰანაფი ალ-აქსარაის (-1348) და შედგენილია მამლუქთა მხედრობისათვის 1250-1500 წლებში (მოყვანილი ნაწყვეტი დაწერილია XIII-XIV სს. მიჯნაზე), დიდ ყურადღებას უთმობს ხანჯალს და ვრცელ ინფორმაციას იძლევა მისი გამოყენების შესახებ:

„კითხვა: რა იარაღი უნდა ატაროს ჯარისკაცმა ყოველთვის?

პასუხი: არასოდეს არ უნდა დატოვო ხანჯალი შინ, არც ომში და არც მშვიდობისას. მას აქვს ბევრი უპირატესობა და მისი გამოყენება შეიძლება ყველა სხვა იარაღთან ერთად. ის გამოსადეგია შუბსა და ისართან, ხმალსა და ლახტთან, ხელშუბთან და ყველა ამათთან ერთად. ასე რომ, ისწავლე ყველაფერი მის შესახებ.

კითხვა: რა თვისებები აქვს ხანჯალს?

პასუხი: ხანჯალი შეიძლება დაარტყა როგორც ხმალი, აძგერო როგორც შუბი, ისროლო როგორც ხელშუბი, ტყორცნო როგორც ისარი, შურდულის ჭურვი ან ხელით ნასროლი ქვა. მებრძოლს უნდა შეეძლოს ყოველივე ამის კეთება". დამატებით, „ნიჰაიათ ალ-სული" ქვეითს ურჩევს ხანჯლის გამოყენებას ახლო ბრძოლაში მოწინააღმდეგის ცხენების წინააღმდეგ.[272]

ხანჯალი დამხმარე იარაღი და მებრძოლის ბოლო იმედი იყო. როდე-

---

[270] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 30.

[271] Шариф Мухаммад Мансур Мубаракшах, *Правила ведения войны и мужество*, перевод с классического таджикского (персидского) языка, предисловие и примечания кандидата филологических наук Дж. Наджмутдиновой и кандидата исторических наук С. Шохуморова (Душанбе, 1997), 165.

[272] David Nicolle, "Know Your Weapons, Know Your Enemy: A Mamluk Training Manual," http://the-mamluk-faris.blogspot.com/2005/06/know-your-weapons-know-your-enemy.html (2005).

საც მარაბდის ომში თეიმურაზ მეფეს ყველა ძირითადი საბრძოლო იარაღი (შუბი, ხმალი, ლახტი) დაემტვრა, ის იძულებული გახდა ხანჯალი გაეშიშვლებინა: „შუბი, ხმალი, ლახტი გატყდა, მოვიხმარე კვლა ხანჯარი".[273]

ხანჯალს ხშირად იყენებდნენ ხელჩართულ ბრძოლაში მძიმედ შეჭურვილი მოწინააღმდეგის მოსაკლავად, როგორც ამას ლიტერატურული წყაროები გვიდასტურებენ. ასეთი ეპიზოდები გვხვდება „რუსუდანიანში", „ომაინიანსა" და „ამირანდარეჯანიანის" გვიანდელ, XVIII ს. დამატებაში: „რა... ჩამოვარდნილი ნახა... ცხენითა გადახტა, ხანჯარი ამოიღო და თავის მოკვეთას ლამობდა";[274] „ხანჯალი გამოიძრო, მუზარადი წაკვეთა და თავსა ტანისაგან განშორებასა ლამოდა";[275] „მუზარადისა ჯაჭვი წაკვეცა და პირალმასისა ორპირისა ხანჯლითა თავი ტანისაგან გააშორა".[276] საგულისხმოა, რომ ევროპაშიც ცხენიდან ჩამოგდებულ, კარგად შეჭურვილ რაინდს ამ მეთოდით და სპეციალური გრძელი, ვიწროპირიანი ხანჯლისმაგვარი იარაღით – მიზერიკორდით კლავდნენ.

ხანჯალი ყველაზე ცნობილი კავკასიური იარაღია. კავკასიური ხანჯალი ფართო ორლესული იარაღია, წვერისკენ თანაბრად დავიწროებული პირით, ჯვარედინი ვადის გარეშე და მომრგვალებული ბრტყელი ქუდით.[277] სწორ ხანჯალს *ყამა* ეწოდება, *ბებუთი* კი ბოლოში მცირედ მოხრილია.[278] ქართულ ხანჯალს აქვს საკმაოდ ფართო, სოლისებური პირი, ტარს – კავკასიისათვის დამახასიათებელი ნახევრად ოვალური თავი. პირი შუა ნაწილში ხშირად არის ოქროთი მორთული, ტარი და ქარქაში კი მსხვილი მცენარეული ორნამენტითაა დამშვენებული.[279] ქართული ხანჯლის ტარი მზადდებოდა ძვლის ან რქისაგან, ზედ ორი ან სამი გობაკით; პირი იყო ღარიანი (1, 2 ან 3-ღარიანი) ან უღარო (ქედიანი); ქარქაში – ტყვაგადაკრული, ერთი სალტით და ბუნიკით ან მთლიანი ვერცხლის.[280] უფრო ადრეულ ნიმუშებზე ხანჯლის ტარი მასიური ლომვეშაპის ძვლის ან რქისაა, მოგვიანებით – ტარი ორნაწილიანი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი: მას რქა (ძვალი) აქეთ-იქიდან ემაგრება.[281] ზოგადად, ქართულ ხანჯალს ახასიათებს პრო-

[273] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 76.

[274] *რუსუდანიანი*, 285.

[275] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 106.

[276] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 737.

[277] North, *An Introduction to Islamic Arms*, 35.

[278] Устинов, Портнов, Нацваладзе, *Холодное оружие*, 34-5; Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 74.

[279] Устинов, Портнов, Нацваладзе, *Холодное оружие*, 35.

[280] მამუკა ქაფიანიძე, „ხანჯალი", *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, რედ. ელდარ ნადირაძე (თბილისი, 2013), 580.

[281] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 248, 253.

პორციულობა და ელეგანტურობა, ორნამენტის სიმდიდრე და გამორჩეული საბრძოლო თვისებები.[282]

სიტყვა *ხანჯალი* (*ხანჯარი*) სპარსულიდან არის შემოსული ქართულ ენაში. XV საუკუნემდე საქართველოში ამ ტერმინს არ იცნობდნენ. ის არ გვხვდება XIV ს. ხელმწიფის კარის გარიგებაში.[283] ხანჯალს (ხანჯარს) არ იცნობს არც „ვეფხისტყაოსანი" და არც „ვისრამიანის" ქართული თარგმანი. სპარსული ტექსტის ხანჯალი გადმოთარგმნილია ხან როგორც ხმალი, ხან კი – დანა.[284]

სულხან-საბა ორბელიანი თვლიდა, რომ ხანჯლის ქართული სახელწოდება სატევარი იყო: „*ხანჯალი* სხვათა ენაა, საგვერდული მახვილია, ქართულად *სატევარი* ჰქვიან".[285] ამ შემთხვევაში ქართველი ლექსიკოგრაფი არცთუ მართალი უნდა იყოს, რადგან სატევარიც უცხო ენიდანაა შემოსული. ქართული სატევარი წარმომდგარი უნდა იყოს არაბული *სატურ-სათული*-დან, რომელიც სპარსულ ენაშიც დამკვიდრდა (სპარსულად ის იკითხება როგორც *სათევარ)* და ორივეგან დიდ, ბრტყელ დანას აღნიშნავს. სიტყვა სატევარის საწყისი ნაწილი *სა-* თავსართი არ არის და არც სიტყვაა დაკავშირებული ტევასთან, შეტევასთან. სატევარი არ გვხვდება არც „ვეფხისტყაოსანში" და არც „ვისრამიანში". ასე რომ, ეს ტერმინი კლასიკური ხანის შემდეგ უნდა იყოს დამკვიდრებული.[286]

კავკასიური ხანჯლის ფორმას ამსგავსებენ განთქმულ რომაულ გლადიუსს და ზოგიერთი ფიქრობს კიდეც, რომ ის იყო ხანჯლის წინაპარი.[287] მაგრამ გარკვეული გარეგნული მსგავსება ორივე იარაღის მსგავსი დანიშნულებით ან სულაც უბრალო დამთხვევით შეიძლება აიხსნას და ქართულ (კავკასიურ) ხანჯალს რომაულ მოკლე მახვილთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ითვლება, რომ ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული საქართველოს ტერიტორიაზე სატევარი მუდმივად არსებობდა, ვითარდებოდა და მიიღო დღეს ყველასათვის კარგად ნაცნობი ფორმა. ამ დროს სავსებით სწორად უთითებენ, რომ ლითონის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე იარაღის დამზადების ტრადიციას ინარჩუნებდნენ და ბრინჯაოში აპრობირებულ ფორმებს უკვე რკინაში იმეორებდნენ, რაც

---

[282] Miller, *Caucasian Arms from the State Hermitage Museum*, 134.

[283] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 262.

[284] კობიძე, „ვისრამიანის საკითხები", 68.

[285] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 416.

[286] კობიძე, „ვისრამიანის საკითხები", 69; *შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები*, ტ. III, 38-9.

[287] North, *An Introduction to Islamic Arms*, 35.



სურ. 205
ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევრის სატევრები: ა) რკინის სატევარი ბრილიდან, ბ) ბრინჯაოს სატევარი ნიგოზეთიდან. დ. ყუფარაძის მიხედვით.

კარგად ჩანს ბრინჯაოსა და რკინის სატევრების შედარებისას[288] (სურ. 205).

მოდინახეში ნაპოვნ გვიანანტიკური ხანის (IV ს.) რკინის ორლესულ, საშუალო სიგრძის, მხრებგანიერ, წვერისაკენ მკვეთრად დავიწროებულ სატევრებს, ხის ან ძვლის ტარში ჩასამაგრებელი 6-7 სანტიმეტრის სიგრძის ყუნწით, ისევე როგორც კლდეეთისა[289] და მცხეთის სატევრებს, ჯ. ნადირაძე კავკასიური ხანჯლის წინაპრად მიიჩნევს[290] (სურ. 206). მისი თქმით, „მოდინახური სატევრები ძალზე მოგვაგონებენ კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილ ორლესულ ხანჯლებს. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მათ უშუალო განვითარებას უნდა წარმოადგენდეს".[291] ამ მოსაზრებას იზიარებენ კ. ჩოლოყაშვილი და მ. ქაფიანიძეც.[292] მართალია, მოდინახურ სატევრებს ვადა გააჩნიათ, მაგრამ ეს პრინციპული დაბრკოლება არ არის: ევოლუციის პროცესში მათ შეეძლოთ ვადის დაკარგვა და თანამედროვე ფორმის მიღება.

განსხვავებული შეხედულება აქვთ ხანჯლის წარმოშობაზე კავკასიური იარაღის უცხოურ მკვლევრებს. ისინი თვლიან, რომ საკუთრივ კავკასიური ხანჯალი მხოლოდ XVIII საუკუნეში ჩნდება, მანამდე კი უცხოური (ირანული, თურქული და სხვ.) ხანჯლები იყო ხმარებაში.[293] კ. რივკინი მიუთითებს, რომ

---

[288] დავით ყუფარაძე, „რკინის მადნები, ლითონის დამუშავება და ცივი იარაღის წარმოება საქართველოში", http://www.georgians-weapons.ge/sxvadasxva.htm (2011).

[289] კლდეეთში ნაპოვნი სატევარი ბრტყელია, უქედო, პირისკენ დავიწროებული და ნვერმოტეხილი, შემორჩენილი სიგრძით 24.6 სმ. გ. ლომთათიძე, *კლდეეთის სამაროვანი (ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა)* (თბილისი, 1957), 15-6, სურ. 2, ტაბ. XXI-1ე.

[290] ჯ. ნადირაძე, *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები* (თბილისი, 1975), 58-9. მოდინახეში გათხრილია გვიანანტიკური ხანის ორმოცამდე სამარხი. მეექვსე, მეშვიდე და მერვე სამარხებში ნაპოვნია ორლესული რკინის სატევრები მახვილი წვერით, სწორი განიერი მხრებით, დაბალი ქედით (ტაბ. XX-5, XX-4, XX-10). მეათე სამარხში ნაპოვნი ორლესული რკინის სატევარი ნვერნატეხილი და ნაკლულია, 36-ე სამარხში კი აღმოჩნდა ოქროთი მორთული ორლესული რკინის სატევარი მახვილი ნვერით, სწორი განიერი მხრებით და დაბალი ქედით (ტაბ. XL-3). იქვე, 43-4, 47-52, 56-7.

[291] ნადირაძე, *ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები*, 59.

[292] იხ. ჩოლოყაშვილი, ქაფიანიძე, „ქართული საჭურველი", 61.

[293] Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 74, 94.



სურ. 206
მოდინახური სატევრები.
ჯ. ნადირაძის მიხედვით.

მიუხედავად ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნიმუშების მსგავსებისა, შუა საუკუნეებში არ გვაქვს კავკასიური ხანჯლის არქეოლოგიური მონაპოვრები და ხანჯლის შემოღებას XVIII საუკუნის შუახანებით ათარიღებს.[294] მკვლევარი აღნიშნავს, რომ კავკასიურ ხანჯალს ვერ ვხედავთ იკონოგრაფიულ მასალაზე, ქართველ და ჩერქეზ წარჩინებულთა სურათებზე კი ისინი მხოლოდ 1800 წლის შემდეგ ჩნდება.[295] ამავე დროს, გარკვეული დაშვებით, მაგრამ მაინც, კ. რივკინი ფიქრობს, რომ კავკასიური ხანჯალი ქართული გამოგონებაა.[296]

რა შეიძლება ითქვას ამის საპასუხოდ? უნდა ვაღიაროთ, რომ შუა საუკუნეების ქართული ხანჯლის არქეოლოგიური ნიმუშები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. არც საკითხის იკონოგრაფიული შესწავლა იძლევა უკეთეს შედეგს: არ ხერხდება საუკუნეების განმავლობაში ქართული (კავკასიური) ხანჯლის განვითარებაზე დაკვირვება. მხოლოდ ცალკეული, ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებების გამოყოფა თუ შეიძლება, რომელთაგანაც ერთიანი ევოლუციური ჯაჭვის კონსტრუირება შეუძლებელია. ასე მაგალითად, VI საუკუნის ბოლნისის ე.წ. „შერგილის ქვასვე-

[294] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 127.
[295] იქვე, 241.
[296] იქვე, 248.

სურ. 207
სატევრები: ა) შერგილის ქვაბისეტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ბ) მრავალძლის წმ. გიორგი. ავტორის ფოტოები.

ტზე“ გამოსახულ ფიგურას მოკლე, სწორი სატევარი ჰკიდია ქამარზე[297] (სურ. 207ა). იარაღი წინ არის ორ თასმაზე ჩამოკიდებული. მას თითქოსდა ვადა არ აქვს, თუმცა დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ძნელია და, შეიძლება, ვადა უბრალოდ გამოქარული იყოს ქვაზე. არც სატევრის პირის დავიწროება შეინიშნება და ის მთელ სიგრძეზე ერთნაირი სიგანისაა. სატევრითაა შეიარაღებული წმინდა გიორგი მრავალძლის X-XI საუკუნეების ეკლესიის სამხრეთის მკლავის რელიეფზე[298] (სურ. 207ბ). წმინდანს მარჯვენა მხარეს ჰკიდია სატევარი, რომლის პირიც მართალია მცირედ ვიწროვდება, მაგრამ, ამავე დროს, მკაფიოდ გამოხატული ვადა გააჩნია. საერთო ჯამში, ეს გამოსახულებები უფრო მოკლეპირიანი, დამხმარე იარაღის ტარების პრაქტიკაზე მეტყველებს, ვიდრე ქართულ-კავკასიური ხანჯლის განვითარების გზაზე.

ამავე დროს, ჩვენს ხელთ არის ექსპონატი, რომელსაც, ერთი შეხედვით, შეუძლია პასუხი გაგვცეს დასმულ კითხვებზე. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ხანჯალი, რომელიც მასზე დატანილი წარწერების მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ იმერეთის ორ მეფეს: ბაგრატ III-სა და სოლო-

[297] კიტი მაჩაბელი, *ქართული ისტორიული კოსტიუმი (V-X საუკუნეები)* (თბილისი, 2013), 69, სურ. 22.
[298] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 176.



სურ. 208
ხელოვნების მუზეუმში დაცული ხანჯალი ზედ დატანილი წარწერებით. ავტორის ფოტო.

მონ I-ს. ეს რომ ასე იყოს, ხანჯლის სახით უნიკალურ არტეფაქტთან გვექნებოდა საქმე, რომელიც თავისი არსებობით XVI საუკუნეში ქართული ხანჯლის სავსებით ჩამოყალიბებული ფორმით არსებობას დაადასტურებდა. ამ ფაქტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ექსპონატს გამოწვლილვითი ექსპერტიზა ჩაუტარდა.

ხელოვნების მუზეუმში დაცული ხანჯლის (ექსპონატი 3182) სიგრძე 59.1 სმ-ია, პირის სიგრძე – 45 სმ, სიგანე ვადასთან კი – 4.9 სმ. ხანჯლის პირზე ამოკვეთილია ასომთავრულით შესრულებული ორსტრიქონიანი წარწერა: „მეფე ბაგრატ / კურა-პალატ“, ზურგზე კი ორი გარითმული მხედრული სტრიქონია: „სოლომონს ჰქონდა ღუთით ძალი და მე ერთგული ხანჯალი / ხრესილს რუხვს იქმნა რისხვმწყრალი და მტრებს მან დასცა ზარი და ალი“. (სურ. 208)

მეორე წარწერაში დასახელებული სოლომონის და მის მიერ გადახდილი ხრესილისა (1757) და რუხის (1779) ბრძოლების მიხედვით ადვილია სოლომონ I-ის (1752-84) იდენტიფიცირება. შედარებით მეტ კითხვას სვამს და უფრო მნიშვნელოვანია პირველი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მეფე ბაგრატ კურაპალატია ნახსენები.

ხელოვნების მუზეუმის მიერ 1997 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის

დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე აღნიშნული ხანჯალი წარმოდგენილი იყო, როგორც „იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის სატევარი ასომთავრული წარწერით".[299] ც. ღვაბერიძეც მიიჩნევს, რომ ხანჯალი ბაგრატ კურაპალატის წარწერით იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს ეკუთვნოდა.[300] ს. კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე დაყრდნობით მკვლევარმა აჩვენა, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-65) ეპოქის სინქრონულ ხელნაწერებში ცნობილი იყო *კურაპალატის* ტიტულით.[301] მართლაც, XI საუკუნის *ნიკორწმიდელის დაწერილის* მეორე პირზე მოთავსებული 1548 წლის ცნობიდან ჩანს, რომ ნიკორწმინდის ეკლესია „მეფემან ბა(გრატ გა)აახლა", რომელიც ქვემოთ მოიხსენიება როგორც კურაპალატი („მეფ(ის)ა ჩნისა კრაპლატისა").[302]

ც. ღვაბერიძეს ასევე მოყავს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში შეტანილი კაცხის მონასტრის გუჯრების კრებული, სადაც მოიხსენიება ბაგრატ კურაპალატის მიერ ხელმოწერილი დავთარი.[303] თუმცაღა, ამ მტკიცებულების საქმე უფრო რთულადაა. განვიხილოთ ეს საბუთი, რადგან მკვლევარს ის მხოლოდ აღწერილობის მიხედვით მოჰყავს. საბუთის დედანი დაკარგულია, არსებობს ოსე გაბაონის მიერ 1797 წელს გადაწერილი პირი, სადაც გადამწერი თავშივე გვატყობინებს საბუთის რაობას: „ბაგრატ კურად-პალატის ხელ-მოწერილი პ(ირვე)ლი დავთარი"; ბოლოში კი სამეფო დამტკიცება ტიტულის გარეშეა: „მღ(რ)თით მეფე ბაგრატ ვამტკიცებ წიგნსა ამას". თემო ჯოჯუას აზრით, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მეფეს კურაპალატი გვიანდელმა გადამწერმა უწოდა. ამ აზრს ადასტურებს უფრო ადრე, 1785 წელს სოლომონ ლიონიძის მიერ „უმეტნაკლებოდ" გადაწერილი და ერეკლე II-ის მიერ სამეფო ბეჭდით დამოწმებული კაცხის მამულის იგივე დოკუმენტი, სადაც ბაგრატ მეფე ზუსტად ასევეა დამოწმებული, მაგრამ არსად ჩანს კურა-

---

[299] „ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელთა და ქართველ დიდებულთა პირადი ნივთების გამოფენა", *არტანუჯი*, 8-9 (1999), 150. უნდა ითქვას, რომ ხანჯლის წარწერები ჟურნალში გარკვეული შეცდომებითაა გამოქვეყნებული.

[300] ციალა ღვაბერიძე, „ბაგრატ კურაპალატის სამართლის ძეგლის დათარიღებისათვის", *ვალერიან გაბაშვილი 90*, რედ. მ. გაბაშვილი (თბილისი, 2003), 446; მისივე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ", *საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები*, X (2005), 88.

[301] გვიანი შუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოში შეიმჩნევა ადრე გამქრალი ბიზანტიურ-ქართული ნოდებების (გორგასალი, სტრატილატი, ვიპატოსი) ხელახალი გამოყენების შემთხვევები. ღვაბერიძე, „ბაგრატ კურაპალატის სამართლის ძეგლის დათარიღებისათვის", 466, შენ. 15; მისივე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ", 89, შენ. 58. XV საუკუნის შუახანებში ქუთაისის მეფე ვახტანგ გორგასლის შესახებ იხ. გონელი არახამია, მარინე ქარდავა, „ქუთაისის მეფეები და მათი სამფლობელო XIII-XVI საუკუნეებში" (იბეჭდება).

[302] სარგის კაკაბაძე, *სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი* (ტფილისი, 1912), 4-6.

[303] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია*, რედ. ე. მეტრეველი, ტ. IV (თბილისი, 1950), 210; ღვაბერიძე, „ბაგრატ კურაპალატის სამართლის ძეგლის დათარიღებისათვის", 445-6; მისივე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ბაგრატ კურაპალატის ვინაობის შესახებ", 88.

პალატის ტიტული.[304] ჩანს, კაცხის დავთარში ბაგრატი კურაპალატად არც მოიხსენიებოდა, მაგრამ, თავის მხრივ, გადამწერის ასეთი „შემოქმედება" სწორედ რომ არსებულ ტრადიციაზე უნდა მეტყველებდეს, რომლის თანახმადაც იმერთა მეფე ბაგრატ III კურაპალატად იწოდებოდა.

ამ ტრადიციასა და გვიან შუასაუკუნეებში ბაგრატ III-ის ზედწოდების შესახებ არსებულ ცოდნაზე მიუთითებს ბიჭვინთის იადგარის გვიანდელი (XVII ს. დასაწყისის შემდგომი) მინაწერი, რომელიც მეფის ტიტულს დამახინჯებულად გადმოგვცემს: „ქ(რისტე). ეს დავთარი დიდი ბ[აგრატ] პალატ კურატის შეწირ[ულია]".[305] ცხადია, მინაწერის შემსრულებელმა იცის, რომ ბაგრატი კურაპალატად იწოდებოდა, მაგრამ აღარ ესმის ამ ძველი ბიზანტიური ტიტულის შინაარსი და მას წინაუკმოდ გადმოგვცემს.

როგორც ვხედავთ, იმერეთის მეფე ბაგრატი კურაპალატად მოიხსენიებოდა და ის შეიძლება იგულისხმებოდეს ხანჯლის წარწერაში. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ბაგრატის წარწერა ხანჯლის წინა, საჩინო მხარეზეა მოთავსებული, სოლომონის ვრცელი წარწერა კი უკანა პირზე, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ხანჯლის პირველი პატრონი ბაგრატია. თავისთავად, ხანჯალზე ორი მეფის სახელის დატანა მის სამეფო ოჯახისადმი კუთვნილებას უნდა ადასტურებდეს.

მიუხედავად ასეთი მოცემულობისა, თავად ხანჯლის შესწავლა იარაღთმცოდნეობის თვალსაზრისით საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს. მართალია, ადრეულ (XVIII ს.) კავკასიურ ხანჯლებს პირზე ქედი აქვთ,[306] მაგრამ სხვა ნიშნებით ხანჯალი აშკარად გვიანდელია: ტარის ბოლოში გობაკი მოზრდილ ფიგურულ ვარდულზეა განთავსებული, რომელიც 1820 წლისათვის ჩნდება კავკასიურ ხანჯლებზე.[307] გვიანდელობაზე გობაკის დიდი ზომა და მკვეთრი ამობურცულობაც მიუთითებს, რისი ტენდენციაც 1830-40 წლების შემდგომ შეინიშნება.[308] შეიძლება დავუშვათ, რომ ტარი უფრო გვიანდელი კონსტრუქციაა და ადრინდელ პირზეა მორგებული. თითქოსდა, ამის სასარგებლოდ მეტყველებს ტარის ლითონის ფირფიტაზე ამოკვეთილი გვირგვინი, რომელიც პირზე გამოსახულ გვირგვინს ბაძავს, მაგრამ ზუსტად ვერ იმეორებს. თუმცა, ხანჯლის პირზე კოფტგარით შესრულებული „იხვის თავების" ორნამენტი, რომელიც ხშირად გვხვდება ქართულ ხანჯლებზე 1830-55 წლებში,[309] მის ადრეულობას გამორიცხავს.

---

[304] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის H კოლექცია. ხელნაწერი 1781, 5r-6r.

[305] გონელი არახამია, *ბიჭვინტის იადგარი* (თბილისი, 2009), 59-60, 128, სურ. 22.

[306] Ривкин, *Холодное оружие Кавказа*, 45.

[307] იქვე, 41, სურ. 16.6.

[308] იქვე, 42.

[309] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 253.

ამ ნიშნების ერთობლიობის მიხედვით, ხანჯალი წესით გვიანდელი უნდა იყოს (XIX საუკუნე?), მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც პალეოგრაფიულ ექსპერტიზას ეკუთვნის,[310] რომელსაც პირზე დატანილი ასომთავრული წარწერის თარიღი უნდა გაერკვია. ამ სამუშაოსთვის საგანგებო მადლობას მოვახსენებ ისტორიის დოქტორს თემო ჯოჯუას. მისი დასკვნით, „ხანჯალზე ამოღარული ასომთავრული წარწერა პალეოგრაფიული თვალსაზრისით ორგანულ მსგავსებას ამჟღავნებს ძველნაბეჭდ ქართულ გამოცემებში გამოყენებულ სტამბურ ასომთავრულ შრიფტთან. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გრაფემები, მათი ქუსლისა და შვეული ნანაზარდების ჩათვლით, მკაცრად ორხაზოვან ბადეშია მოქცეული, როგორც ამას სტამბური შრიფტით დაბეჭდილ ტექსტებში ვხედავთ. განსაკუთრებით დამახასიათებელია გრაფემების ბ-ანის, გ-ანის და პ-არის მოხაზულობა: ამ გრაფემათა კორპუსის სიმაღლე შემცირებულია, რის საკომპენსაციოდაც საგრძნობლად არის გაზრდილი მათი ტეხილი ქუსლის ან მარცხნივ გაზიდული მხრის ზომა. პრაქტიკულად იდენტურია ხანჯლის წარწერისა და სტამბური შრიფტის ზოგადი ვიზუალური სახეც. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარწერა შესრულებული უნდა იყოს პირველი ძველნაბეჭდი ქართული წიგნის – 1709 წლის სახარების დაბეჭდვის შემდგომ პერიოდში“.

ამ დასკვნის შემდეგ აღარავითარი ეჭვი არ რჩება და ხანჯლის ბაგრატ III-ისადმი მიკუთვნების შესაძლებლობა და, შესაბამისად, მისი (ან თუნდაც მხოლოდ პირის) XVI საუკუნით დათარიღება გამორიცხულია. აღნიშნული ხანჯალი XIX საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დამზადებული და მისთვის მეტი მნიშვნელობის მისაცემად ზედ იმერეთის ცნობილ მეფეთა სახელებია დატანილი.[311]

და მაინც, მიუხედავად იმ უარყოფითი შედეგისა, რომელიც აღნიშნული არტეფაქტის შესწავლამ მოგვცა, გამორიცხული არ არის, რომ ქართული ტიპის ხანჯალი XVIII საუკუნეზე უფრო ადრე იყოს შექმნილი და გავრცელებული. კ. რივკინი მართალია, როდესაც თვლის, რომ ხანჯალი თავიდან ძვირი იარაღი იყო, რომელსაც შეძლებული ადამიანები ატარებდნენ, მაგრამ ცდება ქრონოლოგიაში, როდესაც მიიჩნევს, რომ კავკასიელი მამაკაცისათვის ხანჯალი მხოლოდ 1840 წლის შემდეგ გახდა საყოველთაოდ მისაწვდომი.[312] ჩვენ მოგვეპოვება ცნობა, რომლის თანახმადაც ხანჯალი გაცილებით ადრე იყო მასობრივად გავრცელებული საქართველოში. ცხადია, ხანჯლის მასობრივი გავრცელება დაკავშირებული

---

[310] რადგან თეორიულად მაინც შეიძლება დავუშვათ ნაკლებად შესაძლებელი ვარიანტი და, ტარის მსგავსად, ოქროს ორნამენტიც პირზე მოგვიანებით დატანილად მივიჩნიოთ.

[311] ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სოლომონ I-ის წარწერა მეფეს წარსული ფორმით მოიხსენიებს, თითქოს უკვე გარდაცვლილ მეფეზე და გადამხდარ სახელოვან ბრძოლებზე მოგვითხრობს.

[312] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 127, 253.

უნდა იყოს საკუთრივ კავკასიური ტიპის ხანჯლის გაჩენასთან, როდესაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ხდება ადგილობრივად დამზადებული იარაღი.

არსებობს მეტად მნიშვნელოვანი მოხსენება, რომელიც ტოლოჩანოვისა და იევლევის რუსულმა ელჩობამ შეადგინა 1651 წელს იმერეთში მოგზაურობის შედეგად. რუსებმა დეტალურად აღწერეს სამეფოს გეოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება, მატერიალური და ადამიანური რესურსები, აღნუსხეს ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, ჩაიწერეს ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვევები. ეს მრავალმხრივი, თვითმხილველთა მიერ შედგენილი მოხსენება უნიკალურ მასალას გვაწვდის XVII საუკუნის შუახანების იმერეთის შესახებ.[313] სწორედ ამ მოხსენებაში ვპოულობთ ჩვენთვის საინტერესო ცნობას, რომ იმერეთის სამეფოში „ყველას სატევარი (кинжал) აქვს წელზე".[314] დოკუმენტში არ არის დასახელებული და აღწერილი ხანჯლის ტიპი, მაგრამ ის ირიბად ქართული (კავკასიური) ხანჯლის ტიპზე მიუთითებს, რომელიც ადგილობრივ მასობრივად მზადდებოდა და არა ირან-ოსმალეთიდან შემოტანილ იარაღზე, რომელიც ფართო მასებისათვის ასეთი ხელმისაწვდომი ვერ გახდებოდა.

ტოლოჩანოვისა და იევლევის ელჩობის ცნობა სერიოზულ საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საკუთრივ კავკასიური ტიპის ხანჯალი უკვე არსებობს და ის მასობრივადაცაა გავრცელებული. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ამის საფუძველზე ძნელია ვამტკიცოთ XVII საუკუნის შუახანებში ქართული ხანჯლის არსებობა. კვლავინდებურად ძლიერ არგუმენტად რჩება XVII საუკუნის ქართულ მხატვრობაში კავკასიური ხანჯლის აუსახველობა: ის არ გვხვდება არც თავაქარაშვილის მინიატურებსა და არც კასტელის ალბომში.[315] კვლევის ამ ეტაპზე საკითხი ღიად რჩება და XVIII საუკუნემდე ქართული (კავკასიური) ხანჯლის არსებობის მტკიცება კვლავინდებურად დამატებით არგუმენტაციასა და შემდგომ ძიებას საჭიროებს.

---

[313] ქვემოთ გრძელ ექსცერპტს მოვიყვან, საიდანაც ნათლად ჩანს ელჩებისადმი მიცემული დავალება, რომელიც მათ ზედმიწევნით შეასრულეს. აზნაურ ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და მდივნის (დიაკის) ალექსი იევლევისათვის განკუთვნილ განანესში ვკითხულობთ: „ნიკიფორემ და ალექსი მდივანმა უნდა დაათვალიერონ იმერეთის ქვეყანა, გამოიკითხონ და ყოველი ღონისძიების საშუალებით ხელთ იგდონ ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს იმერეთის ქვეყანა, რაოდენ ვრცელია იგი, რამდენი ვერსის მანძილზეა გადაჭიმული, რამდენ ქალაქს და დასახლებულ ადგილს შეიცავს და საერთოდ რაოდენ დასახლებულია, ხალხი როგორია... რა მოდის უხვად მათ მიწაზე, როგორი იცის ხორბლის მოსავალი, როგორი ქსოვილები მოიპოვება, რა ნივთი იაფია იქ და რა ძვირობს, რამდენი და რა და რა გვარი (მოსამსახურე პირია) და რა იარაღით იბრძვიან, ყავთ თუ არა ვაჭრები, ადგილობრივად ვაჭრობენ თუ სხვა ქვეყნებშიც დადიან სადმე. რაგვარ საქონელს ანარმოებენ... ყოველივე ამის შესახებ ნამდვილი (უტყუარი) ცნობები უნდა შეკრიბოთ და დაწვრილებით ჩასწეროთ მუხლობრივ აღწერილობაში". *ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა*, რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ (თბილისი, 1970), 49.

[314] იქვე, 150, 263.

[315] შესაძლოა, ამ დროისათვის ფეოდალური წრეებისათვის იმპორტული იარაღი ჯერ კიდევ უფრო პრესტიჟული იყო, ქართული ხანჯალი კი დაბალ საზოგადოებაში იყო გავრცელებული.



სურ. 209
ქართული დანა ბერნის ისტორიული მუზეუმიდან. რივკინის მიხედვით.

დანა, დაშნა

სატევრის გარდა, ქართველი მებრძოლები ატარებდნენ დანასაც, რომელსაც ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: ყოფითი-ყოველდღიური და საბრძოლოც. ვ. ართილაყვამ შენიშნა, რომ გობრონის მარტვილობის აღწერაში დანა საბრძოლო იარაღის გაგებითაა მოხსენიებული.[316] მართლაც, არაბთა იარაღის ჩამონათვალში ხმლის, ჰოროლისა და ისრის გვერდით დანაც არის დასახელებული.[317] თავისი უნივერსალური ხასიათის გამო, დანა პრაქტიკულად ყველა მებრძოლს გააჩნდა. ჩვეულებრივ, ითვლება, რომ საბრძოლო დანის პირი 20 სმ-ზე მეტი სიგრძის მაინც უნდა ყოფილიყო.[318]

დანა სწორი ან მოხრილი, მოკლე პირის მქონე მჭრელი იარაღია, რომელსაც, ჩვეულებრივ, ბასრი მხოლოდ ცალი მხარე აქვს. ზოგჯერ ხანჯლის ქარქაშს საგანგებო ბუდე ჰქონდა პატარა და ვიწრო დანის – „ხანჯლის შვილის“ შესანახად.[319]

კ. რივკინს გამოქვეყნებული აქვს ბერნის ისტორიულ მუზეუმში დაცული სევადით მორთული ულამაზესი ქართული დანა, რომელსაც ორად გაყოფილი, შაშკის ტიპის ტარი აქვს. თავად ავტორი გარკვეულწილად „სპეკულაციურს“ უწოდებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ შაშკამ ამგვარი დანებისაგან ისესხა თავისი ტარი, მაგრამ მაინც აჟღერებს ამ თეორიას[320] (სურ. 209). თბილისური სევადით მორთული ძვირფასი დანა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმშიც (ექსპონატი 10-27/131). მისი საერთო სიგრძე 37.3 სმ-ია, პირის სიგრძე – 26.5 სმ, სიგანე – 2.8 სმ, წონა – 313 გ. დანის პირი მაღალი ხარისხის ტალღოვანი ფოლადისაგანაა დამზადებული (სურ. 210). მონაცემებიდან გამომდინარე, დანის მფლობელს თავისუფლად შეეძლო მისი გამოყენება ხელჩართულ ბრძოლაში.

დანის ტიპის პატარა ზომის, მოკლე იარაღს (*დაშნას*)[321] ფარულად, ჩექმაში დამალულს ატარებდნენ. „ამირანდარეჯანიანის“ მთავარ გმირს „ორნი **დაშნანი** იქით დააქეთ მოგუშიგან ესხნიან“ და „ამოიღო დაშნა მოგუისაგან“.[322] სხვაგან, სხვა პერსონაჟსაც „მოგუსა შიგან **დაშნა** ეპყრა“.[323]

---

[316] Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии*, 80.

[317] „ნამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი“, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, რედ. ი. აბულაძე, ტ. I (თბილისი, 1963), 180.

[318] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 1. Мечи и сабли IX-XIII вв.," 72; Ivan Bugarski, "Axe, Battle Axes and Battle Knives from Avar-Time Graves in Vojvodina," in *Warriors, Weapons, and Harness from the 5th-10th Centuries in the Carpathian Basin*, ed. Călin Cosma (Cluj-Napoca, 2015), 136, 141.

[319] მამუკა ქაფიანიძე, „დანა“, *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, რედ. ელდარ ნადირაძე (თბილისი, 2013), 107-8.

[320] Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 300, fig. 212.

[321] *დაშნა* სპარსული წარმოშობის ტერმინია. ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 260.

[322] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 98-9, 347.

[323] იქვე, 388. ეს პრაქტიკა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების აღმოსავ-

სურ. 210
საბრძოლო დანა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

თავდაპირველად დაშნა, როგორც ეს „ამირანდარეჯანიანში“ ჩანს, პატარა ზომის საბრძოლო დანა იყო.[324] დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა სხვაგვარი შინაარსი შეიძინა და საბას დროს უკვე მოკლე ხმალია.[325] ეთნოგრაფიული მონაცემებიც ხევსურეთიდან ადასტურებს, რომ დაშნა უკვე მოკლე ხმალია.[326] ვ. კიზირიას თანახმად, რომელმაც საგანგებოდ გამოიკვლია ეს იარაღი, გვიანდელი დაშნა სიგრძით ხანჯალსა და პალაშს (ხმალს) შორის საშუალო ზომისაა (42-58 სმ). მისი ტარი ხანჯლისებურია, პირი კი სწორიც გვხვდება და მოხრილიც, რადგანაც ის მეორადი პროდუქტი იყო და პალაშის ან (უფრო იშვიათად) ხმლის დაზიანებული პირის გადაკეთებით მზადდებოდა. დაშნას ატარებდნენ ვერტიკალურად, როგორც ხანჯალს, თუმცა, მისგან განსხვავებით, გვერდზე ეკიდათ.[327]

ქარქაში

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *ქარქაში* „არს ხრმლისა, დანისა და მისთანათა ჩასადებელი, გინა კაპარჭი; ისრის კაპარჭი; ისრის ბუდე; ხრმლისა და დანის ბუდე; ქარქაში ეწოდების ყოველთა მახვილისა და ლახ-

---

ლეთში. უსამა იბნ მუნკიზი მოგვითხრობს შემთხვევას, როდესაც მამამისი დაჭრისაგან ჩექმაში ჩადებულმა დანამ გადაარჩინა, რომელმაც ისარი აისხლიტა. *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades. Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*, 80.

[324] გ. აკოფაშვილი თვლიდა, რომ ძველად ხანჯლის ფუნქციას დაშნა ასრულებდა: „ხანჯლის მაგვარი, ე.ი. მანძილზე სახმარი მკვეთელ იარაღად ძველად გამოყენებული იყო დაშნა“. აკოფაშვილი, *რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში*. 55. ამ დასკვნას, რომელსაც მკვლევარი ამირანდარეჯანიანის მონაცემების საფუძველზე აკეთებდა, ვერ გავიზიარებ, რადგან ხანჯლის ზომის იარაღის ჩექმაში (მოგვში) დამალვა და ტარება წარმოუდგენელია.

[325] „დაშნა – მოკლე (საკიდარი) ხმალი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 207.

[326] ასეთივე იარაღი ჩანს *ნიბჩა*, რომელიც საბას მიხედვით მოკლე დაშნაა. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 592. ნიბჩა წარმომდგარი უნდა იყოს არაბული სიტყვიდან *nimjāh*, რომელიც ასევე მოკლე ხმალს აღნიშნავდა. Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 522.

[327] В. Кизирия, "Дашна," *История Оружия*, 5-6 (2012), 95-6, 100.



სურ. 211
ქარქაში: ა) ქარქაშის ყელი, ბ) თარანგი, გ) ბუნიკი, დ) ყანიმი, ე) თალხანი.

ვრისა შთასადებელთა".[328] ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ქარქაში წარმომდგარია სპარსული სიტყვიდან *თირქაში*.[329]

ქარქაში აღკაზმულობის ძირითადი სახეობაა, რომელიც გამოიყენება ცივი იარაღის შესანახად და სატარებლად.[330] მის ფორმას იარაღის პირის მოყვანილობა განაპირობებს.[331] ქარქაში შედგება *ყელის*, სალტეებისა (*თარანგის*)[332] და *ბუნიკის* ანუ *სათიხარისაგან*[333] (სურ. 211). ქარქაშის ყელი იცავს მის ზედა ნაწილს, სადაც იარაღი იდება.[334] თარანგი ესალტება და სიმტკიცეს მატებს ქარქაშს. ჩვეულებრივ, ხმალს ორი სალტე აქვს, ერთი დამაგრებულია ქარქაშის ზედა ნაწილში, მეორე კი – შუაში.[335] საკიდი თასმის გასაყრელად თარანგს რგოლები ემაგრება. თასმის სიგრძის დასარეგულირებლად *თალხანი* გამოიყენება.[336] ლითონის ბუნიკი, რომლითაც ქარქაში ბოლოვდება, ამშვენებს და იცავს მას ცვეთისა და დაზიანებისაგან.[337] ქართულ გამოსახულებებზე ხშირად ვხედავთ U-ს ფორმის ბუნიკს მომრგვალებული დაბოლოებით, რომელიც ქარქაშის კონსტრუქციას აძლიერებდა (სურ. 212).

ქარქაში მზადდებოდა როგორც ტყავგადაკრული ხის, ისე ლითონისაგან. ევროპაში ლითონის ქარქაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ახალ დროში. ორივე მათგანს თავისი ნაკლი და უპირატესობა ჰქონდა. ლითონის ქარქაში იღუნებოდა, რაც აძნელებდა იარაღის გაშიშვლებას. მასში იარაღის პირი უფრო სწრაფად ბლაგვდებოდა და ის უფრო მძიმე და ძვირი იყო, თუმცა, ამავე დროს, უფრო გამძლე.[338] ტყავგადაკრული ხის ქარქაში უფრო იაფი და იოლი დასამზადებელი იყო, იარაღსაც კარგად ინახავდა, მაგრამ ნაკლიც გააჩნდა. გამოცდილი ინგლისელი ოფიცრისა და კავალერისტის ჯონ ჯეიკობის დაკვირვებით,

---

[328] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 217. იხ. აგრეთვე, მისეული ბუდის დეფინიცია: „ბუდე ეწოდების ხრმლის ქარქაშსა". იქვე, I, 118.

[329] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 255.

[330] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 50.

[331] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 34.

[332] „*თარანგი* – ხრმალთა და თოფთა სალტე". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 301.

[333] „*ბუნიკი* – ხრმლის ქარქაშის სათიხარი". იქვე, 120. „*სათიხარი* – ხრმლის ბუნიკი". იქვე, II, 30.

[334] Устинов, Портнов, Нацваладзе, *Холодное оружие*, 13.

[335] Кочкаров, *Вооружение воинов Северо-Западного Предкавказья VIII-XIV вв.*, 33; И.Л. Измайлов, *Защитники "Стены Искандера": вооружение, военное искусство и военная история Волжской Булгарии X-XIII вв.* (Казань, 2008), 35.

[336] „*თალხანი* – ხრმლის თასმის ნასაზევ-წამოსაზევი; ხრმლის თასმის ჩასაწევი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 297.

[337] О.Л. Макушников, Ю.М. Лупиненко, "Новые данные о характере и производстве клинкового вооружения восточнославянского ратника конца XII–первой половины XIII в. (по материалам раскопок в Гомеле)," *Гістарычна-археалагічны зборнік*, 19 (2005), 6.

[338] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 34.

სურ. 212
წმ. გიორგის ქარქაში U-ს ფორმის ბუნიკით ხიდისთავის XI ს. ხატზე (ა), მაცხვარიშის XII ს. ფრესკაზე (ბ), იფარის XIII ს. ხატზე (გ).

ინდური ხისა და ტყავის ქარქაში საკმაოდ სწრაფად ცვდებოდა. მისი აზრით, საუკეთესო ქარქაში კომბინირებული უნდა ყოფილიყო, შიგნიდან ხით, გარედან კი ლითონით დაფარული.[339] საქართველოში, ისევე როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, გავრცელებული იყო ტყავითა და ქსოვილით დაფარული ხის ქარქაში.

ხმლის ტარების წესი

შუა საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთში ხმლის ტარების ორ ძირითად წესს მისდევდნენ: ხმალი ან ყაწიმით[340] იყო მხარზე ირიბად გადაკიდებული ანაც წელზე, ქამარზე დაკიდებული.

ქამრის ორ წერტილზე ხმლის დაკიდების სისტემა მომთაბარეთა გავლენით V საუკუნეში გავრცელდა სასანურ ირანში, იარაღის დაკიდების ძველი წესის (ვერტიკალურად, ფეხის გასწვრივ) ნაცვლად. ამ დროს ხმალი მარცხენა მხარეს იყო სარტყელზე ორი თასმით ჩამოკიდებული, თითოეული თასმა კი ქარქაშზე დამაგრებულ საკიდში იყო გაყრილი. თასმების სიგრძის რეგულირება ხმლის მორგებისა და უფრო სწრაფი ამოღების შესაძლებლობას იძლეოდა,[341] რადგანაც ამ დროს ხმლის ტარი საჭირო კუთხით იყო წინ მიმართული.[342]

ყაწიმით მხარზე გადაკიდებული ხმლის ტარება რომაული ტრადიციაა.[343] ამ დროს ხმალი მარცხნივ ეკიდა, მისი საკიდი ღვედი კი ირიბად გადადიოდა მარჯვენა მხარზე.[344] ადრეული არაბები რომაელთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და, სასანელებისაგან განსხვავებით, ხმალს მხარზე გადაკიდებულს ატარებდნენ. ხალიფა ალ-მუთავაქილმა (847-61) მხარზე გადაკიდების ნაცვლად წელზე დაკიდებული ხმ-

[339] Graeme Rimer, "The Swords of John Jacob," *Royal Armouries Yearbook*, 2 (1997), 82-3.

[340] „*ყაწიმი* – ხრმლის სამხარღლიე". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 264.

[341] Farrokh, *Sassanian Elite Cavalry*, 12.

[342] Stephenson, *Romano-Byzantine Infantry Equipment*, 101.

[343] თავის მხრივ, ყაწიმზე ჩამოკიდების ეს მანერა ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან შეინიშნება ეგეოსურ სამყაროსა და „ზღვის ხალხებში". Горелик, *Оружие Древнего Востока*, 28.

[344] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 92.

სურ. 213
ჯოისუბნის ნმ. გიორგი მხარზე გადაკიდებული მახვილით (ა) და ნმ. თევდორე ქამარზე დაკიდებული მახვილით (ბ).

ლის დამკვიდრება დაიწყო, თუმცა ძველ მეთოდს XII საუკუნეშიც იყენებდნენ.[345]

საქართველოში გავრცელებული ხმლის ტარების წესის შესახებ წარმოდგენას წერილობითი და იკონოგრაფიული წყაროები გვიქმნის. ლიტერატურული ნაწარმოებები, ჩვეული ჰიპერბოლიზაციის მიუხედავად, უხვ მასალას გვაწვდის განსჯისათვის. ასე მაგალითად, ერთ-ერთი შერკინების აღწერისას „ამირანდარეჯანიანი" გაზვიადებულად წარმოგვიდგენს სამი (!) ხმლით აღჭურვილ გმირს, მაგრამ, ამავე დროს, რეალისტურად აღწერს ხმლის ტარების ყველა შესაძლო მეთოდს (მხარიღლივ, წელზე და უნაგირზე): „და სამნი ჯრმალნი დაეკიდნეს: ერთი – ალმედად, ერთი წელთა შემოერტყა და მესამე ტახტასა ჩამოეკიდა".[346] „რუსუდანიანში" ვპოულობთ მინიშნებას, რომ გამორჩეული სიგრძის ხმალს მხარიღლივ ყაწიმზე იკიდებდნენ, თუმცა ეს ეპიზოდი იმაზეც მეტყველებს, რომ ასეთი შემთხვევა საკმაოდ უჩვეულოა: „დევის ხმალი ყელზე მეკიდა მხარიღლივ სიგრძისთვის, ვარჯიშს ვიქმოდი მისის ხმარებისათვის. კარგაც მოვიხმარე: შევაგდე და ხელგაშლილმა დავიჭირე, ხელზე დავიბრუნე, ძალიანიც მოვიქნიე. მერმე ასე ვთქვი: რახან

[345] Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 128-30; მისივე, *Armies of the Muslim Conquest*, 11; Alexander, "Swords and Sabers During the Early Islamic Period," 204.

[346] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 475.

ეს მოვიხმარე, მე ან დევი როგორ გამიმაგრდება და ან კაცი-მეთქი!"[347]

ამ ზოგადი სურათის გარდა, ხმლის ტარების წესისა და მასში ცვლილების დადგენა შესაძლებელია იკონოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებით, რომელიც საშუალებას იძლევა მისი გარკვეული ეტაპები და კანონზომიერებები გამოვყოთ. როგორც ჩანს, VIII-IX საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული იყო ხმლის მხარზე ყაწიმით დაკიდება, რომაულ-არაბული წესის მიხედვით. ასე აქვს მახვილი ჩამოკიდებული წმ. ევსტათე პლაკიდას წებელდის კანკელზე, სადაც ის გამოსახულია როგორც ცხენოსანი.

X საუკუნის საქართველოში მდგომარეობა იცვლება და სახეზე გვაქვს ახალი წესის – წელზე (ქამარზე) დამაგრებული ხმლის ტარების დანერგვა.[348] საცნაურია, რომ ეს მოვლენა დროში მისდევს IX საუკუნის შუახანებში სახალიფოში დაწყებულ რეფორმას და, შესაძლოა, მისითაცაა განპირობებული. საინტერესოა, რომ ცვლილება ლაშქრის ცხენოსან ნაწილს შეეხო, ქვეითები კი უმთავრესად ხმალს ისევ მხარიღლივ, ყაწიმზე იკიდებდნენ.[349] ასე (ვერტიკალურად) დაკიდებული ხმალი მოსახერხებელია ფეხოსნისათვის, ნაკლებ ადგილს იკავებს რიგებში და ხელს არ უშლის უკან მყოფს, როგორც ამას ექნებოდა ადგილი წელზე (ჰორიზონტალური) დამაგრებისას.

სურ. 214
ნაკიფარის წმ. თევდორე ქამარზე ორი სხვადახვა სიგრძის ღვედით დაკიდებული მახვილით.

ხმლის ტარების ახალი წესის დამკვიდრების გარდამავალ ეტაპზე უნდა მიუთითებდეს ჯოისუბნის ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფებზე X საუკუნეში გამოსახული წმინდა მეომრები: წმ. თევდორე ქამარზე დაკიდებული ხმლით და წმ. გიორგი, რომელსაც ცხენის მუცლის ქვემოდან ვერტიკალურად დაკიდებული მახვილის ბოლო უჩანს, რაც ნიშნავს, რომ ის ყაწიმით ჰკიდია[350] (სურ. 213). როგორც ვხედავთ,

---

[347] *რუსუდანიანი*, 540.

[348] ქამარზე დაკიდებულ მოკლე იარაღს (სატევარს) ადრეც ვხვდებით ქართულ სინამდვილეში. VI საუკუნის ბოლნისის ე.წ. „შერგილის ქვასვეტზე" სატევარი წინ არის ქამარზე დაკიდებული ორი თასმით. მაჩაბელი. *ქართული ისტორიული კოსტიუმი*, 69, სურ. 22.

[349] ჯარის სახეობების მიხედვით ხმლის ტარების წესის განსხვავებას სხვაგანაც ვხვდებით. ასე მაგალითად, არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ VIII-X სს. სლოვაკი ქვეითები მახვილს ყაწიმზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ, მხედრები კი – წელზე. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск I. Мечи и сабли IX-XIII вв.," 25.

[350] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 168-9. ჯოისუბნის რელიეფებს IX-X სს. ათარიღებდა რ. შმერლინგი, X ს. პირველი ნახევრით – ნ. ალადაშვილი. Ренэ Шмерлинг, *Малые формы в архитектуре средневековой Грузии* (Тбилиси, 1962), 81; ნათელა ალადაშვილი, „ჯოისუბნის რელიეფები", *საბჭოთა ხელოვნება*, 7 (1978), 75. მათგან განსხვავებით, გ. ბოჭორიძემ რელიეფების წარწერები VIII ს. მიაკუთვნა. გ. ბოჭორიძე, „რაჭის ისტორიული ძეგლები", *სმმ*, ტ. VIII (1935), 328.

სურ. 215
მრავალძლის წმ. თევდორესა (ა) და წმ. გიორგის (ბ) ქამარში გაყრილ თასმაზე დაკიდებული მახვილები.

სკულპტორმა რეალისტურად ასახა საუკუნის დასაწყისში დამკვიდრებული პრაქტიკა: მეომართა ნაწილი ისევ ძველ წესს მისდევდა და ხმალი მხარზე ეკიდა (წმ. გიორგი), მეორე ნაწილს კი ხმალი უკვე ახლებურად – წელზე ეკიდა (წმ თევდორე).

X საუკუნიდან დაწყებული ქართველ მხედრებს ხმალი წელზე ჰკიდიათ აზიურ-მომთაბარული წესით – ორი სხვადახვა სიგრძის ღვედით ქამარზე, წინ და ზემოთ მიმართული ტარით. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი საუკუნეების განმავლობაში თვალს გავადევნებთ ხმლის დაკიდების წესს ცხენოსანთა გამოსახულებებზე. სხვადასხვა სიგრძის ორი თასმით ქამარზე აქვთ დაკიდებული ხმლები X საუკუნეში ხირხონისის წმინდა მხედრებს,[351] წმ. გიორგის ნაკურალეშის, მრავალძლისა და ჟამუშის ხატებზე;[352] XI საუკუნეში წმ. გიორგის ნიკორწმინდის ორრელიეფზე,[353] საკაოსა და ხერიას ხატებზე;[354] XII საუკუნეში წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ნაკიფარისა და მაცხვარიშის ეკლესიების ფრესკებზე[355] (სურ. 214); XIII საუკუნეში დიოკლეტიანეს მლახვრავ წმ. გიორგის იფარის თემის ხატზე.[356] მხედრებს ხმალი წელზე ჰკიდიათ XIV საუკუნის H1665 დავითნის, ისევე როგორც, XVII საუკუნის „როსტომიანის“, თავაქარაშვილისეული და წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებზეც, რომლებიც თანადროული ეპოქის აღჭურვილობას გადმოგვცემენ. დავით აღმაშენე-

---

ამჟამად დადგენილია, რომ წარწერები პალეოგრაფიულად X საუკუნეს ეკუთვნის. *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, ტ. II, *დასავლეთ საქართველოს წარწერები*, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1980), 43-8.

[351] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 35.

[352] იქვე, ტაბ. 42, 43, 44.

[353] ალადაშვილი, *ნიკორწმინდის რელიეფები*, ტაბ. 7, 19.

[354] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 192, 194.

[355] *ზემო სვანეთი*, 93, 112.

[356] *სვანეთის მუზეუმი*, 140, სურ. 80. კატალოგში ეს ხატი XV საუკუნითაა დათარიღებული. წმინდანის შეიარაღება (შვეტი მახვილი, თასმადამალული ლამელარი) საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის, სულ უგვიანეს, XIII საუკუნეში მაინც უნდა იყოს შექმნილი.

ბლის ისტორიკოსიც მოწმობს, რომ XII საუკუნეში უპირატესობა ენიჭებოდა იარაღის წელზე დაკიდების მეთოდს, რომელსაც მეფედ კურთხევის დროს იყენებდნენ: დავით IV-მ თავის მემკვიდრეს „შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი“.[357]

X საუკუნეში ცხენოსანთა მიერ ხმლის ტარების ახალი წესის შემოღების პარალელურად გარკვეულ ექსპერიმენტებს ვხედავთ ფეხოსნებშიც. როგორც ჩანს, ცხენოსნის მსგავსად, ქვეითმა მეომარმაც სცადა წელზე მახვილის დამაგრება, მხოლოდ გარკვეული განსხვავებით: მხედრის მახვილი ორი თასმით იყო ქამარზე დაკიდებული, ქვეითი მებრძოლის მახვილი კი ერთი თასმით იყო ქამარზე ჩამოკიდებული (გაყრილი). შედეგად, ხმალი ირიბად (უფრო ვერტიკალურად), ფეხოსნისათვის ხელსაყრელ მდგომარეობაში, იყო დაკიდებული. ასე აქვთ მახვილი დაკიდებული ფეხოსან წმინდა მეომრებს X საუკუნის მრავალძლის, ჩუკულისა და ჩიხარეშის ხატებზე[358] (სურ. 215). უნდა ითქვას, რომ ეს საკმაოდ უხერხული მეთოდია – ერთ წერტილზე ჩამოკიდებული, დაუფიქსირებელი თასმა მუდმივად იმოძრავებდა და ხმალს პოზიციას შეუცვლიდა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო იარაღის დაკიდების ასეთი მეთოდი შემდგომში აღარ გვხვდება.

მომდევნო საუკუნეებში ქვეითები ხმლის დაკიდების ძირითად მეთოდად ისევ ჩვეულ, მხარზე გადაკიდების სისტემას იყენებენ. XI საუკუნეში მხარიღლივ, ყაწიმზე ჰკიდია მახვილი ფეხოსან წმ. გიორგის ლაშთხვერის, ხიდისთავის, ლანჩვანისა და ბეჩოს ხატებზე.[359] XII საუკუნეში მხარიღლივ აქვს გადაკიდებული მახვილი ფეხოსანს ჯრუჭის II ოთხთავის 193r მინიატურაზე (სურ. 216), მახვილი მხარზე ჰკიდია ქვეით წმინდანს საღოლაშენის ხატის ფრაგმენტზე[360] და წმ. გიორგის ლახუშტის, ქაშვეთისა (ლენჯერის) და ლაგურკას ხატებზე.[361] XIII საუკუნის დასაწყისში მხარიღლივ აქვს გადაკიდებული მახვილი ქვეით მეომარს ტიმოთესუბნის მხატვრობაში.[362] XV საუკუნეში მახვილი მხარზე ჰკიდია ქვეით წმ. გიორგის სამთავისის საკურთხეველისწინა ჯვარის ფრაგმენტზე.[363]

ამავე დროს, იშვიათად, მაგრამ მაინც, იკონოგრაფიაში გვხვდება ისეთი გამოსახულებები, როდესაც ქვეითებს თითქოსდა ხმალი ჰკიდიათ წელზე. თუკი ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში დანამდვილებით შეგვიძლია ვი-

სურ. 216
მხარიღლივ გადაკიდებული მახვილი ჯრუჭის II ოთხთავის 193r მინიატურაზე. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

[357] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, 363.
[358] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 36-7, 46, 47.
[359] იქვე, ტაბ. 152, 153, 236, 238.
[360] იქვე, ტაბ. 402.
[361] იქვე, ტაბ. 406, 407, 410.
[362] Привалова, Роспись Тимотесубани, рис. 27.
[363] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 512.

სურ. 217
ქვეითები ქამრის ორ ნერტილზე ჩამოკიდებული ხმლებით: ა) მეომარი შემოქმედის ხატზე; ბ) შალვა ქირქიშლიანი ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკაზე; გ) გოლიათი H1665 დავითნის 230r მინიატურაზე.

ვარაუდოთ, რომ მახვილი ყაწიმზეა დაკიდებული, მიუხედავად იმისა რომ მისი საკიდი სისტემა არ იკითხება,[364] მაინც რჩება ისეთი გამოსახულებები, რომლებზეც ნათლად ჩანს ქამარზე ჩამოკიდებული ხმლები: ასეთია ქვეითი მეომარი XI ს. შემოქმედის ხატზე, ქვეითი შალვა ქირქიშლიანი მახვილით წელზე ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის XIV ს. ფრესკაზე,[365] ქვეითი გოლიათი H1665 დავითნის 230r მინიატურაზე (სურ. 217). როგორც ჩანს, რიგ შემთხვევაში ქვეითები ხმლის წელზე დამაგრებასაც არ უკადრისობდნენ.

ცული

საბრძოლო ცული მჩეხავი იარაღის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. ის ტარზე დაგებული ლითონის იარაღია, რომელიც პირის, ყუისა და სატარე ხვრელისაგან შედგება.[366] ცული მეტად ეფექტური იარაღი იყო. მისი მასიური

[364] პ. გროტოვსკი მიუთითებს სწორედ ასეთ შემთხვევებზე, როდესაც წმინდანის გამოსახულებაზე მახვილი სხეულის უკან არის დამალული, მისი ტარი კი მარცხენა მხარეს ჩანს. ამ დროს მახვილი ყაწიმით არის გადაკიდებული მარჯვენა მხარზე, მის ღვედს სულ რომ ვერ ვხედავდეთ. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 351. ქართულ სინამდვილეში ასეთია ფეხოსანი წმ. გიორგი ჯუმათისა და სუჯუნას ხატებზე და ფეხოსანი წმ. თევდორე (?) სამთავისის ჯვარზე (XI ს). Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 151, 156, 288.

[365] *ზემო სვანეთი*, 208.

[366] გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, 129.

და მძიმე პირი ზედაპირის პატარა ფართობზე ახდენდა დარტყმის ძალის კონცენტრირებას. ცულის იოლად მზადდებოდა, რის გამოც ფართოდ იყო გავრცელებული. ცულის ნაკლი დარტყმის ნაკლები სიზუსტეა, რადგანაც მისი პირი ხელის უშუალო „გაგრძელება" არაა, დაშორებულია მტევანს და ხელის მიმართ ორ კუთხეს ქმნის: ხელსა და ტარს და ტარსა და პირს შორის.[367]

ანტიკური პერიოდისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეების საქართველოში საბრძოლო ცულს შედარებით იშვიათად იყენებდნენ.[368] იგი, ძირითადად, დაბალი ფენების (ქვეითთა) იარაღი იყო.[369] ცხენოსანი მებრძოლი, რომლის უპირველესი იარაღი შუბი და ხმალი იყო, ცულს ნაკლებად იყენებდა.[370] სწორედ ამიტომ, სხვა იარაღთან შედარებით, ცული ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ნაკლებადაა წარმოდგენილი. ისინი არ გვხვდება წმინდა მეომართა შეიარაღებაში. ძირითადად მათ ვხედავთ ქრისტეს ღალატის სცენაში, სადაც ცულებითა და ნაჯახებით შეიარაღებულ ქვეით ბრბოს გვიჩვენებენ.[371]

ცული ვერ მოხვდა ხელმწიფის კარის გარიგებისა და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ ქართველთა იარაღის ჩამონათვალში,[372] რაც მოწმობს, რომ ის ნაკლებად პოპულარული იყო და დამხმარე იარაღის როლს ასრულებდა. მიუხედავად ამისა, მაინც გაგვაჩნია მონაცემები ქართველთა მიერ ცულის გამოყენების შესახებ. 1049 წელს თურქებთან ბრძოლაში ლიპარიტს „აქუნდა **ნაჯახნი**..."[373] საბას მიხედვით, *ნაჯახი* მცირე ცულია („ხელ-ცული").[374] როგორც ჩანს, ლიპარიტს ცხენოსნისათვის შესაფერისი, შედარებით პატარა ზომის ცული ჰქონდა, რომელსაც ნაჯახს უწოდებდნენ.

ჯრუჭის II ოთხთავის 236r მინიატურაზე ქვეითი მეომარი შეიარაღებულია გრძელი ორხელა საბრძოლო ცულით, რომელსაც ფართო, ნახევარმთვარისებური პირი და ვიწრო, მოგრძო ყელი აქვს (სურ. 218დ). ნახევარმთვარისებური პირი ისლამურ ნაჯახსაც (*najikh*) ჰქონდა,[375] მაგრამ პირისა და ყელის ფორმა ერთად სკანდინავიურ ცულზე მიუთითებს, რაც ბიზანტიიდან უნდა შემოსულიყო ვარანგთა გვარდიის გავლენით. ასეთი ცულის ტარი

---

[367] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 37.

[368] Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии*, 45.

[369] იქვე, 57. სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს მიჩვეული უბრალო მოსახლეობა გამოცდილი იყო ნაჯახის ხმარებაში. David Lindholm and David Nicolle, *Medieval Scandinavian Armies 1100-1300* (Oxford, 2003), 17.

[370] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.," 45-6.

[371] Parani, *Reconstructing the Reality of Image*, 137.

[372] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 87; ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 18.

[373] *სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები*, 34; ლეონ მელიქსეთ-ბეგი, „სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია", *საისტორიო მოამბე*, 6 (1952), 56.

[374] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 587.

[375] David Nicolle, *Romano-Byzantine Armies 4th-9th Centuries* (Oxford, 1992), 45.

სურ. 218
ცულები და ნაჯახები ჯრუჭის II ოთხთავის 70v (ა), 115v (ბ), 190v (გ) და 236r (დ) მინიატურებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

90-120 სმ სიგრძის იყო.[376] დიდი, ფართოპირიანი ცული 1000 წლისათვის გამოჩნდა ევროპაში და ერთდროულად ორი პრობლემის გადასაჭრელად იყო მოწოდებული: ცხენოსანთა შემოტევის მოსაგერიებლად და ქვეითთა ფარების კედელში შესაღწევად.[377] ორხელა ცულის დარტყმა ადვილად გლეჯდა ჯაჭვს, აპობდა ფარსა და ფირფიტოვან აბჯარსაც. იგი ძირითადად ქვეითთა იარაღია, რადგან ცხენოსნისათვის უფრო მოსახერხებელი მოკლე ნაჯახია.[378] ორხელა ცულის ნაკლი იყო დარტყმის დიდი ინერცია, რომელიც აცილების ან მოგერიების შემთხვევაში, სახიფათო მდგომარეობაში აგდებდა მფლობელს.[379] მისი მოქნევისას მებრძოლის სხეული დაუცველი რჩებოდა.[380]

სხვადასხვაგვარი ცულებია წარმოდგენილი ჯრუჭის II ოთხთავის ღალატის სცენის ამსახველ მინიატურებზე (70v, 115v, 190v): ორხელა ცულებთან ერთად, აქ ჩვეულებრივ ცულებსაც ვხედავთ (სურ. 218). 190v მინიატურაზე გამოსახული ცული ტემზაში ნაპოვნ X-XI სს. ფართოპირიან ცულის თავს ჰგავს.[381] ჩანს, XI-XII სს. ქართული ცულის ფორმები ვიკინგურ-სკანდინავიურ გავლენას განიცდიდა. ამ ფორმას ქართული ცული ინარჩუნებს XIV საუკუნეშიც. H1665 დავითნის 219v მინიატურაზე გვხვდება საბრძოლო ნაჯახი, რომელსაც ფართო, მორკ-

---

[376] Wise, *Armies of the Crusades*, 19.

[377] Stephenson, *The Late Anglo-Saxon Army*, 101.

[378] Lindholm, Nicolle, *Medieval Scandinavian Armies*, 17.

[379] Peirce, "Arms, Armour and Warfare in the Eleventh Century," 246; Измайлов, *Защитники "Стены Искандера": вооружение, военное искусство и военная история Волжской Булгарии X-XIII вв.*, 53.

[380] Gravett, *Hastings*, 46.

[381] Stephenson, *The Late Anglo-Saxon Army*, fig. 66.

სურ. 219
საბრძოლო ნაჯახები H1665 დავითნის 219r მინიატურაზე. დეტალი. ბელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ალული პირი[382] და მოგრძო ყელი აქვს (სურ. 219). ის მეფის მცველებს უპყრიათ ხელთ.

უფრო მოგვიანებით საქართველოში შემოდის ირანული ტიპის საბრძოლო ცულები: ტაბარი და ტაბარძენი. ორივე ტერმინი სპარსულად საომარ ცულს აღნიშნავს.[383] სულხან-საბა ორბელიანი მათ ასე განმარტავს: „*ტაბარი* სპარსთა ენაა, ნაჯახს ჰქვიან; ორპირი ნაჯახია, მოპტყე"[384] და „*ტაბარძენი* სპარსულია, უნაგირზე დასაკრავს ნაჯახს ჰქვიან".[385] მისი მიხედვით ტაბარი დიდი, ორმხრივი („ორპირი") ნაჯახია, ტაბარძენი კი ცხენოსნისთვისაა განკუთვნილი. ეს შედარება სწორი ჩანს, რადგანაც, ცნობილია, რომ ტაბარი ტაბარძენზე უფრო დიდი ზომის ცულია.[386] XVII საუკუნეში იოსებ თბილე-

[382] Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 67.

[383] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 162.

[384] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 129.

[385] იქვე, 129. ალ-სარაფს ეჭვი შეაქვს ასეთი განმარტების სისწორეში და განმარტავს, რომ ტაბარძენი მხოლოდ საბრძოლო ნაჯახს ნიშნავს და არა უნაგირზე დასაკრავს. ეს საყოველთაოდ გავრცელებული შეცდომა სათავეს იღებს ბაღდადელი ლინგვისტისა და ფილოლოგის, აბუ მანსურ ალ-ჯავალიკის 1145 წელს დაწერილი ცნობილი „არაბიზებული უცხოური ტერმინების ლექსიკონიდან", სადაც ტაბარძენი პირველად იქნა მცდარად განმარტებული და შემდგომ ასე გავრცელდა დასავლურსა თუ აღმოსავლურ ლექსიკონებში. Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 162-5. ეს ისტორიულ-ლექსიკოგრაფიული წიაღსვლა საინტერესოა, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის სამუშაო პროცესისა და მისი წყაროების გასაანალიზებლად.

[386] A. S. Melikian-Chirvani, "The Tabar of a Turkish Dervish", in *Islamic Arms and Armour*, ed. by Robert Elgood (London, 1979), 113.

ლი, სხვა იარაღთან ერთად, ნაჯახსაც აღნიშნავს: „ხმალ, ლახტ, აფთ და ნაჯახები".[387]

ე. თაყაიშვილის მიერ სვანეთის ეკლესიებში აღნუსხულ იარაღშიც ვხვდებით ცულებს: ვერცხლის ჭდეებით მორთული საომარი ცული ინახებოდა ჟიბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში,[388] ოქროთი შემკობილი ფოლადის ცული, ცხოველის ორმხრივი გამოსახულებით – იელის წმ. გიორგის ეკლესიაში,[389] ორპირა ცული კი – სეტის წმ. გიორგის ეკლესიაში.[390] იელში დაცული ცხოველისგამოსახულებიანი ცული ირანული წარმოშობის ტაბარძენი უნდა იყოს, სეტის ორპირა ცული კი – ტაბარი.

დასარტყმელი (საცემი) იარაღი

დასარტყმელი (საცემი) იარაღი ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ძველია.[391] ლახტის წინამორბედი იყო მსხვილთავიანი კეტი (კომბალი) და მისი ისტორია რამდენიმე ათასწლეულს მოითვლის.[392] თავად ლახტი კეტია, რომლის ერთ ბოლოზე ლითონის (ან სხვა მასალის) მასიური თავი მაგრდება, მეორე ბოლო კი სახელურად გამოიყენება.[393] ლახტი ობიექტზე ზემოქმედებს ადამიანის ხელით განხორციელებული დარტყმის ძალით, რომელიც გაძლიერებულია იარაღის სიმძიმითა და ტარის სიგრძით.[394] განსაკუთრებით ეფექტურად იყენებს ლახტს ცხენოსანი, როდესაც დარტყმის ძალას ცხენის მოძრაობის ინერციაც ემატება. ამის გამო ლახტი განსაკუთრებით პოპულარული იმ ქვეყნებში იყო, სადაც კავალერია წამყვან როლს თამაშობდა.[395] ლახტი მარტივი იარაღია, რომლის გამოყენება მინიმალურ წვრთნას საჭიროებს.[396] ლახტს არ სჭირდებოდა ბრძოლისწინა მომზადება და ადვილად მოსავლელი იყო, რისთვისაც საკმარისი იყო მხ-

---

[387] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 25.

[388] თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, 148.

[389] იქვე, 227.

[390] იქვე, 279.

[391] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 113; Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," 66; Деян Рабовянов, "Средновековни боздугани от фонда на Регионален исторически музей – Велико Търново," *Известия на Регионален исторически музей – Велико Търново*, XXIV-XXV (2009-2010), 187.

[392] Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.," 47.

[393] Медведев, "Оружие Новгорода Великого," 132.

[394] Устинов, Портнов, Нацваладзе, *Холодное оружие*, 8.

[395] Рабовянов, "Средновековни боздугани от фонда на Регионален исторически музей – Велико Търново," 195.

[396] Raffaele D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th -15th c. AD," *Acta Militaria Mediaevalia*, 7 (2011), 7.

ოლოდ ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებისაგან (წვიმა, თოვლი და ა.შ.) მინიმალური დაცვა (ბუდე, შალითა).

ბრძოლაში ლახტი, უპირველესად, მუზარადისა და აბჯრის დასალეწად გამოიყენებოდა.[397] მძიმე, 1.5-2 კგ-იან, ლახტს მუზარადისა და თავის ქალის შემუსვრაც შეეძლო.[398] ლახტს აბჯარში შეუღწევლადაც გამოყავდა მეტოქე მწყობრიდან (არეტიანებდა).[399] ლახტის დარტყმა იწვევდა კონტუზიას, შინაგან სისხლჩაქცევებსა და მოტეხილობებს. მას იყენებდნენ მოწინააღმდეგის შუბისა და ხმლის დასამტვრევადაც.[400]

ლახტს აღმოსავლეთში უძველესი დროიდან იყენებდნენ, მაშინ, როდესაც საბერძნეთი და რომი მას არც იცნობდა.[401] ლახტს არ ხმარობდნენ არც გერმანელი და არც კელტი ტომები. უადრესი ევროპული ლახტი ბაიოს გობელენზეა გამოსახული.[402] აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაშიც ლახტი აღმოსავლეთიდანაა შესული.[403] შუა საუკუნეების დასაწყისში ლახტი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ ირანსა და ცენტრალურ აზიაში,[404] ბიზანტიასა და ევროპაში კი ისლამის კვალდაკვალ შეაღწია.[405] ლახტის პოპულარობა IX ს-ის მიწურულისა და X ს-ის ბიზანტიაში დაკავშირებულია მძიმედ შეჭურვილი კავალერიის აღორძინებასთან.[406]

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *ლახტი* უმკვეთელო საცემი იარაღია.[407] ივ. ჯავახიშვილი ლახტს დასარტყმელ იარაღს აკუთვნებს.[408]

---

[397] Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily," 67; Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," 66; Paul, *Arms and Armour: Traditional Weapons of India*, 91.

[398] Wise, *Armies of the Crusades*, 18.

[399] ამის მოწმობას შუა საუკუნეების ლიტერატურაში ვპოულობთ: „დაჰკრა... თავსა ლახტი და ცხენისაგან დაბნედილი ჩამოაგდო". *რუსუდანიანი*, 285.

[400] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 155.

[401] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 113. ეგვიპტის ძველი სამეფოს ხანაში „ბრძოლა" ლახტის გამოსახულებით აღინიშნებოდა. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 50.

[402] DeVries, *Medieval Military Technology*, 25. ლახტი ევროპაში მნიშვნელობას მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში იძენს. Nicolle, "The Cappella Palatina Ceiling and the Muslim Military Inheritance of Norman Sicily," 67.

[403] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 113. აღმოსავლეთიდან ხვდება ლახტი რუსეთშიც, სადაც ის ჩნდება XI საუკუნეში. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 2. Копья, сулицы, боевые топоры, булавы, кистени IX-XIII вв.," 48.

[404] ის ჯერ კიდევ სასანელი ცხენოსნის განუყრელი იარაღი იყო ტაბარძენთან (საბრძოლო ცული) ერთად. Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 154.

[405] Nicolle, "Arms of the Umayyad Era," 21.

[406] John Haldon, "Some Aspects of Byzantine Military Technology from the Sixth to the Tenth Centuries," *Byzantine and Modern Greek Studies*, 1 (1975), 39; Kolias, *Byzantinische Waffen*, 183; D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th -15th c. AD," 8-9.

[407] „*ლახტი* – უმკვეთელო საცემი საომარი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 409.

[408] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 246.

ჩანს, საქართველოში ორი ტიპის ლახტს განარჩევდნენ: საკუთრივ ლახტსა და *გურზს*. ორივე ტერმინი ამ იარაღთა სპარსული სახელწოდებებიდან მომდინარეობს: ლახტი – *lakht*-იდან,[409] *გურზი* კი – *gorz*-იდან. საბას მიხედვით, *გურზი* დიდი, უფრთო ლახტია.[410] ლახტების საბასეული დაყოფა სწორი ჩანს. მართალია, არაბულ-სპარსული გურზი (არაბული *jurz*, სპარსული *gorz*) ყველა ტიპის ლახტს გულისხმობდა, მაგრამ უფრო მეტად მას სფერული ან ოვოიდურთავიანი ლახტის აღსანიშნავად იყენებდნენ.[411]

კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიაზე ლახტი საკმაოდ პოპულარული იყო და უძველესი ხანიდან, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნიდან მოიპოვება.[412] ამისდა მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში, შუა საუკუნეებში ქართველი მებრძოლის უპირველეს იარაღად შუბი და გრძელი მახვილი გვევლინება, რომელთა პარალელურად ლახტს იშვიათად თუ ვხედავთ. ამაში „დამნაშავე" ქართველთა რაინდული ბრძოლის სტილი უნდა ყოფილიყო, სადაც შუბით ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „ვეფხისტყაოსანში" ლახტი მხოლოდ ორგანაა ნახსენები,[413] რაც დ. ნიკოლმაც შეამჩნია და თამარის ხანაში მის ნაკლებ მნიშვნელობაზე მიუთითა.[414] იშვიათად იხსენიება ლახტი „ამირანდარეჯანიანშიც", რომელიც იმავე ეპოქის ნაწარმოებია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის გვიანდელ დამატებებსა და ჩასწორებებს ლახტის ხსენებით,[415] ეს იარაღი ორიოდეჯერ თუ გვხვდება ნაწარმოებსა და მის ვარიანტებში.[416] თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ლახტი უკვე საფალავნო ბრძოლის იარაღია: „გამოეგზავნა ლახტი მისი და ეგრე შემოეთუალა, ვითა: „დღეს ამით შევიბნეთო".[417] ეს უკვე XIII საუკუნის ვითარებას უნდა ასახავდეს, როდესაც მონღოლთა გავლენით ლახტის

---

[409] ლახტი სპარსულადაც რკინის კეტს ნიშნავს. Francis Joseph Steingass, *A Comprehensive Persian-English Dictionary, Including the Arabic Words and Phrases to be Met with in Persian Literature* (London, 1892), 1119. თავის მხრივ, ეს სპარსული სიტყვაც არაბული *latt*-დან უნდა იყოს წარმოშობილი. ის საშუალო ზომის საბრძოლო კეტს აღნიშნავდა და საფუძვლად ედო არაბული ზმნა *latta*, რაც მსხვრევას, ბეგვას ნიშნავს. Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 160.

[410] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 179.

[411] Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," 66. XVI საუკუნის მინურულს დაწერილი „აინ-ი-აკბარის" მიხედვით, გურზს სფერული თავი ჰქონდა ზედ დამაგრებული რამდენიმე წვეტით. Paul, *Arms and Armour: Traditional Weapons of India*, 91.

[412] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 51, таб. XXX.100, XXXI.34-42,46-9,104-6,119.

[413] „ადგა და ლახტი აიღო..." შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1110. მეორე სტროფი კი ზოგიერთ გამოცემაში შოთასეულად არცაა მიჩნეული. ასე მაგალითად, 2009 წლის აკადემიურ გამოცემაში არაა შეტანილი 655-ე სტროფი: „დევთა ყვირილი, ზახილი ზეცამდის აიწეოდა; მათისა ლახტის ცემითა ქვეყანა შეირყეოდა".

[414] Nicolle, *Saladin and the Saracens*, 23.

[415] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 687, 774.

[416] იქვე, 144-5, 356.

[417] იქვე, 144-5.

მნიშვნელობა იზრდება.[418] იშვიათად ჩანს ლახტი ამ პერიოდის მინიატურებშიც. ჯრუჭის II ოთხთავში (XII ს.), ერთი გამონაკლისის გარდა, ლახტი მხოლოდ იესოს გაცემის სცენებში (მინიატურები 70v, 115v, 243v) გვხვდება, სადაც ლახტებით (კეტებით) აღჭურვილი მებრძოლების გამოსახვა თავად სახარებისეული ტრადიციიდან მომდინარეობს: „აჰა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებით და კეტებით" (მათე 26:47; მარკოზი 14:43).[419]

მოგვიანებით, მონღოლთა ბატონობის შედეგად მდგომარეობა იცვლება და ლახტის პოპულარობა სულ უფრო იზრდება. XIV საუკუნის მეორე ნახევრის დავითნში ლახტი უკვე ხშირად ჩანს. H1665 დავითნის მინიატურებში გამოსახული ლახტები ფრთიანია, თავზე ბურთულით, ხის ტარს კი ლითონის ბოლო აქვს, რაც მას გახლეჩისაგან იცავდა.[420] საქართველოში გავრცელებული ლახტის ეს ტიპი ლეგენდარული ოსი ბაყათარის იარაღს მოგვაგონებს.[421] მისი აღჭურვილობა რექომში, ცნობილ ოსურ სალოცავში ინახებოდა. ზოგიერთი ცნობით, მათ რიცხვში შედიოდა ლახტიც, რომელიც აღწერილობის თანახმად, ტარზე დაგებული რკინის მასიური ცილინდრი იყო ექვსი სიმეტრიული ფრთითა და თავზე ბურთულით,[422] რაც ძალიან ჰგავს საქართველოში გავრცელებულ ლახტის ტიპს, რომლის მრავალი გამოსახულებაც მოგვეპოვება H1665 დავითნში. ჩანს, მონღოლურ-ირანული ლახტები საქართველოს გავლითა და მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაშიც აღწევს. ამ რეგიონში აღმოჩენილ ექვსფრთიან ლახტთაგან ზოგიერთის ანალოგი საქართველოში ეგულებათ ე. ნაროჟნისა და ჯ. ჩახკიევს.[423]

XVI საუკუნის დასაწყისში, ირანელი მემატიანის გადმოცემით, კახეთის მეფე ლევანი (1518-74) თავისი ვერცხლის ლახტით ტრაბახობს ყიზილბაშებთან ბრძოლის წინ: „ლევან-ხანმა გაგულისებით წამოიძახა: „დივ-სულტანს ბრ-

---

[418] მარკო პოლო მონღოლთა შეიარაღების ჩამონათვალში ასახელებს რკინისთავიან ლახტს და მიუთითებს, რომ მათ ბრძოლაში ხმლით, ლახტითა და მშვილდით (60 ისრითურთ) გამოსვლა ევალებოდათ. მონღოლთა ბრძოლების აღწერისას ის ყოველთვის მიუთითებს ლახტის გამოყენებაზე. Marco Polo, *The Description of the World*, trans. by A. C. Moule and Paul Pelliot, vol. I (London, 1878), 171, 198, 207, 290, 448, 450-1, 456, 463, 481, 487. მრავლად გვხვდება ლახტის გამოსახულება მონღოლური ეპოქის ირანულ მინიატურებზეც.

[419] იესოს გაცემის სცენის იკონოგრაფიული ასახვის ტრადიციისა და მნიშვნელობის შესახებ ვრცლად იხ. Raffaele D'Amato, "The Betrayal: Military Iconography and Archaeology in the Byzantine Paintings of the 11th-15th C. AD Representing the Arrest of Our Lord," *Wratislavia Antiqua*, 18 (2013), 69-95.

[420] Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 67.

[421] ბაყათარისა და მისი აღჭურვილობის შესახებ იხ. Tsurtsumia, "The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its Place in the Evolution of Oriental Helmet," 88-9.

[422] Нарожный, "О шлемах из сел. Ярыш-Марды и святилища Реком," 116.

[423] Нарожный, Чакхиев, "О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.)," 129.

ძოლის ველზე მე გამოვიწვევ და ამ ოც მანიან[424] კვერთხს, რომელიც ვერცხლისაგან დავამზადებინე, კეფაში ისე ჩავცხებ, რომ მას თავის ცხენიანად მიწას დავანარცხებ".[425] თავის ლახტს მეფე ბრძოლაში საკმაოდ ეფექტურად იყენებს: „მას ხელში ისეთი კვერთხი ეკავა, რომ ვისაც კი დაარტყამდა, თავს უხეთქავდა".[426] სავსებით მართებულად, სპარსულ ლიტერატურაში ხშირად მოხსენიებულ 20, 40, 70 და 80 მანის სიმძიმის ლახტებს მ. ხორასანი ზღაპრულად მიიჩნევს.[427] სწორედ ამგვარ გაზვიადებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ირანელი ავტორი მისთვის ჩვეული ჰიპერბოლით აღწერს მეფის ლახტს.[428] ამავე დროს, ინფორმაცია კახეთის მეფის მძიმე ლახტის შესახებ მნიშვნელოვანია და მოწმობს ამ იარაღის გაზრდილ როლზე XVI საუკუნის საქართველოში. ამავე საუკუნის მეორე ნახევარში სვიმონ მეფის ირანელებთან ბრძოლის აღწერისას, შუბსა და ხმალთან ერთად, ლახტიც მოიხსენიება: „ქართველნიც მოეტივნეს და შეიქნა შუბთა ძგერება, **ლახტისა** და ჴმლის ტკაცა-ტკუცი".[429]

XVI-XVII სს. დაწერილ „რუსუდანიანში" ლახტი უკვე ერთ-ერთი ძირითადი იარაღია. ამ ეპოქაში ლახტი, შუბსა და ხმალთან ერთად, მძიმედ შეჭურვილი ქართველი მეომრის შეიარაღების განუყოფელი ნაწილია. ბრძოლის აღწერისას იარაღის ამ სახეობებს ერთად ჩამოთვლიან ხოლმე: **„შუბითა, ხლმითა, ლახტითა** უწყალოდ იცემებოდენ..."[430] ბრძოლის პროცესიც თანმიმდევრობითაა აღწერილი, სადაც შუბის შემდეგ ერთმანეთს ცვლის ხმალი და ლახტი: „შეიბნეს. **პირველ შუბით** შეუტიეს და შეალეწეს ერთმანერთსა. **მერმე ხრმლები** დაიწოდეს და გულმესისხლედ დალეწეს... **მერმე გურზებს** მიჰყვეს ხელი და მედგრად იცემებოდეს";[431] „შეუტიეს ერთმანერთსა, **შუბები** შეალეწეს, **მერმე ხლმითა** დაუშინეს ერთმანერთსა და ისიც დაალეწეს. **მერმე ლახტები** გამოიღეს";[432] **„პირველსავე მისვლასა შუბები** ერთმანერთს შეალეწეს და **მერმე... ლახტები** დაიწოდეს და დაუწყეს ერთმანერთსა ცემა";[433] „შეალეწეს **შუბები** ერთმანერთსა, დალეწეს **ლახტები** და დაიწოდეს **ხლმები**..."[434]

---

[424] 20 მანი დაახლ. 16 კგ-ს უდრიდა.

[425] „შაჰ ისმაილ I-ის ანონიმის ცნობები საქართველოს შესახებ", *სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ*, სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა (თბილისი, 1990), 21.

[426] იქვე, 22.

[427] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 252.

[428] ასეთი გაზვიადება არც ქართული ლიტერატურისთვისაა უცხო: „მისი ოცი ათასის ლიტრის ლახტი ხელთ ეჭირა". *რუსუდანიანი*, 127.

[429] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 219.

[430] *რუსუდანიანი*, 176.

[431] იქვე, 284.

[432] იქვე, 291.

[433] იქვე, 378.

[434] იქვე, 379.

ლახტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება XVII საუკუნის დასაწყისის „ომაინიანშიც“, სადაც ის ხშირად ჩანს ორთაბრძოლებში: „მერმე **მძიმე ლახტები** დაიწოდეს და მითაცა დიდხანს ერთმანერთი გამოსცადეს“;[435] „მერმე **ლახტები** დაიწვადეს და ასრე მედგრად ერთმანერთსა ეცემებოდეს“.[436] საერთოდ, XVII საუკუნის ნაწარმოებებში ლახტის ხსენება საკმაოდ ხშირია. არჩილის მიერ არაგვის პირას ირანელებთან თეიმურაზ მეფის ბრძოლის აღწერისას იარაღის თანმიმდევრობა კვლავ დაცულია – შუბი, ხმალი, ლახტი:

„**პირველ შუბი** მოვიქნივე, **მერმე** მივჰყავ **ხმალსა** ხელი,
ხმალმოწვდილი გავერივე, ვაქნევინე ომ-სახელი;
კვლაცა ლახტი დავამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი“.[437]

იოსებ თბილელის XVII საუკუნის „დიდმოურავიანში“ შუბისა და ხმლის გატეხვის შემდეგ ბრძოლას ლახტით აგრძელებენ: „შუბის და ხმლისა გატეხა, **ლახტის** ტარ ხელთა ქონება“.[438] ტაშისკართან ბრძოლაში გიორგი სააკაძეს სამი შუბი შემოატყდა, რის შემდეგაც ლახტი და ხმალი გამოიყენა:

„ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე **შუბია**;
მასუკან **ლახტით** ვიბრძოდი, სისხლით ავავსი უბია,
ლახტიც რომ გატყდა, **ხმალს** ხელი მივჰყავ, ვაყენე გუბია!“[439]

ლახტით იბრძვის მეფე ლუარსაბიც: „სითაც მეფემ ცხენი იგდის, დააშვენის ის არია; / ვისაც თავსა **ლახტი** დაჰკრის, არ ეგონის ი სარია“.[440]

ჟან შარდენი, რომელმაც XVII საუკუნის 70-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, ქართველთა შეიარაღებაში ლახტსაც აღნიშნავს: „მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, კომბალი,[441] ფარი“.[442]

გვიან შუასაუკუნეებში ლახტის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს საქართველოს ეკლესიებში დაცული და XIX-XX საუკუნეებამდე მოღწეული ლახტის ნიმუშები. ბრძოლაში მოპოვებული ნადავლისა თუ იარაღის ეკლესიებისათვის შეწირვა საყოველთაოდ იყო გავრცელებული, რისი დასტური XVII საუკუნის შუახანების ქაიხოსრო გურიელის შეწირულების წიგნიცაა, სადაც ვკითხულობთ, რომ გამარჯვებულმა გურიელმა ბრძო-

---

[435] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 52.

[436] იქვე, 104.

[437] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, 64.

[438] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 31.

[439] იქვე, 14.

[440] იქვე.

[441] აქ ლახტი უნდა ეწეროს მთარგმნელს.

[442] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, 119.

ლაში დატყვევებულის საჭურველი ეკლესიას შესწირა: „შემოქმედს ჯიჯავაძის ჯაჭვი, ხრმალი და ლახტი შემოგვიწირავს".[443] ე. თაყაიშვილის მიერ სვანეთის ეკლესიებში აღნუსხული იარაღიდან ირკვევა, რომ ლახტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა:[444] რკინის ექვსფრთიანი ორი ლახტი იყო შენახული სოფელ საყდარის წმ. გიორგის ეკლესიაში; რკინის ლახტი 12 წვეტითა და შემკობილი ტარით, ასევე სპილენძის ექვსფრთიანი ლახტი – ჩუკულის ეკლესიაში; ვერცხლით გამშვენებული რკინის შვიდფრთიანი ლახტი – ჟიბიანის ღვთისმშობლის ეკლესიაში; ვერცხლით შემკული რკინის მრავალფრთიანი ლახტი და ვერცხლის ბურთისთავიანი ორი ლახტი – მურყმერის წმ. ბარბარეს ეკლესიაში; რკინის ლახტი – ლაგურკას წმ. კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში; რკინის ექვსფრთიანი ორი ლახტი – ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიაში; რკინის ექვსფრთიანი ლახტი – ლაღამის მაცხოვრის ეკლესიაში.[445] ე. თაყაიშვილს ასევე აღწერილი აქვს მრავალი რკინის ლახტი სუფის წმ. გიორგის ეკლესიაში[446] და რკინის ფრთიანი ლახტი რაჭაში, ქედისუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში.[447] ლატალის მაცხვარიშის ეკლესიაში XIX საუკუნის დამლევამდე ინახებოდა ბეჟან რობაქიძის მიერ შენირული ვერცხლის ლახტი წარწერით (ამჟამად დაკარგულია):

„თვალად და ტანად ლამაზო, გულად ალმასო რკინაო,
რაზმის შემტევებელო, ფიცხლავ მიმსვლელო წინაო,
შეკაზმულ კაცს იჭირავ, ცხენის ფეხს გედვეს წინაო,
ნეტარ თქუმნ ლაშკარს წაბძანდეთ, ვინც დაგიხვდებათ წინაო!"[448]

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ლახტის მნიშვნელობა განუხრელად იზრდება და თავდაპირველი რიგითი, არცთუ გავრცელებული, საბრძოლო საშუალებიდან ის მეომრის ერთ-ერთ პირველ იარაღად იქცა.

ქვემოთ განხილულია დღემდე მოღწეული, საქართველოს მუზეუმებში დაცული ლახტები და ლახტისთავები, რომლებიც შუა საუკუნეების ეპოქას მიეკუთვნება და წარმოდგენილია მათი ატრიბუცია-კლასიფიკაცია.

---

[443] *ქსძ*, VI, 667.

[444] ე. თაყაიშვილის მიერ აღრიცხულ, სვანეთში ეკლესიისათვის შეწირულ, ლახტისთავებს 12 ცალს ითვლიან. შოთა ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის* (თბილისი, 1976), 49; შოთა ჩართოლანი, რევაზ ხვისტანი, მალხაზ ცინდელიანი, „ჰეშკილდის წმინდა გიორგი", *აკცყძ*, 6 (2000), 88. მათი რაოდენობა კიდევ უფრო მეტია.

[445] თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, 101, 119, 148, 177, 202, 248, 291.

[446] იქვე, 428.

[447] ექვთიმე თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ.* (თბილისი, 1963), 73.

[448] თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, 361.

ფრთიანი ლახტი

დაცვითი აღჭურვილობის გაძლიერების კვალდაკვალ ლახტის ფორმებიც იცვლებოდა. აბჯარზე მაქსიმალურად მძლავრი ზემოქმედების სურვილმა ფრთიანი ლახტი წარმოშვა. ფრთიანი ლახტი ამსხვრევს აბჯარს, წყვეტს ჯაჭვის რგოლებს. ასეთი ლახტის ფრთები დარტყმისას მაქსიმალურ ძალას მიმართავს შედარებით მცირე ფართობზე.[449] არცთუ იშვიათად ამ დროს ლახტის ფრთებიც ზიანდებოდა, რაც წყაროებშიცაა ასახული („დალეწეს ლახტის ფრთები ორთავე")[450] და რაზეც ქართული მუზეუმების ექსპონატების ჩამოტეხილი ფრთებიც მოწმობს. ფრთიანი ლახტი განსაკუთრებით კარგი იყო ჯაჭვის აბჯარში შესაღწევად, კოპებიანი ლახტი კი – აბჯრის ფირფიტებისა და ფარის დასალეწად.[451] XII საუკუნეში ატ-ტარსუსი თავის ტრაქტატში უკვე აღწერს ფრთიან ლახტს.[452] დ. ნიკოლი თვლის, რომ ევროპული ფრთიანი ლახტი წარმოიშვა ბიზანტიური ან ისლამური პროტოტიპისაგან, რომელიც ირანში უნდა შექმნილიყო.[453] აღმოსავლური წარმოშობის ფრთიანი ლახტი XIII საუკუნეში ვრცელდება აღმოსავლეთ და, შემდეგ, დასავლეთ ევროპაში.[454]

შუა საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული ლახტების უმრავლესობა სწორედ ფრთიანი ლახტებია. უპირველესად, განვიხილავ ერთ უნიკალურ ბიზანტიურ ლახტს, რომლის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში არსებობს მსოფლიოში და მათგან ერთი, საქართველოში აღმოჩენილი, შედარებით კარგად შემონახული ეგზემპლარია.

ბიზანტიური ლახტი

ეროვნულ მუზეუმში დაცული 3877/9 ექსპონატი დამახასიათებელი ფორმისაა და ის შეუმცდარად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ბიზანტიური ლახტის ტიპს (სურ. 220ა). დღემდე ასეთი წაგრძელებულთავიანი ლახტის სულ რამდენიმე ეგზემპლარია ნაპოვნი. მათ შესახებ ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი მხოლოდ ახლა იწყება. ექსპონატი კარგადაა შემონახული, მხოლოდ ფრთა აქვს ცოტათი ჩამოტეხილი, რაც ბრძოლაში გამოყენების შედეგი შეიძლება იყოს. ლახტისთავი მაღალი ხარისხითაა შესრულებული, აქვს 6 ფრთა, რომლებიც ცილინდრზეა დამაგრებული. ცილინდრი ბურთუ-

---

[449] Gravett, *German Medieval Armies*, 47.

[450] *რუსუდანიანი*, 378.

[451] DeVries, *Medieval Military Technology*, 26.

[452] D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 27.

[453] Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 222.

[454] D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 29.

სურ. 220
ბიზანტიური ლახტები: ა) ლახტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ექსპონატი 3877/9). ავტორის ფოტო; ბ) კერძო კოლექციაში დაცული ბიზანტიური ლახტი; გ) ლახტი სტარა ზაგორადან. დ'ამატოს მიხედვით; დ) ლახტი ბალკანეთიდან. დ'ამატოს მიხედვით; ე) წმ. დიმიტრი თესალონიკელის ხატი; ვ) ლახტი ანგელინსკი ერიკიდან. გორელიკის მიხედვით.

ლოვანი დაბოლოებით რკინის ერთი ნაჭრისაგანაა გაკეთებული.[455] ლახტისთავი 526 გრამს იწონის, მისი სიგრძე 175 მმ-ია, დიამეტრი ფრთების ჩათვლით – 60 მმ, სატარე ხვრელის დიამეტრი – 30 მმ. მასრას ქვემოთა ნაწილში სამანჭვლე ნახვრეტი აქვს ხის ტარის მკვიდრად დასამაგრებლად.

მსგავსი ფორმა აქვს XIV საუკუნის ბიზანტიურ წაგრძელებულთავიან ლახტს სტარა ზაგორადან (ბულგარეთი), მხოლოდ დაბალი, მომრგვალებული ფრთებით[456] (სურ. 220გ). კიდევ ერთი ასეთივე ლახტი დაბალი, მომრგვალებული ფრთებით ნაპოვნია ბალკანეთში, დუნაის ხეობაში და XIV საუკუნით თარიღდება[457] (სურ. 220დ). როგორც ჩანს, ბიზანტიური წაგრძელებული ლახტი ბალკანებზე XIV საუკუნის შუახანებში გამოჩნდა.[458]

ამ ტიპის ბიზანტიური ლახტის წინამორბედი, წაგრძელებული, დაბალფრთიანი ლახტის თავები ისლამურ აღმოსავლეთში გვხვდება: ასეთია X საუკუნის ბრინჯაოსთავიანი ლახტი, ნიშაპურში ნაპოვნი XI-XII სს. ბრინჯაოს წაგრძელებულთავიანი ლახტი, XII-XIII სს. ბრინჯაოს ლახტის თავი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანიდან.[459] ჩანს, წაგრძელებული და დაბალფრთიანი ლახტის ფორმა ბიზანტიამ აღმოსავლეთიდან, ირანიდან გადაიღო. დასრულებული, დამახასიათებელი სახე კი ამ ლახტს ბიზანტიაში XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უნდა მიეღო.

ბიზანტიურ წაგრძელებულთავიან ლახტს ვხედავთ XV საუკუნის დასაწყისის წმ. დიმიტრი თესალონიკელის ხატზე, რომელიც ბელგრადში ინახება[460] (სურ. 220ე). წმინდა მხედარი ატარებს ლახტს, რომელსაც დამახასიათებელი მოგრძო და ბურთულიანი თავი და შედარებით დაბალი ფრთები აქვს. ფრესკის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ მთლიანი ლახტის სიგრძეც, რომელიც მახვილისას არ ჩამოუვარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანი ლახტის სიგრძე ტარიანად, სულ მცირე, 1 მეტრი იქნებოდა.

---

[455] შ. კაზა, რომლის კოლექციაშიც ასეთივე ტექნოლოგიით დამზადებული ლახტისთავი ინახება (სურ. 220ბ), ამ გარემოებას შთამბეჭდავ მეტალურგიულ მიღწევად, ხოლო თავად ლახტს წარმოების მსხვილი ცენტრის პროდუქტად მიიჩნევს. Shawn M. Caza, "Medieval Flanged Maces," (August 2003), http://otlichnik.tripod.com/medmace3.html (accessed 6 February 2016).

[456] D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 29, fig. 20.

[457] წინა ეგზემპლარებისაგან განსხვავებით, ეს ლახტი, ბურთულის ნაცვლად, წვეტით ბოლოვდება. ნაკეთობის ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბურთულის ფორმირება ოსტატმა ვერ შეძლო და მხოლოდ წვეტით დაკმაყოფილდა. ეს კი ადგილობრივ, პროვინციულ ხელობაზე მიუთითებს.

[458] D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 43, fig. 28.3.

[459] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," figs. 53, 58, 67. X-XII საუკუნეების ირანული წაგრძელებულთავიანი ლახტებისათვის იხ. Mohamed, *The Arts of the Muslim Knight*, figs. 231-5.

[460] M. V. Alpatov, *Early Russian Icon Painting* (Moscow, 1978), 293, pl. 12.

არსებული ლახტის ფორმებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ბალკანურ ნიმუშებს დაბალი, მომრგვალებული ფრთები აქვს, ეგზემპლარს შ. კაზას კოლექციიდან კი – რთული გოთური მოხაზულობის. ჩვენ ექსპონატს ამ ორ ფორმას შორის შუალედური, თითქოსდა გარდამავალი, ადგილი უკავია: ბალკანურთან შედარებით ფრთები უფრო მაღალი, სწორი და გამოკვეთილია, მაგრამ არ აქვს ისეთი რთული ფორმა, როგორიც კაზას ნიმუშს.

ნაკეთობის მაღალი ხარისხი ცალსახად მეტყველებს, რომ ის XIV საუკუნეში მეტროპოლიაში ან რომელიმე მსხვილ სამრეწველო ცენტრშია დამზადებული. ამ დროისათვის საქართველოს ბიზანტიასთან სახმელეთო საზღვარი აღარ ჰქონდა და აღნიშნული ტიპის ლახტი საზღვაო გზით ან ტრაპიზონის იმპერიიდან უნდა შემოსულიყო.[461]

საქართველოს მუზეუმებში დაცული ფრთიანი ლახტის სხვა ნიმუშები ორ დიდ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: *დაბალფრთიანი ლახტები*, რომელთა ფრთების მაქსიმალური დიამეტრი 80 მმ-ს არ აღემატება და *მაღალფრთიანი ლახტები*, რომელთა დიამეტრი 80 მმ-ზე მეტია.[462]

თავის მხრივ, მაღალფრთიან ლახტებში 3 ქვეჯგუფი გამოიყოფა: *გრძელმასრიანი*, *საშუალო* და *მოკლემასრიანი*. გრძელმასრიანი ლახტის თავის სიგრძე ლითონის მასრასთან ერთად 400 მმ-ზე მეტია, საშუალომასრიანის თავის სიგრძე 200-400 მმ-ია, მოკლემასრიანი ლახტის თავის სიგრძე კი 200 მმ-მდეა. იმავე პრინციპით გამოიყოფა დაბალფრთიან ლახტებშიც 3 ქვეჯგუფი.

ლახტების უმეტესობას საერთო ტექნოლოგია ახასიათებს, რაც გამოიხატება ლახტის ფრთებისა თუ ცილინდრის სპილენძით მირჩილვაში. საქართველოში რჩილვისას სპილენძის ხანგრძლივ გამოყენება დასტურდება სპილენძისა და ბრინჯაოს უძველესი სვანური სახელწოდებებითა და მათი მსგავსებით მირჩილვასთან. ო. უორდროპისა და ი. ნიჟარაძის სვანურ ლექსიკონებში სპილენძის შესატყვისია „სპილენჯ“ და „ჩეიშ“, შ. ჩართოლანის მიხედვით კი „სვანები სპილენძს უწოდებენ „სპელუნჯ“, „სპელინჯ“, „სპილენჯ“, ხოლო ბრინჯაოს – „ჩეი“. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ „ჩეი“ რამდენადმე უახლოვდება მეორე სვანურ სიტყვას „ლიჩიერე“,

---

[461] ამ ტიპის კიდევ ერთი ლახტია ნაპოვნი ჩრდილოეთ კავკასიაში, კრასნოდარის მხარის ოქროს ურდოს დასახლება ანგელინსკი ერიკში (სურ. 220ვ). М.В. Горелик, "Черкесские воины Золотой Орды (по археологическим данным)," *Вестник Института гуманитарных исследований Правительства КБР и КБНЦ РАН*, вып. 15 (Нальчик, 2008), 180, рис. 6.19. ჩრდილოეთ კავკასიაში ბიზანტიური ლახტი შავი ზღვის პორტებიდან ან სულაც საქართველოდან შეიძლება მოხვედრილიყო.

[462] ეს ზომა, – 80 მმ არაა შემთხვევითი. შესასწავლი მასალის აზომვის შედეგად გაირკვა, რომ, ფაქტობრივად, ესაა ზღვარი ლახტის დანიშნულებათა გასამიჯნად: 80 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ლახტებს, უმთავრესად, 6-7, იშვიათად – 8 ფრთა აქვს და თვისებებით კლასიკური ფრთიანი ლახტებია. მათზე ნაკლები დიამეტრისანი (70 მმ-ზე მეტისაც კი) უკვე მრავალფრთიანი (8 და მეტი, 12 და 14 ფრთიანები) ლახტებია და თვისებებით გურზებს ემსგავსება.

რაც მირჩილვას ნიშნავს". ჩართოლანის აზრით, სახელწოდებათა ასეთი მსგავსება ერთი და იმავე ტექნოლოგიური პროცესიდან მომდინარეობს და ლღობასთანაა დაკავშირებული.[463]

მაღალფრთიანი ლახტი[464]

მაღალფრთიანი ლახტების გრძელმასრიანი ქვეჯგუფის თითქმის ყველა ლახტი ექვსფრთიანია,[465] რამდენიმე ექსპონატის გარდა, რომელთაც შვიდი ან რვა ფრთა გააჩნია. ყველა რკინისაგანაა დამზადებული და ხუთკუთხა ფრთები აქვს.[466] ამ ქვეჯგუფში ცალკე დგას მთლიანი რკინის ლახტები, რომლის წარმომადგენელია ექსპონატი 44-26/19.

ექსპონატი 3-38/1 (სემ): ექვსფრთიანი, ღარებში ჩასმული ხუთკუთხა ფრთებით, რომლებიც დაფარულია კოფტგარით შესრულებული ოსმალური ორნამენტით – „ჩინური ღრუბელი" („ჩი").[467] თითოეული ფრთა ორი თხელი ფირფიტის შედუღებითაა მიღებული. მასრის ბოლოში გამჭოლი სამანჭვლე ნახვრეტია (სურ. 221ა).

ექსპონატი 720 (სიემ): შვიდფრთიანი, 3-38/1-ის მსგავსი ოსმალური ლახტი „ჩი"-ს ორნამენტით შემკული ხუთკუთხა ფრთებითა და დაღარული რკინის მასრით, რომელსაც ხის ტარი ემაგრება. ხის ტარის ბოლოს გამჭოლი ნახვრეტია ხელზე საკიდი თასმისათვის (სურ. 221ბ).[468]

ექსპონატი 3-38/5 (სემ): ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, ზემოთ მომრგვალებული, სადა ფრთებით. თავი დახურულია ვერცხლის ჭვირული ფირფიტით, რომელზეც გობაკი და 3 მანჭვალია (სურ. 221დ).

---

[463] შოთა ჩართოლანი, „სპილენძის უძველესი იარაღები სვანეთიდან", *შრომები* (თბილისი, 2010), 71-2.

[464] იხ. ცხრილი 1. ქვემოთმოყვანილ ცხრილებში საქართველოს მუზეუმებში დაცული ლახტების ზომები და სხვა საყურადღებო ინფორმაციაა წარმოდგენილი. ექსპონატის ნომრის გვერდით ფრჩხილებში მისი ამჟამინდელი მუზეუმის ადგილსამყოფელია შემოკლებით მოცემული: სემ (საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი), სიემ (სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი), ომმ (ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი), ციმ (ცაგერის ისტორიული მუზეუმი).

[465] შუა საუკუნეებში გავრცელებული ფრთიანი ლახტების უმეტესობას ექვსი ფრთა აქვს. ცნობილია, რომ ირანული ლახტების უმრავლესობას ექვსი ფრთა აქვს, შვიდ- და რვაფრთიანები კი იშვიათად გვხვდება. ექვსფრთიან ლახტს სპარსულად *shishpar* ეწოდება. Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," 66; Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 255. ქართული ლახტების უმრავლესობაც ექვსფრთიანია, თუმცა, შვიდ- და რვაფრთიანი ნიმუშებიც არცთუ იშვიათად გვხვდება. ექვსფრთიანია ე. თაყაიშვილის მიერ სვანეთის ეკლესიებში აღნუსხული ლახტების უმრავლესობაც.

[466] უნდა ითქვას, რომ ხუთკუთხა ფორმის ფრთები ყველაზე მეტად პოპულარულია ფრთიან ლახტებს შორის.

[467] „ჩი"-ს მოტივი მონღოლებმა შეიტანეს ირანში, შემდეგ კი მთელ ახლო აღმოსავლეთში გავრცელდა.

[468] ოსმალური ორნამენტით შემკული კიდევ ერთი ასეთი ლახტი (ექსპონატი 35-35/239) დაღარული ტარით ამჟამად სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში ინახება (სურ. 221გ).



სურ. 221

მაღალფრთიანი ლახტების გრძელმასრიანი ქვეჯგუფი: ა) ოსმალური ლახტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ექსპონატი 3-38/1); ბ) ოსმალური ლახტი სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმიდან (ექსპონატი 720); გ) ოსმალური ლახტი სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში (ექსპონატი 35-35/239); დ) ექსპონატი 3-38/5 (სემ); ე) ექსპონატი 35-35/243 (სემ); ვ) ექსპონატი 35-35/244 (სემ); ზ) ექსპონატი 725 (სიემ); თ) ექსპონატი 35-35/247 (სემ); ი) ექსპონატი 44-26/19 (სემ). ავტორის ფოტოები.

ექსპონატი 35-35/243 (სემ): ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. თავი ბურთულით ბოლოვდება. მასრა მთელ სიგრძეზე სპილენძითაა აკურატულად მირჩილული. მასრაზე 1 სამანჭვლე ნახვრეტია. ხის ტარიდან რკინის მასრაში ჩარჩენილი ხის ფრაგმენტია შემორჩენილი (სურ. 221ე).

ექსპონატი 35-35/244 (სემ, გურჯაანიდან): ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. ფრთები ღარებში, ისევე როგორც მასრა, სპილენძითაა მირჩილული. ხის ტარიდან მხოლოდ რკინის მასრაში ჩარჩენილი ხის ფრაგმენტია შემორჩენილი. (სურ. 221ვ)

ექსპონატი 725 (სიემ): ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. სვანეთის მუზეუმის ეს ექსპონატი ჰგავს ეროვნული მუზეუმის 35-35/243 და 35-35/244 ნიმუშებს, ოღონდ ფრთებისა და მასრის შეერთების ადგილი უფრო ნატიფადაა შესრულებული და კუთხოვანის ნაცვლად უფრო ოვალურია (სურ. 221ზ).

ექსპონატი 35-35/247 (სემ): რვაფრთიანი (ოთხი ფრთა დაკარგულია), ხუთკუთხა, ძლიერ წაწვეტებული, ღარებში ჩასმული ფრთებითა და თავზე ბურთულით. მასრის ბოლოში 2 წერტილში გაყრილი მანჭვალია, რაც ხის ტარის დამაგრებას ემსახურებოდა (სურ. 221თ). თავბურთულიანი ლახტი ანალოგიური წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთებით (მხოლოდ ექვსფრთიანი) ნაპოვნია მთიანი ინგუშეთის სამარხში, რომელიც ოქროს ურდოს პერიოდისაა.[469] ინგუშური ეგზემპლარისაგან განსხვავებით, ჩვენი ექსპონატი რვაფრთიანია და უჩვეულოდ გრძელი მასრით გამოირჩევა, რომელიც, ფაქტობრივად, სრული ტარია, თუმცა მას მოკლე ხის ტარიც ემაგრებოდა. ის უფრო გვიანდელი ხანის (XV-XVI სს.) უნდა იყოს. სავარაუდოდ, მათ შორის გარდამავალი ფორმაა სვანეთის მუზეუმში დაცული ლახტისთავი (ექსპონატი 724, სურ. 223ვ), რომელიც წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთების ფორმით, თავზე ბურთულითა და მოკლე მასრით ახლოს დგას ინგუშურ ლახტთან, თუმცა, მისგან განსხვავებით, უკვე რვაფრთიანია. ის XIV-XV სს. უნდა ეკუთვნოდეს.

ექსპონატი 44-26/19 (სემ): მთლიანი რკინის ლახტი, ექვსფრთიანი, ხუთკუთხა, სქელი (7 მმ), ბოლოში გაგანიერებული ფრთებითა და დაღარული მასრით. თავი ბოლოვდება ბურთულით (სურ. 221ი).

მაღალფრთიანი ლახტების საშუალომასრიანი ქვეჯგუფი მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მის შემადგენლობაში გვხვდება როგორც ექვს, ისე შვიდ- და რვაფრთიანი ლახტები.

ექსპონატი 113/III (სემ): ექვსფრთიანი (ორი ფრთა ჩამომტვრეულია), გრძელი, მართკუთხა ფრთებით, რომლებიც ზემოთ ფართოვდება. ფრთები

[469] Нарожный, Чакчиев, "О находках образцов ударного и защитного вооружения на Северном Кавказе (XIII-XV вв.)," 129, 133-7, рис. 3.5.



სურ. 222

მაღალფრთიანი ლახტების საშუალომასრიანი ქვეჯგუფი: ა) ექსპონატი 113/III (სემ); ბ) ექსპონატი 729 (სიემ); გ) ექსპონატი 2931 (სემ); დ) ექსპონატი 5-34/3 (სემ); ე) ექსპონატი 35-35/242 (სემ); ვ) ექსპონატი 35-35/249 (სემ). ავტორის ფოტოები.

ჩასმულია და მირჩილულია ღარებში. მასრაზე გამჭოლი სამანჭვლე ნახვრეტია. ეს ექსპონატი წააგავს ექვსფრთიან ლახტს გვიანმომთაბარული სამარხიდან მდინარეების – დონისა და სალას შუამდინარეთიდან და მისი შემდგომი განვითარება უნდა იყოს. დაკრძალული ჩრდილოეთითაა დამხრობილი, რაც მონღოლურ წარმოშობაზე მეტყველებს. ვარაუდობენ, რომ მისი ლახტი ოქროს ურდოს ტერიტორიაზეა დამზადებული.[470] ლახტების წონაც დიდად არ განსხვავდება: მომთაბარის – 620 გ-ს იწონის, მუზეუმის ეგზემპლარი კი – 664 გ-ია. ამ უკანასკნელის დახვეწილი ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ის უფრო გვიანდელია და XV საუკუნეს ეკუთვნის (სურ. 222ა).

ექსპონატი 729 (სიემ): ექვსფრთიანი (აკლია ორი ფრთა), მარტივი, მართკუთხა ფრთებით, რომლებიც ზემოთ მცირედ ფართოვდება. ფრთები ჩასმულია და მირჩილულია ღარებში. თავი მასრასთან წრიულად არის მირჩილული. მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტია. სვანეთის მუზეუმის ეს ექსპონატი, ისევე როგორც ქვემოთ განხილული 723, ემსგავსება 113/III-ს, მაგრამ მომრგვალებული თავის გარეშე. ის XIV-XV სს. თარიღდება (სურ. 222ბ).

ექსპონატი 2931 (სემ): შვიდფრთიანი (აკლია ერთი ფრთა), მომრგვალებული სამკუთხა ფრთებით, რომლებიც ღარებშია მირჩილული, გახსნილი მასრით (სურ. 222გ).

ექსპონატი 5-34/3 (სემ): რვაფრთიანი, ხუთკუთხა, სადა ფრთებით. მასრა სპილენძითაა მირჩილული. მუზეუმში გ. ბოჭორიძის მიერ ჩამოტანილია ლეჩხუმიდან, ოყურეშის ეკლესიიდან. (სურ. 222დ).

ექსპონატი 35-35/242 (სემ): შვიდფრთიანი, ხუთკუთხა რკალოვანი ფრთებით. ფრთები ღარებში და მასრა სპილენძითაა მირჩილული (სურ. 222ე).

ექსპონატი 35-35/249 (სემ): შვიდფრთიანი (აკლია სამი ფრთა), ხუთკუთხა ფრთებით. ღარებში ჩასმული ფრთები სპილენძითაა მირჩილული. ფრთების ფუძეები ოსმალური სტილისაა. მასრაზე ქვემოთ გამჭოლი სამანჭვლე ნახვრეტია (სურ. 222ვ).

მაღალფრთიანი ლახტების მოკლემასრიან ქვეჯგუფში შემავალი ყველა ლახტი ექვსფრთიანია და რკინისაგან არის დამზადებული.

ექსპონატი 723 (სიემ): ექვსფრთიანი, გრძელი, მართკუთხა ფრთებით, რომლებიც ზემოთ ფართოვდება. ფრთები ღარებშია მირჩილული. მასრა გახსნილია და აქვს სამანჭვლე ნახვრეტი. სვანეთის მუზეუმის ეს ექსპონატი, ისევე როგორც 729, ჰგავს 113/III-ს. როგორც ჩანს, 729 ტიპის ლახტიდან ჯერ განვითარდა 723, საბოლოოდ კი – 113/III ტიპის ლახტი. 723 და 113/III ეგზემპლარების ფრთები ზედა ნაწილში უფრო ფართოვდება, ფუძეზე კი რკალი

[470] იქვე. 130, 135, სურ. 3.7.

ჩნდება, რომელიც რუდიმენტული ფორმით 723-შია წარმოდგენილი და ჩამოყალიბებულად – 113/III-ში. 729-ის მსგავსად, 723-ე ლახტიც შეიძლება XIV-XV სს. დათარიღდეს (სურ. 223ა).

ექსპონატი 5-34/1 (სემ): ექვსფრთიანი, ხუთკუთხა ფრთებით, კარგი ნახელავი. ექსპონატი 1934 წ. ლეჩხუმიდან, ოყურეშის ეკლესიიდან ჩამოიტანა გ. ბოჭორიძემ (სურ. 223ბ).

ექსპონატი 35-35/250 (სემ): ექვსფრთიანი, მომრგვალებული, ხუთკუთხა ფრთები, ზედ დეკორატიული ნაჭდევებით. ფრთები სპილენძითაა მირჩილული. მასრაში ჩარჩენილია ხის ნაშთი, ზედ ჩარჭობილი რკინის მანჭვლით ხის ტარის მყარად ჩასამაგრებლად (სურ. 223გ).

ექსპონატი 35-35/251 (სემ): ექვსფრთიანი, ხუთკუთხა ფრთებით, მასრაზე ქვემოთ სამანჭვლე ნახვრეტით (სურ. 223დ).

ექსპონატი ომმ-3871/4: ექვსფრთიანი, მომრგვალებული ფრთებითა და დაზიანებული მასრით. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ამ ლახტისთავის ფრთების პროტოტიპს ხუთკუთხა ფორმა ექნებოდა. ჩვენს ნიმუშს ფრთები ისე აქვს მომრგვალებული, რომ ზედა კუთხე ოდნავაა გამოხატული, ქვედა კი საერთოდ გამქრალია. ამ ტიპის ლახტის პროტოტიპი პალესტინაში (თუ ლიბანში) ნაპოვნი XIII საუკუნის ლახტი უნდა იყოს, რომელსაც მსუბუქი მომრგვალების გამო უკვე შეცვლილი აქვს ფრთების ხუთკუთხა ფორმა.[471] ამ მხრივ ქართული ეგზემპლარი კიდევ უფრო შორსაა წასული და დახვეწილი ფორმა აქვს მიღებული (სურ. 223ე).

ექსპონატი 724 (სიემ): რვაფრთიანი, წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთები, თავზე ბურთულით, მასრაზე სამანჭვლე ნახვრეტით, XIV-XV სს. (სურ. 223ვ)

---

[471] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," figs. 64.a,b; Ю.А. Кулешов, Е.Н. Абызова, "Два предмета мамлюкского вооружения с территории Молдовы как иллюстрация путей формирования золотоордынского комплекса вооружения," *Военное дело Золотой Орды: проблемы и перспективы изучения*, ред. И.М. Миргалеев (Казань, 2011), 94, рис. 4.



სურ. 223
მაღალფრთიანი ლახტების მოკლემასრიანი ქვეჯგუფი: ა) ექსპონატი 723 (სიემ); ბ) ექსპონატი 5-34/1 (სემ); გ) ექსპონატი 35-35/250 (სემ); დ) ექსპონატი 35-35/251 (სემ); ე) ექსპონატი ომმ-3871/4; ვ) ექსპონატი 724 (სიემ). ავტორის ფოტოები.

ლახტი	მაღალფრთიანი								
მასრა	გრძელმასრიანი								
№	3-38/1 (სემ)	720 (სიემ)	3-38/5 (სემ)	35-35/243 (სემ)	35-35/244 (სემ)	725 (სიემ)	35-35/247 (სემ)	44-26/19 (სემ)	729 (სიემ)
ფრთების რაოდენობა	6 (აკლია 2)	7	6	6	6	6	8 (აკლია 4)	6	6 (აკლია 2)
თავის დაბოლოება	ღია	ბურთულიანი	დახურული	ბურთულიანი	ღია	ღია	ბურთულიანი	ბურთულიანი	ღია
საერთო სიგრძე (მმ)		638						625	
თავის სიგრძე (რკინის მასრიანად)	493	457	499	423	478	545	487	132 (თავი)	240
ფრთების max. D	146	130	125	105	131	130	155	83	83
ფრთების სიგრძე	162		150	141	155		91	97	
ფრთების სიმაღლე	59		48	45	54		66	33	
ხვრელის D (ქვედა)	22		26	23	22	28	16	X	27
ხვრელის D (ზედა)	18	X	X	X	16	28	X	X	22
წონა (გ)	1259	1584	1380	1095	1240	1597	857	1139	497
მასალა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	მთლიანი რკინის	რკინა
სხვა	ხუთკუთხა ფრთები	ხუთკუთხა ფრთები	ზემოთ მომრგვალებული ხუთკუთხა ფრთები	ხუთკუთხა ფრთები	ხუთკუთხა ფრთები. გურ-ჯაანი	ხუთკუთხა ფრთები. უშგული	წაწვეტებული ხუთკუთხა ფრთები	სქელი ხუთკუთხა ფრთები	მართკუთხა ფრთები

ცხრილი 1

ლახტი										
საშუალომასრიანი					მოკლემასრიანი					
113/III (სემ)	2931 (სემ)	5-34/3 (სემ)	35-35/242 (სემ)	35-35/249 (სემ)	723 (სიემ)	5-34/1 (სემ)	35-35/250 (სემ)	35-35/251 (სემ)	724 (სიემ)	ომმ-3871/4
6 (ჩამომ-ტვრ. 2)	7 (აკლია 1)	8	7	7 (აკლია 3)	6	6	6	6	8	6
მომრგვა-ლებული	ღია	დახუ-რული	ღია	ღია	ღია	ღია	ღია	ღია	ბურთუ-ლიანი	ღია
230	224	240	334	222	184	191	134	129	137	104
92	105	116	128	83	81	134	106	97	136	109
106	123	133	144	95		152	113	92		
30	40	50	50	30		55	41	33		
27	27	დაზიან-ებულია	25	25	30.5	22	22	25	22	25
X	22	X	21	25	22	22	22	25	X	25
664	482	850	690	398	454	1090	465	462	974	520
რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა
გრძელი მართ-კუთხა ფრთები	მომრგვა-ლებული სამ-კუთხა ფრთები	ხუთ-კუთხა ფრთები. ლეჩხუმი, ოყუ-რეშის ეკლესია	ხუთ-კუთხა რკალო-ვანი ფრთები	ხუთ-კუთხა ფრთები	გრძელი მართ-კუთხა ფრთები	ხუთ-კუთხა ფრთები. ლეჩხუმი, ოყუ-რეშის ეკლესია	მომრგვა-ლებული ხუთ-კუთხა ფრთები	ხუთკუთხა ფრთები	წაწვე-ტებული ხუთ-კუთხა ფრთები	მომრგვა-ლებული ფრთები. რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია

ქართული ჭვიანი ლახტი[472]

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ლახტების ერთი ჯგუფი (ექსპონატები 5-34/2, 35-35/241, 35-35/245, 35-35/248, 2450/1876), რომელთაც დამახასიათებელი ფორმის ექვსი ჭვირული ფრთა აქვს (სურ. 224აბგდე).[473] ჭვირულფრთიანი ლახტები მაღალფრთიანთა ჯგუფის საშუალომასრიანთა ქვეჯგუფს მიეკუთვნება. მათ ჭვირულ ფრთებში ხმლის გამოსახულება იკითხება. ფრთების ჭვირულ ორნამენტში განსხვავებაც შეინიშნება: მარტივი ორნამენტის დროს ხმლის ფორმაა ამოღებული, რთულის დროს კი ამოღებული სივრცე ქმნის მოხრილი ხმლის გამოსახულებას შუაში.[474] ჭვირულფრთიანი ლახტი ქართული მოვლენა უნდა იყოს, რადგან მსგავსი ფორმის ლახტი სხვაგან არსად შემხვედრია. დანამდვილებით ცნობილია, რომ ჭვირულფრთიანი ორი ლახტი ლეჩხუმიდანაა: ექსპონატი 5-34/2 თბილისში ოყურეშის ეკლესიიდან ჩამოიტანა გ. ბოჭორიძემ, ერთიც ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ინახება (სურ. 224ვ). ჭვირულხმლიანი ლახტები ინახება მესტიისა და ქუთაისის მუზეუმებშიც (სურ. 224ზ). ასეთივე ფორმისა და ჭვირული ორნამენტით დამშვენებული ფრთიანი ლახტი აქვს სარტყელში ჩაპყრობილი ბრძოლაში დაცემულ მეომარსა და ავთანდილს თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზე, ასევე კასტელის მიერ დახატულ ვახტანგ გურიელს (სურ. 224თიკ). ასეთი ორი ლახტი უნდა იყოს გამოსახული XVIII საუკუნის H61 უთრუთიანის 7r მინიატურაზეც, სადაც მათი ხუთკუთხა ფრთები, მართალია, სქემატურად, დეკორატიული ჭრილების გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ ადვილად იცნობა დამახასიათებელი მორკალული ფორმის წყალობით (სურ. 224ლ). როგორც ჩანს, ლახტების ეს ტიპი დასავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი და XVII საუკუნეში იყო ფართოდ გავრცელებული.[475] ქართულ მუზეუმებში

---

[472] იხ. ცხრილი 2.

[473] ნაშრომი მზად იყო, როდესაც გამოქვეყნდა ი. ბაქრაძის სტატია ამ ტიპის ლახტების შესახებ. ირაკლი ბაქრაძე, „საბრძოლო ლახტები ხმლისებურ-ჭვირული დეკორით საქართველოს მუზეუმებში", *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*, V (2014), 239-58. რადგანაც პირველი პუბლიკაციის პატივი მას ეკუთვნის, ლახტების მყარი იდენტიფიკაციისა და ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად, თავს შევიკავებ სახელდების ჩემეული ვერსიისაგან და ლახტების აღნიშვნისას ბაქრაძისეულ სახელწოდებას გამოვიყენებ.

[474] ისიც უნდა ითქვას, რომ ჭვირული ფრთები სულაც არ უწყობს ხელს ლახტის მედეგობას, რაზეც მეტყველებს ამოღებული ორნამენტის ხაზზე ჩამოტეხილი და დაზიანებული ფრთები: ასეთია 35-35/241-ის ერთი ფრთა, 35-35/245-ის ორი ფრთა, 2450/1876-ის სამი ფრთა.

[475] საქართველოს მუზეუმებში დაცული 13 ჭვირულფრთიანი ლახტისათვის იხ. ბაქრაძე, „საბრძოლო ლახტები ხმლისებურ-ჭვირული დეკორით საქართველოს მუზეუმებში", 239-46, ტაბ. I-III. ჩემი და ავტორის დასკვნები ამ ლახტების დასავლეთქართული წარმოშობისა და თარიღის შესახებ ზედმინევნით ემთხვევა ერთმანეთს, ასე რომ, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ერთადერთი, მეჩვენება, რომ ავტორი ზედმეტ აქცენტს აკეთებს ოსმალურ ლახტებთან მსგავსებაზე, მაშინ,

დაცული ეგზემპლარებიც ამ ეპოქაზე გვიანი ნამდვილად არ უნდა იყოს. მათი წინამორბედი კი H1665 და H75 ხელნაწერების მინიატურებში გვხვდება. მაგალითისათვის, H1665 დავითნის 213v მინიატურაზე და H75 დავითნის 24r მინიატურაზე გამოსახული ლახტები ხუთკუთხა ფრთებით ჰგავს ზემოგანხილულ ნიმუშებს, H75 დავითნის 23v მინიატურაზე გამოსახული ქვედა ლახტი კი კიდევ უფრო ახლოსაა მათთან: მას თავზე ბურთულა არ აქვს და ფრთებიც მცირედაა მორკალული (სურ. 224მნო). თუ გავითვალისწინებთ, რომ H75 დავითნი უფრო გვიანაა გადაწერილი, სურვილის შემთხვევაში, აქ გარკვეული ევოლუციაც შეიძლება დავინახოთ, თუმცაღა, მხატვრის შესრულების მანერის თავისებურებაც არაა გამოსარიცხი.

როდესაც მსგავსი ფორმის ლახტები ჯერ კიდევ ორივე (H1665 და H75) დავითნის მინიატურებში გვხვდება. არც რკინის დეფიციტის საკითხი დასავლეთ საქართველოსა და სამეგრელოში არის ასე ერთმნიშვნელოვნად ნათელი. ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე, რომელმაც 1631-68 წლებში ექვსგზის იმოგზაურა აღმოსავლეთში და მოვლილი ჰქონდა ოსმალეთი, ირანი, ინდოეთი, ბირმა, ინდონეზიის კუნძულები, გვამცნობს, რომ სამეგრელოს მთავარი ლევან II (1611-57) დახმარების სანაცვლოდ ოსმალეთის სულთანს შეპირდა ყოველწლიურად რკინის მიწოდებას და რომ „რკინის უმეტესი ნაწილი, რომელიც ოსმალეთში იხარჯება, სამეგრელოდან შემოდის". ჟან ბატისტ ტავერნიე, *დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა*, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კარლო გურულმა (თბილისი, 1974), 200; *The Six Voyages of John Baptista Tavernier*, trans. by John Phillips (London, 1678), 125. აქ, ტავერნიე, რა თქმა უნდა აჭარბებს, თუმცა, შემდეგ მოგვითხრობს ნიშანდობლივ ამბავს, რომ სტამბოლში ყოფნის ჟამს (1631-33 წწ.) ის შეხვდა სამეგრელოს ელჩს, რომელმაც სულთან მურად IV-ს (1623-40) ძღვნად რკინა და ფოლადი მიართვა. ჟან ბატისტ ტავერნიე, *დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა*, 201; *The Six Voyages of John Baptista Tavernier*, 125. იმერეთის სამეფოში, ნედისის საბადოზე, რკინას ბოლომდე, რუსეთის შემოსელამდე, მოიპოვებდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „არს დაბა ნედისი... აქ არს ლითონი რკინისა, და იღებენ მრავალსა". ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 766. 1654 წელს დაწერილ თხზულებაში იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს: „იმერეთის მთებში არის კიდევ რკინის მადნები იმდენად, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება და მხოლოდ რკინას იღებს მადნებიდან და ამ რკინისაგან აკეთებს სხვადასხვა ნივთებს". დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 178.



სურ. 224
ქართული ჭვირული ლახტი: ა) ექსპონატი 5-34/2 (სემ); ბ) ექსპონატი 35-35/241 (სემ); გ) ექსპონატი 35-35/245 (სემ); დ) ექსპონატი 35-35/248 (სემ); ე) ექსპონატი 2450/1876 (სემ); ვ) ექსპონატი 327 (ცემ); ზ) ექსპონატი 730 (სიემ). ავტორის ფოტოები; თ) „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 138 (თ) და 255 (ი), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; კ) ვახტანგ გურიელი. კასტელის მიხედვით; ლ) „უთრუთიანი“, H61 ხელნაწერი, 7r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; H1665 დავითნი, 213v (მ) და 24r (ნ) მინიატურები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ო) H75 დავითნი, 23v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ცხრილი 2

ლახტი	მაღალფრთიანი ჭვირული ლახტი						
მასრა	საშუალომასრიანი						
№	35-35/241 (სემ)	2450/1876 (სემ)	35-35/245 (სემ)	35-35/248 (სემ)	5-34/2 (სემ)	327 (ციმ)	730 (სიემ)
ფრთების რაოდენობა	6 (მოტეხილი 1)	6 (მოტეხილი 3)	6	6	6	6 (მოტეხილი 2)	6
თავის დაბოლოება	დახურული	დახურული	დახურული	ღია	ღია	დახურული	დახურული
საერთო სიგრძე (მმ)			429			433	464
თავის სიგრძე (რკინის მასრიანად)	315	203	285	271	289	298	257
ფრთების max. D	123	120	130	114	121	123	123
ფრთების სიგრძე	112	112		105	116		
ფრთების სიმაღლე	51	52		50	52		
ხვრელის D (ქვედა)	25	დაზიანე-ბულია	19	21	22	22	205
ხვრელის D (ზედა)	X	X	X	18	17	X	X
წონა (გ)	483	235	816	213	585	655	685
მასალა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა
სხვა	ლახტის ფრთებზე მოხრილი ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები	ლახტის ფრთებზე მოხრილი ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები	ლახტის ფრთებზე ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. თაებზე გობაკი მარტივი ორნამენტით. ტარი ბოლოში დაფარულია მოვერცხლილი თითბერით	ლახტის ფრთებზე ხმლის მარტივი ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები	ლახტის ფრთებზე ხმლის მარტივი ჭვირული ორნა-მენტი. რკალო-ვანი ხუთ-კუთხა ფრთები. ლეჩხუმი, ოყურეშის ეკლესია	ლახტის ფრთებზე მოხრილი ხმლის რთული ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. 1939 წ. 50 მანეთად შეიძინა მუზეუმმა ი. ჩაკვეტა-ძისაგან (სოფ. ნაკურალეში)	ლახტის ფრთებზე ხმლის მარტივი ჭვირული ორნამენტი. რკალოვანი ხუთკუთხა ფრთები. ხის ტარზე ბოლოში თასმის ნახვრეტი. 1974 წ. 7 მანეთად შეიძინა მუზეუმმა

დაბალფრთიანი ლახტი[476]

დაბალფრთიანი ლახტების გრძელმასრიანი ქვეჯგუფის წარმომადგენელია ექსპონატი 1-40/1 (სემ, ქვემო სვანეთიდან): თორმეტფრთიანი (აკლია ოთხი ფრთა), ხუთკუთხა ფრთებითა და დახურული თავით. ფრთები და მასრის ნაკერი მთელ სიგრძეზე სპილენძითაა მირჩილული. მასრაში ხის ტარის ფრაგმენტია ჩარჩენილი (სურ. 225ა).

დაბალფრთიანი ლახტების საშუალომასრიანთა ქვეჯგუფში თორმეტ- და თოთხმეტფრთიანი ლახტები შედის.

ექსპონატი 3-38/3 (სემ): თორმეტფრთიანი (აკლია ორი ფრთა), ოსმალური ტიპის მომრგვალებული ჭვირული ფრთები მცენარეული ორნამენტით. ტარის თითბრის ბოლოზე ზიგზაგისებური და 3 წერტილით შექმნილი სამკუთხა ორნამენტი. ხის ტარზე დახვეული ტყავითა და ტარის ბოლოზე გამჭოლი ნახვრეტით ხელზე საკიდი თასმის გასაყრელად. არასაბრძოლო ეგზემპლარი (სურ. 225ბ).

ექსპონატი 3-38/4 (სემ): თოთხმეტფრთიანი, მომრგვალებული ფრთები ფუძეზე შვერილით. მასრა სპილენძითაა მირჩილული და მასზე 1 სამანჭვლე ნახვრეტია. (სურ. 225გ)

ეროვნული მუზეუმის დაბალფრთიანი ლახტების ორივე ქვეჯგუფის ეს ეგზემპლარები მრავალრიცხოვანი (12 და 14) ფრთებით ხასიათდება. მრავალფრთიანი ლახტები ოსმალური პერიოდის პროდუქტია და XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. დ. რაბოვიანოვის აზრით, ოსმალური მრავალფრთიანი ლახტი ექვსფრთიანი ლახტის განვითარების შედეგადაა მიღებული. ასეთი ლახტი დარტყმისას ობიექტზე რამდენიმე ფრთით ზემოქმედებს. ფორმითა და მოქმედებით ისინი მრგვალთავიან გურზებს ჰგვანან. ჩვენამდე მოაღწია ასეთი ლახტების ოცფრთიანმა ეგზემპლარებმაც.[477] საერთოდ, ოსმალურ ლახტს ახლო-ახლო განლაგებული ბევრი ფრთა ჰქონდა, ირანული კი უფრო დიდი ზომისა იყო და ნაკლები ფრთები ჰქონდა.[478] ოსმალური ლახტის ფრთები ზემოთ გაფართოებულია და თანდათანობით ვიწროვდება ქვემოთკენ, ხშირად ბოლოვდება ნახევართაღის ფორმის შვერილით.[479] გვიანშუასაუკუნეებში საქართველოში შემოსულ ოსმალურ მრავალფრთიან ლახტებზე მოწმობს „ამირანდარეჯანიანის" გვიანდელი

[476] იხ. ცხრილი 3.

[477] Деян Рабовянов, "Късносредновековно въоръжение от фонда на Регионален исторически музей – Габрово." *"България, земя на блажени..." In memoriam professoris Iordani Andreevi* (Велико Търново, 2009), 569-70; მისივე, "Средновековни боздугани от фонда на Регионален исторически музей – Велико Търново," 194-5.

[478] North, *An Introduction to Islamic Arms*, 40-1.

[479] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 186.

დამატება, სადაც გმირი ასეთი ლახტითაა შეიარაღებული: **„ოცდახუთფთიანი** ლახტი წელში ჩაირჭვა".[480] მრავალფრთიანი ოსმალური (ეგვიპტური) ლახტი გვხვდება „ომაინიანში": „მისრული **თორმეტ ფრთიანი ლახტი** გამოიძრო".[481] ეროვნული მუზეუმის ზემოგანხილული ეგზემპლარებიც ოსმალური პერიოდისაა: ადგილობრივად დამზადებული ოსმალური მინაბაძია ექსპონატი 1-40/1[482] და 3-38/3,[483] 3-38/4 კი XVI-XVII სს. ოსმალური ლახტია.

ექსპონატი 721 (სიემ): რვაფრთიანი, ოსმალური ტიპის მომრგვალებული ფრთებითა და ღია თავით, სადაც სიმაგრისათვის ხის ტარში სოლია ჩასმული. თავი მასრასთან წრიულადაა მირჩილული. ლახტის ფრთების ფორმა ოსმალურს ჰგავს, მაგრამ საკმაოდ ატიპურია, ნახევართაღის შვერილი ფრთის ზედა ნაწილშია მოთავსებული და ოსმალურ პროტოტიპთან შედარებით ნაკლები ფრთები აქვს. ეს ლახტი XVII საუკუნეში დამზადებული ადგილობრივი მინაბაძი უნდა იყოს. (სურ. 225დ)

დაბალფრთიანი ლახტების მოკლემასრიანი ქვეჯგუფი ექვს- და რვაფრთიანი ლახტებით არის წარმოდგენილი.

ექსპონატი 2921 (სემ): ექვსფრთიანი, მომრგვალებური ფრთებით, თაღლია, დაზიანებული მასრით, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული (სურ. 225ე). ამ ტიპის ექვს- და მომრგვალებულფრთიანი, მხოლოდ თავდახურული, ლახტები XIV-XV სს-ით თარიღდება.[484] ამავე დროს, ჩვენი ეგზემპლარის მსგავსი, უფრო ადრინდელი, თაღლია, ბრინჯაოს ექვსფრთიანი ლახტის ნიმუში XIII საუკუნისაა.[485] ჩვენი ლახტიც XIII-XIV საუკუნეების უნდა იყოს. მსგავსი ფორმის ექვსფრთიანი მოკლემასრიანი ლახტი, მხოლოდ შედარებით უფრო კუთხოვანი ფრთებით, გამოფენილია მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (სიგრძე – 8.3 სმ, დიამეტრი – 8 სმ).[486] ისიც ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული (სურ. 225ვ). დაბალფრთიანი ლახტების ჯგუფის სხვა რვაფრთიანი ნიმუშებისაგან განსხვავებით, ეს ორივე ექსპონატი ექვსფრთიანია. ფორმითა და საბრძოლო თვისებებით

---

[480] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 774.

[481] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 167. ეგვიპტური (მისრული) ლახტი ნახსენებია „რუსუდანიანშიც": „მისრულსა ლახტსა ხელი წაიკრა..." *რუსუდანიანი*, 44.

[482] დამზადების ტექნოლოგიის, ფრთების ფორმისა და მოპოვების ადგილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.

[483] ორნამენტისა და გაფორმების ტექნიკის მიხედვით.

[484] D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 41, fig. 24.3.

[485] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," figs. 64.a,b; Кулешов, Абызова, "Два предмета мамлюкского вооружения с территории Молдовы как иллюстрация путей формирования золотоордынского комплекса вооружения," 94, рис. 4.

[486] *სვანეთის მუზეუმი*, 43, სურ. 38ბ.

ისინი მაღალფრთიანი ლახტების პოკლემასრიანთა ქვეკატეგორიის ეკუთვნის.

ექსპონატი 2023 (სემ): რვაფრთიანი, სამკუთხა, სქელი ფრთებით, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული (სურ. 225ზ). ეროვნული მუზეუმის ეს ექსპონატი ტიპოლოგიურად და ტექნოლოგიურად ჰგავს XIII-XIV სს-ის ირანულ ლახტისთავებს და მათი შემდგომი განვითარება უნდა იყოს. ამ პერიოდის ირანულ ლახტებს არარეგულარული ოქტაგონის ფორმა აქვს: 4 გამოკვეთილი და 4 რუდიმენტული ფრთა ერთმანეთის მონაცვლეობითაა განლაგებული. ასეთია ნასერ ხალილის კოლექციაში დაცული XIII საუკუნის ბრინჯაოს ორნამენტული ლახტი[487] და XIV საუკუნის დასაწყისის სპილენძის ორნამენტული ლახტი.[488] ეროვნული მუზეუმის ლახტი ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული და უფრო უბრალოა, ვიდრე ზემოხსენებული ირანული ლახტები. აქვს ირანულის მსგავსი მომრგვალებული თავი. ირანული ნიმუშებისაგან განსხვავებით, მისი რვავე ფრთა ჩამოყალიბებულია, რაც ნიშნავს, რომ ის მომდევნო პერიოდში სამხედრო დანიშნულებითაა შექმნილი და ბევრად უფრო პრაქტიკული და ფუნქციურია, ვიდრე მისი დეკორატიული ირანული წინამორბედები. ეს ლახტი საქართველოში უნდა იყოს დამზადებული XIV საუკუნის მეორე ნახევარში.

ექსპონატი 2933 (სემ): ძლიერ დაზიანებული, მომრგვალებული, დამახასიათებელი ფრთებით (სურ. 225თ). ეს ნიმუში ფრთების მოხაზულობით XVI საუკუნის ინდურ ლახტს მოგვაგონებს,[489] თუ ეს შემთხვევითი მსგავსება არ არის, ლახტი XVI-XVII სს-ის უნდა იყოს. მსგავსი ფორმის ფრთები აქვს სვანეთის მუზეუმში დაცულ ლახტისთავს (ექსპონატი 722), რომელიც რვაფრთიანია (სურ. 225ი). აღსანიშნავია, რომ მისი ფრთები ნაკლებ დახვეწილია, რაც ადგილობრივი მინაბაძების შესრულების საწყის სტადიაზე უნდა მიუთითებდეს.

---

[487] David Alexander, *The Arts of War: Arms and Armour of the 7th to 19th Centuries* (Oxford, 1992), 64, fig. 23.

[488] Mohamed, *The Arts of the Muslim Knight*, 248, fig. 237.

[489] Ibid, 253, fig. 243.

სურ. 225
დაბალფრთიანი ლახტები: ა) ექსპონატი 1-40/1 (სემ); ბ) ექსპონატი 3-38/3 (სემ); გ) ექსპონატი 3-38/4 (სემ); დ) ექსპონატი 721 (სიემ); ე) ექსპონატი 2921 (სემ); ვ) ექვსფრთიანი ლახტი (სიემ); ზ) ექსპონატი 2023 (სემ); თ) ექსპონატი 2933 (სემ); ი) ექსპონატი 722 (სიემ). ავტორის ფოტოები.

ცხრილი 3

ლახტი	დაბალფრთიანი ლახტი							
მასრა	გრძელ-მასრიანი	საშუალომასრიანი			მოკლემასრიანი			
№	1-40/1 (სემ)	3-38/3 (სემ)	3-38/4 (სემ)	721 (სიემ)	2023 (სემ)	2921 (სემ)	722 (სიემ)	2933 (სემ)
ფრთების რაოდენობა	12 (აკლია 4)	12 (აკლია 2)	14	8	8	6	8	
თავის დაბოლოება	დახუ-რული	ღია	ღია	ღია	დახუ-რული	ღია	ღია	
საერთო სიგრძე (მმ)		442	517	786				
თავის სიგრძე (რკინის მასრიანად)	466	222	210	283	106	70	125	
ფრთების max. D	72	75	70	78	70	74	51	
ფრთების სიგრძე	75	82	52		52	57		96
ფრთების სიმაღლე	27	26	24		17	27		24
ხვრელის D (ქვედა)	23	23	23	23	24	25	18	
ხვრელის D (ზედა)	X	16	14	23	X	20	15	
წონა (გ)	593	641	746	802	602	530	277	
მასალა	რკინა	თითბერი, ხე, ტყავი	რკინა	რკინა	ჩამოს-ხმული ბრინჯაო	ჩამოს-ხმული ბრინჯაო	რკინა	რკინა
სხვა	ხუთკუთხა ფრთები. ქვემო სვანეთი. 1940 წ. 60 მანეთად შეიძინა მუზეუმმა ა. ონიანი-საგან	მომრგვა-ლებული ჭვირული ფრთები	მომრგვა-ლებული ფრთები შვერი-ლით	მომრგვა-ლებული ფრთები ზედა შვერი-ლით	სამკუთხა სქელი ფრთები	მომრგვა-ლებული ფრთები	მომრგვა-ლებული ფრთები	მომრგვა-ლებული ფრთები

გუჰზი[490]

ფრთიან ლახტთან შედარებით გურზი უფრო იშვიათად გვხვდება საქართველოში. გურზი ხელთ უპყრია ავთანდილს თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ 319-ე მინიატურაზე; ერთხელ გვხვდება H61 „უთრუთიანის“ 47r მინიატურაზეც. გურზი უფრო ხშირია „როსტომიანისა“ (66v, 67v, 70r, 99v, 148r და 168r) და „უთრუთიან-საამიანის“ (ხელნაწერი S1594) მინიატურებზე.

ტიპოლოგიურად გურზს მიეკუთვნება რაჭაში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სამი ლახტისთავი (ომმ-3871/1-3), რომლებიც 1964 წელსაა არქეოლოგიური გათხრის შედეგად მოპოვებული სოფ. გლოლაში მდებარე ბუბის ჯვრის ეკლესიაში[491] (სურ. 226აბგ). ამ გურზებს აქვს რკინისაგან დამზადებული სფეროს ფორმის თავი, რომელიც სამ რიგად შემორტყმულია ოთხ-ოთხი მსხვილი კოპით. ერთ ადგილას მათი ასეთი კონცენტრაცია გვაფიქრებინებს, რომ ისინი ადგილობრივი ლახტის ტიპი უნდა იყოს და მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ *რაჭული გურზი*. შ. ჩართოლანს გამოქვეყნებული აქვს მსგავსი, კოპებით სამრიგად მოცული, ბრინჯაოს გურზი უშგულიდან[492] (სურ. 226დ). თუ ის ნამდვილად ბრინჯაოსია, ასეთი გურზი მომიჯნავე სვანეთში რაჭული ფორმის გავლენით უნდა ჩამოესხათ. სამრიგად განლაგებული ოთხ-ოთხ კოპიანი გურზი დაცულია ეროვნულ მუზეუმშიც (ექსპონატი 2932).[493] გურზი დაზიანებულია, აკლია სამი კოპი (ზედა რიგში – 2, შუაში – 1), რაც მისი კონსტრუქციის თავისებურებას გვიმხელს: ყოველი კოპი ჩარჩილულია წინასწარ გაკეთებულ ოთხკუთხა ღიობში. კოპების სიმაღლეა 16-19 მმ. როგორც ჩანს, გურზი ბრძოლაშია ნამყოფი, რადგან ზოგი კოპი ცემისაგან დეფორმირებულია (სურ. 226ე). ამ ტიპის გურზი გამოფენილია ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაზეც (ექსპონატი 35-35/252), მხოლოდ, რაჭული ნიმუშებისაგან განსხვავებით, ის უფრო მასიურია და ლითონის გრძელი მასრა აქვს, რომელიც ამჟამად დაზიანებულია. ასეთი სახის გურზი აღწერილია როგორც *ეკალბურთა*, რაც კარგად შეესაბამება მის მოყვანილობას. ეს ეგზემპლარი უნდა იყოს რაჭული ეკალბურთას ნაირსახეობა გრძელი მასრითა და მასიური კოპებით (სიმაღლე 16-18 მმ), რომლებიც ღიობებშია ჩარჩილული. ის ორნამენტითაცაა მორთული: გურზის მთელი ზედაპირი (კოპების ჩათვლით) დაფარულია თითბრის წერტილოვანი ინკრუსტაციით (სურ. 226ვ).

ეროვნულ მუზეუმში ინახება სხვადასხვაგვარი, როგორც მარტივი, ისე რთული ფორმის, გურზები. ექსპონატი 44-26/22 ხის ტარზე დაგებული პრიმიტიული მრგვალთავიანი გურზია, რომელიც, ალბათ, რიგით მეომარს ეკუთვნოდა (სურ. 226ზ); ექსპონატი 44-26/16 კი ირანული რკინის გურზია (სურ. 226თ).

---

[490] იხ. ცხრილი 4.

[491] ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძირითადი ფონდის საინვენტარო წიგნი N3, გვ. 147-8.

[492] ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*, ტაბ. XXXI.3.

[493] სამწუხაროდ, მისი წარმომავლობა უცნობია.

მსგავსი ფორმის ორნამენტირებული (ცვარას გარეშე) გურზი ინახება თეირანის სამხედრო მუზეუმში.[494] ხორასანის მიხედვით, ის ზანდების ეპოქას (XVIII ს.) ეკუთვნის.[495] ზუსტად ჩვენნაირი, ვერცხლის ცვარათი მორთული გურზია დაცული პოლონეთში, მალბორკის სასახლის მუზეუმში. ის XVII საუკუნითაა დათარიღებული.[496] ჩვენი ექსპონატიც XVII-XVIII სს. უნდა დათარიღდეს.

არასაბრძოლო გურზია ექსპონატი 44-26/15, რომელიც თითბრისაგანაა დამზადებული და ხის ტარი აქვს (სურ. 226ი). გურზის თავი მორთულია თითბრის 8 დეკორატიული ზოლით, რომელთა ნაწილი დაკარგულია; არ ჩანს თავის გობაკიც. თითბრის დეკორატიული ზოლები ფუძეში ოსმალური ლახტის ფრთების მოხაზულობას იმეორებს.[497] ფრთები ბოლოვდება შვერილით. მასრაზე მოუხეშავად შესრულებული მცენარეული ორნამენტია, რომელიც ირანული სამყურას წაბაძვა უნდა იყოს. სახეზეა საინტერესო ტენდენციების შერწყმა – ირანული ორნამენტისა და ოსმალური ფრთების იმიტაცია, რაც ადგილობრივ პროდუქციაზე მიუთითებს. ასეთი გურზის მაგალითია ცნობილი ალი ფაშა ტეპელინელის (იანინა, 1740-1822) მოვერცხლილი *ტოპუზი* (ლახტი).[498] ჩვენი გურზის დეკორატიული ზოლები უფრო რთული ფორმისაა. ოსმალურ ტოპუზს ტიტები ამშვენებს, ჩვენსას კი – ადგილობრივი და ირანში გავრცელებული სტილიზებული სამყურა. ალი ფაშას ლახტის ხის ტარს ლითონის ბოლო აქვს, ჩვენის ტარი კი მთლიანად ხისაა.

კიდევ ერთი არასაბრძოლო გურზი ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაზეა წარმოდგენილი (ექსპონატი 4878, 1065): ხის ტარზე ორნამენტით უხვად მორთული მოოქრული სპილენძის თავი არის დაგებული; ტარის ბოლოც ორნამენტით დაფარული მოოქრული სპილენძისაა. გურზის თავიც და ტარის ბოლოც ვარდულით არის გამშვენებული. ტარზე გადაკრულია შავად შეღებილი ქსოვილი, რომელიც შეერთების ადგილას დაფარულია ორნამენტული ვერცხლმკედით. (სურ. 226კ)

---

[494] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 255, cat. 340.

[495] იქვე, 255.

[496] Antoni R. Chodynski, "Catalogue," in *Persian and Indo-Persian Arms and Armour of 16th-19th Century from Polish Collection*, catalogue exhibition ed. by Antoni Romuald Chodynski (Malbork, 2000), 183, fig. 218.

[497] ასეთი ფორმის ფრთები ირანულ-ინდურ ლახტებზეც შეინიშნება, რაც ოსმალეთიდან ინდოეთამდე გავრცელებულ ტრადიციაზე მეტყველებს.

[498] Robert Elgood, *The Arms of Greece and Her Balkan Neighbors in the Ottoman Period* (New York, 2009), 223, fig. 282.



სურ. 226

გურზი: ა) ექსპონატი ომმ-3871/1; ბ) ექსპონატი ომმ-3871/2; გ) ექსპონატი ომმ-3871/3; დ) ბრინჯაოს გურზი უშგულიდან. ჩართოლანის მიხედვით; ე) ექსპონატი 2932 (სემ); ვ) ექსპონატი 35-35/252 (სემ); ზ) ექსპონატი 44-26/22 (სემ); თ) ექსპონატი 44-26/16 (სემ); ი) ექსპონატი 44-26/15 (სემ); კ) ექსპონატი 4878; 1065 (სემ). ავტორის ფოტოები.

ცხრილი 4

ლახტი	გურზი									
№	44-26/22 (სემ)	44-26/16 (სემ)	10-27/107 (სემ)	44-26/15 (სემ)	4878; 1065 (სემ)	ომმ-3871/1	ომმ-3871/2	ომმ-3871/3	2932 (სემ)	35-35/252 (სემ)
თავის დაბოლოება	დახუ-რული	კონუსი	დახუ-რული	დახუ-რული	დახუ-რული	ღია	ღია	ღია	ღია	ღია
საერთო სიგრძე (მმ)	570	700	733 + ხის ტარი	528	632					
თავის სიგრძე (რკინის მასრიანად)	80	116	126	168	252	50	61	52	49	190
თავის max. D	71	39	49	65	73	55/75 (კოპებით)	60/86 (კოპებით)	57/66 (კოპებით)	67/86 (კოპებით)	70/88 (კოპებით)
ხვრელის D (ქვედა)	21	X		22	21	27	28	28	30	32
ხვრელის D (ზედა)	X	X	X	X	X	20	25	27	26	30
ნონა (გ)	461	1128	1512	490	551	245	267	225	467	271
მასალა	რკინა, ხე	მთლიანი რკინის	რკინა, ხე	თით-ბერი, ხე	სპი-ლენძი, ხე	რკინა	რკინა	რკინა	რკინა	რკინა, თითბერი
სხვა	პრიმი-ტიული მრგვალ-თავიანი გურზი	ტარზე ცალ- და ორმაგრ-კალოვანი ორნამენტი; თავზე – რომბი-სებურიც. ვერცხლის მსხვილი ცვარი თავზე	მასრაზე ბოლოში 1 სამანჭველე ნახვრეტი და ხის ნაშთი. მასრის ზედა ნაწილში 2 სამანჭველე ნახვრეტი თავის გასამაგ-რებლად	ხის ტარზე მან-ჭვალი გამჭოლ ნახვ-რეტში	ხის ტარზე გამჭოლი სამან-ჭველე ნახვ-რეტი	რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია	რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია	რაჭა, ბუბის ჯვრის ეკლესია		



სურ. 227
ორხელა ლახტები: ა) ჯრუჭის II ოთხთავის 116r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) წმინდანები ორხელა გურზებით ლანჩვანის საკურთხეველისწინა ჯვარზე. ჩუბინაშვილის მიხედვით; გ) ექსპონატი 10-27/107 (სემ). ავტორის ფოტო.

ორხელა ლახტი

თუმცა იშვიათად, მაგრამ საქართველოში გვხვდება ორხელა ლახტებიც. არაბული *'amūd* რკინის გრძელსა და მსხვილ კვერთხს ნიშნავს. მის ყველაზე გრძელ ფორმას *al-mustawfi* ეწოდებოდა, რომლის სიგრძეც 1 მეტრზე მეტი იყო. ასეთი გრძელი ლახტები აბასიანთა სახელმწიფოში იშვა IX საუკუნეში და მას მმართველის რჩეული მხლებლები ატარებდნენ. დიდი ზომის გამო მისი დარტყმა მომაკვდინებელი იყო, თუმცა, ჩვეულებრივ ლახტთან შედარებით, უფრო მოუქნელი სახმარი იყო.[499]

ჯრუჭის II ოთხთავის 116r მინიატურაზე გამოსახულია ქვეითი მებრძოლი გრძელი ლახტით, რომელიც ხის[500] ტარზეა დაგებული (სურ. 227ა). XII საუკუნის ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვარზე გამოსახულ ორ წმინდა მეომარს ხელთ დიდი, ორხელა გურზები უპყრიათ[501] (სურ. 227ბ). ლანჩვანის ჯვარზე გამოსახულ გურზებს წააგავს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული გურზი (ექსპონატი 10-27/107) ოქტაგონური თავით (სურ. 227გ). მისი ლითონის ნაწილის სიგრძე 73.3 სმ-ია, რაც ნიშნავს, რომ ხის ტართან ერთად ის მეტრზე მეტი სიგრძის იქნებოდა და მოსახმარად ორ ხელს საჭიროებდა.

---

[499] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 152-3.

[500] ფერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ.

[501] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, рис. 470. რიგი ადრეული ნიშნების მიუხედავად, ეს ჯვარი XII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. იქვე, 524-5.

ზოომორფული ლახტი

ზოომორფული ანუ ცხოველისგამოსახულებიანი ლახტი ტიპოლოგიურად უფრთო, გურზის ტიპის იარაღია. მისი წარმოშობა ირანულ სამყაროს უკავშირდება. აგრეთვე, აქ საქმე გვაქვს უძველეს ტრადიციასთან. მაგიური გზით გადაეცათ იარაღისათვის ცხოველის ძალა.[502] ძროხისთავიანი ლახტის გამოსახულებები გვიანსასანური პერიოდიდან არსებობს, რაც ნიშნავს, რომ ასეთი ლახტი ძველი ირანული ტრადიციაა, რომელიც ისლამურ ეპოქაშიც გაგრძელდა.[503] ისლამურმა კულტურამ გაითავისა ლეგენდარული გმირის რუსტამის (როსტომის) სახე და მისი იარაღის (ვეფხის ტყავის მუზარადი, ძროხისთავიანი ლახტი) იმიტირებასაც ხშირად მიმართავდნენ. „შაჰნამეს" მიხედვით, არიმანმა (ბნელეთის ღმერთმა) მოკლა გმირი ბაჰრამის გამზრდელი ძროხა, რომლის პატივსაცემადაც მჭედელმა კავადმა ძროხისთავიანი ლახტი გამოჭედა. მისი ყველაზე ცნობილი მფლობელი რუსტამი გახლდათ. ბოროტისა და კეთილის გადამწყვეტ ბრძოლაში ამ ლახტს ბნელეთის ძალები უნდა შეემუსრა.[504]

ზოომორფული ლახტები, როგორც წესი, წინამძღოლთათვის იყო განკუთვნილი.[505] ცნობილია, რომ ასეთ ლახტს ფლობდა სულთანი მასუდ I ღაზნელი (1030-40).[506] დღემდე მოაღწია ღაზნელთა და სელჩუკთა პერიოდების სხვადასხვა ცხოველისთავიანმა ლახტებმა.[507]

ირანის გავლენის გაძლიერებასთან ერთად, როგორც ჩანს, ზოომორფული ლახტები საქართველოშიც ჩნდება. ყოველ შემთხვევაში, მათ აღწერას უკვე ვხვდებით XVI-XVII სს. ქართულ ლიტერატურაში. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი „ომაინიანში" სპილოსთავიან ლახტს ახსენებს: **„სპილოსა სახე ლახტი** წელთა ერჭვა".[508] ეპიკური მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლით „რუსუდანიანში" აღწერილია სხვადასხვა ცხოველისსახიანი ზოომორფული ლახტები: „ყველას სხვას იარაღს გარეთ ოროლი ლახტი ეჭირათ: თითო წელში ერჭოთ, თვითო ხელთ ეჭირათ დიდროვანი მურასა ოქროს ლახტი, სხვადასხვარიგი. ზოგი კაცის თავის სახე იყო, ზოგი დევისა, ზოგი სპილოსი, ზოგი აქლემისა, ცხენისა, ლომისა, ვეფხისა და, რაც ნადირია ანუ პირუტყვი, ანუ ფრინველი, რაც სულიერია

---

[502] A.C. Суразаков. "О некоторых связанных с оружием образах пазырыкского искусства," *Военное дело древнего населения Северной Азии* (Новосибирск, 1987), 58.

[503] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 260; A. L. Kubik, "About One Group of Iranian Maces in the Context of the New Find from Sivas, Turkey: An Analysis from the Sasanian to the Safavid Period," *Метаморфозы истории*, 5 (2014), 160-1, 168-9.

[504] Alexander, "Jihad and Islamic Arms and Armour," 215.

[505] Nicolle, *Saracen Faris*, 25.

[506] Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 134.

[507] Mohamed, *The Arts of the Muslim Knight*, 235-6, fig. 225-30.

[508] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 167.

მფშვინავი ანუ ზღვაში, ანუ ხმელზე, – თითო-თითო ყველასი იყო“.[509]

დმანისში აღმოჩენილ ლითონის ნივთს კატისებური ცხოველის თავის გამოსახულებით ს. მარგიშვილი ზოომორფული ლახტის თავად მიიჩნევს და მას სელჩუკებთან ომის დროს მოპოვებულ სამხედრო ნადავლად თვლის.[510] XII-XIII სს. დმანისის ნაქალაქარზე მოპოვებული ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ეს ნივთი საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული (ექსპონატი დმ-1658). მისი სიმაღლეა 6 სმ, ძირის სიგანე – 4 სმ (სურ. 228). როგორც ჩანს, მკვლევარი ამ ნივთზე მხოლოდ გამოსახულებით მსჯელობდა: სხვაგვარად შეუძლებელია ავხსნათ ის გარემოება, რომ ასეთი მცირე ზომის ნივთი საბრძოლო იარაღადაა გამოცხადებული. რა თქმა უნდა, ის ლახტის თავი არ გახლავთ და ტიპური ისლამური სასაკმევლის ნაწილი, კერძოდ კი, მისი თავია.[511]

სურ. 228
ისლამური სასაკმევლის თავი (ექსპონატი დმ-1658). საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ლახტით ფარვა

გარდა ტრადიციული მეთოდებისა, ლახტს ბრძოლაში სხვაგვარადაც იყენებდნენ. „ამირანდარეჯანიანის“ გვიანდელ დამატებაში, ორთაბრძოლის ერთ ეპიზოდში, ლახტით თავის დაცვის ხერხია აღწერილი: „ხმალმოწვდილმან მიმართა და თავსა მოუქნია ბალხამ ყამისძემ. **გურზი თავსა იფარა** ამირან დარეჯანიძემან, ხმალი დაიბრუნა და გვერდსა დასაძგერებლად მიუტანა ბალხამ ყამისძემან, **გურზი თავისაგან მოიშალა და გვერდსა დაიფარა** კვალად ამირან დარეჯანიძემან“.[512] როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი ფალავანი (ამირან დარეჯანისძე) ორთაბრძოლაში გურზს იყენებს მეტოქის ხმლის მოსაგერიებლად. ლახტის გამოყენების ასეთი დახვეწილი ტექნიკა XVI-XVII საუკუნეების პირმშო უნდა იყოს.

---

[509] *რუსუდანიანი*, 305.

[510] „ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში დაცულია დმანისში მოპოვებული შესანიშნავი ეგზემპლარი, რომელიც ე.წ. ზოომორფული ლახტისთავების ტიპს მიეკუთვნება და პანტერას მსგავსი ცხოველის თავის გამოსახულებას წარმოადგენს“. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 189, 331, ტაბ. III.3.

[511] ლომისა და ფოცხვერისთავიანი ისლამური სასაკმევლისა და მისი ფორმის შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს. იხ. Maurice S. Dimand, "A Persian Incense Burner of the Twelfth Century," *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, vol. 32, no. 6 (1937), 152-4; Id., "A Saljuk Incense Burner," *The Metropolitan Museum of Art Bulletin*, vol. 10, no. 5 (1952), 150-3; Dorothy G. Shepherd, "A Lion Incense Burner of the Seljuk Period," *The Bulletin of the Cleveland Museum of Art*, vol. 44, no. 6 (1957), 115-8; Nasser D. Khalili, "A Recently Acquired Incense Burner in the Khalili Collection," *Muqarnas*, 21 (2004), 215-8. შეცდომას უშვებს ლ. მუსხელიშვილიც, რომელიც ამავე ნივთს „ჯოხზე ჩამოსაცმელად“ და „პატივის აღმნიშვნელად“ მიიჩნევს. ლ. მუსხელიშვილი, „დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა)“, *შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა*, რედ. ივ. ჯავახიშვილი (თბილისი, 1938), 445.

[512] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 687.

ლახტის სხოლა

დარტყმის გარდა, ლახტი ბრძოლაში სასროლ იარაღადაც გამოიყენებოდა.[513] სროლისათვის, ძირითადად, მრგვალთავიანი და დაბალფრთიანი ლახტები იყო განკუთვნილი.[514] დიდი ზომის მაღალფრთიანი ლახტები, ცუდი აეროდინამიკური თვისებების გამო, ამ მიზნისათვის არ გამოდგებოდა.

ლახტის გამოყენების ეს ხერხი საქართველოშიც იყო ცნობილი. „რუსუდანიანში" მრავალგზის გვხვდება ეპიზოდები, სადაც ლახტის სროლაა აღწერილი: „ლახტი ესროლა, ჰკრა თავსა, ნახევარი თავი, ყბა-ყური თან ჩამოატანა";[515] „შესტყორცა მისი მძიმე ლახტი";[516] „ლახტი შემოსტყორცნა მისრისეული";[517] „პირველსავე მისვლასა ლახტი შემოსტყორცა";[518] „მისვლასავე... შესტყორცა მისრისეული ლახტი";[519] „მერმე დევმან შემოსტყორცნა მისი მძიმე გურზი";[520] „შესტყორცა ლახტი".[521] საყურადღებოა, რომ თითქმის ყველა ამ ეპიზოდში ბრძოლა ლახტის სროლით იწყება. როგორც ჩანს, ლახტის სროლას ბრძოლის საწყის ფაზაში, ხელჩართულში შესვლამდე მიმართავდნენ, როდესაც ნატყორცნს მოულოდნელობის ეფექტიც შეიძლება ჰქონოდა.

ლახტის ტარება

შუა საუკუნეების მებრძოლი ლახტს სხეულზე ირგებდა ან ცხენზე ამაგრებდა. X საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე II ფოკა (963-69) ტრაქტატში *Praecepta militaria* მხედრების (კატაფრაქტების) მიერ ლახტის ტარების ორივე მეთოდს – ქამარში ან უნაგირზე – ასახელებს.[522] ლახტს ცხენის უნაგირზე მარჯვნივ, მხედრის მუხლთან ახლოს ამაგრებდნენ.[523] ასე დამაგრებული ლახტია გამოსახული 1384-96 წწ. წალენჯიხის წმ. გიორგის ფრესკაზე (სურ. 229ა). თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფრესკის ავტორი ბერძენი მანუელ ევგენიკოსია და, შესაძლოა, ის უფრო ბიზანტიაში არსებულ პრაქტიკას გადმოგვცემს, ვიდრე ქა-

---

[513] ლახტის სასროლად გამოყენების შესახებ იხ. Arkadiusz Michalak, "A 14th Century Hungarian Knobbed Mace Head from the *Birów Mountain* in Podzamcze," in the Polish Jura Chain in *Cum Arma Per Aeva: Uzbrojenie indywidualne na przestrzeni dziejów*, eds. P. Kucypera, P. Pudlo (Toruń, 2010), 184-6. ლახტის, როგორც სასროლი იარაღის შესახებ ბიზანტიურ ტრაქტატებსა და სამხედრო საქმეში იხ. D'Amato, "Σιδηροράβδιον, βαρδούκιον, ματζούκιον, κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 13-6, 29, 32.

[514] ექსპერიმენტის შედეგები, რომლის დროსაც ლახტი სასროლად გამოიყენეს, იხ. Michalak, "A 14th Century Hungarian Knobbed Mace Head," 185-6, n. 14.

[515] *რუსუდანიანი*, 44.

[516] იქვე, 57.

[517] იქვე, 98.

[518] იქვე, 127.

[519] იქვე, 132.

[520] იქვე, 133.

[521] იქვე, 179.

[522] Никифор II Фока, *Стратегика*, 24.

[523] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 155.

რთულს, როგორც ამას ფიქრობს რ. დ'ამატო.[524]

ზოგიერთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ[525] უნდა ითქვას, რომ ქართველები ლახტს, ძირითადად, არა ცხენზე დამაგრებულს, არამედ სხეულზე – წელზე შემორტყმულ ქამარში „ჩაპყრობილს" ატარებდნენ, რაზეც ცხადად მეტყველებს როგორც წყაროების ცნობები, ასევე მხატვრული გამოსახულებები. „ამირანდარეჯანიანი" მოგვითხრობს: „ლახტები წელში **ჩაიპყრეს**";[526] „ლახტი წელში **ჩაირჭვა**".[527] მას მხარს უბამს „რუსუდანიანიც": „ლახტი წელად **გაიყარა**";[528] „ლახტი წელში **ერჭო**";[529] „ლახტი **ჩაიპყრა**";[530] „ლახტი წელში **ჩაირჭვა**".[531] იგივე სურათია „შაჰნავაზიანსა" („შეჭურვილია რკინითა, ლახტი აქუს წელთ **ჩარჭობილი**")[532] და „ომაინიანში" („სარტყელსა **ჩაპყრობილი** მისრული თორმეტ ფრთიანი ლახტი გამოიძრო").[533]

სურ. 229
ლახტის ტარება: ა) წმ. გიორგი ცხენზე დამაგრებული ლახტით წალენჯიხის ფრესკაზე; ბ) გოლიათი ქამარში ჩაპყრობილი ლახტით. H1665 დავითნის 230r მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დ. ნიკოლი თვლის, რომ ლახტს წელის მარჯვენა მხარეს ატარებდნენ, რაც, უდავოდ, მოსახერხებელი და ლოგიკურია.[534] ამავე დროს, H1665 დავითნის 230r და 230v მინიატურებზე გოლიათს ლახტი მარცხენა მხარეს აქვს ჩაპყრობილი (სურ. 229ბ). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შემთხვევა განპირობებულია კომპოზიციის თავისებურებითა და მხატვრის სურვილით, მაქსიმალურად ეჩვენებინა გოლიათის აღჭურვილობა. წესით, მარცხენა მხარეს ხმალთან ერთად ლახტის ჩამაგრება საკმაოდ მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო. სარტყელში მარჯვენა მხარეს აქვს ლახტი ჩაპყრობილი თავაქარაშვილისეულ ავთანდილსა და კასტელისეულ ვახტანგ გურიელს.

---

[524] D'Amato, "Σιδηροράβδιον. βαρδούκιον. ματζούκιον. κορύνη: The War-Mace of Byzantium, 9th-15th c. AD," 31-2.

[525] ს. მარგიშვილი მიიჩნევდა, რომ „მეომრები მას ძირითადად არა სხეულზე, არამედ ცხენის აკაზმულობაზე დამაგრებულს ატარებდნენ". მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 188. მკვლევარი ასევე ცდება, როდესაც თვლის, რომ საქართველოში „გამოსახულებებზე არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს ლახტის მსგავსი იარაღი". იქვე, 188.

[526] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 737.

[527] იქვე, 774.

[528] *რუსუდანიანი*, 56.

[529] იქვე, 284.

[530] იქვე, 286.

[531] იქვე, 427.

[532] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 182.

[533] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 167.

[534] Nicolle, *Early Medieval Islamic Arms and Armour*, 134.

სურ. 230
ხის ლახტი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ლახტი როგორც ძალაუფლების ნიშანი

შუა საუკუნეებში ლახტს, იარაღის გარდა, ძალაუფლების სიმბოლოს ფუნქციაც ჰქონდა.[535] საკრალურ მიზეზებთან ერთად, იარაღის ასეთი სტატუსი იმითაც იყო განპირობებული, რომ რკინის მძიმეთავიანი ლახტის დამზადებას, რომ არაფერი ვთქვათ მის მორთულობაზე, საკმაო ოდენობის ლითონი სჭირდებოდა, რისი შესაძლებლობაც ყველას არ ჰქონდა.[536] ძალაუფლების ნიშნად გამოყენებისას, ჩვეულებრივი იარაღისაგან გამოსარჩევად, ლახტს საგანგებო მორთულობა ამშვენებდა. ზოგიერთი დეკორატიულად მორთული ლახტი ისეთი მძლავრი იყო, რომ მას ბრძოლაშიც იყენებდნენ. ასეთი ლახტები სამხედრო მეთაურების კუთვნილება უნდა ყოფილიყო.[537]

ეს ორგვარი დანიშნულება – იარაღისა და ძალაუფლების ნიშნის – აღმოსავლეთის წაბაძვით ლახტმა საქართველოშიც შეიძინა. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების სვანეთში ლახტი მახვშის ხელში ძალაუფლების ნიშანი (ინსიგნია) გახლდათ ლაშქრობასა და სახალხო კრებაზე.[538] მესტიის მუზეუმში გამოფენილია შეღებილი ხის ლახტიც, რომლის ფორმა, ზომა (სიგრძე – 44 სმ) თუ ფრთების მოყვანილობა ლითონის ლახტის სრული იმიტაციაა (სურ. 230). ასეთ ლახტს სარიტუალო ან ცერემონიული ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ძალაუფლების ნიშანია ეროვნული მუზეუმის ზემოაღწერილი ექსპონატებიც – გურზები (44-26/15 და 4878; 1065) და მრავალფრთიანი ლახტი (3-38/3). სამივე არასაბრძოლო ეგზემპლარია და მფლობელის სტატუსს უსვამდა ხაზს.

წერილობითი წყაროების, იკონოგრაფიული მასალისა და სამუზეუმო ექსპონატების განხილვა გვარწმუნებს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში საბრძოლო ლახტების მრავალფეროვანი ნიმუშები გამოიყენებოდა: ნაწილი ადგილობრივად დამზადებული ნამუშევარი იყო, ნაწილი კი – უცხოური მინაბაძი. მათთან ერთად ქართველი მებრძოლი მეზობელი ქვეყნების (ბიზანტიურ-მონღოლურ თუ ირანულ-ოსმალურ) ლახტებსაც იყენებდა.

---

[535] North, *An Introduction to Islamic Arms*, 40; Kobylinski, "Persian and Indo-Persian Arms," 66; Paul, *Arms and Armour: Traditional Weapons of India*, 92. ლახტი რეგალიის სახით ჯერ კიდევ ძვ.წ. III ათასწლეულის ეგვიპტესა და შუამდინარეთში გამოიყენებოდა. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 50.

[536] Al-Sarraf, "Close Combat Weapons in the Early Abbasid Period: Maces, Axes and Swords," 155-6.

[537] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 253.

[538] ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*, 50; ჩართოლანი, ხვისტანი, ცინდელიანი, „ჰეშკილდის წმინდა გიორგი", 88. გ. ჩიტაია მიიჩნევს, რომ სვანური სახელისუფლებო ლახტები ადგილზე უნდა იყოს დამზადებული. გ. ჩიტაია, „სამი ინსიგნია (წარჩინების ნიშანი) ამიერკავკასიიდან", *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XVI-XVII (1972), 52-3.

კომბინირებული იარაღი

კომბინირებული ეწოდება იარაღს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ორი სხვადასხვა ტიპის იარაღის კონსტრუქციულ ელემენტებს.[539] ქართულ სინამდვილეში ასეთი იყო ჩაქუჩის კომბინაცია სხვადასხვა ტიპის იარაღთან (ნაჯახთან, წერაქვთან) ან, სულაც, ისეთი იშვიათი შეთანხმება, როგორიცაა ლახტის ფრთები ცულის პირთან.

საბრძოლო ჩაქუჩი (ჩუგლუგი)

საბრძოლო ჩაქუჩი მეტად პოპულარული იყო ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში XVI-XVIII ს. პირველ ნახევარში. ამ იარაღს დიდი ხნის ისტორია აქვს: ის გვხვდება ძვ.წ. VI ს. სკვითურ შეიარაღებაში, ადრე შუასაუკუნეებში გავრცელებულია კავკასიასა და ვოლგისპირეთში, X-XI საუკუნეებში კი უკვე ევროპაშიც აღწევს.[540] იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის საბრძოლო თავი არის გამოყენებული ამ იარაღის ჩაქუჩისებურ თავთან კომბინაციაში, სხვადასხვა ტიპის საბრძოლო ჩაქუჩს განარჩევენ: ნაჯახისებურს (ე.წ. „ჩეკანი“)[541] ან წერაქვისებურს (ე.წ. „კლევეცი“).[542] საბრძოლო ჩაქუჩის ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპი „კლევეცი“ იყო, რომლის საბრძოლო ნაწილი წერაქვის ფორმის ვიწრო, წაგრძელებული და სწორი ან ქვემოთკენ დახრილი წვერია.[543]

სურ. 231
ჩუგლუგი. „ამირანდარეჯანიანი“. H384 მანუსკრიპტი. 2r მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

„კლევეცის“ შესაბამის ქართულ იარაღს *ჩუგლუგი* ეწოდება. საბას მიხედვით, *ჩუგლუგი* მცირე წერაქვია, „ხელთ საპყრობი საომრად“.[544] ჩუგლუგი ტარზე დაგებული იარაღია, რომლის ერთი ბოლო ბლაგვი, ჩაქუჩისებური იყო, მეორე კი – წვეტიანი, წერაქვის ფორმის. ის მრავალფუნქციური იარაღი იყო, რომელსაც დასარტყამთან ერთად, აბჯრის გამტანი თვისებებიც ჰქონდა. ჩაქუჩის თავით მოწინააღმდეგის დარეტიანება შეიძლებოდა; ასევე, ის აწონასწორებდა მეორე (წერაქვისებურ) თავს და ზუსტ დარტყმას განაპირობებდა.[545] პატარა ზომის ჩუგლუგს დიდი გამტანი ძალა ჰქონდა და მძიმედ შეჭურვილი მოწინააღმდეგის აბჯრის გასახვრეტად გამოიყენებოდა. ჩუგლუგი საქართველოში პოპულარული ხდება გვიან შუასაუკუნეებში, აბჯრის გაძლიერების კვალდაკვალ. ჩუგლუგს ცხენოსანი მოხერხებულად ხმარობდა და

---

[539] Кулинский, *Атрибуция и описание холодного и некоторых видов ручного метательного оружия и штыков*, 15.

[540] В.Г. Шлайфер, А.И. Коробов, "Разновидности боевых молотов – чекан, клевец (наджак), обух." *История Оружия*, 5-6 (2012), 77, 79.

[541] სლავურ ენებში *чекан* თურქული სიტყვიდან *çaqan* შესული ჩანს. Golden, "The Nomadic Linguistic Impact on Pre-Činggisid Rus' and Georgia," 75-6.

[542] დახრილი წვერის გამო ის ფრინველის ნისკარტს (клюв) წააგავდა. Аствацатурян, *Турецкое оружие*, 188.

[543] Mieczyslaw Paszkiewicz, "Polish War Hammers: Czekan, Nadziak, Obuch," *The Journal of the Arms and Armour Society*, vol 8, no. 3 (1975), 225.

[544] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 323, 371.

[545] Шлайфер, Коробов, "Разновидности боевых молотов – чекан, клевец (наджак), обух," 79-80.

სურ. 232
საბრძოლო ჩაქუჩი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ის გვხვდება ვახუშტი ბატონიშვილის იარაღის ჩამონათვალში.[546] ჩუგლუგი გამოსახულია 1824 წელს გადაწერილი „ამირანდარეჯანიანისათვის“ (H384 მანუსკრიპტი) დართულ საჭურვლის ნუსხაზე (2r მინიატურა). (სურ. 231)

საბრძოლო ჩაქუჩი გამოფენილია მესტიის მუზეუმის ექსპოზიციაზეც. მისი ერთი ბოლო მრგვალთავიანი ჩაქუჩია, მეორე ბოლო კი ცულის პირია (სურ. 232). ეს ექსპონატი *ჩეკანის* ტიპის იარაღს მიეკუთვნება. ჩეკანის ერთი ბოლო მოკლე, ვიწრო პირიანი ცული იყო, მეორე კი ჩაქუჩი. ჩეკანს ჯერ კიდევ სკვითები იყენებდნენ, ადრეშუასაუკუნეებში ის გვხვდება კავკასიაში, შუა ვოლგისპირეთში. VIII-IX სს. მოყოლებული, მისი გავრცელების არეალი თანდათან დასავლეთისაკენ ინაცვლებს და X-XI საუკუნეებში უკვე ევროპაშიც გვხვდება. ის შედიოდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი კავალერიის შეიარაღებაში.[547]

ცულისპირიანი ლახტი

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია მეტად საინტერესო იარაღი, რომელიც ძნელია ვიწრო, განსაზღვრულ ჩარჩოებში მოათავსო და რომელიმე კლასს მიაკუთვნო (სურ. 233). ექსპონატი 35-35/253 რკინისაგან დამზადებული რვაფრთიანი ლახტია, რომლის ერთ-ერთი ფრთაც ცულის პირით არის დაგრძელებული. თავის სიგრძე 87 სმ-ია, დიამეტრი – 58 სმ, ფრთის სიგრძე – 4.5 სმ, ფრთის სიმაღლე – 1.5 სმ, ბოლომოტეხილი ცულის პირის ზომებია 8.5X4.5 სმ, სატარე ხვრელის დიამეტრი: ზედა – 23 სმ, ქვედა – 26 სმ; წონა – 460 გ. როგორც ვხედავთ, ეს იარაღი ლახტისა და ცულის კომბინაციაა, რაც მეტად იშვიათი შეთანხმებაა და სხვაგან, პირადად, არც შემხვედრია. ბრძოლისას მფლობელს იოლად შეეძლო გამოეყენებინა როგორც ცულის პირი, ისე ლახტის თავიც.



სურ. 233
ცულისპირიანი ლახტი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

[546] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 18.
[547] Шлайфер, Коробов, “Разновидности боевых молотов – чекан, клевец (наджак), обух,” 79.

დისტანციური ბრძოლის იარაღი

მშვილდი

მშვილდი დისტანციური ბრძოლის სასროლი იარაღის კატეგორიას მიეკუთვნება. ის შედგება ხისა და საბელისაგან. ხე მშვილდის მუშა ნაწილია, რომელზეც საბელი ებმება; საბელი (ლარი) კი მშვილდის მზიდი ნაწილია, რომელიც ისარს აჩქარებას ანიჭებს. ზურგი ეწოდება მშვილდის მიზნისაკენ მიქცეული მხარეს, მუცელი კი მშვილდის ლარისაკენ მიქცეული მხარეა. სახელური არის მშვილდის შუა ნაწილში ხელის მოსაკიდი ადგილი. მხარი (გოზა)[548] მშვილდის დრეკადი ნაწილია, რომელიც მოზიდვისას ზამბარის როლს ასრულებს. მშვილდის ბოლო ეწოდება ნაწილს, რომელსაც საბელი ემაგრება. მშვილდის კილო – თაღოვანი ან სამკუთხა ჭრილია ბოლოზე, სადაც საბელის მარყუჟი მაგრდება.[549] (სურ. 234)

მშვილდი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: *მარტივი*, მხოლოდ ხისაგან გაკეთებული მშვილდი,[550] *გაძლიერებული* – ზურგზე დაწებებული მყესებით და *კომპოზიტური (შედგენილი)*, რომელიც რქის, ხისა და მყესებისაგან იყო შედგენილი. უმთავრესად, გავრცელებული იყო მარტივი და კომპოზიტური მშვილდები.[551]

თავისი არსით, მშვილდი დრეკადი რკალია, რომლის ორი ბოლო საბელითაა მოჭიმული. მოზიდვისას მშვილდი მხრებში აგროვებს პოტენციურ ენერგიას, რომელიც გადაეცემა ისარს და გატყორცნის მას.[552] კომპოზიტური მშვილდის ხის სხეულზე გარედან (ზურგზე) მყესებს აწებებდნენ, შიდა, მშვილდოსნისკენ მოქცეულ მხარეზე (მუცელზე) კი რქოვანი ფირფიტები მაგრდებოდა.[553] კომპოზიტურ მშვილდს ბერძნული Σ ან რუსული М ფორმა აქვს: ის შუა ნაწილში საბელისკენაა შეწეული, მხრები კი ამოზნექილი აქვს.[554]



სურ. 234
მშვილდი: ა) სახელური, ბ) გოზა, გ) ბოლო, დ) კილო, ე) საბელი, ვ) მარყუჟი, ზ) ზურგი, თ) მუცელი.

---

[548] „გოზა – მშვილდის (მ)წ(ვ)ერვალი; მშვილდის რქა". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 165. გოზა წარმოდგება სპარსული სიტყვიდან *ghuse*. Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 302.

[549] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 66; А.Ф. Медведев, "Ручное метательное оружие: лук и стрелы, самострел, VIII-XIV вв.," *Археология СССР* (Москва, 1966), 10.

[550] მარტივი ტიპის იყო სახელგანთქმული ინგლისური მშვილდიც.

[551] R. Miller, E. McEwen, and C. Bergman, "Experimental Approaches to Ancient near Eastern Archery," *World Archaeology*, vol. 18, no. 2 (1986), 179-80.

[552] Edward McEwen, Robert L. Miller, and Christopher A. Bergman, "Early Bow Design and Construction," *Scientific American*, 6 (1991), 76.

[553] Медведев, "Ручное метательное оружие," 13; McEwen, Miller, Bergman, "Early Bow Design and Construction," 80. ფირფიტის ქვედა ზედაპირი დაღარული იყო, რომ უფრო მკვიდრად მიწებებოდა მშვილდის ხის სხეულს. Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен*, 87.

[554] Медведев, "Ручное метательное оружие," 8; А.П. Окладников, Ю.С. Худяков, "Образ воина на писаницах Монголии," *Военное дело древних племен Сибири и Центральной Азии* (Новосибирск, 1981), 25. კომპოზიტური სკვითური მშვილდის ფორმას სტრაბონი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს მოხაზულობასაც ადარებდა. Brzezinski, Mielczarek, *The Sarmatians*, 36. როგორც ჩანს, ეს შედარება საკმაოდ გავრცელებული იყო ანტიკური ხანის მწერლებში: სტრაბონის გარდა შავი ზღვის სანაპიროს

კომპოზიტური მშვილდის ბოლოები გარეთ, მიზნისაკენაა მოხრილი, რაც მშვილდის ზურგზე დაკრული მყესების ზემოქმედებითაა გამოწვეული. გადაცმული საბელის მოხსნის შემდეგ კომპოზიტური მშვილდი ისევ საწინააღმდეგო მხარეს იხრებოდა.[555] ამიტომ, საბელგადაცმული მშვილდის მხრები ძლიერ დაჭიმულია და მოზიდვამდეც დიდ ენერგიას ინახავს.[556] კომპოზიტურ მშვილდს მრავალი უპირატესობა გააჩნია მარტივთან შედარებით: მისი ტარება შეიძლება გადაცმული საბელით, საბრძოლო თვისებების დაკარგვის გარეშე; მას აქვს დიდი შეფარდება მოზიდვის სიგრძისა მშვილდის სიგრძესთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. კომპოზიტური მშვილდის ზურგის მყესებზე, რომლებიც ოთხჯერ უფრო გამძლეა ხესთან შედარებით, გაჭიმვის ძალა მოქმედებს, მუცლის რქოვან ფირფიტებზე კი, რომელთა გამძლეობა ორჯერ მეტია ხისაზე, – კუმშვის. რქის ფირფიტები დრეკადია და ადვილად იბრუნებს საწყის ფორმას. ამ მასალათა მოქნილობის ხარჯზე მშვილდის შედარებით მოკლე მხრები დიდ ენერგიას აგროვებს მოზიდვისას. მშვილდის წინგადახრილი ბოლო ქმნიდა ე.წ. „გორგოლაჭის" ეფექტს, როდესაც მოზიდვისას საბელი გადმოიხვევა „დატრიალებული გორგოლაჭიდან" და მისი სიგრძე იზრდება. საბელის გაშვებისას მშვილდის ბოლოები წინ გადაადგილდება, ამოკლებს საბელს და ისარს დიდ აჩქარებას ანიჭებს.[557]

მშვილდ-ისარი ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული უნივერსალური იარაღია, რომელიც ომშიც გამოიყენება და ნადირობაშიც.[558] ის ადამიანის პირველი ნაკეთობაა, რომელსაც ენერგიის შენახვა და გამოთავისუფლება შეეძლო.[559]

კომპოზიტური მშვილდი გამოჩნდა ძვ.წ. III ათასწლეულში ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მესოპოტამიაში, ანატოლიასა და აზიის ჩრდილოეთ სტეპებში.[560] აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე და ჩრდილოეთ კავკასიაში კომპოზიტური მშვილდი სკვითთებთან ერთად გამოჩნდა ძვ.წ. I ათასწლეულში.[561] სკვითური (პართული) მშვილდის სამშობლო ევრაზიის სტეპებია, სადაც მას ბრინჯაოს ხანაშიც ვხვდებით. სკვითური მშვილდის გაუმჯობესებული ფორმაა ჰუნური მშვილდი.[562]

მშვილდს ადარებს ამიანე მარცელინე, პომპონიუს მელა, პლინიუსი და სხვ. *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. I (თბილისი, 1961), 106, 148.

[555] Медведев, "Оружие Новгорода Великого," 143; М.В. Горелик, *Армии монголо-татар X-XIV веков. Воинское искусство, оружие, снаряжение* (Москва, 2002), 18.

[556] McEwen, Miller, Bergman, "Early Bow Design and Construction," 80.

[557] იქვე, 79-82.

[558] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 20.

[559] ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 5; Antony Karasulas, *Mounted Archers of the Steppe 600 BC-AD 1300* (Oxford, 2004), 18.

[560] McEwen, Miller, Bergman, "Early Bow Design and Construction," 80; Paul William Westerneyer, "The Development and Decline of Romano-Byzantine Archery from the Fourth to the Eleventh Centuries," MA Thesis (Ohio State University, 2010), 4.

[561] Медведев, "Ручное метательное оружие," 7.

[562] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 14.

სკვითური მშვილდის საერთო სიგრძის შედარებით მცირე ნაწილი იყო დრეკადი (ძირითადად, მხრები). მშვილდის ძალის გასაზრდელად საჭირო იყო დრეკადი ნაწილის გაზრდა, რომელიც ან უდრეკი ნაწილების (სახელური, ბოლოები) ზომის შემცირებით უნდა მომხდარიყო ან მშვილდის საერთო ზომის გადიდებით. ჰუნური მშვილდის განვითარება საერთო ზომის გადიდებით წარიმართა და მისმა სიგრძემ 1.2-1.6 მ-ს მიაღწია.[563] კლასიკურ ჰუნურ მშვილდს შვიდი რქოვანი ფირფიტა აქვს: ორი წყვილი ბოლოებზე და სამი შუაში.[564] ეს ფირფიტები მშვილდის სახელურსა და ბოლოებს მოხრის საშუალებას არ აძლევს.[565] შორეულ აღმოსავლეთში კი მშვილდი ზომაში შეამცირეს, რადგანაც პატარა ზომის მშვილდის გამოყენება უფრო მოსახერხებელი იყო ცხენიდან სროლისას. მშვილდის ძალის გასაზრდელად გაზარდეს მისი დრეკადი ზედაპირის ფართობი, რისთვისაც რაოდენობასა და ზომაში შეამცირეს რქოვანი ფირფიტები.[566] ჰუნური მშვილდიდანაა წარმოშობილი ძველთურქული მშვილდი, სადაც მშვილდის კონსტრუქციის გაუმჯობესებისას შემცირდა მისი ზომა და რქოვანი ფირფიტების რიცხვი.[567]

მრავალი და გრძელი რქოვანი ფირფიტებით აწყობილი მშვილდი შედარებით მოუხერხებელი იყო და ხშირად იმტვრეოდა. კომპოზიტური მშვილდის განვითარება მისი გამარტივების გზით წარიმართა, რაც გულისხმობდა რქოვანი ფირფიტების სიგრძისა და რიცხვის შემცირებას.[568] საუკუნეების განმავლობაში, ჰუნური მშვილდიდან მოყოლებული, მცირდებოდა ფირფიტოვანი ზესადებების ზომა და რაოდენობა.[569] ეს პროცესი პრაქტიკულად დასრულდა მონღოლთა ხანაში, როდესაც ინტენსიური ბრძოლის მოთხოვნილების შესაბამისად კომპოზიტური მშვილდის გამარტივებამ თავის ბოლო სტადიას მიაღწია.[570] ა. გავრილოვამ დაადგინა, რომ მონღოლურ პერიოდში გავრცელებული

---

[563] А.М. Хазанов, "Сложные луки евразийских степей и Ирана в скифо-сарматскую эпоху." *Материальная культура народов Средней Азии и Казахстана* (Москва, 1966), 33. სიგრძის მიხედვით მშვილდები იყოფა მოკლე და გრძლად: 1 მ-ზე მეტი გრძლად ითვლება, 1 მ-მდე - მოკლედ. Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 55.

[564] Д.Г. Савинов, "Новые материалы по истории сложного лука и некоторые вопросы его эволюции в Южной Сибири," *Военное дело древних племен Сибири и Центральной Азии* (Новосибирск, 1981), 147.

[565] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 15.

[566] იქვე, 54.

[567] Худяков, *Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии*, 141-2.

[568] В.Е. Круглов, "Сложносоставные луки Восточной Европы хазарского времени," *II-е Городцовские чтения. Материалы научной конференции, посвященной 100-летию деятельности В.А. Городцова в ГИМ* (Москва, 2005), 314-5. თუმცა, თავად ე. კრუგლოვის აზრით, კომპოზიტური მშვილდის ევოლუცია ყოველთვის ასე ერთხაზოვნად არ მიმდინარეობდა: ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში VII-XI საუკუნეებში ასეთი სწორხაზოვანი ევოლუცია არ შეინიშნება და ზოგჯერ, ადგილი აქვს უფრო რთული ფორმებისკენ დაბრუნებას. ე. კრუგლოვი, პირადი მიმოწერა ავტორთან, 19 აგვისტო, 2010.

[569] Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен*, 87; Савинов, "Новые материалы по истории сложного лука," 155-62.

[570] მონღოლური მშვილდის გამარტივება გამოიწვია მისწრაფებამ გაეზარდათ მშვილდის გამძლეობა და საიმედოობა. Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен*, 88. ცხენოსანთა ინტენსიური ბრძოლის დროს ისრის სროლის დისტანციის შემცირებისას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სწრაფსროლას, ამიტომაც მშვილდს დიდი გამძლეობა უნდა ჰქონოდა,

იყო მშვილდები შუა რქოვანი ფირფიტით და ბოლოების მასიური ჩანართით.[571] ხუდიაკოვი აღნიშნავს, რომ „მონღოლური მშვილდისთვის", რომელიც ფართოდ ვრცელდება მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში, დამახასიათებელია ერთი, ფართო, ფრონტალური, ნიჩბის ფორმის ბოლოებგაფართოებული რქოვანი (ან ძვლის) ფირფიტა შუა ნაწილში; ასევე, მას ახასიათებს მშვილდის ბოლოების მასიური რქის ან ხის ჩანართი (საბელისათვის რკალისებური ჭრილით), რომელიც სოლისებურად წაკვეთილია და ჩაწებებულია გოზაში (მშვილდის მწვერვალში).[572]

XVII საუკუნისათვის ოსმალებმა და ირანის თურქულმა ტომებმა სრულყოფამდე მიიყვანეს კომპოზიტური მშვილდი. მათ უარი თქვეს „ჩაძირულ" სახელურზე და შექმნეს გრაციოზული მოყვანილობის მშვილდი გაზრდილი საბელის მოზიდვის მანძილითა და სიმძლავრით. მოზიდვის ძალა 36-45 კგ-ს შეადგენდა, რაც ორჯერ უფრო გრძელი ინგლისური მშვილდის ძალის შესაბამისი იყო.[573]

კომპოზიტური მშვილდი მძლავრი იარაღი იყო, რომლის წყალობით მომთაბარეებმა არაერთი იმპერია შექმნეს და რომელიც დიდხანს უწევდა კონკურენციას ცეცხლსასროლ იარაღს.[574] XV საუკუნის არაბული ტრაქტატის მიხედვით, კომპოზიტური მშვილდით სროლის ოპტიმალური დისტანცია 60 მ-ია, დაახლ. 160 მ-ზე შორს კი ზუსტი სროლა შეუძლებელია.[575] სხვადასხვა მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ კომპოზიტური მშვილდი საკმაოდ ზუსტია 50-60 მ-ზე, მიზანში სროლა შეუძლია 160-190 მეტრზე, არასაბრძოლო, ე.წ. „მფრინავი ისრით" კი – 500 მ-ზე მეტზე, ზოგჯერ 800-900 მ-მდე.[576]

აბჯარზე ასე თუ ისე ეფექტური ზემოქმედებისათვის მშვილდს ახლო დისტანცია სჭირდებოდა, დაახლოებით 30 მეტრი. აბჯრის გატანისათვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშვილდისა და თავად მოისარის სიძლიერეს, მანძილს, სროლის კუთხესა და აბჯრის ტიპს.[577] მშვილდის სიძლიერის იშვიათი დასტური მოგვეპოვება XIV საუკუნეში. მთაში ერთ-ერთი შინაომისას ზემოდან ნასროლმა ისარმა გახვრიტა ფარი და

რომ ინტენსიური სროლისათვის გაეძლო. Худяков, Вооружение *кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 122.

[571] Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен*, 88.

[572] Худяков, *Вооружение кочевников Южной Сибири и Центральной Азии*, 28-9, 60-2; Савинов, "Новые материалы по истории сложного лука," 162. ჩანს, მშვილდის ბოლოების მასიური რქოვანი ჩანართები უფრო საიმედო იყო, ვიდრე რქის თხელი ფირფიტები, რომლებიც შეიძლება ამძვრალიყო. Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен*, 88.

[573] McEwen, Miller, Bergman, "Early Bow Design and Construction," 82.

[574] საუკუნეების განმავლობაში ვერცერთი ცეცხლსასროლი იარაღი ვერ ჯობდა კომპოზიტურ მშვილდს სწრაფსროლაში, სიზუსტეში, სიშორესა და საიმედოობაში; მშვილდი იყო ჩუმი და შეეძლო კიდული სროლა სიმაგრეს თავშეფარებულთა დასაზიანებლად. ყველა მახასიათებლის მიხედვით, თოფმა, საბოლოოდ, მხოლოდ XIX საუკუნეში აჯობა მშვილდს. Vic Hurley, *Arrows Against Steel: The History of the Bow* (New York, 1975), 13-5.

[575] *Arab Archery: An Arabic manuscript of about A.D. 1500 "Book on the Excellence of the Bow and Arrow" and the Description thereof*, translated and edited by N. A. Faris and R. P. Elmer (Princeton, 1945), 77.

[576] Wallace McLeod, "The Range of the Ancient Bow," *Phoenix*, vol. 19, no. 1 (1965), 8-9, 13.

[577] Kolias, *Byzantinische Waffen*, 220.

ჯაჭვის ორი ფენაც: „შეიქმნა სიმრავლე ისრისაჲ, ვითარცა სეტყუაჲ ჴშირი და ფუცვიდეს ღმერთსა, რომელ ქუემოჲთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭუანი კაცი გაიაროს და მიწასა ნახევრად დაესჯს".[578] თავისთავად, მაღლიდან ნასროლი ისარი ორჯერ უფრო შორს მიფრინავდა, ვიდრე ქვემოდან ზემოთ ნასროლი.[579]

კომპოზიტური მშვილდის დამზადება დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა და სხვადასხვა მასალას საჭიროებდა (ხე, რქა, ძვალი, მყესები, წებო).[580] ხარისხიანი კომპოზიტური მშვილდის დამზადებას 1-3 წელი სჭირდებოდა.[581] რქოვან ფირფიტებს ზამთარში აწებებდნენ, რადგანაც ხანგრძლივი პროცესი უკეთეს შედეგს იძლეოდა; მყესების რამდენიმე ფენად მიწებებას კი ზაფხულის ცხელ ამინდში ამჯობინებდნენ.[582] ძალიან ცხელი და ცივი ან ზედმეტად ტენიანი კლიმატისათვის ისეთ მშვილდებს ამზადებდნენ, რომლის ხის სხეული სხვა კომპონენტებზე მეტი იყო და ფართო გოზები ჰქონდა; ზომიერი კლიმატისათვის კი წვრილგოზიანი და უხვმყესიანი იყო მოწოდებული.[583] საბოლოოდ, მშვილდს ფარავდნენ ხის (არყის, ალვის) ქერქის ან ტყავის თხელი დიაგონალური ზოლებით, რომელიც ილაქებოდა და ულტობი ხდებოდა.[584]

დიდი ყურადღება ექცეოდა მშვილდის საბელსაც. ის არ უნდა ყოფილიყო ძალიან წელვადი, რადგან ძალას დაკარგავდა და არც ზედმეტად კუმშვადი – ასეთ შემთხვევაში ელასტიურობას კარგავდა. მდიდრული შუააზიური, თურქული, ირანული, რუსული მშვილდების საბელს აბრეშუმის ძაფებისა და მოქნილი ტყავის ღვედისაგან ამზადებდნენ. აბრეშუმისაგან საბელის ძირითადი ნაწილი მზადდებოდა, ტყავისაგან კი – საბელის მარყუჟი, რომელიც მშვილდის კილოზე იყო ჩამოცმული, ადვილად რომ არ გადახეხილიყო.[585] ტყავისაგან და აბრეშუმისაგან ამზადებდნენ საბელს საქართველოშიც. სულხან-საბას მიხედვით, „მშვილდის საბელი რომელიმე ღვედთაგანი იქმნების, რომელიმე აბრეშუმთა და მისთანათაგან".[586]

არსებობს ისრის ჭერისა და საბელის მოზიდვის სხვადასხვა ხერხი, რომლის დროსაც მშვილდოსნის თითები სხვადასხვაგვარად არის განლაგებული.[587] ხმელთაშუაზღვისპირული წესით მოზიდვისას ისარი შუა და საჩვენებელ თითს შორის არის მოთავსებული და საბელსაც ამ თითებით ეზიდებიან (ზოგჯერ, არათითის დახმარებითაც). ამ დროს ისარი მშვილდის მარცხნივაა.

---

[578] „ძეგლი ერისთავთა", 108.

[579] Медведев, "Ручное метательное оружие," 30.

[580] იქვე, 13.

[581] Б.А. Литвинский, "Сложносоставной лук в древней Средней Азии," *Советская археология*, 4 (1966), 59-60; Nicolle, *Saracen Faris*, 46.

[582] Paterson, "The Archers of Islam," 74-5.

[583] *Arab Archery*, 86.

[584] Paterson, "The Archers of Islam," 77; Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 293.

[585] Медведев, "Ручное метательное оружие," 16.

[586] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 20.

[587] უფრო დაწვრილებით იხ. ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 9-14.

მონღოლური წესით მოზიდვისას ისარი საჩვენებელსა და ცერს შორისაა და საბელს მოხრილი ცერი ეზიდება. ამ დროს ისარი მშვილდის მარჯვნივაა.[588] რომაელები მკერდის შუამდე ეზიდებოდნენ მშვილდს, მომთაბარეები და აღმოსავლელი მშვილდოსნები – სახისკენ, მონღოლები კი – ყურისკენ. რაც უფრო გრძელია მოზიდვა, მით უფრო ძლიერია გასროლა.[589] ყურის ბიბილომდე მოზიდვა ზუსტი და ყველაზე ძლიერი იყო. სახისკენ (ყბისკენ) მოზიდვა, როდესაც ისარი ტუჩის (ულვაშის) გასწვრივ მოძრაობს, ხორასნული მეთოდი იყო და ყველაზე ზუსტად ითვლებოდა.[590]

სხვა მეთოდებთან შედარებით, ცერით მოზიდვა უფრო სწრაფია.[591] მშვილდის საბელიც უფრო გრძლად იჭიმებოდა.[592] ამავე დროს, ცერით მოზიდვა უფრო რთული იყო, ვიდრე სხვა ნებისმიერი მეთოდი და მის ათვისებას ხანგრძლივი პრაქტიკა ესაჭიროებოდა.[593] სროლის გასაადვილებლად შემოიღეს სპეციალური რქის (ძვლის, ქვის, ხის, ლითონის) რგოლი, რომელსაც მარჯვენა ხელის ცერა თითზე იკეთებდნენ.[594] მას საგანგებოდ წარზიდული ფარაკი ჰქონდა.[595] რგოლის გლუვ ზედაპირზე მშვილდის საბელი კარგად სრიალებდა და კანს აღარ აზიანებდა.[596]

შუა საუკუნეებში მშვილდით სროლის დროს ხელისა და თითების დასაცავად იყენებდნენ ხელთათმანებს, მაჯის დასაცავ საგანგებო მოწყობილობებს, რგოლებსა და სათითეებს. ამავე დროს, ითვლებოდა, რომ მგრძნობელობის დამაქვეითებელი და მოძრაობის შემაფერხებელი მოწყობილობების გარეშე სროლა უკეთესი და უფრო ზუსტი იყო.[597] ვიცით, რომ ხევსურეთში, სროლის დროს მარცხენა ხელის დასაცავად ტყავს იხვევდნენ, რათა მას მშვილდის საბელის დარტყმა შეენელებინა.[598]

ადრე შუასაუკუნეებში ქართული მშვილდის ფორმაზე სასანურ მშვილდს უნდა მოეხდინა დიდი გავლენა, რადგანაც ამის კვალი მოგვიანებითაც შეიმჩნევა. ნაკიფარის წმ. გიორგის (ჯგრაგის) ეკლესიაში X საუკუნის გამოსახულე-

---

[588] იქვე, 11-2; Alf Webb, *Archaeology of Archery* (Surbiton, 1991), 41.

[589] Karasulas, *Mounted Archers of the Steppe*, 25.

[590] *Arab Archery*, 51-2.

[591] Alf Webb, *Archaeology of Archery* (Surbiton, 1991), 41; Karasulas, *Mounted Archers of the Steppe*, 24.

[592] Fredrik Lundström, Charlotte Hedenstierna-Jonson and Lena Holmquist Olausson, "Eastern archery in Birka's Garrison," in *The Martial Society: Aspects of warriors, fortifications and social change in Scandinavia*, ed. by Lena Holmquist Olausson and Michael Olausson (Stockholm, 2009), 111.

[593] Webb, *Archaeology of Archery*, 41.

[594] უადრესი საცერე რგოლი, მშვილდოსნისათვის განკუთვნილი და ნეფრიტისაგან დამზადებული, ნაპოვნია ჩინეთში, დედოფალ ფუ ჰაოს ჩვ. წ-მდე XIII-XII საუკუნის სამარხში. И.В. Волков, "О происхождении "монгольского" способа стрельбы из лука," *МИАСК*, вып. 2 (Армавир, 2003), 155. ეყრდნობა რა ამ ფაქტს, მ. გორელიკი მიიჩნევს რომ ცერით მშვილდის მოზიდვის მეთოდი თავდაპირველად ჩინეთში არსებობდა და რომ, მას არა „მონღოლური", არამედ „ჩინური" უნდა ერქვას. Горелик, *Оружие Древнего Востока*, 30.

[595] Медведев, "Ручное метательное оружие," 26.

[596] Гаврилова, *Могильник Кудыргэ как источник по истории алтайских племен*, 31; Peter Wilcox, *Romes Enemies (3): Parthians and Sassanid Persians* (Oxford, 1986), 13.

[597] Медведев, "Ручное метательное оружие," 25-6.

[598] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 85.

ბაზე ვხედავთ მშვილდს სწორი, რიგიდული ბოლოებით,[599] რაც სასანური მშვილდისთვის დამახასიათებელი ნიშანია. სწორბოლოებიანი მშვილდითაა შეიარაღებული მონადირე ოშკის სამხრეთი მკლავის X საუკუნის რელიეფზე.[600] საერთოდ, სასანური მშვილდისათვის დამახასიათებელია ხუთწევრიანი ფორმა: სწორი სახელური, მკვეთრად მომრგვალებული მხრები და სწორი, რიგიდული ბოლოები.[601] ნაკიფარისა და ოშკის გამოსახულებებს რიგიდული ბოლოები აქვთ, მაგრამ არა აქვთ ჩაძირული, სწორი სახელური, რითაც განსხვავდებიან სასანური მშვილდისაგან. როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე შემდგომი განვითარებისას კომპოზიტური მშვილდი დაშორდა მის თავდაპირველ, სასანურ ვარიანტს, თუმცა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებდა საერთო ნიშნებს – რიგიდულ ბოლოებს.



სურ. 235
მონღოლური მშვილდები H1665 დავითნის 199v მინიატურაზე. სიქემის ალყა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ამავე დროს, საქართველოში პარალელურად არსებობდა მოკლე, თურქულ-ხაზარული ტიპის მშვილდიც, რომელიც წებელდის კანკელზეა გამოსახული. არაბთა სახალიფოში სწორი, რიგიდულ ბოლოებიანი სასანური ტიპის მშვილდის ჩანაცვლება იწყება IX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც აბასიანთა არმიაში თურქმა მონა მეომრებმა წამყვანი ადგილი დაიკავეს. მათ თან მოიტანეს ახალი ტიპის მშვილდი.[602] სასანურ მშვილდს XI საუკუნეში საბოლოოდ ანაცვლებს თანაბრად ბოლოებმოხრილი თურქული მშვილდი, რომელიც უფრო მსხვილი, მოკლე და ძლიერი იყო.[603] XII საუკუნის ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურებზე მხოლოდ თურქული ტიპის მშვილდი ჩანს.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოში მონღოლური ტიპის მშ-

---

[599] Аладашвили, Алибегашвили, Вольская, *Живописная Школа Сванети*. 12.

[600] ჯობაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში*, 142, ტაბ. 159.

[601] Литвинский, "Сложносоставной лук в древней Средней Азии," 66. თავის მხრივ, მშვილდის ეს ტიპი შუა აზიაში ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სასანიანთა გამოჩენამდე, ძველი და ახალი ათასწლეულების მიჯნაზე. იქვე, 68-9.

[602] J. D. Latham and W. F. Paterson, "Archery in the Lands of Eastern Islam," in *Islamic Arms and Armour*, ed. by Robert Elgood (London, 1979), 79.

[603] Nicolle, *Armies of the Caliphates*, 17-8.



სურ. 236
მშვილდოსნები: ა) ასტროლოგიური ტრაქტატის (A65 მანუსკრიპტი) 1891 მინიატურა. დეტალი; ბ) ჯრუჭის II ოთხთავის 1861 მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ვილდი მკვიდრდება. XIII საუკუნის შუახანებში ქართველები უკვე მონღოლურ მშვილდს იყენებდნენ. ჟამთააღმწერელის დახასიათებით, დავით VII, რომელიც XIII საუკუნის 50-იან წლებში ალამუთისა და ბაღდადის კამპანიებში ახლდა მონღოლებს, იყო „მოისარი მაგრითა მშჳლდითა".[604] *მაგარ მშვილდს* კი ჟამთააღმწერელი მონღოლურ მშვილდს უწოდებს. მისი თქმით, მონღოლები „მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშჳლდითა უცდომრად მსროლელნი".[605]

H1665 დავითნის მინიატურებზე გარკვევით ჩანს მონღოლური ტიპის მშვილდი შუა ფირფიტოვანი ზესადებით და ბოლოების მასიური ჩანართით (სურ. 235). როგორც ითქვა, აზიელ მშვილდოსანს სროლისას მშვილდი ვერტიკალურად ეჭირა, ოდნავ მარცხნივ გადახრილი, ისარი კი გადიოდა მარცხენა ხელის ცერა თითზე მშვილდისაგან მარჯვნივ, განსხვავებით ევროპელისაგან, რომელიც ისარს მშვილდის მარცხნივ ათავსებდა.[606] მინიატურებზე ქართველებს ისარი მშვილდის მარჯვნივ აქვთ მოთავსებული და მას ცერით ეზიდებიან.

თუმცა, ცერით მოზიდვის მეთოდი საქართველოში მონღოლთა შემოსვლამდე ჩანს დამკვიდრებული, რაშიც „ვეფხისტყაოსანი" გვარწმუნებს: „პურად და საჭმლად მივენდვე ჩემსა მშვილდსა და ცერასა".[607] აქ იგულისხმება მშვილდის მოზიდვისა და ისრის სროლის მეთოდი, როდესაც საბელს ცერა

[604] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 109.
[605] იქვე, 44.
[606] Медведев, "Ручное метательное оружие," 28.
[607] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 169.

თითზე წამოცმული რგოლის საშუალებით ეზიდებოდნენ.[608] ცერით ისრის მოზიდვის წესს საქართველოში *კიპი* ეწოდებოდა.[609]

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1188-1210 წლების ასტროლოგიური ტრაქტატის (A65 მანუსკრიპტი) 189r მინიატურაზე მშვილდოსანი გამოსახულია ცერით მოზიდული კომპოზიტური მშვილდით, ხოლო ისარი ყურამდეა მიტანილია (სურ. 236ა). ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურაზე გამოსახულ მშვილდოსნებს მოზიდული ისარი ყურთან აქვთ მიტანილი (სურ. 236ბ). სამწუხაროდ მინიატურა დაზიანებულია და არ ჩანს თუ რამდენი თითით ეზიდებიან მშვილდის ლარს.

ა


ბ

სურ. 237
საცერე რგოლი: ა) H1665 დავითნის 212v მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) ექსპონატი დმ-1629. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ცერის მნიშვნელობა სროლისას ხაზგასმულია XVII საუკუნის „შაჰნავაზიანშიც“: „მარჯუედ უჭირავს ისარი, ვის იმედი აქუს ცერისა“; „ნადირი, მოკლული ამა ცერითა“.[610] ძვლისაგან დამზადებული საცერე რგოლი ნაპოვნია დმანისის ნაქალაქარზე, XI-XIII საუკუნეების ფენაში (სურ. 237ა). საცერე რგოლი უნდა იყოს გამოსახული H1665 დავითნის 212v მინიატურაზეც (სურ. 237ბ).

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს რქის მშვილდს, რომელსაც გუდამაყრელები ამზადებდნენ: „ჴელოსანნი, მშჳლდთ-მოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ჴართაგან“.[611] რა თქმა უნდა, გუდამაყრული მშვილდი მარტო რქისგან არ არის კონსტრუირებული.[612] ვახუშტი საუბრობს კომპოზიტურ მშვილდზე, რომელიც რქის ფირფიტებით არის გაწყობილი.[613] გუდამაყრელებს, როგორც მთიელებს, ადვილად მიუწვდებოდათ ხელი გრძელრქიანი ჯიშის პირუტყვზე, რომლის რქაც აუცილებელი იყო კომპოზიტური მშვილდისათვის.

სურ. 238
ქართული მშვილდი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. მ. ქაფიანიძის ფოტო.

---

[608] კ. ჩოლოყაშვილი შეცდომით მიიჩნევს, რომ აქ საუბარია ისრის ტიპზე. კოტე ჩოლოყაშვილი, „ტერმინ „ცერა“-ს შესახებ“, *კრ. „შოთა რუსთაველი“* (თბილისი, 1968), 121.

[609] „*კიპი* – ისრის კილოს დაზიდვით ჭერა; ცერითა, სალოკის თითით ისრის კილოს ჭერა“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*. I, 375.

[610] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 43-4.

[611] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 354.

[612] ამ ცნობის კომენტარისას, ვ. ელაშვილი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ მხოლოდ რქის მშვილდი არ არსებობს და აქ შედგენილი მშვილდი იგულისხმება. ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 25.

[613] კომპოზიტურ მშვილდადაა მიჩნეული „ბეოვულფში“ მოხსენიებული *რქის მშვილდიც*. Lundström, Hedenstierna-Jonson, Holmquist Olausson, "Eastern archery in Birka's Garrison," 105.

მესტიის მუზეუმში დაცულია ჩვენამდე მოღწეული მშვილდი, რომელიც გვიან შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს (სურ. 238). ამჟამინდელ მოხრილ მდგომარეობაში მისი სიგრძე 116 სმ-ს აღწევს. მშვილდის გოზებზე მუცლის მხარეს 4-4 რქის ვიწრო ზოლია ოსტატურად დაწებებული.[614] მშვილდი არყის ხის ქერქით არის დაფარული და მოხატული.[615] მთლიანობაში მშვილდი კარგი ხარისხის ნაკეთობაა და მისი გრძელი და ფართო გოზები დიდი ძალის მქონე იარაღის გარანტია იქნებოდა.

კომპოზიტურთან ერთად, საქართველოში მარტივი ტიპის მშვილდიც იყო გავრცელებული. ასეთი მშვილდი უფრო იოლი და სწრაფი დასამზადებელი იყო, თუმცა, ზოგჯერ მის გაკეთებას 2-3 თვეს ანდომებდნენ.[616] გვიანი საუკუნეების ლაშქარვალდებულთა სიებში გლეხთა შეიარაღების ჩამონათვალში მხოლოდ მშვილდის არსებობა იმის მაჩვენებელია, რომ ისინი მარტივ მშვილდს ფლობენ, უფრო ძვირფას კომპოზიტურ მშვილდს ვერ შეწვდებოდნენ. როდესაც 1747 წელს ქართლ-კახეთის მეფეებმა მშვილდით ნადირობა მოინდომეს და ეს იარაღი არავის აღმოაჩნდა, მეფე იძულებული გახდა მარტივი (ხის) მშვილდით დაკმაყოფილებულიყო: „ვისაც მშვილდი არა ჰქონდეს, ხის მშვილდები დაიკეთონ, იმით დადგნენო".[617] ცხადია, რომ ხის მშვილდი მარტივი მშვილდია, რადგან ასე სასწრაფოდ კომპოზიტური მშვილდის დამზადება ვერ მოხერხდებოდა.

საქართველოში, როგორც ჩანს, რკინის მშვილდსაც იყენებდნენ. ასეთი მშვილდი „რუსუდანიანშია" მოხსენიებული: „რკინის მშვილდი და ბოძალი ხელთ მივეც"; „რკინის მშვილდი მხარს უკუიცვა".[618] ლეჩხუმ-სვანეთში ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციამ იხილა რკინის დიდი მშვილდი ოყურეშის წმ. გიორგის ეკლესიაში და რკინის მშვილდ-ისარი ფაყის ღვთისმშობლის ეკლესიაში.[619] რკინის (ფოლადის) მშვილდი მარტივი მშვილდების კატეგორიას მიეკუთვნება. XV-XVII საუკუნეებში ის, ძირითადად, ინდოეთში იყო გავრცელებული.[620] მიუხედავად იმისა, რომ რკინის მშვილდი სიმძლავრითა და სიშორით ჩამორჩებოდა კომპოზიტურ მშვილდს, ის მაინც პოპულარული იყო, რადგან ადვილად არ ზიანდებოდა.[621] მასზე ნაკლებად მოქმედებდა ცუდი ატმოსფერული პირობები, მაშინ როდესაც მაღალი ტენიანობა დამღუპველად მოქმედებს კომპოზიტურ მშვილდზე.

---

[614] ერთიანი რქოვანი ფირფიტის ნაცვლად რქოვანი ზოლების დაწებება უფრო ეფექტური იყო, განსაკუთრებით, გვიანი შუასაუკუნეების მძლავრი ირანული მშვილდებისათვის, რომელთაც ფართო მხრები ჰქონდათ. Bede Dwyer, Manouchehr Moshtagh Khorasani, "An Analysis of a Persian Archery Manuscript Titled Resāle-ye Qosnāmeh," *Quaderni Asiatici*, 112 (2015), 95.

[615] პირადი მიმოწერა გ. ლაღიძესთან (18 აგვისტო, 2016), რომელმაც ეს მშვილდი დეტალურად შეისწავლა და ამზადებს მის რეპლიკას.

[616] ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 28-9.

[617] პაპუნა ორბელიანი, *ამბავნი ქართლისანი*, 119.

[618] *რუსუდანიანი*, 174, 178.

[619] თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს*, 70, 89.

[620] Ю.В. Шокарев, *Луки и арбалеты* (Москва, 2001), 21.

[621] G. N. Pant, *Horse and Elephant Armour* (Delhi, 1997), 125.

ისარი

მშვილდისა და ისრის ევოლუცია ერთიანი, განუყოფელი პროცესია. მშვილდს აუმჯობესებდნენ ისეთი ისრების სასროლად, რომელთაც მაქსიმალური სიშორე, ზუსტი მიზანი და საუკეთესო გამტანობა ახასიათებდა.[622] ფსიქოლოგიური (მადემორალიზებელი) ზემოქმედების გარდა, ისრის მიერ გამოწვეული დამაზიანებელი ფაქტორებია უკუგდებითი ზემოქმედება, სხეულის ზედაპირის არშემღწევი დაზიანება (სისხლდენა, დაჟეჟილობა), შინაგანი ორგანოებისა და საყრდენი აპარატის დაზიანება (შინაგანი სისხლდენა, ძვლის დამსხვრევა, ინფექცია) და ტკივილით გამოწვეული შოკი.[623]

ისრის შემადგენელი ნაწილებია ისრისპირი, ზრო, ფრთა და კილო. *ისრისპირი* ისრის ის ნაწილია, რომელიც მიზანს აზიანებს; *ზრო* ისრის ტანია,[624] მისი მზიდი ნაწილი; *ფრთა* – ფრენისას ისრის მიმმართველი; *კილო* ისრის საბელზე დასამაგრებელი, საბელის ჩასაგდები ადგილია.[625] ისრისპირი შედგება თავისაგან, რომელიც მიზანში აღწევს, ყუნწისა (ისრისპირის ღერო, რომლითაც ის ტარშია ჩამაგრებელი) და გვირგვინისაგან (ისრისპირის შემზღუდავი ტარში დამაგრებისას).[626] (სურ. 239)

ისრის ზრო 50-100 სმ სიგრძის (ძირითადად, 75-90 სმ)[627] მრგვალი განივკვეთის ხის ღეროა.[628] ზროზე მაგრდება ისრისპირი, ფრთები და კილო.[629] ისრისპირი განაპირობებს დაზიანების ეფექტურობას, ფრთები კი – მდგრადობას ფრენისას და სროლის სიზუსტეს. ისრისპირი ორი მეთოდით მაგრდებოდა ზროზე: მასრით და ყუნწით. მასრიან ისრისპირს აგებდნენ წებოწასმული ღეროს ბოლოზე. ყუნწიან ისრისპირს არჭობდნენ ღეროში ან მის წებოწასმულ ნაპობში და ზედ ახვევდნენ მყესებს ან სხვა ძაფს. ნახვევს ზემოდან არყის თხელ ქერქსაც აწებებდნენ.[630] მასრიანი ისრისპირები, რომელსაც



სურ. 239
ისარი: ა) ისრისპირი, ბ) მყესები, გ) ზრო, დ) ფრთა, ე) კილო, ე) გვირგვინი, ზ) ყუნწი.

[622] Литвинский, "Сложносоставной лук в древней Средней Азии," 67-8.

[623] А.В. Коробейников, Н.В. Митюков, *Баллистика стрел по данным археологии: введение в проблемную область* (Ижевск, 2007), 5.

[624] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 286.

[625] „*კილო* – ისართა მშვილდის საბელთა ჩასაგდებ(ელ)ი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 373.

[626] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 75-7. ისრისპირის მიხედვით შეგვიძლია ირიბად ვიმსჯელოთ მშვილდის ძალის შესახებ; მაგალითად, რუსული ისრისპირის წონა ისრის წონას 1:5 შეეფარდება. В.Э. Шавкунов, "К вопросу о луке чжурчжэней," *Военное дело древнего населения Северной Азии* (Новосибирск, 1987), 200.

[627] Kolias, *Byzantinische Waffen*, 218. ისრის სიგრძე მის დანიშნულებაზეც იყო დამოკიდებული. მოკლე, მსხვილი ისარი ჯავშანგამტანი პირით ახლო მანძილზე სასროლად იყო გამიზნული, გრძელი და წვრილი ისარი კი – შორ მანძილზე სასროლად. Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 61.

[628] ისრის ზროს ჰქონდა სიგარისმაგვარი ფორმა, შუაში შესქელებით, რომ სროლისას არ გაღუნულიყო. Шокарев, *Луки и арбалеты*, 27.

[629] ჭიათურაში, მღვიმევის გამოქვაბულში ნაპოვნ ორ ისარს კარგად დამუშავებული ძვლის კილოები გააჩნდა, ორს კი კილო ხის ზროშივე ჰქონდა ამოჭრილი. დომენტი მშვენიერაძე, *გამოქვაბული ნაგებობანი საქართველოში* (თბილისი, 1955), 29, ტაბ. 44, 45.

[630] Медведев, "Ручное метательное оружие," 49-50.

დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების ბოლომდე იყენებდნენ, არ არის დამახასიათებელი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის.[631] აღმოსავლეთში მიაჩნდათ, რომ მასრიანი ისრისპირი მიდრეკილი იყო ზროს მსხვრევისაკენ და მხოლოდ უაბჯრო სამიზნის წინააღმდეგ თუ გამოდგებოდა.[632]

ისარზე უმთავრესად 3 ან 4 ფრთას ამაგრებდნენ. XV საუკუნის არაბული ტრაქტატის მიხედვით, ბევრი ფრთა ანელებს ისარს, ოთხფრთიანი ისარი უფრო ზუსტია, სამფრთიანი კი უფრო სწრაფი და შორსაც მიფრინავს. ამასთან, რაც მეტია ისრის კილოდან ფრთის დაცილება, მით სწრაფად მიფრინავს ისარი, რაც უფრო ახლოა – მით უფრო ზუსტია ის.[633] ქართველები, როგორც ეს გამომსახველობითი წყაროებიდან (H1665 და H75 დავითნი, კასტელის ჩანახატები და თავაქარაშვილის მინიატურები) ჩანს, უპირატესობას სიზუსტეს ანიჭებდნენ და ფრთას კილოსთან ახლოს ამაგრებდნენ.

ისრისათვის სხვადასხვა ფრინველის (არწივის, ზარნაშოს, ძერა, შევარდენის) ფრთას იყენებდნენ. ფრთა უნდა ყოფილიყო სწორი, თანაბარი, დრეკადი.[634] იყენებდნენ მხოლოდ ფრინველის საქნევ ფრთას. ისრის ფრთები ერთნაირი და ფრინველის ერთი ფრთიდან უნდა ყოფილიყო.[635] საუკეთესოდ არწივის ფრთები მიიჩნეოდა, შემდეგ ორბის და შემდგომ – შევარდენის.[636] არჩილის მოწმობით, ქართველები ორბის ფრთით გაწყობილ ისარს იყენებდნენ: „ისარს ორბის ფრთით შვენობა".[637] საქართველოში არწივის ფრთასაც იყენებდნენ. არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს, რომ მეგრელები არწივს მახით იჭერენ „იმისათვის, რომ არწივის ფრთა მიაბან ისარს. მეგრელების მშვილდ-ისარი ბევრად დიდია თურქთა მშვილდ-ისარზე და ასე დიდი ისრები რომ ჰაერში პირდაპირ წავიდეს, საჭიროა, რომ არწივის ფრთა მიაბან".[638]

ისარს სხვადასხვაფრად ღებავდნენ, რომ ფერის მიხედვით გაერჩიათ სხვადასხვა პირისა და დანიშნულების ისრები და სწრაფად ამოეღოთ ისინი ბრტყელი კაპარჭიდან, რომელშიც ისრისპირი დამალული იყო.[639] შეღებილი ისრის არსებობის დამადასტურებელი ქართული მოწმობაც მოგვეპოვება. ხალხური ლექსი მოგვითხრობს: „კახეთს მოჭრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა".[640] ხანდახან, ისრებს რთული ორნამენტითაც ამკობდნენ. მღვიმევის

---

[631] იქვე, 160-1. ეს განსხვავება შესაძლოა აიხსნას, აღმოსავლეთში ზროს მასალად ბამბუკის (ლერწმის) ფართო გავრცელებით, სადაც ყუნწის ჩამაგრება იოლი იყო. William Watson, "The Chinese Contribution to Eastern Nomad Culture in the Pre-Han and Early Han Periods," *World Archaeology*, vol. 4, no. 2 (1972), 145.

[632] *Arab Archery*, 109-10.

[633] იქვე, 111-2.

[634] Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 61.

[635] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 30.

[636] *Arab Archery*, 110.

[637] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 40.

[638] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 172.

[639] Медведев, "Ручное метательное оружие," 52.

[640] ჯავახიშვილი, *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის*, 244.

გამოქვაბულის ისრების ზრო სხვადასხვა ფერის (წითელი, ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი) რომბებითა და წითელი რგოლებით იყო მოხატული.[641]

ისრები იყოფა ჯგუფებად (პირის განივკვეთის მიხედვით) და ტიპებად (პირის ფორმის მიხედვით).[642] განივკვეთის მიხედვით ყველა ისრისპირი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: სამფრთიანი, ბრტყელი და წახნაგოვანი. სამფრთიანი ისრისპირები ადრე შუასაუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი. X საუკუნის შემდეგ მათი ერთეული ეგზემპლარები თუ გვხვდება.[643] ბრტყელ ისრისპირებს განივკვეთში თხელი ლინზის ან ძლიერ გაბრტყელებული რომბის ფორმა აქვს. ისინი საყოველთაოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების ბოლომდე. წახნაგოვანი (დაკუთხული) ისრისპირები (სამკუთხა, ოთხკუთხა და სხვ.) მახვილი წვერით ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე გამოჩნდა და ჯავშანგამტანი დანიშნულებისაა.[644]

სამფრთიან ისარს დიდი ხნის განმავლობაში ყველგან გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. ისინი პირველად ნაპოვნია ამიერკავკასიაში (ლელვარის და განძა-ყარაბახის კულტურების სამარხებში) ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების მიჯნაზე. დასავლეთ აზიაში მათ ვერ დავათარიღებთ ძვ.წ. VII საუკუნის შუახანებზე ადრე, ჩრდილოეთ კავკასიაში კი ძვ.წ. VI საუკუნემდე არ იყო ცნობილი. დაახლოებით ამავე პერიოდში, ძვ.წ. VIII-VII სს. მიჯნაზე, სამფრთიანი ისრისწვერები ჩნდება ჩინეთშიც.[645] XII საუკუნის დასაწყისისათვის სამფრთიანი ისრისპირები პრაქტიკულად ქრება აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში. ყველაზე მეტად გავრცელებულია ფოთლის, რომბისა და ტრაპეციის ფორმის ბრტყელი ისრისპირები. ასეთი კომპლექსები გვხვდება ყივჩაღურ სამარხებში.[646]

ცნობილია, რომ XI საუკუნის დასაწყისიდან პირბრტყელი ისრები წამყვან როლს თამაშობდა მონღოლთა შეიარაღებაში.[647] სამფრთიანი ისარი, რომელიც მაღალი აეროდინამიკური თვისებებით ხასიათდება და საუკეთესოა შორ მანძილზე ზუსტი სროლისათვის, დასამზადებლად საკმაოდ შრომატევადია და კაპარჭშიც დიდი ადგილი უკავია. ინტენსიური ბრძოლის პირობებში, ახლო მანძილზე და სროლის მეტი სიხშირის დროს, ბრტყელი ისარი უფრო ეფექტური გამოდგა. ბრტყელი ისარი უფრო ადვილი დასამზადებე-

[641] მშვენიერაძე, *გამოქვაბული ნაგებობანი საქართველოში*, 29, ტაბ. 45.

[642] Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 79.

[643] Медведев, "Ручное метательное оружие," 54, 58. ამავე დროს, ციმბირში განვითარებულ შუა საუკუნეებში სამფრთიანი ისრები სრულად არ გამქრალა. Худяков, *Вооружение кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 126.

[644] Медведев, "Ручное метательное оружие," 54-5.

[645] Watson, "The Chinese Contribution to Eastern Nomad Culture in the Pre-Han and Early Han Periods," 145-6.

[646] К.А. Руденко, *Железные наконечники стрел VIII-XV вв. из Волжской Булгарии (Исследование и каталог)* (Казань, 2003), 141.

[647] Ю.С. Худяков, "Железные наконечники стрел из Монголии," *Древние культуры Монголии* (Новосибирск, 1985), 112.

ლია, მეტი ეტევა კაპარჭში და მართალია, ჩამორჩება სამფრთიანს სიზუსტეში, სამაგიეროდ, მეტი სიჩქარე აქვს და უფრო სწრაფად აღწევს მიზანს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასირებული სროლის დროს. მართალია, ბრტყელ ისრებს მომთაბარეები ჯერ კიდევ ჰუნთა დროიდან იყენებდნენ, მაგრამ მათი საყოველთაო გავრცელება მონღოლებთანაა დაკავშირებული. მონღოლთა მიერ ბრტყელი ისრების წარმატებულმა გამოყენებამ განაპირობა მათი გავრცელება მონღოლთა იმპერიაში შემავალ სახელმწიფოებშიც.[648] მონღოლთა კაპარჭში თავისი ადგილი ეკავა ფართოპირიან ბრტყელ ისრებს, რომლებიც დიდ, სისხლმდენ ჭრილობებს აყენებდა და ეფექტური იყო ცხენებისა და აბჯრით დაუცველი მოწინააღმდეგის დასაზიანებლად.[649]

წახნაგოვანი ისრისპირები ჯავშანგამტანია და მათი დანიშნულება აბჯრის გახვრეტაა. ამისთვის მათ ხშირად ფოლადისაგან ამზადებდნენ და საგანგებოდ აწრთობდნენ.[650] წახნაგოვანი ისრისპირი აღწევდა ჯაჭვის რგოლებს შორისაც.[651] აზიაში ჯავშანგამტანი ისრების განვითარების პროცესში მოხდა მაქსიმალურად დიფერენცირებული ფორმებიდან ყველაზე ოპტიმალური და მარტივი კონსტრუქციების გადარჩევა. II ათასწლეულის დასაწყისიდან მცირდება ჯავშანგამტანი ისრის ტიპები და მხოლოდ ძირითადი ჯგუფები რჩება.[652] არაბული ტრაქტატი კუთხოვანი ისრისპირების ფორმის მიხედვით განარჩევს მათ თვისებებს. მისი მიხედვით, მოკლე სამკუთხა ისრისპირი კარგია ფარისა და ლითონის აბჯრის (მუზარადის გარდა) გასახვრეტად. გრძელი სამკუთხა ისრისპირი კარგია მუზარადის და, საერთოდ, სფერული ზედაპირისთვის სასროლად, აგრეთვე, ხეში შესაღწევად. მოკლე და კომპაქტური ოთხკუთხა ისრისპირი კი კარგია ფარისა და აბჯრის საწინააღმდეგოდ.[653]

სულხან-საბა ორბელიანს მოცემული აქვს საქართველოში გავრცელებული სხვადასხვა ტიპის ისრის დასახელება და დახასიათება: „ფრთე-დაბალი და პირ-წვრილი, რომელსა ყივჩაყნი და თურქნი იქონებენ, არს *საყალნო*... ზომიერ(ი) ისარი, ფრთე-მობრტყე, და პირ-მობრტყე არს *სარჩა;* მისგან უგრძესი პირ-დიდი და ფრთე-მაღალი არს *ქიბური* [ვიეთნი სანადიროს უჴმობენ]; ისარი სარჩის მსგავსი და პირ-განპებული, მომცრო არს *ქიბორჯი;* ისარი ქიბურის მსგავსი პირ-დიდი და განპებული არს *ბოძალი;* ისარი სარჩის ტოლი სამფრთოსანი, უპირო, წვერ-მგრგვალი არს *ყოდალი;* ყოდლის(ა) უგრძესი, წვერ-მწვეტი, ჯვარედად ჩხირ-დასხმული არს *ღრჯა;* ფრთე-მაღალი, გრძელი და

---

[648] Худяков, Вооружение *кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 124-5.

[649] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 48; Худяков, Вооружение *кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 37.

[650] Медведев, "Оружие Новгорода Великого," 168.

[651] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 46.

[652] Худяков, Вооружение *кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 126.

[653] *Arab Archery*, 107-8.



სურ. 240
ისრის ტიპები საქართველოს მუზეუმში დაცული ნიმუშების მიხედვით (მასშტაბი დაცულია): ა) საყალნო (რაჭა, ექსპონატი 6-34/19, სემ), ბ) სარჩა (სვანეთი, ექსპონატი 506, სიემ), გ) ქიბური (ლეჩხუმი, ექსპონატი 5-34/13, სემ), დ) ქიბორჯი (ექსპონატი ა494, სემ), ე) ბოძალი (სვანეთი, სიემ).

გრკალ-შემობმული არს *სეფქა;* უფრთო, უპირო ისარი არს *გეზი*“.[654] ვახუშტი ბატონიშვილს ჩამოთვლილი აქვს ყველაზე უფრო გავრცელებული ისრის ტიპები, რომელთა დასახელებები ემთხვევა საბას სიას: „ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათჳს, ქეიბური მჭეცთათჳს, სარჩა და ქიბორჯი წვრილთა ნადირთათჳს... ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნო ომსა-ბრძოლასა შინა“.[655] XII საუკუნის საქართველოში გვხვდება კიდევ ერთი ტიპის ისარი, რომლის სახელწოდებაც „ვისრამიანმა“ შემოგვინახა და რომელსაც *უტევანი ისარი* ერქვა. უტევანი სწრაფი და შორ მანძილზე სატყორცნი ისარი იყო.[656]

ზემოთ მოყვანილი აღწერილობებიდან ცხადია, რომ *საყალნო* პირწვრილი ჯავშანგამტანი ისარია, რომელსაც დაბალი ფრთები ჰქონდა. საშუალო ზომის ბრტყელ ისარს *სარჩა* ერქვა, დიდი ზომის ბრტყელ ისარს კი – *ქეიბური*. თავისი ზომიდან გამომდინარე, ქეიბურს მაღალი ფრთები სჭირდებოდა. სარჩასა და ქეიბურს ძირითადად რომბისებური ფორმა ჰქონდათ და მრავალმხრივი დანიშნულების ისრები იყვნენ. მომცრო და ზომიერ ორკაპა ისარს *ქიბორჯი* ერქვა, დიდი ზომისას კი – *ბოძალი*, რომელიც გრძელი იყო და მაღალი ფრთები ჰქონდა.[657] სამფრთიან, წვრილ წვერმრგვალ ანუ სადგ-

---

[654] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 335-6. ვ. ართილაყვა ფიქრობს, რომ *გეზი* დიდი ზომის სადგისისებური ჯავშანგამტანი ისარი იყო. Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии*, 111.

[655] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 18.

[656] ალექსანდრე გვახარია, „კვლავ „უტევანის“ შესახებ“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, რედ. ო. ცქიტიშვილი (თბილისი, 1991), 407-9.

[657] უნდა ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიასა და არქეოლოგიაში ორკაპა ისრების აღწერისას, მათ უმთავრესად როგორც ბოძალს ისე მოიხსენიებენ და საერთოდ უგულებელყოფენ ქიბორჯის არსებობას. არადა, საბა გარკვევით უჩვენებს, რომ ეს ისრები ერთმანეთისაგან ზომით განსხვავდება: ქიბორჯი მომცრო და ზომიერია, ბოძალი – დიდი და მასიური. სასურველია,

ისისებურ ისარს *ყოდალი* ეწოდებოდა. ყოდალი ჯავშანგამტანი ისრების კატეგორიას მიეკუთვნება.[658] მოკლე მრგვალი ისრისპირი განსაკუთრებით კარგი იყო ფარში შესაღწევად, გრძელი კი აბჯრისა და ხის საწინააღმდეგოდ.[659] ღრჯა სანადიროდ (ალბათ, ფრინველზე) გამოიყენებოდა და წვერზე დამაგრებული ჰქონდა ხის ჯვარედი, რომ მიზანს ერთი ღრჯა მაინც მოხვედრ დროდა.[660] (სურ. 240)

ორკაპა ისარი საბრძოლოც იყო და სანადიროდაც გამოიყენებოდა. ორი წვერის წყალობით, ის მეტ ფართობს აზიანებდა.[661] ვახუშტი წერს, რომ დიდი ორკაპა ისარი (ბოძალი) დიდი ნადირისათვის იყო განკუთვნილი, მომცრო ორკაპა (ქიბორჯი) კი – წვრილი ნადირისათვის.[662] ამავე დროს ცხადია, რომ ქიბორჯის ტიპის ორკაპა ისრები საბრძოლოდაც გამოიყენებოდა. საქართველოს სინამდვილეში ამას ვანის სამარხში ნაპოვნი საისრე კომპლექტიც ადასტურებს, სადაც ორკაპა ისრები დიდი წილითაა (50%) წარმოდგენილი.[663] ჩრდილო კავკასიასთან შედარებით, საქართველოში ორკაპა ისარი უფრო ადრე არის გავრცელებული. VIII-IX საუკუნეების წებელდის კანკელზე უკვე ჩანს ასეთი ისრით შეიარაღებული წმ. ევსტათე პლაკიდა. ორკაპა ისრის ნამტვრევი ნაპოვნია ურბნისის ნაქალაქარის გათხრებისას.[664] სავარაუდოდ, ის აქ უნდა მოხვედრილიყო VIII საუკუნის 30-იან წლებში მურვან ყრუს მიერ ურბნისის დანგრევის დროს, რის შემდეგაც ურბნისმა, როგორც ქალაქმა, შეწყვიტა არსებობა.[665] ვ. კუზნეცოვის მოწმობით, ჩრდილოეთ კავკასიაში ორკაპა ისრები მხოლოდ X საუკუნეში ჩნდება.[666] ამ აზრს სხვა მკვლევრებიც იზიარებენ, რომლებიც თვლიან, რომ ჩრდილო კავკასიაში ორკაპა ისრები X საუკუნემდე არ გვხვდება.[667]

მომავალში ეს ფაქტორი გავითვალისწინოთ ისრების აღწერისას და შემოვიღოთ მათი კლასიფიკაცია ზომების მიხედვით. შესაძლებელია, 15-17 სმ-მდე ზომის ორკაპა ისრები ქიბორჯად მივიჩნიოთ, მასზე დიდი კი – ბოძალად. თავისთავად ცხადია, ეს ზომები მომავალში კიდევ უნდა დაზუსტდეს და ყურადღება ისრის სიგანესა და მასიურობასაც მიექცეს.

[658] Артилаква, *Железообрабатывающее ремесло древней Грузии*, 111.

[659] *Arab Archery*, 108. XVIII საუკუნეშიც მოჰამედ ზამანის ტრაქტატი მრგვალ და კონუსურ ისრებს ასახელებს ფარის გამხვრეტად. Manouchehr Moshtagh Khorasani, Bede Dwyer, "A Persian Archery Manual by Mohammad Zamān," *RAMA*, 11 (2016), 54.

[660] იხ. ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 33.

[661] А.В. Арциховский, *Древнерусские миниатюры как исторический источник* (Москва, 1944), 21.

[662] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 18.

[663] ვანის სამარხში აღმოჩენილი ორკაპა ისრების ტიპოლოგიის შესახებ იხ. წურწუმია, „ვანისა და ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის", 170-2.

[664] ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი*, 125, სურ. 55.11.

[665] ლევან ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, ტ. II (თბილისი, 1970), 65-6.

[666] В.А. Кузнецов, "Змейский катакомбный могильник (по раскопкам 1957)," *Материалы по археологии и древней истории Северной Осетии*, т. 1 (Орджоникидзе, 1961), 126.

[667] Каминский, Каминская-Цокур, "Вооружение племен Северного Кавказа в раннем средневековье," 66. ორკაპა ისრები X საუკუნეში ჩნდება რუსეთშიც, თუმცა აქ ისე არ მოუკიდებია ფეხი, როგორც ციმბირსა ან კავკასიაში. რუსულისაგან განსხვავებით, ციმბირული და კავკასიური

ქართული ისრის კიდევ ერთი ტიპი უცხოურმა წყაროებმა შემოგვინახა. XI საუკუნის ირანელი ავტორი ასადი ტუსი თავის ლექსიკონში მოგვითხრობს ისარზე, რომელსაც *თამუქი* ეწოდება და საქართველოდან (აფხაზეთიდან) გავრცელდა სხვა ქვეყნებში. მასზე ისრის პირს საგანგებოდ სუსტად ამაგრებდნენ, რომ სხეულში შეღწევის შემდეგ ამოძრობა გაძნელებულიყო. ასეთი ისარი X ს. სპარსულენოვან სამყაროში უკვე ისეა გავრცელებული, რომ ლექსებშიც გვხვდება. ირანელი მკვლევრის აბუ ალ-კასიმ ჯანათი ატაის განმარტებით, *თამუქი* სამფხიანი ფართო პირიანი ისარი იყო, რომლის პირიც, ტარის ამოძრობისას, ჭრილობაში რჩებოდა და ამიტომ, მომაკვდინებლად ითვლებოდა.[668] ირანელი მკვლევარი უთუოდ მართალია, როდესაც თვლის, რომ ისარს ფხები ჰქონდა, რაც ამოძრობას ართულებდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისრის პირს ზროზე მხოლოდ ყუნწით ამაგრებდნენ და ზედ არ ახვევდნენ მყესებს სიმაგრისათვის, ეს კი ლითონის პირისა და ხის ტარის ადვილად განცალკევებას განაპირობებდა. ასევე, შევნიშნავთ, რომ ამ ტიპის ისარი სპეციალიზებული იქნებოდა მტრის შეუჯავშნავი სამიზნეების საწინააღმდეგოდ, რადგანაც აბჯარზე მოხვედრისას თამუქს სიმტკიცე არ ეყოფოდა მის გასატანად. შუა საუკუნეების ეპოქაში ასეთი სამიზნეების სიმცირე ნამდვილად არ იყო, ნებისმიერი არმიის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო სრულად შეჯავშნული.

აზიის მომთაბარეების არსენალში გვხვდება განსაკუთრებული სახის ისარი, რომლის ზროზე, პირის ქვეშ, მაგრდებოდა ძვლის გამოფუღუროებული ბურთულა სამი ნახვრეტით; ასეთი ისრები ფრენისას სტვენის ხმას გამოსცემდნენ.[669] მსტვინავ ისრებს იყენებდნენ როგორც სასიგნალოს და ის სროლის მიმართულებას უჩვენებდა.[670] ფრენის დროს მბრუნავი ისარი გამყინავ ხმას გამოსცემდა, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებდა მოწინააღმდეგეზე და აფრთხობდა მის ცხენებს.[671] ასეთი ისრის გამოგონებას ტრადიცია ჰუნების მმართველს მოდეს მი-

---

ორკაპა ისრების ყუნწები ისრის თავზე უფრო გრძელია. Медведев, "Оружие Новгорода Великого," 167.

[668] გია ბერაძე, „თამუქი („ლუღათ-ი ფურსის" ერთი ცნობის შესახებ)", *აღმოსავლური ფილოლოგია*, III (1973), 76-9. სამი ფხა ნიშნავს, რომ ისარი სამფრთიანი იყო.

[669] Ю.С. Худяков, "О вооружении таштыкского воина." *Древние культуры Алтая и Западной Сибири* (Новосибирск, 1978), 167.

[670] ამასთანავე, მიზანში მოხვედრის დროს ძვლის ბურთულა ისრის ზროს გახლეჩისაგანაც იცავდა. Худяков, *Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии*, 43.

[671] იქვე, 42-3. ფრენისას თავისი ღერძის გარშემო მბრუნავი ისარი, შემხვედრი ჰაერის ნაკადის გარდა, განიცდიდა გვერდითი ქარის ზემოქმედებასაც (რაც, რა თქმა უნდა, ამინდზე იყო დამოკიდებული). ამ დროს სასტვენის ხვრელი პერიოდულად ეხებოდა ქარს და სტვენის ხმა არ იყო უწყვეტი და მუდმივი, არამედ წყვეტილი, „მოციმციმე" და შიშის ზარს სცემდა ადამიანს ბრძოლის ველზე. В.И. Поветкин, "Слово о музыкальной археологии России." *Новгород и Новгородская земля. История и археология*, материалы научной конференции, вып. 11 (Новгород, 1997), 64-76.

სურ. 241
მსტვინავი ისრები: ა) სვანური სამფრთიანი მსტვინავი ისარი. ჩართოლანის მიხედვით; ბ) ლითონის ფოსოიანი მსტვინავი ისრისპირი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი; გ) სამფრთიანი მრავალნახვრეტიანი მსტვინავი ისრისპირი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტოები.

აწერს, ძვ.წ. III საუკუნის დამლევს.[672] მათ ფართოდ იყენებდნენ მონღოლურ ხანაში. ყარაყორუმში მყოფი საფრანგეთის მეფის ელჩი გიიომ რუბრუკი მოგვითხრობს, რომ მონღოლთა ყაენმა მანგუმ დაამზადებინა ისრები, რომელთა თავებს ნახვრეტები ჰქონდა და სროლისას სალამურივით სტვენდნენ.[673]

მსტვინავ ისრებს შუა საუკუნეების საქართველოშიც იყენებდნენ და ისინი კიდევ ერთ მონღოლურ ნასესხობად უნდა ჩაითვალოს. შ. ჩართოლანი აღწერს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცულ სამფრთიან ისარს, რომელსაც აქვს „მეწამულად შეღებილი ზრო და ზროს ბოლოში ჩასმული, საგანგებოდ გათლილი ძვლის მრგვალი ნაწილი სამი ნახვრეტით“[674] (სურ. 241ა). როგორც ეს აღწერილობიდან და ნახაზიდან ჩანს, საქმე გვაქვს სამფრთიან მსტვინავ ისართან, რომლის რკინის პირსა და ხის ზროს გამოფუღუროებული ძვლის ბურთულა აკავშირებს და გააჩნია დამახასიათებელი სამი ნახვრეტი ფრენისას ხმის გამოსაცემად.

საქართველოში ასეთი ისარი ნაპოვნია აფხაზეთის ტერიტორიაზეც, ნაფრას უღელტეხილის სამსხვერპლოში, სადაც აღმოჩენილია შუასაუკუნოვანი ისარი ფუღურო შემსხვილებით, რომელსაც ნახვრეტები ჰქონდა და ფრენისას სტვენის ხმას გამოსცემდა.[675]

ამას გარდა, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ მსტვინავ ისარს უფრო გამარტივებული კონსტრუქცია ჰქონდა და ხმის გამოსაცემი ნახვრეტები არა ძვლის დამატებით ბურთულაში, არამედ პირდაპირ ისრის-

---

[672] Худяков, *Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии*, 150.

[673] *The Mission of Friar William of Rubruck: His Journey to the Court of the Great Khan Möngke, 1253-1255*, translated by Peter Jackson, introduction, notes and appendices by Peter Jackson with David Morgan (London, 1990), 185.

[674] ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*, 44, ტაბ. XXIX-3. თუმცა, მკვლევარი ცდება, როდესაც უარყოფს ისრის პრაქტიკულ დანიშნულებას: „ასეთი მხატვრული მაჩვენებლები გამორიცხავს ჩვეულებრივი ისრისპირების სახით მათ გამოყენებას“. იქვე.

[675] О.Х. Бгажба, Ю.Н. Воронов, “Материалы по средневековому кузнечному ремеслу из горной Абхазии (Жертвенник на перевале Напра),” *ИАИЯЛИ*, VII (1978), 187; О.Х. Бгажба, *Черная металлургия и металлообработка в древней и средневековой Абхазии (VIII в. до н.э. – XV в. н.э.)* (Тбилиси, 1983), 92.

პირის ლითონის კორპუსში გააჩნდა. ასეთია კიდევ ერთი სამფრთიანი სვანური ისარი, რომელსაც რკინის ისრისპირი აქვს შემსხვილებული და დახვრეტილი. შ. ჩართოლანის მონაცემებით, ის ლაგურკას ეკლესიაში იყო დაცული, ჭვირული და რელიეფური ორნამენტით მორთული და ოქროთი დაფერილი[676] (სურ. 241ბ). სტვენასთან ერთად ოქროცურვილი ისარი სროლისას ჰაერში იელვარებდა: შესაძლოა, მას საგანგებოდ იყენებდნენ შეჯიბრისა და ტურნირის დროს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია განსაკუთრებული ტიპის მსტვინავი ისარი (ექსპონატი 3637), რომელსაც, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, მრავალი ფოსო და ნახვრეტი გააჩნია (სურ. 241გ). ამ სამფრთიანი ისრის საერთო სიგრძე 16.2 სმ-ია, პირის სიგრძე – 9.3 სმ, სიგანე 4.4 სმ, წონა – 51 გ. ასეთი რთული კონსტრუქცია მისი შემქმნელის ოსტატობაზე მეტყველებს – ისარი ჯერ შესაბამის ყალიბში უნდა იყოს ჩამოსხმული, შემდეგ კი გამოჭედილი, რასაც სათანადო დახელოვნება და საკმაო დრო სჭირდება. თავისთავად, ასეთი ნაკეთობა ქართული სამჭედლო სკოლის მაღალი დონის კიდევ ერთი დასტურია. ცხადია, რომ ასეთი დახვეწილი და მდიდრული ისრების მფლობელები განსაკუთრებული სტატუსის მქონე, უმაღლესი ფეოდალური საზოგადოების წევრები იქნებოდნენ.



სურ. 242
მხატვრულად გაფორმებული ჭვირული ისრისპირი. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

გარდა საბრძოლო ისრებისა, საქართველოში ნაპოვნია დეკორირებული ჭვირული ისრისპირები, რომელთაც საკულტო და ცერემონიული დანიშნულება ჰქონდათ. მესტიის მუზეუმში ინახება ბრტყელი ისრისპირები, რომელთა ფრთების ზედაპირზე დეკორატიული ჭრილები არის დატანილი.[677] ზოგ შემთხვევაში ეს ჭრილები რთულ და შთამბეჭდავ კომპოზიციას ქმნის (სურ. 242). მართალია შ. ჩართოლანი, როდესაც მიუთითებს, რომ ასეთი ქართული ისრები არის „მხატვრულად გაფორმებული ნიმუშები, რომელთაც საკულტო-საპარადო თუ ხელისუფლების, ინსიგნიის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა".[678] ცნობილია, რომ სიმბოლურად ისრებს გააჩნდათ სახელისუფლო და საელჩო უფლებამოსილება, ისინი გამოხატავდნენ იარაღის ფუნქციას, მათ იყენებდნენ შელოცვების დროსაც.[679]

საქართველოში ისარს შინდის, ტყემლის, ფიჭვის, ვერხვის, ცაცხვის, თხილისა და სხვ. ხის ტოტებისაგან ამზადებდნენ, რომელთაც შემდეგ საგანგებოდ

---

[676] ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*, 44, ტაბ. XXIX-2.

[677] ისრის პირზე ჭრილების გაკეთება ჩრდილოაზიური მოვლენაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ძვ.წ. I ათასწლეულის დამლევს – ახ.წ. II დამდეგს. ისინი ჰუნებში ჩნდება და ქრებიან მონღოლური ხანის შემდგომ. ერთი ხანობა ასეთი ჭრილიანი ისრები მსტვინავადაც კი მიაჩნდათ, თუმცა ამ მოსაზრების მცდარობა ექსპერიმანტულადაა დადასტურებული. Ю.А. Плотников, "О назначении отверстий в лопастях стрел," *Вопросы военного дела и демографии Сибири в эпоху средневековья* (Новосибирск, 2001), 79-80.

[678] ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*, 44.

[679] Ю.С. Худяков, "О символике стрел древних и средневековых кочевников Центральной Азии," *Этнографическое обозрение*, 1 (2004), 111.

სურ. 243
მეგრელი ბავშვი მშვილდისრით. კასტელის მიხედვით.

თლიდნენ და ამუშაებდნენ.[680] ისრის გამკეთებელს, მის მთლელს *ჯოლბორდი* ერქვა.[681] ამავე დროს, „ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა" ყველა კარგ მოყმეს უნდა სცოდნოდა,[682] რადგან ისარი ინდივიდუალურად უნდა ყოფილიყო მორგებული. ეახტანგ V შაჰნავაზის შვილი „არჩილ იყო უხუცესი. ესე იყო კისკას, შუენიერ, მობურთალი, მოისარი. ყოველის კაცის ისარზედ ერთი ჴელის დადება ისარი უგრძე ჰქონდა. და არა იყო მსგავსი მისი".[683] ცხადია, ასეთ შემთხვევებში მებრძოლს შესაფერი სიგრძის ისარი სჭირდებოდა.

საქართველოში ისრის სროლას ადრეული ასაკიდანვე სწავლობდნენ. სავარჯიშო ისარს თავის სახელი ჰქონდა – „ყრმათა ისარცუდასა *წინწკიტელა*" ეწოდებოდა.[684] ამ გარემოებას კასტელიც ადასტურებს: „აქ ჩვილი ასაკიდანვე ეჩვევიან სროლას. ძალიან ხშირად გავუკვირებივარ ბავშვებს, როცა მინახავს მათ მიერ მშვილდისრით მოკლული მელა"[685] (სურ. 243).

სამალი

თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანი იძლევა ისრის სასროლი ერთი საინტერესო მოწყობილობის აღწერას, რომელსაც, როგორც ჩანს, ქართველებიც იყენებდნენ: „*სამალი* არს ღარი რკინისა (სა)სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი. სამალი არს მოკლე ისარი ღარით სასროლი";[686] „*სამალი* – ისრის სასროლი ღარი".[687] აქ ქართველი ლექსიკოგრაფი საუბრობს მოწყობილობაზე, რომლის საშუალებითაც მოკლე ისარს ისროდნენ. შუა საუკუნეებში ამ მიზნით ორი სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციას იყენებდნენ.[688]

ერთი მათგანია თურქული სიპერი, რომელიც მაჯაზე დამაგრებული

---

[680] ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 31-4; გასიტაშვილი, „ხეესურული აბჯარი", 84. შინდისაგან არის გათლილი მღვიმეების გამოქვაბულში ნაპოვნი ისრის ზროებიც. მშვენიერაძე, *გამოქვაბული ნაგებობანი საქართველოში*, 29.

[681] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 460.

[682] არჩილი, „საქართველოს ზნეობანი", 6.

[683] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 435.

[684] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 335.

[685] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 57, სურ. 156.

[686] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 335-6.

[687] იქვე, II, 36.

[688] გ. კოკოშაშვილი შეცდომას უშვებს, როდესაც სამალს მიიჩნევს ლითონის მილად, საიდანაც ისრის გასროლა სულის ჩაბერვით ხდებოდა და მის გამოყენებას სადაზვერვო ოპერაციებში ვარაუდობს. გიორგი კოკოშაშვილი, „ისარი როგორც სასროლი იარაღი საქართველოში", *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, 2 (2010), 317.

ღარი იყო, რომელიც ისრის მოზიდვის სიგრძეს დამატებით ხუთი სანტიმეტრით ზრდიდა. ტერმინი სპარსული *siper* ანუ *ფარი*-დან მომდინარეობს.[689] სიპერი უფრო ჩვეულებრივი ისრის გრძლად მოზიდვისათვის ანუ მეტი ძალით სროლისათვის იყო გამოსადეგი.[690] (სურ. 244)

მეორე ტიპის მოწყობილობას ბიზანტიაში *სოლენარიონი*,[691] ისლამურ სამყაროში კი სპარსულად *ნავაკი* და არაბულად *მაჯრა* ეწოდებოდა. *ნავაკი* ისრის მიმმართველი თხელი, ამოღარული ხეა,[692] ისარზე დაახლოებით ორჯერ სქელი,[693] ჩვეულებრივი ისრის სიგრძის ან ცოტათი (ორი თითით) მეტი,[694] სხვა მონაცემით კი – სამი ან ოთხი თითის სიგრძით მეტი.[695] (სურ. 245)



სურ. 244
თურქული სიპერი. პატერსონის მიხედვით.

ასეთი საისრე ღარი ჩვეულებრივი მშვილდით უფრო პატარა, მაგრამ სქელი ისრის სროლის საშუალებას იძლეოდა: რაც უფრო პატარაა ისარი, მით მეტია მისი აეროდინამიკური ეფექტურობა, მისი სისქე ანუ მეტი წონა კი დარტყმის ძალას ზრდიდა.[696] ნავაკით მსროლელი გარკვეულ უპირატესობასაც ფლობდა: ჩვეულებრივთან შედარებით მას ორჯერ მეტი პატარა ისრის წაღება შეეძლო, პატარა ისარი ფრენისას უფრო ძნელი შესამჩნევია და მოწინააღმდეგე მას ვერ გამოიყენებდა.[697] ამავე დროს, ჩვეულებრივ მშვილდთან შედარებით ნავაკით სროლის ტემპი უფრო დაბალი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ისრის ღარში მორგებაა გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა.



სურ. 245
მარტივი ნავაკი (მაჯრა). ლეითამ-პატერსონის მიხედვით.

ქართული *სამალი* მეორე ტიპის მოწყობილობა უნდა იყოს, ბიზანტიური *სოლენარიონის* თუ აღმოსავლური *ნავაკის* (*მაჯრა*) მსგავსი. მათგან ნასროლი ისრის სიგრძე 20 სმ-ს არ აღემატებოდა.[698]

---

[689] W. F. Paterson, *Encyclopaedia of Archery* (London, 1984), 96.

[690] *Arab Archery*, 174.

[691] სოლენარიონი, რომელიც პირველად მავრიკიოსის *სტრატეგიკონში* მოიხსენიება, ჯ. ჰალდონმა ბიზანტიურ არბალეტთან გააიგივა. John Haldon, "Solenarion: The Byzantine Crossbow?" *University of Birmingham Historical Journal*, 12 (1970), 155-7. ამ მოსაზრებას ბევრი მომხრე გამოუჩნდა, თუმცა დ. ნიშიმურამ აჩვენა, რომ საქმე უფრო ისრის მიმმართველთან უნდა გვქონდეს. David Nishimura, "Crossbows, Arrow Guides, and the *Solenarion*," *Byzantion*, 58 (1988), 422-35. შემდგომში, ეს პოზიცია ჰალდონმაც გაიზიარა. Haldon, "Some Aspects of Early Byzantine Arms and Armour," 78.

[692] ფორმით ის ჰგავს *ნავ*-ს, აქედან – სპარსული ტერმინი *ნავაკ*-ი. Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 310.

[693] *Arab Archery*, 174.

[694] *Munyatu 'l-Ghuzāt: A 14th-Century Mamluk-Kipchak Military Treatise*, 76-7.

[695] *Arab Archery*, 126.

[696] Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 161.

[697] *Saracen Archery: An English Version and Exposition of a Mameluke Work on Archery (ca. A.D. 1368)*, with introduction, glossary, and illustrations by J. D. Latham, W. F. Paterson (London, 1970), 145. აგრეთვე იხ. David Nicolle, *Sassanian Armies: The Iranian Empire Early 3rd to mid-7th Centuries AD* (Stockport, 1996), 24.

[698] Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 163.

სწორედ ეს ზომა აქვს მოცემული საბასაც, რომლის მიხედვითაც სამალის „ისარი მტკაველზედ მეტი"-ა, მტკაველი კი დაახლოებით 20 სმ-ია.

ისლამურ სამყაროში *ნავაკი* (*მაჯრა*) არბალეტის წინამორბედად ითვლებოდა, როგორც ეს პირდაპირ არის მითითებული ცნობილ არაბულ ტრაქტატში მშვილდოსნობის შესახებ. ამისათვის საკმარისი იყო მშვილდი დაემაგრებინათ მაჯრაზე, დაემატებინათ საკეტი და სასხლეტი, ბოლოში კი – უზანგი ფეხით მოზიდვისათვის.[699]

რაც შეეხება თავად არბალეტს, იოანე შავთელის ერთი სტროფის საფუძველზე („მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა"),[700] ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ქართველები მას იყენებდნენ დიდგორის ბრძოლაში.[701] ასეთი ბუნდოვანი ცნობის საფუძველზე არბალეტის არსებობის მტკიცება ქართულ შეიარაღებაში შეუძლებელია. „მშვილდთა მაზრაკა"-ში უნდა იგულისხმებოდეს მშვილდი და მოკლე სასროლი შუბი (*მაზრაკი*). თუკი ავტორი აქ ერთ იარაღს აღწერს, უფრო ბალისტაა საფიქრებელი, რომელიც ხელშუბის სიგრძე ისარს ისროდა და არა არბალეტი, რომელიც მოკლე და არა ხელშუბის სიგრძე ისარს ისვრის. მითუმეტეს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში არბალეტის არათუ რაიმე გამოსახულება, წყაროებში უბრალო მინიშნებაც კი არ მოგვეპოვება.

არბალეტი არ გამოიყენებოდა არც ბიზანტიურ არმიაში და დასავლეთევროპელთა შეიარაღებაში მისმა გამოჩენამ ბიზანტიელთა გაოცებაც კი გამოიწვია.[702] მართალია, რომაული სამყარო იცნობდა არბალეტის ტიპის იარაღს, არბალეტის გამოსახულებები მოგვეძევება გვიან რომაულ ხანაშიც (V ს.), მაგრამ შემდეგ არბალეტი ქრება და მხოლოდ IX საუკუნეში ჩნდება დასავლეთ ევროპაში.[703]

გვიან შუასაუკუნეებში, როგორც ჩანს, არბალეტის ტიპის იარაღი საქართველოშიც გამოჩნდა. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მისი სახელიცაა შემონახული: სვანეთში მას „ცხემად"[704] ეწოდებოდა, ხევსურეთში კი – „სასხლეტიანი" მშვილდი.[705] მის ფართო გავრცელებაზე ან რაიმე საბრძოლო მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მშვილდის ბუდე (ხილიფა)

მშვილდის ბუდეს *ხილიფა* ეწოდებოდა.[706] ის იცავდა მშვილდს გარემოს არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან.

ძველად სკვითები და მათი მეზობლები იყენებდნენ გორიტს – ხის ბუდეს, სადაც საბელგადაცმული მშვილდი და ისრები იყო მოთავსებული.

---

[699] *Arab Archery*, 12, 174.

[700] იოვანე შავთელი, *აბდულ-მესიანი*, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და განმარტებით (თბილისი, 1915), 26.

[701] სარგის კაკაბაძე, *დიდგორის ომი* (თბილისი, 1982), 72-3.

[702] Anna Komnene, *The Alexiad*, 282-3.

[703] Kolias, *Byzantinische Waffen*, 240-1.

[704] „ც" საწყისი ასოა ისრის სვანური სახელწოდებისა – „ცხუ/ცხვი", „ჴემად" კი სვანურად მშვილდს ნიშნავს. ჩართოლანი, *მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის*, 39.

[705] ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 31.

[706] „*ხილიფა* – მშვილდის ჩასადებელი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 423.

სურ. 246
ნახევარმშვილდის ფორმის ხილიფით მხედრები H1665 დავითნის 198v (ა) და ავთანდილი H599 „ვეფხისტყაოსნის" 89-ე (ბ) მინიატურაზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

შუა საუკუნეების დასაწყისში ევრაზიის მომთაბარეები უკვე საბელდაშვებულ მშვილდს ინახავდნენ გრძელ და წვრილ ბუდეში. IX-X საუკუნეებში მომთაბარეები ისევ საბელგადაცმულ მშვილდს ატარებენ შესაბამისი ფორმის ბუდეში.[707]

მშვილდის გაძლიერებამ გაართულა საბელის სწრაფად გადაცმა და აუცილებელი გახადა ახალი ფორმის შალითის შემოღება.[708] ახალ ბუდეს ჰქონდა დაჭიმული მშვილდის ნახევრის ფორმა, რომელიც საშუალებას იძლეოდა ეტარებინათ საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი, საბელგადაცმული მშვილდი.[709] როგორც წესი, ხილიფა ხის კარკასზე გადაკრული ტყავი იყო, რომელსაც ბრტყელი ფორმა ჰქონდა.[710]

ნახევარი მშვილდის ფორმის შალითები განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება მონღოლთა ბატონობის პერიოდში. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართველებიც ამ ტიპის მშვილდის ბუდეს იყენებდნენ, რაც კარგად ჩანს H1665 დავითნის მინიატურებზე (სურ. 246ა). ნახევარმშვილდის ფორმის შალითებს ვხედავთ თავქარაშვილისეულ „ვეფხისტაოსანშიც" (სურ. 246ბ). მინიატურებიდან ირკვევა, რომ მშვილდის ბუდეს ყოველთვის მარცხნივ იკიდებდნენ სარტყელზე.

---

[707] А.В. Крыганов, "Налучья и их ношение раннесредневековыми кочевниками Евразии," *Культуры Евразийских степей второй половины I тысячелетия н.э.* (Самара, 1996), 344.

[708] Nicolle, "Arms of the Umayyad Era," 59.

[709] Худяков, *Вооружение кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 129.

[710] Медведев, "Ручное метательное оружие," 23.

ხილიფას ხშირად რთავდნენ ძვლის ორნამენტული ფირფიტებით.[711] ძვლის ფირფიტებით მორთული კაპარჭი საქართველოშიც იყო გავრცელებული. ამის შესახებ XIII საუკუნის სპარსული გეოგრაფიული ტრაქტატის „აჯაიბ ად-დუნიას" („სამყაროს საკვირველებანი") ცნობა მეტყველებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან სპილოს ძვლით ინკუსტრირებული მშვილდის შალითები და კაპარჭები გაჰქონდათ: „[თბილისური] საქონელია: სპილოს ძვლით გაწყობილი ... კაპარჭები და ხილიფები".[712]

კაპარჭი

ისრების ჩასაწყობ ბუდეს *კაპარჭი* ეწოდება.[713] აღმოსავლური წყაროების მოწმობით, კაპარჭში 25-30 ისარი ეტეოდა,[714] თუმცა მეტი ან ნაკლები მოცულობის კაპარჭიც არსებობდა.[715] საბას მიხედვით, დიდი ზომის კაპარჭს *ნიჯგორი* ეწოდებოდა.[716]

ძირითადად ორი ტიპის კაპარჭი არსებობდა: გრძელი ცილინდრული და უფრო მოკლე, ბრტყელი, გახსნილი აბგის მსგავსი.[717] ცილინდრულ კაპარჭში ისრები წვერით ზემოთ და ფრთებით ქვემოთ იდებოდა. ასეთი კაპარჭი ქვემოთ ფართოვდებოდა, რომ ისრის ფრთები თავისუფლად და დაუზიანებლად მოთავსებულიყო.[718] დახურული ფორმის ცილინდრული კაპარჭი კარგად იცავს ისრებს გარემო პირობების ზემოქმედებისა და ფიზიკური დაზიანებისაგან. ასეთ კაპარჭში ისრები ქსოვილის აბგაში მოთავსებული იდებოდა. ამოღებისას ისარს წვერს ქვემოთ კიდებდნენ ხელს და კაპარჭიდან ამოაძრობდნენ. შემდეგ ისრიანი ხელი მიჰქონდათ მარცხენა, მშვილდიანთან და ისარს გადასცემდნენ, მარჯვენა ხელს კი ჩამოაყოლებდნენ ისრის ზროს კილომდე და მოარგებდნენ საბელს. ეს ძალიან სწრაფად ხდებოდა. გაუფრთხილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა ისრის ამოღებისას სიჩქარეში მის პირზე გაეჭრათ ხელი.[719]

ყუთისებური, ისრებით ზემოთ მიმართული კაპარჭი მომთაბარეებისათვისაა დამახასიათებელი და VI-VIII საუკუნეებში მკვიდრდება ევრაზიის სტე-

---

[711] Н.В. Малиновская, "Колчаны XIII-XIV вв. с костяными орнаментированными обкладками на территории евразийских степей," *Города Поволжья в средние века* (Москва, 1974), 135.

[712] *„სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1978), 29.

[713] *„კაპარჭი – ისრის ქარქაში"*. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 352.

[714] *Arab Archery*, 154.

[715] Никоноров, *"Марсов Меч" Аттилы: Военное Дело Европейских Гуннов*, 201.

[716] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 596.

[717] Nicolle, *Attila and the Nomad Hordes*, 13.

[718] Малиновская, "Колчаны XIII-XIV вв. с костяными орнаментированными обкладками на территории евразийских степей," 134.

[719] Bede Dwyer, "The Closed Quiver," *Journal of the Society of Archer-Antiquaries*, 41 (1998), http://www.atarn.org/islamic/bede/CLOSED%20QUIVER2001.htm.

პებში.[720] თავიანთი დაპყრობების კვალდაკვალ, XIII-XIV საუკუნეებში მონღოლებმა ეს კაპარჭი უზარმაზარ ტერიტორიებზე გაავრცელეს.[721]

მონღოლური შეიარაღების გავლენის ქვეშ მყოფი ქართველები ცილინდრულ კაპარჭს იყენებდნენ XIII-XIV საუკუნეებში.[722] კითხვა-პასუხის სახით დაწერილი არაბული სამხედრო ნაშრომი „სრული რჩევები სამხედრო საქმეში გასაწვრთნელად"[723] საინტერესო ცნობას გვაწვდის კაპარჭის შესახებ, რომელსაც ქართველები ატარებდნენ:

„კითხვა: როგორ შევიტყოთ საშიშროების შესახებ სიბნელეში ან ნისლში, ცუდი მხედველობის დროს?

პასუხი: აიღე კაპარჭი ზემოთ მიმართული ისრის პირებით, ისეთი, როგორსაც იყენებენ ქართველები, და დაცალე. დადე მიწაზე, დაადე თავი და გაიგონებ ფეხის ან ჩლიქების ხმას".[724]

შუა საუკუნეების ისლამური აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო სამხედრო ტრაქტატში ყუთისებური, მილძაბრა, ისრის პირებით ზემოთ მიმართული ქართული კაპარჭის მოხსენიება ნიშანდობლივია და გვიჩვენებს, რომ ცილინდრული კაპარჭი ამ პერიოდის ქართული შეიარაღებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო.

II ათასწლეულის შუა ხანებში ვრცელდება ბრტყელი კაპარჭები, სადაც ისრები ფრთებით მაღლა და ისრისპირებით ქვემოთ იყო ჩალაგებული. ისრის

---

[720] Худяков, *Вооружение енисейских кыргызов VI-XII вв.*, 112-6, таб. XXXVI; მისივე, *Вооружение средневековых кочевников Южной Сибири и Центральной Азии*, 151-2, рис. 66; მისივე, *Вооружение кочевников Южной Сибири и Центральной Азии в эпоху развитого средневековья*, 69-70, рис. 44; 84-5, рис. 53, 112-4, рис. 74; Ю.С. Худяков, В.В. Мякинников, "Колчаны древних тюрок Среднего Енисея." *Проблемы средневековой археологии Южной Сибири и сопредельных территорий* (Новосибирск, 1991), 60-3, рис. 1.

[721] Малиновская, "Колчаны XIII-XIV вв. с костяными орнаментированными обкладками на территории евразийских степей." 158-68; Ю.С. Худяков, *Вооружение центральноазиатских кочевников в эпоху раннего и развитого средневековья* (Новосибирск, 1991), 126-7. რაშიდ ად-დინის „ჯამი ათთავარიხის" („ისტორიათა კრებული") XIV საუკუნის ხელნაწერში მოგვეპოვება ბაღდადის აღების მინიატურა, სადაც მონღოლები მსგავსი კაპარჭებით არიან გამოსახულნი. Blair, *A Compendium of Chronicles: Rashid al-Din's Illustrated History of the World*, 98-9. ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმის ტიბეტურ კოლექციაში ინახება მონღოლური ტიპის ასეთი უნიკალური კაპარჭი, რომელიც რადიონახშირბადული მეთოდით 1290-1410 წლებით არის დათარიღებული. LaRocca, *Warriors of the Himalayas*, 188, fig. 91.

[722] ასეთ კაპარჭს XIII საუკუნის საქართველოში სავაჭრო ოპერაციების დროს სანყაოდაც კი იყენებდნენ, როგორც ამას ფავნელის საბუთის გვიანდელი მინაწერი მოწმობს: „თეთრსა რა ანგარიში უნდა: კაბარჭითა გარდაუწყე". „დანერილი ფავნელისა მღვიმისადმი", *ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს.*, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა (თბილისი, 1984), 18.

[723] შედგენილია მამლუქთა კავალერიისათვის 1250-1500 წლებში, მოყვანილი ნაწყვეტი დაწერილია XIII ს. მიწურულს ან XIV ს. დასაწყისში. ტრადიციულად მიეწერება მუჰამედ იბნ ისა ალ-ჰანაფი ალ-აქსარაის, რომელიც 1348 წელს გარდაიცვალა დამასკოში. Nicolle, "Know Your Weapons, Know Your Enemy: A Mamluk Training Manual."

[724] დ. ნიკოლი შენიშნავს, რომ კაპარჭის მილძაბრა ფორმის გამო ის მეგაფონს ნააგავდა და მიწაზე მის ფართო ბოლოს დებდნენ. Nicolle, "Know Your Weapons, Know Your Enemy: A Mamluk Training Manual"; მისივე, *Arms & Armour of the Crusading Era*, 79.

სურ. 247
ა) ცილინდრული კაპარჭი. H1665 დავითნის 212v მინიატურა; ბ) ბრტყელი კაპარჭი. „ვეფხისტყაოსნის" თავაქარაშვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 187. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სიგრძის 1/3 კაპარჭის ზემოთ იყო დარჩენილი.[725] ის კიდანებმა შემოიღეს X საუკუნეში, მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული მონღოლთა ბატონობის ხანში გახდა და XIV საუკუნის შემდეგ ხმარებიდან განდევნა ცილინდრული კაპარჭი.[726] XVI-XVII სს. ბრტყელი კაპარჭები ტყავისაგან მზადდებოდა. მათი სიგრძე 40-50 სმ, ხოლო სიგანე (ზედა) 17-20 სმ იყო, წონა ისრების გარეშე 600 გრამს არ აღემატებოდა.[727] ასეთ კაპარჭში, არჩილის მიხედვით, საჭირო იყო ისრების „არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანერთს მიწყობა".[728] ცხადია, რომ ისრები კაპარჭში (ქარქაშში) განსაზღვრული შუალედებით უნდა მოეთავსებინათ. ვ. ელაშვილის მიხედვით, ამ მიზნით ქარქაშის ძირში ვერტიკალურად იყო ჩამაგრებული ფრინველის ფრთის ღეროები.[729]

ორივე ტიპის კაპარჭს იკიდებდნენ სარტყელზე ან ყაწიმით მხარზე ძვლის ანჯამებისა და რკინის კაუჭების საშუალებით.[730] H1665 დავითნის მინიატურე-

[725] Соловьев, *Военное дело коренного населения Западной Сибири*, 33-4.

[726] Горелик, "Черкесские воины Золотой Орды (по археологическим данным)," 167.

[727] Медведев, "Ручное метательное оружие," 23.

[728] არჩილი, „საქართველოს ზნეობანი", 6.

[729] ელაშვილი, *მშვილდოსნობა*, 21, 34.

[730] *Arab Archery*, 154-5; Деревянко, *Очерки военного дела племен Приамурья*, 62; Ю.С. Худяков, В.В. Мякинников, "Колчаны древних тюрок Среднего Енисея," *Проблемы средневековой археологии Южной Сибири и сопредельных территорий* (Новосибирск, 1991), 60.

ბზე ქართველებს ცილინდრული კაპარჭი მარჯვენა მხარეს ქამარზე აქვთ დაკიდებული. კაპარჭი სარტყელზე ორ ადგილზე მაგრდებოდა. ეს მეთოდი მონღოლებისგანაა გადმოღებული, რომლებიც კაპარჭს ქამარზე ძვლის ფირფიტაში გაყრილი ღვედებით იკიდებდნენ.[731] წელზე კაპარჭის დაკიდების მეთოდი შენარჩუნებულია XV საუკუნეში ახალი ტიპის, ბრტყელი კაპარჭის შემოღების შემდეგაც: ამ ეპოქის გულეკარის, ჟიბიანის, თბილისის სიონისა და გურჯაანის ხატებზე და ბოდორნის საწინამძღვრო ჯვარზე კაპარჭი მარჯვენა მხარესაა ქამარზე დაკიდებული.[732] იმავე მეთოდს ვხედავთ XVII საუკუნეშიც: თავაქარაშვილის მინიატურებზე (138, 187, 255, 319) კაპარჭი კვლავ წელზეა დამაგრებული; კაპარჭი წელზე ჰკიდია ვახტანგ გურიელსაც კასტელის ჩანახატში. (სურ. 247)

შუბი

საბას მიხედვით, *შურდული* ქვის გასატყორცია.[733] შურდული დისტანციური ბრძოლის უძველესი იარაღია, რომელიც ადამიანის კუნთის ძალით ტყორცნის ქვას. ის მარტივი კონსტრუქციის და მსუბუქი იარაღი იყო, თუმცა მისი ეფექტურად გამოყენება მრავალწლიან წვრთნას მოითხოვდა.

სხვა სასროლ იარაღთან შედარებით, შურდულის უპირატესობა მისი სიმარტივე იყო. მისი შეკეთება უმოკლეს დროში ადგილზევე შეიძლებოდა.[734] შურდული იყო ორად მოკეცილი ღვედი (ან დაწნულ თასმები) შუაში ბრტყელი ნაწილით ქვის ჩასადებად.[735] ამ ბრტყელ ნაწილს *საქვე*, 50 სმ სიგრძის დაწნულ თასმებს კი – *მანა* ეწოდება.[736] თასმის ერთ ბოლო მჭიდროდ იყო დამაგრებული ცერზე, მეორე, თავისუფალი ბოლო ხელში ეჭირათ, რამდენიმეგზის დატრიალების შემდეგ კი უშვებდნენ და ჭურვს მოწინააღმდეგისაკენ მიმართავდნენ.[737]

ვეგეციუსის აზრით, შეჭურვილი მებრძოლისათვის შურდული უფრო საშიში იყო, ვიდრე მშვილდი, რადგანაც მის ჭურვს აბჯარში შეუღწევლადაც შეეძლო მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა.[738] ძველი გამოსახულებები გვიჩვენებს, რომ სროლისას შურდულს თავს ზემოთ ან სხეულის გვერდზე ატრიალებდნენ. თანამედროვე ექსპერიმენტები მოწმობს, რომ შურდულის ქვა 150-400 მეტრზე მიფრინავს.[739] გამოცდილ ხელში შურდული კომპოზიტურ მშვილდზე შორსაც

---

[731] Горелик, *Армии монголо-татар X-XIV веков*, 19.

[732] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 519-23.

[733] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 310.

[734] Hurley, *Arrows Against Steel*, 34.

[735] გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, *ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები*, 141.

[736] კოტე ჩოლოყაშვილი, „შურდული", *მეცნიერება და ტექნიკა*, 1 (1958), 37-8. H1665 დავითნის მინიატურაზე გამოსახულ შურდულს ორი გრეხილი თასმა აქვს. ასეთივე გრეხილთასმიანი შურდული საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 70.

[737] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 83; ჩოლოყაშვილი, „შურდული", 38.

[738] *Vegetius: Epitome of Military Science*, I.16.

[739] Kelly DeVries and Robert D. Smith, *Medieval Weapons: An Illustrated History of their Impact* (Santa Barbara, 2007, 22.

ა

ბ

სურ. 248
ა) დავითი შურდულით ხელში. H1665 დავითნი, 229v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ბ) სვანი მეშურდულე. კასტელის მიხედვით.

კი ისროდა,[740] თუმცა მიზანში მოხვედრა მშვილდით უფრო ადვილი იყო.

შურდულით სასროლად იყენებდნენ ტყვიის, გამომწვარი თიხისა და ქვის ჭურვებს.[741] შურდულის ჭურვის დიამეტრი 3-დან 6-8 სმ იყო.[742] ქვის მინიმალური წონა პრაქტიკულად თავად შურდულის წონას უდრიდა.[743] ჭურვის ფორმაზე იყო დამოკიდებული მისი ბალისტიკური თვისებები. ჩვეულებრივთან შედარებით, ბევრად უკეთესი იყო წყლისაგან მომრგვალებული ქვები.[744] ტყვიისაგან ჩამოსხმული ჭურვი თითქმის ნახევარჯერ უფრო შორს მიფრინავს, ვიდრე უბრალო ქვა.[745] ისრისაგან განსხვავებით, შურდულის ქვა ძნელი შესამჩნევი და რთული მოსაგერიებელი იყო.[746] მრგვალ, საშურდულე ქვებს ქართველები საგანგებო აბგით, ე.წ. ტავარჯუხით ატარებდნენ, რომელიც H1665 დავითნის 229v მინიატურაზე დავითს აქვს ჩამოკიდებული.[747]

შუა საუკუნეების განმავლობაში შურდული ნელ-ნელა კარგავს მნიშვნელობას. საველე ბრძოლაში ის პრაქტიკულად აღარ ფიგურირებს და ძირითადად გამაგრებული ადგილების დაცვისას გამოიყენება. ამის ძირითადი მიზეზი შურდულის პროფესიულად მომხმარებელთა სიმცირე იყო, რადგანაც მისი გამოყენება ბავშვობიდანვე გაწაფვას მოითხოვდა. შურდული უფრო ადვილად ასათვისებელმა დისტანციურმა იარაღმა (მშვილდი, არბალეტი) ჩაანაცვლა.[748]

შუა საუკუნეების წყაროებში პრაქტიკულად არ მოიხსენიება ქართველთა მიერ

---

[740] Edward C. Echols, "The Ancient Slinger," *The Classical Weekly*, vol. 43, no. 15 (1950.) 228; McLeod, "The Range of the Ancient Bow," 14.

[741] Coulston, "Arms and Armour of the Late Roman Army," 13.

[742] Горелик, *Оружие Древнего Востока*, 56.

[743] Richardson, "The Ballistics of the Sling," 46.

[744] Echols, "The Ancient Slinger," 227. ქართული ეთნოგრაფიული მასალაც მოწმობს, რომ საშურდულედ რიყის ქვებს არჩევდნენ. ჩოლოყაშვილი, „შურდული", 38.

[745] Thom Richardson, "The Ballistics of the Sling," *Royal Armouries Yearbook*, 3 (1998), 47.

[746] Wilcox, *Romes Enemies (3): Parthians and Sassanid Persians*, 46.

[747] ჩოლოყაშვილი, „შურდული", 38.

[748] ევროპულ საბრძოლო მოქმედებებში შურდულის ბოლო გამოყენება 1572 წელს სანსერის ალყის დროს დასტურდება. Robert E. Dohrenwend, "The Sling: Forgotten Firepower of Antiquity," *Journal of Asian Martial Arts*, 11 (2002), 31-2.

სურ. 249
შურდული. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

შურდულის გამოყენება.[749] იშვიათად ვხვდებით მეშურდულის გამოსახულებას ქართულ სინამდვილეშიც.[750] აღსანიშნავია, რომ H1665 დავითნში მეშურდულე გამოსახულია მხოლოდ სავალდებულო ბიბლიურ სიუჟეტში – დავითისა და გოლიათის ბრძოლისას (სურ. 248ა). ეს ყოველივე მეტყველებს შურდულის გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდულ არეალზე შუა საუკუნეების საქართველოში.[751]

ამავე დროს, ეჭვგარეშეა, რომ შურდული იყო გავრცელებული საქართველოს ზოგიერთ (მთიან) რეგიონში და მოსახლეობის ჯგუფში. ამას მოწმობს XVII საუკუნეში კასტელის მიერ იშვიათი ექსპრესიულობით შესრულებული სვანი მეშურდულის ნახატი[752] (სურ. 248ბ). სვანეთის მოსახლეობამ საუკუნეთა განმავლობაში შეინარჩუნა შურდულის გამოყენების უნარი. სვანების მიერ ქვების მარჯვედ სროლას იმპროვიზებული შურდულით XIX საუკუნის შუახანებში კ. ბოროზდინიც ადასტურებს.[753] ეთნოგრაფიულ თანამედროვეობამდე იყენებდნენ შურდულს ხევსურეთშიც.[754] ასეთმა შურდულებმა ჩვენამდეც მოიაღწია. მაგალითისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპონატი 66-26/130 საკმაოდ კარგად შემონახული შურდულია (სურ. 249).

---

[749] ანონიმი ავტორი მხოლოდ ერთგან, ისიც ქართველთა მიერ არზრუმის გარემოცვისას ახსენებს მუსლიმური გარნიზონის მიერ შურდულის გამოყენებას: „წარმოდგეს ბანსა ზედა და შუკთა შინა ისრის მსროლელნი და ქვის მსროლელნი". „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 59.

[750] მეშურდულე გამოსახულია კაბენზე, X ს. ძეგლზე ქსნის ხეობაში. ჩოლოყაშვილი, „შურდული", 37.

[751] წყაროთა და იკონოგრაფიულ მონაცემებს სხვაგვარად აფასებს კ. ჩოლოყაშვილი, რომელიც თვლის, რომ ისინი უხვი და საკმარისია. იქვე, 37. ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ისტორიანი და აზმანის" ზემოხსნებულ ცნობაში კ. ჩოლოყაშვილი ქართველებს ხედავს არზრუმელ მეშურდულეებში.

[752] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 229.

[753] კორნელი ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861: მოგონებანი*. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ (ტფილისი, 1934), 186.

[754] ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, გ. გასიტაშვილს აღწერილი აქვს ხევსურთა მიერ შურდულის დამზადებისა და სროლის ტექნიკა. გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 82-3.

თავი VIII

ცხენი შუა საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების რაინდი განუყოფელი იყო თავისი ცხენიდან, რომელიც არა მარტო მისი გადაადგილების საშუალება იყო, არამედ მისი ბრძოლის წესს და შუბის დარტყმის ძალასაც განაპირობებდა. უმეტეს ევროპულ ენებში რაინდის სახელწოდება მხედრის ან ცხენოსნის შესატყვისია (*ritter* გერმანულში, *chevalier* ფრანგულში).[1] ქართული ტერმინიც *რაინდი* მსგავსი წარმოშობისაა და ის თავდაპირველად ცხენის გამხედნს ნიშნავდა.[2] ცხენისა და შეიარაღების გარეშე არ არსებობდა რაინდი. ისინი იმდენად განუყრელნი იყვნენ, რომ 1031 წელს ლიმოჟის საეკლესიო კრების ანათემა დამნაშავე რაინდის გარდა, მის ცხენსა და იარაღზეც კი გავრცელდა![3] შუა საუკუნეების საქართველოში, ისევე როგორც ევროპასა თუ მუსლიმურ აღმოსავლეთში, ცხენის ყოლა გარკვეულ სოციალურ სტატუსზე მიუთითებდა. XIII საუკუნეში იტალიელი ჯორდანო რუფო წერდა, რომ „არცერთი ცხოველი არ არის ცხენივით კეთილშობილი, რადგანაც ცხენის წყალობით პრინცები, დიდებულები და რაინდები განირჩევიან უბრალო ხალხისაგან".[4] ცხენზე ამხედრებული აზნაური „ზემოდან" უყურებდა უბრალო ერს.

ქართველ მოყმეს ოთხი სახის ცხენი გაჰყავდა სალაშქროდ: *ჰუნე*[5] ანუ კარგი, საბრძოლო ცხენი[6] (ევროპული *destrier*), მისი შემცვლელი *მარქაფა* ცხენი ანუ *ჯინიბი*[7] (ევროპული *courser* ან *rounsey*), სამგზავრო ცხენი – *სახე-*

---

[1] Stuart W. Pyhrr, "Introduction," in *The Armored Horse in Europe, 1480-1620* (New York, 2005), 6.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 4.

[3] Georges Duby, *The Chivalrous Society* (Berkeley, 1977), 127; Жан Флори, *Идеология меча* (Санкт-Петербург, 1999), 229.

[4] Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment*, 107.

[5] „*ონე (ჰუნე)* – ცხენი გვარიანი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 603. „*ჰუნე* – გვარიანი და კეთილად წვრთილი ცხენი". იქვე, II, 468.

[6] განძელებთან ბრძოლიდან დაბრუნებული გიორგი IV „**ჰუნისაგან** ჩამოხდა". ჟამთააღმწერელი, *ასნლოვანი მატიანე*, 40. ცხადია, რომ *ჰუნე* საბრძოლო ცხენია, რადგანაც ბრძოლაში მეფე სწორედ ასეთ ცხენზე იჯდებოდა. ასევე, ჰუნეზეა ამხედრებული მამლუქებთან ბრძოლაში დემეტრე II: „მოიკლა ყარა-სუნღურისა მიერ შუბითა **ჰუნე** მეფისა". იქვე, 170.

[7] „*მარქაფა* – (ოთხფ.) ჯინიბი, მეორე ცხენი აკაზმული". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 443; „*ჯინიბი* – მარქაფა ცხენი; ცხენი გვარიანი, გინა მარქაფა". იქვე, II, 457.

დარი[8] (ევროპული *palfrey*) და საბარგო ანუ *სატალახე* ცხენი[9] (ევროპული *sumpter*).[10]

მძიმედ შეჭურვილი რაინდისათვის სათადარიგო ცხენი (სამგზავრო ან მარქაფა) აუცილებელი იყო. თუნდაც საუკეთესო კვების პირობებში (შვრიის დამატებით), ცხენს შეუძლია დღეში მხოლოდ სამი საათი მძიმე სამუშაოს შესრულება. უფრო მძიმე, ყოველდღიური შრომისას[11] ცხენი იწყებს წონის კარგვას და 5-6 დღის შემდეგ მისი გამოყენება ბრძოლაში ან საომარი კამპანიის დროს შეუძლებელია.[12] ცხადია, რომ სათადარიგო ცხენები აუცილებელია რაინდული (და ყველა ტიპის ცხენოსანი) არმიისათვის.[13]

საუკეთესო (საბრძოლო) ცხენის დაზოგვა და მასზე მხოლოდ ბრძოლის წინ ამხედრება ჩვეული პრაქტიკა იყო საქართველოში. ბრძოლის წინ ცხენებს იცვლიდნენ და სახედარი ანუ სამგზავრო ცხენიდან უკეთეს ანუ საბრძოლო ცხენზე გადაჯდებოდნენ, როგორც ეს აღწერილია „ვეფხისტყაოსანსა"[14] და „ამირანდარეჯანიანში".[15] სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ავღანეთში ბრძოლების წინ ქართველები საბრძოლო ცხენზე ჯდებოდნენ: „დავსხედით უკეთესსა ცხენსა" და „შევსხედით უკეთესთა ცხენთა".[16] მას კვერს უკრავს არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ამბობს, რომ მეგრელები „საუკეთესო ცხენს, თუ არა ლაშქრობაში, არ დაღალავენ".[17] მარქაფა ცხენებით ლაშქრობს თეიმურაზ I-ც: „შვიდასი მოყმე ჯიღითა და მარქაფებით თან ჩამყვა".[18] ბრძოლის წინ ცხენებს იცვლის როსტომ მეფეც: „მეფე ხოვლეთის ბოლოს მივიდა, მარქაფა გამოიცვალა".[19]

შუა საუკუნეებში ცხენი ყოველთვის ძვირი ღირდა, მითუმეტეს, საუკე-

---

[8] „საჴედარი – ცხენი ნიადაგ საჯდომელი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 79, 345.

[9] ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, მეფის ძღვენი დადიანისადმი არის „სამი ცხენი: ორი უკეთესი და ერთი სატალახე". „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 94. „საბარგო ცხენები" მოხსენიებულია ლევან დადიანის დის მარიამის მზითვის ჩამონათვალშიც. *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები)*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა (თბილისი, 1974), 14.

[10] მათ ღირებულებაში უზარმაზარი სხვაობა იყო: დასაელეთ ევროპაში კარგი სამგზავრო ცხენი 400-ჯერ უფრო ძვირი იყო ვიდრე უბრალო ცხენი, საბრძოლო ცხენი კი 800-ჯერ უფრო ძვირი! Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment*, 67.

[11] მხედრის მოთხოვნით შესაძლებელია ცხენის ფიზიკურად დატვირთვა სიცოცხლისათვის საშიშ ზღვარამდეც კი. ჯუანშერ ზალდასტანიშვილი, *ცხენოსნობა* (თბილისი, 1993), 231.

[12] Morillo, *Warfare under the Anglo-Norman Kings*, 125.

[13] ცხენების დიდი რიცხვის გამოკვების სირთულე, მომარაგების სხვა სიძნელეებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებდა შუა საუკუნეების არმიების შედარებით მცირერიცხოვნობას.

[14] „დაეკაზმნეს საომარად, გაამაყდეს, გაჩაუქდეს, ცხენთა შესხდეს უკეთესთა, სახედარნი ასუბუქდეს". შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1605.

[15] „დავეკაზმენით და შევსხედით უკეთესთა ცხენთა". მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 651.

[16] სეხნია ჩხეიძე, „ცხოერება მეფეთა", 12, 15.

[17] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 82-3.

[18] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 66.

[19] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 248.

თესო, საბრძოლოდ გამოსადეგი ცხენი. XI საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილი *ნიკორწმიდელის დაწერილში* აღნუსხული აქტების მიხედვით, სამი კატეგორიის ცხენის ფასის დადგენაა შესაძლებელი. ესენია – კარგი ანუ საბრძოლოდ გამოსადეგი ცხენი, სამარქაფო ცხენი და ჯაგლაგი. კარგი ანუ **საბრძოლო ცხენის** ფასი 8-9 ოქროა. არ უნდა დაგვავიწყდეს უნაგირიც, რომელიც ხანდახან ცხენზე ძვირიც კი ღირდა. ცხენზე ძვირი, მდიდრული უნაგირი გვხვდება დიდი ფეოდალების – ფავნელის („ერთი ცხენი სამასად [სამას თეთრად – მ.წ.], ერთი უნაგირი ხუთასად ყუელასა მჯობი")[20] და გრიგოლ სურამელის („ცხენი ერთი – სამასორმოც და ათ თეთრად ნასყიდი, უნაგირი ოქროდთა და ზარხოდთა მოჭედილი – ექუსას თეთრად დაფასებული")[21] სიგელებში. გასაგებია, რომ ასეთი მდიდრული, „ყუელასა მჯობი" და ოქროთი მოჭედილი უნაგირი ყველა მოლაშქრეს არ ექნებოდა, მაგრამ არც ჩვეულებრივი უნაგირის ფასი იყო უმნიშვნელო. XIII საუკუნეში მსახურისათვის წართმეულ უნაგირს 100 თეთრად აფასებს მომჩივანი.[22] ასევე გასათვალისწინებელია ცხენის სხვა აკაზმულობაც, თუნდაც *ნიკორწმიდელის დაწერილში* მოხსენიებული ავშარა. ალბათ, არ შევცდებით, თუ **ცხენის სრულ აკაზმულობას უნაგირთან** ერთად 3-4 ოქროდ მაინც შევაფასებთ.[23] საბუთის მიხედვით დადგინდა **მარქაფა** ცხენის (6 ოქრო) და **საბარგო** (სატალახე) ცხენის (2 ოქრო) ფასიც.[24]

XII საუკუნეში დავით სოსლანი ერთ ცხენში, რომელიც უთუოდ საბრძოლო იქნებოდა, ციხესა და სოფელს იხდის: „აღიჭურა და შეიჭურა მეფე, შეჯდა ზერდაგსა, რომელი სახელგანთქმულობისათჳს ეყიდა ვახტანგ ხაჩენელისაგან მბოძებელსა ციხისა და სოფლისასა, რომელ არიან ჭარმანი".[25] *ზერდაგი* შავყვითელი ცხენია,[26] რაც მის ახალთექურ ჯიშზე მიგვანიშნებს. ახალთექური ცხენისათვის დამახასიათებელია ოქროსფერი სხეული შავი არეებით (ფაფარი, კუდი, უკანა ფეხები).[27] გამორჩეულ ცხენში სოფელს იხდის იმერეთის მეფე ბაგრატ III-ც, რომელიც 1556-59 წლებში დომენტი კათალიკოსს ცხენსა და ორმოც თუმან თეთრში სოფელ მოხისს უცვლის: „მოხისი იმერელ მეფისა

---

[20] „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი", 18.

[21] „შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი", *ქსძ*, II, 43.

[22] ს. კაკაბაძე, „XIII საუკუნის საჩივრის წიგნი", *საისტორიო კრებული*, III (1928), 99.

[23] რაღა თქმა უნდა, აქ არ შედის ცხენის აბჯარი, რომელიც მეტად ძვირი გახლდათ და არც იყო სავალდებულო რიგითი მხედრებისათვის.

[24] ცხენის ფასების შესახებ დანვრილებით იხ. წურწუმია, „XI საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური სურათისათვის (ფასები *ნიკორწმიდელის დაწერილის* მიხედვით)", 142-3.

[25] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 70.

[26] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 280.

[27] Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 172. ზერდაგი არ არის შავი ფერის ცხენი, როგორც ამას შეცდომით მიიჩნევენ. იხ. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 34.

იყო და ცხენი ყოლია დიაღ გამოჩენილი, ის ცხენი უთხოვნია მეფეს ბატონის ქათალიკოსისათვის".[28]

საქართველოს მეფეები მრავალ ცხენს („ჯოგნი, რემანი მეფისანი") ფლობდნენ.[29] ამილახორი, რომელიც ამირსპასალარის ვეზირი იყო („ამილახორი ვეზირი არის ამირ-სპასალარისა"), უშუალოდ განაგებდა საჯინიბოს: „საჯინიბოს შემავალნი ყოველნივე ამილახორის ხელისანი არიან".[30] მას ემორჩილებოდა მერემეთუხუცესი, რომელსაც ცხენების შენახვა-მოშენება ევალებოდა.[31] სამეფო ცხენსაშენებში ხდებოდა ცხენების მოშენება და გამოყვანა-გადარჩევა.[32] XVIII საუკუნის S225 ცხენის კარაბადინი ჯოგის პატრონს საგანგებო ზომების მიღებას ურჩევს, რომ ბედაური ცხენების შთამომავლობა და „ცხენის სიწმინდე" დაიცვას და ჯიშს არ შეერიოს „უგვარო".[33] მეფის (მთავრის) ცხენების შენახვა მის ქვეშევრდომებს ევალებოდა. ცხენები მთელ სამეფოში საძოვრებზე იყვნენ განაწილებულნი, როგორც ამას ვკითხულობთ გიორგი III-ის სიგელში შიომღვიმისადმი (1170): „აგარისა სოფელმა ერთი ტაიჭი შეგუინახოს თორმეტითა რემითა..."[34] ცნობილია, რომ სამეგრელოში გლეხები იხდიდნენ „სამეჯინობო" ბეგარას, რომლითაც შედგებოდა მთავრის მეჯინიბეების ულუფისა და ცხენისათვის განკუთვნილი პროდუქტისაგან („თივა, ღომი და ფეტვი ცხენისათვის").[35] ჯრუჭის მონასტრის ყმების დავთრის მიხედვით გლეხებს მართებდათ *ცხენის ხედნა* და ზამთარში ცხენის შენახვა.[36]

მრავალრიცხოვანი ცნობები კარგი ჯიშის ქართული ცხენების შესახებ, რომელთაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ აღმოსავლეთში, მიუთითებს საქართველოში არსებული ცხენსაშენების მაღალ დონეზე და ჯიშიანი ცხენების გამოყვანის კულტურაზე.[37]

---

[28] *ქსძ*, III, 529; მზია სურგულაძე, „ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან", *მრავალთავი*, 23 (2010), 177.

[29] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 21.

[30] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 86.

[31] იქვე, 87.

[32] ჯიშიანი ცხენის გამოყვანაზე მოგვითხრობს „ომაინიანი": „დიდი ტარიელისა შავისა ცხენისაგან რომე ჯოგი დათესილა, თქვენის ბრძანებით წავასხით". ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 118-9.

[33] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის S კოლექცია, ხელნაწერი 225, ცხენის კარაბადინი, 4.

[34] *ქსძ*, II, 23.

[35] სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 171; ლევან მუსხელიშვილი, „დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს.", *ენიმკის მოამბე*, V-VI (1940), 282.

[36] სანაძე, *გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში*, 145-6.

[37] საქართველოში დღეს არსებული ადგილობრივი ცხენის ჯიშები სიმაღლით ვერ დაიკვეხნის. თუშური ცხენის სიმაღლე მინდაოში 125-142 სმ-ია, მეგრულის კი 118-135 სმ. ნ. ჩხეიძე, დ. კობალავა, *საქართველოს ადგილობრივი ცხენის ჯიშები* (თბილისი, 1950), 14, 30. თუმცა, ისინი ამტანობით,

X საუკუნის დასაწყისში არაბ სარდალთან ხალიდ იბნ-იაზიდთან დამარცხებული კახეთის სამთავრო კონტრიბუციას ცხენებით (3 000 ფაშატით) იხდის. ეს კი კარგი ჯიშის კახური ცხენის არსებობაზე მიუთითებს.[38] ზაქარია ალ-ყაზვინის მიხედვით, XIII საუკუნის საქართველოდან მალემსრბოლი ჯორები და ცხენები გაჰყავდათ გასაყიდად.[39]

უცხოელი ავტორები (ნეზამ ად-დინ შამი, შერეფ ად-დინ ალი იეზდი) საგანგებოდ აღნიშნავენ ქართველის დესპანის მიერ 1401 წელს თემურ-ლენგისათვის მირთმეულ ჯიშიან ცხენებს.[40] მეტიც, მოინ ად-დინ ნათანზის მიხედვით სამცხეზე თემურის გალაშქრების მიზეზი ქართველთა ათაბაგის განთქმული ცხენი ყოფილა: „ცნობილი იყო, რომ აღბუღას სამეფო საჯინიბოს შესაფერისი ცხენი ჰყოლია და თუ მის ციხეს არ აიღებდნენ, იმ ცხენის ხელთგდება შეუძლებელი იყო".[41] მძიმე ალყის შემდეგ თემურ-ლენგმა ცხენი ხელთ იგდო: სამცხის ათაბაგმა „ის დევბუნება, ფერიის ნაშობი ქარისფეხა ბედაური მის უდიდებულესობას (თემურს) გაუგზავნა".[42] 1403 წელს დაზავებისას გიორგი VII-ის მიერ თემურ-ლენგისათვის გაგზავნილ საჩუქრებს შორის თემურის ისტორიკოსები საგანგებოდ გამოყოფენ 1000 ცხენს.[43]

გაძლეობითა და სიმკვირცხლით გამოირჩევიან. იქვე, 20, 34. საფიქრებელია, რომ შემოყვანილი არაბული, ახალთექური თუ სხვა ჯიშის ცხენების გარდა, შუა საუკუნეებში ადგილობრივი ჯიშების ნარმომადგენლებსაც საგანგებოდ აშენებდნენ და არჩევდნენ. მრავალი უცხოური ცნობის გარდა, ამაზე არქეოლოგიური მონაცემებიც მეტყველებს. ძვ.წ. VIII საუკუნით დათარიღებულ განთიადის სამაროვანში მხედართან ერთად დაკრძალული ცხენის სიმაღლე მინდაოში 149 სმ-ს აღწევს. კახა კახიანი, „წარჩინებული მხედრის სამარხი განთიადის სამაროვნიდან", *ძეგლის მეგობარი*, 63 (1983), 21. III საუკუნის ბოლოთი და IV საუკუნის დამდეგით დათარიღებულ ახალი ჟინვალის სამაროვანის მე-5 სამარხში დაკრძალული ცხენის სიმაღლე მინდაოში 146 სმ-ია და ის ტანადი ცხენების ჯგუფს მიეკუთვნება. ნ. გამრეკელი, „ახალი ჟინვალის სამარხში აღმოჩენილი შინაური ცხენის ძვლები", *ჟინვალი: არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში*, ნაწ. I (თბილისი, 1983), 131-2. ანტიკური პერიოდის სამარხებიდან მოპოვებული ცხენების ძვლების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა (8 ინდივიდი) საშუალო ტანადობის (სიმაღლე 139-142 სმ) იყო, 2 მათგანის სიმაღლე 134 სმ და ერთის კი – 127 სმ იყო. ნ. გამრეკელი, „შინაური ცხენები ანტიკური პერიოდის საქართველოდან (ოსტეოლოგიური მასალების მიხედვით)", *სსმმ*, ტ. XXIV-XXV-A (1973), 182-3.

[38] მარიამ ლორთქიფანიძე, „ცვლილებები ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში IX-X საუკუნეებში", *სინ*, ტ. II (თბილისი, 1973), 328.

[39] *ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, არაბულ ტექსტს შესავალი ნაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა (თბილისი, 1975), 40.

[40] კარლო ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების" ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ", *ქწ*, III (1971), 215.

[41] დავით კაციტაძე, „ისქანდერის ანონიმის" ცნობები საქართველოს შესახებ", *თსუშ*, ტ. 116 (1965), 377.

[42] ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების" ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ", 220.

[43] ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე*, 210. ამ და სხვა მსგავსი ცნობების საფუძველზე დ. კაციტაძე აკეთებს მართებულ დასკვნას „საქართველოში ჯიშიანი ცხენის მოშენების საქმის ფართოდ დანერგვის შესახებ". კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*, 213.

ისქანდერ მუნშის მოწმობით, 1597/8 წელს შაჰ-აბას I-ის მიერ ინდოეთის მოღოლი იმპერატორისადმი გაგზავნილ „საჩუქრებს შორის იყო ასი სული შინ გამოზრდილი, წმინდა ჯიშის ულაყი ცხენი, რომლებიც არაბეთის, საქართველოს და ბეიათის სახელგანთქმული ცხენებისაგან იყო წარმოშობილი".[44] ნასროლა ფალსაფის მიხედვით, თითოეული ეს ცხენი ინდოეთში იმდროინდელი კურსით ხუთი ათას რუპიად შეუფასებიათ.[45] 1609 წელს, შაჰის მიერ გაგზავნილ საჩუქრებში კვლავ საგანგებოდ მოიხსენიება „ორმოცდაათი სული ქართული და ბაიათური ცხენი, რომელნიც შაჰის საკუთარი ჯოგებიდან იყო მიღებული. ... არც ერთი დიდებული და მდიდარი ხელმწიფის სარქარში ერთი ასეთი ცხენიც კი არ მოიპოვებოდა".[46]

შარდენიც ადასტურებს საქართველოში ცხენების სიმრავლესა და სიკეთეს: „სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი. მათ დიდი რაოდენობით აშენებენ".[47] ევლია ჩელები წერს, რომ სამეგრელოში „ქეჰეილანის[48] ცხენები ჰყავთ".[49]კიდევ უფრო ვრცლად ოდიშის ცხენებზე არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს: „ცხენები აქ ისე ბლომად არის, რომ ყველა კაცს, რაც უნდა ღარიბი იყოს, ჰყავს თავისი ცხენი, – ახტა (ულაყი) თუ ჭაკი. თვითეულს მოსახლეს, თავის შეძლებისამებრ, ჰყავს ბევრი თუ ცოტა, დაბალ ხალხს ჰყავს: ვის სამი, ვის ოთხი და ვის ხუთი ცხენი; ხოლო კეთილშობილებს: ორმოცდაათი, ვის ასი და ვის ორასი. მთავარს კი ათასობით ჰყავს. სულ ეყოლება ხუთი ათასი ახტა და ჭაკი".[50]

უცხოური წყაროების ცნობებით, XVII საუკუნეში „აღმ. ამიერკავკასიაში, ისევე როგორც ირანსა და თურქეთში, გაჰყავდათ შესანიშნავი ქართული ჯიშის ბედაურები, რომელიც „გურჯის" ანუ „ქართული ცხენის" სახელით იყო ცნობილი".[51] კავკასიიდან და საქართველოდან, პოლონეთშიც გადიოდა ცხენები, რომლებიც „გეორგიად" იწოდებოდნენ. ეს ცხენები უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე თურქული და ირანული ცხენები. იმ დროს ისინი იყვნენ ყველაზე ძვირი ცხენები, რომლებსაც კი ყიდულობდნენ პოლონელი მაგნატები.[52] რუ-

---

[44] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, 41.

[45] ნასროლა ფალსაფი, *შაჰ-აბას პირველის ცხოვრება: შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ)*, სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ჯ. სტეფნაძემ (თბილისი, 2003), 17.

[46] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, 70-1.

[47] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, 115.

[48] ნიშნავს წმინდა სისხლის არაბული ჯიშის ცხენს. Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 187.

[49] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი"*, 333.

[50] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 173.

[51] კარლო კუცია, „თბილისისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში", *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან* (თბილისი, 1976), 260-1.

[52] Б. Барановский, "Кавказ и Польша в XVII в.," *Россия, Польша и Причерноморье в XV-XVIII вв.* (Москва, 1979), 254; ოთარ ტაბუცაძე, „საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVII საუკუნეებში", *მიაეხის*, 2 (1991), 118.

სეთის მეფეებიც საქართველოდან ყველაზე ძვირფას საჩუქრად ბედაურებს მიიჩნევდნენ.[53] XVII საუკუნეში ქართლის მეფე როსტომი ოთხ რჩეულ ცხენს უგზავნის რუსეთის ხელმწიფეს.[54]

საინტერესოა, რომ საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ჭაკ ცხენთან (ფაშატთან) შედარებით ულაყს ანიჭებდნენ უპირატესობას.[55] „სრულ კარგს **ულაყზედ** მჯდომელსა, ვინ ნახავს მათ **ჭაკოსანსა?**" – ამბობს თეიმურაზი თავის მხედრობაზე.[56] ლევან დადიანის დის მზითევშიც ულაყია მოხსენიებული, ისქანდერ მუნშიც ულაყებს ასახელებს განთქმულ ქართულ ცხენებში.[57] ულაყი ცხენებია გამოსახული მამუკა თავაქარაშვილის მინიატურებზე, ულაყებად ჰყავს დახატული ქართველთა ცხენები კასტელსაც. შუა საუკუნეების მუსლიმური ტრაქტატების მიხედვით, ფაშატი უმჯობესია სწრაფი რეიდებისა და ღამის ბრძოლისათვის, ულაყი საუკეთესოა ბრძოლასა და ხანგრძლივ ლაშქრობაში, დაკოდილი ცხენი კი – ჩასაფრებასა და პატრულირებაში.[58] გასაკვირი არ არის, რომ ქართველები, რომლებიც ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკით გამოირჩეოდნენ, უპირატესობას ულაყს ანიჭებდნენ.

ულაყი ბუნებრივად აგრესიულია და მის ამ თვისებას ბრძოლაშიც იყენებდნენ. დიდი ზომის ცხენის საშუალებით ცხენოსანი მოწინააღმდეგის გადათელვაც კი შეიძლებოდა. გარდა ამისა, საგანგებოდ გაწვრთნილი საბრძოლო ცხენი კბილებითა და ფლოქვებით იბრძოდა.[59] თუმცა, იმის წარმოდგენა თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო ან ბრძოლაში რაიმე ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, გადაჭარბებულია.[60] საბრძოლო ცხენის ასეთ გამოყენებას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი, როგორც ამას აღწერენ მხატვრულ ლიტერატურასა თუ ისტორიულ წყაროებში. „რუსუდანიანში" ცხენი პატრონს ბრძოლაში ეხმარება და მისი წყალობით ორჯერ გაიმარჯვებს კიდეც.[61] მას ავტორი პირდაპირ „მეომარ ცხენს" უწოდებს, მეორეგან კი „ფა-

---

[53] გიორგი ჟუჟუნაშვილი, *საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII საუკუნეები)* (თბილისი, 2006), 75.

[54] იასე ციცაძე, *ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის რუსული მასალები საქართველოს ისტორიისათვის)* (თბილისი, 1965), 34.

[55] ევროპული *დესტრიერი* ულაყი იყო. შუა საუკუნეების ევროპაში მხოლოდ ულაყით იბრძოდნენ. Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment*, 18.

[56] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 42.

[57] *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*, 41.

[58] Ann Hyland, *The Warhorse 1250-1600* (Stroud, 1998), 127.

[59] Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment*, 18; Paul Buell, Timothy May, David Ramey, *The Horse and the Silk Road: Movement and Ideas*. http://www.medievalists.net/2010/05/09/the-horse-and-the-silk-road-movement-and-ideas (May 2010), 10. ცხენს შეუძლია ქვეწარმავლის სიზუსტით და სისწრაფით კბენა. Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, XII.

[60] Bennett, *The Medieval Warhorse Reconsidered*, 1995, 37.

[61] *რუსუდანიანი*, 44, 98.

ლავან ცხენს".[62] ავტორისავე მოწმობით, „ცხენი დიაღ მეომარი და ფთხილი იქნება..."[63] ნაწარმოებში მრავლადაა აღწერილი ცხენის მიერ მოწინააღმდეგის ფლოქვებით გათელვა და დაკბენა, რაც მის საბრძოლო უნარ-ჩვევებზე მეტყველებს:[64] „ხოსრო ხლმითა ჰხოცდა და ცხენი ტერფითა ლახევდა";[65] „იბრძოდა ყაის ამ წესითა და მისი ზერდაგი უმეტესად იბრძოდა... წინათ ტოტითა და კბილითა იბრძოდის".[66]

„ამირანდარეჯანიანში" ვხვდებით ცხენის დაძგერებით ცხენოსნის წაქცევას, რაც მხოლოდ კარგად გაწვრთნილი საბრძოლო ცხენის საშუალებითაა შესაძლებელი: „შემოუტივა, აძგერა ცხენი, და ცხენი და კაცი [ასეთი] გამოიგორვა"; „ცხენი ვაძგერე და ცხენითურთ ქუე დავდევ".[67] ცხენს აძგერებენ „რუსუდანიანშიც": „შექუსლა ცხენი და შეაძგერა..."[68] ხელჩართულ ბრძოლაში ცხენთა დატაკებას საკმაოდ ვხვდებით გიორგი III-ის ეპოქაში: „ძგერება ჰუნეთა"; „მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა".[69] დეტალურად აღწერილი ლუარსაბის I-ის ბოლო შეტაკება საბრძოლო ცხენის, როგორც უკანასკნელი იარაღის[70] გამოყენების ნათელ მაგალითს გვიხატავს: „შუბი გატეხილი ჰქონდა მეფესა ლუარსაბს და ყოველი საბრძოლო იარაღი დაემტვრია, შეუტია ცხენითა და შეაძგერა ცხენი მაჰმად სულთნისა ცხენსა და ქუე დაახეთქა ცხენ-კაცითურთ. შემდგომად ამისა სხუასა შეუტივა" ცხენით.[71]

ცხენის აკაზმულობა

საბრძოლო ცხენის აკაზმულობას[72] შეადგენდა *უნაგირი*, რომელიც მაგრდებოდა *სამკერდე*, *საძუე* და *სამუცლე* ღვედებით, *უზანგები* თავისი სამაგრი ღვედებით, *თოქალთო (ასალი)*, *აღვირი* რკინის *ლაგმით*; ხანდახან, *ცხენის აბჯარიც*. ცხენს ჭედდნენ *ნალით*, მხედარი კი მის სამართავად *მათრახს* და *დეზებს* იყენებდა.

S225 ცხენის კარაბადინი მხედარს ურჩევს იქონიოს კარგი ხარისხის ცხენის

---

[62] იქვე, 98, 270.

[63] იქვე, 418.

[64] იქვე, 179, 204, 377, 448, 544.

[65] იქვე, 288.

[66] იქვე, 368.

[67] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 254, 388.

[68] *რუსუდანიანი*, 377.

[69] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 6, 7.

[70] „რამეთუ ყოველივე საბრძოლველი იარაღი დაემსხვრია მეფესა და იბრძოდა ცხენითა თუნიერ საჭურველისა". *ქართლის ცხოვრება*, II, 509.

[71] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 366.

[72] ტერმინ აკაზმულობისათვის იხ. მადონა ხაზარაძე, „მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული ტრადიციები საქართველოში. ცხენის აკაზმულობა", *ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი* (თბილისი, 2002), 446.

აკაზმულობა, რათა მან უდროო დროს არ დააღალატოს პატრონი: „ავჟანდის აბზინდა ან ლაგმის პირის გრგოლები თუ სადავის აბზინდა საგანგებოთ უნდა გააკეთებინოს კაცმა რომე მაგრები იყოს, რომე ავ დროს არ გაუტეხოს გული".[73]

ისევე როგორც სხვა მრავალ საკითხში, აღმოსავლურ (აზიურ) და დასავლურ (ევროპულ) სამყაროს შორის არსებობდა განსხვავება ცხენის აკაზმულობის სხვადასხვა ელემენტის გამოყენების საქმეშიც. ცხენის მართვის აღმოსავლური მანერისათვის დამახასიათებელია მოკლე უზანგი ნახევრადმოხრილი ფეხით, მსუბუქი უნაგირი დაბალი უკანა ტახტით, ცხენის მართვა მათრახით და დეზების უქონლობა. დასავლური მანერისათვის დამახასიათებელია უნაგირი მაღალი წინა და უკანა ტახტით, გრძელი უზანგი წინგაშვერილი ფეხით, ცხენის მართვა შენკელით[74] და დეზებით, აღვირითა და კორპუსით. აღმოსავლელი მხედარი ადვილად დგებოდა უზანგებზე, თავისუფლად ტრიალდებოდა და ისროდა ისარს, დასავლელი კი მყარად იჯდა უნაგირში.[75] საქართველოში საუკუნეების განმავლობაში გაბატონებული იყო ცხენზე ევროპულად ჯდომა, მაღალი უნაგირი, გრძელი უზანგი და დეზი, თუმცა, ნომადურმა გავლენამ აქაც იჩინა თავი და XIII საუკუნის შემდეგ ქართულ იკონოგრაფიაში ცხენზე აზიური ჯდომის წესიც გვხვდება.

ავშარა

აღვირი შედგება რკინის ლაგმის, ავშარისა და სადავისაგან. ავშარას შეადგენს თასმები, რომლებიც ცხენს თავზე ეცმება და ლაგამს პირში ამაგრებს.[76] ავშარის შემადგენლობაში შედის *თავთასმა*, *ლოყის* თასმა, *საშუბლე* თასმა *ყბისქვედა* თასმით და *აჭიმი*.[77] ლაგმის რგოლებში გაყრილია აღვირის ტოტები (სადავე) და ავშარის თასმები. თავთასმა თავსდება კეფაზე ყურების უკან, საშუბლე – ცხენის შუბლზე ყურების ქვეშ, მას ქვემოდან ემაგრება ყბისქვედა თასმა, აჭიმი ცხვირზე თავსდება,[78] ლოყის თასმები კი გვერდულად მიუყვება ცხენის თავს და ლოყის გასწვრივ ცხენის პირის კუთხისაკენ ეშვება. (სურ. 250)

საცხვირე თასმა (აჭიმი) დაკავშირებულია ლაგამთან და ცხენზე დამატებითი ზემოქმედების საშუალებაა. აღვირის მოზიდვისას ცხენი, ლაგმის

---

[73] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა ფონდის S კოლექცია, ხელნაწერი 225, ცხენის კარაბადინი, 18-9.

[74] შენკელი მხედრის ფეხის შიდა, ცხენისაკენ მიქცეული მხარეა მუხლიდან კოჭამდე. *ცხენოსან ჯარის დროებითი საბრძოლო წესდება*, ნაწ. I, *მებრძოლ-მხედრის მომზადება და მისი ცხენი* (ტფილისი, 1926), 14.

[75] А.Н. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," *Археология СССР* (Ленинград, 1973), 72.

[76] Pant, *Horse and Elephant Armour*, 51, 57.

[77] *ცხენოსან ჯარის დროებითი საბრძოლო წესდება*, 391-2; *ცხენოსანი ჯარის საბრძოლო დროებითი წესდება*, ნაწ. I (ტფილისი, 1927), 2.

[78] „*აჭიმი* – ცხენის პირს მოსკვნილი თოკი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 84.

ჩვეულებრივი მოქმედების გარდა, ცხვირზეც გრძნობდა ზეწოლას.[79] ცხენის აკაზმულობაში აჭიმის გამოყენება ძირითადად აღმოსავლეთისა და ბიზანტიისათვის იყო დამახასიათებელი, ნაკლებად – დასავლეთ ევროპისათვის. ამის დასტურს ქართულ იკონოგრაფიაშიც ვპოულობთ, სადაც უმთავრესად აჭიმიანი ცხენებია გამოსახული, თუმცა, აჭიმის გარეშე, ევროპული სტილით შეკაზმული ცხენის მაგალითებიც საკმაოა: ასეთია ლიხაურის წმ. გიორგის ხატი,[80] წმ. გიორგის ბარელიეფი მრავალძალში, წალენჯიხის წმ. გიორგი (XIV ს.),[81] წმ. გიორგის ცხენი ნაბახტევის ეკლესიის სამხრეთ კედელზე (XV ს. დასაწყისი),[82] წმ. გიორგი უღვალის ჯგრაგის ეკლესიაში (XV ს.),[83] ალავერდის ტაძრის წმ. გიორგი (XVI-XVII სს.), ხონის წმ. გიორგის ხატი (XVII ს.)[84] და „უთრუთიან-საამიანის" მინიატურები (XVII ს.).



სურ. 250
აღვირი: ა) თავთასმა, ბ) ლოყის თასმა, გ) საშუბლე თასმა, დ) ყბისქვედა თასმა, ე) აჭიმი, ვ) სადავე.

მოსახთავი ღვედები

ცხენის აკაზმულობაში სამი ძირითადი მოსართავი გამოირჩევა: წინა (სამკერდული, სამკერდე),[85] შუა (სამუცლე) და უკანა (საძუე).[86] *სამკერდული* ჰორიზონტალურად არის მოდებული ცხენის მკერდზე,[87] *საძუე* ცხენის კუდის ქვეშ, *სამუცლე* კი მუცლის ქვეშ არის ამოდებული. შუა მოსართავი უნაგირის ბალიშს კეხზე ამაგრებს, სამივე ერთად კი უნაგირს ამაგრებსა და აწონასწორებს.

ცხენის მოსართავის გამძლე და საიმედო ტყავის ღვედების დამზადებას ერთი წელი სჭირდებოდა,[88] ერთი ხარის ტყავი კი ხუთი უნაგირის მოსართავს ყოფნიდა.[89]

---

[79] Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 131.

[80] Н.П. Кондаков, Д. Бакрадзе, *Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии* (Санкт-Петербург, 1890), рис. 74.

[81] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, 116-7.

[82] ლორთქიფანიძე, *ნაბახტევის მხატვრობა*, 42-3, ტაბ. 31.

[83] *ზემო სვანეთი*, 247.

[84] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 576.

[85] „*სამკერდული* - ცხენის მკერდს მოსადები; ცხენის სამკერდე". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 39.

[86] „საძუე – ცხენთ საკუდური". იქვე, 69.

[87] ქართულ სინამდვილეში პრაქტიკულად არ გვხვდება Y-ფორმის სამკერდული, რომელიც სამი ერთმანეთთან შეერთებული ღვედისაგან იყო შემდგარი. მათგან ორი ზემოთა უნაგირს წინა ტახტაზე ემაგრებოდა და ცხენის მკერდზე ერთდებოდა, მესამე ჩადიოდა ქვევით, წინა ფეხებს შორის გადიოდა და სამუცლე თასმას ემაგრებოდა. ასეთი სამკერდული არ ზღუდავდა ცხენის მოძრაობას და ხელს უშლიდა უნაგირის უკან დაცურებას. Симоненко, *Сарматские всадники Северного Причерноморья*, 209, 217. შესაძლოა, ასეთი სამკერდული იყოს გამოსახული უღვალის წმ. გიორგის ცხენზე. *ზემო სვანეთი*, 247.

[88] Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 11.

[89] ნანული ჯიქია, „აღკაზმულობა ცხენისა", *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, რედ. ელდარ ნადირაძე (თბილისი, 2013), 279.

ღაგამი

ლაგამი არის ცხენის პირის ღრუში მოთავსებული რკინის მოწყობილობა („ცხენის საკბილაკე"),[90] რომელიც გამოიყენება ცხენის ზუსტი მართვისა და ხედნისათვის.[91] ლაგამს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხენის მართვაში. ის შეიძლება იყოს ერთ- ან ორ-სამნაწილედიანი[92] და ჰქონდეს გვერდითი საყბეურები. მიუხედავად კონსტრუქციული მრავალფეროვნებისა, ლაგმის მოქმედების მექანიზმი ერთია: ის ზემოქმედებს (აწვება) ცხენის ენასა და პირის კუთხეებზე.[93] რგოლიანი ლაგმის გამოგონებამ და ფართო გამოყენებამ ხელი შეუწყო ბინადარი ერების კავალერიის აღორძინებას. ადრე არსებული ბრინჯაოს ნაცვლად, რკინის ლაგამი მოძრავი ნაწილებითა და რგოლებით ძვ.წ. 500-450 წწ. გამოჩნდა. ის ცნობილი იყო შუა საუკუნეების დასაწყისშიც, მაგრამ მისი მასობრივი გავრცელება IX-X საუკუნეებში ფეოდალური კავალერიის აღზევებასთანაა დაკავშირებული.[94]

ცხენოსანთა სწრაფად მიმდინარე ბრძოლაში მხედარის ბრძანებას ცხენი მეყსეულად უნდა დამორჩილებოდა, რამაც გამოიწვია უფრო ძლიერმოქმედი ლაგმის წარმოშობა. ჩვეულებრივი ლაგმის (*snaffle bit*) გარდა, გაჩნდა ბერკეტიანი (*curb bit*) ლაგამიც. თუ ჩვეულებრივი ლაგმის პირის ნაწილი მოძრავი რგოლებით მთავრდება, რომელსაც ავშარისა და სადავის თასმები ემაგრება, ბერკეტიანს რგოლების ნაცვლად საყბეურები აქვს. ის მოქმედებს ბერკეტის პრინციპით და მოზიდვისას, ცხენის ენის გარდა, სასასაც აწვება.[95] ჩვეულებრივ ლაგამს ორი ხელით ხმარობდნენ, უფრო მკაცრი ბერკეტიანი კი ცხენის ერთი ხელით მართვის საშუალებას იძლეოდა.[96]



სურ. 251
ლაგამი ზურტაკეტის სამარხიდან. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

შუა საუკუნეების საქართველოში ორივე ტიპის ლაგმის მაგალითები მრავლად მოგვეპოვება, თუმცა, რგოლებიანი ლაგმის ნიმუშები მაინც უფრო მეტადაა წარმოდგენილი.[97]

---

[90] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 403.

[91] *ცხენოსანი ჯარის საბრძოლო დროებითი წესდება*, 44.

[92] ერთნაწილედიანი რგოლიანი ლაგამი უფრო პრიმიტიულია ვიდრე ორნაწილედიანი, მაგრამ ხისტი კონსტრუქციის ნყალობით მკაცრად მართავდა ცხენს. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 17.

[93] *ცხენოსანი ჯარის საბრძოლო დროებითი წესდება*, 58; Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 11.

[94] Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 17.

[95] John Clark, *The Medieval Horse and its Equipment, c.1150-c.1450* (Woodbridge, 2004), 43-5, fig. 27.

[96] Karen R. Dixon, Pat Southern, *The Roman Cavalry: From the First to the Third Century AD* (London, 1992), 63-4.

[97] არქეოლოგიური მასალიდან აღსანიშნავია XII საუკუნის ზურტაკეტის სამარხში აღმოჩენილია რკინის ორნაწილედიანი ლაგამი ბოლოებში მოძრავი დიდი ზომის რგოლებით, რომელიც ქართულ ლაშქარში მომსახურე ყივჩაღს ეკუთვნოდა (სურ. 251). წურწუმია, „ვანისა და

ბერკეტიანი ლაგმები აქვთ X საუკუნის ხატებზე ხირხონისის წმ. მხედრებს, ნაკურალეშისა და ფარახეთის წმ. გიორგის; XI საუკუნეში – ნაკიფარის, იფარის, საკაოს, მურყმერისა და შოდის წმ. გიორგის;[98] ადიშის წმ. გიორგის XI-XII სს. ფრესკაზე;[99] XII საუკუნეში ხატზე – ლაღამის წმ. გიორგის,[100] ფრესკებზე – ლაგურკას წმ. თევდორეს, ნაკიფარის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს, მაცხვარიშის წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს;[101] XIII საუკუნეში ლაფსყალდის წმ. გიორგის ხატზე[102] და თანღილის წმ. გიორგის ფრესკაზე;[103] XIV საუკუნეში წალენჯიხის წმ. გიორგის;[104] XV ს. დასაწყისში ნაბახტევის ეკლესიის სამხრეთ კედელზე წმ. გიორგისა[105] და XV ს. ულვალის ჯგრაგის ეკლესიაში წმ. გიორგის.[106] ბერკეტიანი ლაგმები გვიან შუასაუკუნეებშიც გვხვდება. XVII საუკუნის S1594 „უთრუთიან-საამიანის" მინიატურებზე (50v, 51r, 59v, 60v, 68v, 69r, 70r, 72r, 72v, 77r, 93v, 94r, 94v, 95v, 96r, 104v, 107v, 111v, 133r) უაჭიმო და ბერკეტიან ლაგმებს ვხედავთ (სურ. 252). ამავე დროს, ყველა ცხენი აჭიმითა და ჩვეულებრივი ლაგმითაა



სურ. 252
მხედრები უაჭიმო და ბერკეტიანი ლაგმებით. „უთრუთიან-საამიანი", S1594 ხელნაწერი, 50v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ზურტაკეტის სამარხები როგორც წყარო შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის", 174-83. ლაგმის პირის სიგრძე 13.3 სმ-ია, ერთი რგოლის შიდა დიამეტრი არის 5.5 სმ (გარე – 6.2-6.35 სმ), მეორის კი – 5.8 სმ (გარე – 7 სმ). ასეთი დიდ და მოძრავრგოლებიანი ორნანილედიანი ლაგამი გ. ფიოდოროვ-დავიდოვის კლასიფიკაციით Г2 ტიპს ეკუთვნის. ეს ლაგამი გვხვდება IX-X-დან დაწყებული XIV საუკუნის სამარხებში. ამავე დროს, Г2 ლაგამი ფიოდოროვ-დავიდოვის მიერ შემუშავებულ სქემაში მეორე ქრონოლოგიურ ჰორიზონტს მიეკუთვნება და ყველაზე ხშირად XII საუკუნის ფარგლებში გვხვდება. Фёдоров-Давыдов, *Кочевники Восточной Европы под властью золотоордынских ханов*, 18, 20, 103-6, 115, рис. 2, 16. ორნანილედიანი ლაგმები ბოლოებში მოძრავი რგოლებით დამახასიათებელია ყივჩაღებისათვის. ისინი ორი ტიპისაა – Г1 და Г2, და ერთმანეთისაგან უმთავრესად რგოლების ზომით განსხვავდება (Г1-ის რგოლების დიამეტრი 3-4 სმ-ია, Г2-ის – 6-7 სმ). როგორც დონის, ასევე ყუბანის ყივჩაღთა სამარხებში ნაპოვნი ლაგმები ამ ტიპებს მიეკუთვნება. Ю.В. Зеленский, "Попытка сравнительного анализа половецких древностей Дона и Кубани," *Проблемы археологии Юго-Восточной Европы*, VII-я Донская археологическая конференция, ТД (Ростов-на-Дону, 1998), 123; მისივე, "Предметы упряжи из половецких погребений Прикубанья и Восточного Закубанья," *Древности Кубани*, вып. 12 (Краснодар, 1998), 11.

[98] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 35, 42, 43, 183, 184, 191, 253, 254.

[99] *ზემო სვანეთი*, 47.

[100] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 442.

[101] *ზემო სვანეთი*, 77, 92, 93, 112.

[102] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 435.

[103] *ზემო სვანეთი*, 172.

[104] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, 116-7.

[105] ლორთქიფანიძე, *ნაბახტევის მხატვრობა*, 42-3, ტაბ. 31.

[106] *ზემო სვანეთი*, 247.

გამოსახული H1665 და H75 დავითნის, S1580 „როსტომიანისა“ და თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურებში. როგორც ჩანს, საქართველოში ჩვეულებრივი და ბერკეტიანი ლაგმები შუა საუკუნეების ბოლომდე თანაარსებობდა.

ცხენის მოხთულობა

არაერთხელ აღნიშნულა, რომ შუა საუკუნეების მებრძოლი თავის აღჭურვილობასა და იარაღს დიდ ყურადღებას აქცევდა. არ ივიწყებდა ის საკუთარ ცხენსაც, რომლის მორთვა-მოკაზმვაზე ყოველთვის საგანგებოდ ზრუნავდნენ. ქართულ საბუთებში ხშირად ვხვდებით ცხენის მდიდრული აკაზმულობის სხვადასხვა დეტალს, რის შესახებაც, ალბათ, ყველაზე კარგად შეგვიქმნის წარმოდგენას აფხაზეთის კათალიკოსის ერთი საბუთი. 1611 წელს კათალიკოსმა ეფთვიმი საყვარელიძემ გიორგი ლიპარტიანს მისცა: „ერთი ოქროს მოჭედილი უნაგირი, მურასა ვეცხლის ლაგამითა, ვეცხლის სადევითა, ვეცხლის სამკედლითა, ვეცხლის მათრახითა, ოქროქსო[ვ]ილის ასლითა, ოქროქსო[ვ]ილის ბოლქაუსუნითა...“[107] როგორც ვხედავთ, აქ დასახელებულია ცხენის ძვირადღირებული აკაზმულობა, რომლის ყველა ელემენტი ძვირფასი ლითონითაა შემკული. ცხადია, ძვირფასი ლითონით იქნებოდა შემკული ხელმწიფის კარის გარიგებაში დასახელებული, მეფის ზარადხანაში შენახული „ცხენის ყელს-საბამი მოჭედილი“.[108] 1090 წელს შედგენილ ანდერძში კურაპალატი სუმბატ ბაკურიანი თავის სიძეს უტოვებს უნაგირს ოქროს ლაგმით.[109] წერილობით წყაროებს მხარს უჭერს ქართული იკონოგრაფიაც: ძვირფასად მორთულ-მოჭედილი ცხენის მოსართავები ლამის ყოველ გამოსახულებაზე გვხვდება.

ცხენის აღვირს რთავდნენ სადაფითა და მარგალიტით. შიომღვიმისადმი დაწერილ ფავნელის საბუთში ნახსენებია „ერთი ლაგამი მარგალიტისა ძირით“.[110] „მარგალიტის ძირის“ განმარტებას XIII ს. შუახანებში დაწერილი გრიგოლ სურამელის საბუთიდან ვიგებთ, სადაც ასევე შემკული აღვირია დასახელებული: „აღვირნი თათრულნი მარგალიტის ძირისანი, რომელსა ჰქვიან სადაფი“.[111] რუსთაველი კი უკვე მარგალიტებით შემკულ ცხენის აკაზმულობას აღწერს: „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა“.[112]

ვიცით, რომ საქართველოში ამზადებდნენ ცხენის აკაზმულობის სხ-

---

[107] *ქსძ*, III, 394.

[108] „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, 87.

[109] ივირონის აქტები, II, 190.

[110] „დანერილი ფავნელისა მღვიმისადმი“, 18.

[111] „შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავ გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი“, 43.

[112] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 85.

ვადასხვა დეტალს. XIII საუკუნის სპარსულ ტრაქტატში დასახელებულ თბილისურ საქონელში, უნაგირების გარდა, აღნიშნულია „სპილოს ძვლით გაწყობილი ლაგმები“,[113] ხოლო 1229 წელს ბაღდადის ხალიფას მიერ ჯალალ ად-დინისადმი გაგზავნილი ძვირფასი ძღვენის ჩამონათვალში გვხვდება თბილისში დამზადებული ცხენის მოსართავის აბზინდებიც.[114]



სურ. 253
ცხენის მოსართაეის ბალთა. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ავტორის ფოტო.

ცხენის მოსართავის ღვედები ერთმანეთთან სხვადასხვა სახის ბალთით საშუალებით ერთდებოდა. ხშირად, ღვედების შეერთების ადგილები ფალერებით იყო მორთული.[115] *ფალერა* ცხენის მოსართავის ორნამენტული ბალთაა. მრგვალი, ბრტყელი ან ამობურცული ბალთები – ფალერები სამკერდულსა და საძუეს ამშვენებდა.[116] ცხენის მოსართავს განსაკუთრებულ ეფექტს ანიჭებდა მასზე დაკიდებული წაგრძელებული ფორმის ბალთები – *რეშმები*, რომლებიც ზანზალაკის ფუნქციასაც ასრულებდნენ. აზიაში რეშმებით ცხენის მორთვა უკვე შეინიშნება VII-XIII საუკუნეებში.[117]

არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება ცხენის მოსართავის ელემენტებიც. თუშეთში, სოფ. შენაქოს განაპირას მდებარე ბორცვზე, რომელსაც ნიშტაყოს ეძახიან, აღმოჩენილია ხატისათვის შეწირული ნივთები, რომლებიც VIII-XI სს. მიეკუთვნება. ნაპოვნ მასალაში გამოირჩევა ცხენის აკაზმულობის მრავალრიცხოვანი დეტალები – 145 ბალთა, 24 საკიდი მილაკი, 7 ეჟვანი, 3 ზარაკი, 3 ფიგურული საკიდი. ბალთების უმრავლესობა ორნამენტულია და ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგანაა დამზადებული.[118] ცხენის მოსართავის ბალთა ინახება ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც.[119] ის (ინვენტარის ნომერი ომმ-2471) გულის ფორმისაა, ბრინჯაოსაგან არის დამზადებული და რელიეფური ღარით გამოყვანილი მცენარეული ორნამენტი ამშვენებს. უკანა მხარეს სამი წყვილი სამაგრის კვალი ჩანს. ბალთის სიგრძეა 6.35 სმ, მაქს. სიგანე – 5.05 სმ, სისქე – 0.2 სმ. (სურ. 253)

მოსართავის ბალთები ადვილად შეიმჩნევა ქართულ გამოსახულებებზეც. ხირხონისის წმ. მხედრებს (X ს.) საძუეზე რამდენიმე ბალთა უმაგრიათ, ცხუმარის წმ. გიორგის (XI ს.) კი საძუე მოსართავის ცალ მხარეს 3 ნუშისებური ბალთა (სავარაუდოდ, რეშმა) აქვს დაკიდებული.[120] X ს. ჯოისუბნის წმ. გიორგის რელიეფ-

---

[113] *„სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, 29.

[114] Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави. *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Макбурны*, 231; თოფურია, *ამიერკავკასიის ქალაქები: X-XIII ს. პირველი მეოთხედი*, 109.

[115] D'Amato, "A Prôtospatharios, Magistros, and Strategos Autokrator of 11th century," 28, 30.

[116] А.В. Симоненко, *Сарматские всадники Северного Причерноморья* (Санкт-Петербург, 2010), 199.

[117] Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 21-2.

[118] რ. დოლაბერიძე, *არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან* (თბილისი, 1973), 4, 54-5.

[119] ნივთი 1959 წელს შეისყიდა მუზეუმმა. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ძირითადი ფონდების აღწერის ნიგნი N2, გვ. 87-8.

[120] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 35, 239.



სურ. 254
ა) ჯოისუბნის წმ. გიორგის ცხენის მოსართავი მრგვალი და ნაგრძელებული ბალთებით. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ავტორის ფოტო; ბ) სეტის წმ. გიორგის საძუე მოსართავი შუაში დაკიდებული თასმით; გ) რთული კონსტრუქციის საძუე მოსართავი. H1665 დავითნის 198v მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ზე ცხენის საძუე მოსართავზე რამდენიმე მრგვალი და წაგრძელებული ბალთა ჩანს[121] (სურ. 254ა). მრგვალი ფალერით არის დამშვენებული წმ. გიორგის ცხენის სამკერდე მოსართავი XV საუკუნის გულეკარის, ჟიბიანის, თბილისის სიონის ხატებსა და ბოდორნის საწინამძღვრო ჯვარზე, ასევე, XVII ს. ხონის ხატზე.[122]

საქართველოში ცხენის სამშვენისის მეტად გავრცელებული ფორმა იყო საძუე მოსართავის შუაში დაკიდებული თასმა, რომელიც შეიძლება მრგვალი ან სხვა ფორმის ბალთით ბოლოვდებოდეს. ასეთი თასმა აქვთ X საუკუნის ხატებზე საყდარის წმ. მხედრებს, ნაკურალეშისა და ფარახეთის წმ. გიორგის, XI ს. ხატებზე – ლაბეჭინას, სეტის, ნაკიფარის, იფარისა და საკაოს წმ. გიორგის, XII ს. ხატზე – ლაღამის წმ. გიორგის, XIII ს. ხატზე ლაფსყალდის წმ. გიორგის,[123] ხოლო XI-XII საუკუნის ფრესკებზე იფრარის, ნაკიფარისა და მაცხვარიშის ეკლესიების წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს[124] (სურ. 254ბ). ზოგჯერ, საძუის მსგავსად, შუაში დაკიდებული თასმა სამკერდულზეც შეიმჩნევა, როგორც ეს აქვთ ხატებზე წვირმი-ჩობანის წმ. გიორგის, ნაცულის წმინდა მხედრებსა და იფრარის წმ. გიორგის.[125] ხანდახან, საძუეზე ერთის ნაცვლად ორი თასმაა დაკიდებული: ასეთია წმ. გიორგი მურყმერისა და ლემსიას ხატებზე (XIII ს.),[126] და ბუგეულის წმ. გიორგი (XV-XVI სს.).[127] ეს შეიძლება სამკერდეზეც განმეორდეს – ორ-ორი თასმაა დაკიდებული საძუეზე და სამკერდეზეც ფარახეთის წმ. გიორგის (XV-XVI სს.).[128] გვხვდება ერთი წერტილიდან გამომავალი 3-3 თასმაც, რომლებიც დაკიდებულია საძუის შუა და უნაგირის ტახტასთან შეერთების

---

[121] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 168.
[122] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 519-22, 576.
[123] იქვე, ტაბ. 40, 41, 42, 43, 181, 182, 183, 184, 191, 435, 442.
[124] *ზემო სვანეთი*, 62, 63, 92, 93, 112.
[125] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 249, 250, 251.
[126] იქვე, ტაბ. 439, 440.
[127] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 126.
[128] იქვე, 187.

ადგილებზე. ასეთი მორთულობა აქვს ბეჩოსა[129] და უღვალის წმ. გიორგის ცხენებს.[130] რთული კონსტრუქციის, სამი თასმისაგან შემდგარი საძუე მოსართავი, რომელზეც რამდენიმე თასმაა დაკიდებული, არის გამოსახული H1665 დავითნის 182v, 194v, 198v, 204r, 205v, 212r, 222r და ა.შ. მინიატურებზე (სურ. 254გ).

ცხენის კისერს მასზე დაკიდებული ფოჩით ამშვენებდნენ.[131] ჰ. რ. რობინსონის მიხედვით, ცხენის კისრის ფოჩი თურქული მოდაა და ცენტრალურ აზიაში ჯერ კიდევ VIII საუკუნეში იყო ცნობილი.[132] კისრის ფოჩი მრავლად გვხვდება XIII საუკუნის *ვარკა და გულშას* მინიატურებზე (f. 4/7b, 17/18a, 21/20b, 25/24b, 39/37b, 42/40a, 59/56a).[133] მოკლე ფოჩი აქვს ცხენს XIV ს. I ნახევარში შესრულებულ *მონღოლთა დიდი შაჰნამეს* მინიატურაში, სადაც ბაჰრამ-გური მარტორქას კლავს,[134] ხოლო ამავე ხელნაწერის სხვა მინიატურაში, სადაც ბაჰრამ-გური დრაკონს კლავს, ცხენს ორი (კისრისა და მკერდის) მოკლე ფოჩი ამშვენებს.[135] ცხენის კისრის ქვეშ ჩამოკიდებული გრძელი ფოჩი დამახასიათებელია ადრეული სეფიანებისათვისაც (XVI საუკუნის დასაწყისი).[136] ქართულ სინამდვილეში ცხენის კისერზე დაკიდებული ფოჩის ერთ-ერთი უადრესი ნიმუში მოიპოვება თანღილის ეკლესიის წმ. გიორგის ცხენის XIII საუკუნის მხატვრობაში.[137] შთამბეჭდავი ზომის ფოჩს ატარებენ ტარიელისა და ავთანდილის ცხენები თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ 30, 76, 138, 199, 223, 255, 267, 300 მინიატურებზე (სურ. 255).

სურ. 255
ტარიელის ცხენი კისრის ფოჩით. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარაშვილისეული ნუსხა. H599 ხელნაწერი, 30-ე მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ცხენის დასამშვენებლად გავრცელებული იყო მისი ძუის გაკვანძვაც. ცხენის კუდის, ძუის გაკვანძვა დამახასიათებელია სტეპისა და ახლო აღ-

---

[129] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 441.

[130] *ზემო სვანეთი*, 247.

[131] შესაძლოა, ამგვარ ფოჩს გულისხმობდეს ხელმწიფის კარის გარიგებაში დასახელებული *კანჯრის კუდი*, რომელსაც, სხვა აკაზმულობასთან ერთად, ზარადხანაში ინახავდნენ: „ცხენის ყელს-საბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთან ყველა“. „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, 87.

[132] Robinson, *Oriental Armour*, 57, fig. 31B.

[133] Illustrations from the manuscript of the Romance of Varqa and Gulshah, c1250. http://greatestbattles.iblogger.org/Turk/Romance_of_Varqa_and_Gulshah-1.htm (accessed 18 September 2015).

[134] Oleg Grabar, *Masterpieces of Islamic Art: The Decorated Page from the 8th to the 17th Century* (Munich, 2009), 155, fig. 52.

[135] Eleanor Sims, *Peerless Images: Persian Painting and Its Sources* (New Haven, 2002), 308, fig. 229.

[136] B. W. Robinson, "Origin and Date of Three Famous "Shāh-Nāmeh" Illustrations," *Ars Orientalis*, 1 (1954), 111. მართალია, ბ. რობინსონი ამბობს, რომ 1500 წელზე უფრო ადრე კისრის ფოჩი ძალზე იშვიათია (მოჰყავს ერთი მაგალითი 1440 წლის „შაჰნამედან“) და თუ გვხვდება, ისიც მოკლე და მარტივი, განსხვავებით გრძელი და რთული ორმაგი ფოჩებისაგან, მაგრამ როგორც ზემომოყვანილი მაგალითებით ვრწმუნდებით, ეს მოსაზრება მცდარია.

[137] *ზემო სვანეთი*, 172.

სურ. 256
ცხენის კუდები H1665 დავითნის მინიატურებზე: ა) მოკლედ განასკვული. 218r მინიატურა; ბ) გრძლად დაწნული და განასკვული. 227v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მოსავლელი თურქი მებრძოლისათვის.[138] ამ პრაქტიკას ქართველებიც მისდევდნენ. ასეთი გაკვანძული კუდებია გამოსახული X საუკუნის ხირხონისის, საყდარის, ნაკურალეშის, ფარახეთის, XI საუკუნის ნაკიფარის, საკაოს, ცხუმარის, ლაგამის, მურყმერისა და მრავალ სხვა ხატზეც.[139] განასკვულ კუდებს ვხედავთ XII ს. ჯრუჭის II ოთხთავის 111r, XIV ს. H1665 დავითნის 194v, 198v, 218r, 227v და XVII ს. „როსტომიანის“ 66v, 81v, 153v, 168r, 189r მინიატურებზეც (სურ. 256). ცხენის ძუის გამონასკვის ტრადიცია ჯერ კიდევ ელინისტურ საქართველოში შეინიშნებოდა. ცხენებს ძუა განასკვული აქვთ სამადლოს ქვევრებზე (ძვ. წ. III ს.) და დედოფლის გორის ძვლის ფირფიტებზე (ჩვ.წ. I ს.) დატანილ გამოსახულებებზე.[140]

უნაგირი

ცხენის უნაგირს ორგვარი დანიშნულება აქვს: უზრუნველყოს მხედრის მყარად ჯდომა და გადაანაწილოს მისი წონა ცხენის ხერხემლიდან გვერდებზე. ამ მოთხოვნებს სრულად პასუხობს მყარი უნაგირი ხის კარკასითა და რბილი ბალიშით.[141]

უძველესი უნაგირი რბილი იყო და წარმოადგენდა ტყავით შეერთებულ ორ ბალიშს. ხის მყარი უნაგირი მძიმე კავალერიის საჭიროებისათვის გამოიგონეს და აზიაში უკვე არსებობდა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყ-

---

[138] Nicolle, *Attila and the Nomad Hordes*, 16.

[139] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 35, 38, 42, 43, 184, 191, 239, 241, 242.

[140] გაგოშიძე, „პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი“, 137, სურ. 1-4, 17-8.

[141] Peter Connolly, Carol van Driel-Murray, "The Roman Cavalry Saddle," *Britannia*, vol. 22 (1991), 33; Dixon, Southern, *The Roman Cavalry*, 70.

ისში.[142] კორეასა და იაპონიაში გვხვდება ასეთი უნაგირების IV-VI სს. ნაშთები. თავდაპირველად ის მოკლე იყო და მხედრის მოძრაობას ზღუდავდა. ხის უნაგირი მუდმივ სრულყოფას განიცდიდა და VII საუკუნეში ჩამოყალიბდა უფრო გრძელი უნაგირი, რომელშიც მხედარი მყარად და თავისუფლად იჯდა, შეეძლო სხვადასხვა მანევრების შესრულება (წინ, უკან, გვერდებზე გადახრა, უკან მოტრიალება) და ჩეხა, ჩხვლეტა, სროლა და ა.შ. ეს უნაგირი შორეულ აღმოსავლეთში, მომთაბარე და ბინადარი კულტურების კონტაქტის ზონაში გაჩნდა.[143]

ხის უნაგირმა მისცა როგორც მძიმე, ასევე, მსუბუქ კავალერიას ხელჩართული და დისტანციური იარაღის ეფექტური გამოყენების საშუალება.[144] გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ხის უნაგირი, და არა უზანგი, რომელიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ გაჩნდა, იყო მთავარი ფაქტორი მძიმე კავალერიის შექმნაში.[145] ა. ამბროზის სამართლიანი მოსაზრებით, VII საუკუნეში სრულყოფილი უნაგირის შექმნა ერთი იმ გადამწყვეტ ფაქტორთაგანი იყო, რამაც შუა საუკუნეების კავალერიის განვითარებას გაუხსნა გზა. სწორედ ამ ხანებში (VII-VIII სს.) მოხდა ახალი, უზანგებიანი უნაგირის ფართო გავრცელება.[146]

საქართველოში ხის კარკასიანი უნაგირი ადრიდანვე უნდა გავრცელებულიყო, რასაც ხელს შეუწყობდა კავკასიის ჩრდილოეთით მყოფ ნომადებთ-

---

[142] ხის მყარი უნაგირის წარმოშობას ჰუნებს უკავშირებენ, დაახლოებით ძვ.წ. I ს. აზიაში. თუმცა, ქერჩთან ყორღანის გათხრისას ნაპოვნი უნაგირის ხის ნაშთი (ძვ. წ. IV ს.), საფუძველს აძლევს ი. ვინოგრადოვსა და ვ. გორონჩაროვსკის ამტკიცონ ასეთი კონსტრუქციის უნაგირის უფრო ადრინდელობა, ვიდრე ეს აქამდე ითვლებოდა. Ю.А. Виноградов, В.А. Горончаровский. *Военная история и военное дело Боспора Киммерийского (VI в. до н. э. – середина III в. н. э.)* (Санкт-Петербург, 2009), 88-9, 168-9. მართებული არ ჩანს ზოგიერთი მკვლევრის მტკიცება, რომ ხის კარკასიანი უნაგირი სარმატული გამოგონებაა. Farrokh, *Sassanian Elite Cavalry*, 17; Karasulas, *Mounted Archers of the Steppe*, 46.

[143] А.К. Амброз, "Стремена и сёдла раннего средневековья как хронологический показатель (IV-VIII вв.)," *Советская археология*, 4 (1973), 94-6. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მხოლოდ ხის კარკასიანი უნაგირის შემოღებამ გახდა შესაძლებელი უზანგის გამოგონება, რომლის ღვედმაც მყარი საკიდი შეიძინა. С.И. Вайнштейн, "Некоторые вопросы истории древнетюркской культуры," *Советская этнография*, 3 (1966), 67; Karasulas, *Mounted Archers of the Steppe*, 47. ამ მოსაზრებას არ იზიარებს მ. ლიტაუერი, რომელსაც მოჰყავს ძვ.წ. 50 წ. ინდური გამოსახულება, სადაც ტყავის (თოკის) უზანგი რბილ უნაგირზეა დამაგრებული. Mary Aiken Littauer, "Early Stirrups," in *Selected Writings on Chariots and Other Early Vehicles, Riding and Harness* (Leiden, 2002), 442, pl. 192.

[144] რომაული ტიპის მყარი უნაგირიც კი, რომელიც შორს იყო სრულყოფისაგან, ტყავგადაკრული ხის კარკასის კუთხეებში დამაგრებული ოთხი (ორ-ორი წინა და უკანა) „რქის" საშუალებით ბალიშზე მჯდომ მხედარს საიმედოდ იჭერდა უნაგირზე და იარაღის ეფექტურად გამოყენებას უზრუნველყოფდა. ასეთი უნაგირები შეინიშნება I-IV სს. პართულ და სასანურ გამოსახულებებზე. Brzezinski, Mielczarek, *The Sarmatians*, 38; В.П. Никоноров, "К вопросу о роли стремян в развитии военного дела," *Степи Евразии в древности и средневековье*, кн. 2 (Санкт-Петербург, 2002), 264. ის, ალბათ, ცენტრალურ აზიაშია წარმოშობილი და სარმატების მიერ ევროპაში შემოტანილი. Brzezinski, Mielczarek, *The Sarmatians*, 38.

[145] Dixon, Southern, *The Roman Cavalry*, 74; Никоноров, "К вопросу о роли стремян в развитии военного дела," 265-6. აგრეთვე იხ. ქვემოთ უზანგთან.

[146] Амброз, "Стремена и сёдла раннего средневековья как хронологический показатель (IV-VIII вв.)," 97.

ან ურთიერთობა. მოკლე უნაგირი მაღალი წინა და უკანა ტახტით დასტურდება III-IV საუკუნეების ნეძიხის სამაროვანზე მოპოვებულ ცხენის ფიგურებზე, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულითაა დამზადებული.[147]

წაგრძელებული შუბით ბრძოლის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნაგირი მაღალი ტახტით, რათა მხედარს შუბის დარტყმისას უკან საყრდენი ჰქონდეს და ადვილად არ ჩამოვარდეს ცხენიდან.[148] შუა საუკუნეების გამოსახულებებზე ქართველი წმინდანები და მხედრები ყოველთვის მაღალი უნაგირით არიან აღჭურვილნი, მეტიც, მრავლად გვაქვს სავარძლისებური უნაგირის გამოსახულებებიც. ასეთი უნაგირი საგანგებოდ შეიქმნა ევროპაში, რომ მორკალული უკანა ტახტა მჭიდროდ შემოტმასნოდა მხედრის ბარძაყებს. მართალია, სავარძლისებური უნაგირი მოძრაობას მეტად ზღუდავდა, სამაგიეროდ მხედარი მაქსიმალურად და ღრმად იყო ჩაჭედილი უნაგირში და მისი ჩამოგდება ძალიან ძნელი იყო.[149] ალბათ, ამ ტიპის უნაგირზე მეტად არაფერი მეტყველებს *წაგრძელებული შუბის* გამოყენების რაინდულ სტილზე.[150]

მაღალი უნაგირის უამრავი მაგალითის მოყვანით ნაშრომი რომ არ გადავტვირთოთ,[151] ჩამოვთვლით მხოლოდ სავარძლისებური უნაგირის ზოგიერთ მაგალითს, რომელიც საქართველოში XIV საუკუნიდან გვხვდება: ასეთია წალენჯიხის ეკლესიაში წმ. გიორგის ორი სხვადასხვა გამოსახულება (XIV და XV სს.),[152] დირბის მონასტერში ჩრდილოეთის კედელზე გამოსახული წმ. გიორგი (XIV ს.),[153] წმინდა გიორგი ბუგეულის მთავარანგელოზთა ეკლესიაში (XV-XVI სს.),[154] სადგერის ჯვარზე წმ. გიორგის ორი გამოსახულება (XVI

---

[147] ქეთევან რამიშვილი, „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები (ცხენი)," *ძიებანი*, 6 (2000), 69, ტაბ. I: 1, 2, 4, 5.

[148] უნაგირის მაღალი უკანა ტახტა საშუალებას აძლევდა მხედარს გაეძლო სხვისი შუბის ძგერებისათვისაც. Gillmor, "European Cavalry," 203.

[149] ჩვეულებრივ, მაღალი უნაგირისა და გრძელი უზანგის გამოყენება დაკავშირებულია წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესთან. სავარძლისებური, ე.წ. „სატურნირო უნაგირი", რომელიც მაღალი უნაგირის უკიდურესი ევროპული ვარიაციაა, დასრულებულ სახეს იღებს XII საუკუნეში. ამ უნაგირიდან მხედრის ჩამოგდება ძალიან ძნელი იყო, თუმცა ასევე ძნელი იყო ჩამოვარდნილის კვლავ ამხედრება. David Nicolle, *French Medieval Armies 1000-1300* (Oxford, 1991), 26, 39. სავარძლისებური უნაგირი, რომელშიც მჯდომ რაინდს წაგრძელებული შუბის ძგერებისას ნარმოშობილი ბიძგისათვის (და საპასუხო დარტყმისათვის) უნდა გაეძლო, საჭიროებდა ცხენზე მჭიდროდ დამაგრებას განიერი სამკერდე ღვედით. Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 138.

[150] მოისარისათვის ასეთი უნაგირი უხერხული იყო და სროლისას მობრუნებაში უშლიდა ხელს. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 40.

[151] დამახასიათებელია, რომ მაღალი უნაგირი გამოსახულია „ვეფხისტყაოსნის" ავალიშვილისეული ნუსხის (H2074 ხელნაწერი) 47v მინიატურაზეც, რომელიც XVI საუკუნის მიწურულს სპარსული მხატვრული სკოლის გავლენით არის შესრულებული.

[152] *წალენჯიხა: მაცხოვრის ტაძრის მოხატულობები*, 116-7.

[153] გიორგი გაგოშიძე, ნინო ჩიხლაძე, *დირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი* (თბილისი, 2006), 127-8, ტაბ. 66.

[154] *რაჭა: 1991 მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები*, 126.



სურ. 257
წმ. გიორგი სავარძლისებური უნაგირით წალენჯიხა (ა), ზარათსა (ბ) და ალავერდში (გ).

საუკუნე),[155] ალავერდის ტაძრის XVI-XVII სს. წმ. გიორგის გამოსახულება, წმ. გიორგი ზარათის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე (XVII ს.),[156] წმ. დიმიტრი და წმ. გიორგი ანჩისხატის გულანში (XVII ს.), წმ. გიორგი 1688 წლის ლოცვანში[157] (სურ. 257). არსებული გამოსახულებების საფუძველზე შეიძლება ვისაუბროთ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში სავარძლისებური უნაგირის გამოყენების უწყვეტობაზე. მონღოლთა ბატონობის შემდეგ[158] მინიატურებზე აღმოსავლური ტიპის უნაგირებიც გვხვდება შედარებით დაბალი

---

[155] ამირან ჩხარტიშვილი, *მამნე ოქრომჭედელი* (თბილისი, 1978), ტაბ. 16.

[156] *ზარათი: წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია*, წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ფლერ დევდარიანი, იუზა ხუსკივაძე (თბილისი, 2008), 45.

[157] Ф.Г. Девдариани, *Миниатуры Анчисхатского гулани (Художественные тенденции грузинской миниатюрной живописи XVII в.)* (Тбилиси, 1990), таб. VI, XXI, XLIII.

[158] მონღოლთა შემოსევის შემდეგ საყოველთაოდ ვრცელდება უნაგირი, რომელსაც არა აქვს მკვეთრად გამოხატული უკანა ტახტა. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 41.



სურ. 258
უნაგირი ორმაგი სამაგრით. ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესია. ს. ყარყუველაძის ფოტო.

უკანა ტახტით.[159] მაგრამ სავარძლისებური უნაგირის გამოსახულებები მაინც მრავლად მოიპოვება.

ბ. ბაქრაქი მიუთითებს წაგრძელებული შუბის გამოყენების დროს უნაგირის მყარად დამაგრების მნიშვნელობაზე და მოჰყავს ილუსტრაცია, რომელზეც უნაგირი დამაგრებულია მუცლის ორმაგი ღვედით, რათა შუბის დარტყმისას ადგილიდან არ დაიძრას.[160] ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის (ლენჯერის თემი) გარე ფასადზე მხედრის გამოსახულება (XIII-XIV საუკუნეების მიჯნა) გაშვერილი ფეხით და ცხენის მუცელზე უნაგირის ორმაგი სამაგრით გვარწმუნებს იმაში, რომ დამაგრების ასეთ სისტემას საქართველოშიც იცნობდნენ (სურ. 258). ორმაგი სამაგრითაა დამაგრებული ამავე ეკლესიაში გამოსახული წმ. გიორგის, წმ. დიმიტრისა და წმ. თევდორეს უნაგირები. მუცელზე უნაგირის ორმაგი სამაგრი აქვს წმ. გიორგის ცხენს ულვალის ჯგრაგის ეკლესიაში (XV ს.).[161] XVII საუკუნის შუახანებში არქანჯელო ლამბერტიც მოწმობს უნაგირის შეკაზმვას ორმაგი და სამმაგი მოსართავით.[162] ამის აუცილებლობა კი მხოლოდ *წაგრძელებული შუბის* გამოყენებას უნდა გამოეწვია.[163]

---

[159] მაგალითისთვის, H1665 დავითნის მინიატურებზე უნაგირის წინა ტახტა უფრო მაღალი და ციცაბოა, უკანა კი შედარებით დამრეცი. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 71.

[160] Bachrach, "Animals and Warfare in Early Medieval Europe," 748, pl. 8a.

[161] *ზემო სვანეთი*, 247.

[162] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 89.

[163] უნაგირის ორმაგი სამაგრის გავრცელებას ბიზანტიაში დ. ნიკოლი სავსებით მართებულად უკავშირებს კომნენოსების დროს *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესის დამკვიდრებას. David

უნაგირი განიხილებოდა როგორც წარჩინების ნიშანი და არისტოკრატიის კუთვნილება და მას შესაბამისად, ძვირფასი ლითონებით, თვლებითა და ქსოვილით რთავდნენ ხოლმე.[164] ზოგიერთ ქართულ წყაროში უნაგირის ფასი ცხენის ფასსაც კი აღემატება, რაც მის მდიდრულ მორთულობაზე მიუთითებს: შიომღვიმისადმი დაწერილ ფავნელის ნასყიდობის საბუთში ცხენის ფასი 300 თეთრია, უნაგირის კი 500 („უნაგირი ხუთასად ყუელასა მჯობი").[165] ცხენზე უფრო ძვირი უნაგირი ჩანს XIII ს. შუახანებში დაწერილ გრიგოლ სურამელის საბუთშიც („ცხენი ერთი – სამასორმოც და ათ თეთრად ნასყიდი, უნაგირი ოქროჲთა და ზარხოჲთა მოჭედილი – ექუსას თეთრად დაფასებული").[166] საქართველოს მეფის ზარადხანაში მორთულ-მოჭედილი უნაგირი ინახებოდა: „უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია".[167] ძალიან მდიდრული უნაგირებია აღწერილი ქართულ მზითვის წიგნებშიც. ასე მაგალითად, 1634 წელს სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი თავის დას, მარიამს მზითვში ატანს ცხენებს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი (მურასა) უნაგირებითა და მოსართავით.[168] 1667 წელს შაჰნავაზ მეფე თავის ასულს მზითვში ატანს ბედაურს ოქროს უნაგირითა და ოქროს რახტით, ასევე ვერცხლის რახტიან-უნაგირიან ცხენებს მოახლეებისათვის.[169]

უნაგირს ცხენზე მოსართავით („უნაგირის მოსაჭირებელი")[170] ამაგრებდნენ, ქვეშ კი თოქალთოს („უნაგირის ქვეშ სადები")[171] უდებდნენ. თოქალთო (ასალი, ყაჯარი) ცხენს იცავს ტრავმებისაგან, უნაგირს კი – ოფლისაგან.[172] ლამბერტი მოგვითხრობს, რომ მეგრელები მაუდისაგან

Nicolle, "Arms, Armour and Horse Harnesses in the Parma Baptistery Painted Ceiling," in *Warriors and their Weapons around the Time of the Crusades*, Variorum Collected Studies (Aldershot, 2002), 11-2.

[164] Pant, *Horse and Elephant Armour*, 77.

[165] „დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი", 18.

[166] „შეუვალობის განახლების დაწერილი ქართლის ერისთავე გრიგოლ სურამელისა შიომღვიმისადმი", 43.

[167] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 87.

[168] „ერთი კარგი ცხენი ოქროს მურასა უნაგრითა, მურასას ლაგმითა და სამკერდულითა, ჩარყაფად შეკერილი ასლითა. ამ უნაგერში ზის ყირმიზი იაგუნდი სამასი, და ოთხასი დიდი და წურილი ნიშაური ფირუზა; ლაგამს უზის თვალი ორმოცდახუთი და ოცდახუთი ბალთა. მეორე საულაყო ცხენი თოხარიკი, კიდევე ოქროს მურასას უნაგირითა, ამ უნაგირშეგა სხედს თვალები: სამოცდა ოთხი ნიშაური ფირუზა და ორმოცდა ექუსი დიდი ბადახშანი ლალი, სხვას წურილს იაგუნდსა და ლალს გარეთ, მისის მურასა ლაგმითა სამკერდულითა და ჯილავითა... მესამე მომარგალიტული უნაგირი მისის მომარგალიტულის იარაღითა და სამი ოქროქსოილი ბორქალსუნი". *მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები)*, 14.

[169] იქვე, 33-4.

[170] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 505.

[171] იქვე, 302. თოქალთო ნაბდისა და ტყავისაგან (ხბო, თხა) მზადდებოდა. შედგებოდა ზედა და ქვედა პირისაგან. ზოგი თოქალთოს ქვედა პირი ნაბდისაა, ზედა კი – ტყავის. ნანობაშვილი, *ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში*, 167.

[172] ზალდასტანიშვილი, *ცხენოსნობა*, 33.

სურ. 259
ავაზის ტყავი ცხენზე. ნერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი". S5006 ხელნაწერი, 86r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

შეკერილ და ოქრომკედითა და აბრეშუმით მოქარგულ ყაჯარს ხმარობდნენ, მაგრამ თუ „იშოვნიან ავაზის ტყავს, ამ ტყავს ამჯობინებენ. სარჩულად მას დაუდებენ შალს და გადააფარებენ ცხენს ისე რომ ოთხივე [თათი] ცხენის გვერდებზე გადადის და კუდი კი უკან გავაზე. ეს შემკულობა უცხო და კოხტა სანახავია".[173] ასეთი, ცხენს გადაფარებული ცხოველის ტყავი შეგვიძლია ვიხილოთ წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის" 86r მინიატურაზე, სადაც ტარიელი ხატაელებზე გასალაშქრებლად ემზადება[174] (სურ. 259). საქართველოში ყაჯარს, ისევე როგორც ცხენსა და მის აკაზმულობას, მზითევში ატანდნენ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ქიზიყში XIX საუკუნეში მოქარგული, მზითევში გატანებული ცხენის ყაჯარი, რომლის

[173] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 174.
[174] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი: ხელნაწერი მემკვიდრეობა* (თბილისი, 2013), 220.

ზომაა 120X129 სმ და გარშემო შემოუყვება 5 სმ სიგრძის აბრეშუმის ფოჩი.[175] მეუნაგრობა ხელოსნობის ცალკე დარგი იყო, უნაგირის ოსტატს კი სარაჯი ერქვა.[176]

უზანგი

უზანგი, როგორც ლითონისაგან შექმნილი ფეხის საყრდენი, შედარებით გვიანი გამოგონებაა ცხენოსნობის ისტორიაში.[177] ანტიკური სამყარო უზანგს არ იცნობდა. მას არ იცნობდნენ არც სკვითები, სარმატები, პართელები თუ სასანელები.[178]

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტყავისა და სხვა მოქნილი, ორგანული მასალისაგან დამზადებულ ადრეულ თუ კავის ფორმის მყარ პროტოუზანგებს,[179] ლითონით მოჭედილი ხის უზანგები ნაპოვნია IV-V სს. სამარხებში კორეის, ჩინეთისა და იაპონიის ტერიტორიაზე. უზანგის უადრესი გამოსახულება IV საუკუნის I მეოთხედს ეკუთვნის და ნანკინის ახლოს ჩინელი არისტოკრატის სამარხშია აღმოჩენილი.[180] კორეელ მკვლევართა ბოლოდროინდელმა კვლევებმა დააზუსტეს უზანგის წარმოშობის დრო და ადგილი. ვან ტეინის აღმოჩენების მიხედვით, უზანგის გამოგონების პატივი უნდა ეკუთვნოდეთ სამხრეთ მანჯურიაში მოსახლე სიანბის ტომებს. აქ, ფანშენცუნში, III ს. შუახანების – IV ს. დამდეგის სამარხში აღმოჩნდა უადრესი ოვალური ფორმის ხის წყვილი უზანგი, რომელიც ბრინჯაოს ფირფიტებით იყო დაფარული. იქვე, ჩაოიანის სამარხში (IV ს. დამდეგიდან შუახანებამდე) ნაპოვნია ხის უზანგის კიდევ ერთი წყვილი ბრტყელი სატერფულით, რომელსაც ტყავი ჰქონდა გადაკრული.[181]

რკინის ჩამოსხმული უზანგები V ს. დამლევს – VI ს. დასაწყისში გვხვდება კორეაში.[182] I ათასწლეულის შუახანებში რკინის უზანგი შორეული აღმოსავ-

---

[175] ანა მახარაშვილი, „ყაჯარი", *საქართველოს ქალი*, 11 (1969), 18-9.

[176] ანზორ გოგიაშვილი, „უნაგირი", *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, რედ. ელდარ ნადირაძე (თბილისი, 2013), 423.

[177] Wilfred A. Seaby, Paul Woodfield, "Viking Stirrups from England and their Background," *Medieval Archaeology*, 24 (1980), 87.

[178] Амброз, "Стремена и сёдла раннего средневековья как хронологический показатель (IV-VIII вв.)," 81.

[179] წყვილი უზანგის გამოყენებას წინ უძღოდა ცალი (მარცხენა) უზანგის ტიპის ღვედზე ჩამოკიდებული მოწყობილობა, რომელიც მხოლოდ ცხენზე ასამხედრებლად თუ გამოდგებოდა (ცხენზე ყოველთვის მარცხენა მხრიდან ჯდებიან). წყვილი, ნამდვილი უზანგისაგან განსხვავებით, ცხენზე შეჯდომის შემდეგ მხედარი მას არ იყენებდა და ჭენებისას არ ეყრდნობოდა. С.И. Вайнштейн, *Мир кочевников центра Азии* (Москва, 1991), 220-1.

[180] И.Л. Кызласов, "О происхождении стремян," *Советская археология*, 3 (1973), 28-30; С.И. Вайнштейн, М.В. Крюков, "Седло и стремя," *Советская этнография*, 6 (1984), 125; Вайнштейн, *Мир кочевников центра Азии*, 223.

[181] С.А. Комиссаров, "К вопросу о происхождении стремян," *Снаряжение кочевников Евразии* (Барнаул, 2005), 128.

[182] Mary Aiken Littauer, "Early Stirrups," in *Selected Writings on Chariots and Other Early Vehicles, Riding and Harness* (Leiden, 2002), 446 .

ლეთიდან ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ ციმბირში მოხვდა.[183] ვაინშტეინი თვლის, რომ ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ ციმბირში ლითონის უზანგი გამოჩნდა პირველი თურქული ხაკანატის წარმოქმნის ხანაში და VI ს. შუახანებში ძველთურქული შეიარაღების კომპლექსის განუყოფელ ნაწილად იქცა.[184] უზანგი ევროპაში მომთაბარეებმა შეიტანეს, სადაც ის შეიძლება მოხვედრილიყო VI ს. პირველ ნახევარში. VI საუკუნეში უზანგის ევროპაში გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ავარებს.[185] VII საუკუნის მეორე ნახევრისათვის უზანგი უკვე ცნობილია დასავლეთ ევროპაში.[186]

თავდაპირველად უზანგი გრძელ მანძილზე დაღლილობის შესამცირებლად იყო მოწოდებული და არა ცხენოსნის საბრძოლო ეფექტურობის ასამაღლებლად.[187] ის, ასევე, აუმჯობესებს მხედრის ფეხში სისხლის მიმოქცევას.[188] უზანგმა გაადვილა ცხენზე შეჯდომა: მანამდე გავრცელებული იყო ცხენზე მოხტომა ან მძიმედ შეიარაღებული მებრძოლის „ირანული წესით" (მსახურის დახმარებით) ამხედრება.[189] უზანგი ძალიან მნიშვნელოვანია ცხენის სამართავად და მხედრის ჰორიზონტალური წონასწორობის შესანარჩუნებლად,[190] რამაც საშუალება მისცა მხედარს გამოეყენებინა უფრო მძიმე თავდაცვითი აღჭურვილობა.[191] უზანგის მეშვეობით ცხენოსანი უფრო ეფექტურად იყენებს ხმალს. მას შეეძლო უზანგზე წამომდგარიყო და ხმლის დარტყმისას მკლავის ძალას სხეულის სიმძიმეც შეეშველებინა.[192]

---

[183] С.Г. Кляшторный, Д.Г. Савинов, *Степные империи Евразии* (Санкт-Петербург, 1994), 101-2; П.И. Шульга, В.В. Горбунов, "Стремя раннего типа из Алейской степи," *Снаряжение верхового коня на Алтае в раннем железном веке и средневековье* (Барнаул, 1998), 101.

[184] С.И. Вайнштейн, "Некоторые вопросы истории древнетюркской культуры," *Советская этнография*, 3 (1966), 66-7; Д.Г. Савинов, "К проблеме происхождения металлических стремян в Центральной Азии и Южной Сибири," *Актуальные проблемы сибирской археологии* (Барнаул, 1996), 16. იხ. ასევე, განსხვავებული მოსაზრებები და დისკუსია ამ საკითხის შესახებ. Савинов, "К проблеме происхождения металлических стремян в Центральной Азии и Южной Сибири," 16-20.

[185] Georgios Kardaras, "The Nomadic Art of War. The Case of the Avars," *Acta Militaria Mediaevalia*, 11 (2015), 10.

[186] Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 43; Никоноров, "К вопросу о роли стремян в развитии военного дела," 264. საინტერესოა, რომ ადრე შუასაუკუნეებში მომთაბარე და ბინადარ ხალხთა უზანგები ერთმანეთისაგან ფორმით განსხვავდებოდა: მომთაბარულ-აღმოსავლური უზანგი მომრგვალო ფორმისაა, დასავლური კი – სამკუთხა, სწორი სატერფულით. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 43-4. სამკუთხა უზანგის გამოსახულებები მრავლად გვხვდება ქართულ სინამდვილეში. H1665 დავითნის 194r მინიატურაზე ორი სამკუთხა უზანგი ჩანს. კარგად ჩანს სამკუთხა უზანგი კიდევ ერთი – H75 დავითნის 24r მინიატურაშიც. სამკუთხა უზანგი უკეთია წმ. გიორგის წალენჯიხის ეკლესიის ფრესკაზეც. წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", 336-8.

[187] Littauer, "Early Stirrups," 441; Nicolle, *Carolingian Cavalryman*, 49.

[188] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 41.

[189] Кардини, *Истоки Средневекового Рыцарства*, 270.

[190] Carroll Gillmore, "Practical Chivalry: The Training of Horses for Tournaments and Warfare," *Studies in Medieval and Renaissance History*, 13 (1992), 14; Keen, *Chivalry*, 23.

[191] Sidnell, *Warhorse: Cavalry in Ancient Warfare*, 318.

[192] Nicolle, *Carolingian Cavalryman*, 53; Кардини, *Истоки Средневекового Рыцарства*, 271. მერპერტი

უზანგის წყალობით მძიმედ აღჭურვილი მებრძოლი უფრო მყარად იჯდა ცხენზე, მოისარს კი უნაგირიდან წამოწევისა და მოტრიალების შესაძლებლობა მიეცა.[193] დაბოლოს, უზანგმა შესაძლებლობა მისცა ცხენთან ნაკლებად გაშინაურებულ სედენტარულ ცივილიზაციებს უფრო ეფექტურად ებრძოლათ ამხედრებულად.[194]

როდის ჩნდება ჩვენ რეგიონში და, კერძოდ, საქართველოში უზანგი?

ბიზანტიაში პირველი წერილობითი მოწმობა უზანგის შესახებ გვხვდება VII ს. დასაწყისისათვის მავრიკიოსის *სტრატეგიკონში*, სადაც ცხენოსნის აღჭურვილობის ჩამონათვალში წერია, რომ უნაგირს ორი რკინის უზანგი უნდა ემაგრებოდეს.[195] ჯ. დენისი აღნიშნავს, რომ *სტრატეგიკონში* უზანგის შესატყვისად გამოყენებულია სიტყვა *skala* (კიბის საფეხური), რაც კი იმაზე მიუთითებს, რომ უზანგი ახალი შემოსულია და ბიზანტიელებს მისთვის საგანგებო ტერმინი ჯერ არ შეურჩევიათ.[196] ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ხანებში ბიზანტიელები უზანგის ძირითად ფუნქციას ჯერ კიდევ ცხენზე ამხედრების გაადვილებაში ხედავდნენ.

სასანელები უზანგს არ იყენებდნენ[197] და ნიკოლი მართებულად მიიჩნევს, რომ, შესაბამისად, ქართველებიცა და სომხებიც უზანგს არ იც-

---

თვლის, რომ უზანგის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მოხრილი ხმლის გაჩენა და შემდგომი გამოყენება. Мерперт, "Из истории оружия племен Восточной Европы в раннем средневековье," 142. ამავე აზრისაა ვაინშტეინიც, რომელიც უზანგსა და მყარ უნაგირს უკავშირებს მოხრილი ხმლის გამოჩენას. Вайнштейн, "Некоторые вопросы истории древнетюркской культуры," 74.

[193] Littauer, "Early Stirrups," 442-3. მიუხედავად იმისა, რომ უზანგმა უფრო მყარი გახადა მხედრის ჯდომა ცხენზე და გაზარდა მისი ეფექტურობა, ის სულაც არ იყო აუცილებელი დამრტყმელი კავალერიისათვის, როგორც ეს ხანდახან ჰგონიათ ხოლმე. Nicolle, *Attila and the Nomad Hordes*, 15. ასეთი შეცდომები ქართულ სინამდვილეშიც გვხვდება: მაგალითად, მცდარია განცხადება, რომ „უზანგის გაჩენამდე პრაქტიკულად შეუძლებელია მეტნაკლებად სრულფასოვან კავალერიაზე ლაპარაკი". კახა კაციტაძე, „შინაური ცხოველების სამხედრო სიმბოლიკა და ქართული კულტურის ზოგიერთი სამხედრო ასპექტი", *ქართველოლოგია*, 8 (2008), 34. უნდა გვახსოვდეს, რომ VII-VIII საუკუნეებამდე ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მხედრობა უზანგის გარეშე იბრძოდა და ამას მშვენივრადაც ახერხებდა. თავი რომ გავანებოთ ალექსანდრე მაკედონელისა და ჰანიბალის ბრწყინვალე კავალერიას, გავიხსენოთ, რომ უზანგის გარეშე იბრძოდნენ სარმატალანები, ჰუნები, გოთები, ყველა კატაფრაქტი და კლიბანარი, დაბოლოს, სასანელთა მხედრობაც და ვახტანგ გორგასლის „ცხენ-თორნოსანი"და „ჯაჭუ-ჩაბალახოსანი" სპაც.

[194] Buell, May, Ramey, *The Horse and the Silk Road: Movement and Ideas*, 7-8.

[195] მავრიკიოსის ტრაქტატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბიზანტიელებმა ის ავარებთან უნდა ენახათ VI-VII სს. მიჯნაზე. Амброз, "Стремена и сёдла раннего средневековья как хронологический показатель (IV-VIII вв.)," 81.

[196] *Maurices's Strategikon*, 13, n. 6.

[197] Вайнштейн, "Некоторые вопросы истории древнетюркской культуры," 65. ა. ჰილანდი მიიჩნევს, რომ სასანელებმა VII ს. შუახანებში აითვისეს უზანგი, რის მტკიცებულებადაც მოჰყავს ერმიტაჟში დაცული სასანური ვერცხლის სინი ნადირობის სცენით, რომელზეც უზანგიანი მხედარია გამოსახული. Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 11. მკვლევარი ცდება, რადგანაც პურ-ი ვაჰმანის სახელით ცნობილი ეს სინი განსხვავდება სასანური ორიგინალებისაგან და პოსტსასანურ პერიოდს მიეკუთვნება. Prudence O. Harper, Pieter Meyers Silver, *Vessels of the Sasanian Period*, vol. 1, *Royal Imagery* (New York, 1981), 139-41, fig. 46.

ნობდნენ.[198] VII ს. დამლევამდე უზანგს არ იცნობდნენ არაბებიც. არაბი მწერლები, რომლებიც საუკუნენახევრის შემდგომ მოგვითხრობენ მომხდარზე, გადმოგვცემენ ზეპირ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც თავიანთი დაპყრობების ეპოქაში არაბი ცხენოსნები რკინის უზანგს არ იყენებდნენ. ალ-ჯაჰიზი (776-868) მისი თანამედროვე სპარსის პირით აღნიშნავს ადრეულ არაბ ცხენოსანთა სისუსტეს, რომელთაც უზანგი არ გააჩნდათ. ალ-ჯაჰიზიც და არაბი გრამატიკოსი ალ-მუბარადიც (826-898) ამბობენ, რომ არაბები რკინის უზანგს პირველად გაეცნენ 694 წელს მუჰალაბ ბ. აბი სუფრას (აბუ საიდის) აღმოსავლეთ ირანში ლაშქრობის დროს.[199] ასე იყო თუ ისე,[200] ცხადია, რომ არაბებმა უზანგის ფართო გამოყენება VIII საუკუნეში დაიწყეს, ხოლო უზანგის უადრესი გამოსახულება ისლამურ სამყაროში მხოლოდ 730 წლიდან მოგვეპოვება, პალმირასთან მდებარე ომაიანთა სასახლიდან.[201]

ამ ვითარებიდან ნათელია, რომ ქართველები უზანგს სასანელებისაგან ვერ გადაიღებდნენ და თუკი ის არაბებმა შემოიტანეს, ეს VIII საუკუნეზე ადრე ვერ მოხდებოდა. ამავე დროს, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უზანგი საქართველოში არაბებზე და VIII საუკუნეზე უფრო ადრე მოხვდა. VII საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიელები უკვე სარგებლობდნენ უზანგით, ამავე საუკუნის 20-იან წლებში კი ჰერაკლე კეისარი კავკასიაში ომობდა სასანელთა წინააღმდეგ და 627 წელს თბილისისთვისაც ჰქონდა ალყა შემორტყმული. ჰერაკლეს აქტიურად ეხმარებოდნენ თურქი მოკავშირეები დასავლეთ ხაკანატიდან, რომელთაც 628 წელს აიღეს კიდეც თბილისი. როგორც ვიცით, უზანგი უკვე კარგა ხანია შედიოდა ძველთურქული შეიარაღების კომპლექსში. ცხადია, რომ უზანგს საქართველოში ამ დროს გაეცნობოდნენ, მაგრამ მისი დამკვიდრების ზუსტი თარიღი მაინც ჯერ კიდევ დასადგენია.

უზანგის იკონგრაფიულ გამოსახულებათა ძიება ასეთ შედეგს გვაძლევს: VI და VII საუკუნის გამოსახულებებზე (ბრდაძორისა და ნათლისმცემლის ქვასვეტები) უზანგი არ გვხვდება. როგორც ჩანს, უზანგის უადრესი გამოსახულება წებელდის კანკელზე უნდა გვქონდეს.[202] მიუხედავად იმისა, რომ რიგი ხელოვნებათმცოდნები კანკელს VI-VII სს. აკუთვნებენ, მისი ყველაზე უფრო დაწვრილებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ წებელდის კანკელი VIII-IX

---

[198] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 38.

[199] Seaby, Woodfield, "Viking Stirrups from England and their Background," 89; Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 45.

[200] ბივარი, რომელსაც ამ ქრონოლოგიის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თვლის, რომ არაბებმა უზანგი ბიზანტიელებისაგან გადაიღეს. Bivar, "Cavalry Equipment and Tactics on the Euphrates Frontier," 290, n. 69.

[201] White, "The Crusades and the Technological Thrust of the West," 99.

[202] გროტოვსკი ცდება, როდესაც თვლის, რომ საქართველოში უზანგი პირველად ჩნდება X საუკუნის გამოსახულებებზე. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 382, n. 12.



სურ. 260
ე.წ. „დავით აღმაშენებლის უზანგი". საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. ავტორის ფოტო.

საუკუნეების მიჯნაზეა შესრულებული.[203] წმ. ევსტათე პლაკიდას ფიგურა კანკელზე, მისი აღჭურვილობა და მასიური, განიერი ღვედით დამაგრებული უზანგიც ამ თარიღს ეთანხმება.[204] ამასთანავე, მასიური უზანგი მოწმობს, რომ ის საკმაოდ დაშორებულია მომთაბარულ ნიმუშს და რომ, შესაძლოა, საქართველოში უზანგის უფრო ადრეულ ფორმასაც იყენებდნენ. სამწუხაროდ, მტკიცებულებისათვის VII საუკუნის უზანგის გამოსახულება არ მოგვეპოვება და უნდა ჩავთვალოთ, რომ უზანგს საქართველოში VIII საუკუნეში მაინც იყენებდნენ.

უზანგის მიმოხილვა ორიოდე არტეფაქტის განხილვით დავასრულოთ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ვეებერთელა უზანგი, რომელიც ე.წ. „დავით აღმაშენებლის უზანგის" სახელით არის ცნობილი (სურ. 260). ის მუზეუმში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციიდან არის შესული. ექსპონატის ასეთი სახელწოდება, ალბათ, მისმა გამორჩეულმა ფორმამ და დიდმა ზომამ განაპირობა. უზანგის სიგრძე 35.2 სმ-ია, სიგანე – 20.3 სმ, სიგანე ვიწრო ნაწილში – 11.6 სმ, სიმაღლე – 20.9 სმ. უმნიშვნელო განსხვავებით ორივე უზანგის ზომა ერთმანეთს ემთხვევა (მეორე ცალის სიგრძეა 34.5 სმ). სინამდვილეში, აღნიშნულ არტეფაქტს საერთო არაფერი აქვს დავით IV-ის ცხენის აკაზმულობასთან და გვიანი ეპოქის (XVII-XVIII სს.) ოსმალური უზანგია. ცნობილია, რომ თურქულ უზანგს ჰქონდა ფართო სწორკუთხა ძირი, რომელიც აღმოსავლური ჯდომისათვის იყო გამიზნული, როდესაც მხედარი

---

[203] Хрушкова, *Скульптура раннесредневековой Абхазии*, 43-85. ბოლო დროს გამოსულ წიგნშიც ავტორი იმეორებს, რომ წებელდის კანკელი შექმნილია არა უადრეს VIII ს. II ნახევრისა ან IX ს. I ნახევარში. Л.Г. Хрушкова, *Раннехристианские памятники Восточного Причерноморья (IV-VII века)* (Москва, 2002), 389-93.

[204] დ. ნიკოლი წებელდის კანკელს IX ან X საუკუნესაც კი აკუთვნებს. David Nicolle, *The Armies of Islam 7th-11th Centuries* (Oxford, 1982), 13; მისივე, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 67.

სურ. 261
ოსმალური ფართო უზანგი სტიბერტის მუზეუმის ექსპოზიციაზე (ა) და S1594 „უთრუთიან-საამიანის“ 50ს მინიატურაზე (ბ).

წამოიწეოდა და თითქმის იდგა უზანგზე.[205] ჩვენი ექსპონატის თაღის ფორმის ამოზნექილი ძირი დამახასიათებელია სწორედ XVII და შემდგომი საუკუნეების ოსმალური უზანგისათვის.[206] ასეთი უზარმაზარი უზანგები შეგვიძლია ვიხილოთ პარიზის არმიის მუზეუმში, სტიბერტის მუზეუმის აღმოსავლურ კოლექციაში (ფლორენცია) და სხვ., სადაც ოსმალო მხედრის რეკონსტრუქციებია წარმოდგენილი (სურ. 261ა). ის გვხვდება აღმოსავლურ მინიატურებშიც, როგორიცაა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVIII ს. ცხენის კარაბადინი – *ბეითარნამე*. ოსმალური ფართო უზანგი ხშირად გვხვდება XVII საუკუნის „უთრუთიან-საამიანში“, რაც მის ადგილობრივ გავრცელებაზე მეტყველებს. ის გამოსახულია 50v, 51r, 56v, 69r, 71v, 72v, 93v, 94r და 105v მინიატურებზე (სურ. 261ბ).

ქვეყნის გარეთ, ერმიტაჟში არის დაცული[207] გვიანდელი დასავლეთქართული წყვილი უზანგი (საინვენტარო ნომერი B.O.-1175), რომელზეც თურქული გავლენა შეინიშნება. ის იმერეთის მეფე სოლომონს ეკუთვნოდა. ფოლადის უზანგი ვერცხლითაა ლამაზად არის მოზარნიშებული და დატანილია ყვავილებისა და ფრინველის ორნამენტი. ორივე უზანგზე ქართული წარწერაა – „მეფე სოლომონ“. მუზეუმის მონაცემებით უზანგის ზომებია 12.8X13X7 სმ.[208] (სურ. 262)



სურ. 262
ერმიტაჟში დაცული წყვილი ქართული უზანგი სხვადასხვა რაკურსით. კ. სინიავსკის ფოტო.

[205] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 311.
[206] Mohamed, *The Arts of the Muslim Knight*, 357.
[207] ეს ექსპონატი 1885 წლამდე ცარსკოე სელოს არსენალში იმყოფებოდა.
[208] შდრ. Miller, *Caucasian Arms from the State Hermitage Museum*, 317, fig. 12.

დეზი

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, *დეზი* ცხენის საჩხვლეტელია.[209] ის ლითონის მოწყობილობაა, რომელიც ფეხსაცმელს ქუსლთან ემაგრება და ცხენის სამართავად არის გამიზნული.[210] დეზების მეშვეობით შეიძლება ცხენის მართვა მათრახის გამოყენების გარეშე, რაც ხელს უთავისუფლებს მხედარს.[211] დეზის წარმოშობა უცნობია, თუმცა ვიცით, რომ მას იყენებდნენ კელტები ძვ.წ. V საუკუნეში.[212] ამავე ხანებში უნდა გაცნობოდნენ დეზებს ბერძნებიც,[213] რომელთაგან დეზის გამოყენება ძვ.წ. 350 წელს ქსენოფონტმა აღწერა.[214] დეზებს იყენებდა რომაული კავალერიაც.[215]

დეზი, რომელიც წვეტით ზემოქმედებდა, ყოველთვის გარკვეულ ტრავმას აყენებდა ცხენს. „ლათინური ჯდომის" მანერა და წინგაშვერილი ფეხი გრძელ, მძლავრ და წვეტიან დეზს ითხოვდა, რაც ცხარე ბრძოლაში დეზის კვრისას კიდევ უფრო ზრდიდა ცხენის ტრავმირების ალბათობას. ამან ჯერ დეზზე წვეტის შემზღუდველი შემსხვილებები, შემდეგ კი ვარსკვლავისებური დეზის გამოგონება გამოიწვია. ვარსკვლავისებური დეზი იყო ვარსკვლავის ფორმის მოძრავი კბილანა თვლით, რომელიც ცხენს არ აზიანებდა.[216] წვეტიანი დეზები XIV საუკუნემდე გამოიყენებოდა.[217] ვარსკვლავისებური დეზი ევროპაში ბატონდება XIV საუკუნის მეორე მეოთხედიდან.[218] ის პირველად XIII საუკუნეში გვხვდება რუსეთსა და ბიზანტიაში.[219] ეს დეზი, რომელიც ევროპაზე ნახევარი საუკუნით ადრე იყო რუსეთში ცნობილი, შესაძლოა ბი-

---

[209] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 216. 1743 წელს დაბეჭდილმა ბაქარის ბიბლიამ დეზის მეორე სახელწოდებაც შემოგვინახა – *საწერტელი*. იგავნი სოლომონისნი 26.3: „ვითარცა შოლტი ცხენსა და **საწერტელი** ვირსა, ეგრეთ კუჭრთხი ნათესავსა რჯულის გარდამავალსა". შესაძლოა, საწერტელი დეზის თავდაპირველი დასახელებაც იყოს, რადგან ის ზუსტად ასახავს ადრეულ დეზს, რომელსაც ნვეტიანი ბოლო ჰქონდა.

[210] განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დეზი აბჯრით დაფარული ცხენის შემთხვევაში, როდესაც მართვა სადავით, ფეხით (შენკელით) ან კორპუსის გადახრით ნაკლებეფექტურია და ცხენზე ზემოქმედების ქმედითი საშუალება მხოლოდ დეზებია. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 58; Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*, 17. ძირითადად დეზით მართავენ ცხენს სავარძლისებურ უნაგირში ჯდომისას. იქვე, 41.

[211] Cécile Lagane, *Les éperons à pointe en Europe non méditerranéenne du VI^e^ au XII^e^ siècle*, vol. 1 (Poitiers, 2010), 37-8.

[212] Augusto Azzaroli, *An Early History of Horsemanship* (Leiden, 1985), 115.

[213] დეზის ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება მოგვეპოვება ძვ.წ. 430 წლის ფიდიასის ქანდაკებაზე დაჭრილი *ამორძალი*, რომლის შემორჩენილი ასლი რომში, კაპიტოლიუმის მუზეუმში ინახება. ამორძალს მარცხენა ფეხზე დამაგრებული აქვს დეზი, რომლის წვერიც ამჟამად მოტეხილია. Lagane, *Les éperons à pointe en Europe non méditerranéenne du VI^e^ au XII^e^ siècle*, vol. 1, 28; vol. 2, pl. 2, fig. 1.

[214] Xenophon, *The Art of Horsemanship*, translated, with chapters on the Greek riding-horse and with notes, by Morris H. Morgan (Boston, 1893), 46.

[215] აღწერილია სამი ტიპის რომაული დეზი. Dixon, Southern, *The Roman Cavalry*, 58-9, fig. 58.

[216] Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 59, 67.

[217] Nicolle, *Carolingian Cavalryman*, 60.

[218] Oakeshott, *The Archaeology of Weapons*, 277.

[219] Nicolle, *French Medieval Armies*, 39.

ზანტიიდან გავრცელდა, რადგანაც ბიზანტიურ მხატვრობაში ის დასავლეთზე უფრო ადრეულია.[220]

შუა საუკუნეების ევროპაში დეზი იყო ფეოდალური საზოგადოებისა და მხედრის განუყრელი ატრიბუტი. ის იყო რაინდული ღირსების ნიშანი, რომელსაც რაინდს კურთხევისას მახვილთან ერთად გადასცემდნენ.[221] ევროპისაგან განსხვავებით, აღმოსავლელი მებრძოლი, როგორც წესი, დეზებს არ ატარებდა. ის ცხენს აღვირითა და მათრახით მართავდა.[222] რაც შეეხება ქართველებს, ამ მხრივ ისინი (კვლავ) განირჩევიან მეზობლებისაგან და ევროპული ტრადიციის მატარებლები გამოდიან რეგიონში.

საქართველოში დეზები საკმაოდ ადრე, ანტიკური ხანიდან გვხვდება.[223] დეზს ადრე შუასაუკუნეებშიც იყენებდნენ, რის მოწმობასაც ძველ ქართულ ხელნაწერებში ვპოულობთ. 864 წ. გადაწერილ *სინურ მრავალთავში* შემავალ თხზულებაში „შესხმისათჳს ყრმათაჲსა და დაჯდომისათჳს უფლისა კიცუსა ზედა შესულასა მას მისსა იერუსალემდ, თქუმული სებერიანოს გაბალონელ ეპისკოპოსისაჲ“ დეზი ორჯერაა ნახსენები.[224] დეზი გვხვდება 974 წ. და 977 წ. სინაზე გადაწერილ ახალი აღთქმის წიგნებშიც.[225] ოშკის ბიბლიის ტექსტში, რომელიც 978 წელსაა გადაწერილი, ოთხჯერ მაინც გვხვდება დეზის ხსენება.[226]

---

[220] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 117.

[221] Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 56-8; Lagane, *Les éperons à pointe en Europe non méditerranéenne du VI^e au XII^e siècle*, vol. 1, 45-53.

[222] Аствацатурян, *Турецкое оружие*, 305.

[223] საქართველოში დეზები ნაპოვნია ტახტიძირის მე-8 სამარხში (ძვ. III საუკუნის დასაწყისი), აღაიანში, რიყიანების ველის სამაროვნის მე-10 სამარხში (ჩვ.წ. I საუკუნე). არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვნის მე-6 სამარხში (ჩვ.წ. II საუკუნის დასასრული) კი ბრინჯაოს მინიატურული წყვილი დეზია აღმოჩენილი. გაგოშიძე, „პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი", 136.

[224] „ესრეთვე სადამე იყო ცხენ ერთ მტრიობალ — წმიდაჲ პავლე და არა უნდა მას აღღებად აღური სარწმუნოებისაჲ და ჰწიხნიდა იგი **დეზსა** და ძოვდა იგი შჯულსა შინა და მადლსა მას სახარებისასა ჰკრთებოდა. და ოდეს აღასხნა მას აღურნი ყოველთა უფალმან განკჳრვებითა მით და მწყსიდა მას სიტყუთა, ვითარმედ: საულ, საულ, რაჲსათჳს მდევნი? ფიცხელ არს შენდა წიხნაჲ **დეზსა**. ან ესრჱთ არს უფალი აღსხმად აღურსა მას სარწმუნებისასა და სიმართლისასა, რომელმან აღურ-ასხნეს ყოველსა საქმესა ბოროტისასა და აღურითა მით სიყუარულისაჲთა სიძულილი წარდევნის". *სინური მრავალთავი 864 წლისა*, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით (თბილისი, 1959), 134.

[225] საქმე მოციქულთა 26.14: „და ვითარცა ჩუენ ყოველნი ქუეყანად დავცჳვენით, მესმა ჴმაჲ, რომელმან მრქუა მე ებრაელებრითა სიტყუთა: საულ, საულ, რაჲსა მდევნი მე? ფიცხელ არს შენდა ნიხნაჲ **დეზისაჲ**". Gérard Garitte, *L'ancienne version géorgienne des Actes des Apôtres d'après deux manuscrits du Sinaï* (Louvain 1955).

[226] პირველი მეფეთა 13.21: „და ოდეს მკაჲ გარდაჴდის, მაშინღა სასყიდელი მისციან: სამი სასწორი საჴნისისათჳს, ცულისა, ცელისა, მანგლისა, სასხლევისა და **დეზიღა** ზედა მოურთიან"; იგავნი სოლომონისნი 26.3: „ტანჯვაჲ ცხენსა და **დეზი** ვირსა, ხოლო კუერთხი ნათესავსა უგუნურსა"; ეკლესიასტე 12.11: „სიტყუანი ბრძენთანი, ვითარცა **დეზი** ჴარსა, და ვითარცა სამშჭუალნი განჴურვებულნი, რომელნი მიეცნენ მწყემსობისაგან ერთისა და უმეტესი მათგანი"; ისუ ზირაქი 38.25: „რაჲთამე განბრძნდეს კაცი, რომელსა ეპყრას ერქუანი და იქადოდის **დეზისა** ცემასა ჴართა ზახებითა და მისვე საქმისა მიმართ აღმსთობითა. და ზრახვაჲ მისი არნ ნაშობთა მიმართ კუროთასა".

მიუხედავად ამისა, ადრეულ პერიოდის ქართულ იკონოგრაფიაში დეზის გამოსახულება არ გვხვდება. როგორც ჩანს, საქართველოში დეზის ფართოდ გავრცელებასა და მისი სიმბოლური მნიშვნელობის ამაღლებაში, ისევე როგორც ბიზანტიაში, დასავლეთის რაინდულმა კულტურამ ითამაშა თავისი როლი.[227] XII საუკუნიდან დეზი უკვე ხშირად მოიხსენიება საერო ლიტერატურაშიც. ბასილი ეზოსმოძღვრის ხატოვანი თქმით, თამარი „აღური იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათჳს".[228] რუსთაველის თანახმად, ავთანდილმა ცხენის ასაჩქარებლად დეზი იხმარა: „ესე უთხრა და წავიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა".[229]

მართალია, მართლმადიდებლური სამხატვრო ტრადიცია დეზების ასახვას სათანადო ყურადღებას არ უთმობდა,[230] მაგრამ ის მაინც გვხვდება ქართულ ხატებზე. განსაკუთრებით საინტერესოა სადგერის ჯვარზე მამნე ოქრომჭედელის მიერ XVI საუკუნის 20-იანი წლებში შესრულებული წმ. გიორგის საკვირველებათა ეპიზოდები,[231] სადაც ოთხიდან სამ (!) სცენაში წმინდანს ვარსკვლავისებური დეზი უკეთია. ვარსკვლავისებური დეზია გამოსახული XVII საუკუნის ილორისა და ხონის წმ. გიორგის ხატებზეც.[232] ამავე საუკუნის „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების" ხალხური სტილის მინიატურებზე წმინდანს მოგვზე ვარსკვლავისებური დეზი უკეთია.[233] დეზები უჩანთ კასტელის ჩანახატებზე გამოსახულ ქართველ დიდებულებსაც: ვარსკვლავისებური დეზი უკეთიათ მამია და ვახტანგ გურიელებს, მამუკა ბისკაიასა და საბახტარ ავალიშვილს.[234] ვარსკვლავისებური დეზები მრავლადაა გამოსახული „უთრუთიან-საამიანის" მინიატურებზეც (სურ. 263).

წერილობით წყაროებში, სადაც კი დეზი მოიხსენიება, ყველგან ხაზგასმულია მისი მნიშვნელობა. არჩილის მიხედვით, დეზი მოყმის აუცილებელი ატრიბუტია: „ტანსა და ფეხსა გაწყობა კარგი რამ საცოდნი არის, / ქარქაშის კარგა მობორბლა, **ჩექმა დეზითურთ** კმა არის".[235] XVII საუკუნეში იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლი აღნიშნავს, რომ ქართველებს „თუ წაღები აცვიათ, წაღის ქუსლზე, ოთხი თითის დადებაზე დეზებს იკეთებენ. მართ-

---

[227] დასავლეთ ევროპიდან ბიზანტიაში დეზების გავრცელების შესახებ, იხ. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 392-5. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იმავე ბიზანტიაში დეზს არ იცნობდნენ: დეზის უადრესი ბიზანტიური გამოსახულება X-XI სს. მიჯნას ეკუთვნის. იქვე, 393.

[228] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 149.

[229] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 215.

[230] ამასთან დაკავშირებით რუსული იკონოგრაფიის პრობლემები იხ. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 58.

[231] ჩხარტიშვილი, *მამნე ოქრომჭედელი*, 24, ტაბ. 16.

[232] ჩუბინაშვილი, *ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა*, 28, ტაბ. 191; Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 576.

[233] *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები*, 81-2, სურ. 8.15.

[234] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 43, 44, 47, 48.

[235] არჩილი, „საქართველოს ზნეობანი", 4.

სურ. 263
მხედრები ვარსკვლავისებური დეზებით. „უთრუთიან-საამიანი". S1594 ხელნაწერი, 96r მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ლაც რომ საოცარი სანახავია რომელიმე ამ ვაჟბატონთაგანი, როდესაც დეზების ეჟვანთა მიწაზე წკარუნით დაბრძანდება".[236] 1651 წლის ტოლოჩანოვის ელჩობის მოხსენებაში ქართველები „ცხენებზე და ფეხით სიარულის დროსაც ყველა დეზებით არიან".[237]

ევროპული რაინდული კულტურის ეს გამოძახილი ისე მოირგო ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ, რომ დეზების გამოყენება პირდაპირ დაუკავშირდა საზოგადოების სოციალურ იერარქიას. დეზების მიხედვით რანგირება ასახულია ვახტანგ VI-ის კანონებში, სადაც „ცალმოგვის, მესამეს აზნაურის სისხლი"-ს საფასური მსახურზე ორჯერ მეტია.[238] მესამე ხარისხის აზნაური ცალმოგვი აზნაურია ანუ მხოლოდ ცალი დეზის მატარებელი.[239] კ. ბოროზდინიც აღნიშნავს სამეგრელოში აზნაურთა უფლებების დიფერენციაციას ფეხზე გაკეთებული დეზების (ორდეზიანი, ცალი ან უდეზო) მიხედვით: ორდეზიანი (სამთავრო) აზნაურები თავადის წოდებასთან საკმაოდ დაახლოებულნი იყვნენ, მათ ჩამორჩებოდათ ერთდეზიანი (საეკლესიო) და უდეზო (სათავადო) აზნაურები.[240] დეზებს, როგორც წარჩინების ნიშნებს იმერეთის თავად-აზნაურობა XIX საუკუნის შუახანებამდე იყენებდა. რუსი მწერალი

[236] დიონიჯო კარლი, „თბილისის აღწერა", 174-5.
[237] *ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა*, 150.
[238] „სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა", 489.
[239] კაკაბაძე, *დიდგორის ომი*, 42-3.
[240] ბოროზდინი, *სამეგრელო და სვანეთი*, 256.

ა. მურავიოვი გაოცებული იყო საქართველოში დამკვიდრებული ამ „რაინდული ჩვევით".[241]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ დეზი მართლმადიდებლურ იკონოგრაფიაში ნაკლებად გვხვდება, ქართველთა მიერ მისი გამოყენება მაინც დასტურდება სხვადასხვა წყაროებითა და გამომსახველობითი მასალით.

ნალი

ლითონის ნალი ცხენის ფლოქვებს იცავს ცვეთისა და დაზიანებისაგან.[242] ის კურნავს ავადმყოფ ფლოქვებს, ასწორებს ცხენის სვლისა და დგომის დეფექტებს.[243] ნალის გამოყენება და ცხენების დაჭედვა დიდი უპირატესობას აძლევდა მხედარს უსწორმასწორო რელიეფზე ჭენებისა და შეტევისას.[244] ნალის საშუალებით ცხენი უფრო დიდ დისტანციას ფარავდა, რაც კავალერიას მეტ მობილურობას ანიჭებდა.[245]

ანტიკურ ხანაში გამოიყენებოდა *ჰიპოსანდალი*, ნალის წინამორბედი ცხენის ფეხის საცმელი, რომელიც დაწნული ნამჯისა ან ლითონისაგან იყო დამზადებული და ლურსმნის ნაცვლად თასმებით მაგრდებოდა ცხენის ფლოქვზე. ჰიპოსანდალს იყენებდნენ დაშავებული ფლოქვის დასაცავად და სამკურნალოდ.[246] ანტიკური ავტორები ნალს არ ახსენებენ. ვეგეციუსი, რომელიც დეტალურად აღწერს არმიის სამჭედლოს, არ ახსენებს ნალს და არც ცხენების მჭედელს.[247] დღემდე არ გაგვაჩნია უეჭველი არქეოლოგიური მონაპოვარი, რომელიც რომაულ ხანაში ცხენების ჭედვაზე მიუთითებდეს. ამ ფაქტს რომ ფართოდ ჰქონოდა ადგილი, ნალები საკმაო რაოდენობით უნდა აღმოჩენილიყო.[248] არც ანტიკური თუ ადრე შუასაუკუნეებით დათარიღებული ნალის გამოსახულება მოგვეპოვება.[249]

ჩანს, ნალი შუა საუკუნეების პროდუქტია. ზუსტად დათარიღებული უადრესი ნალი IX-X სს. მომთაბარის სამარხშია ენისეიზე ნაპოვნი,[250] პირველი წერილობითი მოწმობა კი X ს. დასაწყისში ლეონ VI-ის *ტაქტიკაში* გვხვდე-

---

[241] А.Н. Муравьев, *Грузия и Армения*, часть III (Санкт-Петербург, 1848), 242.

[242] საბას მიხედვით, „*ნალი* - სხვათა ენაა და ქართულად საჭედარი და ლუმბა ჰქვიან". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 573. იხ. აგრეთვე, *ლუმბა* („საჭედარი ცხენისა თუ ფერხ(თ) საცმელთასა") და *საჭედარი* („ცხენის ლუმბა"). იქვე, I, 424; II, 72.

[243] ზალდასტანიშვილი, *ცხენოსნობა*, 31.

[244] Bloch, *Feudal Society*, 153.

[245] Barber, *The Knight and Chivalry*, 7.

[246] Dixon, Southern, *The Roman Cavalry*, 229-31, fig. 81.

[247] Delabere Blaine, *Outlines of the Veterinary Art* (London, 1826), 633.

[248] Dixon, Southern, *The Roman Cavalry*, 233.

[249] Lynn White, Jr. "The Agricultural Revolution of the Early Middle Ages," in *Medieval Technology and Social Change* (London, 1962), 58.

[250] White, "The Agricultural Revolution of the Early Middle Ages," 58.

ბა, სადაც ავტორი ომისათვის აუცილებელ აღჭურვილობის ჩამონათვალში ნახევარმთვარის ფორმის ნალებსა და მათ ლურსმნებს ასახელებს.[251] ლინ უაიტის მოხდენილი ნათქვამით, დასავლეთში ცხენის დაჭედილი ფლოქვების ხმა პირველად IX საუკუნის ბოლო ათწლეულში ეკჰარტის ნაწარმოებში გაისმა. X საუკუნის 70-იან წლებში კი ნალი უკვე ჩვეული მოვლენაა დასავლეთ ევროპაში.[252] ნალით ცხენის დაჭედვა განსაკუთრებით პოპულარული ხდება ჯვაროსნული ომების ეპოქაში. გიბერტ ნოჟენელი გვიამბობს, რომ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისში აღტყინებული მდაბიოები ცხენებივით ჭედავდნენ რქოსან პირუტყვს.[253]

საქართველოში ცხენების ჭედვის შემოღების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბიზანტიის მსგავსად, ამ მოვლენას X საუკუნიდან ექნებოდა ადგილი. ყოველ შემთხვევაში, მონღოლთა შემოსევების დროს, მომთაბარე მონღოლსა და ბინადარ ქართველს შორის განსხვავება ამ კომპონენტშიც გამოიხატა.[254] სუბუდაისა და ჯებეს ცნობილი რეიდის აღწერისას, ჟამთააღმწერელი გაკვირვებული ორგზის აღნიშნავს, რომ მონღოლებმა დაუჭედავი ცხენებით დაძლიეს უზარმაზარი მანძილი: „**უჭედელითა ცხენითა** ესოდენ გზათა მავალნი, განვლეს ყივჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე და მიიწივნეს ჴელმწიფესა მათსა ჩინგიზ ყაენს წინაშე ყარაყურუმს. და ქმნეს საკჳრველი ესე საქმე, მოუსუენებლად სლვა ამა ყოველთა გზათა **უჭედელითა ცხენითა**, ყარაყურუმით წარმოსულნი მუნვე მიიწივნეს".[255]

არქანჯელო ლამბერტი მოგვითხრობს XVII საუკუნის ოდიშში ადგილობრივი პირობების გავლენით ჩამოყალიბებულ ცხენის ჭედვის თავისებურებაზე: „ცხენს სჭედავენ სამეგრელოში მხოლოდ მაშინ, როცა საომრად წავლენ, რადგან შეიძლება ქვიან ადგილებში მოუხდესო სიარული. როცა შინ არიან, მაშინ მეგრელები ცხენს არ სჭედავენ, რადგან მათი ქვეყანა ქვიანი არ არის და ცხენებს ჩლიქი არ უცვდება დაუჭედავადაც".[256]

---

[251] *The Taktika of Leo VI*, 5.3.

[252] White, "The Agricultural Revolution of the Early Middle Ages," 58-9.

[253] *Medieval Worlds: A Sourcebook*, ed. by Roberta Anderson and Dominic Aidan Bellenger (London, 2003), 94.

[254] ბინადარი ხალხებისა და ცივილიზაციებისაგან განსხვავებით, მომთაბარეებს ნაკლებად ახასიათებდათ ნალის გამოყენება. სპალატოს (სპლიტის) არქიდიაკონის თომასის მოწმობით 1241 წ. უნგრეთში შეჭრილი მონღოლთა ცხენები უჭედელი იყო. ამასვე მოწმობს ამ ამბების აღწერისას ანონიმური ლათინური პოემაც. Denis Sinor, "The Inner Asian Warriors," *Journal of the American Oriental Society*, vol. 101, no. 2 (1981), 138. მეტიც, ერთი ხანობა აღმოსავლეთში ნალის ფართოდ გავრცელებას ხელს უშლიდა ის ფაქტორი, რომ მას მონღოლები XIV საუკუნემდე არ იყენებდნენ. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 83.

[255] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 51. დღეს უკვე მეცნიერულად დადასტურებული ცოდნა მონღოლთა დაუჭედავ ცხენებზე, კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს ჟამთააღმწერელის ცნობებს.

[256] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 173.

სურ. 264
ლურსმნებით დაჭედილი ნალები ნაკიფარისა (ა) და მაცხვარიშის (ბ) ცხენების ფლოქვებზე.

ნალის პოვნა იკონოგრაფიულ მასალაში საკმაოდ რთულია: ცხენის ფლოქვების დეტალური გამოსახვისათვის განსაკუთრებით თავს არავინ იწუხებდა. მაინც, შესაძლებელია ცალკეული გამონაკლისების პოვნა ცნობილი ოსტატების ნამუშევრებზე: ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე 1130 წელს მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებულ წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ცხენებს დაჭედილი ფლოქვები აქვთ და თითო ფლოქვზე სამ-სამი ლურსმანი ჩანს (სურ. 264ა). დაჭედილ ცხენს (ლურსმნის თავები გარშემო შემოუყვება ფლოქვს) მართავს წმ. გიორგი მაცხვარიშის დასავლეთ კედელზე, რომელიც 1140 წელს გამოსახა მიქელ მაღლაკელმა (სურ. 264ბ). ლურსმნით დაჭედილი ნალი გარკვევით უჩანს წმ. გიორგის ცხენს XV საუკუნის უღვალის ჯგრაგის ეკლესიის ფრესკაზე ლასია ქალაქის სასწაულის სცენაში.[257]

[257] *ზემო სვანეთი*, 247.

ცხენის აბჯარი

ბრძოლის ველზე ცხენს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მხედრის სიცოცხლე ცხენზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც მის დაცვას ადრიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ადამიანის მიერ ცხოველისათვის შექმნილი პირველი აბჯარი გვხვდება ძვ.წ. 2600-2500 წლების შუამდინარეთში, ქალაქ ურში, სადაც საბრძოლო ოთხთვალას გამწევ კანჯრებზე სამკერდე აბჯარი შეინიშნება.[258] საკუთრივ ცხენის აბჯარს სამი ათას წელზე მეტი ისტორია აქვს.[259] იგი შუამდინარეთში იშვა, სადაც ძვ.წ. II ათასწლეულიდან ცხენს ქსოვილით ან ტყავით ფარავდნენ.[260] საბრძოლო ცხენის აბჯარი წარმოიშვა საბრძოლო ეტლების გამწევი ცხენების დაცვითი საფარველისაგან.[261] თითქმის ყველა ნაწილი, რომლისგანაც მოგვიანებით შედგებოდა ცხენის აბჯარი, უკვე ჰქონდათ საბრძოლო ეტლების ცხენებს.

გამწევი ცხენის სამკერდე აბჯარი მოსართავისაგან განვითარდა და თავდაპირველად რბილი მასალის (ქსოვილის ან ტყავის) იყო, მაგრამ ძვ.წ. II ათასწლეულის შუახანებში ის უკვე ლითონის ფირფიტებით გააძლიერეს. ძვ.წ. IX საუკუნეში ასურეთსა და ურარტუში უკვე გვხვდება მთლიანი ბრინჯაოს სამკერდე. ძვ.წ. VI-V საუკუნეებში, ცენტრალური აზიიდან გავრცელდა ქერცლოვანი და ლამელარული სამკერდეები.[262] საბრძოლო ეტლის ცხენის გვერდის აბჯარიც წარმოდგება ქსოვილისგან, რომელსაც ძვ.წ. XV საუკუნიდან ლითონის ფირფიტებით აძლიერებენ. ელინისტურ პერიოდში ცხენის აბჯრის სამკერდე და გვერდის ნაწილები ერთიანდება ლითონის აბჯრის საფარველში, რომელიც ცხენის მკერდსა და სხეულს იცავდა.[263]

ცხენის თავის დამცავი საშუალებები უფრო გვიან წარმოიშვა. *საშუბლე* არ გვხვდება ძვ.წ. II ათასწლეულში. ძვ.წ. IX საუკუნეში ასურეთში ვრცელდება ცხენის თავზე დამაგრებული ფირფიტები, რომელთაც დეკორატიულის გარდა, დაცვითი ფუნქციებიც გააჩნდა. მათგან წარმოიშვა კლასიკური ექვსკუთხოვანი ვიწრო საშუბლე, როგორიცაა კვიპროსზე ნაპოვნი ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ვიწრო საშუბლეები.[264]

---

[258] Dirk H. Breiding, "Horse Armor in Europe," in *Heilbrunn Timeline of Art History* (New York: The Metropolitan Museum of Art, 2000–). http://www.metmuseum.org/toah/hd/hors/hd_hors.htm (March 2010).

[259] Dirk H. Breiding, "Horse Armor in Medieval and Renaissance Europe: An Overview," in *The Armored Horse in Europe, 1480-1620* (New York, 2005), 8. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანისა და პირუტყვის აბჯარს შორის სხვაობა არ არის, რაღა თქმა უნდა, ფორმისა და დიზაინის გამოკლებით. Pant, *Horse and Elephant Armour*, 13.

[260] В.П. Никоноров, "Развитие конского защитного снаряжения аiiтичной эпохи," *КСИА*, 184 (1985), 34.

[261] Breiding, "Horse Armor in Medieval and Renaissance Europe," 8.

[262] А.К. Нефёдкин, "Защитное вооружение колесничных коней на Ближнем Востоке в ахеменидский и эллинистический периоды," *Античный мир: проблемы истории и культуры*, под ред. И.Я. Фроянова (Санкт-Петербург, 1998), 252-3.

[263] იქვე, 253-5.

[264] იქვე, 251-2.

მძიმე კავალერია შექმნეს ასურელებმა, რომლებმაც მძიმედ შეჭურვილი მებრძოლი ცხენზე აამხედრეს.[265] ამის მოწმობას ძვ.წ. IX-XII საუკუნეებში ასურნასირფალ II-ის (ძვ.წ. 883-859) და ტიგლათფილესერ III-ის (ძვ.წ. 745-727) დროინდელ გამოსახულებებზე ვპოულობთ. სინახერიბის (ძვ.წ. 704-681) დროს ცხენოსნის შეიარაღება უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამ პერიოდის ცხენები სამკერდულით და რბილი საფარველით არიან აღჭურვილნი.[266] ასურულმა კავალერიამ ზენიტს მიაღწია ასურბანიპალის (ძვ.წ. 668-631) მეფობის ხანაში. ამ დროს ცხენის სხეულს, კისერსა და მკერდს (ნაწილობრივ) ტყავის აბჯარი ფარავდა.[267]

ძვ.წ. IX საუკუნიდან დაწყებული, ცხენის აბჯარი, მათ შორის პირველი საშუბლეები,[268] ვრცელდება დასავლეთით და ცენტრალურ აზიაში. ხვარაზმელები იყვნენ პირველნი, რომელთაც ძვ.წ. VI საუკუნეში ლითონის აბჯრით სრულად შეჭურვილი (მხედარიც და ცხენიც) კავალერია ჰყავდათ.[269]

შემდგომ საუკუნეებში ცხენის აბჯარი გვხვდება აღმოსავლეთის ყველა დიდი იმპერიის არმიებში. აბჯრით დაფარული მხედრობა ჰყავთ აქემენიანებსა[270] და სელევკიანებს,[271] განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებენ მათ პართიასა და სასანურ ირანში, რომელთა წაბაძვით შეჯავშნული კავალერია ვითარდება რომსა და ბიზანტიაში.

საქართველოში ცხენის აბჯრის კვლევა ბევრ სიძნელეს აწყდება. უპირველესად, უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური ნიმუშებისა და, საერთოდ, მატერიალური მხარის არარსებობა.[272] საქმეს ისიც ართულებს, რომ ცხენის აბჯრის

---

[265] John W. Eadie, "The Development of Roman Mailed Cavalry," *The Journal of Roman Studies*, 57 (1967), 161.

[266] Никоноров, "Развитие конского защитного снаряжения," 31.

[267] Tamás Dezső, *The Assyrian Army* (Budapest, 2012), 21.

[268] შემდგომში, ფირფიტის სახის საშუბლეს იყენებდნენ სკვითები, ბერძნები, სპარსელები, მაკედონელები, თრაკიელები. ძვ.წ. I – ახ.წ. III სს. ვრცელდება ნიღაბის ტიპის საშუბლე, რომელიც ცხენის თავს თითქმის მთლიანად ფარავს. მას იყენებდნენ პართელები, სარმატები და რომაელები. Горбунов, *Военное дело населения Алтая в III-XIV вв.*, ч. I, 86.

[269] Eadie, "The Development of Roman Mailed Cavalry," 162; Breiding, "Horse Armor in Medieval and Renaissance Europe," 8. ლითონის აბჯრით შეჭურვილი მხედრისა და ცხენის უადრესი გამოსახულებაც ხვარაზმიდანაა, ხუმბუზ-ტეპეში ნაპოვნ ძვ.წ. IV საუკუნის თიხის მათარაზე აღბეჭდილი. М. Мамбетуллаев, "Рельефное изображение всадника на керамической фляге из Хумбуз-Тепе," *Советская археология*, 3 (1977), 278-81.

[270] მძიმედ შეიარაღებულ ბერძენ ჰოპლიტებთან შეჯახებამ აიძულა აქემენური სპარსეთის მხედრები ეზრუნათ ცხენის დაცვაზე. ძვ.წ. 421 წლით დათარიღებულ საბუთში, სადაც სპარსელი მხედრის შეიარაღება არის ჩამოთვლილი, ნახსენებია ცხენის რკინის აბჯარი. Nick Sekunda, *The Persian Army 560-330 BC* (Oxford, 1992), 21.

[271] ძვ.წ. 210-206 წწ. პართიაში ლაშქრობის შემდეგ ანტიოქე III-მ (ძვ. წ. 222-187) თავისი კავალერია, მოწინააღმდეგეთა წაბაძვით, კატაფრაქტთა ყაიდაზე გააწყო. Bezalel Bar-Kochva, *The Seleucid Army: Organization and Tactics in the Great Campaigns* (Cambridge, 1976), 74-5.

[272] ერთადერთი გამონაკლისი დაკარგული ე.წ. ბერლინური ეგზემპლარი შეიძლება ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის მოწმობით, საქართველოდან გატანილი ცხენის აბჯარი მეორე მსოფლიო ომამდე ბერლინში ინახებოდა: „სამწუხაროდ, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯავშანი

სურ. 265
შეჯავშნულ ცხენზე ამხედრებული ტარიელი. „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხა. 39r მინიატურა. დეტალი. ბოდლის ბიბლიოთეკა.

მხოლოდ ერთი (!) გამოსახულება მოგვეპოვება და ისიც ფართოდ არ არის ცნობილი. ბოდლის ბიბლიოთეკის „ვეფხისტყაოსნის“ W-27 ნუსხის 39r მინიატურამ შემოგვინახა ცხენის აბჯრის ერთადერთი ქართული გამოსახულება: ხატაელებზე გამარჯვების სცენაში ტარიელი შეჯავშნულ ცხენზე ზის, რომელსაც საშუბლეც იცავს (სურ. 265).[273]

საყურადღებოა, რომ ზუსტად იგივე სიტუაციაა ბიზანტიაშიც: ადრეულ ეპოქაში შეჯავშნული ცხენის არც ერთი ბიზანტიური გამოსახულება არ მოიძიება.[274] უფრო გვიან კი მხოლოდ ერთი ასეთი მინიატურა მეგულება.[275] თუმცა, ამის გამო არავინ უარყოფს ბიზანტიაში ცხენის აბჯრის არსებობას, რადგანაც არსებობს უტყუარი წერილობითი ცნობები. ეს მოვლენა შესაძლოა აიხსნას მართლმადიდებლურ ხელოვნებაში დამკვიდრებული, ყველასათვის საერთო ხატწერის ტრადიციით,

და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგჰაუზში (იარაღის მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX ს-ში გატანილს, მანიკენზე ჩამოცმულს XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს“. ივ. ჯავახიშვილი, „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა“, *კომუნისტი*, 55, 1937; ციტირებულია კ. ჩოლოყაშვილის მიხედვით: ჩოლოყაშვილი, „ქართული საჭურველი: ჯაჭვი“, 281.

[273] შესაძლოა, საქართველოში ნაპოვნი შეჯავშნული ცხენის პირველი გამოსახულება ძვ.წ. V-IV საუკუნეებს მიეკუთვნებოდეს. დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალგორის განძის სამკაულზე, რომელიც ცხენის ფორმის სასაფეთქლე საკიდია, შეჯავშნული ცხენი უნდა იყოს გამოსახული (სურ. 266). ახალგორის განძში აღმოჩენილი ცხენის აკაზმულობა, რახტის შესამკობი ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვანაირი ფირფიტები, ლაგმები, თავისთავად მეტყველებს დაწინაურებულ საცხენოსნო საქმეზე. ახალგორის ცხენი მთლიანადაა დაფარული ორნამენტით, რომელიც, ალბათ, აბჯარს გამოსახავს. ი. სმირნოვი, რომელსაც ეკუთვნის ერთადერთი გამოკვლევა ახალგორის განძის შესახებ, ფიქრობს, რომ ცხენის სხეულზე დატანილი ზოლები და სხვა მორთულობა ცხენის საფარს (попона) გადმოგვცემს. Я.И. Смирнов, *Ахалгорийский клад* (Тифлис, 1934), 27. ეს საფარი კი რეალობაში ცხენის აბჯარია, რომელიც ქსოვილის (ტყავის) ან ლითონის იქნებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ახალგორის ცხენის ფიგურა რეალისტურადაა შესრულებული და შეძლებისდაგვარად ასახავს სინამდვილეს. მაგალითისათვის, ჯერ კიდევ ი. სმირნოვმა შეამჩნია, რომ სამკაულზე გამოსახული ლაგამი, ბოლოებგაფართოებული საყბეურებით და სამი პატარა რგოლით, ზუსტად იმეორებს ამავე განძში ნაპოვნ ბრინჯაოს ლაგამს. Смирнов, *Ахалгорийский клад*, 27, 53-5. ასევე რეალისტურადაა შესრულებული ე.წ. *საქოჩრე*, რომელიც ცხენს თავზე ადგას და მილის ფორმა აქვს. ასეთი *საქოჩრე*, მილის, ადამიანის თუ სხვა ფორმის ფიგურით მრავლადაა ნაპოვნი არქეოლოგთა მიერ. ოსტატურადაა გაკეთებული აბჯრის ქობაც, რომელიც არაბუნებრივად ბრტყელია ცხენის მუცლისათვის და აბჯრის ქვედა კიდეს უნდა გადმოგვცემდეს. ასე რომ, ჩემი აზრით, ახალგორის ცხენი შეგვიძლია თამამად განვიხილოთ, როგორც შეჯავშნული ცხენის მაგალითი.

[274] Nicolle, *Romano-Byzantine Armies 4th-9th Centuries*, 40. ასეთივე ვითარებაა X-XII საუკუნეებშიც.

[275] Heath, *Byzantine Armies 1118-1461*, 18. შეჯავშნული ცხენის ეს გამოსახულება ვენეციაში დაცულ XIV საუკუნის მეორე ნახევრის ბერძნულ „ალექსანდრიანში“ მოიპოვება. საინტერესოა, რომ ამ ტრაპიზონული მანუსკრიპტის მინიატურები შესრულებულია სამი მხატვრის მიერ, რომლებსაც ქართველებად მიიჩნევენ. Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 22, 186; Yannis D. Nakas, "14th-Century Galleys in the Black Sea: Ships in the Romance of Alexander the Great," *The International Journal of Nautical Archaeology*, 37.1 (2008), 77-8.

რომელსაც თავისი კანონიკა ჰქონდა და რომელშიც თავიდანვე არ ასახულა შეჯავშნული ცხენი.[276] პ. გროტოვსკი, რომელსაც ეკუთვნის უახლესი და ყველაზე საფუძვლიანი გამოკვლევა წმინდანთა შეიარაღების თაობაზე, იკვლევს ცხენის აბჯრის პრობლემას და ადგენს, თუ რატომ ვერ აისახა ის ბიზანტიურ იკონოგრაფიაში, რის მიზეზადაც ასახელებს იკონოგრაფიული ტრადიციის არქონას, კატაფრაქტართა მცირე რიცხვს და წმინდა მეომრებსა და კატაფრაქტართა ფორმაციებს შორის კავშირის არარსებობას. რაც მთავარია, ავტორი სრულიად მართებულად ასკვნის, რომ იკონოგრაფიული ტრადიციონალიზმი უშვებდა ახალი მოტივების დანერგვას მხოლოდ კომპოზიციის ფარგლებში და არ ანგრევდა მთლიან სტრუქტურას ისეთი ელემენტის შემოტანით, როგორიც ცხენის აბჯარია.[277] ცხადია, რომ იგივე პრობლემები იდგებოდა ქართველი ხატმწერის წინაშეც.

სურ. 266
საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ახალგორის სამკაული ცხენის გამოსახულებით. დეტალი.

ეჭვი შეიძლება იმანაც დაბადოს, რომ საქართველოში არ გამოუყვანიათ საგანგებოდ დიდი ზომის ცხენის ჯიშები, როგორც ეს გვიან შუა საუკუნეების ევროპაში მოხდა რაინდული კავალერიისათვის. თუმცა, იმის წარმოდგენაც არასწორია, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ცხენი დიდი სიმაღლის (მინდაოში თვრამეტი ხელის დადება)[278] მონსტრი იყო, რომელსაც გზად ყველაფრის გადათელვა შეეძლო. იმდროინდელი საბრძოლო ცხენის სიმაღლე დაახლოებით თხუთმეტი ხელის დადება იყო.[279] ისიც უნდა ითქვას, რომ შეჭურვილი მხედრისა და აბჯრის სატარებლად სულაც არ არის საჭირო განსაკუთრებით დიდი ზომის ცხენები.[280] სტეპების კავალერია საუკუნეების განმავლობაში პა-

---

[276] ცნობილია, რომ სამხედრო აღჭურვილობის გადმოცემისას, ბიზანტიური ხელოვნება საკმაოდ კონსერვატიულია. *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. by D. Nicolle (Woodbridge, 2002), 63; Parani, *Reconstructing the Reality of Images*, 155. მართალია, შეცვლილი რეალობა იკონოგრაფიაში აისახებოდა, მაგრამ კომპოზიციის ფარგლებში. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 395.

[277] Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 395-7.

[278] ანუ 180 სმ სიმაღლის; ერთი „ხელი" დაახლოებით 10 სმ, უფრო ზუსტად კი 4 დუიმია.

[279] იხ. მ. ბენეტისა და მ. ლიტაუერის შრომები: Matthew Bennett, "The Medieval Warhorse Reconsidered," in *Medieval Knighthood V: Papers from the Sixth Strawberry Hill Conference 1994*, ed. by S. Church and R. Harvey (Woodbridge, 1995), 19-40; Mary Aiken Littauer, "How Great was the "Great Horse"? A Reassessment of the Evidence," in *Selected Writings on Chariots and Other Early Vehicles, Riding and Harness* (Leiden, 2002), 452-9. ინგლისში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებიც მოწმობს, რომ შუა საუკუნეების ცხენი იშვიათად თუ აღწევდა 16 ხელის სიმაღლეს, ძირითადად კი ის 12.5-15 ხელის დადება იყო. ეს ზომები მიღებულია ცხენის ჩონჩხის, ლაგამისა და ნალების გაზომვის შედეგად. John Clark, *The Medieval Horse and its Equipment, c.1150-c.1450* (Woodbridge, 2004), 22-32.

[280] ა. ნეფიოდკინის მიხედვით, ცხენის ნორმალური დატვირთვა მისი წონის 1/3-ს შეადგენს. Нефёдкин, *Под знаменем дракона*, 147. ეს მონაცემი გადამეტებული უნდა იყოს. ჯონ პრაიერს უფრო დაბალი რიცხვები მოჰყავს, რომლის მიხედვითაც ცხენის დატვირთვა წონის 20%-ზე მეტად მის დაუძლურებას იწვევს. Pryor, "Introduction: Modelling Bohemond's March to Thessalonikē," 9-13. დ. ენგელსი სულაც ცხენის წონის 17%-ს თვლის დატვირთვის ნორმად მძიმე სამუშაოს შესრულების დროს. Engels, *Alexander the Great and the Logistics of the Macedonian Army*, 128, n. 26.

ტარა ზომის ცხენს ან სულაც, დიდ პონის იყენებდა. შეჯავშნული ცხენისათვის მთავარ პრობლემა არა აბჯრის წონა, არამედ გადახურების საშიშროება იყო.[281] ამასთან, ქართული ფეოდალური საზოგადოების იმ ელიტას, რომელიც თავს ჯავშნიანი ცხენის ყოლის უფლებას მისცემდა, შედარებით დიდი ზომის ცხენებიც ეყოლებოდა, როგორც ეს დადასტურებულია წყაროებში.[282]

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ცხენის აბჯარი ნამდვილად იყო გავრცელებული საქართველოში და მას დიდი ხნის ისტორია აქვს.[283] შეჯავშნულ ცხენზე ბრძოლის ტრადიცია ქართველებს, სულ ცოტა, ვახტანგ გორგასლის ხანიდან აქვთ დადასტურებული. ჯუანშერი ასე აღწერს ვახტანგ გორგასლის მხედრობას: „ხოლო სპანი იგი წარემართნეს განმზადებულნი, **ცხენ-თორნოსანნი** და ჯაჭუ-ჩაბალახოსანნი".[284] ჯუანშერის მიხედვით, მხედარი ჯაჭვით და ჩაბალახით არის აღჭურვილი, ცხენი კი თორნით.[285]

ტერმინ *თორნს* ხანგრძლივი ისტორია აქვს და იგი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნების პირველ ქართულ თარგმანებშია დადასტურებული.[286] მას აქვს ორნაი-

---

[281] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 41. გადახურება სწრაფად ღლის ცხენს და უკიდურეს შემთხვევაში, კუნთების სრულ დამბლასაც იწვევს. Sidnell, *Warhorse: Cavalry in Ancient Warfare*, 147.

[282] მაგალითისათვის, XVII ს. იმერეთის მეფის ძმას მამუკას ჰყავდა „ცხენი ზერდაგი დიდი, ძლიერი და ფიცხელი, რომელსა ვერ უდგმიდა კუეთებასა მისსა მეგრელთა ლაფშა". ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", 830. რუსთაველიც აგვიწერს დიდი ზომის ცხენებს: „ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მსგავსი ქედისა". შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1560.

[283] არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა პრობლემებმა მკვლევარი შეცდომაში შეიყვანოს. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში ცხენის აბჯრის არსებობაში ეჭვი შეიტანა ქართული სამხედრო საქმის მკვლევარმა ს. მარგიშვილმა. თავდაპირველად ის წერდა: „რაც შეეხება ცხენებს, როგორც ჩანს, მათ დასაცავად ლითონის ჯავშანი არ გამოიყენებოდა, ხოლო ხელმწიფის კარის გარიგებაში დასახელებული „საცხენე ჯავშანი" (მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჭრის კუდი) უფრო აკაზმულობის გასალამაზებელი დეტალები იყო, ვიდრე დამცავი ელემენტები". მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 187. იქვე, ის კიდევ ერთხელ იმეორებს: „რაც შეეხება ცხენის დამცავ საჭურველს, ის, როგორც ჩანს, არ გამოიყენებოდა და ამიტომ არც გამოსახულებებში ხვდებოდა". იქვე, 188. მიუხედავად ამისა, შემდგომ, რიგი წყაროების ანალიზის საფუძველზე, ის მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცხენის აბჯარი საქართველოშიც არსებობდა: „ცხენის შეჯავშნის ტრადიცია გაჩნდა აღმოსავლურ არმიებში და აქედან გავრცელდა დანარჩენ სამყაროში, იგი ცნობილი იყო საქართველოშიც, მაგალითად, მიხეილ ატალიატეს მიხედვით აბაზგები ცხენებს ჯავშნით ფარავდნენ, რაც ამ დროისათვის საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში მძიმე ცხენოსნების არსებობას მიუთითებს, შეჯავშნული (თოროსანი) ცხენი საკმაოდ ხშირად იხსენიება ქართულ წერილობით წყაროებშიც". მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 97. ამასთანავე, ავტორი შეცდომას უშვებს ცხენის აბჯრის წარმოშობა-გავრცელების ლოკალიზაციაში.

[284] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", 155.

[285] საყურადღებოა, რომ თაღ-ი ბოსტანის ცნობილ რელიეფზე სასანელი მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი (ხოსრო II ფარვიზი) გამოსახულია ჯაჭვის აბჯრით, მუზარადითა და ცხენის ლამელარული ჯავშნით, რაც ზუსტად ემთხვევა ჯუანშერის მიერ აღწერილი ქართველი მძიმე ცხენოსნის შეიარაღებას.

[286] მამუკა წურწუმია, „ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში: ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი X-XII საუკუნეებში", *ქართველოლოგია*, 1 (2010), 6-7, შენ. 26.

რი მნიშვნელობა: *თორნ*-ი აბჯარია და ამავე დროს, *თორნ*-ე პურის საცხობია.[287] საინტერესოა, რომ ასეთივე ორმაგი, – აბჯრისა და ღუმელის, – მნიშვნელობით გვხვდება შეჯავშნულ ცხენზე ამხედრებული მებრძოლის აღმნიშვნელი სიტყვა რომისა და სპარსეთის არმიებში. მძიმედ შეჭურვილ ცხენოსანს, რომელიც შეჯავშნულ ცხენზე იჯდა, რომაელები *კლიბანარიებს* უწოდებდნენ. სიტყვა *clibanarii* წარმოდგება საველე ღუმელიდან,[288] რომელსაც რომაულ არმიაში იყენებდნენ და მიანიშნებს იმ მდგომარეობაზე, რასაც მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი სიცხეში განიცდიდა.[289] რკინებში ჩამჯდარი მხედარიც და ცხენიც თაკარა მზის ქვეშ თითქოსდა „ცოცხლად იხარშებოდა". ზუსტად იგივე შინაარსის ტერმინს იყენებდნენ სპარსეთში ცხენოსნის მძიმე შეჭურვილობის აღსანიშნავად. ლათინური *კლიბანარიის* სინონიმი იყო სპარსული სიტყვა *tanurig*, რაც „ღუმელს" ნიშნავდა და აქაც, გადმოგვცემდა მძიმედ შეჭურვილი მებრძოლის მდგომარეობას სიცხეში.[290] *ტანურიგ*, ისევე როგორც *კლიბანარი*, სიტყვასიტყვით „ღუმელის კაცს" ნიშნავდა.[291] ცხადია, რომ *თორნი* შინაარსობრივად იგივე კონსტრუქციაა, რაც კლიბანარი და ტანურიგი. რომაელთა და სპარსელთა ნაბაძვით, იგი მხედრის მძიმე აღჭურვილობის აღსანიშნავად მკვიდრდება ქართულ ენაში. ამავე დროს, ტერმინის სიძველე მიუთითებს საქართველოში ცხენის შეჯავშნის ხანგრძლივ ტრადიციაზე, რომელიც სათავეს იბერიის სამეფოში იღებს.

კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ცნობები გვაქვს ცხენის აბჯრის შესახებ შუა საუკუნეებში. XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ყალიბდება ქართული სახელმწიფო და ქართული ფეოდალური კლასი აღმავლობას განიცდის, აშკარად ჩანს ქართველთა მძიმე შეიარაღება და შეჯავშნული ცხენები. XI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი მიხეილ ატალიატე მოგვითხრობს, რომ ბიზანტიელებთან 1021-22 წლების ომში ქართველთა „სიმამაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცული და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც ყოველი მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ".[292]

ბიზანტიელებთან იმავე ომის აღწერისას სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ქართველთა მძიმე შეიარაღებას მათი მარცხის მიზეზადაც კი ასახ-

---

[287] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 310.

[288] ბერძნული სიტყვა *κλίβανος* ნიშნავს ღუმელის მსგავს დახურულ ქოთანს, რომელშიც პური ცხვებოდა. Eadie, "The Development of Roman Mailed Cavalry," 169.

[289] Connolly, *Greece and Rome at War*, 257.

[290] Khorasani, *Arms and Armor from Iran*, 277.

[291] Nicolle, "Jawshan, Cuirie and Coats-of-Plates," 182-3. საინტერესოა, რომ სპარსული ტერმინის *ჯავშნის* ფუძე, მკერდის გარდა, სიცხესაც ნიშნავდა. იქვე, 183, შენ. 24.

[292] მიხეილ ატალიატე, „ისტორია", *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, ტ. VI (თბილისი, 1966), 27. მადლობას მოვახსენებ ქ. ნიჟარაძეს ამ მონაკვეთის ხელახალი, ზუსტი თარგმანისათვის.

ელებს: „[ქართველები] გაბედულად მიეწივნენ [მოწინააღმდეგეს] ცხენებით, რომლებიც ძალაგამოცლილნი იყვნენ ტვირთის, რკინის იარაღის [ტარებისა] და სწრაფი და ხანგრძლივი სვლის გამო".[293] უნდა ვიფიქროთ, რომ რკინის იარაღში, რომელმაც დაღალა ცხენები, სომეხი ავტორი სწორედ ცხენის აბჯარს გულისხმობს,[294] მითუმეტეს, რომ იგივე მხედრობას აღწერს, რასაც ბიზანტიელი ატალიატე.

ხელმწიფის კარის გარიგებაში, რომელიც XIV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლია და დეტალური ცნობების იშვიათი სიუხვით გამოირჩევა, ჩამოთვლილია სახელმწიფო არსენალში (ზარადხანაში) დაცული საჭურველი, საიდანაც ნათელია, რომ ცხენის აბჯარი ქართველი რაინდის აღჭურვილობის შემადგენელი ნაწილია: „სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელს-საბამი მოჭედილი, კანჭრის კუდი და ამისთანა ყველა".[295]

ცხენის აბჯარი დადასტურებულია XV საუკუნის დასაწყისის კიდევ ერთ ნარატიულ წყაროში. „ძეგლი ერისთავთას" მიხედვით ცხრაზმისხევის ერისთავს უბოძეს „საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაჲ და შუბი".[296] ცხენის აბჯარი უნდა იყოს მოხსენიებული 1432 წელს შედგენილ გურალიძეთა სასისხლო სიგელის ჩამონათვალში: „ცხენი, ცხენისა საომარისა იარაღითა, ჯაჭვითა და მუზარადითა..."[297] *ცხენის საომარი იარაღი* ცხენის აბჯარს უნდა გულისხმობდეს.

მონაცემებით მდიდარია ქართული ლიტერატურული წყაროებიც, რომლებიც გვაწვდიან მრავალფეროვან მასალას ცხენის აბჯრის შესახებ. „ვეფხისტყაოსანში" ვხვდებით ცნობას ცხენის ხვარაზმული აბჯრის შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ ფასობდა XII საუკუნის საქართველოში: „კაცსა და **ცხენსა ემოსა აბჯარი** ხვარაზმულია".[298] ამავე პერიოდის სარაინდო რომანში, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში", შეჯავშნული ცხენი გმირთა ჩვეული თანამგზავრია: „შეჭურვილი იყო ყოვლისა საჭურველითა და **შეჭურვილსა ცხენსა** ზედან იჯდა";[299] „იგი ბუმბერაზი ერთსახე შემოსილიყო – **ცხენი და კაცი რკინითა**".[300]

ეს ტრადიცია XVII საუკუნეშიც გრძელდება, რაც შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, რომ საქართველოში ცხენის აბჯარი ხანგრძლივად, ალბათ,

---

[293] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 51.

[294] ეს დაკვირვება პავლე თოფურიას ეკუთვნის, იხ. მისი ნაშრომი, *ამიერკავკასიის ქალაქები: X-XIII ს. პირველი მეოთხედი*, 114.

[295] „გარიგება ჴელმწიფის კარისა", 87.

[296] „ძეგლი ერისთავთა", 104.

[297] კაკაბაძე, „სასისხლო სიგელების შესახებ", 61.

[298] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 1569. ხვარაზმული იარაღის მაღალ ხარისხსა და მის ფართოდ გავრცელებას მოწმობს X-XIII საუკუნეების არაბული და სპარსული წყაროები, რომელთა მიხედვით ხვარაზმიდან მრავლად გაჰქონდათ ხმალი, მშვილდ-ისარი, ფარი, მუზარადი, ჯავშანი და სხვ. გია ბერაძე, „მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში", *სიამ*, 1 (1976), 88.

[299] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 702.

[300] იქვე, 233.

ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივად გავრცელებამდე გამოიყენებოდა. XVII საუკუნის დასაწყისში „ომაინიანში" ვკითხულობთ: „კაცი და **ცხენი შავი რკინითა** ესე **შეჭედილი იყვნეს**, რომ ბეწვი კაცს არ უჩნდა".[301] „რუსუდანიანში", XVI-XVII საუკუნეების ანონიმურ თხზულებაშიც, ხშირად გვხვდება შეჯავშნული ცხენის აღწერა: „**ცხენ**-კაციანად **რკინით შეჭურვილი იყო**".[302]

ქართულ წერილობით წყაროებში დაცული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ცხენის აბჯრის ტიპებზე და მის შემადგენელ ნაწილებზე, როგორიცაა საშუბლე, კისრისა და ტანის აბჯარი.

ცხენის სხეულის აბჯარი. ქართული წყაროები არ გამოყოფენ ცხენის სხეულის აბჯრის ცალკეულ დეტალებს. საქართველოში არ შეინიშნება ცალკე სამკერდე აბჯარიც, ჩანს, სხვა (გვერდებისა და გავის) ნაწილებთან ერთად ის ინტეგრირებული იყო ცხენის ერთიან აბჯარში.

ქართულ ენაში ცხენის აბჯრის სახელწოდება *ბარგისტანი* სპარსულიდანაა შემოსული. საბას განმარტებით, *ბარგისტანი* ცხენის ჯავშანია.[303] იგი წარმოდგება სპარსული სიტყვიდან *bargustuwan*.[304] მონღოლთა ირანში გაბატონების შემდეგ ცხენის აბჯრის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიაც იცვლება: ძველი ბარგისტანი (*bargustuwan*) ადგილს უთმობს *ქეჯიმს* (*kajim*).[305] ეს ტერმინი საქართველოშიც შემოვიდა, თუმცა ბარგისტანი XVII საუკუნეშიც შენარჩუნებულია.[306]

ქართულ წყაროებში მოიხსენიება ლამელარული, ჯაჭვის, ადრეული ჯაჭვ-ფირფიტოვანი და რბილი ორგანული მასალის (ტყავი, ქსოვილი) ცხენის აბჯრები.

ლამელარული ტიპის ცხენის აბჯარი გვხვდება ჯუანშერთან, „ძეგლი ერისთავთა" და ხელმწიფის კარის გარიგებაში. ტერმინოლოგიურად, საქართველოში ლამელარს *ჯავშანი* შეესატყვისებოდა. ქართულ წყაროებში ჯავშანი ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" გვხვდება: „[ვახტანგი] აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა".[307] ქართულში, ლამელარს კიდევ ერთი სიტყვა აღნიშნავდა – *თორნი* (*თორნე*).[308] ჯუანშერის თხზულე-

---

[301] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 166-7.

[302] *რუსუდანიანი*, 284.

[303] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 95.

[304] Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 507.

[305] Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 287. ა. მელიქიან-შირვანი თვლის, რომ *ქეჯიმი* აბრეშუმის ქსოვილით დაფარული ჯაჭვის საფარი იყო. A. S. Melikian-Chirvani, "Bargostvān," *Encyclopaedia Iranica*, vol. 3, fasc. 8 (London, 1988), 796. სულხან-საბას მიხედვით *ქეჯიმი* „სამკაულია, ცხენთა გვერდთა საფარი, შეჭედილი ანუ ოქრომკედოვანი, მოსახდომელადცა და ომში საფარად; ქეჯიმი ეწოდების მას სამკაულთა ცხენთასა, რომელ უნაგირთა დამოჰკიდებენ კეთილად შეჭედილთა ანუ სირმითა ნაკერთა, რათა გვერდნი დაუფარენს ცხენთა ომსა შინა. კვალად საშვენებელც არს". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 222. ქეჯიმი მორთულ-მოხატული იყო და შესაძლოა, რიგ შემთხვევებში ჰერალდიკურ ფუნქციებსაც კი ასრულებდა.

[306] იხ. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 53, 105.

[307] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", 154.

[308] საბას განმარტებით „თორნი" მთლიანი რკინის ფირფიტოვანი აბჯარია: „ხოლო *თორნი* არს

ბაში თორნიც დასტურდება. აქ ჯავშნით შეჭურვილი ცხენი მოიხსენიება, როგორც „ცხენ-თორნოსანი",[309] რაც იმას ნიშნავს, რომ თორნოსანი ცხენი ლამელარული ტიპის ჯავშანს ატარებდა. „ცხენი თორნოსანი" გვხვდება XV საუკუნის დასაწყისის წყაროშიც, – „ძეგლი ერისთავთა". ასე რომ, ხელმწიფის კარის გარიგებაში მოხსენიებული „საცხენე ჯავშანი" უნდა მიანიშნებდეს მის ტიპზეც, – ლამელარულ ჯავშანზე. მოსაზრებას, რომ აქ კონკრეტულ აბჯრის ტიპთან გვაქვს საქმე, ისიც განამტკიცებს, რომ ამავე დოკუმენტში დაცვითი აღჭურვილობის საერთო ჩამონათვალი „აბჯრითაა" აღნიშნული.[310]

ლამელარულის გარდა, საქართველოში ჯაჭვისაგან მოქსოვილი ცხენის აბჯარიც გამოიყენებოდა. ამის მაგალითები გვხვდება „ამირანდარეჯანიანსა" და „რუსუდანიანში": „**ცხენსა** და კაცსა – ყველასა **ჯაჭვები ემოსათ**";[311] „ისარი უკრა [**ცხენის**] **ფერდსა, ჯაჭვი** გაუტეხა და შიგან გაავლო";[312] „მისსა **ცხენსა რვალის ჯაჭვი ეცვა**, რომ არა იარაღი არ მოეკიდებოდა";[313] „გამოიტანეს ეგეთივე **ჯაჭვი ცხენისა** და ჩააცვეს".[314]

ამას გარდა, „ამირანდარეჯანიანში" ვხვდებით ცხენის ისეთ აბჯარს, როდესაც ჯაჭვი კომბინირებული იყო პოლოტიკებთან ანუ რკინის ფირფიტებთან, რომლებიც მას დამატებით სიმტკიცეს მატებდა: „**ეკიდნეს რკინანი** სატკივართა ადგილთა თავისასა და **ცხენისადაცა**";[315] „გამოვიდა მესამეცა ბუმბერაზი, **დაეკიდნეს რკინანი ცხენისად** სატკივართა ადგილთა";[316] „**პოლოტიკნი რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისადცა** და თუითცა; **ჩაბალახი გარდაეკიდნეს ეგრევე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდსა**".[317] ბოლო მოწმობა განსაკუთრებით საინტერესოა. აქ აღწერილია აბჯრით მთლიანად შემოსილი ცხენი, რომლის თავიც, მკერდიც და ფერ-

---

მთელი რკინა (რკინის) პოლოტიკი, ტანს ჩასაცმელი". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 450. როგორც ჩანს, თავდაპირველად თორნი პატარა ფირფიტებისაგან შემდგარ ლამელარს ნიშნავდა, საბას დროს კი უკვე მთლიან ფირფიტოვან აბჯარს – ჩარ-აინას. თორნის, როგორც აბჯრის ტიპზე მსჯელობისას კ. კაციტაძე იხილავს მთლიან ფირფიტოვან (რომელსაც, რატომღაც, კირასის ტიპის ჯავშანს უწოდებს) და მრავალფირფიტოვან (რატომღაც მხოლოდ ქერცლოვან) აბჯრებს. მისი აზრით, ჯუანშერი ჯავშნით აღჭურვილი ცხენების აღწერისას იყენებს „მრავლობითი რიცხვის ფორმას „თორნოსანი" და არა მხოლობით ფორმას „თოროსანი", რაც აგრეთვე მიუთითებს მრავალი ელემენტისგან შედგენილ, და არა ერთ მთლიან ჯავშანზე". კაციტაძე, *სტრატეგიის საფუძვლები*, 522-3. მკვლევარი აქაც ცდება, „თორნოსანის" შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ნართანიან მრავლობითთან, არამედ ფუძისეულ „ნ"-თან.

[309] ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", 155.

[310] „ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაი ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქვს". „გარიგება ხელმწიფის კარისა", 87.

[311] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 762.

[312] იქვე, 788.

[313] *რუსუდანიანი*, 176.

[314] იქვე, 427.

[315] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 68-9.

[316] იქვე, 149.

[317] იქვე, 475.

დებიც ჯაჭვითაა დაფარული; დამატებით, ჯაჭვის აბჯარი (ჩაბალახი)[318] გაძლიერებულია რკინის ფირფიტებით (პოლოტიკი). ასეთი ტიპის აბჯარი ნამდვილი ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრის წინამორბედია.[319]

ლითონის ბარგისტანი ცხენის ძვირადღირებული ჯავშანი იყო და ის მხოლოდ დიდებულებსა და წარჩინებულ მოლაშქრეებს ექნებოდათ. უფრო გავრცელებული იქნებოდა ტყავისაგან ან თექისგან დამზადებული ცხენის აბჯარი.

ცხენის ასეთ აბჯარს ფართოდ იყენებდნენ აღმოსავლეთში.[320] თექის აბჯარი მსუბუქი, იაფი და ეფექტური იყო ისრის საწინააღმდეგოდ. მისი დასამზადებელი მასალაც ადვილად მოიპოვებოდა.[321] თითქოს ასეთ აბჯარზეა საუბარი „ომაინიანში", როდესაც ორჯერ აღნიშნავენ, რომ ისარმა ბარგისტანი გაკვეთა და არა გატეხა ან გაგლიჯა, როგორც ეს ფირფიტის ან ჯაჭვის შემთხვევაში შეიძლება ეთქვათ: „ცხენს... მკერდს ისარი უკრა, **ბარგისტანი გაუკვეთა** და ზედან დაასვა";[322] „ცხენსა მკერდსა ისარი ჰკრა, **ბარგისტანი** გაუკვეთა".[323]

თექისა და ტყავის გარდა, იყენებდნენ რბილი ქსოვილისაგან დამზადებულ საფარველსაც. საქართველოში ცხენის საფარად მეტად ძვირადღირებულ ოქრომკედის ქსოვილსაც იყენებდნენ, რაც მფლობელის მაღალ სოციალურ მდგომარეობას ასახავდა. ამას ადასტურებს „ამირანდარეჯანიანში" აღწერილი ცხენი, რომელიც მდიდრული, ოქრომკედის ქსოვილით იყო დაფარული: „ცხენი შემოიყუანეს, სკარამანგისა ფლასი ზედ ეხურა, თუალსა კაცისასა ეგეთი არა უნახავს!"[324] XIII საუკუნის ნორვეგიული ტექსტის მიხედვით, ქსოვილის საფარველი (*caparison*) ფარავდა ცხენის თავსა და აღვირს, რითაც ხელს უშლიდა ქვეით მოწინააღმდეგეს სადავეს ხელით ნაპოტინებოდა ან სულაც დაეზიანებინა ის, რაც მხედრის ეფექტურობას დიდად დააქვეითებდა.[325]

საშუბლე (შამფრონი). ცხენის თავს იცავდა *საშუბლე* – ცხენის შუბლის ჯავშანი, რომელსაც ევროპაში *შამფრონი* ეწოდებოდა. იგი შეიძლება ყოფილიყო მთლიანი – რკინის ერთიანი ფირფიტისაგან ან შედგენილი, რამდენიმე სეგმენტისაგან დამზადებული. შედგენილს შეიძლება დამატე-

---

[318] საბას მიხედვით, ჩაბალახი ჯაჭვის ქუდია. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 313. ჩვენ შემთხვევაში, მოსე ხონელს ჩაბალახი ჯაჭვის მნიშვნელობით აქვს გამოყენებული.

[319] ცხენის ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი გვიანდელია. ის XV საუკუნეში ჩნდება წინა აზიაში, XVI საუკუნეში კი აბჯრის გაბატონებულ ფორმად იქცევა. Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина Эпохи Позднего Средневековья," 136.

[320] რბილი ქსოვილის აბჯარი, რომელიც მთლიანად ფარავდა ცხენს, ჯერ კიდევ ასურეთში იყო გავრცელებული ძვ.წ. VII საუკუნეში. Нефёдкин, "Защитное вооружение колесничных коней," 253-4.

[321] Nicolle, *The Armies of Islam 7th-11th Centuries*, 12.

[322] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 53.

[323] იქვე, 105.

[324] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 66. სკარამანგი ძვირფასი და ოქროს ძაფებით მორთული ქსოვილია. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 101.

[325] *The King's Mirror (Speculum Regale – Konungs Skuggsja)*, translated from the Old Norwegian by Laurence M. Larson (New York, 1917), 218.

სურ. 267
კრინეტით დაცული ნიკორწმინდის წმ. თევდორესა და წმ. გიორგის ცხენები. ავტორის ფოტო.

ბით ლოყების საფარიც ჰქონოდა.[326] საშუბლე გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“, „ომაინიანში“, „რუსუდანიანში“: „გამოიღო ისარი, უკრა ცხენისა შუბლსა, **საშუბლე** გაუკვეთა და კუდში გაავლო“;[327] „მეფის შვილმან სპასალარის ცხენს შუბი შესცა, **საშუბლე** გაუხეთქა და ცხენის ტვინსა დაასვა“;[328] „მოუქნია.. **ცხენსა, თავსა** ხმალი უცა, **პოლოტიკნი გაუკვეთა** და ცხენსა თავსა დიდი შეჰკვეთა“.[329] საინტერესოა, რომ „რუსუდანიანში“ ცხენს ფურცლოვანი რკინისაგან (პოლოტიკისაგან) შეჭედილი საშუბლე უკეთია.

ცხენის კისრის აბჯარი (კრინეტი). ლითონისაგან დამზადებული ცხენის კისრის აბჯარი ფეოდალური ხანის პროდუქტი უნდა იყოს.[330] *კრინეტი* ერთადერთი დეტალია ცხენის აბჯრიდან, რომლის რამდენიმე გამოსახულებამაც დღემდე მოაღწია.[331] ცხენის კისრის აბჯარი (*კრინეტი*) გამოსახ-

---

[326] Бобров, Худяков, "Защитное Вооружение Среднеазиатского Воина," 138-9.

[327] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 788.

[328] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 52.

[329] *რუსუდანიანი*, 380.

[330] ანტიკურ ავტორებთან არ გვხვდება ცნობები ცხენის კისრის აბჯარზე და მასზე მხოლოდ ბიზანტიურ ხანაში მიუთითებენ. მართალია, ეგვიპტურ გამოსახულებებზე, ძვ.წ. VI საუკუნის კვიპროსულ ტერაკოტაზე და ძვ.წ. VII საუკუნის ასურულ ეტლებში ცხენის კისერი ქსოვილის ან ტყავის საფარით იყო დაცული, მაგრამ ლითონის აბჯარი არ ჩანს. Нефёдкин, "Защитное вооружение колесничных коней," 255-6.

[331] ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მართლმადიდებლური იკონოგრაფია ასახავდა აღჭურვილობაში მომხდარ რეალურ ცვლილებას, თუკი ის დადგენილი კომპოზიციისა და სქემის

ულია XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებზე: წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს რელიეფებზე ნიკორწმინდის დასავლეთის კარის ტიმპანზე, ნიკორწმინდის აღმოსავლეთის ფასადზე გამოსახულ წმინდა მეომრების ცხენებზე, ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთის (წმ. გიორგი) და ჩრდილოეთის კედელზე (წმ. თევდორე).[332]

ნიკორწმინდის რელიეფებზე (სურ. 267) და ადიშის ფრესკებზე (სურ. 268) გამოსახულია კრინეტი (ფირფიტების რამდენიმე მწკრივით) და კისერზე 2-3-ჯერ შემოხვეული მოსართავი, რომელიც რკინის ფირფიტებითაა გაძლიერებული. ამავე დროს, ხშირად გვხვდება მხოლოდ ცხენის კისერზე რამდენჯერმე შემოხვეული, ლითონის ბალთებით დამშვენებული მოსართავი, რომელსაც დამცველობითი ფუნქციაც ჰქონდა და დეკორატიული მიზნითაც გამოიყენებოდა. ცხენის კისრის ირგვლივ ოთხჯერ და ხუთჯერ დახვეული რახტის სახოვანი თასმები X საუკუნეში ჩნდება საქართველოში.[333] ასე მორთული ცხენები გვხვდება X-XI საუკუნეების მრავალრიცხოვან ჭედურ ხატებზე, როგორიცაა ფარახეთის, სეტის, ჯახუნდერის, ლანჩვანისა და სხვ.[334] მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია XI საუკუნის დასაწყისის სეტის წმ. გიორგის ხატი, სადაც სამი ცხენოსანი წმინდანია გამოსახული და სამივეს (ცენტრში წმ. გიორგი, გვერდებზე – წმ. დიმიტრი და წმ. თევდორე) ცხენებს კისერი საიმედოდ აქვთ დაცული (სურ. 269).



სურ. 268
კრინეტი წმ. თევდორეს ცხენზე. ადიში, წმ. გიორგის (ჯგრაგი) ეკლესია, ჩრდილოეთის კედელი. შევიაკოვას მიხედვით.

კრინეტმა ცხენი შეიძლება დაიცვას მხოლოდ ზემოდან ქვემოთ მიმართული მჩეხავი დარტყმისაგან. იმ ეპოქაში ქართველთა შესაძლო მოწინააღმდეგები ბიზანტია, სომხური სამეფოები და არაბული საემიროებია, რომელთა ცხენოსნებიც ძირითადად ხელჩართული ბრძოლის სტილით ხასიათდებოდნენ. მათ წინააღმდეგ ასეთ აბჯარს შეეძლო გარკვეული როლი ეთამაშა, თუმცა ცხენოსანი მოისრეებით დაკომპლექტებული არმიების წინააღმდეგ იგი პრაქტიკულად გამოუსადეგარია. სელჩუკების გამოჩენის შემდეგ ამ ტიპის აბჯარი თავის მნიშვნელობას დაკარგავდა და მხოლოდ

ფარგლებში თავსდებოდა. კრინეტის გამოსახვა შედარებით „შეუმჩნევლად" შეიძლებოდა, არ არღვევდა დადგენილ ნორმებს და ამიტომაც აისახა კიდეც წმინდანთა შეიარაღებაში.

[332] ტ. შევიაკოვა, „სოფ. ადიშის (ზემო სვანეთი) გარეთ მდებარე ეკლესიის „ჯგრაგ" მოხატულობის თარიღის საკითხისათვის", *სმამ*, ტ. 27, №3 (1961), 377-82; Т.С. Шевякова, *Монументальная живопись раннего средневековья Грузии* (Тбилиси, 1983), 25, рис. 92, 94.

[333] ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი*, 63.

[334] Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство*, таб. 43, 182, 188, 190.

სურ. 269
სამი წმინდანი ცხენის კისერზე დახვეული თასმებით. სეტის წმ. გიორგის ხატი.

მოსართავის სახით თუ დარჩებოდა, როგორც არის გამოსახული ნაკიფარის, იფრარისა და ლაგურკას ფრესკებზე.

ცხენის აბჯარი ყოველთვის უფრო იშვიათი იყო, ვიდრე ადამიანის აბჯარი და სიძვირის გამო, მხოლოდ დიდებულთა და მდიდარ რაინდთა კუთვნილება იყო.[335] მათი მფლობელები ელიტარულ, წინა ხაზის მძიმე კავალერიას ქმნიდნენ. ცხენის სრული აბჯრის სიძვირისა და შედარებითი სიმძიმის გამო, იყო ცდები, რომ წონასთან ერთად მისი ფასიც შეემცირებინათ და ამავე დროს შეენარჩუნებინათ ძირითადი დაცვითი ფუნქციები. ამ დროს აბჯრის შემსუბუქების მიზნით იცავდნენ მხოლოდ ცხენის წინა ნაწილსა და მკერდს.[336] ასეთი ცხენის აბჯრით ხასიათდებოდა ბოლო პერიოდის სასანური ირანის მძიმე ცხენოსანი, რომლის ნიმუშიც 620 წელს თაღ-ი ბოსტანის რელიეფზე გამოსახული ხოსრო II ფარვიზის შეჯავშნული ცხენია.

ეს ტენდენცია შენარჩუნებულია X საუკუნის დასაწყისისთვისაც. ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI ბრძენი, თავის *ტაქტიკაში* აღწერს პირველი ხაზის მებრძოლთა ცხენებისათვის აუცილებელ აღჭურვილობას. იგი შემოიფარგლება ცხენის საშუბლითა და მკერდისა და კისრის დამფარავი რკინის ან ქსოვილის აბჯრით.[337] X საუკუნის მეორე ნახევარში იმპერატორი ნიკიფორე II ფოკა ტრაქტატში *Praecepta militaria* მძიმედ შეჭურვილი კატაფრაქტების ცხენებისათვის მთლიან აბჯარსაც აღგვიწერს, მაგრამ ქსოვილის ან ტყავისას და არც ახსენებს რკინის აბჯარს.[338] XI საუკუნის დასაწყისში იგივეს იმეორებს ნიკიფორე ურანოსი, ბასილი II-ის ყველაზე ნიჭიერი სარდალი: მის მიერ აღწერილი კატაფრაქტების ცხენის აბჯარიც მხოლოდ ქსოვილის ან ტყავისაა.[339]

საინტერესოა, რომ ამ დროს, X-XI საუკუნეებში ქართველები იყ-

---

[335] Pyhrr, "Introduction," 7.

[336] Никоноров, "Развитие конского защитного снаряжения," 34.

[337] *The Taktika of Leo VI*, 5.3, 6.8.

[338] Никифор II Фока, *Стратегика*, 23.

[339] McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 115.

ენებდნენ არა შემსუბუქებულ (მხოლოდ საშუბლე და სამკერდე), არამედ ცხენის სრულ აბჯარს. მიხეილ ატალიატე გარკვევით ამბობს, რომ ქართველები „შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც **ყოველი მხრიდან [აბჯრით ფარავდნენ**".[340] ისიც ვიცით, რომ ეს აბჯარი ქსოვილის ნაცვლად, ლითონისაგან იყო დამზადებული. არისტაკეს ლასტივერტეცის მოწმობით, ის რკინის იყო.[341] ზემოთ მოყვანილი ცნობები გვარწმუნებს, რომ იმდროინდელ ბიზანტიურ კავალერიასთან შედარებით ქართველი ცხენოსნების აღჭურვილობა უფრო მძიმე იყო. თუმცა, ამ შედარებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იმდროინდელი ქართული სამეფოების ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი ბიზანტიის თანაფარდი იყო. მძიმე ცხენოსნების შეიარაღებაში ეს განსხვავება ბიზანტიისა და საქართველოს განსხვავებული სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობით არის განპირობებული. ბიზანტიაში არმიის შეიარაღებაზე პასუხისმგებელი უპირველესად სახელმწიფო იყო, საქართველოში კი ფეოდალური კლასი არაფერს იშურებდა საკუთარი შეიარაღების გასაძლიერებლად.[342]

ამავე დროს, ცხენის აბჯრის ეს მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეების საქართველოს მძიმედ აღჭურვილი ცხენოსნები, რაც სამხედრო საქმის განვითარების მაღალი დონისა და იმ დიდი რესურსების პირდაპირი მანიშნებელია, რასაც ქართული ფეოდალური საზოგადოება შეიარაღებას ახმარდა.[343]

---

[340] მიხეილ ატალიატე, „ისტორია", 27.

[341] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 51.

[342] ბიზანტიურთან შედარებით ქართული აბჯრის მრავალფეროვნებაზე, იხ. წურწუმია, „ფირფიტოვანი აბჯრის ევოლუცია საქართველოსა და ბიზანტიაში", 29-31.

[343] ამ მხრივ სიმპტომატურია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მოწმობა, რომლის მიხედვითაც სათადარიგო (მარქაფა) ცხენიც კი შეიძლება შეჯავშნული ყოფილიყო: „თორმეტი კაცი მემათრახედ მოჰყვა; ზოგსა მისი მარქაფა ბარგისტანით შემკული ეჭირა". ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 51.

თავი IX

საალყო ხელოვნება

პოლიორკეტიკა საალყო ხელოვნებაა, უფრო ზუსტად კი – სიმაგრეთა აღებისა და მათი დაცვის ხელოვნება.[1] მრავალრიცხოვან ციხე-სიმაგრეთა არსებობის გამო, შუა საუკუნეებისათვის მეტად დამახასიათებელი იყო საალყო მოქმედებები.[2] ფილიპ კონტამინის თანახმად, „შუა საუკუნეების ომი უწყვეტი ალყაა, რომელსაც თან ახლავს შეტაკებები და რბევა, დიდი ბრძოლები კი იშვიათია".[3] ამის გამო, შუა საუკუნეების სამხედრო საქმისათვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი „საალყო მენტალიტეტი".[4] მართლაც, ამ დროის სამხედრო ხელოვნებაში ციხე-სიმაგრეთა დაუფლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა და ალყა ბევრად უფრო ხშირი იყო, ვიდრე საველე ბრძოლები.[5] ეს ბუნებრივიცაა, რადგან შუა საუკუნეებში მიწის დაუფლებისათვის იბრძოდნენ, მიწა კი ციხის საშუალებით კონტროლდებოდა.[6]

შუა საუკუნეებში, როდესაც ბრძოლა მკლავის მანძილზე ან მოკლე დისტანციაზე წარმოებდა, ის, ვინც ზემოთ იყო და კედლებიც იცავდა, დიდ უპირატესობას ფლობდა.[7] ამიტომაც, ციხე-სიმაგრის აღება რთული და შრომატევადი ღონისძიება იყო, მოითხოვდა მრავალი ადამიანის (ჯარისკაცებისა და სხვადასხვა სპეციალისტის) მონაწილეობასა და მრავალფეროვანი

---

[1] ქართულ ისტორიოგრაფიაში საალყო ხელოვნება განხილული აქვთ ს. მარგიშვილსა და ჯ. სამუშიას. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, 208-19; ჯაბა სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში", *საისტორიო ძიებანი*, ტ. X-XI (2008), 87-100. თავისი ნაშრომის ფურცლებზე ს. მარგიშვილი აღწერს შუა საუკუნეებში საალყო მოქმედებების წარმოების პრინციპებს, ჯ. სამუშია კი საალყო ხელოვნებას საქართველოსთან მიმართებაში განიხილავს.

[2] ანტიკურ ხანაში ძირითადად ქალაქებს გარემოიცვამდნენ, შუა საუკუნეებში კი უფრო ხშირია ციხეთა ალყა. Jim Bradbury, *The Medieval Siege* (Woodbridge, 1992), 1.

[3] Philippe Contamine, *War in the Middle Ages* (Oxford, 1984), 101.

[4] იქვე, 219.

[5] Christopher Gravett, *Medieval Siege Warfare* (Oxford, 1990), 3; DeVries, *Medieval Military Technology*, 125; Bradbury, *The Medieval Siege*, 71.

[6] Sean McGlynn, "Siege Warfare: Tactics and Technology," *The Oxford Encyclopedia of Medieval Warfare and Military Technology*, vol. 3 (New York, 2010), 265.

[7] John France, "Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century," *Mediterranean Historical Review*, 15 (2000), 53.

მაsალის (ხე, რკინა, ტყავი, თოკები ბანაკისა და საალყო მანქანებისათვის, ქვა ფილაკავანებისათვის) ხარჯს. მოალყეს მრავალი ფაქტორი უნდა გაეთვალისწინებინა: მას ბანაკი სწორად უნდა დაეცა, უზრუნველეყო საკვებსასმელით მომარაგება, დაეცვა ელემენტარული სანიტარული ნორმები ეპიდემიის თავიდან ასაცილებლად, უნდა აღეკვეთა გარნიზონის გამოხდომები, მოეგერიებინა ციხის გამომხსნელთა შემოტევები და სხვ.

იმ სიძნელეების გარდა, რომლებიც საერთოდ თან ახლდა საბრძოლო მოქმედებებს, ალყის წარმოება სპეციფიკური ამოცანების წინაშე აყენებდა გარემომცველს. რთული საალყო მოქმედებების ჩასატარებლად აუცილებელი იყო გარკვეული მათემატიკური გათვლები და თეოდოლიტის ტიპის ხელსაწყოს გამოყენება. ბიზანტიელი ანონიმი, რომელსაც პირობითად ჰერონ ბიზანტიელს უწოდებენ და რომელმაც X საუკუნეში უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები დაწერა პოლიორკეტიკაში (*Parangelmata Poliorcetica* და *Geodesia*), მიიჩნევს, რომ მოალყეს უნდა სცოდნოდა და შორიდან სწორად გამოეთვალა გალავნის სიმაღლე, რადგანაც შეცდომა გამოიწვევდა საჭიროზე დიდი ან პატარა მოწყობილობების (კიბის, კოშკის და სხვ.) გამოყენებას, რასაც უცილობლად მოყვებოდა მსხვერპლი.[8]

ციხისა და ქალაქის აღების ხერხები არ განსხვავდებოდა, მაგრამ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. როგორც წესი, ციხე უფრო მიუვალ ადგილზე იყო აღმართული და მისი ფორტიფიკაციები უფრო ძლიერი იყო, სამაგიეროდ, ქალაქის აღებისას დამატებით სირთულეს მისი მოსახლეობა განაპირობებდა. იერიშისას ქალაქს იცავდა არამარტო გარნიზონი, არამედ ქალაქის მილიცია და მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც ჩვეულებრივ არ იბრძოდა. მეტიც, ქალაქების დაცვაში ქალებიც კი მონაწილეობდნენ. ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დაზიანებათა შეკეთებასა და მებრძოლთა მომარაგებაში, ის მონაწილეობას იღებდა გალავნის დაცვაშიც. ამ თვალსაზრისით, ქალაქების დაცვა ძველი დროის „ტოტალური ომის" ნიმუში იყო.

კარგად გამაგრებული ქალაქის აღება საკმაოდ რთული იყო და ამისათვის ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდნენ, მიწისძვრის ჩათვლითაც კი. ასე მოიქცა 1287 წელს ეგვიპტის მამლუქი სულთანი კალავუნი, როდესაც მან მიწისძვრით დაზიანებული ლატაკია აიღო.[9] დ. ნიკოლის შეფასებით, „ეს ისეთი

---

[8] Heron of Byzantium, "Geodesia," in *Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by "Heron of Byzantium,"* ed. Denis F. Sullivan (Washington, 2000), 115. IV-V საუკუნეების მიჯნაზე, ვეგეციუსი კედლების სიმაღლის გაზომვის ორ მეთოდს ასახელებს: ისარზე გამობმული ბაწრის საშუალებით და მზისგან დაცემული ჩრდილის მეშვეობით. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.30. ანა კომნენას შეფასებით, 1107 წელს დირაქიუმის ალყის დროს ფრანკებმა გამოაელინეს ოპტიკური თეორიის კარგი ცოდნა ან, სულ მცირე, იცოდნენ ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენება, რის შედეგადაც სწორად გაზომეს გალავნის სიმაღლე და სათანადო სიმაღლის საიერიშო კოშკი ააგეს. Anna Komnene, *The Alexiad*, 365.

[9] მუსლიმთა საალყო მანქანებმა მიწისძვრით დანგრეულ ქალაქის კედლებს დამატებითი ზიანი

კარგი შესაძლებლობა იყო, რომლის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა".[10] ასე გამოიყენეს 1139 წლის მიწისძვრაც ქართველებმა, როდესაც დემეტრე I-ს მეფობაში, ივანე აბულეთის ძის სარდლობით თავს დაესხნენ მიწისძვრით დანგრეულ განძას და მრავალი ტყვე და სიმდიდრე იგდეს ხელთ.[11]

გამოყოფენ ციხე-სიმაგრის აღების რამდენიმე ძირითად ხერხს, როგორიცაა ციხის გალავანზე გადასვლა იერიშით, გალავნის შენგრევა, კედლების ქვეშ მიწისქვეშა გვირაბის გაყვანა და ალყის შედეგად გარნიზონის დაუძლურება.[12] ეს ჩამონათვალი არ მოიცავს სიმაგრეთა აღებას სამხედრო ცბიერებით, გარნიზონის მოსყიდვით ან მუქარით, მოულოდნელობის ეფექტის ან საბრძოლო ვითარების გამოყენებით (როდესაც ციხის კარიბჭის დახურვას ვერ ახერხებენ) და სხვ. ასეთი შემთხვევები უფრო საბრძოლო მოქმედებათა წარმოების ზოგად სფეროს განეკუთვნება და კლასიკური პოლიორკეტიკის საგნად ნაკლებად განიხილება.[13]

ზოგადად, ციხე-სიმაგრეთა აღების ყველა ხერხი შეიძლება გავაერთიანოთ ორ ძირითად მეთოდში: ციხეთა აღება იერიშით ან ალყის საშუალებით. იერიშიც და ალყაც სხვადასხვა ხერხით შეიძლება განხორციელდეს. ხშირია მათი ერთობლივი გამოყენებაც.

ციხე-სიმაგრის აღების მრავალფეროვან მეთოდებს ქართველები რომ იცნობდნენ, ეს X საუკუნის ერთ ხელნაწერშიც ჩანს. „ცხოვრება იაკობ ნისიბელისა" მოგვითხრობს: „დააგოს მას ზედა ფილაკვანთა სიმრავლე სასროლად ქალაქისა და კუალად ქმნა ურმები მანქანებითა რა ზღუდესა მოადგენ და გამოულონ საფუძველი მისი".[14] როგორც ვხედავთ, აქ აღწერილია ქალაქის იერიში ლოდსატყორცნი არტილერიით და ციხის გალავნის ძირის გამოთხრა მოძრავი საფრის ქვეშ. მაგრამ ერთია ხელნაწერში მოხსენიებული მეთოდი და

მიაყენა და დაარწმუნა ქრისტიანები შემდგომი წინააღმდეგობის უმიზნობაში. Marshall, *Warfare in the Latin East*, 232.

[10] David Nicolle, *Acre 1291: Bloody Sunset of the Crusader States* (Oxford, 2005), 15.

[11] ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში*, 92-3.

[12] Wise, *Medieval Warfare*, 164.

[13] ჯ. სამუშიას ცალკე კატეგორიად, მისეულ კლასიფიკაციაში მეხუთე ხერხად, აქვს გამოყოფილი ციხე-სიმაგრის აღება „ალპინისტების გამოყენებით ანდა გალავნის ქვეშ გვირაბის გაყვანით". სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში", 90. აქ ერთმანეთშია აღრეული მეთოდი (იერიში) და მისი განხორციელების საშუალებები (გვირაბით ან კლდეზე მცოცავებით). ციხეში შეღწევა გვირაბით ან კლდეზე მცოცავებით იერიშის განხორციელების ხერხია და არა რაიმე განსხვავებული ქმედება. არა აქვს მნიშვნელობა, კედელზე კიბის საშუალებით გადავალთ თუ მცოცავების შემწეობით. ასევე, იერიშის ხერხია ციხეში გვირაბით შეღწევა. ორივე ეს ხერხი სიმაგრის იერიშით აღების კატეგორიას განეკუთვნება და მათი ცალკე გამოყოფა არასწორად მიგვაჩნია. როგორც ჯ. ჰინდლი წერს, კედელზე, კედლისქვეშ თუ კედლის გავლით სიმაგრეში შეღწევა, ყველა – იერიშის სახეობაა. Geoffrey Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft* (New York, 2009), 82.

[14] დომენტი მშვენიერაძე, *ტექნიკის ლექსიკური მასალები ქართულ წერილობით ძეგლებში* (თბილისი, 1961), 65.

მეორე, ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება საბრძოლო მოქმედებების დროს. ამიტომ, შუა საუკუნეების ქართულ პოლიორკეტიკაზე მსჯელობას საალყო ტექნიკის განხილვით დავიწყებთ, რადგანაც ამ ტექნიკის განვითარების დონე ნათლად წარმოაჩენს ქართული არმიის საალყო შესაძლებლობებს.

საალყო ტექნიკა

საალყო ტექნიკის დასამზადებლად უმთავრესად სამი რამ იყო საჭირო: ხის მასალა, რკინის დეტალები და თოკები მათ შესაკავშირებლად, და, რა თქმა უნდა, განსწავლული ინჟინრები და ოსტატები.[15]

ჰერონ ბიზანტიელი ჩამოთვლის მრავალფეროვან ტექნიკას, რომელსაც მოალყეები იყენებდნენ. ესენია: სხვადასხვა ტიპის კუ, რომელთა საფარქვეშ მოიერიშეები ავსებდნენ თხრილებს და ანგრევდნენ კედლებს; მთლიანი ხის ან აწყობილი ურნალი; მოძრავი ხის კოშკები; სხვადასხვანაირი კიბეები, მათ შორის ასაწყობი, მსუბუქი და ციხის დასაზვერი; კედლის სანგრევი სხვადასხვა ხელსაწყოები; თხრილებზე გასადები ხიდები და სხვ.[16] თუკი ამ სიას დავუმატებთ შუა საუკუნეების არტილერიას, მივიღებთ ძირითადი საბრძოლო მანქანების ჩამონათვალს: ურნალი, ტესტუდო ანუ კუ, საალყო კოშკი, საიერიშო კიბეები, ქვის სატყორცნი და ისრის სასროლი მანქანები, აგრეთვე სხვადასხვაგვარი პიროტექნიკური საშუალებები.[17]

სხვადასხვა მონაცემების გათვალისწინებით, შუა საუკუნეებში ციხე-სიმაგრეთა ასაღებად ქართველები იყენებდნენ შემდეგ ტექნიკურ საშუალებებს: საიერიშო კიბეებს, ურნალს და კედლის შესანგრევ სხვა ტექნიკას, ბალისტას, ლოდსატყორცნ მანქანებსა და მიწისქვეშა გვირაბებს.

სამწუხაროდ, დღემდე ამ საიერიშო საშუალებების არათუ ნაშთს, არამედ რაიმე საფუძვლიან აღწერას ან წესიერ გამოსახულებასაც კი არ მოუღწევია. ეს მით უფრო დასანანია, რომ ჟაკ ფრანსუა გამბას ცნობით, XIX საუკუნის ოციან წლებში საქართველოში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ძველი საალყო ტექნიკის ნიმუშები: „ილორში, არის კიდევ ერთი უძველესი ეკლესია, სადაც სულ რამდენიმე წლის წინათ იდგა კატაპულტები, ურნალები და სხვა ძველი საომარი იარაღი, რომელსაც თოფის წამლის გამოგონებამდე იყენებდნენ".[18]

ლოდსატყორცნი ხიტიეხია

ციხე-სიმაგრეთა წინააღმდეგ, მისი გალავნის, საბრძოლო გალერეებისა და ქონგურების დასანგრევად, გარნიზონისათვის მაქსიმალური ზიანის მის-

---

[15] Randall Rogers, *Latin Siege Warfare in the Twelfth Century* (Oxford, 1992), 21.

[16] Heron of Byzantium, "Parangelmata Poliorcetica," in *Siegecraft: Two Tenth-Century Instructional Manuals by "Heron of Byzantium,"* ed. Denis F. Sullivan (Washington, 2000), 29.

[17] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 128.

[18] ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, ტ. I (თბილისი, 1987), 88.

აყენებლად მოალყეები იყენებდნენ ბალისტიკურ (ლოდსატყორცნ და ისრის სასროლ) მანქანებს.[19] შუა საუკუნეებში ახალი ტიპის ლოდსატყორცნმა მანქანამ – ტრებუშეტმა ჩაანაცვლა ანტიკური ხანის კატაპულტები.[20] ტრებუშეტის მოქმედების პრინციპი განსხვავდებოდა ბერძნულ-რომაული ტორსიული მანქანებისაგან, რომლებიც გრეხილი მყესების (თოკების) ენერგიას იყენებდნენ. არსებობს ორი ტიპის – ტრაქციული და საპირწონიანი ტრებუშეტი. ტრაქციული ტრებუშეტი, რომელიც ადამიანის ძალით მოქმედებდა, უფრო ადრინდელი მანქანაა, საპირწონიანი ტრებუშეტი კი მოგვიანებით გამოიგონეს.

ტრაქციული ტრებუშეტი ჩინური გამოგონებაა და პირველად უნდა მოიხსენიებოდეს ძვ.წ. V-III საუკუნეების სამხედრო ტრაქტატში.[21] VI საუკუნის ბოლოს იგი ცენტრალური აზიიდან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში შემოდის. ტრაქციული ტრებუშეტი ავარებმა გააცნეს ბიზანტიელებს და მეშვიდე საუკუნეში იგი უკვე ბიზანტიური არმიის სტანდარტული შეიარაღებაა.[22]

---

[19] ანტიკურობიდან მოყოლებული, ლოდსატყორცნი მანქანების დამზადება რთული ამოცანა გახლდათ და ყველას არ ხელეწიფებოდა. გ. ლორთქიფანიძე მიუთითებს, რომ ასეთ მანქანებს მხოლოდ ისინი ამზადებდნენ, ვისაც შეეძლო რთული მათემატიკური გამოთვლების ჩატარება და გააჩნდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალკვალიფიციური ოსტატები და ზუსტი ტექნოლოგია. გ. ლორთქიფანიძე, „საბრძოლო და სამეურნეო იარაღი", *ვანი II: არქეოლოგიური გათხრები*, რედ. ოთარ ლორთქიფანიძე (თბილისი, 1976), 173.

[20] ტრებუშეტი ლოდსატყორცნი მანქანების გვიანდელი, ფრანგული სახელწოდებაა, რომელსაც ტერმინოლოგიის სიმარტივისა და კლასიფიკაციის გასაადვილებლად იყენებენ. VII საუკუნეში არაბი ისტორიკოსები ახალი ლოდსატყორცნი მანქანების აღსაწერად იყენებენ სიტყვას *manjaniq*, რომელიც ბიზანტიური *manganikon*-იდან მომდინარეობს, ის კი, თავის მხრივ, მოდის ბერძნული სიტყვიდან *manganon*, რომელიც ამნის მაგვარ მანქანას აღნიშნავდა. Stephen McCotter, "Byzantines, Avars and the Introduction of the Trebuchet," [http://www.deremilitari.org/resources/articles/mccotter1.htm]. The Queen's University of Belfast, 2003. დ. ნიკოლი მიიჩნევს, რომ ლოდსატყორცნი მანქანების ბიზანტიური (*manganon, manganikon, magganika*) თუ მათგან ნაწარმოები არაბულ-სპარსულ-თურქული (*manjaniq*) სახელწოდებების ძირი ბერძნულ სიტყვაში *mangano* უნდა ვეძებოთ, რომელიც ნგრევას ნიშნავს. David Nicolle, *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India AD 476-1526* (Oxford, 2003), 10. პ. ჩევედენის აზრით კი, სიტყვა *manganon* ნიშნავს ხიბლს, ჯადოს და მიუთითებს ტრებუშეტზე, ახალი ტიპის მანქანაზე, რომლის ძლიერებაც ყველას აჯადოებდა. Paul E. Chevedden, "The Hybrid Trebuchet: The Halfway Step to the Counterweight Trebuchet," in *On the Social Origins of Medieval Institutions. Essays in Honor of Joseph F. O'Callaghan*, ed. by Donald J. Kagay and Theresa M. Vann (Leiden, 1998), 199.

[21] Carroll Gillmor, "The Introduction of the Traction Trebuchet into the Latin West," *Viator*, 12 (1981), 1; Chevedden, "The Hybrid Trebuchet," 179.

[22] McCotter, "Byzantines, Avars and the Introduction of the Trebuchet," 2003; Dawson, *Byzantine Infantryman*, 11. ს. მარგიშვილი მიიჩნევს, რომ ტრებუშეტი „გავრცელდა ჩინეთიდან, საიდანაც მცირე აზიურ სამყაროში სელჯუკებმა შემოიტანეს, რომელთაგანაც XI ს. მეორე ნახევარში შევიდა ბიზანტიაში, ხოლო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობების დროს გავრცელდა ევროპულ არმიებში". მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 98. მოვლენების ასეთ ინტერპრეტაციას ვერ გავიზიარებ. ტრაქციული ტრებუშეტი მართლაც ჩინეთიდან გავრცელდა, მაგრამ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ის ავარებმა შეიტანეს XI საუკუნეზე ბევრად ადრე, VI საუკუნის ბოლოს. თურქ-სელჩუკების გამოჩენამდე, ჯერ კიდევ VII საუკუნეში არაბები უკვე იცნობდნენ ტრებუშეტს. ევროპაში ტრებუშეტის გამოყენების ფაქტებს ვხვდებით IX საუკუნეში, ჯვაროსნული ომების დაწყებამდე. Gillmor, "The Introduction of the Traction

ტრაქციული ტრებუშეტი ადამიანის ძალით მოქმედი ქვის სატყორცნი მანქანაა, რომლის დამზადება, აწყობა, ტრანსპორტირება და გამოყენება უფრო ადვილი იყო, ვიდრე მანამდე არსებული ბერძნულ-რომაული ტორსიული მანქანების.[23] გარდა ამისა, ანტიკურ არტილერიასთან შედარებით, ტრაქციული ტრებუშეტი უფრო მძლავრი მანქანა იყო.[24] ის იყო ბევრად უფრო უსაფრთხოც და ოპერატორის შეცდომის მიმართ უფრო „მომთმენი", ვიდრე ანტიკური ტორსიული მანქანები.[25] *ონაგრი*, რომელიც საუკეთესო რომაული ლოდსატყორცნი იყო, ტრებუშეტზე ბევრად ძვირი, რთული და სახიფათო მანქანა იყო.[26]

ტრაქციული ტრებუშეტი ჩარჩოზე დამაგრებული ხის გრძელი ძელი იყო. მის მოკლე ბოლოზე თოკები იყო დამაგრებული, გრძელზე კი გიგანტური შურდული. თოკებს ადამიანები შეთანხმებულად ექაჩებოდნენ, რაც საკმაო ძალას ქმნიდა. შურდულისათვის ხელის გაშვება მამოძრავებელ ძალას ანიჭებდა გრძელ მხარს, რომელიც შურდულს რკალისებურად ზემოთ გატყორცნიდა, რაც კიდევ უფრო აგრძელებდა მხარს და ქვას დიდი ძალით ისროდა.[27] ტრაქციული ტრებუშეტის ძალა და სიზუსტე დიდწილად იყო დამოკიდებული მისი ოპერატორების გაწვრთნილობაზე. რაც უფრო კარგად იყო გუნდი გაწვრთნილი და მისი ქმედება შეთანხმებული, მით უფრო ეფექტური იყო ტრებუშეტი.[28] დიდი როლი ენიჭებოდა ე.წ. „მსროლელს", რომელიც შურდულში ჩადებულ ჭურვს ექაჩებოდა და მხოლოდ საჭირო მომენტში უშვებდა ხელს.[29] სალაჰ ად-დინისათვის დაწერილ სამხედრო-თეორიულ ტრაქტატში ატ-ტარსუსი იძლევა რჩევას, თუ როგორ უნდა ისროლონ სწორად ტრაქციული ტრებუშეტიდან და როგორ უნდა არეგულიროს მანძილი შურდულის მემიზნემ. მისი მოწმობით, ასეთი მანქანა ქვას 80-120 მეტრზე ისროდა. ტრაქციული ტრებუშეტის ძელი მოქნილი უნდა ყოფილიყო და მისთვის საუკეთესოდ ალუბლის ხე ითვლებოდა.[30]

ყველაზე დიდ ჩინურ ტრაქციულ ტრებუშეტს 250 კაციანი გუნდი მარ-

Trebuchet," 2-3, 6. ამ შეცდომაზე უთითებს ჯ. სამუშიაც. იხ. მისი, „ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ", *თსუსიიშ*, 4 (2011), 112, შენ. 29.

[23] David Nicolle, *The Crusades* (Oxford, 1988), 45; მისივე, *Attila and the Nomad Hordes*, 18.

[24] Paul E. Chevedden, "Artillery in Late Antiquity: Prelude to the Middle Ages," in *The Medieval City Under Siege*, ed. by Ivy A. Corfis and Michael Wolfe (Woodbridge, 1995), 164; Gillmor, "The Introduction of the Traction Trebuchet," 4.

[25] W. T. S. Tarver, "The Traction Trebuchet: A Reconstruction of an Early Medieval Siege Engine," *Technology and Culture*, Vol. 36, No. 1 (1995), 141.

[26] Tarver, "The Traction Trebuchet," 165. ტრებუშეტთან შედარებით ონაგრი უფრო მძიმე იყო და მძლავრი უკუცემა ჰქონდა, მისი სროლის ტემპი გაცილებით ნელი იყო და მრავალფეროვან მარაგნაწილებს საჭიროებდა. Peter Purton, *A History of the Early Medieval Siege, c.450-1220* (Woodbridge, 2009), 9.

[27] Bradbury, *The Medieval Siege*, 262.

[28] DeVries, *Medieval Military Technology*, 133-4, 137.

[29] Donald R. Hill, "Trebuchets," *Viator*, 4 (1973), 103.

[30] Tarver, "The Traction Trebuchet," 148-9; Hill, "Trebuchets," 103.

თავდა და ის 56 კგ ქვას 77 მეტრზე ისროდა.[31] არისტაკეს ლასტივერტეცის თანახმად, 1054 წელს მანასკერტის ალყისას სელჩუკთა სულთანი თოღრულ-ბეგი იმხელა ტრებუშეტს იყენებდა, რომ მის თოკებს 400 ადამიანი ეზიდებოდა.[32] მაგრამ ასეთი მანქანები დიდი იშვიათობა იყო. ტრაქციული ტრებუშეტების უმეტესობა უფრო მომცრო და მარტივი მანქანაა. 1044 წელს დაწერილი ჩინური სამხედრო ტრაქტატის მიხედვით, ტრაქციული ტრებუშეტების უმრავლესობა 15 კგ-მდე ქვებს მაქსიმუმ 92 მეტრზე ისროდა.[33] ტრაქციული ტრებუშეტები ისრის სასროლ მანძილზე მოქმედებდნენ და მათი მომსახურე პერსონალი მეციხოვნეთა ნასროლისაგან უნდა დაეცვათ. მაგალითად, ზემოთ აღწერილი მანასკერტის ალყის დროს, თურქ-სელჩუკებმა ქსოვილის კედელი აღმართეს თავიანთი ლოდსატყორცნის გუნდის დასაცავად.[34]

უფრო მძლავრ საპირწონიან ტრებუშეტთან შედარებით ტრაქციული ტრებუშეტი ბევრად ადვილად ასაგები და სწრაფმსროლი იყო.[35] იგი, უპირველესად, ცოცხალი ძალის საწინააღმდეგო იარაღი იყო, რომელიც შედარებით სუსტ ქონგურებს ანგრევდა და მცველებს კედლებზე გაჩერების საშუალებას არ აძლევდა.[36] 1147 წელს, ლისაბონის ალყის დროს, 100 ადამიანმა 2 მანქანით 10 საათის განმავლობაში 5 000 შედარებით მცირე ზომის ქვის სროლა მოახერხა.[37] ეს ტრაქციული ტრებუშეტის სწრაფსროლის საუკეთესო ილუსტრაციაა. 1032 წელს სირიაში ლაშქრობისას ბიზანტიელთა ლაშქარმა, სანამ მუსლიმთა სიმაგრეს აიღებდა, ის ტრებუშეტებით დაბომბა. სიმაგრეში შესულმა ბიზანტიელებმა ამ დაბომბვის შედეგად მოკლული 200 (!) მეციხოვნე ნახეს.[38]

გამუდმებულმა ომებმა ბიზანტიასა და ისლამურ სამყაროს შორის ხელი შეუწყო ისეთი მძლავრი საალყო მანქანის გამოგონებას, როგორიც იყო საპირწონიანი ტრებუშეტი.[39] ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებამდე, საპირწონიანი ტრებუშეტი ყველაზე ძლიერი საბრძოლო მანქანა იყო.[40] იგი

---

[31] მაშინ როდესაც საპირწონიანი ტრებუშეტი 50-300 კგ ქვას ისროდა. Paul E. Chevedden, "Fortifications and the Development of Defensive Planning in the Latin East," in *The Circle of War in the Middle Ages: Essays on Medieval Military and Naval History*, ed. by D. J. Kagay and L. J. Andrew Villalon (Woodbridge, 1999), 37-8; Id., "The Hybrid Trebuchet," 183.

[32] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 93. მათეოს ურჰაეცის ცნობით, ეს მანქანა თავის დროზე იმპერატორ ბასილი II-ს აუგია. *The Chronicle of Matthew of Edessa*, 87.

[33] Chevedden, "The Hybrid Trebuchet," 213.

[34] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 93.

[35] Gillmor, "The Introduction of the Traction Trebuchet," 2.

[36] უფრო ძლიერი საპირწონიანი ტრებუშეტების სროლის გაძლება კი მხოლოდ უძლიერეს სიმაგრეს შეეძლო. David Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe AD 585-1385* (Oxford, 2002), 6.

[37] Rogers, *Latin Siege Warfare*, 185.

[38] Nicolle, *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India*, 11-2.

[39] Rogers, *Latin Siege Warfare*, 247.

[40] ცეცხლსასროლ იარაღს საუკუნე დასჭირდა, რომ საპირწონიანი ტრებუშეტის სიმძლავრისათვის

შუა საუკუნეების ტექნიკური აზრის შედევრია, რომლითაც მეფეებიც კი ამაყობდნენ და დიდ მანქანებს საკუთარ სახელებს არქმევდნენ.[41] საპირწონიანი ტრებუშეტი XII საუკუნეში ჩნდება.[42] მისი წარმოშობის ზუსტი დრო და ადგილი ცნობილი არ არის. დ. ნიკოლი თვლის, რომ საპირწონიანი ტრებუშეტი ისლამურ ახლო აღმოსავლეთშია შექმნილი, თუმცა ბიზანტიელების შესაძლო ავტორობასაც არ გამორიცხავს.[43] ალბათ, უპირატესობა მაინც ბიზანტიელებს უნდა მივანიჭოთ.[44] პ. ჩეივედენის აზრით, საპირწონიანი ტრებუშეტი შექმნეს ბიზანტიაში XII საუკუნის დასაწყისში, და შესაძლოა, ცოტათი ადრეც. მას მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები იმის საილუსტრაციოდ, რომ საპირწონიანი ტრებუშეტი ბიზანტიური გამოგონებაა.[45]

საპირწონიანი ტრებუშეტი იმავე პრინციპით მოქმედებდა, რაც ტრაქციული, იმ განსხვავებით, რომ ადამიანის ძალის ნაცვლად მძიმე საპირწონე ყუთი გამოიყენებოდა. მას უფრო გრძელი შურდული ჰქონდა, რაც ზრდიდა მხრის სიგრძეს და განაპირობებდა უფრო მძიმე ჭურვის მეტი აჩქარებით ტყორცნას.[46] საპირწონიანი ტრებუშეტის ძელი მძლავრი უნდა ყოფილიყო, რათა მძიმე საპირწონისაგან გამოწვეული დიდი დატვირთვებისათვის გაეძლო.[47] საპირწონე რამდენიმე ტონას იწონიდა და მისი სიმძიმე ტრებუშეტის სიმძლავრის პირდაპირპროპორციული იყო. საპირწონიანი ტრებუშეტი წინამორბედებზე უფრო ძლიერი და ზუსტიც იყო, რადგან საპირწონის ან ღერძის სიგრძის რეგულირებით შეიძლებოდა სროლის მანძილის ცვლა.[48] ამ საკმაოდ ზუსტ ლოდსატყორცნ მანქანას შედარებით მცირე გუნდი მართავდა.[49]

საპირწონიან ტრებუშეტს შეეძლო მძიმე ქვების 200 მეტრზე მეტ მანძილზე სროლა,[50] რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოქმედებდა მეციხოვნეთა ის-

---

მიეღწია. Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD*, 226.

[41] საპირწონიანი ტრებუშეტების გავრცელებას მოჰყვა ცელილებები ფორტიფიკაციაში: მან განაპირობა უფრო დიდი ზომისა და მკვიდრი კოშკების მშენებლობა, რომელთაც ასეთი მძლავრი მანქანების ზემოქმედებისათვის უნდა გაეძლოთ. Chevedden, "Fortifications and the Development of Defensive Planning," 35; Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe*, 24.

[42] Hill, "Trebuchets," 103-4.

[43] Nicolle, *Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World and India*, 4-5. საპირწონიანი ტრებუშეტი მუსლიმურ გამოგონებად მიაჩნია პ. პარტონსაც. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 300.

[44] George T. Dennis, "Byzantine Heavy Artillery: The Helepolis," *Greek, Roman and Byzantine Studies*, 39 (1998), 110-3.

[45] Paul E. Chevedden, "The Invention of the Counterweight Trebuchet: A Study in Cultural Diffusion," *Dumbarton Oaks Papers*, vol. 54 (2000), 76-87, 102-11.

[46] Paul E. Chevedden et al., "The Trebuchet," *Scientific American*, 1 (1995), 69; Tarver, "The Traction Trebuchet," 164.

[47] Hill, "Trebuchets," 109.

[48] Richard L. C. Jones, "Fortifications and Sieges in Western Europe, c.800-1450," in *Medieval Warfare: A History*, ed. by Maurice Keen (Oxford, 1999), 174.

[49] Nicolle, *The Crusades*, 31. მაშინ როდესაც ტრაქციული ტრებუშეტის ეკიპაჟი, ჩინური წყაროების ცნობით, 40-დან 250-მდე კაცს მოითვლიდა. Gravett, *Medieval Siege Warfare*, 49.

[50] Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 384.

რებისათვის მიუწვდომელი მანძილიდან, რადგან ისრის ეფექტური მანძილი 140 მეტრამდეა.[51] ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არტილერისტთა უსაფრთხოებისათვის. 1138 წელს, როდესაც ბიზანტიელებმა მისი მშობლიური ქალაქის შეიზარის კედლები დაანგრიეს, უსამა იბნ მუნკიზმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოალყეთა არტილერია იმაზე უფრო შორიდან ისროდა ქვებს, ვიდრე ქალაქის მცველთა ისარი აღწევდა.[52]

ლოდსატყორცნი მანქანების დამზადება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა (განსაკუთრებით საპირწონიანი ტრებუშეტის) და მათთვის აუცილებელი იყო ხის მასალა (გრძელი კოჭები), თოკები, ტყავი შურდულისთვის, რკინის დეტალები (რკინის კაუჭი შურდულისათვის, რკინის მანჭვლები და რკინის ღერძი). ლოდსატყორცნი მანქანებიდან ზუსტი სროლისათვის სტანდარტული წონისა და ფორმის საგანგებოდ გათლილ ქვებს იყენებდნენ. ასევე არჩევდნენ სპეციალური, უფრო მტკიცე ჯიშის ქვას ჭურვებისათვის.[53]

ქართულ ენაში ლოდსატყორცნი მანქანის აღსანიშნავად *ფილაკავანი* გამოიყენებოდა. სულხან-საბა ასე განმარტავს ფილაკავანს (ფილაკვანს): „ჟამთა პირველთა ციხის მებრძოლნი სასხლეტსა რასმე მომართევდენ დიდის ლოდის სასროლად ციხის შესამუსრავად".[54] პ. ჩეველაძემ დაადგინა, რომ ეს ტერმინი სპარსული ენიდან მომდინარეობს და განმარტა მისი მნიშვნელობა. სომხური *ფილიკვანის* მსგავსად, „ქართული ტერმინი *ფილაკავანი* მოდის სპარსული სიტყვიდან *pilvar-afkan* ან მისი შემოკლებული ფორმიდან – *pol(o)kan*. სპარსული ტერმინი ნიშნავს „სპილოსხელა საგნების მსროლელს".[55] ეს უნდა ყოფილიყო მეექვსე საუკუნეში ირანში გავრცელებული ტრაქციული ტრებუშეტის ორიგინალური სახელწოდება. არაბების მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ ორიგინალური სპარსული ტერმინი შეიცვალა არაბული *მანჯანიკით*, თუმცა იგი შემორჩა სომხურ და ქართულ ენებში.[56]

უნდა ითქვას, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ქართული წყაროები არ

---

[51] Peter Edbury, "Warfare in the Latin East," in *Medieval Warfare: A History*, ed. by Maurice Keen (Oxford, 1999), 109.

[52] *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades: Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*, 143.

[53] Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe*, 16. მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, რიჩარდ ლომგულმა განსაკუთრებით მაგარი ქვის ჭურვები სიცილიიდან ჩაიტანა პალესტინაში და აკრას ალყის დროს გამოიყენა. Nicholson, *Medieval Warfare*, 93. ერთმა ასეთმა ლოდმა 12 კაცი მოკლა. გაოცებულმა მუსლიმებმა ის სალაჰ ად-დინსაც კი აჩვენეს. Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft*, 43. გვაქვს ცნობა, რომ 1244 წელს ნორთუმბერლენდთან, ვინმე უერარი ერთნაირი ყალიბით კვეთდა ლოდსატყორცნის ქვებს. Hill, "Trebuchets," 104. 1304 წელს სტირლინგს შემოწყობილ ინგლისელებს საგანგებოდ გათლილი 784 ლოდი ჰქონდათ მომარაგებული. Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft*, 97.

[54] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II,192.

[55] Paul E. Chevedden, "The Hybrid Trebuchet: The Halfway Step to the Counterweight Trebuchet," in *On the Social Origins of Medieval Institutions. Essays in Honor of Joseph F. O'Callaghan*, ed. by Donald J. Kagay and Theresa M. Vann (Leiden, 1998), 202-3.

[56] იქვე, 203.

გვანებივრებენ ლოდსატყორცნი არტილერიის გამოყენების აღწერით, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ კონსტრუქციულსა თუ სხვა თავისებურებებზე. ხშირად, მემატიანე მხოლოდ აღნიშნავს რაიმე სიმაგრის ალყას და არც კი ახსენებს ამ დროს გამოყენებულ საბრძოლო ტექნიკას. ამ ტექნიკის მოქმედების კვალი მხოლოდ არქეოლოგებს შეუძლიათ დაადგინონ. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს ბრძოლებზე, როდესაც უფლისციხეზე ბატონობას ერთმანეთს ეცილებოდნენ აფხაზეთის, კახეთის, ტაოსა და სომხეთის მეფეები. ამასთან, არც ერთხელ არ არის ნახსენები ფილაკავანები თუ სხვა საალყო ტექნიკა, მაშინ როდესაც, უფლისციხესთან ლოდსატყორცნი მანქანების გამოყენება არქეოლოგიურადაა დადასტურებული. დ. მინდორაშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა უფლისციხის ნაქალაქარი, წერს: „ქვის საბრძოლო იარაღებიდან კლდეში ნაკვეთი კომპლექსის შუა საუკუნეების კულტურულ ფენებში მრავლადაა აღმოჩენილი საგანგებოდ გათლილ-დამუშავებული შურდულის ქვები და შედარებით მოზრდილი „ჭურვები". უკანასკნელი განკუთვნილი იყო სატყორცნი მანქანებისათვის – ფილაკავნებისათვის. მათი უმრავლესობა ქვიშაქვისაა, რითაც ასე მდიდარია უფლისციხის მიდამოები. მასალიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ „ჭურვების" უმრავლესობა უფლისციხელებს ეკუთვნოდათ. ვინაიდან, საბრძოლო მოქმედებების დროს მტერს არ ექნებოდა საშუალება ისინი ასე საგანგებოდ და გულდასმით ემზადებინათ. თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ მათი ნაწილი მტრის ნატყორცნიც იყოს".[57] შესაძლოა, ეს ჭურვები IX-X საუკუნისაა, როდესაც უფლისციხის დაუფლებისათვის ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. „შედარებით მოზრდილი „ჭურვები" ადამიანთა საწინააღმდეგოდაა გამიზნული და ტრაქციულ ტრებუშეტზე მიუთითებს.[58]

---

[57] დავით მინდორაშვილი, *უფლისციხე შუა საუკუნეებში* (თბილისი, 2008), 80.

[58] ს. მარგიშვილი მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებელის ეპოქაში გავრცელებული იყო ფილაკავანის ორი ტიპი: „ქვის სატყორცნი ონაგრები (კატაპულტები) და ტრებუჩეტები". მისი აზრით, „შეუძლებელია ფილაკავანის ზოგადი ტიპის განსაზღვრაც. ჩვენთვის უცნობი რჩება თუ საალყო მანქანების რომელ ტიპს (ონაგრს, რომელიც მცირე ზომის ქვებს ისროდა თუ ტრებუჩეტს, რომელიც უფრო „მსხვილკალიბრიანი" იარაღი იყო) მიეკუთვნებოდა ქართული ფილაკავანი". მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 333. ჯ. სამუშიაც, რომელიც მართებულად მიიჩნევს, რომ ქართული ფილაკავანი ტრებუშეტია, ამავე დროს, ადარებს მას ონაგრს და თვლის, რომ ამ ტიპის მანქანა XI საუკუნემდე გამოიყენებოდა. სამუშია, „ბაგრატ III-ის ლაშქრობა განძის საამიროს წინააღმდეგ", 110-2. საკითხის ასე დასმა მართებული არ არის. რომაული ონაგრი XI-XII საუკუნეებში, და უფრო ადრეც, უკვე აღარ გამოიყენებოდა. რ. როჯერსის აზრით, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, შუა საუკუნეებში რომაული ტორსიული მანქანების (ონაგრის) არსებობაში რომ დაგვარწმუნოს. Rogers, *Latin Siege Warfare*, 265. ჰ. ჩევედენი თვლის, რომ ონაგრი VI საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება. Chevedden, "Artillery in Late Antiquity," 164. ამ აზრს იზიარებს ვ. ტარვერიც. Tarver, "The Traction Trebuchet," 143n37, 145. ჰ. პარტონი საერთოდ მითს უწოდებს ონაგრის არსებობას შუა საუკუნეებში. Peter Purton, "The Myth of the Mangonel: Torsion Artillery in the Middle Ages," *Arms and Armour*, vol. 3, no. 1 (2006), 80-5. ქართული ფილაკავანის ტიპის განსაზღვრისას, არჩევანი უნდა გავაკეთოთ არა ონაგრსა და ზოგადად ტრებუშეტს შორის, არამედ ტრაქციულსა და საპირწონიან ტრებუშეტს შორის.

თავად ტერმინი *ფილაკავანი* გვიჩვენებს, რომ საქართველოში ტრაქციული ტრებუშეტი სასანური ირანიდანაა შემოსული, VI საუკუნის ბოლოს ან VII-ს დასაწყისში. ტრაქციული ტრებუშეტის გამოყენების პირველი მოწმობა კი 627 წელს, ჰერაკლე კეისრისა და თურქთა მიერ თბილისის გარემოცვისას გვაქვს. მოვსეს კალანკატუაცი მოგვითხრობს, რომ მოალყეებს „თან ჰქონდათ ოთხთვლიანი მანქანები და ჰრომაელ ოსტატთა ხელით გაკეთებული სხვა ნაირნაირი საშუალებები, რომლებიდანაც ზუსტად ისროდნენ და უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ".[59] ამ დროისათვის ბიზანტიელები, სულ მცირე, 30 წელი მაინც, იცნობენ ტრაქციულ ტრებუშეტს, რომელიც ადრინდელ საალყო ტექნიკასთან (ონაგრთან) შედარებით, უფრო დიდი ზომის ლოდებს ისროდა, რაც, გაზვიადებულად, აისახა კიდევაც მემატიანის მონათხრობში („უზარმაზარი ქვებით კედლებს ანგრევდნენ").[60]

შემდგომი ცნობა ლოდსატყორცნი არტილერიის შესახებ მხოლოდ XI საუკუნის დასაწყისში გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში ასეთ მანქანებს საქართველოში არ იყენებდნენ. ქვემოთმოყვანილი ცნობის ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს უკვე კარგად განვითარებულ დარგთან, რომელიც ცარიელ ადგილზე ვერ იშვებოდა. საალყო ტექნიკის განვითარებისათვის განსაკუთრებული სტიმული იქნებოდა ახალი ქართული სამეფოების წარმოქმნა და გამუდმებული ომები მეზობლებთან IX-X საუკუნეებში, როცა ციხე-სიმაგრეების აღებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

„მატიანე ქართლისას" ანონიმ ავტორთან არის დაცული მეტად საინტერესო ცნობა ქართული ლოდსატყორცნი არტილერიის გამოყენების შესახებ. 1011/12 წელს ბაგრატ III-მ სომეხ მოკავშირეებთან ერთად დალაშქრა განძის ამირა ფადლონის (ფადლ იბნ მუჰამედის) სამფლობელოები და შამქორს შემოეწყო: „მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი, და მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი. ხვალისა დღე ეგულებოდა შემუსრვად და წარტყუენვად ქალაქისა მის. მას ღამესა მოუვლინა მოციქული ფადლონ, ითხოვა შენდობა; აღუთქუა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა".[61] როგორც ვხედავთ, საკმაოდ მძლავრი ბალისტიკური მანქანების ქმედებაა აღწერილი, რომელთაც მცირე დროში დაანგრიეს („დალეწნეს") შამქორის გალავანი. ცნობილია, რომ ტრებუშეტებს მეტი ეფექტი ჰქონდათ ჯგუფურად

---

[59] მოვსეს კალანკატუაცი, *ალუანთა ქვეყნის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა (თბილისი, 1985), 71.

[60] ბიზანტიური სამხედრო საქმის ცნობილ მკვლევარს ჯ. დენისს ეჭვი არ ეპარება, რომ თავის სამხედრო კამპანიებში ჰერაკლე კეისარი ტრაქციულ ტრებუშეტებს იყენებდა. Dennis, "Byzantine Heavy Artillery," 104.

[61] „მატიანე ქართლისა", 280.

გამოყენების დროს, როდესაც სიმაგრის ერთ მონაკვეთზე მათი კონცენტრირება ხდებოდა. საყურადღებოა, რომ ბაგრატიც რამდენიმე ტრებუშეტს იყენებს შამქორის იერიშისას. მიუხედავად ამისა, გალავნის ისეთი ნგრევა, რამაც მოწინააღმდეგის კაპიტულაცია გამოიწვია, ბევრ კითხვას ბადებს. XI საუკუნის დასაწყისის ლოდსატყორცნ არტილერიას (ტრაქციულ ტრებუშეტს) ძლიერი კედლების დანგრევა არ შეეძლო.[62] როგორც ზემოთ ითქვა, რომ სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კონსტრუქციის ლოდსატყორცნებს განსხვავებული შესაძლებლობა ჰქონდათ. შუა საუკუნეებში მძლავრი ციხე-სიმაგრის კედლების დანგრევა მხოლოდ საპირწონიან ტრებუშეტს შეეძლო, რომელიც, წინამორბედებისაგან განსხვავებით, დიდი წონის ჭურვებს შორ მანძილზე ისროდა. XI საუკუნის დასაწყისში კი საპირწონიანი ტრებუშეტი ჯერ არ იყო გამოგონებული, იგი მხოლოდ XII საუკუნეში გავრცელდა. ძნელია, ამ ძუნწი ცნობის მიხედვით იმსჯელო საბრძოლო იარაღის ნაირსახეობაზე და ზედმეტად თამამი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ასე ადრეულ ხანაში ქართველები საპირწონიან ტრებუშეტს იყენებდნენ.[63] ამავე დროს, საეჭვოა, რომ მცირე დროის განმავლობაში ქალაქის კედლები ჩვეულებრივ ტრაქციულ ტრებუშეტს დაენგრია. მით უმეტეს, რომ შამქორს უმნიშვნელო ფორტიფიკაციები არ ჰქონდა და მოკლე დროში მათი განადგურება საკმაოდ საცნაურია.[64] უნდა ვივარაუდოთ, რომ შამქორთან ქართველებმა გამოიყენეს გარდამავალი ტიპის ან დიდი ზომის ლოდსატყორცნები, რომელთაც ჩვეულებრივ ტრაქციულ ტრებუშეტზე მეტი ძალა ჰქონდა. თანამედროვე მკვლევრები ჯერ ვერ თანხმდებიან, თუ როგორი კონსტრუქციის იყო ასეთი არტილერია.[65] არც ჩვენ ვფლობთ იმ სახის ინფორმაციას, რომ კონსტრუქცი-

---

[62] X-XI საუკუნეების ოთხი სამხედრო ტრაქტატის (ჰერონისა და ანონიმის პოლიორკეტიკები, ნიკიფორე ურანოსის „ტაქტიკა" და კეკავმენოსის „სტრატეგიკონი") შესწავლის საფუძველზე ე. მაკგირი ასკვნის, რომ XII საუკუნემდე ბიზანტიელთა ყველაზე საყვარელი საალყო ხერხი მიწისქვეშა გვირაბების გაყვანა იყო. ეს კი მიუთითებს ბიზანტიური, და საერთოდ, თანადროული არტილერიის შედარებით სისუსტესა და მის ნაკლებ ეფექტურობაზე ფორტიფიკაციების მიმართ. Eric McGeer, "Byzantine Siege Warfare in Theory and Practice," in *The Medieval City Under Siege*, ed. by Ivy A. Corfis and Michael Wolfe (Woodbridge, 1995), 123-9.

[63] რადგანაც სიმაგრის კედლების ნგრევა მხოლოდ საპირწონიან ტრებუშეტს შეუძლია, ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს ასეთი ცნობა საპირწონიანი მანქანების არსებობის დასამტკიცებლად გამოიყენოს. მათგან განსხვავებით, ჯ. ბრედბერი წინააღმდეგია ირწმუნოს საპირწონიანი ტრებუშეტების ადრეული არსებობა მხოლოდ იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც ლოდსატყორცნი მანქანების მიერ კედლების დანგრევაზე მოგვითხრობს. Bradbury, *The Medieval Siege*, 264. ბრედბერის ამ მოსაზრებას მეც ვიზიარებ.

[64] იაკუთის მიხედვით, შამქორი ძველი, „ყოველთვის დასახლებული და აყვავებული" ქალაქი იყო, რომელიც 854 წელს განაახლა და აღადგინა ბუღა თურქმა. *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ეთერ სიხარულიძემ, ნაკვ. 1 (თბილისი, 1964), 67.

[65] პ. ჩევედენის აზრით, ის *ჰიბრიდული ტრებუშეტია*. მის ძელზე თოკების გარდა ტვირთიც იყო დამაგრებული და ადამიანის ძალასთან ერთად სიმძიმის ძალასაც იყენებდა, რაც მის გაზრდილ სიმძლავრეს განაპირობებდა. Chevedden, "The Hybrid Trebuchet," 180-1. მ. ბასისტა კი ასეთ მანქანას *გაწონასწორებულ ტრებუშეტს* უწოდებს. მისი მოკლე მხარი, სადაც თოკები ემაგრებოდა,

ულ დეტალებზე ვიმსჯელოთ. თუმცა, ცხადია, რომ ბაგრატ III-ის არმიაში იმყოფებოდნენ ისეთი გამოცდილი არტილერისტები, რომელთაც შეეძლოთ მძიმე საბრძოლო მანქანების კონსტრუირება და მართვა. ეს მანქანები ისეთ დიდ ქვებს ისროდა, რომ მათ გალავნის დანგრევა შეეძლოთ. ეს კი, XI საუკუნის დასაწყისში ქართული ლოდსატყორცნი არტილერიის უაღრესად დაწინაურებულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

XI საუკუნის შუახანების ქართული საარტილერიო პარკის მრავალრიცხოვნობასა და შემდგომ განვითარებაზე სხვა ცნობებიც მიუთითებს. 1045 წელს, ერთი საბრძოლო სეზონის განმავლობაში ბაგრატ IV ლოდსატყორცნებით ებრძვის ბიზანტიელებს ანაკოფიის („მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა")[66] და ხუფათის ციხეებთან („გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათსა, დაუდგნეს ფილაკავანნი და ბრძოდეს"),[67] და თბილისის მოქალაქეებს ისნის ასაღებად („დაუდგნეს ფილაკავანნი, და ბრძოდეს ისნსა, და ესროდეს ისარსა").[68] ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ ლაშქარს კარგად ჰქონდა ათვისებული საომარი მანქანების აგების ტექნოლოგია და შეეძლო გეოგრაფიულად დაშორებულ სამ პუნქტში (ანაკოფია, ხუფათი და თბილისი) ებრძოლა ლოდსატყორცნებით. ცხადია, რომ საალყო მანქანების აგება და შემდგომი ექსპლუატაცია ხელეწიფებოდათ არა მარტო ცალკეულ ინჟინრებს, არამედ ასეთები მრავლად

დამძიმებული იყო, რაც ონიარის სიმძიმის ცენტრს აწონასწორებდა და ქვის სატყორცნად ნაკლებ ენერგიას საჭიროებდა. ეს კი შედარებით მძიმე ქვის ტყორცნის შესაძლებლობას იძლეოდა. Michael Basista, "Hybrid or Counterpoise? A Study of Transitional Trebuchets," *JMMH*, vol. V (2007), 47-55. ყველაზე უფრო მარტივ და, ალბათ, სწორ ახსნას პ. პარტონი გვთავაზობს, რომელიც თვლის, რომ ასეთი ძლიერი მანქანები დიდი ზომის და, შესაბამისად, მძლავრი ტრაქციული ტრებუშეტებია. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 381.

[66] „მატიანე ქართლისა", 299. მემატიანე არაფერს ამბობს ანაკოფიასთან ფილაკავანების გამოყენების შესახებ, მაგრამ ბერძნული სამშენებლო წარწერების საფუძველზე თ. ყაუხჩიშვილი თვლის, რომ ქართველთა საომარმა მოქმედებებმა ციხის ნაგებობები დააზიანა. თინათინ ყაუხჩიშვილი, *ბერძნული წარწერები საქართველოში* (თბილისი, 1951), 26-8. ამ აზრს იზიარებს ჯ. სამუშიაც, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ალყის დროს ქვის სასროლი მანქანების გამოყენებას. სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში", 96. ამ მოსაზრებას მეც ვეთანხმები, დანგრეული შენობა-ნაგებობები, მართლაც, ქართველთა მხრიდან ლოდსატყორცნი არტილერიის გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს. ა. ვინოგრადოვი, რომელმაც 1046 წლის თებერვალსა და მარტში ანაკოფიაში გაკეთებული ორი წარწერა შეისწავლა, თვლის, რომ ბიზანტიამ სარემონტო სამუშაოებისათვის და წყლის ცისტერნის შესაკეთებლად ციხეში სასწრაფოდ მიავლინა პროტოსპათარიოსი ევგენი დესპოტი და გარნიზონის გასაძლიერებლად მცირე აზიიდან გაგზავნა კასის ტურმა ტაქსიარქ თეოდორე ბალანტის მეთაურობით. А.Ю. Виноградов, "Эпиграфика надписи с Анакопийской горы," *Искусство Абхазского царства VIII-XI веков* (Санкт-Петербург, 2011), 214-8. ცხადია, სარემონტო სამუშაოების ჩატარება ქართველთა წარუმატებელი ალყის შემდეგ გახდებოდა საჭირო. საინტერესოა, რომ ბიზანტიელების მიერ აღდგენილი წყლის ცისტერნა ანაკოფიის ციტადელში მდებარეობს, რომლის დაზიანებაც გარემომცველებს მხოლოდ ლოდსატყორცნი არტილერიით შეეძლოთ. როგორც ჩანს, ბაგრატის ლაშქარმა პირველი ზღუდე – ანაკოფიის ციხის გარე კედელი გადალახა და ფილაკავნები მთის წვერზე მდებარე შიდა ციხეს მიუმარჯვა.

[67] „მატიანე ქართლისა", 299.

[68] იქვე, 300.

იყვნენ. ბაგრატ IV-ის დროინდელ საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში ჩვენ ვხედავთ სპეციალისტთა გუნდს, რომლებიც საალყო მოქმედებებს წარმართავენ და მრავალრიცხოვან ბალისტიკურ მანქანებს ემსახურებიან. ასეთ სპეციალისტებს ეპოქის „ტექნოლოგიურ ელიტას" უწოდებენ.[69]

რაც შეეხება საპირწონიან ტრებუშეტს, არ არის გამორიცხული, რომ ქართველები მას ჯერ კიდევ დავით IV-ის მეფობაში გაცნობოდნენ. მემატიანე გვატყობინებს, რომ დიდგორის ომში გამარჯვებულმა ქართველებმა ხელთ იგდეს „სხუთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლელთა თუთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა".[70] ნიშანდობლივია, რომ მეფის ისტორიკოსი, რომელსაც ნაკლებად აინტერესებს სამხედრო საქმე და ჩვეულებრივ, თავს არ იწუხებს ასეთი დეტალების გადმოცემით,[71] ხაზგასმით აღნიშნავს უცხო სახის ფილაკავანთა ხელში ჩაგდებას. 1121 წელს, ქართველთათვის უცხო სახის ფილაკავანი მხოლოდ საპირწონიანი ტრებუშეტი შეიძლება ყოფილიყო, სხვა სახის ტრებუშეტს ისინი უკვე იცნობდნენ. ილ-ღაზის ლაშქარი მართლაც შეიძლება ყოფილიყო აღჭურვილი ასეთი მოწინავე არტილერიით. ალეპო, ილ-ღაზის საგამგებლო ქალაქი, განთქმული იყო თავისი ინჟინრებითა და ალყის ოსტატებით.[72] 1119 წელს, სისხლიან ველზე როჯერ ანტიოქელის განადგურების შემდეგ, ილ-ღაზიმ აიღო ათარიბი და ზარდანა. ორივე ქალაქი მძიმე ბომბარდირების შემდეგ დაეცა. ანტიოქიის კანცლერი გოტიე მიუთითებს, რომ ათარიბთან წარმატების შემდეგ, იგივე ლოდსატყორცნი ილ-ღაზიმ ზარდანასთანაც გამოიყენა, ორივეგან სამ-ოთხჯერ დღის განმავლობაში.[73] სროლის ასეთი დაბალი ტემპი საპირწონიან ტრებუშეტზე უნდა მიანიშნებდეს, რომლის სასროლად მომართვას საკმაო ხანი სჭირდებოდა. პ. პარტონიც აღნიშნავს, რომ ილ-ღაზის არტილერია უჩვეულოდ ეფექტურია.[74] ამას გარდა, ვიცით, რომ ართუკიანის მოკავშირე ნამდვილად ფლობდა ასეთ არტილერიას. 1125 წელს მოსულის გამგებელმა აყ-სონყურ ალ-ბურსუკმა და დამასკოს ათაბაგმა ტუღ-თეგინმა აზაზის კედელების დასანგრევად გამოიყენეს საპირწონიანი ტრებუშეტები, რომელთაც წყაროებში მოიხსენიებენ, როგორც დიდ მანჯანიკებს (*manganiqe rawrbe*).[75] ტუღ-თეგინი ილ-ღაზის სიმამრი იყო და მას ყოველმხრივ უჭერდა მხარს. დავითის ისტორიკოსი მიუთითებს დამასკოელთა ყოფნას ილ-

---

[69] Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 241.

[70] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 341.

[71] ამის შესახებ, თ. ჟორდანია ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩიოდა. *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტ. I (ტფილისი, 1892), XLIII.

[72] David Nicolle, *Hattin 1187: Saladin's Greatest Victory* (Oxford, 1993), 25; მისივე, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 231, 241.

[73] Walter the Chancellor, *The Antiochene Wars*, 145-6, 149.

[74] თუმცა მათ ახალი ტიპის იარაღად არ მიიჩნევს. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 223-4.

[75] Chevedden, "The Invention of the Counterweight Trebuchet," 92.

ღაზის კოალიციურ არმიაში,[76] რომელშიც შედიოდნენ მოლაშქრენი „დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მჴედრობად შემძლებელსა".[77] ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოსაკენ დაძრულ ილ-ღაზის აღალში დაშლილი საპირწონიანი ტრებუშეტები (ან მისი უმთავრესი დეტალები) იქნებოდა.

შემდგომში, ცნობები ქართული ლოდსატყორცნი არტილერიის შესახებ უფრო კანტი-კუნტი ხდება და საერთოდ ქრება.[78] გამონაკლისია გიორგი III-ის ეპოქა, როდესაც კიდევ შეიძლება გარკვეული ინფორმაციის მოძიება. 1163 წელს ანისში მყოფმა და მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის შემოტევის მომლოდინე თორელმა „განამზადნა საბრძოლველნი და მანქანანი".[79] უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქართულმა გარნიზონმა მოამზადა ლოდსატყორცნი მანქანები და ბალისტები, რომლებიც ციხეში და მის კოშკებზე იყო განლაგებული და მზად იყო მუსლიმთა მანჯანიკების წინააღმდეგ კონტრბატერეული ცეცხლი ეწარმოებინა. შედარებით პატარა ზომის გამო, ტრაქციული ტრებუშეტების განთავსება ციხე-სიმაგრის კოშკებზე განსაკუთრებით მოსახერხებელი იყო. საპირწონიანი ტრებუშეტის დატევა და მისი მძიმე საპირწონის ქმედების გაძლება კი მხოლოდ დიდი ბაქანის მქონე და განსაკუთრებით მკვიდრ კოშკს შეეძლო. ამ მხრივ უპირატესობა მოალყეებს ჰქონდათ, რომელთაც კოშკის ზომა არ ზღუდავდა და უფრო დიდი ზომისა და მძლავრი მანქანების აგება შეეძლოთ. ამიტომ, მეციხოვნეები ლოდსატყორცნებს ციხის კოშკებზე ათავსებდნენ, რაც მათ სიმაღლესა და, შესაბამისად, მანძილში უპირატესობას აძლევდა, რადგანაც მაღლიდან ნასროლი უფრო შორს მიდიოდა.[80]

1177 წელს გიორგი III-მ აგარაკის ციხეში შემოარტყა ალყა აჯანყებულებს. სომხური ანდერძ-მინაწერის ცნობით, „გარემოცვა ორთვენახევარს გაგრძელდა. მანქანების მეშვეობით მეფე ჩქარობდა ზღუდეებისა და მათ შიგნით მდებარე პალატთა დანგრევას".[81] ეს მანქანები საპირწონიანი ტრე-

---

[76] თუნდაც ეს მცირერიცხოვანი, სპეციალისტთა რაზმი ყოფილიყო.

[77] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, 340. გ. ჯაფარიძეც თვლის, რომ ილ-ღაზის ლაშქარში იმყოფებოდნენ „ერთგული მოკავშირის თოღ-თეგინის ქვეშევრდომები დამასკოდან". გოჩა ჯაფარიძე, „ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი", *დავით აღმაშენებელი*, რედ. რ. მეტრეველი (თბილისი, 1990), 219.

[78] რაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველებმა მათ გამოყენებაზე ხელი აიღეს. მიზეზი წყაროების სიმცირე და მათი სიტყვაძუნწობა უნდა იყოს. საალყო მეთოდების მიმართ ქართული წყაროების უყურადღებობის მაგალითად დავით აღმაშენებელის ეპოქაც გამოდგება, როდესაც მეფის მემატიანე დუმს მრავალრიცხოვან ციხე-ქალაქთა აღების მეთოდებზე. თუმცა, თავად მათი აღების ფაქტიც საკმარისია პ. პარტონისათვის, რომ დავით IV (ისევე როგორც, ბაგრატ IV) საალყო ხელოვნების მცოდნედ მიიჩნიოს. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 183.

[79] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 13.

[80] Chevedden, "Fortifications and the Development of Defensive Planning," 38.

[81] ალექსანდრე აბდალაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ* (თბილისი, 2005), 38.

სურ. 270
მინიატურის ცენტრში, სავარაუდოდ. მოუხეშავად გამოსახული ტრაქციული ტრებუშეტია. ჯრუჭის II ოთხთავი. H1667 ბელნაწერი. 111r მინიატურა. ბელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ბუშეტები უნდა იყოს, რადგანაც გალავნის შიგნით პალატებს მხოლოდ მძლავრი ლოდსატყორცნი თუ მიწვდებოდა და დაანგრევდა.

ერთადერთი ქართული გამოსახულება, სადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტრებუშეტია გამოსახული, ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურაა. სურათზე ქალაქის იერიშია გამოსახული, მის ცენტრალურ ნაწილში ჩანს ოწინარის ტიპის მოწყობილობა, რომლის თოკებს ორი ადამიანი ექაჩება. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ამ გამოსახულებაში ტრებუშეტი დავინახოთ, ძირითადი კონსტრუქციული პრინციპი ტრაქციული ტრებუშეტისა მაინც არის წარმოდგენილი: ძელი, რომელიც სადგამზეა დამაგრებული და მასზე ჩამოკიდებული თოკები, რომელთაც პერსონალი ემსახურება (ექაჩება). შესაძლოა, მხატვარს, რომელიც იკონოგრაფიაში იყო გაწაფული, მხოლოდ მოუთხრეს ტრაქციული ტრებუშეტის შესახებ. მანაც, მონათხრობისა და საკუთარი წარმოდგენის კვალობაზე დახატა ეს საალყო მანქანა (სურ. 270).

ბალისტა

ბალისტა იყო ხის სადგარზე ჰორიზონტალურად დამაგრებული დიდი მშვილდი, რომელიც დიდი ზომის ისარს ისროდა. ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში გავრცელებული დიდი, არბალეტის ტიპის ისრის სასროლი მოწყობილობების (გასტრაფეტი, პალინტონა და სხვ.) ანალოგები ბიზანტიელების

მიერ შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა.[82] შუა საუკუნეების ბალისტა ისარს დიდი საწყისი სიჩქარით და შედარებით სწორი ტრაექტორიით ისროდა.[83] ეს კი მიზანში ზუსტად მოხვედრას განაპირობებდა, რისთვისაც მას მტრის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად იყენებდნენ. ბალისტიდან ნასროლ ისარს ერთდროულად რამდენიმე ადამიანის მოკვლა შეეძლო.[84] მას ცეცხლგამჩენი ისრების სასროლადაც იყენებდნენ.

ბალისტის აგება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა,[85] თუმცა, უფრო ნაკლები, ვიდრე მძლავრი ტრებუშეტისა. ამავე დროს, ლოდსატყორცნ მანქანებთან შედარებით, ბალისტის ტრანსპორტირება ბევრად ადვილი იყო.[86] გადატენის სირთულის გამო, ბალისტა საკმაოდ ნელა ისროდა. ამის გამო, ის არ იყო ეფექტური ბრძოლის ველზე. სამაგიეროდ, ბალისტას ინტენსიურად იყენებდნენ ციხე-სიმაგრეთა დასაცავად (და საწინააღმდეგოდაც), რადგანაც ალყისას სროლის ნელი ტემპი პრინციპულად ხელისშემშლელი გარემოება არ იყო. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ანისთან თორელის მიერ გამზადებულ „საბრძოლველნში და მანქანებში"საგულვებელია ბალისტებიც, რომლებიც იმდროინდელი სიმაგრეების დაცვაში აქტიურად გამოიყენებოდა.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია დიდი ზომის ისრისპირი, რომლის გასროლა ჩვეულებრივი მშვილდიდან წარმოუდგენელია. ამ ისრისპირს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ს. მარგიშვილმა, რომლის ვარაუდით იგი „გიგანტური არბალეტის" ისარი უნდა იყოს.[87] მკვლევრის ეს მოსაზრება მართებული ჩანს.

მე მომეცა საშუალება შემესწავლა მუზეუმში დაცული ისრისპირი. ის კიდევ უფრო დიდი ზომის აღმოჩნდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. თავიდანვე ყურადღება მიიპყრო მისმა უცნაურად ბლაგვმა თავმა. ახლოდან დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ისრის წვერი გადატეხილი იყო და მისი ნახევარი ზედვე იყო უკნიდან მიკრული. ისრისპირის სიგრძე ყუნწიდან გადატეხის წერტილში 10.5 სმ-ია; წვერმოტეხილი უკანა ნაწილის სიგრძე – 11.4 სმ; (რეკონსტრუირებული) სიგანე – დაახლ. 9 სმ; ყუნწის სიგრძე კი 6 სმ. ისარი ისეა კოროზირებული, რომ აწონას აზრი არ აქვს და ასეთ შემთხვევაში, ამას არც მიმართავენ.[88] ისრისპირის საერთო ზომა დაახლ. 22 სმ-ია. ცხადია, რომ ასეთი დიდი ისრისპირის გასაწონასწორებლად საკმაოდ გრძელი ისრის ტანი (ზრო) იქნებოდა საჭირო. ასეთი სიდიდის ისარი უჩვეულოა ბალისტისათვი-

---

[82] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 137.

[83] Rogers, *Latin Siege Warfare*, 264.

[84] 885-6 წლების პარიზის ალყისას, მეციხოვნეთა ბალისტიდან ნასროლმა ერთმა ისარმა 7 ვიკინგი განგმირა. Bradbury, *The Medieval Siege*, 252.

[85] Purton, "The Myth of the Mangonel," 86.

[86] Nicolle, *Medieval Siege Weapons: Western Europe*, 34.

[87] მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 333.

[88] James, *Excavations at Dura-Europos*, 209, 214.

საც კი და მას დიდი ზომის მოწყობილობა დასჭირდებოდა სამოქმედოდ[89] (სურ. 271).

ეს ისრისპირი ადრეფეოდალურ ხანას (სავარაუდოდ VI საუკუნის დამდეგს) მიეკუთვნება და ურბნისშია ნაპოვნი.[90] საინტერესოა, რომ ეს ისარი მომხდურებს არ გამოუყენებიათ. ის ოთახში ინახებოდა და ურბნისის მეციხოვნეებს ეკუთვნოდა.

სურ. 271
ბალისტის ისარი: წინა (ა) და უკანა (ბ) მხარე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ავტორის ფოტო.

გალავანზე ასვლა

საიერიშო კიბეებით ციხეზე შეტევა ტექნიკურად ყველაზე იოლი, მაგრამ ყველაზე სახიფათო გზა იყო. კიბეებს ძირითადად ხისგან ამზადებდნენ, ხანდახან რკინის კაუჭით თავზე.[91] კიბეების გარდა, გალავანზე ასასვლელად იყენებდნენ კაუჭიან ბადეებსა და თოკებს. ეს იყო ყველაზე სისხლიანი მეთოდი, რომლის დროსაც ყველაზე მეტი ადამიანი იღუპებოდა.[92] ჩვეულებრივ, მოიერიშე ამის უფლებას თავს მხოლოდ დიდი რიცხობრივი უპირატესობის დროს აძლევდა.

1289 წელს ირანის ილხანს დარუბანდელები აუჯანყდნენ. ჟამთააღმწერელი ასე აგვიწერს მოვლენათა მსვლელობას: „მაშინ განუდგეს ყაენს დარუბანდელნი და წარვიდა ყაენი დარუბანდს, მოუწოდა მეფესა დიმიტრის, და წარჰყვა და შევიდეს დარუბანდს და ვერ წინააღუდგეს დარუბანდელნი, და ივლტოდეს სიმაგრესა ციხისასა, რომელსა ანიყად უწოდდეს, და გარემოადგეს, და ვერა ავნეს რა. მაშინ ყაენმან არღუნ უბრძანა მეფესა, რათა ებრძოლოს, რამეთუ იყო ფრიად მაგარი. აღიჭურა მეფე და სპა მისი, და გარეშეეხჳნეს და შეუჴდეს ციხესა, რამეთუ ბეგას შვილი რატი უპირველეს ყოველთა გავიდა, და წარუღეს ციხე“.[93] გასაკვირი არაა, რომ არღუნ ყაენმა იერიშის ყველაზე სახიფათო ნაწილი – ციხის კედლებზე ასვლა, ქართველებს (და არა მონღოლებს) დაავალა. ციხის კედლების ეს იერიში, რომელიც

---

[89] შედარებისათვის, ითვლება, რომ დურა-ევროპოსში ნაპოვნი 10.2 სმ სიგრძის ყუნწიანი ისრისპირი (No. 783) დიდი ზომისაა. James, *Excavations at Dura-Europos*, 220.

[90] დიდი ზომის გამო ლ. ჭილაშვილმა ბალისტის ისრისპირი მახვილის ნატეხად მიიჩნია. ჭილაშვილი, *ნაქალაქარი ურბნისი*, 94.

[91] Gravett, *Medieval Siege Warfare*, 30.

[92] ვეგეციუსი აღნიშნავს, რომ კედლების იერიში მეტად სისხლისმღვრელი იყო მოიერიშეთათვის. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.12.

[93] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 177.

უაღრესად სისხლისმღვრელი იქნებოდა, წარმატებით დასრულდა და რატი სურამელი პირველი ავიდა გალავანზე.

განსხვავებულ ტაქტიკას მიმართა სვიმონ მეფემ 1599 წელს. თურქების ხელთ მყოფი გორის ციხის აღებას ისიც საიერიშო კიბეებით აპირებდა, მაგრამ კარგად ესმოდა, თუ რა მსხვერპლთან იქნებოდა ეს დაკავშირებული. ამიტომ მეფემ ფარსადან ციციშვილსა და სულხან თურმანიძეს „მალვით მრავალნი კიბეები" დაამზადებინა და ღამეული იერიშით, კიბეების გამოყენებით აიღო გორის ციხე.[94]

თუმცა, რიგ შემთხვევებში, როდესაც სიმაგრის კედლები ან გარნიზონი ამის საშუალებას იძლეოდა, მოალყე მხარე პირდაპირ იწყებდა იერიშს საგანგებო მომზადების ანუ მძიმე საალყო ტექნიკის გამართვის გარეშე. ამ დროს მოიერიშეები კიბეებით ცდილობდნენ ციხის კედელზე ასვლას, რაშიც მათ მხარს უჭერდნენ ისრის ინტენსიური სროლით, რაც გარნიზონს თავის გამოყოფის საშუალებას არ აძლევდა.[95] ასეთი სწრაფი იერიშის დროს უმთავრესი შემტევი საშუალება კიბე იყო.[96] თუკი ასეთი რისკიანი შეტევა გაამართლებდა, მოიერიშე მხარე, თავდაპირველი დანაკარგის ფასად, თავიდან აიცილებდა ხანგრძლივ ალყას მისთვის დამახასიათებელი სირთულეებით, რომელიც, საბოლოოდ, უფრო მძიმე და სისხლიანი შეიძლება ყოფილიყო.[97] ეჭვი არ არის, რომ ასეთ ტაქტიკას ქართველებიც ფლობდნენ. XII საუკუნის ჯრუჭის მეორე ოთხთავის 186v მინიატურაზე ასახულია ქართველების მიერ ამ ტექნიკის გამოყენებით სიმაგრის აღება. სურათზე ვხედავთ ალყაშემორტყმულ ქალაქს, მშვილდოსნები მოიერიშეთა დაფარვასა და მეციხოვნეთა დათრგუნვას ცდილობენ, მებრძოლთა ნაწილმა კი კიბე მიადგა გალავანს და ფარების საფარქვეშ ზევით მიიწევს. (სურ. 272)

ციხის გალავანის გადალახვა ხანდახან იმპროვიზებული საშუალებებითაც ხდებოდა. IX-X საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც აფხაზთა და სომეხთა მეფეები ქართლისათვის იბრძოდნენ, „გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი;

---

[94] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 220-1. მსხვერპლის შესამცირებლად ღამის იერიშით, კიბეების გამოყენებით აიღო პერტი რობერტ ბრიუსმა 1312 წელს. Sean McGlynn, *By Sword and Fire: Cruelty and Atrocity in Medieval Warfare* (London, 2009), 145.

[95] Denis Sullivan, "Tenth Century Byzantine Offensive Siege Warfare: Instructional Prescriptions and Historical Practice," in *Byzantium at War (9th-12th Century)* (Athens, 1997), 200. ლეონ დიაკვანის მოწმობით, 964 წლის კამპანიის დროს ნიკიფორე II ფოკამ ამ ხერხით 20-ზე მეტი სიმაგრე წაართვა მუსლიმებს. *The History of Leo the Deacon: Byzantine Military Expansion in the Tenth Century*, introduction, translation, and annotations by Alice-Mary Talbot and Denis F. Sullivan with the assistance of George T. Dennis and Stamatina McGrath (Washington, 2005), 101-2.

[96] ვეგეციუსი შენიშნავს, რომ თუკი დამცველები შეუშინდებოდნენ ისრის სეტყვას, მოიერიშეებს კიბეების საშუალებით სწრაფად შეეძლოთ კედლების დაკავება. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.6.

[97] McGlynn, "Siege Warfare: Tactics and Technology," 266.

სურ. 272
მშვილდოსანთა საფარქვეშ ციხეზე კიბეებით შეტევა. ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლისციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჴერჴითა".[98] *პალან-კურდანი* საბარგო პირუტყვთა (ჯორის, ცხენის, აქლემის) უნაგირია.[99] როგორც ჩანს, სომხებმა უფლისციხის კედლებთან ისინი ერთმანეთზე დაალაგეს, ზედ აძვრნენ და ამგვარად გადავიდნენ ზღუდეზე. გ. ანჩაბაძეს ეჭვი შეაქვს ციხის ასეთი ხერხით აღებაში. მას ვერ წარმოუდგენია ციხის იერიში ერთმანეთზე დაწყობილი საბარგო პირუტყვების უნაგირებით და თვლის, რომ ტექსტი გადამწერელთა მიერ არის დამახინჯებული, მემატიანის „პალან-კურდანი" კი „გარდანის" ტიპის ქვისმტყორცნელს გულისხმობს.[100] თუ ასეა, მაშ რად აღნიშნავს ხაზგასმით მემატიანე, რომ ციხე ხერხით აიღეს? გ. ანჩაბაძეს ვერც იმაში დავეთანხმები, რომ ასეთი რამ „სამხედრო თვალსაზ-

[98] „მატიანე ქართლისა", 262.

[99] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, I, 399, 613.

[100] Анчабадзе, *Источниковедческие Проблемы Военной Истории Грузии*, 65.

რისით ძნელად წარმოსადგენია".[101] ზუსტად ასეთი ფაქტი მოხდა 896 წელს რომის იერიშის დროს, როდესაც გერმანელებმა ბარგი დააგროვეს კედელთან და ისე აძვრნენ მასზე.[102] ასე მოხდებოდა უფლისციხესთანაც, მოალყეებმა, ალბათ, მოულოდნელობით ისარგებლეს, შედარებით დაბალ კედელთან სწრაფად დაახროვეს უნაგირები ბარგითურთ და გალავანზე გადავიდნენ.

გალავნის შენგხევა (შეხვხეტა)

ციხე-სიმაგრის კედლის შენგრევა (ან შეხვრეტა) საიერიშო ურნალის ან ბურღის საშუალებით ხდებოდა. ურნალი (ვერძი, ტარანი) მასიური ხე იყო, რომელსაც ბოლოში რკინის თავი ჰქონდა. ბურღი წვეტიანი რკინით დაბოლოებული ხე იყო, რომელსაც სახელურების მეშვეობით აბრუნებდნენ. ურნალს ათეულობით ადამიანი ემსახურებოდა, ბურღს კი რამდენიმეც ჰყოფნიდა. ჩვეულებრივ, ურნალიცა და ბურღიც, ხის ფარდულის ქვეშ იყო შეფარებული.[103] ციხის კედლებს ანგრევდნენ წერაქვითა და ძალაყინით, რომელთაც საფარს შეფარებული მოალყეები იყენებდნენ.

1122 წელს, დავით აღმაშენებელმა თბილისი გალავნის შენგრევის შემდეგ აიღო. დიდგორთან გამარჯვების შემდეგ, მან ალყა შემოარტყა თბილისს და ბოლოს იერიშით აიღო იგი: „გაემართა მეფე აფხაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა".[104] ალ-ფარიკის მიხედვით, ქართველებმა თბილისის დასავლეთის კედელი შეანგრიეს, რაც, ალბათ, ურნალის გამოყენებით მოხდა.

1209 წელს, ირანში ლაშქრობისას, ზენჯანის აღება გვიჩვენებს, თუ რა მრავალფეროვან ტექნიკას ფლობდა იმდროინდელი ქართული არმია: „მიიწივნეს მცირესა ქალაქსა ზანგანს, ალიზის ზღუდით განმაგრებულსა. ხოლო ქალაქი ძლიერად გაამაგრეს და იწყეს ფიცხლა ბრძოლა. ვითარ გაგრძელდა ომი, განყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შესთხარონ. და იწყეს თხრად ზღუდეთა: უწინარეს მარჯუენასა მჭარსა მესხთა შეჯურიტეს ზღუდე – ალიზით იყო –, და უწინ შევიდეს ქალაქსა შინა და იწყეს ჴოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო".[105] მემატიანის გადმოცემით, ქართველებმა შეხვრიტეს გამოუწვავი აგურით (ალიზით) აგებული ქალაქის კედელი. გამოუწვავი აგურით აგებული კედელი უკეთ უძლებს ქვის ჭურვებს, ვიდრე ქვით ნაგები: ქვა იმსხვრევა, მაშინ როდესაც უფრო რბილი ალიზი ნაწილობრივ შთანთქავს დარტყმის ძალას.[106] ასევე კარგად უძლებს აგურის კედელი ურ-

---

[101] იქვე, 65.

[102] Gravett, *Medieval Siege Warfare*, 31.

[103] Bradbury, *The Medieval Siege*, 274; Gravett, *Medieval Siege Warfare*, 47.

[104] სიხარულიძე, „ალ-ფარიკი საქართველოში", 89.

[105] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 106.

[106] Dennis, "Byzantine Heavy Artillery," 104.

ნალის დარტყმებს.[107] ფაქტია, რომ ქართველებმა მოცემულ ვითარებაში ყველაზე ეფექტური ტაქტიკა აირჩიეს და კედლების ხვრეტას შეუდგნენ.[108] კედლის შეხვრეტის ასეთი მასშტაბური, ერთდროულად რამდენიმე მონაკვეთზე, ოპერაცია ჩატარდებოდა მრავალრიცხოვანი ხის ან მოწნული საფრების თანხლებით, რომელთა ქვეშ მოიერიშენი შედარებით უხიფათოდ იგრძნობდნენ თავს.[109]

საინტერესოა, რომ ზენჯანის ალყის დროს ქართველთა ქმედება, თითქოსდა, ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატის ინსტრუქციების მიხედვით მიმდინარეობს, რაც ამ სახის ლიტერატურის ცოდნას მოწმობს. ჰერონ ბიზანტიელის მიხედვით, თუ მოიერიშეს აგურის კედლების სწრაფად დანგრევა სურს, ამისათვის მან ბურღით კედლის შეხვრეტა უნდა სცადოს. ასეთი ბურღების სიგრძე 1.5 მეტრია და მათი სწორი გამოყენება მოალყეთა მხრიდან პოლიორკეტიკის საკმაო ცოდნას მოითხოვს. მბურღავებს უნდა დაეცვათ ნახვრეტებს შორის დისტანცია და თანმიმდევრულობა, მიეცათ ნახვრეტებისათვის სათანადო ფორმა და მიმართულება და თან გაემაგრებინათ, რომ კედელი დროზე ადრე არ ჩამოქცეულიყო.[110] ეჭვს გარეშეა, რომ ქართულ ლაშქარს ეს ცოდნა ჰქონდა, რაზეც, ბურღების მასობრივი გამოყენების გარდა, ზენჯანის სწრაფი აღებაც მეტყველებს.

მინისქვეშა გვირაბები

გალავნის ქვეშ მინის გამოთხრა ციხის აღების ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხერხი იყო.[111] იქ სადაც ნიადაგი ამის საშუალებას იძლეოდა, მინისქვეშა გვირაბი ციხე-სიმაგრეთა საწინააღმდეგო მძლავრი იარაღი იყო. ჩვეულებრივ, ხვრელის თხრას ციხის კედლისაგან მოშორებით შენიღბულად იწყებდნენ და ცდილობდნენ გარნიზონს ამის შესახებ არაფერი გაეგო. გვირაბის გაყვანისას მის კედლებსა და ჭერს ხით ამაგრებდნენ. როდესაც გვირაბი გალავნის ფუნდამენტს მიაღწევდა, მას აფართოვებდნენ, აალებადი მასალით ავსებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, რის შედეგადაც

---

[107] Heron of Byzantium, "Parangelmata Poliorcetica," 57, 63.

[108] ს. მარგიშვილი მიიჩნევს, რომ ზენჯანი მინისქვეშა გვირაბის გამოყენებით აიღეს. იგი წერს: „აქ აშკარად საუბარია ციხის კედლების ქვეშ გაყვანილ გვირაბზე, რამაც მათი ჩამოქცევა გამოიწვია". მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 333; მისივე, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 214. ეს დასკვნა სიმართლეს არ შეესაბამება, რადგანაც ზენჯანი კედლების შეხვრეტით აიღეს.

[109] მოიერიშეთა, განსაკუთრებით კედლების მხვრეტელთა და გვირაბების გამყვანთა დაცვას ხელოვნური საფარით დიდი ყურადღება ექცეოდა ბიზანტიურ სამხედრო ტრაქტატებში. Eric McGeer, "Tradition and Reality in the "Taktika" of Nikephoros Ouranos," *Dumbarton Oaks Papers*, vol. 45 (1991), 135-8.

[110] Heron of Byzantium, "Parangelmata Poliorcetica," 51-7.

[111] მინისქვეშა გვირაბის საშუალებით ციხის იერიშის უძველესი სურათი გამოსახულია ასურეთის მეფის ასურნასირფალ II-ის (ძვ.წ. 883-859) სასახლეში ნიმრუდში. Kenneth Wiggins, *Siege Mines and Underground Warfare* (Buckinghamshire, 2003), 9.

კედლის ნაწილი ძირს ჩამოიშლებოდა. ხანდახან გვირაბს ციხეში შესაღწევადაც იყენებდნენ,[112] როგორც ეს ბაღდადის იერიშისას მოიმოქმედეს ქართველებმა.[113]

მიწისქვეშა გვირაბებს უფრო ხშირად მიმართავდნენ კოშკების საწინააღმდეგოდ. ჩანს, კოშკის კუთხეების ჩამოშლა უფრო ადვილი იყო, ვიდრე კედლის გრძივი მონაკვეთის.[114] გვირაბი რაც შეიძლება ღრმად უნდა გაეყვანათ, მოწინააღმდეგეს რომ ვერ აღმოეჩინა და შემხვედრი გვირაბი არ გაეთხარა, საიდანაც შეეძლო კვამლით ან წყლით დაეხოცა მოიერიშეები.[115]

ნიკიფორე ურანოსი, X-XI საუკუნეების წარმატებული ბიზანტიელი სარდალი და სამხედრო თეორეტიკოსი, მიწისქვეშა გვირაბებს სიმაგრეთა აღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად თვლიდა. თავის ნაშრომში ის წერს: „ძველთაგანვე, ალყის დროს მრავალ მანქანას აგებდნენ, როგორიცაა ურნალი, ხის კოშკები, საიერიშო კიბეები, ასევე კუ და მრავალი სხვა, რომლებიც ჩვენ თაობას არც უნახია. ამავე დროს, ყველა მათგანის გამოცდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაზე უფრო ეფექტური, რასაც მტერი ვერ უმკლავდება, არის კედლებისათვის ძირის გამოთხრა".[116] თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, გვირაბის გაყვანა უბრალოდ შეუძლებელი იყო: კლდოვანი ნიადაგი, ღრმა და წყლით სავსე რამდენიმე თხრილი (ფლისკინა)[117] გვირაბისათვის გადაულახავი წინააღმდეგობა იყო.

უმეტესი შემტევი საშუალებებისაგან განსხვავებით, გვირაბის გათხრისას მოალყენი დაცულნი იყვნენ გარნიზონის სასროლი და ცეცხლგამჩენი იარაღისაგან.[118] ამავე დროს, გვირაბების გაყვანა მძიმე, ხანგრძლივი და სახიფათო სამუშაო იყო, რომელსაც სპეციფიკური ტექნიკური ცოდნა და შეთანხმებული მუშაობა ესაჭიროებოდა.[119] 1099 წელს სირიის ერთი ქალაქის ალყისას ჯვაროსნებმა წარუმატებლად სცადეს მიწისქვეშა გვირაბების გამოყენება. ალბერტ აახენელი აღნიშნავს, რომ არმიას არაქათი გამოეცალა

---

[112] გვირაბის საშუალებით კედლების ჩამონგრევასთან შედარებით, ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათი იყო. Peter Purton, *A History of the Late Medieval Siege, 1200-1500* (Woodbridge, 2010), 25.

[113] პ. პარტონი რატომღაც თვლის, რომ ბაღდადის ალყისას ქართველებმა გვირაბით კედლები ჩამოშალეს. Purton, *A History of the Late Medieval Siege*, 20.

[114] Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades*, 239.

[115] Heron of Byzantium, "Parangelmata Poliorcetica," 43-5.

[116] Nikephoros Ouranos, "Taktika," 161. ე. მაკგირის მიხედვით, XII საუკუნემდე ბიზანტიელები ციხე-სიმაგრეთა ასაღებად ყველაზე ხშირად მიწისქვეშა გვირაბებს იყენებდნენ. McGeer, "Byzantine Siege Warfare in Theory and Practice," 123-9.

[117] *ფლისკინა* საბას მიხედვით სიმაგრეთა დასაცავი თხრილია: „ციხესა და ქალაქსა გარეშემო აღუშენებენ სიმაგრისათვის, რომელიმე წყალთა შეაყენებენ, რათა მტერთა ბრძოლით ადვილად ვერ აიღონ". სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 195.

[118] David Ayalon, "Hisar: The Mamluk Sultanate," *Encyclopaedia of Islam*, 2nd ed., vol. III (1971), 474.

[119] ცნობილი მედიევისტი ბ. ბაქრაქი შუა საუკუნეების მესანგრეებს წყალქვეშა ნავის ეკიპაჟსაც კი ადარებს. Bernard S. Bachrach, "Medieval Siege Warfare: A Reconnaissance," *JMH*, 58 (1994), 132-3.

თხრისას.[120] მიუხედავად ამისა, ქართველებს მიწისქვეშა გვირაბების გათხრა და გაყვანა არ უნდა გაძნელებოდათ. მათ ჰქონდათ საამისო ცოდნა და ჰყავდათ ტექნიკური პერსონალიც (ინჟინრები, მთხრელები). არქეოლოგიური კვლევებით ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში რკინის მადნის მოსაპოვებლად ქართველებს ღრმა მაღაროების თხრა უხდებოდათ, მაგალითად, ფოლადაურის რკინის მადნის შახტები 80 მეტრის სიღრმის იყო.[121] ქართველმა მაღაროელებმა კარგად იცოდნენ შახტების „ჭერის მართვის" ხელოვნება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უსაფრთხოებისათვის, ვენტილაცია კი ისეთი კარგი იყო, რომ მძლავრი ცეცხლის დანთებაც იყო შესაძლებელი.[122] ამ ცოდნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც გვირაბის გაყვანის პროცესში, ასევე ბოლო ეტაპზე, როდესაც კოშკის ან ზღუდის ჩამოსაშლელად მას ქვემოდან ცეცხლს უნთებდნენ.

საბრძოლო მოქმედებებში ქართველთა მიერ მიწისქვეშა გვირაბების გამოყენების მაგალითებს წყაროებშიც ვპოულობთ. 1258 წელს ბაღდადის გარემოცვისას ქართველთა ლაშქარი თან ახლდა მონღოლებს. ჟამთააღმწერელის ვერსიით, ქართველებმა საკმაოდ სწრაფად გათხარეს მიწისქვეშა გვირაბი[123] ქალაქის გალავნის ქვეშ, შეაღწიეს ბაღდადში და ქალაქის კარი გააღეს: „მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს, ზღუდესა შიგან შევიდეს ქართველნი და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა. და ესრეთ განუხუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათარნი შევიდეს".[124] შესაძლოა, მემატიანე აზვიადებდეს ქართველთა როლს ბაღდადის აღების საქმეში, მაგრამ გვირაბის გაყვანის ეპიზოდი, გარკვეულწილად, სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს.

1281 წელს ეგვიპტელ მამლუქთა წინააღმდეგ დაძრულ მონღოლთა ლაშქარს სამცხის მთავარი ბექაც ახლავს. სირიაში საალყო მოქმედებების დროს ქართველებმა კვლავ გამოიყენეს მიწისქვეშა გვირაბი: „და ესრეთ წარვიდეს მისრეთს, და ვლეს მრავალი დღე და მიიწივნეს ერთსა ქალაქსა, რომელსა ერქუა დარბუზაკი. გამოვიდეს მოქალაქენი კარით და იქმნა ომი, სადა-იგი ბექამან და მისთა მყოლთა მესხთა ძლიერად იღუაწეს, უფროს სხუათა. თათართა და ქართველთა შიგან ქალაქსა შესთხინეს, და მესხნი უპირატეს მიეტევნეს".[125]

---

[120] Albert of Aachen, *Historia Ierosolimitana: History of the Journey to Jerusalem*, edited and translated by Susan B. Edgington (Oxford, 2007), 379, 385; John France, *Victory in the East*, 321.

[121] გძელიშვილი, „სამთო საქმე და რკინის მეტალურგია შუაფეოდალურ ხანაში", 92.

[122] გძელიშვილი, „სამთო წარმოება და რკინის მეტალურგია XII საუკუნის საქართველოში", 31.

[123] რისთვისაც თორმეტიოდე დღეც საკმარისი აღმოჩნდა: „და ბრძოლეს ძლიერად არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბაღდადი". ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 113.

[124] იქვე, 113.

[125] იქვე, 169-70.

საალყო კოშკი

საალყო კოშკი, ციხის კედლებსა და კოშკებზე უფრო მაღალი,[126] რამდენიმე სართულიანი, ცეცხლისაგან თავდასაცავად ნედლი ტყავით დაფარული ხის კონსტრუქცია იყო, რომელიც მოალყეებს მაღლიდან სროლისა და ციხის კედელზე გადასვლის საშუალებას აძლევდა. მას ზემოდან უნდა ემბრძანებლა დამცველებზე და მოალყეთათვის სხვადასხვა სახის შეტევითი ოპერაციების წარმოების საშუალება მიეცა.[127] საალყო კოშკი საბრძოლო პლატფორმა იყო, რომლის სიმაღლიდანაც ისროდნენ ისრებსა თუ სხვა იარაღს და ზედ ათავსებდნენ ბალისტიკურ მანქანებს. მისი დამზადება ძალიან რთული იყო, გამოყენებისას კი მთავარ პრობლემას გადაადგილება და მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ციხის კედლებთან მიტანა წარმოადგენდა.[128]

დ. ბერძენიშვილის აზრით, „გვიანი შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში, შეტევისათვის დამზადებულ ხის კოშკებს მონგოლური სიტყვით, „სიბა"-დ იხსენიებდნენ". თავდაპირველად *სიბა* თავდაცვით ნაგებობას, – ღობით გამაგრებულ თხრილს, – ეწოდებოდა. „მოგვიანებით საქართველოში სიბამ გადასატანი, შემტევი კოშკის მნიშვნელობა მიიღო".[129] მკვლევარი საილუსტრაციოდ იმოწმებს „ახალ ქართლის ცხოვრებას", სადაც 1556 წელს შაჰთამაზის მიერ ატენის ციხის გარემოცვაა აღწერილი: „ციხის აღება გაძნელდა, ამისათჳს რომე არც სიბა მიიტანებოდა, და არც შეეთხრებოდა".[130] შეიძლება დავამატოთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძეც ასეთივე კონტექსტში მოიხსენიებს სიბას: „ყაენი ყანდაჰრზედ წავიდა და მრავლის ბრძოლითა

---

[126] 1099 წელს, იერუსალიმის იერიშისას, ქალაქის კედლების სიმაღლე 12-15 მ იყო, ჯვაროსანთა საალყო კოშკის კი – 15-17 მეტრი. France, *Victory in the East*, 350.

[127] იქვე, 352-3.

[128] აქვე ერთ გავრცელებულ შეცდომაზე მინდა მივუთითო: შუა საუკუნეების ბრძოლების აღწერისას, საალყო კოშკებს ხშირად ჰელეპოლისის სახელით მოიხსენიებენ, რაც ანაქრონიზმია. იხ. მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 99, 213. ანტიკურ ხანაში საალყო კოშკებს მართლაც *ჰელეპოლისი* (ბერძნულად „ქალაქების ამღები") ერქვა. დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა მნიშვნელობა იცვალა და შუა საუკუნეებში ჰელეპოლისი საალყო კოშკს აღარ ნიშნავდა. ბიზანტიელები ამ ტერმინით ლოდსატყორცნ და სხვა საიერიშო მანქანებს მოიხსენიებდნენ. ჰელეპოლისი ეწოდებოდა თავისი დროის ყველაზე ძლიერ საიერიშო საშუალებას, რომელიც ხან საალყო კოშკი იყო, ხან ურნალი, ხან კი ლოდსატყორცნი მანქანა. Dennis, "Byzantine Heavy Artillery: The Helepolis," 101-4; Chevedden, "The Invention of the Counterweight Trebuchet," 78-9; Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 116.

[129] დევი ბერძენიშვილი, „ძველი საქართველოს ციხესიმაგრეთა ზოგიერთი სახეობა წერილობითი წყაროების მიხედვით", *ანალები*, 1 (2007), 182. *სიბა* საალყო კოშკად მიაჩნია პ. ზაქარაიასაც. პარმენ ზაქარაია, *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე* (თბილისი, 2002), 231-2. ლ. ჭილაშვილიც თვლის, რომ ტერმინის მნიშვნელობამ მოგვიანებით აზრი შეიცვალა, მაგრამ მიაჩნია, რომ სიბა „ალყის დროს საფარის და მაღალი ღობის მოწყობასაც აღნიშნავდა". ლევან ჭილაშვილი, *ტოპონომიკური შენიშვნები* (თბილისი, 2001), 76. შესაძლოა, სიბას საფარის მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ ის მაღალი ღობეც იყო. გვიანდელ წყაროებში გარკვევითაა აღნიშნული, რომ სიბა მაღალიც იყო და მისი ციხის კედლებთან „მიტანაც" შეიძლებოდა. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა – საალყო კოშკი.

[130] *ქართლის ცხოვრება*, II, 506.

და ომითა და ლაშქრის ამოწყვეტითა და სიბის მიტანითა და შეთხრა ციხეში შესვლით უწინ ყალაი ბისტი აიღეს"; „ინდოეთის ხემწიფის შვილი დიდის ლაშქრით ყანდარს შემოადგა და ყოველგნით სიბები წინ წაიღეს და შიგნიდამენ და გარედამენ ბანაკს ისროდეს და სიბები ხანდაგს მიაწია და ზოგი კიდეც გასცილდა".[131] იგივე გორგიჯანიძე მიუთითებს, რომ სიბა მაღალი უნდა ყოფილიყო: „თემურ ხემწიფე იმ ციხეს შემოადგა და ყველგნით მაღალი სიბები გაუკეთეს".[132] წყაროებიდან ჩანს, რომ ქართველები იცნობდნენ სიბას, თვლიდნენ მას ციხის აღების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად,[133] მაგრამ უშუალოდ ქართველთა მიერ მათ გამოყენება არ დასტურდება. ეს არცაა გასაკვირი, ადგილმდებარეობის ხასიათის გამო საალყო კოშკების გამოყენება საქართველოში საკმაოდ შეზღუდული იქნებოდა.[134]

ალყა

ალყის საშუალებით ციხის ბლოკირება ყველაზე უსისხლო მეთოდი იყო, სამაგიეროდ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში აბანდებდა არმიას ციხის გარშემო და ეკონომიკურად ძალიან არახელსაყრელი იყო. ალყის წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, რადგანაც გარემომცველი არმია სრულფასოვან უზრუნველყოფას საჭიროებდა.

შუა საუკუნეების ქართულ არმიას შეეძლო ხანგრძლივი საალყო მოქმედებები ეწარმოებინა, რაც მისი ორგანიზებისა და დისციპლინის მაღალ დონეზე მიუთითებს. ამას გარდა, ხანგრძლივი (რამდენიმეწლიანი) ალყისათვის უზარმაზარი რესურსები იყო საჭირო. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემები არ იძლევა ასეთი ალყის, თუნდაც მიახლოებითი, ღირებულების დადგენის საშუალებას. გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად შედარებითი მეთოდის გამოყენებაღა გვრჩება. ცნობილია, რომ 1173 წელს ლუი VII-მ ვერნიულის ალყის დასაწყებად დამატებითი გადასახადი შემოიღო თავის სამფლობელოში; 1224 წელს ბედფორდის ალყის საწარმოებლად ჰენრი III-მ ეკლესიას დაადო დამატებითი გადასახადი; 1215 წელს კი როჩესტერის ორთვიანი ალყა 60 000 გირვანქა სტერლინგი დაჯდა.[135] 1346-47 წლებში კალეს თერთმეტთვიანი ალყა ინგლისის მეფე ედუარდ III-ს 150 000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა, მაშინ როდესაც მეფის წლიური შემოსავალი 80 000-ს მცირედ თუ აღემატებოდა.[136] ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძალისხმევა სჭირდებოდა ხანგრძლივ ალყას და რა დატვირთვას

---

[131] ფარსადან გორგიჯანიძე, „ისტორია", 259.

[132] იქვე, 303.

[133] *ქართლის ცხოვრება*, II, 506.

[134] საალყო კოშკს თავისთავად ბევრი ნაკლიც ჰქონდა: მის აგებას ხანგრძლივი დრო და დიდი რაოდენობით ხის მასალა სჭირდებოდა, ამავე დროს, ძნელი გადასაადგილებელი და ადვილი დასაწვავი იყო. Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 248.

[135] Strickland, *War and Chivalry*, 207.

[136] Hindley, *Medieval Sieges and Siegecraft*, 143.

განიცდიდა ამ დროს სახელმწიფო აპარატი. ამავე დროს, ცხადია, რომ ხანგრძლივი საალყო მოქმედებების წარმოების უნარი, რომელიც იმდროინდელ ქართულ არმიებს გააჩნდათ, მიუთითებს კარგად აწყობილ სამხედრო და სახელმწიფო სტრუქტურაზე, რომელსაც ხანგრძლივი ომი ხელეწიფებოდა. XI საუკუნიდან დაწყებული, ქართული სამეფოები ასეთ ალყებს უკვე თავისუფლად აწარმოებენ.

XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III-ის არმია ერთი წლის გარემოცვის შემდეგ იღებს ციხეს კახეთში: „შეაწყუდია კურიკე ბოჭორმას, და დაუყენნა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარიღო ბოჭორმაცა".[137] 1037/8 წელს, კახელ მოკავშირეებთან ერთად, ბაგრატ IV-მ თბილისს ალყა შემოარტყა, რომელიც ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა: „და ბრძოდეს ორ წელ ტფილისსა".[138] შიმშილისაგან და ალყისაგან დაუძლურებულმა („ვერღარა დაუდგმიდეს შიმშილთა და ბრძოლათა ძლიერთა") თბილისელებმა „განიზრახეს მოცემა ტფილისისა".[139] კიდევ უფრო ხანგრძლივი იყო კარის (ყარსის) ალყა, რომელიც 1202 წელს დაიწყო, როდესაც ქალაქის აღების შემდეგ ქართველებმა კარის ციტადელს შემოარტყეს ალყა. ციტადელის ალყა 5 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და გარნიზონი მხოლოდ 1206-7 წლების მიჯნაზე დანებდა.[140]

ალყაშემორტყმული გარნიზონისათვის უპირველეს მნიშვნელობას წყლით მომარაგება იძენდა. ციხისათვის წყლის მიწოდების შეწყვეტა მის სწრაფ კაპიტულაციას იწვევდა. ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, კარის მრავალწლიანი ალყა მხოლოდ მაშინ დასრულდა, როდესაც გარემომცველმა ქართულმა ლაშქარმა მუსლიმურ გარნიზონს წყლის მიწოდება გადაუჭრა: „ებრძოლეს უკუე შეკრულსა მას ღობესა წყლისათჳს და მრავალთა შინა დღეთა განტეხეს ადგილი იგი. და გამოიცალა წყალი და მის თანა უმრავლესნი მოქალაქენიცა".[141] წყლის მომარაგების გადაჭრის გამო დანებდა გიორგი III-ს აგარაკის ციხეს შეფარებული აჯანყებულებიც: „ციხეში მყოფნი, კაცნი ბრძოლებში სახელმოხვეჭილნი, შეწუხდნენ ადამიანებისა და პირუტყვების გვამთა სიმყრალის სუნით და წყურვილით, რადგან წყალიც გადაუკეტეს მათ".[142]

ხშირად მრავალთვიანი ალყა, გარნიზონის გამოფიტვისა და შესუსტების შემდეგ, წარმატებით გვირგვინდებოდა იერიშით. ასე, იერიშით აიღო დავით აღმაშენებელმა თბილისი ექვსთვიანი ალყის შემდეგ, რომლის დროსაც თბილისის გარნიზონსა და ქალაქის კედლებს ბალისტიკური არტილერიითა და სხვა საშუალებებით დაასუსტებდნენ.

---

[137] „მატიანე ქართლისა", 279.

[138] იქვე, 297.

[139] იქვე.

[140] ვრცლად კარის ალყის შესახებ იხ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, 121-2, 161-2.

[141] ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", 143.

[142] აბდალაძე, *სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები*, 38.

შუhის ციხე

როდესაც, რიგი მიზეზების გამო, ციხის აღება არ ხერხდებოდა და სრული ალყაც არ იყო შესაძლებელი ან მიზანშეწონილი, მის სიახლოვეს აგებდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობას, ციხე-კოშკს, რომელსაც *შურის ციხე* ეწოდებოდა. მას ალყაშემოტყმული სიმაგრის კარიბჭესთან ახლოს აღმართავდნენ, რათა ყველანაირი მიმოსვლა აღეკვეთათ.[143] ი. შაიშმელაშვილის მიხედვით, შურის ციხეს სულ ცოტა, სამი ფუნქცია მაინც ჰქონდა: გარემოცული ციხის ბლოკირება (არავის რომ არ გამოეღწია ან შეეღწია მასში), გარნიზონის გამოხდომების აღკვეთა და ხელსაყრელ სასროლ პლატფორმად გამოყენება.[144] რაღა თქმა უნდა, მასვე იყენებდნენ ალყაშემორტყმული ციხის სათვალთვალოდაც. სრული ბლოკადისაგან განსხვავებით, შურის ციხე შედარებით პატარა რაზმს საჭიროებდა და მოალყეთა ძირითად ძალებს თავისუფალს ტოვებდა. საალყო ციხით სიმაგრის ბლოკირების მეთოდი ფართოდ იყო გავრცელებული XI საუკუნის ევროპაში.[145] ამ მეთოდს იცნობდნენ და იყენებდნენ საქართველოშიც.

X საუკუნეში აფხაზეთის მეფე გიორგი II-ს კახეთში არ დანებდა ლოწობნის ციხე, რომლის წინააღმდეგაც მან შურის ციხე ააგო და მოახდინა მისი ბლოკირება: „ლოწობანნი ჰქონდეს ივანე არშის ძესა, და გამაგრდა შიგან... აუგეს შურის-ციხე და დააყენნეს შიგან ლაშქარნი".[146] როდესაც კვირიკე ქორეპისკოპოსმა ძალა მოიცა და ხელახლა დაეუფლა კახეთს, იძულებული გახდა შურის ციხესთან ერთად ლოწობანიც დაენგრია: „დაუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღუვნეს შურის-ციხე და ლოწობანთა".[147]

საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე შურის ციხესაც კი იყენებდნენ.[148] ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ბირთვისის ციხის ბლოკირებისათვის თემურლენგმა სამი შურის ციხე ააგო: „ბრძანა ორისავე კუთხის ციხის აგება. და თჳთ მიადგა კარსა ციხისასა და მუნცა ბრძანა აგება ციხისა".[149]

აქ არ განვიხილავ ციხე-სიმაგრეების აღების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა მოტყუებით ციხეში შეღწევა თუ უეცრად შევარდნა ან უკუქცეული გარნიზონის კვალდაკვალ სიმაგრეში შეჭრა, რადგანაც ეს მეთოდები პოლიორკეტიკის სფეროს ირიბად თუ მიეკუთვნება. თუმცაღა, შუა საუკუნეებში მათ ხშირად იყენებდნენ ციხეთა დასაუფლებლად.

---

[143] Gravett, *Medieval Siege Warfare*, 23-4.

[144] ივანე შაიშმელაშვილი, *ჩაუქრობელი დიდების ქალაქი* (თბილისი, 1987), 46.

[145] Rogers, *Latin Siege Warfare*, 39; Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 162.

[146] „მატიანე ქართლისა", 268.

[147] იქვე, 269.

[148] 1097-8 წლებში ანტიოქიის ალყისას ჯვაროსნებმა სამი შურის ციხე გამოიყენეს. Rogers, *Latin Siege Warfare*, 25-39.

[149] *ქართლის ცხოვრება*, II, 337.

სიმაგრეებს ხშირად იგდებდნენ ხელში ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდით, როდესაც ერთმანეთს უხამებდნენ სისასტიკესა და მუქარას და ლმობიერებას კაპიტულაციის შემთხვევაში.[150] ესეც, სიმაგრეთა აღების ირიბ მეთოდს წარმოადგენს.[151]

ასეთივე მეთოდს მიეკუთვნება ციხის გარნიზონის დაშინება მისივე მფლობელის სიცოცხლის ხელყოფით, რომელსაც, უმრავლეს შემთხვევებში, შედეგად მეციხოვნეთა კაპიტულაცია მოსდევდა. კლოდ კაენი, სავსებით მართებულად, მას არც კი მიაკუთვნებს „ნამდვილ" სამხედრო ოპერაციებს.[152] თუმცა, ჩვენი წარსულის გათვალისწინებით, ამ ხერხზე მაინც ღირს ყურადღების შეჩერება.

შუა საუკუნეებში მეტად იყო გავრცელებული ტყვედ ჩავარდნილი მფლობელის (ან ციხისთავის) სიცოცხლის ხელყოფის მუქარით მისდამი დაქვემდებარებული სიმაგრის ხელში ჩაგდება. ამ მეთოდით ძვირადღირებული და პრობლემური ალყის გარეშე ხელში იგდებდნენ მნიშვნელოვან ციხეებს.[153] ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ფეოდალური შინაომების დროს.

თვალი რომ გადავავლოთ მეთიუ სტრიკლენდის მიერ თავმოყრილ მსგავს შემთხვევებს XI-XII საუკუნეების ინგლისისა და ნორმანდიის ისტორიიდან, დავრწმუნდებით, რომ ასეთი რამ მართლაც ხშირად ხდებოდა. მაგალითად, 1143 წელს რობერტ გლოჩესტერმა დატყვევებულ გიიომ მარტელს სასტიკი მოპყრობით შერბურნის ციხე დაათმობინა.[154] ამ ხერხით გამორჩეულად სარგებლობდა ინგლისის მეფე სტივენი: 1143 წელს მან ხელში ჩაიგდო 3 ციხე (მათ შორის ლონდონის ტაუერი) ჟოფრეი დე მანდევილის ჩამოხრჩობის მუქარით. მანვე, უფრო ადრე, ხელთ იგდო ლინკოლნი, ნიუარკი, სალსბერი, მალმსბერი და კიდევ მრავალი ციხე, სალსბერისა და ლინკოლნის ეპისკოპოსების დამშევითა და როჯერ სალსბერის შვილის ჩამოხრჩობის მუქარით.[155] ხანდახან, ასეთი პრაქტიკა გამოსასყიდის სახეს იღებდა: 1044 წელს ანჟუს გრაფმა ჟოფრეი მარტელმა ბრძოლაში დაატყვევა თეობალდ დე ბლუა და, თავისუფლების სანაცვლოდ, აიძულა ის, დაეთმო ქალაქი ტური.[156] იშვიათად, ამ მეთოდს შედეგი არ მოჰქონდა: 1146 წელს როჯერ დე ბერკლი ხელში ჩაუვარდა საკუთარ ძმას, ვალტერს, რომელმაც სამჯერ ჩამოჰკიდა ის ბერკლის ციხის წინ. მიუხედავად ამისა, გარნიზონი არ დანებდა და ნახევრადმკვდარი როჯერი ისევ დილეგში დააბრუნეს.[157]

---

[150] Contamine, *War in the Middle Ages*, 101-2.

[151] იქვე, 102.

[152] Claude Cahen, "Hisar: General Remarks", *Encyclopaedia of Islam*, 2nd ed., vol. III (1971), 470.

[153] Strickland, *War and Chivalry*, 198.

[154] იქვე, 199.

[155] იქვე.

[156] იქვე, 198.

[157] იქვე. ასე გაუძალიანდა ლიპარიტს კალმახის ერისთავი სულა, რომელსაც „მრავლითა

ციხე-სიმაგრეთა აღების ასეთი ხერხი ქართულ ისტორიოგრაფიაში ვრცლად ჯ. სამუშიამ განიხილა.[158] მასვე მოხმობილი აქვს რამდენიმე ფაქტი XI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან: 1046 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა დატყვევებულ გრიგოლ აბუსერის ძეს „სიკუდილისა ქადებითა" არტანუჯი დაათმობინა; 1055 წელს ბაგრატ IV-მ ლიპარიტი და მისი ვაჟი ივანე გასვა ძელზე და ასე აიღო კლდეკარი; ასე დანებდა ბაგრატ IV-ს სამშვილდეც, როდესაც მან სომეხთა მეფე კვირიკე გასვა ძელზე.[159] ჯ. სამუშიას აზრით, ამ ხერხს სათანადო ყურადღება იმიტომ არ ექცევა, რომ „ამ მეთოდით გამაგრებული ადგილების დაკავების ერთეული შემთხვევებია".[160] ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმაგრეთა აღება მფლობელის სიცოცხლის ხელყოფის მუქარით საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო შუა საუკუნეებში. ამასვე მოწმობს როგორც ჯ. სამუშიას მიერ ჩამოთვლილი, ასევე სხვა მაგალითებიც საქართველოს ისტორიიდან.

914 წელს აბულ კასიმის შემოსევისას, არაბებმა იგივე მეთოდი გამოიყენეს ციხის ხელში ჩასაგდებად: „მოვიდა და მოადგა ციხესა კაპოეტისასა; და ციხოვანთა დედა-წული რომელი პოვა გარეგნით, დაიპყრა ჴელთა. ამისათვის გამოსცეს ციხე".[161] 1032 წელს ქართველებმა ბირთვისი თბილისის ამირა ჯაფარის თავისუფლების სანაცვლოდ ჩაიგდეს ხელთ: „ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე აბაზას-ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირთჳსი".[162] XI საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ IV კახეთის დაპყრობას ცდილობდა. „გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს, შეება და შეუჴდა მთასა ზედა მიქელ-გაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა... და ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერღარა ჩავიდეს კახეთს და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა".[163] როგორც ვხედავთ, დატყვევებული ერისთავები უკვე მზად იყვნენ საკუთარი ციხეები ჩაებარებინათ ბაგრატისათვის (რა-

---

ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა". „მატიანე ქართლისა", 302.

[158] სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში", 90, 98. მანამდე, ეს ხერხი, ბაგრატ IV-ის მაგალითზე, ნახსენები აქვს ს. მარგიშვილსაც. იხ. მისი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 202.

[159] სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში", 98; „მატიანე ქართლისა", 302, 305, 307.

[160] სამუშია, „ციხე-სიმაგრეების აღების ხელოვნება XI-XII საუკუნეების საქართველოში", 90.

[161] „მატიანე ქართლისა", 264.

[162] იქვე, 296-7.

[163] იქვე, 298. ამ ბრძოლის კონტექსტისა და ერისთავთა სახელების დაზუსტებისათვის იხ. დავით მუსხელიშვილი, „შინაკლასობრივი ბრძოლის ერთი მომენტის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი", *ძეგლის მეგობარი*, 21 (1970), 23-33.

საკვირველია, სათანადო ზემოქმედების შედეგად), რომელსაც ლიპარიტის განდგომამ ხელი შეუშალა წარმატების რეალიზაციაში.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ განძის ამირას მაგალითი. 1068 წელს განძის ამირა ფადლონ II (ფადლ იბნ შავური) ხელთ ჩაუვარდა აღსართან კახთა მეფეს, რომელიც მისი „შემწეობით" ხორნაბუჯსა და არადეთს დაეუფლა: „მიუპყრეს ხორნაბუჯს ფადლონ, და მისცა ხორნაბუჯი. წარიყვანეს არადეთად და მისცა არადეთი აღსართანსვე".[164] აქ უნდა იგულისხმებოდეს ფადლონის ძელზე გასმა ციხის კარიბჭის წინ, მისი ერთგვარი „მიპყრობა" ციხეზე, რომელიც შემდგომ ნებდება. ფადლონი შემდგომში აღსართანმა ბაგრატ IV-ს გადასცა ბოჭორმისა და უჯარმის ნაცვლად; სამაგიეროდ ბაგრატ IV-მ ფადლონის საშუალებით თბილისი აიღო: „გასუეს ძელსა და მიუპყრეს ტფილისსა; და აიღეს ჭირვეულად ტფილისი".[165]

ციხე-სიმაგრეთა დაუფლების ეს მეთოდი ნათლად მეტყველებს მოალყეთა სურვილზე ბრძოლისა და ალყის გარეშე ხელთ იგდონ სიმაგრე და ამით თავიდან აიცილონ მსხვერპლიცა და ხარჯიც, რომ აღარაფერი ვთქვათ შესაძლო წარუმატებლობაზე.

ანტიპოლიორკეტიკა

ციხის აღებასთან შედარებით, ქართულ წყაროებში კიდევ უფრო ნაკლებად გვხვდება მონაცემები მისი თავდაცვის თავისებურებების შესახებ. ამ მონაცემების შეფასებისათვის იმდროინდელი სინამდვილეა გასათვალისწინებელი. ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროში არსებობდა მრავალრიცხოვანი თეორიული ნაშრომები, რომლებშიც განხილულია სიმაგრეთა დაცვის საშუალებები. ასეთ ნაშრომებს ხანდახან *ანტიპოლიორკეტიკასაც* უწოდებდნენ. X საუკუნის პირველ ნახევრის ბიზანტიური *De obsidione toleranda* არის ალყაშემორტყმული სიმაგრის მეთაურისათვის დაწერილი სახელმძღვანელო, რომელიც მრავალგვარ და დეტალურ ინსტრუქციებს შეიცავს.[166]

De obsidione toleranda-ს მიხედვით, ციხისთავმა, რომლის სიმაგრესაც გარემოცვა ემუქრება, უნდა მოიმარაგოს სულ ცოტა 6 თვის ან ერთი წლის სამყოფი სურსათ-სანოვაგე და აავსოს წყლით ყველა რეზერვუარი და ჭურჭელი;[167] უნდა ჰყავდეს მზად მეიარაღეები, ინჟინრები, საბრძოლო

---

[164] „მატიანე ქართლისა", 312.

[165] იქვე.

[166] *De obsidione toleranda* აგრძელებს იმ ტრადიციას, რომელიც ჯერ კიდევ ენეას ტაქტიკოსმა ჩაუყარა საფუძველი ძვ.წ. IV საუკუნის ნაშრომით – *როგორ გადავურჩეთ ალყას*. "A Byzantine Instructional Manual on Siege Defense: The *De obsidione toleranda*," introduction, English translation and annotations by Denis F. Sullivan, in *Byzantine Authors: Literary Activities and Preoccupations. Texts and Translations Dedicated to the Memory of Nicolas Oikonomides*, ed. by John W. Nesbitt (Leiden, 2003), 140, 144.

[167] "De obsidione toleranda," 151-3, 159.

მანქანათა ოპერატორები, ექიმები, თოკის მკეთებლები, ქვის მკვეთლები, მშენებლები, არქიტექტორები და სხვადასხვა ხელოსნები; უნდა მოიმარაგოს და დაამზადოს ფარები, ისრები, ხმლები, მუზარადები და სხვა იარაღი;[168] შეაკეთოს გალავანი და ზედ განალაგოს საბრძოლო მანქანები.[169] თუკი შესაძლებელია, სიმაგრეს უნდა შემოავლოს ღრმა თხრილი (ან თხრილები) და წყლით აავსოს ისინი; ამასთანავე, უნდა ჰქონდეს თხრილზე გასადები საიმედო ხიდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მოულოდნელი გამოხდომები.[170] აუცილებელია მეციხოვნეთა კარგად გაწვრთნა, რომ მომხდურისათვის ისრის ზუსტად სროლა და ქვის ხელით დაშენა შეეძლოთ; მომარაგებული უნდა ჰქონდეთ პატარა, ხელით სასროლი და უფრო მძიმე, დასაგორებელი ქვებიც.[171] სასურველია, რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი გარნიზონისა და ბევრი საბრძოლო მანქანის ყოლა.[172] დასასრულ, თუკი მოიერიშე კედელს მაინც შემოანგრევს, უნდა აშენდეს ახალი კედელი, რომელიც სიმაგრეში არ შეუშვებს მტერს.[173]

ახლა, ამ თეორიული წიაღსვლის შემდეგ, ფრაგმენტული ცნობების ანალიზის საფუძველზეც კი, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ როგორ იცავდნენ შუა საუკუნეების საქართველოში სიმაგრეებს და რას აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

„მატიანე ქართლისას“ ერთი მონაკვეთიდან ჩანს, რომ იმ დროში კარგად ესმოდათ ძლიერი გარნიზონით ციხე-სიმაგრის გამაგრების აუცილებლობა. 927 წელს გიორგი II აფხაზთა მეფე ტაოელი და კახელი მოკავშირეებით „მოადგეს უფლისციხეს. და ბრძოდეს მრავალთა დღეთა და ვერარას ავნებდეს ციხესა, რომელ მრავლად დგეს შიგნით“.[174] სწორედ მეციხოვნეთა სიმრავლემ („მრავლად დგეს შიგნით“) განაპირობა უფლისციხის შეუვალობა („ვერარას ავნებდეს ციხესა“).[175]

ქართველები სათანადო ყურადღებას აქცევდნენ ციხე-სიმაგრის აღჭურვას ბალისტიკური არტილერიითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ამის მაგალითად ზემოთ ნახსენები შემთხვევა გამოდგება, როდესაც მტრის მომლოდინე თორელმა საბრძოლო საშუალებები და მანქანები მოიმარაგა ანისში („განამზადნა საბრძოლველნი და მანქანანი“).

წერილობით წყაროებში ვერ ვხვდებით ცნობებს ციხის დაცვისას ზემოდან ნასროლი ქვების შესახებ. სამაგიეროდ, თავდაცვის ეს ხერხი ხშირ-

---

[168] იქვე, 155.
[169] იქვე, 161.
[170] იქვე, 163-5.
[171] იქვე, 171-3.
[172] იქვე, 257.
[173] იქვე, 197.
[174] „მატიანე ქართლისა“, 267.
[175] მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია*, 217.

სურ. 273
ქვის სროლა ფარის საფარქვეშ. ჯრუჭის II ოთხთავის 111r მინიატურა, დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ადაა ასახული ქართულ მინიატურებში. ჯრუჭის მეორე ოთხთავისა და H1665 დავითნის მინიატურებზე მშვილდოსნების გარდა, ყოველთვის გამოსახულია ციხის მცველებიც, რომლებიც ქვას თავზე აყრიან მომხდურს. საყურადღებოა, რომ ჯრუჭის 111r მინიატურაზე მეციხოვნე ფარს იფარებს და ისე ისვრის ქვას, რაც ქვის სროლის გარკვეულ ხერხზე მიუთითებს (სურ. 273). ასევე, საინტერესოა, რომ მინიატურებზე მეციხოვნეებს ყოველთვის საგანგებოდ დამუშავებული, მრგვალი ფორმის ქვები უჭირავთ, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს[176] (სურ. 274). მართალია, მძიმე ლოდის გამოყენების ილუსტრაცია არ მოგვეპოვება, მაგრამ ვიცით, რომ მძიმე დასაგორებელ ლოდს *საგორავი* ეწოდებოდა.[177]

ქართველებს ესმოდათ ციხე-სიმაგრეთა მისადგომების გამაგრებისა და წინაღობების შექმნის მნიშვნელობაც: იქ სადაც ადგილის რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, თხრილსაც თხრიდნენ და წყლითაც ავსებდნენ. XI საუკუნეში ახალქალაქს ძალიან ღრმა, წყლით სავსე თხრილი იცავდა. მასზე გადებული ხიდი 1064 წელს სელჩუკების შეტევის დროს აიღო გარნიზონმა.[178] ჯავახეთის განძის ციხეს გარს ერტყა ხელოვნური თხრილი, რომელშიც წყალი მტკვრიდან იყო გადმოყვანილი.[179] მდინარეებიდან გადმოყვანილი წყლით ივსებოდა რუსთავისა და ურბნისის ციხეების დამცავი თხრილებიც.[180] სამი მხრიდან ბუნებრივი წინაღობებით დაცულ მელოურის ციხეს ადვილად მისადგომი მხრიდან ორი ღრმა თხრილი იცავდა.[181] ორი თხრილით იყო გამაგრებული დმანისის ციხეც.[182]

[176] ვეგეციუსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ციხის მცველებს მდინარეთა კალაპოტიდან წყლის მიერ მომრგვალებული ქვები უნდა მოემარაგებინათ, მათი სიმძიმისა და კარგი ბალისტიკური თვისებების გამო. *Vegetius: Epitome of Military Science*, IV.8.

[177] სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული*, II, 23.

[178] Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукском государстве*, 50.

[179] ნიკო ბერძენიშვილი, „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური", *სის*, წ. I (თბილისი, 1964), 89.

[180] გ. ლომთათიძე, „საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის", *ძეგლის მეგობარი*, 14 (1968), 38; მისივე, „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით", *რუსთავი: არქეოლოგიური გათხრები 1946-1965* (თბილისი, 1988), 27-8.

[181] თ. ბერაძე, „ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან", *ვანი III: არქეოლოგიური გათხრები*, რედ. ოთარ ლორთქიფანიძე (თბილისი, 1977), 30.

[182] ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, 112. სიმაგრეთა გასამაგრებლად თხრილებს

სურ. 274
მეციხოვნე საგანგებოდ მომრგვალებულ ქვას ესვრის მოიერიშეებს. H1665 დავითნის 212v მინიატურა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

1235 წელს მონღოლებმა ალყა შემოარტყეს შამქორს, რომელიც, მაშინ, ვარამ გაგელის სამფლობელო იყო. მოიერიშეებმა შეცდომა დაუშვეს და ხის მასალით ამოავსეს ქალაქის თხრილი. მცველებმა ეს გარემოება მაშინვე გამოიყენეს და ღამით, ცეცხლის გამოყენებით დაწვეს ყველაფერი, რაც თხრილში იყო. ქალაქის ასაღებად მონღოლებს მოუწიათ განმეორებით, უკვე მიწით ამოევსოთ თხრილი.[183]

გარნიზონის სურვილს, ბოლომდე გააგრძელოს ბრძოლა და არ დანებდეს პირველი წარუმატებლობისთანავე, დიდი როლი ენიჭებოდა ციხის დაცვისას. ასეთ დროს წინააღმდეგობას აგრძელებდნენ სიმაგრის კედლის დანგრევის შემდეგაც. ამის მაგალითია 1485 წელს იაყუბ ყაენის შეტევისას ახალციხის კედლის დანგრევა და მისი აღდგენა მეციხოვნეთა მიერ. ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის მიხედვით, ახალციხის იერიშისას თეთრბატკნიანთა არტილერიამ გალავანი დააზიანა, რომლის შეკეთება, განუწყვეტელი ცეცხლის მიუხედავად, ქართველებმა მაინც მოახერხეს: „არტილერია შეუჩერებლად უშენდა კედლებს, მაგრამ ჩამონგრევამდე ურწმუნოებმა რკინით და სხვა მასალით შეაკეთეს დაზიანებული ადგილები“.[184]

ალყის მიმდინარეობის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარნიზონის აქტიურობას, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა მოულოდ-

---

უფრო გვიანაც იყენებდნენ. 1702 წელს იმერეთში შემოსული ოსმალების დასახვედრად აბაშიძემ ჭალატყის სამი კოშკი თხრილებით გაამაგრა. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 864.

[183] Киракос Гандзакеци, *История Армении*, 157.

[184] V. Minorsky, *Persia in A.D. 1478-1490: An Abridged Translation of Fadlullah b. Ruzbihan Khunji's Tarikh-i 'Alam-ara-yi Amini* (London, 1957), 51.

ნელ შეტევასა და გამოხდომებს მოალყეთა წინააღმდეგ. კარგად დაგეგმილ გამოხდომას, მცირე ძალითაც კი, შეეძლო არევ-დარევა გამოეწვია მტრის ბანაკში.[185] მეციხოვნეთა აქტივობა და გამოხდომები, უპირველეს ყოვლისა, მათ მაღალ მორალურ და საბრძოლო განწყობაზე მიუთითებს, რაც აუცილებელი პირობა იყო ალყის წარმატებით გაძლებისათვის.

ჯვაროსნული ომების მკვლევართა ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჯვაროსანთა გარნიზონები ხშირად ტოვებდნენ სიმაგრეს და კონტრშეტევით პასუხობდნენ მუსლიმთა იერიშს. თუ გავითვალისწინებთ მუსლიმთა ჭარბ რიცხობრივ უპირატესობას, გასაოცარია, რომ ქრისტიანული გარნიზონები ხშირად უარს ამბობდნენ სიმაგრის კედლების უსაფრთხოებაზე და გარეთ ხვდებოდნენ მუსლიმურ არმიას.[186] როგორც ქ. მარშალი წერს, „ქრისტიანთა თავდაცვის აგრესიული მხარე გამოიხატებოდა მათ მზადყოფნაში შეხვედროდნენ მტერს ციხის კედლებს გარეთ და მოეწყოთ გამოხდომები".[187]

საინტერესოა, რომ ასეთ ეპიზოდებს, მრავალრიცხოვანი მოალყის წინააღმდეგ მეციხოვნეთა თამამ გამოხდომებს, მრავლად ვიპოვით შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაშიც. ძნელია ერთმნიშვნელოვანი ახსნა მოუძებნო ქართველთა ასეთ განწყობას, თუმცა, თავის როლს ითამაშებდა ჯვაროსანთა და ქართველთა მსგავსი რაინდული ფსიქოლოგია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯვაროსნებსა და ქართველებს მუდმივ გარემოცვაში და მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ უწევდათ ბრძოლა, რაც ჯვაროსანთა მსგავსად, ალბათ ქართველებსაც კარნახობდა ბრძოლის აგრესიულ სტილს, რომელსაც მოწინააღმდეგე ყოველთვის უნდა უფრთხოდეს.

1064 წელს ალფ-არსლანის შემოსევის დროს, ქართველთა გარნიზონმა ზღუდე გაუსრულებელ ახალქალაქში თავდაცვას, მტერთან ღია ბრძოლა ამჯობინა: „მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი. ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად".[188] მუსლიმთა მსხვერპლსა და ქართველთა გამოხდომას იბნ ალ-ასირიც მოწმობს.[189] სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინის მიხედვით, მხოლოდ სულთნის ჩარევამ იხსნა სელჩუკები, რომლებიც უკან იხევდნენ ქართველთა შეტევის შედეგად.[190]

---

[185] Marshall, *Warfare in the Latin East*, 237.

[186] იქვე, 236.

[187] იქვე, 236.

[188] „მატიანე ქართლისა", 306.

[189] *The Annals of the Saljuq Turks: Selections from al-Kamil fi'l-Ta'rikh of 'Izz al-Din Ibn al-Athir*, translated and annotated by D. S. Richards (London, 2002), 154.

[190] Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Сообщения о Сельджукском государстве*, 50. ასეთი მაგალითი ჯვაროსნებთანაც შეგვიძლია ვიპოვოთ. 1278 წელს ანტიოქიის მმართველმა ბოემუნდმა ალყა

ასეთივე აგრესიულ ტაქტიკას მიმართეს ქართველებმა XIII საუკუნეში სამცხეში მონღოლების შემოსევისას. ციხისჯვარის დაცვის დროს, რომელიც „არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო", ციხის მცველები „დიდად ავნებდეს გარეთ მყოფთა, დღისით და ღამით განვიდიან და ადგილ-ადგილ მოსწყჳდიან".[191]

ამასთანავე, ქართველი მეციხოვნეები სულაც არ მიმართავდნენ გამოხდომებს მხოლოდ გაუმართავი ფორტიფიკაციების პირობებში. 1226 წელს ჯალალ ად-დინის თბილისზე შეტევის დროს „მცველნი ქალაქისანი აღიჭურნეს, და იქმნა ძლიერი ბრძოლა. და ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა".[192] ქალაქის მცველთა გამოხდომას ან-ნასავიც აღნიშნავს.[193]

1386 წელს უკვე თემურ-ლენგმა შემოარტყა ალყა თბილისს. ბაგრატ V-მ მობილიზაციის ჩატარება ვერ მოასწრო, მას თან მხოლოდ საკუთარი პირადი რაზმი ახლდა. მიუხედავად ამისა, ქართველები სიმაგრეში ყრუდ არ ჩაკეტილან და მტერს აგრესიული ტაქტიკა დაუპირისპირეს: „მიეტევნეს ბანაკსა მათსა მეფე ბაგრატ და სპანი ქართველთანი... და იქმნა ბრძოლა ძლიერი იმიერ და ამიერ, და მოისრა ორ-კერძოვე სიმრავლენი სპათანი, და უფროსლა უმრავლესნი მოსწყდეს სპანი ლანგ-თემურისანი".[194]

1403 წელს, ბირთვისის ალყისას, ქართველნი მეციხოვნენი ისევ გამოუხდნენ თემურის ლაშქარს: „მაშინ მიადგეს მას ციხესა სიმრავლენი სპათანი, და გამოვიდეს ციხოსანნიცა იგი ჭაბუკნი რჩეულნი, მიეტევნეს და... მრავალნი სულნი მოსრეს პირითა მახულისათა".[195] ბირთვისის გარნიზონის გამოხდომებს ციხის კარიბჭიდან მოინ ად-დინ ნათანზიც ადასტურებს.[196]

როგორც ვხედავთ, მიუხედავად მასალის სიმწირისა და იმ უყურადღებობისა, რასაც ჩვენი მატიანეები იჩენენ ციხე-სიმაგრეთა აღებისა და დაცვის მიმართ, ზოგადი სურათის წარმოჩენა მაინც შესაძლებელია. არსებული მონაცემებით არ ჩანს, რომ ქართველები ყველა იმ ხერხს ან იარაღს იყენებდნენ, რასაც შუა საუკუნეების სამყარო იცნობდა, მაგრამ იმის თქმა კი გადაჭრით შეიძლება, რომ ქართველები იცნობდნენ და წარმატებით იყენებდნენ პოლიორკეტიკის ძირითად მეთოდებს.

შემოარტყა გიბელეტს (ბიბლოსი). ქალაქის ფორტიფიკაციები წესრიგში არ იყო და ემბრიაკომ პასიურ თავის დაცვას ციხის კედლებს გარეთ ბრძოლა ამჯობინა. Marshall, *Warfare in the Latin East*, 138.

[191] უამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 125.

[192] იქვე, 59.

[193] Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави, *Жизнеописание султана Джалал ад-Дина Минбурны*, 162.

[194] *ქართლის ცხოვრება*, II, 450.

[195] იქვე, 470.

[196] კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*, 156.

ცეცხლგამჩენი ისრები

სამხედრო დანიშნულებით ცეცხლს ჯერ კიდევ ახლო აღმოსავლეთის ძველი ცივილიზაციები იყენებდნენ. ძვ.წ. IX საუკუნეში ასურელები ცეცხლს მიმართავდნენ ალყის დროს თავდასაცავად. ცეცხლგამჩენი ისრები სპარსელებმა გამოიყენეს ათენის აღებისას ძვ.წ. 480 წელს, ბერძნების მიერ ცეცხლგამჩენი ისრების გამოყენება კი პირველად დასტურდება ძვ.წ. 429 წელს პელოპონესის ომში.[197]

საკმაოდ ინტენსიურად იყენებდნენ ცეცხლს ბიზანტიური და მუსლიმური არმიები შუა საუკუნეების საბრძოლო მოქმედებებშიც. ცეცხლგამჩენი ნივთიერებებიდან ყველაზე ცნობილი იყო *ბერძნული ცეცხლი*, როგორც ეს უწოდეს ბიზანტიელთა შეიარაღებაში მყოფ საიდუმლო იარაღს, რომელსაც სპეციალური სიფონის საშუალებით იყენებდნენ და რომლის მოქმედების პრინციპი და შემადგენლობაც დღემდე უცნობი რჩება.[198] ბერძნულმა ცეცხლმა დიდი როლი ითამაშა ბიზანტიელთა წარმატებაში არაბების მიერ კონსტანტინოპოლის ორი ალყისას (674-678, 717-718), 941 წელს კი მისი მეშვეობით დედაქალაქის შესაძლო ალყაც აიცილეს თავიდან.[199]

ცეცხლგამჩენი ნივთიერებების დამზადების საიდუმლოს მუსლიმური სამყაროც ფლობდა, რომლის გამოყენების წესები ასახულია შუა საუკუნეების არაბულ სამხედრო ტრაქტატებში. მუსლიმთა განკარგულებაში იყო წინარე ცივილიზაციების მდიდარი მემკვიდრეობა და ნავთობი და სხვა ბუნებრივი რესურსები. არაბული არმიები თავიდანვე წარმატებით იყენებდნენ ცეცხლგამჩენ იარაღს.[200] აბასიანთა არმიაში მშვილდოსანთა ყოველ კორპუსს ნაფატინთა ნაწილიც ახლდა.[201] *ნაფატინები* ნაფტის მსროლელებს ნიშნავს: არაბულ წყაროებში *ნაფტა* ნავთობსაც აღნიშნავდა და საგანგებოდ მომზადებულ ცეცხლგამჩენ ნივთიერებასაც.[202] სწორედ ნაფატინთა რაზმების გამოყენებით გადაწვა ბუღა თურქმა თბილისი 853 წელს.[203]

ნავთობს („ნაფთს") საწვავად ადრე შუასაუკუნეებიდან იყენებდნენ

---

[197] J. R. Partington, *A History of Greek Fire and Gunpowder* (Baltimore, 1999), 1.

[198] Purton, *A History of the Early Medieval Siege*, 375.

[199] John Haldon, Maurice Byrne, "A Possible Solution to the Problem of Greek Fire," *Byzantinische Zeitschrift*, vol. 70, issue 1 (1977), 91.

[200] Ahmad Y. al-Hassan, "Military Fires, Gunpowder and Firearms," in *The Different Aspects of Islamic Culture*, vol. 4, *Science and Technology in Islam*, part II, *Technology and Applied Sciences*, ed. by A. Y. al-Hassan (Paris, 2001), 107.

[201] Partington, *A History of Greek Fire and Gunpowder*, 22.

[202] Vassilios Christides, "Nafṭ," *Encyclopaedia of Islam*, 2nd ed., vol. VII (1993), 884. ბერძნული და არაბული წყაროების მიხედვით, ცეცხლგამჩენი ნივთიერებების შემადგენლობაში შედიოდა გოგირდი, კუპრი, გუმფისი, ჩაუმქრალი კირი. იქვე, 886.

[203] Абу Бакр Мухаммад ас-Сули, *Китаб ал-Аврак ("Книга листов")*, критический текст и перевод на русский язык В.И Беляева и А.Б. Халидова, предисловие, примечания и указатели А.Б. Халидова (Санкт-Петербург, 1998), 65; ელენე ცაგარეიშვილი, „თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ", *მრავალთავი*, IV (1975), 269.

საქართველოში,[204] როგორც ამას იოვანე საბანისძე გვიდასტურებს.[205] აღმოსავლეთ საქართველოში (თელავი, კვეტერა) ინტენსიურად ხდებოდა შირვანიდან ნავთობის შემოტანა და მოხმარება, რასაც არქეოლოგიურ მასალაში XII-XIV საუკუნეების აზერბაიჯანული ტიპის მილიანი ჭრაქების სიმრავლე ადასტურებს.[206] ამას გარდა, საქართველოს საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში მიუწვდებოდა ხელი შირვანის (ბაქოს) ნავთობის საბადოებზე და შირვანელები, როგორც მოკავშირეები, ხშირად ქართველთა მხარდამხარ იბრძოდნენ. სამწუხაროდ, სამხედრო დანიშნულებით ნავთობის გამოყენების შესახებ პირდაპირი მონაცემები არ გაგვაჩნია.

იოანე შავთელის „აბდულმესიანში" გვხვდება ბუნდოვანი სტროფი, რომელიც, შესაძლოა, იყოს მინიშნება ქართველების მიერ ბერძნული ცეცხლისა თუ ისლამური ნაფტას ტიპის ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების თაობაზე: „პვირ მამენდ მეხი ავად რა ჰმეხი".[207] ი. ლოლაშვილის დაკვირვებით, ეს გამოთქმა რომელიღაც ცეცხლის იარაღს უკავშირდება, რადგანაც *პვირ* ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ცეცხლს, რაც *მეხთან* ერთად ცეცხლგამჩენ და მგრგვინავ იარაღზე მიუთითებს. „პვირ მამენდ მეხი" შეიძლება იყოს ბერძნული ცეცხლის მფრქვეველი ან (მტყორცნელი) იარაღი".[208] მსგავსი აზრისაა ს. კაკაბაძეც, რომელიც ფიქრობს, რომ იოანე შავთელის „ტაეპში იგულისხმება ცეცხლის მსროლელი მანქანა".[209]

ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენებაზე შეიძლება მიუთითებდეს სფეროკონუსური ჭურჭლები, რომლებიც მრავლად არის აღმოჩენილი დმანისში, თბილისში, რუსთავში, გორში, უჯარმაში, ნადარბაზევსა და ვარძიაში. სხვა დანიშნულებასთან ერთად, შუა საუკუნეებში სფეროკონუსებს იყენებდნენ ერთგვარ ყუმბარებად, რომლებშიც ნავთობი (და მისი პროდუქტები) ესხა და რომლებსაც ცეცხლის გაჩენა შეეძლო.[210] სფეროკონუსებს „ბერძნული ცეცხლის ყუმბარებსაც" უწოდებენ.[211] იოანე კამენიატას ცნობით, 904 წელს

---

[204] თოფურია, *ამიერკავკასიის ქალაქები: X-XIII ს. პირველი მეოთხედი*, 86.

[205] „და მოიღეს შეშაი და თივაი და ნაფთი და დაასხეს გვამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი". იოვანე საბანისძე, „ჰაბოს წამება", 140.

[206] დავით მინდორაშვილი, „კვეტერის ციხის არქეოლოგიური მასალა", *საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები*, 1 (2007), 99-100.

[207] იოანე შავთელი, *აბდულმესიანი: თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, *ძველი ქართველი მეხოტბენი*, წ. 2 (თბილისი, 1964), 128.

[208] იქვე, 200-1.

[209] კაკაბაძე, *დიდგორის ომი*, 74.

[210] სფეროკონუსური ჭურჭლებისა და მათი გამოყენების შესახებ, იხ. А.Р. Нуретдинова, "Сфероконические сосуды: проблема атрибуции," *Ученые записки Казанского университета: Гуманитарные науки*, том 153, кн. 3 (2011), 51-62; ჭილაშვილი, *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, 149-52. აგრეთვე იხ. თინა არჩვაძე, „რუსთავში აღმოჩენილი სფეროკონუსები", *რუსთავი*, IV (2014), 41-57.

[211] Jacob Sharvit, "The Sphero-Conical Vessels – 'Greek Fire'?" in *Paneas*, vol. II, *Small Finds and Other Studies*, eds. Vassilios Tzaferis and Shoshana Israeli (Jerusalem, 2008), 101.

სალონიკის გარემოცვისას არაბებმა გამოიყენეს თიხის ხელყუმბარები ცეცხლგამჩენი ნივთიერებებით.[212] ნიშანდობლივია, რომ სფეროკონუსების უმრავლესობა ნაპოვნია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ნავთს ფართოდ იყენებდნენ.

ცეცხლგამჩენი ნივთიერებები მეტად ეფექტური იყო მოალყეთა საიერიშო საშუალებებისა და მანქანების დასაწვავად და მას ალყაშემორტყმულები ხშირად იყენებდნენ. როდესაც 1235 წელს შამქორში გარშემორტყმულმა ვარამ გაგელის გარნიზონმა მონღოლთა მიერ თხრილში ჩაყრილი ხის მასალა დაწვა,[213] ეს სწორედ ცეცხლგამჩენი ნივთიერებების გამოყენებით უნდა გაეკეთებინა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს ჯარის მიერ ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენების თაობაზე (ნაფტინთა რაზმების სახით თუ ციხეთა ალყის დროს) წყაროები უშუალოდ არ მოგვითხრობენ, ამის სრული გამორიცხვა, ალბათ, მართებული არ იქნებოდა.

---

[212] Partington, *A History of Greek Fire and Gunpowder*, 14-5.

[213] Киракос Гандзакеци, *История Армении*, 157.

თავი X

ქართული შეიარაღების კომპლექსი შუა საუკუნეებში

შუა საუკუნეების ქართული შეიარაღების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ იარაღის ცალკეული სახეობები შეიარაღების ერთიან კომპლექსში, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულ და მოცემული პერიოდისათვის დამახასიათებელ აღჭურვილობას წარმოადგენს. შეიარაღების კომპლექსის სათანადო რეკონსტრუქცია აუცილებელი წინაპირობაა სამხედრო ხელოვნების სრულფასოვანი შესწავლისათვის.

შეიარაღებასა და ტაქტიკაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ოთხი პერიოდი ქართული შეიარაღების კომპლექსის განვითარებაში. ცხადია, პერიოდების მიხედვით ყოველთვის ვერ ხერხდება იარაღის ყველა ტიპის გამიჯვნა, მაგრამ ყოველთვისაა შესაძლებელი პერიოდისათვის დამახასიათებელი შეიარაღების კომპლექსის გამოყოფა.

ამასთანავე, ვერ გავიზიარებ შეხედულებას, თითქოსდა შუა საუკუნეების განმავლობაში ქართული აღჭურვილობა პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა.[1] ის მუდმივად ვითარდებოდა, განიცდიდა სხვადასხვა გავლენებს და ეპოქებისდა მიხედვით იცვლებოდა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ცვლილებები თავდაცვით აღჭურვილობაში. არ იცვლებოდა მხოლოდ ბრძოლის სტილი – მძიმედ აღჭურვილ ცხენოსანთა ტარანული დარტყმა, ე.წ. „შოკი". შეიარაღების კომპლექსზე დაკვირვებაც სწორედ ამ განვითარებისა და ცვლილებების თანმიმდევრული ჩვენების საშუალებას გვაძლევს.

ქართული შეიარაღების კომპლექსის განვითარებაში შემდეგი პერიოდები გამოიყოფა: I პერიოდი, რომელიც მოიცავს X ს. – XIII ს. I მესამედს და რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ რაინდული ეპოქა; II პერიოდი შეადგენს XIII ს. II მესამედს – XIV ს. I ნახევარს და აღბეჭდილია მონღოლური გავლენით; III პერიოდი მოიცავს XIV ს. II ნახევარს და XVI საუკუნის I ნახევარს და ხასიათდება შეიარაღების დამძიმებით; IV პერიოდი გრძელდება XVI

---

[1] მაგალითისთვის, იხ. გ. ანჩაბაძის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი შუბოსანი მხედრის აღჭურვილობა პრაქტიკულად იგივე იყო, რაც კლასიკურ შუა საუკუნეებში. Анчабадзе, *Источниковедческие проблемы военной истории Грузии*, 165. იხ. აგრეთვე, შუა საუკუნეების ქართული შეიარაღების აღწერის ცდა ს. მარგიშვილის მიერ, რომელიც ასევე არ ასხვავებს X-XII და XIV სს. აღჭურვილობას. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დაჳით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 186-9.

საუკუნის II ნახევრიდან XVII საუკუნის ჩათვლით, რომლის დროსაც შუა საუკუნეების ქართული შეიარაღების კომპლექსი საბოლოო სახით ყალიბდება.

I პერიოდი (X ს. – XIII ს-ის I მესამედი)

განსახილველ პერიოდს წინ უძღოდა დიდი ტექნოლოგიური ცვლილებები შეიარაღებასა და სამხედრო საქმეში, რომლებიც V-IX საუკუნეებში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით დიდი ცვლილება განიცადა ცხენის აკაზმულობამ, აზიური ზეგავლენის შედეგად გაუმჯობესდა უნაგირი, აღვირი, ნალები და რაც მთავარია, გავრცელდა უზანგი.[2]

ტექნოლოგიურ ცვლილებებს თან სდევს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები. XI-XII საუკუნეების საქართველოში რაინდული საზოგადოება იწყებს ჩამოყალიბებას. XI საუკუნიდან მოყოლებული განუხრელად იზრდება და სულ უფრო შესამჩნევი ხდება ჭაბუკთა როლი. ერთის მხრივ, ეს განპირობებული იყო ქართულ სამეფოებში ომებისა და საბრძოლო მოქმედებების გაზრდილი მასშტაბით, როდესაც მეფე-დიდებულებს მეტი მებრძოლი სჭირდებოდათ საგარეო თუ შიდა ომებისათვის; მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გაიზარდა ბრძოლაში ცხენოსანთა როლი. ქვეითებთან შედარებით, ცხენოსანი მებრძოლის აღჭურვილობა კიდევ უფრო უკეთესი ხდება და მისი უპირატესობა და მნიშვნელობაც იზრდება. ცხენოსანი მებრძოლის სამსახური უფრო პროფესიული ხდება და შეიარაღების ფასის ზრდასთან ერთად მისი პრესტიჟიც იზრდება. XII საუკუნეში საქართველოში პროფესიონალი მეომარი – *მოყმე* გამოდის ასპარეზზე.

მიჩნეულია, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის მონუმენტურ ფერწერაში წმინდა მეომართა გამოსახულებების რიცხვისა და მნიშვნელობის ზრდა, ასევე ფრონტალურად მდგომი შეიარაღებული წმინდა მეომრის სახის დამკვიდრება XI საუკუნიდან იწყება. ზ. სხირტლაძის აზრით, ასეთი ტენდენციები საქართველოში კიდევ უფრო ადრე, IX-X საუკუნეებში შეინიშნება.[3] ეს იკონოგრაფიული მოვლენა, რომელიც თანადროულ რეალობას ასახავს, საყოველთაოა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და, მოგვიანებით, დასავლეთ ევროპისათვის და დაკავშირებულია შუა საუკუნეებში პროფესიონალ მეომართა – რაინდთა დაწინაურებასთან. კარგად აღჭურვილი წმინდანების წინაშე მდგომი რაინდები თითქოსდა თავიანთ გამოსახულებას ხედავდნენ სარკეში.[4] ამ პროცესების ადრეული მიმდინარეობა საქართველოში მეომართა ფენის დაწინაურებაზე მიანიშნებს.

---

[2] Nicolle, *Romano-Byzantine Armies 4th-9th Centuries*, 4.

[3] ზაზა სხირტლაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა: თელოვანის ჯვარპატიოსანი* (თბილისი, 2008), 179-82.

[4] Mat Immerzeel, "Divine Cavalry, Mounted Saints in Middle Eastern Christian Art," in *East and West in the Crusader States: Context – Contacts – Confrotations*, eds. K. Ciggaar and H. Teule, vol. 3 (Leuven and Dudley, MA, 2003), 277.

ჩვენ ხელთ არსებული ყველა მასალა, წერილობითი, იკონოგრაფიული თუ არქეოლოგიური წყაროები საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ამ ეპოქის ქართველი მებრძოლის აღჭურვილობა, როგორც მძიმედშეჭურვილი ცხენოსნის შეიარაღების კომპლექსი, რომელიც თავდაცვითი და შეტევითი იარაღის მრავალგვარი ნომენკლატურისაგან შედგებოდა.

რაინდული ეპოქის ქართველ მოყმეს ეხურა სფეროკონუსური მუზარადი, ეცვა გრძელი ჯაჭვი და ჯაჭვის საბარკული, ლამელარული და ქერცლოვანი აბჯარი, ეკეთა ქაფი და ტყავის ხალკოტუბა, ფეხზე ეცვა ცხენოსნის სქელი ჩექმები – მოგვი, ხმარობდა როგორც ნუშისებურ, ისე მრგვალ ფარს, იყენებდა გრძელ შუბსა და გრძელ ორლესულ მახვილს, ხანდახან – ლახტსაც; ჰყავდა ჯაჭვით ან ლამელარით შეჯავშნული ცხენი.

ქართველი მებრძოლი ყოველთვის, ყველა ეპოქაში, გამოირჩეოდა კარგი დაცვითი აღჭურვილობით. შეძლებული მეომრები ბრძოლისას ორმაგ აბჯარსაც იყენებდნენ და აბჯარზე (ჯაჭვზე) აბჯარს (ლამელარს) იცვამდნენ. ქართველი მოყმის უპირველესი იარაღი გრძელი შუბი და მახვილია.[5] გრძელი შუბი აუცილებელი იყო პირველი და, ზოგჯერ, გადამწყვეტი შეტევისათვის. შუბის დამსხვრევის შემდეგ ბრძოლას მახვილით აგრძელებდნენ, რომელიც უმთავრესად ჩეხისთვის იყო განკუთვნილი. ეს კარგად ჩანს ერთ ეპიზოდში, როდესაც ბევრი ჩეხისა და ცემის შედეგად აღმაშენებლის ხმალს პირი ისე დაეღრიცა, რომ ქარქაშში ვეღარ ჩააგეს: „ფრიადისა ცემისაგან ჴრმალმანცა დაღულარჭნილმან უარ ყო ქარქაში თჳსი".[6] ჯერ შუბით (ოროლით) და მერე ხმლით იბრძვიან „ამირანდარეჯანიანშიც": „იბრძოლეს დიდი ხანი, **წინას ოროლითა და უკანის ხრმლითა**".[7]

რაინდული ეპოქის მხატვრული თუ ნარატიული წყაროები ერთხმად აღწერენ ქართველებს როგორც მძიმედ შეჭურვილ მებრძოლებს, რომლებიც ხელჩართულ ბრძოლას ანიჭებენ უპირატესობას. 1161 წელს ანისთან ბრძოლის წინ გიორგი III (1157-84) თანამებრძოლებს მიმართავს: „აღვიხუნეთ ლახუარნი და ჰოროლნი, და უგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა".[8] მეფის სიტყვაში ხაზგასმულია შუბით ბრძოლის სტილი, ორივე – ლახვარი და ჰოროლი – შუბი იყო. ამავე ბრძოლაში ნაჩვენებია მეფე, რომელიც მოწინააღმდეგის სხვადასხვა რაზმს უტევს („მრავალგზის გამომცველი რაზმთა") და მძაფრ ხელჩართულშია ჩაბმული („სცემდა და იცემებოდა").[9] თამარის ხანაში ერთად იყენებენ აბჯარსა და ფარს: „ამღებელი ჭურისა და ფარისა".[10] შოთა რუსთაველი ხაზს უსვამს შუბითა და ფარ-ხმლით ბრ-

---

[5] ამას დ. ნიკოლიც აღნიშნავს. Nicolle, *Saladin and the Saracens*, 23.

[6] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", 350.

[7] მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 545.

[8] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 8.

[9] იქვე, 9.

[10] იქვე, 32.

ძოლის სტილს: „ვის შვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა".[11] როდესაც იოანე შავთელი ჩამოთვლის მუსლიმთა („სარკინოზთა") მძლეველ და მომსვრელ აღჭურვილობას, საყურადღებოა, რომ შეტევითი იარაღიდან ის მხოლოდ ოროლს ასახელებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანსა და დამახასიათებელს: „მსრველ ბარბაროზთა, მძლედ სარკინოზთა / ჩაფხუტ-ჯაჭვჭურით, **ოროლითურთით!**"[12]

ამ ეპოქის მხედართა შეიარაღებაში არსად ჩანს მშვილდი.[13] XIII საუკუნის დოკუმენტში, რომელიც საუკუნის პირველი ნახევრის ვითარებას ასახავს და რომელშიც დეტალურადაა აღწერილი „წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისაჲ",[14] იარაღის ჩამოთვლისას გვხვდება მხოლოდ ხმალი, შუბი, ფარი, ლახტი და არ მოიხსენიება მშვილდი. აქვე, მეფედ კურთხევის ცერემონიის დროს პროცესიის მსვლელობისას იარაღის ერთგვარი რანგირებაც ჩანს: მეფეს წინ შუბი მიუძღვის, სამეფო ხმალი გვერდზე მოყვება, უკან კი სამეფო ფარი და ლახტი მოსდევს. ეს თანმიმდევრობა შუბის დიდ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში მშვილდ-ისარს უგულებელყოფდნენ და არ იყენებდნენ. მშვილდი დიდ როლს თამაშობდა ქვეითი ჯარის შეიარაღებასა და ტაქტიკაში. მშვილდის სროლა იცოდნენ ქართველმა მხედრებმაც,[15] ხოლო ქრონიკები ხშირად აღნიშნავენ ქართველ მეფეთა კარგ მოისრობას.[16] ქართველ მეფეთა და მთავართა სიჩაუქე და აუცდენელი სრო-

---

[11] შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტრ. 3. *შიმშერი* ხმალია, რომელიც სპარსული *შამშირიდან* წარმოდგება.

[12] იოვანე შავთელი, „აბდულ-მესიანი", 29.

[13] ლ. გარსიაშვილი სწორად შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნისათვის" დამახასიათებელია ხელჩართული ბრძოლა შუბითა და ხმლით და არა მშვილდ-ისრით და რომ რუსთაველი მშვილდს არ ახსენებს მებრძოლის იარაღის ჩამოთვლისას: „ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი". გარსიაშვილი, *ვეფხისტყაოსანი*, 24-5. ავტორი ასევე მართალია, როდესაც „ვეფხისტყაოსანში" აღწერილ ქართულ საბრძოლო ხელოვნებას განასხვავებს მეზობელი მუსლიმური აღმოსავლეთის საბრძოლო ხელოვნებისაგან, რომლის მთავარი მახასიათებელი დისტანციაზე ისრით ბრძოლაა. იქვე, 25-7. თუმცა, ლ. გარსიაშვილი შეცდომას უშვებს, როდესაც დიდ მსგავსებას პოულობს ბიზანტიასთან და უარყოფს ევროპასთან მსგავსებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითქოსდა, ფეოდალური ხანის ევროპის საბრძოლო ხელოვნება მეტად პრიმიტიულსა და დაბალ დონეზე იდგა. იქვე, 28-30. ეს მოსაზრება, რომელიც ფ. მერინგის ავტორიტეტს ეყრდნობა, დიდი ხანია რაც უარყოფილია ისტორიულ და სამხედრო მეცნიერებაში.

[14] *ქსძ*, II, 50-4.

[15] მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი რაინდები ზემოდან უყურებდნენ მშვილდს, როგორც შორიდან გამოსაყენებელ „გლეხების იარაღს", ყველა მათგანი სწავლობდა მის გამოყენებას. Nicholson, *Medieval Warfare*, 100.

[16] „მატიანე ქართლისა", 315; „ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე", *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 370; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", 6. ასეთ ფაქტებს მრავლად ვხვდებით დასავლეთ ევროპაშიც. მაგალითად, კარგი მშვილდოსანი იყო ინგლისის მეფე უილიამ დამპყრობელი და მისი სამი შვილიც. Bradbury, *The Medieval Archer*, 5-6. რაინდს ყველა იარაღით შეეძლო ბრძოლა, 1150 წელს ჯვაროსნული წყაროები მოიხსენიებენ ჰამფრი ტორონელს, რომელმაც მშვილდით მისდია მუსლიმ ცხენოსან მოისრეებს. France, *Western Warfare in the Age of the Crusades*, 159.

ლა ნადირობისას ხდებოდა და არა ბრძოლაში, რასაც, ზოგჯერ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ. მაგალითად, ჟამთააღმწერელი ასე ახასიათებს ბექა ჯაყელს: „ძალითა ძლიერ, ომსა შინა მჭნედ მბრძოლი, ცხენსა ზედა მჭნე და **მოისარი ნადირთა ჴელოვანი**".[17] როგორც ვხედავთ, მოისრობა გარკვევითაა დაკავშირებული ნადირობასთან. დ. ნიკოლიც აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში" მშვილდოსნობა ნადირობასთანაა კავშირში და არა ბრძოლასთან.[18]

ქართველი მშვილდოსნების ოსტატობის დასტურს სხვადასხვა წყაროებშიც ვპოულობთ. 998 წელს, ხლათის ალყის დროს ქალაქის გამოსახსნელად მოსული არაბთა რაზმის შემოტევა მხოლოდ ტაოელმა მშვილდოსნებმა მოიგერიეს ისრის სროლით.[19] ქვეითი მშვილდოსნების მიერ არაბთა შემოტევის მოგერიება მეტად ნიშანდობლივია და ცხადყოფს, რომ ტაოელ მშვილდოსნებს უნდა შეძლებოდათ „ზალპური სროლა", რაც მათ დისციპლინასა და გაწვრთნილობაზე მიუთითებს.

XI საუკუნის შუახანებში დაწერილი პოემის „ვის ო რამინის" ავტორი ფახრ ად-დინ გორგანი ერთ-ერთი პერსონაჟი ქალის (გულის) აღწერისას მის თვალ-წამწამს ქართველი მშვილდოსნის მიერ ნასროლ ისარს ადარებს.[20] პოეტის მიერ გამოყენებული ეს მეტაფორა ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმ ავტორიტეტზე, რაც ქართველ მშვილდოსნებს ჰქონდათ მოპოვებული მახლობელ აღმოსავლეთში.

ქართველი მშვილდოსნები ფლობდნენ ისრის სროლის სხვადასხვა მეთოდს. ჯრუჭის II ოთხთავის 111r მინიატურაზე გამოსახულია ქვეითი მშვილდოსნები, რომლებიც ციხეს ისარს ესვრიან და ამავე დროს თავს ფარით იცავენ. ამ ხერხს „ფარს ქვემოდან სროლა" ეწოდება და მრავალგზის არის მოხსენიებული არაბულ სამხედრო სახელმძღვანელოებში.[21] აღსანიშნავია, რომ ფარქვეშიდან სროლას აზრი აქვს საბელის ცერით მოზიდვისას, როდესაც ისარი მშვილდის მარჯვნივაა მოთავსებული. საალყო ბრძოლების დროს, ეს მეთოდი საშუალებას აძლევდა მსროლელს შედარებით უშიშრად მიახლოვებოდა ციხის კედელს.[22] აღსანიშნავია, ამავე ოთხთავის 186v მინიატურაზე რეალისტურად გამოსახული ქვეითი მშვილდოსნები: დამცველობითი საჭურვლიდან მათ მხოლოდ ლითონის მუზარადი და დალიანდაგებული ქსოვილის სამოსი აცვიათ და შეიარაღებული არიან ქვეითთათვის დამახა-

---

[17] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 162.

[18] Nicolle, *Saladin and the Saracens*, 23; მისივე, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 79.

[19] *Всеобщая История Степаноса Таронского, Асохика по прозванию*, 193.

[20] ბერაძე, „თამუქი", 79-80.

[21] David Nicolle, "Arms of the Umayyad Era," 20; Nicolle, "Jawshan, Cuirie and Coats-of-Plates," 187. ასეთი ხერხით ისრის სროლის ერთ-ერთი უადრესი გამოსახულება გვაქვს VIII საუკუნის შუახანების კედლის მოხატულობის ფრაგმენტზე ხირბათ ალ-მაფჯარიდან (პალესტინა). Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 28; მისივე, *Armies of the Muslim Conquest*, 36.

[22] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*, 158.

სურ. 275
ჯარისკაცები ნახევარმთვარით შემკული (ა) და ლურჯ-ნითელი რგოლებით მოხატული (ბ) ფარებით ჯრუჭის II ოთხთავის 186v და 243v მინიატურებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

სიათებელი, შედარებით დიდი ზომის კომპოზიტური მშვილდით. მოზიდული ისარი ყურთან არის მიტანილი.

XII საუკუნემდე ქართულ სამხედრო საქმეზე დიდ გავლენას ახდენდა ბიზანტიური სამხედრო ხელოვნება. ქართულ-ბიზანტიური კავშირები განსაკუთრებით ინტენსიური იყო X-XI საუკუნეებში, ხასიათდებოდა არაბებთან ერთობლივი ბრძოლებით, ქართველების მონაწილეობით ბიზანტიურ სამოქალაქო ომებში და, ბოლოს, XI საუკუნეში მიმდინარე მძაფრი ურთიერთდაპირისპირებით. ბიზანტიურ-ქართული სიახლოვე ამ პერიოდის შეიარაღების მრავალ ასპექტში ჩანს.

ზემოთ უკვე განვიხილეთ, რომ ქართველები იცნობდნენ ბანაკად ყოფნის იმ წესს, რომელიც ბიზანტიური ტრაქტატების *Peri strategias* და *Praecepta militaria* თანახმად, ჯარისკაცებს ფარისა და შუბის მუდამ თან ქონას ურჩევდა. სხვა მაგალითებიც გვიჩვენებს, რომ ქართველები იცნობდნენ ბიზან-

ტიურ სამხედრო-თეორიულ ნაშრომებს. ბიზანტიური ტრაქტატების მიხედვით, არმიაში ყოველ დანაყოფს შესაბამისი ფერისა და მოხატულობის ფარი უნდა ჰქონოდა, რომელზეც დანაყოფის ემბლემა უნდა ყოფილიყო გამოსახული.[23] ქართული მინიატურების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავს პრაქტიკას, ყოველ შემთხვევაში XI-XII საუკუნეებში, საქართველოშიც ჰქონდა ადგილი. ჯრუჭის II ოთხთავის 186v მინიატურაზე გამოსახულია ქვეითთა ჯგუფი, რომელთაც ერთნაირი ემბლემით (ნახევარმთვარეთი) შემკული ფარი უჭირავთ; აქვე, 243v მინიატურაზე, ქრისტეს შესაპყრობად გაგზავნილ ჯარისკაცთა ჯგუფს კვლავ იდენტური, ლურჯ-წითელი რგოლებით მოხატული, ფარები აქვთ. (სურ. 275)

X საუკუნეში ბიზანტიაში ადგილი აქვს მძიმედ აღჭურვილი კავალერისტის როლის ზრდას და, შესაბამისად, ტაქტიკის ცვლილებასაც, როდესაც ცხენოსანთა დარტყმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ა. ჰოფმაიერი მიუთითებს, რომ ლეონ ბრძენი X საუკუნის *ტაქტიკაში* მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მახვილსა და სხეულის დაცვას, ვიდრე მავრიკიოსი *სტრატეგიკონში*, რაც კავალერიის ტაქტიკის ცვლილებასა და მძიმედ შეჭურვილი ცხენოსნის მნიშვნელობის ზრდაზე მიუთითებს.[24] ამავე დროს, ნიშანდობლივია, რომ X საუკუნის ბიზანტიური კავალერიის შეიარაღების „დამძიმებისა" და გრძელი აბჯრის შემოღების საილუსტრაციოდ ევროპელ მეცნიერებს მოჰყავთ ნიკორწმინდის ეკლესიაზე გამოსახული წმინდა მეომრების მძიმე შეიარაღება ანუ მაგალითი მისი მეზობლის – საქართველოს შეიარაღებიდან.[25]

X-XI საუკუნეებში ქართველთა მძიმე შეიარაღებას მრავალი უცხოელი ავტორი აღნიშნავს. იოანე დრასხანაკერტელი ასე აღწერს დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა სამეფოს) მხედრობას X საუკუნეში: „დიდძალი ჯარი, შეჭურვილი ჰაერში მონავარდე რაშებით, რკინა ნაჭედი აბჯრით, შიშის მომგვრელი ჩაფხუტებით, მკერდის საფარი რკინის ლურსმნებიანი ფირფიტებითა და მაგარი ფარებით, სამკაულებით, შუბებითა და ლახვრებით".[26] „მკერდის საფარ რკინის ლურსმნებიან ფირფიტებში" უშეცდომოდ შეგვიძლია ამოვიცნოთ მოქლონიანი ლამელარული კირასა, სადაც „ლურსმანი" მოქლონს აღნიშნავს, „შიშის მომგვრელი ჩაფხუტები" კი აჩხაბერის ტიპის მუზარადს შეიძლება გულისხმობდეს. საყურადღებოა, რომ შეტევითი იარაღიდან მხოლოდ ხელჩართული ბრძოლის იარაღი (შუბი, ლახვარი) მოიხსენიება. XI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი მიხეილ ატალიატე ბიზანტიელებთ-

---

[23] *Vegetius: Epitome of Military Science*, II.18; *Maurices's Strategikon*, 139; *The Taktika of Leo VI*, 6.21; Kolias, *Byzantinische Waffen*, 125; Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints*, 236-7, n421.

[24] Hoffmeyer, "Military Equipment in the Byzantine Manuscript of Scylitzes," 44.

[25] Nicolle, "The Impact of the European Couched Lance on Muslim Military Tradition," 11. რამდენად კორექტულია ეს მაგალითი და ასახავს თუ არა რეალურად ბიზანტიურ შეიარაღებას, სხვა საკითხია, რომლის განხილვის ადგილიც აქ არ არის.

[26] იოანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია*, 257. მადლობას ვუხდი ე. კვაჭანტირაძეს ნათარგმნის სომხურ დედანთან შედარებისა და დაზუსტებისათვის.

ან ომშიც კი ხაზს უსვამს ქართველთა მძიმე შეიარაღებას და ამბობს, რომ ქართველთა „სიმამაცეს არა მხოლოდ სიმრავლე განაპირობებდა, არამედ ისიც რომ უმძლავრესი აბჯრით იყვნენ დაცული და არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ შეჯავშნულ და მოუწყვლად ცხენებსაც ყველა მხრიდან [აბჯრით] ფარავდნენ".[27] ასევე, XI საუკუნეში არისტაკეს ლასტივერტეცი საგანგებოდ აღნიშნავს ქართული შეიარაღების სიმძიმეს და მას ბიზანტიელებზე ერთი წარუმატებელი შეტევის მიზეზადაც კი ასახელებს.[28]

რამ განაპირობა ქართული აღჭურვილობის ასეთი მრავალფეროვნება და მოწინავე ტექნოლოგიები? უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნებოდა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და მუდმივი კონტაქტები ნომადურ ჩრდილოეთთან[29] და სამხრეთით ირანულ-არაბულ-ბიზანტიურ სამყაროსთან და სხვადასხვა იარაღის სისტემებთან.[30] IX-X საუკუნეებში შეიარაღების განვითარებას ძლიერ იმპულსს მისცემდა ქართულ მიწებზე ახალი სამეფოების წარმოქმნა, რომლებიც მეზობლებთან მუდმივ ომებში იმყოფებოდნენ; ასევე, ხელს შეუწყობდა ფეოდალური წყობა საქართველოში, მდიდარი და მრავალრიცხოვანი ფეოდალური კლასი, რომლის მუდმივი მოთხოვნილება იქნებოდა მაღალი ხარისხის იარაღი.

X საუკუნიდან საქართველოში დამკვიდრებას იწყებს *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესი. ქართული აღჭურვილობის მიმოხილვა გვარწმუნებს, რომ ეს წესი უკვე გავრცელებულია XI საუკუნეში. ამ საუკუნის პირველი ნახევრიდან მაინც, საქართველოში გვხვდება ნუშისებური ფარი. ამ ფარის მრავალრიცხოვანი გამოსახულებები მოგვეპოვება ფრესკებზე, ჭედურ ხატებსა და მინიატურებზე. ნუშისებური ფარი ბრძოლის სტილის ცხად ადაპტაციას წარმოადგენს[31] და მისი ფართო გავრცელება სწორედ *წაგრძელებული შუბის* დამკვიდრებაზე მიუთითებს.

წაგრძელებული შუბის გამოყენებასთან დაკავშირებულია ცხენზე ჯდომის რაინდული წესის ჩამოყალიბება, როდესაც მხედრის ფეხი გრძელ

---

[27] ატალიატე, „ისტორია", 27.

[28] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ისტორია*, 51.

[29] ნომადური გავლენის მაჩვენებელია ნიკორწმინდის ტაძრის (1010-14) დასავლეთის პორტალზე წმ. თევდორეს რელიეფი გრძელი ქერცლოვანი აბჯრით, რომლის თარგი მომთაბარეების ფირფიტოვან აბჯარს მოგვაგონებს. ალადაშვილი, *ნიკორწმინდის რელიეფები*, ტაბ. 19. ამ ტიპის გრძელი აბჯარი დამახასიათებელი იყო ცენტრალური აზიისათვის, საიდანაც გავრცელდა კიდეც მთელ მსოფლიოში. Gorelik, "Oriental Armour of the Near and Middle East from the Eight to the Fifteenth Centuries as Shown in Works of Art," 40.

[30] სერჩე ლიმანის ჩაძირულ გემზე ნაპოვნ მახვილზე მსჯელობისას მკვლევრები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ კავკასიის რეგიონი დიდ როლს თამაშობდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ტექნოლოგიებისა და იდეების მიმოცვლაში. მათი თქმით, უეჭველია, რომ საქართველო და სომხეთი უპირველესი შუამავლები იყვნენ ინდოეთსა და დასავლეთს შორის. Joseph K. Schwarzer, "The Weapons," in *Serçe Limanı: An Eleventh-Century Shipwreck*, vol. 1, eds. George F. Bass, Sheila Matthews, J. Richard Steffy, and Frederick H. van Doorninck Jr. (Texas, 2004), 386.

[31] France, *Victory in the East*, 295. ლ. უაიტი ნუშისებურ ფარს ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის „საფირმო ნიშანს" უწოდებს. White, "The Crusades and the Technological Thrust of the West," 99.

უზანგშია გაყრილი და წინაა გაშვერილი.[32] XI საუკუნიდან დაწყებული, ჩვენ გვაქვს წმინდა მხედართა არაერთი გამოსახულება, სადაც ცხენზე ჯდომის ეს „ლათინური წესია" დადასტურებული: ასეთია ლაბეჭინის, ლაფსყალდის, მურყმერის, ლემსიასა და ბეჩოს ხატები, ფარის, ლაშთხვერის, წალენჯიხისა და დირბის ფრესკები, ნიკორწმინდის ტაძრის ბარელიეფები და სხვ.[33] გაშვერილი ფეხის მაგალითები გვხვდება აგრეთვე, სამშენებლო კერამიკაზე,[34] გულსაკიდ მედალიონზე არეშიდან წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებით[35] და დავით ნარინის ვერცხლის მონეტაზე[36] (სურ. 276).

სურ. 276
გეორგვინოსანი მხედარი გაშვერილი ფეხით და მაღალი უნაგირით. დავით ნარინის მონეტა. ავერსი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

XI საუკუნის ბოლოდან და XII საუკუნეში ქართულ ბრძოლის წესზე გავლენას ახდენს დასავლეთევროპული სამხედრო ხელოვნება, რომელიც ჯერ ფრანკმა მოქირავნეებმა და შემდეგ, ჯვაროსნებმა მოიტანეს აღმოსავლეთში. წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესთან ერთად, საქართველოში ფეხს იკიდებს ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა, რომელმაც მრავალი წარმატება მოუტანა ქართულ ლაშქარს.

II პერიოდი (XIII ს-ის II მესამედი – XIV საუკუნის I ნახევარი)

XIII საუკუნის შუახანებში საქართველოში მონღოლები ბატონდებიან. მათ დიდი კვალი დაატყვეს ქართულ სამხედრო საქმეს, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს. მიუხედავად იმისა, რომ ცხენოსანთა შოკური შეტევა კვლავ რჩება ქართველთა უმთავრეს ტაქტიკურ იარაღად, შეიარაღებაში ჩნდება მშვილდი, რომელიც თავის მნიშვნელობას XVIII საუკუნემდე ინარჩუნებს. ამავე პერიოდში მკვიდრდება ჯაჭვის აბჯრის გამაძლიერებელი სამკერდე ფირფიტები – პოლოტიკები; ბატონდება მოხრილი ხმალი და ფარიკაობის სწრაფი მანერა, შემოდის ცხენზე ჯდომის აზიური მანერა მოკლე უზანგითა და მოხრილი ფეხით (*la jineta*), რაც პირველ რიგში, მოხრილი ხმლის გამოყენების აუცილებლობით იყო ნაკარნახები: გრძელი უზანგის დროს შეუძლებელია უზანგზე დამდგარმა ცხენიდან მაღლა წამოი-

---

[32] ადრეული ცხენოსნის უზანგის ღვედები უნაგირის შუიდან ეშვება, ფეხები ნახევრად მოხრილია და ცხენის მუცელზეა მიჭერილი; უზანგები ძირითადად მსუბუქი და მომრგვალებულია; XI საუკუნიდან უნაგირის კოტები დიდდება, წინა ფარავს მხედრის შუაწელს, უზანგის ღვედები წინა კოტასთან გადადის, მხედრის ფეხის წვერები ცხენის მკერდის ხაზზეა და უფრო მეტად ეყრდნობა უზანგს. ამან კი, უზანგებზე წამოდგომის ხარჯზე, იარაღის გამოყენების არე გაზარდა. Кирпичников, "Снаряжение всадника и верхового коня на Руси IX-XIII вв.," 37-8. ქართულ უნაგირებზეც უზანგის ღვედი წინაა გადმოწეული, რისი უამრავი გამოსახულება მოგვეპოვება. ასეთია, თუნდაც, XI საუკუნის დასაწყისში გამოკვეთილი ნიკორწმინდის წმინდა მხედრები, რომელთა მასიური უზანგები განიერი ღვედით წინ ემაგრება უნაგირს.

[33] წურწუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები", 336.

[34] ჯ. ჯღამაია, „სამშენებლო კერამიკის ეპიგრაფიკა შუასაუკუნეების საქართველოში", *ფსაძ.* II (1974), 239, ტაბ. II.

[35] ჭილაშვილი, *საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა*, 28, სურ. 23.

[36] გიორგი დუნდუა, ირინე ჯალაღანია, *ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი* (თბილისი, 2009), 45.

წიო და ეფექტურად იფარიკავო.[37] თუმცა, გრძელი უზანგისა და გაშვერილი ფეხის მაგალითები ბოლომდე გვხვდება ქართულ სინამდვილეში.[38] საერთო ჯამში, ეს იყო შუა საუკუნეებში ქართული სამხედრო საქმის მიერ განცდილი ყველაზე რადიკალური ცვლილება, როდესაც რაინდულ-ევროპული ბრძოლის წესი და ტაქტიკა მომთაბარეთა გავლენით ტრანსფორმირდა და მრავალი აზიური ნიშანი შეიძინა.[39]

ამ ხანის ქართველ მებრძოლს ეხურა ჯალალედინის ტიპის მუზარადი, ეცვა გრძელი ჯაჭვი და ლამელარი, ეკეთა პოლოტიკი, ქაფი, ეცვა საბარკული, მოგვი და ჰქონდა მრგვალი ფარი; უპირველეს იარაღად ისევ შუბი რჩებოდა, რომლის გარდა ფლობდა მოხრილ ხმალს, ლახტს, მონღოლურ მშვილდსა და ცილინდრულ კაპარჭს; იჯდა შეჯავშნულ ცხენზე.

XIV საუკუნის პირველი ნახევრის ხელმწიფის კარის გარიგებაში ჩამოთვლილია სახელმწიფო არსენალში (ზარადხანაში) დაცული საჭურველი, საიდანაც ნათელია, რომ მშვილდი უკვე დამატებულია სავალდებულო იარაღის ჩამონათვალს: „ჯაჭვი, მუზარადი, ჴმალი, ქაფა, საბარკული, მშულდ-კაპარჭი, ლახტი, შუბი...“[40] დ. ნიკოლიც შენიშნავს მომთაბარულ-მონღოლური ზეგავლენით ქართული მხედრობის ბრძოლის წესის თანდათანობით ტრანსფორმაციას ხელჩართულიდან მშვილდოსნობამდე.[41]

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს 1260-იან წლებში მონღოლებთან ლაშქრად მყოფი სარგის ჯაყელის ჩუბინობის შესახებ: „ხოლო იქმნა ესეცა, რომელ რაზმსა შინა გახლტა შუელი, სადა-იგი სარგის ჯაყელმან, **აბჯარცმულმან**, მოკლა. და მცირედ წარვლეს და მელი მოკლა, იგიცა სარგის, ისრითა. და წაიარეს და ყურდგელი მოკლა. და ამას სამსავე ხედვიდა ულო ყაენი, და დიდად აქო სარგის, და კეთილად უთქმიდა მრავალსა“.[42] აბჯარასხმული

---

[37] Prestwich, "*Miles in Armis Strenuus*: The Knight at War," 205-6.

[38] გრძელი და სამკუთხა უზანგი აქვს წმ. გიორგის მინანქრის შესანიშნავ ხატზე (XV ს.); XVII საუკუნის „ლექსად თქმული წმ. გიორგის ცხოვრების“ მინიატურებზე გამოსახულ წმინდანი ცხენზე გამართული ფეხით და გრძელი უზანგით არის გამოსახული. *საეკლესიო მოხატული ხელნაწერი წიგნები*, 77-8, 81-2, სურ. 8.13, 8.15. ამავე საუკუნეში რუსული ელჩობის მოხსენებაში ვკითხულობთ, რომ ქართველები – "А на лошедях сидят с полской стать, во все путлище." *ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა*, 263. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში ცხენებზე ისხდნენ ევროპულ (პოლონურ) ყაიდაზე, როდესაც უზანგის ღვედი სრულად იყო დაჭიმული.

[39] ა. კირპიჩნიკოვი მიუთითებს, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპას შორის ბრძოლის ტექნიკაში განსხვავება XIV-XV საუკუნეებში ხდება მნიშვნელოვანი. Кирпичников, "Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.," 74. მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის მსგავსად, საქართველოშიც ძირითადი საბრძოლო ერთეული მძიმედ შეჭურვილი შუბოსანი მხედარია. კირპიჩნიკოვის კვალდაკვალ (იქვე, 77), ქართული სამხედრო საქმის შესწავლის შემდეგ შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ შუა საუკუნეების ქართველი მუდამ იბრძოდა როგორც ევროპელი რაინდი, მაშინაც კი, როდესაც ევროპაში ამას უკვე აღარ აკეთებდნენ.

[40] „გარიგება ჴელმწიფის კარისა“, 87.

[41] Nicolle, *Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350: Islam, Eastern Europe and Asia*, 79.

[42] ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 133.

სარგისის მიერ ცხენიდან ისრის უცდომელად სროლა ქართველი მემატიანის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს,[43] რაც იმის მანიშნებელია, რომ ბრძოლის ეს ხერხი შედარებით ახალი დამკვიდრებულია ქართულ სინამდვილეში.

ამავე ლაშქრობაში, მონღოლთა შინაომისას ვხვდებით მატიანეში აღწერილ იშვიათ შემთხვევას, როდესაც ქართველი (დავით VII) ბრძოლაში მშვილდს იყენებს, ისიც მონღოლების გვერდზე და ბრძოლის დასაწყისში, სანამ ქართველები შეტევაზე გადავიდოდნენ: „მაშინ დაეახლნეს სპანი ორნივე ურთიერთას, და გამოჩნდა კაცი ერთი სახელოვანი მათ შორის, რომელი წარმოევლინა დიდსა ყაენსა ბერქას, რამეთუ ყაენი არა წარმოსრულ იყო. ესე მოეახლა მეფესა დავითს, რომლისათჳს დიდად შეწუხნეს სპანი მეფისანი, რამეთუ იყო კაცი ესე დიდი და მაგრიად და უცთომლად მოისარი. ხოლო **მეფემან აღმოიღო მშულდი ქარქაშით, და ჰკრა ცხენსა მისსა მკერდსა, და დაასო** და გულსა განვლო. ხოლო ქართველთა განმხიარულებულთა აღიზახნეს და მიეტევნეს".[44] XIII საუკუნეში მარკო პოლო შენიშნავს, რომ ქართველები „ომში მამაცი და კარგი მოისარი" ხალხია.[45]

XIV საუკუნის ქართველთა ბრძოლის სტილი ასახული ოღუზურ ეპოსში, სადაც აღწერილია ამ საუკუნეში საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან ქართველთა და მომთაბარე თურქ ტომებთან შეტაკებები.[46] „ქორქუთის წიგნის" მიხედვით ქართველთა შეიარაღებაა მუზარადი, გრძელი შუბი (მათ შორის ბამბუკის), ხმალი, კაპარჭი (ანუ მშვილდ-ისარი), ექვსფრთიანი ლახტი;[47] ბრძოლის დროს ქართველები ისრებსაც იყენებენ.[48]

მიუხედავად შეიარაღებაში მშვილდის დანერგვისა, ეს არ ნიშნავს, რომ ქართველებმა ისრით სროლისა და ბრძოლის ის ტაქტიკა აითვისეს, რომელსაც მონღოლები (და ზოგადად, მომთაბარეები) ფლობდნენ და რაც გულისხმობდა მოწინააღმდეგის მოქანცვას მუდმივი საცეცხლე ზემოქმედებით, მასთან მიახლოებას, ისრებით დაცხრილვას, უკან შემოქცევას და

---

[43] ს. მარგიშვილი რატომღაც თვლიდა, რომ მძიმედ აღჭურვილი მებრძოლი მშვილდს ვერ მოიხმარდა და ის „მძიმე შეიარაღებასთან შეუთავსებელი საბრძოლო ელემენტი" იყო, რის გამოც მკვლევარი ხელმწიფის კარის გარიგების პირდაპირ ჩვენებასაც კი უგულებელყოფს და ქართველი მძიმე ცხენოსნის აღჭურვილობიდან მშვილდი აქვს „ამოღებული" (sic). მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 187, 330. მძიმე აბჯარი რომ ცხენოსანს მშვილდის სროლაში ხელს არ უშლიდა, ამას სარგის ჯაყელის ეპიზოდიც მოწმობს, ხოლო მძიმედ აღჭურვილი მხედრობის მიერ მშვილდის სწორუპოვრად გამოყენების ერთ-ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) საუკეთესო მაგალითი მამლუქთა კავალერიაა.

[44] იქვე, 134.

[45] მარკო პოლო, *ქვეყნიერების მრავალფეროვნებისათვის*, თარგმანი იტალიურიდან, შესავალი სტატია და კომენტარები ნოდარ ლადარიასი (თბილისი, 2007), 12.

[46] ლია ჩლაიძე, „ვინ შეიძლება იყოს „ქორქუთის წიგნის" შუქლი მეფე", *მნათობი*, 5-6 (2004), 155.

[47] *დედე ქორქუთის წიგნი*, ოღუზურიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ელიზბარ ჯაველიძემ და გიორგი შაყულაშვილმა (თბილისი, 1987), 47-8, 149.

[48] იქვე, 48, 93.

შემდეგ თავიდან შეტევას. საფიქრებელია, რომ ქართველები იყენებდნენ ისრის სროლის იმ მეთოდს, რომელსაც „ისრის წვიმა" ეწოდება და რომელსაც, თავის დროზე, იყენებდნენ სასანელები, შემდეგ კი აბასიანი, სელჩუკი და ეგვიპტელი მამლუქები.[49] „ისრის წვიმის" დროს ადგილზე იდგნენ და კონკრეტულ სამიზნეს კი არ უმიზნებდნენ, არამედ მოწინააღმდეგის მასისაკენ მიმართული სწრაფი სროლით[50] „მკვდარ ზონებს" ქმნიდნენ ბრძოლის ველზე. ასეთი სროლა ნაკლებ მსხვერპლს იწვევდა, მაგრამ დიდ გავლენას ახდენდა მოწინააღმდეგის მორალსა და ცხენებზე,[51] მომქანცველ მომთაბარულ ტაქტიკასთან შედარებით ცხენების ნაკლებ რიცხვს საჭიროებდა, ნაკლებად ღლიდა მსროლელს და იძლეოდა მძიმე აბჯრის გამოყენების საშუალებას.[52] ასეთი ვარაუდის უფლებას გვაძლევს ქართველთა ცილინდრული კაპარჭები, რომლებიც სწრაფი სროლისათვის იყო გამიზნული[53] და ისიც, რომ ქართველი ცხენოსნის ზოგიერთი ვარჯიში მამლუქთა მზადებას ჰგავდა და, ალბათ, მათგან იყო გადმოღებული: ასეთია ყაბახი, რომლის დროსაც ისრის სროლაში ვარჯიშობდნენ. მართალია, ყაბახი მოძრაობისას სროლის უნარს ავითარებს, მაგრამ ეს ახლო მანძილზე ხდებოდა და არაფერი აქვს საერთო მომთაბარეთა მომქანცველ ტაქტიკასთან.[54] მიუხედავად იმისა, რომ ყაბახის დროს ისარს ჭენებისას ისროდნენ, ასეთ ვარჯიშს ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა და როგორც მამლუქებთან, მას ტაქტიკური მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.[55]

III პერიოდი (XIV საუკუნის II ნახევარი – XVI საუკუნის I ნახევარი)

XIV საუკუნის II ნახევრიდან იწყება დიდი ცვლილებები შეიარაღებაში, რომელიც მიმდინარეობს თავდაცვითი აღჭურვილობის გაძლიერების ნიშნით. ამ დროს ჩნდება სხეულის ცალკეული ნაწილების ფირფიტოვანი დაცვა, როგორიცაა სამუხლე, საწვივე, სამკლავე. XV საუკუნეში იცვლება საისრე კაპარჭის ფორმა: ცილინდრულის ნაცვლად ტყავის ბრტყელი აბგა მკვიდრდება.

---

[49] John Masson Smith, "Mongol Society and Military in the Middle East: Antecedents and Adaptations," in *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*, ed. by Yaacov Lev (Leiden, 1997), 256, n32.

[50] სრულად განვრთნილ მამლუქს პირველი ხუთი ისარი 2,5 წამში უნდა ესროლა. Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom*, 187. ასეთ სისწრაფეს ქვეითი მამლუქისაგან ითხოვდნენ, თუმცა ცხენზე უძრავად მჯდომსაც არ ექნებოდა ბევრად უარესი შედეგი. Smith, "Mongol Society and Military in the Middle East," 257. თითქოს ასეთ ტექნიკასთან გვაქვს საქმე, როდესაც ზემოთ აღწერილ ეპიზოდში დავით VII დგას და მოახლოებულ მტერს ესვრის. სამწუხაროდ, ეს ერთი იზოლირებული მაგალითი განზოგადების საშუალებას არ იძლევა.

[51] Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 187.

[52] David Nicolle, *Fighting for the Faith: The Many Fronts of Medieval Crusade and Jihad 1000-1500 AD* (Barnsley, 2007), 35. ეს იყო მძლავრი იარაღი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მამლუქების მიერ მოგებულ ბრძოლებში ღაზასთან (1244), აინ ჯალუთთან (1260), ჰომსთან (1281) და შაქაბთან (1303). Nicolle, *Saladin and the Saracens*, 39; მისივე, *The Mamluks 1250-1517*, 14.

[53] სწრაფად სროლაზე ვრცლად იხ. Smith, "Mongol Society and Military in the Middle East," 256-8.

[54] Nicolle, *Saladin and the Saracens*, 39.

[55] Smith, "Mongol Society and Military in the Middle East," 257.

ამ პერიოდის ქართველი მეომარი აღჭურვილია ვაველის ტიპის სფერო-კონუსური მუზარადით, ტანზე აცვია ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯარი და ლამინარი, სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მორგებული აქვს საბარკული საყირმუზით, ლითონის ფირფიტოვანი წვივსაფარი, ქაფი და სამკლავე, ფეხზე მოგვი აცვია და მრგვალ ფარს ხმარობს. შეტევითი იარაღი წარმოდგენილია შუბით, მოხრილი ხმლით, მშვილდ-კაპარჭითა და ლახტით; ზის ჯაჭვ-ფირფიტოვანი აბჯრით შეჯავშნულ ცხენზე.

XIV საუკუნის მეორე ნახევრის შეიარაღების შესახებ უმდიდრეს ინფორმაციას გვაწვდის H1665 დავითნი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის გვიჩვენებს მონღოლურ-ნომადური გავლენით ტრანსფორმირებულ ქართულ მხედრობას, რომელიც ინარჩუნებს რა ცხენოსანთა შოკური შეტევისა და წაგრძელებული შუბით ბრძოლის სტილს, ამავე დროს, სხვა მეთოდითაც იყენებს შუბს. საინტერესოა, რომ დავითნის მინიატურებში მხედრებს შუბთან ერთად მშვილდ-კაპარჭიც ჰკიდიათ, მაგრამ მინიატურებში ერთხელაც (!) კი არ არის ბრძოლისას მშვილდის გამოყენება ნაჩვენები. რაინდული პერიოდის გრძელი უზანგისაგან განსხვავებით, დავითნის მინიატურებში ჩანს დამოკლებული უზანგი. მინიატურებზე გამოსახული დიდი და მძიმე ხმლები ყოველთვის მცირედ განხრილი, ღარიანი და წვერწამახულია.

H1665 დავითნის მინიატურებზე ერთი უცნაურობა შეინიშნება: მხედრები ყოველთვის უფაროდაა გამოსახული, მაშინ როდესაც ქვეითები ფარებით არიან აღჭურვილნი. ლ. შერვაშიძემ შენიშნა, რომ ფეხოსანთაგან განსხვავებით ცხენოსნები ფარს არ ფლობენ, სამაგიეროდ მათ დამატებით გააჩნიათ სამკლავე, წვივსაფარი, სამუხლე. ეს კანონზომიერება H1665 და H75 დავითნის ყველა მინიატურაში შეიმჩნევა.[56] ამ მოვლენის ახსნაში უცხოური პარალელები დაგვეხმარება. XIV საუკუნიდან დაწყებული, ფირფიტოვანი აბჯრის გავრცელებამ დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში ფარი დრომოჭმული გახადა. XV საუკუნეში რაინდი ბრძოლაში უკვე აღარ ატარებდა ფარს.[57] როგორც ჩანს, საქართველოშიც შეიარაღების დამძიმებამ და დაცვის ახალი ელემენტების გამოჩენამ – აბჯარს, მუზარადს, საბარკულს დაემატა სამკლავე, სამუხლე და საწვივე – პირველ ხანებში ფარის უგულებელყოფაც კი გამოიწვია.[58] ყოველ შემთხვევაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში (XIV საუკუნეში) საქართველოში ეს ტენდენცია შეინიშნება. ისიც აღსანიშნავია, რომ პოლონელ, რუს და ლიტველ ცხენოსანთა ისრის სეტყვაში მოხვედრილი

---

[56] ლ. შერვაშიძე აღნიშნავს, რომ ცხენოსანთა უფარობა ეწინააღმდეგება შემდგომი ხანის მხატვრულსა და წერილობით მონაცემებს ქართული შეიარაღების შესახებ, თუმცა ამ შეუსაბამობის ახსნას ვერ უძებნის. Шервашидзе, *К вопросу о средневековой грузинской светской миниатюре*, 63.

[57] Clements, "Wielding the Weapons of War," 464-5; Nickel, "The Tournament: An Historical Sketch," 220.

[58] შუა საუკუნეების ყირგიზი მეომრის აღჭურვილობის შესწავლის შემდეგ ასეთივე დასკვნამდე მივიდა ი. ხუდიაკოვი. Худяков, *Вооружение Енисейских Кыргызов VI-XII вв.*, 133-4.

ტევტონი რაინდები იძულებულნი არიან ფარებს დაუბრუნდნენ.[59] როგორც შემდგომი პერიოდის მასალა გვაჩვენებს, აბჯრის გაძლიერებით გათამამებული ქართველებიც ცოტა ხანში ისევ ფარს უბრუნდებიან, რაც გასაკვირი არ არის იმის გავითვალისწინებით, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენიც მშვენივრად ფლობდნენ მშვილდ-ისარს.

ამ ეპოქის ბრძოლებში დასაბამს იღებს ერთი მოვლენა, რომელსაც სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ მემატიანეები და რაც გამოიხატება ბრძოლის პროცესში ყოველგვარი იარაღის შემუსვრა-დამტვრევაში. 1483 წელს არადეთთან, მესხებისა და ქართლელების ბრძოლაში „იქმნა ეგრეთი ომი, რომე ყოველივე საჭურველები და საომარი იარაღები დაამტვრივეს".[60] „ქართლის ცხოვრებაში" ასეთი ადგილები მრავლადაა: თემურ-ლენგთან ბრძოლაში „სპანი ქართველთანი ფრიად დამაშურალ იყვნეს და დაელეწნეს აბჯარნი საომარენი" და „არცაღა იარაღი შერჩომოდათ, არცაღა ცხენთა მათთა ძალედვა სრბა".[61] 1545 წელს სოხოისტასთან ოსმალებთან ბრძოლაში მემატიანე ქართველთა დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს იმას, რომ „შემუსრეს ყოველივე საჭურველი და საომარი ქართველთა, და არღარა ჰქონდათ საბრძოლველი და დამარცხდა ჯარი საქართველოსი".[62] 1556 წელს გარისთან „შუბი გატეხილი ჰქონდა მეფესა ლუარსაბს და ყოველი საბრძოლო იარაღი დაემტვრია".[63] 1625 წელს მარაბდასთან „ბატონმან თეიმურაზ დაამტურია ყოველი საბრძოლი იარაღი და აღარა შერჩომოდა რა და ბეჭდებიცა დაემტურია კაცზედა".[64] 1569 წელს ფარცხისთან ქართველები იყვნენ „დამაშურალნი ფრიად სიფიცხლისაგან ომთასა, იარაღი არღარა აქუნდათ, ყოველივე შეემუსრათ".[65] თუკი ბრძოლაში შუბის, თუნდაც რამდენიმეს, გატეხა ჩვეულებრივი საქმეა, შუბთან ერთად ხმლის, ლახტისა და სხვა საბრძოლო საშუალებების შემუსვრა ბრძოლის სიმძაფრესთან ერთად შემდეგი დასკვნების გამოტანის საფუძველს გვაძლევს: პირველ ყოვლისა, ის რომ უსაჭურველოდ ბრძოლაში დარჩენა მხოლოდ ხელჩართულზე ორიენტირებულ ჯარს შეეძლო (ცხადია, რომ მშვილდოსნები იარაღს ვერ „შემუსრავდნენ"); მეორეც, ასეთი ფაქტები ძირითადად XV საუკუნიდან გვხვდება, რაც თავდაცვითი აღჭურვილობის გაძლიერებასა და მასში ფირფიტოვანი ელემენტების მზარდ წილზე მიანიშნებს.

მიუხედავად საქართველოს ძნელბედობისა XV-XVI საუკუნეებში, მისი მებრძოლები შეიარაღების ნაკლებობას არ განიცდიდნენ. XVI საუკუნის და-

---

[59] Nickel, "The Mutual Influence of Europe and Asia in the Field of Arms and Armour," 116.

[60] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 347.

[61] *ქართლის ცხოვრება*, II, 458-9.

[62] ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება", 358.

[63] იქვე, 366.

[64] იქვე, 408.

[65] *ქართლის ცხოვრება*, II, 514.

საწყისში ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ერთი კუთხის (სვანეთის) წარმომადგენლები 300 (!) კარგი ხარისხის ჯაჭვის აბჯარს იხდიან ჯაფარიძეთა სისხლის სანაცვლოდ და ეს მაშინ, როდესაც 100 ცალი ჯაჭვი უკვე გადახდილი ჰქონდათ ტყვეთა გასათავისუფლებლად. ეს ფაქტი ქვეყანაში არსებულ საჭურვლის სიუხვეზე მეტყველებს.[66]

ეპოქის თავდაცვითი აღჭურვილობის სიკეთე კარგად ჩანს 1478 წლის ერთი საბუთიდან, სადაც ავთანდილ ზედგინიძე ბრძოლაში მეფე გიორგი VIII-ის გადარჩენის ამბავს მოგვითხრობს: „ოცდაოთხი [შუბი] და ისარი და ჴრმალი მესო, ისეთმან წამოვიყვანე" გიორგი მეფე ომიდანო.[67] ზედმეტია იმ აბჯრის ხარისხზე ვილაპარაკოთ, რომელმაც 24 დარტყმას გაუძლო.

IV პერიოდი (XVI საუკუნის II ნახევარი – XVII საუკუნე)

XVII საუკუნეში ფეოდალური ეპოქის ქართული მოლაშქრის შეიარაღების კომპლექსი საბოლოო სახით ყალიბდება. ამ პერიოდის ქართულ შეიარაღებაზე დიდ გავლენას ახდენს მისი მეზობლების, ირანისა და ოსმალეთის სამხედრო საქმე. მებრძოლის აღჭურვილობას ემატება ლითონის ფირფიტოვანი კირასა – ჩარ-აინა, ჩნდება ლითონის ფარი და კალკანი და უვადო ხმალი. XVI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ფეხს იკიდებს ცეცხლსასროლი იარაღი: რუსი ელჩების ზვენიგოროდსკისა და ანტონოვის მოხსენების თანახმად, 1590 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1574-1605) ხუთასკაციანი თოფოსანთა რაზმი ჰყავდა.[68] თუმცა, XVII საუკუნის ბოლომდე საქართველოში ნაკლებეფექტური პატრუქიანი თოფია გავრცელებული, რის გამოც საბრძოლო მოქმედებებში ცეცხლსასროლი იარაღის როლი მცირეა და ის არც შედის ქართველი მხედრის შეიარაღებაში.

XVII საუკუნეში ყველაზე კარგად აღჭურვილ ქართველ მეომარს ეხურა კასტელისა და თავაქარაშვილისეული მუზარადი, ეცვა გრძელი ჯაჭვი, რომელსაც ჩარ-აინა აძლიერებდა, ეკეთა ჯაჭვის ან ჯაჭვ-ფირფიტოვანი საბარკული და სამკლავე, ეცვა მოგვი და იყენებდა კალკანს ან ლითონის მრგვალ ფარს. ის იბრძოდა შუბით, ქართული, ირანული ან ინდური მოხრილი ხმლით, ლახტით, თურქულ-ირანული მშვილდითა და ბრტყელი კაპარჭით. ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებასთან ერთად ცხენის აბჯარი სულ უფრო კარგავს აზრს და ქსოვილის ქეჯიმით ან გავაზე გადაფარებული ცხოველის ტყავით იცვლება.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ძირითადი და ყველაზე მძიმე შეიარაღების ჩამონათვალია, რომლის მრავალგვარი და უფრო მსუბუქი ვარიანტებიც არსებობდა. S1580 „როსტომიანის" 489r მინიატურაზე შესანიშნავადაა შეს-

---

[66] იხ. 1503 წლის საბუთი „წიგნი ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადახდაზე". *სვანეთის წერილობითი ძეგლები*, ტ. I, 113-5.

[67] *ქართული ისტორიული საბუთები: XV საუკუნის მეორე ნახევარი*, ტ. III, 231.

[68] *Сношения России с Кавказом*, 171.

სურ. 277
XVII ს. მხედარი დამახასიათებელი აღჭურვილობით. S1580 „როსტომიანის“ 489r მინიატურა. დეტალი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

რულებული მხედარი, რომელსაც ხურავს მუზარადი, აქვს სამკლავეები და ჯაჭვ-ფირფიტოვანი საბარკულიც, მაგრამ მხოლოდ მოკლემკლავიანი ჯაჭვი აცვია და არ მოსავს ჩარ-აინა (სურ. 277).

რუსუდანიანში“ ჩამოთვლილია ძირითადი „საომარი იარაღი – ჯაჭვი, ჯავშანი, ხმალი, ლახტი, ზუჩი, ხელნავი და ყოველი საჭურველი“.[69] ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი ქართული შეიარაღება კი უფრო ვრცელი და მრავალფეროვანია: „საომარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფთანი,

[69] *რუსუდანიანი*, 323.

პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ჴმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშულდისარნი".[70] „შაჰნავაზიანში" იარაღის ასხმის პროცესში მოცემული სახეობები ძირითადად ემთხვევა ორივე ჩამონათვალს:

„მოირთო **ჯაჭვი**, **ჯავშანი**, ვითა ლომგულთა წესია;
მუზარადი და **ხუფთანი**, კლდისაგანც უმაგრესია;
საბარკული და **ზარადი**, ერთმანეთს უკეთესია;
საკუეთრად **ჴმალი** და **ხიშტი**, სამსალად მოულესია".[71]

საყურადღებოა, რომ „რუსუდანიანიცა" და „შაჰნავაზიანიც" ერთმანეთის გვერდზე ასახელებს *ჯაჭვსა* და *ჯავშანს*, რომლებიც აშკარად სხვადასხვა დაცვითი საშუალებებია. „შაჰნავაზიანში" ასეთი ადგილები კიდევ გვხვდება: „ეცვა **ჯაჭუი** და **ჯავშანი**, ცხენსა ჯდა ომთა ჩუეული"; „**ჯაჭუი** აცუიათ, **ჯავშანი**, რკინაში გამოთლილია".[72] ცხადია, აქ ჯავშანი ჩარ-აინას შეესაბამება, რომელსაც ჯაჭვის პერანგზე იცმევდნენ, მით უმეტეს, რომ „რკინაში გამოთლილი ჯავშანი" ცალსახად მიუთითებს ჩარ-აინას რკინის ფიფიტებზე.

უცნობი ავტორის მიერ 1696 წელს დახატული ბატონიშვილ ალექსანდრე არჩილის ძის პორტრეტი წარმოგვიდგენს აღჭურვილობას, რომელსაც XVII საუკუნის ბოლოს ქართველი დიდგვაროვანი ატარებდა:[73] ალექსანდრეს აცვია საყელოიანი, გრძელმკლავებიანი ჯაჭვი, უკეთია ორნამენტული სამკლავეები მტევნის დასაცავი ნითელი ხავერდის სარჩულიანი ჯაჭვის თათმანით, ჯაჭვზე აცვია მდიდრულად მოზარნიშებული ჩარ-აინა. ბატონიშვილს წელზე ჰკიდია ინდური ხმალი ტალვარი, რომლის ცნობაც დამახასიათებელი ტარით არის შესაძლებელი,[74] სარტყელში კი ოსმალური ხანჯალი აქვს გაყრილი. (სურ. 120)

ალექსანდრეს აღჭურვილობა ადგილობრივი და აღმოსავლური (ირანულ-ინდური) იარაღის ნაზავია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქართული შეიარაღების კომპლექსში უცხოური ელემენტებიც თვალსაჩინო როლს თამაშობ-

---

[70] ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". 18.

[71] ფეშანგი, *შაჰნავაზიანი*, 140-1.

[72] იქვე, 141, 182.

[73] *საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურიდან* (თბილისი, 2012), 133.

[74] ინდური ფოლადისაგან დამზადებული ხმლები განთქმული იყო შუა საუკუნეებში. არაბი გეოგრაფი ალ-იდრისი XII საუკუნეში ქებას ასხამს და საუკეთესოდ მიიჩნევს ინდურ ხმლებს. Alexander, "Swords and Sabers During the Early Islamic Period," 204. XVII-XVIII სს. ინდური ხმლებისა და ხანჯლების ანალიზისას ა. უილიამსი დარწმუნდა, რომ ისინი ფოლადის ხარისხით ბევრად აღემატებოდნენ თანადროულ მასობრივ ევროპულ იარაღს, თუმცა მათი გამოჭედვა ბევრად ძვირი ჯდებოდა. Alan Williams and David Edge, "The Metallurgy of Some Indian Swords from the Arsenal of Hyderabad and Elsewhere," *Gladius*, XXVII (2007), 155. ხარისხიანმა ინდურმა ხმალმა ქართულ ყოფასა და ნაწარმოებებშიც შეაღწია. „ომაინიანში" ხაზგასმითაა აღნიშნული ინდოეთის ფოლადისაგან დამზადებული ხმლები: „ინდოურნი ფოლადნი ხრმალნი დაიწვადნეს და ერთმანერთსა დაუშინეს..." ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 104.

და. საუკეთესო ხარისხის იარაღი დიდი მოცულობით შემოდიოდა ირანიდან. ომის, საჩუქრისა თუ სხვა გზით ქართველთა ხელში ხშირად ხვდებოდა განთქმული ირანული ხმლებიც. XVII საუკუნეში თურქი მემატიანე აბდულ აზიზი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ 1625 წელს ქართველებმა ხელში ჩაიგდეს მრავალი „ირანული მჭრელი ხმალი".[75] აღმოსავლურის გარდა, საქართველოში ევროპული იარაღიც შემოდიოდა.[76] ევროპული იარაღის შემოსვლა დასტურდება კასტელის ალბომში გამოსახული ლევან დადიანის მუზარადით, რომელიც ღია, ფართოფარფლებიანი *მორიონის* ტიპის მუზარადია.[77] განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო ევროპულ ხმლის პირებზე,[78] რომლებსაც შემდეგ მთელ კავკასიაში ადგილობრივ ტარს არგებდნენ და მსგავსი პირის გამოჭედვისას, ევროპული დამღების იმიტაციასასაც ეწეოდნენ.[79] ხევსურეთში ევროპული წარმოშობის ხმლები („დავითფერული", „ფრანგული") მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა და მათ „ჯიშიან" ხმალთა კატეგორიას აკუთვნებდნენ. ადგილობრივი, კავკასიური ხმლები („ლეკური", „ჭარული") კი „უჯიშო" ხმლების რიგს მიეკუთვნებოდა და გაცილებით იაფი (3 ძროხა) ღირდა.[80] ევროპული იარაღის ხსენებას, რომელსაც ზოგადად ფრანგულს უწოდებდნენ, ხშირად ვხვდებით ხალხურ პოეზიაში: „ხმალმა თქვა ფრანგეთს ნაჭედმა, ფრანგმა ფრანგეთში გამჭედა"; „ფრანგში ოსტატმა დამჭედა"; „ხმალო ფრანგისა ნაჭედო".[81] განსაკუთებით ხშირია „ფრანგული" ხმლის ხსენება XVII საუკუნეში, როდესაც ის, ინდური ხმლის მსგავსად, უკვე ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება: „ფრანგულმა შექნა ბრიალი", „მაღლა არტყია ფრანგული";[82] „ხმალი თქვენი, ფრანგული".[83]

მეტად დამახასიათებელია XVII საუკუნეში როსტომ მეფის მიერ რუსეთის

---

[75] გიული ალასანია, „აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ", *საისტორიო კრებული*, VI (1976), 105.

[76] ლ. შერვაშიძეც აღნიშნავს XVI საუკუნეში საქართველოში, დიპლომატიური თუ სავაჭრო გზით, ევროპული იარაღის ინფილტრაციას. ლ. შერვაშიძე, „XVI საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მინიატურების თავისებურებათა შესახებ", *სმამ*, ტ. 22, №3 (1959), 379.

[77] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, სურ. 39.

[78] კ. რივკინის დაკვირვებით, XVII და XVIII ს. დასაწყისის ქართულ ხმლებს S-ფორმის ვადა და ლომის თუ ცხოველისთავიანი ქუდი აქვს. ასეთი ხმლებითაა გამოსახული კასტელის ალბომში ალექსანდრე იმერთა მეფე და როსტომ ქართლის მეფე. ასეთივე ხმალია გამოსახული ქართლ-კახეთის სამეფო ბეჭედზე. S-ფორმის ვადა ტიპური ევროპული ნიშანია. Rivkin, *Arms and Armor of Caucasus*, 171-3, fig. 88.

[79] გვიანდელი ხანის (XVIII ს.) ქართული ხმლებისათვის დამახასიათებელი დამღებია: მგლის გამოსახულება, გურდა (წამწამებიანი ორი რკალი) და ჯვრიანი სფერო. Ривкин, Пинчо, *Оружие и военная история Кавказа*, 73.

[80] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 88. ს. მაკალათიას მოწმობით, აქაურ ხმლებში ყველაზე ძვირფასი დავითფერულია, რომელსაც 25 ძროხად აფასებენ, ფრანგული 10-12 ძროხა ღირს, გორდა – 4-5 ძროხა. მაკალათია, *ხევსურეთი*, 147.

[81] გასიტაშვილი, „ხევსურული აბჯარი", 88.

[82] იესე ტლაშაძე, *ბაქარიანი*, 22, 33.

[83] არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა", 12.

ხელმწიფისათვის გაგზავნილი საჩუქრების ჩამონათვალი,[84] სადაც ვხვდებით ძვირფას, ოქროთი მორთულ ნივთებს, როგორიცაა ინდური მშვილდი და მისი ბუდე, ლახტი, ესპანური სატევარი და საბრძოლო ნაჯახი, თავრიზული თოფი, კონსტანტინოპოლური თოქალთო და ცხენის გადასაფარებლები, ასევე, ოთხი ბედაური.[85] როგორც ამ სიიდან ჩანს, საქართველოში მრავალ ქვეყანაში წარმოებული იარაღი და აღჭურვილობა ხვდებოდა.

უკლებლივ ყველა წერილობითი წყარო, რომელიც XVI-XVII საუკუნეების ქართველი მებრძოლის შეიარაღებას აღწერს, ადასტურებს რომ ისინი კარგად იყვნენ აღჭურვილნი. ქართული წყაროებისათვის ჩვეული იყო სრულად შეჭურვილი მეომრის მოხსენიება: „ესრე შეჭედილი არის, რომე არცა თუნდა ფრჩხილი უჩანს"; „კაცი და ცხენი შავი რკინითა ესე შეჭედილი იყვნეს, რომ ბეწვი კაცს არ უჩნდა".[86] კასტელი ქართველებზე წერს, რომ „თითქმის მთელი ხალხი განწყობილია იარაღისადმი".[87] XVI საუკუნის ბოლოს ქართლსა და კახეთში კარგად შეიარაღებული, შეჯავშნული („ჯავშნოსანი") ჯარის ყოფნას ჰასან რუმლუც ადასტურებს: „ლუარსაბის შვილი დავით-ბეგი ... ჯავშნოსანი მეომრების რაზმით თავისი ძმის წინააღმდეგ ქალაქიდან გამოვიდა"; „ალექსანდრე ჯავშნოსანი ჯარით დაიძრა".[88]

XVII საუკუნეში შარდენი აღწერს დასავლეთ საქართველოს და აღნიშნავს ადგილობრივთა დახელოვნებას შუბით ბრძოლაში: „მეგრელების იარაღია: შუბი, მშვილდ-ისარი, მოუხრელი სწორი ხმალი, კომბალი,[89] ფარი; ცეცხლსასროლ იარაღს ცოტანი თუ ხმარობენ. ისინი კარგი მეომრები და კარგი მხედრები არიან. ძალიან დახელოვნებული არიან შუბის ხმარებაში".[90] მას კვერს უკრავს ლამბერტიც: მეგრელებს „ყოველი იარაღი ისე გამოწყობილი აქვთ, რომ მთავრის პირველსავე ბრძანებისამებრ შეეძლოთ ლაშქრად გასვლა. გარდა ამისა ლოგინში რომ ისვენებენ, მშვილდ-ისარი, ფარ-ხმალი, აბჯარი და სამაჯეები[91] სასთუმალთან უდევთ ხოლმე, რათა საჭიროებისამებრ საბრძოლველად მზად იყვნენ".[92]

1647 წელს ქართულმა ჯარმა და აღჭურვილობამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თურქ მოგზაურ ევლია ჩელებიზე: „სამეგრელოს ჯარებს შევხვდით. მოვიდა სამი ათასამდე ჩაცმულ-დახურული, შეიარაღებული, **თავით-**

---

[84] რუსეთში აღმოსავლური, კერძოდ ირანული, ძვირფასად მორთული იარაღი ძვირად ფასობდა და ფუფუნების საგნად ითვლებოდა. კარლო კუცია, *სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ვაჭრობა, საქალაქო გადასახადები)* (თბილისი, 1966), 50.

[85] ცინცაძე, *ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ*, 34.

[86] ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომაინიანი*, 163, 166-7.

[87] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 88.

[88] *ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ*, 38, 40.

[89] უნდა ეწეროს ლახტი.

[90] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, 119.

[91] უნდა ეწეროს სამკლავე.

[92] დონ არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა*, 83.

ფეხებამდე ცისფერ რკინაში ჩამჯდარი, ხელშუბიანი,[93] ქეჰეილანის ცხენიანი, გველეშაპივით ვაჟკაცი მეგრელი აზნაური, ათასამდე ქვეითი მეთოფე და ქართველი წარჩინებული".[94] ასევე კარგად შეიარაღებულია აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქარიც: „თეიმურაზ-ხანის შვილი სამი ათასი შეიარაღებული, სრულყოფილი, **თავით ფეხებამდე რკინაში ჩამჯდარი** ქართველი ვაჟკაცებით, ორი ათასი ქვეითი ჯარით და მეთოფე ჯარით მოვიდა".[95] ორივე შემთხვევაში აღსანიშნავია დასავლელ და აღმოსავლელ ქართველთა კარგი აბჯარასხმულობა და დაცულობა.

ამავე ეპოქაში კასტელი მკაფიოდ განასხვავებს ქართველების მიერ ბრძოლისას შუბის და ნადირობისას მშვილდ-ისრის გამოყენებას, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ მშვილდი შეიარაღების კომპლექტში შედიოდა, მაგრამ ბრძოლისას ძირითადად შუბს იყენებდნენ: წარჩინებულები „ერთიმეორის წინააღმდეგ შუბებით შეიარაღებულნი თავთავიანთი ყმებით თავს ესხმიან ხოლმე ერთმანეთს".[96] კასტელი მშვილდის გამოყენებას მხოლოდ ნადირობისას აღნიშნავს, თუმცა ხაზს უსვამს მონადირეთა ოსტატობას.[97] ეს ოსტატობა საშუალებას აძლევდა ქართველ მხედარს შესაფერისს ჟამს სათანადოდ გამოეყენებინა მშვილდიც. იოსებ თბილელი მოგვითხრობს ჩასაფრებაზე, როდესაც ქართველებმა ხევში მომწყვდეული ირანელები დახოცეს და სადაც თავად გიორგი სააკაძემ 5 კაპარჭი („ქეში") ისარი დახარჯა:

> „მე ხუთი ქეში ისარი დავლიე მათზე სროლითა,
> გზის ასაქცევი არ ჰქონდათ, ქარჩოხით, არც ისროლითა,
> ამოვსწყვიტეთ და დავჰხოცეთ, ქსანს სისხლი შევასწორითა.
> ალაგს და უადგილოსა კაცი ეყარის გორითა!"[98]

ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე მოგვითხრობს ირანსა და ინდოეთში მყოფი ქართველი მებრძოლების შესახებ, რომელთა მშვილდის ფლობა და მხედრული ოსტატობა განთქმული იყო: „ქართველები ძალიან არიან გაწაფულნი მშვილდ-ისრის სროლაში და ითვლებიან საუკეთესო ჯარისკაცებად მთელს აზიაში. ისინი შეადგენენ სპარსეთის შაჰის კავალერიის დიდ ნაწილს, რომელიც განსაკუთრებული ჯამაგირით ინახავს მათ სამეფო კარზე, ეყრდნობა რა მათ ერთგულებასა და მამაცობას. ზოგიერთი მათგანი დიდ მოლოლსაც ემსახურება".[99]

---

[93] იგულისხმება, რომ ხელთ შუბი ეპყრათ.

[94] *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი"*, 323.

[95] იქვე, 332.

[96] დონ კრისტოფორო დე კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, 57.

[97] იქვე, 57.

[98] იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, 33.

[99] *The Six Voyages of John Baptista Tavernier*, 124.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე მძიმედ შეიარაღებული მხედარი წამყვანი ფიგურაა ქართულ სამხედრო საქმეში, ახლო მანძილზე ხელჩართული ბრძოლა კი ბოლომდე ინარჩუნებს პრიორიტეტს. მძიმედ შეჭურვილი მხედარი კავალერიის, არათუ ძირითადი, არამედ, ერთადერთი სახეობა იყო.[100] რაც შეეხება ქვეით ჯარს, მასში ტრადიციულად გამოიყოფებოდა უფრო მძიმე (შუბოსან-მახვილოსანთა) და მსუბუქი (მშვილდოსანთა) რაზმები.

შეიარაღების კომპლექსისა და მისი ცალკეული კომპონენტების შესწავლამ, იარაღის შედარებითი ანალიზმა და ისტორიულ კონტექსტში განხილვამ მისი სისტემატიზაციისა და ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენის საშუალება მოგვცა. განხილული მასალის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი დასკვნების გაკეთება და ქვეყანაში სამხედრო საქმის განვითარების დონის შეფასება. X-XII საუკუნეებში ქართული სამხედრო ხელოვნება სრულად პასუხობდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ხშირად მოწინავეც იყო რეგიონში. XIII-XV საუკუნეებში, მიუხედავად საქართველოს პოლიტიკური დაცემისა და რღვევისა, ქართველი მებრძოლის აღჭურვილობა და ტაქტიკა ეპოქის მოთხოვნებს შეესაბამებოდა და ქვეყნის მმართველთა შეუთანხმებლობისა და შეცდომების მიუხედავად, არსებობას უნარჩუნებდა მას. XVI-XVII საუკუნეებში საზოგადოებრივი სისტემის დაცემასა და ქვეყნის დაქუცმაცებულობას თან დაერთო ტექნოლოგიური ჩამორჩენა ცეცხლსასროლი იარაღის დარგში. ქართული სამხედრო ორგანიზაცია უკვე ვეღარ პასუხობდა დროის მოთხოვნებს. ასეთი მძიმე მოცემულობის მიუხედავად, ქართულ სახელმწიფოთა მესვეურებს მუდამ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ლაშქრის ელიტას, მძიმედ შეჭურვილ ცხენოსნებს, რომლებიც მეზობელ იმპერიათა საუკეთესო ნაწილებსაც არ უდებდნენ ტოლს.

ყველა ეპოქაში ქართულ სამხედრო საქმეს ახასიათებდა მეზობელი ქვეყნებისა და კულტურების გამოცდილების გათვალისწინება, მოწინავე ტექნოლოგიებისა და უცხო ნოვაციების ათვისება, რამაც, არსებული საზოგადოებრივი წყობის პირობებში და XVI-XVII საუკუნეებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენის შედეგად შექმნილ უმძიმეს ვითარებაშიც კი, საშუალება მისცა ქართულ სახელმწიფოებს ინდუსტრიული ეპოქის დადგომამდე შეენარჩუნებინათ არსებობა.

---

[100] მცდარია მოსაზრება შუა საუკუნეების ქართულ ლაშქარში მსუბუქი ცხენოსანი დანაყოფების არსებობის შესახებ. იხ. მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ*, 190.

დანართი 1

ქართველი მხედრის ტიპური შეიარაღება პერიოდების მიხედვით

იარაღი	X ს. - XIII ს. I მესამედი	XIII ს. II მესამედი – XIV ს. I ნახ.	XIV ს. II ნახ. – XVI ს. I ნახ.	XVI ს. II ნახ. – XVII ს.
მუზარადი	კონუსური; სფეროკონუსური სეგმენტური	სფეროკონუსური მთლიანჭედილი	ეაველის ტიპის	თავაქარაშვილი-კასტელის ტიპის
აბჯარი	გრძელი ჯაჭვი	გრძელი ჯაჭვი და პოლოტიკი	ჯაჭვ-ფირფიტოვანი	გრძელი ჯაჭვი
დამატებითი აბჯარი	ქერცლოვანი; ლამელარი	ლამელარი	ლამინარი	ჩარ-აინა
სხეულის ქვედა ნანილის დამცავი	კრემასმატა	კრემასმატა	–	–
საბარკული	ჯაჭვის	ჯაჭვის	ჯაჭვის; ჯაჭვ-ფირფიტოვანი	ჯაჭვის; ჯაჭვ-ფირფიტოვანი
მუხლის დამცავი	–	–	საყირმუზა	საყირმუზა
ნვიეის დამცავი	ხალკოტუბა	–	სანვიეე	–
ფეხსაცმელი	მოგვი; ტოლაღები	მოგვი	მოგვი	მოგვი
სხეულის ზედა ნანილის დამცავი	–	ჯაჭვის გულსაფარი	ჯაჭვის გულსაფარი	ჯაჭვის გულსაფარი
მხრის დამცავი	ქაფი	ქაფი	ქაფი	–
ზედა მკლავის დამცავი	მანიკია	მანიკია	–	–
მკლავის დამცავი	–	–	სამკლავე	სამკლავე
მტევნის დამცავი	–	–	საფუხარი; თათმანი	საფუხარი; თათმანი
ფარი	ნუშისებური; მრგვალი	მრგვალი	მრგვალი	კალკანი; მრგვალი (ლითონის)
ლახვარი	პოროლი	შუბი	შუბი	შუბი
ხმალი	გრძელი მახვილი	მოხრილი ხმალი	მოხრილი ხმალი	მოხრილი ხმალი
ლახტი	–	ფრთიანი ლახტი	ფრთიანი ლახტი	ფრთიანი ლახტი; გურზი
მოკლე იარაღი	სატევარი	სატევარი	ხანჯალი	ქართული ხანჯალი
მშვილდი	–	მონღოლური ტიპის	თურქულ-ირანული ტიპის	თურქულ-ირანული ტიპის
კაპარჭი	–	ცილინდრული	ცილინდრული; ბრტყელი	ბრტყელი
ცხენის აბჯარი	ჯაჭვის; ლამელარული	ჯაჭვის; ლამელარული	ჯაჭვ-ფირფიტოვანი	ქსოვილის ქეჯიმი

დანართი 2



XII საუკუნის ქართველი მოყმე

რეკონსტრუქცია განხორციელებულია ჯრუჭის ოთხთავის (მუზარადი), ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის წმინდა მეომრების (ლამელარი), ნიკორწმინდის რელიეფების (საბარკული, კრინეტი), ლაბეჭინის წმ. გიორგის ხატის (მოგვი), ლანჩვანის საკურთხევლისწინა ჯვრის წმინდა მეომრების (ქაფი), ნაკიფარის წმინდა მეომრების (მანიკია), ვარძიის წმ. გიორგის (ფარი), იფარის წმ. გიორგის (შუბი), მაცხვარიშის წმ. გიორგის (მახვილი, თოქალთო, ნალები) და სეტის წმ. გიორგის (ცხენის აკაზმულობა, რახტი, უზანგი) მიხედვით.

ლექსიკონი

ავშარა – თასმების ერთობლიობა, რომლებიც ცხენს თავზე ეცმება და ლაგამს პირში ამაგრებს.
აკეტონი – აბჯრის ქვეშ ჩასაცმელი დალიანდაგებული სამოსი.
ალებარდი – გრძელტარიანი იარაღი, რომელიც შუბისა და ნაჯახის კომბინაციას წარმოადგენს.
ალმაგი (იალმაგი) – აბჯარზე ჩასაცმელი სამოსელი.
ამილახორი – ამირსპასალარის თანაშემწე (ვეზირი) და საჯინიბოს უფროსი.
ამირსპასალარი – სამხედრო უწყების ხელმძღვანელი ფეოდალურ საქართველოში.
ამირჩქარი – ცენტრალური სამხედრო უწყების მოხელე, რომელიც ამილახორს ემორჩილებოდა და მალემსრბოლთა უფროსი იყო.
ასპარეზობა – სამხედრო ვარჯიშები და თამაშობანი შუა საუკუნეების საქართველოში.
აფთი – ბუნიანი იარაღი გრძელი ტარითა და ფართო, ბრტყელი პირით.
აშფაშაქი – ისრის მიზანში სროლა გაჭენებული ცხენიდან.
აჩხაბერი – ანთროპომორფული ლითონის ნიღაბი, რომელიც მუზარადზე მაგრდებოდა.
აჭიმი – ცხენის საცხვირე თასმა.

ბაზუბანდი – სამკლავე (სპარს).
ბალისტა – დიდი ზომის სტაციონარული მშვილდი.
ბარგისტანი (ქეჯიმი) – ცხენის აბჯარი.
ბებუთი – ბოლოში მცირედ მოხრილი ხანჯალი.
ბილდირგა – ხელზე წამოსაცმელი ხმლის თასმა.
ბოძალი – დიდი ზომის ორკაპა ისარი.
ბუკი – დიდი ზომის საყვირი.
ბუნიკი – იარაღის, ქარქაშის ლითონის ბოლო.

გეზი – ისრის ტიპი.
გეონი – ქვეითის შუბი.
გლადიუსი – რომაული მოკლე მახვილი.
გმური – ბრტყელპირიანი და გრძელტარიანი ლახვარი.
გოზა – მშვილდის მხარი.

გორიტი – ხის ბუდე, სადაც საბელგადაცმული მშვილდი და ისრები იყო მოთავსებული.

დასტანა – სამკლავე (ინდ).
დაფდაფი – ხის რკალზე ორი მხრიდან ტყავგადაკრული დასარტყმელი საკრავი.
დაშნა – საბრძოლო დანა, შემდგომ მოკლე ხმალი.
დელამფარი – დიდი ზომის ფარი.
დიბლიგი – შუბის ლითონის ბოლო.

ეკალბურთა – სფეროს ფორმის კოპებიანი ქართული გურზი.
ელმანი – იარაღის წვერი.
ეპილორიკიონი (ეპანოკლიბანიონი) – აბჯარზე ჩასაცმელი ბიზანტიური სამოსი.

ვარმე – აბჯარზე ჩასაცმელი.
ვექსილუმი – ჯვარედინად დამაგრებულ ჯოხზე ვერტიკალურად ჩამოკიდებული დროშა.
ვუცი – ტიგელში გამოდნობილი ინდური ფოლადი.

ზარადი – ზუჩზე დაკიდებული ჯაჭვი, რომელიც მებრძოლის სახეს, კისერსა და ყელს იცავდა.
ზარადხანა – არსენალი.
ზერდაგი – შავ-ყვითელი, ახალთექური ჯიშის ცხენი.
ზოსტერი – ქამარი.
ზუფანი – მოკლე სატყორცნი შუბი.
ზუჩი – მუზარადი.

თალხანი – ხმლის საკიდი თასმის სიგრძის მარეგულირებელი ბალთა.
თამუქი – სამფრთიანი ფართოპირიანი ქართული ისარი, რომლის ამოძრობა მეტად ძნელი იყო.
თარანგი – ქარქაშის სალტე.
თირქაში – ქარქაში.
თორნი – ფირფიტოვანი აბჯარი.
თოქალთო (ასალი, ყაჯარი) – ქსოვილის ან ტყავისაგან დამზადებული უნაგირქვეშა სადები.
თული (ბუნჩუკი) – ცხენის ძუა, რომელიც დროშის თავის ქვეშ ტარზე მაგრდებოდა.

იალოვეცი – მუზარადის წვეტზე დამაგრებული პატარა სამკუთხა ალამი.

იამი – მონღოლური საფოსტო სისტემა, რომლის შემადგენელი სადგურები ერთმანეთს სწრაფმავალი ცხენების საშუალებით უკავშირდებოდნენ.

იატაგანი – ოსმალური ცივი იარაღი ორმაგად განხრილი, ცალლესული პირით და ბოლოში ორად გაყოფილი უვადო ტარით.

იკა – სარტყელი, რომელზეც პაიჭი თასმით მაგრდებოდა.

იურტა – მომთაბარული კარავი, რომლის მოწნული კარკასი თექითაა შემოსილი.

კაბადიონი – დალიანდაგებული ქსოვილის აბჯარი ბიზანტიის არმიაში.

კაზაგანდი (ჰაზაგანდი) – ქსოვილის აბჯარი, რომლის ფენებს შორის ჯაჭვი არის მოთავსებული.

კალდიმი – სწორი ცალპირლესული ქართული მახვილი.

კალკანი – ძაფებით შეკავშირებული დაწნული ფარი ლითონის უმბონით.

კაპარჭი – ისრების ჩასაწყობი ბუდე.

კატაფრაქტი (კლიბანარი) – მძიმედ შეჭურვილი ცხენოსანი, რომელიც შეჯავშნულ ცხენზე იჯდა.

კილო – თაღოვანი ან სამკუთხა ჭრილი მშვილდის ბოლოზე, სადაც საბელის მარყუჟი მაგრდება.

კინენი – ბუნიანი იარაღი.

კიპი – ცერით ისრის მოზიდვის წესი.

კლევეცი – საბრძოლო ჩაქუჩი, რომლის მეორე ბოლოს წერაქვის ფორმა ჰქონდა აბჯრის გასატანად.

კლიბანიონი – ლამელარული ან ქერცლოვანი კონსტრუქციის კირასა.

კნემიდები – საწვივე ბერძნულ-რომაულ სამყაროში.

კოლუკი – სამკლავე (თურქ).

კონრუა (კონსტაბულარია) – რაინდული არმიის მცირე ტაქტიკური ერთეული, სენიორის დროშის ქვეშ მოქმედი ვასალთა რაზმი, რომელიც 10-40 რაინდისაგან შედგებოდა.

კონტუბერნია – ყველაზე დაბალი ორგანიზაციული ერთეული რომაულ არმიაში, რომელიც 8 კაცისაგან შედგებოდა.

კრემასმატა – დალიანდაგებული ქვედატანი, რომელსაც ლითონის ფირფიტებითაც აძლიერებდნენ.

კრინეტი – ცხენის აბჯრის ნაწილი, რომელიც კისერს იცავდა.

კულახუდი – ირანული მუზარადი დაბალი ნახევარსფეროსებური გუმბათით, მოძრავი საცხვირით, ორი ფრთით და წახნაგოვანი წვეტით.

კურტაკი – აბჯარზე ჩასაცმელი.

ლამელარი (ლამელარული აბჯარი) – აბჯარი, რომელშიც ჰორიზონტალურ რიგებად გადაბმული ლითონის ფირფიტები თასმებით არის ვერტიკალურად დაკავშირებული.

ლამინარული აბჯარი – აბჯარი, რომელშიც ჰორიზონტალური ლითონის (ტყავის) სალტეები თასმებით არის ვერტიკალურად გადაბმული.
ლანგეტი – ხმლის ვადის წანაზარდი, რომელიც მკვიდრად აფიქსირებს იარაღს ქარქაშის პირში.
ლახტი – დასარტყმელი იარაღი.
ლეკური ხმალი – უვადო ხმალი.
ლიბანდაკი – ალებარდის ტიპის იარაღი.

მაზრაკი – მოკლე სასროლი შუბი.
მანა – შურდულის თასმა.
მანიკია – სახელო, რომელიც მხარს იდაყვამდე იცავდა.
მანჯანიკი – ლოდსატყორცნი მანქანა.
მარკგრაფი – სასაზღვრო ოლქის (მარკის) მმართველი.
მარქაფა – ძირითადი ცხენის შემცვლელი, მეორე ცხენი.
მახაირა – ცივი იარაღის (დანა, ხმალი) აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი.
მახვილი – იარაღი სწორი ორლესული პირითა და სწორი ტარით.
მაჯრა – მოკლე ისრის სასროლი მოწყობილობა.
მეაბჯრე – ცხენოსანი მეომრის დამხმარე, რომელიც მის საჭურველსა და ბარგს ატარებდა.
მემარქაფე – მარქაფა ცხენით მიმყოლი, რომელსაც პატრონისათვის ბრძოლაში მოკლული ცხენის გამოცვლა ევალებოდა.
მერემეთუხუცესი – ცენტრალური სამხედრო უწყების მოხელე, რომელიც ამილახორს ემორჩილებოდა და ცხენების მოშენება და ხედნა ევალებოდა.
მესაწოლენი – მეფის მცველები ფეოდალურ საქართველოში.
მიზერიკორდი – გრძელი, ვიწროპირიანი ხანჯლისმაგვარი იარაღი, რომლითაც მეტოქეს ბოლო დარტყმას აყენებდნენ.
მორიონი – XVI-XVII სს. გავრცელებული ღია, ფართოფარფლებიანი ევროპული მუზარადი.

ნავაკი – მოკლე ისრის სასროლი მოწყობილობა.
ნაფატინები – ნაფტის (ცეცხლგამჩენი ნივთიერების) მსროლელები.
ნიბჩა – მოკლე დაშნა.
ნიჯგორი – დიდი ზომის კაპარჭი.
ნობა – დასარტყმელი საკრავი.
ნობათი – დიდი ზომის სამხედრო დოლი.

ონაგრი – რომაული ლოდსატყორცნი.
ოროლი (ჰოროლი) – შუბი ორლესული პირით და ხის გრძელი ტარით.

პავეზა – მართკუთხა, დიდი ზომის ფარი შუა საუკუნეების ევროპაში.
პალან-კურდანი – სასაპალნე პირუტყვთა უნაგირი.
პალაში – სწორი ცალპირლესული მახვილი.
პანოპლია – მებრძოლის სრული აღჭურვილობა.
პარამერია – ბიზანტიური ცალპირიანი ცივი იარაღი.
პენონი – შუბზე დამაგრებული პირადი ალამი.
პლუმაჟი – ფრინველის ფრთები ან ცხენის ძუა, რომლითაც მუზარადს ამკობდნენ.
პოლიორკეტიკა – სიმაგრეთა აღებისა და დაცვის ხელოვნება.
პოლოტიკი – სხეულის დასაცავი ლითონის ფირფიტა.
პროტუბერანცული ფირფიტა – აბჯრის ფირფიტა ბოლოში ცენტრალური წანაზარდით.
პტერიგები – მკლავის და სხეულის ქვედა ნაწილის დასაცავი ქსოვილის ან ტყავის ზოლები ანტიკურ ხანაში.

რეშმა – ცხენის მოსართავის წაგრძელებული ფორმის ბალთა.
რიკასო – ხმლის პირის გაულესავი ნაწილი, რომელიც ვადიდან იწყება.
რკინის ქუდი – ფართო ფარფლებიანი, ღია ფორმის რკინის თავსაბურავი.
როჭიკი – ჯამაგირი.

საბარკული – ფეხის დამფარავი ჯაჭვის აბჯარი.
საბუხარი (საფუხარი) – თითებიანი ხელთათმანი.
საბღუჯი – ფარის ხელში საჭერი ღვედები.
სადები – მუზარადის გუმბათს ამოკრული რბილი ქსოვილის საფენი.
სადიასპანო ცხენი – სწრაფმავალი ცხენი.
სათიხარი – შუბის ბოლოს ლითონის გარსაცმი; ქარქაშის ბუნიკი.
სათხედი – მოკლე შუბი, ხელშუბი.
სამალი – მშვილდით მოკლე ისრის სასროლი მოწყობილობა.
სამკლავე (ხელნავი) – ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი მკლავის დასაცავი საშუალება.
სარაჯი – უნაგირის ოსტატი.
სარჩა – საშუალო ზომის ბრტყელი ისარი.
საქვე – შურდულის შუა ბრტყელი ნაწილი, სადაც ქვა იდება.
საყალნო – დაბალფრთიანი, პირწვრილი ჯავშანგამტანი ისარი.
საყირმუზა – მუხლის დასაცავი ლითონის ფირფიტა.
საშუბლე (შამფრონი) – ცხენის შუბლის ჯავშანი.
საწვივე – წვივსაფარი, რომელიც ლითონის ორი ფირფიტისაგან შედგებოდა.
სერვულა – წვივზე დახვეული ქსოვილის გრძელი ნაჭერი.
სიპერი – მაჯაზე დამაგრებული ღარი, რომლითაც მოკლე ისარს ისროდნენ.
სიურკო – აბჯარზედა სამოსი.

სკარამანგი – ძვირფასი ქსოვილი.
სკრამასაქსი – ცალპირიანი გრძელი საბრძოლო დანა.
სოლენარიონი – მოკლე ისრის სასროლი ბიზანტიაში.

ტაბარი – დიდი ზომის ორპირა ცული.
ტაბარძენი – ცხენოსნის საბრძოლო ნაჯახი.
ტავარჯუხი – აბგა.
ტრებუშეტი – ლოდსატყორცნი მანქანა შუა საუკუნეებში.
ტრიბოლი – ძველი სამყაროს „ნაღმი", პატარა ზომის რკინის ნაკეთობა ოთხი მახვილი, თანაბარი სიგრძის წვერით, რომელიც ადამიანისა და ცხენების საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

უმბონი – ფარის ცენტრში დამაგრებული ლითონის ფირფიტა, რომელიც დარტყმის მოსაგერიებლად და ხელის მტევნის დასაცავად იყო განკუთვნილი.
ურნალი (ვერძი, ტარანი) – კედლის შესანგრევი საშუალება.

ფალერა – ცხენის მოსართავის ბალთა.
ფანჯიაქი – ნადავლის ერთი მეხუთედი, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა ისლამურ ქვეყნებსა და საქართველოში.
ფარების კედელი – ფალანგის მსგავსი ფორმაცია, რომელსაც ერთმანეთის მხარდამხარ მდგომი დიდი ფარებით დაცული ქვეითები ქმნიდნენ.
ფილაკავანი – ლოდსატყორცნი მანქანა.
ფლისკინა – სიმაგრეს შემოვლებული თხრილი.
ფურაჟირება – არმიის მიერ საბრძოლო მოქმედებების დროს სურსათსანოვაგისა და პირუტყვის საკვების მოპოვება.

ქაფი – მხრის დამცავი ლითონის ფირფიტა.
ქეიბური – დიდი ზომის ბრტყელი ისარი.
ქეჰეილანის ცხენი – წმინდა სისხლის არაბული ჯიშის ცხენი.
ქიბორჯი – მომცრო ან ზომიერი ორკაპა ისარი.
ქოთალი – სამარქაფო ცხენი.

ღრჯა – სანადირო ისარი წვერზე დამაგრებული ხის ჯვარედით.

ყაბახი – ისრის სროლა მაღალ ძელზე დამაგრებული სამიზნისათვის.
ყამა – სწორი ხანჯალი.
ყანიმი – ხმლის საკიდი თასმების ერთობლიობა.
ყვირო-სტვირი – პატარა ზომის საყვირი.
ყოდალი – სამფრთიანი წვრილი წვერმრგვალი (სადგისისებური) ისარი.

შამშირი – სპარს. ხმალი; გვიან შუასაუკუნეებში ძლიერ მოხრილი ირანული ხმალი.

შაშარი – მოხრილი ხმლის ორლესული წვერი.

შაშკა – უვადო მოხრილი ხმალი მასიური ორად გაყოფილი ტარით.

შენკელი – მხედრის ფეხის შიდა, ცხენისაკენ მიქცეული, მხარე მუხლიდან კოჭამდე.

შოსი – ჯაჭვის შარვალი.

შპანგენჰელმი – მუზარადი ჩარჩოზე დამაგრებული მომრგვალებული ფორმის ლითონის 6 (ზოგჯერ, 4 ან 8) სეგმენტით.

შურის ციხე – ციხე-სიმაგრის მაბლოკირებელი საფორტიფიკაციო ნაგებობა.

ჩაბალახი – ჯაჭვისაგან დამზადებული თავსაბურავი, ჯაჭვის ქუდი.

ჩალმისებური მუზარადი – ისლამურ სამყაროში გავრცელებული დიდი ზომის მუზარადი სპირალურად დაღარული ზედაპირით.

ჩარ-აინა – სპარს. ოთხი სარკე; კირასის ტიპის აბჯარი, რომელიც ოთხი (ან ხუთი) ფირფიტისაგან შედგებოდა.

ჩაფხუტი – უზარადო რკინის თავსარქმელი, რომელსაც გრძელი საცხვირე აქვს.

ჩაჩქანი – ჯამის ფორმის ლითონის თავსარქმელი, რომელსაც ჯაჭვის ზარადი ემაგრება.

ჩეკანი – საბრძოლო ჩაქუჩი ნაჯახისებური მეორე ბოლოთი.

ჩუგლუგი – ტარზე დაგებული იარაღი ბლაგვი (ჩაქუჩისებური) და წვეტიანი (წერაქვისებური) თავით.

ცხემად – არბალეტის ტიპის იარაღი სვანეთში.

ცხენოსანთა შოკური შეტევა (ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა) – ცხენოსნების მიერ განხორციელებული კოორდინირებული, მასირებული შეტევა, როდესაც მჭიდროდ დაწყობილი შუბგამართული მხედრები ერთდროულად უტევენ მოწინააღმდეგეს.

ძროხაკუდი – გრეხილი ფორმის საყვირი.

ნაგრძელებული შუბი – შუბის ჭერის წესი, როდესაც მისი ბოლო მკლავქვეშ არის უძრავად ამოდებული, წვერი კი მაქსიმალურადაა წინ გამოგრძელებული.

ნათი – იარაღი, რომელშიც გაერთიანებულია შუბისა და აფთის თვისებები.

ნინწკიტელა – ყრმათა სავარჯიშო ისარი.

ხალკოტუბა (პოდოპსელა) – ხის, ლითონის ან ტყავის წვივსაფარი, რომელიც წვივს მუხლიდან კოჭამდე იცავდა.
ხანდაკი – ბანაკის დასაცავი თხრილი.
ხილიფა – მშვილდის ბუდე.
ხიფთანი – აბჯრის ზემოდან ჩასაცმელი სამოსი.
ხიშტი – შუბის ტიპის იარაღი.
ხმლის სამართალი – სასამართლო ორთაბრძოლა, რომლის დროსაც მოდავე მხარეები იარაღის ძალით არკვევდნენ მტყუანსა და მართალს.

ჯავარი, დამასკური ფოლადი, ბულატი – ტალღოვანი ზედაპირის მქონე ფოლადი.
ჯაჭვი, ჯაჭვის პერანგი – ლითონის რგოლებისაგან მოქსოვილი აბჯარი.
ჯინიბი – მარქაფა ცხენი.
ჯოლბორდი – ისრის მკეთებელი.

ჰელეპოლისი – ანტიკურ ხანაში საალყო კოშკი; შუა საუკუნეებში – სხვადასხვა საიერიშო საშუალება (საალყო კოშკი, ურნალი ან ლოდსატყორცნი).
ჰიპოსანდალი – ცხენის ფეხსაცმელი ანტიკურ პერიოდში, რომელიც ნალის შემოღებამდე ფლოქვის დასაცავად და სამკურნალოდ გამოიყენებოდა.
ჰოპლიტი – მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ძველ საბერძნეთში.
ჰუნე – საუკეთესო (საბრძოლო) ცხენი შუა საუკუნეების საქართველოში.
ჰუსკარლი – სკანდინავიელ და ანგლო-საქს მეფეთა და დიდებულთა სახლეულის წევრი მეომარი.

Medieval Georgian Army (900-1700) Organization, Tactics, Armament

Summary

Introduction

Military history of medieval Georgia are considered to be the least explored in Georgian historiography. It is suffice to say that until quite recently the style of combat of the Georgian warrior and its transformation in the Middle centuries had not yet been investigated fundamentally. In addition, in spite of the fact that several attempts have been made in this direction, the equipment and armour of the medieval Georgian warrior have not yet been studied monographically. As a result, Georgian people do not recognise their warriors, how they looked at different stages of the development of the army, what they wore and how they were armed.

The issues of the military history and armament have been discussed in Georgian historiography for a considerable time: "It is an urgent task of Georgian historiography to delve into a number of issues regarding warfare" – wrote E. Khoshtaria-Brosset in the beginning of the 1990s. Ten years later P. Zakaraia claimed that "In spite of the fact that there are several attempts made to present, though not fully, there is no special study of the military weapons used for thousands of years in Georgia." I. Gagoshidze was completely honest while writing in the foreword: "No matter how paradoxical it may seem, it is a fact that the military history and wars is the least studied sphere of Georgian history." In the current situation, when the research of the military history acquires the status of a historiographic problem **the actuality of the topic** becomes absolutely obvious.

This situation, together with a number of subjective and objective reasons, is conditioned by the fact that the study of the military history and armament is not an easy task, by definition, and while belonging to the multidisciplinary sphere of research it employs data and advances of many branches of science. A distinguished scholar of Byzantine military T. Kolias argues confidently that the adequate study of the armament also demands a knowledge of social, economic and military history as well as a general knowledge of history, archaeology, technology and history of the arts. As can be seen, the military history and studies of the weapons demands the interdisiplinary

approaches as well as the taking into account existent advances in history, archaeology, ethnography, source studies, linguistics.

The issues of armaments, tactics and military organization are intermingled in the process of exploring military studies. It is impossible to learn tactics and military art without studying weapon and equipment. In order to delve deeper into the ways of conducting a war, we should start by exploring technical issues of the armament as they are considered to be of paramount importance in the military history. As is known, the armament determines the tactics and thus these two factors are inseparable. Consequently, exploration of the armament should be connected to the battlefield, while studying the tactics we must study the weapons used in the battle and their inter-relationship. By the same token, it is not feasible to separate military organization from military tactics as the needs of the combat determine the composition of the army.

Weapons are part of the national culture. While studying armament and military issues it becomes possible to discuss the status of the nation, its standards of development in the smithy as well as the levels of development of trade and economics. 150 years ago, Józef Łepkowski, rector of Jagiellonian University wrote: "Arms might be the key to assessing the education of the people who use them. Show an expert the arms of a certain nation and he will describe its education."

It is not possible to study military issues of any country without taking into account the situation in the surrounding world. This also holds true for Georgia which is located on the border of Asia and Europe. As is known, no innovations spread as quickly as those connected with military technologies. This brought about the swift introduction of military and technical innovations which, in the long run, resulted in the establishment of the common or similar armament complexes of large areas. This fact enables us to discuss the complexities of national armament systems relying on the examples of neighbouring cultures and complete the process with unknown details.

This work is the first attempt in Georgian Historiography to study issues of tactics and armament employed by the Georgian army which makes it **innovative**. In the process of research, materials and information of 800 years have been collected and explored. Previously unknown information and artefacts are introduced or interpreted in a new way, the terminology and typology of weapons is established and their complete classification is suggested.

The principle objective of the research is to study the organization, tactics and armament of the medieval Georgian army. Arising from the topic of the research, the following tasks are to be solved: to explore the organization and tactics of the Georgian army and the process of their transformation; to explore the Georgian armament complex and identify the periods of its development; to identify the borrowings and external impact on the Georgian armament; both identification of the typology of the armament

pieces and elaboration of typological schemes are also included in the research goals.

In order to achieve the overall goals of the research the following plan was selected: first, the military organization of feudal Georgia was studied and afterwards, the military tactics of the army. In addition, the panoply of a Georgian warrior was studied separately. The research reflects the chronological changes undergone over the centuries. It also presents the periodization and description of the armaments of each period discussed.

The chronological framework of the work is determined by a lengthy period in which the charge of heavy cavalry was considered to be a priority in Georgia. This period started in the 10th century when a new combat style with a couched lance was introduced in Georgia and which, in its turn, brought in new tactics – mounted shock combat. The upper chronological baseline of the period is 18th century when advanced technologies of a gunpowder weapon replaced the combat methods practised for centuries.

Although the gunpowder weapon was introduced in Georgia in the 15th century and it became part of the Georgian armament in the secomd half of the 16th century, it started to play a considerable role on the battlefield only in the 18th century. Due to this fact, gunpowder weapon is not explored in this work and thus the research is confined to the cold weapons used in medieval Georgia. Combat with the lance which was always employed by the Georgian army, lost its importance only in the middle of the 18th century. Even in the first half of the 17th century, in spite of the fact that the gun was widely spread as one of the types of weapons, a Georgian nobleman hardly ever employed it. It should also be taken into account that in the 17th century, despite its destructive power, the gun still lagged behind the bows regarding their speed and distance of reach.

Furthermore, the use of firearms makes a fundamental impact on the Georgian combat methods only in the 18th century and brings about tactical changes on the battlefield. Due to this fact, although the firearm was spread earlier, until the 18th century the development of the Georgian military art and armament can be discussed within one tactical framework of mounted shock combat and one technological sphere, that of the cold weapon.

Historiography of the issue. Until now Georgian historiography did not have a monographical work which would explore the tactics and armament of the medieval Georgian army. However, this does not mean that such issues have not been studied at all. From the works which explore the Georgian armament, several deserve our attention. For instance, "Materials for the History of Material Culture of the Georgian Nation" by I. Javakhishvili whose chapter IV is dedicated to the armament. In addition, one chapter from each of the following works is dedicated to the military panoply of

the Georgian warrior: "The Georgian Costume" by N. Chopikashvili, "Knighthood in Medieval Georgia" by G. Akopashvili, "Myths and Reality about the reign of David the Builder" by S. Margishvili and "Georgian Military Art" by J. Sharashenidze. In Georgian studies the best explored are ethnographic weapons to which the works by V. Elashvili, G. Gasitashvili, K. Cholokashvili and M. Kapianidze are dedicated. L. Chilashvili bases his research about certain aspects of the medieval weaponry on archaeological findings. From the point of view of armament, Georgian iconographical material has been studied most profoundly by L. Shervashidze on the basis of miniatures in psalters.

Tactics of the medieval Georgian army are given much attention in works by G. Anchabadze, whereas various aspects of Georgian military cases are discussed by L. Garsiashvili, I. Gedevanishvili, I. Shaishmelashvili, K. Chkhataraishvili, A. Klimiashvili, K. Kakhidze, J. Samushia, S. Margishvili and J. Sharashenidze.

The miltary organization of feudal Georgia, along with the state structure, is discussed by M. Berdznishvili in "Georgia in the 11th-12th centuries," by I. Antelava in "Central and Local Government in Georgia of 11th-13th centuries," by J. Stepnadze in "Georgia in the 12th century and the first quarter of the 13th century" and by M. Bakhtadze in "The institute of Eristavi in Georgia." Social aspects of the military case were studied by N. Berdzenishvili, E. Khoshtaria-Brosset, D. Gogoladze, G. Akopashvili, G. Jamburia, Z. Ratiani, M. Sanadze and T. Akhalaia.

All of the above works have been referred to in the present research. In addition, besides Georgian authors, the publications of foreign authors and monographs about the research theme were also analysed and used which gave us the opportunity to discuss, evaluate and solve the issues comprehensively taking into account the accumulated knowledge and latest advances in the contemporary historiography.

Written sources. The comprehensive study of the warfare is feasible only on the basis of the complex analysis of the findings of all types. The research revealed that out of the written, artistic and archeological sources we studied the most varied and important material came from the written sources.

In order to identify the tactical function of the weapon it is important to state its typology. However, the crucial information regarding the weapon is availabe only in written sources. In spite of the fact that the information supplied by the written sources is often intermittent and precarious, its systematisation provides a remarkable result.

Written sources includes narrative and documentary sources. Historical chronicles also belong in this category. Following types of work could also be considered as part of written sources: Georgian historical epics, such as "Didmouraviani," "Shahnavaziani," "The conversation between Teimuraz and Rustaveli"; hagiographic literature, folklore

(especially the poetry of mountain peoples), scientific and lexicographic works (by Vakhushti Batonishvili, Sulkhan-Saba Orbeliani, Teimuraz Bagrationi).

Georgian historical documents include the Royal Court regulations, books of records, epigraphical monuments. As the military aspects of the sources were studied in detail by G. Anchabadze, they are not discussed in this work although certain important instances are still paid attention to.

While analysing medieval narrative sources it is noticeable that most of them are written by the clergy which explains their peculiar colouring. For instance, the authors do not pay sufficient attention to the details of battles and military art. From this point of vew, Tamar's first historian and Zhamtaaghmtsereli are a pleasant exceptions.

While conducting the research I made an attempt to compensate for the fragmental nature of the Georgian sources and other drawbacks by employing foreign sources; while reconstructing the military life, I relied on Byzantine and Islamic military treatises.

I would like to pay particular attention to fiction and its reliability as the information, as such sources is quite frequently used in this work. Even I. Javakhishvili, who was known for his critical attitude, still used literary sources quite abundantly in order to describe the social and cultural reality of the period. For instance, while working on the "Economic history of Georgia," he relied on Rustaveli, Archil, Visramiani and other literary sources. Javakhishvili mentioned once that participants of "The Knight in the Panther's Skin," though being foreign, think, live and fight like Georgians. In his work "Materials for the History of Material Culture of the Georgian Nation" Javakhishvili refers to literary works in many cases.

Epic and chivalrous literature was created for the military classes, for those who played a decisive role in the medieval army. In order to be acceptable for this layer of society, this literature was expected to contain a certail level of realism. As both epic and romance literature was writtten in vernicular languages, they relied on the same lexis as the warriors and thus provided correct terms for armour and weapons. That is why the importance of "The Knight in the Panther's Skin," "Amirandarejaniani," "Rusudaniani"' and "Omainiani" in the process of identifying the military terminology as well as in the general research of medieval Georgian military history is paramount.

Military lifestyle is depicted in translated literary works as well, in which old stories are often used to express the contemporary reality. However, while dealing with the translated literature, the researcher should be very careful not to mix up the realities (combat methods as well as tactics) characterising a foreign country with the core Georgian ones. Because of this, the translated literary work is not oftern referred to in this work and the Georgian versions of "Shah-Nameh" is only used in order to clarify certain terminology.

Archeological findings. For the study of the armament, the crucial findings are provided by archeological discoveries. Unfortunately, among the data according to which the reconstruction of the medieval Georgian weaponry should be carried out, archeological findings are scarce.

Due to the early spread of Christianity in the territory of Georgia which brought about Christian rites of burial, the inventory found in feudal burial places is quite poor. This is especially true about the armament which was especially cherished due to its high prices.

But with several exceptions, in the archeology of medieval Georgia neither offensive or defensive weapons (such as swords, sabres, helmets, armour) have not been found so far which makes the issue of the research of the Georgian armament of the period quite difficult.

In the case of the lack of the archeological material, while reconstructing armament, scholars usually investigate data in the neighbouring countries, searching for parallels and analogues. For instance, due to the lack of archeological data, in order to explore the armament of the early Byzantine period the scholars were obliged to rely on pagan burial places allocated in the countries around the Empire. By the same token, while reconstructing the Georgian armament, it is possible to employ the results of archeological research about the North-Caucasian peoples (nomadic or local) living in different times.

At the same time, it is only natural that due to the scarce archaeological data, the scholar should rely on the artistic representations and written sources of the period. While comparing archeological data and various representations it is important to "remember that not all that it is represented in the art has been found in archaeology, but all that has been found is represented in the art" (V. Iotov).

Iconographic sources. Reconstruction of the armament according to iconographic representations is a proven method which is given the primary importance in the conditions of scarcity of other types of data.

It is obvious that while reconstructing the armament according to the iconographic data, scholars should take into consideration the norms and rites of the Orthodox Christianity; the relationship of local Georgian art to Byzantine art; to state when Georgian art follows the Byzantine art closely and when it acquires independence; we should know to what extent the ecclesiastical painting is conservative and to what extent it reflects reality. If it is possible, the representation should be compared to the archeological artefacts in order to ascertain and confirm its reliablity.

In addition, it should also be taken into consideration that we deal with the representation of a three-dimentional object (weapon) into two-dimentional representation (mural, miniature). We should also take into consideration the technical

abilities of the artist, the material (steel, stone) and thus, the characteristic limitations of the employed material.

Nowadays, the issue of the reliability of iconographic sources in the process of the reconstruction of armament is comprehensively studied by P. Grotowski. The author has explored the armament of holy warriors in the Byzantine world and thus his conclusions deserve our attention from the point of view of Georgian iconography as he actively refers to Georgian data. The author confidently concludes, and I agree with him, that Byzantine artists did not repeat only classic iconographic schemes but they also actively introduced new elements based on the reality. Grotowski shows the changes experienced by the Byzantine iconography regarding the armament as well as discusses the degree of reliability of iconography while identifying the types of weaponry employed in the period. Moreover, Grotowski proposes that the further the author (or the artistic shool) lived from the centre of the Empire, the lesser is the degree of conservatism in his works. This suggests a considerable degree of independence of Georgian art and its tendency to depict certain details and constructions of the weaponry which, in many cases, presents a remarkable opportunity for their reconstruction.

Besides cannonical iconographic representations (icons, frescos), a lot of information is stored in miniatures which were figuratively labeled by A. Artsikhovski as "the skylight into the faded world." However, it should be remembered that it was not a medieval artist's intention to leave a documented proof for future generations and he may have been moved by reasons unknown to us. Copies of the original works were also frequently made which often meant distorting the original. A good example of this is the two illustrated Psalters – H1665 and H75. The latter is a distorted and rough copy of the former. Fortunately, the original, giving top-quality information about the armament of the period, has also reached us.

Unfortunately, there are not many samples of medieval secular paintings which would present an opportunity to identify the types of armament employed in the period more precisely, compared to the ecclesiastical art. It should also be mentioned that in Georgian manuscripts, until the end of 16th century, there are no miniatures known on secular themes.

However, secular miniature painting presents a good material for contemplation in the 17th century. In this respect, the miniatures of "Rostomiani" (Manuscript S1580) and "The Knight in the Panther's Skin" by Tavakarashvili (Manuscript H559) are especially important. As was noted by L. Shervashidze, the author of the miniatures from "The Knight in the Panther's Skin" makes a successful attempt to depict the armament and to show us the methods of their use. It is especially important that the author, being a secular person, depicts both the methods of holding a spear and those of using it in battle.

Svaneti is the only region in Georgia where one can still see spacious battle scenes depicting combats. For instance, the scenes from the Georgian epic Amirani from the outer walls of Lashtkhveri church of the Archangels and Chazhashi church of the Saviour still remain unique by depicting a secular literary work.

The album of sketches made by an Italian missionary Don Cristoforo de Castelli also deserves our special attention as the sketches present a unique source of Georgian lifestyle of the period.

To sum up, it can be stated that in the existing conditions all of the iconographic sources which have reached us (reliefs, icons, frescos, miniatures, numismatic materials) present valuable and in many cases unique data regarding the reconstruction of the armament of the medieval Georgian warrior.

Research methodology besides general, includes the methods used in Art, Linguistic and Ethnographic research; chronological principles of the research are also observed. The data taken from the written sources are compared with the iconographic findings and material artefacts. Relying on the comparative-typological analysis it becomes possible to classify and typify the material and to elaborate corresponding schemes. Comparative method is especially widely used in the instances of considering the Georgian warfare in the context of the world's tactical and technological changes.

The results of the research have a **practical value** for a historian who is interested in Georgian military studies. In this respect, the scholars will have a full picture of the armament and tactics employed in medieval Georgia. This knowledge will enable the scholars to study military campaigns and battles of Georgians and thus make an objective reconstruction of the past. We can also follow and observe the influence of various regions and countries on the Georgian material culture and evaluate the level of development of Georgian society in various epochs. The present work can also be used in the process of attribution of specific samples of armament, compilation of the catalogues and organization of exhibitions, which makes it valuable for the staff of museums.

Military organization of feudal Georgia

Social composition and complectation of the Georgian army

The military organization of a nation reflects its social order and changes in the former initiates changes in the latter. Social changes have an impact on the military organization as well. Social organization preconditions the composition of the military component of the nation which, in turn, determines the employed tactics.

